

თბილისის შრომის წითელი ღრუხის ორგანოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული დექციონარის პარიზული ხედნაწერი

(ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები)

ტ. I, ნაწილი I

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ,
სტ. ჩხენკელმა და ბ. შავეიშვილმა.
გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო
კორნელი დანელიამ

X—XI საუკუნეთა მიჯნის ზელნაწერის—პარიზული ლექციონარის—ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები პირველხორისხოვანი წერილობითი წყაროა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესასწავლად. ტექსტზე დართულ ვრცელ ლექსიკონსა და გამოკვლევაში წარმოჩენილია ამ ძეგლის მრავალმხრივი მნიშვნელობა.

Текст парижской рукописи грузинского Лекционария (X—XI вв.) является первостепенным письменным источником для изучения истории грузинского литературного языка. В приложении к тексту словаре и исследовании выявлено многостороннее значение этого памятника.

რედაქტორი აკაკი შანიძე

რეცენზენტები: ზ. ჭუმბურიძე

ზ. სარჯველაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987

4702170100

П

 М 608(06) 87.

ჩ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

მოკლე ხანმეტი ლექციონარის გარდა, რომელიც უძველეს ხანას განეკუთვნება (დაახლოებით მე-7 საუკუნეს¹), მოგვეპოვება ოთხი ვრცელი ლექციონარი X—XI საუკუნეებისა. ესენია:

1. ლ ა გ უ რ კ ი ს ა ე ტ რ ა ტ ზ ე. იგი შედგება 174 ფურცლისაგან. ხაწერია X საუკუნის მთავრული ასოებით ორ სვეტად. ხელნაწერს ბევრი აკლია.

2. ლ ა ტ ა ლ ი ს ა. იგი ეკუთვნოდა ლაპელის წმ. გიორგის ეკლესიას, ამჟამად დაცულია მესტიის მუზეუმში. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად მთავრული ასოებით. შედგება 326 ფურცლისაგან.

3. ს ი ნ უ რ ი ს ა, № 39 (ცაგარლით № 30). იგი შეიცავს 294 ფურცელს ეტრატზე და გადაწერილია მთავრული ასოებით 982 წელს ცნობილი მწერლის იოანე-ზოსიმეს მიერ.

4. პ ა რ ი ზ ი ს ა. ეს არის ხელნაწერი ეტრატზე № 3 პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისა. დაწერილია ლამაზი, წვრილი ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად. ამჟამად შედგება 387 ფურცლისაგან. ეს ხელნაწერი თბილისიდან გაუგზავნიათ კაპუჩინ მისიონერებს კონსტანტინეპოლში, სადაც მას 1731 წლის 3 სექტემბერს მიუღწევია. აქედან იგი მოხვედრილია ვატიკანის ბიბლიოთეკაში რომში, ხოლო ნაპოლეონ I-ის დროს პარიზს გადაუნაცვლებია.

ამ ხელნაწერების ტექსტები შეისწავლა და სათანადო გამოკვლევა უძღვნა რომში მოღვაწე მიხეილ თარხნიშვილმა. ნაადრევი სიკვდილის გამო მ. თარხნიშვილი ვერ მოესწრო გამოქვეყნებას თავის ნაშრომისას, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოსცეს: *Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem (V^e — VIII^e siècle), t. I, édité par Michel Tarchnishvili, Louvain, 1959 (ქართული ტექსტი), t. II, Louvain, 1960 (ლათინური თარგმანი ქართული ტექსტისა).*

ლექციონარების ხელნაწერთა შესწავლა, მათი ბიბლიური ტექსტების ამოწერა და სასტამბოდ მომზადება თავის დროს დავაველ დოცენტ სტეფანე ჩხენკელს, რომელმაც საკითხავები ამოწერა ოთხივე

¹ ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპური რეპროდუქცია). გამოსცა და ს-მღონაა დაურთო ა. შანიძემ. 1944 (ძველი ქართული ენის ძეგლები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1.).

ხელნაწერიდან, მაგრამ იგი ადრე გარდაიცვალა (1961 წ. 10 აგვისტოს) და არ დასცალდა, რომ ამოწერილი ტექსტი საბოლოოდ დაედგინა და გამოსაცემად მოემზადებინა.

სტეფანე ჩხენკელის გადაწერილი ტექსტები განსვენებულის ოჯახში დარჩა. მე ვიშუამდგომლე უნივერსიტეტის რექტორატის წინაშე (მაშინ რექტორად გახლდათ აკად. ე. ხარაძე), რომ ძველი ქართული ენის კათედრას შეეძინა სტეფანე ჩხენკელის გამომწერილი ტექსტები, რის შედეგადაც განსვენებულის მეუღლეს მიეცა სათანადო თანხა უნივერსიტეტიდან.

მე მრავალი სხვა საქმით ვიყავი დატვირთული და მიგვიანდებოდა ამ დიდძალი ძვირფასი მასალის სასტამბოდ მომზადება და მივჭმართე ძველი ქართული ენის კათედრის წევრს (მაშინ დოცენტს, ამჟამად პროფესორს) კორნელი დანელიას, რომ მას სტეფანე ჩხენკელის დაწვებული საქმე განეგრძო და ბოლომდე მიეყვანა. კ. დანელია ბეჭითად შეუდგა საქმეს 1975 წლიდან და ფილოლ. მეცნ. კანდიდატის ბედისა შავიშვილის დახმარებით სრულად ამოწერა დარჩენილი საკითხავები, ამას გარდა თვით სტ. ჩხენკელის ამოწერილები კი შეუდარა ხელნაწერების ფოტოპირებს, შენიშნული შეცდომები ჩაასწორა და გამოსაცემად გამართა უცხო წყაროთა გათვალისწინებით.

გადაწყდა, რომ პირველად გამოიცეს პარიზის ლექციონარის საკითხავები. მასალის დიდი მოცულობის გამო ამჟამად გამოდის მხოლოდ ძველი აღთქმის საკითხავები. მათ მოჰყვება ახალი აღთქმის საკითხავები, რომელიც უკვე მზად არის გამოსაცემად.

განზრახულია, რომ ლაგურკის, ლატალიისა და სინური ლექციონარების საკითხავები ცალკე წიგნად გამოიცეს.

14.VII.1984

ზ. შანიძე

ლექსიონარის ბიბლიური საკითხავები

დაბადებად

თავი 4

1. [35] ხოლო ადამ იცნა ევა, ცოლი თვისი, მიუდგა და შვა კაენ, და თქუა: მოვიგე კაცი ღმრთისა მიერ.

2. და მერმე შესძინა შობად და შვა აბელ, ძმაჲ მისი. და იყო აბელ მწყემსი ცხოვართაჲ, ხოლო კაენ იქმოდა ქუეყანასა.

3. და იყო, შემდგომად დღეთა მათ მოართუა კაენ ნაყოფთაგან ქუეყანისათა მსხუერპლად უფალსა.

4. და აბელცა მოჰგუარა პირმშოთაგან [ცხოვართა] მისთა და ცმელთაგან მათთა. და მოხედა ღმერთმან აბელს და მსხუერპლთა მისთა;

5. ხოლო კაენს და მსხუერპლთა მისთა არა მოხედა ღმერთმან. და შეწუხნა კაენ ფრიად და შეიქუა პირი მისი.

6. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან კაენს: რადესათჳს მწუხარე იქმენ და შექუენა პირი შენი?

7. [უკუეთუ] არა მართლ შემოსწირე და არცა მართლ ჰყავ, სცოდუ და დუმენ; და შენდავე იყოს მიქცევაჲ მისი, და შენ ჰმსთავრობდე მას.

8. და ჰრქუა კაენ აბელს, ძმასა თვისსა: განვიდეთ ველად. და იყო, ვითარცა განვიდეს იგინი ველად, აღდგა კაენ აბელს — ძმასა თვისსა — ზედა და მოკლა იგი.

9. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან კაენს: სადა არს ძმაჲ შენი აბელი? ხოლო მან ჰრქუა: არა უწყი; ნუ მცველი ძმისა ჩემისაჲ ვარი მეა?

10. და ჰრქუა მას უფალმან: რად ესე ჰყავ? კმაჲ სისხლისა ძმისა შენისაჲ დადადებს ჩემდამო ქვეყანასა ზედა და შენ დაფარვასა ჰგონებ ჩემგან.

11. წყეულ იყავ შენ ქუეყანასა ზედა, რომელმან განალო პირი თვისი შეწყენარებად სისხლისა ძმისა თვისისა ცელთაგან შენთა.

12. რამეთუ იქმოდი ქუეყანასა და არა შესძინოს ძალი მისი მოცემად შენდა. და კუნესით და ძწოლით იყო შენ ქუეყანასა ზედა.

13. და ჰრქუა უფალსა ღმერთსა კაენ: უფროჲს არსა ბრალი ჩემი მოტევებისა ჩემისა?

14. უკუეთუ განმადებ მე პირისაგან ქუეყანისა და პირისაგან შენისა დავეფარო, და ვიყო მე სულთქუმით და ძწოლით ქუეყანასა ზედა. და იყო, ყოველმან რომელმან მპოოს მე, მომკლასა?

15. [v] და ჰრქუა მას უფალმან ღმერთმან: არა ეგრე. ყოველმან, რომელმან მოკლას კაენი, შვიდი შურის-გებაჲ მიიღოს. და დასდვა უფალმან ღმერთმან სასწაული, რაჲთა არა მოკლას ყოველმან, რომელმან პოოს იგი.

16. და გამოვიდა კაენ პირისაგან უფლისა ღმრთისა და დაემკვდრა ქუეყანასა ჩაიღსა წინაშე ედემსა.

17. და იცნა კაენ ცოლი თვისი; მიუდგა და შვა ენუქი. და აღაშენა ქალაქი და დასდვა სახელი ქალაქსა მას სახელი ძისა თვისისაჲ ენუქი.

18. და შვა ენუქ გაიდად, და გაიდად შვა მალელ, და მალელ შვა მათუსალა, და მათუსალა შვა ლამექი.

19. და ლამექი მოიყვანნა ორნი ცოლნი; სახელი ერთისაჲ მის აღდა და მეორისაჲ მის სელლა.

20. და აღდა შვა იობელი. ესე იყო მამაჲ მყოფთა მათ კარვებისათაჲ საცხოვრის მზრდელთაჲ.

21. და სახელი ძმისა მისისა იობელ. ესე არს რომელმან გამოაჩინა ებანი და ქნარი.

22. და სელლაცა შვა თობელი. ესე იყო კუერით-ხურო, მკედელი რკინისა და რვალისაჲ; ხოლო დაჲ თობელისი ნუიმა.

23. ჰრქუა ლამექი ცოლთა თვსთა — აღდას და სელლას: ისმინეთ ვმისა ჩემისაჲ, ცოლთა ლამექისთა, და ყურად იხუენით სიტყუანი ჩემნი. რამეთუ კაცი მოვკალ წყლულებად ჩემდა და ჭაბუკი საგუმერელად ჩემდა.

24. რამეთუ შვიდ-გზის შური ძიებულ არს კაენისგან, ხოლო ლამექისგან სამეოც და ათ შვიდ-გზის.

25. იცნა ადამ ევა, ცოლი თვისი, მიუდგა და შვა ძმ და დასდვა სახელი მისი სეით და თქუა: რამეთუ აღმიდგინა მე ღმერთმან თესლი აბელის წილ, რომელი მოკლა კაენმან.

26. და სეითს ესუა ძმ და დასდვა სახელი მისი ენუს. ესე ესვიდა ხადად სახელსა უფლისა ღმრთისასა.

თ ა ვ ი 5

1. ესე წიგნი არს შესაქმნისა კაცთაჲსაჲ, რომელსა დღესა შეიქმნა ადამი ხატად ღმრთისა.

2. შეიქმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად [36] და უწოდა სახელი მისი ადამ, რომელსა დღესა შექმნა იგი.
3. ცხონდა ადამ ორასოც და ათ წელ და შვა მსგავსებისაებრ მისისა და ხატებისა მისისა ძმ და დასდვა სახელი მისი სეით.
4. და იყვნეს დღენი ადამისნი შემდგომად შობისა მის სეითისა შვდას წელ, და ისხნა მან ძეებ და ასულებ.
5. და იყვნეს ყოველნი დღენი ადამისნი, რაოდენ ცხონდა, ცხრაას ოც და ათ წელ და მოკუდა.
6. ცხონდა სეით ორას და ხუთ წელ და შვა ენუსი.
7. და ცხონდა სეით შემდგომად შობისა მის ენუსისა შვდას და შვდ წელ და ისხნა ძეებ და ასულებ.
8. და იყვნეს ყოველნი დღენი სეითისნი ცხრაას და თორმეტ წელ, და მოკუდა.
9. ცხონდა ენუსი ას ოთხმოც და ათ წელ და შვა კაინან.
10. და ცხონდა ენუსი შემდგომად შობისა მის კაინანისა შვდას და ათხუთმეტ წელ და ისხნა ძეებ და ასულებ.
11. და იყვნეს ყოველნი დღენი ენუსისნი ცხრაას და ხუთ წელ, და მოკუდა.
12. ცხონდა კაინან ას სამეოც და ათ წელ და შვა მალეღე.
13. და ცხონდა კაინან შემდგომად შობისა მის მალეღსსა შვდას ორმოც წელ და ისხნა ძეებ და ასულებ.
14. და იყვნეს ყოველნი დღენი კაინანისნი ცხრაას და ათ წელ, და მოკუდა.
15. ცხონდა მალეღე ას სამეოც და ხუთ წელ და შვა იარედ.
16. და ცხონდა მალეღე შემდგომად შობისა მის იარედისა შვდას ოც და ათ წელ და ისხნა ძეებ და ასულებ.
17. და იყვნეს ყოველნი დღენი მალეღსსნი რვაას ოთხმოც და ათხუთმეტ წელ და ისხნა ძეებ და ასულებ.
18. ცხონდა იარედ ას სამეოც და ორ წელ და შვა ენუქი.
19. და ცხონდა იარედ შემდგომად შობისა მის ენუქისა რვაას წელ და ისხნა ძეებ და ასულებ.
20. და იყვნეს ყოველნი დღენი იარედისნი ცხრაას სამეოც და ორ წელ და მოკუდა.
21. ცხონდა ენუქი ას სამეოც და ხუთ წელ და შვა მათუსალა.
22. და სათნო ეყო ენუქი ღმერთსა შემდგომად შობისა მის მათუსალასა, და ცხონდა ორას წელ და ისხნა ძეებ და ასულებ.

23. და იყვნეს ყოველნი დღენი ენუქისნი რვაას სამეოც და ხუთ წელ.

24. და სათნო ეყო ენუქი ღმერთსა და არა იპოვა, რამეთუ გარდაცვალა იგი ღმერთმან.

25. ცხონდა მათუსალა ას სამეოც და შვიდ წელ და შვა ლამექი.

26. და ცხონდა მათუსალა შემდგომად შობისა მის ლამექისა შვიდას ოთხმეოც და ორ წელ და ისხნა ძეგბ და ასულგბ.

27. და იყვნეს ყოველნი დღენი მათუსალაჲსნი ცხრაას სამეოც და ცხრა წელ და მოკუდა.

28. ცხონდა ლამექი ას ოთხმეოც და რვა წელ და შვა ძმ.

29. და დასდვა სახელი მისი ნოვე და თქუა: ამან განმისუენოს საქმეთაგან ჩუენთა და მწუხარებათაგან კელთა ჩუენთაჲსა და ქუეყანისა მისგან, რომელი წყევა უფალმან ღმერთმან.

30. და ცხონდა ლამექ შემდგომად შობისა მის ნოვეცსა ხუთას სამეოც და ხუთ წელ და ისხნა ძეგბ და ასულგბ.

31. და იყვნეს ყოველნი დღენი ლამექისნი შვიდას ორმეოც და ცამეტ წელ და მოკუდა.

32. იყო ნოვე ხუთას წლის და შვნა ნოვე სამ ძმ: სემ, ქამ და იაფეთ¹.

თ ა ვ ი 6

1. და იყო, რაჟამს იწყეს კაცთა განმრავლებად ქუეყანასა ზედა, ასულგბ ესხნეს მათ.

2. და იხილნეს ძეთა მათ ღმრთისათა ასულნი იგი კაცთანი, რამეთუ შუენიერ იყვნეს, და მოიყვანნეს თავისა თვისისა ცოლებად ყოველთაგან, რომელი გამოირჩიეს.

3. და თქუა ღმერთმან: არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა ამათ, რამეთუ კორციელ არიან იგინი; იყვენენ დღენი მათნი ას და ათ წელ.

4. ხოლო გმირნი იყვნეს ქუეყანასა ზედა მათ დღეთა შინა, და შემდგომად მისა ვითარცა შევიდიან ძენი იგი ღმრთისანი ასულთა კაცთასა და შობდეს მათგან, იყვნეს გმირნი საუკუნითგან კაცნი იგი სახელოვან.

5. და იხილა უფალმან ღმერთმან, რამეთუ განმრავლდეს უკეთურებანი მათნი ქუეყანასა ზედა და ყოველივე [37] განიზრახვიდა განკრძალულად ბოროტსა გულსა თვისსა ყოველსა დღესა.

30. ნოვესა.

¹ 32-ე მუხლი მე-6 თავის I მუხლშია შეტანილი ბერძნული ტექსტის ზოგ გამოცემად.

6. და შეინანა ღმერთმან, რამეთუ შექმნა კაცი ქუეყანასა ზედა და განიხრაზა.

7. და თქუა ღმერთმან: აღვკოცო კაცი, რომელი ვქმენ, პირისაგან ქუეყანისა კაცითგან მიპირუტყუადმდე, და ქუეწარმავალითგან ვიდრე მფრინველადმდე ცისა; შევინანე, რამეთუ ვქმნენ იგინი.

8. ხოლო ნოვე პოვა მადლი წინაშე ღმრთისა [162v].

9. ესე შობანი არიან ნოვესნი: ნოვე კაცი მართალი იყო და სრულ ნათესავსა მას შორის; და სათნო-ეყო ნოვე ღმერთსა.

10. და შენა სამ ძმ: სემ, ქამ და იაფეთ.

11. და განიხრწნა [ქუეყანამ] წინაშე [163] ღმრთისა და აღივსო ქუეყანამ სიცრუევითა მათთაგან.

12. და იხილა უფალმან ღმერთმან ქუეყანამ, და იყო იგი განხრწნილ, რამეთუ განხრწნა ყოველმან კორციელმან გზამ თვისი ქუეყანასა ზედა.

13. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან ნოვეს: ჟამი ყოვლისა კაცისამ მოიწვევის წინაშე ჩემსა, რამეთუ აღივსო ქუეყანამ სიცრუევითა მათთაგან. და აჰა ესერა მე განხრწნე იგინი და ქუეყანამ.

14. იქმენ თავისა შენისა კიდობანი ძელთაგან უღბოლველთა, ბუდედ-ბუდედ ჰქმნე იგი, მოჰკირო იგი შინაჲთ, გარტთ ნავითა.

15. და ესრტთ ჰქმნე კიდობანი იგი: სამას წყრთა ჰყო სიგრძმ კიდობნისამ მის და ერგასის წყრთა სიგრცმ მისი და ოცდაათ წყრთა სიმაღლმ მისი.

16. ზე-შეერებულად ჰყო კიდობანი იგი და ერთსა წყრთასა ზედა შეასრულო, ხოლო კარი კიდობნისამ მის ჰყო გუერდით კერძო, ქუეშე და ზე სახლებად აღაშწნო იგი ძვიდედ-ძვიდედ.

17. ხოლო მე აჰა მოვჰკადლო წყლით-რღუნამ ქუეყანასა ზედა განხრწნად ყოველი კორციელი, რომელსა თანა არს სული ცხოველი ცასა ქუეშე, და რაოდენი-რამ იყოს ცასა ქუეშე, ნოწყედეს.

18. და დავამტკიცო აღთქუმამ ჩემი შენ თანა, და შეხვდე კიდობანსა მას შენ და ძენი შენნი და ცოლი შენი და ცოლნი ძეთა შენთანი შენ თანა კიდობანსა მას.

19. და ყოველთაგან საცხოართა და ყოვლისაგან კორციელისა ორი — მამალი და დედალი — ყოველთაგან პირუტყუთა შეიყვანო კიდობანსა მას, რამთა ჰზრდიდე თავისა შენისა თანა; მამალი და დედალი იყოს.

20. ქუე-წარმავალი თესლად-თესლადისა მათისამ, ორი ყოვლისაგან შევიდეს შენ თანა — მამალი და დედალი — გამოზრდად.

67. ქუეწარმავლთაგან. 10. იაფთ. 10. ნოვეს. 16. ზმ, ქუეშმ, გვიდედ გვიდედ. 17. ქუეშმ. 20. ქუეწარმავალი.

21. შენ შეიღე შენ თანა ყოველთაგან საზრდელთა, რაათა სქამდე, [V] და შეიკრიბო თავისა შენისა, რაათა იყოს შენდა და მათდა საქმლად.

22. და ყო ნოვე, ვითარცა უბრძანა უფალმან ღმერთმან.

თ ა ვ ი 7

1. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან ნოვეს: შევედ შენ და ყოველი სახლი შენი კიდობანსა მას, რამეთუ შენ ხოლო გიხილე მართლ წინაშე ჩემსა ნათესავსა ამას შორის.

2. ხოლო საცხოვართაგანი წმიდათა შეიყვანო შენ თანა შვიდი — მამალი და დედალი — და პირუტყუთაგანი არა-წმიდათაა ორი — მამალი და დედალი.

3. ...გამოზრდად თესლი ქუეყანასა ზედა¹.

4. მერმელა სხუა შვიდ დღე და მოვჰკადო წყლით-რღუნაჲ ქუეყანასა ზედა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე; და აღვკოცო ყოველი აღმდგომი ქუეყანით.

5. და ყო ნოვე ეგრე, ვითარცა უბრძანა უფალმან ღმერთმან.

6. ხოლო ნოვე იყო ექუსას წლის და წყლით-რღუნაჲ იგი იყო ქუეყანასა ზედა.

7. და შევიდა ნოვე კიდობანსა მას, ძენი მისნი და ცოლი მისი და ცოლნი ძეთა მისთანი მის თანა წყლით-რღუნისა მისთვის.

8. და მფრინველთაგანი და საცხოვართაგანი არა-წმიდათაჲ და ყოველთაგან ქუეწარმავალთა ქუეყანისათა².

9. ორ-ორი შევიდა კიდობანსა მას — მამალი და დედალი, ვითარცა უბრძანა უფალმან ღმერთმან ნოვეს.

10. და იყო, შემდგომად შვიდისა დღისა და წყლით-რღუნაჲ იგი იყო ქუეყანასა ზედა.

11. მეექუსასესა წელსა ცხოვრებასა ნოვესსა მეორესა თთუესა ოცდაათსა მის თთვისასა, ამას დღესა გამოეცნეს წყალნი უფსკრულთანი და გარდამოსაქანელნი ცისანი განეხუნეს,

12. და იყო წკმაჲ იგი ორმეოც დღე და ორმეოც ღამე.

7. 1. ნოვეს. 4. კლმ (ორივეჯერ), ღამე. 8. საცხოვართაგან, ქუეწარმავალთა. 9. ნოვეს. 11. თთუესა. 12. დღე, ღამე.

¹ მე-3 მუხლის დიდი ნაწილი გამოტოვებულია.

² ამ სიტყვას შეცდომით მიჰყვება მე-7, მე-8 მუხლების ტექსტი განმეორებით: ორი შევიდა კიდობანსა მას, ცოლი მისი და ცოლნი ძეთა მისთანი წყლით-რღუნისა მისთვის. და მფრინველთაგან და საცხოვართა წმიდათა და ყოველთაგან ქუეწარმავალთა ქუეყანისათა.

13. ამას დღესა შინა შევიდა ნოვე, სემ, ქამ და იაფეთ, ძენი ნოვესნი, და ცოლი ნოვესი და ცოლნი [164] ძეთა მისთანი მის თანა კიდობანსა მას შინა.

14. და ყოველი მკეცი თესლად-თესლადი და ყოველი საცხოვარი თესლად-თესლადი შევიდა ნოვეს თანა, და ყოველი იძრვისი ქუეყანისა და ყოველი მფრინველი თესლად-თესლადი.

15. შევიდა კიდობანსა მას, ორი ყოვლისაგან კორციელისა, რომელსა თანა იყო სული ცხოველი.

16. და ყოველი იგი შევიდა, მამალი და დედალი ყოვლისაგან კორციელისა შევიდა, ვითარცა უბრძანა უფალმან ნოვეს. და დაჰქმა უფალმან ღმერთმან გარეშე კიდობანი იგი.

17. და იყო წყლით-რღუნაჲ ორმეოც დღე და ორმეოც ღამე ქუეყანასა ზედა, და განმრავლდეს წყალნი იგი, და აღიღო კიდობანი იგი და აღმალდა ქუეყანით.

18. და დაიპყრა ყოველი და განმრავლდა ფრიად ქუეყანასა ზედა, და მიმოეტაცა კიდობანი იგი წყალთა ზედა.

19. ხოლო დაიპყრეს ქუეყანაჲ წყალთა მათ ფრიად და დაფარნა მთანი მაღალნი,

20. რომელნი იყვნეს ცასა ქუეშე. ათხუთმეტ წყრთა აღმატა წყალი იგი და დაფარნა მთანი.

21. და მოწყდა ყოველი კორციელი იძრვისი ქუეყანასა ზედა, მფრინველთაჲ და პირუტყუთაჲ და მკეცთაჲ და ყოველთა იძრისთაჲ ქუეყანასა ზედა და ყოველი კაცი,

22. და ყოველი, რომელსა აქუნდა სული ცხოველი, და ყოველი, რაოდენი იყო კმელსა ზედა, მოწყდა.

23. და აღიკოცა ყოველი აღმდგომი, რომელი იყო პირსა ზედა ქუეყანისასა, კაცითგან მიპირუტყუადმდე, და ქუეწარმავალი და მფრინველი ცისაჲ აღიკოცნეს ქუეყანით. და დაშთა მარტოჲ ნოვე და მისთანანი იგი კიდობანსა მას შინა.

24. და აღმალდა წყალი იგი ქუეყანასა ზედა ასერგასის დღე.

თ ა ვ ი 8

1. და მოეცენა ღმერთსა ნოვე და ყოველნი იგი მკეცნი და ყოველნი მფრინველნი, რაოდენნი იყვნეს კიდობანსა მას შინა; [v] და მოავლინა ღმერთმან ქუეყანასა ზედა ქარი, და დასცხრა წყალი იგი.

13. იაფეთ, ნოვესი.

16. ნოვეს]მოსს.

17. დღს.ღამს.

20. ქუეშე.

23. ქუეწარმავალთა. 24. დღს.

2. და დაეფარნეს წყარონი იგი უფსკრულთანი და გარდამოსაქნელნი ცისანი; და მოაკლდებოდა წყალი იგი.

3. რაოდენ ვიდოდა ქუეყანასა ზედა, შემეცირდებოდა და მოაკლდებოდა წყალი იგი.

4. და შემდგომად ასერგასის დღისა დადგა კიდობანი იგი თთუესა მეშვდესა, ოცდაშვდსა მის თთუსასა, მთასა ზედა არარატისასა.

5. ხოლო წყალი იგი ვიდოდა და მოაკლდებოდა ვიდრე მეთედ თთუემდე, ხოლო მეთერთმეტესა თთუესა, პირველსა მის თთუსასა, გამოჩნდეს თავნი მთათანი.

6. და იყო, შემდგომად მეორემოცესა დღესა განალო კარი კიდობნისაჲ მის ნოვე, რომელ ქმნა.

7. და განავლინა ყორანი ხილვად, უკუეთუ დასცხრა წყალი იგი. და გამოვიდა და არღარა მიაქცია, ვიდრემდის განქმა წყალი იგი.

8. და განავლინა ტრედი შემდგომად მისა ხილვად, უკუეთუ დასცხრა იგი პირისაგან ქუეყანისა.

9. და არა პოვა ტრედმან მან განსასუენებელი ფრთეთა თვსთაჲ და მოიქცა ნოვესა კიდობნადვე, რამეთუ წყალი იგი იყო პირსა ზედა ყოველსა ქუეყანისასა. და განყო კელი ნოვე და შემოიყვანა იგი კიდობნადვე.

10. და დაითმინა შვდ დღე სხუა და კუალად განავლინა იგი კიდობნით.

11. და მიაქცია მისავე ტრედმან მან მიმწუხრი და აქუნდა ფურცელი ზეთის-ხილისაჲ რტომთურთ პარსა მისსა. მაშინ გულისხმა-ყო ნოვე, რამეთუ დასცხრა წყალი იგი ქუეყანით.

12. და მერმე და-და-ითმინა შვდ დღე და კუალად განავლინა ტრედი და არღარა შესძინა მიქცევად მისა.

13. და იყო, ექუსას და [165] ერთსა წელსა ცხორებასა ნოვტსსა, პირველსა თთუესა ერთსა მის თთუსასა, მოაკლდა წყალი იგი ქუეყანით¹.

15. და ეტყოდა უფალი ღმერთი ნოვეს და პრქუა:

16. გამოვედ შენ მაგიერ კიდობნით, შენ და ცოლი შენი და ძენი შენნი და ცოლნი ძეთა შენთანი.

17. და ყოველი კორციელი, რაოდენი არს შენ თანა, და ყოველი მკეცი მფრინველთაგან ვიდრე საცხოვარამდე და ყოველი ქუეწარმა-

8.4. დღმ. 10. დღმ. 12. დღმ. 13. თთუსა. 15. ნოვტს. 17. საცხოვარამდე (ასეა), ქემწარმაველი.

¹ აკლია მე-13 მუხლის ნაწილი და მე-14 მუხლი.

ვალი იძრვისი ქუეყანასა ზედა გამოიყვანე შენ თანა და აღორძნდით და განმრავლდით ქუეყანასა ზედა.

18. და გამოვიდა ნოვე და ცოლი მისი და ძენი მისნი და ცოლნი ძეთა მისთანი.

19. და ყოველნი მჯეცნი და ყოველნი ქუეწარმავალნი და ყოველნი მფრინველნი იძრვისნი ქუეყანასა ზედა თესლად-თესლადი. მათი ვა-მოვიდეს კიდობნით.

20. და უშმნა ნოვე საკურთხეველი უფალსა ღმერთსა და მოიღო ყოველისაგან საცხოვართა ყოველთაჲ და ყოველთა მფრინველთა წჳი-დათაჲ და ყო ნოვე ეგრე და შეწირა ნოვე მსხუერპლი ღმრთისა სა-კურთხეველსა მას ზედა.

21. და იყნოსა უფალმან სულად სულნელად. და თქუა უფალმან ღმერთმან: შევინანე, არღარა შეესძინო წყევად ქუეყანასა ზედა საქ-მეთათჳს კაცთაჲსა, რამეთუ მიდრეკილ არს გუნებაჲ კაცისაჲ სიკბუ-კითგან თვისით; არღარა შეესძინო მოსრვად ყოველისა კორციელისა, ვითარცა-ესე ვყავ.

22. ყოველთა დღეთა ქუეყანისათა თესლი და მკაჲ, ყინელი და ცხელი, ზაფხული და ზამთარი, დღჳ და ღამჳ არა დასცხრენ.

თ ა ვ ი 9

1. და აკურთხა უფალმან ღმერთმან ნოვე და ძენი მისნი და ჰრქუა მათ: აღორძნდით და განმრავლდით და აღაესეთ ქუეყანაჲ და უფლებ-დით მას ზედა;

2. და ზარი თქუენი იყავნ ყოველთა ზედა მფრინველთა ცისათა, და ყოველთა ქუეწარმავალთა ქუეყანისათა, და თევზთა ზედა ზღვსათა და კელსა [v] ქუეშე თქუენსა მიგცე თქუენ;

3. ყოველი ქუეწარმავალი, რომელი არს ცხოველი, თქუენდა იყოს საჰმლად, ვითარცა მხალი თივისაჲ მიგცე თქუენ იგი საჰმლად ყო-ველი.

4. გარნა კორცი სისხლითურთ არა სჳამოთ,

5. რამეთუ თქუენნიცა სისხლნი სულთა თქუენთანი გამოვიძანე ყოველისაგან კელთა თქუენთაჲსა, და კელისაგან ძმისა კაცისა გამოვი-ძიო სული ცხოველი ძისა კაცისაჲ,

6. რომელმან დასთხიოს სისხლი ესე [კაცისაჲ, ნაცვალად სისხლი-სა მისისა დაითხიოს სისხლი მისი], რამეთუ ხატად ღმრთეებისა შეჰქ-მენ კაცი.

19. ქუეწარმავალნი.

9,2. ქუეწარმავალთა, ქუეშ. 3. ქუეწარმავალი.

7. რამეთუ თქუენ აღორძნდით და განმრავლდით და აღავსეთ ქუეყანა და უფლებდით მას ზედა.

8. და ეტყოდა უფალი ღმერთი ნოევს და ძეთა მისთა და ჰრქუა მათ:

9. აჰა ესერა მე დავსდებ აღთქუმასა ჩემსა თქუენ თანა და ნათესავისა თქუენისა თანა შემდგომად თქუენსა.

10. და ყოველსა სულსა ცხოველსა, რომელ არს თქუენ თანა მფრინველითგან და პირუტყვთ და ყოვლით მკეცით ქუეყანისაჲთ, რაოდენნი არიან თქუენ თანა, ყოველნი, რომელნი გამოვიდენ თქუენ თანა კიდობნით.

11. და დავამტკიცო აღთქუმაჲ ჩემი თქუენ თანა, და არღარა მოსწყდეს ყოველი კორციელი წყლით-რღუნითა, და არღარა იყოს მერმე წყლით-რღუნაჲ განრყუნად ყოველი ქუეყანაჲ.

12. ჰრქუა უფალმან ღმერთმან ნოევს: ესე სასწაული არს აღთქუმისა მის ჩემისაჲ, რომელი დავდევე შორის ჩემსა და თქუენსა და შორის ყოვლისა სულისა ცხოველისა ნათესავად საუკუნოდ.

13. მშვლდსა ჩემსა დავსდებ ღრუბელთა შინა და იყოს სასწაულად აღთქუმისა ჩემისა შორის ჩემსა და შორის თქუენსა.

14. და იყოს, რაჟამს მოვაელინო ღრუბელი ქუეყანასა და გამოჩნდეს მშვლდი იგი ჩემი ღრუბელთა შინა.

15. და მოვიკსენო აღთქუმაჲ იგი ჩემი, რომელ არს შორის ჩემსა და შორის თქუენსა და შორის ყოვლისა კორციელისა ცხოველისა, და არა იყოს წყალი [16ნ] რღუნისაჲ მოსპოლვად ყოვლისა კორციელისა.

16. და იყოს მშვლდი იგი ჩემი ღრუბელთა შინა, ვიხილო და მოვიკსენო აღთქუმაჲ იგი ჩემი საუკუნოდ შორის ჩემსა და შორის ყოვლისა სულისა ცხოველისა და შორის ყოვლისა კორციელისა, რომელ არს ქუეყანასა ზედა.

17. ჰრქუა უფალმან ღმერთმან ნოევს: ესე სასწაული არს აღთქუმისა ჩემისაჲ, რომელი დავდევე შორის შენსა და შორის ყოვლისა კორციელისა, რომელი არს ქუეყანასა ზედა.

18. იყენეს ძენი ნოვცსნი, რომელნი გამოვიდეს კიდობნით: სემ, ჯამ და იაფეთ. ჯამ იყო მამაჲ ჯანანისაჲ.

19. ესე სამნი ძენი არიან ნოვცსნი, ამათგან განეთესნეს ყოველსა ქუეყანასა.

20. [45v] და იწყო ნოვე საქმედ ქუეყანისა და დაასხა ვენაკი.

21. და სუა ღვნოჲ მისგან და დაითრო და განშიშულდა სახლსა შინა თვისსა.

22. და იხილა ქამ ქანანელმან შიშულობაჲ მამისა თვისისაჲ და განიცივნა და გამოვიდა გარე და უთხრა ძმათა თვისთა.

23. და მოიღეს სამოსელი სემ და იაფეთ და დასდევს ორთავე მუკლთა მისთა, და მოვიდეს ზურგ-შექცევით და დაფარეს შიშულობაჲ მამისა თვისისაჲ და პირნი მათნი ვერ მიაქციენს და საშიშულჲ მამისა მათისაჲ ვერ იხილეს.

24. განიფრთხო ნოვე ღვნისა მისგან და გულისხმა-ყო, რაჲ-იგი უყო ძემან მისმან უმრწემჲსმან;

25. და თქუა: წყეულ იყავნ ქამ, ყრმაჲ ეგე, და მონაჲ იყოს ძმათა თვისთაჲ.

26. და თქუა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი სემისი, და იყოს ქამ მონა მისა.

27. განავრცენ ღმერთმან იაფეთ, და დაიმკვდრენ საყოფელნი ქამისნი, და იყავნ ქამ მონა მათა.

28. და ცხონდა ნოვე შემდგომად წყლით-რღუნისა სამას ერგასის წელ.

29. და იყვნეს ყოველნი წელნი ნოვჲსნი ცხრაას ერგასის წელ და მოკუდა.

თ ა ვ ი 10

1. ესე შობანი არიან ძეთა ნოვჲსთანი: სემ, ქამ და იაფეთისნი. და ესხნეს მათ ძეებ შემდგომად წყლით-რღუნისა.

2. ძენი იაფეთისნი: გამერ და მაგოვ, მადა და იოვიან, ელი და ფობელ, მოსოქ, თერა.

3. და ძენი გამერისნი: ასქანეზ და რიფათ და თორგამა.

4. და ძენი იოვიანისნი: ელის და თარსის, კიტელნი და რუდელნი.

5. ამათ განიყვნეს ჰალაკნი ნათესავთანი ქუეყანასა მათსა, თითო-ეული ენად-ენადი ტომებსა მათსა და ნათესავსა.

6. ხოლო ძენი ქამისნი: იქუს და იმჲს, ტრემფოს და ნანტი¹[46].

7. ძენი ქუშისნი: საბა და ეელია და საბათა და რეგმა და ბაკათან. და ძენი რეგმაჲსნი: საბან და იუდა და დადან.

23. დაფარჲს. იაფეთ. 24. ნოვჲს. 26. იაფეთ. 28. ნოვჲს.
10.1. იაფეთისნი. 4. იოვიანისნი| ორთანოვე. სკიტელნი 2. დადან]დანი.
¹ ოთხივე საკუთარი სახელი დამახინჯებულა (იხ. გამოკვლეულ).

8. ხოლო ქუშ შვა ნებროთ. ესე იყო გმირი პირველ ქუეყანასა ზედა.

9. ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღმრთისა. ამასთჳს თქვან: ვითარცა ნებროთ გმირი.

10. და იყო დასაბამი მეფობისა ბაბილოვნისაჲ ორეჲ და აქარ და ქალანე ქუეყანასა მას სილანისასა.

11. მისეუ ქუეყანისაგან გამოვიდა ასურ და აღაშშნა ნინევეს და რუბუთი ქალაქი [და ქალაქი],

12. და დასამე შორის ნინევსა ქალაქსა [და შორის ქალაქსა]. ესე არს ქალაქი დიდი.

13. და მესტრემ შვა ნოდელნი...

14. და კოთომელნი¹.

15. და ქალან შვა სიღონ პირველად და ქეტელნი.

16. და იობოსელნი და ამორეველნი და გერგესეველნი და სინელი...

18. და აოდელი და სამორეველი და ამათელი. და მისა შემდგომად გ-ნეთესნეს ესე ტომნი ქანანელთა.

19. და იყვნეს საზღვარნი ქანანელთანი სიღონითგან [ვიდრე მოსლვადმდე გერარად და გაზად], ვიდრე მოსლვადმდე სოდომად და გომორად, ადამად და სობოიდი ვიდრე ლასლამდე.

20. ესე ძენი ქამისნი ტომთა შორის მათთა და ენათა სოფელსა შორის მათსა და ნათესავსა მათსა.

21. და სემის ესხნეს მათსაცა, მამასა ყოველთა ძეთა ებერისთა, ძმასა უხუცესსა იაფეთისსა.

22. ძენი მისნი ელამ და ასურ და არფაქსად და ლუდ და არამ და კანა.

23. და ძენი არამისნი: ოს და ოლ, გოთერ და მოსუქ.

24. და არფაქსად შვა კაინა, ხოლო კაინა შვა სალა, და სალა შვა ებერ.

25. და ებერს ესხნეს ორ ძე; სახელი ერთისაჲ მის ფალეგ, რამეთუ დღეთა შისთა განიყო ქუეყანაჲ; სახელი ძმისა მისისაჲ იეკტან.

26. იეკტანს ესუა ელმოდად და სალფა და ასორმოთ და ერაქ.

27. და ოდარა და იეზრელ, დაკელა,

28. და გებალ და აბილმელ და საბელ.

29. ...ყოველნი ძენი იეკტანისნი².

9. თქვან 12. დასამე|სამონსმ. 21. იაფეთისსა. 22. ასურ|სურ. 23. არამისნი|ავარისნი. 25. ძმ. იეკტან|იესტან. 26. იეკტანს| იესტანს. 27. და კელა. 29. იეკტანისი|იესტანისნი.

¹ მე-13 და მე-14 მუხლი ნაკლულია.

² 29 ე მუხლი დასაწყისში ნაკლულია.

30. და იყო დამკვდრებაჲ მათი მასტოს ვიდრე მოსლვამდე [v] სოფერად მზის აღმოსავალით.

31. ესე არიან ძენი სემისნი ტომთა მათ შორის ენაღ-ენადი მათი სოფლებსა.

32. ესე არს ტომი ძეთა ნოვქსთაჲ მსგავსად შობისაებრ მათისა. ამათგან განეთესნეს ქალაქნი ტომაღ-ტომადისანი ქუეყანასა ზედა შემდგომად წყლით-რღუნისა.

თ ა ვ ი 11

1. და იყო ყოველი ქუეყანაჲ ერთად და ერთი სიტყუაჲ ყოველთაჲ.

2. და იყო, ძრვასა მათსა აღმოსავალით პოვეს [ველი] ქუეყანასა მას სინარისასა და დაემკვდრნეს მუნ.

3. და ჰრქუა კაცმან მოყუასსა თვისსა: მოვედით და ვქმნეთ აღიზი და გამოვაცხოთ ცეცხლითა.

4. მოვედით ვიშწნოთ ქალაქი თავისა ჩუენისა და გოდოლი, რომლისა თავი იყოს ვიდრე ცამდე. და ვყოთ თავისა ჩუენისა სახელი ვიდრე განთესვადმდე ჩუენდა პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა.

5. და გარდამოკდა ღმერთი ხილვად ქალაქისა მის და გოდლისა, რომელი-იგი იშწნეს ძეთა კაცთა.

6. და თქუა უფალმან: აჰა ესერა ნათესავი ესე ერთ არს და ენაჲ ერთი არს ყოველთაჲ, და ესე იწყეს ყოფად: და აწ არა მოაკლდეს მათ ყოველი, რაჲცა დაიდვან გულსა მათსა საქმჲ.

7. მოვედით და შევპრინეთ ენანი ჩუენნი, რაჲთა არა ესმოდიან კაცად-კაცადსა კმაჲ მოყუსისა თვისისაჲ.

8. და მიმოდასთესნა იგინი უფალმან პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა, და დააცადეს შწნებად ქალაქი იგი და გოდოლი.

9. ამისთვის ეწოდა სახელი მისი შერევა, რამეთუ მუნ შეურინა ენანი ყოვლისა ქუეყანისანი და განაბნინა იგინი უფალმან ყოველსა ქუეყანასა ზედა.

10. და ესე არიან შობანი სემისნი: სემ იყო ნაშობი ძისა წლისაჲ, რომელსა ეამსა შვა მან არფაქსად, შერვესა წელსა შემდგომად წყლით-რღუნისა.

11. ცხონდა სემ შემდგომად შობისა მის არფაქსადისა ხუთას წელ, და ისხნა ძეებ და ასულებ და მოკუდა.

12. ცხონდა არფაქსად ასოც და თოთხმეტ წელ, და შვა მან კანან.

13. და ცხონდა არფაქსად შემდგომად შობისა მის კაინანისა სამას ოცდაათ წელ, და ისხნა ძეებ და ასულებ და მოკუდა. ცხონდა კაინან ას და ათ [47] წელ, და შვა მან სალა. და ცხონდა კაინან შემდგომად შობისა მის სალაჲსა სამას ოცდაათ წელ, და ისხნა ძეებ და ასულებ და მოკუდა.

14. ცხონდა სალა ას ოცდაათ წელ და შვა მან ებერ.

15. და ცხონდა სალა შემდგომად შობისა მის ებერისა სამას ოცდაათ წელ, და ისხნა ძეებ და ასულებ და მოკუდა.

16. ცხონდა ებერ ასოც და თოთხმეტ წელ, და შვა მან ფალეგ.

17. და ცხონდა ებერ შემდგომად შობისა მის ფალეგისა ორას სამეოც და ათ წელ, და ისხნა ძეებ და ასულებ და მოკუდა.

18. ცხონდა ფალეგ ას ოც წელ და შვა მან რაგავ.

19. და ცხონდა ფალეგ შემდგომად შობისა მის რაგავისა ორას ოცდაათ წელ, და ისხნა მან ძეებ და ასულებ და მოკუდა.

20. ცხონდა რაგავ ას და ათორმეტ წელ, და შვა მან სერუქ.

21. და ცხონდა რაგავ შემდგომად შობისა მის სერუქისა შვდას წელ, და ისხნა ძეებ და ასულებ და მოკუდა.

22. ცხონდა სერუქ ას ოცდაათ წელ და შვა მან ნაქორ.

23. და ცხონდა სერუქ შემდგომად შობისა მის ნაქორისა ორას წელ, და ისხნა ძეებ და ასულებ და მოკუდა.

24. ცხონდა ნაქორ სამეოც და ცხრა წელ და შვა მან თარა.

25. და ცხონდა ნაქორ შემდგომად შობისა მის თარაჲსა ას ოც და ცხრა წელ, და ისხნა ძეებ და ასულებ და მოკუდა.

26. ცხონდა თარა სამეოც და ათ წელ და შვნა მან აბრაჰამ და ნაქორ და არან.

27. ...და არან შვა ლოთ¹.

28. და მოკუდა არან წინაშე თარაჲსა, მამისა თვისისა ქუეყანასა მას, რომელსაცა იშვა, ზოფელსა მას ქალდეველთასა.

29. და მოიყვანეს აბრაჰამ და ნაქორ თავისა თვისისა ცოლნი. სახელი ცოლისა აბრაჰამისი სარა და სახელი ცოლისა ნაქორისი მელქა, ასული არანისი, მამისა სეჟამისი.

30. და იყო სარა ბერწ და არა შობდა.

31. გამოიყვანა თარა აბრაჰამ, ძმ თვისი, და ლოთ, ძმ არანისი, ძის წული მისი, და სარა, ძის ცოლი თვისი, და მოიყვანა იგინი სოფელსა მას ქალდეველთასა, და მოვიდა ვიდრე ქარანადმდე და დაეშვნა მუნ.

32. და იყვნეს დღენი თარაჲსნი ქარანს შინა ორას და ხუთ წელ, და მოკუდა თარა ქარანს შინა.

¹ 27. ე მუხლი დასაწყისში ნაკლულია.

თ ა ვ ი 12

1. [287r] და ჰრქუა უფალმან ღმერთმან აბრაჰამს: გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანად, რომელი მე გიჩუენო შენ,

2. და გყო შენ ნათესავად დიდად. და გაკურთხო შენ და განვაღიდო სახლი შენი. [288] და იყო შენ კურთხეულ.

3. და ვაკურთხნე მაკურთხეველნი შენნი და ვწყყენე მწყყვარნი შენნი. და იკურთხეოდითან შენდამი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი.

4. და წარმოვიდა აბრაჰამ, ვითარცა ეტყოდა მას უფალი, და მოვიდა მის თანა ლოთცა. ხოლო აბრაჰამ იყო სამეოც და ათორმეტის წლის, რაჟამს გამოვიდა ქუეყანით ქარანით.

5. და მოიყვანა აბრაჰამ სარა, ცოლი თვისი, და ლოთ, ძმისწული მისი, და ყოველი მონაგები მისი, რომელი მოეგო ქარანს შინა. გამოვიდეს მოსლვად ქუეყანად ქანანისა და მოვიდეს ქუეყანასა მას ქანანელთასა.

6. და მიმოვლო აბრაჰამ ქუეყანასა მას და იხილა სიგრძე მისი ვიდრე ადგილადმდე სკქემისა მუხასა მას მაღალსა. ხოლო ქანანელნი იგი მაშინ დამკვდრებულ იყვნეს ქუეყანასა მას.

7. და ეჩუენა აბრაჰამს უფალი და ჰრქუა მას: ნათესავსა შენსა მივსცე ქუეყანად ესე. და უშმნა მუნ აბრაჰამ საკურთხეველი უფალსა, რომელი-იგი ეჩუენა მას.

8. და წარმოვიდა მიერ მთასა მას აღმოსავალით ბეთელდ. და აღმართა მუნ კარავი თვისი ბეთელი ზღვთ კერძო. და უშმნა მუნ საკურთხეველი უფალსა და უწოდა ადგილსა მას სახლი ღმრთისაჲ.

თ ა ვ ი 13

1. [288] და გამოვიდა აბრაჰამ ეგვიპტით, იგი და ცოლი მისი და ყოველივე, რაჲცა იყო მისი, და ლოთ მის თანა უდაბნოდ.

2. აბრაჰამ იყო მდიდარ ფრიად საცხოვარითა და ვეცხლითა და ოქრომთა.

3. და მოვიდა, ვინაჲცა წარსრულ იყო უდაბნომთ, სადა-იგი იყო კარავი მისი პირველად შორის ბეთელსა და შორის ანგეასა,

4. ადგილსა მას საკურთხეველისასა, სადა-იგი აღუშმნა მას პირველად. და ხადა მუნ აბრაჰამ სახელსა უფლისა ღმრთისასა [v].

5. და ლოთ, რომელი გამოვიდა აბრაჰამის თანა, იყო მისიცა ცხოვარი და ზროხაჲ და კარვები.

6. და ვერ იტევდა ქუეყანაჲ იგი დამკვდრებად ერთად, რამეთუ იყო მონაგები მათი ფრიად. და ვერ შემძლებელ იყენეს დამკვდრებად ერთბაშად.

7. და იყო ლალეაჲ შორის საცხოართა მათ და მწყემსთა აბრაჰამისთა და ლოთისთაჲ. ხოლო ქანანელნი მას შინა მკვდრ იყენეს ქუეყანასა მას.

8. და ჰრქუა აბრაჰამ ლოთს: ნუ იყოფინ ლალეაჲ შორის შენსა და შორის ჩემსა და შორის მწყემსთა ჩუენთა, რამეთუ კაცნი ძმანი ვართ.

9. ანუ არა აჰა ეგერა ყოველი ქუეყანაჲ წინაშე შენსა არს? განმეშორე ჩემგან: ანუ შენ მარცხენით და მე მარჯუენით, ანუ შენ მარჯუენით და მე მარცხენით.

10. და აღიხილნა თუალნი თვისნი და იხილა ყოველი სანახება იორდანისაჲ, რამეთუ ყოველი იგი იყო სარწყავ ვიდრე დაქცევადმდე სოდომისა და გომორისა. და იყო იგი ვითარცა სამოთხჲ ღმრთისაჲ ქუეყანაჲ ეგვიპტისაჲ ვიდრე მოსლვადმდე სეგორად.

11. და გამოირჩია ლოთ თავისა თვისსად ყოველი სანახები იორდანისაჲ და წარმოვიდა ლოთ აღმოსავალით კერძო და განეშორა კაცად-კაცადი ძმისაგან თვისისა.

12. და აბრაჰამ დაემკვდრა ქუეყანასა მას ქანანისასა, და ლოთ დაემკვდრა ქალაქებსა მას სანახებსა და დაეშენა სოდომას შინა¹.

14. [18] და ჰრქუა უფალმან ღმერთმან აბრაჰამს შემდგომად განყენებისა მის ლოთისა: აღიხილენ თუალნი შენნი ზეცად და იხილეთვთ მაგიერად გზაჲ [V], რომელსა-ეგე შენ სდგა, ჩრდილოთ კერძო და მართლიად მზის აღმოსავალსა და ზღვთ კერძო.

15. რამეთუ ყოველი იგი ქუეყანაჲ, რომელსა ხედავ, შენ მიგცე იგი და ნათესავსა შენსა უკუნისამდე.

16. და ვყო ნათესავი შენი ვითარცა ქვშაჲ ზღვსაჲ. უკუეთუ ქვშაჲ ზღვსაჲ აღ-ვინმე-რაცხოს, შენიცა ნათესავი რიცხუსა ქუეშე იყოს.

17. აწ აღდგე და მოზომე ქუეყანაჲ ეგე, სიგრძჲ, და სივრცჲ, რამეთუ შენ მოგცე ეგე.

18. იძრა და წარვიდა აბრაჰამ, მოვიდა და დაეშენა მუხასა მას თანა მამბრესა, რომელ-იგი იყო ქებრონს შინა, და მუნ უქმნა საკურთხეველ უფალსა ღმერთსა.

9. მარჯუენით. 12. სოდომას (ასეა!). 14. ზღვით. 16. ქუეშე.

¹ მ-13 მუხლის ტექსტი აკლია.

თ ა ვ ი 14

1 და იყო, შარავანდელობასა მას ამფალისსა, სენაარელთა მეფისა-სა, არიოქ, მეფე ელადელთაჲ, და ქოდოლაგომორ, მეფე ელამელთაჲ, და თარგალ, მეფე წარმართთაჲ.

2. მოსრულ იყვნეს ბრძოლად ბარაჲსა, სოდომელთა მეფისათჳს; და ბარაჲსა, გომორელთა მეფისა, სენაჰარისა, ადამელთა მეფისა, და [სუმბორისა], სეზომელთა მეფისა, და ბარაკ მეფისა, ესე იგი არს სეგორი.

3. ესე ყოველნი მეფენი შეიზრახნეს და ერი იგი შეიკრიბეს ჳევსა მას მარილოანსა და მთასა ზედა და ზღუასა მას მარილოანსა.

4. რამეთუ თორმეტ წელ დამონებულ იყვნეს ქოდოლაგომორ მეფესა მას და მეთცამეტესა წელსა განუდგეს მას.

5. აწ წელსა მას მეთორმეტესა მოვიდა ქოდოლაგომორ, მეფე იგი. და მეფენი იგი, რომელ იყვნეს მის თანა, და მოწყუდნეს მათ გმირნი იგი ასტარონს შინა და კარნამს, და მოსჳეს ერი იგი ძრიელი ერთბამად მათ თანა, და უმელნი იგი, რომელ იყვნეს სავსს ქალაქისანი.

6. და ქორომელნი იგი, რომელნი იყვნეს მთასა მას სეირსა ვიდრე საზღვრადმდე ბილეკომისა (!), რომელი დგას ფარნეს უდაბნოსა მას.

7. მერმე მოიქცეს, მოვიდეს იგინი წყაროსა მას ზედა სასჯელისაჲ, რამეთუ ესე თავადი არს კადშ. და მოწყუ[19]დნეს მუნ მთავრები ეგი ამაღეკელთანი და ამორეველთანი, რომელნი დამშნებულ იყვნეს ასასანთამარს შინა.

8. აწ გამოვიდეს სოდომელთ მეფემან და ადამელთ მეფემან და სეზომელთ მეფემან, ბარაკ სეგორელთ მეფემან. განეწყვნეს და განემზადნეს ბრძოლად მათ მეფეთა ჳევსა მას ადაოცთასა.

9. ქოდოლაგომორს, ელამელთა მეფესა, და თარგალს, წარმართთა მეფესა, და არიოქ, სერაპელთა მეფესა — ოთხნი ესე მეფენი შარავანდელნი ხუთთა შარავანდელთა.

10. და ჳევები ადაოცისაჲ მის უყისაჲ უყსა თანა და გუბი გუბსა თანა, ესე იგი არს მალთითა და კუბრითა სავსს. ივლტოდეს და განიბნინეს მეფე იგი სოდომელთა და გომორელთაჲ და შთაცკვეს იგინი გუბსა მას, და რომელნი-იგი დაშთომილ იყვნეს, მთად კერძო წარივლტოდეს.

11. მიიწინეს მეფენი იგი და წარიღეს და წარტყუნეს მთით კერ-

14. 1 სენაარელთა]სერაველთა. ქოდოლოგომორ. 2. სეზომელთა. 4. თორმეტ (ასეა); 5. სავსს] საესს, 8. მეფემან (ასეა სამივეჯერ). 10. იგინი]იგი. 11. მიაწინეს.

ძოდ იგი და ყოველი ნათესავი სოდომელთაჲ და ყოველი ფასი მათი და საცხოვარი და მონაგები ყოველი ტყუედ წარიღეს.

12. წარტყუნეს ლოთცა, ძმის წული აბრაჰამისი, და ყოველი ნაყოფი და მონაგები მისი და წარვიღეს.

13. და შოიწია ლალადის-მგდებელი აბრაჰამისა შუხასა მას წიად მამბრესა ძმათა მათგანი ესქორისთაჲ და ავხანისთაჲ, რომელნი-იგი იყვნეს კელ-ცემულ აბრაჰამისა.

14. ესმა რაჲ აბრაჰამს, ვითარმედ წარიტყუნა ლოთ, ძმის წული მისი, აღდგა შუნტქუეს ოდენ, ანდერძ-ყო შვილთა მათ კელით სწავლულთაჲ, მონათა თვსთაჲ, და დეენა-უყო კუალსა მათ მეფეთასჲ სამას ათურამეტითა ნიყუვითა.

15. და დაესხა შარავანდელთა მათ ღამე თავადი იგი და მონანი იგი მისნი მის თანა, [v] მოსრნა და მოწყუნდა ივინი. და დასდგა სახელი მას ველსა ველი შარავანდელთაჲ და ნეშტნი იგი მათნი მეოტად წარიტყინა ძიქობადმდე, რომელ არს მარცხლ კერძო დამასკესა.

16. და უკუშოიქცია ტყუშ იგი ყოველი რემაკთაჲ და ყოველი მონაგები სოდომელთა მათ და გომორელთაჲ და ლოთ, ძმის წული თვისი, ზოაქცია ყოვლითურთ ნატყუნავით და ფასი და მონაგები და ცოლები მათი და ყოველი ერი მათი.

17. ვითარცა მოვიდა და მოიწია ღელესა მას საეშსსა, გამოეგებვოდა მას მეფშ იგი გომორელთაჲ, რაყამს მოქცეულ იყო და მოვიდოდა იგი შემდგომად მოწყუედისა მის მეფეთაჲსა, შეემთხვა ველსა მას შარავანდელთასა,

18. და მელქიზედეკ, მეფემან სალემისამან, გამოაგება მას ჰური და ღვნოჲ. და იყო იგი მღდელი ღმრთისა მადლისაჲ.

19. და აკურთხა მელქიზედეკ აბრაჰამი და თქუა: კურთხეულ იყავნ აბრაჰამი ღმრთისა მიერ მადლისა, რომელმან ქმნნა ცანი და ქუეყანაჲ.

20. კურთხეულ იყავნ ღმერთი მალალი, რომელმან მოგცნა მტერნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა. და შოილო აბრაჰამ და მისცა მელქიზედეკს ათეული ყოვლისა მისგან ნატყუნავისაჲ.

21. და ჰრქუა მეფემან სოდომელთამან აბრაჰამს: კაცები ეგე ხოლო ნატყუნავისაჲ მაგის მე მომეც, და ყოველი ეგე რემაკ კდალთაჲ და ფასი და ნაყოფი, რომელ დაჰყარე, ეგე ყოველი შენდა იყავნ.

22. და პრქუა აბრაჰამ მეფესა მას სოდომელთასა: აღვიპყრნე კელ-

ნი ჩემნი უფლისა შიმართ ღმრთისა მადლისა, რომელმან კმნა ცანი და ქუეყანაჲ.

23. ვითარმედ მკედისა ნაწყუედითგან მიჯამლის ტარადმდე არა მოვილო ყოვლისავე ამისგანი, რომელი-ეგე მე შენ წინა მიყავ, რაჲთა არა სტქუა ხვალის აღრე, ვითარმედ: მე განვამდიდრე აბრაჰამი;

24 [20]. გარნა ესე ხოლო, რომელ-რაჲ ჰამეს სპარაზენთა ამათ, და ნაწილი ნაღთაჲ ამათ ჩემთაჲ: ავნანისი და ესქუროისი და მამბრჰსი. ამათ ხოლო მიიღონ ნაწილი შენგან და განუტევენ იგინი.

თ ა ვ ი 15

[270] 1. და იყო, შემდგომად სიტყვსა მის და სიტყუაჲ უფლისა იყო აბრაჰამისა შიმართ და ჰრქუა: ნუ გეშინინ აბრაჰამ, მე შეგეწიო შენ, სასყიდელი შენი დიდ იყოს ფრიად.

2. ჰრქუა აბრაჰამ: უფალო, რაჲ მომცე მე; ესერა დატევებულ ვარ უშვილოდ, ხოლო ძმ მასეისი, სახლის წულისა ჩემისაჲ, ესე დამასკელი ელეაზარ.

3. და თქუა აბრაჰამ, რამეთუ არა მომცე მე თესლი, ამან სახლის წულმან ჩემმან დამიმკვდროს მე.

4. და მეყსეულად კმაჲ იყო მისა და თქუა: არა დაგიმკვდროს შენ მაგან, არამედ რომელი გამოვიდეს შენგან, მან დაგიმკვდროს შენ.

5. გამოიყვანა იგი გარე და ჰრქუა მას: აღიხილენ ზეცად და აღრაცხენ ვარსკულავნი, უკუეთუ უძლო აღრაცხად მათა. და ჰრქუა: ესრჱთ იყოს ნათესავი შენი.

6. და ჰრწმენა აბრაჰამს ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ.

7. და ჰრქუა მას: მე ვარ ღმერთი, რომელმან გამოგიყვანე შენ სოფლისა მისგან ქალდეველთაჲსა, რაჲთა მიგცე შენ ქუეყანაჲ ესე სამკვდრებელად.

8. [v] და ჰრქუა აბრაჰამ: უფალო, უფალო, რაჲთა უწყოდი, რაჲთა დავიმკვდრო იგი.

9. და ჰრქუა მას უფალმან: მომგუარე მე დეკეული სამ წლისაჲ და გურიტი და ტრედი.

10. მოილო ესე აბრაჰამ და განახევრა იგი შორის და დააგო იგი პირსპირ ურთიერთას, ხოლო მფრინველი იგი არა განყო.

11. გარდამოვიდოდა მფრინველი იგი კორცსა მას ზედა განყოფილსა; ხოლო აბრაჰამ მას თანა ჯდა.

12. და დასლვასა ოდენ მზისასა განკვრევაჲ დაეცა აბრაჰამსა ზედა: და აჰა ესერა შიში დიდი ბნელისაჲ მოიწია მის ზედა.

13. და ჰრქუა აბრაჰამს: უწყებით უწყოდე, რამეთუ მწირ იყოს ნათესავი შენი ქუეყანასა უცხოსა და დაიმონნენ იგი და ბოროტსა უყოფდენ ოთხას წელ.

14. ხოლო ნათესავსა მას, რომელსა ჰმონებდენ, ვსაჯნე მე და მისა შემდგომად გამოვიდენ აჲა ჰურჭლითა მრავლითა.

15. ხოლო წარხვდე მამათა შენთა მშვიდობით განმზრდელ სიბერითა კეთილითა.

16. ხოლო ნათესავი შეოთხმ მოიქცეს აჲა, რამეთუ არღა აღსრულებულ არიან ცოდვანი ამორეველთანი აჲამომდე.

17. და იყო მზმ დასავალსა; იყო ალი, და ალი ესე საკუმილისაჲ მკუმულვარმ, და ლამპარნი ცეცხლისანი, და განვლეს შორის განყოფილსა მას.

18. მას დღესა შინა აღუთქუა ღმერთმან აბრაჰამსა აღთქუმაჲ და ჰრქუა: ნათესავსა შენსა მივსცე ქუეყანაჲ ესე.

თ ა ვ ი 17

1. [20] და ეჩუნა უფალი ღმერთი აბრაჰამს და ჰრქუა მას: მე ვარ ღმერთი შენი. სათნო-გიყავ შენ წინაშე ჩემსა და იყავ უბიწო.

2. და დავდე აღთქუმაჲ ჩემი შორის [ჩემსა და შორის] შენსა და განგამრავლო შენ ფრიად.

3. და დავარდა აბრაჰამ პირსა ზედა თვისსა, და ეტყოდა მას უფალი და ჰრქუა:

4. აჰა ესერა ვჰყოფ აღთქუმასა ჩემსა შენ თანა, და იყო შენ მამა მრავალთა ნათესავთა.

5. და არღარა გეწოდოს სახელი შენი აბრაჰამ, არამედ აბრაჰამ იყოს სახელი შენი, რამეთუ მამად მრავალთა ნათესავთა დაგადგინო შენ.

6. და აღგაორძინო შენ ფრიად, და მეფენი შენგან გამოვიდენ.

7. და დავამტკიცო აღთქუმაჲ ჩემი შორის შენსა და შორის ჩემსა და შორის ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა ვიდრე ნათესავისა მათისამდე აღთქუმაჲ საუკუნოჲ, რამეთუ ვიყო მე შენდა ღმერთად და ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა.

8. [და მიგცე შენ და ნათესავსა შენსა შემდგომად შენსა] ქუეყანაჲ ეგე, რომელსა ზედა შენ ჰმწირობ, ყოველი ქუეყანაჲ ქანანისაჲ საშკვდრებელად საუკუნოდ, და ვიყო მე შენდა ღმერთად.

9. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან აბრაჰამს: შენ აღთქუმაჲ ჩემი დაი-
მარხო და ნათესავმან შენმან ვიდრე ნათესავეადმდე მათა.

10. და ესე არს აღთქუმაჲ ჩემი, რომელი დაიმარხო შორის შენსა
და ჩემსა და შორის ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა ვიდრე ნა-
თესავეად [v]მდე მათა: წინადაცუეთად ყოველსა წულსა ნათესავსა
შორის თქუნსა.

11. და წინადაიციუთოთ კორცი წინადაცუეთილებისა თქუნისაჲ,
და იყოს სასწაულად აღთქუმისა შორის ჩემსა და შორის თქუნსა.

12. და ყრმამან რვისა დღისამან წინადაიციუთოს ყოველმან წულმან
ნათესავსა შორის თქუნსა სახლისა შენისამან და ვეცხლით სყიდულ-
მან, რომელი იყოს ნაშობი უცხო თესლისაჲ, რომელი არა არს ნათე-
სავისა შენისაგანი.

13. წინადაიციუთოს სახლის წულმან სახლისა შენისამან და ყოველ-
მან ვეცხლით ფრდილმან. და იყოს აღთქუმაჲ ჩემი კორცთა თქუნთა
ზედა აღთქუმაჲ საუკუნოდ.

14. და ყოველმან წულმან, რომელმან არა წინადაიციუთოს კორცი
წინადაცუეთილებისა მისისაჲ მერვესა დღესა, მოისპოს სული იგი ნა-
თესავისაგან თვისსა, რამეთუ აღთქუმაჲ ჩემი განაქარვა.

15. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან აბრაჰამს: სარას, ცოლსა შენსა,
არღარა ეწოდოს სახელი მისი სარა, არამედ სარრა იყოს სახელი მისი.

16. ვაკურთხო იგი და მოგცე შენ შვილი მისგან. და იყოს ნათესა-
ვად დიდად, და მეფენი ნათესავისა მისისაგან გამოვიდენ.

17. და დაეარდა აბრაჰამ პირსა ზედა თვისსა, განიცივნა და იტყოდა
გულსა თვისსა და თქუა: უკუეთუ ასისა წლისასა ესუას, და უკუეთუ სა-
რა ოთხმეოცისა წლისამან შვეს¹?

19. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან აბრაჰამს: აჰა ესერა სარა გიშ-
ვეს შენ ძმ და უწოდი სახელი მისი ისაკ. და დავამტყიცო აღთქუმაჲ
ჩემი მის თანა აღთქუმაჲ საუკუნოდ და ნათესავისა მისისა თანა შემ-
დგომად მისა.

თ ა ვ ი 18

1. [169v] და ეჩუენა უფალი ღმერთი აბრაჰამს მუხასა მას თანა
მამბრესა, ჯდა რაჲ იგი გარეშე კართა კარვისა მისისათა შუა სამხრის.

2. და აღიხილნა თუალნი თვისნი აბრაჰამ და იხილნა, და აჰა ესერა
სამ კაც მოვიდოდეც. და ვითარცა იხილნა იგინი აბრაჰამ, მირბიოდა

19. მისსა.

18,1. გარეშე.

¹ მე-18 მუხლის ტექსტი აკლია.

შემთხვევად მათა კარით კარვისა მისისაჲთ, თაყუანის-სცა მათ ქუეყანასა ზედა.

3. და ჰრქუა: უფალნო, უკუეთუ¹...

31. [170]... უკუეთუ იბოვნენ ოც? და თქუა უფალმან: არა წარეწყმიდო ოცთა მათთვის.

32. და თქუა აბრაჰამ: რამეთუ მაქუს-ლა სიტყუაჲ: უკუეთუ იბოვნენ მას შინა ათ? და თქუა უფალმან: არა წარეწყმიდო ათთა მათთვის.

33. და წარვიდა უფალი, ვითარცა დააცადა სიტყუად აბრაჰამისა. და აბრაჰამ მიიქცა ადგილად თვსა.

თ ა ვ ი 19

1. ხოლო ორნი იგი ანგელოზნი მივიდეს სოდომად მიმწუხრი. და იხილნა ლოთ ანგელოზნი იგი, აღდგა და მიეგებვოდა და თაყუანის-სცა მათ პირსა ზედა თვსსა ქუეყანასა ზედა.

2. და ჰრქუა მათ: აჰა, უფალნო, მოაქციეთ კარვად მონისა თქუენისა და დაიბანენით ფერცნი თქუენნი და ცისკარს აღიმსთუეთ და წარემართენით გზასა თქუენსა მშვდობით. ხოლო მათ ჰრქუეს: არა, არამედ უბანთა ზედა დავადგრეთ.

3. და იიბუღა ლოთ და მოაქციეს მის თანა სახიდ მისა. და მოუმზადა მათ სერი და უქმნა მათ უცომოჲ, ჭამეს და სუეს და იხარებდეს.

4. ხოლო კაცნი იგი ქალაქისანი სოდომელნი გარე-მოადგეს სახლსა მისსა ჭაბუკითგან ვიდრე მოხუცებულადმდე, ყოველნი ერთბაშად.

5. გარე-მოადგეს ლოთს და ეტყოდეს: სადა არიან კაცნი იგი, რომელნი შემოვიდეს ღამე? გამოიყვანენ, რაჲთა თანა-ვეყვნეთ მათ.

6. გამოვიდა მათ თანა ლოთ გარე და კარნი გამოჰქმნა.

7. და ჰრქუა: ნუ ეგრე, ძმანო, ნუ იქმთ ბოროტსა.

8. არიან ჩემნი ორნი ასულნი ქალწულნი, რომელთა არა იციან მამაკაცი, გამოვიყვანნე თქუენ თანა და უყავთ მათ, ვითარცა სათნო არს წინაშე თქუენსა, გარნა კაცთა ამათ ნუ ავნებთ, ვინამთგან შემოვიდეს სართულსა სახლისა ჩემისასა.

9. ხოლო მათ ჰრქუეს: წინა-მოხუედ მწირობით და აწ მოსაჯულ ჩუენდა იქმნებია? აწ შენ ბოროტი გიყოთ უფროჲს ამათსა. და ჰმსძლავრობდეს ლოთს ფრიად. და მიიწინეს შემტუსრვად ბჭეთა.

10. და გამოყვნეს ანგელოზთა [v] მათ კელნი მათნი და შემოიტაცეს ლოთ შინა სახლსა და კარწი სახლისანი დაჰქმნეს.

19.5. ღამე.

¹ ხელნაწერს ორი ფურცელი უნდა აკლდეს.

11. და კაცნი იგი, რომელნი იყვნეს კართა ზედა მის სახლისათა, იგუემნეს სიბრძითა მცირითგან ვიდრე დიდადმდე და იწყეს ბორბა-
ლებად და ძიებად სახლისა.

12. ჰრქუეს კაცთა მათ ლოთს: არიან თუ აქა შენნი სიძენი, [ანუ ძენი], ანუ ასულნი, ანუ სხუად ვინ ქალაქსა შინა, განიყვანენ ამიერ
ადგილთ.

13. რამეთუ წარვსწყმედთ ჩუენ ქალაქსა ამას, რამეთუ ამაღლდა
ლაღადებაჲ ქალაქისაჲ მის წინაშე უფლისა და შოგუაველინა ლმერთ-
მან შემუსრვად.

14. გამოვიდა ლოთ სიტყუად სიძეთა მათ, რომელთა მიეყვანნეს
ასულნი მისნი, და ჰრქუა: აღდეგიოთ და განვიდეთ, რამეთუ შეჰმუ-
რავს უფალი ქალაქსა ამას. და უჩნდეს სიტყუანი ესე ბასრობის წინა-
შე სიძეთა მისთა.

15. და ვითარცა ცისკარი იყო, ასწრაფობდეს და ეტყოდეს ანგე-
ლოზნი იგი ლოთს: აღდეგ და განიყვანე ცოლი შენი და ასულნი შენ-
ნი და განვედ, რაჲთა არა წარსწყმედეთ შორის ურჩულოებასა ამის ქა-
ლაქისასა.

16. და უპყრეს კელი ლოთს და ცოლსა მისსა და ორთა ასულთა
მისთა წყალობასა მას უფლისასა მათ ზედა.

17. და იყო, რაჲთამს გამოიყვანნეს იგონი გარეშე ქალაქისა მისგან,
ჰრქუეს მას: განირინე თავი შენი და ნუ უკუ-იხედავ გარე, ნუცა დას-
დგები ყოველსა მას სანახებსა. მთად კერძო ივლტოდე, ნუუკუე მოჰ-
კუდე.

18. ჰრქუა მათ ლოთ: გევედრებო, უფალნო ჩემნო,

19. რამეთუ ვპოვე მადლი წინაშე თქუენსა და განადიდეთ წყალო-
ბაჲ თქუენი, რომელსა ჰყოფთ ჩემ ზედა. რაჲთა ცხონდეს სული ჩემი,
რამეთუ ვერ ძალ-მიც განრინებად მთად კერძო, ნუუკუე მეწიოს სი-
კუდილი.

20. რამეთუ ქალაქი ესე მახლავს მისლვად ჩემდა მუნ და შენ გამო-
განერეს და ცხონდეს სული ჩემი.

21. ჰრქუა უფალმან: აჰა ეგერა თუალ-გახუნ მაგას სიტ[171]ყუ-
სა ზედა, რაჲთა არა დავაქციო ქალაქი იგი, რომლისათვის სთქუ.

22. იწრაფე უკუე შესლვად მუნ, რამეთუ ვერ ჰყო საქმე ესე ვიდ-
რე შესლვადმდე შენდა მუნ. ამისთვის ეწოდა სახელი ქალაქისაჲ მის
სეგორ.

23. მიერ მზმ აღმოეფინა, სადა მიერ ლოთ შეივლტოდა სეგორად.

24. და უფალმან აწვმა ცეცხლი და წუნწუბაჲ სოდომოსა და გომოროსა ზედა უფლისა მიერ ზეცით.

25. და დააქცია ქალაქები მათი და ყოველი სანახები მათი და ყოველნი დამკვდრებულნი მას შინა და ყოველი მცენარჲ ქუეყანისაჲ.

26. და უკუ-მოიხილა ცოლმან ლოთისმან და იქმნა იგი ძეგლ მარლისა.

27. და აღიმსოთ აბრაჰამ განთიად და მოვიდა ადგილსა მას, სადა-იგი დგა წინაშე ღმრთისა.

28. [და მიჰხედა] პირსა სოდომისა და გომორისასა და ყოვლისა მის ქალაქებისა სანახებისასა ხილვად: და აჰა ესერა ალი ადვიდოდა ქუეყანით, ვითარცა არმური საჭუშილისაჲ.

29. და იყო, დაქცევასა მას უფლისა მიერ ქალაქებისა მის და სანახებისასა მოეცენა ღმერთსა აბრაჰამ და გამოიყვანა ლოთ დაქცევისა მისგან და დააქცია ღმერთმან ქალაქი იგი, რომელსა შინა დამკვდრებულ იყო ლოთ.

30. და გამოვიდა ლოთ სეგორით და დაჯდა იგი მთასა მას ზედა და ორნი ასულნი მისნი მის თანა, რამეთუ შეეშინა დამკვდრებად სეგორს შინა. და დაემკვდრა ქუაბსა მას შინა იგი და ორნი ასულნი მისნი მას თანა.

თ ა ვ ი 20

1. [21]. იძრა და წარვიდა აბრაჰამ მზის დასავალით კერძო, მოვიდა და დაეშმნა შორის კადესა [და შორის] ასურსა და მუნ დაშმნებულ იყო მწირობით გერალელთა კერძო.

2. და თქუა აბრაჰამ ცოლისა თვისსაჲ, ვითარმედ: დაჲ ჩემი არს. მიავირინა აბიმელიქ, მეფემან გერალელთამან, და მიიყვანა სარა თავისა თვისსა ცოლად.

3. ეჩუნა ღმერთი აბიმელიქს ჩუენებასა ღამისასა და ჰრქუა: უწყოდე. რამეთუ მოჰკუდები მაგის დედაკაცისა გამო, რომელ-ეგე მოგიყვანებოეს შენ შინა ცოლად, რამეთუ მაგას ქმარი თვისი ზედა-ადგს. განეშორე, აბიმელიქ, ზრახვისა მაგისგან.

4. და ჰრქუა აბიმელიქ ღმერთსა: უფალო ღმერთო, ნათესავი ერთი უცბობით და სიმართლით მო-ხოლო-მსპოა?

5. არა-მე აბრაჰამ თვთ თქუა, ვითარმედ: დაჲ ჩემი არს? და დედაკაცმან მან თქუა, ვითარმედ: ძმაჲ ჩემი არს იგი? და მე გულითა წრფელითა და ჯელითა სიმართლისაჲთა მოვიყვანე იგი ცოლად ჩემდა.

6. ჰრქუა მას ღმერთმან: მეცა უწყი, რამეთუ გულითა წრფელითა ჰყავ ეგე, და შეგიწყალე შენ, რაჲთა არა სცოდო წინაშე ჩემსა შეხებითა მაგის დედაკაცისაჲთა.

7. აწ მიეც დედაკაცი ეგე ქმარსავე თვისსა, რამეთუ კაცი ეგე წინაჲსწარმეტყუელი არს. უკუეთუ დააყენო, უწყოდე, რამეთუ მოისპო და ყოველივე, რაჲცა არს სახლსა შენსა.

8. და აღმსთო განთიად აბიშელიქ მეფემან და მოუწოდა მონათა თვისთა და ეტყოდა ყოველთა მათ სიტყუათა: შეეშინა ყოველთა ფრიად და დამდაბლდეს წინაშე უფლისა ღმრთისა.

9. მოუწოდა აბიშელიქ აბრაჰამს და ჰრქუა მას: რაჲ ესე საქმეჲ ჰქმენ ჩუენ ზედა? ნუმეცა შე-რაჲ-გცოდეთ შენ, რამეთუ მოავლინე ჩემ ზედა და მეფობასა [v] ჩემსა ცოდვად დიდდალი? და საქმეჲ ესე, რომელ არავის უქმნიეს, მაქმენ ჩუენ.

10. და ჰრქუა აბიშელიქ აბრაჰამს: მარქუ მე, რაჲ ესე ჰყავ?

11. მიუგო აბრაჰამ და ჰრქუა: იქვთ ვეჰუდი გულსა შინა ჩემსა, ვითარმედ სოფელი ესე წარმართთაჲ არს, მე მომკლან და ცოლი ჩემი წარიყვანონ.

12. ხოლო გულითა დადცა ჩემდა არს მამოთ და არა დედიოთ, ხოლო აწ ცოლად ჩემდა არს.

13. და იყო, რაჲჲამს გამომიყვანა მე ღმერთმან სახლისაჲან მამრისა ჩემისა, ვარქუ დედაკაცსა ამაჲს, ვითარმედ: ესე რაჲმე სიმარჯულს დაიმარხე ჩემთვის: ყოველსა ადგილსა, რომელსაცა შევიდეთ, მუნ თქუ, [ვითარმედ: ძმაჲ არს] ჩემი, რაჲთა არა ქმნულეთილობასა მაგას შენსა გხედვიდენ და მე მომკლან.

14. და ვითარცა ესმა ესე აბიშელიქს, მოილო მან ათასი სატირი მრჩობლი ვეცხლი, ცხოვარი და ზროხაჲ. მონები და მკველელები ფრიად, და აღაგო დედაკაცი იგი და მისცა აბრაჰამს, ქმარსა თვისსა.

15. და ჰრქუა აბიშელიქ მეფემან აბრაჰამს: აჲა ესერა ქუეყანაჲ ესე ჩემი შენ წინაშე არს: სადაცა გნებავს, დაეშმენე.

16. და სარას ჰრქუა: აჲა ესერა ათასი სატირი ვეცხლი მრჩობლი მიმიცემიეს ქმარსა შენსა: იგი იყვენ შენდა პატრო პირსა მაგას შენსა, რამეთუ თუალთა ჩემთა უნდა შენი და სხუაჲცა, რაჲ-იგი იყოს შენი, მიმიცემიეს მათ, რომელნი შენ თანა არიან. ამიერიოგან მართლის მეტყუელ იყავ, აბრაჰამ.

17. და ილოცა აბრაჰამ ღმრთისა მიმართ და განკურნა ღმერთმან აბიშელიქ და და ცოლი აბიშელიქისი და მონანი და მკველნი მისნი, და მაშინ შობად იწყეს.

18. რამეთუ დაყენებულ იყო ყოველი მამაკაცი წესისაგან თვისისა და დაყენებულ იყო ყოველივე საშოა დედათა მათთაჲ და ყოველსა მას სახლსა აბიშელქისისა სარაჲსთვს, ცოლისა აბრაჰამისა.

თ ა ვ ი 21

1. და უფალმან ღმერთმან მოიძია სარა, [22] ვითარცა-იგი ეტყოდა; ყო უფალმან ღმერთმან სარაჲსთვს, ვითარცა-იგი აღუთქუა.

2. და მიუდგა სარა და უშვა აბრაჰამს ძმ სიბერისა დღეთა ეჲმსა მას, რომელსა ეტყოდა უფალი ღმერთი.

3. და უწოდა აბრაჰამ სახელი ძესა თვისსა ისაკ.

4. და მოიქუა აბრაჰამ ძმ იგი თვისი ისაკი დღესა მერვესა და წინადსცვთა მას, ვითარცა ამცნო მას უფალმან ღმერთმან.

5. და აბრაჰამ იყო ას წლის, რაჲმს ესუა ისაკი.

6. და თქუა სარა: ნანდვლ საცინელ მყო მე ღმერთმან, რამეთუ ვიცა ესმეს, უხაროდის და მეცინოდის მე.

7. და მრქუას, ვითარმედ: ვინ უთხრას აბრაჰამს, ვითარმედ ვშევძმ სიბერესა ჩემსა, და ყრმაჲ იყოს მკერდსა ჩემსა?

8. აღორძინდა ყრმაჲ იგი, და ყო აბრაჰამ ტაძრობაჲ დიდი დღესა მას, რომელსა განეყენა ძმ თვისი ისაკი ძუძუსა.

თ ა ვ ი 22

1. [198] და იყო. შემდგომად სიტყუათა ამათ [v] გამოცადა ღმერთმან აბრაჰამ და ჰრქუა მას: აბრაჰამ, აბრაჰამ. და თქუა აბრაჰამ: აჲ ვარ, უფალო.

2. და ჰრქუა მას: წარმოიყვანე ძმ ეგე შენი საყუარელი ისაკი და წარმოვედ შენ ქუეყანასა ერთსა მაღალსა და მუნ შეწირე მსხუერპლად ზედა მთასა ერთსა, რომელსა გრქუა შენ.

3. აღდგა აბრაჰამ განთიად და დაასხნა კარაულსა თვისსა და წარიყვანა მის თანა ორნი მონანი და ისაკ, ძმ თვისი; და დაკოდა შეშაჲ მ'ხუერპლისა მისთვს, აღდგა და წარვიდა ადგილსა მას, რომელსა ჰრქუა ღმერთმან.

4. აღიხილნა აბრაჰამ თუალნი თვისნი და აჲ იხილა ადგილი იგი შორით.

5. და ჰრქუა აბრაჰამ მონათა თვისთა: დასხედით თქუენ აჲ კარაულთა თანა, მე და ყრმაჲ ესე მივიდეთ ადგილსა ერთსა, თაყუანის-ვსცეთ უფალსა და მოვიდეთ თქუენდავე.

6. და წარილო აბრაჰამ შეშაჲ იგი მსხუერპლისაჲ მის და აჲკიდა

ისაკს, ძესა თვსსა. და წარილო კელითა თვსითა ცეცხლი და მახვლი. და წარვიდეს ორნივე ერთად.

7. ჰრქუა ისაკ მამასა თვსსა: მამაო, ხოლო მან ჰრქუა: რაჲ არს, შვილო? და მან ჰრქუა: აჰა ცეცხლი და შეშაჲ; სადა არს ცხოვარი მსხუერპლად?

8. ჰრქუა მას აბრაჰამ: ღმერთმან იხილოს თავისა თვსისა ცხოვარი მსხუერპლად, შვილო.

9. და წარიდეს ორნივე ადგილსა მას, რომელსა ჰრქუა ღმერთმან. და აღაშენა მუნ აბრაჰამ საკურთხეველი უფლისაჲ და დაასხა შეშაჲ და შეკრა ისაკი, ძმ თვსი, და დაღვა საკურთხეველსა ზედა კერძო შეშასა მას.

10. და მიყო კელი მისი მოღებად მახვლისა და დაკლვად ძისა თვსისა.

11. და ეტყოდა მას ანგელოზი ღმრთისაჲ ზეცით და ჰრქუა: [199] აბრაჰამ, აბრაჰამ. ხოლო მან ჰრქუა: აჰა ვარ, უფალო.

12. და ჰრქუა: ნუ მიჰყოფ კელსა შენსა ყრმისა მაგის ზედა, ნუცა ავნებ რას. აწ უწყი, რამეთუ გეშინის ღმრთისა, სადა არა ჰრიდე ძესა მაგას საყუარელსა შენსა ჩემთვის.

13. და აღიხილნა აბრაჰამ თუალნი თვსნი, იხილა: და აჰა ესერა ვერძი ერთი დამოკიდებულ იყო რქითა ნერგსა საბეკსა. და მივიდა აბრაჰამ და მოიბა ვერძი იგი და შეწირა მსხუერპლად ისაკის წილ, ძისა თვსისა.

14. და უწოდა აბრაჰამ [სახელი ადგილსა მას] უფალი იხილა, რამეთუ ჰრქვან ღღეს მთასა მას უფალი გამოჩნდა.

15. და უწოდა აბრაჰამს ანგელოზი უფლისაჲ ზეცით მეორედ და ჰრქუა:

16. თავსა ჩემსა ვფუცავ, იტყვს უფალი, ვინაჲთვან ჰყავ ესე და არა ჰრიდე ძესა შენსა საყუარელსა ჩემთვის,

17. კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განვამრავლო ნათესავი შენი ვითარცა ვარსკულაენი ცისანი და ვითარცა ქვშაჲ ზღვს კიდისაჲ; და დაიმკდროს ნათესავმან შენმან ქალაქები მტერთა შენთაჲ;

18. და იკურთხოდიან ნათესავისა შენისა მიმართ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი.

19. მიაქცია აბრაჰამ და მივიდა მონათა თვსთა თანა. აღდგეს და წარიდეს ერთად და დაეშენა აბრაჰამ ჭურღმულსა მას ფიცისასა.

თ ა ვ ი 24

2. [22] და იყო, შემდგომად მათ ღღეთა სიტყუად იწყო აბრაჰამ მონათ-უხუცესსა მას მისსა, რომელ-იგი იყო კელმწიფც ყოველსა ზე-და სახლსა მისსა, და ჰრქუა მას: მოყავ ჩემდა კელი შენი და დამდევე წყვილთა ჩემთა.

3. და მეფუცე უფალსა ღმერთსა ცისა და ქუეყანისასა, რაჲთა არა მოჰგუარო შენ ცოლი ძესა ჩემსა ისაკს ასულთაგან ქანანელთაჲსა, რომელთა თანა-ესე მე დაშმენებულ ვარ.

4. არამედ მიხვდე შენ ქუეყანასა მას მკვდრობისა ჩემისასა, ვინაჲ-იგი მე გამოსრულ ვარ, და მიხვდე შენ ნათესავისა მის ტომისა ჩემისა და მოჰგუარო შენ ისაკს, ძესა ჩემსა, ცოლი.

5. და ჰრქუა მას ეზოჲს-მოდღუარმან მან: უფალო, ყოვლითა[v]ვე უწყებულ ვარ, რაჲცა მიბრძანო, ხოლო ესე განვიგულო და მივიდე ბრძანებითა შენითა და დედაკაცსა მას თუ არა უნდეს მოსვლად ჩემ-და ჩემ თანა ქუეყანასა ამას, მე მივაქცევდე ძესა მაგას შენსა ქუეყა-ნასა მას, ვინაჲ-იგი შენ გამოსრულ ხარ?

6. ჰრქუა მას აბრაჰამ: ეკრძაღე თავსა შენსა, ნუ მიაქცევ ძესა ჩემსა.

7. და არა სთნდეს უფალსა ღმერთსა ცათა და ქუეყანისასა, რომელმან გამოძიყვანა მე სახლისაგან მამისა ჩემისა, ქუეყანისა მისგან მკვდრობისა ჩემისა: და მეფუცა მე და მრქუა: შენ მიგცე ქუეყანაჲ ესე და ნათესავსა შენსა. არამედ მანვე თავადმან უფალმან წარგიძ-ღუანოს ანგელოზი თვისი წინაშე შენსა და წარგიმართნეს გზანი შენ-ნი, და მოჰგუარე შენ ცოლი ძესა ჩემსა ისაკს.

8. და უკუეთუ არა ინებოს მან დედაკაცმან მოსვლად კუალსა შენ-სა ქუეყანასა ამას, უბრალო იყო შენ ფიცისა ამისგან, გარნა ყრმაჲ ესე ჩემი ნუ მიგყავნ მუნ.

9. და დასდვა კელი თვისი ეზოჲს-მოდღუარმან მან წყვილთა ზედა უფლისა თვისისათა და ეფუცა იგი ამის სიტყუსათვს.

10. და მოიბნა ათნი აქლემნი სააქლემოთ უფლისა თვისისაჲთ და ყოვლისაგან ფასისა წარიღო მის თანა; და აღდგა და წარვიდა მდინა-რეთა შუვა, ასურეთა ქალაქად ნაქორისა.

11. და მოიბნა ადგილსა ერთსა და დააწვივნა აქლემნი მისნი გარეშე ქალაქსა მას წინაშე გუამსა ერთსა წყლისასა მიმწუხრი, მას ეამსა ოდენ, რომელსა მერწყული გამოუტყვიან მიერ ქალაქით.

12. იწყო ზმნად და აღთქუმაღ გულსა შინა თვისსა, ილოცვიდა

ღმერთისა მიმართ და თქუა: უფალო ღმერთო უფლისა ჩემისა აბრაჰამისო, წარ-ძი-თუ-მიმართო დღეს გზაჲ ესე ჩემი და ჰყო წყალობაჲ უფლისა ჩემისა თანა.

13. და აწ მოწვეწულ ვარ მე და ვდგა [23] მე წყალსა ამას თანა და ქალსახლისეები ამის ქალაქისაჲ გამოვიდენ და მოვიდენ მერწყულეთა თანა ამის ქალაქისათა.

14. და იყოს ქალწული ერთი, ვჰრქუა ამათგანსა ერთსა, ვითარმედ: მოდრიკე სარწყული ეგე და მასუ, და მრქუეს მე მუნთქუესევე: სუ შენცა და აქლემნიცა შენნი ვარწყულნე მიგაძლომადმდე, უწყოდე, ვითარმედ იგი განგემზადებდეს მონისა შენისა ისაქისთვის, და მით გულისხმა-ვეო, რამეთუ ჰყავ წყალობაჲ უფლისა ჩემისა აბრაჰამისთვის.

15. ესე სიტყუანი იყვენს-ლა პირსა მისსა, მუნთქუესევე მოვიდოდა რებეკა, ასული ბათოეელისი, ძის წული მელქაჲსი, ცოლისა ნაქორისი, აბრაჰამის ძმისაჲ.

16. და იყო იგი შუენიერ პირითა ფრიად. ქალწული იყო, არა იყო-და მამაკაცი. მოვიდა და მოიწია წყაროდ და აღავსო სარწყული იგი თვისი.

17. მიეგებვოდა ეზოჲს-მოძღუარი იგი აბრაჰამისი და ჰრქუა მას: მასუ მე წყალი ეგე მცირედ.

18. და ჰრქუა ქალმან მან: სუი(!), უფალო, და აქლემთაცა მაგათ ვასუა. და იწრაფა მუნთქუესევე და გარდამოიღო სარწყული იგი თვისი და ასუა მას !.

20. და წარაქცია ლავნი იგი ავაზანსა და იწყო აღმოღებად წყლისა მის და ასუა აქლემთა ყოველთა.

21. და კაცი ესე ხედვიდა და უკვრდა პირველად ქმნულებაჲ იგი ქალისაჲ მის და მერმე სიტყუაჲ იგი, რომელი იზმნა, და განიზრახვიდა გულსა თვისსა და გულს ეტყოდა, ვითარმედ: წარ-მე-უმართებდესა ღმერთსა გზაჲ იგი მისი ანუ არა?

22. და იყო, რაჲემს განძღეს აქლემნი იგი, მოვიდა მუნთქუესევე ოდენ ეზოჲს-მოძღუარი იგი და განჯნა ფასსა მას თვისსა და აღმოიხუნა საყურნი ოქრომანნი, რამეთუ იყო სასწორი მათი თითო სატირის მრჩობლის. და მოიხუნა სავლტენი ათისა ლიტრისანი [V] და შეასხნა ჳელთა მისთა.

23. მაშინ კითხვად იწყო და ჰრქუა: ვისი შვილი ხარ? იყოს-მეა ადგილი სავანედ სახლსა შენსა?

24. და მან ჰრქუა მას: ასული ბათოეელისი ვარი მე მელქაჲსი, რომელი ესუა ნაქორს, ძმასა აბრაჰამისსა.

25. და საკმელი კაპრულთათვის ჩუენსა სახლსა ფრიად არს და ადგილიცა ფართო არს სადგურად.

26. და სთნა კაცსა მას გულსა შინა თვისსა და დადრკა და თაყუანის-სცა უფალსა ღმერთსა და თქუა:

27. კურთხეულ არს უფალი ღმერთი უფლისა ჩემისა აბრაჰამისი, რომელმან არა ცუდად ყო სიმართლჳ მისი და ჳეშმარიტებაჲ და მე წარმიმართა სახლსა ძმისა უფლისა ჩემისასა.

28. და წარბიოდა ქალი იგი და უთხრა სიტყუაჲ იგი, რასა ეტყოდა კაცი იგი სახლსა დედისა თვისისასა.

29. და რებეკას ესუა ძმად ერთი, სახელი ერქუა ლაბან.

30. საყურნიდა და საველტენი ესხნეს და სიტყუაჲ იგი ესმოდა, რასა-იგი დაჲ მრია ეტყოდა რებეკა, რამეთუ იტყოდა: ესრე მეტყოდა მე. აჰა კაცი იგი მირბიოდა წყაროსა მას თვთ შემთხუევაჲ და სიტყუად, ვინ-ძი რად არს კაცი იგი, ანუ რასა იტყუს. და ვითარცა მივიდა ლაბან წყაროსა მას, იხილა კაცი იგი, რამეთუ გარდაეკადა და ზედა აღვა აქლემთა მათ ავაზანთა მათ ზედა წყალთაჲსა.

31. და ჰრქუა მას: წარმოგულე შინა. მე მოვედ შენთვის, კურთხეულო ღმრთისათ! რასა სდგა გარე? სახლი შენთვის განმიმზადებდეს და აქლემთათვის სადგური.

32. და შე-რად-ვიდა ეზოჲს-მოძღუარი იგი აბრაჰამისი ტაძართა მათ ლაბანისთა, გარდაჰკადა აქლემთა მათ და დაუგეს ბზჳ და საკმელი და წყალი დაბანად ფერკთა მისთა და დაბანად ფერკთა მისთანათა მათ ყრმათა.

33. და დაუდგეს მათ ტაბლაჲ და ზე-აღდგა [24] ეზოჲს-მოძღუარი იგი და ჰრქუა მათ: არა წეს არს ჩემდა პირველად ზურისა კელისა მიყოფად, ვიდრე არა ვიტყოდი სიტყუათა, რომელ მისხენ გულსა ჩემსა. და ჰრქუეს: იტყოდე მდუმრიად.

34. სიტყუად იწყო მან და თქუა: მონად ვარი მე აბრაჰამისი.

35. და უფალმან ღმერთმან აკურთხა უფალი ჩემი ფრიად და სცა მას საცხოვარი ძრიელად: ცხოვარი და ზროხაჲ, ოქროჲ და ვეცხლი, მონები და მკეველები და აქლემები.

36. და უშვა სარა, ცოლმან მისმან, უფალსა ჩემსა ძჳ ერთი სიბერესა მისსა და მას ყრმასა მისცა ყოველივე, რადცა იყო მისი.

37. და მე მაფუცა და მრქუა: ხუსადა მოჰგუარო შენ ცოლი ძესა ჩემსა ასულთაგან ქანანელთაჲსა, რომელთა შორის მე დაშჳნებულ ვარ მსხემობით ქუეყანასა მას მათსა.

38. არამედ აღსდგე და მიხვდე სახლსა მამისა ჩემისასა და მოჰგუარო შენ ცოლი ძესა ჩემსა ისაქს¹.

49. არამედ ჭერ-თუ-გიჩნდეს თქვენ სიმართლით უფლისა მიმართ ჩემისა, მარქუთ მე; უკუეთუ სხუად რაიმე იყოს, იგიცა მათუწყეთ მე; რაათა მივიტყე ანუ მარჯულ ანუ მარცხლ.

50. მიუგეს ლაბან და ბათოველ და ჰრქუეს მას: უფლისა მიერ გამოვიდა ბრძანებაჲ ესე და ჩუენ ვერაჲ კელ-გუეწითების მიგებად შენ-და სიტყუად ფიცხელი კეთილისა გარეშე.

51. აჰა ესერა არს რებეკა წინაშე შენსა; წარვედ და წარიყვანე, და ეყავნ ეგე ცოლად ძესა მას უფლისა შენისასა.

52. და ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ეზოჲს-მოძღუარსა მას აბრაჰამისსა,

53. აღალო საფასეთა თვსთა და მოილო ოქროჲ და ვეცხლი პატიოსანი და მისცა რებეკას და ძღუენი მიუძღუნა ძმასა მისსა და ღედასა.

54. ჭამდეს და სუმიდეს მათ თანა ყოველნი, რომელნი იყვნეს, და განისუენეს მას ღამესა. და დილეულ აღ-რაჲ-დგეს, ჰრქუა მათ... [v] და წარვიდე უფლისა ჩემისა და ნუ დამაყენებთ².

59. ხოლო მათ წარგზავნეს რებეკა, დაჲ იგი მათი, ფასითურთ თვსით და ეზოჲს-მოძღუარი იგი და მონა-მკეველნი მისნი.

60. და აკურთხეს რებეკა, დაჲ მათი, და ჰრქუეს მას: დაჲ ეგე ჩუენი იყავნ ნათესავებად და ბევრებად და დაიმკვდრენ ნათესავმან შენ-მან ქალაქები მტერთა შენთაჲ.

61. აღდგა რებეკა და შიმუნვარნი მისნი და დასხნეს აქლემებსა და წარვიდენ მის კაცისა თანა. და წარიყვანა ეზოჲს-მოძღუარმან მან რებეკა, და წარვიდეს.

62. და ისაჲ გამოსრულ იყო განცხრომად მიმწუხრი მახლობელად გუამსა წყლისასა, რამეთუ იგი დაშმწნებულ იყო მზის აღმოსავალით კერძო.

63. თუალნი აღიხილნა და იხილნა აქლემნი მომავალნი.

64. მიიხილა რებეკა და იხილა ისაჲკი და გარდამოკდა აღრიად აქლემისაგან.

65. და ჰრქუა ეზოჲს-მოძღუარსა მას: ვინ არს ისი კაცი, რომელი ვალს ველსა ზედა? ხოლო მან ჰრქუა: ესე არს უფალი ჩემი. და მან მოილო მუნთქუეს-ოდენ ბიალონი და დაიბურა.

50. გარეშე.

¹ აკლია 39—48 მუხლები-ს ტექსტი.

² აკლია 55—58 მუხლების ტექსტი.

66. და ეტყოდა ეზოჲს-მოძღუარი იგი ყოველთა მათ სიტყუათა, რაჲცა-იგი იყო.

67. მოვიდა ისაჲ და შევიდა იგი სახლსა სარაჲსსა, დედისა თვისისა-სა, და შეირთო ცოლი თვისი რებეკა; და იყო იგი მისა ცოლად, და შეიყუარა იგი.

თ ა ვ ი 25

11. [39] და იყო, შემდგომად სიკუდილისა აბრაჰამისა აკურთხა ღმერთმან ისაჲ, იმ მისი. და დაემკვდრა ისაჲ ჭურღმულსა მას ზედა ფიცისასა...

19. და ესე შობანი არიან ისაჲისნი, ძისა აბრაჰამისნი: აბრაჰამ შვა ისაჲ.

20. და იყო ისაჲ ორმეოც წლის, ოდეს მოიყვანა შინა რებეკა, ასული ბათოელისი ასურისაჲ შუამდინარით, დაჲ ლაბანისი, ცოლად მისა.

21. და ევედრებოდა ისაჲ უფალსა ცოლისა მისისა რებეკაჲსთვის, რამეთუ იყო იგი ბერწ. და შეისმინა მისი ღმერთმან და მუცლად-ილო რებეკა, ცოლმან მისმან.

22. და იმღერდეს ყრმანი მუცელსა მისსა, და თქუა: უკუეთუ ეს-რჳთ ყოფად არს ჩემდა, რაჲსათვის-მე ესე ჩემდა? და წარვიდა იგი კი-თხვად უფლისა მიერ.

23. და ჰრქუა მას უფალმან: აჰა ეგერა ორი ნათესავი არს მუცელსა შენსა, და ორნი ძენი მუცლისა შენისაგან იყვენენ, და უხუცჳსი [v] ჰმონებდეს მრწემსა მას.

24. და აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი, და იყვენეს მარჩბივ-ნი მუცელსა მისსა.

25. და გამოვიდა პირმშოჲ იგი მწითური ყოვლად და ფაჩუნიერ ვითარცა ტყავი. და დასდვა მას სახელი ესაჲ.

26. და მისა შემდგომად გამოვიდა ძმაჲ მისი და კელი მისი მო-ხუეულ იყო ბრკალსა ესაჲისსა. და უწოდა სახელი მისი იაკობ. ისაჲ იყო სამეოც წლის, რომელსა ჟამსა შენა ესენი რებეკა.

27. და აღორძნდეს ყრმანი ესე. და იყო ესაჲ კაცი მეცნიერ ნადი-რობად, მეველჳ, ხოლო იაკობ კაცი უმანყოჲ, მყოფი სახლსა შინა.

28. და უყუარდა მამასა მათსა ესაჲ, რამეთუ ნადირი მისი იყო საჰმლად მისა. ხოლო რებეკას უყუარდა იაკობ.

29. და შეგბოლა იაკობ გბოლვილი. და მოვიდა ესაჲ, ძმაჲ მისი, ველით დამაშურალი.

30. და ჰრქუა ესაჲ იაკობს: მაჩუენე მე გემოჲ მგბარისა მაგისგან იფქლისა, რამეთუ მოუძრულდი. ამისთვის ეწოდა სახელი მისი ეღომ.

31. ჰრქუა იაკობ ესავს: მომეც მე დღეს პირმშობეა შენი.
 32. ჰრქუა მას ესაე: აწ ესერა მე მივახ აღსრულებად და რაჲ-ლა სარ-გებელ არს პირმშობეა ესე ჩემი?
 33. ჰრქუა მას იაკობ: მეფუცე მე დღეს. და ეფუცა მას და მისცა პირმშობეა თვისი იაკობს.
 34. ხოლო იაკობ სცა ესავს პური და მგბარი ოსპნისაჲ. ქამა და სუა; აღდგა და წარვიდა, და განაქარვა პირმშობეა თვისი.

თ ა ვ ი 26

1. და იყო სიყმილი ქუეყანასა მას თვნიერ მის სიყმილისა, რომელი-იგი იყო დღეთა აბრაჰამისთა. და მივიდა ისაჲ აბიმელიქისა, მეფისა ფილისტიმელთაჲსა, გერარად.
 2. და ეჩუენა მას ღმერთი და ჰრქუა: ნუ შთახუალ ეგვპტედ და დაემკვდრე ქუეყანასა მას, რომელსაცა გრქუა შენ.
 3. და მწირობდ მას ზედა და ვიყო მე შენ თანა და გაეურთხო შენ, რამეთუ შენ და ნათესავსა შენსა მივსცე ესე ყოველი [40] და დავამტყიცო აღთქუმაჲ ჩემი და ფიცი ჩემი, რომელი ვეფუცე აბრაჰამს, მამასა შენსა.
 4. და განვამრავლო ნათესავი შენი ვითარცა ვარსკულავნი ცისანი, და მიგცე შენ და ნათესავსა შენსა ყოველი ესე ქუეყანაჲ და იეურთხოვდიან ნათესავისა შენისა მიმართ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი,
 5. ამისთვის რამეთუ ერჩდა მამაჲ შენი კჰასა ჩემსა და დაიმარხნა მცნებანი ჩემნი და შჯული ჩემი და ბრძანებანი ჩემნი.
 6. და დაეშვნა ისაჲ გერარეთს.
 7. და ჰკითხეს კაცთა მის ადგილისათა რებეკაჲსთვის, ცოლისა მისისა, და თქუა: „დაჲ ჩემი არს“. რამეთუ შეეშინა თქუმაჲდ, ვითარმედ: „ცოლი ჩემი არს“, ნუჟუე ვითარმცა მოკლეს იგი მათ რებეკაჲს გამო, ცოლისა მისისა, რამეთუ შუენიერ იყო იგი პირითა.
 8. და იყო იგი მრავალ ჟამ მუნ. შთახედა აბიმელიქ, მეფემან გერალელთამან და იხილა ისაჲ, იმღერდა რაჲ რებეკაჲს თანა, ცოლისა თვისისა.
 9. მოუწოდა აბიმელიქ ისაკს და ჰრქუა მას: ცოლი სამე შენი იყო და რად სთქუ, ვითარმედ: დაჲ ჩემი არსო? ჰრქუა ისაჲ: ვთქუ, ნუჟუე მოგვუედ-მცა შაგის გამო.
 10. და ჰრქუა მას აბიმელიქ: რაჲ ესე მიყავ ჩუენ? მცირედლა და შე-მცა-ებო ვინმე მას ნათესავისა ჩემისაგან და მომჟადე ჩუენ ზედა უმეცრებაჲ.
 11. და უბრძანა აბიმელიქ ყოველსა მას ერსა თჳსსა: ყოველი, რო-

მელი შეეხოს კაცსა ამას და ცოლსა მისსა, სიკუდილისა თანა-მღებ იყოს.

12. და სთესა ისაკ ქუეყანასა მას, და იყო მას წელსა ასეული იფქ-ლისაჲ. და აკურთხა ღმერთმან ისაკი.

13. და განდიდნა კაცი იგი, ვიდოდა და უფროჲს იქმნებოდა, ვიდრე დიდ იქმნა ფრიად.

14. და იყო მისა სამწყსოჲ ზროხათაჲ და ცხოვართაჲ და ქუეყანისა საქმენი ფრიად. და ეშურებოდეს ფილისტიმელნი იგი.

15. და ყოველი ჯურღმულები, რომელი თხარეს მონათა მამისა მისისა აბრაჰამისთა დღეთა მისთა, დაყვეს იგი ფილის[v]ტიმელთა მათ და აღავსეს მიწითა.

16. და ჰრქუა აბიმელიქ ისაკს: განვედ ჩემგან, რამეთუ უძრიელჳს ჩემსა იქმენ ფრიად.

17. და წარვიდა მიერ ისაკ და დაივანა კევსა მას გერარისასა და დაეშენა მუნ.

18. და მერმე თხარა ისაკ ჯურღმულები წყალთაჲ, რომელი თხარეს მონათა მამისა მისისათა და დაყვეს იგი ფილისტიმელთა მათ შემდგომად სიკუდილისა მამისა მისისა. და დასდვა მათ სახელები, რაჲცა-იგი დაედვა მამასა მისსა.

19. და თხარეს მონათა ისაკისთა ჯურღმულები კევსა მას გერარისასა და პოვეს მუნ ჯურღმული წყლისა ცხოველისაჲ.

20. და ჰლაღვიდეს მწყემსნი იგი გერალელთანი მწყემსთა ისაკისთა და ეტყოდეს, ვითარმედ: ჩუენი არს წყალი ესე. და უწოდა სახელი მისი ვნებაჲ, რამეთუ ავნეს მას.

21. და წარმოვიდა მიერ და თხარა ჯურღმული სხუაჲ. და ეშჯოდეს იგინი მისთვისცა, და დასდვა მას სახელი მისი მტერობა.

22. და წარმოვიდა მიერცა და თხარა ჯურღმული სხუაჲ, და არა ჰლაღვიდეს მისთვის. და დასდვა სახელი მისი ფართოება და თქუა: რამეთუ აწ განგვფართა ჩუენ უფალმან და აღგუაროძინნა ჩუენ ქუეყანასა.

23. და აღმოვიდა მიერ ჯურღმულსა მას ფიცისასა.

24. და ეჩუენა მას ღმერთი და ჰრქუა: მე ვარ უფალი ღმერთი მამისა შენისა აბრაჰამისი. ნუ გეშინინ, რამეთუ მე შენ თანა ვარ. გაკურთხო შენ და გახვამრავლო ნათესავი შენი აბრაჰამისთვის, მამისა შენიასა.

25. და აღაშენა მუნ საკურთხეველი და ხადა მუნ სახელსა უფლისასა.

თ ა ვ ი 27

1. [98v] და იყო, რაჟამს დაბერდა ისაჲ და დაუბრყვლდეს თუალნი მისნი და ვერ ხედვიდა, მოუწოდა ისაჲ ძესა თვისსა ესავეს უზუცქსსა და ჰრქუა მას: შვილო ჩემო ესა[ვ]. და ჰრქუა ესავე: აჰა ესე ვარ, უფალო.

2. და ჰრქუა მას ისაჲ: მე ესერა დაებერდი და არა უწყი ღღჳ იგი აღსრულებისა ჩემისაჲ.

3. აწ აღიღე აბჯარი შენი, მშვლდი და კაბარჭი შენი და განვედ ველად და ინადირე ნადირი,

4. და მომართუ და მიქმენ ჰამადი, რაჲთა ვჰამო და განვძღე, და გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან, ვიდრე-ესე ცოცხალდა ვარ და არა ძოძკუდარ.

5. ესმოდა ესე რებეკას, ეტყოდა რაჲ ისაჲ ძესა თვისსა ესავეს. და განვიდა ესავე ნადირობად მამისა თვისისათვის.

6. რებეკა მოუწოდა ძესა თვისსა იაკობს და ჰრქუა მას: მესმოდა სე მამისა შენისაჲ, ეტყოდა რაჲ ესავეს, ძმასა შენსა, და ჰრქუა მას:

7. მომართუ მე ნადირი და მიქმენ მე ჰამადი. ვჰამო და გაკურთხო შენ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა, ვიდრე-ესე ცოცხალდა ვარ და არა მოძკუდარ.

8. აწ, შვილო ჩემო, ისმინე ჩემი, ვითარცა მე გრქუა შენ:

9. მივედ არვესა მამისა შენისასა და მომგუარენ მე ორნი თიქანნი ჩჩვლნი და პოხილნი [99] და შეუქმნენ იგინი ჰამადებად მამასა შენსა, ვითარცა უყუარს მას.

10. მიუბყარ მამასა შენსა, ჰამოს და გაკურთხოს შენ მამამან შენმან, ვიდრე ცოცხალდა არს და არა მოძკუდარ. ჰრქუა იაკობ: ძმად ჩემი არს კაცი მატყიერი, ხოლო მე წყლტუ ვარ¹.

12. ნუუკუე მრევდეს მამად ჩემი და ვიბოო მე წინაშე მამისა ჩემისა ვითარცა შეურაცხის-ყოფელი ერთი და მოვილო მამისა ჩემისაგან წყევად და არა კურთხევად.

13. ჰრქუა მას ღედამან მისმან: ჩემ ზედა იყავნ წყევად იგი, შვილო; გარნა შენ ისმინე ჩემი და წარვედ და მომართუ, რასა-ესე გთხოვ შენ.

14. წარვიდა იაკობ სამწყსოსა მამისა თვისისასა და მოართუა ღედასა თვისსა. და შეუქმნა ღედამან მისმან საჰმელი, ვითარცა უყუარდა მამასა მისსა.

15. და მოილო რებეკა სამოსელი ძისა თვისისა ესავესი, კე[თილი], რომელი ედვა მის თანა სახლსა შინა, და შეჰმოსა იგი იაკობს, ძესა თვისსა.

¹ აქლია მე-10 მუხლის ტექსტი.

16. და ტყავნი იგი თიკანთანი მოხვნა მკლავთა მისთა და შიშუელსა ქედსა მისსა.

17. და მისცა საჭმელი და პური კელთა იაკობისთა.

18. და შეართუა იგი მამასა თვსსა და ჰრქუა: მამაო. და მან ჰრქუა: აჲ ვარ. შენ ვინ ხარ, შვილო?

19. და თქუა იაკობ: მე ვარ ესავ, პირმშოა ძმ შენი: ვყავ, ვითარცა მეტყოდე მე. აღდგე და ჭამე ნადირისაგან ჩემისა, რადთა მაკურთხოს მე სულმან შენმან.

20. ჰრქუა ისაჲ ძესა თვსსა: რაჲ არს, რამეთუ აღრე ჰპოვე, შვილო? და ჰრქუა: რამეთუ მომცა მე უფალმან ღმერთმან წინაშე ჩემსა.

21. ჰრქუა ისაჲ იაკობს: მომეახლე და კელი შეგახო შენ, შვილო, უკუეთუ შენ ხარ ძმ ჩემი ესავ, ანუ არა.

22. და მიეახლა იაკობ მამასა თვსსა და კელი შეახო და თქუა: კმაჲ ესე კმაჲ იაკობისი, ხოლო კელნი ესე კელნი ესავისნი.

23. და ვერ იცნა იგი, რამეთუ იყვნეს კელნი მისნი ვითარცა კელნი ესავისნი ფაჩუნიერ. და აკურთხა იგი.

24. და ჰრქუა: შენ ხარ ძმ ჩემი ესავ? [v] და თქუა: მე ვარ.

25. და ჰრქუა: მომართუ ნადირებულისა შენისაჲ, რადთა გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან. და მოართუა მას, და ჭამა. და შემოართუა ღვნოჲ და სუა.

26. და ჰრქუა მას ისაჲ: მომეახლე მე და ამბორს-გიყო შენ, შვილო.

27. და მიეახლა მას და ამბორს-უყო. და ეცა სულნელებად სამოსლისა მისისაჲ, აკურთხა იგი და თქუა: აჲ ესერა სულნელებად ძისა ჩემისაჲ, ვითარცა სულნელებად აგარაკისა სავისისაჲ, რომელი აკურთხა უფალმან.

28. და მოგეცინ შენ უფალმან ცუარისაგან ზეცისა და სიპოხისაგან ქუეყანისა და სიმრავლმ იფქლისა და ღვნისაჲ.

29. და გმონებდენ შენ თესლნი და თაყუანის-გცემდენ შენ მთავარნი; და იყავ შენ უფალ ძმისა შენისა ზედა და თაყუანის-გცემდენ შენ ძენი მამისა შენისანი; მწყევარნი შენნი წყეულ იყვნენ და მაკურთხეველნი შენნი კურთხეულ იყვნენ!

30. და იყო, ვითარცა დასცხრა ისაჲ კურთხევისა მისგან იაკობისა, გამოვიდა იაკობ პირისაგან მამისა თვისისა, და ესავ, ძმაჲ მისი, ნადირობით მოვიდა ნადირითურთ.

31. და უქმნა მანცა საჭმელი მამასა თვსსა, მოვიდა და ჰრქუა მას: აღდგინ მამაჲ ჩემი და ჭამენ ნადირისაგან ძისა თვისისა, რადთა მაკურთხოს მე სულმან შენმან.

32. და ჰრქუა ისაჲ, მამამან მისმან: ვინ ხარ შენ? ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ ძმ შენი პირმშოა ესავ.

33. განუკრდა ისაკს განკვრეებითა დიდითა და თქუა: და ვინ იყო, რომელმან მინადირა მე ნადირი და შემომართუა და კვამე ყოვლისა მისგან ვიდრე მოსლვადმდე შენდა, და ვაკურობე იგი და იყავნ კურთხეულ?

34. და იყო, ვითარცა ესმნეს ესავს სიტყუანი ესე ისაკისგან, მამისა თვისისა, ლალად-ყო კმითა დიდითა და მწართა და თქუა: მაკურთხე მეცა, მამაო.

35. ჰრქუა მას ისაკ: მოვიდა ძმა შენი ზაკუევით და მიილო კურთხევა შენი.

36. და თქუა ესავ: სამართლად ეწოდა სახელი მისი იაკობ, რამეთუ ესე მეორედ შემიტყუვა მე: პირ[100]ველად მიმილო პირმშობეა ჩემი და აწ მიმილო კურთხევა ჩემი. ჰრქუა ესავ მამასა თვისსა: არარა და მიმარხეა კურთხევა ერთიცა, მამაო?

37. მიუგო ისაკ ესავს და ჰრქუა: ვინათგან უფალ ვყავ იგი შენ ზედა და ყოველნი ძმანი მისნი ვყვენ მისა მონა, იტკლითა და ღვნითა განვამტკიცე იგი, აწ შენ რა გიყო, შვილო?

38. ჰრქუა ესავ მამასა თვისსა: ერთი ხოლო ნუ არსა კურთხევა შენი? მაკურთხე მეცა, მამაო. და ვითარცა შეწუნნა ესავ, და ლალად-ყო კმითა დიდითა და ტიროდა.

39. მიუგო ისაკ, მამამან მისმან, და თქუა: აჰა ესერა სიბოხისაგან ქუეყანისა იყოს მკვდრობა შენი და ცუარისაგან ცისა ზეგარდამო.

40. და მახვლითა შენითა სცხონდებოდი და ძმასა შენსა ჰმონებდე. ხოლო იყოს, ოდესმე განიჯსნე და განაგდო უღელი მისი ქედისაგან შენისა.

41. და უთქუმიდა ესავ იაკობს კურთხევისა მისთვის, რომლითა აკურთხა მამამან მისმან, და თქუა ესავ გონებასა თვისსა: მოიწინენ ღღენი სიკუდილისა მამისა ჩემისანი, და მოვკლა ძმა ჩემი იაკობ.

42. უთხრეს¹ რებეკას სიტყუანი ესე ძისა მისისა უხუცესისანი. და მიავლინა და მოუწოდა ძესა თვისსა უმრწემქსსა და ჰრქუა მას: აჰა ესერა ძმა შენი ესავ გითქუამს შენ მოკვდა.

43. აწ, შვილო ჩემო, ისმინე კმისა ჩემისა: აღდეგ და წარივლტ:იდე ლაბანისა, ძმისა ჩემისა, ქარანს.

44. და იყავ მის თანა,

45. ვიდრე გარე-მიიქცეს გულის-წყრომა და რისხევა ძმისა შენისა შენგან და დაავიწყდეს, რა-იგი უყავ მას. და მოვაელინო და მო-

27,37. განვამტკიცე.

¹ ასეა.

გიწოდო შენ მიერ. ნუუკუე მოგკლას შენ და უშვილო ვიქმნე თქუენ ორთავანვე ერთსა შინა დღესა.

46. და ჰრქუა რებეკა ისაკს: მომეწყინა ცხორებამ ჩემი ასულთაგან ქეტისთა. უკუეთუ შო-ლა-იყვანოს იაკობ ცოლი ასულ[v]თაგან ამის ქუეყანისათა, რამ-ლა იყოს ცხორებამ ჩემი?

თ ა ვ ი 28

10. [102] განვიდა იაკობ ჟურღმულისა მისგან ფიცისა და წარვიდა ქარანდ.

11. და მიემთხვა ადგილსა და დაიძინა მუნ, რამეთუ დაჰვიდოდა მზე. და მოიღო ლოდი ლოდთაგან მის ადგილისათამ და დაიდვა სასთუნალ მისა და დაწვა მას ადგილსა.

12. და ჩუენებასა იხილვიდა: და აჰა ესერა კიბენი აღმართებულნი ქუეყანიო, რომლისა თავი მიწდომილ იყო ცადმდე, და ანგელოზნი ღმრთისანი ადვიდოდეს და გარდამოვიდოდეს.

13. ხოლო უფალი დამკვდრებულ იყო მას ზედა. და ჰრქუა: მე ვარ უფალი ღმერთი აბრაჰამისი, მამისა შენისამ, და ღმერთი ისაკისი. ნუ გეშინინ! ქუეყანამ ეგე, რომელსა გძინავს, შენ მოგცე და ნათესავსა შენსა.

14. და იყოს ნათესავი შენი ვითარცა ქვშამ ზღვსამ და განვრცნეს ზღუადმდე [v] და ჩრდილოდ და ბღურად და აღმოსავალად. და იკურთხეოდინ შენდამი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და ნათესავისა შენისა მიმართ.

15. და აჰა მე შენ თანა ვარ, ვიდრეცა ხვდოდი. და მოგაქციო შენ ამასვე ქუეყანასა, რამეთუ არა დაგიტეო, ვიდრე არა ვყო მე ყოველი, რაოდენსაცა-იგი გეტყოდე შენ.

16. და განიღვძა იაკობ ძილისა მისგან და თქუა:

17. ...ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! არა არს ესე სხუა, გარნა სახლი ღმრთისამ, და ესე არიან ბქენი ცისანი.

18. და აღდგა იაკობ განთიად და მოიღო ლოდი იგი მუნ, რომელი დაედვა სასთუნლად, და დაასხა ზეთი თავსა მის ლოდისასა.

19. და უწოდა სახელი ადგილსა მას სახლი ღმრთისამ, რამეთუ ულამაოს იყო სახელი პირველად ქუეყანისამ მის.

20. და ილოცა ლოცვამ იაკობ და თქუა: უკუეთუ იყოს ღმერთი ჩემ თანა, დამიცვეს მე გზასა ამას, რომელსა მე მივალ, და მცეს მე პური საჭმლად და სამოსელი შემოსად.

21. და მომაქციოს მე ცოცხლებით სახლსა მამისა ჩემისასა, და იყოს უფალი ღმრთად ჩემდა.

22. და ლოდი ესე, რომელი აღედგი ძეგლად, იყოს სახლად ღმრთისა ჩემისა და ყოვლისაგან, რაოდენი-რამ მომცეს მე, ათეული მიკცე შენ.

თ ა ვ ი 29

1. [47v] და წარვიდა იაკობ ქუეყანად მზის აღმოსავალისა ლაბანისა ასურისა, ძისა ბათოველისა, ძმისა რებეკასა, დედისა იაკობისა და ესავისა.

2. და მიხედა და იხილა ჭურღმული წყლისაჲ ველსა ზედა. და იყვნეს მუნ სამნი სამწყსონი ცხოვართანი, რომელნი განსტენებდეს, რამეთუ ჭურღმულისა მისგან ასჯან სამწყსოთა მათთა. და დაედვა ლოდი პირსა ზედა მის ჭურღმულისასა.

3. და შე [48]კრბიან მუნ ყოველი სამწყსოჲ და მწყემსნი მათნი და გარდააგორვიან ლოდი პირისაგან მის ჭურღმულისა და ასჯან წყალი ცხოვართა თვსთა და მერმე დასდვიან ადგილსავე თვსთა.

4. და ჰრქუა იაკობ მწყემსთა მათ: ვინაჲ ხართ თქვენ, ძმანო? ხოლო მათ ჰრქუეს: ქანანელნი ვართ.

5. ჰრქუა მათ იაკობ: იცოთა ლაბან, ძმ ნაქორსი? და ჰრქუეს: ვიცით.

6. ჰრქუა მათ იაკობ: ცოცხლებით არსა? [და მათ ჰრქუეს: ცოცხლებით არს]. და ვიდრე იგი ამას ეტყოდა მათ, აჰა ესერა რაქელ: ასული ლაბანისი, მოვიდა სამწყსოთა თანა მამისა თვსისათა.

7. და ჰრქუა იაკობ: რამეთუ დღჳ არს-ლა ფრიად, და არლა არს-ლა უამი შეკრებად სამწყსოჲსა; ასეთ წყალი სამწყსოთა თქვენთა და წარვედით.

8. ხოლო მათ ჰრქუეს: ვერ შემძლებელ ვართ ვიდრე შეკრებად ყოველთა მწყემსთა, და გარდააგორვონ ლოდი ესე პირისაგან ამის ჭურღმულისა და მაშინ ვასუათ ცხოვართა ჩვენთა.

9. და ვიდრე-იგი იტყოდეს-ლა ამას, აჰა ესერა რაქელ მოვიდოდა ცხოვართა თანა.

10. და იყო, ვითარცა იხილა იაკობ რაქელ, ასული ლაბანისი. მძისა დედისა თვსისაჲ, აღდვა და გარდააგორვა ლოდი იგი ჭურღმულისა მისგან და ასუა ცხოვართა მათ ლაბანისთა, დედის ძმისა მისისათა.

11. და ამბორს-უყო იაკობ რაქელს, ხოლო მან ღალად-ყო კმითა დიდითა და ტიროდა.

12. და უთხრა იაკობ. ვითარმედ: ძმა მამისა შენისა არს იგი და ძმ რებეკასი. რაქელ იწრათა და შევიდა შინა და უთხრა მამასა თვისსა სიტყუათა მისთაებრ.

13. და ვითარცა ესმა ლაბანს სახელი იაკობისი, დის წულისა თვისისა, იწრათა განსლვად და [v] შემთხუევად მისა და მოეხვა და ამბორს-უყო მას, და შეიყვანა იგი სახლსა თვისსა. და უთხრნა იაკობ ლაბანს ყოველნი სიტყუანი.

14. ჰრქუა მას ლაბან: ძალთა ჩემთაგანი და ჯორცთა ჩემთაგანი ხარი შენ. და იყო იგი მის თანა თთუე ერთ და დღეთა მრავალთა.

15. და ჰრქუა ლაბან იაკობს: რამეთუ ძმა ჩემი ხარი შენ, არა მმონო მე ცუდად, არამედ მითხარ მე, რაა არს სასყიდელი შენი?

16. ხოლო ლაბანს ესხნეს ორ ასულ. სახელი უხუცესისაა მის ლია და სახელი უმრწემისისაა მის რაქელ.

17. და იყენეს თუალნი ლიასნი ლბილ, ხოლო რაქელ იყო კეთილ ხილვითა და შეუენიერ პირითა.

18. და უყუარდა იაკობს რაქელ და ჰრქუა: გმონებდე შენ რაქელისთვის, ასულისა შენისა უმრწემისისა.

19. ჰრქუა მას ლაბან: უმჯობეს არს იგი მიცემად შენდა ვიდრე სხუასა ქმარსა. იყოფოდე ჩემ თანა.

20. და კმონებდა იაკობ რაქელისთვის შვდ წელ. და იყენეს მის წინაშე წელიწადნი იგი ვითარცა მცირედნი დღენი სიყუარულითა მისითა.

21. და ვითარცა აღესრულნეს შვდნი იგი წელნი, ჰრქუა იაკობ ლაბანს: მომეც მე ცოლი ჩემი, რამეთუ აღესრულნეს დღენი დროისანი.

22. და შეკრიბნა ლაბან ყოველნი კაცნი მის ადგილისანი და ყო ქორწილი.

23. და ვითარცა იყო მჭუხრი, მოიყვანა ლაბან ლია, ასული თვისი, და შეიყვანა იგი იაკობისა. და შევიდა მისა იაკობ.

24. და მისცა ლაბან ლიას, ასულსა თვისსა, ზელფა, მკევალი თვისი შიმუნვარად.

25. და იყო განთიად, იხილა იაკობ, და იყო მის თანა ლია. ჰრქუა იაკობ ლაბანს: რაა ესე ჰყავ? ანუ არა რაქელისთვის გმონებდ შენ? და აწ რაჲსა შეურაცხ-მყავ მე?

26. ჰრქუა მას ლაბან: არა არს ჩუენსა ადგილსა ეგრძთ—უმრწემისისა მიცემა უწინარეს. უხუცესისა.

27. აწ აღასრულენ სხუანიდა შვდნი წელნი ამისთვის და მოგცე ესე-ცა საქმისათვის, რომელსა იქმოდნი ჩემ თანა მერმე სხუათადა შვდთა წელთა.

28. ყო ეგრეთ და აღასრულნა შვდნი წელნი. და მისცა მას ლაბან რაქელ, ასული თვისი, ცოლად.

29. და მისცა ლაბან რაქელს, ასულსა თვისსა ბალა, მკევალი თვისი, შიმუნეარად.

30. და შევიდა იაკობ რაქელისა და შეიყუარა იგი უფროეს ლიანსა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ საქულებელ არს მისა, და განაღო სა-შოხ მისი. ხოლო რაქელ იყო ბერწ¹.

32. და მიუდგა ლია და შვა ძმ. და უწოდა სახელი მისი რუბენ და თქუა: რამეთუ იხილა ღმერთმან სიმდაბლმ ჩემი და მომცა მე შვილი. აწ შემეყუაროს მე ქმარმან ჩემმან.

33. და მერმე მიუდგა და შვა ძმ მეორე და თქუა, რამეთუ: იხილა ღმერთმან, ვითარმედ საქულებელ ვიყავ, და მომცა მე ესეცა. და უწოდა სახელი მისი სუმეონ.

34. და მერმე მიუდგა და შვა ძმ და თქუა: ამიერთგან ჩემთვის იყოს ქმარი ჩემი, რამეთუ უშევ მას ძმ. და უწოდა სახელი მისი ლევი.

35. და მიუდგა მერმე და შვა ძმ და თქუა: აწ და მერმეცა აუვა-რებდე უფალსა. ამისთვის უწოდა სახელი მისი იუდა.

თ ა ვ ი 32

1. [108] და აღიხილნა იაკობ თუალნი თვისნი და იხილა ბანაჟი ღმრთისაჲ დაბანაკებული და შეემთხვნეს მას ანგელოზნი ღმრთისანი.

2. ხოლო იაკობ თქუა, რაჟამს იხილნა ივინი: ბანაჟი ღმრთისაჲ არს ესე. და უწოდა ადგილსა მას სახელი ბანაკებ.

3. წარავლინნა იაკობ მოციქულნი წინაშე ესავეისა, ძმისა მისისა, ქუეყანად სეირდ, სოფელსა ედომისასა.

4. ამცნო მათ და ჰრქუა: ესრე არქუთ ეფალსა ჩემსა ესავეს: ესრე იტყვს მონაჲ შენი იაკობ: ლაბანის თანა ვეწირობდ და ვყოვნე აქა-მომდე.

5. და მოვიგე ზროხაჲ და ცხოვარი, მონაჲ და მკევალი და მივა-ვლინე თხრობად უფლისა ჩემისა ესავესა, რაჲთა პოოს მონამან შენმან მაღლი წინაშე შენსა.

6. და მოვიდეს მოციქულნი იგი იაკობისა და ჰრქუეს: მივედით ესავეისა, ძმისა შენისა, და აჰა იგიცა მოვალს შემთხუევედ შენდა და ოთხასი კაცი მის თანა.

¹ აკლია 31-ე მუხლის ტექსტი.

7. ხოლო იაკობს შეეშინა ფრიად და ზრუნვიდა და განყო ერი იგი მისთანად და ცხოვარი და ზროხად ოთხად ბანაკად.

8. და თქუა იაკობ: უკუეთუ მოვიდეს ესავ ბანაკსა ამას ერთსა და [v] მოსრას იგი, მეორეც ბანაკი განერეს.

9. და თქუა იაკობ: ღმერთო მამისა ჩემისა აბრაჰამისო და ისაკისო, ღმერთო, რომელმან მარქუ მე: წარვედ ქუეყანად საშოფსა შენისა და კეთილი გიყო შენ.

10. კმა არს ჩემდა ყოვლისაგან სიმართლისა და ყოვლისაგან ქეშ-მარიტებისა, რომელი უყავ მონსა შენსა, რამეთუ ამით კუერთხითა წიადმოვედ მდინარესა ამას. აწ ესერა ვიქმენ ორად ბანაკად.

11. განმარინე მე კელთაგან ძმისა ჩემისა ესავისთა, რამეთუ მეშინის მე მისგან, ნუუტუე მოვიდეს და მომკლას მე და დედად შევილთა ზუდა.

12. და შენ სთქუ: კეთილი გიყო შენ და ვყო ნათესავი შენი ვითარცა ქეშად ზღვსად, რომელი არა აღირაცხების სიმრავლითა.

13. და დაიძინა მას ღამესა მუნ. და მოიღო, რომელი მოაქუნდა ძლუენი, და მიუძღუნა ესავს, ძმასა თვსსა:

14. თხად ორასი, ვაცი ოცი, ცხოვარი ორასი, ვერძი ოცი.

15. აქლემი ჯდალი და კიცუები მათ თანა ოც და ათი, ზროხად [ფუ-რი ორმოცი და] კუროდ ათი, ვირი და კიცვ მათი ოცი.

16. და მისცა კელთა მონათა სამწყსომ თვსი და ჰრქუა მათ: წარვედით წინაშე ჩემსა და განაშორეთ სამწყსომ სამწყსოსა.

17. და ამცნო პირველსა და ჰრქუა: უკუეთუ შეგემთხვოს ესავ, ძმა ჩემი, და გკითხოს შენ და გრქუას: ვისი ხარ ანუ ვიდრე ხუალთ, ანუ ვისი არს, რომელი-ესე ვალს წინაშე შენსა,

18. არქუ შენ: მონისა შენისა იაკობისი; ძლუენი მიუძღუნა ესავს და აჰა იგი შემდგომად ჩემსა მოვალს.

19. ესრეთ ამცნო პირველსა და მეორესა და მესამესა და ყოველთა-ვე, რომელნი ვიდოდეს წინაშე მისსა, და ჰრქუა: მის სიტყვსაებრ ეტყოდეთ ესავს, რაჟამს გპოვნეს თქუენ მან.

20. და არქუთ მას: აჰა მონად შენი იაკობ მოვალს შემდგომად ჩუენსა. რამეთუ თქუა: მოვამშვდო პირი მისი ძლუენითა მით, წინა-მსწარ ჩემსა წარძღუნულითა, და მისა შემდგომად ვიხილო პირი მისი; ვინ [109] იცის, შემემთხვოს მე.

21. და წინა-უძღოდა ძლუენი იგი წინაშე მისსა. ხოლო მან დაიძინა მას ღამესა სავანესა მას.

22. და აღდგა და მოიყვანნა ორნი იგი ცოლნი მისნი და ათერთმეტნი ყრმანი მისნი და წარმოიყვანნა ივინი და წიადმოკდა წიადმოსავალსა მას იაბუკისასა.

23. და წილმოიკრიბა ყოველივე, რააცა იყო მისი.

24. და დადგა მუნ მარტომ. და ერკინებოდა მას კაცი ვიდრე განთიადმდე.

25. ვითარ იხილა, ვითარმედ ვერ უძლავს მისა მიმართ, შეახო ვრცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბუშა ვრცელი ბარკლისა იაკობისი ბრძოლასა მას მის თანა.

26. და ჰრქუა კაცმან მან: განმიტევე, რამეთუ აღმოვდა ცისკარი. ხოლო იაკობ ჰრქუა მას: არა განგიტეო, ვიდრემდის არა მაკურთხო მე.

27. და მან ჰრქუა მას: რაჲ არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქუა: იაკობ.

28. მან ჰრქუა მას: არა გერქუას ამიერითგან იაკობ, არამედ ისრაჲლ იყოს სახელი შენი, რამეთუ განძრიელდი ღმრთისა თანა და კაცთა თანა ძრიელ [იყო].

29. ჰკითხა იაკობ და ჰრქუა: მითხარ მე, რაჲ არს სახელი შენი? და თქუა: რაჲსათვის იკითხავ სახელსა ჩემსა? და იგი არს საკვრველ. და აკურთხა იგი.

30. და უწოდა სახელი ადგილსა მას ხილვად ღმრთისაჲ, რამეთუ ვიხილე ღმერთი პირისპირ, და ცხონდა სული ჩემი.

თ ა ვ ი 35

9. [264v] და ეჩუენა ღმერთი იაკობს მერმეცა ლუზას, რაჲამს გამოვიდა იგი მდინარეთა ასურეთისათა. აკურთხა იგი ღმერთმან.

10. და ჰრქუა: სახელი შენი იაკობ, ხოლო აწ არღარა გერქუას იაკობ, არამედ ისრაჲლ იყოს სახელი შენი.

11. და ჰრქუა მას ღმერთმან: მე ვარ უფალი ღმერთი შენი: აღორძინდი და გამრავლდი, რამეთუ ნათესავნი და შესაკრებელნი თესლთანი იყენენ შენგან, და მეფენი წელთაგან შენთა გამოვიდენ.

12. და ქუეყანაჲ, რომელი მივეც აბრაჰამს და ისაკს, მიგცე შენ იგი, და შენდა იყოს და ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა.

13. აღვიდა ღმერთი მიერ ადგილით, სადა-იგი ეტყოდა მას;

14. და აღმართა იაკობ ძეგლი ადგილსა მას, სადა-იგი იტყოდა ღმერთი მის თანა, და შეწირა მას ზედა შესაწირავი და დაასხა მას ზედა ზეთი.

15. და უწოდა იაკობ სახელი ადგილსა მას, სადა-იგი ეტყოდა მას ღმერთი, ბეთელ.

16. და აღიდგა კარავი მისი მიერ კერძო გოდოლსა მას გადერისსა. და იყო, რაჲამს მიეახლა იგი გაბრაათად, მისლვად ქუეყანად იფართით, შვა რაქელ და შობასა მისსა ძნაად შობდა.

17. და იყო შობად მისი ფიცხელ. და ჰრქუა ყრმისა-ამქუმელმან მან: ნუ გეშინინ, რამეთუ ძქ გესუა შენ. და იყო აღმოსლვასა სულისა მისისასა, რამეთუ მოკუდებოდა, უწოდა სახელი მისი ძქ სალმობისა ჩემისაჲ, [265] ხოლო მამამან მისმან უწოდა სახელი მისი ბენიამენ.

19. და მოკუდა რაქელ და დაეფლა გზასა ზედა ეფართად, ესე იგი არს ბეთელი.

20. და აღჰმართა იაკობ ძეგლი საფლავსა ზედა რაქელისსა, ესე არს ძეგლი საფლავისა რაქელისი ვიდრე ღლენდელად ღლედმდე.

თ ა ვ ი 37

2. [78v] ხოლო იოსებ იყო აჩვდმეტის წლის და მწყსიდა ძმათა თვსთა თანა ცხოვართა. ყრმაღა იყო ძეთა თანა ბალაჲსთა და ძეთა თანა ზელფაჲსთა, ხარჰთა მამისა თვისისათა. და დასდევს ბრალი ბორიოტი იოსებს ისრაჲლისა მიმართ, მამისა მათისა.

3. ხოლო იაკობს უყუარდა იოსები უფროჲს ყოველთა [79] ძეთა მისთა, რამეთუ შვილი სიბერისაჲ იყო. და უქმნის მას სამოსელი ჰრქული მრავალფერი.

4. ვითარცა იხილეს ძმათა მისთა, რამეთუ მამასა უყუარს იგი უფროჲს ყოველთა ძეთა მისთა, შოიძულეს იგი ძმათა თვსთა და ვერ ეძლო სიტყუად მის თანა მშუდობით რაჲთურთით.

5. ჩუენება იხილა იოსებ და უთხრა ძმათა თვსთა.

6. და ჰრქუა მათ: ისმინეთ ჩუენებაჲ ესე, რომელი მეჩუენა მე:

7. მეგონა მე, ვითარმედ თქუენ ჰრქედით მჰელეულსა შორის ველსა, და აღდგა მჰელეული ჩემი და აღემართა. და მოექცეს მჰელეულნი თქუენნი და თაყუანის-სცემდეს მჰელეულსა ჩემსა.

8. ჰრქუეს ძმათა თვსთა: აწ მეფობით ნუ ჰმეფობდეა ჩუენ ზედა? და შესძინეს სიძულილი მისი ჩუენებათა მათ მისთათვს.

9. მერმე იხილა ჩუენებაჲ სხუაჲ და უთხრა იგი მამასა თვსსა და ძმათა და ჰრქუა მათ: აჰა მეჩუენა მე ჩუენებაჲ სხუაჲ, ვითარმედ მზმ და მთოვარჲ და ათერთმეტნი ვარსკულავნი თაყუანის-მცემდეს მე.

10. შეჰრისხნა მამამან მისმან და ჰრქუა: რაჲ არს ჩუენებაჲ ესე, რომელი გეჩუენა შენ? აწ უკუე მოვიდეთა მოსლვით მე და დედაჲ შენი და ძმანი შენნი თაყუანის-ცემად შენდა ქუეყანასა ზედა?

11. ეშურებოდეს ძმანი მისნი. ხოლო მამასა მისსა დაემარხნეს სიტყუანი ესე.

12. და წარვიდეს ძმანი მისნი მწყსად ცხოვართა მამისა თჳსისაათა სჳქემს.

13. და ჰრქუა ისრაჲლ იოსებს: ანუ არა ძმანი შენნი მწყსიან სჳქემს? მოვედ და წარგავლინო შენ. ხოლო მან ჰრქუა: აჲ ვარ.

14. ჰრქუა მას ისრაჲლ: წარვედ და იხილენ ძმანი შენნი, ვითარ-ძი ცოცხლებით არიან, და ცხოვარი იგი, და მითხარ მე. და წარვიდა იგი ღელეთაგან ქებრონისათა და მივიდა სჳქემდ.

15. და პოვა კაცმან ვინმე შეცთომილი ველსა ზედა. [v] ჰკითხა კაცმან მან: ვის ეძიებ?

16. ხოლო მან ჰრქუა: ძმათა ჩემთა ვეძიებ; მითხარ მე, სადა აძო-ვებენ?

17. ჰრქუა მას კაცმან მან: წარვიდეს ამიერ, რამეთუ მესმა მე მათი, იტყოდეს რაჲ, ვითარმედ წარვიდეთ დოთაჲს. და წარვიდა იოსებ კუალსა ძმათა მისთასა და პოვნა იგინი დოთაჲმს.

18. მათ წინაჲსწარ იხილეს იგი მომავალი შორით ვიდრე მიახლე-ბადმდე მისა ძმათა და განიზრახვიდეს ბოროტსა მოკლვად მისა.

19. ჰრქუა კაცად-კაცადმან ძმასა თჳსსა: აჲა ჩუენების მხილველი იგი მოვალს.

20. აწ მოვედით და მოვკლათ და შთავაგდოთ იგი ერთსა ჯურღმულ-თაგანსა და ვთქუათ, ვითარმედ მკეცმან ბოროტმან შეჴამა იგი. და ვიხილოთ, რაჲ-ძი იყოს ჩუენებაჲ იგი მისი.

21. ხოლო ესმა ესე რუბენს და განაჩინა იგი კელთაგან მათთა და ჰრქუა მათ: არა მოვკლათ იგი მოკლვით.

22. ნუ დასთხვეთ სისხლსა. შთააგდეთ ვეგ ჯურღმულსა მას უდაბ-ნოესასა, ხოლო კელსა ნუ მიჰყოფთ მის ზედა, რაჲთამცა მან განა-ჩინა იგი და მისცა მამასა თჳსსა [89].

23. და იყო, რაჲჲამს მოვიდა იოსებ ძმათა მისთა თანა, განსძუარცეს იოსებს სამოსელი ყუავილოანი, რომელი ემოსა,

24. და მიიყვანეს და შთააგდეს იგი ჯურღმულსა მას. ხოლო ჯურ-ღმული იგი ცარიელ იყო, წყალი არა დგა.

25. და დასხდეს ჴამად პურისა და აღიხილნეს თუალნი მათნი და აჲა ვაჴარნი იხილნეს მოგზაურნი ისმაიტელნი, მომავალნი გალადით. და აქლემნი მათნი საგსე იყვნეს მკურის-კევითა და შთახშითა და მი-ვიდოდეს შთასლვად ეგჳპტედ.

26. ჰრქუა იუდა ძმათა თჳსთა: რაჲ სარგებელ არს, უკუეთუ მოკვ-ლათ ძმაჲ ესე ჩუენი და დავსთხოოთ სისხლი მისი?

27. მოვედით და მივჰყიდოთ [v] ისმაიტელთა იმათ, ხოლო კელი

ჩუენი ნუ იყოფინ მის ზედა, რამეთუ ძმაჲ ჩუენი არს. ისმინეს მისი ძმათა მისთა.

28. და წარმოვიდეს კაცნი იგი მადიამელნი ვაჭარნი, და აღმოიყვანეს იოსებ ისმაიტელთა მათ და შთაიყვანეს იგი ეგვიპტედ.

29. მიაქცია რუბენ ჭურღმულსა მას და არა პოვა ჭურღმულსა მას შინა და დაიპო სამოსელი თვისი.

30. და მიაქცია ძმათა თვისთა და თქუა: ყრმაჲ იგი აქა არა არს და ვიდრე-მე ვიდა?

31. ხოლო მათ მოიღეს სამოსელი იოსებისი და დაკლეს თიკანი თხათაჲ და შებღალეს სამოსელი მისი სისხლითა.

32. და მოუძღუანეს სამოსელი იგი ჰრელი, შეართუეს მამასა თვისსა და ჰრქუეს: ესე ვპოვეთ. იცან, უკუეთუ სამოსელი ძისა შენსაჲ არს.

33. და თქუა: სამოსელი ძისა ჩემისაჲ არს. მვეცმან ბოროტმან მიმტაცა იგი, მვეცმან ბოროტმან შეჰჰამა იგი.

34. და დაიპო სამოსელი იაკობ და ძაძაჲ შეიმოსა და ეგლოვდა ძესა თვისსა დღეთა მრავალთა.

35. შეკრბეს ყოველნი ძენი და ასულნი მისნი და მოვიდეს ნუგე-შინის-ცემად მისა. და არა უნდა ნუგეშინის-ცემის. და თქუა: შთავიდე ძისა ჩემისა თანა ჯოჯოხეთა. და სტიროდა მას მამაჲ მისი.

36. ხოლო ისმაიტელთა მათ ვაჭართა მიჰყიდეს იოსებ ეგვიპტეს პეტეფრეს, საჭურისსა მატაკარანსა.

თ ა ვ ი 38

1. და მას ჟამსა ოდენ წარმოვიდა იუდა ძმათაგან თვისთა და მივიდოდა იგი კაცისა ვისამე ოდოლამელისა, რომელსა სახელი ერქუა ირას.

2. და იხილა მუნ იუდა ასული ქანანელისაჲ, რომელსა სახელი ერქუა სავა, და მოიყვანა და შეირთო იგი ცოლად.

3. მიუდგა და შვა ძმ და უწოდა სახელი მისი მარ.

4. და მიუდგა მერმე და შვა ძმ და უწოდა სახელი მისი ავნან.

5. და შესძინა მერმე [90] და შვა ძმ და უწოდა სახელი მისი სელომ. ესე იყო ქაზბის, რაჟამს შვნა იგინი.

6. და მოჰვუარა იუდა პირმშოსა ძესა თვისსა ცოლი, რომელსა სახელი ერქუა თამარ.

7. და იყო პირმშოჲ იგი ძმ მისი მრ უკეთურ წინაშე უფლისა და მოკლა იგი ღმერთმან.

8. ჰრქუა იუდა აენანს: შევედ ცოლისა ძმისა შენისა და ესიძე მას და აღუდგინე თესლი ძმასა შენსა.

9. გულისხმა-ყო აენან, ვითარმედ მისად არა იყო თესლი იგი. და იყო, ვითარცა შევიდა ცოლისა მის ძმისა მისისა, დასთხია თესლი ქუეყანასა, რაჲთა არა მისცეს ძმასა მისსა.

10. ბოროტ იყო წინაშე ღმრთისა საქმე ესე, რამეთუ იყო ესრეთ, და მოაკუდინა ესეცა უფალმან.

11. ჰრქუა იუდა თამარს, სძალსა თვისსა: დაჯედ ქურივად სახლსა შინა მამისა თვისისასა, ვიდრემდის განმწესნეს სელომ, ძმ ჩემი, რამეთუ თქუა: ნუუკუე მოკუდეს ესეცა, ვითარცა ძმანი მისნი. ხოლო თამარ წარვიდა და დაჯდა ქურივად სახლსა შინა მამისა თვისისასა [117].

12. და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი, მოკუდა სავა, ცოლი იუდაისი, და ნუგეშინის-იცა გლოვისაგან იუდა და მივიდა მრისუველთა ცხოვართა თანა, და ირას, მწყემსი იგი მისი ოდოლამელი, თამნად.

13. და უთხრეს თამარს, სძალსა მისსა, და ჰრქუეს: აჰა ესერა მამათილი შენი აღვალს თამნად რისუვად ცხოვართა მისთა.

14. და განიძუარცა თამარ სამოსელი თვისი ქურობისაჲ და შეიმოსა სამოსელი, შეიმკო და დაჯდა ბქეთა თანა ენანისათა, რომელ არს თანა-წარსავალსა თამნაჲსასა, რამეთუ იხილა, ვითარმედ განმწესნა სელომ, ძმ მი[სი, და მან] [v] არა მისცა იგი მას ცოლად.

15. და იხილა იგი იუდა და აგონა, ვითარმედ მეძავი ვინმე იყოს, რამეთუ დაეფარა პირი მისი და ვერ იცნა იგი.

16. და მიაქცია მისა გზისაგან და ჰრქუა: მიტევე მე შემოსლვად შენდა. ხოლო მან ჰრქუა მას: რაჲ მომცე მე, უკუეთუ შემოხვდე ჩემ თანა?

17. და ჰრქუა იუდა: მე მოგიძლუანო თიკანი თხათაჲ სამწყსოჲთ. ხოლო მან ჰრქუა: მომცე მე წინდი ვიდრე მოძლუნებადმდე შენდა.

18. ხოლო იუდა ჰრქუა: რაჲ წინდი მიგცე შენ? ხოლო მან ჰრქუა: ბექედი ეგე შენი და მძივი და კუერთხი, რომელი გაქუს კელთა შენთა. და მან მისცა მას და შევიდა მისა და მიუდგა მისგან.

19. ხოლო იგი აღდგა და განიძუარცა სამოსელი იგი მისგან და შეიმოსა სამოსელი ქურობისაჲვე.

20. ხოლო იუდა მიუძლუნა თიკანი იგი თხათაჲ კელითა მწყემსი-

სა თვისისა ოდოლშელისაჲთა, რაჲთა მოი[ლოს წი]ნდი იგი დედაკაცი-
სა მისგან. [ხოლო მან არა] პოვა იგი.

21. ჰკითხა კაცთა მის ადგილისათა: სადა არს მეძავი იგი, რომელი
იყო ენანს გზასა ზედა? და მათ ჰრქუეს: არა არს აქა მეძავი.

22. და შიიქცა მწყემსი იგი იუდაჲსა და ჰრქუა: არა ვპოვე; და
კაცთა მის ადგილისათა თქუეს: არა არს მეძავი აქა.

23. თქუა იუდა: აქუნდინ იგი მას. ნუუკუე მოვიკიცხენით. მე მიუ-
ძლუანე თიკანი ესე, ხოლო შენ არა ვპოვე იგი.

24. და იყო, შემდგომად სამისა თთვისა უთხრეს იუდას და ჰრქუეს,
ვითარმედ: ისიძვა თამარ, სძალმან შენმან, და მიდგომილ არს სიძ-
ვით. ჰრქუა იუდა: გამოიყვანეთ გარე და დაწუთ ცეცხლითა.

25. და ვითარცა გამოჰყვანდა გარე, მიუვლინა მამამთილსა თვისსა
და ჰრქუა: კაციისა მისგან, რომლისაჲ არს წინდი ესე, მისგან მიდგო-
მილ ვარ; იცან, ვისი არს ბეჭედი ესე და მძივი და კუერთხი.

26. ხოლო იუდა იცნა იგი და თქუა: მართალ არს თამარ ვიდრეღა
მე, რამეთუ არა მივეც იგი ცოლად ძესა ჩემსა სელომს. და არ[118]-
ლარა შესძინა მერმე ცნობად მისა.

27. და იყო, რაჲმს შობდა იგი, იყვნეს მარჩბივნი მუცელსა მისსა.

28. ერთმან გამოყო კელი. და მოილო ამქუმელმან მან და გამოაბა
მეწაჲული კელსა მისსა და თქუა: ესე გამოვიდა პირველად.

29. და შეყო კელი მისი, მეყსეულად გამოვიდა ძმად მისი და თქუა
ამქუმელმან მან: რაჲსა განელო შენთვის ღონე? და უწოდა სახელი მი-
სი ფარეზ.

30. და მისა შემდგომად გამოვიდა ძმად მისი, და უწოდა სახელი
მისი ზარა.

თ ა ვ ი 39

1. ხოლო იოსებ შთაიყვანეს ეგვიპტედ და მიიყვანა იგი პეტეფრე,
საჭურისმან ფარაოჲსმან, მზარაულთ-მთავარმან, კაცმან მეგვიპტელმან,
კელთაგან ისმაიტელთაჲსა, რომელთა შთაიყვანეს იგი მუნ.

2. ხოლო უფალი იყო მის თანა. და იყო კაც მაგებელ, და იყო
სახლსა მას შინა კაცისა მის მეგვიპტელისა წინაშე.

3. ხოლო იცოდა უფალმან მისმან, რამეთუ უფალი იყო მის თანა,
და რაოდენსა-რას იჭმს, უფალი წარუშარებეს მას.

4. და პოვა მადლი იოსებ წინაშე მისსა და სათნო-ეყო იგი მას. და

დაადგინა იგი სახლსა თვისსა ზედა და ყოველივე, რაჲცა იყო მისა, მისცა კელთა იოსებისთა.

5. და იყო, შემდგომად დადგინებისა მოსისა სახლსა ზედა მისსა და ყოველივე, რაჲცა იყო მისი; მისცა კელთა მისთა, და აკურთხა ღმერთ-მან სახლი მეგვპტელისაჲ მის იოსებისთვის, და იყო კურთხევაჲ უფლისაჲ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა სახლსა შინა და აგარაკთა:

6. და სცა ყოველივე, რაჲცა იყო კელთა იოსებისთა, და არა იცო-და, რასა იქმნოდა იოსებ, გარნა პური ოდენ, რომელ ჭამის მან. და იყო იოსებ შუენიერ ქმნულებითა და კეთილ იყო პირითა ფრიად.

7. ამისა შემდგომად თუალ-აგნა ცოლმან მეგვპტელისაჲმან, უფლი-სა თვისისაჲმან, იოსებს და ჰრქუა მას: დაწევ ჩემ თანა.

8. ხოლო მან არა ინება და ჰრქუა ცოლსა მას უფლისა თვისისაჲსა: უკუეთუ უფალმან ჩემმან არაჲ უწყის ჩემთვის სახლსა შინა მისსა და ყოველივე, [რაჲ ა]რს მისი, მომცა [კელთა ჩემთა] [v]

9. და არავინაჲ მმატს სახლსა ამას და არცა გარეშჲ, რაჲ არს კელ-სა ჩემსა, თუნიერ შენსა ხოლო, რამეთუ ცოლი მისი ხარ, და აწ ვითარ ვქმნე საქმჲ ესე ბოროტი და ვცოდო წინაშე უფლისა ჩემისა?

10. და ეტყვნ დღითი დღედ და არა ერჩდა იოსებ დაწოლად მის თანა და თანა-ყოფად.

11. და იყო ესე ვითარი დღჲ და შევიდა იოსებ სახიდ საქმესა თვისსა. და არავინ იყო სახლსა მას შინა.

12. და შებმა-უყო სამოსელსა მისსა და ეტყოდა: დაწევ ჩემ თანა. ხოლო იოსებ დაუტევა სამოსელი თვისი და განვიდა და ივლტოდა მისგან.

13. და იყო, ვითარცა დაუტევა სამოსელი მისი კელთა შინა მისთა და ილტოდა¹.

14. მოუწოდა, რომელნი იყვნეს სახლსა მას შინა, ეტყოდა და ჰრქუა მათ: იხილეთ აწ, რამეთუ შემომგუარა ჩუენ მონაჲ ესე ებრაელი კიცხევად ჩუენდა: შემოვიდა დაწოლად ჩემ თანა და მე ვღალად-ყავ კმი-თა დიდითა.

15. და მას ვითარცა ესმა კმაჲ ჩემი, რამეთუ აღ[ვიმალლე], დაუ-ტევა სამ[ოსელი მისი] ჩემ თანა და განვიდა გარე და ილტოდა².

16. და დაიყენა სამოსელუ იოსებისი მის თანა, ვიდრემდის მოვიდა ქმარი მისი სახიდ თვისა.

17. და ჰრქუა მას: შემოვიდა მონაჲ ესე ებრაელი, რომელი შე-მოიყვანე, და მრქუა მე: დავწვე შენ თანა.

9. არავინაჲ] არაჲ ვინაჲ.

¹ ასეა.

² ასეა.

18. ვითარცა ესმა, რამეთუ აღვიმალღე კმაჲ ჩემი, დაუტევეა სამო-
სელი მისი ჩემ თანა და ივლტოდა და განვიდა გარე.

19. ვითარცა ესმნეს სიტყუანი იგი ცოლისა თვისისაგან, რომელნი-
იგი უთხრნა, ვითარმედ: ესე მიყო მე მონამან შენმან, განრისხნა გუ-
ლის-წყრომითა.

20. და მოიყვანა იოსებ და შესუა იგი საპყრობილესა, ადგილსა მას,
სადაცა-იგი პყრობილნი მეფისანი იყვნეს.

21. და იყო უფალი იოსების თანა და მოსცემდა მას წყალობასა და
პოა მადლი წინაშე მესაპყრობილეთ-მოძღურისა მის.

22. და მისცა მესაპყრობილეთ-მთავარმან მან საპყრობილე იგი
ჯელთა იოსებისთა და ყოველნი იგი პყრობილნი, რაოდენნი იყვნეს სა-
პყრობილესა შინა.

23. და ყოველი, რადცა ქმნიან საპყრობილესა შინა, არა[119]რაჲ
იცოდა თავით თვისით მესაპყრობილეთ-მთავარმან მან არცა ერთი რაჲ,
რამეთუ ყოველივე იყო ჯელთა მისთა, ამისთვის რამეთუ უფალი იყო
მის თანა. და რაოდენსა-იგი იქმოდა იოსებ, წარუმართებდა ჯელთა
შინა მისთა.

თ ა ვ ი 40

1. [128] და იყო, შემდგომად სიტყუათა მათ შესცოდა მთავარმან
ლვნის-მნემან მეფესა ეგვიპტისასა და მეპურეთ-მოძღუარმან უფალსა
მათსა მეფენა ეგვიპტისასა-

2. და განურისხნა ფარაო ორთავე მათ საჭურისთა, ღვნის-მნესა და
მეპურეთ-მოძღუარსა,

3. და მისცნა იგინი საპყრობილედ მზარაულთ-მოძღურისა მის, ად-
გილსა, სადა-იგი იოსებ პყრობილ იყო.

4. და შეპვედრნა იგინი მესაპყრობილეთ-მოძღუარმან მან იოსებს.
და დგა იგი წინაშე მათსა, და იყვნეს იგინი საპყრობილესა მას შინა
მრავალ დღე.

5. და იხილეს ჩუენებჲა ორთავე, კაცად-კაცადმან მათმან ღამესა
ერთსა, ხილვაჲ იგი ჩუენებისაჲ, ღვნის-მნემან და მეპურეთ-მოძღუარ-
მან, რომელნი იყვნეს მეფისა მის ეგვიპტისანი, და ესენი იყვნეს საპყ-
რობილესა შინა.

6. შევიდა მათა იოსებ განთიად და იხილნა იგინი, და იყვნეს [v]
შეძრწუნებულ.

18. გარეჲ. ში. მესაპყრობილსთ.

22. მესაპყრობილსთ-, საპყრობილსა-.

23. საპყრობილსა-, მესაპყრობილსთ.

40,1. მთავარ, მეპურსთ-. 2. მეპურსთ-. 4. მესაპყრობილსთ-, დღს. 5.
მეპურსთ-.

7. ჰკითხვიდა საჭურისთა მათ ფარაოხსთა, რომელნი იყვნეს მის თანა საპყრობილესა შინა უფლისა თვისისასა, და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს პირნი თქუენნი მწუხარე არიან?

8. ხოლო მათ ჰრქუეს: ჩუენებაჲ ვიხილეთ და გამომეტყუელ არავინ არს. ჰრქუა მათ იოსებ: ანუ არა ღმრთისა მიერ არს გამოთქუმაჲ მათი? მითხართ იგი მე.

9. და უთხრა ღვინს-მნემან მან ჩუენებაჲ იგი თვისი და ჰრქუა: ძილსა შინა ჩემსა ვხედევდ, და იყო ვენაჯი წინაშე ჩემსა.

10. და ვენაჯსა მას სამნი ძირნი, და იგი აღმოსცენდა, და აღორძინდა მორჩი, და მწიფე იყვნეს ტევანნი.

11. და სასუმელი ფარაოხსი კელსა ჩემსა და მოვიღე ყურძენი და გამოეწურე სასუმელსა შინა ფარაოხსსა [და მივეც] სასუმელი იგი [კელსა მისსა].

12. ჰრქუა მას იოსებ: ესე არს გამოთარგმანებაჲ მაგისი: სამნი იგი ძირნი სამნი ღღენი არიან.

13. სამნიღა ღღენი წარკდენ, და მოეცენოს ფარაოს სამთავროჲ იგი შენი და კულად დაგადგინოს ღვინს-მნეობასავე შენსა, და მისცე სასუმელი ფარაოხსი კელსა მისსა პირველისაებრ მთავრობისა შენისა, ვითარცა-იგი იყავ პირის-მწდე.

14. და მომიცენე მე თავით შენით, რაჲჲმს კეთილი გეყოს შენ, და ყავ ჩემ ზედა წყალობაჲ და მოიცენე ჩემთვის წინაშე ფარაოხსა, და განმიყვანოს მე საპყრობილისა ამისგან.

15. რამეთუ პარვით წარმომიყვანეს მე ქუეყანით ებრაელთათ, და აქა არარაჲ ვქმენ ბოროტი და შემომადღეს მე სახლსა ამას ჭურღმულისასა.

16. და ვითარცა იხილა მეპურეთ-მოძღუარმან მან, რამეთუ მართლ გამოუთარგმანა მას, და ჰრქუა იოსებს: მეცა ვიხილე ჩუენებაჲ: მეგონა, ვითარმედ სამნი ლანკლანი სამინდოთა მედგნეს თავსა ჩემსა.

17. ხოლო ლანკლასა მას ზედაკერძოსა იყო ყოვლისაგან სანოვაგისა, რომელსა ჰამნ მეფჳ ფარაო, ქმნული მეპურეთ-მოძღურისაჲ, და მფრი[129]ნველნი ცისანი შეშჳამდეს ლანკლისა მისგან, რომელი იყო ზედა თავსა ჩემსა.

18. მოუგო იოსებ და ჰრქუა: ესე არს შეტყუებაჲ მაგისი: სამნი იგი ლაკლანი სამნი ღღენი არიან.

19. სამნიღა ღღენი წარკდენ, მოგუეთოს თავი შენი შენგან ფარაო

და დამოგვიდოს ძელსა, და შექაშნენ მფრინველთა ცისათა კორცნი შენნი.

20. და იყო, მესამესა დღესა დღე იყო შობისა ფარაოჲსი და სუმაჲ დიდი ყოველთა მონათა ფარაოჲსთაჲ; და მოეკსენა პატივი ღვთის-მნისაჲ მის და პატივი მეპურეთ-მოძღუარისაჲ შორის მონათა მისთა.

21. და კუალად დაადგინა ღვთის-მნე იგი მთავრობასავე თვისსა და მისცა სასუმელი ჯელსა ფარაოჲსსა.

22. ხოლო მეპურეთ-მოძღუარი იგი დამოჰკიდა ძელსა, ვითარცა-იგი გამოუთარგმანან იოსებ.

23. ხოლო ღვთის-მნესა მას არა მოეკსენა იოსებ, არამედ დაავიწყდა.

თ ა ვ ი 41

1. [277] და იყო, შემდგომად ორისა წლისა მათ დღეთაჲსა [V] ჩუენებაჲ იხილა ფარაო, ეგონა, ვითარმედ დგა იგი მდინარისა კიდესა.

2. და აჰა ესერა მდინარისა მისგან გამოვიდეს შვინი ზროხანი, შუენიერნი ხილვითა და მსუქანენი კორციითა და ძოვდეს მდინარისა კიდესა.

3. და სხუანი შვინი ზროხანი გამოვიდეს შემდგომად მათსა მდინარისა მისგან საძაგელნი ხილვითა, მკლენი კორციითა და ძოვდეს მათ თანავე მდინარისა კიდესა.

4. და შექაშნეს მათ შვინი იგი ზროხანი შუენიერნი და მსუქანენი.

5. და განიღძა ფარაო ჩუენებისა მისგან და მეორედ იხილვიდა კუალად ჩუენებასავე. და აჰა ესერა შვინი თავნი ჯუვილისანი აღმოვიდოდეს ძირსა ერთსა ზედა ძნეულნი და კეთილნი.

6. და მერმე კუალად შვინი თავნი აღმოვიდეს სხუანი მათ თანა განკმელნი და შემწუარნი.

7. და შექაშნეს მათ შვინი იგი თავნი კეთილნი და რჩეულნი. და განიღძა ფარაო, და აჰა ესერა იყო ჩუენებაჲ იგი, და შეძრწუნდა გულთა მისთა.

8. და ვითარცა განთენა, მოუწოდა ყოველთა ბრძენთა და მეცნიერთა ეგვიპტისათა და უთხრა მათ ჩუენებაჲ იგი. და არავინ იყო გამომთქუმელ და მეტყუელ და მთხრობელ მისა ძალსა მას ჩუენებისასა.

9. და ჰრქუა ფარაოს ღვთის-მნემან მან, ვითარმედ ცოდვად ჩემი მოვიკსენე დღეს:

10. შენ მრისხვედ, ფარაო, მონათა შენთა, და შემსხენ ჩუენ საპყ-

რობილესა მზარაულთ-მოძღურისასა, მე და მეპურეთ-მოძღუარი იგი.

11. და ვიხილეთ ჩუენებაჲ ღამესა ერთსა მჲ და მანცა [278] თითოეულად ჩუენებისაებრ ჩუენისა.

12. და იყო ვინმე მუნ ჰაბუკი ერთი მზარაულთ-მოძღურისაჲ და უთხართ მას ჩუენებაჲ იგი ჩუენი, და გამოგვცხადა.

13. და იყო, ვითარცა-იგი განგვმარტა, ეგრეცა შეგუემთხვა ჩუენ: მე მოვედ თვისსავე სამნოსა, ხოლო იგი დამოჰკიდე ძელსა, და მოკუდა.

14. და მიავლინა ფარაო და მოიყვანა იოსებ საპყრობილისა მისგან. და უკუეცა მას თმაჲ და შეუცვალა მას სამოსელი თვისი, და იყო იგი წინაშე მისსა.

15. და ჰრქუა ფარაო იოსებს: ჩუენებაჲ ვიხილე, და არავინ არს გამომეტყუელ მისა, ხოლო მესმა შენთვის, ვითარმედ: რაჟამს გესმეს ჩუენებაჲ, განჰმარტი.

16. მიუგო იოსებ და ჰრქუა: თუნიერ ღმრთისა ვერ კელ-მეწიფების მიგებად სიტყუაჲ უფლებასა შენსა.

17. და ჰრქუა ფარაო იოსებს: ძილსა შინა ჩემსა ვიხილევდ:

18. აჰა ესერა მე ვდევ მდინარის კიდესა, და ვითარმცა მისგან გამოვიდეს 'შვდნი ზროხანი, 'შუენიერნი ხილვითა, მსუქანენი ჯორცითა და ძოვდეს მდინარის კიდესა მას.

19. და მერმე კუალად სხუანილა 'შვდნი ზროხანი გამოვიდეს შემდგომად მათსა, ხენეშნი და უშუერნი ხილვითა და მკლენი ჯორცითა, რომელნი არასადა მეხილვნეს ეგვბტეს.

20. და შეჰამნეს მათ 'შვდნი იგი ზროხანი კეთილნი და 'შუენიერნი.

21. და არაჲ აჩნდა მუცელსა მათსა, ვითარმცა ეჰამა რაჲ, და ივინი იყვნეს ეგრევე მკლე და უშუერ.

22. და მერმე კუალად ვიხილევდ ჩუენებასა: და აჰა ესერა 'შვდნი თავნი ჯუვილისანი აღმოცენდეს წინაშე [V] ჩემსა, სავსენი და კეთილნი.

23. და მერმე კუალად 'შვდნი თავნი სხუანი კმელნი და შემწუარნი აღმოვიდეს მათ თანავე

24. და შეჰამნეს მათ 'შვდნი იგი თავნი სავსენი და მალენი. და უთხარ ესე ბრძენთა და მზარახვალთა ეგვბტისათა და ვერ შეუძლეს თხრობად ჩემდა.

25. ჰრქუა იოსებ ფარაოს: ჩუენებაჲ შენი, მეფჱ, ორივე ერთი არს, რამეთუ, რომელი ეგულები ღმერთსა, გეჩუენა შენ.

26. 'შვდნი იგი ზროხანი კეთილნი 'შვდნი წელნი არიან.

10. მზარაულთ-]მზარდულთ, მეპურით-. 12. მზარაულთ-]მზარდულთ. 21. მკლმ.

22. კვილისანი.

27. და შვდნი იგი ზროხანიცა, რომელ აღმოვიდეს შემდგომად მათსა მკლენი, შვდნი წელნი არიან,

28. რომელთა შინა იყოს სიყმილი.

29. სიტყუასა, რომელსა გეტყვ შენ, ფარაო, რაჲ-იგი ეგულებს ღმერთსა, გეჩუენა შენ. აჰა ესერა შვდნი წელნი მოვლენან ფრიად ნაყოფიერებისანი ყოველსა ეგვიპტესა.

30. და მოვლენან შემდგომად მათსა სხუანი შვდნი წელნი სიყმილისანი, რომელთა შინა დაივიწყოს ნაყოფიერებაჲ ქუეყანისაჲ სიყმილისაგან, რომელი იყოს შემდგომად მათსა, რამეთუ განსასტიკნეს ფრიად.

32. ხოლო მეორედ დაქცევისათჳს ჩუენებისა მის, რაჲთა უწყოდი, რამეთუ ქეშმარიტ იყოს სიტყუაჲ ესე ღმერთისა მიერ და იწრაფოს უფალმან ყოფად ესე.

33. აწ უკუე იხილე კაცი ბრძენი და მეცნიერი, რომელი დაადგინო ყოველსა ეგვიპტესა,

34. და ყავ ესრე, ფარაო: დაადგინე ადგიდ მთავარი ყოველსა ქუეყანასა და ხუთეული აღიღეთ ყოვლისა ნაყოფისა ეგვიპტისაჲ შვდთა მათ წელთა ნაყოფიერებისათა.

35. და შეკრიბეთ ყოველი საზრდელი შვდთა მათთჳს წელთა მომავალთა, და შეკრიბეთ იფქლი [279] კელსა ქუეშე ფარაოჲსსა, საზრდელი ქალაქთა შინა დაიძარხეთ.

36. ქუეყანისათჳს შვდთა მათთჳს წელთა სიყმილისათა, რომელ ყოფად არიან ქუეყანასა ეგვიპტისასა, და არა მოისრას ქუეყანაჲ სიყმილითა.

37. და სათნო-უჩნდეს სიტყუანი ესე წინაშე ფარაოჲსა და წინაშე ყოველთა მსახურთა მისთა.

38. და ჰრქუა ფარაო მონათა მისთა: ვინაჲ ეპოთ ჩუენ კაცი ესე-ვითარი, რომელსა თანა არს სული ღმერთისაჲ?

39. და ჰრქუა ფარაო იოსებს: გაუწყა შენ ღმერთმან, არავინ არს კაცი სხუაჲ უბრძნჳს შენსა, რომელმანცა გულისხმა-ყო ესრცთ.

40. და აწ შენ იყავ სახლსა ზედა ჩემსა და პირსა შენსა ერჩდეს ერი ჩემი, და არარაჲ იყოს გარეშე შენსა თვნიერ საყდრისა ჩემისა.

41. და ჰრქუა ფარაო იოსებს: აჰა ესერა დაგადგინე შენ ამიერ ღლითგან ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა.

42. და განიძუარცა ფარაო ბეჭედი თჳსი და მისცა იოსებს; და შეჰმოსა მას ბისონი და მანიაკი ოქროჲსაჲ ყელსა მისსა.

43. და აღსუა იგი ეტლთა შემდგომთა მისთა. და უბრძანა ქადაგებად მის წინაშე, ვითარმედ დაადგინა იოსებ მთავრად ფარაო ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა.

44. და ჰრქუა ფარაო იოსებს: მე, ფარაო, გეტყვ შენ, რამეთუ თვნიერ შენსა არავინ აყოს კელი ქუეყანასა ეგვიპტისასა.

45. და უწოდა ფარაო სახელი იოსებს სუნთუფანერეჲ და მისცა მას ასენეჲ, ასული პეტეფრესი, ცოლად მისა მღდელისა მის მზის-ქალაქისაჲ.

46. ხოლო იოსებ იყო ოც და ათის წლის, რაჟამს შევიდა [v] წინაშე მეფისა მის მეგვიპტელთაჲსა. და გამოვიდა იოსებ ფარაოჲსგან და მოვლო ყოველი ეგვიპტჲ.

47. და გამოილო ქუეყანამან ნაყოფი ფრიად შველთა მათ წელთა ნაყოფიერებისათა.

48. და შეკრიბა იოსებ საზრდელი ფრიად შველთა მათ წელთა ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა და დადვა საზრდელი ქალაქსა მას შინა და ველთა ზედა და გარემოჲს ქალაქებისა მის.

49. და შეკრიბა იოსებ იფქლი ვითარცა ქვშაჲ ზღვსაჲ, ვიდრე ვერლარა აღრაცხეს, რამეთუ არა იყო რიცხვ.

50. ხოლო იოსებს ესხნეს ორ ძე ვიდრე მოსლვადმდე წელთა მათ სიყმილისათა, რომელნი უშვნა მას ასენეჲ, ასულმან პეტეფრჲსმან, მღდელისა მზის-ქალაქისამან;

51. და უწოდა სახელი იოსებ პირმშოსა ძესა მისსა მანასე, რამეთუ თქუა: რამეთუ დამავიწყა მე უფალმან ყოველი საღმობაჲ ჩემი და ყოველივე მამისა ჩემისაჲ;

52. ხოლო სახელი მეორისაჲ მის ეფრემ, რამეთუ თქუა: რამეთუ აღმაორძინა მე უფალმან სიმდაბლესა შინა ჩემსა.

თ ა ვ ი 45

1. [142v] რაჟამს გამოეცხადებოდა იოსებ ძმათა თვისთა,
2. აღიმაღლა კმაჲ ტირილით, ესმა ყოველთა მეგვიპტელთა და მიესმა სახლსა ფარაოჲსსა.
3. ჰრქუა იოსებ ძმათა თვისთა: მე ვარ იოსებ. ცოცხალსა არს მამაჲ ჩუენი? და ვერ მიუგეს ძმათა მისთა სიტყუაჲ იოსებს, რამეთუ შეეშინა და შეძრწუნდეს ფრიად.
4. ჰრქუა იოსებ ძმათა თვისთა: მომეახლენით მე. და მიეახლნეს. და ჰრქუა მათ: მე ვარ ძმაჲ თქუენი იოსებ, რომელი მომყოდეთ მე ეგვიპტელ.

5. ხოლო აწ ნუ ჰსწუხთ, ნუცა ფიცხელ გიჩს თქუენ, [რამეთუ] მომყიდეთ მე აქა, რამეთუ ცხოვრებისა თქუენისათჳს მომავლინა მე ღმერთმან წინაშე თქუენსა.

6. რამეთუ ესე მეორცლა წელი არს სიყმილისაჲ ქუეყანასა ზედა, და მერმელა სხუაჲ ხუთი ყოფად არს, რომელსა არა იყოს კნეაჲ, არცა ლეწეაჲ.

7. და მომავლინა მე ღმერთმან წინა თქუენსა, რაჲთა დაშთეს ნეშტი თქუენი ქუეყანასა ზედა გამოზრდად თქუენდა ნეშტად დიდად.

8. ხოლო აწ არა თქუენ მომავლინეთ მე აქა, არამედ ღმერთმან მყო ვითარცა მამაჲ ფარაოჲსი და უფალი ყოველსა ზედა სახლსა მისსა და მთავარ ყოველსა ზედა ეგვიპტესა.

9. იწრაფეთ აწ და აღვედით მამისა ჩემისა და არქუთ მას: ამას იტყჳს ძმ შენი იოსებ: მყო მე ღმერთმან უფალ ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა. შთაშოვედ ჩემდა და ნუ ჰყოვნი.

10. და დაემკვდრე ქუეყანასა გესემისასა, რომელ არს არაბიადსაჲ, და იყავ მახლობელად ჩემსა, შენ და ძენი შენნი და ძენი ძეთა შენთანი, ცხოვარი და ზროხაჲ შენი და რაოდენი-რაჲ არს შენი.

11. და მე გამოგზარდო შენ მუნ. რამეთუ ხუთ წელდა და სიყმილი ყოფად არს, რაჲთა არა მოსწყდეთ შენ და ძენი შენნი და ყოველი მონაგები შენი.

12. აჰა ესერა თუალნი თქუენნი ხედვენ და თუალნი ბენიამენისნი, ძმისა ჩემისანი, რამეთუ პირი ჩემი გეტყჳს [143] თქუენ.

13. უთხართ მამასა ჩემსა ყოველი დიდებაჲ ჩემი ეგვიპტეს შინა, რაოდენი იხილეთ. და ადრე ყავთ და მოიყვანეთ მამაჲ ჩემი აქა.

14. და მოეხვა ქედსა ბენიამენისსა და ტიროდა მას ზედა და ბენიამენ ტიროდა ქედსა ზედა იოსებისსა.

15. და ამბორს-უყოფდა ყოველთა ძმათა თჳსთა და ტიროდა მათ თანა. და ეტყოდეს მას ძმანი მისნი.

16. და მიიწია სიტყუაჲ ესე სახლსა ფარაოჲსსა, და უთხარეს, ვითარმედ: მოსრულ არიან ძმანი იოსებისნი. განიხარა ფარაო და ყოველმან სახლმან მისმან.

17. ჰრქუა ფარაო იოსებს: არქუ ძმათა შენთა, რაჲთა ესრცთ ყონ: აღავსენით ძმანი თქუენნი იფქლითა და წარვედით ქუეყანასა ქანანისასა.

18. და წარმოიყვანეთ მამაჲ თქუენი და მოვედით ჩემდა. და მიგცე თქუენ ყოველი კეთილი ეგვიპტისაჲ და შჳამდეთ თქუენ ტჳწისა ქუეყანისასა.

19. ხოლო შენ ამცენ ესრტთ, რაათა მიიღონ ურმები ქუეყანით ეგვიპტით ყრმათა თქუენთათვს და ცოლთა, და წარმოიყვანეთ მამამ თქუენი და მოვედით ჩემდა.

20. და ნუ პრიდებნ თუალი თქუენი ჰურჰელსა თქუენსა, რამეთუ ყოველი კეთილი ეგვიპტისაჲ თქუენთვს იყოს.

21. და ეგრტთ ყვეს ძეთა ისრაჰლისთა. და მისცა მათ იოსებ ურმები ბრძანებისაებრ ფარაო მეფისა და დაუგო მათ საზრდელი გზასა ზედა.

22. და ყოველთა სცა მრჩობლი სამოსელი, ხოლო ბენიამენს სცა ორასი დრაჰკანი და ხუთი წყვილი თითოფერი სამოსელი.

23. და მამასა მიუძღუანა ეგრტთვე სახედ ათი ვირი, რომლისაგან ეკიდა ყოველი კეთილი, და ათი ჯორი, რომელსა აქუნდა პური საგზლად მამისა თვისისა.

24. და წარგზავნა ძმანი თვისნი, და წარვიდეს. და ჰრქუა მათ იოსებ: ნუ გულს-იწყებთ გზასა ზედა.

25. და აღმოვიდეს ქუეყანით ეგვიპტით და მივიდეს ქუეყანად ქანანისა იაკობისა, მამისა მათისა.

26. და უთხრეს მას და ეტყოდეს, ვითარმედ: ცოცხალ არს ძმ შენი იოსებ და იგი მთავრობს ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა. და განუკრდა გონებასა თვისსა და არა ჰრწმენა მათი.

27. და უთხრობდეს მათ ყოველთა სიტყუათა იოსების მიერ, რომელთა-იგი ეტყოდა მათ. და ვითარცა იხილა ურმებო იგი, რომელი მიუძღუანა იოსებ, რაათა წარიყვანონ იგი, მაშინ განცხოველდა სული იაკობისი, მამისა მათისაჲ.

28. თქუა ისრაჰლ: დიდ არს ესე ჩემდა, უკუეთუ იოსებ, ძმ ჩემი, ცოცხალ არს. მივიდე და ვიხილო ვიდრე სკუდილდ ჩემდადმდე.

თ ა ვ ი 46

1. წარვიდა ისრაჰლი, იგი და ყოველივე მისი, და მოვიდა ჯურღმულსა მას ფიცისასა და შეწირა მსხუერპლი ღმრთისა მამისა თვისისა ისაკისთვს.

2. ჰრქუა ღმერთმან ისრაჰლს ჩუენებასა ღამისასა: იაკობ, იაკობ! ხოლო მან ჰრქუა: აჟა, უფალო.

3. ჰრქუა მას ღმერთმან: მე ვარ ღმერთი მამათა შენთაჲ. ნუ გეშინინ შთასლვად ეგვიპტედ, რამეთუ ნათესავად დიდად გყო შენ.

4. და მე აღმოგიყვანო შენ მიერ სრულიად. და იოსებ დაგასხნეს კელნი თუალთა შენთა.

თ ა ვ ი 48

1. [265] და იყო შემდგომად სიტყვსა მის და უთხრეს იოსებს, ვითარმედ მამაჲ შენი უძრულ არს. და წარმოიყვანა ორნი ძენი მისნი: ეფრემ და მანასე. და მოვიდა იაკობისა.

2. და უთხრეს იაკობს და ჰრქუეს: აჰა ესერა ძმ შენი იოსებ მოვალს შენდა. განძრვილდა [ისრაელ] და დაჯდა ცხედარსა ზედა თვისსა.

3. და ჰრქუა იაკობ იოსებს: ღმერთი ჩემი მეჩუენა მე ლუზას, ქუეყანასა ქანანისასა, და მაკურთხა მე,

4. და მრქუა: აღგაორძინო შენ და გყო შენ ნათესაგად კრებულად, და მიგცე შენ ქუეყანაჲ ესე და ნათესავსა შენსა შემდგომად შენსა სამკვდრებელად საუკუნოდ.

5. აწ ორნი ესე ძენი შენნი, რომელნი გისხენ შენ ეგვიპტეს, ჩემნი არიან. ეფრემ და მანასე, ვითარცა რუბენ და სჰემონ, იყვნეს ჩემდა.

6. ხოლო შეილის შეილ, რომელ გესხნენ, შენდა იყვნენ, და სახელითა ძმათა შენთაჲთა იწოდნენ ნაწილსა მათსა.

7. მე რაჲამს მოვიდოდე შუამდინარით ასურეთისაჲთ, მოკუდა რაქელ, დედაჲ შენი, ქუეყანასა ქანანისასა; ვითარ მოვიწიე ცხენთ-სარბიელსა მას ქუეყანასა მას ქაფრათაჲსასა, მისლვად ეფრათად, დავჰფალ იგი გზასა ზედა ცხენთ-სარბიელსა, ესე იგი არს ბეთლემი.

თ ა ვ ი 50

15. [290] ვითარცა იხილეს ძმათა იოსებისთა, რამეთუ აღესრულა მამაჲ მათი, თქუეს: ნუჲკუე ძვრი მოიკსენოს ჩუენთვის იოსებ და მოგუაგოს მოსაგებელი ჩუენი ყოვლისა მისთვის ბოროტისა, რომელი უყავთ მას?

16. და მოვიდეს იოსებისა [v] და ჰრქუეს: მამამან შენმან გაფუცა შენ ვიდრე აღსრულებადმდე მისა,

17. და გრქუა: ძვრი მიუტევე, ურჩულოებანი და შეცოდებანი მათნი, რამეთუ ბოროტი გიყვეს შენ. აწ თავს-იდეჲ შეცოდებაჲ მსახურთა მამისა შენისათაჲ. და ტიროდა იოსებ სიტყუასა მას მათსა ზედა.

18. და მოუკდეს და ჰრქუეს მას: ჩუენ მონანი შენნი ვართ.

19. და ჰრქუა მათ იოსებ: ნუ გეშინინ თქუენ, რამეთუ ღმრთისაჲ ვარო მე.

20. თქუენ ზრახეთ ჩემთვის ბოროტი, ხოლო ღმერთმან განმზადა კეთილი, რაჲთა იყოს ვითარცა-ესე დღეს, რაჲთა გამოიზარდოს ერი მრავალი.

21. და ჰრქუა მათ: ნუ გეშინინ, მე გამოგზარდნე თქუნ და სახლნი თქუნნი. და ნუგეშინის-სცა მათ და ეტყოდა გულისაებრ მათისა.

22. და დაემკვდრა იოსებ ეგვბტეს, იგი და ძმანი მისნი და ყოველი სახლი მამისა მათისაჲ. და ცხონდა იოსებ ას და ათ წელ.

23. და იხილნა იოსებ ყრმანი ეფრემისნი მესამედ ნათესავად, და ძენი მაჭირისნი, ძისა მანასესნი, რომელნი განიბოხნეს წიაღთა იოსებისთა.

24. ეტყოდა იოსებ ძმათა თვსთა და ჰრქუა მათ: მე მოვკუდები; მოხედვით მოხედვა ყოს ღმერთმან და განგიყვანნეს თქუნ ამიერ ქუეყანით ქუეყანასა მას, რომლისათჳს ეფუცა უფალი მამათა ჩუნთა: აბრაჰამს, ისაკს და იაკობს.

25. და აფუცა იოსებ ძეთა ისრაჲლისათა და ჰრქუა: მოხედვასა მას, ოდეს მოგხედოს თქუნ ღმერთმან, თანა-აღიხუნით ძუალნი ჩემნი თქუნ თანა. და აღესრულა იოსებ ას და ათისა წლისაჲ. და დაეფლა იგი საფლავსა ეგვბტეს შინა.

გ ა მ ო ს ლ ვ ა თ ა დ

თ ა შ ი 1

1. [43v] ესე სახელები არს ძეთა ისრაჲლისათაჲ, რომელნი შევიდეს ეგვიპტედ იაკობის თანა, მამისა მათისა, თითოეული ყოვლითურთ სახლით მათით:

2. რუბენ, სუმეონ, ლევი, იუდა,

3. იზაქარ, ზაბულონ,

4. დან, გად, ნეფთალემ, ასერ, ბენიამენ.

5. ხოლო იოსებ იყო-ვე ეგვიპტეს. ყოველი სული იაკობისგანი სამეოც და ათხუთმეც.

6. აღესრულა იოსებ და ყოველნი ძმანი მისნი და ყოველი ნათესავი პირველი.

7. ხოლო ძენი ისრაჲლისანი აღორძნდეს, განმავლდეს და ძრიელ იყვნეს, რამეთუ განამრავლებდა მათ ქუეყანაჲ იგი ფრიად.

8. აღდგა მეფე სხუაჲ ეგვიპტეს, რომელმან არა იცოდა იოსები,

9. და ჰრქუა ნათესავსა თვისსა: აჰა ესერა ნათესავი ესე ძეთა ისრაჲლისათაჲ გამრავლებულ არს ფრიად და ძრიელ არიან უფროჲს ჩუენსა.

10. [44] მოვედით და ვიზრახოთ მათ ზედა, რაჲთა ნუუკუე გამრავლდენ. და რაჲმს შეგუემბოხოს ჩუენ ბრძოლაჲ, შეერთნენ იგინი მტერთა ჩუენთა და გუბრძოდინ¹ ჩუენ და ესრჱთ განვიდენ ქუეყანით ჩუენით.

11. და დაადგინნა მათ [ზედა] ზედა-მდგომელნი საქმისანი, რაჲთა ბოროტსა უყოფდენ საქმითა; და უშჱნნენ ქალაქნი ძრიელნი ფარაოს: პითონი და რამესი [და ონი], რომელ არს მზის-ქალაქი.

12. და რაოდენ-იგი დაამდაბლებდა მათ, ესენი უფროჲს განძრავდებოდეს, და სძაგდეს შეგვიპტელთა მათ ძენი ისრაჲლისანი.

13. და მსძღავრობდეს...

14. და აპირებდეს ცხოვრებასა მათსა საქმითა ფიცხელითა თიჯისა

1,4. ლეფთალემ. 5. ეგვიპტეს. 8. ეგვიპტეს. 10. ნუქუე. 11. უშჱნნეს, რამოსი, პითონი)ფასონი.

¹ ასეა.

და აღიზისადათა და ყოვლითა საქმითა ველისადათა და ყოველსავე საქმესა მათსა, რომლითა დაიმონებდეს მათ სასტიკებითა.

15. და ჰრქუა მეფემან ყრმისა-ამქუმელთა მათ ებრაელთა[სა], სახელი ერთისაჲ მის სეფორა და მეორისა მის ფუა:

16. რაჟამს აღიქუმიდეთ ყრმებსა მას ებრაელთასა, უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით; უკუეთუ ქალი იყოს, განარინით.

17. ხოლო ყრმისა-ამქუმელთა მათ ეშინოდა ღმრთისა და არა ყვეს ეგრე, ვითარცა უბრძანა მათ მეფემან ეგვიპტისამან, და აცხოვნებდეს ყოველსა წულსა.

18. მოუწოდა ფარაო, მეფემან ეგვიპტისამან, ყრმისა-ამქუმელთა მათ და ჰრქუა: რადსათვის ჰყავთ საქმე ესე და აცხოვნებთ წულსა?

19. ჰრქუეს ყრმისა-ამქუმელთა მათ ფარაოს: არა ვითარ დედანი ეგვიპტელთანი ეგრეთ დედანი ებრაელთანი არიან, რამეთუ შვიან-ღა პირველად ვიდრე შესლვადმდე ჩუენდა და მაშინღა შემიწოდედ ჩუენ.

20. კეთილსა უყოფდა ღმერთი ყრმისა-ამქუმელთა მათ და განძრიელდებოდა ფრიად.

21. ხოლო ეშინოდა ყრმისა-ამქუმელთა მათ, და იქმნეს თავისა მათისა სახლები.

22. უბრძანა ფარაო ყოველსა მას ერსა თვისსა და ჰრქუა: [v] ყოველსა წულსა, რაოდენსა შობდენ ებრაელნი, მდინარესა შთაბნევიდით.

თ ა ვ ი 2

1. იყო ვინმე ტომისაგან ლევისი, და მოიყვანა მან ასულთაგან ლევითა, და იყო იგი მისა ცოლად.

2. და მიუდგა და შვა ძმ. და ვითარცა იხილეს ყრმაჲ იგი მკვრცხედ, ჰმალვიდეს მას სამ თთუე.

3. და ვითარ ვერ ეძლო დამალვად მისა, მოიღო დედამან მისმან კიდობანაკი და მოკირა შინადათ, გარშთ კირითა, ნაფთითა და ფისითა და შთადგა ყრმაჲ იგი მას შინა და დადგა იგი წყურნობოანსა (l) შინა.

4. და ხედვითა დაჲ მისი შორით, რადთა ცნას, რა-ძი შეემთხვოს მას.

5. შთავიდა ასული ფარაოჲსი ბანად მდინარესა მას, და შიმუნვარნი მისნი თანა-უფილოდეს მას ამიერ და იმიერ მდინარის კიდესა მას. მიხედა და იხილა კიდობანაკი იგი მწყურნობოანსა მას შინა და მიავლინა შიმუნვარი თვისი და მოიღო იგი.

6. აღალო მას და იხილა ყრმაჲ იგი, რამეთუ ტირიდა კიდობანაკსა

მას შინა, და განარინა იგი ასულმან ფარაოხსმან და თქუა: ყრმათაგან ებრაელთა არს ესე.

7. ჰრქუა დედის დამან მის ყრმისამან: გნებავსა, დედუფალო, რაჲთა მოუწოდი დედაკაცსა მზარდულსა ებრაელთაგანსა და გიწოებდეს ყრმისა მაგას?

8. ჰრქუა ასულმან ფარაოხსმან: გუაღე, წარვედ და მოუწოდე. და მოუწოდა დედასა მის ყრმისასა.

9. და ჰრქუა ასულმან ფარაოხსმან: დამიმარხე ყრმაჲ ეგე და მიწოებდ მაგას და მიგცე სასყიდელი შენი. და მიიყვანა დედამან მისმან ყრმაჲ იგი და აწოებდა მას.

10. და ვითარცა აღორძნდა ყრმაჲ იგი, მოჰგუარა ასულსა ფარაოხსსა, და იყო იგი მისა ძეგ, და უწოდა მას სახელი მისი მოსე, რამეთუ წყლისაგან გამოვიდე ეგე.

11. და იყო, დღეთა მრავალთა განმწკსნა მოსე და გამოვიდა ძმათა თუსთა თანა ძეთა ისრაჲლისათა და იხილა საღმრთაჲ იგი მათი და შრომაჲ. მიხედა და იხილა მეგვპტელი, რომელი [45] სცემდა კაცსა ებრაელსა ძმათა მისთაგანსა ძეთა ისრაჲლისათა.

12. ხოლო მან მიმოიხილა აქა და იქი და არავინ იხილა, სცა და მოკლა მეგვპტელი იგი და დაჰფლა ქვშასა.

13. მერმე კუალად გამოვიდა მეორესა დღესა და იხილნა ორნი კაცნი ებრაელნი, რომელნი იბრძოდეს, და ჰრქუა მათ: კაცნო, თქუენ ძმანი ხართ, რაჲსა ავნებთ ურთიერთას.

14. ხოლო რომელი-იგი ავნებდა მოყუასსა, აჰენა მას და ჰრქუა: ვინ დაგადგინა შენ მთავრად და მსაჯულად ჩუენ ზედა? ანუ მოკლავა-ცა ჩემი გნებას, ვითარცა მოჰკალ გუშინ მეგვპტელი იგი? შეეშინა მოსეს და თქუა: უკუეთუ ესრეთ განცხადნა სიტყუაჲ ესე?

15. ესმა ფარაოს საქმე ესე და ეძიებდა მოკლვად მოსესა. ივლტო-და მოსე პირისაგან ფარაოხსისა. წარვიდა და დაეშენა ქუეყანასა მას მადიამისასა და დაჯდა იგი ჯურღმულსა მას წყლისასა.

16. ხოლო ქურუმსა მას მადიამისასა ესხნეს შვდ ასულ და მწყსი-დეს იგინი ცხოვართა იოთორის მამისა მათისათა.

17. მოვიდეს მწყემსნი იგი და წარასხნეს ცხოვარნი იგი. აღდგა მოსე და განარინნა მწყემსთა მათგან და აღმოუესო მათ წყალი იგი და ასუა ცხოვართა მათთა.

18. და შე-რაჲ-ვიდეს იგინი რაჲუელისა, მამისა მათისა, ჰრქუა მათ: რაჲსა იწრაფეთ მოსლვად დღეს?

19. ხოლო მათ ჰრქუეს: კაცმან ვინმე მეგვბტელმან განმარინნა ჩუენ მწყემსთაგან და გვსუა წყალი საცხოვართა ჩუენთა.

20. ხოლო მან ჰრქუა: აწ სადა არს? და რაესათვს დაუტევეთ გარე? მოუწოდეთ კაცსა მას და ჭამოს პური ჩუენ თანა.

21. და დაემკვდრა მოსე კაცისა მის თანა და მისცა მას სეფორაჲ, ასული თვისი, ცოლად.

22. და მიუდგა დედაკაცი იგი და შვა ძმ და უწოდა სახელი მისი გერსამ, რამეთუ თქუა: მწირ ვარი მე ქუეყანასა უცხოსა. ხოლო სახელი მეორისაჲ მის ელიაზარ, რამეთუ ღმერთი მამისა ჩემისაჲ შემეწია მე და კელთაგან ფარაოჲ [v]სთა მივსნა მე.

23. [65v] შემდგომად დღეთა მათ აღესრულა მეფე იგი მეგვბტელთაჲ, და სჭირდა ძეთა ისრაჴლისათა საქმითა თივისაჲთა და აღიზისაჲთა, და იწყეს ღალადებად და ურვად უფლისა მიმართ.

24. და ესმა უფალსა სულთქუმჲა იგი მათი, რომლითა აჭირვებდეს მეგვბტელნი იგი. და მოექსენა უფალსა აღთქუმჲა იგი თვისი აბრაჴამისა მიმართ, ისაკისა და იაკობისა,

25. და მოხედა უფალმან ძეთა ისრაჴლისათა და გამოეცხადა მათ.

თ ა ვ ი 3

1. და მოსე მწყსიდა ცხოვართა იოთორისთა, სიმამრისა თვისისათა, ქურუმთ მოძღურისა მის მადიაშელთაჲსა. წარასხნა ცხოვარი თვისი და წარვიდა უდაბნოდ და აღვიდა მთასა მალალსა ქორებს.

2. და ეჩუენა მას ანგელოზი უფლისაჲ აღითა ცეცხლისაჲთა მაყულოვანიტ გამო და იხილა, რამეთუ მაყუალი იგი აღადყდების ცეცხლითა და არა შეიწუების.

3. თქუა მოსე: წარვიდე და ვიხილო ხილვაჲ ესე დიდი, რამეთუ არა დაიწუების მაყუალი იგი.

4. ვითარცა იხილა, რამეთუ მივალს ხილვად მისა, უწოდა უფალმან მაყლოვანიტ გამო და ჰრქუა: მოსე! ხოლო მან ჰრქუა: [66] რაჲ არს, უფალო ღმერთო?

5. და ჰრქუა უფალმან მოსეს: ნუ მოეახლები აქა, წარიკადენ კამლნი ფერკთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, ქუეყანაჲ წმიდაჲ არს.

6. და ჰრქუა მას: მე ვარ ღმერთი მამისა შენისაჲ, ღმერთი აბრაჴამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი. გარე-მიიქცია პირი მისი მოსე, რამეთუ ეშინოდა მიახლებად წინაშე უფლისა.

7. ჰრქუა უფალმან მოსეს: ხილვით ვიხილე ძკრი ერისა ჩემისაჲ, რომელ არს ეგვპტეს, და ლაღადებაჲ მათი მესმა საქმის მაწუთვეელთა მათთაგან, რამეთუ ვიხილე ჴირი იგი მათი.

8. და გარდამოგვედ განრინებად მათა ჴელთაგან მტერთა მათთაჲსა; და გამოყვანებად მათა მიერ ჴუეყანით და შევიყვანნე იგინი ჴუეყანასა მას კეთილსა და ფრიადსა, ჴუეყანასა, რომელსა გამოდის სძმ და თაფლი, ადგილსა მას ჴანანელთასა და ფერეზელთასა, ეველთასა და გერგესეველთასა, იობოსელთასა და ჴეტელთასა.

9. და აწ ლაღადებაჲ ძეთა ისრაჴლისათაჲ მოიწევის ჩემდა და მე ვიხილე ჴირი იგი მათი და სულთქუმანი მათნი, რომელსა აჴირვებენ მათ მეგვპტელნი იგი.

10. აწ მოვედ და მიგავლინო შენ ფარაო მეფისა მეგვპტელთაჲსა, და გამოიყვანე ერი ჩემი, ძენი ისრაჴლისანი, ჴუეყანით ეგვპტით.

11. და ჰრქუა მოსე უფალსა: ვინ ვარ მე, რამეთუ მივიდე ფარაო მეფისა მეგვპტელთაჲსა და გამოვიყვანნე ძენი ისრაჴლისანი ჴუეყანით ეგვპტით?

12. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა, რამეთუ: მე ვიყო შენ თანა და ესე იყავნ სასწაულად შენდა, რამეთუ მე მიგავლინო შენ, რაჲთა გამოიყვანო ერი ჩემი ჴუეყანით ეგვპტით, რაჲთა მსახურებდენ ღმერთსა მთასა ამას.

13. ჰრქუა უფალსა მოსე: აჴა [v] ესერა მე მივიდე ძეთა ისრაჴლისათა და ვჰრქუა მათ: ღმერთმან მამათა თქუენთამან მომავლინა მე თქუენდა, და მკითხვიდენ ღათუ და მრქუან: რაჲ არს სახელი მისი, რაჲ ვჰრქუა მათ?

14. ჰრქუა მას უფალმან: მე ვარ, რომელი ვარ. და ჰრქუა: ესე არქუ ძეთა ისრაჴლისათა: რომელი-იგი არს, მან მომავლინა მე თქუენდა.

15. მერმე კუალად ჰრქუა უფალმან მოსეს: ესრე არქუ ძეთა ისრაჴლისათა: უფალმან ღმერთმან მამათა თქუენთამან მომავლინა მე თქუენდა, ღმერთმან აბრაჴამისმან, ღმერთმან ისაკისმან და ღმერთმან იაკობისმან. ესე არს სახელი ჩემი საუკუნოჲ და საცსენებელი ჩემი თესლითი თესლადმდე.

16. მივედ და შეკრიბენ მოხუცებულნი ძეთა ისრაჴლისათანი და არქუ მათ: უფალი ღმერთი მამათა ჩუენთაჲ მეჩუენა ჩუენ, ღმერთი აბრაჴამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი და თქუა: მოხედვით მოგხედო შენ ბოროტის ყოფისათვს მეგვპტელთაჲსა.

17. და შევიყვანნე ჴუეყანასა მას ჴანანელთასა და ჴეტელთასა, ფე-

რეზელთასა და ეველთასა, გერგესეველთასა და იობოსელთასა და ამორეველთასა, ქუეყანასა, რომელსა გამოდის სძჳ და თაფლი.

18. ისმინონ ჳმისა შენისაჲ, და შეხვდე შენ და მოხუცებულნი ძეთა ისრაჳლისათანი შეფისა მეგვპტელთაჲსა და ჰრქუა მას: უფალი ღმერთი ებრაელთაჲ მიწესს ჩუენ, განვიღეთ სამისა დღისა გზასა უდაბნოსა ზედა, რაჲთა მსხუერპლი შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

19. ხოლო მე ვიცი, რამეთუ არა განგიტევენეს მეფემან მეგვპტელთამან განსლვად, უკუეთუ მე არა კელითა მტკიციტა და მკლავითა ჳაღლითა.

20. განვირთხა კელი ჩემი მათ ზედა და [67] დავსცე ეგვპტეჲა ზედა ყოვლითა საკვრველებითა, რომელი ვყო მათ შორის; და მისა შემდგომად განგიტევენეს თქუენ.

21. და მოვსცე მადლი ერსა ჩემსა წინაშე მეგვპტელთა; ხოლო რაჲჲმს გამოხვდოდით, არა გამოხვდეთ ცარიელნი;

22. არამედ ითხოვენ დედაკაცმან მოძმისაგან თვისისა და თანა-მოკარვისაგან თვისისა ქურჭელი ოქროჲსა და ვეცხლისაჲ და სამოსელი და გამოტყუენენით მეგვპტელნი იგი; და შეჳმოსეთ იგი ძეთა და ასულთა თქუენთა.

თ ა ვ ი 4

1. მიუგო მოსე უფალსა და ჰრქუა: უკუეთუ არა ჰრწმენეს ჩემი, არცა ისმინონ ჳმისა ჩემისაჲ, რამეთუ მრქუან მე: არა გეჩუენა უფალი, რაჲ ვჰრქუა მათ?

2. ჰრქუა უფალმან მოსეს: რაჲ არს ეგე კელთა შენთა? ხოლო მან ჰრქუა: კუერთხი.

3. ჰრქუა მას უფალმან: მიაგდე ეგე ქუეყანასა. და მიაგდო იგი ქუეყანასა, და იჳმნა იგი გუელ; და ჰილტოდა მოსე მისგან.

4. ჰრქუა უფალმან მოსეს: მიყავ კელი შენი და უჰყარ ბოლოჲ მაგისი. და მან მიყო კელი მისი და უჰყრა ბოლოჲ მისი, და იჳმნა იგი კუერთხვე კელთა შინა მისთა.

5. რაჲთა ჰრწმენეს შენი, ვითარმედ გეჩუენა შენ ღმერთი მამათა შენთაჲ, ღმერთი აბრაჳმისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი.

6. მერმე კუალად ჰრქუა მას უფალმან: შეყავ კელი შენი უბეთა შენთა. და მან შეყო კელი მისი უბეთა მისთა. და გამოიღო კელი

21. მეგვიპტელთა.

4,2. მოსტს. 3. მოსტ. 4. მოსტს.

უბეთაგან თვსთა, და იქმნა კელი მისი ვითარცა თოვლი სპეტაკ.

7. ჰრქუა მას უფალმან: შეყავ კელი შენი უბეთა შენთა. და მან შეყო კელი უბეთა მისთა და გამოიღო კელი უბეთაგან თვსთა და კულად მოეგო ფერსავე კორცთა მისთასა.

8. ჰრქუა მას უფალმან: უკუეთუ არა ჰრწმენეს შენი, არცა ისმინოს სასწაულისა მის პირველისაჲ, [v] ისმინონ კმისა შენისაჲ სასწაულისა მისგან მეორისა.

9. უკუეთუ არა ისმინონ შენი ორთავე ამათ სასწაულთაგან, არცა ისმინონ კმისა შენისაჲ, მოიღო წყალი მდინარისაგან და დასთხიო იგი კმელსა, და იყოს იგი სისხლ ქუეყანასა ზედა.

10. და ჰრქუა მოსე: გევედრები, უფალო, ვერ მეტყუელ ვარ გუშინდითგან და ძულუანდითგან, არცა ვინაჲთგან იწყე სიტყუად მონისა შენისა.

11. ჰრქუა უფალმან მოსეს: ვინ მოსცა კაცსა პირი? ანუ ვინ შექმნა მსმენელი და ყრუჲ, მეტყუელი და ბრმაჲ და მხედველი? ანუ არა მე, უფალმან?

12. ხოლო აწ წარვედ და მე აღვადო პირი შენი, რასა იტყოდნი.

13. და ჰრქუა მოსე: გევედრები, უფალო, სხუაჲ ვინ გამოირჩიე, რომელი მიავლინო შემძლებელი.

14. და განრისხნა უფალი გულის-წყრომით მოსეს ზედა და ჰრქუა: ანუ არა ეგერა აპრონ, ძმაჲ შენი ლევიტელი? ვიცი, რამეთუ სიტყუთ გეტყოდის შენ იგი. და აჰა ეგერა გამოგეგებვოდის შემთხუევად შენდა, გიხილოს შენ და განიხაროს გულსა მისსა.

15. და შენ უთხრა მას და მისცნე სიტყუანი ჩემნი პირსა მისსა, და მე აღვადო პირი შენი და პირი მისი და გასწაო თქუენ, რაჲ ჰყოთ.

16. და იგი ეტყოდის შენ წილ ერსა მას და იგი იყოს პირ შენდა და შენ ეყავ მას ღმრთისა მიმართ.

17. და კუერთხი ესე მიიღე კელთა შენთა, რომლითა იქმოდი სასწაულესა.

18. წარვიდა მოსე და მიიქცა იოთორისა, სიმამრისა თვსისა, და ჰრქუა მას: წარვიდე და მივიქცე ძმათა ჩემთა, რომელნი არიან ეგვპტეს, და ვიხილნე, ვითარ-ძი ცოცხლებით არიან. და ჰრქუა იოთორ მოსეს: ვადოდე ცოცხლებით. [85] და შემდგომად დღეთა მათ აღეპრულა მეფე იგი მეგვპტელთაჲ.

19. და ჰრქუა უფალმან მოსეს მადიამს შინა: გუალე, წარვედ შენ ეგვპტედ, რამეთუ მოწყდეს ყოველნი, რომელნი ეძიებდეს სულსა შენსა.

20. ხოლო მოსე წარიყვანა ცოლი თვისი და ყრმანი მისნი და დასხნა კარაულსა და მიიქცა ეგვიპტედ, და მოილო მოსე კუერთხი იგი ღმრთისა მიერ კელითა თვისითა.

21. და ჰრქუა უფალმან მოსეს: მი-რად-ხვდოდი შენ და მიიქცე ეგვიპტედ, იხილე, ყოველი ნიშები, რომელი [v] მივეც კელსა შენსა, ჰქმნე იგი წინაშე ფარაოჲსა. ხოლო მე განვაფიცხო გული ფარაოჲსი, და არა გამოუტეოს ერი იგი.

22. ხოლო შენ არქუ ფარაოს: ამას იტყვს უფალი: ძმ ჩემი პირმშოჲ — ისრაჲლი.

23. გამოუტევე ერი ჩემი, რადთა მსახურებდენ მე. ხოლო [უკუეთუ] შენ არა ინებო გამოვლინებაჲ მათი, იხილე, ნუუკუე მოვკლა ძმ ეგე შენი პირმშოჲ.

24. და იყო, გზასა ზედა სავანესა მას შემთხვა ანგელოზი უფლისაჲ, ეგულებოდა მოკლეჲ მისი.

25. და მოილო სეფორა ქარსი და წინადასცთა ძესა თვისსა და შეურდა ფერკთა თვისთა და თქუა: დადგა სისხლი წინადაცუეთისა ძისა ჩემისაჲ.

26. და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: დადგა სისხლი წინადაცუეთისა ყრმისა ჩემისაჲ.

27. და ჰრქუა უფალმან აპრონს: განვედ შემთხუევად მოსცსა უდაბნოდ. და განვიდა შემთხუევად მისა მთასა მას ღმრთისასა და ამბორს-უყო მას.

28. და უთხრნა მოსე ყოველნი ესე სიტყუანი უფლისანი, რომლისათვის მოავლინა, და ყოველნი სასწაულნი, რომელნი ამცნო¹ მას.

29. მოვიდეს მოსე და აპრონ და შეკრიბნეს მოხუცებულნი ძეთა ისრაჲლისათანი.

30. და ეტყოდა აპრონ ყოველთა სიტყუათა, რომელთა ეტყოდა ღმერთი მოსეს, და ჰმნა სასწაულები წინაშე ერისა მის.

31. და ჰრწმენა ერსა მას და განიხარეს, რამეთუ მოხედა უფალმან ძეთა ისრაჲლისათა და იხილა ჳირი იგი მათი. და მოდრკა ერი იგი და თაყუანის-სცეს უფალსა.

20. მოსშ (1;2) 21. მოსშს. 23. ინებე. 25. სეფორა. 28. მოსშ. 30. მოსშს.

¹ ასეა.

თ ა შ ი 5

1. და ამისა შემდგომად მოვიდეს მოსე და აპრონ წინაშე ფარაოხსა და პრეტეს მას: ამას იტყვს უფალი ღმერთი ისრაჲლისაჲ: გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდნენ მე უდაბნოსა ზედა.

2. და პრეტუა ფარაო: ვინ არს უფალი, რომლისაჲ ვისმინო წმისა მისისაჲ. რაჲთამცა განუტევენ ძენი ისრაჲლისანი? არა ვიცი უფალი და ისრაჲლი მე არა განუტეო.

3. პრეტეს მას: ღმერთი ებრაელთაჲ მიწესს ჩუენ, განვიდეთ სამინაღლისა გზასა, რაჲთა შევწიროთ მსხუერპლი უფლისა ღმრთისა ჩუენისა, ნუუკუე შეგუემთხვოს ჩუენ სიკუდილი [86] ანუ მახვლი.

4. პრეტუა მათ ფარაო, მეფემან მეგვიტელთამან: რაჲსათვს, მოსე და აპრონ, გარდააქევეთ ერსა ჩემსა საქმისაგან? წარვედით კაცად-კაცადი საქმესა თვისსა.

5. და თქუა ფარაო: აჰა ესერა განმრავლებულ არს ერი ესე ქუეყანისაჲ. ნუუკუე დავაცადოთ მათ საქმისაგან.

6. და ბრძანა ფარაო საქმის მაწუეველთა მათ და მწიგნობართა:

7. არღარა შესძინოთ მიცემად ბზმ ალიზისა საქმესა, ვითარ-იგუეშინდელსა და ძულუანდელსა ღლესა, იგინი წარვიდენ და შეკრიბონ თავისა თვისისა ბზმ,

8. დაწესებული იგი ალიზისა საქმისაჲ, რომელსა იქმედ ღლით ღლედ, დაასდვათ მათ, ნურარას დააკლებთ; რამეთუ სცალს და მის გამო დაღადებენ და იტყვან: განვიდეთ და შევწიროთ მსხუერპლი უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

9. და დაამძიმეთ საქმს ეგე კაცთა მათ და ზრუნვიდენ მას, და ნუ ზრუნვენ სიტყუათა ცუდთა.

10. და ასწრაფებდეს საქმის მაწუეველნი იგი და მწიგნობარნი ერსა მას და პრეტეს: ამას იტყვს ფარაო: არღარა გეცეს თქუენ ბზმ.

11. და წარვედით და შეკრიბეთ თავისა თქუენისა ბზმ, სადაცა ჰპოოთ, და არა დააკლოთ დაწესებული თქუენი არცა ერთი.

12. და განიბნია ერი იგი ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა შეკრებად წუელისა ბზედ.

13. ხოლო საქმის მაწუეველნი იგი ასწრაფებდეს და ეტყოდეს: აღასრულეთ საქმს თქუენი დაწესებული, ვითარცა-იგი ოდეს ბზმ გეცემოდა.

14. და იტანჯნეს მწიგნობარნი იგი ძეთა ისრაჲლისათანი, რომელნი იყვნეს დადგინებულ მათ ზედა მაწუეველთა მათგან ფარაოხსთა, და

ეტყოდეს: რად არა აღასრულეთ წესი იგი ალიზისაჲ, ვითარცა-იგი გუშინ და ძულუან, ეგრევე დღეს?

15. შევიდეს მწიგნობარნი იგი ძეთა ისრაჲლი[ვ]სათანი წინაშე ფარაოჲსა, დაღებდეს და ეტყოდეს: რაჲსათჳს ესრჳთ უყოფ მონათა შენთა?

16. ზხესა არა გუცემენ და ალიზსა მასვე გუეტყუედ საქმედ? და აჰა ესერა მონანი შენნი ტანჯულ არიან; ავნებ ერსა შენსა.

17. ჰრქუა მათ ფარაო: გცალს და მოცალე ხართ და მისთვის იტყვთ: განვიდეთ და ვმსახუროთ უფალსა ღმერთსა ჩუენსა.

18. ხოლო აწ წარვედით და იქმოდეთ, რამეთუ ბზმ არა გეცეს თქუენ და დაწესებული იგი ალიზისაჲ მომცეთ მე.

19. და ვითარცა იხილნეს მწიგნობართა მათ ძეთა ისრაჲლისათა თავნი თჳსნი ბოროტსა შინა, იტყოდეს რაჲ: არა დააკლოთ განწესებული იგი ალიზი დღისაჲ,

20. შეემთხვნეს მოსეს და აჰრონს, მო-რაჲ-ვიდოდეს შემთხუეჲად, ვითარცა გამო-ოდენ-სრულ იყვნეს ფარაოჲსგან.

21. და ჰრქუეს მათ: იხილენ თქუენი უფალმან და საჯენ, რამეთუ საძაგელ ჰქმნენით სულნელებანი ჩუენი წინაშე ფარაოჲსა და წინაშე მსახურთა მისთა მიცემად მახვლი კელთა მათთა და მოკლედ ჩუენდა.

22. მიაქცია მოსე უფლისა და ჰრქუა: უფალო, რად ბოროტი უყავ ერსა მას, რაჲსათჳს მომავლინე?

23. ვინაჲთგან მოვედ ფარაოჲსა სიტყუად მისა სახელითა შენითა, ბოროტსა უყოფენ ერსა მას და არა მოიჯსენე ერი შენი.

თ ა ვ ი 6

1. და ჰრქუა უფალმან მოსეს: იხილე, რაჲ უყო მე ფარაოს, რამეთუ კელითა მტკიცითა გამოვიყვანნე მე იგინი ქუეყანით ეგვიპტით.

2. ეტყოდა ღმერთი მოსეს და ჰრქუა: მე ვარ უფალი,

3. რომელი ვეჩუენე აბრაჰამს, ისაკს და იაკობს, ღმერთი ვარი მათი, და სახელი ჩემი უფალ არს, არა ვაუწყე მათ.

4. და დავამტკიცე აღთქუმაჲ ჩემი მათა მიმართ მიცემად მათა ქუეყანაჲ იგი ქანანისაჲ, რომელსა ზედა მწირობდეს, [რომელსა იყოფოდეს] მას ზედა.

5. და მესმნეს სულთქუმანი იგი ძეთა ისრაჲლისათანი, ვითარ-იგი მეგვიპტელნი დაიმონებდენ მათ, და მო[87]ვიცსენე აღთქუმაჲ იგი თქუენი.

16. გუეტყუედ. 17. მოცალმ. 20. მოსმს. 22. მოსმ.

მ. 1. მოსმს, ეგვიპტით. 3. მოსმს.

6. მივედ და არქუ ძეთა ისრაჲლისათა: მე ვარ უფალი და გამოგყვანე თქუენ მძლავრებისაგან მეგვპტელთაჲსა და გიჯსნე თქუენ კირთებისაგან მათისა და განგარინე თქუენ მკლავითა მალღრთა და სასჯელითა დიდითა.

7. და ვიყო მე თქუენდა ღმრთად და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, რომელმან გამოგყვანე თქუენ მძლავრებისაგან მეგვპტელთაჲსა.

8. და შეგიყვანე თქუენ ქუეყანასა მას, რომელსა განვირახ კელი ჩემი მიცემად იგი აბრაჰამსა, მიგცე თქუენ იგი ნაწილად მე. უფალმან.

9. ეტყოდა მოსე ძეთა ისრაჲლისათა ესრეთ, და არა ისმინეს მისი სულმოკლეობისაგან მათისა და საქმეთა ფიცხელთა.

10. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა:

11. მივედ და ეტყოდე ფარაო მეფესა, რაჲთა გამოუტყვენეს ძენი ისრაჲლისანი ქუეყანით ეგვპტით.

12. იტყოდა მოსე წინაშე უფლისა და თქუა: აჰა ესერა ძეთა ისრაჲლისათა არა ისმინეს ჩემი და ვითარ ისმინოს ჩემი ფარაო, რამეთუ უტყუ ვარ?!

13. და ჰრქუა უფალმან მოსეს და აჰრონს და უბრძანა ფარაოჲსა მიმართ, მეფისა მეგვპტელთაჲსა, რაჲთა გამოიყვანენ ძენი ისრაჲლისანი ქუეყანით ეგვპტით.

29. [104] და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: მე ვარ უფალი; ეტყოდე ფარაოს, რაოდენსა გეტყოდი მე შენ.

30. და თქუა მოსე: აჰა ესერა მე კმა[v]-წულილ ვარ. ვითარ ისმინოს ჩემი ფარაო?

თ ა ვ ი 7

1. და ჰრქუა უფალმან მოსეს: აჰა ეგერა მიგეც შენ ღმრთად ფარაოს, და აჰრონ, ძმაჲ შენი, იყოს შენდა წინაჲსწარმეტყუელ.

2. შენ ეტყოდე, რაოდენსა მე გამცნებ შენ, და აჰრონ, ძმაჲ შენი, ეტყოდის ფარაოს, რაჲთა გამოავლინენ ძენი ისრაჲლისანი ქუეყანით ეგვპტით.

3. ხოლო მე განვაფიცხო გული ფარაოჲსი და განვაბრავლნე სასწაულნი და ნიშნი ჩემნი ქუეყანასა მას ეგვპტისასა.

4. და არა ისმინოს თქუენი ფარაო. და დავდვა კელი ჩემი ეგვპ-

ტესა ზედა და გამოვიყვანო ძალითურთ ერი ჩემი, ძენი ისრაჲლისანი ქუეყანით ეგვიპტით შურის-გებითა დიდითა.

5. და ცნან ყოველთა მეგვიპტელთა, რამეთუ მე ვარ უფალი; განვირთხა კელი ჩემი ეგვიპტესა ზედა და გამოვიყვანე ძენი ისრაჲლისანი შორის მათსა.

6. ყვეს მოსე და აჰრონ, ვითარცა უბრძანა მათ უფალმან.

7. მოსე იყო ოთხმეოცის წლის, ხოლო აჰრონ ოთხმეოც და სამ წლის, რომელსა ჟამსა ეტყოდეს ფარაოს.

8. ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა:

9. უკუეთუ გეტყოდის თქუენ ფარაო და გრქუას: მიჩუენე ჩუენ სასწაული ანუ ნიში, ჰრქუა აჰრონს, ძმასა შენსა: მოიღე კუერთხი ეგვი, რომელ არს კელსა შენსა, და მიაგდე წინაშე ფარაოჲსა და წინაშე მსახურთა მისთა და იქმნეს იგი ვეშაბ.

10. შევიდეს მოსე და აჰრონ წინაშე ფარაოჲსა და წინაშე მსახურთა მისთა და ყვეს ეგრე, ვითარცა უბრძანა მათ უფალმან. და მიაგდო აჰრონ კუერთხი იგი წინაშე ფარაოჲსა და წინაშე მსახურთა მისთა, და იქმნა იგი ვეშაბ.

11. მოუწოდა ფარაო ბრძენთა და გრძნეულთა მათ ეგვიპტისათა. და ყვეს ეგრე გრძნებითა მათითა:

12. და მიაგდო კაცად-კაცადმან კუერთხი თჳსი, და იქმნეს იგინი ვეშაბ. და შთათქნა იგინი კუერთხმან აჰრონისმან, კუერთხნი იგი მათნი.

13. და განიფიცხა გული ფარაო და არა ჰრწმენა მათი, [105] ვითარცა ეტყოდა მათ უფალი.

14. ჰრქუა უფალმან მოსეს: დამძიმებულ არს გული ფარაოჲსი არა გამოტევებად ერი ჩემი.

15. მივედ ფარაოჲსა განთიად, რამეთუ ეგერა იგი გამოვალს ხვალე წყალსა მას ზედა, და დასდგე შენ წინაშე მისსა კიდესა მის მდინარისასა, და კუერთხი იგი მოიღო კელთა შენთა, რომელი გარდაიქცა გუმლაფ.

16. და ჰრქუა: უფალმან ღმერთმან ებრაელთამან მომავლინა მე შენდა და თქუა: გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდენ უდაბნოსა ზედა. და აჲა ეგერა არა ისმინე აჲამომდე.

17. ამას იტყვს უფალი: აჲა ესერა მე უხეტქნე კუერთხითა ამით, რომელ არს კელსა ჩემსა, წყალსა მდინარისასა და გარდაიქცეს სისხლად.

18. და თევზნი იგი მდინარისანი მოწყდენ და დაყროლდეს მდინა-

რცევე და ვერ ეძლო მეგვებელთა მათ სუმად წყალი იგი მდინარისაჲ მის.

19. ჰრქუა უფალმან მოსეს: მიიღე კუერთხი ეგე შენი და განირთხე კელი შენი წყალთა ზედა ეგვებისათა და მდინარეთა ზედა მათთა და ყოველთა შესაკრებელთა მათთა, და იყოს სისხლი ყოველსა ზედა ქუეყანასა, ხეთა და ქვათა.

20. ყვეს ეგრე მოსე და აპრონ, ვითარცა-იგი უბრძანა მათ უფალმან. და აღიბურა აპრონ კუერთხი იგი მისი და სცა წყალთა მდინარისათა წინაშე ფარაოჲსა და წინაშე მსახურთა მისთა, და გარდაიქცა წყალი იგი მდინარისაჲ მის სისხლად.

21. და თევზნი მდინარისანი მოწყდეს, და დაყროლდა მდინარე იგი, და ვერ ეძლო სუმად მეგვებელთა მათ წყალი იგი მდინარისაჲ მის. და იყო სისხლი ყოველსა ქუეყანასა ეგვებისასა.

22. და ყვეს ეგრე გრძნეულთა მათ ეგვებისათა გრძნებითა მათითა. და განფიცხნა გული ფარაოჲსი და არა ისმინა მათი, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ უფალმან.

23. მიიქცა ფარაო სახიდ თვსა და არა დაამტკიცა გონებაჲ თვისი არცალა მას ზედა. [v]

24. თხარეს ყოველთა მეგვებელთა გარემო მდინარესა მას, რამეთამცა სუეს წყალი მდინარისა მისგან.

25. და აღესრულნეს [შვდ] ღლენი შემდგომად გუემისა მის უფლისა მიერ მდინარისა მის.

თ ა ვ ი 8

1. ჰრქუა უფალმან მოსეს: შევედ შენ ფარაოჲსა და არქუ მას: ამას იტყვს უფალი: გამოავლინე ერი ჩემი, რამათა მსახურებდენ მე.

2. უკუეთუ არა ინებო გამოვლინებაჲ მათი, აჰა ესერა ვგუეჲმნე ყოველნი საზღვარნი შენნი მყურითა.

3. და გამოვლდეს მდინარისა მისგან მყუარნი და აღმოვლდეს და შევიდეს სახლსა შენსა და საუნჯეთა სასუენებელისა შენისათა და ცხედართა შენთა და სახლთა მსახურთა შენთასა და ერისა შენისასა და თბესა შენსა და თორნესა შენსა.

4. და შენ ზედა და ერსა შენსა ზედა და მსახურთა შენთა აღმოვლდეს მყუარნი.

5. ჰრქუა უფალმან მოსეს: არქუ აპრონს, ძმასა შენსა: განირთხ კელი შენი კევენებსა და წყურნებსა და აღმოიყვანე მყუარარი.

6. და განირთხა აპრონ კელითა თვისითა კუერთხი იგი წყალთა ზე- და ზღვსათა და აღმოიყვანა მყუარარი და დაფარა ქუეყანაჲ ეგვიპტისაჲ.

7. ყვეს ეგრევე გრძნეულთა მათ და აღმოიყვანეს მყუარარი ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა.

8. მოუწოდა ფარაო მოსეს და აპრონს და ჰრქუა მათ: ილოცეთ ჩემთვის უფლისა მიმართ, და მოისპოს ჩემგან მყუარარი ესე და ერისაგან ჩემისა, და განუტეო ერი ეგე და მსახურებდენ უფალსა.

9. ჰრქუა მოსე ფარაოს: განაჩინე ჩემდამო დღჲ, ოდეს ვილოცო შენთვის და მსახურთა შენთათვის და ერისა შენისათვის, და მოისპოს მყუარარი სახლთა შენთაგან და ერისა შენისაგან, გარნა მდინარეთა ხოლო შინა დაშთეს მყუარარი.

10. და მან ჰრქუა: ხვალე. ჰრქუა მას მოსე: ეგერა სთქუ, რაჲთა უწყოდი, რამეთუ არავინ არს სხუჲა უფლისა გარეშე.

11. და მოისპოს [106] მყუარარი სახლისაგან შენისა და ეხოთაგან შენთა და მდინარეთა ხოლო შინა დაშთეს.

12. გამოვიდეს მოსე და აპრონ ფარაოჲსგან. და ღაღად-ყო უფლისა მიმართ განჩინებისა მისთვის მყუარისა, ვითარცა-იგი თქუა ფარაო.

13. და ყო ეგრე მოსე, ვითარცა ჰრქუა უფალმან, და მოწყდა მყუარარი სახლთაგან მათთა და ველისაგან მათისა.

14. და შეკრბა იგი ზუნ-ზუნად და დაყროლდა ქუეყანაჲ.

15. ვითარცა იხილა ფარაო, რამეთუ ეცა მას მოლხინებაჲ, დაიშძი- მა გული მისი და არა ისმინა მათი, ვითარცა ეტყოდა მას უფალი.

16. და ჰრქუა უფალმან მოსეს: არქუ აპრონს, ძმასა შენსა: განირთხ კელითა შენითა კურთხი ეგე და ეც მიწასა ქუეყანისასა. და იყოს მუმლი კაცთა შორის და საცხოვართა და ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა.

17. განირთხა კელითა თვისითა აპრონ კუერთხი იგი მიწასა ქუეყანისასა, და იყო მუმლი კაცთა და ოთხფერკთა და მიწასა ქუეყანისასა და ყოველსა ეგვიპტესა.

18. ყვეს ეგრევე გრძნეულთა მათ ეგვიპტისათა გრძნებითა მათითა, რაჲთამცა გამოიყვანეს მუმლი, და ვერ უძლეს. და იყო მუმლი იგი კაცთა ზედა და პირუტყუთა.

19. ჰრქუეს ფარაოს გრძნეულთა მათ: თითი ღმრთისაჲ არს ესე.

და განვიცხნა გული ფარაოჲსი და არა ისმინა მათი, ვითარ-იგი ეტყოდა უფალი.

20. [124] ჰრქუა უფალმან მოსეს: აღიმსთვე განთიად და დადევ წინაშე ფარაოჲსა, რამეთუ აჰა იგი გამოვალს წყალთა მათ მდინარის კიდესა, და არქუ მას: ამას იტყვს უფალი: გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდენ მე უდაბნოსა ზედა.

21. უკუეთუ არა ინებო გამოვლინებაჲ მათი, აჰა მე მოვავლინო შენ ზედა და მსახურთა შენთა ზედა და სახ[125]ლთა თქუენთა ზედა ძაღლის-მწერი და აღვაგსნე სახლნი მეგვებტელთანი ძაღლის-მწერითა.

22. და ვადიდო მას დღესა შინა ქუეყანაჲ იგი გესემისაჲ, რომელსა ზედა არს ერი ჩემი. და არა იყოს მუნ ძაღლის-მწერი, რაჲთა სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი ყოვლისა ქუეყანისაჲ.

23. და მოვსცე განჩინებაჲ შორის ერსა ჩემსა და შორის ერსა შენსა. და ხვალე იყოს სასწაული ესე.

24. და ყო უფალმან ეგრტთ, და მოიწია ძაღლის-მწერი, სიმრავლჲ ფრიად სახლსა ფარაოჲსსა და სახლსა მსახურთა მისთასა და ყოველსა ქუეყანასა ეგვებტისასა, და მოისრა ქუეყანაჲ ძაღლის-მწერითა მით.

25. მოუწოდა ფარაო მოსეს და აპრონს და ჰრქუა მათ: წარვედი. და შეწირეთ უფლისა ღმრთისა თქუენისა მსხუერპლი ქუეყანასავე თქუენსა.

26. ჰრქუა მას მოსე: ვერ შესაძლებელ არს ეგრტთ ყოფად, საძაგელი ეგვებტისაჲ შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა. უკუეთუ საძაგელი ეგვებტისაჲ შევწიროთ წინაშე მისსა, ქვითა განვიცხნეთ.

27. არამედ უდაბნოდ განვიდეთ და მუნ შევწიროთ ღმრთისა ჩუენისა, ვითარცა მრქუა ჩუენ უფალმან.

28. და თქუა ფარაო: მე განვაგვლინე თქუენ და მსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა უდაბნოს. არამედ არა შორად გასწურთეთ განსლვად. და ილოცეთ უკუე ჩემთვისცა უფლისა მიმართ.

29. ჰრქუა მას მოსე: აჰა ესერა მე განვიდე შენგან და ვილოცო ღმრთისა მიმართ და წარვიდეს ძაღლის-მწერი შენგან და ერისა შენისაგან ხვალე. არამედ ნუღარა სცთებდი, ფარაო, ვითარმცა არა განუტევე ერი მსახურებად უფლისა.

30. გამოვიდა მოსე ფარაოჲსგან და ილოცა ღმრთისა მიმართ, ვითარცა თქუა მოსე.

31. და მოისპო ძაღლის-მწერი იგი მისგან და მსახურთა მისთაგან და ერისა მისაგან და არა დაშთა მისგანი არცა ერთი.

32. და დაიმძიმა გული ფარაო მას ჟამსა შინა და [V] არა ინება გამოვლინებაჲ ერისაჲ მის.

თ ა ვ ი 9

1. ჰრქუა უფალმან მოსეს: შევედ ფარაოჲსა და არქუ მას: ამას იტყვს უფალი ებრაელთაჲ: გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდენ მე უდაბნოსა ზედა.

2. უკუეთუ არა ინებო გამოვლინებად ერი ჩემი, არამედ მერმეცა კულად იპყრო-ლა,

3. აჰა ესერა კელი უფლისაჲ იყოს საცხოვარსა შენსა ზედა, რომელ არს ველსა გარე, ცხენებსა ზედა და კარაულებსა ზედა, აქლემებსა, ცხოვარსა და ზროხასა სიკუდილი დიდი ფრიად.

4. და ვიდოდი მე შორის ცხოვართა ძეთა ისრაჴლისათაჲსა და აჰა მოკუდეს საცხოვართაგანი ძეთა ისრაჴლისათაჲ არცა ერთი.

5. და მოსცა უფალმან განჩინებაჲ და თქუა: ხვალევე ყოს უფალმან სიტყუაჲ ქუეყანასა ზედა.

6. და ყო უფალმან სიტყუაჲ და მოისრა ყოველი საცხოვარი მეგუპტელთაჲ, ხოლო საცხოვართაგანი ძეთა ისრაჴლისათაჲ არა მოკუდა ერთიცა.

7. და იხილა ფარაო, რამეთუ არა მოკუდა საცხოვართაგანი ძეთა ისრაჴლისათაჲ არცა ერთი. და დაიმძიმა გული ფარაო და არა გამოავლინა ერი იგი.

8. ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: მოიღეთ თქუენ კელითა საგსჴ ნაცარი საკუმილისაგან და აღაფქურიეთ იგი წინაშე ფარაოჲსა და წინაშე მსახურთა მისთა.

9. და იყავნ მტუერი ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა, და იყოს კაცთა და ოთხფერკთა ფაქლი გამომტკუფოლვარჴ გამოსხმით კაცთა ზედა და ოთხფერკთა და ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა.

10. და მოიღეს ნაცარი იგი საკუმილისაგან წინაშე ფარაოჲსა და აღაფქურიეს ცად. და იყო ფაქლი გამომტკუფოლვარჴ გამოსხმით კაცთა ზედა და ოთხფერკთა.

11. და ვერ ეძლო გრძნეულთა მათ წინა-დადგომად მოსესა ფაქლისა მისგან, რამეთუ იყო ფაქლი იგი გრძნეულთა მათ ზედაცა და ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა.

12. განფიცხნა გული ფარაოჲსი და არა ისმინა მისი [126], ვითარცა-იგი უბრძანა უფალმან მოსეს.

1. მოსს. 2. იპყრობლა. 5. ხვალევე. 8. მოსს. 12. მოსს.

13. ჰრქუა უფალმან მოსეს: აღიმსთუე ხვალე წინაშე ფარაოჲსა და არქუ მას: ამას იტყვს უფალი: გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდენ მე უდაბნოსა ზედა,

14. რამეთუ აწ უამსა ამას მოვაველინო შენ ზედა ყოველნივე შემთხუევანი ჩემნი გულსა შენსა და მსახურთა შენთასა და ერსა შენსა ზედა, რაჲთა უწყოდით, რამეთუ არავინ არს ჩემებრ ყოველსა ქუეყანასა ზედა;

15. ხოლო აწ მივაველინო შენ ზედა კელი ჩემი და დაგცე შენ ქუეყანით.

16. რამეთუ და-ვე ამისთვის-იმარხე, რაჲთა ვაჩუენო ძალი ჩემი შენ ზედა, და რაჲთა განითქუას სახელი ჩემი ყოველსა ქუეყანასა;

17. რამეთუ კუალად მერმეცა იპყრობ-ველა შენ ერსა ჩემსა არა გამოვლინებად მათა.

18. აჰა ესერა მე ვაწვმო ამას უამსა ოდენ ხვალე სეტყუჲა დიდძალი ფრიად, რომელ ეგვეითარი არასადა იყო ქუეყანასა ზედა ეგვპტისასა, ვინაჲთ დღითგან დაებადა ვიდრე აჰა დღედმდე.

19. ხოლო აწ შენ იწრაფე და შეკრიბე საცხოვარი შენი და რაოდენი-რაჲ არს ველსა გარე, და რომელი არა შევიდეს სახლსა, დაეცეს მას და მოკუდეს.

20. რომელთა-იგი ეშინოდა სიტყვსა მის უფლისაგან მსახურთა მათ ფარაოჲსთა, შეკრიბეს საცხოვარი მათი სახლებსა.

21. ხოლო რომელი არა ერჩდა გონებითა სიტყუასა მას უფლისასა, დაუტევეს საცხოვარი მათი ველსა ზედა.

22. ჰრქუა უფალმან მოსეს: განირთხ კელი შენი ზეცად და იყოს სეტყუჲა ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა, კაცსა ზედა და საცხოვარსა და ყოველსა მწუანვილსა ველისასა.

23. განირთხა კელი თვისი მოსე ზეცად და უფალმან მოსცა ქუხილი და სეტყუჲა და მამოვიდოდა წყალი ქუეყანასა ზედა; და აწვმა უფალმან სეტყუჲა ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

24. იყო სეტყუჲა იგი, და ცეცხლი სეტყუასა მას შინა აღადყდებოდა. ხოლო სეტყუჲა იგი იყო დიდ ფრიად, რომელ არა ყოფილ იყო ეგვპტეს, ვინაჲთგან იყო ნათესავი მას ზედა.

25. და დასცა სეტყუჲამან მან ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა კაციტგან მიპირუტყუ[ვ]ადმდე და ყოველი მწუანვილი მოსრა სეტყუჲამან და ყოველი ხმ ველისაჲ შემუსრა სეტყუჲამან.

26. ხოლო ქუეყანასა მას გესემისასა, სადა-იგი იყვნეს ძენი ისრაჲლისანი, არა იყო სეტყუჲა.

27. მიავლინა ფარაო და მოუწოდა მოსეს და აჰრონს და ჰრქუა მათ: ვცოდნე აწლა უფლისა მიმართ. უფალი მართალ არს, ხოლო მე და ერი ჩემი შეცოდებულ ვართ.

28. ილოცეთ ჩემთვის უფლისა მიმართ და დასცხრენ ყოფად ქუხილნი ესე უფლისანი და სეტყუაჲ და ცეცხლი, და განგავლინნე თქუენ და არღარა შესძინოთ დადგომად.

29. ჰრქუა მას მოსე: ვითარცა განვიდე ქალაქით, განვიპყრნე კელნი ჩემნი ღმრთისა მიმართ, და ჯმანი ესე დასცხრენ, და სეტყუაჲ და წუმაჲ არღარა იყოს მერმე, რაჲთა სცნათ, რამეთუ უფლისაჲ არს ქუეყანაჲ

30. ხოლო შენ და მსახურნი შენნი გიცნი, რამეთუ არა გეშინის ღმრთისა.

31. სელი და ქრთილი იგუემა, რამეთუ ქრთილი წარმო-ოდენ-დგომილ იყო და სელი თესლოდა.

32. ხოლო იფქლი და ასლი არა იგუემა, რამეთუ მცხუედ იყო.

33. გამოვიდა მოსე გარე ქალაქით ფარაოჲსგან და განიპყრნა კელნი თჳსნი უფლისა მიმართ, და ქუხილი იგი დასცხრა, და სეტყუაჲ და წუმაჲ არღარა დასწუთა ქუეყანასა ზედა.

34. ვითარცა იხილა ფარაო, რამეთუ ქუხილნი იგი დასცხრეს და სეტყუაჲ და წუმანი, შესძინა ცოდვად და დაიმძიმა გული მისი და მსახურთა მისთაჲ.

35. და განიფიცხა გული ფარაო და არა გამოუტევენა ძენი ისრაჲლისანი, ვითარცა ეტყოდა უფალი მოსეს.

თ ა შ ი 10

1. [145v] ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: შევედ და ეტყოდე ფარაოს, რამეთუ მე განვაფიცხო გული მისი და მსახურთა მისთაჲ, რაჲთა შემდგომითი შემდგომად მოვიდენ სასწაულნი ჩემნი მათ ზედა,

2. რაჲთა უთხრობდნენ ყურთა შეილთა თქუენთასა, რაჲთა მოვიციცხნე მეგვპტელნი იგი, და სასწაულნი ჩემნი, რომელნი ვყვნე მათ შორის, და ცნან, რამეთუ მე ვარ უფალი.

3. შევიდეს მოსე და აჰრონ წინაშე ფარაოჲსა და ჰრქუეს: ამას იტყვს უფალი ღმერთი ებრაელთაჲ: ვიდრემდის არა გნებავს შეკლიმებაჲ? გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდენ მე.

4. უკუეთუ არა ინებო გამოვლინებად ერი ჩემი, აჰა ეგერა გამო-

ვაელინო ამას ოდენ უამსა ხვალე მკალი ფრიად ყოველთა საზღვართა შენთა.

5. და დაფაროს ქუეყანაჲ, და ვერ უძლო ხილვად ქუეყანისა, და შექამოს ყოველი ნეშტი, რომელი დაუშთა სეტყუასა, და შექამოს ყოველი ხმ, მცენარეჳ ქუეყანისაჲ.

6. და აივსნენ სახლნი შენნი და სახლნი მსახურთა შენთანი და ყოველი სახლები ყოვლისა ქუეყანისა ეგვპტისაჲ, რომელ არასადა ეხილვა მამათა შენთა, ვინაჲთ დღითგან იქმნა ქუეყანასა ზედა. და მიაქცია და გამოვიდა მოსე ფარაოჲსგან.

7. ჰრქუეს ფარაოს მსახურთა მისთა: ვიდრემდის იყოს ტანჯვაჲ ესე ჩუენ ზედა? განუტევენ კაცნი ესე, რაჲთა მსახურონ უფალსა ღმერთსა მათსა. აწ არა უწყი, რამეთუ წარწყმდა ეგვპტე?

8. და მოაქციეს მოსე და აპრონ ფარაოჲსა. ჰრქუა მათ ფარაო: განვედით და მსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა. ვინ და ვინ არიან, განვავლინნე იგინი?

9. ჰრქუა მას მოსე: ჰბუჟითურთ ჩუენით და მოხუცებულთ მივიდეთ, ძით და ასულით, ცხოვრით და ზროხით ჩუენით, რამეთუ არს დღესასწაული უფლისა ღმერთისა ჩუენისაჲ.

10. ჰრქუა მათ ფარაო: იყავნ ეგრე, უფალი თქუენ თანა! რამეთუ განვავლინებ თქუენ, არამედ ნუუკუე ჰურჰელიცა თქუენი? იხილოთ, ბოროტი წინა-გიც თქუენ.

11. ნუ ეგრე, არამედ განვედით მამანი ხოლო და მსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა, რამეთუ ეძიებთ-ვე ამას თქუენ. და გამოასხნენ იგინი [146] პირისაგან ფარაოჲსისა.

12. ჰრქუა უფალმან მოსეს: განირთხ კელი შენი ქუეყანასა ეგვპტისასა და აღმოვედინ მკალი და შექამოს ყოველი მწუხანვილი ქუეყანისაჲ და ყოველი ხილი ხეთაჲ, რაოდენი-რაჲ დაუშთა სეტყუასა.

13. და აღიბურა კელითა მოსე კუერთხი იგი ზეცად და უფალმან მოავლინა ქარი სამხრით ქუეყანასა მას ზედა დღე ყოველ და ღამე ყოველ. და ვითარცა განთიადი იყო, და ქარმან მან სამხრისამან აღმოიღო მკალი.

14. და მოიღო იგი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა მრავალი ფრიად; უწინარეჳს მისა არა იყო ეგოდენი მკალი და მისა შემდგომად მერმე არავე იყო ეგრეთ.

15. და დაფარა პირი ქუეყანისაჲ, და განიხრწნა ქუეყანაჲ, და შექამა ყოველი მწუხანვილი ქუეყანისაჲ და ყოველი ხმ ნაყოფიერი, რაო-

დენი დაუშთა სეტყუასა. არა დაშთა ნეღლი ხეთა შორის, არცა ერთი ყოვლისაგან მწუანვილისა ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

16. წრაფით მოუწოდა ფარაო მოსეს და აჰრონს და ჰრქუა მათ: ვცოდე წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და თქუენდა მიმართ.

17. თავს-იღვეით შეცოდებთა ესე ჩემი და ილოცეთ ჩემთვის უფლისა მიმართ ღმრთისა თქუენისა და აღიღეთ ჩემგან სიკუდილი ესე.

18. გამოვიდა მოსე ფარაოვსგან და ილოცა უფლისა მიმართ.

19. და მოავლინა უფალმან ქარი სასტიკი და მძლავრი ზღვთ და აღილო მკალი იგი და შთაყარა იგი ზღუასა მას მეწამულსა და არა დაშთა არცა ერთი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

20. და განაფიცა უფალმან გული ფარაოვისი, და არა გამოუტევენა ძენი ისრაჴლისანი.

21. ჰრქუა უფალმან მოსეს: განირთხ კელი შენი ზეცად, და იყოს ბნელი, წყუდიადი არმური ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა¹.

23. და არაეინ იხილა კაცმან ძმად თვისი სამ დღე, ხოლო ძეთა ისრაჴლისათა იყო ნათელი ყოველსა ადგილსა, ვიდრეცა ვიდოდეს.

24. მოუწოდა ფარაო მოსეს და აჰრონს და ჰრქუა მათ: განვედით და მსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა, გარნა ცხოვარი და ზროხად თქუენი დაუტევეთ და ჰურჭელი წარიღეთ თქუენ თანა [V].

25. ხოლო მოსე ჰრქუა: არამედ შენცა მცე რაჲ მსხუერპლები და შესაწირავი, რომელ შევწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა.

26. ...ვიდრე მისლვადმდე ჩუენდა მუნ².

27. განაფიცა უფალმან გული ფარაოვისი, და არა ინება გამოვლინებთა მათი.

28. ჰრქუა ფარაო მოსეს: განვედ ჩემგან და ეკრძაღე თავსა შენსა და ნულარა შესძინებ ხილვად პირსა ჩემსა, რამეთუ, რომელსა დღესა მეჩუენო მე, მოჰყუდე.

29. ხოლო მოსე თქუა: ვითარცა სთქუ, არლარა გეჩუენო პირსა შენსა.

თ ა ვ ი 11

1. და ჰრქუა უფალმან მოსეს: ერთიდა გუემაჲ მოვავლინო ფარაოვის ზედა და ყოველსა ეგვპტესა ზედა და მისა შემდგომად განგავლინნეს

16. მოსცხ. 21. მოსცხ. 23. დღმ. 24. მოსცხ. 28. მოსცხ.

11, 1. მოსცხ.

¹ 22-ე მუხლის ტექსტი აკლია.

² 26-ე მუხლის მხოლოდ მცირე ნაწილი (ბოლო) არის მოცემული, დანარჩენი გამოტოვებულია.

თქუენ ამიერ. ხოლო რაჟამს განგავლინებდეს თქუენ, განსხმით განგასხნენ თქუენ ყოვლითურთ.

2. ეტყოდე ფარულად ყურთა ერისათა და ითხოოს კაცად-კაცად-მან მახლობელისაგან თვისისა და დედაკაცმან მოძმისაგან თვისისა ჭურჭელი ოქროსა და ვეცხლისა და სამოსელი და გამოტყუენენით მეგვპტელნი იგი.

3. და უფალმან მოსცა მადლი ერსა თვისსა წინაშე მეგვპტელთა მათ ფრიად და წინაშე ფარაოჲსა და მსახურთა მისთა.

4. და თქუა მოსე: ამას იტყვს უფალი: შუალამეს ოდენ მე შევიდე ეგვპტესა შორის.

5. და მოწყდეს ყოველი პირმშოჲ ეგვპტისაჲ პირმშოჲთგან ფარაოჲსით, რომელი ზის საყდართა ზედა, ვიდრე პირმშოდმდე მკვევლისა, რომელი ზის ფქვილთა თანა, და ვიდრე პირმშოდმდე ყოვლისა პირუტყვსა.

6. და იყოს დაღადებაჲ ყოველსა ეგვპტესა, რომელ ეგვეითარი არასადა ყოფილ იყოს მერმე.

7. ხოლო ყოველთა შორის ძეთა ისრაჲლისათა არა გაძრას ძალდ-მან ენაჲ თვისი კაცითგან მიპირუტყუადმდე, რაჲთა იხილოთ, რაოდენი-რაჲ ყოს უფალმან შორის ეგვპტესა და შორის ძეთა ისრაჲლისათა.

8. და მოვიდოდინ ჩემდა ყოველნი და თაყუანის-მცემდენ და მეტყოდინ: განვედ შენ და ყოველი ერი შენი, რომელსა უძღუ. და მისა შემდგომად განვიდე. და განვიდა მოსე ფარაოჲსგან გულის-წყრომით.

9. პრქუა უფალმან მოსეს: არა ისმინოს თქუენი ფარაო, რაჲთა განვ[147]ამრავლნე სასწაულნი და ნიშნი ჩემნი ეგვპტესა ზედა.

10. ხოლო მოსე და აპრონ ყვეს სასწაულები და ნიშები ესე ქუეყანასა მას ეგვპტისასა წინაშე ფარაოჲსა, ხოლო გან-ვე-აფიცუა უფალმან გული ფარაოჲსი და არა ინება გამოვლინებად ძენი ისრაჲლისანი ქუეყანისაგან მეგვპტელთაჲსა.

თ ა ვ ი 12

1. [199] სიტყუად იწყო უფალმან მოსცსა და აპრონისა ქუეყანასა მას ეგვპტისასა და თქუა:

2. თთუჲ პირველი ესე იყავნ თქუენდა თავად თთუეთა, თთუჲ პირველი თთუეთა შინა წელიწადისათა.

3. აჲ მივედ შენ და ეტყოდე ყოველთა კრებულთა ძეთა ისრაჲლისათა: [V] ათსა ამის თთვსასა მოილონ თითოეულად კრავი ერთი თეს-

ლად-თესლად და ტომად-ტომად, განიყონ, კრავი იგი სახიდ გამოი-
ლონ.

4. უკუეთუ მცირედ იყვნენ სახლსა მას და ვერ შემძლებელ იყვნენ
ქამად კრავისა მის, შეიყვანონ მეზობელი თვისი სახლად, მსგავსად
რიცხვსა მის კაცთაჲსა მიიღონ თითოეულად, ვითარცა ეყოფოდნის
კრავი იგი.

5. ვერძი შოზუერი იყავნ სრულად თქუენდა; საცხოვარისა მისგან
ცხოვართაჲსა [და თხათაჲსა] მოიღონ იგი.

6. და იყოს თქუენდა დამარხულ კრძალვით ვიდრე ათოთხმეტადმდე
თთვისა მის, დაკალნ იგი კრებულმან ძეთა ისრაჲლისათამან მიმწუხრი.

7. და მოიღონ სისხლისა მისგან და მონიშნონ ორთავე წყირთლთა
ზედა ბჳეთასა და ზღურბლთა ზედა მის სახლისათა, რომელსა შინა შე-
ქამონ იგი მათ.

8. და შექამონ კრავი იგი მასვე ღამესა მიმწუხრი შემწუარი ცეცხ-
ლითა და უფუველი პური და ველის-ყრდელი ქამონ.

9. ხოლო შექამონ კრავი იგი ესრე სახედ: ნუ უფუველი ქამონ,
ნუცა წყლითა მგბარი, არამედ მწუარი ცეცხლითა ქამონ, ტფილი შე-
ქამონ და ადრე შექამონ, თავ-ფერკი ნაწლევითურთ შექამონ.

10. და ნეშტსა ნურას დაუტევებთ განთიად, ნუ განაწვენ, ძუალსა
ნუ განსტეხედ; რომელი ნეშტად დაშთეს მისგანი, ცეცხლითა დაწვთ.

11. და ქამდენ მას ესრე სახედ: კუერთხი კელთა, სარტყელი წელთა,
კამლი ფერკთა, მალიად-მალიად სწრაფლ შექამედ, რამეთუ ზატიკი
არს უფლისაჲ.

12. და განვლო მე ქუეყანაჲ ეგვიპტისაჲ მას ღამესა და ვგუემო ყო-
ველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგვიპტისასა კაცთგან მიპირუტყუადმდე და
ზედა ყოველ[200]სა ქუეყანასა ეგვიპტისასა აღვადგინო შურის-გებაჲ,
[რამეთუ მე ვარ უფალი].

13. და იყოს სისხლი იგი თქუენდა აღსანიშნველად ზედა სახლებ-
სა მას, რომელსა შინა იყვნენ ძენი ისრაჲლისანი, რომელთა შინა და-
შხნებულ იყვნენ, მოვიხილო მე სისხლი იგი აღნიშნული ზედა ბჳე-
თა მათ და დაგიფარნე თქუენ დაცვად თქუენდა გუემისა მისგან რისხ-
ვისაჲსა, რაჲმს გარდამოსრულ ვეყო და მოვსრვიდე პირმშოთა მათ
ეგვიპტისათა.

14. და იყოს თქუენდა დღჳ იგი საკსენებელად, დღესასწაულად ზა-
ტიკობად უფლისა თესლთა მიმართ ყოველთა, შჯული სიხარულისაჲ
უკუნისამდე, თავი დღესასწაულთაჲ მათ წელიწადეულთაჲ.

15. შვდ დღე უფვეელი შპამით და პირველით დღითგან ვიდრე ბალარჯობათა მათ განაქარვეთ ყოველი ცომი სახლისაგან თქუენისა. ყოველმან რომელმან ჭამოს პური თბისაგან მფუველისაჲ, მოსპოლვით მოისპოს კაცი იგი ისრაჲლისაგან პირველით დღითგან მიდღედმდე მევშედედ.

16. რამეთუ დღჳ იგი პირველი წოდებულ: წმიდა უფლისა. და დღჳ იგი უფლისაჲ წოდებულ არს წმიდაჲ უფლისაჲ. ყოველივე საქმჳ ხარკით მსახურებასა მათ დღეთა შინა ნუვინ იქმთ¹, გარნა ერთი იგი საქმჳ, რომლისა თვნიერ არარაჲთ განეგების ყოვლსა კაცისა საქმედ, ესე ხოლო იქმნებოდენ თქუენდა.

17. და ეკრძალენით ზცნებასა ამას, [რამეთუ] დღესა [ამას] გამოგიყვანებ თქუენ ქუეყანისა მისგან მეგვკტელთაჲსა და გეპყარნ თქუენ დღჳ იგი თესლითი თესლადმდე თქუენდა შჯულად საუკუნოდ.

18. იწყით თქუენ ათორმეტით დღითგან მის თთვისაჲთ პირველისაჲთ ჭამად უფუველისა მწუხრითგან ვიდრე დღედმდე მეოცედ მძღურად თთვისა მის მიმწუხრად.

19. [v]და შვდ დღე ნუ იყოფინ ცომი სახლთა თქუენთა. ყოველმან რომელმან ჭამოს ცომოვანი, მოისპოს კაცი იგი ერისაგან ძეთა ისრაჲლისათა გარეშე მოსრულთა მათ მწირთა და შვილთა ბუნთა მათ მონათაგან სოფლისა მის თქუენისათა.

20. რაჲთურთით მფუველსა ნუვინ ჭამნ ყოველთა შინა სამკვდრებელთა თქუენთა, არამედ უფუველი ჭამეთ.

21. მოუწოდა მოსე მოხუცებულთა მათ ძეთა ისრაჲლისათა და ჰრქუა მათ: გუალეთ, მოიღეთ თქუენ თითოჲ კრავი ტომად-ტომად თქუენდა, დაკალნ იგი ზატიკად უფლისა.

22. კსუპი კონაჲ ერთი საპკურებელად და დააწეთ სისხლსა მას კრავისასა და აღნიშნეთ თქუენ ზედა წყირთლთა მათ ბქეთასა და ზღურბლთა მათ, ხოლო თქუენ ნუ გამოხუალთ კაცად-კაცადი კართა ზედა სახლისა თქუენისათა მიგანთიადმდე.

23. რომელსა ეამსა გარდამოცდეს უფალი მოსპოლვად მეგვკტელთა მათ, იხილონ სისხლი იგი სამსავე მას კერძოსა ბქეთასა და თანაწარპქდეს ბქეთა მათ თქუენთა და არა მიავლინოს მომსრველი, სიკუდილისაჲ მტარვალი შესლვად სახლებსა მას თქუენსა და მოსრვად პირმშოჲსა მის თქუენისა.

15. დღჳ, მფუვისაჲ. 18. უფოველისა. 19. დღჳ, შვილთა]შიშვილთა. 21. მოსმ.

22. მიგანთადმდე.

¹ გაუმართავია წინადადება, მოსალოდნელი იყო: ყოველსა საქმესა... ნუვინ იქმთ.

24. და დაიმარხეთ სიტყუად ესე შჯულად საუკუნოდ თავისა თქუენისა უკუნისადმდე.

25. უკუეთუ შეხვდეთ ქუეყანასა მას, რომელი მოგცეს უფალმან ღმერთმან თქუენმან, ვითარცა-იგი გეტყოდა თქუენ დამარხვად თქუენდა მსახურებად ესე¹...

27. და შენ ჰრქუა მას: მსხუერპლი არს ესე პასექისა უფლისაჲ, რომელმან დაიფარა სახლნი ძეთა ისრაჳლისათანი ეგვპტეს შინა, რაჲმს მოსრვიდა ეგვპტესა, რამეთუ სახლნი ჩუენნი იცხნა.

28. და მოდრკა ერი იგი [201] და თაყუანის-სცეს უფალსა და წარვიდეს და ყვეს ძეთა ისრაჳლისათა, ვითარცა ამცნო მოსე და აპრონ, ეგრეცა ყვეს.

29. და იყო შუალამეს ოდენ, მოწყვდა უფალმან ყოველი პირმშოჲ ეგვპტისაჲ პირმშოთგან ფარაოჲსით, რომელი ჯდა საყდართა ზედა, ვიდრე პირმშოდმდე მკველისა, რომელი ზის ფქვილთა თანა, და ვიდრე პირმშოდმდე ყოველისა პირუტყვსა.

30. და აღდგა ფარაო ღამე და ყოველნი მსახურნი მისნი და ყოველნი მეგვპტელნი; და იყო ღალადებად დიდი ყოველსა ეგვპტესა, რამეთუ არა იყო სახლი, რომელსა არა იყო მკუდარი.

31. მოუწოდა ფარაო მოსეს და აპრონს ღამე და ჰრქუა მათ: აღდეგით და განვედით ერისაგან ჩემისა თქუენ და ძენი ისრაჳლისანი, ვიდოდეთ და მსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა, ვითარცა-იგი იტყვთ.

32. და ცხოვარი და ზროხად თქუენი განასხით და ვიდოდეთ, ვითარცა სთქუთ, არამედ მაკურთხეთ მეცა.

33. და აწუევდეს მეგვპტელნი იგი ერსა მას სწრაფით განსხმად მათა ქუეყანით მათით, რამეთუ თქუეს: ნუუკუე მოვწყდეთ ყოველნი.

34. და მოიღო ერმან მან ცმელი იგი შესუარვადმდე თბისა მის, შეყოფილი სამოსლითა მათითა და აღიკიდეს იგი ზურგსა მათსა.

35. ხოლო ყვეს ძეთა ისრაჳლისათა, ვითარცა უბრძანა მათ მოსე. და ითხოვეს ჭურჭელი ოქროსა და ვეცხლისაჲ და სამოსელი მეგვპტელთაგან.

36. და მოსცა უფალმან მადლი ერსა თვსსა წინაშე მეგვპტელთა და მოსცეს მათ, რასაცა სთხოვდეს ივინი. და გამოტყუენნეს მეგვპტელნი იგი.

27. ეგვპტეს. 28. მოსე. 29. შუალამეს. 30. ღამე. 31. მოსეს, ღამე. 35. მოსე.

¹ 26-ე მუხლის ტექსტი აკლია.

37. და წარმოვიდეს ძენი ისრაჲლისანი რამჴსით სოქოთად ექუსასი ათასი მამაკაცი მკვრცხლი გარეშე ქურქლისა მათისა.

38. და მრავალი მწირი თანა განჰყვა მათ, და ცხოვარი და ზროხნად და კარაული ფრიად.

39. [V] და შეიცხვეს ცმელი იგი, რომელი გამოიღეს ეგვიპტით, ყურბულად უცომოდ, რამეთუ ვერ შესუარეს იგი, და გამოასხნეს იგინი მეგვიპტელთა მათ, რამეთუ ვერ შეუძლებდეს თავს-დებად და ვერცა იქმნეს მათ საზრდელი საგზლად.

40. ხოლო მწირობად ძეთა ისრაჲლისათაჲ და მამათა მათთაჲ ეგვიპტეს და ქარანს ოთხას ოც და ათ წელ.

41. და იყო, შემდგომად ოთხას ოც და ათისა წლისა გამოვიდა ერი იგი ეგვიპტით ღამე.

42. პირველი საჯუმილავი არს ესე უფლისაჲ გამოყვანებაჲ მათი ქუეყანით ეგვიპტით. იგი ღამჴ არს ესე პირველი საცავი უფლისაჲ, ყოველთა შორის ძეთა ისრაჲლისათა იყოს ესე და ნათესავსა მათსა.

თ ა ვ ი 34

28. [279V] და იყო მუნ მოსე მთასა ზედა წინაშე უფლისა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, პური არა ჰქამა და წყალი არა სუა. და დაწერნა მუნ ფიცართა მათ ზედა ბრძანებანი იგი აღთქუმისანი: ათისა მის მცნებისა შჯულისანი.

29. და ვითარცა იყო ჟამი გარდამოსლვისა მოსესი მიერ მთით, და ორნი იგი ფიცარნი კელთა შინა მისთა. და ვითარცა გარდამოვიდა იგი მთისა მისგან, არა უწყოდა მოსე, ვითარმედ დიდებულეებაჲ გარდამოსრულ იყო და დადგრომილ პირსა მისსა.

30. და იხილა აჰრონ [280] და ყოველთა ძეთა ისრაჲლისათა პირი მოსესი, რამეთუ დიდებულ იყო ხატი პირისა მისისაჲ დიდებითა ღმრთისაჲთა. ზარი განჰქდა, რამეთუ შეეშინა და ივლტოდეს და ვერ მიეახლებოდეს.

31. უწოდა მათ მოსე კმითა, და მოიქცეს მისა აჰრონ და ყოველნი მთავარნი მის ერისანი. და იწყო სიტყუად მოსე.

32. მაშინდა მოეახლებოდეს მას ყოველნი ძენი ისრაჲლისანი. და ამცნებდა მათ ყოველთა ბრძანებათა, რომელთა ეტყოდა მას უფალი მათსა ზედა სინასა.

33. და ვითარცა აღასრულა მოსე ბრძანებაჲ იგი მათა მიმართ, დაიბურა საბურველი პირსა მისსა.

37. გარეშდ. 40. ეგვიპტს. 41. ღამდ.

34, 28. დღდ, ღამდ. 31. მოსდ.

34. და ვითარცა შევალნ მოსე წინაშე უფლისა, მოედუარცის საბურველი და ვიდრე გამოსლვადმდე, და რაჟამს გამოვიდის სიტყუად ერისა მის, დაიბურის საბურველი პირსა.

35. რამეთუ ვერ ზედვიდეს ძენი ისრაჴლისიანი პირსა მოსესსა, რამეთუ დიდებდა უფლისაჲ გარდამოსრულ იყო და დადგრომილ პირსა მისსა.

თ ა მ ი 40

15. [312v] და იყო, თთუესა მას პირველსა, მეორესა წელსა გამოსლვასა მათსა ეგვიპტით, თთვის თავსა აღმართა კარავი იგი.

16. და დადგნა სუეტის თავნი იგი მისნი და განუთხინა მოქლონი იგი და აღმართნა სუეტნი მისნი.

17. და განჰმართა ეზოები იგი კარავსა მას და დაჰბურა საბურველი იგი კარვისაჲ მის ზედა ზედა კერძო, ვითარცა-იგი უბრძანა უფალმან მოსეს.

18. და მოიხუნა საწამებელნი იგი და შთასხნა იგინი კიღობანსა მას და განუთხინა უღელნი იგი ქუეშე კიღობანსა მას.

19. და შეიღო კიღობანი იგი შინაგან კარავსა მას და დაჰბურა საბურველი კარვისაჲ მის და დაფარა კიღობანი იგი საწამებელისაჲ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს,

20. და დადგა ტაბლაჲ [313] იგი კარავსა მას შინა საწამებელისასა ჩრდილოთ კერძო გარეშე კრეტსაბმელისა მის კარვისა მის საწამებელისასა.

21. და დააგო მას ზედა პური იგი შესაწირავი წინაშე უფლისა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს;

22. და დადგა სანოვავჴ იგი კარავსა მას შინა საწამებელისასა ჩრდილოთ კერძო გარეშე კრეტსაბმელისა კარვისა მის საწამებელისა ადგელსა მას სამხრით კერძოსა.

23. და დადგნა სასანთლენი მისნი მის ზედა წინაშე უფლისა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

24. და დადგა საკურთხეველი იგი ოქროსაჲ კარავსა მას შინა საწამებელისასა წინაშე კრეტსაბმელისა მის.

25. და აკუმია საკუმეველი აღზავებული მას ზედა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს¹.

40, 15. თთუესა. 17. მოსეს. 18. ქუეშე. 19. მოსეს. 20. გარეშე.
21. მოსეს. 22. გარეშე. 25. მოსეს.

¹ 26-ე მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

27. და დადგა საკურთხი იგი ნაყოფთაჲ კართა ზედა კარვისა მის საწამებლისათა¹.

31. და აღდგა ეზოჲ იგი გარემო კარავსა მას და საკურთხეველსა მას ზედა და აღასრულა მოსე ყოველივე იგი საქმეჲ.

32. და დაფარა ღრუბელმან მან კარავი იგი საწამებლისაჲ, და აღივსო დიდებითა უფლისაჲთა კარავი იგი.

33. და ვერ ჰელ-ეწიფა მოსეს შესლვად კარავსა მას საწამებლისასა, რამეთუ აგრილობდა მას ღრუბელი იგი და დიდებითა უფლისაჲთა აღივსო კარავი იგი.

33. მოსტს.

¹ 28—30-ე მუხლების ტექსტი არ მოიპოვება.

რ ი ც ხ უ თ ა დ

თ ა ვ ი 20

23. [276v] და პრქუა უფალმან მოსეს!...
25. წარიყვანე აპრონ და ელიაზარ, ძმ მისი, და აღიყვანენ იგინი ორსა მთასა, წინაშე ყოვლისა კრებულისა.
26. და განსძუარცე აპრონს სამოსელი მისი და შეკმოსე ელიაზარს, ძესა მისსა; და შეეძინენ და მოკუედინ მუნ.
27. და ყო მოსე ეგრე, ვითარცა უბრძანა უფალმან, და აღიყვანნა იგინი ორსა მთასა წინაშე ყოვლისა კრებულისა.
28. და განსძუარცა აპრონს სამოსელი თვისი და შეკმოსა იგი ელიაზარს, ძესა მისსა,
29. და ნოკუდა აპრონ თხემსა მის მთისასა, და გარდამოვიდეს მოსე და ელიაზარ მიერ მთით.
30. და იხილა ყოველმან კრებულმან, რამეთუ მოკუდა აპრონ, და სტიროდეს აპრონს ოც და ათ დღე ყოველი სახლი ისრაჴლისაჲ.

თ ა ვ ი 22

1. [50v] და აღიძრნეს ძენი ისრაჴლისანი და დაიბანაკეს აღმოსავალით კერძო მოაბისა, იორდანესა ზედა, იერიქოჲთ კერძო.
2. და იხილა ბალააკ, ძემან სეფორისმან, ყოველი, რაჲცა უყო ისრაჴლმან ამორეველთა;
3. და შეეშინა მოაბსა ერისა მისგან, რამეთუ ფრიად მრავალ იყვნეს, და ზარი განჰკდა მოაბსა პირისაგან ძეთა ისრაჴლისათა.
4. და პრქუა მოაბ მოხუცებულთა მადიამისათა: აწლა ალალოშნოს კრებულმან ისრაჴლისამან ყოველი, რაჲცა იყოს გარემომს ჩუენსა, ვითარცა ალალოშნის ზროხამან მწუჟანვილი თივისაჲ. და ბალააკ, ძმ სეფორისი, მეფე მოაბისაჲ, იყო მას ჟამსა ოდენ.
5. და მოავლინნა მოხუცებულნი მოციქულად ბალაამისა, ძისა

20, 23. მოსტს. 25. იგინიივი. 27. იგინიივი. 29. მოსტ, დღმ.

22, 2. დაიბანაკს.

1 23-ე მუხლის ნაწილი და 24-ე მუხლი არ მოიპოვება.

ბეორისა, ფათურაჲსა, რომელ არს მდინარესა ზედა, და ქუეყანასა ზედა ერისა თვისისა გამოცდად მისა და ჰრქუა მას...

26. [51]... იწროსა, რომლისა ვერ იყო მისაქცეველ მარჯულ, ვერცა მარცხლ.

27. და იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი ღმრთისაჲ და დაჯდა იგი ქუეყანასა ფერკთა ზედა ბალაამისთა. და განრისხნა ბალაამ და სცემდა კუერთხითა ვირსა მას.

28. და აღულო ღმერთმან პირი ვირსა მას და ჰრქუა ბალაამს: რაჲ გყავ, რამეთუ ესე მეც მე სამ-გზის?

29. და ჰრქუა ბალაამ ვირსა მას: რამეთუ დამიწუნე, და თუმცა მქონდა მახვლი ჳელსა შინა ჩემსა, მუნთქუესვემცა განგგუმირე შენ.

30. და ჰრქუა ვირმან მან ბალაამს: არა-მე იგი ვირი შენი ვარია, რომელსა ზედა სჯდი სიჳაბუკით შენითგან ვიდრე მოდღენდელად ღღედმდე? ანუ შეურაცხებით შეურაცხ-გყავ შენ? და მან თუქუა: არა.

31. და განახუნა ღმერთმან თუალნი ბალაამისნი, და იხილა ანგელოზი უფლისაჲ, მდგომარჲ წინაშე ვირსა, და მახვლი ჳდელი ჳელსა შინა მისსა, და დადრკა თაყუანის-ცემად პირსა ზედა.

32. და ჰრქუა მას ანგელოზმან ღმრთისამან: რად ეც ვირსა მაგას შენსა ესე სამ-გზის? და აჰა ესერა მე გამოსრულ ვარ დაბრკოლებად შენდა. არა მართალ არს გზაჲ ეგე შენი წინაშე ჩემსა;

33. და მიხილა მე ვირმან მაგან შენმან და მიაქცია ჩემგან და ესე სამ-გზის. აჲ შენმცა მოგკალ და ესემცა განვარინე.

34. და ჰრქუა ბალაამ ანგელოზსა მას: უფალო, ვცოდე, რამეთუ არა ვიცოდე, რამეთუ შენ სდგა გზასა ზედა დაყდუნებად ჩემდა; და აჲ თუ არა გთნავს შენ, უკუნვიქცე.

35. და ჰრქუა ანგელოზმან მან [ბალაამს]: მივედ კაცთა მათ თანა, გარნა სიტყუაჲ, რომელი გრქუა შენ. დაიკრძალე სიტყუად. და წარვიდა ბალაამ მთავართა თანა ბალააკისთა.

36. და ესმა ბალააკს, ვითარმედ მოვალს ბალაამ, და მოვიდა წინა-მიგებებად მისა ქალაქად მოაბისა [V] საზღვართა ზედა არნონისათა, რომელ არს კიდეთა საზღვართასა.

37. ჰრქუა ბალააკ ბალაამს: არა მოვავლინენა შენდა ხადილად? რაჲსათვის არა მოხუედ ჩემდა? ანუ ნანდვლ ვერ შემძლებელ ვარა პატრის-ცემად შენდა?

38. ჰრქუა ბალაამ ბალააკს: აჰა ესერა მოვედ შენდა; აჲ შემძლებელ მე რაჲ ვიყო სიტყუად რასამე? გარნა სიტყუაჲ, რომელი მომცეს მე ღმერთმან პირსა ჩემსა, ესე ვთქუა.

5. ღართურაჲსა. 29. განგგუმირე.

39. და მოვიდა ბალაამ ბალააკის თანა და მოვიდეს ქალაქთა ბალააკისთა.

40. და დაკლა ბალააკ ცხოვარი და ზროხად და მიუძღუნა ბალაამს, და მთავარნი იყვნეს მუნ.

41. [82v] და იყო განთიად, წარიყვანა ბალააკმან ბალაამი და აღიყვანა იგი ძეგლსა ზედა ბალაამისასა და აჩუნა მიერ მცირედი რამე მის ერისაგანი.

თ ა ვ ი 23

1. და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: ძიქმნენ მე აქა შუდნი ბომონნი და დამიმზადენ შუდნი ზუარაკნი და შუდნი ვერძნი.

2. და ყო ეგრე ბალააკ, ვითარცა ჰრქუა ბალაამ, და შეწირა ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა.

3. და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: დადეგ მსხუერპლსა შენსა ზედა, და წარიდე და [83] გამომეცხადოს მე ღმერთი ჩუენებით, და სიტყუაჲ, რომელი გამოაჩინოს, გითხრა შენ. და დადგა ბალააკ შესაწირაგესა მას მისსა ზედა.

4. და ბალაამ მივიდა კითხვად მისა ღმრთისა, და მივიდა მართლ. და გამოეცხადა ღმერთი ბალაამს და ჰრქუა ბალაამ: შუდნი ბომონნი მიმზადებიან და შემიწირავს ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა.

5. და მოსცა უფალმან სიტყუაჲ პირსა ბალაამისსა და [ჰრქუა]: ესრე არქუ.

6. და მიიქცა მისსა, ხოლო იგი დგა მრგულიად-დასაწუველთა მათ მისთა ზედა და ყოველნი მთავარნი მოაბისანი მის თანა; და იყო სული ღმრთისაჲ მის ზედა.

7. და აღიღო იგავი თვისი და თქუა: შუანდინარით მომხადა მე ბალააკ მეფემან მოაბისამან მთავართაგან აღმოსავალისათა და თქუა: მოვედ და დაწყევე იაკობი, და მოვედ და დაწყევე იარაჲლი.

8. რაჲ ვსწყუეო, რომელსა არა სწყუევს უფალი? ანუ რაჲ დავწყუეო, რომელსა არა სწყუევს ღმერთი?

9. არამედ თავთაგან მათათჲსა ვიხილო იგი ბორცუთაგან განვიცადო იგი; აჰა ესერა ერი მარტოჲ დაეშწნოს და შორის წარმართთა შეირაცხოს.

10. ვინ გამოიძია ნათესავი იაკობისი ანუ ვინ აღრაცხოს დასეპი ისრაჲლისაჲ? მოკუედინ სული ჩემი სულისა თანა მართალთაჲსა, და იყავნ ნათესავი ჩუენი ვითარცა ნათესავი მათი.

11. და ჰრქუა ბალააკ ბალაამს: რაჲ ესე მიყავ ჩუენ? წყევად მტერთა ჩემთა მოგხადე შენ და აჰა ესერა აკურთხენ კურთხევით.

12. და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: არა ვთქუა, რომელი მომცეს ღმერთმან პირსა ჩემსა, ამას ვეკრძალო სიტყუად?

13. და ჰრქუა მას ბალააკ: მოვედ ჩემ თანა მერმეცა ადგილსა სხუასა, ვინაჲ არა იხილო იგი მიერ, არამედ მცირედი რაჲმე მისი იხილო, და დაწყევვე იგი მიერ.

14. და წარიყვანა იგი [v] აგარაკით ებგურთათთ თავად გამოთლილისად და აღქმნნა მუნ შვდნი ბომონნი და შეწირა ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა.

15. და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: დადევ მსხუერპლსა მაგას შენსა ზედა და მე მივიდე კითხვად ღმერთისა.

16. და შეემთხვა ღმერთი ბალაამს და მოსცა სიტყუად პირსა მისსა ლა ჰრქუა: მიიქეც ბალააკისა და ესრე არქუ.

17. და მოიქცა იგი. და ბალააკ დგა მრგულიად-დანაწუვეელსა მას მისსა ზედა, და ყოველნი მთავარნი მის თანა. და ჰრქუა მას: რაჲ გრქუა შენ ღმერთმან?

18. და აღილო იგავი თვისი და თქუა: აღდევ, ბალააკ, ისმინე და ყურად-იღე მოწამემან, ძემან სეფორისმან.

19. არა თუ ვითარცა კაცი არს ღმერთი განღვძებად და არცა ვითარცა ძმ კაცისაჲ რისხვად. მან თქუას [და] არა ყოს? თქუს და არა დაადგრის?

20. აჰა ესერა კურთხევად მიწყვიეს; ვაკურთხო და არა მოვაქციო.

21. არა იყოს შრომაჲ შორის იაკობსა, არა იხილოს საღმობაჲ შორის ისრაჴლსა. უფალი ღმერთი მისი მის თანა არს და დიდებულნი მთავარნი შორის მისა.

22. ღმერთი არს, რომელმან გამოიყვანა იგი ეგვიპტიით; ვითარცა დიდებაჲ მარტორქისაჲ.

23. რამეთუ არა არს ზმნაჲ შორის იაკობსა, არცა მისნობაჲ შორის ისრაჴლსა. ჟამად-ჟამად ეთხრას იაკობსა და ისრაჴლსა, რაჲცა ქმნას ღმერთმან.

24. აჰა ესერა ერმან, ვითარცა ლეკუმან ლომისამან, განიღვძოს და ვითარცა ლომი იბრდღუენდეს; არა დაიძინოს, ვიდრემდის არა ჭამოს ნადირი და სისხლი წყლულთაჲ სუას.

25. და ჰრქუა ბალააკ ბალაამს: ნუცა წყევით სწყევ მას და ნუცა კურთხევით აკურთხევ მას.

26. მიუგო ბალაამ ბალააკს და ჰრქუა მას: არა გეტყოდეა შენ და გარქუ, ვითარმედ: სიტყუად, რომელი მრქუას [84] ღმერთმან, იგი ცყო?

27. და ჰრქუა ბალააკ ბალაამს: მოვედ და მიგიყვანო სხუასა ად-
გილსა, სთნდეს თუ ხოლო ღმერთსა და დაწყევე იგი მიერ.

28. და წარიყვანა ბალააკმან ბალაამი თავსა მას ზედა ფოგორისასა,
რომელი მიიწევის უდაბნოდ.

29. და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: მიქმნენ მე აქა შვდნი ბომონნი და
დამიზადენ მე შვდნი ზუარაკნი და შვდნი ვერძნი.

30. და ყო ეგრე ბალააკ, ვითარცა ჰრქუა მას ბალაამ, და შეწირა
ზუარაკი და ვერძი ბომონსა მას ზედა.

თ ა ვ ი 24

1. და იხილა ბალაამ, რამეთუ კეთილ არს წინაშე უფლისა კურთხე-
ვაჲ იგი ისრაჴლისაჲ, არა მივიდა კითხვად უფლისა, ვითარცა-იგი
ჩუეულ იყო ზმნებითა, და მიიქცია პირი თვისი უდაბნოდ.

2. და აღიხილნა თუალნი თვისნი ბალაამ და იხილა ისრაჴლი დაბა-
ნაკებული ნათესავად-ნათესავად და იხილა სული ღმერთისაჲ მის ზედა.

3. და აღიღო იგავი თვისი და თქუა ბალაამ, ძემან ბეორისმან, კაც-
მან, რომელ ჭეშმარიტად ხედვიდა;

4. რომელმან ხილვაჲ ღმერთისაჲ იხილა ძილსა შინა ზე მხილვარი-
თა თუალითა თვისითა:

5. ვითარ კეთილ არიან სახლნი შენნი, იაკობ, და კარავნი შენნი,
ისრაჴლ!

6. ვითარ მალნარნი ბორობანნი და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა
ზედა და კარავნი, რომელ აღდგნა უფალმან და არა კაცმან, და ვითარ-
ცა ნაძვ წყლის კიდესა.

7. გამოვდეს ნათესავისაგან მისისა და ეუფლოს ნათესავთა მრავალთა,
და ამაღლდეს მეუფებაჲ მისი და აღორძნდეს.

8. ღმერთი უძლოდა მათ ეგვიპტეს; ვითარცა მარტორქისა დიდებაჲ
მისი; შეჴამნეს ნათესავნი მტერთა მისთანი და სიპოხჴ მისი ტვნი-
თურთ გამოსწოოს და ისრითა მისითა ერეოდის მტერთა.

9. ინაკოთ განისუენოს ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლო-
მისამან, [v]ვინ აღადგინოს იგი? მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ
იყვნენ, და მწყევარნი მისნი წყეულ იყვნენ.

10. და განრისხნა გულის-წყრომით ბალააკ მის ზედა და შეიტყუ-
ელნა კელნი თვისნი, და ჰრქუა ბალააკ ბალაამს: წყევად მტერთა ჩემთა
მოგხადე შენ და ავა ესერა კურთხევით აკურთხენ მესამედ.

11. და აწ ივლტოდე ადგილად შენდა. ვთქუ, ვითარმედ გადიდო შენ, და აწ კუებულ იქმენ დიდებისაგან ჩემისა.

12. და ჰრქუა ბალაამ ბალააკს: არა მოციქულთაცა შენთა, რომელ მოავლინენ ჩემდა, ვარქუ-მეთქი.

13. მო-ლათუ-მცეს ბალააკ სახლი სავსე ვეცხლითა გინა ოქროთა, ვერ შეუძლო გარდასლვად სიტყუასა უფლისასა ყოფად მისა კეთილად ანუ ბოროტად თავით ჩემით, არამედ რაოდენი მრქუას მე უფალმან, ესე ვთქუა მე.

14. და აპა ესერა წარვალ [ადგილდ ჩემდა]; მოვედ და გაზრახა, რად უყოს ერმან მან ერსა შავას შენსა აღსასრულისა დღეთა.

15. და თქუა ბალაამ, ძემან ბეორისმან, რომელსა ჭეშმარიტად ეს-მოდეს სიტყუანი ღმრთისანი.

16. და მეცნიერ იყო მეცნიერებასა ღმრთისასა და ხილვად ღმრთისად იხილა ძილსა შინა, ზე ხილულ იყენეს თუალნი მისნი.

17. უჩინო მას და არა აწ; ჰნატრო და არა მახლობელად. გამოზრ-წყინდეს ვითარცა ვარსკულავე იაკობისგან, და აღდგეს კაცი ისრაჲლისაგან და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი.

თ ა ვ ი 25

5. [276v] და ჰრქუა მოსე ნათესავთა ისრაჲლისათა: მოკალნ კაცად-კაცადმან სახლეული თვისი, რომელნი შეიგინნეს ბელფეგორეს.

6. და მოვიდა მუნ კაცი [277] ძეთაგან ისრაჲლისათაჲ. და მიეახლა დედაკაცსა მადიაშელსა წინაშე მოსესა და წინაშე ყოვლისა კრებულისა ძეთა ისრაჲლისათა. და იგინი სხდეს და ტიროდეს წინაშე კარვისა მის საწამებელისა.

7. და იხილა ფინეუზ, ძემან ელიაზარისმან, ძისწულმან აპრონის მღდელისამან, და აღდგა კრებულისა მისგან და მოიღო ჰოროლი კელითა თვისითა.

8. და მიუტდა იგი კაცსა მას ისრაიტელსა საპიტალოესა შინა. და სცა ჰოროლი და განგუჰირნა იგინი საშოსა ზედა ორნივე: კაცი იგი ისრაიტელი და დედაკაცი იგი მადიამელი. და დასცხრა წყლულებაჲ იგი ძეთაგან ისრაჲლისათა.

9. და იყენეს, რაოდენნი მოისრნეს წყლულებითა მით, ოც და ოთხ ათას.

10. და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა:

11. ფინეუზ, ძემან ელიაზარისმან, ძის წულმან აპრონ მღდელისა-

მან, დააცხრვო რისხვამ ჩემი ძეთა ზედა ისრაჲლისათა, რამეთუ შურის-გება ყო ჩემთვის მათ ზედა და არა მოვსრენ ძენი ისრაჲლისანი.

12. ესრე არქუ მას: აჰა ესერა აღვითქუამ აღთქუმასა მას მშკდობისასა.

13. და იყოს შემდგომად მისა და ნათესავისა მისისა აღთქუამა საუკუნოჲ მღდელობისაჲ, ამისთვის რამეთუ შურდა ღმრთისა თვისისაჲ და იქსნნა ძენი ისრაჲლისანი.

მეორე მჯ ულთად

თ ა ვ ი 6

4. [52] ისმინე, ისრაჲლ, უფალი ღმერთი შენი უფალი მხოლოდ არს.

5. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა.

6. და იყვენენ სიტყუანი ესე, რომელთა გამცნებ შენ ღმერთს, გულსა შენსა.

7. და იტყოდით მათ ჯდომასა შენსა სახლსა შინა და სლვასა შენსა გზასა ზედა, და წოლასა და აღდგომასა შენსა.

8. და შეიბნე იგინი სასწაულად ჳელსა შენსა და იყვენენ შეურყეველ წინაშე თუალთა შენთა.

9. და დასწერნე წყირთლთა სახლისა შენისათა და ეზოთა შენთა.

10. და რაეამს შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ჳუეყანასა მას, რომლისათვის ეფუცა მამათა თჳუენთა აბრაჳამს, ისაკს და იაკობს მოცემად შენდა ჳალაჳები ღიდ-ღიდი და კეთილი, რომელ შენ არა აღაშენე,

11. და სახლები სავსე ყოვლითა კეთილითა, რომელ შენ არა აღაგსენ, ჳურღმულნი აღმოკუეთილნი, რომელ შენ არა აღმოჳკუეთენ, ვენაჯოვანნი და ჳეთის-ხილოვანნი, რომელ შენ არა დაჳნერგენ, და სჳამდე რაჲ და განსძღებოდნი.

12. ეკრძაღე თავსა შენსა, ნუჳკუე დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანა შენ ჳუეყანით ეგჳპტით სახლისაგან კირთებისა.

13. უფლისა ღმრთისა შენისა გეშინოდენ და მას [v] მხოლოსა მსახურებდი და სახელსა მისსა ფუცევიდი.

14. არა მიხვდე შედგომად ღმერთთა უცხოთა, ღმერთთა მათ წარმართთასა, რომელნი იყვენენ გარემოჲს თჳუენსა.

15. რამეთუ ღმერთი მოშურნე არს, უფალი ღმერთი შენი, რომელ არს შენ თანა, ნუჳკუე განგირისხნეს უფალი ღმერთი შენი და მოგსრას შენ პირისაგან ჳუეყანისა.

16. არა განსცადო უფალი ღმერთი შენი, ვითარცა-იგი განცადეს გამოცდასა მას.

17. დაცვით დაიცვნე მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი და სამართალნი მისნი, რაოდენთა გამცნებ შენ.

18. და ჰქმნე კეთილი და სათნო წინაშე უფლისა ღმრთისა შენი^ა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ, შეხვდეს და დაიმკვდრო ქუეყანაჲ იგი კეთილი, რომლისათვის ეფუცა ღმერთი მამათა შენთა

19. განდევნებად ყოველთა მტერთა შენთა პირისაგან შენისა, ვითარცა-იგი გეტყოდა შენ უფალი.

20. და იყოს, რაჲმს-იგი გკითხვიდეს შენ ძმ შენი ხვალე და გრქუას: რაჲ არიან წამებანი ესე და სამართალნი, რომელ გამცნო თქუენ უფალმან?

21. და შენ უთხარ ძესა შენსა: მონაჲ ვიყავ ფარაოჲსი ეგვიპტეს შინა და გამომიყვანა მე უფალმან კელითა მტკიცითა და მკლავითა მღლითა.

22. და მომცა ჩუენ სასწაულები და ნიშები დიდ-დიდი, ბოროტი ეგვიპტეს ფარაოჲსი და სახლსა მისსა წინაშე ჩუენსა.

23. და ჩუენ მიცხნა მიერ, რაჲთა შემიყვანნეს ჩუენ და მომცეს ჩუენ ქუეყანაჲ ესე, რომლისათვის ეფუცა უფალი ღმერთი ჩუენი მამათა ჩუენთა მოცემად ჩუენდა.

24. და გუამცნო ჩუენ უფალმან ღმერთმან ჩუენმან ყოველთაგან სამართალთა, რაჲთა გუეშინოდის უფლისა ღმრთისა ჩუენისა, და რაჲთა კეთილი გუეყოს ჩუენ ყოველთა დღეთა და ვცხონდეთ, ვითარცა-ესე დღეს.

25. და მოწყალებაჲ იყოს ჩუენ შორის, უკუეთუ დავიმარხნეთ ყოველნი ესე მცნებანი წინაშე უფლისა ღმრთისა, ვითარცა მამცნო ჩუენ უფალმან.

თ ა ვ ი 7

1. უკუეთუ შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ქუეყანასა მას, რომელსა შეხუალ დამკვდრებად მას შინა, და აღიხუნეს ნათესავნი იგი დიდ-დიდნი და მრავალნი პირისაგან¹.

21. [53]. რამეთუ უფალი ღმერთი შენ შორის არს, ღმერთი დიდი და ძრიელი.

22. და მოსპნეს უფალმან ღმერთმან შენმან ნათესავნი იგი პირისაგან შენისა მცირედ-მცირედ; ვერ კელ-გეწიფების ადრე მოსრვაჲ

20. ხელმ. 21. ეგვიპტს. 22. ეგვიპტს.

¹ არ მოიპოვება 2—20 მუხლების ტექსტი.

მათი, რადგან არა ქუეყანაჲ მოოკრდეს და მკეცი ველისაჲ განმრავლდეს შენ ზედა.

23. და მოგცნეს იგინი უფალმან ღმერთმან შენმან კელთა შენთა, და წარსწყმიდნე იგინი წარწყმედითა დიდითა.

24. და მოგცნეს მეფენი მათნი კელთა თქუენთა და წარწყმიდოს სახელები მათი კელისაგან თქუენისა და წარწყმდენ იგინი ადგილით მათით; არავინ წინა-აღვიდგეს თქუენ წინაშე პირსა თქუენსა, ვიდრე მოსრნეთ იგინი.

25. გამოქანდაკებულნი კერპნი მათნი დაწუენით ცეცხლითა, ნუ გული ვითქუამნ ოქროსა და ვეცხლსა მათსა მოღებად თავისა შენისა მისგან, ნუუკუე სცთე, რამეთუ საძაგელ არს იგი უფლისა ღმრთისა შენისა.

26. და არა შეიღო საძაგელი სახიდ შენდა, და შეჩუენებულ იყო შენ ვითარცა იგინი; მოწყინებით მოიწყინო და მოძაგებით მოიძაგო, რამეთუ შეჩუენებულ არს.

თ ა ვ ი 8

1. [72] ყოველთა ამთ მცნებათა, რომელთა გამცნებ თქუენ დღეს, დაიმარხნით ყოფად, რადგან სცხონდეთ და განჰმრავლდეთ და დაიმკვდროთ ქუეყანაჲ იგი, რომლისათჳს ეფუცა უფალი მამათა თქუენთა.

2. და მოიგსენოთ ყოველივე იგი გზაჲ, რომელსა მოგიყვანა შენ უფალმან ღმერთმან შენმან უდაბნოსა მას, რადგან განგაბოროტოს და გამოგკადოს შენ და გამოცადოს გული შენი, და-ძი-იმარხნე მცნებანი მისნი ანუ არა.

3. და ბოროტი გიყო შენ, დაგამშია შენ, და გაქამა მანანაჲ უდაბნოსა ზედა, რომელი არა იცო[v]დეს მამათა შენთა, რადგან ვითხრას შენ, რამეთუ არა ხოლო პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა, ცხონდების კაცი.

4. სამოსელი შენი არა განკვდა შენგან, ფერკი შენი არა გამოგტკუფეს.

5. და სცნა გულითა შენითა, რამეთუ ვითარცა-ვინ სწავლინ კაცი შვილსა თჳსსა, ეგრძლთ გსწავლიდა შენ უფალი.

6. და დაიმარხენ მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი სლვად გზათა მისთა და რადგან გეშინოდის მისა.

7. რამეთუ უფალსა ღმერთსა შენსა შეჰყავ შენ ქუეყანასა მას კეთილსა და ფრიადსა, სადა-იგი კევნი წყალთანი და წყარონი უფსკრულთანი გამოვლენ ველთაგან მისთა;

8. ქუეყანაჲ იფქლისა და ქრთილისაჲ, ვენაჯოანი და ლედოანი, ბროწეულისაჲ, ქუეყანაჲ ზეთის-ხილისაჲ, ზეთისა და თაფლისაჲ;

9. ქუეყანაჲ, რომელსა ზედა არა ნაკლულევეანებით სქამდენ პურსა შენსა, და არა გაკლდეს მას ზედა, რომლისა ქვანი მისნი არიან რკინა, და ქვათაგან მისთა გამოჰკუეთენ რვალნი.

10. სქამდე და განსძღებოდი, და აკურთხევდე უფალსა ღმერთსა შენსა ქუეყანასა მას კეთილსა, რომელი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ.

11. ეკრძაღე თავსა შენსა, ნუუკუე დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, ვითარმცა არა დაიმარხენ მცენებანი მისნი და სამართალნი მისნი, რაოდენთა გამცნებ შენ დღეს.

12. ნუუკუე სქამდე რაჲ და განსძღებოდი და სახლებსა კეთილსა იმჴნებდე და დაიმკვდრო მას შინა;

13. ცხოვარი და ზროხაჲ და განგიმრავლდეს შენ, ოქროჲ და ვეცხლი შენი და ყოველი, რაჲ იყოს შენი;

14. და აჰმადლდე გულითა შენითა და დაივიწყო უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგაცყვანა შენ ქუეყანით ეგვიპტით სახლისაგან კირთებისა;

15. რომელმან მოგიყვანა შენ უდაბნოსა მას დიდსა და საშინელსა, სადა-იგი გუელი და ღრიაკალი კბენდა [73] და სადა-იგი არა იყო წყალი, რომელ-მან გამოგიდინა შენ წყაროჲ წყლისაჲ კლდისაგან;

16. ...რომელი არა იცოდე შენ, არცა მამათა შენთა, რაჲთა ბოროტი გიყოს შენ და გამოგცადოს და კეთილი გიყოს შენ უკუანაჲსკენელ.

17. ნუ იტყვ გულსა შენსა, ვითარმედ ძალმან ჩემმან და სიმტკიცემან მკლავისა ჩემისაჲმან მიყო მე ძალი ესე დიდი.

18. და მოიკსენო უფალი ღმერთი შენი, რაჲმეთუ მან მოგცა შენ ძალი ყოფად ძრიელებისა, რაჲთა დაამტკიცოს აღთქემად მისი, რომელ ეფუცა მამათა შენთა, ვითარცა-ესე დღეს.

19. და იყოს, უკუეთუ დავიწყებით დაივიწყო უფალი ღმერთი შენი და მიხვდე შედგომად ღმერთთა უცხოთა და მსახურებდე მათ, გიწამებ თქუენ ცასა და ქუეყანასა, წარწყმედით წარსწყმდეთ.

20. ვითარცა-იგი სხუანი ნათესავნი, რომელნი უფალმან ღმერთმან წარწყმიდნა პირისაგან შენისა, ეგრე წარსწყმდეთ ამისთვის, რაჲმეთუ არა ისმინეთ ჯმაჲ უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ.

თ ა ვ ი 9

1. ისმინე, ისრაჴლ: შენ წიაღხუალ დღეს იორდანესა შესღვად და დამკვდრებდად ნათესავთა მრავალთა დიდთა და უძრიელჴსთა თქუენსა და ქალაქთა მოზღუდვილთა ვიდრე ცადმდე;

2. ერსა დიდსა და ფრიადსა და ასაკ-გრძელთა ძეთა ენაკისთა, სა-და-იგი იყავ და გესმინა: ვინ წინა-აღუდგეს წინაშე ძეთა ენაკისთა?

3. და სცნა დღეს, რამეთუ უფალი ღმერთი შენი ესე წარგიძლეეს წინაშე პირსა შენსა. ცეცხლ განმლეველ არს უფალი ღმერთი შენი. ამან მოსრნეს და ამან თავადმან უფალმან წარიქცინეს იგინი პირისა-გან თქუენისა და წარწყმიდნეს იგინი აღრე, ვითარცა-იგი გრქუა შენ.

4. ნუუკუე სთქუა გულსა შენსა, რაჟამს მოსრნეს უფალმან ღმერთმან შენმან ნათესავი ესე პირისაგან შენისა, ვითარმედ: სიმართლისათვის ჩემისა მომიყვანა მე უფალმან დამკვდრებად ქუეყანასა აძას კეთილსა, [v] არამედ უღმრთოებისათვის მათ ნათესავთაჲსა [მოსრნა იგინი უფალმან] პირისაგან შენისა.

5. არა თუ სიმართლისა შენისათვის და არცა სიღირსისათვის გულისა შენისა შეხუალ დამკვდრებად ქუეყანასა მათსა, არამედ უღმრთოებისათვის მათ ნათესავთაჲსა უფალი მოსრავს პირისაგან შენისა, და რაჲთა დაამტკიცოს აღთქუმაჲ თვისი, რომელ ეფუცა მამათა შენთა აბრაჰამს, ისაჲს და იაკობს.

6. და სცნა დღეს, რამეთუ არა სიმართლისა შენისათვის უფალი ღმერთი შენი მიგცემს შენ ქუეყანასა მას კეთილსა დამკვდრებად. რამეთუ ერი ქედ-ფიცხელი ხარი შენ.

7. [93] მოიქსენე და ნუ დაივიწყებ, რაოდენ-იგი განარისხე უფალი ღმერთი შენი უდაბნოსა ზედა, ვინაჲთ დღითგან გამოხუედ ქუეყანით ეგვიპტით ვიდრე მოსლვადმდე ადგილსა მას, უჩრებით აღასრულეთ უფლისა მიმართ.

8. და ქორებსცა განარისხეთ უფალი ღმერთი. და განრისხნა თქუენ ზედა მოსრავად თქუენდა.

9. და აღსლვასა მას ჩემსა მთად მოღებად ორთა მათ მცნებათა შჯულისათა, რომელი-იგი დაგიდვა შჯული უფალმან, და ვიყავ მთაჲა მას ზედა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, პური [v] არა ვჭამე და წყალი არა ვსუ.

10. და მომცნა მე უფალმან ორნი ფიცარნი ქვისანი, დაწერილნი თითითა ღმრთისაჲთა, და მას წერილ იყვნეს ყოველნი სიტყუანი ღმრთისანი, რომელთა იტყოდა უფალი თქუენდა მიმართ.

11. და იყო, მეორმეოცესა დღესა და მეორმეოცესა ღამესა მომცნა მე უფალმან ორნი იგი ფიცარნი შჯულისანი.

12. და მრქუა მე: აღდგე და გარდაგუალე ამიერ აღრე; რამეთუ უსჯულო იქმნა ერი იგი შენი, რომელი აღმოიყვანე ქუეყანით ეგვიპ-

ტით, და გარდაჰკდეს გზისა მისგან, რომელი ამცენ მათ, რამეთუ აქმნეს თავისა თვისისა კერპი.

13. და მრქუა მე [უფალმან]: გეტყოდე შენ ერთ-გზის და ორ-გზის და გარქუ: ვიხილე ერი ესე, და აჰა ესერა ქედ-ფიცხელი არს.

14. მაკადე და მოვსრნე იგინი და აღვკოცო სახელი მათი ცასა ქუეშე; და გყო შენ ნათესავად დიდად და უძრიელჴს ამათსა ფრიად.

15. და მოვიქუეც და გარდამოვკვედ მიერ მითთ, და მთაჲ იგი ეგზე-ბოდა ცეცხლითა. და ორნი იგი ფიცარნი კელთა შინა ჩემთა.

16. და ვიხილე, რამეთუ სცოდნეთ წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და იქმენით თავისა თქუენისა კერპი და გარდაჰკედით გზისა მისგან, რომელი გამცნო თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან.

17. და მოვიხუენ ორნი იგი ფიცარნი და დავსთხიენ ორთაგანვე კელთა ჩემთა და დავშუსრენ იგინი წინაშე თქუენსა.

18. და ვევედრე წინაშე უფლისა, ვითარცა-იგი პირველ, მეორედ ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, პური არა ეჭამე და წყალი არა ვსუ ყოველთა ცოდვათა თქუეხთათჴს, რომელ სცოდნეთ ყოფად ბოროტი წინაშე უფლისა ღმრთისა განრისხებად იგი.

19. და შეშინებულ ვარ გულის-წყრომისა მისისა და რისხვისა, რამეთუ განრისხნა უფალი თქუენ ზედა სრულიად მოსრვად თქუენდა. და შუისმინა ჩემი უფალმან მას ეამსა შინა.

20. და აპრონის ზედა განრისხნა უფალი ფრიად მოსპოლვად მისა; და ვილოცე აპრონისთჴს მას ეამსა შინა.

21. და ცოდვაჲ იგი თქუენი, რომელ ჰქმენით, [94] კბოჲ იგი მოვილე და დავწუ იგი ცეცხლითა, შევმუსრე და მოვგალე ფრიად, ვიდრემდის იქმნა იგი ვითარცა მტუერი, და შთავაბნიე კეცსა მას, რომელი გარდამოვალს მთისა მისგან.

22. და ცეცხლით შემწუარსა მას და გამოცდასა მას და საფლავთა მათ ზედა გულის-თქუმისათა განმარისხებელ იყუენით უფლისა ღმრთისა თქუენისა.

23. და ოდეს წარგავლინნა თქუენ უფალმან კადჴთ ბარნისაჲთ და იგრქუა: აღვედით და დაიშკდრეთ ქუეყანაჲ, რომელი მიგეც თქუენ, და ურჩ ექმნენით უფალსა ღმერთსა თქუენსა და სიტყუათა მისთა და არა გრწმენა მისი, არცა ისმინეთ კმისა მისისაჲ;

24. და ურჩ ექმნენით უფალსა, ვინაჲთგან გამოგიცხადა თქუენ.

25. და ვევედრე წინაშე უფლისა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, რაოდენ-იგი ვევედრე, რამეთუ თქუა უფალმან მოსრვაჲ თქუენი.

26. და ვილოცე უფლისა მიმართ და ვთქუ: უფალო ღმერთო, მეუ-

ფეო ღმერთთაო, ნუ მოსრავ ერსა შენსა და ნაწილსა შენსა, რომელ იცხენ ძალითა შენითა დიდითა, რომელნი გამოიყვანენ ქუეყანით ეგ-ჯპტით კელითა მტკიცითა და მკლავითა მალლითა.

27. მოიყვანე აბრაჰამ, ისაკ და იაკობ, მსახურნი შენნი, ნუ ჰხედავ სიფრცხესა ამის ერისასა, უღმრთოებასა და ცოდვასა მათსა.

28. ნუუკუე იტყოდინ მკვდრნი მის ქუეყანისანი, ვინაჲ-იგი გამო-მიყვანენ ჩუენ, და თქუან, რამეთუ: ვერ შეუძლო უფალმან შეყვანე-ბად ქუეყანასა მას, რომელი ჰრქუა მათ მიცემად, რამეთუ სძულდეს იგინი და მცსთუს განიყვანნა მოსრვად უღაბნოსა ზედა.

29. და ესე ერი შენი და ნაწილი შენი, რომელი გამოიყვანე ქუეყა-ნით ეგვპტით ძალითა შენითა დიდითა და მკლავითა შენითა მალლითა.

თ ა ვ ი 10

1. მას ჟამსა შინა მრქუა მე უფალმან: გამოთალენ თავისა შენისა ფიცარნი ქვისანი, ვითარცა პირველნი იგი, და აღმოგუალე ჩემად მთად და კმენ შენ კილობანი ძელისაჲ.

2. და დაწერენ ფიცართა [v] მათ სიტყუანი იგი, რაოდენნი წე-რილ იყვნეს ფიცართა მათ პირველთა, რამელ შეჰმუსრენ, და დასხენ იგინი კილობანსა მას.

3. და ვკმენ კილობანი იგი ძელთაგან უღპოველთაჲ, და გამოვკუე-თენ ორნი იგი ფიცარნი ქვისანი, ვითარცა პირველნი იგი, და აღვედ მე მთად, და ორნი იგი ფიცარნი კელთა შინა ჩემთა.

4. და დაწერნა ფიცართა მათ წერილისა მისებრ პირველისა ათნი სიტყუანი, რომელთა იტყოდა უფალი თქუენდა მიმართ მთასა მას ზე-და შორის ცეცხლსა, და მომცნა მე იგინი უფალმან.

5. და მოვიქეც და გარდამოვედ მიერ მთით და შთავსხენ ფიცარნი იგი კილობანსა მას, რომელ ვკმენ, და იყვნეს იგინი მუნ, ვითარცა მავ-ცნო მე უფალმან.

6. და ძენი ისრაჲლისანი აღიძრნეს ბეროთით ძეთაგან იოაკიმისთა. და მუნ მოკუდა აპრონ და დაეფლა, და მღდელობდა ელიაზარ, ძჲ მისი, მის წილ.

7. და მიერ აღიძრნეს კაღკადდ და [კად]კადით — იტაბედ, ქუეყა-ნად ჯევისა მის ნაწილთაჲსა.

8. მას ჟამსა შინა განაჩინა უფალმან ტომი ლევისი აღებად კილო-

27. სიფრცხლსა.

10, 6. ბეროთით] ბეთორით.

ბნისა შჯულისა უფლისა წარდგომად წინაშე უფლისა მსახურებად და ლოცვად სახელითა მისითა ვიდრე აქა დღედმდე.

9. ამისთვის არა არს ლევიტელთა ნაწილი და სამკვდრებელ შორის ძმათა მათთა, უფლისა ღმრთისა ნაწილ არს მათა, ვითარცა ჰრქუა მათ.

10. და მე ვდგე მთასა მას ზედა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე და შეიღმინა ჩემი უფალმან მას ჟამსა შინა და არა ინება მოსრვამ თქუენი.

11. და მრქუა მე უფალმან: ვიდოდე, წარვედ წინაშე ერისა მაგის და შეხვდეთ და დაიმკვდროთ ქუეყანაჲ, რომლისათვის ვფუცე მამათა მათთა მიცემად მათა.

12. [110v] და აწ, ისრაჲლ, რასა უფალი ღმერთი ეძიებს შენგან? არამედ რაჲთა გეშინოდის მისა და ზედოდი ყოველთა გზათა მისთა, და შეიყუარო იგი და მსახურებდე უფალსა ღმერთსა შენსა ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა.

13. და დაიცუნე მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი და სამართალნი მოსნი, რაოდენსა გამცნებ შენ დღეს, რაჲთა კეთილი გეყოს შენ.

14. აჰა ესერა უფლისა ღმრთისა შენისა არიან [ცანი და] ცანი ცათანი და ქუეყანაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა;

15. რამეთუ მამანი თქუენნი გამოირჩინა შეყუარებად იგინი, და გამოირჩინა ნათესაენი მათნი შემდგომად მათსა თქუენ უფროჲს ყოველთა ნათესავთა, ვითარცა-ესე დღეს.

16. და აწ წინადაიცუთეთ გულ-ფიცხელობაჲ ეგე თქუენი და ქელი თქუენი არ [111]ღარა განიფიცხოთ:

17. რამეთუ უფალი ღმერთი თქუენი ესე არს ღმერთი დიდი და ძრიელი, ღმერთი ღმერთთაჲ და უფალი უფალთაჲ, რომელმან არა თუალ-ახუნის, არცა მიილის ქრთამი.

18. ყვის სასჯელი მწირისაჲ, და უყუარან მას მწირნი, მოცემად მათა პური და სასუმელი.

19. გყუარდინ თქუენცა მწირნი, რამეთუ თქუენცა მწირ იყვნით ქუეყანასა მას ეგვიპტისასა.

20. უფლისა ღმრთისა გეშინოდენ და მას მხოლოსა მსახურებდი და სახელსა მისსა ფუცევდი.

21. რამეთუ იგი თავადი არს უფალი ღმერთი შენი, რომელმან ყო დიდ-დიდი, რომელი იხილეს თუალთა შენთა.

22. სამეოც და ათხუთმეტითა სულითა შთავიდეს მამანი თქუენნი ეგვიპტედ, ხოლო აწ ესერა გყვნა თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან ვითარცა ვარსკულაენი ცისანი სიმრავლითა.

თ ა ზ ი 11

1. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი და დაიცვნე საცაენი მისნი და სამართალნი მისნი და მცნებანი მისნი და მსჯავრნი მისნი ყოველთა დღეთა.

2. და სცნათ, რამეთუ არა ყრმანი თქუენნი, რომელთა არარაჲ იცოდინან, არცა იციან სწავლაჲ უფლისა შენისაჲ და დიდებულებანი და ნიშნი მისნი

3. და სასწაულნი, რომელ ქმნა შორის ეგვიპტესა და ქუეყანასა მათსა.

4. და რაჲ-იგი უყო ერსა მას ეგვიპტისასა: ეტლები მათი და ცხენები მათი ვითარ-იგი წარლუნნა წყალმან მან მეწამულისა ზღვსამან წინაშე პირსა თქუენსა, რაჲამს-იგი გღევნიდეს შედგომად თქუენსა, და წარწყმიდნა იგინი უფალმან ღმერთმან თქუენმან ვიდრე დღენდელად დღედმდე;

5. და რაოდენი გიყო თქუენ უფალმან ღმერთმან თქუენმან უდაბნოსა ზედა, ვიდრემდის მოხუედით თქუენ ადგილსა მას;

6. და რაოდენი უყო დათანსა და აბირონს, ძეთა ელიაბისთა, ძისა რუბენისთა: ვითარ-იგი განალო პირი ქუეყანამან და შთანთქნა იგინი და სახლები მათი და კარვები მა[თი და ყოველი მონა] [v]გები მათი შორის ყოველსა ისრაჳლსა.

7. თუალნი თქუენნი ხედვიდეს ყოველთა საქმეთა უფლისა ღმრთისათა დიდ-დიდთა, რაოდენნი ქმნა ჩუენ შორის.

8. დაიმარხენით ყოველნი მცნე[ბანი მი]სნი, რაოდენსა ნე ჳამცნებ შენ დღეს, რაჲთა სცხოვრდეთ და განჰმრავლდეთ და დაიმკვდროთ ქუეყანაჲ იგი, რომელსა წიაღხუალთ თქუენ იორდანესა დამკვდრებად;

9. რაჲთა დღევრძელ იყვენთ თქუენ ქუეყანასა ზედა, რომლისათვის ეფუცა უფალი მამათა თქუენთა მოცემად მათა და ნათესაეთა მათთა შემდგომად მათსა ქუეყანაჲ, გამომდინარჳ სძისა და თაფლისაჲ.

10. რამეთუ არს ქუეყანაჲ იგი, რომელსა მიხუალთ დამკვდრებად მას ზედა, არა ვითარ ქუეყანაჲ ეგვიპტისაჲ არს, ვინაჲ-იგი გამოხუედ შენ, რაჲამს იგი სთესიან, მორწყიან ფერკითა ვითარცა მტელი მხალთაჲ.

11. ხოლო ქუეყანაჲ იგი მთოვანი და [ველოვ]ანი, [რომელსა თქუენ შეხუალთ დამკვდრებად], ზეცით გარდამო წვმისასა სუმიდეს წყალსა.

12. ქუეყანაჲ, რომელსა უფალი ღმერთი შენი ხედავს მარადის,

თულნი უფლისა ღმრთისა შენისანი მას ზედა არიან დასაბამითგან წელიწადისადათ ვიდრე აღსრულებადმდე წელიწადისა.

13. უკუეთუ სმენით ისმინნეთ ყოველნი მცნებანი მისნი, რაოდენთა მე გამცნებ შენ დღეს, რაათა გიყუარდეს უფალი ღმერთი შენი და კმსახურებდე მას ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა.

14. მოსცეს წუმაჲ ქუეყანასა შენსა ჟამსა თვისსა მსთუჲჲ და მცხუედი, და შეიღო იფქლი შენი და ღვწოჲ შენი და ზეთი შენი.

15. და მოსცეს თიგაჲ ველთაჲ საცხოვართა შენთა, და სჰამდე რაჲ და განსძღებოდნი.

16. ეკრძაღე თავსა შენსა, ნუუკუე განვრცნეს გული შენი, და გარდაჰკდე თაყუანის-ცემად ღმერთთა უცხოთა.

17. და გულის-წყრომით განგირისხნეს უფალი ღმერთი შენი, და დააყენოჲ ცაჲ, და ქუეყანამან არა გამოსცეს ნაყოფი თვისი, [112] და წარსწყმდეთ თქუენ ადრე ქუეყანისა მისგან კეთილისა, რომელი-იგი მოგცეს თქუენ უფალმან.

18. და დაისხენით სიტყუანი ესე გულთა თქუენთა და სულთა თქუენთა და შეიბენით იგინი სასწაულად კელთა თქუენთა, და იყვნენ შეურყეველ წინაშე თუალთა თქუენთა.

19. და ასწავნე იგინი შვილთა თქუენთა სიტყუად ჯდომასა სახლსა შინა და სლვასა გზასა ზედა და წოლასა და აღდგომასა.

20. და დასწერნე იგინი წყირთლთა სახლისა შენისათა და ბჰეთა თქუენთა.

21. რაათა დღეგრძელ იყვნეთ თქუენ და ძენი თქუენნი ქუეყანასა ზედა, რომლისათვის ეფუცა უფალი მამათა თქუენთა მოცემად თქუენთა, ვითარცა დღენი ცისანი ქუეყანასა ზედა.

22. და იყოს, უკუეთუ ისმინნეთ ყოველნი მცნებანი, რაოდენთა მე გამცნებ შენ ყოფად დღეს, რაათა გიყუარდეს უფალი ღმერთი შენი და ხედოდი ყოველთა გზათა მისთა და შეეყვნეთ მას.

23. განასხნეს უფალმან ღმერთმან ყოველნი ესე ნათესავნი პირისაგან თქუენისა და დაიმკვდროთ თესლები მრავალი და უძრიელქსი.

24. ყოველსა ადგილსა, რომელსა დასდგათ კვალი ფერკთა თქუენთაჲ უდაბნოთგან წინაშე ლიბანისა და მდინარედ დიდად ევფრათად და ვიდრე ზღუადმდე მზის დასავალისა, იყოს საზღვარი თ[ქუენი].

25. არავინ წინა-აღვიდგეს წინაშე პირსა თქუენსა; შიში და ზარი დასდვას უფალმან ღმერთმან თქუენმან ყოველსა ზედა პირსა ქუეყანისასა, რომელსა მიხვდეთ მას ზედა, ვითარცა-იგი გეტყოდა თქუენ.

26. აჰა ეგერა მიგცემ წინაშე თქუენსა დღესა კურთხევასა და წყევასა.

27. კურთხევასა, უკუეთუ სმენით ისმინეთ მცნებანი უფლისა ღმრთისა თქუენისანი, რაოდენთა გამცნებ მე თქუენ დღეს.

28. და წყევასა, უკუეთუ სცითთ გზისა მისგან, რომელი გამცენ, და მიხვდეთ ღმერთთა უცნოთა მსახურებად, რომელნი თქუენ არა იცნით.

29. [131v] და იყოს, რაჟამს შეგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან ქუეყანასა მას, რომელსა წიაღზეულთ მუნ დამკვდრებად მას ზედა, და მოგცეს კურთხევად მითთ გერაზნით და წყევად მითთ გებალით.

30. ანუ არა აჰა ეგერა იორდანესა უკუანა კერძო გზასა შზის დასავალისასა, ქუეყანასა ქანანისასა, რომელი დამკვდრებულ არს შზის დასავალით, მახლობელად მუხასა მას მაღალსა?

31. რამეთუ თქუენ წიაღზეულთ იორდანესა. შევედით და დაიმკვდრეთ ქუეყანად იგი, რომელი უფალმან ღმერთმან თქუენმან მოგცეს თქუენ ნაწილად ყოველთა დღეთა, რაოდენ ცოცხალ იყვნეთ თქუენ ქუეყანასა ზედა.

თ ა შ ი 12

2. წარწყმედით წარწყმიდეთ თქუენ ყოველი ადგილი, რომელსა მსახურებდეს მუნ წარმართნი კერპთა მათთა მათთა ზედა მაღალთა, ბორცუთა და ყოველთა ხეთა მადნარისათა.

3. დაარღვეთ ბომონები მათი და მოკაფეთ სერტყები მათი და გამოქანდაკებულნი კერპნი მათნი დაწუენით ცეცხლითა და წარწყმიდეთ სახელები მათი მიერ ადგილით.

4. ხოლო თქუენ არა ესრტთ უყოთ [132] უფალსა ღმერთსა თქუენსა:

5. არამედ ადგილსა მას, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან ერთსა შინა ტომსა თქუენსა სახელების-დღებად სახელი მისი მუნ და გამოიძიეთ და შევედით მუნ.

6. და შეწირეთ მსხუერპლი იგი თქუენი მუნ და შესაწირავი და პირველთა ნაყოფთა თქუენთანნი და ნებსითნი თქუენნი და აღსაარებთა თქუენისანი, პირშონი ზროხათა თქუენთანნი და საცხოვართა თქუენთანნი.

7. და სკამდეთ თქუენ მუნ წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და იხარებდეთ ყოველსა ზედა, რომელსა მიჰყოთ კელი თქუენი, თქუენდა იყოს სახლი თქუენი, ვითარცა-იგი გაკურთხა შენ უფალმან ღმერთმან შენმან.

8. არა ჰყოთ ესრცთ, ვითარცა-ნეს ჰყოფენ დღეს აქა კაცად-კაცადი ნებასა თავისა თვისასა წინაშე მისსა;

9. რამეთუ არღა მოსრულ ხართ თქვენ აქამომდე განსასუენებელსა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან თქუენმან მოგცეს თქუენ.

10. წიაღვედით იორდანესა და დაემკვდრენით ქუეყანასა მას, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან თქუენმან მოგცეს თქუენ, და განგისუენოს თქუენ მტერთაგან თქუენთა გარემო, და დაემკვდრნეთ კრძალულებით.

11. და იყოს ადგილი, რომელი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან წოდებად სახელი მისი მას ზედა, მუნ შესწირვიდეთ ყოველსა, რაოდენსა გამცნებ თქუენ დღეს: მსხუერპლები თქუენი და შესაწირავეები თქუენი და პირველი ნაყოფი კელთა თქუენთა და მისაცემელი თქუენი და ყოველივე რჩეული ძლუენთა თქუენთა, რაოდენიცა აღუთქუთ უფალსა ღმერთსა თქუენსა.

12. და იხარებდეთ წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა თქუენ და ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი, მონანი თქუენნი, ლევიტელი, რომელი იყოს ბჭეთა თქუენთა, რამეთუ არა არს მისა ნაწილ, არცა სამკვდრებელ თქუენ შორის: უფალი ღმერთი ნაწილ არს მათა.

13. ეკრძალე თავსა შენსა, ნუუკუე შესწირო მსხუერპლი შენი ყოველსავე ადგილსა, სადაცა იხილო;

14. არამედ ადგილსა მას, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან თქუენმან [V] ერთსა ქალაქთა შენთაგანსა, მუნ შესწირო მსხუერპლი შენი და მუნ ჰყო ყოველი, რაოდენსა გამცნებ შენ.

15. არამედ ყოვლითა გულს-მოდგინებითა შესწირო და შჰამო კორცი კურთხევისა მისებრ უფლისა ღმრთისა შენისა, რომელი მოგცა შენ ყოველთა შინა ქალაქთა: არა-წმიდა იგი შენ შორის და წმიდა იგი ერთბამად შჰამო ვითარცა ქურციკი და ირემი.

16. გარნა სისხლი არა შჰამო; ქუეყანასა დასთხიო იგი ვითარცა წყალი.

17. ვერ კელ-გეწიფების ჭამად ქალაქთა შინა შენთა ათეული იფქლისა შენისა და ღვნისა შენისა, და ზეთისა შენისა და პირმშობ ზროხათა შენთა და ყოველივე აღნათქუემი შენი, რაოდენიცა აღუთქუთ, და აღსაარებისა თქუენისა და პირველი ნაყოფი კელთა თქუენთა.

18. არამედ წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა შჰამოთ ადგილსა მას, რომელიცა გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან, შენ და ძემან

შენმან, [და ასულმან შენმან], მონამან და მკეველმან შენმან, და მწირმან მან, რომელი იყოს ქალაქთა შენთა, და იხარებდეთ წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა ყოველსა ზედა, რომელსა მიჰყო კელი შენი.

19. ნუუკუე დაუტეო ლევიტელი იგი, რაოდენ ცოცხალ იყოს ქუეყანასა ზედა.

20. უკუეთუ განავრცენეს უფალმან ღმერთმან შენმან საზღვარნი შენი. ვითარცა გეტყოდა შენ, და სთქვა: „შჰამო კორცი“, უკუეთუ გული უთქუმიდეს სულსა შენსა ჰამად კორცისა ყოვლითა გულის-თქუმითა სულისა შენისაჲთა, შჰამო კორცი.

21. უკუეთუ შორს იყოს ადგილი იგი, რომელი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ, და შესწირო ზროხათა შენთა და ცხოვართა შენთა და რაოდენიცა მოგცეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ვითარცა-იგი გამცნო შენ, და შჰამო ქალაქთა შინა შენთა მსგავსად გულის-თქუმისა შენისა.

22. ვითარცა-იგი იჰამების [133] ქურციკი და ირემი, ეგრტთ ჰამე იგი; არა-წმიდაჲ შენ შორის და წმიდაჲ იგი შენ შორის ეგრტთვე შჰამდეთ.

23. ეკრძალე ფრიად არა ჰამად სისხლისა, რამეთუ სისხლი მისი სული არს, და არა იჰამოს სული კორცისა თანა.

24. არა შჰამოთ იგი; ქუეყანასა დასთხიოთ იგი ვითარცა წყალი.

25. არა შჰამოთ იგი, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და ძეთა შენთა შემდგომად შენსა, უკუეთუ ჰყოთ კეთილი და სათნოებაჲ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა.

26. ხოლო წმიდაჲ იგი შენი და რაოდენი-რაჲ იყოს შენი და აღნათქუემი შენი მიიღო და მიხვდე ადგილსა მას, რომელი გამოირჩიოს უფალმან ღმერთმან შენმან წოდებად სახელი მისი მუნ.

27. და ჰყო მსხუერპლები იგი შენი მუნ და კორცი შესწირო უფლისა ღმრთისა შენისა საკურთხეველსა ზედა, ხოლო სისხლი მოაჰკურო გარემოჲს საკურთხეველსა და კორცი იგი შეშჰამო. [152].

28. დაიძარხენინ და ისმინენ ყოველნი სიტყუანი, რომელთა ჰე გამცნებ შენ დღეს, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და ძეთა შენთა საუკუნოდ. და უკუეთუ ჰყო კეთილი და სათნოებაჲ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა,

29. და უკუეთუ მოსრნეს უფალმან ღმერთმან შენმან ნათესავნი იგი, რომელთა შეხუალ შენ დამკვდრებად ქუეყანასა მას პირისაგან შენისა, დაიმკვდრო იგი და დაეშწნო ქუეყანასა მათსა.

30. ეკრძალე თავსა შენსა, ნუუკუე შეუდგე კუალსა მათსა შემდ-

გომად მოსრვისა მათისა პირისაგან შენისა, ნუ გამოეძიებ კერპთა მათ-
თა და იტყვ: ვითარცა-ესე ჰყოფენ წარმართნი კერპთა მიმართ მათთა,
ვყო ეგრევე მეცა.

31. არა უყო ესრე უფალსა ღმერთსა შენსა, რამეთუ საძაგელი
რომელი უფალმან ღმერთმან მოიძულა, უყოფენ კერპთა მათთა, ძეთა
და ასულთა მათთა დაუწუვიდეს ცეცხლითა კერპთა მათთა.

32. ყოველთა სიტყუათა რომელთა გამცნებ შენ ღღეს, ესე დაი-
მარხენ ყოფად; არა შესძინო მათ, არცა დააკლო.

თ ა ვ ი 13

1. უკუეთუ აღდგეს თქვენ შორის წინაფარმეტყუელი ანუ ჩუე-
ნების მხილველი და გცეს თქვენ სასწაული ანუ ნიში;

2. რომელსა გეტყოდის: მივიდეთ და ვმსახუროთ ღმერთთა უცხო-
თა, რომელნი არა იცნოდეთ.

3. არა ისმინოთ მის წინაფარმეტყუელისაჲ გინა ჩუენების მხილ-
ველისაჲ მის, რამეთუ გამოგცდის თქვენ უფალი ღმერთი თქუენი,
რადთა სცხა[თ], უკუეთუ გიყუარდეს უფალი ღმერთი თქუენი ყოვ-
ლითა გულითა თქუენითა.

4. შედგომად უფლისა ღმრთისა თქუენისა ვიდოდეთ და მისა გე-
შინოდეთ და მცნებათა მისთა იმარხევდით და კმასა მისსა ისმენდით
და მას შეეძინენით.

5. და წინაფარმეტყუელი იგი და ჩუენების მხილველი მოკუედინ,
რამეთუ გეტყოდა შენ ცთუნებად, რადთა არა შეუდგე უფალსა ღმერთ-
სა შენსა, რომელმან გამოგიყვანა შენ ქუეყანით ეგვიპტით და რომელ-
მან გიქსნა შენ მონებისაგან განშორებად შენდა [v] გზისაგან, რომე-
ლი გამცნო უფალმან ღმერთმან შენმან სლვად მას შინა; და მოსპეთ
უკეთური შორის თქუენსა.

6. უკუეთუ გევედრებოდის ძმაჲ შენი მამითი, გინა თუ ღედითი,
გინა ძმე შენი, გინა ასული, გინა თუ ცოლი შენი, რომელი იყოს წი-
ალთა შენთა, გინა მეგობარი შენი, სწორი თავისა შენისაჲ, და იღუ-
მალ გრქუას: მივიდეთ და ვმსახუროთ ღმერთთა უცხოთა, რომელნი
არა იცოდენ შენ და მამათა შენთა,

7. ღმერთთაგან წარმართთაჲსა, რომელნი იყვნეს გარემოჲს თქუ-
ენსა მახლობელად, გინა თუ განშორებულად შენგან კილითგან ქუეყა-
ნისაჲთ ვიდრე კიდემდე ქუეყანისა;

8. არა ინებო მის თანა, არცა ისმინო მისი და არცა პრიდოს თუალ-
მან შენმან მას ზედა, არცა დაჰფარო იგი მისგან.

13, 4. შედგომად]შდ.

9. არამედ თხრობით უთხრა მისთვის, და კელი შენი იყავნ პირველად მოკლვად მის ზედა და კელნი ყოვლისა ერისანი უკუანადასკნელ.

10. და ქვადა დაპკრიბეთ მას და მოკუდეს, რამეთუ ვითარცა ეგულვა განდგინებამა უფლისაგან ღმრთისა შენისა, რომელმან გამოგვიყვანა შენ ქუეყანით ეგვიპტით, სახლისაგან კირთებისა.

11. და ყოველსა ისრაჴლსა ესმეს და ეშინოდეს და არღარა შესძინოს ყოფად მერმე სიტყვისა მისებრ ბოროტისა თქუენ შორის.

12. უკუეთუ გესმეს ერთსა ქალაქთაგანსა, რომელ-იგი უფალმან ღმერთმან თქუენმან მოგცა თქუენ სამკვდრებელად.

13. ვითარმედ განვიდეს კაცნი უსჯულონი ჩუენგანნი და განადგინეს ყოველნი დაშკდრებულნი ქალაქისა მათისანი, და თქუას: განვიდეთ და ვჰმსახუროთ ღმერთთა უცხოთა, რომელნი არა იცნოდეთ.

14. და გამოიკითხო და გამოიძიო ფრიად, და აჰა ესერა ქეშმარიტად და ცხადად ყოფილ არს საძაგელი იგი თქუენ შორის.

15. მოსრვით მოსრნეთ ყოველნი დაშკდრებულნი ქალაქისანი პირითა მახვლისაჲთა [153] და შეჩუენებულ ჰყოთ იგი და ყოველივე, რაჲცა იყოს მას შინა.

16. და ყოველივე ნატყუენავი მისი შეჰკრიბოთ გზასა ზედა მებოძირთა თანა და მოსწუათ ციციხლითა ქალაქი იგი და ყოველი ნატყუენავი მისი ყოველმან ერმან წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა, და იყოს ქალაქი იგი ოკერ უკუნისამდე და არღარა აღეშენოს მერმე.

17. არარაჲ შეიძინო კელითა შენითა შენაჩუენებისა მისგან, რაჲთა მოიქცეს უფალი რისხვისაგან გულის-წყრომისა და მოგცეს შენ წყალობაჲ და შეგიწყალოს შენ და განგამრავლოს შენ, ვითარცა-იგი უფუცა მამათა შენტა.

18. უკუეთუ ისმინოთ ვჰამ უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ დამარხვად და ყოფად, რაოდენსა მე გამცნებ შენ დღეს, და ჰყო საათნოებაჲ და კეთილი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა.

თ ა ვ ი 14

1. შვილნი იყვნეთ უფლისა ღმრთისანი, მკუდარსა ზედა არა ეტყებდეთ, არცა იჩინო ნიში ჯაცისაჲ პირსა შენსა.

2. რამეთუ ერი წმიდაჲ ხარ უფლისა ღმრთისა შენისაჲ, და შენ გამოგირჩია უფალმან ღმერთმან ყოფად თავისა თვისისა ერად მოგე-

ბულად ყოველთაგან ნათესაეთა, რომელნი არიან პირსა ზედა ყოველსა ქუეყანისასა.

3. და არა სკამოთ ყოველივე საძაგელი.

თ ა ვ ი 34

1. [113] და აღვიდა მოსე არაბოთს მოაბისასა, მთასა ზედა ფაგასა, რომელ არს პირსპირ იერიქოსა, და უჩუენა მას უფალმან.

2. ...ყოველი იგი ქუეყანაჲ ეფრემისი და მანასსი და ყოველი იგი ქუეყანაჲ იუდაისი დასასრულადმდე ზღვსა.

3. და ყოველი უდაბნ[ოჲ და ყოველი იგი] [V] გარემო სოფლები, რომელი იყო ველთა მათ იერიქოჲსათა, ქალაქები იგი დანაკის-კუდოვანი, ვიდრე სეგორადმდე.

4. და ჰრქუა უფალმან მოსეს: ესე არს ქუეყანაჲ იგი, რომლისათჳს ვეფუცე აბრაჰამს, ისაკს და იაკობს და ვარქუე, ვითარმედ: ნათესავსა შენსა მივსცე ქუეყანაჲ ესე. აწ ეგერა გიჩუენე, თუალთა შენთა იხილეს, ხოლო შენ არა შეხვდე მუნ.

5. და მოკუდა მოსე, მონაჲ უფლისაჲ, ქუეყანასა მოაბისასა სიტყუთა უფლისაჲთა.

5. და დაეფლა იგი გემს, მახლობელად სახლსა მას ფეგერისსა, და არაფინ იცის საფლავი მისი მოღლენდელად დღედმდე.

7. და იყო მოსე ვითარ ას ოცის წლის, რაჲჲმს მოკუდა, და არა დაუბრყვლდეს თუალნი მისნი, და არცა იცვალა ქმნულებაჲ პირისა მისისაჲ.

8. და დაიტირეს მოსე ძეთა ისრაჲლისათა არაბოთს მოაბისასა, კიდესა იორდანისა მდინარისასა, პირსპირ იერიქოსა, და დაიტირეს ოც და ათ დღე. და აღესრულნეს დღენი იგი ტირილისა მისისანი.

9. და ისუ, ძმ ნაფცსი, აღივსო სულითა სიბრძნისაჲთა, რამეთუ მოსე დაასხნა კელნი მისნი მას ზედა, და ერჩდეს მას ყოველნი ძენი ისრაჲლისნი და ყვეს, რაჲცა-იგი უბრძანა ლმერთმან მოსეს.

10. და არა აღდგა წინამსწარმეტყუელი შორის ისრაჲლსა მსგავსი მოსსი, რომელ-იგი უფალსა შეესწავა პირსპირ,

11. ყოვლითა მით სასწაულებითა და ნიშებითა, ვიდრე-იგი მიავლინა უფალმან ყოფად სასწაულებისა ქუეყანასა მას ეგვიპტისასა ფარაოს ზედა და ყოველთა მონათა მისთა და ყოველსა ქუეყანასა;

12 საკვრველნი იგი დიდ-დიდნი, კელი იგი მტკიცე და მკლავი იგი მაღალი, რომელი ყო მოსე წინაშე ყოვლისა ისრაჲლისა.

84, 1. მოსმ. 2. ზღვსა[ქუეყანისა. 4. მოსმს. 5. მოსმ.
8. დაიტირეს მოსმ, დაიტირეს, დღმ. 9. მოსმ, მოსმს.

ისუ ნაკვისი

თ ა ვ ი 4

4. [363] და მოუწოდა ისუ ათორმეტთა მათ კაცთა, მთავართა ძეთა ისრაჲლისათა, ერთსა თითოხსაგან ნათესავსა.

5. და პრქუა მათ ისუ: წარვედით ჩემ თანა წინაშე უფლისა შორის იორდანესა და გამოირჩიედ კაცად-კაცადშან და აღიღენ ლოდნი ერთი მჯართა თვისთა ზედა მსგავსად რიცხვსა მის ტომისა ისრაჲლისა,

6. რამთა ისხნენ იგინი თქუენდა საწამებლად საუკუნოდ, რამთა, რაჟამს გკითხვიდეს შენ ძმ შენი ხეაღე და გრქუას: რამ არიან ლოდნი ესე?

7. შენ უთხრა ძესა შენსა და პრქუა, რამეთუ მოაკლდა იორდანე პირისაგან კიდობნისა შჯულისა უფლისა ყოვლისა ქუეყანისა, რაჟამს წიაღმოვიდეს იგინი მას ზედა; და იყვენ ლოდნი იგი თქუენდა საესენებლად საუკუნოდ ძეთა შორის ისრაჲლისათა.

8. [და ყვეს ეგრძთ ძეთა ისრაჲლისათა, ვითარცა უბრძანა უფალმან ისუს, და აღიხუნეს ათორმეტნი ლოდნი საშუვალ იორდანესა], ვითარცა უთხრნა უფალმან ისუს დასასრულსა მას წიაღმოსლვისა ძეთა ისრაჲლისათა. და მოიხუნეს მათ თანა ბანაკად და დასხნეს იგინი მუნ.

9. ხოლო აჰმართნა ისუ სხუანიცა ათორმეტნი ლოდნი მუნვე იორდანესა შინა, რაჟამს წიაღმოვიდოდეს იგინი იორდანესა, რამეთუ მათ ზედა დგეს ფერკნი მღღელთანი, რომელთა მოაქუნდა კიდობანი იგი შჯულისა უფლისაჲ. და არიან იგინი მუნ ვიდრე დღენდელად დღემდე.

10. და დადგეს მღღელნი იგი, რომელთა აქუნდა კიდობანი იგი შჯულისა უფლისაჲ იორდანესა შინა, ვიდრე აღასრულნა ისუ ყოველნი სიტყუანი, რომელ ამცნნა უფალმან ისუს თხრობად ერისა მის, და ისწრაფა ერმან და წიაღმოკდეს. [v]

11. [და იყო, ვითარცა] წიაღმოესრულა ერი იგი წიაღმოსვლად, წიაღმოკდა კიდობანი იგი შჯულისა უფლისაჲ, და ლოდნი იგი მოაქუნდეს წინაშე მათსა.

თ ა ვ ი 10

7. [275v] და აღვიდა ისუ გალგალით, იგი და ყოველი ერი მისი მის თანა ბრძოლითა.

8. და ჰრქუა ღმერთმან ისუს: ნუ გეშინინ მათგან, რამეთუ ქელთა თქუენთა მიმიცემიან იგინი და არავინ დაგიდგეს მათგანი წინაშე თქუენსა.

9. და მიისწრათა მათა ისუ მეყსეულად ღამე ყოველ, მივიდა გალგალით.

10. და შესულიბნა იგინი უფალმან პირისაგან ძეთა ისრაჴლისათა და შემუსრნა იგი უფალმან შემუსრვილებითა დიდითა გაბაონს შინა და დევნა უყვეს მათ აღსავალსა მას ბოთ(ო)რონისასა. და მოსრვიდეს მათ მიაზეკადმდე.

11. და რაჟამს ივლტოდეს იგინი პირისაგან ძეთა ისრაჴლისათა ჩალმართსა მას ბეთორონისასა და უფალმან დასდვა მათ ქვაჲ სეტყვსაჲ ცით გარდამო ვიდრე აზეკადმდე. და იყენეს უმრავლეს მომკუდარნი იგი ქვითა მით სეტყვსაჲთა, ვიდრე რომელნი-იგი მოწყუნეს ძეთა ისრაჴლისათა მახვლითა ბრძოლასა შინა.

12. მაშინ იტყოდა ისუ უფლისა მიმართ მას დღესა, რომელსა მოსცნა უფალმან ღმერთმან ამორეველნი ძეთა ისრაჴლისათა, რაჟამს შემუსრნა უფალმან ღმერთმან გაბაონს შინა, და შეიმუსრნეს იგი პირისაგან ისრაჴლისა. და თქუა ისუ: დადევინ მზმ გაბაონს ზედა და მთოარჴ კევსა ზედა აილონისასა. ვიდრე ვჰბრძო ერსა ამას,

13. და დადგა მზმ და მთოარჴ დადგომით, ვიდრე ჰძლო მტერთა მათ. [276] და აჰა ესერა ესე ყოველი წერილ არს წიგნსა მას სიმართლისასა: და დადგა მზმ შოვრის ცასა და არა ვიდოდა დასავალად დღის ერთის.

14. და არა იყო ესევეთარი დღმ პირველი, ვითარმცა ისმინა ღმერთმან კაცისაჲ, რამეთუ უფალი ჰბრძოდა ისრაჴლისა თანა.

თ ა ვ ი 22

1. [90] მას უამსა მოუწოდა ისუ ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და კერძოსა ტომსა მანასსსსა.

2. და ჰრქუა: თქუენ გცმა ყოველი, რომელი გამცნო მოსე, მონამან უფლისამან, და ისმინეთ კმისა ჩემისაჲ ყოველისა მისებრ, ვითარცა-იგი გამცნო თქუენ.

10, 9. ლამშ. 10. გაბაონს] გაოს. 11. ბეთორონისასა] ვეთორონისასა. 12. აილონისასა] სილოანისასა.

3. და არა დაუტევნეთ ძმანი თქუენნი ამათ ღღეთა და უმრავლესთა ვიდრე ღღენდელად ღღედმდე. დაიმარხებით მცნებანი უფლისა ღმრთისა თქუენისანი.

4. ხოლო აწ დააცხრენა უფალმან ღმერთმან თქუენმან ძმანი ჩუენნი, ვითარცა ჰრქუა მათ; აწ უკუე მიიქეციოთ და წარვედით სახიდ თქუენდა ქუეყანასა მას მკვდრობისა თქუენისასა, რომელი-იგი მოცა თქუენ მოსე წიად იორდანესა.

5. არამედ დაიმარხეთ ფრიად ყოფად მცნებათა მათ და რჩულთა. რომელ გამცნო მოსე, მონამან უფლისამან, რაათა გიყუარდეს უფალი ღმერთი თქუენი [V] და ხვდოდით ყოველთა გზათა მისთა, და ეკრძალნეთ მცნებათა მისთა, და იყვნეთ სამკვდრებელ და ჰმსახურებდეთ მას ყოვლითა გულითა თქუენითა და ყოვლითა სულითა თქუენითა.

6. და აკურთხნა იგინი ისუ და წარგზავნნა, და წარვიდეს ვანად თვსა.

7. და კერძოსა ტომსა მანასქსსა მისცა მოსე ბასანიოთ კერძო და წარავლინნა. და, რაემს წარავლინნა იგინი ვანად თვსა, აკურთხნა იგინი ისუ.

8. და ესრეთ ჰრქუა მათ. ხოლო იგინი საფასითა დიდითა წარვიდეს ვანად თვსა და საცხოვარი დიდძალი ფრიად, რამეთუ განიყვეს ნატყუენავი მტერთა მათთა ძმათა თანა.

9. და წარვიდეს ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი და კერძო ტომი მანასქსი ძეთაგან ისრაჴლისათა სელემით, ქუეყანით ქანანი-საჲთ, მისლვად გალადად, ქუეყანასა მას სამკვდრებელისა მათისასა, რომელი-იგი დაიმკვდრეს ბრძანებითა უფლისაჲთა კელითა მოსესითა.

10. და მივიდეს იგინი გალადად იორდანისასა, რომელ არს ქუეყანასა ქანანისასა, და აღაშენეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და კერძომან ტომმან მანასქსმან ბომონი იორდანესა ზედა, ბომონი დიდი ხილვად.

11. და ესმა ძეთა ისრაჴლისათა და თქუეს: აჰა ესერა აღაშენეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და კერძომან ტომმან მანასქსმან ბომონი აღლვართა ქუეყანისა ქანანისათა გალადას იორდანისასა წიად ძეთა ისრაჴლისათა.

12. და შეკრბეს ძენი ისრაჴლისანი სელომს აღსლვად და ბრძოლად მათა.

13. და მიაველინეს ძეთა ისრაჲლისათა ძეთა მიმართ რუბენისთა და ძეთა გადისთა და კერძოხსა მის ტომისა [91] მანასჲსა ქუეყანად გალადისა ფინეეზ, ძმ ელიაზარისი, ძისა აპრონისი, მღდელთ-მოძ-ლურისაჲ.

14. და ათნი მთავარნი მის თანა, მთავარი ერთი სახლისაგან მამათაჲსა ყოველთაგან ტომთა ისრაჲლისათა; მთავარნი სახლთა მამათნი იყუნეს ათასისთავნი ისრაჲლისანი.

15. და მივიდეს იგინი ძეთა თანა რუბენისთა და ძეთა თანა გადისთა და კერძოხსა მის ტომისა მანასჲსა ქუეყანად გალადისა და ეტყოდეს მათ და ჰრქუეს:

16. ამას იტყვს კრებული ძეთა ისრაჲლისათაჲ: რაჲ არს ცოდვაჲ ესე, რომელი სცოდეთ წინაჲშე უფლისა ღმრთისა ისრაჲლისა გარე-მოქცევად ღდეს უფლისაგან, და აღაშწნეთ თქუენ თავისა თქუენისა ბომონი და განსდგეით თქუენ უფლისაგან?

17. მცირე-მე არსა თქუენდა ცოდვაჲ იგი ფოგორისაჲ, რამეთუ არა განწმედილ ვართ მისგან ვიდრე აქამომდე, რამეთუ იყო რისხეაჲ მისთვის კრებულსა ამას უფლისასა?

18. და თქუენ გარე-მიიქეცით უფლისაგან, და უკუეთუ გარე-მიიქეცით თქუენ ღდეს უფლისაგან, და ზვალე ყოველსა ზედა ისრაჲლსა იყოს რისხეაჲ.

19. და აწ უკუეთუ მცირე არს ქუეყანაჲ ეგე მკვდრობისა თქუენისაჲ, წიაღმოვედით ქუეყანასა ამას სამკვდრებელისა უფლისასა, სადა დამკვდრებულ არს კარავი იგი უფლისაჲ, და დაიმკვდრეთ ჩუენ შორის და უფლისაგან ნუ განსდგებით ამისთვის, რამეთუ აღაშწნეთ თქუენ ბომონი გარეშე საკურთხეველსა უფლისა ღმრთისა ჩუენისასა.

20. ანუ არა აქარ, ძემან ზარაჲსმან, ცოდვაჲ ცოდა შენაჩუენებისა მ-გან, და ყოველსა კრებულსა ზედა ისრაჲლისასა იყო რისხეაჲ ღმრთისაჲ და ესე მარტოლა იყო, ნუუკუე მარტოჲ მოკუდაა მისითა მით ცოდვითა?

21. ნიუგეს ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და კერძომან [v] ტომმან მანასჲსმან ათასისთავთა მათ ისრაჲლისათა და ჰრქუეს:

22. ღმერთი ღმერთი უფალი არს და ღმერთმან ღმერთმან უფალმან იცოს და ისრაჲლი თავადმან იცის, უკუეთუ განდგომილებით ვცოდეთ წინაჲშე უფლისა, ნუმცა მიკსნის ჩუენ უფალი ამას ღდესა.

23. უკუეთუ ვაშწნოთ თავისა ჩუენისა ბომონი, რაჲთა განვდგეთ უფლისაგან ღმრთისა ჩუენისა, რაჲთა შეეწიროთ მის ზედა შესა-

13. გალადისა] გალიოთისა. 15. გალადისა] გალიონისა. 17. მცირე-მე. 19. მცირე-გარეშე.

წირავი მსხუერპლთაჲ ანუ ვყოთ მის ზედა შესაწირავი ცხოვრებისაჲ, თავადმან უფალმან იძიენ.

24. არამედ მოშიშითა სიტყვთა ვქმენით ესე და ვთქუთ: ნუუკუე ხვალე თქუან შვილთა თქუენთა შვილთა მომართ ჩუენთა: „რამ არს თქუენი უფლისა ღმრთისა ისრაჴლისა თანა?“

25. და რამეთუ საზღვარი დადვა უფალმან შორის თქუენსა და ჩუენსა იორდანე, და არა არს თქუენდა ნაწილი უფლისა თანა“; და უცხო ქმნენ ძეთა თქუენთა ძენი ჩუენნი, რამთა არა მსახურებდენ უფალსა.

26. და ვთქუთ ესრე ყოფად, რამთა ვაშშნოთ ბომონი ესე არა თუ მსხუერპლთათჳს, არცა შესაწირავთა,

27. არამედ რამთა იყოს ესე საწამებელად შორის თქუენსა და ჩუენსა და შორის შვილთა თქუენთა და ჩუენთა შემდგომად ჩუენსა, რამთა მსახურებდენ მსახურებასა უფლისასა წინაშე მისსა ნაყოფთაგან ჩუენთა და მსხუერპლთა ჩუენთა და შესაწირავთა ჩუენთა, და არა თქუან შვილთა თქუენთა შვილთა მომართ ჩუენთა, ვითარმედ: არა არს თქუენდა ნაწილ უფლისა თანა.

28. და ვთქუთ: უკუეთუ იყოს, სადა-მე იყოს და იტყოდიან ჩუენდა მომართ გინა თუ ნათესავთა ჩუენთა მომართ ხვალე? და თქუან: იხილეთ აწ მსგავსები საკურთხეველისა უფლისაჲ, რომელი ქმნეს მამათა ჩუენთა არა ნაყოფთათჳს და არცა მსხუერპლთათჳს, არამედ საწამებელ არს შორის ჩუენსა და თქუენსა და შორის შვილთა ჩუენთა და თქუენთა.

29. ხოლო ნუ იყოფინ განდგომაჲ ჩუენი უფლისაგან დღენდელსა [92] ამას დღესა, ვითარმცა განვდეგით უფლისაგან და ვაშშნეთ საკურთხეველი ნაყოფთათჳს და შესაწირავთა მშველობისათა და მსხუერპლთათჳს ცხოვრებისათა თვნიერ საკურთხეველისა უფლისა ღმრთისა ჩუენისა, რომელ არს წინაშე კარავსა მისსა.

30. და ვითარცა ესმა ესე ფინეეზს მღდელსა და ყოველთა მთავართა კრებულისათა, რომელნი იყვნეს მის თანა, სიტყუანი ესე, რომელთა ეტყოდეს ძენი რუბენისნი და ძენი გადისნი და კერძო ტომი მანასსი, სთნდეს სიტყუანი ესე.

31. და ჰრქუა ფინეეზ მღდელმან ძეთა რუბენისთა და ძეთა გადისთა და კერძოსა ტომსა მანასსისა: დღეს ვცან, რამეთუ ჩუენ თანა არს უფალი, ამისთვის რამეთუ არა სცოდეთ წინაშე უფლისა ღმრთისა ცოდვაჲ.

32. და მიიქცა და წარვიდა ფინეებ მლდელი და მთავარი იგი მათ თანა ძეთაგან რუბენისათა და ძეთაგან გადისთა და კერძოხსა ტომისა მანასჴისისა ქუეყანით გალადით ქუეყანასა მას ქანანისასა ძეთა მიმართ ისრაჴლისათა და უთხრნეს მათ სიტყუანი ესე.

33. და სათნო უჩნდა მათ სიტყუაჲ ესე, და აკურთხეს ღმერთი ძეთა ისრაჴლისათა; და ეტყოდა ფინეებ ძეთა ისრაჴლისათა და ჰრქუა: ნულარა ახუალთ ბრძოლად მათა და მოსრვად ქუეყანისა მის ძეთა რუბენისათა და ძეთა გადისთა და კერძოხსა მის ტომისა მანასჴისა, და დაეშჴნეს იგი მთასა ზედა.

34. და დასდვა ისუ სახელი ბომონსა მას ბომონი რუბენისი და გადისი და კერძოხსა მის ტომისა მანასჴისი და ჰრქუა მათ, ვითარმედ: საწამებელ არს ესე შორის მათსა, რამეთუ უფალი ღმერთი ღმერთი მათი არს.

თ ა ვ ი 24

30. [276] და შემდგომად ამისა მოკუდა ისუ. ძჴ ნავესი, მონაჲ უფლისაჲ, ას და ათისა წლისაჲ.

31. და დაჴფლეს იგი საზღუართა მათ შინა ნაწილისა მისისათა, თამნაქარს შინა, მთასა ეფრემისასა, ჩრდილოდთ მთასა გალაადსა, და მუნ დასხნეს მის თანა საფლავსა მას, რომელ დაჴფლნეს იგინი, დანაენი იგი ქვისანი, რომლითა წინადაჴკუთა გალგალს შინა, რაჴამს გამოიყვანნა იგინი ეგვიპტით, ვითარცა უბრძანა უფალმან. მუნ არიან მოდღენდელად ღღედმდე.

32. და ძუალნი იოსებისნი გამოიხუნეს ეგვიპტით ძეთა ისრაჴლისათა და დაჴფლნეს სიკიმას შინა ნაწილსა მას აგარაკისასა, რომელი მოიგო იაკობ ამორეველთაგან, რამეთუ იყვნეს იგინი სიკიმას შინა. მოიგო იგი ასითა ტარიგითა და მისცა იოსებს ნაწილად.

33. და იყო, ამისა შემდგომად ელიაზარ, ძჴ აპრონისი, მლდელი აღესრულა [და] მლდელობაჲ მისი, და დაეფლა ჭალადს შინა ფინეებ ძისა თვისისა, რამეთუ მისცა მას მთასა ეფრემისასა. მას ღღესა შინა მოიღეს კიდობანი იგი შჯულისაჲ და მიმოაქუნდა მათ შორის ფი-

34. ღმერთი (2) მთ-ი.
24, 33. ღმერთთა]ღა.

ნებს, რამეთუ მდღელობდა ელიაზარ, ძისწული მამისა თვისისა, ვიდრე მოხიკუდილდმდე და დაეფლა გაბათის შინა თვისავე. ხოლო ძენი ისრაჴლისანი წიაღვიდეს კაცად-კაცადი ადგილსა თვისსა. [v] და მსახურებდეს ძენი ისრაჴლისანი ასტარტეს და ასტოთს ღმერთთა წარმართთასა, რომელნი იყვნენ გარემოჲს მათსა. და მისცნა იგინი ჴელთა ეგლომისთა მეფისა მოაბისათა და ეუფლა მათ ათურვამეტ წელ.

მ ს ა ჯ უ ლ თ ა დ

თ ა ვ ი 2

1. [67] და აღმოვიდა ანგელოზი უფლისაჲ გალგალით სალონდ, ბეთელდ სახლსა ზედა ისრაჳლისასა და ჰრქუა მათ: აღმოგიყვანნა თქუენ უფალმან ქუეყანასა მას, რომლისათჳს ეფუცა მამათა თქუენთა მიცემად თქუენდა და გრქუა თქუენ: არა განეაქარვო აღთქუმაჲ ჩემი უკუნისამდე.

2. და თქუენ არა ჰყოთ აღთქუმაჲ მსხდომთა ამათ ქუეყანისათაჲ და არცა ღმერთთა მათთა თაყუანის-სცეთ, არამედ კერპნი მათნი შეჰმუსრნეთ და საკურთხეველნი მათნი დაარღუნეთ. და არა ისმინეთ კმისა ჩემისაჲ, ოდეს ესე ჰყავთ.

3. და მე ვთქუ: არლა[v]რა შეგსძინო ცვალებად ერსა, რომელთაჲ ვთქუ განჯდაჲ მათი პირისაგან თქუენისა, და იყვენენ იგინი თქუენდა საცთურ.

4. და იყო. რაჟამს იტყოდა ანგელოზი იგი სიტყუათა ამათ ყოველთა ძეთა მიმართ ისრაჳლისათა, აღიღეს კმაჲ მათი ერმან მან და ტიროდეს.

5. ამისთვის ეწოდა სახელი მას ადგილსა ტირილის. და შეწირეს მუნ შესაწირავი უფლისა.

6. და განუტევა ისუ ერი იგი. და წარვიდეს ძენი ისრაჳლისანი კაცად-კაცადი სახიდ თჳსა.

7. და ჰმონებდეს ძენი ისრაჳლისანი [უფალსა] ყოველთა ღღეთა ისუჲსთა და ყოველთა ღღეთა მოზუცებულთასა, რომელნი ღღეგრძელ იყვენენ^ა შემდგომად ისუჲსა, რომელთა უწყოდეს საქმშ ღმრთისაჲ, რომელ ყო ისრაჳლისათჳს.

8. და აღესრულა ისუ, ძმ ნავსი, მონაჲ ღმრთისაჲ, ას და ათისა წლისა.

9. და დაჰვლეს იგი საზღვართა შინა სამკვდრებელისა მისისათა თამნაჳაოს შინა, მთასა ეფრემისასა, ჩრდილოეთ კერძო მთასა გაზსა.

10. და ყოველნი იგი ნათესაენი შეეძინნეს მამათა და აღდგა ნათესავი სხუაჲ შემდგომად მათსა, რომელთა არა იცოდეს უფალი და საქმენი, რომელ კმნნა ისრაჳლსა ზედა.

ა, 1. ბეთელდ] ბეთლემდ. 2. ჰყოთ] ჰყავთ. 3. საცთორ. 7. ღღეგრძელ.

11. და ყვეს ბოროტი წინაშე უფლისა და მსახურებდეს იგინი ბლაამსა.

12. და დაუტევეს უფალი ღმერთი მამათა მათთაჲ, რომელმან გამოიყვანნა იგინი ქუეყანით ეგვიპტით, და ვიდოდეს იგინი კუალსა ღმერთთა უცხოთასა. რომელნი იყვენეს გარემოჲს მათსა, და განარისხეს უფალი.

13. და მსახურებდეს ბაალსა და ასტარტესა.

14. და განარისხნა გულის-წყრომით უფალი ისრაჲლსა ზედა და მისცნა იგინი კელთა წარმტყუენველთა მათთასა და წარტყუენნეს იგინი. და მისცნა იგინი კელთა მტერთა მათთასა შორის ყოველთა, რომელთა თანა ისიძვიდეს.

15. და კელი უფლისაჲ იყო მათა ბოროტე[88]ბად. ვითარცა თქუა და ვითარცა ფუცა; და აპირვა მათ ფრიად.

16. და აღუდგინა მათ მსაჯული და განარინნა იგინი კელთაგან წარმტყუენველთა მათთაჲსა.

17. და მსაჯულთაჲ მათ არავე ისმინეს, რამეთუ ისიძვიდეს კუალსა ღმერთთა უცხოთასა და თაყუანის-სცემდეს, და განარისხეს უფალი და გარდააქციეს ადრე გზისა მისგან, რომელსა ვიდოდეს მამანი მათნი სმენად მცნებათა უფლისათა, და არა ყვეს ეგრე.

18. და აღუდგინა მათ უფალმან მსაჯული, და იყო უფალი მსაჯულისა მის თანა, და განარინნა იგინი კელთაგან მტერთა მათთაჲსა ყოველთა დღეთა მის მსაჯულისათა, რამეთუ განისუენა ღმერთმან კუნესისაგან მათისა პირისაგან მაჰირვებელთა მათთაჲსა.

19. და ვითარ მოკუდის მსაჯული იგი, მიიქციან და კუალად განიხრწნნიან უფროჲს მამათა მათთაჲსა სლვად ღმერთთა უცხოთა მსახურებად მათა და თაყუანის-სცემად, და გზისაგან მათისა ფიცხლისა არა მოიქციან.

20. და განარისხნა უფალი გულის-წყრომით ისრაჲლსა ზედა და თქუა: რამეთუ რაოდენ-გზის დაუტევა ნათესავმან ამან აღქუამად იგი ჩემი, რომელი ვამცენ მამათა მათთა, და არა ისმინეს კმისა ჩემისაჲ.

21. და მე არღარა შევსძინო მოსპოლვად კაცისაჲ პირისაგან მათისა ნათესავთა მათგან, რომელნი დაუტევენა ისუ.

22. და დაუტევენა, რადთა მათ შორის გამოცადოს ისრაჲლი, და დი-იმარხნენ გზანი უფლისანი მას შინა, ვითარ-იგი დაიმარხნეს მამათა მათთა, ანუ არა.

23. და დაუტევნა უფალმან ნათესავნი ესე და არა მოსრნა იგინი ადრე და [არა] მისცნა იგინი კელთა ისუჲსთა.

თ ა ვ ი 3

1. და ესე არიან ნათესავნი, რომელნი დაუტევნა ისუ, რაჲთა გა-
შოცადოს მათ შორის ისრაჲლი ყოველთა, რომელ [v]თა არა უწყო-
დეს ყოველნი ბრძოლანი ქანანისანი.

2. ნათესავთათვის ძეთა ისრაჲლისათა, რაჲთა ასწაონ მათ ბრძო-
ლად, ზოლო პირველთა მათ არა უწყოდეს.

3. ესე ზუთნი მთავარნი უცხო თესლთანი და ყოველი ქანანელი
და სიღონელი და ეველი, რომელი მკვდრ იყო ლიბანს, მითთ გაღბანა
ერმონისაჲთ ვიდრე ლობეზამდე.

4. და იყო მათ შორის, რაჲთამცა განცადა ისრაჲლი ხილვად, ის-
მინენ თუ მცნებანი უფლისანი, რომელნი აძცნნა შამათა შათთა კე-
ლთა მოსწითა.

5. და ძენი ისრაჲლისანი დაეშენნეს შორის ქანანელისა, ქეტე-
ლისა და გერგესეველისა, ამორეველისა და ფერეზეველისა და იო-
ბოსელისა.

6. და მოიყვანნეს ასულნი მათნი ცოლად თავისა თჳსისა და ასუ-
ლნი მათნი მისცნეს ცოლად ძეთა მათთა, და მსახურებდეს ღმერთთა
მათთა წინაშე უფლისა.

7. და დაივიწყეს უფალი ღმერთი მათი და მსახურებდეს ბალაამს
და სერტყებასა.

8. და განრისხნა უფალი გულის-წყრომით ისრაჲლსა ზედა და
მისცნა იგინი კელთა ქუსარსათომისთა, მეფისა ასურეთისათა, მოს-
ოპოტომიასა¹ მდინარეთაჲსა, და ჰმონებდეს რვა წელ.

9. და ლაღად-ყვეს ძეთა ისრაჲლისათა უფლისა მიმართ, და აღუ-
დგინა მაცხოვარი ისრაჲლსა, და განარინნა იგინი [გოთონიელ] ძე-
მან კენეზისმან, ძმისა ქალეზისმან უმრწემსმან.

10. და ისმინეს მისი. და იყო მის ზედა სული ღმერთისაჲ, და გა-
ნვიდა ბრძოლად; და მისცა უფალმან კელთა მისთა ქუსარსათომი,
მეფე ასურეთისაჲ; და დამძიმდა კელი მისი მის ზედა.

11. და დამშდნა ქუეყანაჲ ერგასის წელ. [100 v] და მოკჳდა
გოთენელ, ძე კენეზისი.

12. და შესძინეს ბოროტის ყოფად ძეთა ისრაჲლისათა წინაშე

3.7. სერტყელსა.

¹ ასეა.

უფლისა. და განაძრიელა უფალმან ეგლომ, მეფე მოაბისაჲ, ისრა-
 ოლსა ზედა, რამეთუ ყო მან ბოროტი წინაშე უფლისა.

13. და მიიყვანნა მან მოს თანა ყოველნი ძენი ამონისნი და ამა-
 ლეკო, და მოვიდა და მოსრა ისრაჲლი და დაიმკვდრა ქალაქი იგი
 ფინიკელთაჲ.

14. და ჰმონებდეს ძენი ისრაჲლისანი ეგლომ მეფესა მოაბისასა
 ათრამეტ წელ.

15. და აღად-ყვეს ძეთა ისრაჲლისათა უფლისა მიმართ; და აღუ-
 დგინა ღმერთმან მაცხოვრად აოდ, ძმ გერაჲსი, ძისა იემენისი, კაცი
 ორითავე მარჯუმ. და მიუძღუნეს ძეთა ისრაჲლისათა ძღუენი კე-
 ლითა მისითა ეგლომ მეფესა მოაბისასა.

16. და იქმნა აოდ [თავისა თვისისა] მახვლი ორპირი; სიგროძ მისი
 მტკაველ ერთ. და შეიბა იგი კუართსა ქუეშე.

17. ბარკალსა ქუეშე მარჯუენესა.

17. და მიუპყრეს ძღუენი იგი ეგლომ მეფესა მოაბისასა; და იყო
 ეგლომ კაცი თავის-მოთმე ფრიად.

18. და იყო, რაჲმს დაასრულა შეწირვაჲ ძღუენისაჲ და წარავ-
 ლინნა მეძღუენი იგი.

19. ეგლომ მოაქცია ქანდაკებულთაგან, რომელ იყვნეს გაღგალს-
 ჰრქუა მას აოდ: სიტყუაჲ მაქუს საიდუმლოჲ შენ თანა. ჰრქუა ეგლომ:
 ყოველნი გან-რე-დეგით, და განვიდეს მისგან ყოველნი წინაშე-მდგო-
 მელნი მისნი.

20. და აოდ შევიდა მისა, და იგი ჯდა ქორსა მას ზედა საზაფხუ-
 ლოსა. ჰრქუა მას აოდ: სიტყუაჲ ღმერთისაჲ [მაქუს მე] შენ თანა,
 მეფე. და აღდგა საყდრით მისით ეგლომ მეფე მახლობლად მისა.

21. და იყო, აღდგომასა მას მისსა მიყო კელი მარცხენე აოდ და
 აღმოიღო მახვლი ბარკლისაგან მარჯუენისა მისისა და განსწონა იგი
 მუცელსა ეგლომისსა,

22. და შეადგო ტარიცა უკუანა [101] წყლულსა მას, და დაყო
 პოზანმან მან პირი წყლულისაჲ მის, რამეთუ არა გამოვდა მახვლი იგი
 მუცლით მისით.

23. გამოვიდა აოდ გარე და დაჰკვნა კარნი მის ქორისანი და დაჰ-
 კლიტნა იგინი.

24. და წარვიდა: და მონანი მისნი შევიდეს და ოხილეს: და ამა-
 ესერა კარნი მის ქორისანი დაჰშულ იყვნეს, და თქუეს: ნუუკუე ჯდეს.
 სავარძელთა მათ სასუენებელთა მარტოჲ სენაკსა შინა.

25. და ელოდეს სირცხლით, და არავინ იყო განმდებელ კართა მათ ქორისათა. და მოიღეს კლიტჭ და განადეს. და აჰა უფალი მათი დაცემულ იყო ქუეყანასა ზედა და მომკუდარ.

26. და აოდ განერა, ვიდრე-იგი აულავნებოდეს-ლა, და არავინ იყო, რომელმანმცა შეახნა მას. და იგი გარე-წარკდა ქანდაკებულთა მათ და განერა ასაროთას.

27. და იყო, რაჟამს მოვიდა აოდ, დაჰბერეს ნესტუსა რქისასა მთასა ეფრემისასა, და შთავდეს ძენი ისრაჴლისანი, და იგი წინაშე მათსა.

28. და ჰრქუა მათ: მოვიდოდეთ ჩემსა უკუანა, რამეთუ მოგცნა უფალმან ღმერთმან მტერნი თქუენნი, მოაბი კელთა შინა თქუენთა. და შთავიდეს უკუანა მისსა, ისწრაფეს და დაიპყრეს წიაღსავალი იორდანისაჲ და მოაბისაჲ და არა უფლეს კაცსა წიაღსლვად.

29. და მოსრეს მოაბი მას უამსა შინა ვითარ [ათი] ათასი ოდენ კაცი ყოველნი მბრძოლნი და ყოველი კაცი ძრიელ და არა განერა მამაკაცი.

30. და კდემულ იქნნა მოაბი მას დღეს შინა კელსა ქუეშე ისრაჴლისასა; და დამშდნა ქუეყანაჲ ოთხმეოც წელ. და შჯიდა მათ აოდ ვიდრე სიკუდიდმდე.

თ ა ვ ი 6

34. [138] და სულმან ღმრთისამან განაძრიელა გედეონ და დაჰბერა ნესტუსა რქისასა: და აღიზანა აბიეზერ უკუანა მისსა.

35. და მიავლინა მოციქული ყოველსა მანასესა და აღიზანა მანცა უკუანა მისსა; და წარავლინნა მოციქულნი ასერდ და ზაბულონდ და ნეფთალემდ და აღვიდეს და მიეგებვოდეს მას.

36. და თქუა გედეონ ღმრთისა მიმართ: უკუეთუ განარინო კელითა ჩემითა ისრაჴლი, ვითარცა-ესე სთქუ,

37. აჰა ესერა მე დავდვა საწმისი ერთი მატყლისაჲ კალოსა შინა, და იყოს ცუარი საწმისსა ხოლო ზედა, და ყოველსა ქუეყანასა იყოს კმელი, უწყოდი, რამეთუ განარინო კელითა ჩემითა ისრაჴლი, ვითარცა სთქუ.

38. და იყო ეგრე, და აღიმსთო გედეონ ხვალისაგან და დაწურა საწმისი იგი და გამოკდა ცუარი მის საწმისისაგან სავსტ კონქი ერთი წყალი.

25. სირცხლით. 28. ისრაფმს, დაიპყრმს. 30. ქუეშმ.

6, 34, აბიეზერ] აბიენეზერ. 35. ნეფთალემდ] ლეფთალემდ.

39. და ჰრქუა გედეონ ღმერთსა: ნუ განჰრისხნები გულის-წყრომით ჩემ ზედა და ვთქუა-ლა მერმეცა, ერთჯერ გამოვცადო კუალად საწმისითა: იყავნ სიკმელჴ საწმისსა ხოლო ზედა, და ყოველსა ქუეყანასა იყავნ ცუარი.

40. და ყო ღმერთმან ეგრჴთ მას ღამესა შინა: და იყო სიკმელჴ საწმისსა ხოლო ზედა, და ყოველსა ქუეყანასა იყო ცუარი.

თ ა ზ ი 7

1. და აღიმსთო იერობოამ, ესე არს გედეონ, და ყოველმან ერმან მისმან და დაიბანაკეს ქუეყანასა მას ალოედისასა; და ბანაკი მაღიამისაჲ და ამალეკისაჲ იყო ჩრდილოთ კერძო მისა ბორცუთაგან აბორჴთ ღელესა შინა.

2. და ჰრქუა უფალმან გედეონს: ჳეკმა არს ერი ეგე, რომელ არს შენ თანა, რამეთუ მივსცე მე მაღიამი ჳელთა მათთა, ნუჟუჟე იჳად-
[v]ოს ჩემ ზედა ისრაჴლმან და თქუას, ვითარმედ: ჳელმან ჩემმან განმარინა მე.

3. და ჰრქუა მას უფალმან: აწ ეტყოდე ყურთა ერისათა და არქუ მათ: რომელი მედგარ და მოშიშ არს, უკუნიჳეცინ და წარემართენ მთით გალადისაჲთ. და უკუნიჳეცა ერისა მისგანი [ოც და] ორ ათასი კაცი და [ათ] ათასი დაშთა.

4. ჰრქუა უფალმან გედეონს: ფრიადვე არს ერი ეგე; შთაიყვანენ ეგენი წყლად, და გამოცადენ ეგენი მუნ. და იყოს, რომლისაჲ გრქუა შენ მისლვაჲ მისი შენ თანა, მივიდეს, და რომლისაჲ არა გრქუა შენ, ესე არა მივიდეს შენ თანა.

5. და შეიყვანა ერი იგი წყლად. და ჰრქუა უფალმან გედეონს: ყოველმან რომელმან წზას ენითა თვისითა წყლისაგან ძაღლებრ, დაადგინო იგი თვსა, და ყოველი, რომელი დადრკეს მუჳკლთა თვსთა ზედა სუმად, განადგინო იგი თვსა.

6. და იყო რიცხვ ყოველთა, რომელთა წზეს ენითა თვისითა, სამას კაც; და ყოველმან შემდგომმან ერისამან დაიდგნეს მუჳკლნი მათნი სუმად წყლისა.

7. და ჰრქუა უფალმან გედეონს: სამასითა ამით კაცითა, რომელთა წზეს, განგარინნე თქუენ და მივსცე მაღიამი ჳელთა შენთა, და ყოველი იგი ერი უკუნიჳეცინ კაცად-კაცადი ადგილსა თვსსა.

8. და თანა-მიიღეს საგზალი ერისაჲ ჳელითა მათითა და ნესტუნ

მათნი, და ყოველი კაცი ისრაჳლისაჲ განუტევა საყოფლად თჳსა და სამასნი ზოლო კაცნი დაიყენნა. ზოლო ბანაკი მადიამისაჲ იყო ქუემო კერძო ღელესა შინა.

9. და იყო, მას ღამესა ჰრქუა მას უფალმან: აღდეგ და შთავედ აღრე ამიერ ბანაკად, რამეთუ მიმიცემიეს იგი კელთა შენთა.

10. უკუეთუ გეშინის შენ შთასლვად, შთავედით შენ და ფარა, მონაჲ შენი, ბანაკად;

11. და გესმეს, რასა იტყოდინ იგინი; ამისა შემდგომად განძრი-ელდინ კელითა [139] და შთაუკედ ბანაკსა მას. და შთავიდა იგი და ფარა, მონაჲ მისი, ერგასისთა კერძო, რომელ იყენეს ბანაკსა შინა.

12. და მადიამ და ამაღეკ და ყოველნი ნაშობნი აღმოაველით კერძონი დაბანაკებულ იყენეს ღელესა მას შინა ვითარცა მკალი სიმრავლითა, და აქლემებისა მათისაჲ არა იყო რიცხვ, სიმრავლჳ ვითარცა ქვშაჲ, რომელ არს კიდესა ზღვასასა.

13. და შევიდა გედეონ. და აჰა ესერა კაცი ერთი უთხრობდა მოყუასსა თჳსსა ჩუენებასა და ჰრქუა: აჰა ესერა სიზმარი, რომელი მეზმანა: და აჰა ესერა კუეზაჲ ერთი პური ქრთილისაჲ, მგორვალჳ ბანაკსა შინა მადიამისასა, და მიიწია მიკარვადმდე მადიამისა, ეკუეთა მას და დაამკუა იგი, და დაეცა იგი.

14. მიუგო მოყუასმან მან მისმან და ჰრქუა: სხუად ნურარაჲ არს ესე. არამედ მახვლი გედეონისი, ძისა იოასისი ისრაიტელისაჲ; რამეთუ მისცა ღმერთმან მადიამი და ყოველი ბანაკი ესე.

15. და იყო, ვითარ ესმა გედეონს თხრობაჲ იგი ჩუენებისაჲ და განმარტებაჲ მისი, თაყუანის-სკა უფალსა და მიიქცა ბანაკად ისრაჳლისა და ჰრქუა მათ: აღდეგით, რამეთუ მოგუცა უფალმან ბანაკი მადიამისაჲ კელთა ჩუენთა.

16. და განყენა სამასნი იგი კაცნი სამად დასად და კელთა მისცა ნესტუები იგი რქისაჲ და ჩაფები ახლები და ლამპრები ჩაფებსა მას შინა.

17. და ჰრქუა მათ: ჩემგან იხილეთ და ეგრეცა ყავთ; და აჰა ესერა მე შევიდე შუა ბანაკსა მას, და იყოს. ვითარცა ვყო, ეგრეცა ყავთ.

18. და დავჰბერო ნესტუსა მე და ყოველთა ჩემ თანა დაჰბეროთ თქუენცა ნესტუსა რქისათა გარემო ბანაკსა და სთქუათ: მახვლი ღმერთისაჲ და გედეონისი!

19. და შევიდა გედეონ და ასი კაცი მის თანა ერთ კერძო ბანაკსა პირველსა ოდენ საცუმილაესა ღამისასა და განღვძებით განაღ[v]კნა

14. იოასისი] იოასიასი; 16. განყენა] გ^ნყენანა.

9 ქართული ლექციონარო

მკუმბილნი იგი, და დაჰბერეს ნესტუსა მას რქისასა და შემუსრეს ჩაფები იგი.

20. და იპყრეს კელითა მარცხენითა მათითა ლამპრები იგი და კელითა მარჯუენითა ნესტუები რქისაჲ.

21. და დადგა კაცად-კაცი თვის-თვის გარემო ბანაკსა და რბიო-და ყოველი იგი ბანაკი.

22. და დაჰბერეს ნესტუსა და ივლტოდეს, და დაჰბერეს სამასთა მათ ნესტუთა რქისათა. და ყო უფალმან მახვლი კაცისაჲ მოყუასა თვისა ზედა და ყოველსა შინა ბანაკსა,

23. და ივლტოდა ბანაკი იგი ვიდრე ბეთზეტადმდე და მიკიდედ-ჰდე აბელ-მაღლელშსად ტაბათდ კერძო. და აღიზახა კაცმან ნეფთა-ლემით და ასერით, და ყოველმან მანასმსმან ღევნა უყვეს უკუანა მადიაშსა.

24. და მოციქულნი წარავლინნა გედეონ ყოველთა საზღვართა ეფრემისთა და ჰრქუა: შთამოვედით და მოეგებვოდეთ მადიამელთა და უსწვრეთ მათ დაპყრობად წყლისა მიბეთბერამდე და იორდანედ. და დაღად-ყო კაცმან ეფრემისმან და დაიპყრეს წყალი ბეთბერადმდე და იორდანედ.

25. და შეიპყრეს ორნი იგი მთავარნი მადიამისანი — ორებ და ზეებ, და მოკლეს ორებ სურუბეს და ზეებ მოკლეს იაკებზეებს. და ღევნა უყვეს მადიაშსა და თავი ორებისი და ზეებისი მოართუნეს გედეონს.

თ ა ვ ი 8

1. [147] და ჰრქუეს გედეონს კაცთა მათ, რომელთა შთამოუსწრვეს: რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელი მიცაჲ ჩუენ, რამეთუ არა მხადენ ჩუენ, რაჲამს განხვდოდე შენ წყობად მადიამისა? და ესჯოდეს მას ფრიად.

2. და ჰრქუა მათ გედეონ: რაჲ ვქმენ აწ, ვითარ-ეგე თქუენ იტყვთ? არა უმჯობეს არსა საკუთხლველი იგი ეფრემისი ვიდრე არა სასათულებელი აბიეზერისი?

3. რამეთუ კელსა თქუენსა მოგცნა უფალმან მთავარნი იგი მადიამისანი ორებ და ზეებ, და რაჲ შეესძინე მე ყოფად, ვითარ-ეგე თქუენ? მაშინ დააცხრვნა გულნი მათნი სიტყვთა ამით.

20. მარჯუენითა. 23. ტაბათდ] დაბად, ნეფთაღემით] ლეფთაღემით, მანასმსმან] ასერმან. 25. სურ უბისა, იაკებს ზეებისა.

4. და მოვიდა გედეონ იორდანედ და წილმოჴდა იგი და სამაჲნი კაცნი მის თანა სულშემოკლებულნი და მშვიერნი.

5. და ჰრქუა გედეონ კაცთა მათ სოქოთისათა: ეცით პური საზრდელად ერსა ამას ჩემსა, რომელ არს ჩემ თანა, რამეთუ ჰმშის, რამეთუ მე ვსდევნი ზებებს და სალმანას, მეფეთა მადიამისათა.

6. და ჰრქუეს მას კაცთა მათ სოქოთისათა: აწ ნუ თავი ზებების და სალმანასი კელთა შენთა შინა არს, და ვსცეთ ერსა შენსა პური?

7. მაშინ ჰრქუა მათ გედეონ: არა ეგრე, არამედ რაჲმს მომცეს მე უფალმან ზებეე და სალმანა კელსა ჩემსა, მე დავწერტნე კორცნი თქუენნი ეკლითა უდაბნოჲსად და კუროჲსთაჲთა.

8. და წარვიდა მიერ და მოვიდა ფანუელდ და ეტყოდა მათ ეგრევე. მიუგეს მას კაცთა მათ ფანუელისათა, ვითარცა ეტყოდეს კაცნი იგი სოქოთისანი.

9. და ჰრქუა გედეონ კაცთა მათ ფანუელისათა: რაჲმს მოვიქცე მე მშვდობით ბრძოლისა [მისგან], [v] დაეარღვო გოდოლი ესე.

10. და ზებეე და სალმანა იყვნეს კარკარას შინა და ბანაკი მათი მათ თანა ვითარ ათხუთმეტ ათას ოდენ. რომელნი განრინებულ იყვნეს ყოველსა მისგან ბანაკისა ძეთა მზის: აღმოჲაველითა. და რომელნი იგი დაეკემულ იყვნეს მახვლითა, იყვნეს ასოც ათას კაცნი მახვლისანი.

11. და აღვიდა გედეონ გზასა მას დამკვდრებულთა კარვისათა მზის აღმოსავალით ნააბისა და წინაშე ნაბეჲსა და დაესხა ბანაკსა მას და მოსრა იგი, ხოლო ბანაკი იგი მათი უზრუნველ იყო მიერიტგან, და მეყსეულად დაესხნეს იგინი.

12. და ივლტოდეს ზებეე და სალმანა; და დევნა უყო გედეონ და შეიპყრნა ორნი იგი მეფენი მადიამისანი, ზებეე და სალმანა, და ყოველი ბანაკი მათი განიბნია.

13. და მოიქცა გედეონ, ძმ იოასისი, ბრძოლისა მისგან აღმართსა მას თანა არესისასა.

14. და შეიპყრა ყრმაჲ ერთი კაცთაგან სოქოთი[სათა] და ჰკითხა მას სა[ხელები] კაცთა სოქოთისათაჲ. და აღწერნა გედეონ მთავარნი და მოხუცებულნი სოქოთისანი სამეოც და ათჩვდმეტი კაცი.

15. და მოვიდა გედეონ მთავართა მათ ზედა სოქოთისათა და ჰრქუა მათ: აჲა ზებეე და სალმანა კელთა ჩემთა არიან, რომელთათჴს მაყუედრეთ მე და სთქუთ: ნუ თავი ზებების და სალმანასი კელთა შენთა არიან და ვსცეთ ერსა შენსა პური?

16. მაშინ შეიპყრნა გედეონ მთავარნი იგი და მოხუცებულნი ქალაქისანი და მოიღო ეკალი და კურომსთავი და ტანჯნა იგინი მით, კაცნი იგი სოქოთისანი.

17. და გოდოლი იგი თანუელისაჲ დაარღვა და კაცნი იგი მის ქალაქისანი მოწყვდნა.

18. და ჰრქუა ზებეეს და სალმანას: ვიდრე ადგენით კაცნი იგი, რომელ მოსწყვდენით თაბორს შინა? და მათ ჰრქუეს: ვითარცა შენ, ეგრეცა იგინი იყვნეს და შენ მათსა მსგავს ხარი, ხატნი მათნი ეგრე იყვნეს, ვითარცა ძენი მეფეთანი.

19. და ჰრქუა გე[დეონ]: [148] ძმანი ჩემნი იყვნეს და ძენი დედლსა ჩემისანი. ცხოველ არს უფალი: უკუეთუმცა არა მოგეწყვდნეს იგინი, არცამცა მე მოგწყვდენ თქუენ.

20. და ჰრქუა გედეონ იეთერს, ძესა თჳსსა: აღდეგ და მოწყვდენ ეგენი. და ვერ იკადა ყრმაძან მან მახვლი შიშითა, რამეთუ ყრმალა იყო.

21. და ჰრქუა მას ზებეე და სალმანა: აღდეგ შენ და მოწყვდენ ჩუენ თვთ, რამეთუ ვითარცა კაცი, ეგრეცა ძალი მისი არს. და აღდგა გედეონ და მოწყვდნა ზებეე და სალმანა. და მოიღო მანიაკები იგი, რომელი იყო ყელთა აქლემთა მათთასა.

22. და ჰრქუეს კაცთა ისრაჴლისათა გედეონს: მთავრობდ ჩუენ ზედა და ძენი შენნი და ძენი ძეთა შენთანი, რამეთუ შენ განმარინენ ჩუენ კელთავან მადიამისათა.

23. და ჰრქუა მათ გედეონ: არა გმთავრობდე მე თქუენ ზედა, არცა გმთავრობდეს თქუენ ძმ ჩემი, არამედ უფალი გმთავრობდეს თქუენ.

24. და ჰრქუა მათ გედეონ: ვითხოვ მე თქუენგან თხოვასა ერთსა: მომეცინ მე კაცად-კაცადმან თქუენმან საყური ერთი ნატყუენავისაგანი, რამეთუ საყური ოქრომსაჲ ესხა მათ, რამეთუ ისმაიტელ იყვნეს.

25. და ჰრქუეს მათ: მიცემით მიგცეთ. და განიპყრა გედეონ სამოსელი თჳსი და შთაუგდებდა მუნ კაცად-კაცადი საყურსა ოქრომსასა ნატყუენავისა მისგან.

26. და იყო სასწორი საყურებისაჲ მის ოქრომსაჲ, რომელ ითხოვა მათგან, ათას და შუდას სასწორ თვნიერ მანიაკებისა მის და მძივისა და სამოსლისა ძოწეულისა და რამ-იგი იყო მეფეთაჲ მათ მადიამისათაჲ გარნა ფარლულებისა მის, რომელი-იგი იყო ყელსა აქლემთა მათთასა.

27. და შექმნა იგი გედეონ ევფუთად და დადგა იგი ქალაქსა თვსსა ევფრათას, და მიიქცა ყოველი ისრაჲლი მსახურებად მუნ, და ექმნა იგი გედეონს და სახლსა მისსა საცთურ.

28. და დამდაბლდა მადიამი წინაშე ძეთა ისრაჲლისათა და ვერძარა შესძინეს აღებად თავისა მათისა და დამშვდდა ქუეყანად ორმეოც წელ ღღ[ეთა გედეონისთა]. [v]

29. და წარვიდა იორობოამ, ძმ იოასისი, ასე თავადი არს გედეონ, და დაემკვდრა სახლსა თვსსა.

30. და გედეონისნი იყვნეს ძენი სამეოც და ათნი, რომელნი გაამოსრულ იყვნეს წყვილთაგან მოსთა, რამეთუ ცოლნი მრავალნი ესახნეს მას.

31. და ხარკმან მისმან, რომელი იყო სიკიმას, უშვა მანცა ძმ, და უწოდა სახელი მისი აბიმელიქ.

32. და მოკუდა გედეონ, ძმ იოასისი, სიბერიითა კეთილითა და დაეფლა საფლავსა იოასისსა, მამისა თვსოსასა ევფრათად, მამისა ეზრისა.

33. და იყო, ვითარცა მოკუდა გედეონ, გარდაიქცეს ძენი ისრაჲლისანი და ისიძვიდეს კუალსა ბალამისსა და დაიდგეს თავისა თვსოსა ბაალბერიითის თანა აღთქუმად, რაჲთა იყოს იგი მათა ღმრთად.

34. და არა მოიქსენეს ძეთა ისრაჲლისათა უფალი ღმერთი მათი, რომელმან იქსნნა იგინი კელთაგან მტერთა მათთაჲსა გარემოს.

35. და არა ყვეს წყალობად სახლსა იორობოლოსა, ესე იგი არს გედეონ, ყოელისა მისებრ, რომელი ყო კეთილი ისრაჲლსა შორის.

რ უ თ ი

თ ა ვ ი 1

1. [54v] და იყო, დღეთა მათ, რაჟამს სჯილდეს მსაჯულნი, იყო სოცმილი ქუეყანასა ზედა. და წარვიდა კაცი ბეთლემით იუდაჲსით მახემობად აგარაკსა მოაბისასა, იგი და ცოლი მისი და ძენი მისნი.

2. და იყო სახელი მისი კაცისაჲ აბიმელიქ და სახელი ცოლისა მისისაჲ ნოიმი და სახელი ორთა: ძეთა მისთაჲ ჰალეონ და ქელეონ ეფრათელნი ბეთლემით იუდაჲსით. და მივიდეს აგარაკსა მას მოაბისასა და იყენეს მუნ.

3. და მოკუდა აბიმელიქ, ქმარი იგი ნოიმისი, და დაშთა იგი და ძენი მისნი.

4. და ისწნეს მათ ცოლნი მოაბელნი. სახელი ერთსაჲ მის ურიფა და სახელი მეორისაჲ მის რუთ; და იყოფოდეს მუნ ათ წელ.

5. და მოწყდეს ორნივე იგი ძენი მისნი, მალეონ და ქელეონ [55], და დაშთა დედაკაცი იგი მარტომ ორთაგან ძეთა მისთა და ქმრისაგან თვისსა.

6. და აღდგა დედაკაცი იგი და ორნივე ძის ცოლნი მისნი და მოიქცეს აგარაკით მოაბისაჲთ სოფლად ჰურიასტანისა, რამეთუ ესმა მათ აგარაკსა მოაბისასა, ვითარმედ მოხედა უფალმან ერსა თვისსა მოცემად მათა ჰურისა.

7. და გამოვიდა ადგილისა მისგან, სადა იყო მუნ, და ორნივე იგი ძის ცოლნი მის თანა. და მოვიდეს გზასა, რამთამცა მიიქცეს ქუეყანად იუდაჲსა.

8. და პრქუა ნოიმი ორთა მათ ძის ცოლთა მისთა: წარვედით აწ, ასულნო, და მიიქეცით სახიდ დედოსა თვისისა; და ყავნ უფალმან თქვენ თანა წყალობაჲ, ვითარცა-იგი ჰყავთ მომკულართა მათ თანა და ჩემ თანა.

9. მოგეცინ თქვენ უფალმან და ჰპოებთმცა განსუენებასა თითოეული სახლსა შინა ქმრისა თვისისასა. და ამბორს-უყო და უჯმნა მათ. და მათ აღიმადლეს კმაჲ მათი და ტიროდეს.

10. და პრქუეს: შენ თანა მოვიდეთ ერად შენდა.

11. და პრქუა მათ ნოიმი: უკუნიქეციოთ, ასულნო ჩემნო, და წარვედით; რად მოხუალთ თქუენ ჩემ თანა? ნუუკუე ამიერიოთგან შვილნი არიანა მუცელსა ჩემსა და იგინი იყუნენ ქმრად თქუენდა?

12. არამედ მიიქეციოთ აწ, ასულნო ჩემნო, ამისთვის რამეთუ დაგებრდი და არღარა შემაღლებელ ვარ ქმრის სუმად. უკუეთუმეცა ვთქვე: „არღარა არს ჩემ თანა ძალ“, და შე-ლა-ვეყო ქმარსა და ვშენე ძენი.

13. და მათ ელოდით თქუენ, ვიდრემდის განმწყენენ, და მათთვის ნუ დაგიყენენ, რაათა იახნეთ თქუენ ქმარ? ნუ ეგრე, ასულნო ჩემნო, რამეთუ განმიმწარდა მე უფროას თქუენსა, რამეთუ კელი უფლსაჲ გამოვიდა ჩემ ზედა.

14. და მათ აღიმაღლეს კმაჲ მათი და ტიროდეს. და ამბორს-უყოფდეს დედამთილსა თვსსა. და ამბორს-უყო ურიფა და მიიქცა და წარვიდა სახიდ თვსა, ხოლო რუთ შეუღდა მას.

15. და პრქუა ნოიმი რუთს: აჰა ესერა უკუნიქცა შილი შენი ერისა [v] თვსისა და ღმერთთა თვსთა: მიიქეც აწ შენცა უკუანა შილისა შენისა.

16. მიუგო რუთ და პრქუა მას: ნუ შემემთხუევინ მე ეგე ყოფად. ვითარცა დაგიტევე შენ და მივიქეც და წარვედ მე შენგან: არამედ ვიდრეცა მიხვდოდი შენ, მოვიდოდი მე, და სადაცა შენ იყო, მუნცა მე ვიყო. ერი შენი — ერი ჩემი, და ღმერთი შენი — ღმერთი ჩემი.

17. და სადაც შენ მოჰკუდე, მუნცა მე მოვკუდე და შენ თანა დავეფლა. ესე მიყავნ მე უფალმან და ესე შემძინენ. რამეთუ სიკუდილმან განყენება ყოს შენ შორის და ჩემ შორის.

18. ხოლო მან ვითარცა იხილა, რამეთუ დაამტკიცა ესრესით მისლვად მის თანა, და დასცხრა მიერთგან სიტყუად მისა მიმართ.

19. და წარვიდეს ორნივე და მოვიდეს ბეთლემდ. და იყო, ვითარცა მიიწნეს იგინი ბეთლემდ, ოხრიდა ყოველი იგი ქალაქი მათ ზედა და თქუეს: უკუეთუ ნანდვლვე ესე არს ნოიმი?

20. და პრქუა მათ: აწ ნუ მხადით მე ნოიმიოთ, არამედ მარქუთ მე განმწარებულ, რამეთუ განმწარდა ჩემ ზედა მძიმე ფრიად.

21. რამეთუ წარვედ მე საგსმ და მოვიქეც მე ცარიელი; და რაჲსა მხადით მე ნოიმიოთ, რამეთუ უფალმან დამამდაბლა მე და ძრიელმან ბოროტი მიყო მე?

22. და მოიქცა ნოიმი და რუთ, ძის ცოლი მისი, მის თანა, მოვიდეს ქუეყანასა მოაბისაჲთ და ესენი მოვიდეს ბეთლემდ დასაბამსა ოდენ მკისა ქრთილისასა.

თ ა ვ ი 2

1. და იყო ნოიმის ქმრისად მუნ კაცი მეცნიერი; სალო კაცი იგი იყო მდიდარ ძალითა ნათესავისაგან აბილმელიქისი და სახელი მისი ბოოზ. და სცა ნოიმინს სახლი საქუთროო ყოფად მას შინა.

2. და ჰრქუა ნოიმინს რუთ: მივიდე ყანად და ვკრიბო თავი უკუანა მომკალთა, სადაცა ვპოო მადლი წინაშე მათსა. და ჰრქუა მას: ვიდოდე, ასულო.

3. და წარვიდა კრებად ყანასა უკუანა მომკალთა; და მიემთხვა მიმთხუევით ნაწილსა მას აგარაჲისა ბოოზისსა, რომელი იყო აგარაჲისაგან აბილმელიქისი. [67v]

4. და აჰა ესერა ბოოზ მოვიდოდა ბეთლემით და ჰრქუა [68] მომკალთა მათ: უფალი თქუენ თანა! და მათ ჰრქუეს: გაკურთხენინ შენ ღმერთმან!

5. და ჰრქუა ბოოზ მონასა მას მისსა, ზედა-მდგომელსა მომკალთასა: ვინ არს ჰაბუკი ესე?

6. მიუგო მონამან მან და ჰრქუა ბოოზს: დედაკაცი მოაბელი არს, რომელი მოვიდა ნოიმინს თანა ქუეყანით მოაბისაჲთ,

7. და თქუა: ვკრიბო თავი და შევკრიბო შორის მკელეულსა შემდგომად მომკალთა. და მოვიდა და დადგა ვიდრე აჰამომდე და არა განიხუენა მცირედცა ყანასა ამას შინა.

8. და ჰრქუა ბოოზ: შენ გეტყვ, ასულო: ნუ წარხუალ სხუასა ყანასა, ნუცა განეშორები ამიერ, არამედ აჰა შეეყავ მკეველთა ჩემთა თანა.

9. და თუალნი შენნი ეგნენ ყანასა ამას ზედა; სადაცა მკიდენ, შეუდეგ მათ. აჰა ესერა მიბრძანებიეს მონათა ჩემთადა, რამეთუ არა[ს] გეტყოდინ შენ. და ოდეს გწყუროდის, მოვედ ჰურჭლად და სუ, ვინაცა სუან მონათა ჩემთა.

10. და დავარდა პირსა ზედა თვსსა და თაყუანის-სცა ქუეყანასა ზედა. და ჰრქუა ბოოზს: რამეთუ ვპოვე მადლი წინაშე თუალთა შენთა და მიცან მე, და მე ვარ უცხოჲ.

11. მიუგო ბოოზ და ჰრქუა: თხოობით მითხრეს მე, რაოდენი უყავ დედამთილსა მას შენსა შემდგომად სიკუდილისა ქმრისა შენისა და დაუტევე მამა და დედა შენი და ქუეყანა შენი და მოხუედ ერისა, რომელი არა იცოდეს გუშინ და ძულუან.

12. მოგაგენ უფალმან საქმისა ამის წილ შენისა, და იყავნ სასყიდელი შენი სავსებით უფლისა მიმართ ღმრთისა ისრაჲლისა, რომელი მოხუედ სასოებად ქუეშე ფრთეთა მისთა.

13. ხოლო მან ჰრქუა მას: მიპოვნეისმცა მადლი წინაშე შენსა, რომელმან ნუგეშინის-მეც და ეტყოდე გულსა მკეველისა შენისასა, და მე ვიყო ამიერითგან ვითარცა ერთი მკევეალთა შენთაგანი. [V]

14. და ჰრქუა ბოოზ: ვამსა პურის ჭამისასა მოვედ აქა და ჭამე პური და დააწე პური შენი ძმარსა. და დაჯდა რუთ ერთ კერძო მომკალთა მათ, და შეუესუარა მას ბოოზ კალი, და ჭამა და განძღა და დაუშთა.

15. და აღდგა და იწყო კრებად თავისა. და ამცნო ბოოზ მონათა თვისთა და ჰრქუა, რაფთა მკეველელსა შორის კრიბოს თავი, და ნუ ჰკდემთ.

16. არამედ თავს-დებით თავს-იღვეით და ეცით მაგას საჭმლისა-გან თქუენისა, და ჭამდეს და კრებდეს თავსა, და ნუ ჰრისხაეთ მაგას.

17. და კრიბა ყანასა მას შინა ვიდრე მწუხრადმდე და გამოწმიდა, რომელი-იგი კრიბა, და იყო სათუელ ერთ ქრთილი იგი.

18. და აღიღო და შევიდა ქალაქად. და იხილა დედამთილმან მის-მან, რომელი-იგი შეეკრიბა, და მოიღო რუთ და მისცა მას, რომელი-იგი დაუშთა ნეშტი, რომლისაგან განძღა.

19. და ჰრქუა მას ნოიმი: სადა ჰკრიბე, ასულო, სადა ჰყავ ეწოდენი ესე? კურთხეულმცა არს, რომელმან-იგი გიცნა შენ! და უთხრა რუთ დედამთილსა თვისსა, სადა-იგი კრიბა, და უთხრა: სახელი კაცისაჲ მის, რომლისა თანა ვკრიბე, ჰქუიან¹ მას ბოოზ.

20. ჰრქუა ნოიმი ძის ცოლსა თვისსა: კურთხეულ იყავნ კაცი იგი უფლისა მიერ, რამეთუ არა დაუტევა წყალობაჲ თვისი ცოცხალთა და მკუდართა ზედა. და ჰრქუა მას ნოიმი: მახლობელ არს კაცი იგი ჩუენდა და ნათესავცა ჩუენდა არს.

21. ჰრქუა რუთ დედამთილსა თვისსა, რამეთუ: მრქუა მე კაცმან მან, ვითარმედ: მკევეალთა ჩემთა თანა შეეყავ, ვიდრემდის აღასრულონ ყოველი სამკალი, რაოდენიცა არს ჩემი.

22. ჰრქუა ნოიმი რუთს: კეთილ, ასულო, რამეთუ გახუედ მკევეალთა მისთა თანა, რაფთა არაფინ გემთხვნენ შენ სხუანი კაცი ყანასა სხვისასა.

23. და შეეყო რუთ მკევეალთა ბოოზისთა კრებად თავისა, ვიდრემდის დაასრულეს მკაჲ ქრთილისაჲ; და შევიდა რუთ და იყოფვოდა დედამთილისა თვისისა თანა.

¹ ასეა.

თ ა შ ი 3

1. [69] პრქუა მას ნოიშინ, დედამთილმან მისმან: ასულო, აწ არა-
მე გიძიოა შენ განსასუენებელი, რათოა კეთილი გეყოს შენ?

2. და ეგერა ბოოზ მეცნიერი ჩუენი არს, სადა-იგი მკევეალთა მის-
თა თანა იყავ შენ, და იგი შეჰკრებს ქრთილსა კალოსა თვისსა ამას
ლამესა.

3. და შენ დაიბანე და იცხე და შეიშოსე სამოსელი შენი და აღვედ
შენ კალოდ მისა და ნუ გამოეცხადები შენ კაცსა მას ვიდრე აღსრუ-
ლებადმდე მისა ჰამისა და სუმისა.

4. და იყოს, რაჟამს დაწვეს, დაისწავე [აღგილი] იგი, და მი-
ვედ და იპყარ სამოსელი ფერკით კერძო მისა და დაწვევ. და მან
გკითხოს, რად-იგი ჯერ-იყოს შენდა ყოფა.

5. და მან პრქუა: ყოველივე, რადცა მრქუა, და ვყო.

6. და შთავიდა კალოსა მას და ყო ეგრე, ვითარცა ამცნო დედამ-
თილმან მისმან.

7. და ჰამა ბოოზ და სუა, და განმხიარულდა გული მისი, და მივი-
და დაწოლად ნაწილსა მას საწოლისა მისისაჲა. ხოლო რუთ მივიდა
ფარულად და აღყო სამოსელი ფერკით კერძო და დაწვა.

8. და იყო, შუვადამეს ოდენ განიღვძა და განჰკრთა კაცი იგი და
შეძრწუნდა, რამეთუ დედაკაცი წვა ფერკით კერძო მისა.

9. და პრქუა მას ბოოზ: ვინ ხარ შენ? ხოლო მან პრქუა: მე ვარ
მკევეალი შენი რუთ, და გარდმომდევ სამოსელი შენი მკევეალსა შენ-
სა, რამეთუ ნათესავ ჩემდა ხარ.

10. პრქუა მას ბოოზ: კურთხეულ იყავ შენ უფლისა მიერ, ასუ-
ლო, რამეთუ კეთილი ჰქმენ უკუანაასკნელი ესე წყალობაჲ უფრომს
პირველისა, რამეთუ არა მიხედენ შენ შედგომად ჰაბუკთა, გინა თუ
გლახაკისა ვისამე, გინა თუ მდიდრისა.

11. და აწ, ასულო, ნუ გეშინინ, და რადცა მრქუა, ვყო შენთვის,
რამეთუ იცის ყოველმან ნათესავმან ერისამან, რამეთუ დედაკაცი
ძრეილებსაჲ ხარ შენ.

12. და აწ [v] ქეშმარიტად ნათესავ ვარ; არამედ არს სხუად ნა-
თესავი, მახუად, უმახლობელჴსი ჩემსა.

13. იქცეოდე ამას ლამესა, და იყოს, ხვალისაგან უკუეთუ გითვ-
სოს შენ, თვა-გეყავენ; უკუეთუ არა უნდეს თვისობაჲ შენი, გითვსო
მე. ცხოველ არს უფალი.

14. და დაწვა და დაიძინა ფერკთა თანა მისთა ვიდრე სხვალისა-

დმდე. და აღდგა იგი უადრცს, ვიდრემდე იცნას კაცმან მოყუასი თვისი. და ჰრქუა ბოოზ: ნუმცა ვინ უწყის, რანეთუ დედაკაცი მოვიდა კალონა ამას.

15. და ჰრქუა ბოოზ: მომიპყარ სამოსელი შენი, რომელი გაცვეს შენ, და განჰმარტე! ხოლო მან მიუპყრა. და გარდაუწყო ექუსი საწყაული ქრთილისაჲ და დასდვა იგი მას ზედა.

16. და შევიდა იგი ქალაქად დედამთილისა თვისისა თანა. ჰრქუა მას ნოიმი: რაჲ არს, ასულო? ხოლო მან უთხრა ყოველი იგი, რაჲცა რაჲ ჰრქუა მას კაცმან მან.

17. და ჰრქუა მას: ექუსი ესე საწყაულა. ქრთილსაჲ მომცა მე და მრქუა მე: ცარიელი ნუ შეხუალ დედამთილისა შენისა თანა.

18. ხოლო მან ჰრქუა: დაჯედ, ასულო, ვიდრემდის გულისხმაჰყო შენ, ვითარ-იგი არა დაეარდეს სიტყუაჲ; რამეთუ არა დაიდუმოს კაცმან მან, ვიდრემდის არა აღასრულოს სიტყუაჲ იგი დღესჲე.

თ ა ვ ი 4

1. [106] და აღვიდა ბოოზ ბკეთა ზედა და დაჯდა მუნ. და აჰა ესერა ნათესავი იგი წარმოვიდოდა, რომლისათვის თქუა ბოოზ. და ჰრქუა ბოოზ: მოაქციე და დაჯედ აჰა საიდუმლოო! და მოაქცია და და დაჯდა მუნ.

2. და მოიყვანა ბოოზ ათი კაცი მოხუცებულთაგანაი [v] მის ქალაქისათაჲ და ჰრქუა მათ: დასხედით! და დასხდეს.

3. ჰრქუა ბოოზ ნათესავსა მას: ნაწილი იგი ქუეყანისაჲ მის, რომელ არს ძმისა ჩუენისა ელიმელიქისი, მიეცინ ნოიმინს, რომელი იგი მოვიდა ქუეყანით მოაბისაჲთ.

4. და მე ვთქუ, ვითარმედ: ვაუწყო ყურთა შენთა. ჰრქუა მას: მოიგე ამათ წინაშე, რომელნი სხენან, და მოხუცებულთა წინაშე ერისა ჩემისათა: უკუეთუ ეშვილები, ეშვილე; უკუეთუ არა ეშვილები, მითხარ მე, რამეთუ არაეინ არს შენსა გარეშე ნათესავ, და შემდგომად შენსა მე ვარ. ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ, ვეშვილო.

5. და თქუა ბოოზ: დღესა მას, რომელსა მოიგო ქუეყანაჲ იგი კელისაგან ნოიმინისა და რუთისგან მოაბელისა, ძის ცოლისა მისისა, რომლისა მოკუდა ქმარი მისი, სამკვდრებელი იგი მისი მოიგე თავისა შენისა, რომლისაგან აღუდგინო მკვდრი მკუდარსა მას სამკვდრებელსა მისსა.

4, 3. ელიმელიქისი. 4. გარეშდ.

1 ასეა.

6. ჰრქუა ნათესავმან მან: ვერ კელ-ეწიფების თავსა ჩემსა შვილებად, ნუუკუე განვრყუნე სამკვდრებელი ჩემი. არამედ ეშვილე საშვილებელსა მას ჩემსა ზედა, რამეთუ მე ვერ ძალ-მაც შვილებად.

7. და ესე სამართალი იყო პირველ ისრაჲლსა საშვილებელსა ზედა; რადთა დაენტკიცოს ყოველი სიტყუაჲ, განიძუარცის კაცმან ჯამლი თვისი და მისცის მოყუასსა თვისსა, რომელი ეშვილებინ საშვილებელსა მისსა ზედა. და ესე იყო ჯაწამებელ ისრაჲლსა შორის.

8. და ჰრქუა ნათესავმან ბოოზს: მიიღე თავისა შენისა საშვილებელი იგი ჩემი. და განიძუარცა ჯამლი თვისი და მისცა მას.

9. ჰრქუა ბოოზ მოხუცებულთა მათ და ყოველსა ერსა: მოწამე ხართ თქუენ [107] დღეს, რამეთუ მომიგებრეს მე ყოველი ელიმელიქისი და ყოველი, რაოდენი არს ქელეონისი და მალეონისი კელისაგან ნოიშინისა.

10. და რუთისა მოაბელისა, ცოლი მალეონისი, მოვიგე თავისა ჩემისა ცოლად აღდგინებად სახელი მკუდრისაჲ მის სამკვდრებელსა მისსა ზედა. და არა აღიკოცოს სახელი მკუდრისაჲ მის ძმათაგან მისთა და ტომთაგან აღვილისა მისისათა. მოწამემცა ხართ თქუენ დღეს.

11. მიუგო ყოველმან ერმან, რომელი სხდეს ბჭეთა ზედა, და ჰრქუეს: მოწამე ვართ. და მოხუცებულთა მათ ჰრქუეს: მოვიცინ უფალმან ცოლსა მას შენსა, რომელი შემოვალს სახლსა შენსა, ვითარცა რაქელს და ლიას, რომელთა აღაშენეს ამათ ორთავე სახლი ისრაჲლისაჲ; და ყვეს ძალი ეფრათას და წოდებად სახელი ბეთლემს.

12. და იყავნ სახლი შენი ვითარცა სახლი ფარეზისი, რომელ უშვა თამარ იუდას. ნათესავსა შენსა, და მოგეცინ შენ უფალმან მკვევლისა მაგისგან შენისა შვილი.

13. და მოიყვანა ბოოზ რუთ, და იყო იგი მისა ცოლად. და შევიდა მისა და მისცა მას უფალმან მიდგომილებიჲ და შვა ძმ.

14. და ეტყოდეს დედანი იგი ნოიშინს და ჰრქუეს: კურთხეულ არს უფალი, რომელმან დაგიმტკიცა შენ დღეს შვილიერებაჲ წოდებად სახელი შენი ისრაჲლსა შორის.

15. და იყოს იგი შენდა მოსაქცეველ [სულსა]... სიბერისა შენისა, რამეთუ სძალმან შენმან შეგიყუარა შენ და შვა ძმ, რომელ არს უმჯობეს შენდა უფრომს შედთა ძეთა.

16. და მოიქუა ნოიშინ ყრმაჲ იგი და დაისუა წიალთა თვისთა და ექნა მას მპოხელ.

17. ...და უწოდეს სახელი მისი იობედ. ესე არს შამაჲ იესუსი, მამისა დავითისი.
18. და ესე არიან შობანი ფარეზისნი: [v] ფარეზ შვა ესრომ.
19. ესრომ შვა არამ. არამ შვა ამინადაბ.
20. ამინადაბ შვა ნასომ. ნასომ შვა სალმონ.
21. სალმონ შვა ბოოზ. ბოოზ შვა იობედ.
22. იობედ შვა იესჳ. იესჳ შვა დავით მეფჳ.

I მ ე ზ ე ტ ა

თ ა ვ ი 1

1. [58] კაცი ვინმე იყო არმათემელი სეფაჰსაჲ, მთისაგან ეფრემისი, და სახელი მისი ელკანა, ძმ იერემელისი, ძისა თოვისი, ძისა სოფისი არმათემით.

2. ამას ესხნეს ორ ცოლ: სახელი ერთისაჲ მის ანა და სახელი მეორისაჲ მის ფენანა. და ესხნეს ფენანას ყრმანი, ხოლო ანას არა ესუა ყრმა.

3. და აღვიდრა კაცი იგი ქალაქით თჳსით არმათემით ყამითი ყამად თაყუანის-ცემად და მსხუერპლისა შეწირვად სელომს. და იყვნეს ორნი იგი ძენი ელისნი, ოფნი და ფინეზ, მღდელნი უფლისანი.

4. და მოიწია დღმ იგი, და შეწირა ელკანა მსხუერპლი და მისცა ფენანას, [v] ცოლსა თჳსსა, და ყოველთა ყრმათა მისთა ნაწილები ძეთა და ასულთა:

5. ხოლო ანას მიცა ნაწილი ერთი, რამეთუ არა ესუა მას ყრმა; გარნა უყუარდა ელკანას ანა უფროჲს ფენანასსა, და უფალმან დაუქშა საშობ მისი და არა სცა მას შვილი.

6. და ურცხა მისგან და ჰირისა მისისა იტყოდა, რამეთუ არა სცა მას შვილი, არამედ დაუქშა საშობ მისი.

7. ესრტთ ყვის წელიწადითი წელიწადად მრავლით ყამითგან: აღვიდრა იგი ქმრისა თჳსისა თანა ტაძარსა მას უფლისასსა, ესრტთ განარისხებნ თავსა თჳსსა, ტირნ და არა ჰემნ იგი.

8. ჰრქუა მას ქმარმან მისმან: რაჲსა სტირ და არა სჳამ და რაჲსათეს გჳუვის გული შენი? არა უმჳობჳს ვარა შენთჳს უფროჲს მრავლისა შვილისა?

9. და აღდგა იგი შემდგომად პურის ჰამისა მათისა სელომს. და ელი მღდელი ჳდა საჲარძელთა ზედა წინაშე ბჳეთა ტაძრისა უფლისათა.

10. და იგი საღმობითა გულისაჲთა ილოცვიდა უფლისა მიმართ, ტირილით ტირილად;

11. და აღუთჳმინდა აღთჳმასა უფალსა და იტყოდა: აღონა უფალო, ილიო საბაოთ, უკუეთუ მოხედვით მომხედლო სიმდაბლესა

ზედა მკველისა შენისასა, მომიკუნო და მომცე თესლი მამაკაცისად, მიცემით მიცე წინაშე შენსა ვიდრე სიკუდილმდე მისა, ღვწომ და სათრობელი არა სუას და რკინად არა აღვიდეს თავსა მისსა.

12. და იყო, რაჟამს განამრავლნა ანა ლოცვანი მისნი წინაშე უფლისა, ელი ზღდელი ერჩდა პირსა მისსა.

13. და იგი იტყოდა გულსა შინა მისსა, გარნა ბაგენი ხოლო მისნი იძვოდეს, ხოლო კმაჲ მისი არა გამოვიდოდა, და ეგონა ელის; ვითარმედ სთრავს.

14. ჰრქუა მას ყრამან ელისმან: ვიდრემდის გთრავს? განჩქარე ღვწომ ეგე და წარვედ უფლისა პირისაგან. [59]

15. მიუგო ანა და ჰრქუა: არა, უფალო, რამეთუ დედაკაცი ვარ მე ფიცხელთა დღეთად, და ღვწომ და სათრობელი არა მისუამს და განვჭვენ ლოცვათა ჩემთა წინაშე უფლისა.

16. წუ ჰკონებ მკველასა შენსა ვითარცა აქულთაგან უღირსთაჲსა, რამეთუ მრავლითა ურცოთა და უღმრთეობითა ქრისაჲთა დადნობილ ვარ აქამომდე.

17. მიუგო ელი და ჰრქუა მას: წარვედ მშველობით, და ღმერთმან ისრაჲლისამან მოგეცინ შენ ყოველი თხოვაჲ შენი, რომელი ითხოვე შენ მისგან.

18. და თქუა ანა: ვპოვე მადლი მკველმან შენმან წინაშე შენსა. უფალო. და წარვიდა დედაკაცი იგი გზასა თვისსა, კა[მა] და სუა ქმრისა თვისისა თანა, და პირი მისი არღარა იყო მჭუხარძე.

19. და აღიმსთეს განთიად ხვალისაგან და თაყუანის-სცეს უფალსა, და წარვიდეს ქალაქად თვისა არმათენდ. და შევიდა ელკანა ცოლისა თვისისა ანაჲსა, და მოეკსენა იგი უფალსა.

20. და იყო. უამსა ოდენ მათ დღეთასა მიუდგა დედაკაცი იგი და შვა ძმ და უწოდა სახელი მისი სამოელ, რამეთუ თქუა: უფლისა მიერ საბათისა ვითხოვე ესე.

21. და აღვიდა კაცი იგი ელკანა და ყოველი სახლი მისი შეწირვად მსჯურპლრისა სელომს და ყოველთა ათეულთა ქუეყანისა მისისათა შეწირვად უფლისა.

22. ხოლო ანა არა აღვიდა. არამედ ჰრქუა ქმარსა თქსსა: ვიდრე ყრმისა აღსლვადმდე არა აღვიდე. არამედ ოდენ ძუძუსა განეყენოს, მაშინ აღვიდეს ჩემ თანა და ეჩუენოს პირსა უფლისასა და იყოს ეგე მუნ.

23. ჰრქუა მას ელკანა, ქმარმან მისმან: ყავ, რაჲცა კეთილ არა წინაშე თუალთა შენთა: ჯედ შენ აქა. ვიდრემდის ძუძუსა განგეყე-

ნოს ეკე: არამედ დაამტკიცენ უფალმან ყოველივე გამოსრული პირისაგან შენსა. და დაჯდა დედაკაცი იგი მუნ და აწოვებდა ყრმისა მას, ვიდრემდის განეყენა [v] ძუძუსა.

24. და აღვიდა იგი სელომს, რაჟამს განეყენა იგი ძუძუსა, ზუარაკითა სამწლისაჲთა, პურითა და სათუელითა და სამითა საწყაულითა ღვინთა, და შევიდა იგი ტაძარსა უფლისაჲსა სელომდ, და ყრმაჲ იგი მათ თანა.

25. და მოპგუარეს იგი წინაშე უფლისა; და დაკლა მამამან მისმან მსხუერპლები დღეთა მათ, რომელ-იგი ყვის ყამითი ყამად უფლისა; და მოპგუარა ყრმაჲ იგი და დაკლა ზუარაკი, და წარმოუდგინა ანა, დედამან მისმან, ყრმაჲ იგი ელის.

26. და პრქუა: ჩემლა მოიხილე, უფალო; ცხოველ არს სული შენი. მე ვარ დედაკაცი იგი, რომელი ვდეგ წინაშე შენსა, რაჟამს-იგი ვილოცევდ.

27. და მომცა მე უფალმან თხოვაჲ ჩემი, რომელი ვითხოვე მისგან:

28. და მე ვანსახურო ესე უფალსა ყოველთა დღეთა, რაოდენლა იყოს ესე. და თაყუანის-სცა მუნ უფალსა.

თ ა ვ ი 2

1. ილოცა და თქუა ანა: განრიელდა გული ჩემი უფლოსა მიმართ, და ამაღლდა რქაჲ ჩემი ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისაგან ცენა პირი ჩემი ზენდა მტერთა ჩემთა, განვიხარე მე მაცხოვარებითა შენითა.

2. რამეთუ არავინ არს წმიდაჲ შენებრ, უფალო, და არავინ არს წმიდაჲ შენსა გარეშე; და არავინ არს მართალ ღმრთისა ჩუენისაგებრ.

3. ნუ იქადით, ნუცა იტყვთ მაღალსა გარდარეულად, ნუცა აღმოვალნ მღიღრად სიტყუაჲ პირისაგან თქუენისა; რამეთუ ღმერთი არს მეცნიერებათა უფალი და ღმერთმან განმზადნეს საქმენი თვისნი.

4. ნშვლდები ძრეელთაჲ მოუძრულდა, და უძრულნი შეიმოძნეს ძალითა.

5. შეეზულთა პური მოაკლდა, და მშვიერთა დაიპყრეს ქუეყანაჲ; რამეთუ ბერწაჲ მას ესხნეს შვდ შვილ და შვილმრავალი იგი მოუძრულდა.

25. უფლისაჲსა დ-თისსა. დღეთაჲ.

2, 2, გარეშე. 3. მეცნიერებათაჲ.

6. უფალმან მოაკუდინის და აცხოვნის, შთააგდის ჭოჭობეთა და აღმოიყვანის. [60]

7. უფალმან დააგლახაკის და განამდიდრის, დაამდაბლეს და აღამაღლის.

8. აღადგინის ქუეყანისაგან გლახაკი და სკორეთაგან აღამაღლის დარდომილი¹, რადთა დასხდენ იგინი ძრიელთა თანა ერისა მისისათა, და საყდარნი დიდებისანი დაუქვკვდრნეს მათ.

9. მოანიჭის თხოვად მლოცველთა მისთა და აკურთხნის წელიწადნი მართლისანი; არა არს სიმტკიცე ძრიელთაჲ კაცისაჲ.

10. უფალმან უძრულ ყენის კდომნი² თვისნი. უფალი წმიდა არს. ნუ იქადინ ბრძენი სობრძნითა თვისითა, ნუცა იქადინ ძრიელი ძალითა თვისითა, ნუცა იქადინ მდიდარი სიმდიდრითა თვისითა, არამედ ამას ზედა იქადოდენ, რომელი-იგი იქადოდეს გულისხმის-ყოფასა და ცნობასა უფლისასა, ყოფად საჩიელი სამართალი ქუეყანასა ზედა. უფალი ამაღლდა ცათა შინა, და იქუხნა. თავადმან განსაჯნეს კედენი ქუეყანისანი სამართლითა თვისითა, მოსცეს ძალი მეუფესა ჩუენსა და აღამაღლოს უფალმან რქად ცხებულისა თვისისაჲ.

11. და დაუტრევეს ყრმაჲ იგი მუნ წინაშე უფლისა და წარვიდეს ქალაქად თვისა არმათემდ. [62] და ყრმაჲ იგი სამოელ იყო წაბურ წინაშე უფლისა ელი მღდელისა თანა.

12. ხოლო ძენი ელისნი იყენეს ბილწ და არა იცოდეს უფალი.

13. და სამართალსა მღდელობისაჲ ყოველსა მისგან მღდელობისა მიიღებდეს. და მოვიდის, ოდეს შეაგებინ კორცი. და ფუცხვ სამპარი აქუნ ჯელსა მისსა,

14. და შთაყვის იგი ემბაზსა ანუ ზაფსა, ანუ ქუაზსა, ანუ ქოთანსა და ყოველი, რომელი მიემთხვის. მოიღის მღდელმან მან თავისა თვისად. და ესრტთ უყოფდეს ყოველსა ისრამლსა, რომელნი მოვლენან შეწირვად სელომს წინაშე უფლისა.

15. და ვიდრე კუმევადმდე საკუმეველია წინაშე უფლისა [V] მოვიდის ყრმაჲ იგი მღდელისაჲ მის და ჰრქვეს კაცსა მას შემწირველსა: მომეც მე კორცი წუადი მღდელისათვის. და არა მოვილო კორცი მგბარი სიავისაგან.

16. და ჰრქვეს კაცმან მან შემწირველმან: იკუმოოს-და პირველად ცმელი, ვითარცა-იგი ჯერ-არს, და მაშინ მიიღე ყოველისაგან, ვითარცა გული-უთქუამს სულსა შენსა. და მან ჰრქვეს მას: არა, აწ მომეც ჩუენ, არათუ მოვილო მძლავრობით.

8. ძრიელთა თანა] + ძრიელთა. 13. ფუცხვი.

¹ ასეა. ² ასეა.

17. და ცოდვად იგი კაცთად მათ დიდ იყო წინაშე უფლისა, რამეთუ შეურაცხ-პყოფდეს მსხუერპლთა მათ უფლისათა.

18. და ყრმაჲ იგი სამოელ იყო მსახურ წინაშე უფლისა და ემოდა მას სამოელი ეფუთ ბარი.

19. და ორკეცი მცირჲ ფრთჲ უქმნის დედამან მისმან და მიართეს ჟამითი ჟამად. რაჟამს იგი აღვალნ ქმრისა თვისისა თანა შეწირვად მსხუერპლთა მათ დღეთანა.

20. და აკურთხა ელი ელკანა და ცოლი მისი ანა და ჰრქუა: მოგეცონ უფალმან თელი ცოლსა მაგისგან შენისა ამის წილ თანა-ნადებინა, რომელ-ეგე მსახურეთ წინაშე უფლისა. და წარვიდა კაცი იგი აღვილად თვსა.

21. და მოხედა უფალმან ანას, და შენა სამ ძე და ორ ასულ. და განდიდნა ყრმაჲ იგი სამოელ წინაშე უფლისა.

22. და მოხუცებულ იყო ელი ფრად. და ესმოდა, რასა-იგი უყოფდეს ძენი მისნი ძეთა ისრაელისათა.

23. და ჰრქეს მათ: რახსათეს ეგრეთ იქმთ სიტყვა ამისებრ, რომელი მესმის პირიანგან ერისა უფლისა?¹

25. უკეთუ შეცოდებით შესცოდის კაცმან კაცსა, ილოცვედ მისთვის კაცი უფლისა მიმართ. უკეთუ უფალსა შესცოდოს, ვინ ილოცოს მისთვის? და არა ისმენდეს კმასა მამისა მათისასა, რამეთუ ნებათ უნდა უფალსა განწყუნად მათი.

26. და ყრმაჲ იგი სამოელ ვიდოდა და განდიდნებოდა; და იყო იგი სათნო უფლისა და კაცთა.

27. და მივიდა კაცი ღმრთისად ელისა და ჰრქუა მას: ამას იტყვს უფალს: გამოცხადებით გამოვეცხადე სახლსა მამისა [63] შენისასა, ვიდრე იყვნეს-ღა იგონი ეგვიპტეს მონად ფარაონსა,

28. და გამოვირჩიე სახლი მამისა შენისად ყოველთაგან ტომთა ისრაელისათა ჩემდა მღელვად აღსლვად საკურთხეველსა ჩემსა და კუმეად საკუმეველისა და აღებად ეფუდისა და მივეც სახლსა მამისა შენისასა ყოველი იფქლი ძეთა ისრაელისათად საკმლად.

29. და რახსათეს მიხედეთ თქუენ საკურთხეველსა ჩემსა და მსხუერპლთა ჩემთა ურცხვნოთა თუალითა და აღიდუნ ძენი შენნი უფროს ჩემსა კურთხევად მათთვის პირველად ყოველი ნაყოფი მსხუერპლთად სახლისა ისრაელისად?

30. ამისთვის ესრე იტყვს უფალი ღმერთი ისრაელისად: ვთქუ, ვითარმედ: სახლი შენი და სახლი მამისა შენისად ვიდოდიან წინაშე

21. ძმ 30. ელ. 40.

¹ 21-ე მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

ჩემსა უკუნისამდე; და აწ იტყვს უფალი ღმერთი: ნუსადა იყოფინ, არამედ მადიდებელნი ჩემნი ვადიდნენ და შეურაცხიან-მოყოფელნი ჩემნი შეურაცხ-ვეყენე.

31. აჰა ესერა ღლენი მოვლენან, იტყვს უფალი, და მოვარა ნათესავი შენი და ნათესავი სახლისა მამისა შენისაჲ.

32. და არა იყოს მოხუცებული ტაძარსა შინა ჩემსა.

33. და აღვკოცო შენგან კაცი საკურთხეველიაგან ჩემისა, რაჲთა ეკუთბოდის თულთა შენთა, და დადნებოდს გული მისი, და ყოველი დაშთომილი სახლისა შენისაჲ დაეკეს მახვლითა კაცთაჲთა.

34. და ესე იყოს საწაულად შენდა, რომელი მოიწიოს ორთა მათგან ძეთა შენთა: ერთსა შინა ღლეა მოწყდენ ოფნე და ფინებ ერთბამად ორნივე.

35. და აღვადგინო ჩემდა მღდელი სარწმუნოჲ, რომელმან ყოველივე გულისა ჩემისაჲ ყოს, და უშმნო მა სახლი სარწმუნოჲ, და ვიდოდის იგი წინაშე ცხებულისა ჩემისა ყოველთა ღლეთა,

36. და იყოს, ყოველი ნეშტი სახლისა შენისაჲ მოვიდეს თაყუანის-ცემად შენდა დანგითა ვეცხლითა და ერთითა [V] ჯუეზითა პურითა და ჰრქუას: დამადგინე მე ერთა ოდენ სამღდელოსა შენსა ჰამად პურისა.

თ ა ვ ი 3

1. და ყრმაჲ იგი სამოელ იყო მსახერ წინაშე უფლისა, წინაშე ელი მღდელისა; და სიტყუად უფლისაჲ იყო პათიოსან მათ ღლეთა შინა, და არა იყო ხილვაჲ განჩინებისაჲ.

2. და იყო მათ ღლეთა შინა, ელი ეძინა ადგილსა თვისსა. და თულთა მისთა იწყეს დამძიმებად, და ვერ ეძლო ხილვად.

3. სანთელსა ღმრთისასა ვიდრე აღნთებამდე; და სამოელს ეძინა ტაძარსა შინა, სედა დგა კიდობანი იგი ღმრთისაჲ.

4. და უწოდა უფალმან სამოელს და ჰრქუა: სამოელ, სამოელ! და თქუა სამოელ: აჰა ესერა ვარ, რაჲსა მიწეს მე?

5. და მივიდა იგი ელისა. და ჰრქუა მას ელი: არა გწოდე შენ, მივედ და დაიძინე, შეილო. და მივიდა და დაიძინა.

6. და შესძინა უფალმან წოდებად მისა მეორედ და ჰრქუა: სამოელ, სამოელ! და აღდგა სამოელ, მივიდა ელისა და ჰრქუა მას: აჰა ესერა ვარ, რამეთუ მიწოდე მე. და ჰრქუა მას: არა გწოდე შენ, მივედ და დაიძინე, შეილო!

8, 4. უფალი. 5. შეილი.

1 მე-7 მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

8. და მერმე შესძინა უფალმან წოდებად მისა მესამედ და ჰრქუა მას: სამოელ, სამოელ! და აღდგა და მივიდა იგი ელისა და ჰრქუა: აჰა, აჰა ვარ, რამეთუ მიწოდე. და გულისხმაჲყო ელი, რამეთუ უფალი უწოდს ყრმასა მას.

9. და ჰრქუა ელი სამოელს: მიიქეც და დაიძინე, შვილო. და იყოს, ოდეს გიწოდის შენ, თქუ: იტყოდენ უფალი, რამეთუ ესმის მონასა. და წარვიდა სამოელ და დაიძინა ადგილსა თვსსა.

10. და მოვიდა უფალი და დაადგრა მას ზედა და უწოდა ეგრევე სახედ და ჰრქუა მას: სამოელ, სამოელ! და ჰრქუა სამოელ: იტყოდენ უფალი, რამეთუ ესმის მონასა.

11. და ჰრქუა უფალმან სამოელს: აჰა ესერა მე ვცვენე სიტყუანი [64] ჩემნი ისრაჲლსა შორის, ვითარმედ ყოველსა რომელსა ესმოდის იგი, ოხრიდენ ორნივე ყურნი მისნი.

12. მას დღესა შინა აღვადგინო ელის ზედა ყოველი, რაოდენსა ვეტყოდე სახლსა ზედა მისსა; ვიწყო და აღვასრულო.

13. და შენ უთხარ, ვითარმედ: შური ვიძიო სახლისა მისისაჲ ვიდრე უკუნისამდე სიკრუვისათჳს ძეთა მისთაჲსა, რამეთუ ძვრსა იტყოდეს ღმრთისათჳს, და არა ასწავლიდა მათ.

14. და არა ეგრე ვეფუტე სახლსა ელისსა საკლველებითა და მსხუერპლებითა უკუნისამდე.

15. და დაიძინა სამოელ ვიდრე განთიადმდე: და აღიმსთო განთიად და განახუნა კარნი ტაძრისა უფლისანი; და სამოელს შეეშინა თხოზად ჩუენებისა მის.

16. და ჰრქუა ელი სამოელს: შვილო, სამოელ! და ჰრქუა სამოელ: აჰა, აჰა ვარ, უფალო.

17. და ჰრქუა მას ელი: რაჲ არიან სიტყუანი იგი, რომელნი ითქუნეს შენდა მომართ ამას ღამესა? ნუ დამიმაღავ სიტყუათა მათგანსა ნურარას.

18. და უთხრნა მას სამოელ ყოველნი იგი სიტყუანი და არა დაუშალა მათგანი ერთიცა. და თქუა ელი: ყავნ თაეადმან უფალმან, რაჲ-იგი კეთილ არს წინაშე თუალთა მისთა.

19. და განდიდნა სამოელ; და უფალი იყო მის თანა; და არა დაპრდებოდა სიტყუათა მისთაგანი ქუეყანასა ზედა.

20. და ცნა ყოველმან ისრაჲლმან დანითგან ვიდრე ბერსაბადმდე. ვითარმედ სარწმუნო არს სამოელ წინაჲსწარმეტყუელად უფლისა.

21. და შესძინა უფალმან გამოცხადებად სელომს, რამეთუ გამოეცხადა სამოელს. და სარწმუნო იქმნა სამოელ წინაღწარმეტყუელად უფლისა ყოვლისა ისრაჲლისა კიდითგან ქუეყანისაჲთ ვიდრე კიდემდე მისა. და ელი მოხუცებულ იყო ფრიად, და ძენი იგი მისნი ვიდოდეს სლვით და ბოროტ იყო გზაჲ იგი მათი წინაშე უფლისა.

თ ა ვ ი 5

8. [70] ...გეთელთა მათ: მოვედინ კიდობანი ეგე ღმრთისაჲ გეტს.

9. და მისლვასა მისსა იყო კელი უფლისაჲ ქალაქსა მას ზედა და შეძრწუნებაჲ დიდი ფრიად, და ტანჯნა კაცნი მის ქალაქისანი მცირითგან დიდადმდე და გუემნა იგინი საგურკველითა მათითა. და იქმნეს გეთელთა მათ თავისა მათისაჲ საგურკველი ოქროსაჲ.

10. და წარავლინეს კიდობანი იგი ღმრთისაჲ აკალონდ, და დაღად-ყვეს აკალოვნელთა მათ და პრქუეს: რაჲსა მოეცით კიდობანი ეგე ღმრთისა ისრაჲლისაჲ?

11. და კუალად ეგენ ადგილსაჲვე თვსაჲ, და არა მოგუსრნეს ჩუენ და ქალაქი ჩუენი. რამეთუ იყო მოსრვაჲ დიდი ქალაქსა მას შინა.

12. და ვითარცა შევერდა კიდობანი იგი ღმრთისა ისრაჲლისაჲ მუნ და ცოცხალნი იგუემნეს საგურკველითა მათითა, და აღმადლდა დაღადებაჲ იგი მათი ვიდრე ცამდე.

თ ა ვ ი 6

1. და იყო კიდობანი იგი ღმრთისაჲ ქუეყანასა მას უცხო თესლთასა შვდ თთუე, და აღმოაცენა ქუეყანამან მათმან თავკ.

2. მაშინ მოუწოდეს უცხო თესლთა ქურუმთა მათთა და თქუეს: რაჲ-მე ვყოთ კიდობანი ესე ღმრთისაჲ? მაუწყეთ ჩუენ, რაჲთა წარვაველინოთ იგი ადგილადვე თვაჲ.

3. და მათ თქუეს: უკუეთუ წარავლინებთ კიდობანსა მას შჯულისა უფლისა ღმრთისა ისრაჲლისასა, ნუ წარავლინებთ ცარიელსა, არამედ მიეცით მას ტანჯვისა მისთვის. და მაშინ განიკურნნეთ, უკუეთუ არა განგეშოროს კელი მისი თქუენგან.

4. და მათ პრქუეს: რაჲ მივისცეთ ტანჯვისა მისთვის? ხოლო მისანთა მათ პრქუეს:

5. რაცხუთა მათებრ მთავართა უცხო თესლთა ხუთი საგურკველი ოქროსაჲ. რამეთუ შეცოდებაჲ არს თქუენ შორის მთავართა თქუენტა და ერსა თქუენსა, და ხუთი თავგ ოქროსაჲ, მსგავსი თავუთა [V] მათ, რომელნი განპრყუნიან ქუეყანასა თქუენსა.

6. და რადსათჳს დაიმძიმებთ გულთა თქუენტა, ვითარცა-იგი დაიმძიმა ეგვიპტეზან და ფარაო გული მათი? ანუ არა რაჟამს მოკიცხნა იგინი. მაშინლა განუტევენე იგინი და გამოვიდეს?

7. და მოიღეთ აწ და ქმენით ურემი ახალი და ორნი ზროხანი პირველშობილნი თვნიერ კბოთა მათთა და შეაბენით იგინი ურემსა მას, და კბონი მათნი გარე-უკუნ-იბენით სახიდ.

8. და მოიღეთ კიდობანი იგი და დადგით ურემსა მას ზედა და კურკელი იგი ოქროსაჲ მიეცით მას ტანჯვისათჳს, და არა დასდვით დადებით ბერაქეთანი გუერდით კერძო მისა;

9. და იხილეთ გზასა მას საზღვრისა მისისაჲსა, ვითარ-ძი მივიდოდეს: უკუეთუ ბეთსამით კერძო მივიდოდეს, მან მიყო ჩუენ ბოროტი ესე დიდი: უკუეთუ არა, რადთა ვცნათ, რამეთუ არა კელი მი-სი შეხებულ არს ჩუენდა, არამედ შემთხუევით რადმე შემემთხვა ჩუენ.

10. და ყვეს ეგრძთ უცხო თესლთა მათ, და მოიბნეს ორნი ზროხანი პირველშობილნი და შეაბნეს ურემსა მას და კბონი შეაყენეს სახლსა.

11. და დადგეს კიდობანი იგი ურემსა მას ზედა და საგურკველები იგი და თავუები ოქროსაჲ.

12. და წარიმართეს ზროხათა მათ გზასა მას შეაჯავლსა ბეთსამი-ერთსა გზას: ვიდოდეს და არა დაშურებოდეს და არცა მიაქცევდეს მარჯუენით გინა მარცხენით; და მთავარნი იგი უცხო თესლთანი შეუდგეს და მივიდოდეს მათ თანა ვიდრე საზღვრადმდე ბეთსამისა.

13. და ბეთსამელნი იგი მკიდეს სამკალსა იფქლირასა დელესა შინა: და აღიხილნეს თუალნი მათნი და იხილეს კიდობანი იგი მომავალი და განიხა[71]რეს და მიეგებოდეს მას.

14. და ურემი იგი შევიდა ყანასა მას ოსცს ბეთსამელისასა. და დადგეს კიდობანი იგი ლოდსა მას თანა დიდსა და დაკოდეს შემად იგი ურმაჲჲ მის და ზროხანი იგი შეწირნეს მსხუერპლად უფლისაჲს.

15. და ლევიტელთა მათ აღიღეს კიდობანი იგი დმრთასაჲ და კურკელი იგი ოქროსაჲ მის თანა და დადგეს ლოდსა მას თანა დიდ-

სა, და კაცთა მათ ბეთსამელთა შეწირუნი ნახუერპლი და შესაწირავე მას დღესა შინა უფლისა.

16. და ხუთნი იგი მთავარნი უცხო თესლთანი ხედვიდეს და მიიქცეს ასკალონდ მას დღესა შინა.

17. და ესე არიან საგურკველნი იგი ოქრომანნი, რომილნი მოსცნეს უცხო თესლთა ტანჯვისათჳს უფალსა: აზოტისად ერთი, გაზამსად ერთი, ასკალონისად ერთი, გეთისად ერთი, აკარონისად ერთი.

18. და ხუთნი თავუნი ოქრომანნი ყოველთა მათ ქალაქთა უცხო თესლთანი ხუთთა მათგან სამთავროთა ქალაქთა მოხლედვილთა ვიდრე დაბნებადმდე ფერეხელთა და ვიდრე ლოდადმდე დიდად, სადა და დადგეს კიდობანი იგი მას ზედა, აგარაქსა მას ოსმა ბეთსამელისა.

19. [260v] და არა აუწყეს ძეთა იაქონისთა კაცთა მათ ბეთსამელთა, რაჲმას იხილეს კიდობანი იგი შჯულისა უფლისაჲ. და მოარა მათგანი უფალმან ერგასი ათაჲ და სამეოც და ათ კაცი ერსა შორის. და ეგლოვდა ერი იგი ამისთჳს. რამეთუ მოარნა უფალმან წყლულებითა დიდთა ფრიად.

20. და თქუეს კაცთა მათ ბეთსამისათა: ვინ შემძლებელ არს სლვად წინაშე უფლისა და ვისამე აღვიდე კიდობანი შჯულითა უფლისაჲ ჩუენგან.

21. და მიავირნეს მოციქულნი მკვდრთა მიმართ კარიათიმისათა და ჰრქუეს: მოაქციეს [261] კიდობანი ღმრთისაჲ უცხო თესლთა: გარდამოგუალე და აღიღეთ იგი თქუენ.

თ ა ვ ი 7

1. და მოვიდეს კაცნი იგი კარიათიმისანი და აღიღეს კიდობანი იგი შჯულითა უფლისაჲ და შეიღეს იგი სახლსა ამინადაბის[ს]ა, რომელი იყო ბორცუთა ზედა, და წმიდა ყვეს ძმ ელიაზარისი ცვად კიდობანსა შჯულითა უფლისასა.

2. და იყო, ვინამთგან დღით დაიდგა კიდობანი იგი უფლისაჲ კარიათიმს, განმრავლდეს დღენი იგი. და იყო ოც წელ [102] და მოიქცა ყოველი სახლი ისრაჲლისაჲ უფლისაჲ მას დღესა შინა.

3. და ჰრქუა სამოელ ყოველსა მას სახლსა ისრაჲლისასა: უკუეთუ ყოველითა გულითა და გონებითა მოიქცეთ უფლისა და განიშორნეთ თქუენგან უცხონი იგი კერპნი და სერტყები იგი სამსახურე-

ბელთა თქუენთაჲ და განჰმზადნეთ გულნი თქუენნი მხოლოდსა ღმრთისა მსახურებად, და მან განგარინნეს თქუენ კელთაგან უცხოთელთაჲსა.

4. გულს-იდგინეს და განაგდეს მათგან ძეთა ისრაჲლისათა ბა-
ალი და სერტყები სამსახურებელთა მათთაჲ და კერპები იგი ასტარო-
ნიაჲ და მახურებდეს უფალსა.

5. [103] სიტყუად იწყო მათა სამოელ და ჰრქუა: შეკერბინ ყო-
ველი ერი ისრაჲლისაჲ მასეფთას და ლოცუაჲ ვყო თქუენთვის უფლი-
სა მიმართ.

6. და შეკრბა ყოველი იგი ერი ისრაჲლისაჲ მასეფთას; და მოი-
ღეს წყალი და აჰურეს ქუეყანასა ზედა წინაშე უფლისა და მარ-
ხვაჲ ყვეს მათ დღესა შინა და თქუეს: ვცოდეთ წინაშე უფლისა. რა-
მეთუ შჳიდა სამოელ ძეთა ისრაჲლისათა მასეფთას.

7. და გრძობაჲ იყო უცხო თესლთაჲ მათ ყოველთაჲ, და შეკ-
რბეს ძენი ისრაჲლისანი მასეფთას. და ერის კრებაჲ ყვეს ყოველთა
მთავართა უცხო თესლთა მათ, და მოუტდეს უცხო თესლნი იგი ზედა
ისრაჲლსა. ესმა რაჲ ესე უკუე ძეთა ისრაჲლისათა, შეეშინა და შე-
ძრწუნდეს პირისაგან უცხო თესლთაჲსა.

8. და ჰრქუეს ძეთა ისრაჲლისათა სამოელს: ნუ დასცხრები ყო-
ველთა დღეთა ლოცუად უფლისა მიმართ, რაჲთა გკსნეს ჩუენ კე-
ლთაგან უცხო თესლ[თა]. და ჰრქუა სამოელ: ნუ იყოფინ ჩემდა და-
ტევებაჲ ლოცვისაჲ უფლისა ღმრთისა მიმართ ისრაჲლისათვს.

9. ...და შეისმინა მისი უფალმან.

10. და ვიდრე სამოელ შესწირვიდა მსხუერპლსა მას, მოვიდეს და
მოიწინეს უცხო თესლნი იგი განმზადებულნი წყობად ისრაჲლსა
ზედა. და ქუხდა უფალი უცხო თესლთა მათ ზედა კმითა საშინელითა
კრჩხიალეობისაჲთა; შეძრწუნდეს, შეშინდეს და ძღვეასა მიეცნეს წი-
ნაშე ისრაჲლთა მათ უცხო თესლნი იგი.

11. და გამოტდეს კაცნი ისრაჲლისანი მასეფთით და დევნა უყვეს,
და ეწინეს და მოსრნეს, და ნეშტნი იგი მეოტად წარიქცინეს ბეთუ-
რადმდე.

12. და მოიღო სამოელ ლოდი ერთი და აჰმართა იგი შორის მ-
სეფთასა და შორის განწყობილსა მას, და უწოდა სახელი მისი აბე-
ნეზერ, რომელი ითარგმანების ლოდი შეწევნისაჲ, რამეთუ აჰამომდე
შეგუეწია ჩუენ უფალი.

13. და დაამდაბლნა უცხო [V] თესლნი იგი და არღარა შესძინეს

ზედა-მისლვად საზღვართა ისრაჲლისათა; და იყო კელი უფლისაჲ
 აარაჲლა ზედა ყოველთა დღეთა სამოელისთა.

თ ა ვ ი 16

1. [81v] და ჰრქუა უფალმან ღმერთმან სამოელს: ვიდრემდის
 ეგლოვ შენ საულს, რამეთუ მეცა განმიშორებდეს იგი არღარა მეფო-
 ბად ისრაჲლა შორის? და ჰრქუა უფალმან ღმერთმან სამოელს: აღ-
 ავსე რქაჲ ეგე შენი ზეთითა და მოვედ და მიგაველინო შენ [იესუსა]
 ბეთლემდ, რამეთუ ვიხილე ძეთა შორის მისთა ჩემდა მეფედ.

2. და ჰრქუა სამოელ: ვითარ მივიდე? და ესმეს საულს და მომ-
 კლას მე. ჰრქუა მას უფალმან: წარიბ კელითა შენითა დეაკეული
 ზროხათაჲ და თქუ, ვითარმედ: მსხუერპლისა შეწირვად უფლისა
 მავალ.

3. და ხადო იესეს და ძეთა მისთა მსხუერპლსა მას ზედა და გა-
 უწყო, რაჲ ჰყო შენ; და სცხო მეფედ ჩემდა, რომლისაჲ გრქუა შენ.

4. და ყო ეგრე სამოელ, ვითარცა ეტყოდა მას უფალი. და მივი-
 და [82] ბეთლემდ, და განუკვრდა მოხუცებულთა მის ქალაქისა-
 თა მისლვაჲ იგი მისი, და ჰრქუეს: მშვედობით არსა შემოსლვაჲ ეგე
 შენი, მხილველო?

5. და ჰრქუა: მშვედობით, მსხუერპლისა შეწირვად უფლისა მო-
 ვალ; განწმიდენით და ინაჲ-იდგით დღეს ჩემ თანა მსხუერპლსა ამას
 ზედა, და განწმიდნა იესე და ძენი მისნი და ხადა მათ მსხუერპლსა
 მას ზედა.

6. და იყო მოსლვასა მას მათსა, იხილა ელიაბ და თქუა, ვითარ-
 მედ: წინაშე უფლისა-მე არსა ცხებული მისი?

7. ჰრქუა უფალმან სამოელს: ნუ ზედავ პირსა მაგისასა, ნუცა
 ქმნულეზასა სიმწქსისა მაგისისასა, რამეთუ შეურაცხ-ვეყავ ეგე. რამე-
 თუ არა ვითარცა კაცმან იხილის, ეგრე ზედავენ ღმერთი, რამეთუ კა-
 ცი ზედავენ პირსა, ხოლო ღმერთი ზედავენ გულთა.

8. და მოუწოდა იესე ამინადაბს, და მოვიდა წინაშე პირსა სა-
 მოელისსა და თქუა: არცა ესე გამოირჩია უფალმან!

10. და წამოიყვანნა იესე შვდნი ძენი მისნი წინაშე სამოე[ლი-
 სა], და ჰრქუა სამოელ იესეს: არა გამოირჩია უფალმან ამათგან.

11. ჰრქუა სამოელ იესეს: ესოდენ არიან ყრმანი შენნი? ჰრქუა

16, 3 იესუს. 5. იესს. 8. იესს. 10. იესუს. 11. იესს, იესუს.

1 მე-9 მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

იქვე: არა-ღა ერთი უმცირესი, და მწყისი იგი სამწყისოსა. და ჰრქუა სამოელ იუაჲს: მიაველინე და მოიყვანე იგი, რამეთუ არა ინაჲ-ვიდგა ეიდრე მოსლვადმდე მისა აჲა.

12. და მიაველინა იუ-ე, და მოიყვანა დავით წინაშე სამოელისა. და იყო იგი მწითურ პირითა და შუენიერ თუალითა და კეთილ ხილვითა უფლისაჲთა. და ჰრქუა უფალმან სამოელს: აღდგე და სცხე მავას!...

13. ...წინაშე ძმათა მისთა, და მოიწია სული წმინდა და ვითის ზე-და მიერ დლითგან და მერმეცა. და აღდგა სამოელ და წარვიდა არ-მათემდ.

14. და სული უფლისაჲ განეშორა საულს, და შეიპყრა იგი სულმან ბოროტმან უფლისა ზიერ და შეაშთობდა მას.

15. და ჰრქუეს მონათა მისთა: აჲა ეჲერა სული ბოროტი უფლისა მიერ შეგაშთობს შენ.

16. თქუედ. უფალო, მონათა შენთა წინაშე შენსა, და უძიით უფალსა ჩუენსა კაცი, [v] რომელმან იცოდის ვალობაჲ ქნარითა. და რაჲჲმს იყოს სული იგი ბოროტი შენ ზედა ღმრთისა მიერ, და ვალობდეს ქნარითა მისითა, და კეთილ იყოს შენდა და განგისუენოდის შენ.

17. და ჰრქუა საულ მონათა თვსთა: მიძიეთ მე კაცი, რომელმან იცოდის ვალობაჲ და მოიყვანეთ იგი ჩემდა.

18. მიუგო ერთმან მონათა მისთაგანმან და ჰრქუა მას: მე ვიხილე ძეთაგან იესუსთაჲ ბეთლემს, რომელმან იცის ვალობაჲ, და კაცი იგი არს გულისხმის-ყოფელი, მკნე ბრძოლასა, ძრიელ ძალითა და ბრძენ სიტყვთა და კეთილ საქმითა, არამედ უფალი არს მის თანა.

19. და მიაველინა საულ მოციქული იესუსა და ჰრქუა: მომიველინე მე დავით, იმ შენი, რომელი არს სამწყისოსა ვარე.

20. და მოიბა იესე კარაული და აჲვიდა მას სათუელი ჰურისაჲ და თხიერი ღვნითა და თიკანი ერთი თხათაჲ და მიუძღუანა კელითა და-ვისითა, ითა თვისაჲთა, საულს.

21. და წარდგა წინაშე მისსა, და იყო დავით მიმართუმელ მშვლდ-კაბარკისა მისისა.

22. და მიაველინა საულ იესუსა და ჰრქუა: დევინ დავით წინაშე ჩემსა, რამეთუ პოვა მადლი წინაშე თუალთა ჩემსა.

23. და არს, ოდეს მოიწიის სული იგი ბოროტი უფლისა მიერ სა-

ულის ზედა, მოიღის დავით ქნარი კელითა თჳსითა და გალობნ; და განისუენის საულ, და კეთილ არნ მისა, და განეშორის მისგან სულა იგი ბოროტი:

თ ა ვ ი 17

1. [120v] და შეკრბა უცხო თესლთა მათ ბანაკები მათი ბრძოლად ისრაჲლისა და შეკრბეს იგინი სოქოთს ჰურიასტანისა და დაიბანაკეს შორის სოქოთსა [და შორის აზეკას ეფერმენისასა].

2. დ[ა] საულ და კაცი იგი ისრაჲლი[სანი შეკ]რბეს და დაიბანაკეს ღელესა მას მალნარისასა; ესენი ამიერ და იგინი იმიერ. და განეწყვენეს წინაშე უცხო თესლთა ბრძოლად.

3. და უცხო თესლნი იგი განეწყვენეს და დადგეს მათა ერთ კერძო და ისრაჲლი მათა მას ამიერ, და ღელს იგი შორის მათა.

4. და გამოვიდა კაცი განწყობილისაგან უცხო თესლთაგან, გოლიათ იყო სახელი მისი, გეთელი; სიმაღლს მისი ოთხ წყრთა და მტკაველ.

5. და ჩაფხუთი რვალისაჲ ედგა თავა მისსა; და თორნს ჭაჭუედი ემოსა მას; და იყო სასწორი თორნისაჲ მის ხუთას სიკლა რვალისაჲ და რკინისაჲ;

6. და საწმართულნი რვალისანი ესანეს წელთა მისთა, და ასპიდი რვალისაჲ შორის ბეჭთა მათა;

7. და ტარი ლახურისა მისისაჲ ვითარცა ლვილი მქსოველთაჲ, და ლახუარი მას ზედა ექუსას სიკლა რვალისაჲ. და რომელსა აქუნ[121] და საჭურველი მისი, წინა-უვიდოდა უწინარს მისსა.

8. და დადად-ყო განწყობილია მიმართ ისრაჲლისა და ეტყოდა მათ: რაჲსათჳს გამოხუალთ წყობად და ბრძოლად ჩუენ წინაშე? ანუ არა მე ვარ უცხო თესლი და თქუენ ებრაელნი საულისნი? გამოიჩიეთ თავისა თქუენისა კაცი, და გარდამოგუალენ ჩემდა.

9. უკუეთუ უძლოა ჩემ თანა ბრძოლად და მომკლას მე, ვიყვნეთ თქუენდა მონა; უკუეთუ მე ვსძლო და მოვკლა, იყვნით ჩუენდა მონა და გუმონებდით ჩუენ.

10. და თქუა უცხო თესლმან მან: აჰა ესერა მე ვაყუედრე განწყობილსა მას ისრაჲლისაჲ დღეს; მომეციოთ მე კაცი და მარტოდ კეწყვენეთ ორნი.

11. და ესმნეს საულს და ყოველსა ისრაჲლსა სიტყუანი იგი უცხო თესლისანი, და განჰკრთეს და შეეშინა ფრიად.

12. და დავით იყო ძმ კაცისა ვეფრათელისაჲ; ესე იყო ბეთლემით ჰურიანტანით და სახელი მისი იესე, და ამას ესხნეს რვა ძე, და კაცი ესე მოხუცებულ იყო დღეთა საულისთა და გარდასრულ წელთა მრავალთა.

13. და განვიდეს სამნი იგი უხუცესნი ძენი მისნი საულის თანა ბრძოლად. და ესე არს სახელები სამთა მათ ძეთა მისთაჲ, რომელნი განსრულ იყვნეს ბრძოლად: ელიაბ პირმშოჲ, შემდგომი ამინადაბ და მესამე სამაა.

14. და დავით იყო უმრწემესი და სამნი ესე უხუცესნი განვიდეს საულის თანა ბრძოლად.

15. და დავით წარვიდოდა საულისგან და მიიქცა მამისა თვისისა სამწყსოდ ცხოვართა მამისა თვისისათა ბეთლემს.

16. და წარმოდგინ უცხო თესლი იგი მსთუად და მწუხრი და დგან წინაშე განწყობილსა მას ისრაჲლისასა და ესრჳთ ყვის ორმე-ოცთა მათ დღეთა.

17. და ჰრქუა ესე ძესა თვისსა დავითს: მიართუ ძმათა შენთა სათუელი ესე ჯალისაჲ ამის და ათი ესე ჯუ[ეზაჲ პური] [v] და მივედ ბანაკად ძმათა შენთა;

18. და ათი ესე ხაჲუაჲ დონდოლი შეართუ ათასის-თავსა, და იკითხე ძმათა მშვდობაჲ და ანბავი მომართუ და მითხარ მე სიცოცხლეს მათი.

19. და საულ და ყოველი ისრაჲლი ჰბრძოდეს დელესა მას უცხო თესლთა მათ.

20. და აღიმსთო დავით და დაუტევნა ცხოვარნი თვისნი მცველსა და წარილო, ვითარცა ამცნო მას იესე; და შევიდა იგი ბანაკად ერისა მის, რომელი განსრულ იყო ბრძოლად, და დაღადებდა დიდი იყო ბანაკსა მას.

21. და განეწყვნეს ძენი ისრაჲლისანი ბრძოლად და უცხო თესლნი იგი განეწყვნეს წინაშე ძეთა ისრაჲლისათა.

22. და დავით დადვა ჰურჲკელი თვისი და მისცა ჯელთა ჰურჲკლის მცველისათა და მირბიოდა ბანაკად განწყობილსა მას ბრძოლისასა და მოიკითხნა ძმანი თვისნი მშვდ[ობით].

23. [დ]ა ვიდრე იგი ეტყოდა-და მათ, და აჰა ესერა კაცი იგი ამაღლეკელი აღმოვიდოდა, რომლისა სახელი გოლიათ ფილისტიმელი, რომელი იყო გეთით, განწყობილსაგან უცხო თესლთაჲსა, და იტ-

ყოლა იგი სიტყვსა მისებრ თჳსისა, და ესმნეს სიტყუანი ესე დავითს და ყოველსა კაცსა ისრაჲლისასა¹.

25. და თჳთა კაცმან ისრაჲლისამან: ჰხედავთა კაცსა იმას, რომელი აღმოვალს, რამეთუ ყუედრებად ისრაჲლისა აღმოვალს; და კაცმან რომელმან მოკლას. განამდიდროს იგი მეფემან სიმდიდრითა თჳსითა და ასული მისი მისცეს მას ცოლად და სახლი მამისა მისისაჲ ყოს თავისუფალ ისრაჲლსა შორის.

26. და ეტყოდა დავით კაცთა მათ, რომელნი დგეს მის თანა: რაჲ-მე ეყოს კაცსა მას. რომელმან მოკლას უცხო თესლი ესე და ნოსპოს ყუედრებაჲ ისრაჲლისაგან? და ვინ არს უცხო თესლი ესე წინადაუტუთელი, რომელმან აყუედრა განწყობილსა ღმრთისა ცხოველსასა?

27. და ჰრქუა მას ერმან [122] მან სიტყვსა მისებრ და ეტყოდეს: ესრეთ უყოს კაცსა მას, რომელმან მოკლას ესე.

28. და ესმა ესე ელიაბი, ძმასა მისსა უხუცესსა. ეტყოდა რაჲ იგი კაცთა მათ. და განურისხნა დავითს გულს-წყრომით და ჰრქუა: რაჲსათჳს მოსრულ ხარ აჲა და ვისდა დაგიურიან მცირენი იგი ცხოვარნი უდაბნოსა ზედა? მე ვიცი ამჳარტავანებაჲ შენი და უკეთურებაჲ გულისა შენისაჲ, რამეთუ არა ხილვად გარნა ბრძოლისა მოსრულ ხარ შენ.

29. და ჰრქუა დავით: რაჲ მიყოფიეს აწ? ანუ არა სიტყვთა ოდენ ვიტყოდეთა?

30. და წარვიდა სახუასა ადგოლსა და თჳთა ესრეთ. და ჰრქუეს მას სიტყვსა მისებრ პირველისა.

31. და ესმნეს სიტყუანი ესე დავითისნი. რომელთა იტყოდა, და უთხრნეს საულს, და შეიყვანეს საულს წინაშე.

32. და თჳთა დავით: ნუ შეწუხნებინ გული მეფისა ჩემისაჲ ამოსტუს, რამეთუ მონაჲ შენი განვიდეს და ჰბრძოდის მას.

33. და ჰრქუა საულ დავითს: ვერ ძალ-გიც განსლვად და ბრძოლად უცხო თჳსისა მის თანა. რამეთუ შენ ყრმა ხარ და იგი მამაკაცი არს და მბრძოლი სიჭაბუკითგან თჳსით.

34. და ჰრქუა საულს დავით: მწყემსი იყო მონაჲ შენი სამწყსოსა მამისა თჳსისასა, და რაჲემს მოვიდის ლომი ანუ დათვ და აღიღოს ცხოვარი კოლტისაგან,

35. განვიდი შემდგომად მისა და მოველი იგი და გამოული პირისაგან მისისა; და უკუეთუ მოაქციის, უპყრი ყიად მისი, ესცი და მოვაკუდინი იგი.

26. წინადაცუთელი.

¹ 24-ე მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

36. ლომსა და დათუსა კლვიდა მონაჲ შენი და იყავნ უცხო თეს-
ლი ეჲ წინადაუცუეთელი ვითარცა ერთი მათგანი. მე განვიდე და
მოვკლა იგი და მოვსპო ყუედრებაჲ ისრაჲლისაგან. და ვინ არს წი-
ნადაუცუეთელი ე.ე. რომელი აყუედრებს განწყობილსა ღმრთისა
ცხოველისაჲ?

37. და თქუა დავით: უფალმან. რ[ომელმან გან][ი]მარინა მე
პირისაგან ლომისა და კელთაგან დათუსათა, მანვე განმარინოს მე
კელთაგან ამის უცხო თესლისა წინადაუცუეთელისათა. და პრქუა
საულ დავითს: განვედ, და უფალი იყავნ შენ თანა.

38. და შეჰმოსა საულ დავითს საჭურველი თვისი და ჩაფხუთი
რველისაჲ დაადგა თავსა მისსა და შთააცუა მას თორნძ.

39. და შეირტყა დავით მახელი გარეშე თორნესა მას და კელობ-
და დავით ზღვასა მას შინა მისსა, რამეთუ უჩუეველ იყო. და პრქუა
დავით საულს: ვერ განვიდე ამით, რამეთუ არა ჩუეულ ვარ. და გა-
ნიძუარცა იგი მისგან.

40. და მოლო არგანი კელთა მისთა და გამოიჩინა ხუთნი ქვა-
ნი მრგულნი და შთაჰხნა იგინი ვაშკარანსა მას მწყემსთასა, რომელი-
იგი იყო მისი შთასადებელი, და შურდული [...] აქუნდა კელთა მის-
თა და მიუჯდა კაცსა მას უცხო თესლსა.

41. და მოვიდოდა უცხო თესლი იგი მოსლვით და მოეხლებოდა
დავითს. და კაცი იგი, რომელსა აქუნდა ფარი მისი წინა-უვიდოდა
[მას].

42. და მოხედა მას უცხო თესლმან მან გოლიათ და იხილა დავი-
თი და შეურაცხ-ყო იგი, რამეთუ ყრმალა იყო იგი და თავადი იგი
მწითურ იყო და შუენიერ თულითა.

43. და პრქუა უცხო თესლმან მან დავითს: ძალი ნუ რაჲ ვარა,
რამეთუ გამოხუედ არგნითა და ქვითა ჩემ ზედა? და სწყევდა უცხო
თესლი იგი კერპთა მიმართ თვსთა.

44. და პრქუა უცხო თესლმან მან დავითს: მოვედ ჩემდა, და მე
მე-ცნე კორსნი შენნი ააჰმლად მფრინველთა ცისათა და მკეცთა
ქუეყანისათა.

45. და დავით პრქუა უცხო თესლსა მას: შენ მოხუელ ჩემდა მახ-
ვლითა და ლახურითა დ[ა] ფართა, მე მოვალ შენდა სახელითა
უფლისა ძალთაჲსა, ღმრთისა განწყობილისა ამის ისრაჲლისაჲთა,
[123] რომელსა აყუედრე შენ დღეს.

46. და შეგაყენოს შენ დღეს უფალმან ღმერთმან კელთა ჩემთა

და მოგვლა და აღვილო თავი შენი შენგან და მივსცე გუამი შენი და გუანები ბანაკისა მის უცხო თეალთან ამა დაღესა შინა საჭმლად მფრინველთა ცისათა და მკეცთა ქუეყანისათა. და ცნას ყოველმან ქუეყანამან, რამეთუ არს ღმერთი ისრაჲლისა შორის:

47. და ცნას ყოველმან კრებულმან, რამეთუ არა მახვლითა, არცა ლახურითა იქნეს ღმერთმან, რამეთუ უფლისაჲ არს ბრძოლაჲ, და მოგუცნეს კელთა ჩუენთა.

48. და აღდგა უცხო თესლი იგი და მოეახლა ბრძოლად დავითისა და დავით იწრაფა და განვიდა განწყობილისა მისგან მიგებებად უცხო თესლისა მის.

49. და მიყო კელი თვისი ვაშკარანსა მას და მოიღო ქვაჲ ერთი და განსტყორცა და სცა უცხო თესლსა მას შუბლსა, და განვიდა ქვაჲ იგი ჩაფხუთისაგან შუბლად მისა. და დაეცა იგი დაქცევით ქუეყანისა ზედა.

50. და განძრიელდა დავით უფროჲს უცხო თესლისა მის შერდუ-ლითა მით და ქეითა მათ დაღესა შინა და აცა უცხო თესლსა მას და მოკლა იგი: და მახვლი არღა იყო კელსა მისსა.

51. და მირბიოდა დავით და დაადგა მას ზედა და უპყრა მახვლსა მისსა და გამოაბატა ქარქაშისა მისისაგან და მოკვეთა თავი მისი მახვლითა მით. და ვითარცა იხილეს უცხო თეალთა მათ, რამეთუ მოკუდა ძრიელი იგი მათი, ივლტოდეს.

52. და აღდგეს კაცნი იგი ისრაჲლისანი და იუდაისი, ლაღად-ყვეს და სდევდეს უცხო თესლთა მათ ვიდრე შესავალამდე² გეთისა და ვიდრე ბქედმდე ასკალონისა. და დაეცნეს წყლულნი გზასა ზედა. ბქეთასა და ვიდრე გეთამდე.

53. და მოიქცეს კაცნი იგი ისრაჲლისანი და მოვიდეს შემდგომად უცხო თესლთა მათ და წარმოტყუენეს ბანაკი მათი.

54. და მოიღო დავით [V] თავი იგი უცხო თეალთაჲ მის და შეიღო იერუსალმად და საქურველი მისი დადგა საყოფელსა თესსა.

55. და ვითარცა იხილა საულ დავითი განრადვიდოდა ბრძოლად უცხო თესლისა მის, ჰრქუა აბინეზერს, მთავარსა ერისა მისისასა: ვისი ძეჲ არა ჰაბუეი ესე? მიუგო და ჰრქუა აბინეზერ: ცხოველ არა სული შენი, უფალო მეფე, არა ვიცი.

56. და ჰრქუა საულ: ჰკითხე, ვისი ძე არს ჰაბუეი ესე.

57. და ვითარცა მოიქცა მოკლვისა მისგან უცხო თესლთაჲ.

25. ძმ, აბინეზერს, აბინეზერს, მეფემ. 56. ძმ.

1 ასეა.

2 ასეა.

წარმოიყვანა იგი აბინეზერ და შეიყვანა იგი წინაშე საულისა და თავი იგი უცხო თესლისაჲ მის აქუნდა კელთა მისთა.

58. და ჰრქუა მას საულ: ვინი ძე ხარ, ჰაბუკო? [და] ჰრქუა დავით: ძე ვარი შე მონისა შენისა იესუსი ბეთლემელისაჲ.

თ ა ვ ი 18

1. და შევიდა დავით წინაშე საულისა და აღასრულნა სიტყუანი მისნი მისა მიმართ: და იხილა იგი იონათან, ძემან მეფისამან, და შეეყო სული მისი სულსა დავითისსა და შეიყუარა იგი იონათან სულითა თვისთა თანა.

2. და წარიყვანა იგი საულ მიერ დღითგან და არღარა მიუტევა იგი სახიდ მამისა თვისისა.

3. და აღითქუეს იონათან და დავით აღთქუმაჲ, რამეთუ შეიყუარა იგი სულსა თვისისაებრ სული მოყუისისა თვისისაჲ.

4. და განიძუარცა იონათან სამოსელი თვისი, რომელი ემოსა მას, და მასცა დავითს ქაჯვ მისი და ვიდრე მახვლადმდე მისა და მშვლდად და სარტყლად.

5. და დაადგინა იგი საულ კაცთა მათ ზედა მბრძოლთა; და განვიდოდა დავით და შემოვიდოდა, და გულისხმა-ჰყოფდა ყოველსა შინა საქმესა. ვიდრეცა ავლინებდა მას საულ; და სათნო უჩნდა იგი ყოველსა მას ერსა და წინაშე თუალთა მონათა მისთა.

6. და რაჟამს შევიდოდეს იგინი, მო-რაჲ-ქეულ იყო დავით მოკლვისა მისგან უცხო თესლისა, [124] და გამოვიდოდა მძნობრები და ნაქებელეზი მიგებებად დავითისა და შემთხუევად საულსა მეფისა ყოველთაგან ქალაქთა ისრაელისათა, ქებად და ძნობად და შესხმად ბობღნებითა, ნესტუებითა და შესხმითა და ქნარებითა.

7. და სიხარულით შესახმიდეს დედანი იგი მძნობარნი და იტყოდეს: მოხარა საულ ათასეული და დავით — ბევრეული.

8. და განრიხნა საულ გულის-წყრომით და ბოროტ უჩნდა სიტყუაჲ ესე ფრიად წინაშე მისსა, და თქუა საულ: მისცეს დავითს ბევრეული და მე — ათასეული: და რაჲღა აკლს მას გარნა მეფობაჲ?

9. და იყო საულ მიერითგან ქუე-გამხედველ დავითისა მიერ დღითგან და მიადსასრულამდე.

57. აბინეზ. 58. ძმ.

8, 4 ემოსა] იმოსა. 6. მოკლისა] მოკლისა. 9. ქუე-გამხედველ.

თ ა ვ ი 23

25. [149] და წარვიდა საულ და კაცნი იგი მისნი მოძიებად დავითისა. და უთხრეს დავითს, და შთავიდა იგი კლდე¹სა მას უდაბნოსა სასმენელსა². და ესმა საულს და დევნა-უყო უდაბნოსა მას სმენისასა კუალსა დავითისსა.

26. და გილოდა საულ და კაცნი მისნი ერთ კერძო მთასა მას ერთსა, და დავით ფარულად ვილოდა პირისაგან საულისა. და საულ და კაცნი იგი მისნი მიუშვრობდეს დავითს და კაცთა მათ მისთა შეპყრობაჲ მათი უნდა.

27. და მოციქული მოიწია საულისა და პრქუა: იწრაფე და მოვედი რამეთუ უცხო თესლნი მოუტევენეს ქუეყანასა ჩუენსა.

28. და მოიქცა საულ არღარა დევნად შემდგომად დავითისა და წარვიდა მიგებებად უცხო თესლთა მათ: ამისთვის ეწოდა [v] ადგილსა მას კლდჱ განყენებისაჲ.

თ ა ვ ი 24

1. და აღმოვიდა დავით მიერ და დაჱდა იგი იწროთა მათ შინა გაადისათა².

2. და იყო, ვითარცა მოიქცა [საულ] დევნად უცხო თესლთა მათ, უთხრეს მას და პრქუეს: აჲ ესერა დავით უდაბნოსა მას გაადისაჲსა არს.

3. და წარიყვანნა მის თანა სამ ათასნი რჩეულნი ყოელისაგან ისრაჱლისა და წარვიდა მოძიებად დავითისა და კაცთა მათ მისთა წინაშე საანადიროსა მას ირემთასა.

4. და მოვიდა კოლტსა მას სამწყსოთასა, რომელი იყო გზასა ზედა. და იყო მუნ ქუბი, და შევიდა საულ მომზადებად; და დავით და კაცნი იგი მისნი იყვნეს შინავანსა მას ქუბსა და სხდეს.

5. და პრქუეს დავითს კაცთა მათ მისთა: აჲ ესერა დღჱ იგი, რომელსა გრქუა შენ უფალმან: მე მოგცე შენ მტერი შენი კელთა შენთა, და უყავ მას, რადცა-იგი სათნო არს წინაშე თუალთა შენთა. და აღდგა დავით და მოჰკუეთა იღუმალ კიდე იგი ქლამინდისა საულისი.

6. და იყო, ამისა შემდგომად შეინანა დავით გულსა თვისსა, რამეთუ მოჰკუეთა კიდე იგი ქლამინდისა მისისაჲ.

28. 26. დავითისსა] დ¹თისა.

¹ მოსალოდნელი იყო: უდაბნოსა მათისასა.

² მოსალოდნელი იყო: ენგადისათა.

7. და ჰრქუა დავით კაცთა მათ მისთა: ნუ იყოფინ ჩემდა უფლისა მიერ, არა ვყო სიტყუაჲ ეგე უფლისა ჩემისა ზედა ცხებულსა უფლისაა მიყოფად კელი ჩემი მის ზედა, რამეთუ ცხებული უფლისაჲ არა იგი.

8. და არწმუნა კაცთა მათ მისთა დავით მით სიტყუთა და არა უტევა მათ აღდგომად და მოკლვად საულისა. და აღდგა საულ და განვიდა მიერ ქუაბით გზაჲ მას თვისსა.

9. და გამოვიდა დავითცა შემდგომად მისა მიერ ქუაბით და დაღაღ-ყო დავით საულისა მიმართ და თქუა: უფალო ჩემო მეფე! და მოიხილა საულ გარე, და მოდრკა დავით პირსა ზედა თვისსა ქუეყანად და თაყუანის-სცა.

10. და ჰრქუა დავით საულს: რაჲსათვის ისმენ სიტყუასა ერისასა, რომელნი გეტყვან შენ, ვითარმედ: [დავით] ეძიებს სულსა შენსაო?

11. და აჲა ესერა ამას დღესა იხილეს თუალთა შენთა, [150] ვითარ-ესე მომცა შენ უფალმან კელთა ჩემთა ქუაბსა ამჲს შინა, და არა ვინებე მოკლვად შენი და გრიდე შენ და ეთქუ: არა მიეყო კელი ჩემი უფალსა ჩემსა ზედა, რამეთუ ცხებული უფლისაჲ არა ესე.

12. და აჲა ესერა კიდე ქლამინდისა შენისაჲ კელსა ჩემსა; მე მოგპუეთე კიდე ქლამინდისა შენისაჲ და არა მოგკალ შენ. და ცან და იხილე დღეს, რამეთუ არა არს სიცრუეჲ კელთა ჩემთა, არცა შეურაცხება, არცა უსჯულთება და არცა შე-რაჲ-გცოდე შენ და შენ შეუდგე სულსა ჩემსა ჩადებად მას.

13. საჯენ უფალმან შორის შენსა და შორის ჩემსა და შურ-მაგენ მე შენგან, რამეთუ კელი ჩემი არა იყოს შენ ზედა.

14. ვითარცა-იგი თქვან იგავი პირველთა მათ, ვითარმედ: უსჯულთათგან გამოკდეს ცოდვად. და კელი ჩემი არა იყოს შენ ზედა.

15. და აწ ვის სდევ მეფე ისრაჲლისაჲ? ანუ ვისა უკუანა გამოხუალ? ძაღლისა ერთისა და გრწყილისა.

16. იყავნ უფალი განმკითხველ და მსაჯულ შორის შენსა და ჩემსა, და იხილენ უფალმან და საჯენ მსაჯელი ჩემი და გამომეცინ სამართალი კელთათგან შენთა.

17. და იყო, ვითარცა დაასრულნა დავით სიტყუანი ესე საულისა მიმართ, ჰრქუა საულ: კმაჲ შენი არს, შვილო დავით? და ჰრქუა დავით: მონაჲ შენი ვარ, უფალო ჩემო მეფე. და აღიმადლა კმაჲ საულ, ტიროდა.

18. და ჰრქუა დავითს: მართალ ხარ შენ უფროჲს ჩემსა, რამეთუ შენ მომაგე მე კეთილი და მე მიგაგე შენ ბოროტი:

19. და შენ თვთ მითხარ მე დღეს, რომელი მიყავ მე კეთილი, ვითარ-იგი შემაყენა უფალმან კელთა შენთა. და არა მომაღ მე.

20. და ვითარცა-იგი ვინ ჰოვის მტერი თჳსი ჰირსა შინა და განა-რინის იგი გზასა კეთილსა? და უფალმანცა მიგავოს კეთილი, ვითარ-ცა-ესე ჰყავ დღეს.

21. აჰა ესერა მე უწყი, რამეთუ ჰმეფობდე, და დაემტკიცოს მე-ფობაჲ ისრაჲლისაჲ კელსა შენსა.

22. და აწ მეფუტე მე უფლისა მიმართ, რაჲთა არა მოსრა ნათე-სავი ჩემი შემდგომად ჩემსა [v] და ნუცა განაჰარვებ სახელსა ჩე-მსა სახლისაგან მამისა ჩემისა.

23. და ეფუცა დავით საულს, და საულ წარვიდა სახიდ თჳსა: და დავით და კაცნი იგი მისნი აღმოვიდეს მესერადღდე იწროს მას.

თ ა ვ ი 28

1. [25v] და იყო, მათ დღეთა შეკრბეს უცხო თესლთა ბანაკები ბრძოლად ისრაჲლისა. და ჰრქუა ანქემ დავითს: უწყებით უწყოდე, რამეთუ გამოხვდე ჩემ თანა ბრძოლად და კაცნი შენნი შენ თანა.

2. და ჰრქუა დავით ანქემს: აწ ესრეთ სენა. რაჲ გჰქმნეს მონა-მან შენმან. და ჰრქუა ანქემ დავითს: მე ესრეთ ზურგის-მცემელ და მთავრად დავადგინო ყოველთა დღეთა.

3. სამოელ მოკუდა და ეტყუბდა მას ყოველი ისრაჲლი, და დაჰ-ფლეს იგი არმათემს, ქალაქსა თჳსსა. და საულ ავოცნა ყოველნი მუცლით-მეზლაპრენი და ქუეყანით-მცნობელნი.

4. და შეკრბეს უცხო თესლნი და დაიბანაკეს ჩომანს. და შეკ-რბა საულ და ყოველი კაცი ისრაჲლისაჲ და დაიბანაკეს გელბოელს.

5. და იხილა საულ ბანაკი იგი უცხო თესლთაჲ და შეეშინა ფრი-ად და განჰკრთა გული მისი.

6. და იკითხვიდა საულ უფლისა მიერ, და არარაჲ მიუგო მას უფალმან ძილსა შინა და გამოცხადებათა და წინაჲსწარმეტყუელთა მიერ.

7. [26] და ჰრქუა საულ მონათა თჳსთა: მიძიეთ მე დედაკაცი მუცლით-მეზლაპრს, და მივიდე მისა და გამოვიძიო მისგან. და ჰრქუეს მას მონათა მათა: აჰა ესერა დედაკაცი მუცლით-მეზლაპრს აენდ-ორს შინა.

8. და იცვალა საულ სამოსელი თვისი და შეიმოსა სამოსელი სხუაჲ. და წარვიდა საულ და ორნი მონანი მისნი მის თანა, და მივიდეს დედაკაცისა მის ღამე. და ჰრქუა მას საულ: მიმისნე მე მუცლოთ-მეზღაპრეობითა შენითა და აღმომგუარე, რომლისაჲ გრქუა შენ.

9. და ჰრქუა მას დედაკაცმან მან: უწყყ-მეა, რაჲ ყო საულ? ვითარ-იგი მოსრნა მუცლოთ-მეზღაპრენი და ქუეყანით-მცნობელნი, და შენ რაჲსათვის საფრკეს შიგებ სულსა ჩემსა?

10. და ეფუტა მას საულ და ჰრქუა: ცხოველ არს უფალი, არარაჲ შეგემთხოვს შენ ბოროტი სიტყვთა ამით.

11. და ჰრქუა დედაკაცმან მან: ვინ აღმოგგუარო შენ? და ჰრქუა საულ: სამოელ აღმომგუარე მე.

12. და იხილა დედაკაცმან მან სამოელ და ღაღად-ყო კმითა დიღითა და თქუა: რაჲსათვის შემიტყუე მე? საულ შენ ხარ.

13. და ჰრქუა საულ: ნუ გეშინინ; რაჲ იხილე, თქუ. და ჰრქუა დედაკაცმან მან საულს: ღმერთნი ვიხილენ, აღმომავალნი ქუეყანით.

14. და ჰრქუა საულ დედაკაცსა მას: რაჲ სცან? ჰრქუა მან საულს: კაცი ზურგ-მაღალი აღმოვალს ქუეყანით და მოუბლარდნიეს მას ორკეცი. და ცნა საულ, ვითარმედ სამოელ არს, და მოდრკა პირსა ზედა ქუეყანისასა და თყუანის-სცა მას.

15. და ჰრქუა სამოელ: რაჲსათვის შემაუტრეებ მე აღმოსლვად ჩემდა? და ჰრქუა საულ: მჭირს მე ფრიად, და უცხო თესლნი მბრძანან მე, და ღმერთი განმეშორა ჩემგან და არღარა ისმინა ჩემი და არცღა კელითა წინაჲსწარმეტყუელთაჲთა, არცა საძილთა, არცა გამოცხადებით, და აწ მოგხადე შენ, [v] რაჲთა მათუწყო, რაჲ ვყო.

16 და ჰრქუა მას სამოელ: რაჲსათვის მკითხე მე? რამეთუ უფალი განგეშორა შენგან და არს იგი მოყუასსა შენსა თანა.

17. და ყო ეგრე, ვითარცა იტყოდა კელითა ჩემითა; განხეთქა უფალმან მეფობაჲ შენი კელისაგან შენისა და მისცა იგი მოყუასსა შენსა დავითს.

18. რამეთუ არა ისმინე კმაჲ უფლისაჲ და არა აღასრულე რისხვაჲ გულის-წყრომისა მისისაჲ ამაღუესა ზედა; ამის სიტყვისათვის იგიყო შენ უფალმან ღმერთმან ესრტთ.

19. და ამას დღესა მისცეს უფალმან ისრაჲლი შენ თანა კელთა უცხო თესლთასა და ზვალე შენ და ძმ შენი იონათან და ბანაკი ისრაჲლისაჲ მისცეს უფალმან კელთა უცხო თესლთასა.

20. და საულს დგომისაგან თვისსა ქუეყანასა ზედა შეეშინა ფრიად სიტყვისა მისთვის, რომელთა ეტყოდა სამოელ, და არღარა

იყო მერმე მის თანა ძალი, რამეთუ არღა ეკამა პური მას დღესა დღე ყოველ.

21. და შევიდა დედაკაცი იგი და იხილა, რამეთუ სულ-მოკლე იქმნა საულ, და ჰრქუა მას: აჰა ესერა ისმინა მკვეალმან შენმან ვმისა შენისად და დავიდევ სული ჩემი კელთა ჩემთა და ვისმინენ სიტყუანი შენნი, რომელთა მეტყოდე მე.

22. აწ ისმინე მკვეელისა შენისა კმად; და დაგიგო პური და ჰამე; და იყოს შენდა ძალი, რამეთუ გზასა სლვად ხარ შენ.

23. და არა უნდა ჰამად. და აიძულეს მას მონათა მათ მისთა: მაშინ ისმინა სიტყუთა მათითა და აღღგა იგი ქუეყანისაგან და დაჯდა სავარძელთა ზედა.

24. ზოლო დედაკაცსა მას ედგა კბოჲ სახლსა შინა, და იწრათა და დაკლა და მოიღო ფქვილი და შესუარა და შექმნა იგი უცომოდ.

25. და მოიღო წინაშე საულისა და მონათა მისთა; და ჰამეს და აღღგეს და წარვიდეს მას ღამესა.

თ ა ვ ი 29

1. და შეიკრიბეს უცხო თესლთა მათ ყოველი ბანაკი მათი აფექს; და ისრაჲლმან დაიბანაკა ნაინს¹ იეზრაელისა.

2. და მთავარნი იგი უცხო თესლთანი წარმოვიდეს, ასეული და ათასეული; და დავით და კაცნი მისნი წარ[27]მოვიდეს უკუანა ანქუშის თანა.

3. და თქუეს მთავართა მათ და ერისთავთა უცხო თესლთა: ვინ არიან კაცნი ესე, რომელნი წარმოვლენ? და ჰრქუა ანქუშ მთავართა მათ უცხო თესლთა: ესე არს დავით, მონაჲ საულ მეფისა ისრაჲლისად, რომელი მოვიდა ჩემ თანა; და ესე მეორჲ წელი არს და არარაჲ ვპოვე მე ბრალი მის თანა არცა ერთი, ვინაჲთ დღითგან შემოვიდა ჩემ თანა ვიდრე აქამომდე.

4. და განრისხნეს მის ზედა მთავარნი იგი უცხო თესლთანი და ჰრქუეს ანქუშს: მიაქციენ კაცნი იგი და მივიდენ თვსსავე აღვილსა, სადაცა დაგიდგინებთან იგინი მუნ, და ნუ მოვლენ ჩუენ თანა ბრძოლად, რაჲთა არა იყოს ძვრის მზრახველ ბანაკისა ჩუენისა და რაჲთა დაეგოს უფალსა თვსსა თავებითა მით კაცთათა.

5. არა ესე არსა დავით, რომელსა შეასხმიდეს მძნობარნი და იტყოდეს: მოსრა საულ ათასეული და დავით — ბევრეული?

6. და მოუწოდა ანქუშ დავითს და ჰრქუა მას: ცხოველ არს უფა-

20. დღმ.

¹ მოსალოდნელი იყო: აინდორს.

ლი, რამეთუ წრფელ და კეთილ ხარ წინაშე თუალთა ჩემთა, განსლვად შენი და შემოსლვად შენი ჩემ თანა ბანაკსა ამას, და არარად ვპოვე შენ თანა ბიწი, ვინაჲთგან მოსრულ ხარ ჩემ თანა ვიღრე დღენდელად დღედმდე; და წინაშე თუალთა უცხო თესლთასა არა კეთილად შიან შენ:

7. და აწ მიიქეც და წარვედ მშვიდობით და ნურას ჰყოფ ბოროტა წინაშე მთავართა ამთ უცხო თესლთა.

8. და ჰრქუა დავით ანქუშს: რად გიყავ შენ, ანუ რად ბოროტი ჰპოვე [მონისა შენისა თანა], ვინაჲთგან ვარ შენ წინაშე, ვიღრე ქამომდე, რადთა არა მოვიდე და ვპბრძოდი მტერთა უფლისა ჩემისა მეფისათა?

9. მიუგო ანქუშ და ჰრქუა დავითს: ვიცი, რამეთუ სათნო ხარ წინაშე თუალთა ჩემთა, ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ, და ერისთავნი ესე უცხო თესლთანი იტყვიან: არა მოვიდეს იგი ჩუენ თანაო.

10. და აწ აღიმს [v]თუე განთიად შენ და ყრმათა შენთა, რომელნი არიან შენ თანა, და წარვედით ამიერ აღგილით, და სიტყუასა ბოროტსა ნუ დაიდებ გულსა შენსა. აღიმსთუეთ გზასა თქუენსა და განგიოთენეს თქუენ.

11. და აღიმსთო დავით და კაცთა მათ მისთა განთიად ცვად ქუეყანასა მას, და უცხო თესლნი იგი ჰპრძოდეს ისრაჲლსა.

თ ა ვ ი 31

1. და ივლტოდა ერი ისრაჲლისაჲ პირისაგან უცხო თესლთაჲსა და დაეცნენ წყლულნი იგი მრავალნი მთასა ზედა გელბოესა.

2. და შეჰმართეს უცხო თესლთა მათ საულს და ძეთა მისთა და წყლეს იონათან და ამინადაბ და მელქისობ, ძენი საულისნი.

3. და დამძიმდა ბრძოლაჲ იგი საულის ზედა; და პოვეს იგი კაცთა მოიართა და წყლეს იგი უბესა ქუეშე.

4. და ჰრქუა საულ მენუჟებესა თვისსა: ივადე მახვლი შენი და განმგუმირე მე, ნუჟუკუე მოვიდენ უცხო თესლნი და მომკლან მე და მემღერდენ. და არა ინება მენიჟუბემან მან, რამეთუ შეეშინა ფრიად. და მოილო საულ ჳრმალი თუსი და დაეცუა მას ზედა.

5. და ვითარცა იხილა მენიჟუბემან მან, რამეთუ [მოკუდა საულ], დაეცუა მახვლსა თვისსა ზედა და მოკუდა მის თანა.

20, 7. მშვიდობით. 8. ვპოვე. 10. აღიმსთუეთ.

81, 3. ქუეშს. 4. განმგუმირე] განმგუმირე.

6. და მოკუდა საულ და სამნი ძენი მისნი და მენიუებე იგი მისი მას დღესა და ყოველნი კაცნი ერთბამად.

7. და ვითარცა იხილეს კაცთა მათ ისრაჲლისათა, რომელნი იყვნეს წიად-კერძო ღელესა მას და წიად იორდანესა, რამეთუ ივლტოდა ერი ისრაჲლისაჲ, და მოკუდა საულ და ძენი მისნი, [დაუტევნეს ქალაქნი თჳსნი და ივლტოდეს. და] მოვიდეს უცხო თჳსნი და დაემკვდრნეს.

8. და იყო, ხვალისაგან მოვიდეს უცხო თჳსნი იგი განძუარცვად მომწყუდართა მათ და პოვეს საულ და სამნი ძენი მისნი, დაცუმულნი მთაჲა ზედა გელბოლსა.

9. და თავები მოჰკუთეთეს მათ და განძუარცნეს იგინი და წარიღეს საჰურველი მათი და მიიღეს ქუეყანად უცხო თესლთაჲსა, და ახარებდეს კერპთა მათთა და ერსა მათსა.

10. და შეიღეს საჰუ[28]რველი იგი საულისი ასტრაციონისა და გუამი მისი მოაგეს ზღუდეთა ბეთშანისათა.

11. და ესმა მისთვის მკვდრთა იაბის გალადისათა, რამ-იგი უყვეს უცხო თესლთა მათ საულს და ძეთა მისთა,

12. აღდგეს ყოველნი ღამე კაცნი ძრიელებისანი და წარვიდეს და წარიღეს გუამი საულისი და იონათანისი. ძისა მისისაჲ, ზღუდისაგან ბეთშანისა, და მოიხუნეს იგინი აბინდ და დაწუნეს იგინი ცეცხლითა.

13. და მოიხუნეს ძუალნი მათნი და დაჰფლნეს იგინი ქუეყანასა იაბინისასა და იმარხვიდეს შვდ დღე.

II მ ე ჯ ე თ ა

თ ა ვ ი 1

1. [28] და იყო, შემდგომად სიკუდილისა მის საულისა დავით ვარე-მოქცეულ იყო მოწყუედისა მისგან ამაღეკთაჲსა, და იყო დავით სეკელაკს შინა ორ დღე.

2. და იყო დღესა მესამესა და აჰა ესერა კაცი მოვიდა ბანაკით ერისა მისგან, რომელი იყო საულის თანა, და სამოსელი მისი დავით და მიწაჲ გარდაეცხა თავსა მისსა. და შევიდა იგი წინაშე დავითისა და დავარდა იგი ქუეყანასა პირსა ზედა თვისსა და თაყუანის-სცა მას.

3. ჰრქუა მას დავით: ვინაჲ მოხუალ შენ? ხოლო მან ჰრქუა: ბანაკიან იარაღლისა განრინებულ ვარ.

4. ჰრქუა მას დავით: რაჲ არს ამბავი. მითხარ მე. ხოლო მან ჰრქუა: ივლტოდა ერი იგი ბრძოლისაგან მიერ ბანაკით, და დაეცნეს მთავარნი ერისანი, და საულ და ძმ მისი იონათან მოწყდეს.

5. და ჰრქუა დავით კაცსა მას, რომელი უთბრობდა: ვინაჲ უწყი, რამეთუ მოკუდა საულ და იონათან, ძმ მისი?

6. ჰრქუა კაცმან მან: შეჩქუეფებით შეცკვეს მთასა მას გელბოლსა, და საულ დაყრდნობილ იყო მახვლსა მისსა ზედა, და ეტლები და მთავარნი შეემთხვნეს მას.

7. და მოიქცა ვარე, მიხილა მე და მიწოდა.

8. და მრქუა მე: [V] ვინაჲ ხარ შენ? და ვარქუე: ამაღეკელი ვარ მე.

9. [და მრქუა მე]: დამადეგ და მომკალ მე, რამეთუ შეუპყრიე მე ბნელსა ბოროტსა და სული ჩემი ჩემ თანადა არს.

10. დავადეგ და მოვკალ იგი, უწყოდე, ვითარმედ ვერღარა ცხონდეს შემდგომად დაცემისა მისისა. და მოვიხუნე შარავანდედნი თავისაგან მისისა და საულტენი, რომელნი იყვნეს მკლავთა მისთა, და მოგართუნე იგინი უფალსა ჩემსა.

11. ვითარცა ესმა ესე დავითს, იპყრა სამოსელი თვისი და მოიპოო იგი და ყოველთა კაცთა მის თანა;

12. ტიროდეს და ეტყებდეს და იმარხვიდეს საულისთვის და იონათანისთვის, ძისა მისისა, და ერისათვის ისრაჴლისა. და სახლისათვის იუდაჲსა ვიდრე. მწუხარადმდე, რამეთუ დაეცნეს მახვლითა.

13. და ჰრქუა დავით კაცსა მას, რომელი უთხრობდა: ვინაჲ ხარ შენ? ხოლო მან ჰრქუა მას: ძე ვარი მე კაცისა მწირისა ამაღეკელისაჲ.

14. ჰრქუა მას დავით: ვითარ არა შეგეშინა მიყოფად კელი შენი და განგუმერად ცხებული უფლისაჲ?

15. და მოუწოდა დავით ერთსა მონათა მისთაგანსა და ჰრქუა: მოიყვანეთ ეგე და ემთხვენით მაგას. და დასცეს და დაამკუეს იგი ქუეყანასა.

16. და ჰრქუა მას: სისხლი შენი თაქსა შენსა ზედა, რამეთუ პირჲან შენმან თქუა, ვითარმედ: მე მოვკალ ცხებული უფლისაჲო.

17. და გოდებდა დავით გოდებასა მას საულის ზედა და იონათა-ნის, ძისა მისისა, და სახლისათჳს ისრაჲლისა.

თ ა ვ ი 5

1. [373v] და მოვიდეს ყოველნი ტომნი ისრაჲლძანი დავითისა ქებრონდ და ჰრქუეს მას: აჲა ესერა ჩუენ ძულანი შენნი და კორცნი შენნი ვართ.

2. და გუშინ და ძულუან, ვიდრე იყო-და საულ მეფედ ჩუენ ზედა, შენვე იყავ განმყვანებელ და შემომყვანებელ ისრაჲლისა, და შენ გრქუა უფალმან, ვითარმედ: შენ დამწყსო ერი ჩემი ისრაჲლი, და შენ იყავ წინამძღუარ და მთავარ ისრაჲლისა.

3. და მოვიდეს მოხუცებულნი ისრაჲლისანი დავითისა ქებრონდ და აღუთქუა მეფემან დავით აღუქუმაჲ ქებრონს წინაშე უფლისა, და სცხეს მუნ დავითს მეფედ ყოველსა ისრაჲლსა ზედა.

4. ნაშობი იყო ოც და ათისა წლისაჲ დავით მეფობასა თჳსსა და ორმოც წელ მეფობდა იუდასა ზედა.

5. და შვდ წელ და ექუს თთუე მეფობდა იერუსალჲმს და ოც და ცამეტსა წელსა ყოველსა ზედა იერუსალჲმსა და იუდასა.

6. წარვიდეს დავით მეფჲ და ყოველი ერი მის თანა იობოსელი-სა მის, რომელი-იგი დამკვდრებულ იყო ყოველსა მას ქუეყანასა. და ეუწყა დავითს, რამეთუ იტყოდეს იობოსელნი იგი, ვითარმედ არა მოვიდეს აქა დავით, რამეთუ კლომად აღუდგეს მას ბრბანი და მკელობელნი და იტყოდეს: ნუ მოვალნ აქა დავით.

7. და მიიწია დავით და დაიპყრა ციხის-ციხჲ იგი სიონისაჲ და თქუა: ესე არს ქალაქი დავითისი.

13. ძმ. 14. განგუმერად] განგურებად. 15. ემთხვენით.
6, 5. თთუჲ.

8. და უბრძანა დავით მას დღესა შინა და თქუა: ყოველმან, რომელმან დასცეს იაბოსელი იგი მახვლითჲ, აიღენ ბრმათა მათ ზედა და მკელობელთა და მოსრნენ იგინი, რომელთა სძულდა სული დავითისა; რამეთუ ამის გამო თქვან სიტყვს ჳერად, ვითარმედ: ბრმანი და მკელობელნი ნუ შეეღენედ ტაძრად უფლისა.

9. და დაემკვდრა დავით ციხის-ციხესა მას და უწოდა მას ქალაქი დავითისი. და აღაშენა ქალაქი იგი გარემოვს ბორცუსა მას და მას შინა აღიქმნა სახლი თვისი.

10. და ვიდოდა დავით სრბით და განდიდნებოდა და უფალი ყოვლისა-მპყრობელი იყო მის თანა.

თ ა ვ ი 6

12. [261] და წარვიდა დავით აღმოღებად კიდობნისა მი' შჭულისა უფლისა სახლისაგან აბედადისა ქალაქად დავითისა სიხარულითა.

13. და იყვნეს მის თანა, რომელთა მოაქუნდა კიდობანი იგი უფლისაჲ, შვდნი კრებულნი [. .] და საყკვე[ლნი] ზუარაკთა და ვაკთაჲ.

14. და დავით სცემდა ქნარსა აღრთულსა წინაშე უფლისა, და ემოა სამოსელი იქცევისი.

15. და დავითს და ყოველსა ისრაჲლსა აღმოაქუნდა კიდობანი იგი უფლისაჲ დიდითა ჳმითა საყკრისაჲთა.

16. და იყო, ვითარცა მიიწია კიდობანი იგი ვიდრე ქალაქადმდე დავითისა და მელქოლ, ასული საულისი, გარდამოიჳკრობდა სარკუპლით და იხილა დავით მეფემ, იმღერდა რაჲ და როკვიდა და ქნარსა სცემდა წინაშე უფლისა, და შეურაცხ-ყო იგი გულითჲ თვისითა.

17. და შეიღეს კიდობანი იგი უფლისაჲ და დადგეს ადგილსა თვისსა შინაჲვან კარავსა მას, რომელი აღაშენა დავით. და შეწირა დავით მოკვლიად-დასაწუეელი და დასამშვდებელი;

18. და აღაბრულა დავით და შეწირნა ყოვლად-დასაწუეელნი იგი მსტერიბლთანი [V] და დასამშვდებელნი;

19. დაასხა ერი იგი სახელითა უფლისა ჩუენისა ყოვლისა-მპყრობელთაჲთა. ყოველი ერი, დანითგან ვიდრე ბერსებამდე; და ყოველსა ერსა ისრაჲლსასა, მამაკაციოვან ვიდრე დედაკაცამდე. თითოეულსა სცა ჳეზაჲ ერთი პური და დრონი კორცი და ლვლანგომ ტაბაკაჲ. წაიკვდილა ყოველსა იგი ერი კაცად-კაცად სახიდ ვეჲ.

20. და მოქცა დავით კერობეკად სახლსა თვისსა.

III მ ა ზ ე თ ა

თ ა ვ ი 2

4. [215]... და-თუ-იმაჩხნენ შვილთა შენთა გზანი ჩემნი და ვი-
ლოდიან წინაშე ჩემსა ქეშმარიტებით ყოვლითა გულითა მათითა და
ყოვლითა გონებითა მათითა, არა მოვაკლო ნათესაეი შენი საყდარ-
თა ისრაჲლისათა.

5. და აწ შენ თვთ უწყი, რაჲ მიყო მე იოვად, ძემან შაროელი-
სმან, და რაჲ-იგი უყო ორთა მათ ერისთავთა ისრაჲლისათა: აბინე-
რეზა, ძესა ნერისსა, და ამითარს¹, ძესა იესთერისსა, ერძსთავთა მათ
იუდაჲსთა; რამეთუ შოწყვდნა იგინი და იძია სისხლი ღუაწლისაჲ
ჟამსა მშვდობისასა და დასთხია სისხლი უბიწოდ ცხოვრებასა ჩემსა
და ცხოვრებასა ნაშობისა მუცლისა ჩემისასა და ჯამლთა ჩემთა, რო-
მელნი მესხნეს ფერჯთა ჩემთა.

6. და აწ ყავ შენ მისთვის სიბრძნითა შენითა და ნუ შთაავლინებ
სიბერესა მისსა მშვდობით ჯოჯოხეთა.

7. და ძეთა მათთვის ბერზელის გალადისათა ჰყო წყალობაჲ და
ჰყვენ იგინი პურისმტე ტაბლასა შენსა, რამეთუ ესენი მსახურებდეს
წინაშე ჩემსა, რაჟამს ვიელტოდე მე პირისაგან აბესალოშისა, ძმისა
შენისა.

8. და სემეე, ძმ გერაჲსი იემენელსაჲ, რომელი-იგი გაბადომერით
იყო, იგიცა მწყევდა მე წყევასა სიმწარისასა დღესა მას, რომელსა
წარვიდოდე მე კიდედ იორდანისა ბანაკითურთ მეოტად, რაჟამს მო-
მეგებოდა მე იგი. და ვეფუცე მას და ვარქუ, ვითარმედ: არა მოგ-
კლა შენ მახვლითა.

9. ხოლო შენ ნუ განამართლებ მჟა, რამეთუ კაცი ბრძენი ხარ
შენ, და გულისხმა-ყავ, რაჲ-იგი უყო ნას, და შთაჰყადო სიბერჲ მისი
სისხლითა ჯოჯოხეთა.

10. და დაიძინა დავით მამათა იავსთა თანა და დაეფლა ქალაქსა
თქასა.

2, 6. მისსა] ჩემსა. 7. პურისმტე.

1 მოსალოდნელი იყო: ამესას, იეთერისსა.

თ ა ვ ი 7

I

51. [314] და აღასრულა მეფემან სოლომონ ყოველი იგი საქმე რომელი ქმნა ტაძარსა მას უფლისასა. და შეიღო სოლომონ სიწმიდჳ იგი დავითის, მამისა თვისისაჲ, და ყოველი სიწმიდჳ სოლომონისი, ვეცხლი და ოქროჲ, და ყოველი ქურქველი იგი მისცა საფასედ ტაძარსა მას უფლისაჲსა.

თ ა ვ ი 8

1. ...მას უამსა შეკრიბნა სოლომონ ყოველნი იგი მოხუცებულნი ისრაჳლისანი ყოველით მთავრითურთ მსგავსად განაწილებისა მის მამათაჲსა ქალაქად დავითისით.

2. და მოკრბეს სოლომონ მეფისა ყოველნი იგი ძენი ისრაჳლისანი თთუესა მას ანთანემსა, რომელ-იგი არს თთუჳ მეშვდჳ, და მოვიდეს ყოველნი მოხუცებულნი ისრაჳლისანი.

3. და აღიღეს მღდელთა მათ კიდობანი იგი უფლისაჲ და კარავი იგი წამებისაჲ.

4. და ყოველი იგი სამსახურებელი სიწმიდისაჲ, რომელი-იგი იყო კარავსა მას შინა საწამებელისასა, და შეიღეს მღდელთა [v] მათ ლევიტელთა.

5. და მეფჳ სოლომონ და ყოველი ერი ძეთა ისრაჳლისათაჲ მოკრებულ იყვნეს წინაშე კიდობნისა მის და დასწყდიდეს ზროხასა და ცხოვარსა ურიცხუსა სიმრავლითა.

6. და შეიღეს მღდელთა მათ შინაგან კიდობანი იგი აღთქუმისაჲ ადგილსა დაბირსა, სახლსა მას წმიდასა წმიდათაჲსა, ფრთეთა ქუეშე ქერაბინთასა.

7. და განეფინნეს ფრთენი ზედა ადგილსა მას დასადგმელსა კიდობნისასა და დაფარეს ქერობინთა კიდობანი იგი და სიწმიდენი მისნი ზეშთა.

8. მოადგეს ზედა სიწმიდეთა მათ და ხეღვიდეს თაენი განწრედილთაჲ სიწმიდეთაჲ მათ პირისპირ დაბირსა და გამომართ არა გამოჩნდეს,

9. და ძარაჲ იღვა კიდობანსა მას შინა გარნა ორნი იგი ფიცარნი აღთქუმისანი, რომელნი-იგი დაჰხნა მას შინა ქორებს, რომელი აღთქუა უფალმან ძეთა ისრაჳლისათა შემდგომად გამოსლვისა მათისა ქუეყანისა მისგან მეგუპტელთაჲსა.

10. და ვითარცა გამოვიდეს მღდელნი იგი სიწმიდეთა მათგან, და ღრუბლითა აღივსო ტაძარი იგი უფლისაჲ,

11. და ვერ დგეს მღღელნი იგი მსახურებასა მას ღრუბლისა მის-
გან, რამეთუ დიდებითა უფლისაჲთა აღივსო ტაძარი იგი.

12. მას ეამსა სიტყუად იწყო სოლომონ და თქვა: უფალმან თქუა
მფარველ ყოფაჲ ნისლითა.

13. უშშნე მას ტაძარი სამკვდრებელად საყდრისა მისისა უკუნის-
სამდე.

14. და მიექცა სოლომონ მეფემ და აკურთხა ყოველი ისრაელი.
და ყოველი იგი ერი ისრაელისაჲ დგა.

15. და თქუა სოლომონ: კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელ-
ისაჲ დღეს, რომელი იტყოდა პირითა [315] თვისითა დავითისთვის,
მამისა ჩემისა, კელითა თვისითა აღსარულა და თქუა:

16. რომელით დღითგან გამოვიყვანე ერი ჩემი ისრაელი ქუეყა-
ნით ეგვიპტით, არასადა გამოვირჩიე ქალაქთაგანსა ერთსა ნაწილსა
ისრაელისასა შენებად¹ ტაძარი სახელისა ჩემისაჲ და გამოვირჩიე და-
ვითი წინამძღურად ერისა ჩემისა ისრაელისა.

17. და იყო გულსა დავითს, მამისა ჩემისაჲ, ვითარცა უშშნა
ტაძარი სახელისა უფლისაჲ.

18. და პრქუა უფალმან დავითს, მამისა ჩემსა: ამისთვის რამეთუ
მოკდა გულსა შენსა უშნებად ტაძარი სახელისა ჩემისაჲ, კეთილ არს,
რამეთუ მოკდა გულსა შენსა.

19. ხოლო არა შენ ჰქმენ ტაძარი იგი. არამედ შვილმან შენმან,
რომელი გამოვიდეს წყვილთაგან შენთა, მან მიქნეს სახლი სახელისა
ჩემისაჲ.

20. და წარჰმა თა უფალმან სიტყუად იგი. რომელსა იტყოდა: და
აღმზართა მე დავითის წილ, მამისა ჩემისა, და დამსუა საყდართა
ისრაელისათა, ვითარცა თქუა უფალმან: და აღვაშშნე სახლი სახე-
ლისა უფლისა ღმერთისა ისრაელისაჲ.

21. და განუშზადე ადგილი დასადგებელი კილობნისა მისა შჯულის-
სა უფლისაჲ, რომელი-იგი აღუთქუა უფალმან მამათა ჩუენთა გამო-
ყვანებასა მათსა ქუეყანით ეგვიპტით.

22. და დადგა სოლომონ წინაშე პირდაპირ საკურთხეველისა უფ-
ლისა და წინაშე ყოვლისა მის ერისა ისრაელისა და აღიპყრნა კელ-
ნი თვისნი ზეცად,

23. და თქუა: უფალო ღმერთო ისრაელისაო, არავინ არს შენ
მიერ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რომელმან დაუმარბე აღთქუ-
მაჲ და წყალობაჲ...

¹ ასეა.

24. მონასა შენა დავითს, მამასა ჩემსა, რომელსა ეტყოდე და სთქუ: კელთა შენითა აღარულე, ვითარცა-ესე დღეს დღე [v].

25. და აწ. უფალო ღმერთო ისრაჲლისაო, დაუშარბე მონასა შენსა დავითს, მამასა ჩემსა. რომელსა ეტყოდე მას და სთქუ: არა მოაკლდეს შენგან კაცი წინაშე პირსა ჩემსა, რომელი სჯიდეს საყდარსა ისრაჲლისაჲსა, გარნა ეკრძალნენ შვილნი შენნი გზათა ჩემთა სლვად წინაშე ჩემსა.

26. და აწ. უფალო ღმერთო ისრაჲლისაო, სარწმუნო იყავნ სიტყუაჲ შენი, რომელსა ეტყოდე მონასა შენსა დავითს, მამასა ჩემსა.

27. და თუ ჰეშმარიტად დაიმკვდროს ღმერთმან კაცთა შორის, უკუეთუ ცანი ცათანი ვერ შემძლებელ არიან შენდა, აწ ვითარ-მე სახლი ესე, რომელ აღვაშენებ სახელისა შენისაჲს, იყოს საყოფლად შენდა?

28. და აწ უფალო, მოხედე ლოცვასა მონისა შენისასა, უფალო ღმერთო ისრაჲლისაო, სმენად ლოცვასა მონისა შენისასა, რომელი დგას წინაშე შენსა შენ თანა დღეს.

29. იყვენ თუალნი შენნი მოხედვად დღე და ღამე ადგილსა ამას, რომლისაჲს სთქუ ვითარმედ: იყავნ სახელი ჩემი მას შინა სმენად ლოცვი, რომელი აწ გვედრების მონაჲ შენი ადგილსა ამას დღე და ღამე.

30. და ისმინე ჳმაჲ მონისა შენისაჲს და ერისა შენისა ისრაჲლისაჲს, რომელნი თაყუანის-გემენ ადგილსა ამას, და შენ ისმინო ადგილსა მკვდრობისა შენისაჲსა ცათა შინა და შენ ჰყო მიტევებაჲ,

31. რაოდენიცა-ვინ შეტოდებულ იყოს კაცად-კაცადი მოყუისისა მიმართ თვისისა, და თუ ვინმე აღიღოს წყევლაჲ წყევად ვისამე, და აღიაროს წინაშე საყურთხეველსა ამის ტაძრისასა,

32. და შენ ისმინო ზეცით. ჰყო და მჯიდე ერსა შინა ისრაჲლსა უსჯულოებესა უსჯულოხსაჲსა მიგებად მსგავსად გზათა მისთა მისაგებელი თავსა მისსა და განმართლებად სამართლისა მიგებად მანგ[316]ავსად სამართლისა.

33. და მოუძრულებასა ერისა შენისა ისრაჲლისასა წინაშე მტერთა, რამეთუ რაჟამსა ცოდონ შენდა მიმართ და მოიქცენ შენდა და აღუარონ სახელსა შენსა და ილოცვიდენ და გვედრებოდინ ტაძარსა ამას შინა,

34. და შენ ისმინო მათი ზეცით და მიუტევენ ცოდვანი ერსა შენსა ისრაჲლსა და აქცინე იგინი ქუეყანასავე მას, რომელი მიეც მამათა მათთა,

35. დაყენებასა წუმბასა, არა ყოფად წუმბასა, რაჟამა ცოდონ შენდა მიმართ და ილოცვიდენ ადგილსა ამას და ჟუარონ სახელსა შენსა და მოიქციენ ცოდვათაგან თვსთა, რაჟამს მოაუძრულნე იგინი,

36. და ისმინო ზეით და მოუტევნე ცოდვანი მონათა შენთა და ერსა შენსა ისრაჲლსა და გამოუცხადნე მათ გზანი კეთილნი სლვად მას შინა და მოსცე წვმაჲ ქუეყანასა შენსა, რომელი მიეც ერსა შენსა სამკვდრებელად.

37. და თუ სიყმილი იყოს ქუეყანასა ზედა, გინა თუ სიკუდილი, ანუ თუ ცეცხლით მოწუვაჲ, ანუ მგრაგნელი, ანუ მკალი, გინა გესლი, ანუ აჭირვებდეს მათ მტერი ერთსა ქალაქთაგანსა თვსსა და ყოველი შესამთხუეველი და ყოველი საღმობაჲ,

38. ყოველი თხოჲ და ლოცვაჲ. რომელი იყოს ყოველისა კაცისაჲ და ყოველსა ერისა შენსა ისრაჲლისაჲ, ვითარ-რაჲ ცნას კაცად-კაცადმან საღმობაჲ გულისა თვსისაჲ და აღიპყრნე კელნი ტაძარსა ამას,

39. და შენ ისმინო ზეით განმზადებულთ სამკვდრებელთ შენთ და მოუტეო მსგავსად გზათა მათა, ვითარ სცნა გული მისი. რამეთუ შენ ნხოლომან იცნი გულნი ყოველთა კაცთანი.

40. და ეში[v]ნოდის შენდა ყოველთა დღეთა. რაოდენ ცხონდენ პირსა ზედა ქუეყანასა, რომელი მიეც მამათა მათ ჩუენთა.

41. და უცხოჲ იგი, რომელი არა იყოს ერისა შენისა ისრაჲლისაგანი, და იგი მოსრულ იყოს ქუეყანით შორით, სადაცა მიმშენლ იყოს სახელი შენი დიდებული და კელისა შენსა დიდსა ძრიელისაჲ და მკლავისა შენისა განრთხმულისაჲ.

42. და მოვიდენ და თაყუანის-გეცენ ადგილსა ამას.

43. და შენ ისმინო ზეით განმზადებული სამკვდრებელთ შენით და ჰყო მსგავსად ყოველსაჲვე, რაჟაცა ითხოვდეს შენდამო უცხო თესლი იგი, რაჟათა ცნან ყოველთა ნათესავთა ქუეყანისათა სახელი შენი. და ეშინოდის შენგან ერსა შენსა ისრაჲლსა და ცნეს, რამეთუ სახელი შენი წოდებულ არს ზედა ტაძარსა ამას. რომელი აღვაშენე.

44. და თუ განვიდეს ერი შენი ბრძოლად მტერთა თვსთა გზასა, რომელსა მიაველონნე იგინი, და ილოცვიდენ სახელისა მიმართ უფლისა გზასა მას ქალაქისაჲ, რომელი გამოირჩიე, და ტაძარსა ამას. რომელი აღვაშენე სახელისა შენისაჲ.

45. და ისმინო ზეით ლოცვისა და თხოისა მათისაჲ და ჰყო მათა სამართალი და შენდობაჲ,

46. რომელი შეგცოდეს შენ, რამეთუ არავინ არს კაცი. რომელმან

არა ცოდოს. და თუ მოავლინო მათ ზედა და მისცნე იგინი წინაშე მტერთა. და წარტყუენენ იგინი წარმტყუენველთა მათთა ქუეყანასა მტერთა შორიელთასა, გინა თუ მახლობელთასა,

47. და მოაქცენენ გულნი თჳსნი ქუეყანასა მას, რომელსა მიიტყუენენ. და მოიქცენ და გვედრებოდიან ქუეყანასა ტყუეობისასა და თქუან: ეცოდეთ, ურჩულოჲ ვყავთ.

48. და მოიქცენ [317] ყოვლითა გულითა თჳსითა და ყოვლითა ძალითა მათითა ქუეყანასა მას მტერთასა, რომელსა მიიტყუენენ იგინი მუნ, და ილოცვიდენ შენდამი კუალად-გებისათჳს ქუეყანადვე თჳსა, რომელი მიეც მამათა მათთა და ქალაქებისა ამის, რომელ გამოირჩიე და ტაძრისა ამისთჳს, რომელი აღვაშენე სახელისა შენისათჳს,

49. და ისმინო ზეცით, განშადებულთ სამკვდრებელით შენით, ლოცვისა და თხოისა მათისად,

50. და ჰყო სამართალი და მიუტევნე უკეთურებანი მათნი, რომელი ცოდეს შენდა მომართ და ყოველი იგი შეურაცხებაჲ, რომელ შეურაცხ-გყვეს შენ, და შეიწყალნე იგინი წინაშე წარმტყუენველთა მათთა და ჰყო მათთჳს წყალობაჲ,

51. რამეთუ ერი შენი და სამკვდრებელი შენი არს, რომელნი გამოიყვანენ ქუეყანით ეგვიპტით, შუა ბრძმედისა მის რკინის გამომადნობელისა.

52. და იყენენ თჳლანი შენნი და ყურნი შენნი მორჩილ ლოცვისა მონისა შენისა ისრაჲლისასა სმენად მსგავსად ვედრებისა მათისა.

53. რამეთუ შენ გამოირჩიე შენდა სამკვდრებელად ყოვლისა ერისა ქუეყანისაჲსა, ვითარცა ეტყოდე მოსეს, მონასა შენსა, გამოიყვანებჲსა მას მამათა ჩუენთასა ეგვიპტით, უფალო, უფალო. მას ეამნა შინა სიტყუად იწყო სოლომონ და თქუა ტაძრისა მისთჳს, ვითარცა აღასრულა. მშენ დაადგინა ცათა შინა უფალმან და თქუა დამკვდრებად ნისლსა: მიშენე მე სახლი შეუნიერი დამკვდრებად მას შინა განახლებად. აჰა ესერა წერილ არს ესე ყოველი წიგნსა მას შინა შემაცხმელთასა.

54. და იყო, ვითარცა აღასრულა სოლომონ უფლისა მიმართ ყოველი იგი ლოცვაჲ და თხოაჲ, აღდგა წინაშე საკურთხეველსა მას უფლისასა, სადა-იგი მუკლ[V]-დაბნევით დგა ზედა მუკლთა თჳსთა და კელნი თჳსნი ზეცად აღეპყრნეს.

55. და აღდგა და მიექცა და აჯურხთა ყოველი იგი ერი ისრაჲლსა და კმითა მალლითა და თქუა:

56. კურთხეულ არს უფალი ღმერთი დღეს, რომელმან მოსცა განჯენებად ერსა ამას თვისსა ისრაჲლსა მსგავსად ყოვლისა მის სიტყვსა თვისსა, რომელსა იტყოდა, და არა გარე-წარჰკდა სიტყუად ერისადა ყოველთაგან სიტყუათა მისთა, რომელთა ეტყოდა მოსეს, მონასა თვისსა.

57. იყავნ უფალი ჩუენ თანა, ნუ დამაგდებნ ჩუენ...

58. განდრეკასა გულთა ჩუენთასა მისგან სლვად ყოველთა გზათა მისთა და დაცვად ყოველთა მცნებათა მისთა, რომელ ამცნო მათა ჩუენთა.

59. და იყვნედ სიტყუანი ესე ჩემნი, რომელთა ვილოცავ წინაშე უფლისა ღმრთისა ჩემისა დღე და ღამე ყოფად სამართალი ჩემი მონისა ამის შენისადა და ყოფად სამართალი ერისა შენისა ისრაჲლისადა დღე და ღამე,

60. რადთა ცნას ყოველმან ერმან ქუეყანისამან, რამეთუ შენ ხარ უფალი ღმერთი, და არავინ არს სხუად შენსა გარეშე.

61. იყვენ გონებანი ჩუენნი განსრულებულ უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა უბიწოებით სლვად. მსგავსად ბრძანებათა მისთა დაცვად სამართალთა მისთა, ვითარცა-ესე დღეს დღე.

62. და მეფე და ყოველი ისრაჲლი მის თანა შესწირვიდეს შესაწირავსა წინაშე უფლისა.

63. და შეწირა მეფემან სოლომონ შესაწირავი დასამშვედებლთადა, რომელ შეწირა უფლისა ზროხად ოც და ორ ათას და ცხოვარი ას და ოც ათას. და ყო სუტყურიი სახლისა მის უფლისადა მეფემან და ყოველთა ძეთა ისრაჲლისათა.

64. [318] მას დღესა შინა განწმინდა მეფემან ეზოად იგი, რომელი იყო პირსპირ ტაძარსა მას უფლისასა, რამეთუ მუნ ყვნა მრგულიად-დასაწუველნი იგი და ცმელი იგი დასამშვედებლთადა, რამეთუ ტაბლად იგი სპილენძისადა მცირე იყო, რომელი დგა წინაშე უფლისა, რამეთუ ვერ დაიტია მრგულიად-დასაწუველნი იგი დასამშვედებლნი.

65. და ყო სოლომონ მას დღესა შინა დღესასწაული და ყოველმან ისრაჲლმან მის თანა კრება დიდ გამოსავალითგან ემთისადათ, ვიდრე მდინარედმდე ეგვიპტრსა წინაშე უფლისა ღმრთისა ჩუენისა

56. მოსეს. 59. დღე და ღამე (1).
დასაწუველნი(1). 65. დღესასწაული.

60. გარეშე.

64. მრგულიად

ტაქარსა მას. რომელ აღაშენა. ქამდეს და სუმიდეს და იხარებდეს წინაშე უფლისა ღმრთისა ჩუენისა შუდ დღე.

66. და შუდ ღამე. დღესა მას მერვესა განუტევა ერი იგი და აკურთხეს ნეფშ და წარვიდეს თითოეული სამკვდრებელად თჳსა სიხარულითა გულისადათა განმხიარულებულნი ყოველთა მათ კეთილთა ზედა, რომელ ყო უფალმან დავითისთვის მონძა თჳსისა და ერისა თჳსისა ისრაჲლისა.

თ ა მ ი 19

9. [258] ...სიტყუად ღმრთისაჲ იყო მესამესა წელსა ელიაჲსა მიმართ და ჰრქუა: რაჲსა ხარ შენ, ელია, აქა?

10. [და ჰრქუა ელია]: შემშურდა შური უფლისა ყოვლისა-მჰყრობელისაჲ, რამეთუ დაგიტევეს შენ ძეთა ისრაჲლისათა, საკურთხეველნი შენნი დაარღვნეს, წინაჲსწარმეტყუელნი შენნი მოწყვდნეს მახვლითა და ეძიებენ სულსაჲცა ჩემსა მიღებად.

11. და ჰრქუა: გამოხვდე შენ ხვალე და დასდგე შენ მთასა მაგას წინაშე ღმრთისა. და აჰა უფალი წარჰვიდოდის, და ქარი დიდი ძრიელი, რომელი დაარღუევდეს მთათა და შეჰმუსრვიდეს კლდეთა წინაშე უფლისა: და არა ქარსა მას [შინა] უფალი; და შემდგომად ქარისა მის — ძრვად; და არა ძრვასა მას [შინა] უფალი;

12. და შემდგომად ძრვისა მის — ცეცხლი, და არა ცეცხლსა მას [შინა] უფალი; და შემდგომად ცეცხლისა მის — კმაჲ ნიავისა წულილისაჲ. და მაშინდა — უფალი.

13. და იყო, ვითარცა ესჲა ელიას, დაიფარა პირი მისი ხალენითა, გამოვიდა და დგა ქუეყანასა მას თანა. და აჰა იყო მისაჲ კმაჲ და ჰრქუა: რაჲსა ხარ შენ, ელია, აქა?

14. და თქუა ელია: შემშურდა მე შური უფლისა ყოვლისა-მჰყრობელისაჲ, რამეთუ დაუტევეს აღთქუმაჲ შენი ძეთა ისრაჲლისათა, საკურთხეველნი შენნი დაამკუნეს, წინაჲსწარმეტყუელნი შენნი მოწყვდნეს მახვლითა და ეძიებენ სულსაჲცა ჩემსა მიღებად.

15. და ჰრქუა მას უფალმან: წარვედ და მიიქეც გზასა შენსა და მიხვდე გზასა მას უდაბნოჲსაჲსა დამასკით კერძო და სცხო აზაელს მეფედ ასურასტანსა ზედა;

16. და იუს, ძესა ნამესისსა, სცხო მეფედ ისრაჲლსა ზედა; და ელისეს, ძესა საპატისსა, სცხო წინაჲსწარმეტყუელად შენ წილ.

65. დღმ. 66. ღამშ. მეფშ] მეშ.

10, 11. შენ(2)+წინაშე. 13. დაიფარა] დაიპარა. 16. იუს] ისუს. ნამესისსა] ნაშსსა.

17. და იყოს, რომელი განერეს მახვლსა აზაელისსა, [v] მოკლას იგი იუ, და რომელი განერეს მახვლსა იუდსსა, მოკლას იგი ელისე.

18. და დაუტეო შენ ისრაჲლისაგანნი შვიდ ათასი მამაკაცი ყოველთა, რომელთა არა შეუდრეკიან მუკლნი მათნი ბაალისა, და ყოველი პირი, რომელთა არა თაყუანის-უცემიეს მას.

17. იუ] იუდა, იუდსსა] იუდასსა, ელისე.

IV მ ე ზ ე თ ა

თ ა ზ ი 2

1. [206] და იყო, აყვანებჯა მას ელიაჲსსა უფლისა მიერ ძლით ვითარცა ზეცად, და წარვიდეს ელია და ელისე გაღგალით.

2. ჰრქუა ელია ელისეს: დადგე შენ აქა, რამეთუ უფალსა მიუვლინებზე ვიდრე ბეთელდმდე. და ჰრქუა ელისე: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, არა დაგიტეო შენ. და მოვიდეს იგინი ბეთელდ.

3. და მოვიდეს ძენი წინაჲსწარმეტყუელთანი, რომელნი იყვნეს ბეთელს, შემთხუევად მისა და ჰრქუეს: უწყი-მეა, რამეთუ დღეს მიიყვანებს უფალი უფალსა შენსა თავისაგან შენისა? და ჰრქუა ელისე: მეცა უწყი, თქუენ დუმენით.

4. და ჰრქუა ელია ელისეს: დადგე შენ აქა, რამეთუ უფალსა მიუვლინებზე ვიდრე იერიქოდმდე. და ჰრქუა ელისე: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, არა დაგიტეო შენ. და მოვიდეს იერიქოდ.

5. და მოუტდეს ძენი იგი წინაჲსწარმეტყუელთანი, რომელნი იყვნეს იერიქოს, და ჰრქუეს ელისეს: უკუეთუ უწყი, რამეთუ დღეს უფალი [V] აღამაღლებს უფალსა შენსა თავისაგან შენისა? ჰრქუა ელისე: მეცა უწყი, თქუენ დუმენით.

6. და ჰრქუა ელია ელისეს: დადგე შენ აქა, რამეთუ უფალსა მიუვლინებზე ვიდრე იორდანედმდე. და ჰრქუა ელისე: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, არა დაგიტეო შენ. და წარვიდეს იგინი.

7. და ერგასისნი კაცნი, ძენი წინაჲსწარმეტყუელთანი, მოვიდეს და დადგეს შორის მათსა შორსრე, ხოლო იგინი დგეს იორდანეს ზედა.

8. და მოიღო ელია ხალენი თვისი, შეკეცა და სცა წყალთა მათ, და განიყო წყალი იგი იმიერ და ამიერ, და განვიდეს ორივე კმელად.

9. და იყო, ვითარცა განვიდეს იგინი, ჰრქუა ელია ელისეს: ითხო-

2, 1 ელისს. 2. ელისსს, ბეთელმადმდე, ელისს, ბეთელმდ. 3. ბეთელმ. ელისს. 4 ელისსს, მიუვლინებია. 5. ელისსს, ელისს. 6. ელისსს. ელ. 9. ელისსს.

ვე, რაე გიყო შენ ვიდრე ამალღებჟა ჩემსა შენგან. და ჰრქუა ელი-
სე: იყავნ სული ეგე, რომელ არს შენ ზედა, მრჩობლი ჩემ ზედა.

10. და ჰრქუა ელია: განაფიცხე თხოვად ეგე; გარნა თუ მიხილო
მე ამალღებული შენგან, გეყავნ ეგრე, უჩუეთუ [არა], ვერ იყოს.

11. და იყო, სღვასა ოდენ მათსა და სიტყუჟსა, აჰა ესერა ეტლნი
ცეცხლისანი და ცხენნი ცეცხლისანი, და განაშორეს ურთიერთსა. და
აღიტაცა ელია ძრვით ვითარცა ზეცად.

12. სოლო ელისე დაღადებდა: მამაო, მამაო, ეტლო ჩრაჰლისაო
და მკედარო მისო! მერმე არღარა იხილა იგი. და უპყრა ელისე სა-
მოსელი იგი მისი და განაპო იგი ორგან!

14. და მოიღო ელისე ხალენი იგრ ელიაჟსი, რომელი დაეცა მის
ზედა, და სცა წყალთა მათ, და არა განიპო წყალი იგი. და თქუა ელი-
სე: სადა არს ღმერთი იგი ელიაჟსი აფფო? და სცა წყალთა მათ ეს-
რჟთ მეორედ; და განიყენეს წყალნი იგი იმიერ და ამიერ და გან-
ვიდა იგი კმელად.

15. და იხილეს იგი ძეთა...

თ ა ვ ი 5

9. [365] და მოვიდა ნემან ეტლებითა და ჰუნებითა და დაღდა
კართა სახლისა მის ელისჟსთა.

10. და გამოავლინა მისა ელისე და ჰრქუა: მივეღ და იბანე იორღა-
ნესა შვღ-გზის და მოიქცეს სხეული შენი შენადვე და განსწმდე.

11. და განრისხნა ნემან და წარვიდა და თქუა: მე ვჰგონებღ, ვი-
თარმედ გამოვიდეს ჩემღა და ხაღოდის სახელსა უფლისა ღმრთისა
თვისისასა და დამღვას კელი მისი კეთროვნებასა ამას, და განვეწმიდნე
მე კეთროვნებისა ამისგან.

12. არა უმჯობჟს არიანა აბანა და ფარფარა, მღინხარენი იგი ღა-
მასკოჟსანი, ვიდრე იორღანე და ყოველთა წყალთა ისრაჰლისათა?
[v] რად არა მივიდე და დავიბანო მათ შინა და განვეწმდე? და მიიქცა
და წარვიდა გულის-წყრომით.

13. და წარმოუღგეს მონანი მისნი და ეტყოდეს მას: მამაო, დიდი
თუმცა გრქუა შენ წინაჟსწრმეტყუელმან, არა-მემცა წესა იყოა ყო-
ფად? აცადე, თუ გრქუა შენ: იბანე და განსწმდე.

14. და შთაჟღა ნემან და განიბანა იორღანესა შვღ-გზის მსგავსად

9. ელისჟ. 12. ელისჟ. 14. ელისჟ.

5, 12. აბანა] აბრანა, ფარფარა] ფარფათა.

1 მე-13 მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

სიტყვა მისებრ ელისესისა. და მოიქცეს ჯორცნი მისნი და იქმნნეს ვითარცა ყრმისა ჩიკლისანი, და განწმიდნა კეთროვნებისა მისგან.

15. და მოიქცა ნებან ელიაშასა, იგი თავადი და ყოველივე ბანაკი მისი, და მოვიდა და დადგა წინაშე მისსა და თქუა: აწ უწყი, რამეთუ არა არს ღმერთი ყოველსა ქუეყანასა; გარნა ისრაჲლსა შორის.

თ ა ვ ი 13

14. [253v] და ელისე დასნეულდა სნეულებითა მით, რომლითა მო-ცა-კულა. და მოვიდა მისა იოას, მეფე [ისრაჲლისაჲ], და ტროდა იგი წინაშე მისა და ჰრქუა მას: მამაო, მამაო, ეტლო ისრაჲლისაო და მკედარო მისო.

15. და ჰრქუა მას ელისე: მოიღე მშვლდი და ისარი. და მოიღო მის წინაშე მშვლდი და ისარი.

16. და ჰრქუა მეფესა ისრაჲლისასა: მიყავ კელი შენი მშვლდსა მაგას! და მოსდვა კელი მისი მშვლდსა მას; და დაასხნა კელნი თვისნი ელისე კელთა მათ ზედა მეფისათა,

17. და ჰრქუა მას: განახუნ სარკუმელნი აღმოსავალით! და მან განახუნა. [და ჰრქუა ელისე; სტყორცე! და სტყორცა]. და თქუა ელისე; ისარი მაცხოვარებისა უფლისაჲ და ისარი ძრიელებისა ასურეთსა! და ნოისრას ასურეთი აფეკს აღსასრულადმდე.

18. და ჰრქუა ელისე მეფესა ისრაჲლისასა: მოიღე მშვლდი შენი! და მოიღო; და ჰქუა მას ელისე: სტყორცე ქუეყანასა! და სტყორცა ქუეყანასა მეფემან სამ-გზის, და დასცა მეფემან.

19. და შეწუნა კაცი იგი ღმრთისაჲ და ჰრქუა მას: უკუეთუმცა [254] გეტყორცა ჩუთ-გზის, გინა თუ ექუს-გზის, მაშინმცა სრულიად მოსარ ასურეთი.

20. და მოკულდა ელისე და დაჰფლეს იგი. და ახოანი მოაბისანი მოვიდეს ქუეყანასა მას მერვესა მას წელსა.

21. და იყო, ვითარ დაჰფლვიდეს იგინი კაცსა მას, და იხილნეს მტეობარნი იგი, დაადგეს მკუდარი იგი საფლავსა მას ზედა ელისესსა; და შთაგორდა და შეეხზო ძუალთა ელისესსთა და ცხონდა; და აღდგა ფერკთა თვსთა ზედა.

13, 14. ელისე. 15. ელისე. 16. ელისე. 17. ელისე. იფეკს აღსასრულადმდე] ასაფესამდე. 18. ელისე (1). 20. ელისე. 21. მტეობარნი] მხეობარნი.

III ეზრა წინამდებარე ტყუელისად

თ ა ვ ი 5

22. [381] და შთაიხუა გულმან ჩემმან შჯული მეცნიერებისად; ვიწყე სიტყუად წინაშე ანგელოზისა მიერ მეცა,

23. და ვთქუე: უფალო, ყოველთაგან მალნართა ქუეყანისათა და სეთაგან გამოირჩიე შენდად ვენაჯი;

24. და ყოველთაგან ადგილთა სოფლისათა გამოირჩიე შენდად იატყი ერთი;

25. და ყოველთაგან უფსკრულთა ქუეყანისათა და ზღუათაგან აღიდე შენდად ერთი [V] და ყოველთაგან ქალაქთა შცნებულთა ჩინებულ ჰყავ შენდად და წმიდა ჰყავ სიონი.

26. და ყოველთაგან დაბადებულთა მფრინველთა სახელ-სდებ შენდად ტრედსა ერთსა; და ყოველთაგან დაბადებულთა შენთა სათნო იყავ ცხოვარი ერთი.

27. და ყოველთაგან შექმნულთა შენთა ერ საზეპურო ჰყავ ერი შენი ისრაჲლი; და ყოველთაგან გამოცდილთა ნათესავთა შჯული მოჰმადლე ერსა, რომელიცა შეიყუარე.

28. და აწ, უფალო, რად მიგიცემიეს ერთი იგი წინაშე მრავალთა? რამეთუ აგინე ერთი იგი ძირი უფროეს ყოველთა ძირთა და დააბნიე ერთი იგი შენი მხოლოდ-შობილი ყოველთა თანა.

29. და დასთრგუნე მცვალებელნი შჯულისა შცნისანი...

30. უკუეთუ სიძულელით მოძულე ერი შენი, კელთა შინა შენთა ჯერ-არს სწავლაჲ.

თ ა ვ ი 8

6. [344] ეჰა უფალო ყოველისა-მპყრობელო,.... მომეც ჩუენ ნაყოფის გამომღებელი გული და მუშაკებაჲ გონებისაჲ, რომლისგან იპოოს ნაყოფი, რაჲთა შეუძლოთ ცხორებად ყოველმან განხრწნადმან, და პოონ წყალობაჲ.

7. რამეთუ ერთმებად და ერთად კელთა შენთა შექმნულნი ვართ, ვითარცა შენ უწყი.

8. რამეთუ განაცხოველი, რაჲმს შექმნი საშობა შინა გუმი და მოსცნი აქონი და დაიცვი სიცხისაგან და წყლისა შენი იგი შექმნუ-

ლი, უფალო, და ცხრა თთუე იტვრთის იგი შენმანვე შექმნულმან და დაბადებულმან, რომელი-იგი შექმენ მის თანა.

9. და მითურთით სიტყუამან შენმან დაიცვის და მერმე მოსცის საშომან ნამარხევი იგი.

10. და უბრძანი ერთსა ასოესა მიწგანსა ძუძუსა განპოხებად სძითა,

11. მერმე სძითა განპოხებული იგი შენი შექმული არნ ვიდრე ბრავლად ჟამამდე შენითა განგებითა განსრულებული იგი ასოე და გეწყალინ.

12. რამეთუ განპზარდი იგი შენითა მოღუაწებითა და განსწავლი იგი შენითა შჯულითა და გულისხმა-უყვი მას შენითა მეცნიერებითა,

13. და მოაკუდინი იგი ვითარცა შენი დაბადებული და აცხოვნი იგი ვითარცა შენივე შექმნული.

14. აწ უკუე წარ-მე-სწყმიდოა კაცი ესოდენით შრომითა შექმნული იგი შენი და ბრძანებული, და ძნიად შრომითა განწესებული იგი შენი, უკუეთუ შე-ვე რაესა-ჰქმენ კაცი იგი?

15. ხოლო აწ ვთქუა ყოველისავეთვს უფროესდა, რომელ შენ მიბრძანე, და ერისა შენისაჲ, რომლისა მელმის.

16. და სამკვდრებელისა შენისათვს მე ვკუევი და ნათესავისა იაკობისთვს მე შეძრწუნებულ ვარ.

17. ამისთვს ვიწყო ლოცვად შენ წინაშე ჩემთვს და მათთვს, რამეთუ ვხედავ მე ყოველთა მკვდრთა ქუეყანისათა ბრკუმასა.

18. არამედ მესმა მე სჯულსაგანცა და დაბადებისა, რომელ ყოფად არს.

19. ამისთვს ისმინე ლოცვისა ჩემისაჲ და ყური მოყავ სიტყუათა პირისა ჩემისათა.

20. უფალო, რომელი დამკვდრებულ ხარ საუკუნითგან უკუნისამდე, რომელი სიმადლესა ზედა მაღალთასა იქცევი, რომლისაჲ საყოფელი ზესკნელს აერთა შინა,

21. რომლისაჲ საყდარი — უძლეველ, და დიდებაჲ — მიუწდომელ, რომლისა წინაშე დგანან ერნი ანგელოზთანი შიშით და ძწოლით, რომლისა-იგი სიტყუანი სულად და ცეცხლად გარდაიქცევიან, რომლისაჲ სიტყუაჲ — დამყარებული, და თქუმული ჰგიეს უკუნისამდე,

22. რომლისაჲ განგებაჲ — მტკიცე, და ბრძანებაჲ — საშინელ, რომლისა ნოხედვანან განჯმის უფსკრულნი, და მრისხანებამ დაადნენს მთანი, და ქეშმარტებაჲ წამებულ არს.

23. ისმინე, უფალო, ვმა მონისა შენისაჲ, და ყური მოყავ ლოცვასა, ქმნულთა შენთასა, და მოხედე ვედრებასა ჩემსა.

24. რამეთუ ვიდრე ვარ-ლა ცხორებასა ჩემსა, ვიტყოდი, და ვიდრე ვარ-ლა გონებასა ამას, გლოცვიდე. ნუ მოჰხედავ, უფალო, ცოდვათა ერისა შენისათა, არამედ მოხედე მსახურებასა მონათა შენთასა.

25. ნუ მოიხილავ [345] საქმეთა ზედა უსჯულომასათა, არამედ მოიხილე მათ ზედა, რომელნი წადიერებით შენთა აღთქუმათა იმარხვნენ.

26. ნუცა მოიკსენებ ამათსა, რომელნი უკეთურებით იქცევიან წინაშე შენსა, არამედ მოიკსენე მათი, რომელნი წადიერებით შიშსა შენსა ერწმუნებიან.

27. ნუცა ჯერ-გიჰნ, უფალო, წარწყმედად მათი, რომელთა სახენი პირუტყუთა მიწსგავსებულ არიან, არამედ მოიხილე მათ ზედა, რომელნი ბრწყინვალეებითა შჯულისა შენისაჲთა სწავლულ არიან.

28. ნუცა განპრისხნები მათ ზედა, რომელნი სიბოროტითა მკვეცთა უძკრჯს არიან,

29. არამედ მოიკსენე სიყუარული მათი, რომელნი მარადის დიდებასა შენსა ესვენ.

30. სოლო ჩუენცა და ჩუენსა პირველნიცა ზრწნილებისა სახესა დავადგერთ.

31. სოლო შენ, უფალო, ჩუენ ცოდვილთათჳს მოწყალე წოდებულ ხარ.

32. აწ უკუეთუ რომელთა-ესე საქმე არა გუაქუს, და გინდეს შეწყნარებაჲ ჩუენი სრულიად, მაშინ მოწყალე იყავნ სახელი შენი.

33. რამეთუ მართალნი, რომელთანი საქმენი წინაშე შენსა არიან, თჳსთა საქმეთაგან მოილონ მოსაგებელიცა.

34. ანუ რაჲ არს კაცი, რომლისა ზედამცა არა განპრისხენ, ანუ რაჲ-მე არს ნათესავეი კაცთაჲ, რომლისთჳსმცა არა განჰმწარდი ამისთჳს?

35. უფალო, ქეშმარიტად არავინ არს ნაშობთაგანი კაცთაჲ, რომელმანმცა არა შეგცოდა შენ.

36. არამედ შენ ქველის-მოქმედ წოდებულ ხარ ჩუენ ზედა; ამით განცხადებულ იყოს სულგრძელებაჲ შენი, უფალო, თდეს შეიწყალნე, რომელთა არა აქუნდეს ძალი საქმეთა კეთილთაჲ.

ი ო ბ ი

თ ა შ ი I

1. [37v] კაცი ვინმე იყო სოფელსა მას შინა ავსტიქასა, ზომელსა სახელი ერქუა იობ. და იყო კაცი იგი ჭეშმარიტ, უბიწო, მართალ; ღმრთის მსახურ, განყენებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა.

2. და იყვნეს ძენი მისნი შვიდ და ასულნი მისნი სამ.

3. და საცხოვარი მისი შვიდ ათას, აქლემი სამ ათას, უღლეული კარი ხუთას, ვირი ვადალი მძოვარი ხუთას და მსახურთა სომრაველს ფრიად, და საქმენი მისნი დიდ იყვნეს ქუეყანასა ზედა. და იყო კაცი იგი აზნაურ მზის აღმოქაველისა მთვანი.

4. და შეკრბიან ძენი მისნი ერთად და ყვიან ტაძრობად დღითი დღე და მიიყვანნიან სამნიცა იგი დანი მათნი მათ თანა ქამად და სუმად.

5. და ვითარცა აღესრულნიან დღენი იგი სუმისა მათისანი, მიავლინის იობ და განწმიდნის იგინი, აღდგის განთიად და შეწირის მსხუერპლი რიცხვსაებრ მათისა [38] და ზუარაკი ერთი ცოდვისათვის სულთა მათთაჲსა, რამეთუ თქუს იობ: ნუსადა ძეთა ჩემთა გონებასა მათსა ბოროტი მოკდეს. ესრეთ ყვის იობ ყოველთა დღეთა მისთა.

6. და ვითარცა იყო დღე ესევეთარი, და მოვიდეს ანგელოზნი ღმრთისანი წარდგომად წინაშე ღმრთისა, და ეშმაკიცა მოვიდა და დადგა მათ თანა.

7. ჰრქუა უფალმან ეშმაკსა მას: ვინაჲ მოხუალ შენ? მიუგო ეშმაკმან და ჰრქუა უფალსა: მომივლიეს ყოველი ქუეყანად და განმიხილავს ცასა ქუეშე და აწ აქა ვარ.

8. და ჰრქუა უფალმან: მიხედეა გონებითა შენითა მონასა ჩემსა იობს? რამეთუ არავინ არს მისებრ ქუეყანასა ზედა კაცი უბრალოჲ, ჭეშმარიტ, ღმრთის მსახურ, განშორებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა.

9. მიუგო ეშმაკმან წინაშე უფლისა და თქუა: ნუტყუე მედად მსახურებს იობ უფალსა?!

10. ანუ არა შენ მოზღუდე გარემოჲს მცსსა და შინაგანი სახლისა

მისისა და გარეშე, რა არს მისი, ყოველი მოიციე? საქმენი კელთა მისთანი აკურთხენ და საცხოვარი მისი მრავალ ჰყავ?

11. არამედ მიავლინე კელი შენი და შეახე ყოველსა, რაოდენი-რაჲ აქუს, პირითაღა გაკურთხოს შენ?

12. მაშინ ჰრქუა უფალმან ეშმაკსა მას: აჰა ესერა ყოველი, რაჲცა არს მისი, მივსცე კელთა შენთა, არამედ მას ნუ შეეხები. და გამოვი-და ეშმაკი იგი პირისაგან უფლისა.

13. და იყო ესევეითარი დღე, და ძენი იობისნი და ასულნი მისნი სუმოდეს სახლსა შინა ძმისა მათისა უხუცესისასა.

14. და აჰა ესერა ღალადისი ერთი მოიწია იობისა და ჰრქუა მას: უღლეული ჯართაჲ კნვიდა და რემაკი ჯდალთა ვირთაჲ ძოვდა წახლო-ბელად მათსა.

15. და მოვიდეს მტყუენველნი და წარტყუენნეს და მონანი იგი მოსრნეს; განვერი მე მარტოჲ და მოვედ თხრობად შენდა.

16. და ვიდრე იგი ამას ეტყოდა ოდენ, მოვიდა სხუაჲ ღალადისი და ჰრქუა იობს: ცეცხლი გარდამოჲდა ზეცით და დაწუა ცხოვარი იგი და [v] მწყემსნი იგი შეჰამნა ეგრევე; განვერი მე მარტოჲ და მოვედ თხრობად შენდა.

17. და ვიდრე იგი ამას ეტყოდა ოდენ, მოვიდა სხუაჲ ღალადისი და ჰრქუა იობს: მკედრები განიყო სამად გუნდად და გარე-მოადგეს აქლემებსა მას, და წარტყუენეს იგი და მონანი იგი მოწყვლნეს მახვლითა; განვერი მე მარტოჲ და მოვედ თხრობად შენდა.

18. და ვიდრე იგი ამას ეტყოდა ოდენ, მოვიდა სხუაჲ მოციქუ-ლი და ჰრქუა იობს: ძენი შენნი და ასულნი შენნი ჰამდეს და სუმო-დეს ძმისა მათისა უხუცესისა;

19. და მეყსეულად ქარი დიდი მოჲდა უდაბნოთ და ეკუთა ოთხთა კიდეთა სახლისათა, და ყრმათა შენთა დაეცა სახლი იგი, და მოწყდეს; განვერი მე მარტოჲ და მოვედ თხრობად შენდა.

20. და ესრჱთ აღდგა იობ და დაიპო სამოსელი თვისი, და აღიპარ-სა თმაჲ თავისა თვისისაჲ და დაეარდა ქუეყანასა ზედა და აღდგა, დამხედ თაყუანის-სცა უფალსა პირსა ზედა თვისსა,

21. და თქუა: მო-ვე შიშუელი-სრულ ვიყავ მუცლისაგან დედისა ჩემისა, შიშუელივე მივიქცე მუნვე ქუეყანად. უფალმანცა მომცა და უფალმანცა მიმიღო. ვითარცა უნდა, ეგრეცა ჰმნა; და იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე.

22. ამას ყოველსა ზედა, რომელი შეემთხვა მას. არაჲ შესცოდა იობ წინაჲმე უფლისა, არცა რაჲ თქუა უგუნურებაჲ ღმრთისა მიმართ.

თ ა ვ ი 2

1. [41v] და ვითარცა იყო დღმ ესევეთარი, მოვიდეს ანგელოზნი უფლისანი წარდგომად წინაშე უფლისა, და ეშმაკიცა მათ თანა.

2. და ჰრქუა უფალმან ეშმაკს მას: ვინაჲ მოხუალ შენ? მაშინ ჰრქუა ეშმაკმან წინაშე უფლისა: განმივლიეს ცასა ქუეშე და მომიხილავს ყოვლითურთ; აწ შენ წინაშე ვარ.

3. და ჰრქუა უფალმან: იხილე აწ სამე მსახური ჩემი იობ? რამეთუ არავინ არს მისებრ ქუეყანასა ზედა კაცი უბიწო, ჰეშმარიტ, ღმრთის მსახურ, განშორებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა; და მერმე კუალად აქუს-ვე-და უმანყოებაჲ, ხოლო შენ სთქუ მონაგები მისი ცუდად წარწყმედად.

4. მიუგო ეშმაკმან მან და თქუა წინაშე უფლისა: ტყავი ტყავისა წილ და რაოდენი-რაჲ არს კაცისა, სულსა თვისსათჳს მიუზღის.

5. არა ეგრე, არამედ მიავლინე კელი შენი და შეახე ძუალთა მისთა, უკუეთუ განმარტებულად თაყუანის-გცეს, გინა თუ გაკურთხედეს შენ.

6. და ჰრქუა მას უფალმან: აჰა ეგერა მიგცემ შენ მას, გარნა სულსა მისსა ერიდე.

7. და გამოვიდა ეშმაკი იგი უფლისაგან და დასცა წყლულებაჲ ბოროტი ფერკითგან ვიდრე თავადმდე და შექურა იგი ფაქლითა.

8. და მოიღო იობ კეცი, რაჲთა წუთხსა იხუეტდეს, და დაჯდა იგი სკორეთა ზედა გარეშე ქალაქსა.

9. და ვითარცა უამი მრავალი წარკდა, ჰრქუა მას ცოლმან მისმან: ვიდრემდის დაგიტმენიეს და არას იტყვ? აჰა ესერა მოველი [42] უამსა მცარედლა და მოიწიოს სასოებაჲ, მაცხოარებაჲ მისი. აჰა ესერა წარწყმდა საკსენებელი შენი ქუეყანიო. ძენი და ასულნი იგი მუცლისა ჩემისანი, ტევილნი ჩემნი და სალმობანი, რომელთათჳს ცუდად დაეშუერ რუდუნებითა; შენ ეგერა თავადი მყრალობასა მატლთასა ჰზი და დამეთა ათევ აერთა ქუეშე; და მე შეცთომილი და მსახური ადგილითი ადგილად და სახლითი სახლად მოველოდი მზესა, ოდეს-მე დაჰკდეს, რაჲთა განვისუენო შრომათაგან ჩემთა და სალმობათა, რომელთა მოუცავ მე. აწ თქუ ნურაჲ [სიტყუაჲ] უფლისა მიმართ და მოჰკუდე.

10. ხოლო იობ მიხედა მას და ჰრქუა: ვითარცა ერთი უგუნურთაგანი დედათაჲ იტყვ; უკუეთუ კეთილი იგი მოვიდეთ კელსაგან

უფლისა, ბოროტი ვერ მოვითმინოთა? ამას ყოველსა ზედა, რომელი შეემთხვა მას, არარად ცოდა [იობ]) ბავითა თქსითა წინაშე უფლისა.

11. და ვითარცა ესმა სამთა მათ შეგობართა ყოველი იგი ბოროტი, რომელი მოიწია მის ზედა, მოვიდეს კაცად-კაცადი სოფლებიდან თქსისა ხილვად მისა, რად-იგი შეემთხვა მას: ელიფას, თემანელთა მეფე, ბალდად, სავექელთა მთავარი, სოფარ, მინელთა მეფე: და მოვიდეს მისა ერთბამად ნუგეშინის-ცემად მისა და ზილვად.

12. და ვითარცა იხილეს იგი შორით, ვერ იცნეს, დაღად-ყვეს კმითა დადითა და ტირილდეს; და დაიპეს კაცად-კაცადმან სამოსელი თქსი და მიწად გარდაიხსენ თავთა მათთა.

13. და დახედეს მის თანა შვიდ დღე და არავინ მათგანი იტყოდა რას. რამეთუ ხელვიდეს წყლულებასა მისსა დიდსა და ბოროტსა.

თ ა ვ ი 3

1. და ამისა შემდგომად აღაღო იობ პირი თქსი და სწყევდა დღეთა თქსთა.

2. და თქუა:

3. წარწყმდინ დღე იგი, რომელსა მე ვიშევე. და ღამე იგი, რომელსა თქუეს: წული არსო.

4. ღამე იგი იყავნ ბნელ; და ნუ გამოიძიოს იგი უფალმან ზეგარდამო, ნუცა მოვალნ მის ზედა ნათელი;

5. დაიპყარნ იგი ბნელმან და აჩრდილმან სიკუდილი-სამან;

6. ნუ იყოფინ იგი დღედ წელიწადიანად, ნუცა შეერაცხებინ დღეთა თთუეთასა;

7. არამედ ღამე იგი იყავნ საღმობით და ნუ მოვალნ მის ზედა სიხარული.

8. არამედ წყევენ იგი, რომელმან წყეოს დღე იგი, რომელი-იგი კელთ-დებად ვალს ვეშაპა მას დიდსა.

9. დაბნელდედ ვარსკულავნი მის ღამისანი და ნუ დაადგრებინ, ნუცა განათლებად მოვალნ და ნუცა იხილავნ მზესა აღმომავალსა.

10. რამეთუ არა დაჰყვნა ბჰენი საშოფასა დედისა ჩემისანი და განმავორა საღმობად თუალთაგან ჩემთა.

11. რამესათვის მუცელსა შინა არა მოვკუედ. საშოფო რად გამოვედ; და არა მეყსეულად წარვწყმდი?

11. შეგობართა] + მათ. 13. დღე.

მ, 9. დაბნელდინ,

12. ანუ რადსათვის შემემთხვნეს მე მუკლნი? ანუ რადსათვის ძუძუ-
თა განმზარდეს?
13. აწმცა დაწოლილ ვარ და დაყუდებულ, და-მცა-ვიძინე და გან-
ვისუენე.
14. მეფეთა თანა, მზრახვალთა ქუეყანისათა, რომელნი იზახებდეს
მახვლითა მათითა.
15. ანუ მთავართა თანა, რომელთაჲ ფრიად იყო ოქროჲ, რომე-
ლთა აღავსნეს სახლნი მათნი ვეცხლითა.
16. ანუ ვითარცა მორყუნილი რაჲ გამოკდის საშოჲთ, ანუ ვი-
თარცა ჩჩვლთა, რომელთა არა იხილეს ნათელი.
17. მუნ უღმრთოთა ალაგზნეს გულის-წყრომაჲ რისხვისაჲ, მუნ გა-
ნისუენეს მამურალთა კორცითა.
18. ერთბამად საუკუნეთა მათ არა ესმეს მათ კჳსაჲ ხარკის მკრე-
ბელთაჲ.
19. მცირჲ და ღადი მუნ ერთ არს და მსახური უშიჲ უფლისა
თვისსა.
20. რადსათვის-მე მოეცა განმწარებულთა ნათელი და ცხორებაჲ,
რომელნი საღმობჳა შინა არიან სულნი?
21. რომელთა სწამდის სიკუდილი და ვერ მიემთხვნიაჲ და ეძიე-
ბენ მას ვითარცა საფაჳესა.
22. [43] და მხიარულ იქმნიან, რაჳემს მიემთხვნიან.
23. რამეთუ სიკუდილი კაცისა გახსუენება არს და შეაყენა ოღმე-
რთმან მათ ზედა.
24. უწინარჲს საზრდელისავე მისა სულთქუმანი მოწევენად ვცრე-
მლოვი შეყენებული შიშითა.
25. რამეთუ შიში, რომლისათვის ვზრუნედი, მოიწია ჩემ ზედა,
და რომელსა ვეპუდი, შემემთხვა მე.
26. ვერცა მშვდობით ვიყავ, ვერცა ყუღროებით, ვერცა განვი-
სუენებდ, და მოიწია ჩემ ზედა რისხვაჲ.

I

თ ა ვ ი 4

2. [49] ნუუკუე მრავალ-გზის თქუმულ არიან შენდამი შრომანი:
ძალსა მაგას სიტყუათა შენთასა ვინ-მე დაუთმოს?
3. და ღათუ შენ განსწავლენ მრავალნი და კელთა უძრულთასა
ნუგეშინის-გეცა,

4. და სნეულნი აღგედგინნეს და მუკლთა უღმრთოთასა კადნიერება გეცა,

5. აწმცა მოწვევულ არს შენ ზედა საღმრთობა და შეგებოს შენ, ხოლო შენ იწრაფე.

6. ანუ არა აწ შიში ეგე შენი არს უგუნურებით და სასოებად შენი და უკეთურებად გზათა შენთად?

7. აწ მოიკსენე, ვინ-მე წმიდა იყო და წა[V]რწყმდა, ანუ ოდეს სადა ქეშმარიტნი ძირითურთ აღიფხურნეს?

8. ვითარცა სახედ ვიხილენ, რომელნი უჯეროსა ცნვიდეს, ხოლო რომელნი ათესვენ, მათ საღმრთობად მოიძკონ.

9. ბრძანებითა უფლისადათა წარწყმდენ და სულისათა რისხვისა მისისადათა განირყუნენ.

10. ძალი ლომისადა და კნად ლომისა ძუვიასა, სახებად ვეშაპათა დაშრტა.

11. ჭინჭველ-ლომი მოისპო, რამეთუ არა იყო მათა საქმელ: ლეკუთა ლომისათა დაუტევეს ერთმანერთი.

12. უკუეთუმცა რადმე სიტყუად ქეშმარიტი ყოფილ იყო თქმულთა შინა მათთა, არადმცა რად ბორბოტი შემთხვეულ იყო შენდა. აწ ანუ არა უფალი არს, რომელმან ასწავის გულისხმის-ყოფად და მეცნიერებად?

13. შიშითა და ოხრითა ღამისადათა დაეცეს შიში კაცთა ზედა.

14. ზარი შემემთხვა მე, და შიში დიდი და ძუალნი ჩემნი შეძრწუნდეს.

15. და სული პირად ჩემდა მოიწია. შეძრწუნდეს ძუალნი და კორცნი ჩემნი.

16. აღვდეგ და არა ვიცან თავი ჩემი, ვიხილე და არა იყო ხატი წინაშე თუალთა ჩემთა, არამედ ნიავი და კმად ხოლო მესმოდა.

17. აწ რად? უკუე წმიდა სამე იყოს კაცი წინაშე უფლისა, ანუ საქმეთა თვს-თავან უბიწო იყოს კაცი?

18. ანუ მონათა თვსთა არა-მე არწმუნოს და ანგელოზთათვს დრკუე რადმე განიზრახა?

19. ხოლო დამკვდრებულნი იგი სახლსა შინა თიქრასასა, რომელნი-ესე მისვე თიქისაგანნი ვართ, რაოდენ დასცნა იგინი მდილოს სახედ?

20. და განთიადითგან მწუხრადმდე არა არიან, რამეთუ ვერ ეძლო მათ თავთა თვსთა შეწევნად და წარწყმდეს.

21. მოჰბერა მათ ზედა და განკმეს, რამეთუ არა აქუნდა მათ სიბრძნე.

თ ა ვ ი 5

1. ჰხადოდი-ლა ზენ. უკუეთუ ვინმე გერჩდეს, გინა თუ ანგელო-
ზთაგანი წმიდათაჲ იხილო.

2. რამეთუ უგუნური იგი რისხვამან მოკლის, ხოლო შეცთომილი
იგი მოაკუდინის შურმან.

3. [50] მე ვიხილენ უგუნურნი, რომელთა ძირნი დაებნეს, არა-
მედ მეყსეულად შეიჭამა როჭიკი მათი.

4. განიშორნეს ძენი მათნი ცხორებისაგან და დაიქენჯნებოდეს
იგინი კართა ზედა უნაკლულევანმსთასა, და არაეინ იყო განმარ-
ნებელ მათა.

5. რამეთუ რაჲ-იგი მათ შეკრიბეს, მართალთა შეჭამეს, და იგინი
ბოროტისაგან ვერ განერნეს; გამოიწოვენ ძალი მათი.

6. რამეთუ არა ქუეყანით გამოკდეს ბნელი, არცა მთათაგან აღმო-
!ცენდეს საღმობაჲ,

7. არამედ კაცი იშვების საღმობაჲ: მართუენი ყანითანი მალალთა
ფრინვენ.

8. არა ეგრე, არამედ მე უფალსა ვევედრებოდი და ღმერთსა ყო-
ვლისა-მპყრობელსა ვხადოდი,

9. რამეთუ ქმნნა ღიდ-ღიდნი და გამოუთქუმელნი, ღიდებულნი
და საკვრელნი, რომელთაჲ არა არს რიცხვ.

10. რამეთუ მოსცეს წვმაჲ ქუეყანასა და მოავლინის წყალი ცაჲ
ქუეშე.

11. რომელმან ქმნის მდაბალნი მალალ და წარწყმედულნი აღ-
ქმართნის,

12. დააგნის ზრახვანი წარმათთანი და არა ქმნეს კელთა მათთა
ქეშმარიტებაჲ.

13. რომელი წარეწიის ბრძენთა გონებითა და ზრახვაჲ იგი მრ-
აღმობხველთაჲ განაქარვის.

14. დღისი შემთხვოს მათ ბნელი და შუასამზრის იჩქუეფებოდიან
ვითარცა შუალამე;

15. წარწყმდენ იგინი ბრძოლასა შინა, უძრული იგი განერინ კე-
ლისაგან ძრეელისა.

16. იყვენ უძრულისაჲ მის სასოჲ, და ცრუმსაჲ მის პირი დაიყვენ.

17. ხოლო ნეტარ არს კაცი, რომელსა ამხილა ღმერთმან; სწავლა-
სა ყოვლისა-მპყრობელისასა ნუ განეშორები,

18. რამეთუ მან ალმის და კულად-მოაგის; დასცა და კელთა მისთა განკურნეს იგი.

19. ექუს-გზის ბოროტისაგან გიქსნეს შენ, და მეშუდესა მას არა შეგეხოს შენ ბოროტი.

20. სიყმილსა შინა გიქსნეს შენ სიყუდილისაგან, [v] ბრძოლასა შინა კელისაგან მახვლისა განგაჩინოს შენ.

21. ჯემისაგან ენისა დაგიფაროს შენ, და არა გეშინოდეს შენ ბოროტისაგან მომავალსა.

22. ცრუთა და უსჯულოთა ეკიცხევდე და მკეცთაგან ველურთა არა გეშინოდის შენ.

23. რამეთუ მკეცნი ველისანი დაგემორჩილნენ შენ.

24. მაშინ სცნა, რამეთუ მშუდობა არს სახლსა შენსა და წესმან სახლისა შენისამან არა ცოდოს.

25. მაშინ სცნა, რამეთუ მრავალ არს ნათესავი შენი და შვილნი შენნი, ვითარცა ყუავეილი ველისაჲ.

26. და მოხვდე საფლავად ვითარცა იფქლი ჟამისაჲ, ჟამსა თვისსა მომკილი, და ვითარცა ზვნი კალომსაჲ, ჟამად-ჟამად შეკრებული.

27. აჰა ესერა ესრეთ გამოვიკულიეთ და ესე არს, რომელი გუჰსმიეს, იხოლო შენ ცან თავისა შენისაჲ, რაჲ გიქმნიეს.

თ ა ვ ი 6

2. [53] უკუეთუმცა ვინ წონით აღწონნა რისხვანი ჩემნი და სალ-
მობანი ჩემნი აღიხუნა სასწორითა ერთბამად,

3. ქვშისამცა ზღვსა უმძიმეს ოპოვნეს. არამედ ვითარ ვჰგონებ, სიტყუანი ჩემნი ვიდრემე არიან ამაო.

4. რამეთუ ისარნი უფლისანი განწონილ არიან გუჰსა ჩემსა, რომელთა გულს-წყრომაჲ გამოსწოვს სისხლსა ჩემსა. რაჲამს ვიწყვი სიტყუად, დამწერტედ მე.

5. აწ რაჲ? ნუუკუე ცუდად კმობნ კანჯარი ველური? არამედ სა-
ზრდელსა ეძიებნ. გინა თუ აღუტევის კმაჲ ჯარმან ბაგასა ზედა, რო-
შელსა აქუნ საზრდელი?

6. ანუ თუ იჰამოსა პური თვნიერ მარლისა? ანუ არნ გემოჲ სი-
ტყუათა თა[ნა] ც[უდათა]?

7. [v] ვერ კელ-ეწიფებნ დაცხრომად სულსა ჩემსა, რამეთუ
ზერალად ვხედავ საკმელსა ჩემსა ვითარცა სულმყრალობასა ლომი-
სასა.

8. უკუეთუ მომცეს მე უფალმან და მოიწინენ თხოვანი ჩემნი, და
სასოებაჲ მომცეს მე უფალმან.

9. იწყო უფალმან და მწყლა მე, ხოლო სრულიად ნუ მომკლავნ მე.

10. იყავნ ჩემდა ქალაქი ესე საფლავ, რომლისა ზღუდეთა ზედა ვიქცეოდე: არა ვერიდო, რამეთუ არა ვტყუევი სიტყუათა ღმრთისათა წმრდათა.

11. რად არს ძალი ჩემი, რამეთუ დავითმინო? ანუ რაოდენ არს უამი ჩემი, რამეთუ თავს-იღვას სულმან ჩემმან?

12. ანუ თუ ძალი ლოდისაჲ არსა ძალი ჩემი, ანუ კორცნი ჩემნი არიან რვალისანი?

13. ანუ არა-მე მას ვესევიდი? შეწვენამ მისი ჩემგან განმეშორა.

14. განმწუართა მე წყალობაჲ შენი, და მოლუაწებამან უფლისა-მან უგულეებელს-მყო მე.

15. არა მომხედეს მე მახლობელთა ჩემთა, ვითარცა ნალუაწევი მოვაკლდი და ვითარცა ლე [ლე]აჲ წარმკდეს მე.

16. რომელთა-იგი ეშინოდა ჩემგან, აწ ესერა ზედა-ღანესხმიან მე ვითარცა თოვლი; და ვითარცა მყინვარი დაყინებულნი.

17. დადნის უამსა სიციხისასა, და ვერ საცნაურ არნ ადგლი მისი,

18. ეგრეცა მე დავშთი ყოველთა მიერ, წარვწყმდი და სახლისაგან განვევარდი.

19. იხილენით გზანი თემანელთანი და ალაგნი სობონელთანი, რომელნი მოსაზღვრე არიან.

20. და სირცხვლისა თანა-მდებ იყენენ, რომელნი-იგი ქალაქებსა და საფასესა ესვენ.

21. აწ ეგერა თქუენცა ჩემ ზედავე მოსრულ ხართ უწყალოდ. ვითარცა ესე ჩემი იხილეთ წყლულეებაჲ, შე-მცა-გეშინა.

22. აწ რად? ანუ თქუენგან ვითხოვ რას, ანუ თქუენისა ძალისა ნუ რას მოქენე ვარ,

23. ვითარმცა გან-ვითარ რად-მარინეთ კელთაგან მტერთაჲსა, მიჯენით მე?

24. მასწავეთ მე და დავდუმნე; უკუეთუ რას შეცთომილ ვარ, მითხართ მე.

25. [54] არამედ ჰგუანან რადმე სიტყუანი ჰეშმარითნი უნდოსა, რამეთუ არა თქუენგან რასმე ძალსა ვეძიებ.

26. არცა მხილუბამან სიტყუათა თქუენთამან დამადუმოს მე, და არცა თქმული ევე სიტყუათა თქუენთაჲ თავს-ვიდვა.

27. გარნა ესე ვითარცა ობოლსა ზედა-მომივალთ მე და ზედა-მახლდებით მეგობარსა თქუენსა.

28. აწ ესერა მიგხედო პირსა თქუენსა და არა ვტყუო.

29. დასხედით და ნუ იყოფინ სიცრუევჳ და კუალად სამართალსა მიერთენით.

30. რამეთუ არა ერს ენასა ჩემსა სიცრუევჳ, ანუ არა ენაჲ ჩემი გულისხმის-ყოფისა იწურთის?

თ ა ვ ი 7

1. აწ რაჲ-მე განსაცდელ არს ცხოვრებაჲ კაცისაჲ ქუეყანასა ზედა და ვითარცა მოსასყიდლისა მღღევრისა ცხოვრებაჲ მისი?

2. ანუ ვითარცა მსახურსა რაჲ ეშინინ უფლისა თვისისაგან და მწინ აჩრდილისაგან მისისა, ვითარცა სასყიდლით დადგინებულნი, რომელი მოელინ სასყიდელსა თვისსა?

3. ეგრევე მე დავითმინენ თთუენი ცუდნი, და ლამენი საღმობი-სანი მოცემულ არიან ჩემდა.

4. ოდეს დავწვი, ვთქუ: ოდეს-მე განთენეს? და აღ-რაჲ-ვდგი, კუ-ალად: ოდეს-მე დამწუხრდეს? რამეთუ აღვივისი მე საღმობითა მწუ-ხრითგან ვიდრე განთიადმდე.

5. შებღალულ არიან კორცნი ჩემნი საძაგებელითა მატლთაჲთა, და დავადნობ ნაძოსა ქუეყანისასა წუთხისა ზუეტიითა.

6. ხოლო ცხოვრებაჲ ჩემი არს უსულმცირჳს სიტყუსა; წარწყმდა ცუდად სასოებაჲ ჩემი.

7. მოვიგსენე, რამეთუ სული არს ცხოვრებაჲ ჩემი და არლარა ნო-იქცეს თუალი ჩემი ზილვად კეთილისა.

9. ვითარცა ღრუბელი რაჲ გარდასწმდის ცასა; უკეთუ შთაყდეს კაცი ჯოჯონხეთად, არლარა აღმოცდეს.

10. არცალა მოიქცეს სახლსა თვისსა, არცალა იცნას იგი ადგილმან თქსმან.

11. აწ უკუე არცალა მე ვერიდო პირითა ჩემითა, ვიტყოდი ურვი-თა სულისა ჩემოსაჲთა, აღვახუნე ბაგენი ჩემნი სი[v]მწარითა შე-ყენებულმან.

12. ზღუაჲ ნუ ვარი მე, ანუ ვეშაპი, რამეთუ დააწესენ ჩემ ზედა საცონი?

13. აღვიხუნ თავით ჩემით სიტყუანი ჩემნი საწოლსა ჩემსა ზედა.

14. მაშინებ მე საძილითა ჩუენებისაჲთა შემაძრწუნებ მე;

15. განმაშორებ სულსა ჩემსა გუამისაგან ჩემისა და სიკუდილითა ძუალნი ჩემნი შეჰმულსრენ.

16. არა უკუნისამდე ცხოველ ყოფად ვარ, რაჲთა დავითმინო; განმეშორენით ჩემგან, რამეთუ ცუდად არს ცხოვრებაჲ ჩემი.

17. რაჲ არს კაცი, რამეთუ განადიდე იგი? ანუ რამეთუ ჰხედავ გონებითა მას?

18. ანუ მოხედვა ჰყო მისთვის განთიადმდე და განსუენებაჲ ჰსაჯო მისთვის?

19. ვიდრემდის არა მაცადებ მე, რაჲთა შთავნთქნე ნერწყუევანი ჩემნი სალმოზით?

20. უკუეთუ ეცოდო, რაჲ ძალ-მიც სიტყუად შენდა, რომელმან იცი გონებაჲ კაცთაჲ? და მე რაჲსა მდევ მვედრებელად შენდა, და ვარ მე შენდა ვითარცა ტვრთი?

21. და რაჲსათვის არა ჰყავ ურჩულოებათა ჩემთა დავიწყებაჲ და განწმედაჲ ცოდვათჲ ჩემთაჲ? აწ ესერა მიწად მივალ და განთიადმდე არღარა ვიყო.

თ ა ვ ი 9

2. [73v] ჭეშმარიტად ვიცი, რამეთუ ეგე ეგრჭთ არს. ვითარ-მე იყოს კაცი მართალ წინაშე უფლისა?

3. და ლათუ უნდეს სასჯელად მისა, არავე ისმინოს მისი, რაჲთა არა სიტყუა-უგოს მას ერთისა სიტყუსა მისისათჳს ათასეულისა მისგან.

4. რამეთუ ბრძენ არს გონებითა, ძრიელი და დიდი, ვინ-მე განფიცხნეს მის წინაშე და დაუთმოს მას?

5. რომელმან დაარღვნის მთანი, და არა ცნიან, რომელმან დაამცირნის იგინი რისხვითა;

6. რომელმან შეძრის ყოველი ცასა ქუემუე საფუძველითგან, და სუეტნი მისნი შეირყინენ;

7. რომელმან ჰრქუას მზესა და არა აღმოჰკდეს და ვარსკულავთა დაჰბეჭდოს;

8. რომელმან გარდაართხნა ცანი მხოლომან და ვალს იგი ზღუასა ზედა ვითარცა ვმელსა;

9. რომელმან შექმნა გომნი და მწუხრისა ვარსკულავნი და ჩრდილოესა ურემ-ვარნი და საუნჯეჲ სამხრისაჲ;

10. რომელმან ქმნა დიდ-დიდნი და გამოუკულეველნი, რომელთაჲ არა არს რიცხვ, დიდებულნი და განსაკვრებელნი.

11. უკუეთუ ზედა-გარდამქდეს მე, ვერ ვიხილო; უკუეთუ თანა-წარმქდეს, ეგრეცა ვერ ვცნა.

12. უკუეთუ გარდაცვალოს, ვინ მოაქციოს იგი? ანუ ვინ ჰრქუას მას, ვითარმედ: რად ეს [74] რე ჰყავ?

13. რამეთუ მან გარე-წარაქციის რისხვამ, მის მიერ მოღრკის ვე-შაპი ცაჲა ქუეშე.

14. უკუეთუ თავადმან ისმინოს ჩემი, ანუ თუ განიკითხნეს სიტყუანი ჩემნი,

15. და ლათუ ვიყო მართალ, არავე ისმინოს ჩემი, სამართალთა მისთა ვევედრებოდი.

16. და ლათუ ისმინოს ჩემი, არავე მრწმენეს, ვითარმედ ისმინა ჩემი.

17. ნუუკუე წყუდიადითა შემმუსროს მე. რამეთუ მრავალნი შემუსრვანი ყვნა ჩემ ზედა ცუდად.

18. არა მიტევენს მე სულსა აღმოტევენბად, რამეთუ აღმავსო მე სიმწართა.

19. და რამეთუ ძალითა ძრიელ ჯრს, ვინ-მე სამართალთა მოძთა წინა-აღუდგეს?

20. და ლათუ ვიყო მართალ, პირი ჩემი სცთებოდის-ვე; ვიყო ლათუ უბრალო, ეგრეცა გულარძნილადვე გამოვჩნდე.

21. და ლათუ უღმრთო ვიქმნე, არა ვიცი სულითა ჩემითა, გარნა ესე, რამეთუ მიღებულ არს ცხორებაჲ ჩემი.

22. ამისთვის ვთქუ: დიდნი და ძრიელნი წარწყმიდნის რისხვამან,

23. რამეთუ უკეთურნი განსაკვრვებელითა სიკუდილითა მოწყდენ, არაჲდ მართალნი ზაცინელ იქმნენ.

24. რამეთუ მიცემულ არიან კელთა უღმრთოთასა, პირნი მსაჭულთა მისთანი დაფარნეს სირცხვლმან.

25. რამეთუ ცხორებაჲ ჩემი არს უსულმცირქს მსრბოლისა: წარვილტოდის და არა იხილოს.

26. ანუ თუ არნ ნავთა გზისა სლვამ და კუალი, ანუ ორბისა მფრინვალისაჲ, რომელი ეძიებნ საზრდელსა?

27. და თუმცა ვთქუ რაჲ, დამავიწყდის სიტყუასა შინა, დავიდრიკო პირი ჩემი, სულთ-ვითქუნე,

28. და ვძრვიდე ყოველთა ჯლთა ჩემთა. ვიცი, რამეთუ არა უბრალოდ დამიტეო მე.

29. და რამეთუ ვარ მე უღმრთო, რაჲსა არა მოკუედი?

13. ესე მაქუს შენ თანა; ვიცი, რამეთუ ყოველივე ძალ-გიც და უძრულებად არა არს შენ ზედა.

14. ვცოდო ღმერთს, და-ვე-მიცვე; და უსჯულობათა [75] ჩემთაგან არავე უბრალო მყავ.

15. უკუეთუ უღმრთო ვიქმნე, ვამ მე; და ღმერთს ვიყო მართალი, არავე ძალ-მიც ზე-ახილვად, რამეთუ სავსე ვარ გინებთა.

16. მონადირებულ ვარ ვითარცა ღვინო კლვად. კუალად მომაქცევ და ბოროტად მტანჯავ მე.

17. და განაახლებ ჩემ ზედა განკითხვათა ჩემთა, რამეთუ რისხვითა დიდითა მივბიე მე და მოაწიენ ჩემ ზედა განსაცდელნი.

18. რამათვის მუცლით გამომიყვანე მე, და არა მოვკუედი? თულმანმცა არა მიხილვ მე!

19. და ვითარცა არა ყოფილი ვიქმენ, რამათვის საშოხთვე არა საფლავად მივიქცე?

20. ანუ არა მცირედ არიან უამნი ცხორებისა ჩემისანი? მაცადე მე, რამათა მცირედ განვისუენო

21. ვიდრე მოსლვადმდე ჩემდა, ვინამ არა მოქცევად ვარ...

22. ქუეყანად ბნელია მის საუკუნოვანსა, სადა-იგი არა არს ნათელი, არცა ხილვად ცხორებად კაცთად.

თ ა ვ ი 12

2. [94v] და აწ თქუენცა სამე კაცნივე ხართ: ანუ თქუენ თანა აღესრულა სიბრძნე.

3. რამეთუ ჩემიცა გული თქუენებრი...

თ ა ვ ი 16

2. [112] მასმიეს ეგევითარი მრავალი, ნუგეშინის-მცემელნი ბოროტნი ყოველნი.

3. აწ რამ? ნუუკუე დაწესებულება რამ არს სიტყუათა შინა სულისათა? ანუ რამ შე[გაურ]ვა შენ, რამეთუ სიტყ[უას-მიგებთ]?

4. [v] მეცა თქუენ ზედა ვიტყოდი. უკუეთუმცა მას შინა იყო სული თქუენი სულისა ჩემისა წილ.

5. და მერმე ზედა-მივიტდე თქუენ სიტყუათა და შეეხარო თავი ჩემი თქუენ ზედა.

6. იყავნ ძალი პირსა ჩემსა, და განძრვად ბაგეთა ჩემთა არა ვერიდო.
7. ვიტყოდი ღათუ, არა მტკიოდის წყლულებად ჩემი, და ღათუ ვდუმნე, არავე უმცირეს ვიწყლა?
8. ზოლო აწ შრომა-მცა განცვბრებულსა და დამპალსა; შემცივე მე და სწამებულ იქმნა.
9. და აღდგეს ჩემ ზედა სიცრუვენი ჩემნი, წინაშე პირისპირ კულად-მაგო.
10. რისხვად მეწია და დამამკუა მე. და დაიდრჭინნა ჩემ ზედა კბილნი მისნი. ისარნი განსაცდელთანნი დამსჭუალნა ჩემ ზედა.
11. ისრის პირნი მისნი თულთა ჩემთა განმწონნა, მახვლი მცა მუკლთა ჩემთა და ერთბამად მეწინეს მე.
12. მიმცა მე უფალმან კელთა ცრუთასა და უღმრთოთა ზ[ედა შე]მაგლო მე.
13. [მშვდობასა] შინა განმაქარვა მე; მიპყრნა მე თმანი ჩემნი და დამფხურნა მე და დამადგინა მე ვითარცა მსტუჭარი.
14. გარე-მომადგეს მე ლახუროსანნი და განმწონეს თირკუმელთა ჩემთა; ურიდად დასთხიეს ქუეყანასა ზედა ნავლელი ჩემი.
15. დამცეს მე დაცემა დაცემასა; მოარბიეს ჩემ ზედა მძლავრთა.
16. ძაძა შემაკერეს ტყავსა ჩემსა, ზოლო ძალი ჩემი ქუეყანასა ზედა დაშრტა.
17. მუცელი ჩემი შეიწუების ტირილითა, და წარბთა ჩემთა აჩრდილი სიკუდილისა.
18. სიცრუმს არა იყო კელთა ჩემთა; ლოცვად ჩემი წმიდა იყო.
19. ქუეყანაო, ნუ დაჰფარავ სისხლსა კორცთა ჩემთასა, ნუცა იყოფინ ადგილი ღაღადებისა ჩემისა.
20. და აწ ესერა ცათა შინა არს მოწამს ჩემი და რომელმან იცის ჩემი მალალთა შინა.
21. მიიწიენ ლოცვად ჩემი უფლისა და მის წინაშე წთოდედ თულნი ჩემნი.
22. იყავნ მამხილებელ კაცისა წინა უფლისა და ძმ კაცისა — მოყუსისა თვისისა.
23. წელნი რაცხუთანი მოწვენულ არიან და გზასა მას, [113] რომელსა არღარა მოქცევად ვარ, მივალ მე.

თ ა ვ ი 17

1. და მოვისპობი სულითა მიმოტაცებული; ვევედრები დაფლვასა და ვერ მივემოხვე.
2. ვიურვი, დავშურები და რაჟ-მე ვყო?
3. რამეთუ მიმპარეს მონაგები ჩემი უცხოთა. ვინ არს ესე? კელი მომეცინ მე.
4. რამეთუ გული მათი დამალეს გონიერებისაგან, ამისთვის არა აღამაღლნეს იგინი.
5. ნაწილი მიუთხრას უკეთურებისაჲ; თუალნი მისნი ძეთა მისთა ზედა დადნეს.
6. დამღევ მე სასიტყუელად თესლებსა შორის, და საცინელ მათა ვიქმენ.
7. დაბრძობილ არიან რისხეძაგან თუალნი ჩემნი, მოცეულ ვარ მე დიდძალად ყოველთა მიერ.
8. უკვრდა ქეშმარიტთა ამას ზედა და მართალი უსჯულოთა ზედა [აღღეგინ].
9. აქუნდინ მორწმუნესა გზაჲ თვისი, და წმიდამან მოიღენ კელითა თვისითა ნუგეშინის-ცემაჲ.
10. არა ეგრე, არამედ კლებოდეთ; მოვედით, რამეთუ არა ვპოვებ თქუენ თანა ქეშმარიტებასა.
11. დღენი ჩემნი წარჯდეს მყრალობასა შინა და განსთქდა აპკაჲ გულითა ჩემისაჲ.
12. ლამშ იგი დღედ დადვეს, ნათელი ახლოს არს წინაშე პირსა ბნელისაჲსა.
13. და-დათუ-ვითმინო, ჯოჯოხეთი არს სახლ ჩემდა, და წყუდიად-სა შინა დარეცილ არს სარეცელი ჩემი.
14. სიკუდილსა ვხადი მამად ჩემდა და დედად ჩემდა და დად — საძაგელებასა.
15. სადა უკუე არს სასოებაჲ ჩემი? [ანუ კეთილი ჩემი] ოდეს-მე ვიხილო?
16. ანუ ჩემ თანა ჯოჯოხეთა შთავიდენ, გინა თუ ერთბამად მიწად დავედეთ?

თ ა ვ ი 19

2. [133] ვიდრემდის დააშრობთ სულსა ჩემსა და დამცნით მე სიტყვთა?
3. გარნა ცანთ ხოლო, რამეთუ უფალმან მიყო მე ესრტთ. ძვრსა ჰზრახავთ ჩემთვის და ურცხვნოდ ზედა-დამესხმით მე.

4. კმ, კეშმარიტად შეცთომილ ვარ, და ჩემ ზედა დადგრომილ არს საცთური ჭიტყუად სიტყუათა, რომელი არა ჭერ-ცყოს. სიტყუანი ჩემნი ცთებიან და არა უამსა.

5. უტევენ, რამეთუ ჩემ ზედა კმალლოვით და ზედა-მომივალთ ყუედრებით.

6. ცანთ, რამეთუ უფალი არს, რომელმან ესრტთ აღძრნა, ძნელოვანნი მისნი ჩემ ზედა აღამალნა.

7. აჰა ესერა ვიცინოდი ყუედრებჟა და არა ვიტყოდი, ვლალადებ, და არა არს სამართალი.

8. გარემო ჩემსა მოზლუდვილ არს, რამეთუ პირსა ჩემსა ბნელი დამღვა

9. და დიდებუა ჩემი განმძუარცა ჩემგან და შიმილო გვრკენი თავსაგან ჩემისა.

10. დამარღვა გარემოეს ჩემსა და წარვკედი. მოჰკუეთა ვითარცა ზმ სასობაჲ ჩემი,

11. და ბოროტად რისხვით მიკმია მე. [v] შეურაცხიე მე ვითარცა მტერი.

12. და ერთბამად მოიწინეს განსაცდელნი მისნი ჩემ ზედა; გზათა ჩემთა გარე-მომადგეს მე შიირნი.

13. ძმანი ჩემნი განმეშორნეს ჩემგან, იცნეს უცხოჲ ვიღრელა მე. მეგობარნი ჩემნი უწყალო მექმნნეს.

14. არად შემრაცხეს მე მახლობელთა ჩემთა, და რომელთა იცოდეს სახელი ჩემი, დამივიწყეს მე

15. მოძმეთა სახლისა ჩემისათა და მსახურთა ჩემთა, უცხო ვიყავ წინაშე მათსა.

16. მსახურსა ჩემსა უწოდე და არა ისმინა ჩემი, და პირი ჩემი ექენებოდა

17. და ევედრებოდა ცოლსა ჩემსა. მოვხადე ძეთა ზარტთა ჩემთა.

18. სოლო მათ უკუნისადმდე განმწირეს მე. რაჟამს აღვდგი, ჩემთვის ძვრსა ზრახვედ.

19. მომიძაგეს მე, რომელთა მიცოდეს მე; და რომელთა ვჰყუარობდი, ჩემ ზედა აღდგომილ არიან.

20. ტყავსა შინა ჩემსა დალპეს კორცნი და ძუალნი ჩემნი კბილთა შინა თქუენთა გქონან.

21. შემიწყალეთ მე, შემიწყალეთ მე, მეგობარნო ჩემნო, რამეთუ ქელი უფლისაჲ შეხებულ არს ჩემდა.

22. რადასათვის მდევნით მე ვითარცა-იგი უფალი და ჯორცთა ჩემ-
თაგან ვერ განსძღვებით?

23. ვინ მომცეს მე დაწერად სიტყუანი ჩემნი და დადებად იგინი
წიგნსა შინა უკუნისამდე

24. საწერელითა რკინისაჲთა და ბრპენისაჲთა, გინა თუ კლდესა
ზედა გაჰოწერად?

25. ვიცი, რამეთუ საუკუნჲ არს, რომელსა კსნაჲ ჩემი ეგულების
ქუეყანით.

26. აღდგინებად ტყავი ჩემი, რომელმან თავს-ისხნა ესე, რამეთუ
უფლისა მიერ აღესრულნეს ესე ჩემ ზედა,

27. რომელნი თავით ჩემით მიცნობიან, რომელი თუალმან ჩემმან
იხილა და არა სხუამან, რამეთუ ყოველნი აღსრულებულ არიან წი-
აღთა ჩემთა.

28. უკუეთუ სთქუათ: რასა-მე ვიტყოდით წინაშე მისსა? რამეთუ
იბრნი სიტყუათანი ეპოვნეთ მას შინა.

29. გეშინოდენ თქუენცა დაფარულისა მისთვის, რამეთუ გულის-
წყრომაჲ უსჯულოთა ზედა მოიწიოს და მაშინ ცნან, სადა არს მათი
იგი სინაართლჲ.

თ ა ვ ი 21

2. [153] ისმინეთ, ისმინეთ სიტყუათა ჩემთაჲ. რაჲთა არა იყოს
ესე თქუენ მიერ ნუგეშინის-ცემა ჩემდა.

3. მაცადეთ მე, რაჲთა ვიტყოდი, უკუეთუ არა მეცინოდით მე.

4. აწ კაცისაჲ ნუ არსა მხილებაჲ ესე ჩემი? ანუ რადასა განვრი-
სხნე?

5. მომზედეთ მე და გიკვრდინ. და კელი დაიდევით პირსა თქუენსა.

6. უკუეთუ მოვიკსენო, ვისწრაფი ეგრე, რამეთუ მქონან ჯორცთა
ჩემთა საღმობანი.

7. რადასათვის-მე უღმრთონი ცოცხალ არიან და დაძულებულ სი-
დიდრესა ზედა თქსსა?

8. თესლი მათი ნებრსაებრ მათისა, და შვილნი მათნი წინაშე თუა-
ლთა მათთა.

9. სახლნი მათნი სავსე არიან, შიში არასადა და ტანჯვაჲ უფლი-
სამიერი არა არს მათ თანა.

10. [v] ფურმან მათმან მუცლად-ილო და არა მოავდო, განერა
გაკმ მათი და არა შეცოდა.

11. და ჰვიან იგინი ვითარცა ცხოვარნი საუკუნენი; ყრმაჲი მათნი იმღერიან.

12. აღუღებებს ქნარი და ეიანი და იხარებენ კმითა სიხარულისა-
დათა.

13. რამეთუ აღასრულეს კეთილსა შინა ცხოვრებაჲ მათი და განსა-
სუენებელსა ჯოჯოხეთისასა დაიძინეს.

14. ჰრქუეს უფალსა: განმეშორე ჩემგან! ცნობად გზათა შენთა არა მნებაჲს¹.

16. რამეთუ კელთა შინა მათთა იყო კეთილი, საქმესა უღმრთო-
თასა იგი არა ხედავს.

17. არა იხოლო ეგრე, არამედ უღმრთოთაცა სანთელი და-ვე-შრტეს,
და მოიწიოს მათ ზედა დაქცევად, და საღმობაჲან შეიპყრნეს იგინი
რისხვისაგან.

18. და იყვენ იგინი ვითარცა ბზენი წინაშე ქარსა, გინა ვითარცა
მტუერი, რომელი აღიღის ნიაჲ-ქარმან.

19. მოაკლდეს ძეთა მათთა ნაყოფი, და მოაგოს მათ, ცნას.

20. იხილონ თუალთა მისთა კლვად თვისი და უფლისაგან ნუ განე-
შორებებიდ.

22. აჲ არა-მე უფალი არსა, რომელმან ასწავის გულისხმის-ყოფად
და მეცნიერებაჲ, და იგი თავადი ბრძენთა განიკითხავს?

24. და ნაწლევნი მათნი სავესუ არიან ცმელითა, ტვნნი მათნი განფე-
ნილ არიან.

25. ხოლო იგი აღესრულოს სიმწარითა სულისადათა და არა კამონ
არარად კეთილი.

26. და ერთბამად მიწასა ზედა დაიძინონ და სიხენეშემან დაფარნა
იგინი.

27. ვითარ გიცნი თქუენ, კადნიერებით ზედა-დამესხმით.

36. ვითარ ნუგეშინინ-მცემთ მე ცუდად? ხოლო თქუენ მიერ და-
ღუმებაჲ ჩემდა არა იყოს.

თ ა ვ ი 25

2. [64v] რად-მე უკუე აჲ წინადასწარ-იგავ ანუ შიში მის მიერ, რო-
მელმან ქმნა ყოველი ყოვლითურთ მაღალთა შინა?

3. ნუვინ ჰგონებნ, ვითარმედ დროებაჲ რადმე არს განსაცდელთა,
კიეთ ზედა-მე არა მოიწივის მზირი ეგევითარი მის მიერ?

24. სავსტ. 26. სიხენეშემან.

¹ მე-15 მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

4. ვინ-მე იყოს კაცი მართალ წინაშე უფლისა, ანუ ვინ-მე განიწმიდოს თავი ნაშობმან ღელათამან?

5. უკეთეს უბრძანოს მთოვარე-ა, არა გამობრწყინდეს; ვარსკულავნი არავე წმიდა არიან მის წინაშე.

6. აცადე თუ: კაცი ხენეშ და ძმ კაცისაჲ მატლ.

თ ა ვ ი 26

2. ვ-ს კერძო ხარ, ანუ ვისი შეწევნაჲ გეგულებს? არა-მეა [რომელი] მრავლითა ძალითა და მკლავი მისი ძრიელ არს?

3. ანუ ვის აზრახო? არა-მეა რომლისაგან არს ყოველი სიბრძნე? არა ნუ-ნუ ვის შეუდგე? არა-მეა რომლისაგან არს ყოველი სიმდიდრე ძრიელებისაჲ?

4. ვის მიუთხრენ სიტყუანი? სული ეგე ვისი არს, რომელი გამოვალს შენგან?

5. ნუ გმირთა მაჰენონ მე ქუეშე კერძო წყალთა და მოძმეთა მძსთა.

6. შიშუელ არს ჯოჯოხეთი წინაშე მისსა და არა არს საფუძველი წარსაწყმედელისაჲ.

7. განჰმარტის ბლუარი არაჲსა ზედა და დამოჰკიდის ქუეყანაჲ არაჲსა ზედა.

8. შეაყენის წყალნი ღრუბელთა მისთა, და ვერ განსთქდეს ღრუბელნი ქუეშე მისსა.

9. რომელსა უჰყრიეს პირი საყდრისაჲ და გარდაართხნის მის ზედა ღრუბელნი მისნი.

10. ბრძანებით მოამრგულოს ცაჲ. წინაშე პირსა მისსა ძწის ყოველი აღსრულებადმდე ბნელსა შინა ნათელი.

11. და სუეტნი ცათანი აღფრინდეს და განჰკრთეს შერისხვითა მისითა.

12. ძალითა დააცხრვო ზღუაჲ და ბრძანებითა მისითა დარეცილ არს ღელვაჲ მისი.

13. და კლიტეთა ცისათა ეშინოს მისა. ბრძანებითა მოაკუდინა [65] ვეშაპი იგი განდგომილი.

14. აჰა ესერა ესე არს ნაწილი გზათა მისთაჲ და მერმე კუალად სიღრმე სიტყუათაჲ ვისმინო მას შინა, და ძალი იგი ქუხილისა მისისაჲ ვინ იცის, ოდეს სადა-მე იყოს?

თ ა ზ ი 27

2. [126v] ცხოველ არს უფალი, რომელმან ესრჳთ დაძსაჲა მე, და ყოველისა-მპყრობელი, რომელმან განამწარა სული ჩემი.
3. ვიდრე საშუშინველი ესე ჩემ თანა-ლა იყოს და სული საღმრთოჲ ცხვრთა შინა ჩემთა,
4. ნუ იტყვედ ბაგენი ჩემნი უსჯულოებასა, არცა სული ჩემი იტყოღს სიცრუევსა.
5. ნუ იყოფინ, ვითარმცა მართლად გამოგაჩინენ თქუენ ეოდრე სიკუდილმდე ჩემდა, რამეთუ არა განვიშორო უმანკო[127]ებაჲ,
6. ვიდრე სიმართლესა ვერჩდე და არა გარდავაქციო. რამეთუ არა შემიცნობიეს თაესა ჩემსა უსჯულოებისა საქმჳ.
7. არა ეგრე, არამედ დაღათუმცა იყენეს მტერნი ჩემნი და დაქცევაჲ უღმრთოთაჲ, და რომელნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა ვითარცა წარწყმედაჲ უსჯულოთაჲ.
8. და რაჲ-მე არს სასოებაჲ უღმრთოთაჲ, რამეთუ გულ-პყრობილ არს? ესვიდეს-ლა თუ უფალსა, გან-მე-ერესა?
9. ანუ ვედრებაჲ ჩემი ისმინოსა უფალმან? ანუ მო-ღათუ-ესმეს მას ურვაჲ,
10. აქუნდეს-მე რაჲ კადნიერებაჲ წინაშე მოსსა? გინა თუ ხაღოღნი, ისმინოს მისი?
11. არამედ აწ გითხრა თქუენ, რაჲ-იგი არს კელთა შინა უფლისა-თა, და რაჲ-იგი არს ყოველისა-მპყრობელისა თანა, არა ვტყუო.
12. აჰა ესერა ყოველთა იცით, რამეთუ ცუდად და ამაოდ ზედა-ღამესხმით მე.
13. ესე არს ნაწილი კაცისა უღმრთოჲსაჲ უფლისა მიერ, და მონაგები ძრიელთაჲ მოიწიოს ყოველისა-მპყრობელისა მიერ მათ ზედა.
14. და ღათუ განმრავლდენ ძენი მათნი, საკლავადვე მიეცენენ: გინა თუ განმწესნენ, პურის მთხოველვე იქმნენ; ხოლო რომელნი ცოცხალ-და იყვენენ, შვილნი მათნი სიკუდილითა მოესრულნენ.
15. ქურივი მათი არაეინ შეიწყალოს.
16. და ღათუ შეიკრიბონ ვითარცა მიწაჲ ვეცხლი და ვითარცა თიკაჲ შეიკრიბონ ოქროჲ,
17. ესე ყოველი შეიკრიბონ მართალთა და ფჳსი იგი მათი კეშმარიტად აღიპყრან.
18. და იქმნას სახლი მისი ეითარცა მღილი და ვითარცა დედაზარ-ღლი.

19. მდიდარმან დაიძინა და არღარა შესძინოს; თუალნი მისნი აღიხილნა და არღარა არს.

20. რამეთუ შეემთხვნეს ვითარცა წყალნი საღმობანი, და ღამე წარიღო იგი არმურმან.

21. აღიღოს იგი სიცხემან და წარიღოს და განაბნიოს იგი ადგილით თვისით.

22. და დაესხას მის ზედა და არა ერიღოს, კელისაგან მისისა სივლტოლით ივლტოდის.

23. დაიტყუელნეს მის ზედა კე[v]ლნი მისნი, და წარიღოს იგი ადგილით მისით.

თ ა ვ ი 28

1. რამეთუ არს ადგილი ვეცხლისაჲ. ვინაჲ იქნებოს, და ადგილი არს ოქროსაჲ, ვინაჲ გავალს.

2. რამეთუ რკინაჲ ქუეყანით გამოვალს, და რვალი ვითარცა ქვაჲ გამოირღუევის.

3. წესი დაუღვა ბნელსა და ყოველი დაჰარული მან გამოიკითხოს: ლოდი ბნელისაჲ და აჩრდილი სიკუდილისაჲ,

4. განკუეთაჲ კევისაჲ მტუერისაგან; ხოლო რომელთა დაივიწყნენ გზანი მართალნი, მოუძრულდენ კაცთაგან

5. [268v] ქუეყანაჲ, და მისგან პური აღმოსცენდეს და ქუეშე მისსა იქცეოდის ვითარცა ცეცხლი.

6. ადგილი არს, რომლისა საფირონი არიან ქვანი მისნი [და მიწად — ოქროჲ მისი].

7. და არს ადგილი, [269] რომლისაჲ-იგი არა იცის მფრინველმან, და ვერ მიხედა მას თუალმან ორბისამან.

8. არა დათრგუნეს იგი ძეთა ამპარტავანთა, არა წარვლო იგი ლომმან.

9. და კლდისა მწუერვალთა ზედა განიპყრნა კელნი თვისნი, დაამკუნა მათანი.

10. და მორეენი უფსკრულთანი განხეთქნა; ყოველივე პატიოსნებაჲ იხილა თუალმან მისმან.

11. და სიღრმენი იგი მდინარეთანი გამოაცხადნა და აკურთხა ძალი იგი ნათლისაჲ.

20. წყალნი წყლულნი, ღამე.

28, 4. კევისაჲ]კელისაჲ, მტუერისაგან]მტერისაგან. 5. ქუეშე. 8. ამპარტავანთაჲ.

თ ბ ი 29

2. [60] ეინმცა მყო მე დღეთა მათებრ პირველთა და წელთა მათ, რომელთა-იგი მცვიდა უფალი ჩემი?

3. ოდეს-იგი ბრწყინვიდა სანთელი მისი ზედა თავსა ჩემსა; ოდეს-იგი ვიდოდე ნათლითა მისითა ბნელსა შინა;

4. ოდეს-იგი ვიყავ შუებულ გზათა ჩემთა...

5. ოდეს-იგი ვიყავ გზათა ჩემთა სიმართლითა დიდითა ფრიად, და გარემოვს ჩემსა — მონანი ჩემნი;

6. ოდეს-იგი გამოდიოდა გზათა ჩემთა ერბოვ, და მათათა ჩემთა გამოეცემოდა სძქ;

7. რაჟამს-იგი განვიდი ქალაქად, და მსთუად უბანთა ზედა დაიდგმოდეს სავარძელნი ჩემნი;

8. მიხილიან მე ქაბუკათა და დაშემალნიან, და მოხუცებულნი ყოველნი ზე-აღმიდვიან;

9. მთავარნი დადუმდვიან სიტყუად ჩემ წინაშე და კელი პირსა დაიღვიან;

10. ხოლო რომელთა ესმოდა ჩემი, მნატრიდიან მე, [v] და ენაჲ მათი ჰასასა მათსა აქქეს;

11. რამეთუ ყურსა რომელსა ესმა, მნატრა, და თუალმან რომელმან მიხილა, მერიდა მე;

12. რამეთუ განვარინი გლახაკი კელთავან ძრიელისათა და ობოლსა, რომელსა არა აქუნ მწქ, შევეწი;

13. [კურთხევად წარწყმედულისად] ჩემ ზედა მოვიდოდა და პირა ქურივისად მაკურთხევდა მე;

14. და სიმართლქ შემემოსა მე, შევიმკვე სამართალი ვითარცა სამოსელი;

15. თუალი ვიყავ ბრმათად და ფერკი ვიყავ მკელობელთად;

16. მე ვიყავ მამად უძრულთად; და სასჯელი, რომელი არა ვიცოდი, გამოვიძი;

17. შევმუწარნი შუანი ცრუთანი და შორის კბილთა მათთა გამოული ნატაცები;

22. ...და მხიარულ იქმნნიან, უკუეთუ სადა ვეტყოდი მათ.

23. ვითარცა ქუეყანად წყურჩელი, რომელი მოელინ წყალსა, ეგრეცა ესენი ელიედ სიტყუათა ჩემთა.

24. უკუეთუ განვიციინი მათა მიმართ, არავე ჰრწამნ; და ნათელი პირია ჩემისად არა დავარდებოდა.

ჰმ. 10. ესმოდა] ესმის.

1 მე-18 მუხლიდან 22-ის 11 ნახევრამდე ტექსტი არ მოიპოვება.

25. ვამოვიძინი გზანი მათნი და დავჯდი მთავრად მათა, დამკვდრებულ ვყუავ ვითარცა მეფე შორის ახონთა და ვითარცა სნეულთა ნუგეშინის-ვსცემდ.

თ ა ვ ი 30

1. აწ ესერა მეცინიან მე უნაკლულევანჴსნი ჩემსა; აწ ესერა მასწავებენ ზოგს რასმე, რომელთანი შეურაცხ-მეყენეს მამანი მათნი, რომელნი არა შემერაცხნეს სწორად ძაღლთა მძოვართა ჩემთაჲსა.

2. და ძალი იგი ჯელთა ჩემთაჲ რაოდენ არს ჩემდა? მათ ზედა წარწყმდა აღსასრული ნაკლულევანისაჲ.

3. სიყმილსა შინა იყვენეს, რომელნი ვილოდეს ურწყულსა გუშინ იწროებაჲა და უბადრუკებასა;

4. რომელნი-იგი მდელოსა კრებდეს მათთა შინა, რომელთაჲ მხალი იყო მათა საქმელ; უპატიონი და განქარვებულნი და ნაკლულევანნი ყოვლისაგან კეთილისა, რომელნი ძირსაცა ზეთასა იცობნიდეს სიყმილსაგან დიდისა.

5. აწ ესერა ჩემ ზედა აღდგომილ არიან მპარავნი,

6. რომელთანი სახლნი მათნი იყვენეს კურელნი კლდისანი.

7. შორის საოხნეთა ღალადებს, [61] რომელნი ქარქუეტითა ველისაჲთა იზარდებოდეს,

8. უგუჴურთა შეილნი და უპატიოჲსა სახლსანი.

9. აწ ესერა ქნარი მათი მე ვარ, და სასიტყუელად ვაქუ მე.

10. მომიძაგეს მე და განდგეს ჩემგან შორად და პირსა ჩემსა წინა-შე არა მერიდნეს ნერწყუჴად.

11. [119] და აღახუნა უფალმან კაბარჴთა მისთა და გამაბოროტა მე და აღვრნი ამისხნა წინაშე პირსა ჩემსა.

12. და მარჴუენით მცენარესა აღდგომილ არიან: ფერკი მისი განირთხა და გზა უყო ჩემდამო ალაგთა წარსაწყმედელისა ჩემისათა.

13. და შემემუსრნეს ალაგნი ჩემნი, რამეთუ განმძოჴარცა სამოსელი ჩემი. და ისარნი მისნი დამასრივნა მე.

14. და მიზამს მე, რაჲცა უნებს მას. საღმობათა შინა ჩემთა შებღალულ ვარ მე.

15. და კუალად მომექცევიან მე საღმობანი ჩემნი; წარჯდა სასოებაჲ ჩემი ვითარცა ქარი, და ვითარცა ღრუბელი — ცხორებაჲ ჩემი.

16. და აწ ჩემგან განვიდეს სული ჩემი. და მოცემულ არიან ჩემდა დღენი საღმობისანი და ღამენი კუნესისანი.

17. მუჴალნი ჩემნი შეიწუებიან, და ძარღუენი ჩემნი დაჴკსნდებიან.

30. 12. მცენარესა] ცემაღ. უყო] ყო. 13. დამასრივნა] დამასრულნა.

18. დიდითა ძალითა მისითა შებმა-მოყო სამოსელსა ჩემსა და ვითარცა საყელს კუართი ჩემი გარე-მომაპო.

19. შემრაცხა მე სწორად თივისა, მიწისა თანა და სწორად ნაცრი-სა დაღვა ნაწილი ჩემი.

20. ვლალდებ შენდამი, უფალო, და არა ისმენ ჩემსა. დადგეს და განმიცადეს მე.

21. და ზედა-მომიკდეს უწყალოდ; კელითა მტკიცითა მტანჯავ მე.

22. და განაწეენ ჩემ ზედა საღმობანი და განმაგდე მე ცხორე-ბისაგან ჩემისა.

23. ვიცი, რამეთუ სიკუდილმან შემმუსრა მე, რამეთუ [სახლი] ყოვლისა მოკუდავისა მიწად არს.

24. უკუეთუმცა ვითარ ძალ-მედვა თავსა ჩემსა კელითა-მიყოფად გინა თუმცა ვის ვევედრე სხუასა და მიმისნა რად ესე.

25. რამეთუ უბრულთა ზედა ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ. ვიხილი რად კაცი [ურვასა] [v] შინა.

26. მე მოველოდი კეთილსა, აჰა ესერა შემემთხვნეს მე დღენი ბოროტნი.

27. გუცელი ჩემი დღეს და არა დადუმნეს; მომეწივნეს დღენი სი-გლახაკისანი.

28. და სულ-თქუმით ვალ მე თვნიერ ჳიმისა. და ვდგა მე კრებულსა შორის და ვლალდებ.

29. ძმა ვიქმენ დედაჭუათა და მოყუას — სირთა.

30. ტყავი ჩემი დადნობილ არს დიდძალად და ძუალნი ჩემნი სი-ცხრსაგან.

31. გარდამექცა მე სიხარული ჩემი გლოვად და მხიარულებად ჩემი ტირილად.

თ ა ვ ი 31

1. აღთქემად აღუთქუ ძმათა ჩემთა და არა გულისხმა-ვყავ ქალ-წულსა ზედა.

2. და მერმე გან-ვე-უყო უფალმან ზეგარდამო სამკვდრებელი უნა-კლულო მადლით გამო?

3. ვად წარწყმედასა ცრუთასა და უცხოსა საქმესა, რომელნი იქ-მან ურჩულობასა!

4. [71] ანუ არა თავადმან იხილნეს გზანი ჩემნი და ყოველნი გზა-ნი ჩემნი აღრაცხნეს?

5. უკუეთუ სრულ ვიყავ მე მლადობელთა თანა, გინა თუ იწრათა ფერკმან ჩემმან ზაკუასა,

6. რამეთუ ვდევ უღელსა ზედა მართალსა, და იცის ღმერთმან უმანკოებად ჩემი.

7. უკუეთუ გარდა-სადა-აქცია ფერკნან ჩემმან გზისაგან მისისა, გინა თუ მისდევდა თუალთა ჩემთა გული ჩემი, ანუ თუ კელი ჩემი შეეახე ქრთამსა,

8. მემცა მითესავს და სხუანიმცა კამენ, [v] და უძრომცა ვარ ქუეყანასა ზედა.

9. უკუეთუ მისდევდა გული ჩემი ცოლსა სხვასა, ანუ თუ და-სადა-ვკედ მზირად კარსა მისსა,

10. სათნომცა ეყოფის ცოლი ჩემი სხუათა, და ყრმანი ჩემნი დამდაბლდენ.

11. რამეთუ გულის-წყრომად რისხვისად არს დაუპყრობელი, შეგიწებად ქმრის-ცოლისად.

12. რამეთუ ცეცხლი არს ადგზებული ყოვლით-კერძო, ვიდრეცა ვიდეს, და ძირითურთ წარწყმდეს.

13. ანუ ვდრიკე სადა სარჩელი მონისა ჩემისად, ანუ მტევლისა ჩემიად, ისჯოდ რად ჩემ წინაშე.

14. [129] რად-მე ვყო, უკუეთუ განკითხვასა ჩემსა ჰყოფდეს უფალი? გინა თუ მოხედვასა—და მეტყოდის, რად-მე სიტყუად მიუგო?

15. ანუ ვითარცა მე, ეგრეცა იგინი იყვნეს საშოსა შინა; ვიყვნით მათვე შინა მუტელსა?

16. უძრულთა ოდეს სადა რად უკმდა, და დავაკლეა? ანუ თუალნი ქუროვისანი ოდეს სადა შევაურვენ?

17. ანუ თუ პური სადა ვქამე მართომან და ობოლსა არა ვეც?

18. რამეთუ სიკაბუტით ჩემითგან ეზრდიდი მათ ვითარცა მამად, დედის მუცლით ჩემითგან უძელუ მათ.

19. ანუ უგულებელს-სადა-მე-ვყავ შიშუელი და დარდომილი! არა შევმოქე?

20. და უძრულნი ყოველნი მაკურთხევდეს მე, რამეთუ ნარისუე-ვისაგან ცხოვართა ჩემთადას განტფებოდეს ბეჭნი მათნი.

21. ანუ თუ გან-სადა-ვირთხ კელი ჩემი ობოლსა ზედა გულ-პყრობით, ვითარმედ მრავალ შეწყნარება არს ჩემ[v] თანა?

22. წარ-მცა-მვარდების მკლავი ჩემი მკრითგან, და კელი ჩემი იდაყვთგან შეიმუსრენ.

23. რამეთუ შიშსა უფლისასა შევეპყარ მე და სიტყუათა მისთა ვერ დაუთმო.

31. 18. უძელუ] უძლუ.

¹ ასეა.

24. გინა თუ დავჰვალ მიწასა შინა ოქროჲ, გინა თუ ანთრაკთა პატოანთა ვესევედ?

25. ანუ თუ ვიხარებდ დიდძალსა ზედა სიმდიდრესა ჩემსა, ანუ თუ რიცხუთა ზედა დავადევ კელი ჩემი?

26. ანუ თუ არა ვბედვედ მზესა აღმომავალსა და შთამავალსა და მთოვარესა მოკლებულსა და სავსესა, რამეთუ ამათ ზედა არს?

27. ანუ თუ სადა სცთა ილუმალ გული ჩემი და კელი ჩემი დავიდევ პირსა ჩემსა და ვაკოცე?

28. ესეპცა უსჯულოებად შემერაცხების დიდად, რამეთუ ვტყუებმცა წინაშე ღმრთისა მადლისა.

29. ანუ მო-სადა-მცხრებოდა დაცემაჲ მტერსა ჩემისაჲ და თქუა სადა გულმან ჩემმან: ვაშა?

30. ესმის-მცა ყურსა ჩემსა წყევამ ჩემი და მისათხრობელმცა ვარ მე ერისაგან ძკრად.

31. მრავალ-გზოს სადა მითქუემს მკვევალთა ჩემთა: ვინ მომცეს ჩუენ ჯორცთა მისთაგან განძლებად? ფრიად ტკბილ ვიყავ კუ.

32. გარეშც უცხოჲ არა სადა დადგაა სახლსა ჩემსა, რამეთუ კარი ჩემი ყოველთათჳს მომავალთა განძებულ იყო?

33. გინა თუ ვცოდე სადამე ნებსით და დავმალე ცოდვამ იგი ჩემი?

34. რამეთუ არა შევიკდიმე მე სიმრავლესა ერისასა თხრობამ ჩემი, ანუ თუ უბრული განუტევე ცარიელი წიალითა?

35. ვინმცა მასმინა მე ესე? რამეთუ კელისაგან უფლისა მეშინოდა.

36. რამეთუ კელით-წერილით თუ ვისიმე მაქუნდა, და მკართა ჩემთა დავიდევ.

37. და განვხეტქე და მივეც მათ და არარამ მოვიღე თანა-ნადებისა მისგანი.

38. და არცა ქუეყანამან სადა სულთ-ითქუნა ჩემთვის და არცა ურნატი მისი ტიროდა ერთბამად.

39. გინა თუ ძალი მისი შევ[130]კამე მე მარტომან, ანუ სადა დავიპყარ ქუეყანამ და სული ქუეყანის უფლისაჲ მის შევავწუხე,

40. იფქლისა მის წილმცა აღმომიციენდების მე ჟინქარი და ქრთილსა წილ — მაყუალი.

თ ა ვ ი 38

2. [204]¹ ვინ არს ესე, რომელი მიმალავს მე ზრახვათა და შეუქრებიან ზრახვანი გულსა თვისსა და ჩემგან ჰგონებს დაფარვად?

¹ 1-ლი მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

3. შეირტყენ ვითარცა მამაკაცმან წელი, მე გკითხვიდე და შენ მომიგებდი მე:

4. სადა იყავ, ოდეს დაეფუძნებდ მე ქუეყანასა? მითხარ მე, იცოთუ გულისხ [მის-ყოფამ].

5. ვინ დადვა საზომი [მისი], იცი თუ? ანუ ვინ და[დ]ვა საბელი საზომისა მისისამ?

6. ანუ რასა კარშიკნი მისნი დამსჭულულ არიან? ანუ ვინ არს, რომელმან დადვა [ლო]დი იგი საკიდური მას [ზედა]?

7. რაჟამს შეიქმნნეს ვარ[ს]კულავნი, მაქებდე[ს] მე კმითა დაღოთა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი,

8. დაეკვაშ ზღუამ ბქეებითა, ოდეს იგი იშვებოდა, დედის მუცლით გამოვიდოდა.

9. დავდევ ღრუბელი მას ზედა სამოსლად და ნისლითა წარკვგრანე იგი.

10. დაუსხენ მას საზღვარნი და დავაგენ მას კლიტენი და ბქენი.

11. და ვარქუ მას: აქამომდე მოხვდე და არა გარდაჰვდე, არამედ შენ ზედავე შეიმუსრნენ ღელვანი შენნი.

12. ანუ შენ ზედა განვაწესე ნათელი იგი განთიადისამ, და მთიებმან იცნა თვისი იგი წესი

13. მიწვენად ფრთეთა ქუეყანიასათა [v] [და გან]ბნევედ უღმროთონი [მისგან].

14. ანუ შენ მოიღე ქუეყა[ნით] მიწამ და თიკამ შექქემნ ცხოველად [და] მეტყუელად და დაა[დ]გინე იგი ქუეყანასა ზედა?

15. [ან]უ შენ მოუღე ნათელი უ[ლ]მართოთა და მკლავ[ნი] ამპარტავანთანი [შენ] შექმუსრენ?

16. მი-მე-ს[რ]ულ ხარა წყაროსა [ამა]ს ზღვასა, ანუ კუა[ლ]-თა უფსკრულთასა სრულ ხარ?

17. გან-მე-გეხუნესა შიშით ბქენი სიკუდილისანი, ანუ მეკარეთა ჯოჯოხეთისათა გიხილეს და შეძრწუნდეს?

18. ანუ სწავლულ ხარ სივრცესა ქუეშე? მითხარ მე, [ა]ნუ რაბამ არს,

19. რომელსა ადგილსა იქცევის ნათელი, ანუ რომელი ადგილი არს ბნელისამ?

20. მი-ხოლო თუ-იყვანო საზღვართა მათთა, გინა თუ იკნი ალაგნი მათნი?

21. მეცნიერ ხარა, ვინ უწყის, მაშინ შობილ იყო და რიცხუნი წელთა შენთანი ფრიად იყვნენ?

22. მი-მე-სრულ ხარა საუნჯეთა თოვლისათა, ანუ საუნჯენი სე-ტყესანი გიხილვან?

23. რამეთუ დაუნჯებულ არიან ღღედ მტერთა და ლალვისა და ბრძოლისა?

24. ანუ ვინამ გამოვალს თრთვლი, რომელი განეფინების სამხრით ცაჲსა ქუეშე? მითხარ მე.

25. ანუ ვინ განუშადის წკმისა სასტიკისა დინებაჲ და გზაჲ ნა-ღირთაჲ!

28. ვინ არს წკმისჲ მამაჲ, ანუ ვინ არს, რომელმან შენა შენთნი ნათლისანი?

29. ვისისა მუცლისაგან გამოვალს მყინვარი, ანუ ნეფხვაჲ ცათა შინა?

30. ვინ შვა, რომელი გარდამოვალს ვითარცა წყალი მდინარჲ, ანუ პირნი უღმრთოთანი ვინ დაადუმნა?

31. გულისხმა-გიყოფიანა საკრველნი კომთაჲ, ანუ ზღუდენი ორიონთანი შენ განახუნენ?

33. ანუ იცნი-მეა საქცეველნი ცოსანი, ანუ ცაჲსა ქუეშე ერთბა-მად რაოდენნი ქმნულ არიან?

34. უწოდია ღრუბელთა კმითა [205] და ძწოლით წყლითა მრავ-ლითა მძაფრითა გერჩდენ შენ?

35. ანუ წარ-მე-ავლინნეა მეხის-ტეხანი? წარვიდენ და გრქუან შენ: აჲ ვართ.

36. ანუ ვინ მოსცა დედათა სიბრძნჲ ქსელისაჲ გინა ჳრელისა მე-ცნიერებაჲ?

37. ანუ ვინ აღრაცხნა ღრუბელნი რიცხვთა და ცანი ქუეყანად მო-დრიკნა?

38. განფენილ არს ვითარცა მიწაჲ მტუერი, შევამტკიცე იგი ვი-თარცა ლოდი საკუბოჲ.

39. ანუ შენ უნადირე ლომთა საზრდელი და სულნი ვეშაპთანი გა-ნაძდენ,

40. და შიშნეულ არიან, საწოლსა თვისსა ზედა სხენან იგინი მა-ღნარსა შინა და მზირიან?

41. ანუ ვინ განუშადა ყორანსა საზრდელი, რამეთუ მართუენი მისნი უფლისა მიმართ დადადებენ, შეცთომილნი საზრდელსა ეძი-ებენ?

24. ქუეშე. 31. ორიონთანი ურენთანი. 33. ქუეშე.

1 26-ე და 27-ე მუხლების ტექსტი არ მოიპოვება.

2 32-ე მუხლის ტექსტი არ მოიპოვება. შდრ. იობ. 9, 9.

თ ა ვ ი 39

1. უკუეთუ სცნა ჟამი შობისა ირემ-ვაცთაჲ კლდეთა შინა, ანუ შენ დაუმარხე სალმობაჲ ირემთაჲ?

2. და აღრაცხენ თთუენი შობისა მისისანი სავსებით, ანუ სალმობანი მათნი განჰქანენ?

3. და განუზარდენ მართუენი მისნი თვნიერ შიშისა და სალმობანი მათ მოუვლინენ?

4. დასთხიენ შვილნი მათნი, განმრავლდეს შობითა, განვედენ და არა მოაქციონ თავით თვისით.

5. ანუ ვინ განუტევა კანჯარი თავისუფლად და საკრველნი მისნი განჰსნა?

6. ვჟავ საზრდელად მათა უდაბნოჲ და საყოფლად მათა ქუეყანაჲ მარილოანი.

7. ეკიცხვენ სიმრავლესა ქალაქისასა, ბრალობაჲ ხარკის მკრებელთაჲ არა ესმინ.

8. და განიმსტოვრნის მათანი საძოვრად მისა და შემდგომად კუალსა ყოვლისა მდღლომასასა ეძიებნ.

9. ანუ ინებოს-მეა მართორქამან მონებად შენდა ანუ დაწოლად ბაგასა შენსა?

10. ანუ შე-მე-უ[ვ]კრა საბლითა უღელი მისი, ანუ ზიდვიდეს ურნატა შენსა ველსა ზედა?

11. ვინა ესვიდე მას, რამეთუ დიდ არს ძალი მისი და მიუტეო მას საქმე შენი?

12. გრწამსა, ვითარმედ მოგაგოს თესლი შენი და შეილო იგი კალოსა შენსა?

13. ფრთითა განსცხრებინ მჭურინავი, უკუეთუ მიუდგეს სირაქლემი და იხვ.

14. რამეთუ დაუტევის ქუეყანასა ზედა კუერცხნი თვისნი, მიწასა შინა აცხობნ.

15. და დაავიწყდა, სადა-იგი დააბნია, და მკეტთა ველისათა დათარგუნიან.

16. განფიცხნეს შვილნი მისნი, ვითარცა არა მისნი, ცუდად დაშურა თვნიერ შიშისა.

17. რამეთუ დაადუმა ღმერთმან მის ზედა სიბრძნე და არა განუწესა მას გულისხმის-ყოფაჲ.

18. ეამად-ეამად სიმაღლესა აღიმადლის, ეკიცხვენ ცხენსა და ზედა-მჭდომელსა.

19. ანუ შენ შეკმოსე ცხენსა ძალი და შეარტე ქელსა მისსა შიშა?
20. და შეასხ მას საჭურველი და დიდებამ მკერდსა მისსა და კადნიერებამ?
21. აღმოიფხურინ ფერკითა ველსა ზედა, იზახებნ და განვალნ ველად ძალითა.
22. შემთხუევასა იარისასა ეცინინ და არა გარე-იქცის მახვლი-საგან.
23. მის ზედა ოხრინ მშვლდი და მახვლი ლახურისა და თორ-ნისა ძრვამ.
24. და რისხვითა განრყუნის ქუეყანამ და არა ჰრწამნ, ვიდრემ-დის დაჰბეროს ნესტუმან.
25. ნესტუმან რამ აუწყის, თქვს, ვითარმედ: ვაშა! შორითვე ეცის სული ბრძოლისამ, ზედა-მისლვამ და ლაღდებამ.
26. ანუ შენითა სწავლითა დადგის ქორი, განიპყრის ფრთენი თხსნი და შეუძრველად დგან, ხედავენ ჩრდილოთთ კერძო?
27. ანუ შენითა ბრძანებითა ამალდის ორბი და ყანჩი და დაჯდის მართუეთა ზედა
28. და იქცევენ მწუერვალთა [206] ზედა კლდისათა და ფარულად მუნ არნ.
29. და ეძიებნ საზრდელსა: შორს თუ არნ, თუალნი მისნი ხედვენ.
30. და მართუენი მისნი შეიბლალნიან სისხლითა; სადაცა არნ მძო-რი, მეყნეულად მუნცა იპოვნიან.
31. და მიუგო უფალმან ღმერთმან იობს და ჰრქუა:
32. აწ ნუუკუე სასჯელსა შემძლებელისა თანა ერიდები? რომელი ამხილებდეს ღმერთსა, მიეგოს მას სიტყუამ.
33. მიუგო იობ, და ჰრქუა უფალსა:
34. რამსა-და მე ვისაჯები სწავლასა შინა და ვამხილებ უფალსა და მესმნეს ესოდენნი-ესე არარასა ამას და მე რამ სიტყუამ უპოო ესოდენისა მიმართ? კელი დავიდვა პირსა ჩემსა.
35. ერთ-გზის ვიტყოდი და მეორედ არღარა შევესძინო.

იგავნი სოლომონისნი

თ ა ვ ი 1

1. [382] იგავნი სოლომონისნი, ძისა დავითისნი, რომელი მეფობდა ისრაჲლსა ზედა.

2. ცნობად სიბრძნისა და სწავლულებისა, ცნობად სიტყუათა გონიერებისათა

3. და შეწყნარებად ქცევითა სიტყუათა, ცნობად ჭეშმარიტებისა და სიმართლისა და სასაჯელთა წარმართებად.

4. რადათა მისცეს უმანკოთა მეცნიერება და ყრმათა ჩხვლთა გულსხმის-ყოფად და მეცნიერებად.

5. რომელთაჲ ისმინოს ბრძენმან და უბრძნჭს იყოს, ხოლო გულისხმის-მყოფელმან მოლუაწებად მოიგოს.

6. ცნას იგავნი, დაფარულნი სიტყუანი, თქმულნი ბრძენთანი, და იგავნი.

7. დასაბამი სიბრძნისაჲ — შიში უფლისაჲ; გულისხმა კეთილ ყოველთა, რომელთა ყონ იგი; და მსახურებაჲ მისი კეთილ ღმრთისა მიმართ; შიში უფლისაჲ — დასაბამი ცნობისაჲ; სიბრძნე და სწავლულებაჲ უცებთა შეურაცხ-ყვიან.

8. ისმინე, შვილო, სწავლაჲ მამისა შენისაჲ და ნუ განეშორები შჯულსა დედისა შენისასა.

9. რამეთუ გვრგვინი მადლისაჲ დაიდგა თავსა შენსა და მანიაკი ოქროსაჲ — ყელსა შენსა.

10. [65] შვილო, ნუ გაცთუნებენ შენ კაცნი უღმრთონი, ნუცა ინებებ მათ თანა.

11. გლოცვიდენ დათუ და გეტყოდინან: მოვედ ჩუენ თანა და გუეზიარე სისხლთა და დავარწყუთ ქუეყანასა სიცრუევით სისხლი უბრალოჲ

12. და შთავთქათ იგი ვითარცა ჯოჯობეთმან ცხოველი და აღვალთ ქუეყანით საცხენებელი მისი

13. და მონაგები მისი მრავალფერი ჩუენ დავიპყრათ და აღვაკნეთ სისხლნი ჩუენნი ნატყუენავითა,

14. ნაწილი შენი შემოპრიე ჩუენ თანა და ზოგად პავასიკი მოვიგოთ ყოველთა, ვაშქარანი ერთი იყავნ ჩუენ ყოველთაჲ,

15. ნუ ხუალ გზასა მათ თანა, შიაკციენ ფერკნი შენნი ალაგთა მათთაგან.

17. რამეთუ არა ცუდად დაურწყიან მახჷ მფრინველთ[ა].

18. რამეთუ იგინი, რომელნი კაცის კლვისა ზიარ არიან, იუნჯებენ თავისა თვისისა ძვრსა; ხოლო დაქცევაჲ კაცთა უღმრთოთაჲ ბოროტ არს.

19. ესე გზანი არიან ყოველთანი, რომელნი აღასრულებენ უსჯულთაჲსა, რამეთუ უღმრთოებითა მათითა სულნი თჳსნი წარაწყმდინიან.

20. [71v] სიბრძნჷ გამოსავალთა იქებინ და უბანთა ზედა განცხადებულეზაჲ მოსცის.

21. მწუერვალსა ზედა მათათასა იქადაგებინ და ბჳეთა ზედა ქალაქისათა კაღნიერად იტყუნ:

22. რაოდენ ჟამ უმანკოთა აქუნდეს სიმაართლჷ, არა ჰრცხუენოდის? ხოლო უგუნურნი იგი გინებისა არიან გულს-მთქუმელ, უშასახურებელ იქმნეს და მოიძულეს მეცნიერებაჲ და თანა-მღებ იქმნეს მხილებასა.

23. აჰა ესერა წინა-გითქუამ თქუენ სულისა ჩემისა თქუმულთა და გასწაო თქუენ სიტყუაჲ ჩემი:

24. რამეთუ გიწოდე, და არა ისმინეთ; და განვაგრძვენ სიტყუანი ჩემნი, და არა მერჩდით.

25. არამელ შეურაცხ-ჰყვენით ზრახვანი ჩემნი და მხილებათა ჩემთა არა მომხედეთ.

26. აწ უკუე მეცა გეცინოდი თქუნსა წარწყმედასა და მომცხრებოდის, რაჟამს მოიწიოს თქუენ ზედა შფოთი მეყსეულად.

27. ხოლო დაქცევაჲ მსგავსად ნიავ-ქარისა მოგიცდეს თქუენ, ანუ ოდეს მოგიცდეს თქუენ ჰირი და გარე-მოდგომაჲ მტერთაჲ.

28. იყოს, ოდეს მხადოთ, და მე არა ვისმინო თქუენი; მეძიებდეთ მე უკეთურნი და არა მპოოთ.

29. [72] რამეთუ მოიძულეს სიბრძნჷ და შიში ღმრთისაჲ არა გამოიძიეს.

30. არცა ინებეს ბაგთა ჩემთა სიტყუათა მორჩილებაჲ და შეურაცხ-ყვნეს მხილებანი ჩემნი.

31. ამიერითგან ჰამდენ იგინი გზათა თჳსთა ნაყოფსა და თჳსითა უღმრთოებითა განძლენ იგინი.

32. რამეთუ ავნებდეს ჩჩკლთა, მოწყდენ და განკითხვამან უღმრთონი მოსრნეს.

33. ხოლო რომელმან ისმინოს ჩემი, მან დაიმკვდროს იგი სასოებით და დაადგრეს უშიშად ყოვლისაგან ბოროტისა.

თ ა ვ ი 2

1. [96v] შვილო, უკუეთუ შეიწყნარე სულისა ჩემისა თქმულნი მცნებანი და დაიფარე შენ თანა,

2. და ერჩდე სიბრ[97]ძნესა ყური შენი, და წინა-აუწყნე იგინი სასწაულებად ძესა შენსა და მისცე გული შენი გულისხმის-ყოფასა.

3. უკუეთუ სიბრძნესა ხალოდი, გულისხმის-ყოფასა მისცე კმაე შენი.

4. და უკუეთუ გამოეძიებდე მას...

5. მაშინ გულისხმა-ჰყო შიში უფლისაჲ და მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ ჰპოო.

6. რამეთუ უფალმან მოსცის სიბრძნე, და პირისა მისისაგან არს მეცნიერებაჲ.

7. და დაუუნჯის ცხორებაჲ, რომელთა წარიმართნიან, შეეწიოს სლვასა მათსა.

8. დაცვად გზათა სიმართლისათა და გზანი მოშიშთა მისთანი დაიცვნის.

9. მაშინ გულისხმა-ჰყო სიმართლჲ და მსჯავრა და წარიმართნე ყოველნი გზანი კეთილისანი.

10. უკუეთუ მოვიდეს სიბრძნე გონებასა შენსა და მეცნიერებაჲ სულსა შენსა, კეთილის ყოფაჲ განდეს,

11. და ზრახვამან კეთილმან დაგიცვეს შენ, და გონებამან წმიდამან დაგმარხოს შენ,

12. რამეთა გიჟსნეს შენ გზისაგან ბოროტისა და კაცისაგან, რომელი იტყოდის არა-სარწმუნოსა.

13. ვაჲ, რომელთა დაუტევენს გზანი ნათელნი და ვიდოდეს ალაგთა ბნელისათა.

14. რომელნი იხარებენ უკეთურებასა ზედა და უხარის გულარძნილებასა ზედა ბოროტსა.

15. რომელთანი გზანი მათნი დრკუ არიან, და გულარძნილ არიან ალაგნი მათნი,

16. რამეთა განგაშორონ შენ გზისაგან წრფელისა და უცხო გყონ შენ

სიმართლისაგან გონებისა. [37] შვილო, ნუ გეწევინ ზრახვამ ბოროტი,
17. რომელმან-იგი დაუტევს ზრახვამ სიკაბუკისაჲ

18. და შჯული საღმრთომ დაივიწყეს. რამეთუ დაიდგნის სიკუდი-
ლისა თანა სახლი მისი, და ჯოჯოხეთს შინა ნაშობთა თანა ქუეყანისა-
თა — ალაგნი მისნი.

19. ყოველნი, რომელნი ვლენან მას შინა, არა მიიქცენ, არამედ
ინანდენ და ვერ ეწინენ ალაგთა სიწრფოებისათა, რამეთუ ვერ ეწიოს
მათ წელიწადი ცხორებისაჲ.

20. უკუეთუმცა სრულ იყვნეს ალაგთა კეთილთა, ეპოვნესმცა გზა-
ნი სიმართლისანი წრფელნი.

21. რამეთუ წრფელთა დაიმკვდრონ ქუეყანაჲ, და წმიდანი ჰამდენ.

22. ხოლო გზანი უღმრთოთანი ქუეყანით მოისრნენ, და უსჯულო-
ნი განვიდენ მსგან.

თ ა ვ ი 3

1. შვილო, შჯულსა ჩემსა ნუ დაივიწყებ, სიტყუანი ჩემნი დაიმარ-
ხენ გულსა შენსა.

2. რამეთუ სიგრძელჲ ჟამთაჲ და წელნი ცხორებისა შენისანი და
მშვიდობისანი შეგეძინენ.

3. მოწყალეზანი და სარწმუნოებანი ნუ მოგაკლდებიედ, და შეიბენ
იგინი ყელსა შენსა და ჰპოო მადლი.

4. წინამწარ განიზრახვედ კეთილსა წინაშე ღმრთისა და კაცთა.

5. იყავ შენ მოსავ ყოვლითა გულითა შენითა უფლისა და სიბრძ-
ნესა [შენსა] ნუ აჰყვები.

6. ყოველთა გზათა შენთა იცან იგი, რამთა წარგიმართნეს იგინი და
გზანი შენნი მართალ ყვნეს, და ფერჯი შენი არა წარსცე.

7. ნუ იქმნები ბრძენ თავით თვისით, გეშინოდენ უფლისა და მოი-
ქეც ყოვლისაგან ბოროტისა.

8. მაშინ კურნებაჲ იყოს კორცთა შენთაჲ და მოლუაწებაჲ [V]
ძუალთა შენთაჲ.

9. პატივ-ეც უფალსა შენთა ნაშრომთაგან სიმართლისათა და შე-
წირე პირველთაგან ნაყოფთა შენთა სამართალთა;

10. რამთა აღივსნენ საუნჯენი შენნი სიმადღრითა იფქლისაჲთა, და
საწნეხელნი შენნი ღვნითა გარდაეცნენ.

11. შვილო, ნუ უდებ იქმნები სწავლასა უფლისასა:

12. რამეთუ რომელი უყუარ უფალსა, სწავლის, და ტანჯის ყო-
ველი შვილი, რომელი შეიწყნარის.

18. სახლი]სახელი.

8, 2. სიგრძელ]სიბრძნე.

3. შეიბენ]ინებენ.

8. შენთა (1).

10. საუნჯენი.

13. ნეტარ არს კაცი, რომელმან პოს სიბრძნე, და მოკუდავან რომელმან იხილა გონიერება.

14. რამეთუ უმჯობესს არს იგი მოგებად ვიდრე ოქროსა და ვეცხლისა საუნჯეთა.

15. უპატიოსნესს არს იგი ანთრაკთა პატიოსანთა, არა უკდების მას არცა ერთი ბოროტი; კეთილისა ცხად არს ყოველთა, რომელნი მიეპლესიან მას; ყოველი პატიოსანი ვერ ესწორებოდა მას.

16. რამეთუ სიგრძელს უამთად და წილნი ცხორებისანი — მარჯუენით მისა, და მარცხენით მისა — სიმდიდრეს და დიდებას. პირისა მისისაგან გამოვალს სიმართლეს; შჯული და წყალობა ენასა მისსა კმოსიეს.

17. გზანი მისნი — გზა კეთილ, და ყოველნი ალაგნი მისნი — მშვიდობით.

24. [109] უკუეთუ სჯდე უშიშად, უშიშად სჯდე, და თუ გეძინოს განსუენებით, განსუენებით გეძინოს.

25. და არა გეშინოდის შენ შეძრწუნებისაგან მომავალისა, არცა ზედა-მოსლვასა, უღმრთოთა ზედა მოწვეწულსა.

26. რამეთუ უფალი იყოს ყოველთა გზათა შენთა და დაამტკიცენს ფერკნი შენნი, რაჟათა არა შეიძრა.

27. ნუ დააყენებ კეთილის ყოფასა ნაკლულევანისასა, რაჟამს აქუნდეს კელსა შენსა [v] შეწვენად.

28. ნუ ეტყვი: „წარკვედ აწ და ხვალე მოვედო და გცი“, ძალ-თუ-გედვას კეთილის ყოფად შენ.

29. და ნუ ჰზრახავ მეგობრისა შენისათვის ძვრსა, რომელი შეყოფილ და მოსავ იყოს შენდა.

30. ნუ მტერ-მოყუარე ექმნები კაცსა ამოსა, ნუუკუე გაქმნიოს ბოროტი.

31. ნუ მოიგებ კაცსა ბოროტსა მაყუედრებულად, ნუცა ჰბაძავ გზასა მათსა,

32. რამეთუ არა წმიდა არს წინაშე უფლისა და მართალთა თანა არა დაადგრის იგი.

33. წყევამ უფლისა სახლსა შინა უღმრთოთასა, და საყოფელნი მართალთანი იკურთხენ.

34. უფალი ამპარტავანთა შეკმესრავს, ხოლო მდაბალთა მოსციის მაღლი.

35. დიდება ბრძენთა დაიმკვდრონ, ხოლო უღმრთოთა აღიმადლეს გინება.

15. არა]არა. 16. სიგრძელ]სიბრძნე, მარჯუენით, გამოვალს]გამოვლენ. 28. მოყუ-
დო]მოყედო, ძალ-თუ-მედვას. 30. მტერ-მოყუარე. 35. გინება]გონება.

თ ა მ ი 4

1. ისმინეთ ყრმათა სწავლად მამასად და ერჩდით ცნობად გულისხმის-ყოფასა.
2. რამეთუ ნიქსა კეთილსა მოგანიჭებ თქუენ. შჯულსა ჩემსა ნუ დაივიწყებთ და დაუტეობთ.
3. რამეთუ შვილი ვიყავ მეცა მამისად, მორჩილი, და საყუარელ წინაშე პირსა დედისასა,
4. რომელნი მსწავლიდეს მე და მეტყოდეს მე: და დასჯერდინ სიტყუად ჩემო-გულსა შენსა, და დაიცვენ მცნებანი და ნუ დაივიწყებ;
5. ნუცა უგულვებელს-ჰყოფ სიტყუათა პირისა ჩემისათა;
6. ნუცა დაუტევებ მათ, და შეგეწინენ შენ; ეტრფიალუ მათ, და დაგიცვეს შენ¹.
8. გარე-მოიზღუდენ იგინი, და აღგამაღლონ შენ; პატივ-ეც, რაჟთა შეგიწყნაროს შენ
9. და მოსცეს თავსა შენსა გვრგვნი მადლისად და გვრგვნითა ღიდებისადთა შეგამკოს შენ.
10. [135] ისმინე, შვილო, და შეიწყნარენ სიტყუანი ჩემნი, და განმრავლდენ წელნი ცხორებისა შენისანი, რაჟთა იყვენენ შენდა მრავალგზა ცხორებისა.
11. რამეთუ გზანი ცხორებისანი გასწავენ შენ [V] და დაგაწესენ ალაგნი სიმართლისანი.
12. უკუეთუ ხვლოდი, არა დაგეჰსნენ სლვანი შენნი; და ჰრბიოდი თუ, არა დაშურე.
13. ეკრძალე სწავლასა შენსა და ხუ დაუტეობ, არამედ დაჰპარხე იგი თავისა შენისა ცხორებად.
14. გზასა უღმრთოთასა ნუ ხუალ და ნუცა ჰბაძავ.
15. რომელსა ადგილსა განეწყობოდინ, ნუ მიხუალ მუნ, მოაქციენ მისგან და დაუტევენ იგი.
16. რამეთუ არა დაიძინიან, ვიდრე არა ბოროტი ჰქმნიან; მიღებულ არს ძილი მათი მათგან, და არა დაიძინიან,
17. რომელნი ეზიარებებიან საჰმლითა უღმრთოებისადთა და ღვნითა უსჯულოებისადთა დაითრენიან.
18. ხოლო გზანი მართალთანი ვითარცა ნათელნი ბრწყინვენ, წინა-უძლოდიან და განანათლებდენ, ვიდრემდის წარემართოს დღე.
19. ხოლო გზანი უღმრთოთანი ბნელ არიან და არა ცნან, ვიდრემდის წარსცენ ფერკი.

4. 8. იგინი|იგი. 16. ძილი|ძალი.

¹ მე-7. მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

20. [75] შეილო, თქმულთა ჩემთა ეკრძალე და სიტყუათა ჩემთა მიეც გონებად შენი.

21. რამეთუ არა მოგაკლდენ წყარონი შენნი და დაიმარხენ იგინთ გულსა შენსა.

22. რამეთუ ცხორებად არს, რომელთა პოონ იგი, და ყოვლისა კორციელისა ლხინებად.

23. და ყოველი საცოად დაიმარხე გულსა შინა, რომლისაგან არიან¹ გამოსავალნი ცხორებისანი.

24. მოისპე შენგან პარვად ზაკული და ცრუნი ბაგენი განიშორენ შენგან.

25. თუალნი შენნი მართლ ახედვენ და წანი შენნი სიძართლესა წამებედ.

26. ძართალ ყვენ ალაგნი ფერკთა შენთანი და გზანი შენნი წარიმართენ.

27. ნუ მიაქცევ მარჯუენით გინა თუ მარცხენით: მოაქციე ფერკი შენი გზისაგან ბოროტისა.

28. რამეთუ გზანი იგი მარჯუენითნი იცნის უფალმან, ხოლო გულარძნილ არიან გზანი იგი მარცხენითნი.

29. და მან მართალ ყვენს ალაგნი შენნი და სლვანი შენნი მშვლობით წარგემართენ.

თ ა ვ ი 5

1. შეილო, სიბრძნეთა ჩემ[ვ]თა ეძიებდი და სიტყუათა ჩემთა მიეც გონებად შენი,

2. რაფთა დაიცვე გონიერებად კეთილი. და მცენიერებასა ბაგეთა ჩემთასა გამცნებ: ნუ ჰხედავ ბოროტსა დედაკაცსა,

3. რამეთუ ვითარცა თაფლი გარდამოსდინ დედაკაცისა მეძვისა ბაგეთა, რომელმან წუთ-ერთ განაპოხოს სასაად შენი,

4. ხოლო უკუანადასკენელ უმწარძს ნავლლისა იპოოს და უმახვლძს მახვლისა ორპირისა.

5. რამეთუ უფუნურებისა ფერკთა შთაიყვანიან, რომელნი იკმევედ მას, შემდგომად სიკუდილისა ჯოჯოხეთა, და კუალნი მისნი არა მტკიცე არიან.

6. რამეთუ გზასა ცხორებისასა არა მოვიდის, და ცთომილ არიან ალაგნი მისნი და არა საცნაურ.

5. 5. მტკიცე

¹ „გულსა შინა, რომლისგან არიან“ სხვა ხელითა ჩამატებული.

7. აწ, შვილო, ისმინე ჩემი და ნუ უგულუბელს-ჰყოფ თქუმილთა ჩემთა.

8. შორს ყვენ მისგან გზანი შენნი, ნუ მიეახლები კართა სახლისა მისისათა,

9. რადთა არა წინა-უყო ცხორებაჲ შენი და მონაგები შენი უწყალოთა;

10. რადთა არა აიესნენ უცხონი ძალითა შენითა, და ნაშრომნი შენნი შევიდენ სახლთა სხუათასა.

11. და ინანდუ უკუნადასკნელ, რაჟამს განკვდენ კორცნი გუამისაგან შენისა, და სთქუა:

12. „ვითარ მოვიძულე სწავლულებაჲ და მხილებასა მიჰრიდა გულმან ჩემმან?

13. არა მესმოდა ყმაჲ მასწავლელისა ჩემისაჲ, არცაღა მივყავ ყური ჩემი.

14. და მცირედლა და ვიპოვე-მცა ყოველსა შინა ბოროტსა შორის კრებულსა და შესაკრებელსა“.

15. სუ წყალი შენთაგან ჰურჰელთა და ჯურღმულთა შენთაგან წყაროჲ.

16. გამოგიდიოდენ [წყალი] შენთა წყაროთა, და შენთა უბანთაგან დიოდედ წყალნი შენნი.

17. იყვენენ შენდა ხოლო მონაგებად და ნუვინ უცხოჲ გეზიარებინ.

თ ა ვ ი 8

4. [259] თქუენ გლოცავ, მ კაცო, და დაჟსდებ თქუენ წინაჲე ვმასა სიტყუათა ჩემთასა.

5. გულისხმა-ყავთ უმანკოთა მეცნიერებაჲ და უმეცართა დაიწერეთ [V] გულთა თქუენთა.

6. ისმინეთ ჩემი, რამეთუ სიწმიდით ვიტყვ და აღვალებ სიმაართლით პირსა ჩემსა.

7. და ჰეშმარტებასა იტყვს პირი ჩემი, და საძაგელ არიან ჩემ წინაჲე ბაგენი ცრუნი.

8. სიმაართლით არიან ყოველნი სიტყუანი პირისა ჩემისანი, და არა არს მათ შორის დრკუება და გულარძნილება.

9. ყოველივე წრფელ არს წინაჲე მეცნიერთა, და განგებულ არიან გზანი გონიერთანი.

10. შეიწყნარეთ სწავლულებად უფროს ვეცხლისა და მეცნიერებად—უფროს ოქროსა რჩეულისა¹.

11. [56v] უმჯობეს არს სიბრძნე ანთრაკთა პატროსანთა, ყოველივე პატროსნებად ვერ არს მისა ღირს.

12. [57] მე, სიბრძნემან, დაემკვდრე მეცნიერებად, ზრახვასა და გონიერებასა მივხედე.

13. შიშა უფლისასა სძულს უკეთურებად; გინებად და ანპარტავებად და ზრახვად უკეთურთად, გულარძნილნი ალაგნი მოვიძულენ.

14. ჩემი არს ზრახვად, ჩემი არს კრძალულებად, ჩემი არს გონიერებად, ჩემი არს ძალი.

15. ჩემ მიერ მეფენი მეფობენ, რძიელნი წერენ სიმართლესა.

16. ჩემ მიერ რძიელნი განდიდნებიან, ჩემ გამო იპყრობენ ქუეყანასა.

17. მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან, და რომელნი მეძიებენ, მპოონ².

19. უმჯობეს არს ჩემი მოგებად უფროს ოქროსა და ანთრაკისა პატროსნისა, ხოლო სიტყუანი ჩემნი—უფროს ოქროსა და ვეცხლისა.

20. გზათა სიმართლისათა ვალ და შორის ალაგთა მართალთა ვიქცევი.

21. რადთა განუყო მოყუარეთა ჩემთა ნაყოფი და საუნჯენი მათნი აღვაგსნე კეთილითა. უკუეთუ გითხოვდეს თქვენ დღითი დღე, რაოდენნი იქმნებიან, მოიქსენო საუკუნითგან აღრაცხად.

22. [371v] უფალმან დამამტკიცა მე დასაბამად გზათა მისთა საქმეთა თვისთა ზედა.

23. წინავე საუკუნეთა დამამტკიცა მე დასაბამსავე ვიდრე შესაქმემდე ქუეყანისა.

24. და წინავე უფსკრულთა შესაქმემდე და ვიდრე აღმოდინებამდე წყაროთა წყალთამსა.

25. და უწინარაჲს მათათა და ვიდრე ბორცუთა დამტკიცებამდე მშვა მე.

26. უფალმან დაჰბადა შჭნი და უდაბნო, კიდემდე მყოფნი ცასა ქუეშე.

27. და ოდეს განაგებდა ცათა, მის თანა ვიყავ, და ოდეს იგი აჰმართებდა საყდართა თვისთა ზედა ქართა

ბ. 21. რადთაქრომელა: საუნჯენი; დღითი დღე. 26. და დაჰბადა; ქუეშე.

¹ მც-11 მუხლის დასაწყისი სიტყვები („უმჯობეს არს სიბრძნე უფროს ანთრაკთა პატროსანთა“) ამოვიღეთ, რადგან ისინი გამეორებულია მომდევნო საკითხავის (56v) დასაწყისში.

² მე-18 მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

28. და ოდეს იგი განაძრიელებდა ღრუბელთა ზესკნელთა და ოდეს იგი კრძალულად დასხმიდა წყალთა ქუეშე ცასა.

29. რამეთუ დასდვა ზღუასა ზედა შიში თვისი, [372] რამათა არა გარდაჰყდენ ყოველნი წყალნი ბრძანებათა მისთა. ჟამსა მას, რომელსა დაამტკიცებდა საფუძველთა ქუეყანისათა, მე ვიყავ მის თანა განმგებელ.

30. და მე ვიყავ, რომლითა მხიარულ არნ უფალი მარადის, და მე ეცხარებდ წინაშე მისსა ყოველსა ჟამსა,

31. რაჟამს იგი მხიარულ იყო სოფლისა განსრულებასა ზედა და უხაროდა ძეთათვის კაცთაჲსა¹.

33. [31v] ისმინეთ სიბრძნე და მეცნიერ იქმნენით და ნუ დაჰბრკოლდებით.

34. ნეტარ არს კაცი, რომელმან ისმინოს ჩემი, და ძმ კაცისაჲ. რომელმან დაიცვნეს გზანი ჩემნი, რომელი იღვებდეს ბჭეთა ჩემთა წინაშე და სცვიდეს ზღურბლთა ჩემთა შესავალთა.

35. რამეთუ გამოსავალნი ჩემნი არიან გამოსავალ ცხორების, და აღესრულნიან ნებანი უფლისანი.

36. ხოლო რომელნი ჩემდამო ცოდვენ, უსჯულოებენ თავისა თვისისა მიმართ, [32] და რომელთა ვსძულ, უყუარს მათ სიკეთელი.

თ ა ვ ი 9

1. [172] სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და შეუდგა მას შვილნი სუეტნი.

2. და დაუკლა მას თვისი საკლველი და განზავა ტაყუკთა ღვინო და განზადა თვისი ტაბლაჲ.

3. და წარავლინნა თვისნი მონანი მოწოდებად მაღლითა კმათა ჯადაგებად განზავებულსა მას ზედა;

4. და თქუა: რომელი არს უგუნურთაგანი, მოვედით ჩემდა. და ნაკლულევანთა გონებითა ეტყოდან:

5. მოვედით, ჰამეთ პური ჩემი და სუთ ღვინოჲ, რომელი განგიმზადე თქუნ;

6. დაუტევეთ უგუნურებაჲ, რამათა სცხონდეთ, და მოიძიეთ გონიერებაჲ, რამათა განერნეთ, და წარემართენით მეცნიერებისა სწავლულბასა.

28. ქუეშე.

¹ 32-ე მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

7. რომელი სწავლიდეს უგუნურსა, მიიღოს თავისა თვისა გინებაჲ, და რომელი ამხილებდეს უღმრთოსა, საგმობელ იქმნას თავი თსა.

8. ნუ ამხილებ უგუნურსა, [V] რადთა არა მოგიძულოს; ასწავე ბრძენსა, და შეგიყუაროს შენ. უკუეთუ ასწაო უგუნურსა, შესძინოს სიძელილი შენი.

9. ეც მიზეზი სწავლისაჲ ბრძენსა, და უბრძნის იყოს; აუწყე მარათალსა, და შეიწყნაროს სწავლაჲ.

10. დასაბამი სიბრძნისაჲ არს შიში უფლისაჲ, და სწავლაჲ წმიდაჲ, გონიერებით გულისხმის-ყოფაჲ შჯულისაჲ გონებითა სწავლულთაჲ არს.

11. რამეთუ ამით სახითა მრავალ-ჟამ სცხონდეთ და შეეძინენ წელნი ცხოვრებისა თქუენისანი.

თ ა ვ ი 10

1. [76] ძემან ბრძენმან ახარის მამასა, ხოლო ძმ უგუნური მწუხარება არნ დედისა.

2. ვერ სარგებელ ეყენენ საუნჯენი უსჯულოსა, ხოლო სიმართლმან სიკუდილისაგან იცნეს.

3. არა მოაკუდიინის უფალმან სიყმილითა სული მართალი, ხოლო ცხორებაჲ უღმრთოთაჲ დაემკუეს.

4. სიგლახაკემან კაცი დაამდაბლის, ხოლო ჯელთა მკნეთა განამდიდრიან.

5. შვილი სწავლული ბრძენი არს, ხოლო უგუნური ვითარცა მონაჲ იმსახურო. განერის სიცხისაგან შვილი გონიერი, ხოლო ხორშაკეულ იქმნის კალთა ზედა შვილი უსჯულოა.

6. კურთხევაჲ უფლისაჲ თავსა ზედა მართალთასა, ხოლო პირი უღმრთოთაჲ დაფაროს გლოამან უქამომან.

7. კსენებაჲ მართალთაჲ ქებით იყოს, ხოლო სახელი უღმრთოთაჲ წარწყმდეს.

8. ბრძენმან გულითა შეიწყნარნის მცნებანი, ხოლო უღმრთოსა ბაგითა ბრკოლით შეუბრკუმეს.

9. რომელი ვალნ სიწრფოებით, ვალნ იგი სათნოებით; ხოლო რომელი განსდრეკდეს გზათა თვსთა, იგი საცნაურ იყოს.

10. [81] რომელი წამს-უყოფნ თუალითა, შეუკრებნ იგი კაცთა მწუხარებასა; ხოლო რომელი ამხილებნ განცხადებულად, იგი მშვილობასა ჰყოფნ.

11. წყაროა ცხორებისაჲ კვლსა შინა მართლისასა, ხოლო პირი უღმრთოთაჲ დაფაროს წარსაწყმედელმან.

12. სიძულელმან აღადგინის ძლევაჲ, და ყოველნი, რომელნი არა მაცილობელ არიან, იგინი დაფარნის სიყუარულმან.

13. რომელი ბაგეთაგან წარმოიღებნ სიბრძნესა, გუემნ კაცსა უგუნურსა.

14. ბრძენთა დაიმარხიან მეცნიერებაჲ...

15. ...ხოლო შემუსრვა — უძრულთა სიგლახაჲჲ¹. საქმემან მართალმან ცხორებაჲ ყვის, ხოლო ნაყოფ ურჩულთა — ცოდვაჲ.

17. გზასა — ამათ ჟამთასა სცავს სიბრძნეჲ, ხოლო გზათა ცხორებისათა სცავს უფალი, და სწავლულებაჲ უმხილუბელი სტების.

18. მტერობაჲ დაფარიან ბაგითა მართალთა, ხოლო რომელნი წარმოიღებენ გინებასა, იგინი უგუნურ არიან.

19. მრავლისა სიტყუსაგან ვერ განერნენ ცოდვილნი, ერიდებოდი, რაჲთა ბაგითა გონიერი იყო.

20. [379v] ვეცხლ რჩეულ არს ენაჲ მართლისაჲ, ხოლო გული ამპარტავანთაჲ შემოკლდეს.

21. ბაგეთა მართლისათა ყვიან სამართალი, ხოლო უგუნურნი ნაკლულევენებით მოწყდენ.

22. კურთხევაჲ უფლისაჲ თავსა ზედა მართალთასა, და მანვე განადიდოს და არღარა შესძინოს გულისა მისისა მწუხარებაჲ.

23. სიცილით იქმნ[ნ] უგუნური [380] ძვრსა, ხოლო ბრძენი კაცი ზრახვენ გულისხმის-ყოფასა.

24. წარსაწყმედელად იქცევიან უღმრთოჲ, ხოლო გულის-თქუმაჲ მართალთაჲ სათნო არს.

25. მობერვასა ნიავ-ქარისასა წარწყმედეს უღმრთოჲ, ხოლო მართალმან მოპრიდოს და ცხოვდეს უკუნისამდე².

27. [155v] შიშმან უფლისამან შესძინოს დღეთა, ხოლო წელნი უღმრთოთანი შემციოდენ.

28. ყოვნის მართალთა ზედა სიხარულმან, ხოლო სასიოებაჲ უღმრთოთაჲ წარწყმედეს.

29. ზღუდე წმიდათა — შიში უფლისაჲ, ხოლო შემუსრვაჲ — მოქმედთა ძვრისათა.

30. მართალი უკუნისამდე არა შეირყიოს, ხოლო უღმრთოთა ვერ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ.

12. იგინი-იგი. 29. ზღუდე.

¹ მე-14 მუხლის მეორე ნახევარი და მე-15-ის პირველი ნახევარი არ მოიპოვება.

² 26-ე მუხლის ტექსტი არ მოიპოვება.

31. პირსა მართლისასა გამოვალნ სიბრძნე, ხოლო ენაჲ უწესოა შეიმუსროს.

32. ბაგეთა მართლისათა აღმოადინონ მადლი, და პირნი უღმრთოთანი დაიყვნენ.

თ ა ვ ი 11

1. სასწორნი სიცრუვისანი ბილწ არიან წინაშე უფლისა და სასწორი მართალი სათნო არს წინაშე მისსა.

2. სადა არს გინებაჲ, მუნცა არს შეურაცხებაჲ; პირნი მართალთანი ზრახვენ სიბრძნესა.

3. სისრულე უძლოდის მართალთა¹, დაბრკოლებამან თავი მოთენი დაამკუნის.

4. ვერ სარგებელ ეყოს ფასი დღესა რისხვისასა, ხოლო სომართლემან იცსნეს სიკუდილისაგან.

7. [2] აღსრულებასა კაცისა მართლისასა არა წარწყმდეს სასოებაჲ მისი, ხოლო სიქადული უღმრთოთაჲ წარწყმდეს.

8. მართალი კაცი მონადირეთაგან განერის და მის წილ შეიპყრას უღმრთოა.

9. პირმან კაცისა უსჯულომასმან საფრცქ დაუგის მოყუასა თვისა, ხოლო სიბრძნე კაცისა მართლისაჲ წარემართის.

10. სახიერებითა კაცთა მართალთათა განაწესა ქალაქი, ხოლო წარწყმედასა კაცთა უღმრთოთასა იყოს სიხარული.

11. კურთხევითა მართალთათა აღემართის ქალაქი, ხოლო პირითა უღმრთოთათა დაემკვს.

12. კაცმან უგუნურმან შეურაცხ-ყენის მოქალაქენი თვისნი, ხოლო კაცსა ბრძენსა დუმილი ჰმატინ.

13. კაცმან უგუნურმან ამხილის ზრახვაჲ სასჯელსა შინა, ხოლო კაცმან ბრძენმან სულგრძელებით დაიმარხის ზრახვაჲ.

17. [80v] სულსა თვისსა კეთილი უყვის კაცმან მოწყალემან. ხოლო განხრწნის კორცნი თვისნი უწყალომან.

18. უღმრთომან ქმნის საქმე სიცრუვისაჲ, ხოლო თესლი მართალთაჲ — სასყიდელი ქეშმარიტებისაჲ.

19. შვილი მართალი იშვის ცხორებად, ხოლო დევნულებაჲ უღმრთოთაჲ — სიკუდიდ.

11. 12. მოქალაქენი.

¹ „სისრულე უძლოდის მართალთა“. ეს სიტყვები სხვა ხელთა ზემოდან დაწერილი, ხელნაწერში კი არის; „სისულელე უძლოდის მათ“. გასწორება მართებულია.

20. საძაგელ უფლისა — გულარძილნი გზანი, შეწყნარებულ მისა — ყოველნი უბიწონი.

21. რომელმან კელი კელსა მისცეს სიცრუეთ, არა უტანჯველ იყოს: ხოლო რომელი სთესვიდეს სიმართლესა, მოიღოს სასყიდელი სარწმუნოჲ.

22. ვითარცა საყური ნიკველსა ღორისასა, დედაკაცსა სახებოროტსა — სიკეთჲ.

23. გულის-თქუმაჲ მართლისაჲ ყოველივე კეთილ, ხოლო სასობაჲ უღმრთოთაჲ წარწყმდეს.

24. არიან, რომელნი თესლსა სთესვენ და უფროჲსსა შეიკრიბენ; და არიან, რომელნი შეიკრიბენ სხუათასა¹ და მოაკლდების.

25. სული კურთხეული ყოველივე წრფელ, ხოლო კაცი გულმწყრალი არა შეუენიერ.

26. რომელმან შეიკრძალოს იფქლი, დაუშოინ იგი წამართ, და რომელი ძნელად ჰყოფდეს იფქლსა, ერის წყეულ იყავნ; ხოლო კურთხევაჲ უფლისაჲ თავსა ზედა უხვსასა.

27. რომელი იქმოდის კეთილსა, ეძიებს მადლსა კეთილსა, ხოლო რომელი გამოეძიებს ბოროტსა, ეწიოს მასვე.

28. რომელი ესვიდეს სიმდიდრესა, დაეცეს; ხოლო რომელი ეწეოდის მართალსა, იგი გამობრწყინდეს.

29. რომელი არა თანა-შეეზავებოდის სახლსა თვისსა, მან დაიმკვდრნეს ქარნი, და ჰმონებდეს უგუნური ბრძენსა.

30 [15] ნაყოფისაგან სიმართლისა აღმოსცენდეს ხმ ცხორებისაჲ; მიეხუნენ უქამოსა სულნი უღმრთოთანი.

31. უკუეთუ მართალი ძნიად განერეს, უღმრთოჲ იგი და ცოდვილი სადალა იპოვნენ?²

თ ა ვ ი 12

1. რომელსა უყუარდეს სწავლაჲ, უყუარს მას გონიერებაჲ; ხოლო რომელსა სძულდეს მხილებაჲ, იგი უგუნური არს.

2. უმჯობეს არს, რომელმან პოა მადლი უფლისა მიერ; ხოლო კაცსა უსჯელოსა დაეყოს პარი.

3. არა წარემართოს კაცსა უსჯოლოებითა; ხოლო ძირნი მართალთანი არა აღიფხურნენ.

22. სახმბოროტსა.

¹ „სხუათასა“ სხვა ხელითაა ჩამატებული.

² 11,30—31-ის ტექსტი 80v-ს მარჯვენა აშიაზე გვიანდელი (მე-18) საუკუნის მებდოელი ხელით არის ჩამატებული.

4. ღედაკაცი მენც და გონიერი გვრგვნი არს ქმრისა თვისისა!...
5. [92] გულის-სიტყუანი მართალნი მსჯავრ არიან, ხოლო უღმრთონი აწურთიდენ ზაკუვასა.
6. სიტყუანი უღმრთოთანი ზაკუევით, ხოლო პირმან მართალმან [v] იგნნეს იგინი.
7. ვიდრეცა მიიქცეს უღმრთოთ, განიხრწნეს, ხოლო სახლნი მართალთანი დაადგრენ.
8. პ-რი გონიერი იქებოდის კაცთაგან, ხოლო გულ-სნეული იგი შეურაცს-იქმნეს.
9. უმჯობეს არს კაცი, რომელი შეურაცხებასა შინა ჰმონებდეს თავსა თვისსა, ვიდრე რომელი პატივისა ეძიებდეს და ნაკლულევან იყოს პურითა.
10. სწავლობნ მართალი სულთა საცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწილნი უღმრთოთანი უწყალო.
11. რომელი იქმოდის თვისსა ქუეყანასა, განძლეს პურითა, ხოლო რომელი შეუდგენ ამოებასა, უგუნურ არიან, რომელთა დასჯერებიეს ღვინოსა ზედა ქცევამ, საყოფელთა შინა თვისთა დაუტეოს საყუედრელი.
12. გულის-თქმანი უკეთურისანი ბოროტ არიან, ხოლო ძირნი ღმრთის მსახურთანი — ძირილებათა შინა.
13. ცოდვისაგან ბაგეთამსა შევარდეს საფრკესა ცოდვილი, ხოლო მართალი ვანერეს მისგან. ხოლო რომელი ხედვიდეს სიწრფოებათ, შეიწყალოს; ხოლო რომელი შემთხვოს ბჭეთა ზედა, მან აჭირვოს კაცსაცა.
14. ნაყოფისაგან სული კაცისა განძლეს პურითა, და მისაგებელი ბაგეთამ მოეცეს მას.
15. ვზანი უგუნურთანი მართალ ჩანედ წინაშე მათსა, ხოლო ერჩინ ზრავასა ბრძენი.
16. უგუნური იგი დლით დღედ მოუთხრობნ რისხვასა, ხოლო იფარავნ უპატიობასა გონიერი.
17. განცხადებული სარწმუნოება მიუთხრის მართალმან, ხოლო მიწამც ცრუთამ — ზაკულ.
18. არიედ, რომელი იტყვედ განმკუთებელ ვითარცა მახვლი; ხოლო ენამან ბრძენმან განკურნის.
19. ბაგეთა მართალთამან წარიმართიან წამებად, ხოლო მოწამელსა ცრუსა ენამ აქუნ ცრუდ.

12. 13. საფრკესა.

1 მგ-12 თავის მე-4 მუხლის მეორე ნახევარი არ მოიპოვება.

20. ზაკუვად გულსა შინა მოქმედსა ძკრისასა, ხოლო რომელსაა ჰნებას მშკდობისა ყოფად, იხარებენ.

21. არა სთნავს სამართალსა [93] არარად ცრუად, ხოლო უღმრთონი განძღენ ბოროტითა.

22. საძაგელ უფლისა ბაგენი მზაკუევარნი, ხოლო რომელმან ყვის სარწმუნობადა, შეწყნარებულ მის ნიერ.

23. კაცი გულისხმის-მყოფელი საყდარი არს მეცნიერებისადა, ხოლო გული უგუნურთადა შეემთხვოს წყევასა.

24. კელმან რჩეულთამან დაიპყრას ადვილად, ხოლო ზაკულნი იგი იყვნენ წარტყუენულ.

თ ა ვ ი 14

27. [235] ბრძანებადა უფლისადა — წყარო ცხორებრს, და გარე-მოაქციის საფრკისაგან მაკუდინებელისა.

28. ერ-მრავლობადა დიდება არს შარავანდელისა, ხოლო შემცირებადა ერისადა შემუსრვადა არს ძრეელისადა.

29. კაცი სულგრძელი მრავალ-გონება არს, ხოლო სულმოკლქ დიდად უგუნურ არს.

30. კაცი დაშნი მკურნალ არს გულისა, მღილ ძარღუთა არს გულს-ზრახვადა კაცისადა.

31. რომელი ავნებდეს გლახაკსა, განარისხოს შემოქმედი თვისი, ხოლო რომელმან აღიღოს გლახაკი, პოოს მან წყალობადა.

32. უკეთურებითა თვისითა [v] განვარდეს უღმრთოდა, ხოლო რომელსა აქუნდეს თავისა თვისისა სიწმიდქ, იგი მართალი იყოს.

33. გულსა კაცისა უხვსასა დაადგრის სიბრძნქ, ხოლო გული უგუნურისადა ვერ საცნაურ იყოს.

34. სიმართლემან ნათესავნი აღმართნის, ხოლო ცოდვამან ნათესავნი შუამცირნის.

35. სათნო არს წინაშე შარავანდელისა კაცი გონიერი და თვისითა კისკასობითა განიშორის გინებადა.

თ ა ვ ი 15

1. მრისხანებამან წარწყმიდის კაცი გონიერიცა: ხოლო სიტყუამან ქუემომან გარე-წარკადის რისხვადა, სიტყუამან ფიცხელმან აღადგინის გინებადა.

2. ენადა ბრძენთადა იტყვნ კეთილსა, ხოლო პირი უგუნურთადა იტყვნ ყოველსა ეამსა ძკრსა.

3. ყოველსა ჟამსა თუალნი უფლისანი ხედვენ კეთილსა და ბოროტსა.

C

4. ხოლო კურნებაჲ ენათაჲ ხე ცხორების არს; და რომელთა აქენდეს იგი, აღივსოს სულითა¹.

4

4. [95v] კურნებაჲ ენათაჲ ხმ ცხორების არს, ხოლო რომელმან დაიმარხოს იგი, განძღეს სულითა.

5. უგუნერმან შეურაცხ-ყვის სწავლაჲ მამისაჲ, ხოლო რომელი იმარხვიდეს მცნებასა, უბრძნის იყოს. [96] გამრავლებაჲსა სიმართლისასა არნ ფრიადი ძრიელებაჲ, ხოლო უღმრთონი ყოვლად წარწყმდენ ქუეყანით.

6. სახლსა შინა მართალთასა ძალი მრავალი, ხოლო ნაყოფნი უღმრთოთანი წარწყმდენ.

7. ბაგეთა ბრძენთა ჰმოსია მეცნიერებაჲ, ხოლო გულნი უკეთურთანი არა კრძალულ.

8. მსხუერპლნი უღმრთოთანი — საძაგელ უფლისა, ხოლო ლოცვანი მართალთანი — შეწირულ მის წინაშე.

9. საძაგელ უფლისა — გზანი უღმრთოთანი, ხოლო რომელნი ხედიდენ სიმართლესა, იგინი უყუარან.

10. სწავლულებაჲ უმანკოჲსაჲ საცნაურ იყოს თანა-წარმავალთაგან; ხოლო რომელთა სძულს მხილებაჲ, [აღეს]რულნენ საძაგელად.

11. ჯოჯობეთი და წარსაწყმედელი ცხად არიან წინაშე უფლისა; რაოდენ უფროჲს გულნი კაცთანი!

12. ვერ შეიყუაროს უსწავლელმან მამხილებელი თვისი და ბრძენთა თანა არა ზრახვიდეს.

13. გულისა მხიარულისაჲ პირიცა მხიარულ არნ, ხოლო რომელნი მწუხარებასა შინა არიედ, მათი პირიცა მწუხარე არნ.

14. გული მართალი ეძიებნ ცნობასა, ხოლო პირმან უსწავლელმან ცნას ბოროტი.

15. ყოველსა ჟამსა თუალნი უკეთურნი მოელიან ბოროტსა, ხოლო სახიერნი დაეყუდნიან მარადის.

16. შჯობს მცირედი ნაწილი შიშითა ღმრთისაჲთა, ვიდრე საუნჯეთა დიდთა უშიშებით.

15. 4. ხმ. 9. იგინი იგი. 13. მწუხარმ.

¹ მე-15 თავის მე-4 მუხლის ტექსტი მომდევნო საკითხავშიც (95v) მეორდება. რადგან რელაქციულად მათ შორის სხვაობა, ორივე დატოვებულია გამოცემაში.

17. შჯობს სტუმრობა მხლითა სიყუარულითა და მადლობითა¹, ვიდრე ზუარაკთა დაკლულთაგან ბაგათაგან მტერობით.

18. კაცი გულ-მწყრალი განემზადებინ კლვად, ხოლო სულგრძელ-
ნან ყოფადი² იგი დაამშვიდოს. სულგრძელმან კაცმან დაშრიტის სას-
ჯელი, ხოლო უღმრთომან აღავზნის უფროდს.

19. გზანი უღმრთოთანი დაფენილ არიან გკლითა, ხოლო მკნეთანი
წყლტუ არიან.

32. [103v] რომელი განეშორებოდის სწავლასა, სძულს მას თავი
თვისი, ხოლო რომელი იმარხვიდეს, მოიგოს მან სიბრძნე.

33. შიში უფლისა მსწავლულება, და სიბრძნე და მთავრობა მდ-
ღებისა მოეგოს მას. ყოველნი საქმენი მდაბლისანი ცხად არიან
წინაშე უფლისა, ხოლო უღმრთონი დღესა ბოროტსა მოისრენ.

თ ა ვ ი 16

5. არა-წმიდა არს წინაშე უფლისა ყოველი მაღალი გულითა; და
რომელმან კელი კელსა მისცეს სიცრუევით, არა უბრალო იყოს. დასა-
ბამი გზისა კეთილისა საქმე სიმართლისა, სათნო არს წინაშე უფლი-
სა ვიდრე შეწირვა მსხუერპლთა.

6. ხოლო რომელი ეძიებდეს ღმერთსა. პოოს მან მეცნიერება
სიმართლისა; და რომელნი ეძიებდენ მას. პოონ მშვიდობა.

7. რამეთუ ყოველნი საქმენი ღმრთისანი სიმართლით არიან, ხოლო
დაიმარხის დღედ ბოროტისა³.

10. მეცნიერება არს ბაგეთა მეფისათა და სარჩელსა შინა არა
სცთეს პირი მისი.

11. წამი სასწორი უფლისა მიერ, რამეთუ საქმენი მისნი სასწორ
სიმართლისა.

12. საძაგელ არს მეფისა მოქმედი ბოროტისა, რამეთუ სიმართ-
ლით განემზადების საყდარი მთავრობისა.

10. 12. მთავრობისა მისისა (სხვა ხელითა მიმატებული).

¹ „სიყუარულითა და მადლობითა“ გვიანდელი ხელით არის ჩამატებული აშიაზე.

² ხელნაწერში თავიდან ყოფილა „მომშცა“, რომელიც, როგორც გაუგებარი
ფორმა, გვიანდელი ხელით ჩასწორებული ასე: „მომშ“-ის ადგილას ზემოდან „ყო-
ფად“ (ე. ი. ყოფადი) დაუწერიათ. საფიქრებელია, რომ თავდაპირველ ტექსტში
იყო ცა ნაწილაკიანი მომრშ („მომრევი“), შდრ. მრე-ყოფა „დაძლევა“ (ფს. 12,5)
ან: გარდა-მრე „მეტის-მეტი“.

³ მე-16 თავის მე-5—მე-7 მუხლების ტექსტი ბერძნული ძველი აღთქმის პარი-
ზულ (1882 წ.) გამოცემაში მე-5 მუხლად მიდის.

13. სათნო არიან წინაშე მეფისა ბაგენი მეცნეური და სიტყუანი მართალნი უყუარან.

14. გულის-წყრომაჲ მეფისაჲ — ანგელოზი მაკუდინებელი, ხოლო კაცმან გონიერმან ულხინოს მას.

15. ნათელსა შინა ცხორებისასა ძმ მეფისაჲ, ხოლო რომელნი სათნო არიან მისა, ვითარცა ღრუბელი მცხუელი.

16. მართუენი სიბრძნისანი უფროჲს და უმეტეს ოქროსა, ხოლო მართუენი გონიერებისანი ურჩეულეს უფროჲს ვეცხლისა.

17. აღაგთა ცხორებისათა მოაქციიან ბოროტისაგან, ხოლო სიგრძმ ჟამისაჲ გზანი სიმართლისანი. [104] რომელმან შეიწყნაროს სწავლაჲ, იგი კეთილსა შინა იყოს, და რომელმან დაიმარხოს მხილებაჲ, იგი განბრძნდეს. რომელმან დაიმარხნეს გზანი უფლისანი, მან დაიცუნეს სულნი თჳსნი, და რომელსა უყუარდეს ცხობებაჲ, იგი ერეოდის პირითა თჳსათა.

18. უწინარტს შემუსრვისა ძღვს გინებაჲ, უწინარტს დაცემისა — სახტ ბოროტებაჲ.

19. უმჯობტს არს მშვიდი გონებითა სიმდაბლესა თანა, ვიდრე რომელი განიყოფდეს ნატყუენავსა მაგინებელთა თანა.

20. გულსხმის-მყოფელი საქმეთა შინა მპოვნებელი არს კეთილისაჲ. ხოლო რომელი ესვიდეს უფალსა, სანატრელ იყოს.

21. ბრძენთა და გონიერთა გულისხმის-მყოფელ თქვან, ხოლო ტკბილნი იგი სიტყვთა უმეტტს სასმენელ იყვნენ.

თ ა ვ ი 18

10. [114] დიდისა ზრახვისაგან ძრიელებისა მას მოუტდენ მართალნი და ამალდენ.

11. მონაგები კაცისა მდიდრისაჲ ვითარცა ქალაქი მოზღუდვილი, ხოლო დიდებაჲ მისი ფრიალ ჰფარავს მას.

12. უწინარტს სიმდაბლისა ამალდის გული კაცისაჲ და უწინარტს დიდებისა დანდაბლდის.

13. რომელი მიუგებდეს სიტყუასა¹ ვიდრე სმენად[მდე], [უ] [v]-გუნურება² არს მისა და საყუედრელ.

14. გულის-წყრომაჲ კაცისაჲ დამშვიდო მსახურებამან გონიერმან, ხოლო სულმოკლესა კაცსა ვინ-მე დაუთმოს?

¹ „სიტყუასა“-ს სიტყუა ნაწილი ჩამატებულია სხვა ხელთ.

² „სმენადმდე“ სიტყვაში „მდე“ და „უგუნურება“-ში „უ“ ჩამატებულია სხვა ხელთ.

15. გულმან გონიერისამან მოიპოვის ცნობაჲ, და ყურნი ბრძენნი ეძიებედ გულისხმის-ყოფასა.

16. საცემელმან კაცისამან განაერცის იგი და ძრიელთა თანა დასკს იგი.

17. მართალი იგი თავისა თვისისა შემასმენელ იქმნის პირველსავე სიტყუასა; ვითარცა რაჲ დაღვას მსაჭულმან მან, ემხილოს.

18. სიტყვს-გებაჲ დააცხრვის კაცმან გონიერმან და ძრიელთა თანა განაწესის.

19. ძმაჲ ძმისა შემწჳ, ვითარცა ქალაქი ძრიელი და მალალი, და ძრიელ არს ვითარცა საშეუფოჲ მოზღუდვილი.

20. ნაყოფისაგან პირისა კაცმან განაძღოს¹ მუცელი თვისი და ნაყოფისაგან² ბაგეთა თვსთაჲსა განძღეს იგი.

21. სიკუდრილი და ცხორებაჲ კელთა შინა ენისათა; ხოლო რომელთა შეიკრძალონ, იგი ჭამდენ ნაყოფსა მისგან.

22. რომელმან პოვა ცოლი სახიერი, პოვა მან მადლი და მოილო ღმრთისაგან მხიარულებაჲ. რომელმან განაძღოს ცოლი სახიერი, განჯადოს მან კეთილი თვისი; ხოლო რომელმან დაიყენოს მომრეშე, უგუნურ და უღმრთო არს.

თ ა მ ი 19

3. [115] უგუნურებაჲ კაცისაჲ განპრყუნის ზრახვითა მისითა, და ღმერთსა აბრალეზნ გულითა.

4. სიმღიდრემან შესძინის მეგობარნი მრავალნი, ხოლო გლახაკსა მას, რომელცა უეინ, გან-ვე-ეშორის.

5. მოწამჳ მტყუვარი არა უტანჯველ იყოს, ხოლო რომელი აბრალეზდეს ნაცილად, იგი ვერ განერეს სასჯელსა.

6. მრავალნი მსახურებენ პირსა მეფისასა, ხოლო ყოველივე უკეთურ იქმნის მიკემასა მისსა და მაყუედრებელ კაცისა არს.

7. ყოველსა რომელსა სძულდეს ძმაჲ გლახაკი, ესევეთარი სიყუარულისაგანცა შორს იყოს; განზრახვაჲ კეთილი, რომელთა იციან იგი, მათა მახლობელ არს, ხოლო კაცმან ბრძენმან პოოს იგი, რომელი მრავალსა ბოროტსა იქმს, უვარებს უკეთურებასა, და რომელი აღაზრუნდეს სიტყუასა, იგი ვერ ცხონდეს.

8. რომელმან მოიპოა გონიერებაჲ, უყუარს მას თავი თვისი: და რომელმან დაიმარხოოს სიბრძნჳ, პოოს მან კეთილი.

18. 22. მომრეშე]მემრეშე.

¹ „განაძღოს“ სხვა ხელითაა ჩამატებული.

² „და ნაყოფ“ ჩამატებულია სხვა ხელით, რადგან კიდევ ჩამოხებულია ხელნაწერში.

9. მოწამს ცრუდ არა უტანჯველ იყოს¹, რომელმან აღაგზნეს ბოროტი, იგოვე წარწყმდეს.

10. არა შეპგავს უგუნურსა შეებაჲ; ეგრევე: უკუეთუ მონაჲ მთავრობდეს უფალთა, გინებით იღვენენ.

11. მოწყალს კაცი სულგრძელ არნ, ხოლო სიქადული მისი მიუჯდეს უღმრთოთა.

12. შეფისა ბრძანებაჲ მსგავს არს ბრდღუენასა ლომისასა, და ვითარცა ცუარი მწუანვილსა ზედა, ეგრეცა მხიარულებაჲ მისი.

13. სირცხვლ მამისა — შეილი უგუნური, და არა-წმინდა არიან ლოცვანი მისნი სასყიდლისაგან უცხოესა.

14. სახლი და მონაგები განუყვიან მამათა შეილთა; ხოლო უფლისა მიერ შეემთხვოს ცოლი სახიერი ქმარაჲ.

15. შიშსა შეუპყრიელ მემრუშეთა გული, და სულსა უქმთასა შილდის².

16. რომელი იმარბვილ[ეს] მცნებასა³, [v] დაიცევს სული თვისი; ხოლო რომელი უღებ იყოს გზათა თვისთა, იგი წარწყმდის.

17. ავასხის უფალსა, რომელი სწყალობნ გლახათა, და მისაცემელისაებრ მისისა მიეგოს მას.

18. განსწავლე ძმ შენი და ესრტთ იყოს სასო კეთილ. და გინებასა ნუ აღაყვანებ სულსა მისსა. უკუეთუ სცე მას კუერთხითა. არა მოკუდეს, არამედ სული მისი სიკუდილისაგან იქსნე.

19. სახმ ბოროტებისაჲთა კაცი ფრიად იზღვიოს; ხოლო უკუეთუ უსჯულოებდეს-და, სულიცა თვისი დაჰრთოს.

თ ა ვ ი 20

6. [273v] დიდ არს კაცი და პატიოსან კაცი მოწყალს; ხოლო კაცი სარწმუნოჲ ძნიად იპოოს.

7. რომელი იქცევინ სამართალსა უბოლოდ, სანატრელნი შეილნი დაუტენის.

8. რამეთუ რაჟამს მეფეს მართალი დაჯდეს საყდართა სასჯელისათა, არა დამდგრომ არს წინაშე თუალთა მისთა ყოველი უკეთური.

19. 15. მემრუშთა.

¹ „იყოს“ სიტყვის შემდეგ „უღვივის ბოროტი მოქალაქეთა“ გადაუშლიათ და „ზემოდან დაუწერიათ სხვა ხელით: „წარწყმდეს მის მიერ“. შემდეგ ამ ჩანამატზეუ ხაზი გადაუსვამთ.

² „შილდის“ ჩამატებულია სხვა ხელით ზემოდან.

³ „მცნებასა“ ჩამატებულია სხვა ხელით.

9. ვინ-მე იქადოს გულითა თვისითა, ვითარმედ: წმიდა ვარ ცოდნისაგან?

10². სასწორი დიდი და მცირე და საწყაული ორი საძაველ არს წინაშე უფლისა და, რომელთა ყონ, იგი.

11. მითვე უბრკულეს და შეპკოლდეს კაცი ჭაბუკი, ხოლო რომელი სიწმიდით ვალნ. მართალ არიედ გზანი მისნი. [274]

12. ყურთა ესმინ, თუალითა ხედავენ და უფალსა შეუქმნიან ორნივე.

13. ნუ გიყუარნ ძვრის-სიტყუად, რადთა არა შეომუსრო. აღიხილენ თუალნი შენნი და განსძლე-პურითა.

14. ძვრსა უკეთურად იტყვენ, რომელი ვალნ მას შინა, და წარმდებებით იქადინ.

15. არს ოქროდ და სიდრმე უფსკრულთად, ხოლო ჭურ პატისან არიან ბაგენი მეცნიერნი.

თ ა ვ ი 22

11. [11] უყუარან უფალსა გულითა წმიდანი, და შეწყნარებულ არიან მისა უბიწონი; ბაგითა მწყსინ მეფე.

12. და თუალნი უფლისანი მცველ არიან გზათა მისთა: განბასრის სიტყუანი კეთილნი უსჯულომან.

13. მიზეზობნ მედ[V]გარი და თქვს: ლომთა დაუპყრიან გზანი და წარსავალნი ურაკპარაკთანი — მკლველთა.

14. მთხრებლ ღრმა არს პირი უსჯულომსად; და უფლისაგან განრდომილი შთაეარდეს მას. არიან გზანი უკეთურნი წინაშე კაცთა და ჰნებავს მოქცევა მათგან: ხოლო მოქცევა ჯერ-არს ღრკუთაგან და უკეთურთა გზათა.

15. უგუნურებად აღგზნებულ არს გულსა ჭაბუკთა უსწავლელთა: კუერთხი და სწავლად განშორებულ არს მათგან.

16. რომელი მოხუეკნ გლახაკსა, განამრავლის თავისა თვისსა ძვრი, და შესძინის იგი მდიდარსა ვითარცა საწადელი.

17. სიტყუასა ბრძენთასა მიუპყარ ყური შენი და ისმინენ სიტყუანი პირისა ჩემისანი; და დაიმარხენ იგინი გულსა შენსა, რადთა სენა, რამეთუ კეთილ არიან.

¹ მე-9 მუხლში „გულითა“ და „თვისითა“ გადაუხაზეთ და ზემოდან დაეწერათ: „წმიდა ქონება ანუ ვინმე (ოქუდა)“.

² ამ გვერდზე არაა მერმონდელი რედაქტორის მიერ გაკეთებული შემდეგი: აშაზე გატანილია მუხლები სათვალავი: 6, 7, 8... 15. ტექსტის შიგნით, მუხლის დასაწყის სიტყვებს სათანადო ნიშანი უზის. ეს დაყოფა მიჰყვება 9-ის შემდეგ ახალ დაყოფას.

22. [133v] ნუ ჰმძლავრობ დარდომილსა, რამეთუ გლახაკ არს, და ნუ შე[134]ურაცხ-პყოფ უძრულსა ბქეთა ზედა,

23. რამეთუ უფალმან საჯოს სასჯელი მისი და იჯანე უზღვეველად სული შენი.

24. ნუ ექმნები მოყუას კაცსა გულ-მწყრალსა და მეგობარსა მრინ-ხანესა ნუ თანა-ექცევი,

25. ნუ უკუე ისწაფნე გზანი მისნი და მიიღო მახჭ სულნსა შენისაჲ.

26. ნუ მისცემ თავსა შენსა თავს-მღებად სირცხვლეთა პირისაჲთა.

27. უკუეთუ არა აქუნდეს, რაჲ მისცეს? განიღონ სარეცელი შენი გუერდთაგან შენთა.

29. შეუენიერი კაცი და მალჭ საქმითა თვისითა მეფეთა წინაშე ღირს დგომად და არა წინაშე კაცთა გულკლებულთა.

თ ა ვ ი 23

1. უკუეთუ დასჯდე სერობად ტაბლასა ძრიელისასა, ცნობით ცან წინა-დაგებული შენი და ეგრჭთ მიყავ კელი შენი.

2. უწყოდე, რამეთუ ეგრჭთ ვიღოს განშახლებად, უკუეთუ უძლებ ხარ.

3. ნუ გული-გოთქეამნ საქმელთა მისთა, რამეთუ ესენი ჰქონან ცხორებად ტყუვილსა.

4. ნუ წარსწუდები, გლახაკ თუ ხარ, მღიდრისა, არამედ გონებითა შენითა განეშორე.

5. უკუეთუ მიადგნე [თულნი შენნი], არასადა ჩნდეს იგი. რამეთუ განშახლებულ არიან მისა ფრთენი ვითარცა ობობსანი და მიიქცეს სახიდ ზედა-მადგინებელისა თვისსა.

6. ნუ სჰამ კაცისა თანა მოშურნისა, ნუცა გული-გოთქეამნ საქმელთა მისთა;

7. რამეთუ ვითარცა-იგი ვინ შთანსთქამნ თმასა, ეგრჭთ ჰამდეს და სუმიდეს შენ თანა; ნუცა შეიყვანებ შენ თანა და ნუცა შჰამ ჰურსა მის თანა,

8. რამეთუ წარმოსთხიოს იგი და ჰგმობდეს სიტყუთა შენითა კეთილითა.

9. ყურთა მიმართ უგუნურთასა ნურას იტყვ, ნუუკუე შეურაცხ-ყენენ სიტყუანი შენნი გონიერნი.

10. ნუ გარდასცვალე საზღვართა საუკუნეთა და მონაგებსა ობოლ-თასა ნუ შეხუალ;

11. რამეთუ მცხნელი მათი უფალი ძრიელი არს და საჯოს სასჯელი მათი შენ თანა.

12. მიეც სწავლასა [v] გული შენი და სასმენელნი შენნი განმზადენ სიტყუათა მეცნიერებისათა.

13. ნუ განაყენებ ჩჩვლთა ყრმათა სწავლასა: უკუეთუ სცე მას კუერთხითა, არა მოკუდეს.

14. შენ სამე სცე კუერთხითა, ხოლო სული მისი ივსნე სიკუდილისაგან.

15. შვილო, უკუეთუ ბრძენ იყოს გული შენი, ახარო გულსაცა ჩემსა.

16. და იყენეს ბაგეთა ჩემთა სიტყუანი პირსა შენსა, უკუეთუ [იყვენენ წრფელ].

17. ნუ პბრძვენ გული შენი ცოდვასა, არამედ შიშსა ღმრთისასა იყავნ გული შენი ყოველთა დღეთა.

18. უკუეთუ დაიმარხნე იგინი, გექმნენ ნაშობ, და სასოებაჲ შენი არა განგეშოროს.

19. ისმინე, შვილო, და ბრძენ იქმენ და წარიმართე გონიერებაჲ გულსა შენსა.

20. ნუ იყოფი მოღვნე, ნუცა ხედავ თანა-ზიარება[სა] სხუათასა და გორცის სყიდასა,

21. რამეთუ ყოველი მომბრვალჴ და მეძავი და მოძილი დაგლახანეს, და შეიმოსოს დაბეჴკული.

22. ისმინე, შვილო, სწავლაჲ მამისაჲ, რამეთუ გშვა შენ; და ნუ შეურაცხ-ყოფ, რამეთუ დაბერდა დედაჲ შენი¹.

24. კეთილად განზარდნეს შვილნი მამამან მართალმან და ძესა ზედა ბრძენსა იხარებზ გულითა.

25. იხარებდინ მამაჲ შენი და დედაჲ შენი შენ ზედა და მხიარულ იყავნ მშობელი შენი.

26. მომეც მე, შვილო, გული შენი, და თუალნი შენნი გზათა ჩემთა სცივდედ,

27. რამეთუ ჴური განჭურეტილნი არს სხვსა სახლი და ჴურღმული იწროჲ და უცხოჲ;

28. რამეთუ მეყსეულად ადრე წარწყმდეს, და ყოველივე უსჯულოჲ მოიკოცოს.

29. ვისა შფოთი? ვაჲ, ვისი შფოთი, ვისა სასჯელი? ვისა ურვანი და ჴირნი? ვისა შემჴსრვანი ცუდნი? ვისნი ღბილნი არიან თუალნი

23, 24. მართალმან]მრავალმან. 29. ვისი]ვისი.

¹ 23-ე მუხლი არ მოიპოვება.

30. ანუ არა მათნი, რომელთა-იგი დაყოვნებინ [135] ღვინოსა, რომელნი-იგი იკულებედ ღვინოსა, სადა-ძი სუმიანი არიან? ნუ დაითრეებით ღვინითა, არამედ ხედველით კაცთა მართალთა და ზრახველით ურთიერთას სლვასა შინა.

თ ა ვ ი 24

15. [139v] ნუ მოიყვანებ უღმრთოსა საყოფლად(!) მართლისა, ნუ სკთები მაძღრობითა გულისადათ.

16. შვლ-გზის ღათუ დაეცეს მართალი, აღ-ვე-დგეს; ხოლო უღმრთონი მოუძრულდენ ბოროტსა შინა.

17. უკუეთუ დაეცეს მტერი შენი, ნუ მოგცხრებინ და შებრკოლებასა მისსა ნუ აჰმალდედი.

18. ნუუკუე იხილოს იგი უფალმან და არა სთნდეს და გარე-წარაქციოს გულის-წყრომაჲ თვისი მისგან.

19. ნუ გიხარინ ბოროტის მოქმედთა ზედა, ნუცა ჰბრძავ ცოდვილთა ზედა.

20. რამეთუ [140] არა ესუას ნაშობი უკეთურთა, და ბრწყინვალემაჲ უღმრთოთაჲ დაშრტეს.

21. გეშინოდენ, შვილო, ღმრთისა და მეფისა და ნუ ურჩ ექმნები ორთავე მათ;

22. რამეთუ მეყსეულად იკმინიან უღმრთონი, ხოლო ტანჯვაჲ ამათ ორთაჲჲ ვინ-მე ცნას? რომელი შვილი სიტყუასა ეკრძალებოდის, წარწყმედასა მწრაფლ და ადრე განერეს; შეწყნარებით შეიწყნაროს იგი უფალმან. და რამეთუ არარაჲ ტყუვილი პირისა მისისაგან გამოვიდეს. [124] სიტყუათა ჩემთაგან გეშინოდენ, შვილო, და შეიწყნარენ იგინი და იზნდი.

23. [v] ამას გეტყვ თქუნ გონიერთა ცნობად: სამართალისა ნუ გრცხუნენ; თუალთ-ღებმაჲ სასჯელსა შინა არა კეთილ არს.

24. რომელმან ჰრქუას უღმრთოსა: მართალ, წყეულ იყავნ ერისაგან და საძაველ ნათესავთა შორის;

25. ხოლო რომელთა შეატყუნ, იგინი უმჯობესად გამოჩნდენ, და მათ ზედა მოვიდეს კურთხევაჲ.

28. [143v] ნუ იყოფი ცრუ-მოწამმ მოქალაქისა¹ შენისათვის, ნუცა განჰვრცნები ბაგითა შენითა.

¹ „მოქალაქისა“ გადაუხაზავთ და სხვა ხელით ზემოდან დაუწერიათ: „მეგობრისა“

29. ნუ იტყვ, ვითარმედ: ვითარცა მიყო, უყო მეცა და მივაგო მას, რაოდენი მავნო მე.

30. ქუეყანაჲ საქმარი არს, კაცი უგუნური, და ვითარცა ვენაჲ, კაცი ნაკლული გონებითა.

31. უკუეთუ დაუტეო იგი, მოოჯრდეს, და თივა აღმოცენებულ იქნეს და ყოვლადვე მოოჯრდეს; და ზღუდენი ქვათა მისთანი დაირღუნ.

32. უკუანაჲსკნელ მე შევინანე და მოვიხილე გამორჩევად სწავლულებისა:

33. მცირედ დავიძინო და მცირედ დავისხნე კელნი მკერდსა ჩემსა.

34. უკუეთუ ესე ჰყო, მოიწიოს ვითარცა წინამორბედი სიგლახაკჲ შენი, და ნაკლულევანებაჲ შენი, ვითარცა კეთილი მსარბოლი.

თ ა მ ი 25

2. [77] დიდებაჲ ღმრთისაჲ ჰვარავს სიტყუათა, ხოლო დიდებაჲ მეფისაჲ პატივ-სცემს მეფესა.

3. ცაჲ მაღალ არს და ქუეყანაჲ ღრმა, ხოლო გული მეფისაჲ გამოუკუთლებელ.

4. განჰედვე გამოუცდელი ვეცხლი და განწმიდნეს ყოვლად წმიდად.

5. და მოისპნენ წარმართნი პირისაგან მეუფისა, და წარმართოს სიმართლით საყდარი მისი.

6. ნუ ლალად იქცევი წინაშე მეფისა, ნუცა ადგილსა ძრუელსა დასჯდები.

7. უმჯობეს არს შენდა, რაჲთა გრქუან: „აღმო-რე ზემო“; ვიდრე დამდაბლებასა შენსა წინაშე ძრიელისა. რაჲ-იგი იხილეს თუალთა შენთა, თქუ.

8. ნუ წარმდებ იქმნები ლალვასა, რაჲთა არა ინანდე უკუანაჲსკნელ. რაჲმს გაყუედროს მეგობარმან,

9. გარე-მიიქეც მისგან, ნუუკუე შეურაცხ-გყოს¹ მეგობარმან.

10. და ლალვაჲ და მტერობაჲ არა განგეშოროს შენ, არამედ იყოს სწორ სიკუდილისა. მაღლი და მეგობრობაჲ განგააზნაურებს; დაიმარხე თავისა შენისა, რაჲთა არა საყუედრელ იქმნე, არამედ დაიმარხუნ გზანი შენნი კეთილად.

24,31. მოოჯრდეს (2)]მოუქრდეს.

¹ „ნუუკუე შეურაცხ-გყოს“ სიტყვებს ზემოდან სხვა წერილი ხელით აწერია: ნუუკუე გაყუედროს.

11. ბირთვ ოქრომასა მძივსა სარდიონისასა — თქუბად სიტყუაჲ.
 12. საყურსა ოქრომასასა და ანთრაკითა პატიოსნითა შემკულ არს სიტყუაჲ სიბრძნისაჲ ყურთა მორჩილთასა.
 13. ვითარცა გამოსლვაჲ თოვლისაჲ მკათა ზედა სიცხესა საგრილობელ, ეგრევე მოციქული სარწმუნოჲ, რომელთა წარავლინონ იგი, რამეთუ გულთა, რომელთა ივსენონ იგი, სარგებელ არს იგი.
 14. ვითარცა ქარნი და ღრუბელნი და წკმანი სასტიკნი, ეგრეცა რომელნი იქადიან საცემელსა ტყუვილით.

თ ა ვ ი 28

10. [150v] რომელმან შეაცთუნნეს წრფელნი გზასა ბოროტსა, განსარყუნელად მიეტეს იგიცა¹; ხოლო ურჩულონი თანა-წარჰყდენ კეთილსა და ვერ შევიდენ მას.
 11. ბრძენ ჩან თავით თვისით მდიდარი, ხოლო გლახაკმან გონიერმან განგმოს იგი.
 12. შეწვენითა მართლისაჲთა მრავალი იქმნის დიდებაჲ, ხოლო ადვილსა უღმრთოთასა მოისრინენ კაცნი.
 13. რომელი იფარვიდეს ურჩულოებასა თვისსა, არა წარემართოს; ხოლო რომელი მიუთხოვდეს და ამხილბდეს, საყუარელ იყოს.
 14. ნეტარ არს კაცისაჲ მის, რომელსა ეშინოდის ყოველთაგან ღმრთის მოშიშებით, ხოლო გულ-ფიცვლი იგი შევარდეს ძვრსა.
 15. ღომი მშვიერი და მგელი წყურიელი², ეგრეცა რომელი მთავრობდეს მკოდოვი ნათესავსა გლახაკსა.
 16. მეფეჲ, ნაკლულევანი ფასითა, ღიდის ცილის შემწამებელი, ხოლო რომელთა სძულდეს სიცრუეჲ, მრავალ-ჟამ ცხონდენ.
 17. კაცსა რომელსა ბრალი კაცის-კლვისაჲ ზედა-ედვას და თავს-ვინმე-იდვას იგი, და იგი მეოტ იყოს და არა მტკიცე, შევარდეს იგი ბოროტსა. განსწავლე ძმ შენი და განგისუენოს შენ და მოსცეს სამკაული სულსა შენსა და არა ერჩდეს ნათესავსა უსჯულოსა.
 18. რომელი ვიდოდის სამართალსა, შეწვენა სცეს მას, ხოლო რომელი გულარძნილთა გზათა ვიდოდის, შეეებას მათვე.

25, 11. ბირთვი; 14. ტყუვილით)ტყუველით.

26. 15. მკოდოვი)მკოდავი; 17. მტკიცე.

¹ აქ მოსდევს მერმინდელი ნაწერი წერილად: „და უბიჟოთა განიყონ კეთილნი მათნი“.

² „წყურიელი“ სიტყვაში სხვა ხელითაა ჩაწერილი „წ“ და „ე“.

19. რომელი იქმოდს ქუეყანასა თვსსა, განძღეს იგი პურითა. ხოლო რომელი მიუდგეს მოცალებასა, აღივსოს იგი სიგლახაკითა.

20. კაცი, ღირსი სარწმუნოებისაჲ, ფრიად იკურთხოს, ხოლო ბოროტის მოქმედი იგი არა უტანჯველ იყოს.

21. რომელსა ჰრცხუნენოდის მხილებაჲ [151] პირსა ცრუთასა, არა კეთილ არს! ამან კოტრისა პურისათვის განსცეს კაცი.

22. იწრაფინ განმდიდრებად კაცი მოშურნჳ და არა უწყინ, რამეთუ კაცმან მოწყალემან დაიპყრას იგი.

23. რომელი ამხილებდეს გლახაკსა გზათა მისთა, მადლი აქუნდეს უფროჲსა, რომელი ენითა მოიმადლებნ.

24. რომელი განყიდდეს² მამასა გინა დედასა და ჰგონებდეს, ვითარმედ არა ცოდავს, ესე ზიარ არს კაცისა უღმრთოჲსაჲ.

25. უძღები კაცი შჯინ ცუდად; რომელი ესვიდეს სიფიცხლესა გულისა თვისისასა, იგი უგუნური არს, ხოლო რომელი ესვიდეს უფალსა. მოლუაწებასა შინა იყოს³; რომელი ვილოდის სიბრძნით, იგი ცხონდეს.

27. რომელი მისცემდეს გლახაკთა, არა ნაკლულევან იყოს; ხოლო რომელმან გარე-მიიქციოს პირი მისი გლახაკისაგან, მრავალსა უპოვრებასა შინა იყოს.

28. ადგილსა უღმრთოთასა სულთ-ითქუმენ გლახაკნი და მათჲა მას წარწყმედასა განმრავლდენ მართალნი.

თ ა ვ ი 29

1. უმჯობჳს არს კაცი მამხილებელი კაცსა ქედფაცხელსა; მეყსეულად აღგზნებასა მისსა არა იყოს კურნებაჲ.

2. [8V] ქებასა მართალთასა იხარებუდ ერნი, მთავრობასა უღმრთოთასა კუნესიედ კაცნი.

3. კაცსა რომელსა უყუარნ სიბრძნჳ, მხიარულ არნ მამჲა მისი, ხოლო რომელი სდევნ მეძავთა, წარწყმოდის სიმდიდრჳ.

4. მეფემან მართალმან აჰმართის სოფელი, ხოლო კაცმან უსჯულმან დაამკვს იგი.

28. მართალნი] მრავალნი.

28, 4. დაამკვის.

¹ 21-ე მუხლი შესწორებულია გვიანდელი ხელით. ნაწერი ასე იკითხება: „ბო-მელმან არა შეიკდიმოს პირისაგან მართლისა, არა კეთილ არს. რომელმან მიხედოს პირსა ცრუთასა, არა იქებოდინ და ამან“...

² თავიდან ყოფილა „განვიდეს“, სხვა ხელით კი ასე ჩასწორებულია: განყიდდეს.

³ 25-ე და 26-ე მუხლები არეულია ერთმანეთში.

5. რომელი განემზადოს ბრძოლად პირსა მეგობრისა თვისისაა, შეიბლარდნენ ვითარცა საბლარდნელითა ფერჯნი მძანი.

6. კაცი ცოდვილი მრავალსა მახესა შეებას, ხოლო მართალი შეებასა და სიხარულსა შინა იყოს.

7. [153v] იცის მართალმან სასჯელი გლახაკისაჲ, ხოლო უღმრთომან არა იცის მეცნიერებაჲ, და გლახაკსა [154] არა აქუს გუნებაჲ მეცნიერებისაჲ.

8. კაცთა უსჯულოთა აუდგეს ცეცხლი ქალაქსა, ხოლო ბრძენთა გარეწარაქციეს რისხვაჲ.

9. კაცმან ბრძენმან განსაჯნეს ნათესავნი, ხოლო კაცსა უგუნურსა განრინებასა შინა ეკიცხვედ, და არა შეიყდიმის.

10. კაცთა მოსისხლეთა სძულს კაცი წმიდაჲ, ხოლო წრფელნი გამოეძიებედ სულსა მისსა.

11. ყოველი გულისწყრომაჲ თვისი გამოიცადის უგუნურმან, ხოლო ბრძენი იგი ოქნჯებნ ჟამად-ჟამად.

12. მეფე, რომელი ერჩდეს სიტყუასა ცრუსა, ყოველნი მის წინაშე უსჯულო არიან.

13. მასესხებელი და მოსესხე ურთიერთას შეიმთხვენეს, ხოლო მახედგაჲ მათ ორთაჲვე ყოს უფალმან.

14. მეფე რომელი ქეშმარიტებით შჯიდეს გლახაკთა, საყდარი მისი საწამებელად აღეშართოს.

15. გუემათა და მხილებათა მოსციან სიბრძნე, ხოლო შეიღმან უგუნურმან არცხვნის მამა-დედათა თვსთა.

16. მრავალ ღათუ იყვნენ უღმრთონი, მრავალნი ქმნენ ცოდვანა, ხოლო მართალნი დაეცმასა შიშნეულ იქმნიან.

17. სიტყუთა ვერ განისწავლის მონაჲ ფიცხელი და, ღათუ ცნას, არავე ერჩდეს.

18. უკუეთუ იხილო კაცი მოსწრაფე სიტყუთა, უწყოდე, რამეთუ სასოებაჲ აქუს უგუნურსა უფროჲს, ვიდრეღა მას.

19. რომელი იშუებდეს სიყრმითგან, იგი მონა იქმნეს და უკუანადსკნელ ჰგოდებდეს თავსა ზედა თვსსა.

20. კაცმან გულმწყურალმან აღმოითხარის ძლევაჲ, ხოლო კაცმან მრისხანემან აღმოითხარის ცოდვაჲ.

21. გინებაჲ კაცსა დაამდაბლებს, ხოლო მდაბალნი იგი უფალმან დიდებითა დაამტკიცნეს.

22. რომელი თანა-განეყოფოდის მპარავსა, სძულს მას თავი თვისი; უკუეთუ ფი[v]ცი შუა შემოიღონ და არაჲ უთხრან,

25. ეშინოდის კაცთათვის¹. ამას უბრკუმეს ღმრთისა მიერ; ხოლო რომელი ესვიდეს უფალსა, იგი იხარებდეს საუკუნოდ. უღმრთოებამან კაცსა შეამთხვის საცთური, ხოლო რომელი ესვიდეს უფალსა, იგი ცხონდეს.

26. მრავალნი მსახურებდეს პირსა წინაშე მთავართასა, ხოლო უფლისა მიერვე არს სამართალი კაცისაჲ.

27. საძაგელ არნ კაცი მართალი კაცისა თანა ცოდვილისა და საძაგელ უსჯულოთა შორის, რომელსა წარუმართებდეს გზასა კეთილსა.

თ ა მ ი 30

1. [124] ესრცთ პრქეს კაცმან მორწმუნეთა ღმრთისათა, ვითარმედ: ვლუმნე,

2. რამეთუ უსულელქს ვარ ყოველთა კაცთა, და სიბრძნქ კაცობრივი არა არს ჩემ თანა.

3. ღმერთმან მასწავა მე სიბრძნქ და მეცნიერებაჲ წმიდათა გულისხმა-გყავ და ვიცი სიწმიდქ.

4. ვინ აღცდა ცად და გარდამოცდა? ვინ შეიკრიბნა ქარნი უბეთათვისთა? ანუ ვინ შეიკრძალნა წყალნი სამოსელსა თვისსა? ვინ დაიპყრნა კიდენი ქუეყანისანი? რაჲ არს სახელი მისი? ანუ რაჲ არს სახელი ძისა მისისაჲ, რაჲთა უწყოდნი?

5. რამეთუ ყოველნი სიტყუანი ღმრთისანი რჩეულ არიან და მგულებელ არს იგი მოშიშთა მისთა.

6. რაჲთა² არა შეგატყუას შენ და ცრულ იპოო შენ.

7. ორსა ამას ვითხოვ შენგან: ნუ მიმიღებ ჩემგან, ვიდრე არა მ[ომ]კუდარ ვარ.

8. სიტყუაჲ ცრუჲ და ამოჲ განმაშორე ჩემგან, სიმდიდრესა და უბოვარებასა ნუ მიმცემ მე, არამედ აღწონით ყავ წესი,

9. რაჲთა არა განგმდიდრდე და განცრუვდე, და თუ [V]უბოვარი ვიყო, ვიპარო და ცილი ვფუცო სახელსა ღმრთისა ჩემისასა.

10. ნუ მისცემ მონასა კელსა უფლისა თვისისათა, რაჲთა არა გწყეოს შენ და განირყუნე.

25. შეამთხვის.

30, 2. უსულელქს. 8. მომცემ; 10. განირყუნეს.

¹ 29, 24—25-ის ამ ადგილს გვიანდელი ხელი ასე ასწორებს: შუა შემოიღონ, შეძრწუნდეს და არღარაჲ მიუთხრან, რომელთა ეშინოდის და პრცხუქნოდის კაცთათს.

² მე-6 მუხლის დასაწყისიდან გამოტოვებული ჩანს რამდენიმე სიტყვა: „ნუ შესძინებ სიტყუათა მიმართ მისთა“.

11. ნაშობი უკეთური მამასა თვისა სწყევნ და დედასა თვისა არა აკურთხევნ.

12. ნაშობსა უკეთურსა მართალთა თანა შეურაცხიენ თავი თვისი და საგმობელობაჲ მისი არა განიწმიდის.

13. ნაშობისა უკეთურისანი ამპარტავან არიან თუალნი მისნი და წამწამითა თვისითა მალლონ.

14. ნაშობისა უკეთურისანი ვითარცა კრძალნი ლესულ არიან კბილნი მისნი; და შუანი მისნი ვითარცა მკუეცელნი შემუსრვად და შეკმად მდაბალთა ქუეყანისათა და კაცთა გლახაკთა.

15. [143v] წურბელსა სამ ასულ ესხნეს სიყუარულითა საყუარელნი და სამთავე მათ ვერ განაძლეს იგი, და მეოთხესა მას ვერ კმად-ეყო თქუმად, ვითარმედ: კმა არს.

16. [144] ჭოჭობეთი და ტრფიალებჲაჲ დედათაჲ და ტარტაროზი და ქუეყანაჲ ვერ განმადლარი წყლითა. წყალმან და ცეცხლმან არა თქუეს, ვითარმედ: კმა არს.

17. თუალნი, რომელნი ეკიცხევედ მამასა და შეურაცხ-ჰყოფედ სიბერესა დედისასა, აღმოჰკადნედ იგინი ყორანთა ჰევისათა და შეჰკამნედ იგინი მართუეთა ორბისათა.

18. სამი არს შეუძლებელი ჩემდა და მეოთხე იგი ვერ გულისხმად-ეყავ:

19. კუალი ორბისა მფრინვალისაჲ და გზაჲ გუელისაჲ კლდესა ზედა და ალაგნი სღვისა ნავისანი¹, დათქმულისანი, და გზანი კაცისანი სიჰაბუქესა შინა.

20. ესევეთარი გზაჲ არს დედაკაცისა მომშურისაჲ, რომელმან-იგი რაჲამს ქმნის, დაიბანის და² ეგრე თქვს, ვითარმედ: არაჲ უჭეროჲ ვქმენ.

21. სამისაგან იძლევის ქუეყანაჲ და მეოთხესა მას ვერ შემძლებელ ვარ დათმენად:

22. უკუეთუ მეფობდეს მონაჲ, და უგუნური თუ განძლეს პურითა;

23. და მკვეალმან თუ გამოაძოს დედოფალი, და საძულელი თუ ცოლი შეემთხვოს ქმარსა კეთილსა.

24. ოთხი არს უმცირესს ქუეყენასა ზედა და იგინი არიან უბრძეს ბრძენთასა:

25. ღინჰველთა, რომელთა არა აქუს ძალი, და განიმზადიან ზაფხულის საზრდელი;

17. იქ-ნი] იგი; მართუეთა. 19. სიჰაბუქესა.

¹ „...ლვისა ნავისანი“ ჩამატებულია გვიანდელი ხელით.

² „დაიბანის და“ ჩამატებულია მხედრული ხელით.

26. და მაჩუთა, ნათესავი უძრული¹, რომელთა შინა იქმნიან კლდეთა ბუდენი თვსნი;

27. უმეფო არს მკალი და განეწყობის ერთისაგან ბრძანებისა წესიერად²:

28. მსუენი კელითა ემტკიცებინ კედელსა, და დაღათუ ადვილად შესაპყრობელ არს, არამედ დამკვდრებულ არს იგი ტაძართა შინა სამეუფოთა.

29. სამი არს, რომელი კეთილად ვალს და მეოთხე იგი კეთილად თანა-წარვალს:

30. ლეკვ ლომისაჲ, უძრიელქსი მკეცთაჲ, რომელი არა გარე-მოიქცევის, არცა შეძრწუნდების ნადირისაგან;

31. მამალი, რომელი იქცევენ დედალთა შორის განსუენებულად, და ვაცი, წინამძღუარი სამწყსოთაჲ, და მეფე, რომელი იზახებნ თესლთა ზედა.

32. უკუეთუ მისცე თავი შენი შეუებასა და მიჰყო კელი [v] შენი ლალვად პირად შენდა, შეურაცხ იქმნე.

33. მოწუელე სძმ და იქმნეს ერბო. უკუეთუ გამოჰზიდვიდე ღრყილსა, გამოჰკდეს სისხლი. უკუეთუ გამოჰზიდვიდე სიტყუათა ამოთა, გამოვიდენ სასჯელნი და ლალვანი.

თ ა ვ ი 31

1. სიტყუანი თქუმულნი არიან ღმრთისა მიერ, მეუფისა ბრძანებაჲ გა[6]სწავა დედამან თქსმან:

2. რაჲ არს, შვილო, დამარხვაჲ ღმრთისაჲ ყოვლისა პირველად? გეტყვ შენ, შვილო. რაჲ არს, შვილო მუცლისა ჩემისაო? რაჲ არს, შვილო ლოცვათა ჩუენთაო?

3. ნუ მისცემ დედა[კაც]თა სიმღიდრესა შენსა და გონებასა შენსა და ცხორებასა შენსა ნაკლულევანსა ზრახვასა. ზრახვით ყოველსავე იქმოდე, ზრახვით ღვნოსა სუემდ.

4. ძრიელნი გულმწყრალ არიან ღვნოსა სუმად,

5. რაჲთა არა სუან და დაავიწყდეს სიბრძნე და მართლ შჯად ვერ უძლონ უძრულთა.

6. და მიეცემის სიმთრვალე მწუხარეთა და ღვნოჲ სუმად ღმობიერთა,

¹ „უძრული“ ჩამატებულია გვიანდელი ხელით.

² 27-ე მუხლი გვიანდელი ხელით ჩასწორებულია ასე: უმეფო არს მკალი და მრავალი განეწყობის ვითარცა ერთისაგან ბრძანებისა წესიერად.

7. რაფთა დაავიწყდეს გლახაკებამ, და საღმობანი არა მოივსენენ.
8. ალაღე პირი შენი სიტყუასა ღმრთისასა და ჰშვიდ ყოველთა ცოცხლად.
9. ალაღე პირი შენი და ჰშვიდ სიმართლით გლახაკთა და უძრულთა.
10. [154v] დედაკაცი მცნჭ ვინ-მე პოოს, რომელი უპატიოსნტს არს ანთრაკთა დიდად პატიოსანთა?
11. ეგვეითარისა მოსავ არნ მის ზედა გული ქმრისა მისისაჲ, ესე-ვითარი ნატყუნენავსა არა დააკლდეს:
12. რამეთუ შეეწევინ ქმარსა თვსსა კეთილსა ყოველსა ცხორებასა ამას.
13. მოიგო მატყლი და სელი და ქმნა საცმარი კელითა თვსითა.
14. და იქმნა იგი ვითარცა ნავი, მომავალი შორით, შეიკრბის მან ყოველი საცხორებელი.
15. აღდგის ღამე და მისცის საცხორებელი სახლსა თვსსა და მუ-შაკთა და შევეალთა.
16. იხილა ქუეყანაჲ საცმარი და მოიყიდა ნაყოფთაგან კელთა მის-თაჲსა და დაჰნერგა ფუზტ.
17. შოირტყნა ძრიელად წელნი თვსნი და იიძულნი[ს] საქმედ მკლავნი თვსნი.
18. იხილა გემოჲ, რამეთუ კეთილ არს საქმედ, და არა დაშრტებო-და ღამე ყოველ სანთელი მისი.
19. კელნი მისნი მიუვნა ტარსა და მკლავნი მისნი განიპყრნა უმჯო-ბტსსა.
20. კელნი მისნი გახუყვნა გლახაკთა და მკლავნი მისნი მიუყვნა დავრდომილთა.
21. არას ზრუნავნ ქმარი მისი სახლსა შინა, უკუეთუ და სადა ყო-ვის, ყოველნივე მისთანანი შემოსილ არიედ;
22. მრჩობლი ქლ[155]ამინდი უქმნა ქმარსა მისსა, ძოწეულისაგან და ბისონისა, და თავისა თვსისა სამოსელი.
23. სასტუარ არნ ბჳეთა ზედა ქმარი მისი, რაჲამს დაჯდის კრებულ-სა შორის მოხუცებულთა თანა მკვდრთა ქუეყანისათა.
24. არდგები ქმნა და განუყო და სარტყლები ქანანელთა. პირი მისი ალაღო სიბრძნით და წესი განუჩინა ენასა თვსსა.
25. ძალი და შუენიერებაჲ შეიმოსა და იხარა უკუანაჲსკნელთა ღღეთა.
26. მშრალ არიედ ალაგნი სახლისა მისისანი, საზრდელი ცონილი-საჲ არა შეჳამა.

27. პირი მისი აღალო ბრძნად და შჭულიერად.

28. აღდგეს შვილნი მისნი და აქეს იგი, და ქმარმან მისმან აქო იგი.

30. [268v] მრავალთა დედათა მოიგეს სიმდიდრჳ და მრავალთა ყვეს ძრეილებაჲ, ხოლო შენ გარდაერიე და გარდაჰმატე უფროჲს ყოველთასა.

31. ტყუელით სათნობანი და ამაოებით სიკეთჳ დედათაჲ არს შენ თანა, რამეთუ დედაკაცი გონიერი და კეთილად მსახური იკურთხოს. მოშიშსა უფლისასა აქებდეს იგი.

32. მიაგეთ ნაყოფთაგან ბაგესა მისთაჲსა; იქოს უბანთა ზედა ქმარი მისი, რამეთუ გზანი კაცისანი წინა-უძლოდიან მას და წარემართნენ უკუნითი უკუნისამდე.

სიბრძნე სოლომონისი

თ ა ვ ი 1

1. [40v] შეიყუარეთ სიმატლმ მსაჯულთა მაგათ ქუეყანისათა; ზრახვედით უფლისათვს სახიერებითა და განმარტებულთა გულითა ეძიებდით მას.

2. რანეთუ გამოუჩნდების მათ, რომელნი არა ურწმუნო არიან მისა მიმართ.

3. რამეთუ დრკუთა გულის-სიტყუათა განაშორნიან უფლისაგან; გამო-რაა-იცადებინ ძალი, ამხილებნ უგუნურთა.

4. რამეთუ ბოროტის [41] მოქმედსა სულსა არა შევიდეს სიბრძნემ, არცა დაიმკვდრონ კორცთა შინა განკაფულთა ცოდვათა.

5. რამეთუ წმიდაჲ სული სწავლისაჲ ევლტინ ზაკუვასა და განეშო-რის ზრახვათაგან უგულისხმოთა, ემხილის, მო-რაა-იწიის მის ზედა ზიცრუვე.

6. რანეთუ კაცთ-მოყუარე არს სული სიბრძნისაჲ, არა უბრალო ყვის მგმობარი იგი ბაგეთაგან მისთა, რამეთუ თირკუმელთა მისთა მოწამე არს ღმერთი, და გული მსტუარ ქეშმარიტ, და ენაჲ მსმენელ.

7. რამეთუ სულმან უფლისამან აღავსო სოფელი, და რომელსა უპყრიეს ყოველი სული და ცნობაჲ იცის ჯმისაჲ.

8. ამისთვისცა, რომელი იტყოდის სიცრუვესა, არავინ დაავიწყდეს, არცა თანა-წარჰკედეს მხილებული შჯულისა მიერ.

9. რამეთუ ზრახვათათვს უღმრთოთა ვანკითხვაჲ იყოს, რამეთუ სიტყუანი მისნი არა ნებსით უფლისა მივიდეს მამხილებელად უსჯულოვ-ბათა მისთა.

10. რამეთუ ყური მოშურნეობისა მისისაჲ ისმენს ყოველსა, და იღუმალი დრტვნვაჲ არა დაეფარვის.

11. ეკრძალენით უკუე დრტვნვასა ურგებსა და ძვრის-სიტყუასა ერიდენით ენითა, რამეთუ თქუმული იღუმალი არა წარვიდის, და პირი რომელი იტყოდის ძვრსა, მოკლის სული თვისი.

12. ნუ ჰბრძავ სიკუდილსა ცხორებასა შინა საცთურსა თქუენსა, ნუცა მოიტაცებთ მოსრვასა საქმესა კელთა თქუენთასა.

1. 1. სახიერითა. 6. კაცთ მოყუარემ; მგმობარი]მეგობარი; თირკუმელთაგან; მო-წამემ. 8. მხილებული]ამხილებული. 11. ურგებსა]ორგებსა; იღუმელი.

13. რამეთუ ღმერთმან სიკუდილი არა დაჰბადა, არცა ჰნებავს წარწყმედაჲ ცხოველთაჲ.

14. რამეთუ დაჰბადა საყოფლად ყოველი და ცხოვრებაჲ, შესაქმს სოფლისაჲ, და არა არს მას შინა წამალი მომსრეველი, არცა ჯოჯობეთისა სუფევაჲ ქუეყანასა ზედა.

15. რამეთუ სიმართლჳ მოკუდაჲ არს უღმრთოთა კელითა, და სიტყუათა მოჰხადეს სიკუდილსა და მეგობრად შეჰრაცხეს იგი, და დღეს ნაძლევი დაიდვეს მის თანა, რამეთუ ღირს არიან ნაწილად მისა ყოფად.

თ ა ვ ი 2

1. რამეთუ თქუეს გულითა მათითა და განიზ[v]რახეს არა მართლ: და მცირე და მწუხარე არს ცხოვრებაჲ ჩუენი, და არა არს კურნებაჲ აღსასრულსა კაცისასა და არასადა ვინ იცის, რომელიმცა მოიქცა ჯოჯობებით.

2. რამეთუ თვთ კელმწიფედ შევიქმნენით ვითარცა არა ყოფილნი, რამეთუ კუამლ არს სული ცხვრთა შინა ჩუენთა, სიტყუანი — ნაბერწყალ,

3. რომელი დაშრტეს, და ნაცარ იქმნეს კორცნი, და სული დაჰქსნდეს ვითარცა მეულომჳ აერი.

4. და სახელი ჩუენი დაივიწყოს ჟამად-ჟამად, და არავინ მოიცხენნეს საქმენი ჩუენნი.

12. [196v] დავაპკოლოთ მართალი იგი, რამეთუ განმადნელებელ ჩუენდა არს და წინა-აღუდგების საქმეთა ჩუენთა, და მაცუედრებს ჩუენ ცოდვათა შჯულისათა, და მიმომდებს ჩუენ ცოდვათა სწავლისა ჩუენისათა.

13. აღიარებს, ვითარმედ ცნობაჲ აქუს ღმრთისაჲ და ძედ ღმრთისა თავსა თვისსა იტყვს.

14. მექმნა ჩუენ მამხილებელ ზრახვათა გულისა ჩუენისათა.

15. მძიმე არს ხილვად ჩუენდაცა, რამეთუ არა მსგავს არს სხუათა ცხოვრებაჲ მისი და ცვალებულ ალაგნი მისნი.

16. საძაგელად შეურაცხიეთ მას, და განშორებულ არს გზათა ჩუენთა, ვითარცა არა-წმიდათა; ჰნატრის აღსასრულსა მართალთასა, განლაღებულ არს და მამად ღმერთსა იტყვს.

17. ვიხილოთ, უკუეთუ სიტყუანი მისნი არიან ქეშმარიტ, და გამოვცადოთ, რად-ღი იყოს უკუანაესკნელი მისი.

18. უკუეთუ არს მართალი ძმ ღმრთისაჲ, შეეწიენ მას და იესენინ [197] იგი კელთაგან წინააღმდგომთა მისთაჲსა.

19. გინებითა და ტანჯვითა განვიციოთხოთ იგი, რადთა ვცნათ სახიერებაჲ მისი, და გამოვცადოთ თავს-ღებაჲ განბოროტებისა მისისაჲ.

20. სიკუდილითა სარცხუენელითა დაგსაჯოთ იგი, რამეთუ იყო მოხედვაჲ მისი სიტყუათაგან მისთა.

21. ესე განიზრახეს და შესცთეს, რამეთუ დააბრმნა იგინი უკუეთურებაჲმან,

22. და ვერ ცნეს საიდუმლოჲ ღმრთისაჲ, არცა სასყიდელსა ვსვიდეს სიწმიდისასა, არცა გამოიცი[თ]ხეს პატივი სულთა უბიწოთაჲ.

23. რამეთუ ღმერთმან დაჰბადა კაცი უბრწუნელებისათჳს და ხატად თჳსა თჳსობისათჳს შექმნა იგი.

24. შურიითა ეშმაკისაჲთა სიკუდილი სოფლად შემოკდა,

25. და იგანცდიან მას. რომელნი-იგი არიან ნაწილსა მისაჲ.

თ ა ვ ი 3

1. [237v] ხოლო სულნი მართალთანი კელთა შინა ღმრთისათა, და არა შეეხოს მათ ტანჯვაჲ.

2. საგონებელ იყვნენ თულთა წინაშე უკუნეთასა მომკედრად, შეირაცხა ბოროტად განსლვაჲ მათი,

3. და ჩუენგან განსლვაჲ — შემოსლვა; ხოლო იგინი არიან მკვდრობასა შინა.

4. და ლათუ კაცთა წინაშე იტანჯნენ, სასოებაჲ მათი უკუდავებითა საესე არს.

5. და მცირედ ლათუ ისწავნენ, რამეთუ ღმერთმან ვამოცაღნა იგინი და პოენა იგინი ღირსად თავისა თჳსისა.

6. ვითარცა ოქროჲ ბრძმელსა შინა ვამოცაღნა იგინი. ვითარცა ყოვლად-ნაყოფი მსხუერპლიაჲ შეწირნა იგი.

7. [238] და [ყანსა მოხედვი]სა¹ მათისასა ვამობრწყინდენ ვითარცა ნაბერწყალნი, ლერწამსა შინა რბილიაინ.

8. და შვიდენ თჳსლებსა, დაიპყრნენ ერნი და სუფევდეს მათ ზედა ღმერთი საუკუნოდ.

8. 4. სავსე.

¹ ფოტოგრაფი ჩამოკრალია შეკონქვასას.

თ ა ვ ი 4

8. [11v] რამეთუ სიბერისა პატიოსნებაჲ არა მრავალჲამი, არცა რიცხვ დღეთაჲ აღრაცხილ არს.

9. ხოლო მკცოვანებაჲ არს გონიერებაჲ კაცთაჲ, და ასაკი სიბერისაჲ — ცხორებაჲ უბიწოჲ.

10. სათნო ღმრთისა იყო და საყუარელ იქმნა და ცხონდებოდა შორის ცოდვილთა და გარდაიცვალა;

11. და წარიტაცა, რათა არა უკეთურებამან ცვალოს გულისხმის-ყოფაჲ მისი, ანუ ზაკუვამან აცთუნოს სული მისი.

12. რამეთუ შური სიხეჰნისაჲ დააბრკოლებს სულსა, და გურიობამან გულის-თქემისამან ცვალის გონებაჲ უმანკოჲ.

თ ა ვ ი 5

1. [238] მამინ დადგეს მართალი განცხადებულებითა დიდითა წინაშე პირსა მაჰირვებელისა თვისისა, და რომელთა შეურაცხ-ყენეს შრომანი მათნი,

2. იხილონ და შეძრწუნდენ შიშითა ბოროტითა და განკვრდენ დიდებულებასა მაცხოვარებისა მისისასა,

3. და იტყოდიან გულსა თვისსა სინანულით და იწროებიან სული-საჲთა სულთ-ითქუმიდენ; ესე იგი არს, რომელი-იგი ოდესმე გუქონდა ჩუენ საკიცხელად და იგავად ყუედრებისა.

4. ჩუენ უგუნურთა და ცხორებაჲ მისი შეგუერაცხა სიცბილად და სიკუდილი...¹

5. ვითარ შეურაცხა ესე ძეთა შორის ღმრთისათა, და წმიდათა შორის ნაწილი მისი?

6. შევსცეთით გზისა მისგან ჰეშმარიტებისაჲსა, სიმართლისა იგი ნათელი არა გამოგვჩნდა ჩუენ.

7. უშჯულოებისა გზითა აღვივსენით და წარწყმედისაჲთა, ვიდრედეთ უღაბნოთა უგზოთა და გზაჲ უფლისაჲ არა ვიცანთ.

8. რაჲ მარგო ჩუენ ამბარტავანებაჲმან ჩუენმან და რაჲ შემეწია ჩუენ სიმდიდრე იგი სილაღისაჲ?

9. წარკდა იგი ვითარცა აჩრდილი და ვითარცა ამბავი, რომელი აღრე განქარდის.

10. და ვითარცა ნავი ღელვასა ზღვსასა წარვიდის და კუალი არღარა იპოის, არცა ადგილი სღვასა მისისაჲ ღელვათა ზედა;

¹ ერთი სტრიქონი წაჭრილია შეკინძვისას.

11. გინა თუ მფრინველი რაჲ გამოფრინდის აერსა, არა იპოის სა-
ხმ სლვისაჲ, გუემისა ნაწვევართა იტანჯების ქარისა სულმცირისა, აღ-
ლებნ, ძლით მძაფრად ძრავნ [v] ფრთეთა და განვლის, ამისა შემდგო-
მად არა იპოის სასწაული განსლვისა მისისაჲ;

12. ანუ ვითარცა ისარი, განტყორცებული განსა, განაპის აერი და
ბუნვე შეიწყვს, და ვერ საცნაურ იქმნის განსლვაჲ იგი მ-სი,

13. ეგრევე ჩუენ ვიქმნენით და მოვაკლდით და სათნოებისა სას-
წაული არა გუაქუს, რამეცა ვაჩუენეთ, რამეთუ უკეთურებათა შინა
ჩუენთა განვილიუნით.

14. რამეთუ სასოებაჲ უღმრთოთაჲ, ვითარცა მტურერი ქარისაგან
მოღებული, და ნეფხვაჲ წულილი არმული არმურისაგან განიდევნა, და
ვითარცა კუამლი ქარისაგან განიბნია, და ვითარცა ქაენებაჲ მდგმუ-
რისაჲ ერთ-დღისაჲ წარვიდა.

15. ხოლო მართალნი საუკუნედმდე ცხონდენ, და უფლისა მიერ
არს სასყიდელი მათი და ზრუნვაჲ მათი მალლისა მიმართ.

16. ამისთვის მოიღონ მეუფეშ შეენიერებისაჲ კელისაგან უფლთა,
რამეთუ მარჯუენითა თვისითა დაიფარნეს იგინი და მკლავითა თვისითა
შეეწიოს მათ.

თ ა ვ ი 7

15. [235v] რამეთუ იგი თავადი არს სიბრძნისა წინამძღუარი და
ბრძენთა განმგებელი.

16. ხოლო კელსა შინა მისსა ჩუენცა და სიტყუანიცა ჩუენნი, ყო-
ველი გონიერებაჲ და საქმეთა მეცნიერებაჲ.

17. რამეთუ მან მომცა მე ყოფილთა ცნობაჲ, შესაქმს სოფლისაჲ,
შეწვენანი წესთანი,

18. დასაბამი დასასრულამდე, განზოგებაჲ ქაშთაჲ, სახეთა ცვალე-
ბანი და ქცეულებაჲ ქაშთაჲ,

19. წელიწადისა სრბაჲ და ვარსკულავთა დგონაჲ,

20. ბუნებანი საცხოართანი და გულის-წყრომანი მკეცთანი, სულ-
თა სიმძლავრეშ და გულის ზრახვანი კაცთანი, თითო-სახენი ნერგთანი.

21. რაოდენი რაჲ არს დაფარული და გამოუჩინებელი, ვცან; რამე-
თუ ყოველთა ხურომან მასწავა მე სიბრძნეშ.

22. რამეთუ არს [236] მას შინა სული წმიდაჲ მეცნიერებისაჲ,
მრავალ-კერძოჲ, ვინაჲ ვიწულებ, კეთილად იძლევის, წარჩინებულ,
შეუგინებელ, უბიწო, განცხადებულ, კეთილის მოყუარე, მალე, დაუ-
ყენებელ, ქველის-მოქმედ,

23. კაცთ მოყუარე, მტკიცე, კრძალულ, უზრუნველ: ყოვლად ძრაველ, ყოვლისა მსტუარ, და ყოველთა სულთა მიერ დაეტევის მეცნიერებითა წმიდათა მწულილთა.

24. რამეთუ ყოვლისავე ძრვისა და წამებისა უმაღე არს სიბრძნე, მისწუთების და დაეტევის ყოველთა მიერ სიწმიდით.

25. რამეთუ ორთქლი არს იგი ღმრთისა ძრიელისაჲ და ნაწილი ყოვლისა-მპყრობელი დიდებით ქვეშარიტებისაჲ; ამისთვისცა არარაჲ მიერთების.

26. რამეთუ გამობრწყინებულ არს იგი ნათლისა მის სამარადისოჲსა და სარკე უბიწოდ ღმრთისა შეწევნითა და ხატი სახიერებისა მისისაჲ.

27. ერთ არს და ყოველივე მას ძალ-უც და ჰგიეს მას შინა, და ყოველსავე განახლებს ნათესავითი ნათესავად, სულთა ღირსთა მოეცემის მეგობართა ღმრთისათა და წინაჲსწარმეტყუელთა განმზადებს.

28. არარაჲ იგი ეგრტთ უყუარს ღმერთსა, ვითარ-იგი რომელნი სიბრძნესა შინა ყოფილ არიან.

29: რამეთუ არს იგი უშუენიერცს მზისა და უშუენიერცს უფროსს ყოველთა ვარსკულავთა.

თ ა ვ ი 8

2. [281v] ესე შევიყუარე და [282] ვეძიებ სიკაბუკით ჩემითგან სძლად მოყვანებად ჩემდა და ვეტრფიალე სიკეთესა მისსა.

3. აზნაურებაჲმან აღიდის მის თანა ცხორებული. ღმრთისა მიმართ ილოცვენ, და ყოველთა მფლობელმანცა შევიყუარა იგი,

4. რამეთუ საიდუმლოჲ არს იგი ღმრთის მეცნიერებისაჲ და მომპოვნებელი საქმეთა მისთაჲ.

თ ა ვ ი 9

1. [318] ღმერთო მამათა ჩუენთაო და უფალო წყალობათაო, რი-გელმან შეჰქმენ ყოველი სიტყუთა შენითა.

2. და სიბრძნითა შენითა დაჰბადე კაცი, რაჲთა უფლებდეს შენ მიერ ქმნულთა დაბადებულთა,

3. და განაგებდეს სოფელსა სიწმიდით და სიმართლით და [v] სიწრფოებითა გულსაჲთა სასჯელსა სჯიდეს,

4. მომეც მე საყდართა წინაშე მდგომი სიბრძნე და ნუ განმადგებ მე მონათა შენთაგან,

5. რამეთუ მე — მონაჲ შენი და ძმ მკველისა შენისაჲ, კაცი უძრული და მცირედ ქამისაჲ ნაკლულევანი გულისხმის-ყოფითა სასჯელისა შჯულისაჲთა.

6. დაღათუ ვინმე იყოს სრულ ძეთა შორის კაცთასა სიბრძნისა შენისა თვნიერ, არა შერაცხილ არს.

7. შენ გამოძირჩიე მეფედ ერისა შენისა და მსაჯულად ძეთა შენთა და ასულთა.

8. და სთქუ ტაძარი შმნებად მთასა წმიდასა შენსა და ქალაქსა მკვდრობისა შენისასა საკურთხეველი მსგავსად კარვისა მის წმიდისა, რომელი განჰმზადე პირველ დასაბამითგან.

9. და შენ თანა — სიბრძნე შენი, რომელმან იცნის საქმენი შენნი, მუნ იყო, ოდეს შეიქმოდე სოფელსა, და იცის, რაჲ-იგი სათნო არს წინაშე თულთა შენთა და რაჲ-იგი სიწრფოება არს მცნებათა შენთა.

10. გამოავლინე იგი წმიდათაგან ცათა შენთა და საყდართაგან დიდებისა შენისათა და მოავლინე იგი, რაჲთა იყოს ჩემ თანა და ილუწოდეს და ვცნა, რაჲ-იგი არს სათნოება წინაშე შენსა.

11. რამეთუ იცის მან ყოველივე და გულისხმა-ჰყოფს და მძძოდის მე საქმეთა ჩემთა სიწმიდით და დამიცევს მე დიდებითა თვისითა.

12. და იყვენენ შეწყნარებულ მისა საქმენი ჩემნი და განვიციტხვიდე ერსა შენსა სიბართლით, და ვიყო მე ღირს საყდართა მამისა ჩემისათა.

13. ვინ-მე კაცთაგანმან ცნას განზრახვად ღმრთისაჲ, ანუ ვის გულსა მოუტდეს, რაჲ ჰნებავს უფალსა?

14. რამეთუ გულს-სიტყუანი მოკუდავთანი — მოშიშ, და საცთურ — განზრახვანი ჩუენნი.

15. [319] რამეთუ განჯრწნადმან კორცმან დაამძიმის სული და შესულების მიწოანმან საყოფელმან გონებაჲ მრავალ-მზრახველი.

16. რამეთუ ძნიად ვსცნობთ ქუეყანისასა და ფერკთა ქუეშე მდებარესა შრომით ვჰყოფთ, ხოლო ცათა შინა ვინ გამოიკულის.

17. და ზრახვად შენი ვინ გულისხმა-ყოს, უკუეთუმცა არა მოეც სიბრძნე ყოველნი და მოავლინე სული წმიდაჲ შენი მალლით?

18. და ესრტთ განებართნეს ალაგნი ქუეყანისანი, და სათნოებითა შენითა განიწავლნეს კაცნი.

19. და სიბრძნითა შენითა ცხონდეს.

გ. 16. ქუეშე; შინაჲ.

17 წართული ლექციონარი

თ ბ ვ ი 14

1. [285] კვალად სიმდიდრისათვის წარსულსა¹: და განძვნებულთა ღელვათა ზედა ვალს. რომელსა ძელსა იგი მიაქუს, მისსა უფატრქსსა უღალადებს,

2. რამეთუ იგი გულის-თქუმამან რეწვისამან მოიპოვა, არამედ ხუროვებამანვე სიბრძნისამან ქმნა.

3. ხოლო, მამაო, შენი წინააღმდეგ განზრახვად იღუწის მას, რამეთუ მიეც ზღუასა ზედა გზად და ღელვათა ზედა ალაგნი კრძალულნი.

4. აჩუენენ, რამეთუ ძალ-გიც ყოვლით-კერძოვე ცხორებდა. და დათუ ხუროებისა თვნიერ ვინ-მე შევიდეს?

5. რამეთუ გნებავს, რადთა არა უქმად იყოს სიბრძნისა შენიასა ქმმ; ამისთვისცა მცირესა ძელსა არწმუნიან კაცთა სლვად და ღელვანი ძელითა განვლნიან.

6. რამეთუ დასაბამსა მასცა წარწყმედესა ამპარტავანთასა სასოებად სოფლისა ძელსა შეევედრა და დაუტევა საუკუნესა მას თესლი ნათესაობისა. რამეთუ კელითა შენითა ცხონდა და განერა.

7. რამეთუ კურთხეულ არს ძელი, რომლისაგან იქნა სიმართლმ.

11. [95] რამეთუ კერპთა შორის წარმართთაჲსა მოხედვად იყოს, რამეთუ დაბადებულთაცა შორის სარგებელ არს და საცთური სულთათვის კაცთაჲსა ვითარცა საფრცქ ფერკთა უგუნურთასა.

12. რამეთუ დასაბამი განდგომილისაჲ მის კერპისაჲ და პონაჲ მათი და განხრწნად ცხორებისაჲ².

13. და არა იყო სადა დასაბამითგან და არცა იყოს.

14. რამეთუ უცნებაჲ კაცთაჲ შემოვდა სოფლად, მის გამო მწრაფლი აღსასრული მათ ზედა მოივლინა.

15. რამეთუ უქამოსა გლოასა ზედა გოდებდა მამად ადრე მიღებისათვის შვილისა და ხატი შექმნა ოდესმე მომკუდრისა კაცისაჲ. აწ ვითარცა ღმერთსა პატივ-სცემს და მისცა მის ქუეშე, მყოფთა საიღუმლოდ მსახურებისა.

16. და მერმე ყამად-ყამად დამტკიცნა უღმრთოებაჲ იგი და ჩუენებაჲ ესრჱთ, ვითარცა რჩული დაიდვა და მძლავრთა ბრძანებითა იმსახურებოდეს კერპნი,

14. 4. ძალ-გიცს. 12. დასაბამით. 15. ქუეშე.

¹ მოსალოდნელი იყო: ცურვისათვის წარსულისა (იხ. გამოკვლევა).

² მე-12 მუხლის აზრი შერყენილი ჩანს. მოსალოდნელი იყო: რამეთუ დასაბამი სიძვისა — განზრახვად მის კერპისაჲ, და მოპოვნებაჲ მათი — განხრწნად ცხორებისა.

17. რომელთა პირსპირ ვერ უძღეს პატივის-ცემად კაცთა შორის ყოფითა, შორისა იგი პირი გამოსახეს და ქმნეს გამოჩინებული ხატი მეფისაჲ, რადთა ვითარცა მუნ მყოფსა შორიელსა ექენებოდიან წრადითა მით ბრძანებად რჩულისა,

18. ვიდრე უმეცართაცა მისა შემდგომად ჰხრომსა პატივის ყოფამან მოყვანა იგინი,

19. რომლისაგან, ვინ-მე უწყის, მთავრისაჲ მის უნდა სათნო-ყოფად და იარებოდა ხუროებით მსგავსებასა უმჯობესად.

20. რადთა სიმართლჳ იგი მოიძულოს უკეთჳსითა მათ საქმიითა, უწინარჳს მცირედისა ჟამისა პატივცემული კაცი სამსახურებელად შეპრაცხა.

21. და ესე ქმნა სოფლისა ამის საცთურ, რამეთუ ბოროტსა რასმე, გინა მძლავრებასა ჰმონებენ კაცნი და უზიარებელი სახელი ქვათა და ძელთა დასდევს.

22. და მერმე კუალად ვერ კმა-ეყო საცთური ესე ღმრთისა მიმართ უმეცრებისაჲ, არამედ დიდსა შინა ცხონდებოდეს უმეცრებისა ბრძოლასა და ესოდენსა ბოროტსა მშვილობა ჰქვან.

23. და შვილთა [95] კუალსა კერბთათვს და ნუ ფარულსა საიდუმლოსა და ნუ სიცილსა ცვალებულთა რჩულთა და კრებასა ჰყოფდეს.

24. და არა ცხორებასა, არცა ქორწილსა წმიდასა და-მერმე-იმარხენ, მოყუასი მოყუასსა ანუ შობასა მოჰკლავს.

25. და ყოველივე აღრეულად აქუს და სისხლი და კაცის-კლვად და ჰარვად და ზაკუვად და ხრწნილებად და ურწმუნობად,

26. და სულთა შეგინებაჲ, ქორწილისა უწესობაჲ, და მრუშებაჲ და უწესობაჲ;

27. და უწესოთა კერბთა მსახურებაჲ ყოვლისა ბოროტისა დასაბანი ბრალი, დასასრულ არს.

28. და ანუ იხარებედ რაჲ და სცთებიედ, ანუ წინამსწარმეტყუელებედ ნაცილსა, ანუ ცხონდებიედ სიცრუევით, ანუ ცილსა ფუცვედ ზედაჲს-ზედა.

29. რამეთუ უსულოთა ესეენ კერბთა და ბოროტად ფუცვენ და ვნებასა არა მოელიედ.

30. ხოლო ორთავე ერთბამად მოუჯდეს მათ სამართალი, და რამეთუ ბოროტად იზრახეს ღმრთისათვს და ხედვიდეს რაჲ კერბთა და ბოროტად ფუცვიდეს.

31. [არა] მათი ძალი იყოს მათა მიმართ, არამედ რომელნი ცოდვიდეს; სარჩელი მოვალს ცრუთა მათთვს რჩულისა გარდასლვისათვს.

თ ა ვ ი 15

1. ხოლო შენ, ღმერთო ჩუენო, ტკბილ ხარ და ჭეშმარიტ, სულგრძელ და წყალობით განაგებ ყოველსა.
2. და ღათუ ვცოდოთ, შენნი ვართ და ვიცით ძალი შენი; ხოლო არა თუ ვცოდოთ, ვიცით, რამეთუ შენდად შერაცხილ ვართ.
3. რამეთუ ცნობაჲ შენი ყოვლადვე სიმართლით არს, და სიმართმე შენი ძირი არს უკუდავებისაჲ.

სიბრძნის ისუ ზირაკისი

თ ა ვ ი 2

1. [2] შვილო ჩემო, შე-თუ-ეყოფვოდი შენ მონებად უფალსა, განმზადე თავი შენი ყოვლისაგან განსაცდელისა.

2. და წრფელ ყავ გული შენი და ნუ მოსწრაფე ხარ ჟამსა მას, რომელსა შეგემთხვოს შენ განსაცდელი.

3. მიეახლე უფალსა და ნუ განეშორები, რაჟთა აღმაღლდე აღსასრულსა მას შენსა.

4. ყოველივე, რაჟცა მოვიდეს შენ ზედა, დაიიამინე და საღმობათაგან დამდაბლებისა შენისათა სულგრძელ იყავ.

5. რამეთუ ცეცხლითა გამოიცადის ოქროჲ, ეგრევე კაცი შერაცხილი საჭუმილითა მით სიმდაბლისაჟთა.

6. გრწმენინ იგი და შეგიწყნაროს შენ და განიგნე გზანი შენნი და ესევედ მას.

7. მოშიშნი უფლისანი მოელოდედ წყალობასა უფლისასა და ნუ გარდაიქვევით, [V] რაჟთა არა დაეცნეთ.

8. მოშიშთა უფლისათა ჰრწმენინ იგი, რაჟთა არა დააყლდეს სასყიდელი მათი.

9. მოშიშნი უფლისანი მოელოდეთ კეთილსა უფლისაგან და სიხარულსა და წყალობასა, რამეთუ ნიჭი უფლისაჲ საუკუნე არს და სიხარულით არს მოსაგებელი მისი.

11. მიხედეთ პირველთა მათ ნათესავთა და იგულეთ, ვის ჰრწმენა ღმერთი და ჰრცხუნა.

12. ანუ ვინ დაადგრა შიშსა მისსა და მან დაადგო იგი?

13. მოწყალე და მწყალობელ არს უფალი, სულგრძელ, დიდად მოწყალე, მიუტევნის ცოდვანი და აცხოვნნის ჟამსა ჭირისასა მოსავნი მისნი.

თ ა ვ ი 24

2. [372r] მე პირისაგან მალღისა გამოვედ და ვითარცა ნისღმან დავფარე ქუეყანაჲ.

3. მე მაღალთა შინა დავემკვდრე, და საყდარი ჩემი სუეტსა ღრუბლისასა.

4. სიმრგულმ ცისაჲ მივიღე მარტომან და სიღრმესა უფსკრულთა-სა ვიღოდე.
5. ლელვათა ზღვსათა ყოველსა ქუეყანასა და ყოველსა ზედა ერსა და ნათესავსა მოვიგე.
6. ამისა შემდგომად განსასუენებელსა ვეძიებდ, ვისსა განვისუენო.
7. მაშინ მამცნო მე დამბადებელმან ყოველთამან და რომელმან დამამტკიცა კარავსა ჩემსა და მრქუა მე:
8. იაკობსა შორის დაემკვდრე და ისრტლსა შორის დაეშმენე.
9. უწინარტს საუკუნეთა დამამტკიცა მე და ვიდრე საუკუნეთა არა მოვაკლდი.
10. და საყოფელად ჰმსახურებდე და ესრტ სიონს შინა დავემტკიცო.
11. ქალაქსა წმიდასა ეგრევე დამაშმენა და იერუსალტმსა კელმწიფებაჲ ჩემი.
12. და ძირნი დავიგნე ე¹...
13. [158] ვითარცა ნაძვ ლობანისაჲ აღმალლდი და ვითარცა საროჲ მათაჲ ერმონისათა?
14. ვითარცა ფინიკი ავმალლდი ენგადიმს, და ვითარცა ნერგი ვარდისაჲ იერიქოს.
15. ვითარცა ზეთის-ხილი შუენირი ველსა ზედა, ავმალლდი ვითარცა ძელქვაჲ.
16. და ვითარცა კინამოჲ, ვითარცა ასფალათი სულნელთაჲ, და ვითარცა მურმან რჩეულმან მივჰფინე სულნელებაჲ;
17. ვითარცა ქალბანაჲ და ფრჩხილი და გუნდრუკი, საკუმეველი კარავსა შინა,
18. მე ვითარცა ბელეკონმან განვირთხენ შტონი ჩემნი და შტონი ჩემნი. შტონი დიდებისა და მადლისანი.
19. მე ვითარცა ვენაჰმან აღმოვატენე მადლი და ყუთავილი ჩემი ნაყოფი დიდებისა და სიმდიდრისაჲ.
20. მოვედით ჩემდა, რომელთა გასურის ჩემდა და ნაყოფთა ჩემთაგან აღივსენით.
21. რამეთუ საჯსენებელი ჩემი უფროჲს თაფლისა ტკბილ არს და სამკვდრებელი ჩემი უფროჲს თაფლისა გოლისა.
22. რომელნი მჰამდენ, მერმე შიოდისვე; [V] და რომელნი მსუმოდენ, მერმე სწყუროდისვე;

¹ აქედან ფერცლის შუა ნაწილი ამოკრილი ჩანს.

² 24-ე თავის 13—37 მუხლები ბერძნული ტექსტის პარიზულ (1882 წ.) გამოცემაში 17—37 მუხლებად მოდის.

23. რომელი მერჩდეს, არა პრცხუნოდის; და რომელნი იქადოდან ჩემდა მომართ, არა ცოდონ.

25. [365V] ესე ყოველი წესი ღმრთისა მალღისაჲ არს მეცნიერებაჲ ჩუენ ზედა;

26. რჩული, რომელი ამცნო მოსმ სამკვდრებელად ერსა მას იაკობისსა.

27. რომელმან პირსპირ აღავსო ვითარცა ფისონი სიბრძნმ და ვითარცა დავლათი (?) დღეთა მათ ზამთრისათა.

28. რომელმან აღავსის სიბრძნითა ვითარცა ეფრათი და გონიერებითა აღავსის ვითარცა იორდანე დღეთა მკისათა.

29. რომელმან გამოაცხადის ვითარცა ნათელი სწავლულებაჲ და ვითარცა გეონი დღეთა მათ სთულეზისათა.

30. არა პირველთა მათ და დასაბამსა მეცნიერებისასა შეუძლონ შეწევნად, ვერცა უკუანაჲსკნელთა გამოიძიონ მისი;

31. რამეთუ ზღვსაგან განმრავლდა მეცნიერებაჲ მისი და ზრახვანი მისნი უფსკრულთაგან მრავალთა.

32. და მე ვითარცა ჭურღმული ერთი მდინარისაგან და ვითარცა ნაკადული ერთი მქანრად დინ სამოთხედ მიმართ.

33. ვთქუ: მოვრწყო მტილი ჩემი და დავათრვო ყუერბები ჩემი.

34. ესერა მექმნა მე ნაკადული იგი მდინარე დიდ და მდინარმ ესე ჩემი შემექმნა მე ზღუად.

35. აწ აღვიმსთო და განვანათლო მო[366]ძღურებაჲ ესე ჩემი ვითარცა ცისკარი, რაჲთა ბრწყინვიდეს მიშორამდე.

36. უფრომს განვჰფინო მოძღურებაჲ ვითარცა წინაჲსწარმეტყუელებაჲ და განუყო იგი ნათესავსა უკუნისადმე.

37. აიზილეთ, რამეთუ არა ჩუენთვის იოლო ვშუერ, არამედ ყოველთათვის. რომელნი ეძიებენ მას.

თ ა ვ ი 25

1. ხანითა ამით ჭერითა შევიმკვე და სამითავე ამით განვშუენდი და აღვდეგ შუნიერი წინაშე ღმრთისა და კაცთა.

წინაწარმეტყულება ესაიასი

თ ა ვ ი 1

2. [61] გესმოდენ, ცაო, და ყურად-იღე, ქუეყანაო, რამეთუ უფალი იტყოდა: შვილ ვისხენ და აღვიზარდენ, და მათ შეურაცხ-მყვეს.

3. იცნა კარმან მომგებელი თვისი და ივირმან — ბაგაჲ უფლისა თვისისაჲ. ხოლო ისრაჴლმან მე არა მიცნა, და ერმან ჩემმან არა გულისხმა-ყო.

4. ვაჲ, ნათესავი ცთომილი და თესლი უკეთური, ნაშობნი ურჩულოებისანი! დაუტევეს უფალი და განარისხეს წმიდაჲ იგი ისრაჴლისაჲ, უცხო იქმნეს და უკუნ-დგეს.

5. რაჲსა შესძინებთ წყლულებასა ზედა წყლულებათა ურჩულოებითა თქუენითა? ყოველი თავი საღმობად, და ყოველი გული ქუვილითა.

6. ფერკითი თავადმდე გუემულ არს, არა არს მას შინა ადგილი სულნელების, და არცა წყლულებანი განცხადებულ, არცა ნაგუემთა განსივებაჲ, არცა არს ადგილ წამლის ზედა-დასაადებელ, არცა ზეთის და არცა შესახუეველი.

7. ქუეყანაჲ თქუენი ოკერ, და ქალაქები თქუენი ცეცხლითა მომწუარ; სოფელსა თქუენსა თქუენ წინაშე უცხონი შესკამდენ: და მოკრებულ და დაქცეულ კელთა მიერ უცხოთასა.

8. დაგდებულ და დატევებულ იყოს ასული ეგე სიონისაჲ ვითარცა ტალავარი მყოდოლთაჲ, და ვითარცა საგრილობელნი ხილის მცველთანი შორის ნესთანსა მას, და ვითარცა ქალაქი შეცვული.

9. არა თუმცა უფალმან ძალთამან დამიტევნა ჩუენ თესლი მკვდრობისაჲ, სოდომელთაებრმცა დაქცეულ ვიყვენით [v] და გომორელთამცა მიმსგავსებულ ვართ.

10. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ მთავართა სოდომისათა და ეკრძალენით რჩულსა ღმრთისასა ერი ეგე გომორისაჲ.

11. რაჲ ძეს ჩემი და თქუენი და განმრავლებისა მაგის მსხუერპლისა თქუენისაჲ? თქუა უფალმან: მაძღარ ვარ აწ, კმა არს ჩემდა საკუერთნი ვერძთაჲ; და ცმელი კრავთაჲ და ვაცთა თქუენთაჲ არა მნებეს;

12. ხილვამ, მოსლვამვე და ჩუენებაჲ თქუენი არა მნებაჲს. ვინ-მე ითხოვდა ამას კელთაგან თქუენთა დათრგუნვად? ამიერთგან ეზოსა ჩემსა არლარა შესძინოთ შემთხუევაღ.

13. უკუეთუ შემოსწიროთ თქუენ სამინდოჲ, მსხუერპლი იგი ცუ-დად არს თქუენდა; მიკუმოთ თუ საკუმეველი, იგიცა საძაგელადვე შერაცხილ არს ჩემდა. თთჳს-თავები თქუენი და შაბათები თქუენი და დღენი თქუენნი შერაცხილნი დიდნი წელიწადთანი არა თავს-ვისხნე.

14. უზმელეზანი და უქმელეზანი და თთჳს-თავენი თქუენნი სძულან სულსა ჩემსა, რამეთუ განმადარ ვარ აწ თქუენითა. არა ეგებბის ამ-ერთგან, მერმე არლარა გილხინო ცოდვათა თქუენთა.

15. რაჲამს აღბჳყრნეთ კელნი თქუენნი ჩემდა მომართ, გარე-მივიქ-ციო პირი ჩემი თქუენგან, და თუ განამრავლებდეთ ლოცვათა თქუენ-თა, არავე ვისძინო თქუენი, რამეთუ კელნი თქუენნი სავსე არიან სისხ-ლითა.

16. [360v] განიბანენით, განიწმიდენით, განიშორეთ უკეთურებაჲ. სულთაგან თქუენთა წინაშე თუალთა ჩემთა, დასცხერით ბოროტისა-გან თქუენისა;

17. ისწავეთ კეთილისა საქმჳ, გამოიძიეთ სამართალი, იკსენით და-წუნებული, უსაჯეთ ობოლსა, განამართლეთ ქურივი.

18. და მოვედით და შევიტყუნეთ, იტყჳს უფალი. და უკუეთუ იყვ-ნენ ცოდვანი თქუენნი ვითარცა ღებბილნი, ვითარცა თოვლი განვასპე-ტაკო; და თუ იყვნენ მეწამულნი, ვითარცა მატყლი განვასპეტაკო.

19. და უკუეთუ გინდეს და ისმინოთ ჩემი, კეთილსა ქუეყანასა სკამდეთ.

20. და უკუეთუ არა ისმინოთ ჩემი და არა ინებოთ, მახვლმან შეგ-ქამნეს თქუენ, რამეთუ პირი უფლისაჲ იტყოდა ამას ¹.

24. [319v] ამას იტყჳს უფალი ღმერთი ძრიელი საბაოთ ისრაჳლისაჲ: [ვამ, ძრიელთა ისრაჳლისათა], რამეთუ არა დასცხრეს გულის-წყრომაჲ ჩემი წინა-აღმდგომთა ჩემთა ზედა, და სასჯელი ვყო მტერ-თა ჩემთაჲ;

25. და მიგყო კელი ჩემი შენ ზედა და გამოგატყროვ წმიდად; ხო-ლო ურჩნი იგი წარვწყმიდნე და მოვსპნე ყოველნი უსჯულონი შენგან და ყოველნი ამპარტავანნი დავამდაბლნე.

26. და დავადგინნე მსაჯულნი შენნი, ვითარცა პირველ, და ზრახვა-ნი შენნი, ვითარცა დასაბამსა, და მისა შემდგომად გეწოდოს შენ ქა-ლაქი სიმართლისაჲ და ქალაქი სარწმუნოჲ, სიონ.

27. რამეთუ სამართლით განერეს ტყუჳ მისი და მოწყალებით.

13. უკუეთუ]შესძინოთ. 15 სავსდ.

¹ 21—23 მუხლებბის ტექსტი არ მოიპოვება.

28. და შეიძუსრნენ ცოდვილნი და უსჯულონი ერთად და, რომელთა დაუტევეს უფალი, მოისრნენ.

29. რამეთუ ჰრცხუენეს კერპთა მათთა ზედა, რომელთა-იგი მათ ინებეს, და ჰრცხუენეს გამოქანდაკებულთა მათთა ზედა, რომელნი მათ ქმნეს, და ჰრცხუენეს მტილებსა მათსა, რომელთათვის გული-უთქუმიდა.

30. რამეთუ იყვნენ იგინი ვითარცა ბელეკონნი ფურცელდაყრილნი და ვითარცა სამოთხე, რომელსა არა აქუნ წყალი.

31. და იყოს ძალი მათი ვითარცა ნაძეძი სელისა და საქმენი მათნი ვითარცა ნაბერწყალნი ცეცხლისანი, და დაიწუნენ უსჯულონი და ცოდვილნი ერთად და არავინ იყოს დამშრეტელ.

თ ა ვ ი 2

2. რამეთუ იყოს უკუანაძსენელთა დღეთა გამოჩინებულ [320] შთაჲ უფლისაჲ და სახლი ღმრთისაჲ წუერსა ზედა მათასა და ამალდეს უფროჲს ყოველთა ბორცუთა, და მოვიდოდინ მუნ ყოველნი ნათესავნი.

3. და მოვიდოდინ მრავალნი თესლნი და იტყოდინ: მოვედით და აღვიდეთ მათსა უფლისასა და სახლსა ღმრთისა იაკობისსა, და მითხრას ჩუენ გზაჲ თუსი, და ვიდოდით მას შინა. რამეთუ სიონით გამოვიდეს შჭული და სიტყუაჲ უფლისაჲ — იერუსალმით.

4. და სჯიდეს შორის თესლებსა და ამხილებდეს ერსა მრავალსა; და დასქრიდენ მახვლებსა მათსა საცნისად და ლახურებსა მათსა მანგლად; და არა აღიღოს ნათესავმან ნათესაჲსა ზედა მახვლი და არღარა ასწავებდენ მერმე ბრძოლასა.

5. და აწ შენ, სახლო იაკობისო, მოვედით და ვიდოდით ნათელსა უფლისასა.

6. რამეთუ დაუტევა ერი თუსი, სახლი იაკობისი, რამეთუ აღივსო ვითარცა დასაბამსა სოფელი მათი მისნობითა ვითარცა-იგი უცხო თესლთა, და შვილნი მრავალნი უცხო თესლთანი შვნეს მათ.

7. რამეთუ აღივსო სოფელი მათი ოქრომთა და ვეცხლითა და არა არს რიცხვ ეტლებისა მათისაჲ.

8. და აღივსო ქუეყანაჲ მათი საძაგლეებითა ჯელთა მათთაჲთა და თაყუანის-სცეს მათ, რომელნი ქმნეს თითითა მათითა.

9. და მოღრკა კაცი და დამდაბლდა მამაკაცი, და არღარა უღზინო მათ.

10. და აწ შევედით კლდესა და დაემალენით ქუეყანასა პირისაგან შიშისა უფლისა და დიდებისაგან ძრიელებისა მისისა.

11. რაწეთუ თუალნი უფლისანი მაღალ არიან; ხოლო კაცი მდაბალ არს. და დამდაბლდეს სიმართლჳ კაცთაჲ, ხოლო ამაღლდეს უფალი მხოლოჲ მას დღესა შინა.

თ ა ვ ი 3

9. [187] ...ვაჲ სულისა მათისათჳს, რამეთუ ზრახეს ზრახვაჲ ბოროტი,

10. და თქუეს: შევეკრათ მართალი იგი, რამეთუ განმამძნელებელ ჩუენდა არს. აწ უკუე ნაყოფსა საქმეთა მათთასა ჰამდენ.

11. ვაჲ ურჩულოსა მას, რამეთუ ბოროტი შეემთხვოს მას საქმეთა მათთაჲ.

12. ერო ჩემო, ხარკის მომკდელნი თქუენნი მოგკუფხვლიდენ თქუენ და, რომელნი მიგკდიან, იგინივე უფლებდენ თქუენ ზედა; ერო ჩემო, რომელნი გნატრიან თქუენ, იგინივე გაცთუნებენ და კუალსა ფერკთა თქუენთასა შეგირყევენ.

13. და აწ დადგეს სასჯელად უფალი და წარმოგიდგინოს სასჯელად ერი თჳსი.

14. რაჲსათჳს მოსწუთ ვენაჲი ჩემი, და ნატაცები გლახაკთაჲ არს სახლთა შინა თქუენთა?

15. თქუენ რაჲსათჳს ავნებთ ერსა ჩემსა და პირსა გლახაკთასა არცხუენთ? ამას იტყჳს უფალი ძალთაჲ.

თ ა ვ ი 6

1. [242v] და იყო, წელიწადსა მას, რომელსა მოკუდა ოზია მეფჳ, ვიხილე მე უფალი, მკდომარჳ საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა. და საესე იყო ტაძარი იგი დიდებითა მისითა.

2. და სერაბინნი [243] დგეს გარემოჲს მისსა, და ესხა ექუს ფრთჳ ერთსა და ექუს ფრთჳ ერთსა: ორითა მით იფარვიდეს პირთა, ორითა მით იფარვიდეს ფერკთა, ორითა მით ფრინვიდეს.

3. დალაღებდეს და იტყოდეს: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ; საესე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა მისითა.

შ. 1. საესე. 2. ექუსს[ორჭერვე]. 3. საესე.

1 ამ მუხლს აკლია ადგილი, რომელიც ლავურკის ლექციონარში ასე იკითხება: „და თავადი უფალი სარჩელად მოვიდეს მოხუცებულთა თანა ერისათა და მთავართა მისთა თანა და ჰრქუას მათ“.

4. და აღმალდა კრეტსაბმელი იგი კმითა მით, რომლითა ღალადებდეს; და ტაძარი იგი აღივსო საკვრველებითა.

5. და ვთქუ: ეჰა უბადრუკსა ამას! რამეთუ კაცი ვარ და არა წმიდანი, ბაგენი მქონან და შორის არაწმიდად-მეტყუელისა ერისა დამკვდრებულ ვარ და მეფე უფალი თუალითა ვიხილე.

6. და მოივლინა ჩემდა ერთი სერაბინთაგანი და კელთა მისთა აქუნდა ნაკურცხალი, რომელიმე მარწუხითა მოილო საკურთხეველისაგან

7. და შემახო პირსა ჩემსა და მრქუა მე: აჰა ესერა შეგახო ბაგეთა შენთა და მოგისპ[ნე] ურჩულობანი და ცოდვანი შენნი.

8. და მესმა კმაჲ უფლისაჲ, ვითარ-იგი იტყოდა: ვინ მივაგლინო ანუ ვინ მივიდეს ერისა მის? და ვთქუ: აჰა ესერა ვარ, და მიმავლინე მე.

9. და მრქუა მე უფალმან: წარვედ და არქუ ერსა მას: სმენით გესმოდის და არა გულისხმა-ყოთ, ხედვით ხედვიდეთ და ვერ იხილოთ,

10. რამეთუ განზრქნა გული ერისაჲ მის; ყურთა მათთა ესმოდა და არა გულისხმა-ყვეს; თუალითა მათითა ხედვიდეს და დაიწუხნეს; რად-თა ხედვით ხედიდენ და არა იხილონ; და სმენით ესმოდის და არა ისმინონ ანუ გულისხმა-ყონ გულითა მათითა მოქცევად სინანულისა, და მე განვეკურნე იგინი.

თ ა ვ ი 7

3. [248v] და ჰრქუა უფალმან ესაიას: განვედ და მიეგებვოდე შენ აქაზს, შეფესა იუდაჲსსა, შენ და იასუბ, ძმ შენი, საბანელსა მას ზემო გზისასა აგარაკსა მურკველისასა.

4. და ჰრქუა მას: ეკრძალე დადუმებად და ნუ გეშინინ, და ნუცა გული შენი მოუძრულდებინ ორთა მათგან შეშათა მუგუზთა მკულვარეთა; რამეთუ ოდეს რისხეაჲ გულისა ჩემისაჲ იყოს, კუალად ლხინება ვყო.

5. და ძემან რომელისმან და ძემან არამისმან, რომელი ზრახეს ზრახეაჲ ბოროტი შენთვის, და თქუეს:

6. [249] აღვიდეთ ჰურიასტანად და თანა-ვეტყოდით მათ, მოვაქცი-ნეთ იგინი ჩუენდად და მეფე ვყოთ მის ზედა ძმ ტაბელისი.

7. ამას იტყვს უფალი საბაოთ: არა დაადგრეს ზრახეაჲ ეგე თქუენი, არცა იყოს,

8. არამედ თავ არამისა დამასკე, და თავ დამასკისა რასენ და მერმელა სამეოც და ხუთი წელი და მოაკლდეს მეფობაჲ ეფრემისი ერი-საგან.

5. მეფე]მ^რფ^მ.

7. 3. იასუბ]იასონ. 6. მეფე. 8. დამასკე.

9. და თავ ეფრემისა სომორონ, [და თავ სომორონისი] ძმ ჰრომელისი. და უკუეთუ არა გრწმენეს, არა გულისხმა-ჰყოთ.

თ ა მ ი 8

8. [320v]... ჩუენ თანა ღმერთი.

9. ცანთ წარმართთა და იძლიენით; ისმინეთ დასასრულადმდე ქუეყანისა, განძრიელებულნი ეგე იძლიენით. თუ კუალად განსძრიელდეთ, მერმეცა იძლიენით.

10. და რომელი ზრახებაჲ ჰზრახოთ, განაქარვოს იგი ღმერთმან; და სიტყუასა რომელსა იტყოდით, არა დაადგრეს თქუენ თანა, რამეთუ ჩუენ თანა არს ღმერთი.

11. ამას იტყვს უფალი — კელითა ძრიელითა ურჩითა მათთვის და სლვითა გზისა ერისა ამის — და იტყვან:

12. ნუ იტყვთ ფიცხელსა, რამეთუ ყოველი, რომელი თქუას ერმან, ამან, ფიცხელ არს; შიშისა მათისაგან არა გეშინოდის, არცა შესძრწუნდეთ.

13. უფალი თავადი წმიდა-ყავთ, და იგი იყოს შიშ თქუენდა.

14. და უკუეთუ მისა მოსავ იყენეთ, იყოს შენდა სიწმიდე; და ფერკი შენი არა წარსცე ქვასა, არცა პკოლასა შემთხუევისასა, და საც-თური შენი არა შეგემთხვოს. ხოლო სახლი იგი იაკობისი საფრკედ დელეთა, დარანებულთა იერუსალმს.

15. ამისთვის მოუძრულდენ მათ თანა, დაეცენ და შეიმუსრნენ,... და საცემელად კაცნი წარსაწყმედელად.

ს

16. მაშინ გამოჩინებულ იყვნენ, რომელნი ჰკრვიდეს და ჰბეჭდვადეს შჯულსა, ვითარ ნუეინ ისწავა.

17. მაშინ სთქუა: დავადგრე და ველოდი ღმერთსა, რომელმან გარე-მიიქცია პირი მისი სახლისაგან იაკობისა, და ვესვიდე მას.

18. და აჰა მე და ყრმანი ესე ჩემნი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან, და იყოს სასწაულად და ნიშად ზედა სახლსა მას ისრაჴლისასა უფლისაგან ღმრთისა ძალთაჲსა, რომელი დაძკდრებულ არს მთასა ზედა სიონსა.

9. სომორონ]სორომონ.

8. 9. მერმეცა]მიერ მეცა. 14. სიწმიდა.

4

16. [215v] მაშინ ცხად იყვნენ აღბეჭდულნი იგი შჯელსა არა სწავლად.

17. და თქუა: ვკვებდე მე უფალსა, რომელმან გარე-მიიქცია პირი მისი სახლისაგან იაკობისა, და ვიყო მე მისა მოსად.

18. აჰა ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე უფალმან, და იყოს სასწაულებად და ნიშებად სახლსა ზედა ისრაელისასა უფლისა მიერ საბოთისა.

თ ა ვ ი 9

5. [382]... და ინებონ, თუმცა იყვნეს ცეცხლით შემწუარ.

6. რამეთუ ყრმაჲ იშვა ჩუენთვის, ძმ მოგუეცა ჩუენ, რომლისა მთავრობაჲ მისი ზედა ბექთა მისთა, და პრქვან სახელი დიდისა ზრახვისაჲ ანგელოზი, ღმერთი ძრიელი და კელმწიფჳ, მთავარი მშვდობისაჲ, მამაჲ მერმეთა მათ საუკუნეთაჲ, რამეთუ მე მოვაველინო მშვდობაჲ მთავართა ზედა, მშვდობაჲ და სიცოცხლჳ.

8. და მშვდობისა მისისაჲ არა არს რიცხვ, ...დაჯდეს ...წყევასა მისსა... წარემართოს სიმართლითა და ქვემარტებითა ამიერთგან და უკუნისამდე უამთა. შურმან უფლისა საბოთისგან ყო ესე.

თ ა ვ ი 10

24. [320v] ამისთვის ამას იტყვს უფალი საბოთ: ნუ გეშინინ, ერო ჩემო, რომელნი დამკვდრებულ ხართ სიონს, ასურასტნელთათვის, რამეთუ კუერთხითა გცე შენ; და გუემაჲ მოვაწიო შენ ზედა, [321] ხილვად გზაჲ ეგვპტისაჲ.

25. მერმეთა მცირედ დასცხრეს რისხვაჲ ჩემი შენთვის, რამეთუ გულისწყრომაჲ ჩემი რისხვასა მათსა.

26. და აღადგინოს ღმერთმან მათ ზედა ტანჯვაჲ წყლულებისა მისებრ მადიამისა ადგილსა ჰირისასა, ხოლო გულისწყრომაჲ მისი გზასა მას ზღვთ კერძოსა ეგვპტით მიმართ.

27. და იყოს, მას დღესა შინა მოგელოს უღელი მისი ქედისაგან შენისა და შიში მისი შენგან, და განირყუნეს უღელი მისი მკართაგან შენთა,

28. რამეთუ მოიწიოს ქალაქად ანგედ და თანა-წარვლოს მაგედონი და მაქმასს დადვას საჭურველი თვისი.

29. და წარვლოს კელი იგი და შიიწიოს გაბაონდ და იქცეოდის; შიშმან შეიპყრას ქალაქი საულისი.

30. ივლტოდის ასული გალიმისი, ესმეს ლაიზს, ესმეს ანათოთს,

31. განჰკრთეს მედებად და მკვდრნი მისნი,

32. პლოცვიდენ დღისი, გზასა დადგრომად ევედრებოდიან კელითა ასულისა სიონისადათა [მთანი] და ბორცუნი, რომელნი იყვნენ იერუსალჴმს.

33. და აჰა ესერა უფალი საბაოთ შეადრწუნებს დაბადებულთა ძრიელებითურთ, და მაღალნი იგი გინებით შეიმუსრნენ, და განსაცხრომელნი იგი დამდაბლდენ,

34 და დაეცნენ მაღალნი იგი მახვლითა, ხოლო ლიბანი სიმაღლითურთ დაეცეს.

თ ა ვ ი 11

1. [382v] და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესჴსისა, და ყუავილი ძირისაგან მისისა აღმოკდეს.

2. და განსუენოს მის ზედა სულმან ღმრთისამან, სულმან სიბრძნისამან და გულისხმის-ყოფისამან, სულმან ზრახვისამან და მეცნიერებისამან და ღმრთის მსახურებ-სამან,

3. სულმან ძრიელებისა და შიშისა ღმრთისამან; და აღავსოს იგი, არა დიდებისაებრ შჴიდეს, არცა სიტყუსაებრ ამხილებდეს,

4. არამედ სჴიდეს სიმაართლისა სასჴელსა და ამხილებდეს დიდებულთა ქუეყანისათა. დასცეს ქუეყანაჲ სიტყვთა პირისა მისისადათა და სულითა ბაგეთა მისთადათა მოსპოს უღმრთოჲ.

5. და იყვნენ სიმაართლითა მორტყმულ წელნი მისნი და ჰეშმარტებითა მომტკიცებულ გუერდნი მისნი.

6. მაშინ ძოვდეს ძგელი კრავთა თანა. და ვეფხი განსუენებდეს თიკანთა თანა, და კბოჲ და კუროჲ და ლომი ერთად ძოვდენ, და ყრმამან მცირემან მოიყვანნეს იგინი.

7. და ჯარი და ლომი ერთად ძოვდენ, და ერთად მართუენი მათნი იყვნენ.

8. და ყრმამან ჩიჴლმან კურელსა ასპიდისასა კელი დასდვას;

9. და არარაჲ ავნოს მას და არცა შეუძლოს წარწყმედად მთასა მას ზედა წმიდასა ჩემსა, რამეთუ აღივსო ყოველი ქუეყანაჲ მეცნიერებითა ღმრთისადათა, ვითარცა წყალმან მრავალმან დაფარის ზღუაჲ.

10. [282] და იყოს მას დღესა შინა ძირი იგი იესესი და რომელი-

30. გალიმისი]ბალამისი, ანათოთს]ანათოზს. 31. გებმისნი] მისნი. 33. და (1)]+იულას.

-იგი აღდგომად არს მთავრად წარმართთა, მას წარმართნი ესვიდენ, და იყოს განსუენებაჲ მისი პატივით.

11. და აღმართოს წყალობით საყდარი მისი და დაჯდეს მას ზედა ქუშმარიტებით საყდარსა დავითისსა, შვიდეს და გამოეძიებდეს სამართალსა და იწრაფდეს სიმართლესა.

თ ა ვ ი 12

1. [361] და სთქუა შენ მას დღესა შინა: გაკურთხოს შენ უფალმან, რამეთუ მრისხევდ საცხოვრებელად და გარე-წარაქციე გული-წყრომაჲ შენი ჩემგან, მოიქეც და წყალობა-ყავ ჩემთვის.

2. აჰა ესერა ღმერთი ჩემი, მაცხოვარი ჩემი უფალი, და მე ვიყო მოსავ მისა და განვერე მე მისგან და არღარა მეშინოდის, რამეთუ დიდებაჲ ჩემი არს უფალი და მეყო მე მაცხოვარ.

3. და მაშინ აღმოიქსო შენ წყალი წყაროთაგან სიხარულით ცხოვრებისაჲ.

4. და პრქუა შენ მას დღესა შინა: გაკურთხოს შენ უფალმან; სიქადული აღიდეთ სახელითა მისითა და მიუთხრობდით წარმართთა შორის დიდებულებასა მისსა; მოიკსენეთ, რამეთუ ამაღლდა სახელი მისი.

5. უგალობდით სახელსა მისსა, რამეთუ მაღალი [V] დიდებული ქმნა; მიუთხაროთ ყოველსა ქუეყანასა.

6. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით მკვდრნი სიონისანი, რამეთუ ამაღლდა წმიდაჲ იგი ისრაჲლისაჲ შორის მისსა.

თ ა ვ ი 19

1. [11v] აჰა ესერა უფალი საბაოთ ზე-ზის ღრუბელთა სულმცირეთა და მოვიდეს ეგვიპტედ და შემუსრნეს კელით ქმნულნი ეგვიპტისანი პირისაგან მისისა, და გულნი მათნი მოუძრულდენ მათ შორის.

2. და აღდგენ მეგვიპტელნი მეგვიპტელთა ზედა, და ჰბრძოდის კაცი ძმასა თვისსა და მოყუასი ძოყუასსა თვისსა და ქალაქი ქალაქსა ზედა, [და შჭული შჭულსა ზედა].

3. და შეძრწუნდეს სული [12] მეგვიპტელთაჲ მათ შორის და ზრახვანი მათნი განვაქარვნე, და ჰკითხვიდენ ღმერთთა მათთა და ძველებსა მათსა და ქუეყანით-მოქმედთა და მუცლით-მეზღაპრეთა.

4. და მივსცე ეგვიპტე კელთა უფალთა ფიცხელთასა, და მეფენი ფიცხელნი უფლებდენ მათ ზედა.

თ ა შ ი 25

1. [321] უფალო ღმერთო ჩუენო, გადიდებთ შენ, უგალობთ სახელსა შენსა, რომელმან ჰქმნენ საკვრველნი საქმენი; ზრახვად დასაბამისად ჰეშმარიტ

2. იყავნ, უფალო, რამეთუ დასცენ ქალაქნი მიწად, ქალაქნი ძრიელნი; დაცემად იგი საფუძველითგან უღმრთოთა, ქალაქი საუკუნოდ არა აღეშენოს.

3. ამისთვის გაკურთხევდეს შენ ერი გლახაკი, და ქალაქნი კაცთა დაქირვებულთანი გაკურთხევდენ შენ [v],

4. რამეთუ ექმენ ყოველსა ქალაქსა მდაბალსა შემწე და სულმოკლეთა — ნაკულევეანებისაგან მფარველ, კაცთაგან უკეთურთა იქსნენ იგინი,

5. მფარველ წყურიელთა და სულმოკლეთა კაცთა დაწუნებულთა, რამეთუ კაცი სულმოკლენი წყურილითა სიონს შინა კაცთა მათ უღმრთოთა, რომელთა მიმცენ ჩუენ.

6. და უყოს უფალმან საბაოთ ყოველთა წარმართთა; მთასა ამას ზედა სიონსა [სუმიდენ] ღვნოსა, იცხებდენ ნელსაცხებულსა.

7. და მოეცნენ მთასა ამას. მოცემით მოეცეს ესე ყოველი წარმართთა, რამეთუ ზრახვად ესე ყოველთა მიმართ წარმართთა შთანთქა.

8. სიკუდილმან შეუძლო და კუალად მოსპო ღმერთმან ყოველი ცრუე ყოვლისაგან პირისა, ყუედრებად ერისა თვისისად, რამეთუ პირი უფლისად იტყოდა.

9. და თქუა მას დღესა შინა: აჰა ღმერთი ჩუენი. რომელსა ჩუენ ვესეგდით. და ვინჯარბდით მაცხოარებითა მისითა.

თ ა შ ი 33

2. [197] უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ ჩუენ შენ გესაეთ; იქმნა ნათესაეი ურჩითა წარსაწყმედელ, რამეთუ ცხორებად ჩუენი შენ მიერ ჟამსა ქირისასა.

3. კელითა შიშისა შენისაჲთა განჰკრთეს ერნი და სიმაღლისა შენისაგან განეთესნეს წარმართნი.

4. ხოლო აწ შეკრბენ ტყუენი ჩუენნი მციროთგან ვიდრე დიდადმდე; ვითარცა ვინ შეკრბიბის მკალი, ეგრე გემღერდენ თქუენ.

5. წმიდა არს ღმერთი, რომელი დამკვდრებულ არს მაღალთა შინა, აივსო სიონი მსჯავრითა და სიმართლითა.

6. და შჯულსა მიეცეს, საუნჯეთა შინა არს მაცხოვარებაჲ ჩუენი, მოიწვევის სიბრძნე და მეცნიერებაჲ და ღმრთის მსახურებაჲ უფლისა მიმართ; ესენი არიან საუნჯენი სიმართლისანი.

7. აჰა ესერა შიში თქუენი მათ ეშინოდის, რომელთათვის თქვენ გეშინოდა; და მოციქულნი მოივლინეს ვედრებად [197v] მშულობისა; მწარედ ტიროდიან,

8. რამეთუ მოოკრდეს გზანი მათნი; დაცხრომილ არს შიში წარმართთაჲ და მამათა მიმართ აღთქუმაჲ მოღებულ არს, და არად შეირაცხნედ იგანი კაცად.

9. იგლოვდა ქუეყანაჲ, ჰრცხუენოდა ლიბანსა, წყურნებ იქმნა სარონი; განცხადებულ იყო გალილეაჲ და კარმელი.

10. აწ აღვდგე, იტყვს უფალი, აწ ვიდიდო, აწ ავმალდდე. აწ იხილოთ და გრცხუენეს.

17. [321v] მეუფჳ დიდებით იხილოთ და თუალთა თქუენთა იხილონ ქუეყანაჲ იგი შორით,

18. და ზულმან თქუენმან დაიწუართოს შიში. სადა არიან მწიგნობარნი? ანუ სადა არიან მზრახვალნი? სადა არს, რომელი-იგი რაცხდა მათ?

19. მცირჳ და დიდი, რომელსა არა აზრახა არა კმამალისა მიერ; ვითარმცა არა ესმა, ერი განქარვებულ არს, და არა არს მსმენელისა მის გულისხმის-ყოფაჲ.

20. აჰა ესერა სიონი, ქალაქი ნაცხოვარებისა ჩუენისაჲ; თუალთა შენთა იხილონ, იერუსალჳმ, ქალაქო მდიდარო, კარავნი, რომელ არა შეიძრნენ, არცა შეირყინენ მანანი კარვისა მისისანი უკუნისამდე ჟამთა, რამეთუ არცა საბელნი მისნი განსთქდენ.

21. რამეთუ სახელი უფლისაჲ დიდ არს თქუენ ზედა, ადგილ თქუენდა იყოს, სადა მდინარენი და ქეენი ფართონი და ვრცელნი. არა [322] ხელოდი შენ მას გზასა, ნუცა ვლენენ ნავნი შენნი.

22. რამეთუ ღმერთი ჩუენი დიდ არს, არა წარმჯდეს ჩუენ უფალი მსაჯული ჩუენდა, უფალი მთავარ ჩუენდა, უფალი მეუფჳ ჩუენდა, უფალი მაცხოვარ ჩუენდა და მან თავადმან მიცნეს ჩუენ.

თ ა ვ ი 35

3. [382v] განძრიელდით კელნი დაშთომილნი და მუტლნი დაქსნილნი.

4. ნუგეშინის-სცემდით სულმოკლეთა გულითა, განძრიელდით და

ნუ გეშინინ. აჰა ესერა უფალი ჩუენი სასჯელსა მიაგებს და მიაგოს იგი. თავადი მოვიდეს და მაცხოვნეს ჩუენ.

5. მაშინ აღეხუნენ თუალნი ბრმათანი და ყურთა ყრუთასა ესმოდის.

6. მაშინ ხლდებოდიან მკელობელნი ვითარცა ირემნი, და განემართოს ენაჲ ბრგუნელი, რამეთუ გამოსთქდა უდაბნოსა წყალი და ქვენები ქუეყანასა წყურიელსა.

7. და იყოს უდაბნოჲ წყურნებად, და წყურიელსა ქუეყანასა იყოს წყაროჲ წყალთაჲ.

თ ა ვ ი 40

1. [56v] ნუგეშინის-სცემდით, ნუგეშინის-სცემდით ერსა ჩემსა, იტყუს უფალი.

2. მღღელნი ეტყოდეთ გულსა იერუსალჴმისასა და ნუგეშინის-სცემდით მას, რამეთუ აღივსო სიძღაბლჴ მისი, და განკსნდეს ცოდვანი მისნი, რამეთუ მოილო კელისაგან უფლისა მრჩობლი მოსაგებელი ცოდვათა თვისთაჲ.

3. კმაჲ ღალადებისაჲ უდაბნოსა ზედა: განზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი ღმრთისა ჩუენისანი.

4. ყოველი ქვენები აღმოივსოს, და ყოველნი მთანი დამდაბლდენ; და იყოს ძნელოვანი იგი წრფელად და ღირდილოვანი — ველად.

5. და გამოჩნდეს დიდებაჲ უფლისაჲ, და იხილოს ყოველმან კორციელმან მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ უფალი იტყოდა.

6. კმაჲ, რომელი იტყოდა: ღალად-ყავ! და თქუ: რასა ვღალადებდე? ყოველი კორციელი თივა არს, და ყოველი დიდებაჲ კაცოსაჲ ვითარცა ყუავილი თივისაჲ.

7. განკმა თივაჲ იგი და ყუავილი მისი დასცევა.

8. ხოლო სიტყუაჲ უფლისაჲ დგას და ჰგიეს უქუნისამდე.

9. [368] აღვედ მთასა მალასა მახარებელი ეგე სიონისაჲ, აღმღღლე ძრიელად კმაჲ შენი მახარებელმან მაგან იერუსალჴმისამან, აღიმადლე, ნუ გეშინინ, არქუ ქალაქებსა იუდაჲსსა:

10. აჰა ესერა ღმერთი, ღმერთი ჩუენი, აჰა ესერა უფალი ძრიელებით მოვალს და მკლავი მისი უფლებით; აჰა ესერა სასყიდელი მისი მის თანა და საქმენი წინაშე მისსა.

11. ვითარცა მწყემსი მწყსიდეს სამწყოსათა თვისთა და მკლავითა თვისთა შეკრობნეს კრავნი და მუცლად-ღებულთა ნუგეშინის-სცეს.

12. ვინ აღწყნა პევშითა თვისთა წყალნი და ცანი მტკავლითა განზომნა და ყოველი ქუეყანაჲ ბრჭალითა? ვინ აღწონნა [მთანი სასწრაითა] და ბორცუნი უღლითა?

13. ვინ ცნა გონებად უფლისაჲ, ანუ ვინ თანა-მზრახვალ ეყო მას, რაჲთაჲცა კელს ადგინა იგი?

14. ანუ ვინ უჩუენა მას სამართალი, ანუ გზაჲ გულისხმის-ყოფისაჲ ვინ აუწყა მას?

15. უკუეთუ ყოველნი წარმართნი ვითარცა ნაწუეთნი კარსისანი და წამი სასწორისაჲ შეირაცხნენ და ვითარცა ნერწყუანი პირისანი.

16. ხოლო ლიბანი ვერ კმა არს საგზებლად, და ყოველნი ოთხფერკნი ვერ კმა არიან საკუერთხად.

17. და ყოველნი წარმართნი არად, ვითარცა არარაჲ არიან და არად შეირაცხილ არიან.

თ ა ვ ი 41

8. [322] ხოლო შენ, ისრაჲლ, მონაჲ ჩემი ხარი შენ, იაკობ, რომელი გამოგირჩიე, ნათესავი აბრაჰამისი, რომელი შევიყუარე,

9. რომელსა გიბყარ კელი კიდითგან ქუეყანისაჲთ და საებგუროჲთგან მისით გიწოდე შენ და გარქუ: მონაჲ ჩემი ხარი შენ, გამოგირჩიე და არა დაგიტეო შენ.

10. ნუ გეშინინ, რამეთუ მე შენ თანა ვარ, ნუცა სტეები; რამეთუ მე ვარ, რომელმან განგაძრიელე შენ და შეგეწიე შენ და განგამაგრე შენ მარჯუენითა ჩემითა მართლითა.

11. აჰა ესერა ჰრცხუენოდის და კდუმულ იყვნენ ყოველნი მტერნი შენნი, რამეთუ იქმნნენ ვითარცა არა ყოფილნი, და წარწყმდუნ ყოველნი მსაჯულნი შენნი.

12. ეძიებდე და არა ჰპოვნე კაცთა მათ, რომელთა შეურაცხ-გყვეს შენ, რამეთუ იქმნნენ ვითარცა არარანი, და არა იყვნენ ბრძოლანი იგი შენნი.

13. რამეთუ მე ვარ უფალი, რომელმან გიბყარ მარჯუენს შენი და გარქუ: ნუ გეშინინ.

14. შევილო ჩემო იაკობ და მცხუედო ჩემო ისრაჲლ, შეგეწიო შენ, იტყვს უფალი, მცნელი შენი, ღმერთი ისრაჲლისაჲ.

15. აჰა ესერა გყავ შენ, ვითარცა ურმის-თუალი მლეწველი, ახალი ხერხის სახს, და დაპლეწნე მთანი და დააწულილნე ბორცუნი და ვითარცა მიწაჲ დასხნე.

16. და განაჰრიო, და ქარმან წარიხუნეს იგინი. ხოლო შენ იხარებდე წმიდისა მიმართ ისრაჲლისა და მხიარულ იყო.

17. და იხარებდენ გლახაკნი და ნაკლულევანნი. რამეთუ ეძიებდენ წყალსა, და არა იყოს; და ენაჲ მათი წყურილითა განცმეს. [V] მე ვარ

უფალი ღმერთი, მე ვისმინო მათი, ღმერთმან ისრაჲლისამან, და არა დაუტევნე იგი,

18. არამედ გაძოვადინნე მათ ზედა მდინარენი და შორის ველთა წყაროები ვყო, უდაბნოჲ წყურნებად წყალთა, და ქუეყანასა წყური-ელსა დიოდის ნაკადულები წყალთაჲ.

19. და აღმოვაცენო ქუეყანასა ურწყულსა ნაძვ და ბზაჲ და მურ-ტი და საროჲ და ვერხვ.

20. რამეთუ იხილონ და ცნან და გულისხმა-ყონ და ჰრწმენეს ერთ-ბამად, რამეთუ კელმან უფლისამან შექმნა ესე ყოველი და წმიდამან ისრაჲლისამან აჩუენა ესე.

თ ა ვ ი 42

1. [368] იაკობს, მონასა ჩემსა, შევეწრო მას; და ისრაჲლ, რჩეუ-ლი ჩემი, შეიწყნაროს სულმან ჩემმან; მივსცე სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა გამოართუას.

2. არა დადადებდეს, არცა დააცადოს, არცა ისმეს გარე კმაჲ მისი.

3. ლერწამი განტეხილო არა შეიმუსროს, და პატრუკი ბრდენვალჭ არა დაშრტეს, არამედ ქეშმარიტად გამოიღოს სამართალი.

4. და ყოველი [v] [შეძ]რწუნდეს, [ვიდრემდე] [დ]ადვას ქუეყა-ნასა სამართალი; და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ.

ჯ

5. ესრე იტყვს უფალი ღმერთი, რომელმან შექმნა ცანი და დაამ-ყარნა ივინი; რომელმან დაამყარა ქუეყანაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა, და მოსცა საშუმინველი ერსა თვისსა, და სულნი, რომელნი ვლენ-ნან მას ზედა.

6. მე ვარ უფალი ღმერთი, რომელმან გიწოდე შენ სიმართლით და გიპყარ კელი შენი და განგაძრიელე შენ და მიგეც აღნათქუემად ნათე-სავთა და ნათლად წარმართთა,

7. ახილვად თუალთა ბრმათასა და გამოყვანებად კრულნი საპყრო-ბილით, რომელნი სხენან ბნელსა.

8. მე ვარ უფალი, და ესე არს სახელი ჩემი ¹.

კ

5. [113v] ესრე იტყვს უფალი, რომელმან ქმნა ცაჲ და დაამყარა იგი; რომელმან დააფუძნა ქუეყანაჲ და რაოდენი-რაჲ არს [114] მას შინა, და მოსცა სული ერსა თვისსა, რომელ არს მას ზედა, და საშუ-მინველნი, რომელნი ვლენან მას ზედა.

¹ 42,5—8-ის ტექსტი გამეორებულია სხვა საკითხავშიც (i13v—114r).

6. მე, უფალმან, გიწოდე შენ სიმართლით და გიპყარ კელი მარჯუნს შენი და განგაძრიელე შენ და მიგეც აღნათქუემად ნათესავთა და ნათლად წარმართთა,

7. ახილვად თუალთა ბრმათასა და გამოყვანებად საკრველთაგან კრულნი და სახლისაგან საპყრობილისა, რომელნი სხენან ბნელსა.

8. მე ვარ უფალი ღმერთი, და ესე არს სახელი ჩემი, და დიდებამ ჩემი სხუათა არა მივსცე, არცა სათნოებამ ჩემი გამოქანდაკებულთა.

9. დასაბამისანი იგი აჰა მოიწვევიან და ახალი იგი მიგეთხრას თქვენ; ვიდრე თხრობადმდე გეუწყოს თქვენ.

10. უგალობდით უფალსა გალობითა ახლითა; რამეთუ დასაბამი მისი მალალთა შინა იდიდების, და სახელი მისი დიდებულ არს კიდითგან კიდემდე ქუეყანისა, ზღუასა და რომელნი ვლენან მას შინა, ქალაქნი და ყოველნი მკვდრნი მისნი.

თ ა ვ ი 43

10. [362v] მეყვენით მოწამე და მე ვარ მოწამე, იტყვს უფალი ღმერთი. და მონამ ჩემი, რომელი გამოვიჩიე, რამთა სცნათ და გრწმენეს ჩემი და გულისხმა-ჰყოთ, რამეთუ მე ვარ და უწინარს ჩენსა არავინ არს სხუამ.

11. და არავინ არს ჩემსა გარეშე მაცხოვარ.

12. უთხარ და ვაცხოვნე, ვაყუედრე, და არავინ იყო თქვენ შორის უცხოამ; მეყვენით მოწამე, და მე ვარ მოწამე, იტყვს უფალი ღმერთი.

13. უწინარს დასაბამსა მე ვიყავ და არავინ არს, რომელი კელთა ჩემთაგან განმერეს. ვყო, და ვინ მოაქციოს იგი?

14. ამას იტყვს უფალი, მკსნელი თქუენი, წმიდამ ისრაელისამ: თქუენტეს წარვავლინო ბაბილონდ და აღვადგინენე ყოველნი მტერნი, ქალღველნი, ნავთა შენთა კრულნი.

15. მე ვარ უფალი, წმიდამ თქუენი, რომელმან ვაჩუენე მეუფებამ თქუენი.

16. ესრე იტყვს უფალი, რომელმან მოსცა გზამ ზღუასა და ალაგნი წყალთა ზედა ძრიელთა.

17. რომელმან გამოიყვანა ცხენები და ეტლები და ერი მრავალი და ძრიელი. არამედ დაიძინეს და [363] არა აღდგეს, დაშრტეს ვითარცა პატრუკნი.

18. ნუ შოივსენებ პირველსა და დასაბამისასა ნუ შეურაცხ-ჰყოფ.

19. აჰა ესერა მე ვკმნე ახალი, რომელი აწ გამობრწყინდეს, და სცნათ იგი: და ვყო უდაბნოსა ზედა გზად და მდინარენი ურწყულსა

20. სუმაღ ერისა ჩემისა რჩეულისა,

21. [ერისა ჩემისა], რომელი მოვიგე, სათნოებათა ჩემთა მიუთხრობდენ.

22. [322v] არა თუ აწ გიწოდე შენ, იაკობ, არცაღა დაგაშვრე შენ, ისრაჲლ:

23. არა მომგუარე მსხუერპლთა შენთად და არცაღა შესაწირავთა შენთა ზედა მადიდე მე, არა მძონე მე შესაწირავითა, არცაღა დაგაშვრე შენ გუნდარუქისათვის;

24. არცაღა მიყიდე მე ვეცხლითა საკუმეველი, არცა ცმელისათვის მსხუერპლთა შენთაჲსა გული-მიტეჲმიდა მე, არამედ ცოდვანი შენნი და სიცრუენი შენნი წარმოგიდგეს შენ.

25. მე ვარ, რომელმან აღვიტოცენ ურჩულოებანი შენნი ჩემთვის და ცოდვანი შენნი არღარა მოვიტყენნე.

26. ზოლო შენ მოიკსენე და ვისაჯნეთ ერთბაჲდ. თქუ ურჩულოებაჲ შენი პირველი, რაჲთა განჰმართლდე.

27. ნამათა თქუენთა პირველად შემეცოდეს, და მთავარნი თქუენნი ურჩულოებდეს ჩემდა მომართ.

28. და შეაგინეს მთავართა თქუენთა სიწმიდჲ ჩემი. მივეც წარსაწყმედელად იაკობი და ისრაჲლი საყუედრელად.

თ ა შ ი 44

1. ზოლო შენ ისმინე, იაკობ, მონაო ჩემო, და, ისრაჲლი, რომელი გამოგიჩიე.

2. ესრე იტყვის უფალი ღმერთი, რომელმან შეგკმნა შენ და რომელმან დაგბადა შენ დედის მუცლითგან შენით [323]. შეგეწიე შენ, [363v] ნუ გეშინინ, მონაო ჩემო იაკობ, და საყუარელო ჩემო ისრაჲლ, რომელი გამოგიჩიე.

3. რამეთუ მოგსცე წყალი წყურიელთა და რომელნი ვიდოდაიან ურწყულსა; დავდვა სული ჩემი ნათესავსა შენსა ზედა და კურთხევანი ჩემნი შევითა შენთა ზედა.

4. და აღმოსცენდენ ვითარცა შორის წყალთა [მწუანვილი], და ვითარცა ძეწენი თანა-წარსადინელსა წყალთასა.

5. და მან თქუას: „ღმრთისაჲ ვარი მე“, და ესე იტყოდის სახელითა იაკობისითა, და სხუამან დაწეროს კელითა თვისითა, ვითარმედ: „ღმრთისაჲ ვარი მე“, და სახელითა ისრაჲლისაჲთა დაღადებდეს.

6. ესრე იტყვს უფალი მეუფეც ისრაჲლისაჲ და მკსნელი ღმერთი ყოვლისა-მპყრობელი: მე ვარ პირველი და მე ვარ შემდგომი; და არავინ არს ღმერთი, ვითარ მე უფალი.

7. დადევინ და უწყოდენ, უთხარ და განემზადენ, მე ვინამთგან შევქმენ კაცი საუკუნოდ და მომავალი იგი მოსლვადმდე გითხრა თქუნ.

23. [323] იხარებდინ ცანი და მხიარულ იყავნ ქუეყანაჲ, რამეთუ შეიწყალა ღმერთმან ისრაჲლი; დაჰბერეთ ნესტუსა, საფუძველთა ქუეყანისათა, და დადადებდით მთანი სინარულით და ბორცუნი და ყოველნი ხენი მათნი, რამეთუ იკსნა უფალმან იაკობი და ისრაჲლი აღიდოს.

24. ესრე იტყვს უფალი, მკსნელი შენი, დამბადებელი დედის მუცლითგან: მე ვარ უფალი, რომელმან შევქმენ ყოველი და გარდავართხენ ცანი მხოლომან და დავამტკიცე ქუეყანაჲ.

25. ვინ-მე უკუე სხუამან განაქარვოს იგი? მე ვარ, რომელმან განვაქარვი სასწაულები მუცლით-მეზღაპრეთაჲ და მეცნიერებაჲ გული-საგან; გარე-მივაქციინი გონიერნი მართლუკუნ და ზრახვანი მათნი განვაყოფნი;

26. და დავამტკიცო სიტყუაჲ მონისა თვისისაჲ, და ზრახვაჲ ანგელოზთა მისთაჲ ჰეშმარიტ იყოს; რამეთუ რომელმან ჰრქუას იერუსალმსა დაემკვდრე, და ქალაქნი იუდაჲსნი აღეშენენ, და ოკერნი მისნი აღემართენ;

27. რომელმან ჰრქუას უფსკრულსა: მოოკრდინ! და მდინარენი შენნი განვაგმენ;

28. რომელმან ჰრქუას კვროზს: განბრძნდი! და ყოველი ნებაჲ შენი იყოს; რომელმან ჰრქუას იერუსალმსა: აღეშენე! და ტაძარი წმიდაჲ ჩემი დავაფუძნო.

თ ა ვ ი 45

1. [323] ესრე იტყვს უფალი ღმერთი ჩუენი: ცხებულსა ჩემსა კვროზს, რომელსა უპყარ კელი მარჯუენც მისი, დამორჩილებად მისა წარმართნი, და ძალი მეფეთაჲ განვხეთქო, განვახუნე წინაშე მისსა ბჰენი, და ქალაქნი მისნი არა დაეკმენ.

2. წინაშე მისსა ვიდოდი და მთანი დავავაკენ და ბჰენი რვალისანი შევმუსრენ და მოქლონ[ნი] რკინისანი განვხეთქენ.

3. და მეგცენ შენ საუნჯენი ბნელისანი, დაფარულნი, [V] და უხილავნი განვიხუნე, რაჲთა სცნა, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი, რომელმან გიწოდე სახელი შენი ისრაჲლისაჲ,

4. მონისა ჩემისა იაკობისთვის და ისრაჲლ რჩეულისა ჩემისათვის, და შეგიწყნარე შენ. რამეთუ შენ არა მიცან მე,

5. რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არავინ არს ჩემსა გარეშე. განგაძრიელე შენ, და არა მიცან მე,

6. რადთა ცნან მზის აღმოსავალისათა და მზის დასავალისათა, რამეთუ არავინ არს ჩემსა გარეშე. [135v] მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, და არავინ არს მერმე სხუად.

7. მე შევექმენ ნათელი და ბნელი, მე დავჰბადე მშვედობად და ბოროტი; მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, რომელმან ვქმენ ესე ყოველი.

8. იხარებდედ ცანი ზეგარდამო, და ღრუბელნი ცროდედ სიმართლესა; და აღმოაცენენ ქუეყანამან წყალობად და სიმართლმად ერთბამად აღმოსცენდენ. მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, რომელმან შევექმენ შენ და დაგბადე შენ.

9. და მერმე უმეტეს შეგმზადე შენ ვითარცა თიჯად მეკეცისაჲ. ნუუჟუე დღე ყოველ კნავენ მკნველი ქუეყანასა, ანუ ჰრქვს-მეა თიჯამან მეკეცესა, ვითარმედ: რასა ჰზამ ანუ რასა იქმ? ანუ ქმნულმან ჰრქუას, ვითარმედ: არა გასხენ კელნი? ანუ სიტყუად მიუგოს დაბადებულმან დაბადებულსა?

10. ვად, რომელმან ჰრქუას მამასა თვისსა: რადსათვ მშვევ? ანუ დედასა თვისსა: რადსათვის გელმოდა ჩემთვის?

11. რამეთუ ესრტთ იტყვს უფალა ღმერთი, წმიდაჲ [136] იგი ისრაჲლისაჲ, რომელმანცა დაგბადა შენ, რომელმან შექმნა მოწყენადნი იგი ჟამთანი: მკითხეთ მე ძეთა ჩემთათვის და ქმნულთა კელთა ჩემთათვის მომცენით მე.

12. მე შევექმენ ქუეყანად და კაცი მას ზედა; მე კელითა ჩემითა დავაყარენ ცანი და ყოველთა ვარსკულავთად ვბრძანე ყოფად.

13. მე აღუდგინე მას სიმართლით მეუფტ, და ყოველნი გზანი ჩემნი წრფელ არიან. რამეთუ მან აღაშწნოს ქალაქი ჩემი და ტყუტ ერისა ჩემისაჲ მოაქციოს არა საჯსრითა, არცა ქრთამითა, თქუა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან.

16. [137]... განახლდებოდეთ ჩემდამო ქალაკნი.

17. რამეთუ ისრაჲლი ცხონდების უფლისა მიერ ცხორებითა საუკუნოთაჲ; არა ჰრცხუნოდის, არცა კდემებოდის უკუნისამდე.

18. ესრე იტყვს უფალი ღმერთი, რომელმან ქმნა ცანი, და ესე არსა ღმერთი, რომელმან გამოაჩინა ქუეყანად და დაამტკიცა; მან თავადმან განაჩინა იგი; და არა ცუდად ქმნა იგი, არამედ სამკვდრებულად. მე ვარ უფალი, და არავინ არს სხუად.

19. არა ფარულად ვიტყვოდე, არცა ადგილსა ქუეყანისა ბნელისაჲსა. არა ვარქუ ნათესავსა იაკობისსა, ვითარმედ: ამოსა ეძიებ. მე ვარ უფალი, რომელი ვიტყვ სიმართლესა და უთხრობ ჭეშმარიტებასა.

20. შეკერბით და მოვედით და ზრახვა-ვყოთ ერთად ცხორებულთა მაგათ წარმართთაგანთა. არა ცნეს, რომელთა შილიან ძელი გამოქანდაკებული მათი და ილოცვედ ღმრთად მიმართ, რომელთა ვერ იცნენდ იგი.

21. ანუ უთხრან რამმე: მომეახლნედ და თქუდ(!) ერთბამად: ვინ სასმენელ ყვნა ესენი, რამეთუ დასაბამითგანვე წაშინ მივითხრა თქუენ? მე ვარ უფალი, და არავინ არს სხუა ჩემსა გარეშე, მართალი და მაცხოვარი, და არავინ არს თვნიერ ჩემსა.

ჯ

22. მოიქეცით [v] ჩემდა და სცხონდეთ, რომელნი ხართ დასასრულსა ქუეყანისაჲსა; მე ვარ ღმერთი, და არავინ არს ჩემსა გარეშე, იტყვს უფალი¹.

ღ

22. [77] ესრე იტყვს უფალი: მოიქეცით ჩემდა და სცხონდეთ. რომელნი-ეგე ხართ დასასრულსა ზღვსაჲსა; მე ვარ, და არა ვინ არს სხუა [v] ჩემსა გარეშე.

23. თავსა ჩემსა ვფუტავ, იტყვს უფალი, რამეთუ გამოვიდეს პირისა ჩემისაგან სიმართლმ, და სიტყუანი ჩემნი არა კულად იქცენ.

24. რამეთუ ჩემდა მოდრკეს ყოველი მუჭლი, და ყოველი ენაჲ ფუციდეს ჭეშმარიტსა ღმერთსა.

25. და თქუას ყოველმან ენამან, ვითარმედ: სიმართლმ და დიდებაჲ მისა მივიდენ, და ჰრცხუნოდნს ყოველთა, რომელნი განაშორებენ თავთა თვსთა უფლისაგან.

26. რამეთუ განმართლდენ და იდიდებოდინ უფლისა შიერ ყოველნი ნათესავნი.

თ ა მ ი 48

1. [323v] ისმინეთ ესე, სახლო ისრაჴლისაო, რომელ წოდებულ ხართ სახელითა ისრაჴლისაჲთა და რომელნი იუდაჲსგან გამოსრულ ხართ, რომელნი ჰფუტავთ სახელსა უფლისა ღმრთისა ისრაჴლისაჲსა და ღმრთისა მიერ მოცსენებულნი არა ჭეშმარიტებით და არცა სიმართლით,

21. გარეშმ. 22. გარეშმ. 24. მოდრკმს.

¹ 45,22-ის ტექსტი გამოკრებულია სხვა საკითხავიცი (77r).

2. და რომელნი მოსავ ხართ ქალაქისა წმიდისა ღმრთისა მიმართ, ისრაჲლისა დამტკიცებით; უფალ და ყოვლისა-მპყრობელ არს სახელი მისი.

3. პირველი იგი მაშინდითგან გითხრა შენ, და პირისაგან ჩემისა სასმენელ გექმნა შენ; მეყსეულად ვყავ და მოიწია.

4. ვიცი, რამეთუ ფიცხელ ხარ შენ, და ძარღვ რკინისაჲ არს ქელი შენი, და შუბლი შენი რვალისაჲ.

5. და გითხარ შენ მაშინვე და ვიდრე მოწევნადმდე შენ ზედა გასმინე შენ, ნუკუე სთქვა: კერპთა ჩემთა მიყვეს მე; არამედ რაჲთა არა იტყოდნი: გამოქანდაკებულთა და გამოდნობილთა მამცნეს მე.

6. გესმინა ესე, და თქვენ არა სცანთ. არამედ მერმეცა გასმინე-ვე ახალი იგი, ამიერვე რომელი ყოფად არს.

7. და არა სცანთ იგი. და აწ იქმნა, და არა მაშინ და არცა პირველთა დღეთა. და არცა გესმინა იგი. ნუ იტყუ: ჰე, ვიცი იგი.

8. და არცაღა [324] გესმინა, არცა უწყოდე იგი, არცა დასაბამითგან განვახტენ სასმენელნი შენნი, რამეთუ უწყოდე, ვითარმედ შეურაცხებით შეურაცხ-ჰყო, და უსჯულო მიერვე დედის მუცლითგან გეწოდა.

9. სახელისათჳს ჩემისა გიჩუენო შენ ვულის-წყრომაჲ ჩემი და დიდებითა ჩემითა მოვაწიო შენ ზედა, რაჲთა მოგსპო შენ.

10. აჰა ესერა განიყიდე შენ არა ვეცხლისათჳს, და განგარინე შენ საქემილისაგან სიგლახაკისა.

11. ჩემთვის გიყო შენ ესე, რამეთუ სახელი ჩემი შეიჯინების და დიდებაჲ ჩემი სხუასა არა მივსცე.

12. ისმინე ჩემი, იაკობ და ისრაჲლ, რომელსა მე მივიწოდე შენ: მე ვარ პირველი და მე ვარ უკუნისამდე.

13. და კელმან ჩემმან დააფუზნა ქუეყანაჲ, და მარჯუენემან ჩემმან დაამყარა ცაჲ. და უწოდე მათ, და წარმოღგეს ერთბამად,

14. და შეკრბეს და ისმინონ. ვინ უთხრას ესე მათ? სიყუარულითა შენითა იყავნ ნებაჲ შენი აღებ. ღ ბაბილოენით ნათესავი ქალდეველთაჲ.

15. მე ვიტყოდე და მე უწოდე და მოვიყვანე და წარმოუმართენ გზანი მისნი.

16. მოვიყვანნეთ ჩემდა, და ისმინეთ ჩემი; არა დასაბამითგანვე ფარულად ამას ვიტყოდე; რაჲამს იქმნებოდა, მუნვე ვიყავ; და აწ უფალმან მომავლინა და სულმან მისმან.

17. ესრე იტყვს მკსნელი შენი, წმიდაჲ ისრაჲლისაჲ: მე ვარ უფალი ღმერთი შენი; გიჩუენე შენ გზაჲ პოვნად, რომელსა ზედოდო.

18. და უკუეთუმცა გესმინნეს მცნებანი ჩემნი, გექმნამცა ვითარცა მდინარე მშუღობად შენი, და სიძარტლმ შენი ვითარცა ღელვანი ზღვსანი;

19. და იყომცა ვითარცა ქვშად ზღვსად ნათესავი შენი, და ნაშობნი შენნი ვითარცა მიწად ქუეყანისად; და არცაღა აწ აღიგოცო, და არა წარწყმდეს სახელი შენი წინაშე ჩემსა.

20. [324]... კმაჲ სიხარულისაჲ მიუთხართ და სასმენელ[ნი] [v] ესე თქუთ კილით კიდედმდე ქუეყანისა. იტყოდეთ, ვითარმედ: იესნა უფალმან იაკობი, მონად თვისი,

21. და არა აწყურა უდაბნოსა მას შინა, უძლოდის მათ ურწყულსა, კლმ განუბის¹, და გაძლიოდინა წყალნი; და სუას ერმან ჩემმან.

22. არა არს სიხარული უღმრთოთაჲ, თქუა უფალმან.

თ ა ვ ი 49

1. გესმოდენ ჩემი ქალაქებსა და მოიხილეთ წარმართთა, რაჲ მრავალთა ჟამთა ყოფად არს. გითხრა თქუენ, თქუა უფალმან, საშოდოგან მიწოდე მე და დედის მუცლითგან დამდვა სახელი ჩემი,

2. დადვა პირი ჩემი ვითარცა კრმალი პოლოტიკი და საფარველსა გელისა მისისასა დამარწყუა მე. შემქმნა მე ვითარცა ისარი ერთი რჩეული და კაბარქთა მისთა დამფარა მე.

3. და მრქუა მე: მონად ჩემი ხარი შენ, ისრაჲლ, და შენდა მიმართ ვილოდი,

4. და ვთქუ: ამაოდ ვიდრე-მე ვიჭირვოდე ცუდად, ვიდრე-მე დავშურებოდე და მეხად მივეც ძალი ჩემი?! ამისთვის სამართალი ჩემი უფლისა მიმართ არს, და შრომანი ჩემნი წინაშე ღმრთ-სა.

5. და აწ ესრე იტყვს უფალი, რომელმან დამბადა მე მონად თჳსა, შეკრებად იაკობისა და ისრაჲლ მისა: შეკერბინ; და ვილოდი მე წინაშე უფლისა და ღმერთი ჩემი მეყოს მე ძალ.

6. და მრქუა მე: დიდ არს ესე შენდა, რამეთუ გერქუას შენ მონად ჩემი და მტკიცებაჲ ნათესავთა მათ იაკობისთაჲ და განბნეულნი იგი ისრაჲლისანი შეკრებად. აჰა ესერა მოგეც შენ აღნათქუემად თესლებისა და ნათლად წარმართთა და იყო შენ საცხორებელად მიაღსასრულადმდე სოფლისა.

8. [324v] ესრე იტყვს უფალი: ჟამსა შეწყნარებისასა ვისმინო შენი და დღესა ცხორებისასა შეგეწიო შენ; დაგბადე შენ და გყავ შენ

¹ განუბის წერებულა, მაგრამ ო-ს ნაწილი მოფხეკილია, რომ ო-ს დამგვანებოდა.

აღნათქუემად წარმართთა, რაჟთა [325] დაამტყიცო ქუეყანაჲ და აღამკო მკვდრობაჲ უდაბნოჲსაჲ მის;

9. უბრძანო შენ კრულთა მათ გამოსლვად საპყრობილით და გამოცყანებად მათა, რომელნი სხენან ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა. ყოველსა გზებსა ძოვდენ და ყოველსა ალაგსა იყოს საძოვარი მათი.

10. არა შიოდის, არცა სწყუროდის, არცა დაშურენ, არცა ეცეს მათ ხორშაკი, არცა ავნოს მათ მზემან. არამედ რომელმან შეიწყალნეს იგინი, მანვე ნუგეშინის-სცეს მათ და თავსა წყართასა უძლოდის მათ.

11. და დავსხნე ყოველნი მთად გზანი და ყოველი ადგილი საძოვრად მათა.

12. აწ უკუე რომელთამე მოიმართონ მოსლვაჲ შორით, რომელნიმე ჩრდილოდით, რომელნიმე ზღვთ კერძო და რომელნიმე ქუეყანით სპარსეთით.

13. უხაროდენ ცათა, და მზიარულ იყავნ ქუეყანაჲ; ყუაოდედ მთანი სიხარულსა და ბორცუნი სიმართლესა, რამეთუ შეიწყალა ერი თვისი და მდაბალთა ერისა თვისისათა ნუგეშინის-სცა.

14. ხოლო სიონმან თქუა: დამიტევა მე უფალმან და ღმერთმან ჩემმან დამივიწყა.

15. და-ნუ-ივიწყისა დედაკაცმან ყრმაჲ თვისი, ანუ არა შეიწყალნის ნაშობნი მუცლისა თვისისანი? და-ლათუ-ავიწყდენ ესენი დედაკაცსა, ხოლო მე არა დაგივიწყო, თქუა უფალმან.

16. აჰა ეგერა კელთა ჩემთა ზედა გამოვწერენ ზღუდენი შენნი, და წინაშე თუალთა ჩენთა ხარი შენ მარადის.

17. მსთუად აღეშწნო შენ მათგანვე, რომელთა დაგარღვეს შენ; და რომელთა მოგაოჯრეს შენ, შენგან აღრე განითხინენ.

18. აღიხილენ თუალნი შენნი და იხილენ ყოველნი ნაშობნი შენნი. რამეთუ ეგერა შემოკრბეს და მოვიდეს და გარე-მოგადგეს შენ ყოველნი შვილნი შენნი. ცხოველ ვარ მე, იტყვს უფალი. რამეთუ ყოველნივე ესე ' შთაიცუნე ვითარცა კუართნი და შეიმკვნე [V] იგინი, ვითარცა სძალი რაჲ შეიმკვის სამკაულითა თვისითა.

19. რამეთუ მოოჯრებულნი ქუეყანისა შენისანი აწ მოვიდენ და გაურვებდენ შენ აღშწნებისათვის მათისა, განეფინენ, განვრცენენ, განმრავლდენ და რომელნი-იგი განენებდეს და შთაგნთქმიდეს, განგემორნენ შენგან;

20. და გეტყოდინან შენ შვილნი შენნი, რომელ წარსწყმიდენ: ფართო მიყავ ჩუენ ადგილი სამკვდრებელად, რამეთუ იწრო ვართ.

49. 10. ხურშაკი. 19. შთანგნთქმიდეს.
' ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთაა ჩამატებული.

21. ესერა სიტყუად იწყო შენ გულსა შინა შენსა და სთქვა: და უკუო ესენი ვინ მიშენა? რამეთუ მე ქურივი და ბერწი და უმკვდრო ვარ, მწირი და დამთომილი, ესენი-მე ვინ გამომიზარდნა? მე დატევილი და შეურაცხი და ესენი-მე სადა იყვნენ?

22. ესრე იტყვს უფალი: ამა ესერა მივეო კელი ჩემი წარმართთა ზედა და ქალაკთა აღვმართო ნიში ჩემი და მივიყვანენ ძენი ჩემნი წიადითა მათითა და ასულნი შენნი მოჰყვანდენ,

23. და იყენენ შარავანდენი მძძძ შენდა და ცოლნი მათნი — ყრმის მჰყრობელ შენდა. პირსა ზედა ქუეყანისასა თაყუანის-გცემდეს შენ და მიწასა ქუეშე ფერტა შენთასა ლოშნიდენ; და გულისხმა-კყო, რამეთუ მე ვარ უფალი და არა პრცხუენოლის ყოველთა, რომელთა დამიღმონ მე.

თ ა შ ი 50

4. [187V] უფალმან მცეს ენაჲ სწავლულებისაჲ ცნობად, რაჲჲს არს თქუჲდად სიტყვსა. დამდვეს მე განთიად და შესძინა ყურიმ-ლის სმენად.

5. და სწავლმან უფლისამან განაღო ყური ჩემი: ხოლო მე არა უბრ ვეჲმან და არცა სიტყუად მიუგე.

6. ზურგი ჩემი ვეც ვუქმასა და დაწვ ჩემი ყურიმლის ცუმასა და ჩემი არა ვარბ-მივიქციე სირცხვლისაგან ნერწყუვისა.

და უფალი შეჰწე მეყო მე. და მისთვისცა არა მრცხუნა. არამედ პირი ჩემი ვითარცა შყარი კლდჲ და გულისხმა-ყყავ, რამეთუ მარტუნი.

8. რამეთუ მოახლებულ არს ვანმამართლებელი ჩემი... [ჩე]მი წინაღობდვიან მე: და ვინ ვანწყობელი ჩემი? მონეახლენი.

9. ამა ესერა უფალი შეჰწია მე, და ვინ არს ბოროტის ნყოფელი ჩემი?

თ ა შ ი 51

1. [125V] აღმჩნათ ჩემი, რომელნი სდევთ სანართლსა და ეძიებთ სანართლსა მიხედვით მყარსა მას კლდესა, რომლისაგან ვამოიკეთებნო. და ღრმანი მას ჩურობდულსა, რომლისაგან აღმოიუხარნო.

2. მიხედვით აღმჩნათ, მანესა თქუნასა, და ხარასა, მშობელსა თქუნასა. რამეთუ ერთი იყო, და უწოდე მას და ვაცურობე იგი და ვანვამრავ-ლი იგი.

და აჲ წიგ შენს-გყო.

და ნუგშენს-ვცე უფელთა

ოვერთა შენთა და დაესხნე ყოველნი უდაბნონი შენი, ვითარცა სამოთხე საშუებლისა და მზის დასავალით მისით [326] ვითარცა სამოთხე ღმრთისაჲ; სიხარული და მხიარულებად მას შენა, აღსარებაჲ და კმაჲ ქებისაჲ.

4. ისმინეთ ჩემი, ისმინეთ ჩემი, ერო ჩემო, და მეფეთა ყურადიღეთ ჩემი, რამეთუ შჭული ჩემ მიერ გამოვიდეს და სასჯელი ჩემი — ნათლად წარმართთა.

5. მოახლებულ არს აღრე სიმართლჳ ჩემი, და გამოვიდეს ვითარცა ნათელი სიმართლჳ ჩემი, და მკლავსა ჩემსა წარმართნი ესვიდენ. მე ქალაქნი მელიან და მკლავსა ჩემსა ესვენ.

6. აღიხილენით თუალნი თქუენნი ზეცად და მიხედეთ ქუეყანასა, რამეთუ ცაჲ ვითარცა კუამლი დაზყარებულ არს, და ქუეყანაჲ ვითარცა სამოსელი დაძუელდეს; ხოლო დამკვდრებულნი მონი, ვითარცა იგინივე წარცდენ. და მაცხოარებაჲ ჩემი უკუნისამდე იყოს, და სიმართლჳ ჩემი არა მოაკლდეს.

7. ისმინეთ ჩემი, რომელთა იცით სამართალი; ერო ჩემო, შჭული ჩემი გულთა შენა თქუენთა არს. ნუ გეშინინ ყუედრებისათვის კაცთაჲსა და შეურაცხებასა მათსა ზედა ნუ მოუძრულდებით,

8. რამეთუ ვითარცა სამოსელი მრავალ ჟამისანი დაძუელდენ, და ვითარცა მატყლი მლილთაგან ეგრე შეიჭმნენ; ხოლო სიმართლჳ ჩემი უკუნისამდე იყოს, და მაცხოარებაჲ ჩემი თესლითი თესლადმდე.

9. [326] აღდეგ, აღდეგ, იერუსალჳმ, და შეიძოსე ძალი მკლავისა შენისაჲ; აღდეგ ვითარცა დასაბამსა მას დღეთასა.

10. ანუ არა შენ ხარ, რომელმან მოაოკრე ზღუად და წყალნი უფსკრულთანი მრავალნი? რომელმან დასდევ სივრცჳ ზღვსაჲ გზად წიალსავალად განრინებულთა და კსნილთა?

11. რამეთუ უფლისა მიერ მოიქცენ და მოვიდენ სიონს სიხარულითა და მხიარულებითა საუკუნოდ. ხოლო თავსა ზედა მათსა იყოს ქებაჲ, და მხიარულებად ეწიოს მათ; წარ[ვ]ვიდეს საღმობად და მწუხარებაჲ.

12. მე ვარ, რომელი ნუგეშინის-გეგმ შენ, მე თავადი; ცან შენ, რაჲ-იგი იყავ, და შეგეშინა კაცისაგან მოკუდავისა და ძისაგან კაცი-სა, რომელნი ვითარცა თივანი განკმენ.

13. დაივიწყე შენ ღმერთი შემოქმედი შენი, რომელმან ქმნა ცაჲ და დააფუზნა ქუეყანაჲ. გეშინოდენ მარადის ყოველთა დღეთა პირისაგან გულის-წყრომისა მაჰირვებელისა შენისა, ვითარცა-იგი ზრახა აღებად შენდა. აჲ სადა არს ღმერთი იგი მაჰირვებელისა შენისაჲ.

14. რამეთუ ცხორებასა მას შენსა ვერ დადგეს იგი, არცაღა და-
ყოვნოს.

15. რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან შევეძარ ზღუაჲ,
და ოხრედ (!) დღეღანი მისნი. ღმერთ და ყოვლისა-მპყრობელ არს
სახელი ჩემი.

16. და დავსხნე სიტყუანი ჩემნი პირსა შენსა და საგრილსა ქუეშე
კელისა ჩემისასა დაგიფარო შენ, რომლითა აღვკმართენ ცანი და და-
ვაფუზნე ქუეყანაჲ და ვარქუ სიონსა: ერი ჩემი ხარი შენ.

17. [326v] განიღვძე, განიღვძე, აღდეგ, იერუსალჴმ, რომელმან
შესვ კელისაგან უფლისა სასუმელი გულის-წყრომისა მისისაჲ და ბარ-
ძიმი რისხვისა ჩემისაჲ შესვ და წარმოაცარიელე.

18. და არავინ იყო ნუგეშინის-მცემელ შენდა ყოველთაგან შეილ-
თა შენთა, რომელნი შვენ შენ; და არა არს, რომელმანცა აღგიპყრა
კელი შენი ყოველთაგან ძეთა შენთა, რომელნი აღამაღლენ.

19. ორი ესე არს კმობად შენდა; ვინ-მე შეწუხნეს შენ თანა: და-
ცემაჲ და შემუხრვაჲ, სიყმილი და მახვლი? ვინ-მე ნუგეშინის-გუეს
შენ?

20. ძენი შენნი, რომელნი განწირულ არიან, რომელთა წარუმართე-
ბიეს კიდითგან ყოვლისა გზისა, ვითარცა ქაქუნტელი ზოგის-მგებარი,
რომელი სავსე არს გულის-წყრომითა უფლისაჲთა, დაქსნილნი უფლი-
სა მიერ ღმრთისა შენისა.

თ ა ვ ი 52

1. [158v] განიღვძე, განიღვძე, სიონ; განიღვძე და განაღვძე ძალი
შენი სიონმან; და შენცა შეიმოსე დიდებულებაჲ შენი, იერუსალჴმ,
ქალაქმან მაგან წმიდამან! ამიერთგან არლარა შესძინოს განსლვაჲ
შენ შორის წინადაუტუეთელმან და ბილწმან.

2. განიყარე მტუერი შენი შენგან; აღდეგ და დაჭედ, იერუსალჴმ!
განიწხნენ საკრველნი ეგე ქედისაგან შენისა ტყუემან მაგან ასულმან
სიონისამან!

3. რამეთუ ამას იტყვს უფალი: უსასყიდლოდ განიფრდენით თქუენ
და არა ვეცხლითა მოიქსენენით თქუენ აქავე.

4. ესრე იტყვს უფალი: ქუეყანად ეგვბტედ შთავიდა ერი ჩემი
პირველსა მას დამკვდრებად მუნ მსხემობით და ასურასტნად ძლით
წარიყვანეს.

5. და აწ რასა ეძიებთ აქა? ესრე იტყვს უფალი. რამეთუ წარიყვანა

16. ქუეშე. 20. სავსე.

ან. 1. წინადაუეთილმან. 2. სიონისამან იერუსალჴმისამან.

ერი იგი ჩემი მედად, უკუე გოდებდეს. ესრე იტყვის უფალი: თქვენ შორის სახელი ჩემი გამოიბილ არს მარადის, წარმართთა შორის.

6. ამისთვის ცნას ერმან ჩემმან: მე ვარ თავადი, რომელი ვი[159]-ტყოდე, და აწ მოვედ და თქუენ შორის ვდგა.

7. [15] ვითარ შეუნიერ არიან [v] ფერკნი მახარებელთა მათ მშვიდობისათანი, რომელნი ახარებენ კეთილსა და რომელნი ახარებენ სიცოცხლესა. რამეთუ სასმენელ ვყო კმა მაცხოვარებისა შენისაჲ, რაჲმს ვპრქუა მე სიონსა, ვითარმედ: სუფევდეს შენ ზედა ღმერთი შენი.

8. რამეთუ კმა მცველთა შენთაჲ ამაღლდა, და მითვე კმითა ერთად იხარებდენ; რამეთუ პირსპირ იხილონ ჟამი იგი, რომელსა შეიწყალოს უფალმან სიონი.

9. მთანი დაღებდენ უდაბნოთა ზედა იერუსალჴმისათა სიხარულსა მათსა, რამეთუ შეიწყალა უფალმან ერი თვისი და იცნა იერუსალჴმი.

10. და გამოაცხადოს უფალმან მკლავი წმიდაჲ თვისი წინაშე ყოველთა წარმართთა, და იხილონ ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მაცხოვარებაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ.

13. [188v] აჲ ესერა გულისხმა-ყოს მონამან ჩემმან და აღმაღლდეს და იდიდოს.

14. ვითარცა-იგი უკვრდეს მრავალთა შენ ზედა, ეგრეთ უდიდებულჴს იყოს კაცთაგან ხილვაჲ შენი და დიდებაჲ შენი ძეთა კაცთაჲსა.

15. ესრეთ უკვრდეს თესლებსა მრავალსა მის ზედა, და დაეყვენ მეფეთა პირნი მათნი, რამეთუ, რომელთა არა თხრობილ არს მისთვის, იხილონ, და, რომელთა არა ესმინოს, გულისხმა-ყონ.

თ ა ვ ი 53

1. უფალო, ვისმინე პრწმენა სასმენელი შენი, და მკლავი უფლისაჲ ვის გამოუცხადა?

2. და მიუთხრათ ესე წინაშე მისსა ვითარცა ყრმაჲ და ძირი ქუეყანასა წყურიელსა. არა არს ხილვაჲ მისი, არცა სიკეთჴ, არამედ ხილვაჲ მისი მოკლებულ უფროჲს ყოველთა კაცთა.

3. კაცი გუემასა შინა იყო, და იცის მან დათმენაჲ საღმობათაჲ, რამეთუ არა გარე-მიიქცია პირი მისი, იგინა და არა შეირაცხა.

4. ამან ცოდვანი ჩუენნი იტკრთენს და ჩუენთვის ივნოს და ჩუენ შეგვრაცხოს საღმობათა შინა და წყლულებათა და განბოროტებათა.

5. მედად]მეოტად.

53. 2. სიქმთ.

19 ქართული ლექციონარი

5. ხოლო იგი იწყალა ურჩულობათა ჩუენთათჳს და იგუემა ცოდვათა ჩუენთათჳს; სწავლებამ მშველობისა ჩუენისაჲ მისა მიმართ, და წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით.

6. ყოველნი ვითარცა ცხოვარნი შევეს [189] ცეთით; კაცი გზასა თჳსსა შესცთა. და უფალმან მისცა იგი ცოდვათა ჩუენთათჳს;

7. და იგი განბოროტებისა მისისათჳს არა აღაღებს პირსა მისსა. ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უკმობელად დგას, ესრჳთ არა აღაღებს პირსა თჳსსა.

8. სიმდაბლითა თჳსითა სასჯელი მისი მიეღოს. და ნათესავი მისი ვინმე მიუთხრას? რამეთუ აღებულ არს ქუეყანით ცხოვრებამ მისი, და ურჩულობისათჳს ერისა თჳსისა მიეცა იგი სიკუდილად.

9. მიესცნე უკეთურნი სიკუდილისა მისისა წილ და მდიდარნი დაფლვისა მისისა წილ. რამეთუ უსჯულობამ მან არა ქმნა, არცა აპოკა ზაკუვამ პირსა მისსა.

10. და უფალსა ჰნებავს განწმედაჲ ცოდვათაგან. უკუეთუ მიეცნეთ ცოდვათათჳს, სულმან თქუენმან [იხილოს] ნათესავი იგი, მყოვარემ ცხოვრებული. და უფალსა ჰნებავს

11. მოსპოლვად საღმობამ სულისაგან მისისა, ჩუენებად მისა ნათელი და დადებად მისა გულისხმის-ყოფით და განმართლებად მართალი მონა, კეთილ ყოფილ მრავალ, და ცოდვანი მათნი მან თავს ისხნეს.

12. ამისთვისცა მან თავადმან დაიმკვდრნეს მრავალნი და ძრიელთა განუყოზ ნატყუენავი. ამისთვის მისცა სული თჳსი სიკუდილ და უსჯულოთა თანა შეირაცხა; და მან ცოდვანი მრავალთანი ავოცნა და ურჩულობათა მათათჳს მიეცა.

თ ა ვ ი 55

1. [363v] რომელთა გწყურის, წარვედით წყლად, და რომელთა არა გაქუს ვეცხლი, მივედით და იყიდეთ თვნიერ ვეცხლისა და სასყიდლისა.

2. ღვნოსა და ცმელსა რაჲსათჳს იყიდით ვეცხლითა და შრომამ ეგე თქუენი არა მაძღრივ არს? ისმინეთ ჩემი და ჰამეთ კეთილი და იშუებდენ კეთილსა შინა სულნი თქუენნი.

3. და აღგიტქუა თქუენ აღთქუმამ საუკუნომ წმიდამ იგი დავითისი სარწმუნომ.

4. აჰა ესერა საწამებელად წარმართთა [364] მიესცე იგი მთავრად და მბრძანებელად ნათესავთა.

5. აჰა ესერა ნათესავთა, რომელთა არა გიცოდინან, სახელით გზადოდინან ღმრთისა შენისათვის წმიდისა ისრაჲლისა, რამეთუ გზადა შენ.

6. ეძიებდით ღმერთსა და რაჟამს ჰპოოთ იგი, ხადოდეთ მას. და ოდეს მოგვახლოს,

7. დაუტევენი უღმრთომან გზანი მისნი და კაცმან უსჯულომან ზრახვანი თვისნი, და მოიქეცით უფლისა, და შეიწყალოს იგი ღმრთისა ჩუენისა მიმართ, და ფრიად მიგიტევენ თქუენ ცოდვანი თქუენნი.

8. რამეთუ არა ეგრე არიან ზრახვანი ჩემნი, ვითარ-ეგე ზრახვანი თქუენნი, იტყვს უფალი.

9. არამედ ვითარ განშორებულ არიან ცანი ქუეყანით, ეგრე განშორებულ არიან ზრახვანი ჩემნი ზრახვათაგან თქუენთა.

10. რამეთუ ვითარცა გარდამოკდის წვმა გინა თოვლი და არა კუალად-იქცის მუნე, ვიდრემდის განაძღის ქუეყანა და გამოშვირს და აღმოსცენდის, მოსცის თესლი მთესვარსა და პური საზრდელად,

11. ეგრეთ იყვენ სიტყუანი ჩემნი, რომელნი გამოვიდოდინან პირისაგან ჩემისა. არა კუალად-მოიქცენ ჩემდავე ცარიელნი, ვიდრემდის აღასრულონ ყოველი, რომელი ვინებე, და წარმოჰპართენ გზანი შენნი და ბრძანებანი ჩემნი.

12. რამეთუ სიხარულით განხვდეთ და მხიარულებით იქცეოდით. რამეთუ მთანი და ბორცუნი ხლდებოდინან და მოგეგებვოდინან თქუენ სიხარულით, და ყოველთა ხეთა ველისათა დაიტყუელნენ შტოებითა თვისითა.

13. რამეთუ ძეძვსა წილ აღმოგიცენო შენ საროჲ და ღვირსა წილ მურტი. და იყოს უფალი სახელად და სასწაულად საუკუნოდ და არა მოაკლდეს¹.

თ ა ვ ი 56

ჯ

1. [104] ამას იტყვს უფალი: დაიმარხეთ სამართალი და ყავთ სიმართლჲ, რამეთუ მოახლებულ არს მაცხოარებაჲ ჩემი, მოწვევნად და გამოჩინებად წყალობაჲ ჩემი.

2. ნეტარ არს მამაკაცი, რომელმან ყოს ესე და დაიმარხნეს შაბათნი ჩემნი შუეგინებლად და დაიცვნეს კელნი თვისნი, რამეთუ არა ქმნეს სიცრუეჲ.

55. 7. უსჯოლომან. 10. განაძღის]კანრყუნის. 13. ძეძვსა; მორტი.

¹ მე-13 მუხლის ბოლო წინადადება (იუფლისა სახელად და სასწაულად უკუნისამდე, და არა მოაკლდეს) სხვაგანაცაა შეტანილი (327r).

4

1. [327] ამას იტყვს უფალი: ეკრძალებნით სამართალსა და იქმოდეთ სიმართლესა, რამეთუ მოწვეწულ და მოახლებულ არს მაცხოვრებამა ჩემი; და აწ არს ჟამი მოსლვად წყალობისა ჩემისა.

2. ნეტარ არს შამაკაცი, რომელი ჰყოფდეს, და კაცისა მის, რომელი ეკრძალებოდის მას...

3. ნუ იტყვნ საჭურისი იგი, რომელი მოსრულ იყოს უფლისა: განმე-მაშოროს უფალმან ერისაგან თვისისა; და ნუ იტყვნ საჭურისი იგი, ვითარმედ: მე ვარ ხმ წმელი.

4. რამეთუ ამას ეტყვს უფალი საჭურისთა მათ: რომელნი იმარხვიდენ შაბათთა ჩემთა და რომელთა გამოიძიონ, რაჲ-იგი მე მნებავს, და რომელთა თავს-ისხნენ აღთქუმანი ჩემნი,

5. ვსცე მათ სახლსა შინა ჩემსა ადგილი სახელოვან უმჯობესს, რომელთა ესხნენ ძეგბ და ასულებ; სახელი საუკუნოჲ მივსცე მათ.

თ ა ვ ი 57

1. [195v] იხილეთ ¹, ვითარ წარწყმდა მართალი იგი, და არავან მოელის გულითა, და კაცნი მართალნი აღიღებინან, და არავინ განიკადის, რამეთუ პირისაგან სიცრუვისა აღებულ არს სამართალი.

2. და იყოს მშვდობით საფლავი მისი, რამეთუ აღებულ არს შირისი.

3. ხოლო თქუენ მოიყვანეთ აქა, ძენო უსჯულონო, ნაშობნო მემრუშეთანო და მეძავთანო.

4. რომლითა-იგი იშუებდით? ვის ზედა ადადეთ პირი თქუენი და განსძართ ენაჲ თქუენი და ზრახეთ ძერი თქუენი?

15. [93] ამას იტყვს მალალი იგი, რომელი მალალთა შინა დამკვლრებელ არს — წმიდაჲ წმიდათა შორის და სახელი მისი უფალ და მალალ და წმიდათა შორის განსუენებულ, და სულმოკლეთა მოსცეს სულგრძელებამა და მოსცის ცხორებამა დამდაბლებულთა გულითა.

16. და არა უკუნისამდე გულ-მანკიერ ვიქმნე შურის-გებად, არა მარადის განგირისხნე თქუენ, რამეთუ სული ჩემ მიერ გამოვიდეს, და ცხორებამა მე შევქმენ.

17. ცოდვისათვს მცირედ რაჲ მე შევაწუხებ იგი, ვტანჯე და გარე-

ნ. 5. სახელი|სახლი.

¹ ხელნაწერში ამ საკითხავს შეცდომით აწერია, რომ ზაქარია წინასწარმეტყველისაა.

მივიქციე პირი ჩემი მისგან, შეწუხნა და ვიღოდა გზათა მისთა ბწუ-
ნარც.

18. და გზანი მისნი ვიხილენ და განკურნენ და მივეც მას ნუგე-
შინის-ცემად ქეშმარიტი,

19. მშვდობად მშვდობასა ზედა და რომელნი მახლობელ არიან...

თ ა ვ ი 58

1. [32] ესრე იტყვს უფალი: აწ ღაღად-ყავ მაღლითა კმითა და
ნუ დასდუმნები; და ამხილენ ერსა ჩემსა ცოდვანი მათნი და უთხრენ
იაკობსა უსჯულოებანი მისნი.

2. მე ღლითი დღე შეძიებელ; და ცნობად გზათა ჩემთა გულს
ეტყვს, ვითარცა ერსა, რომელსა სიმართლმ უქმნიეს და სამართალი
ღმრთისა თვისისა არ დაუტეობიეს. აწ მე მთხოვენ მახავრსა ს-მ-რ-თ-
ლისასა და მიახლებად ღმრთისა გული-უთქუამს,

3. და იტყვან: რაა არს, რამეთუ ჩუენ ვიმარხვედით, და შენ არა
იხილე? დავიმდაბლენით სულნი ჩუენნი, და შენ არა სცან? ამისთვის
რამეთუ დღეთა მათ [v] მარხვისათა, ოდეს თქუენ იმარხვიდით, იპო-
ვის ნებად თქუენი აღსრულებული, და ყოველნი უძრულნი, რომელ-
ნი არიედ კელმწიფებასა ქუეშე, მათ დაჰქენჯნიდით.

4. ანუ სასჯელად და ღალვად იმარხავთ და ჰგუემთ მოყუასსა
კურთითა მეტად. აწ უკუე არა მიკმს ეგევითარი მარხვად, მოსლვად
და ღაღადებად თქუენი ჩემ წინაშე და მემცა ვისმინე თქუენი.

5. რამეთუ არა ესევითარი მარხვად გამოვირჩიე და არცა ეგევითა-
რი სიმდაბლე კაცთად, ვითარ-იგი შეიდრიკნიან მუცლნი მათნი სახილ-
ველად კაცთა; ხოლო აწ მო-ღა-თუ-იდრიკო ვითარცა გრკალი ქედი
შენი და ძაძად შეიმოსო და ნაცარი დაიფინო, მე არავე მივითუალო
მარხვად, გინა დღედ სათნო უფლისა.

6. არამედ არა ეგევითარი მარხვად გამოვირჩევიეს, იტყვს უფალი,
არამედ ესე არს სათნო ჩემ წინაშე: პირველად სკული გულითა შენი-
სად განჰკვენ და ყოველი სიცრუემ განიშორე და განუტევენ პყრო-
ბილნი უქრთამოდ და ყოველი წიგნი, სიცრუით დაწერილი, განხეთქე.

7. მშიერსა დაუნეტუე პური შენი და გლახაკნი უსახლონი შეიყვა-
ნენ სახლად შენდა, და იხილო თუ შიშუელი. შემოსე, და თვისი ნათე-
სავისა შენისად არა უგულბებელს-ჰყო.

8. ესელა ყოველი ჰყო, მაშინლა წარმოგემართოს მსთუად ნათელი

58. 2. ღლითი დღემ. 2. შეძიებელ. 3. ქუეშე.

შენი, და ლხინება შენი აღმოგიცენდეს ადრე, და სიმართლმ წინა-
-წარგილდეს შენ. და დიდება უფლისაა გარე-მოგადგეს შენ.

9. და რაჟამს ჰლაღდებდე, ღმერთმან ოსმინოს შენი და ვიდრე
თხოვადმდე გრქუას შენ: აქა ვარ. უკუეთუ მოისპო შენგან კრულე-
ბაა სიციურევით და კელ-ურიდებაა და სიტყუაა დრტკნვისაა,

10. და სცე მშიერსა პური გულითა კსნილითა, მაშინ [აღ]მოგიბრ-
წყინდეს ბნელსა შინა ნათელი ვითარცა შუასამხრის.

11. და უფალი შენი იყოს მარადის შენ თანა; და განსძღე შენ ვი-
თარცა-იგი გული-უთქუამს [33] სულსა შენსა და ძუალნი შენნი გა-
ნიპოხნენ, და იყო შენ ვითარცა მტილი მორწყული და ვითარცა წყა-
როა წყლისაა, რომელსა-იგი არა მოაკლდის წყალი.

12. და აღეშენენ ქალაქნი შენნი საუკუნითგანნი და იყვნენ საყო-
ფელნი შენნი საუკუნმ თესლითი თესლამდე, და გეწოდოს შენ მა-
შენებელ ზღუდეთა შენთა და ალაგთა შენთა შორის ნათელი წინა-
-გიძლოდის შენ.

13. უკუეთუ გარე-მოაქციო ფერკი შენი შაბათთაგან, რამთა არა
ჰყო ნება შენი დღესა მას წმიდასა, და უწოდი შაბათთა დღე წმიდა
და ფუფუნეულ და დიდებულად ღმრთისა; არა წარსდგა ფერკი შენი
საქმედ, და არა იტყოდის სიტყუასა ფიცხელსა პირი შენი.

14. და იყო შენ მოსავ უფლისა ღმრთისა შენისა და შეგიყვანოს
შენ კეთილსა მას ქუეყანასა და გაქამოს შენ ნაწილი იაკობისი, მამისა
შენისაა, რამეთუ პირი უფლისაა იტყოდა ამას.

თ ა ვ ი 59

1. [327] ვერ ნუ შემძღებელ არს კელი უფლისაა კსნად? ანუ და-
-ბე-ყოვნა ყურმან მისმან არა სმენად?

2. არამედ ცოდვანი ეგე თქუენნი განაშორებენ შორის თქუენსა
და ღმრთისა, და ცოდვათა თქუენთათჳს გარე-მიიქცია პირი მისი
თქუენგან არა შეწყნარებად.

3. რამეთუ კელნი თქუენნი შეღებულ არიან სისხლითა და თითნი
თქუენნი — ცოდვითა, ბაგენი თქუენნი — უსჯულოებითა, და ენა
თქუენი სიციურევსა ზრახავს.

4. არავინ ზრახავს სამართალსა, და არცა არს სასჯელი ჰეშმარ-
ტი. ესვენ ამოსა და იტყვან ცოდვასა, რამეთუ მიუღვებინ საღმობა-
სა და შობენ ამოებასა.

5. კუერცხნი ასპიტანი განტუნეს და ქსელსა დედაზარღისასა ქსოვენ და, რომელსა ეგულებოდა კუერცხთა მათ ჭამად, განტეხა და ღრიაკალი და იქედნე პოა მას შინა.

6. ქსელი იგი იყოს მათა სამოსლად, არცა შეიმოსონ საქმეთა მათთაგან, რამეთუ საქმენი მათნი არიან საქმე უსჯულოების.

7. ხოლო ფერკნი მათნი უქეთურებასა რბიან, მოსწრაფე არიან დათხევად სისხლსა უბრალოსა, და გულის-ზრახვანი მათნი ზრახვა უგუნურთა; შემუს[v][რ]ვად და უბადრუკებად არს გზათა მათთა.

8. და გზად მშვდობისად არა იცნეს, არა არს სიმრავლჳ გზათა მათთა. რამეთუ ალაგნი მათნი დრკუ არიან, რომელსა-იგი ვლენან, და არა იციან მშვდობად.

9. ამისთვის განეშორა სამართალი მათგან, და არა მოუტდეს მათ სიმართლჳ; მოუტდეს იგინი ნათელსა და ექმნა მათ ბნელ; ჰკებდეს იგინი ცისკარსა და უქამოსა შინა ვილოდეს.

10. ეძიებდეს იგინი ვითარცა ბრძანი კედელსა და, ვითარცა რომელთა არა ასხენ თელნი, ვგრე ჰრევედ, დაეცნენ შეასამხრის, ვითარცა შეაღამე.

11. და ვითარცა დათუნი მოსიკუდიდნი ვგრე სულთა ჰბერვიდენ, და ვითარცა ტრედნი ერთბამად ფქურებოდიან, მოველოდეთ სამართალსა, და არა არს ცხორება, შორად განგუწურთა ჩუენგან,

12. რამეთუ მრავალ არიან უსჯულოება[ნი] წინაშე შენსა, და ცოდვანი ჩუენნი წინა-აღმდგეს ჩუენ, და უსჯულოებანი ჩუენნი ჩუენ შორის არიან, და სიცრუეჳ ჩუენი ვცანთ.

13. ეღბრთო ვიქმნენით და ვეცრუენით ღმერთსა და განვეშორენით შემდგომად ღმრთისა ჩუენისა. ვიტყოდეთ სიცრუევსა და უსჯულო ვიქმნენით, მუცლად-ვიდეთ; ვიწურთადით გულისაგან ჩუენისა სიტყუათა: ცრუთა,

14. და განვეშორენით ჩუენ შემდგომად სამართალისა და ზურგით ვიქციეთ მსჯავრი და სიმართლჳ შორად განგუწურთა, რამეთუ განკფ-და აზრთაგან მათთა ქეშმარიტებად და წრფელსა გზასა ვერ ეძლო სლვად.

ჯ

15. და ქეშმარიტებად მიეღო მათ, და გარდაიქცა გონებად მათი გულისხმის-ყოფისაგან¹. და იხილა ესე უფალმან და არა სთნდა, რამეთუ არა იყო სამართალი.

59. 5. ასპიტანი. 6. საქმჳ. 10. შოასამხრის, შოაღამე. 11. განგუწურთა.

¹ აქედან 21-ე მუხლის ჩათვლით ტექსტი გამოირებულია სხვა საკითხავშიც (195:).

16. მიხედა და არავინ იყო კაცი, განიცადა, და [328] არავინ იყო შეიშნე, და სძლო მათ მკლავითა თვისითა და დააყენა მოწყალეობა თვისი.

17. და შეიმოსა სიმაართლმ ვითარცა ჭაქვ და დაიდგა თავსა ვითარცა ჩაფხუთი მაცხოვრება მისი და შეიმოსა სამოსელი შურის-გებისაჲ.

18. რომლითა მიგებით მიაგოს ყუედრება მტერთა მისთა...

19. და ეშინოდის მზის დასაველისათა სახელისათჳს უფლისა და მზის აღმოსაველისათა სახელისა მისისათჳს დიდებულისა. რამეთუ წარმოეცეს ვითარცა მდინარმ სასტიკი სახელი უფლისაჲ.

20. და მოვიდეს სიონისათჳს მკსნელი და გარე-წარაქციოს უღმრთოებაჲ იაკობისი, თჳთა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან.

21. და ესე არს მათა მიმართ აღთქუმაჲ ჩემმიერი, იტყჳს უფალი; სული ჩემი, რომელ არს ზედა, და სიტყუანი ჩემნი, რომელ მიგცენ პირსა შენსა, არა მოგაკლდეს პირისაგან შენსა და პირისაგან ნათესავისა შენისა, თჳთა უფალმან, ამიერითგან უკუნისამდე.

4

15. [195v]... და ვითარცა იხილა ესე ღმერთმან, არა სთნდა, რამეთუ არა იყო სამართალი.

16. მიხედა და არავინ იყო შეიშნე; და სძლო მათ მკლავითა თვისითა და დააყენა მოწყალეობა თვისი.

17. და შეიმოსა სიმაართლმ ვითარცა ჭაქვ და დაიდგა თავსა ვითარცა ჩაფხუთი მაცხოვრებაჲ მისი და შეიმოსა სამოსელი შურის-გებისაჲ,

18. რომლითა მიგებითა მიაგოს ყუედრებაჲ მტერთა მისთა.

19. და ეშინოდის მზის დასაველისათა სახელისათჳს უფლისა და მზის აღმოსაველისათა სახელისათჳს მი[196]სისა დიდსა, რამეთუ წარმოეცა ვითარცა მდინარმ სასტიკი სახელი უფლისაჲ, და მოიწიოს იგი გულს-წყრომით.

20. და მოვიდეს სიონით მკსნელი და გარე-წარაქციოს უღმრთოებაჲ იაკობისგან, თჳთა უფალმან.

21. და ესე არს ჩემმიერი აღთქუმაჲ მათა მიმართ, იტყჳს უფალი ყოვლისა-მპყრობელი; სული ჩემი, რომელ არს შენ ზედა, და სიტყუანი ჩემნი, რომელ მიგცენ პირსა შენსა, თჳთა უფალმან, ამიერითგან უკუნისამდე.

თ ა ვ ი 60

1. [361v] ნათელ-ილე, ნათელ-ილე, იერუსალმე, რანეთუ ზოწევენელ არს ნათელი შენი, და დიდებამ უფლისამ შენ ზედა გამობრწყინდეს.

2. აჰა ესერა ბნელმან დაფაროს ქუეყანამ. და ნისლი წარმართთა ზედა; ხოლო შენ ზედა გამოცხადნეს უფალი, და დიდებამ უფლისამ შენ ზედა გამოჩნდეს.

3. და ვიდოდინ მეფენი ნათელსა შენსა და წარმართნი — ბრწყინვალეებასა აღმოსავალისა შენისასა.

4. აღიხილენ გარემოეს შენსა თუალნი შენნი და იხილენ ყოველნი კრებულნი შვილნი შენნი, რამეთუ მოავლინნა ყოველნივე ძენი შენნი შორით, და ასულთა შენთა მჭრითა მათითა მოაქუნდეს.

5. მაშინ იხილო შენ და გიზაროდის და შეგეშინოს და გიკვრდეს გულითა, რამეთუ მოაქციოს შენ ზედა სიმდიდრე ზღვსამ, ნათესავთა და ერთად.

6. და მოვიდეს შენდა რემაკები აქლემთამ, და დაგფაროს შენ აქლემებმან მადიამისამან და გეფადსამან. მოვიდოდინ საბამთ და მოაქუნდეს ოქრო და გუნდრუკი და შესწირვიდენ და მაცხოვარებიცა უფლისამთა ხარებულ იყვნენ.

7. და ყოველი ცხოვარი კედარისამ მოგაკრბეს და ვერძნი იგი ნაბოთისანი გარე-მოგადგენ შენ და შეიწი [362] რვოდინ სათნოდ საკურთხეველსა ჩუენსა ზედა, და ტამარი იგი სალოცველი ჩუენი იდიდობოდის.

8. ვინ არიან ესენი, რომელნი ვითარცა ღრუბელნი ფრინველ და ვითარცა ტრედნი მართუეთა თანა მათთა ჩემდამო, სიონი?

9. მე ქალაკნი მელიან; და ნავთა თარშისათა პირველად მოჰყვანდენ შვილნი შენნი შორით; ოქროდ იგი და ვეცხლი მათი მათ თანა სახელისათეს უფლისა და წმიდისათეს ისრაჴლისა.

10. აღაშენენ უცხოთა ზღუდენი შენნი და მეფენი მათნი წარმოგიდგენ შენ, რამეთუ რისხვითა ჩემითა დაქცე¹ შენ და წყალობითა ჩემითა შეგიყუარო შენ.

11. და განღებულ იყვნენ ბჭენი შენნი დღე და ღამე და არა დაეკშენენ, და შემოიღებდენ შენდა ძალსა წარმართთასა, და მეფენი მათნი მოგფუარნე შენ.

12. რამეთუ ნათესავნი და მეფენი, რომელნი არა გმონებდენ, წარწყმდენ, და წარმართნი მოოკრებით მოოკრდენ.

60. 11 დღე და ღამე.

¹ ასეა.

13. და დიდებამ იგი ლიბანისაჲ შენ ზედა მოიწიოს საროჲთა და ფიქვთა და ნაძვთა: ერთბაშად იდიდოს სახელი წმიდაჲ ჩემი.

14. და მოვიდოდინა შენდა ძენი იგი დამამდაბლებელთა შენთანი და ცერქუას შენ ქალაქი წმიდაჲ სიონ ისრაჳლასაჲ,

15. ამისთვის რამეთუ იყავ შენ დატევებულ და მოძულებულ, და არავინ იყო შემწე შენდა. და გყო შენ სიხარულ საუკუნე და მხიარულება თესლითი თესლამდე.

16. და სწოვდე შენ ძალსა წარმართთასა და სიმდიდრესა მეფეთასა სჳამდე შენ; და სენა, რამეთუ მე ვარ უფალი მაცხოარი შენი და განმარინებელი შენი ღმერთი ისრაჳლისაჲ.

17. და რვალისა წილ მოგართუან შენ ოქროჲ, და სპილენძისა წილ მოგართუან შენ ვეცხლი, და ძელისა წილ — რვალი, და ქვისა წილ — რკინაჲ. და დავადგინენ მთავარნი შენნი მშვიდობით და მოლუაწენი შენნი სიმართლით.

18. და არღარა ისმეს სიცრუევე ქუეყანასა შენსა და არცა შემუსრვაჲ და [v] არცა გლაზაკებაჲ საზღვართა შენთა, არამედ ერქუას ცხოვრება ზღუდეთა შენთა და ბჭეთა შენთა ქანდაკებულ.

19. და არა თუ მზჳ იყოს ნათლად შენდა დღისი და არცა აღმოსავალისაჲთ მთოვარჳ გნათობდეს შენ ღამე, არამედ იყოს ღმერთი ნათელ შენდა საუკუნე და უფალი დიდება შენდა.

20. რამეთუ არა დაჰჯდეს მზჳ შენი, არცაღა შოაკლდეს მთოვარჳ შენი, არამედ იყოს თავადი ღმერთი შენდა ნათელ საუკუნე, და სრულ იყვნენ დღენი იგი ნათესავისა შენისანი.

21. და ერი შენი მართალ საუკუნე, და დაიმკვდრონ ქუეყანაჲ და დაიმარბონ აღმოცენებული ნერგისა ჩემისაჲ სადიდებელად.

22. რამეთუ შცირედი იგი იყოს ათასეულად და უმრწემჳსი იგი ნათესავად დიდად. რამეთუ მე, უფალმან, ჟამად-ჟამად შევკრიბენე იგინი.

თ ა ვ ი 61

1. [172v] სული უფლისაჲ ჩემ ზედა, ამისთვისცა მცხო მე მახარებელად გლაზაკთა, მომავლინა მე განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებად და ბრმათა ახილვად,

2. ქადაგებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებული და დღჳ იგი კუალად-გებისაჲ, ნუგეშინის-ცემად ყოველთა მგლოვარტთა,

3. მიცემად მგლოვარტთა სიონისათა დიდებამა ნაცრისა მ-ს [წილ]

15. შემწე; საუკუნე. 17. ძელისა]რვალისა. 19. ღამე, საუკუნე. 20. საუკუნე.

21. საუკუნე.

მ1. 1. შემოსრვილთა. 3. ნაცრისაჲ.

და საცხებელი სიხარულისაჲ და სამოსელი დიდებისაჲ სულისა მის წმიდისა მოწყალებისაჲთა; და ეწოდოს მათ ნათესავ სიმართლის და ნერგად უფლისა დიდებად.

4. და აღუშქნენ უდაბნონი საუკუნითგანნი და მოოკრებულნი პირველითგანნი, აღემართნენ და განახლდენ ქალაქნი ოკერნი, მოოკრებულნი საუკუნითგან ნათესავით.

5. და მოვიდენ უცხო თესლნი მწყსად ცხოვართა შენთა და უცხო თესლნი მკნველ და ვენაყის-მოქმედ.

ჯ

6. ხოლო თქვენ მღვდელ უფლის გეწოდოს და მსახურ ღმრთისა თქუენისა იყვნეთ, ძალსა წარმართთასა სჯამდეთ და სიმდიდრესა მათსა ზედა საკრველ იყვნეთ¹.

ღ

6. [307v] ხოლო თქვენ მღვდელ უფლის გეწოდოს და მსახურ ღმრთისა თქუენისა გერქუას თქვენ, ძალთა წარმართთასა სჯამდეთ და სიმართლესა მათსა ზედა საკრველ იყვნეთ.

7. ...ამისთვისცა ქუეყანაჲ მათი მეორედ დაიმკვდრონ და სიხარული საუკუნოჲ თავსა ზედა მათსა.

8. რამეთუ მე ვარ უფალი, რომელსა მიყუარს სიმართლჳ და მოვიძაგე ტაცებად სიცრუვისაჲ და მოვსცე ნაშრომი მათი მართალთა და აღთქუმაჲ საუკუნოჲ [308] აღუთქუა მათ.

9. და საცნაურ იყოს წარმართთა შორის ნათესავი მათი და ნაშობნი მათნი შორის ერსა. ყოველმან, რომელმან იხილნნეს, იცნნეს იგინი, რამეთუ ესენი არიან ნათესავნი, კურთხეულნი ღმრთისა მიერ, და სიხარულით იხარებდენ უფლისა მიმართ.

10. [328] იხარებდინ სული ჩენი უფლისა მიმართ. რამეთუ შემომოსა მე სამოსელი ცხორებისაჲ და სამკაული სიხარულისაჲ, და ვითარცა სიძესა დამადგა მე გვრგვნი, და ვითარცა სძალი შემამკო მე სამკაულითა,

11. და ვითარცა ქუეყანაჲ, რომელმან აღაორძინის ნაყოფი თვისი, და ვითარცა მტილმან თესლი თვისი აღმოაყენის, ეგრე გამოაბრწყინვოს უფალმან მაცხოვარებაჲ თვისი წინაშე ყოველთა თესლთა.

¹ 61,6-ის ტექსტი გამეორებულია სხვა საკითხავშიც (307v).

თ ა ვ ი 62

1. აწ სიონისათვის არა დავლუმნე და იერუსალჴმისათვის არა დავა-
ცადო, ვიდრემდის გამოვიდეს ვითარცა ნათელი სიმართლჴ ჩემი, და
მაცხოარებაჲ ჩემი ვითარცა ნათელი აღატყდეს;

2. და იხილონ წარმართთა სიმართლჴ ჩემი და მეფეთა დიდებაჲ
ჩემი [v] საკვრველ უჩნდეს, და გეწოდოს სახელი შენი ახალი, რომე-
ლი-იგი უფალმან თავადმან სახელ-გდვას შენ.

3. და იყო შენ გვრგვან სიკეთის კელსა ქუეშე უფლისასა, და შარა-
ვანდედ სამეუფო კელსა ღმრთისა შენისასა.

4. და არღარა გერქუას შენ დატევებულ, და ქუეყანასა შენსა არ-
ღარა ერქუას ოკერ. რამეთუ შენ გეწოდოს სახელი ჩემი, და ქუეყანა-
სა შენსა ერქუას სოფელ.

5. და ვითარცა დაიმკვდრის კაბუკმან ქალწულისა თანა, ეგრე დაიპ-
კვდრონ ძეთა შენთა შენ თანა და ვითარცა იხარებნ სიძჴ სძლისა თა-
ნა, ეგრეთ იხარებდეს უფალი შენდა მიმართ:

6. და ზღუდეთა შენთა მიმართ, იერუსალჴმ, დავადგინნე მცველნი
შენ ზედა და დღე ყოველ და დამე ყოველ, რომელნი-იგი სრულიად
არა დადუმნენ მოკსენებად უფლისა მიმართ.

7. რამეთუ არავინ არს მსგავს თქვენდა. უკუეთუ წარიმართოთ, და
უფალმან ყოს ქუეყანასა ზედა იერუსალჴმი სახელოან.

10. [159v] გუაღეთ, მივიდოდეთ, იქცეოდეთ, შემოვედით ბჴეთა
ჩემთა, განუწმიდენით გზანი, განუგენით ალაგნი ერსა ჩემსა და ქვები
გზისაგან გარდასთხიეთ, აღიღეთ სასწაული წარმართთა შორის.

11. რამეთუ უფალმან სასმენელ ყო კიდით კიდემდე ქუეყანისა:
არქუთ ასულსა მაგას სიონისასა: აჰა ესერა მაცხოარი შენი მოვალს-
და მოიწვევის და სასყიდელი მისი მის თანა და საქმენი მისნი მის წი-
ნაშე.

12. და უწოდის მათ ერად წმიდად, კსნილად უფლისა მიერ, და
გერქუას შენ გამოძიებული ქალაქი და არა დატევებული.

თ ა ვ ი 63

1. [191v] ვინ არს ესე, რომელი მოვალს ედომით, სომეწამულჴ
სამოსლისა მისისაჲ ბოსორით? ესე შუენიერ არს სამოსლითა ძრიელ
ძრიელებითა; მეტყვს სიმართლესა და სასჯელსა ცხოვრებისასა.

62. 3. სიკეთის; ქუეშე. 6. დღე; ღამე. 12. არაჲ.

63. 1. ბოსორით]ბოსონით.

2. რადასათვის მეწამულ არს სამოსელი შენი ვითარცა მწნებართად ესრტთ დათრგუნვილებითა?

3. და წარმართთაგანი კაცი არავინ არს მათ თანა, და დაეთრგუნნე იგინი ვითარცა მიწა და გარდავადინო სისხლი მათი ვითარცა წყალო.

4. რამეთუ დღმ მისაგებელისა მათისაჲ მოიწია მათ ზედა, და წელიწადი კსნისაჲ მოწევნულ არს.

5. და მე ვიხილე და არავინ იყო მწე, განვიცადე და არავინ შემეწეოდა მე. და იქსნა იგი მკლავმან ჩემმან, და გულს-წყრომაჲ ჩემი მოიწია მათ ზედა,

6. და დაეთრგუნნე იგინი რისხვითა ჩემითა და დავსთხიო სისხლი მათი ქუეყანასა ზედა.

7. [328v]... უფალი მსაჯულ სახლსა ზედა ისრაჲლისასა მოავლინოს ჩუენ ზედა წყალობისაებრ თვისისა და სიმართლისაებრ სიმართლისა თვისისა.

8. და თქუა: ანუ არა ჩემი შვილი ჩემი არს? და არა შეურაცხ-ყოვ; და ექმნა მათ მაცხოარ

9. ყოვლისაგან ჭირისა მათისა; რამეთუ არა მოციქულმან, არცა ანგელოზმან ზეციით, არამედ მან თავადმან უფალმან იქსნა იგინი და დაიცივნა იგინი და აღჰმართნა იგინი ყოველთა დღეთა საუკუნეთა.

10. ხოლო იგინი ურჩ იქმნეს და განარისხეს სული წმიდაჲ მისი; და გარდაექცა მათ მტერად, თავადმან უფალმან ჰბრძო მათ,

11. და მოექსენნენ დღენი იგი საუკუნენი; სადა არს, რომელმან აღმოიყვანა მწყემსი იგი ცხოართად? და სადა არს, რომელმან დადვა სული წმიდაჲ მათთვის?

12. [329] რომელმან-იგი მოიყვანა მარჯუენითა თვისითა მოსე მკლავითა დიდებისა მისისაჲთა? განაძრიელნა წყალნი წინაშე მისსა, ყოფად თავისა თვისისა სახელი საუკუნოჲ.

13. განიყვანა იგინი უფსკრულისაგან, ვითარცა ცხენნი უდაბნოდ, და არა დამშურეს,

14. და ვითარცა კაჰრაული ველით...

ს

და¹ მოილო სული უფლისა მიერ და უძლოდა ესრტთ; მოიყვანე ერი შენი და ყავ თავისა შენისა სახელი დიდებისაჲ.

15. მოიქეც, უფალო, და გარდამოიხილე ტაძრით წმიდით დიდებისა შენისაჲთ. სადა არს სიმრავლმ წყალობათა და შეწყნარებათა შენთაჲ, ოდეს-იგი თავს-იღებდ ჩუენსა, უფალო?

5. მწყ.

¹ 63,14—16-ის ტექსტი გამეორებულია სხვა საკითხავშიც (236r).

16. რამეთუ შენ ხარ მამა ჩუენი...

4

14. [236] და მოილო სული წმიდაა უფლისა მიერ და უძლოდა ესრტთ. აწ მოიყვანე თავისა შენისა ერი ესე სახელისათვს შენისა დიდისა.

15. მოიქეც, უფალო, ზეცით და გარდამოიხილე ტაძრიან წმიდით დიდებისა შენისაჲთ. სადა არს სიმრაველჳ წყალობათა შენთაჲ, ოღესიგი თავს-იღებდ ჩუენსა, უფალო?

16. შენ ხარ მამა ჩუენი...

[329] უფალო, რამეთუ აბრაჰამ არა მიცოდნა ჩუენ, არამედ შენ ხარ მამა ჩუენი, მიჯსნენ ჩუენ, რამეთუ დასაბამითგან სახელი შენი ჩუენ ზედა არს.

17. რაჲსათვს შემაცთუნებ ჩუენ, უფალო, გზისაგან შენისა? და განაფიცხენ გულნი ჩუენნი, რაჲთა არა მეშინოდის შენგან? მოიქეც მონათათვს და ნათესავისა და სამკვდრებელისა შენისა,

18. რაჲთა მცირედ რაჲმე ჩუენცა დაეიმკვდროთ მთისაგან წმიდისა შენისა.

19. ვიქმნენით ჩუენ ვითარცა დასაბამსა, რაჲმს-იგი არა ჰძლავრობდ ჩუენ ზედა, და არცა წოდებულ იყო სახელი შენი ჩუენ ზედა.

თ ა ვ ი 64

1. უკუეთუ განახუნე ცანი, ძწოლამან შეიპყრნეს შენგან მთანი და დადნენ,

2. ვითარცა ცეცხლისაგან რაჲ დადნის ცკლი, და შესწუვიდეს. ცეცხლი მტერთა შენთა და განცხადებულ იყოს სახელი შენი მოძულეთა შენთა ზედა, პირისაგან შეხისა [წარმართნი შეძრწუნდენ]... მთანი,

4. საუკუნითგან არა გუესმინა, არცა იხილეს თუალთა ჩუენთა-ღმერთი სხუაჲ თვნიერ შენსა. საქმენი შენნი ჰეშმარიტ არიან. რომელ იყო მოთმინეთა შენთათვს წყალობაჲ;

5. [v] რამეთუ წინა-მიეგებოდის მათ წყალობაჲ, რომელნი ექმან სამართალსა და გზანი შენნი მოეჯსენენ. აჰა ეგერა შენ განპროსხენ, და ჩუენ შეგცოდეთ; და ამისთვისცა შევსცეთით.

6. და ვიქმნენით არაწმიდა ყოველნი; ვითარცა ძონძი დედაკაცისა წიღოენისა — ყოველიჲ სომართლჳ ჩუენი; და დავეცენით ჩუენ ყოველნი ვითარცა ფურცელნი ურჩულოებითა ჩუენითა; და ესრტთ ჰარმან წარმიხუნა ჩუენ,

7. და არავინ არს, რომელმანმცა ხადა სახელსა შენსა და მოიქსენა-
შემდგომად შენსა. რამეთუ გარე-მიიქციე პირი შენი ჩუენგან და მიმ-
ცენ ჩუენ ცოდვათა ჩუენთათს.

8. და აწ, უფალო, მამაჲ ჩუენი ხარი შენ, ხოლო ჩუენ ყოველნი —
თიჯაჲ, ქმნული კელთა შენთაჲ.

9. და ნუ განჰირისხნები ჩუენ, უფალო, სრულიად და ნუ ეამსა
ამას მოიქსენებ ცოდვათა ჩუენთა და აწ მომხედენ ჩუენ, რამეთუ ერი
შენი ვართ ჩუენ ყოველნი.

10. და ქალაქნი სიწმიდისა შენისანი...

თ ა ვ ი 65

13. [8v] ამისთვის ესრე იტყვს უფალი: რომელნი მე მმონებდენ,
იგინი ჭამდენ, ხოლო თქუენ გშიოდის; და რომელნი მე მმონებდენ,
იგინი სუმიდენ, ხოლო თქუენ გწყუროდის;

14. და რომელნი მე მმონებდენ, იგინი იხარებდენ სიხარულითა-
გულისა მათისაჲთა, ხოლო თქუენ ჰღალადებდეთ საღმობითა გულისა
თქუენისაჲთა და ჰკოდებდეთ.

15. რამეთუ დაუტეოთ სახელი ჩემი მაჰღრვ რჩეულთა ჩემთა,
ხოლო თქუენ მოესრნეს უფალმან; ხოლო რომელნი მე მმონებდენ,
მათ ეწოდოს სახელი ახალი,

16. რომელი იკურთხეოდის ქუეყანასა ზედა; რომელნი აკურთხე-
დენ ქუშმარიტსა ღმერთსა და რომელნი ფუცვიდენ ქუეყანასა ზედა,
ფუცვიდენ ქუშმარიტსა ღმერთსა. რამეთუ დაავიწყდეს ჰირი იგი პირ-
ველი და არა მოიქსენონ და არცაღა მოუვდეს გულსა მათსა.

17. რამეთუ იყოს ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი [9] და არღარა
მოიქსენონ პირველთა მათ და არცაღა მოვიდეს გულსა მათსა,

18. არამედ სიხარული და მხიარულებაჲ პოონ მას შინა...

21. [311] ესრე იტყვს უფალი: იშენებდენ იგინი სახლებსა მათსა
და მათვე დაიმკვდრონ, და დაასხმიდენ რქასა და სუმიდენ ნაყოფსა
მათსა.

22. და არღარა იყოს, ვითარმცა სხუანი აშენებდეს და სხუათა
დაიმკვდრეს ანუ სხუანიმცა დაასხმიდეს და სხუანი ჭამდეს; მსგავსად
დღისა მის ცისა ცხორებისა იყვენენ დღენი ერისა ჩემისანი და საქმენი
კელთა მათთანი დაძუელდენ.

23. ხოლო რჩეულნი ჩემნი არღარა შურებოდინ ცუდად და არცა-

იყვნენ ნაშობნი მათნი საწყევლად, რამეთუ ნათესაენი არიან იგინი ღმრთოსა მიერ და ნაშობნიცა მათნი მათ თანა,

24. და იყოს, ვიდრე არღა ღალადებდენ, მე ვისმინო მათი და ვიდრე იტყოდინან-ღა იგინი, მე კმა-უყო მათ.

25. მაშინ მგელნი და კრავნი ერთგან ძოვდენ, ლომი და კარი ერთგან კამდენ ბზესა, და გუელი მიწასა პურებრ კამდეს; და არას ავნებდენ და არა უნაშობდენ ურთიერთას მთასა მას წმიდასა ჩემსა ზელა, თქუა უფალმან.

თ ა ვ ი 66

1. ესრე იტყვს უფალი: ცანი არიან საყდარნი ჩემნი და ქუეყანაჲ კუარცხლბერკი ფერკთა ჩემთაჲ. რაბამი სახლი იყოს იგი, რომელი მიშწნოთ მე? ანუ რომელი ადგილი იყოს განსასუენებელი ჩემი, რომელი განმომზადეთ მე?

2. რამეთუ ესე ყოველი კელმან ჩემმან შექმნა და ჩემ მიერ არს, თქუა უფალმან; და მე ვის მივხედო, არამედ [V] მდაბალთა და მყუდროთა მათ, რომელნი ძწიან სიტყუათაგან ჩემთა.

5. [329v] აწ ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელნი სძწით სიტყუათა მისთაგან; არქუთ ძმად თუსა მოძულეთა თქუენთა და რომელთა-იგი შეურაცხ-უყოფიეთ თქუენ, რაჲთა სახელი თქუენი იდიდებოდეს და განცხადნეს სახესა შინა თქუენსა, ხოლო მათ ჰრცხუნოდის.

6. კმაჲ ღალადებისაჲ ქალაქით გამო, კმაჲ ტაძრით გამო და კმაჲ კუალად-საგებელ და მისაგებელ მტერთა მისთა.

7. ვიდრე საღმრთაღმდეგ შობისა და ვიდრე მოწვევანდმდე საღმრთათა შობადისათა განერა და შვა წული.

8. ვის ესმა ესევეითარი ანუ ვინ მიეახლა ესრტთ, უკუეთუ მიუდგა ქუეყანაჲ ერთსა შინა დღესა ანუ თუ იშვა ნათესავი ერთ-გზის, რამეთუ მიუდგა და შვნა სიომმან ყრმანი თუსნი.

9. ხოლო მე მივეც სასოებაჲ ესევეითარი და შენ არა მომიჯსენე მე, თქუა უფალმან. ანუ არა მშობელი იგი და [330] ბერწი მე შექმენ, იტყვს უფალი ღმერთი შენი.

10. გიხაროდენ ერთბამად, იერუსალტმ, და შეკერბით ყოველნი მოყუარენი მისნი მას შინა სიხარულით, ყოველნივე, რომელნი ეგლოვდით მას,

11. რაჲთა სწოვდეთ და განსძღეთ ძუძუთაგან ნუგეშინის-ცემისა

25. ლომი]ვირი.

66. 1. კუარცხიბერკი. 10. მუყვარენი.

მისისათა, რაჟთა სწოვდეთ და იშუებდეთ შემოსლვისაგან დიდებისა მისისა,

12. რამეთუ ესრე იტყვს უფალი: აჰა ესერა მე მოვაქციო მათ ზე-და, ვითარცა მდინარჱ მშვიდობისაჲ შენი და ვითარცა ლუარსა მოაქუნდეს დიდებაჲ წარმართთა შენდა. ყრმანი მათნი მჯრითა მოჰყვანდენ და მუკლთა მათთა ზედა ნუგეშინის-ცემულ იყვნენ.

13. ვითარცა დედაჲ ნუგეშინის-სცემნ შეილთა, ეგრე ნუგეშინის-გცე თქუნ. და იერუსალჱში ნუგეშინის-ცემულ იქმენინ.

14. და რაჟამს იხილოთ, უხაროდის გულთა თქუნთა, და ძუალნი თქუნნი ვითარცა ყუავილნი აღმოსცენდენ; და გამოეცხადოს ჳელი უფლისაჲ მოშიშთა მისთა და შეჰრისხნეს უსჯულოთა.

12. მდინარეც მშვიდობისაჲ] მშვიდობაჲ მშვიდობაჲ. 13. იერუსალჱში] ისრაჱლი.

წინაწარმეტყულება იერემიასი

თ ა ვ ი 1

1. [61v] სიტყუად ღმრთისად, რომელი იყო იერემიასა მიმართ, ქელკიანესა მღღელთაგანისა, რომელი დამკვდრებულ იყო ანათონსა, ქუეყანასა ბენიამენისსა.

2. იყო სიტყუად უფლისად მისა მიმართ ღღეთა იოსიასთა, ძისა ამოსისთა, მეფისა იუდაასთა, წელსა მეაცამეტესა მეფობასა მისსა.

3. იყო ღღეთა იოაკიმისთა, ძისა იოსიასთა, მეფისა იუდაასთა ვიდრე მეათერთ[62]მეტად წლადმდე ზედეკიასა, ძისა იოსიასთა, მეფისა იუდაასთა ვიდრე წარტყუნვადმდე იერუსალჴმისა მეხუთესა თთუესა.

4. იყო სიტყუად ღმრთისად მისა მიმართ და თქუა:

5. ვიდრე დაბადებადმდე შენდა მუცელსა შინა გიცი შენ, და ვიდრე გამოსლვადმდე შენდა საშოათ წმიდა-გყავ შენ, წინამსწარმეტყუელად წარმართთა დაგადღინე შენ.

6. და ვთქუ: რომელი-ეგე ხარ, უფალო უფალო, აჰა ესერა არა ვეცი სიტყუად, რამეთუ ყრმაჲ ვარი მე.

7. და მრქუა მე უფალმან: ნუ იტყვ, ვითარმედ ყრმა ვარი მე: რამეთუ ყოველთა, რომელთა მიგავლინო შენ, მიხვდე, და ყოვლასაებრ, რომელი გიბრძანო შენ, იტყოდი.

8. ნუ გეშინინ პირისაგან მათისა, რამეთუ მე შენ თანა ვარ ვანრინებად შენდა, იტყვს უფალი.

9. და მოყო უფალმან კელი მისი ჩემდა და შემახო პირსა ჩემსა და მრქუა მე: აჰა ესერა მიგცნე სიტყუანი ჩემნი პირსა შესსა.

10. აჰა ესერა დაგადღინე შენ ღღეს ნათესავთა ზედა და მეფეთა აფხურად და დანერგვად, დარღუევად და აღშენებად.

11. [65] და იყო სიტყუად უფლისად ჩემდა მომართ და თქუა: რასა ხედავ შენ, იერემია? და ვთქუ: არგანსა ნიგუზისასა.

12. და მრქუა მე: კეთილად იხილე, რამეთუ განვიღვძე სიტყუათა ჩემთა ზედა ყოფად მათა.

13. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდა მომართ [შეორედ]. და თქუა: რასა ხედავ შენ, იერემია? და ვთქუ: სიავსა, ქუეშე გზებულსა. და პირი მისი პირისაგან ჩრდილომსა.

14. და მრქუა მე უფალმან: პირისაგან ჩრდილომსა აღადყუეს ყოველი ძკრი ყოველთა დამკვდრებულთა ქუეყანისათა.

15. რამეთუ აჰა ესერა ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა მოუწოდი ჩრდილოთ, იტყვს უფალი, და დაიდგნეს [v] კაცად-კაცადმან საყდარნი თვისნი წინაშე ბჭეთა იერუსალჴმისათა და გარემოჲს ზღუდეთა მისთა და ყოველთა ქალაქთა მისთა.

16. და ვეტყოდი მათ სსაჯელით ყოველთათჳს უკეთურებათა მათთა, ვითარ-რგი დამიტევეს მე და მსახურებდეს ღმერთთა უცხოთა და თაყუანის-სცემდეს ქმნულთა კელთა მათთაჲსა.

17. და შენ შეირტყენ წელნი შენნი, აღდეგ და ეტყოდე ყოველთა სიტყუათა, რაოდენთა გამცნებ შენ. ნუ გეშინინ პირისაგან მათისა, ნუცა შესძრწუნდები წინაშე მათსა, რამეთუ შენ თანა ვარ განრიებად შენდა, იტყვს უფალი.

18. [72] აჰა ესერა დაგადგინე შენ ღღეს ღღითგან ვითარცა ქალაქი რჩეული და ვითარცა ზღუდჴმ რვალისაჲ მტკიცჴ ყოველთა მიმართ მეფეთა იუდაემსთა და მთავართა მისთა და ერსა ზედა ქუეყანისაჲსა.

19. გბრძოდიან შენ და ვერ გერეოდიან, რამეთუ მე შენ თანა ვარ განრიებად შენდა.

თ ა ვ ი 2

2. ...და თქუა: ამას იტყვს უფალი: მოვიტყენო წყალობაჲ სიკაბუკისა შენისაჲ... შემდგომად შენსა წმიდისა ისრაჴლისა, იტყვს უფალი.

3. წმიდაჲ ისრაჴლისაჲ [უფლისა], დასაბამ ნაყოფთა მისთა; ყოველნი. რომელნი შეშჴამდენ მას, ინანდენ; და ძკრი მოიწიოს მათ ზედა, თქუა უფალმან.

თ ა ვ ი 3

12. [330] ...მოიქეციო ჩემდა დამკვდრებული ეგე ისრაჴლისაჲ, იტყვს უფალი, და არა განვამტკიცო პირი ჩემი თქუენ ზედა ბოროტის ყოფად თქუენდა, რამეთუ მოწყალე ვარ, იტყვს უფალი, და არა ძკრი ვიტყენო თქუენთჳს უკუნისამდე.

13. გარნა ცან და უწყოდე ურჩულოებაჲ შენი უფლისა მიმართ, რამეთუ ღმრთისა შენისა სცოდე და განაბნიენ გზანი შენნი უცხოთა მიმართ ქუეშე ყოველსა ხესა სერტყოანსა, ხოლო კმისა ჩემისაჲ არა ისმინეთ, იტყვს უფალი.

14. მოიქეცით ძენი ეგე განდგომილნი, იტყვას უფალი, რამეთუ ჰე გუფლო თქუენ და მოვილო თქუენგან ერთი ქალაქისაგან და ორი ნათესაჯისაგან და მოგიყვანნე თქუენ სიონდ,

15. და გცე თქუენ მწყემს, ნებაჲ გულისა თქუენისაჲ, და მწყსათ [v] გმწყსიდენ თქუენ მეცნიერებით.

16. და იყოს, გან-თუ-ჰმრავლდეთ და აღორძნდეთ თქუენ ქუეყანასა ზედა, თქუა უფალმან, მათ დღეთა შინა, იტყვას უფალი, არლარა თქუან, ვითარმედ კიდობანი აღთქუმისაჲ წმიდისა ისრაჴლისაჲ არა მოუტდეს გულსა, არცა სახელ-ედვას მას შინა, არცა მოიძიონ მერმე.

17. მათ დღეთა შინა და მას უამსა შინა უწოდი იერუსალჴმსა საყდრად უფლისა, და შეკრბენ მუნ ყოველნი წარმართნი სახელითა უფლისაჲთა იერუსალჴმდ და არლარა ვიდოდიან იგინი მერმე. შემდგომად ნებასა გულისა მათისასა უკეთურად.

18. მათ დღეთა შინა შეკრბეს სახლი იუდაჲსი სახლსა თანა ისრაჴლისასა და მოვიდენ ერთბამდ ჩრდილოჲთ ყოველთაგან სოფელთა ქუეყანაჲ, რომელ დაუმკვდრე მამათა მათთა.

19. და მე ვთქუ: იყავნ, უფალო, დაგაწესო შენ შევილად და მიგცე შენ ქუეყანაჲ ჩხეული და სამკვდრებელი სახელოანი ღმრთისა ყოველისა-მპყრობელისა წარმართთაჲსა და ვთქუ: მამად მხალოდე მე და ჩემგან არა გარე-მიიქცე.

22. [330v] მოიქეცით, შევილნო, მოიქეცით და მე განგყურნე შემუსრვილებისაგან თქუენისა. აჰა ესერა ჩუენ გევედრებით შენ, რამეთუ უფალი ღმერთი ჩუენი შენ ხარ.

23. რამეთუ ნანდკლვე ტყუვილ იყვენეს ბორცუნი და ძალნი მათნი, ზოლო შენ უფლისაგან არს ცხორებაჲ სახლისა ისრაჴლისაჲ.

24. და სიცრუვემან განკაფნა შრომანი მამათა ჩუენთანი სიკბაუკით მათითგან, და იყო ცხოვარი მათი და ზუარაკები მათი, ძენი და ასულნი მათნი.

25. დაეწვეით სირცხვლითა ჩუენითა, და დაგუფარნა ჩუენ გონებამან ჩუენმან, რამეთუ წინაშე უფლისა ჩუენისა ვცოდეთ ჩუენ და მამათა ჩუენთა სიკბაუკითგან ვიდრე მოაქა დღედმდე, და არა ვისმინეთ ჳმაჲ ღმრთისა ჩუენისაჲ.

თ ა ვ ი 5

20. [51v] მიუთხართ ესე სახლსა იაკობისსა და ისმინეთ ესე სახლმან იუდაჲსმან და არქუთ მათ:

3. 23. ნანდკლვე] + ტყუვილვე. 24. ძენი და] ძნიად. 25. დაეწვეით] და ვიწუვიო.

21. ისმინეთ აწ ერმან მაგან ცოფმან და უგუნურმან, რომელთათუალ ასხენ და არა ხედვენ, ყურ ასხენ და არა ესმის.

22. ანუ ჩემგან არა გეშინის, იტყვს უფალი, ანუ პირისა ჩემისაგან არა სწით? რომელმან განვაწესე ქვშაჲ საზღვრად ზღუასა ბრძანებითა საუკუნოთა, და არა გარდაჰკდეს მას, აღიძრას და ვერ უძლოს მას; ოხრიდენ დელვანი მისნი და ვერ გარდაჰკდენ.

23. ზოლო ერსა ამას ექმნა გული მათი ურჩ და ურწმუნო, მიაქციეს და წარვიდეს,

24. და არა თქუეს გულითა მათითა: შევიშინოთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა, რომელმან მოგცეს თქუენ წვშაჲ მსთუაჲ და მცხუედი, ქაშსა ოდენ აღვსებისასა ბრძანებისა მისისასა დაგუებარზა ჩუენ.

25. უსჯულოებათა ჩუენთა გარდადრ[ი]კეს ესე, და ცოდვათა ჩუენთა განგუაშორეს ჩუენ კეთილი ჩუენი.

26. რამეთუ იპოვნეს ერსა შორის ჩუენსა უღმრთონი, და საფრცენი ვითარცა მახჭ მონადირისაჲ [52] დაარწყუეს განხრწნად კაცთა და შეიპყრობდეს.

27. ვითარცა მახჭ დაგებული, საესჭ მფრინველითა, ეგრევე საესე არიან სახლნი მათნი ზაკუეითა; ამისთვის განდიდნეს და განმდიდრდეს.

28. და განსთქდეს და გარდაჰკდეს სიტყუათა ჩემთა ბოროტად; სასჯელსა არა შვიდეს, არცა სასჯელი ობლისაჲ წარჰმართეს, და სასჯელი ქურივისაჲ არა საჯეს.

29. ანუ ამას ზედა არა მივხედოა, იტყვს უფალი, ანუ ნათესავსა ზედა ესევეთარსა არა შური იძიოსა სულმან ჩემმან?

თ ა ვ ი 9

2. [161v] ვინ მცეს მე უდაბნოსა ზედა საყოფელი მცირჭ, დაუტეო ერი ესე ჩემი და წარვიდე მათგან? რამეთუ ყოველნივე იმრუშებენ, კრებული უწესოთაჲ.

3. რამეთუ განიშადნეს ენანი მათნი ვითარცა მშვლდნი და არა ინებეს შორჩილებად სიტყუათა პირისა ჩემისათა, არამედ ტყუვილი, და არა-სარწმუნოებაჲ განძრიელდა მათ შორის; რამეთუ უკეთურთაგან უკეთურებაჲ გამოჰკდა, და მე არა მიცნეს, იტყვს უფალი.

4. კაცად-კაცადი მოყუისისაგან ეკრძალენით და ძმათა თვსთა ნუ ესავთ, რამეთუ ყოველი ძმაჲ ტყუვილით ტყუოდის და ყოველი მეგობარი ზაკუევით ვიდოდის.

5. 25. უსჯულოება, ჩუენის (1). 26. საფრცენი. 27. საესე (2). 28. წაპრმართეს.

5. და კაცად-კაცადი მოყუასსა თვისსა ეკიცხევდეს ამისთვის, რამეთუ ჭეშმარიტებად დაუტევეს. უსწავიეს ენასა მათსა სიტყუად სიტრუეჭ, მოხუეჰდეს და არა მოაკლდეს დართვად ენასა მათსა სიტრუეჭ,

6. და აღნადგინები აღნადგინებსა ზედა [162] და ზაკუვამ ზაკუვასა ზედა; და არა ინებეს ცნობად ჩემი, თქუა უფალმან.

7. ამისთვის ესრე იტყვს უფალი ძალთაჲ: აჰა ესერა მე განვაჯერუნე იგი და განვცადნე იგინი; რამეთუ რაჲ ვყო პირისაგან უკეთურებისა ასულისა ერისა ჩემოსაჲსა?

8. რამეთუ ისარ მწყლევლ არს ენად მათი, მზაკუვარ არიან სიტყუანი პირისა მათისანი; მოყუასსა თვისსა ეტყუან მშვდობასა და გულთა შინა თვსთა დადვეს მტერობად.

9. ანუ ნუ ძიება-ვყო ამას ზედა, იტყვს უფალი, ანუ შორის ერსა ესრემლევანსა არა იძიოსა შური სულმან ჩემმან?

10. მათა ზედა აღილეს კჲმად ტირილისაჲ და გზათა ზედა უდაბნო-დსათა — გოდებაჲ, რამეთუ მოაკლდეს არა-ყოფისაგან კაცთა მავალ-თაჲსა. არა ესმა მუნ კჲმად პირუტყუთაჲ, მფრინველთაგან ცისათა მისაცხოვარამდე [...] ¹, იტყვს უფალი ძალთაჲ.

თ ა ვ ი 10

6. [57] ვინ არს, ვითარ, უფალო, შენ? დიდ ხარ და დიდ არს სახელი შენი ძალთა.

7. ვის არა ეშინოდის შენგან, მეუფეო წარმართთაო? რამეთუ შენნი არიან; რამეთუ ყოველთა შორის ბრძენთა წარმართთასა და ყოველთა შორის მეფეთა მათთა ვინ არს, ვითარ შენ, უფალო?

8. რამეთუ ერთ-გზის აღეგზენ და მოუძრულდენ, გულნი უმანკო-თანი ძელი არს.

9. ვეცხლი გამოჰედილი და ოქროჲ ოფაზი, ქმნული ხუროთაჲ, ყოველი კელთა ოქროჲს მჰედლისათა: იაკინთჲ და ძოწეული სამოსლად მათა.

10. ხოლო უფალი ღმერთი ჩუენი ჭეშმარიტ არს, ცხოველი ღმერთი და მეუფჲ საუკუნჲს.

თ ა ვ ი 11

18. [193] უფალო², მაუწყე მე და ვცნა, რამეთუ მაშინ ვიხილენ ზრახვანი მათნი.

9. 5. მოხუეჰედ.

¹ ნაკლელი ადგილი დაზიანებულია და ლექციონარის არც სხვა ხელნაწერებშია, დაკლული სიტყვები (მდრ. „შესულბეს და წარწყმდეს“ JA).

² ეს საკითხავი (იერ, 11,18—20) შეცდომით ესაია წინასწარმეტყველისად არა დასახელებული.

19. მე ვითარცა კრავმან უმანკომან მიგურასა ჩემსა [დაკლვად] არა ვაგრძენ, ჩემ ზედა იზრახეს ზრახვად ბოროტი და თქუეს: მოვედოთ და შეუბრით ძელი პურსა მისსა და შევმუსროთ იგი ქუეყანით ცხოველთაჲთ, და სახელი მისი არღარა მოვიკსენეთ მერმე.

20. უფალო, მსაჯულო სიმაართლისაო, გამომცდელო გულისაო და თირკუმელთაო, მიხილავსმცა შურის-გებაჲ შენ მიერ მათდა, რამეთუ შენ მიერ განვაცხადენ სამართალნი ჩემნი.

თ ა ვ ი 15

19. [331]... ჩემი იყო, და მოაქციონ მათ შენდა და შენ არა მიეჭე მათ.

20. და მიგცე შენ ერსა ამას ვითარცა ზღუდჴ რეალისაჲ ძნელი; და გბრძოდინ შენ და ვერ გძლონ, რამეთუ მე შენ თანა ვარ განრიხებაჲ შენდა, თქვა უფალმან.

21 და განგარინო შენ კელთაგან უკეთურთაჲსა.

თ ა ვ ი 16

19. [331] უფალო, ძალო ჩემო, შემწეო ჩემო და შესავედრებულო ჩემო, დღესა ბოროტსა მოვიდოდინ შენდა თესლები კელთ ქუეყანისაჲთ და იტყოდინ, ვითარმედ: ტყუვილად მოიგნეს მამათა ჩუნთა კერზნი, და არა არს მათ თანა სარგებელი.

20. უკუეთუ იქმნეს კაცმან თავისა თვისსა ღმერთნი, და იგი არა არიან ღნერთ.

21. ამისთვის აჰა ესერა მე ვაუწყო მათ ძალი ჩემი და ცნან, რამეთუ სახელი ჩემი უფალ არს.

თ ა ვ ი 17

5. წყულ იყავნ კაცი იგი, რომელსა აქუნდეს სასოებაჲ კაცისა მიმართ და არა განიმტკიცოს კელი მკლავისა მისისაჲ მის ზედა, და უფლისაგან განღვა გული მისი.

6. და იყო ვითარცა ველური გრიკი უდაბნოსა ზედა, რომელმან არა იხილოს, რაჟამს მოვიდეს კეთილი, დაიმკვდროს სიყმილსა შინა და უდაბნოსა ქუეყანასა მარილოანსა, რომელი არა დაშშნებულ არს.

7. და კურთხეულ იყავნ კაცი იგი, რომელი ესვიდეს უფალსა და იყოს უფალი სასო მისა,

8. და ვითარცა ხჴ ნაყოფიერი წყლის კიდესა და სიღრმესა დაიბნის ძირნი მისნი და არა ეშინის, რაჟამს იყოს სიციხჴ. და იყოს მის ზე-

და ბორობანი, წელიწადსა უწვმროებისასა არა ეშინოდის და არა მოაკლოს ყოფად ნაყოფი

9. სიღრმითა გულისაჲთა უმეტეს ყოველთა, და კაცი არს, და ვინ იცნას აგი?

10. მე ვარ უფალი, განმკითხველი გულისაჲ და თირკუმელთაჲ [V] მიგებად კაცად-კაცადსა გზისაებრ თვისისა და ნაყოფისაებრ საქმეთა მათთაჲსა.

თ ა ვ ი 30

2. [331v] ესრე იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისაჲ და თქუა: დაწერენ თავისა შენისა ყოველნი, რომელნი გიბრძანნე შენ წიგნნი,

3. რამეთუ აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყვის უფალი, და მოვაქციო ტყუელ ერისა ჩემისა ისრაელისაჲ და იუდაჲსი, თქუა უფალმან, და მოვაქციო იგი ადგილსავე მას, რომელი მივეც მამათა მათთა, და ეუფლნენ მათ.

4. და ესე სიტყუანი არიან, რომელსა იტყოდა უფალი ღმერთი ისრაელისაჲ და იუდაჲსი.

5. ესრე იტყვის უფალი: კმაჲ შიშისაჲ ისმინეთ, შიში, და არა არს მათ თანა მშვიდობაჲ.

6. ჰკითხეთ უკუე და იხილეთ, უკუეთუ შვა წულმან? და შიშისათვის, რომლითა შეიპყრნე წელი შენნი და ცხორებაჲ? რამეთუ ვიხილე კაცი და კელი მისნი წელთა, ვითარცა შობადი; მიიქცეს ყოველი პირი, განრყუნად გარდაიქცა.

7. რამეთუ დიდ არს დღე იგი, და არა არს ეგვიპტარსი უამი იაკობისი და ამისგან ცხონდეს,

8. და იყოს, მას დღესა შინა, თქუა უფალმან ძალთამან, შევემუსრო უღელი ქედსა ზედა მათსა და საკრველნი მათნი განვხეთქნე, და არღარა უქმოდინ იგინი უცხოთა მერმე,

9. არამედ უქმოდინ იგინი უფალსა და დავითს, მეფესა მათსა, რომელი აღუდგინო მათ.

10. ხოლო შენ ნუ გეშინინ, მონაო ჩემო იაკობ, ნუკა შესძუნდები, ისრაელ, რამეთუ აჰა ესერა გიცნენ შენ შორით და ნათესავი შენი ტყუეობისაგან მათისა; და მოიქცეს იაკობი და დაეყუდოს და იშუებდეს, და არავინ იყოს მაშინებელ.

11. რამეთუ შენ თანა ვარ მე, იტყვის უფალი, განრინებად შენდა. [332] რამეთუ ვყო მოკლებად ყოველთა თესლთაჲ, რომელთა შორის განგაბნენ შენ; ხოლო შენი არა ვყო აღსასრული და განგსწავლო შენ სამართლად.

თ ა ვ ი 31

7. [332] ესრე იტყვს უფალი: იხარებდინ იაკობი, გიხაროდენ და იხარებდ თავსა ზედა წარმართასა, სასმენელ-ყავთ და აქებლით, თქუთ: აცხოვნა უფალმან ერი თვისი, ნეშტი ისრაჴლისაჲ.

8. აჰა ესერა მოიყვანნე იგინი ქუეყანით ჩრდილოეთ და შეჰკრიბნე იგინი დასასრულით ქუეყანისაჲთ დღესასწაულსა პასექისასა და შვილისხნენ ერი მრავალი მათ შორის, ბრმაჲ და მკელობელი, მიდგომილი და მშობელი, ერთბამად კრებული, და მოიქცენ აჰა.

9. ტირილით განვიდეს და ნუგეშინის-სცეს მათ, მოაქციენეს იგინი, იქცეოდის გევნებსა წყალთასა და გზასა მართალსა და არა სცთებოდიან მას ზედა, რამეთუ ვექმენ ისრაჴლსა [მამად], და ეფრემ პირმშოჲ ჩემი არს.

10. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ წარმართთა და უთხართ ჭალაკთა შორიელთა, რამეთუ, რომელმან განაზნია ისრაჴლი, მანვე შეკრიბოს და დაიცივეს იგი ვითარცა მწყემსნან სამწყსოჲ.

11. რამეთუ იცნა უფალმან იაკობი და განარჩინა იგი კელთაგან უძრეელჴსისა მისისაჲთ.

12. მოვიდენ და იხარებდენ და მხიარულ იყვნენ მთასა სიონსა და მოვიდენ კეთილითა უფლისაჲთა ქუეყანასა იფლისასა და ღვნისასა, ნაყოფთა საცხოვართასა და ზროხათასა. და იყო სული მათი ვითარცა ძმ ნაყოფიერი, და არღარა შიოდის.

ჯ

13. იხარებდენ¹ ქალწულნი შესაკრებელსა და მოხუცებულნი იხარებდენ, და მოვაქციო გლოაჲ მათი მხიარულებად, და იყვნენ იგინი სახარულევან მწუხარე[v]ბისაგან მათისა.

14. და განვადიდო და დავათრო სული მღდელთაჲ ძეთა ლევისთაჲ. სიპოხითა და ერი ჩემი აღვაესო კეთილითა, თქუა უფალმან.

ღ

13. [215v] ესრე იტყვს უფალი: მაშინ იხარებდენ ქალწულნი შორის კრებულსა ჭაბუკთასა და მოხუცებულნი მხია[216]რულ იყვნენ ერთბამად; და გარდავაქციო გლოაჲ მათი სიხარულად და ნუგეშინის-ცემად და ვყვენე იგინი სახარულევან და ვახარო მათ ქუეილისაგან. მათისა.

¹ 31,13—14-ის ტექსტი გამეორებულია სხვა საკითხავში (215v)..

14. განვადიდნე იგინი და დავათრო სული მღდელთა ძეთა ლევის-
თაჲ, და ერი ჩემი კეთილითა ჩემითა განძღეს, იტყვს უფალი.

15. ესრე იტყვს უფალი: ჯმად ჰრამათ ისმა ტირილისა და გლო-
სა და გოდებისაჲ: რაქელ სტიროდა ძეთა თვსთა და არა უნდა ნუგეშ-
ნის-ცემის, რამეთუ არა არიან.

16. ესრე იტყვს უფალი: დასცხერინ ჯმად შენი ტირილისაგან და
თულნი შენნი ცრემლთაგან, რამეთუ არს სასყიდელი შენი საქმეთა
შენთათვის, თქუა უფალმან, და მოიქცენ ქუეყანით მტერთაჲთ.

17. და იყოს სასოება აღსასრულსა შინა თქუნესა, თქუა უფალმან,
მოიქცენ შვილნი შენნი საზღვართა მათთა.

18. სმენით მესმა ეფრემის გოდებაჲ: განმსწავლე მე და განვის-
წავლო; ვითარცა სამწყული უმწყი ვერ დავიმწყე. მომაქციე მე, და
მოვიქცე, რამეთუ შენ უფალი ღმერთი ჩემი ხარი.

19. და შემდგომად ტყუეობისა მის ჩემისა შევიანანე და შემდგომად
გულისხმის-ყოფისა ვკუნესოდე ღღეთა ზედა სირცხვლისა ჩემისათა,
და შევიკდომე და დაგემორჩილე და მოვილე ყუედრებაჲ სიკაბუჯით
ჩემითგან.

20. ძე ხარ საყუარელი ჩემი, ეფრემ, და ყრმაჲ განცხრომისაჲ შო-
ბასა, რამეთუ, ვინაჲთგან სიტყუანი ჩემნი მის თანა არიან, ვსენებით
მოვიცხენო მის მიერ; ამისთვის მოვიძიე იგი და წყალობით შევიწყა-
ლო, იტყვს უფალი.

ჯ

23. [16v] ესრე¹ თქუა უფალმან ძალთამან, ღმერთმან ესრაჲლო-
სამან: მერმე თქუნ-და სიტყუაჲ ქუეყანასა იუდაჲსსა და ქალაქებსა
მისსა, რაჲჲმს მოვაქციო ტყუშ მათი: კურთხეულ არს უფალი მათსა
ზედა მართალსა წმიდასა მისსა,

24. დამკვდრებული მუნ თუდა და ყოველი ქალაქები მისი ერთბა-
მად მოქმედითურთ ქუეყანისაჲთ, და განიშუან სამწყსოათურთ მათით.

25. რამეთუ დავათრვე ყოველი სული წყურიელი და ყოველი სუ-
ლი მშიერი განვაძლე კეთილითა.

26. ამისთვის განვიღძე და ვიხილე და ძილი ჩემი ტკბილ მეყო მე.

27. ესერა ღღენი მოვლენან, იტყვს უფალი, და დავსთესო სახლი
ისრაჲლისაჲ და სახლი იუდაჲსი თესლითა კაცთაჲთა და თესლითა სა-
ცხოვართაჲთა.

28. და იყოს, ვითარცა-იგი განვიღძე მე მათ ზედა აფ[17]ხურად

81. 18. ხარი]+შენ. 20. ძმ.

¹ 31, 23—28-ის ტექსტი გამოვრებულია სხვა საკითხავში (332v).

და დარღვევად და დამტეუბად და ბოროტებად და წარწყმედად, ეგრევე განვიღძო მე მათ ზედა აღშშნებად და დანერგვა[დ]. იტყვს უფალი.

4

23. [332v] ესრე იტყვს უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჲლისაჲ, რამეთუ თქოდიან სიტყუაჲ ესე ქუეყანასა იუდაასსა და ქალაქსა მისსა, რაჲმს მოვაქციო ტყუშ მისი: კურთხეულ არს უფალი მთასა წმინდასა მისსა,

24. დამკვდრებულნი მუნ იუდა და ყოველი ქალაქები მისი ერთბამად მოქმედითურთ მისით, და განიშუან სამწყსოთურთ.

25. რამეთუ დავათრევე ყოველი სული წყურთიელი და ყოველი სული მშვიერი განვაძღე კეთილითა.

26. ამისთჳს განვიღძე და ვ-ხილე და ძილი ჩემი ტკბილ მეყო წე.

27. ესერა დღენი შოვლენან, იტყვს უფალი, და დავსთესო სახლი იუდაასი და სახლი ისრაჲლისაჲ თესლითა კაცთაჲთა და თესლითა საცხორთაჲთა.

28. და იყოს, ვითარცა განვიღძე მათ ზედა აფხურად და დარღვევად, დამტეუბად და ბოროტებად და წარწყმედად, ეგრევე განვიზრახო მე მათ ზედა აღშშნებად და დანერგვად, იტყვს უფალი.

თ ა ვ ი 32

17. [115v] რომელი-ეგე ხარ, უფალო უფალო, აჰა ესერა შენ შეჰქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ ძალითა შენითა დიდითა და მკლავითა შენითა მალღითა: არა დაეფაროს შენგან სიტყუაჲ.

18. ჰყვი წყალობაჲ ათასამღე ნათესავეჲ და მიაგი ცოდვაჲ მამათაჲ წიალთა შეილთა მათთა[სა შეწდგომად] ¹ მათსა. [ღმერთ]ო ¹ ძრიელო, უფალი ძალთაჲ სახელი შენი.

19. დიდი ზრახვითა და ძრიელ საქმითა.

ჯ

ყოვლისა-მპყრობელო² და სახელ-დიდო უფალო უფალო, თუალნი შენნი ხედვენ ყოველთა გზათა კაცისათა მიცემად კაცად-კაცადსა გზათაებრ თუსთა და ნაყოფისაებრ საქმეთა მათთაჲსა.

¹ 32,18-ის აღდგენილი ადგილები არ იკითხება, რადგან ფურცლის ბოლო ჩამოგლეჯილია.

² 32,19-ის ტექსტი გამეორებულია სხვა საყოთხავშიც (145r).

4

19. [145] ¹ ..ღმერთო დიდო და ყოვლისა-მპყრობელო, სახელ-
დიდო უფალო, თუაღნი შენნი გზათა მიმართ ძეთა კაცთადასა მიგებად
კაცად-კაცადსა გზისაებრ თვისისა.

20. რომელმან ჰქმენ სასწაულები და ნიშები ქუეყანასა მას ეგვიპ-
ტისასა ვიდრე აქა დღედმდე ისრაჴლსა შორის და ნაშობთა ქუეყანი-
სათა და ჰყავ თავისა შენისა სახელი, ვითარცა-ესე დღეს,

21. და გამოიყვანე ერი შენი ისრაჴლი ქუეყანით ეგვიპტით სასწაუ-
ლებითა და ნიშებითა, კელთა მტკიცითა და მკლავითა მალღითა,
ხილვითა დიდითა.

22. და მიეც მათ ქუეყანად ესე, რომლისათვის ეფუცე მამათა მათთა
ქუეყანასა, რომელსა გამოდის სძმ და თაფლი,

23. და შემოვიდეს და დაიპყრეს ქუეყანად, რამეთუ არა ისმინეს
კმისა შენისა და ბრძანებათა შენთა არა ვიდოდეს; და ყოველი, რაო-
დენი ამცენ მათ, არა ყვეს და შეეშთხვა მათ ესე ყოველი.

24. აჰა ესერა ერი მოვალს ქალაქსა ამას დაპყრობად მას, და ქა-
ლაქი მიეცა კელთა ქალდეველთასა, მბრძოლთა მისთასა პირისაგან
მახვლისა და სიყმილისა; ვითარცა-იგი ღმერთი იტყოდა, ეგრეცა
იქმნა.

25. და შენ მეტყუ მე: მოიგე თავისა შენისა აგარაკი ვეცხლითა და
დაწერე წიგნი; და დავჰბეჭდე და დავიმოწმენ მოწამენი და ქალაქი:
მიეცა კელთა ქალდეველთასა.

36. [332v] და აწ ესრე თქუა უფალმან ღმერთმან ისრაჴლისამან:
ქალაქი ესე, რომელსა იტყუს, მიეცეს კელსა ბაბილოვნისასა მახვლსა
და ზიკმილსა და განვლინებასა.

37. აჰა ესერა მე შევეკრიბნე იგინი ყოვლისაგან ქუეყანისა, სადა-
რგი განვაბნიენ რისხვითა ჩემითა და გული-წყრომითა და განრისხები-
თა დიდითა და მოვაქცინე იგინი ადგილსა ამას და დავსხნე იგინი სა-
სოებითა.

38. და იყენენ იგინი ჩემად ვრად, და მე ვიყო მათა ღმრთად.

39. და მოვსტე მათ გულისკმის-ყოფად [333] და გზად ერთი, რად-
თა ეშინოდის ჩემგან ყოველთა დღეთა კეთილსა მათისათვის და შვილ-
თა მათთა შემდგომად მათსა;

32. 23. დაპყრეს. 24. მიეც.

¹ ეს საკითხავი (იერ. 32,19-25) შეცდომით ეზეკიელისად სახელდება ხელნა-
წერში.

40. და [აღუთქუა] აღუთქუამ საუკუნომ, რომელი არა გარე-მო-
ვაქციო შემდგომად მათსა, რამეთუ კეთილსა იქმოდინ, და მოვსცე
შიში ჩემი გულსა მათსა, რათა არა განდგენ იგინი ჩემგან,

41. და მივხედო მათ კეთილის-ყოფად მათა და დავპნერგნე იგინი
ქუეყანასა მას სარწმუნოებით ყოვლითა გულითა ჩემითა.

42. რამეთუ ესრე იტყვს უფალი: ვითარცა-იგი მოვაწიე ერსა ამას
ყოველივე ესე ბოროტი დიდი, ეგრევე მოვაწიო ყოველივე კეთილი
მათ ზედა, რომელსა ესე ვიტყოდე მათთვის.

43. და მოიგნენ აგარაკნი ქუეყანასა შინა, [რომელსა შენ იტყვ],
უფალსა კაცთაგან და საცხოართა, და მიეცნენ ჯელთა ქალდეველთასა.

44. და მოიგნენ აგარაკნი ვეცხლითა, დაწერე წიგნითა და დაპბეკ-
დე. და აწამენ მოწამენი ქუეყანასა ბენიამენისსა..., რამეთუ მოვაქციო
ტყუშ მათი, იტყვს უფალი.

თ ა ვ ი 33

2. [333] ესრე იტყვს უფალი, შემოქმედი და დამბადებელი მისი
და აღმმართებელი მისი, უფალ არს სახელი მისი.

3. დაღაღ-ყავ ჩემდამი, და მე მივიგო შენ და გითხრა შენ დიდი და
ძრეილი, რომელი არა იცოდე.

4. რამეთუ ესრე იტყვს უფალი ღმერთი ისრაელისაჲ სახლებისა
შის ქალაქისა და სახლისა მეუფისა იუდაჲსა, რომელი ზის ლაშქარსა
და არდაბაგსა მომავალთათვის.

5. ბოლოად ქალდეველთათვის, აღვსებად იაჲ მკურნებითა კაცთაჲ-
თა, რომელნი მოსრნეთ რისხვითა ჩემითა, და გარე-მივქციო პირი
ჩემი მათგან ყოველთათვის უკეთურებათა მათთა.

6. აჲა ესერა მე მოვიყვანო იგი ბრძენითურთ და განკურნებით გან-
კურნენ იგინი და გამოუცხადო მათ სმენად და [v] [ვყო] მშვლობაჲ
სარწმუნოებით,

7. და მოვაქციო ტყუშ იუდაჲსი და ტყუშ ისრაელისაჲ და აღვა-
შმცნე იგინი ვითარცა პირველ,

8. და განვწმიდნე იგინი ყოვლისაგან სიცრუვისა მათისა, რომელი
შემცოდეს მე და განდგეს ჩემგან.

9. და იყოს ჩემდა მხიარულება და ქება და სიწმიდჲ ყოვლისაგან
ქუეყანისა, ყოველსა, რომელსა ესმოდის ყოველი კეთილი, რომელი

43. მოეგნენ. შინა)შენსა.

38. 6. ბრძენითურთ)მკურნითურთ.

უყო მათ და შეეშინოს მათ და განმწარდენ ყოველთათვის კეთილთა და ყოველსათვის მშვედობისა.

10. ესრე იტყვის უფალი: შერმე ესმეს-ვე ადგილსა ამას, რომელსა თქუენ იტყვო, ვითარმედ ოკერ არს კაცთაგან და საცხოართა ქალაქთა იუდაჲსთა და აგარაკები იერუსალჲმისაჲ მოოკრებულითა ამისთვის, რამეთუ არა არს კაცი და არა არს მკვდრი და არა არს საცხოვარი.

11. კმაჲ შუებისაჲ, კმაჲ სიხარულისაჲ, კმაჲ სიძისაჲ, კმაჲ სძლისაჲ, კმაჲ, რომელნი იტყოდიან: აუარებდით უფალსა ყოველსა-მპყრობელსა, რამეთუ ტკბილ არს, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი.

თ ა ვ ი 38

1. [242] და ესმა სოფონიას, ძესა წათანისსა, და გოდოლიას, ძესა პასქორისსა, და იოქაზს, ძესა მელქისსა, სიტყუათა მათ, რომელთა ეტყოდა იერემია ერსა მას და ჰრქუა:

2. ესრე იტყვის უფალი: რომელი იყოს ქალაქსა შინა, მოკუდეს იგი მახვლითა და სიყმილითა; ხოლო რომელი მივიდეს ქალდეველთა თანა, ცხონდეს, და იყოს სული მისი ცხორებულ და განერეს.

3. ხოლო ამას იტყვის უფალი: მიეცეს ქალაქი ესე მეფესა ბაბილოვისასა და დაიპყრას იგი.

4. და ჰრქუეს მეფესა მთავართა მათ: მოიკალნ კაცი იგი, რამეთუ დაჰქსნის კელთა კაცთა მბრძოლთასა და ნეშტთა მათ, რომელნი არიან ქალაქსა შინა და კელთა ყოველსა ერისათა. რამეთუ ეტყვის მათ სიტყუასა მას, რამეთუ არა ეტყვის სარგებელად ერსა მას მშვედობისათვის, არამედ ბოროტისა.

5. ჰრქუა მათ მეფემან: აჲ ეგერა კელთა შინა თქუენთა არს! რამეთუ ვერ ეტყოდა მათ მძლავრ.

6. და შეიპყრეს იერემია და შთააგდეს მღვმესა მას მელქისა, ძისა მეფისა, ეზოსა მას საპყრობილისასა. ხოლო მღვმესა მას შინა არა იყო წყალი, არამედ მწვრქ. და იყო იგი მწვრქესა მას შინა.

7. და ესმა აბდალმელიქს ჰინდოსა, კაცსა საჭურისსა, რომელი იყო სახლსა ზედა მეფისასა, ვითარმედ შთააგდეს იერემია მღვმესა და იყო მეფე ბჭესა მას ბენიამენისსა.

8. და განვიდა აბდალმელიქ და ეტყოდა მეფესა და ჰრქუა:

9. უფალო მეფე, ბოროტი ყვეს კაცთა ამათ, რომელი უყვეს იერემია წინაჲსწარმეტყუელსა. რამეთუ შთააგდეს იგი მღვმესა მას შინა

მოსიკუდიდ; [v] ბოროტსა იქმ, რამეთუ მოჰკლავ კაცსა ღმრთისაჲსა სიყმილითა, რამეთუ არა არს პური ქალაქსა ამას შინა.

10. და უბრძანა შეფემან აბდალმელიქს ჰინდოსა და ჰრქუა: მიიყვანე შენ თანა ოცდაათი კაცი და აღმოიყვანე მიერ ჯურღმულით, რამთა არა მოკუდეს.

11. და წარავლინნა აბდალმელიქ კაცი იგი და შევიდა სახლსა მეფისასა ქუემო კერძო და მოიღო ძუელი ძონძი და საბლები ძუელი და შთაუყარა იგი იერემია წინაწარმეტყუელსა მღვმესა მას შინა.

12. და ჰრქუა მას: დაიდევ ღლიათა შენთა ქუეშე საბელთა მაგათ! ხოლო მან ყო ეგრე.

13. და აღმოზიღვიდეს საბლითა მით და აღმოქუეს იგი მღვმისა მისგან. და იყო იერემია ეზოსა მას თანა საპყრობილისასა.

თ ა ვ ი 50

44. [366] აჰა ესერა ვითარცა ლომი აღმოვიდეს კვეთაგან იორდანისათა, ადგილსა ჰეთამისასა, რამეთუ აღრე განვდევნე იგინი მისგან, და ყოველი ქაბუკი მოვადგინო მას ზედა, რამეთუ ვინ არს, ვითარ მე? ანუ ვინ წინა-აღმიდგეს მე? ანუ ვინ არს მწყემსი, რომელი დაღგეს წინაშე ჩემსა?

45. ამისთვის ისმინეთ ზრახვაჲ უფლისაჲ, რომელი უზრახავს ბაბილონსა ზედა, და გულის-სიტყუანი მისნი, რომელ განუზრახვან დამკვდრებულთა ზედა ქალდევისათა: უკუეთუ არა განჰყუნნეთ კრავნი ცხოვართა მათთანი, უკუეთუ არა განჰქარდეს მათგან საძოვარი.

46. რამეთუ კმისაგან გარემოცვისა ბაბილონსა შეიძრას ქუეყანაჲ, და კმაჲ მისი ისმეს თესლებსა შორის.

გოდებანი იერემიასნი

თ ა ვ ი 1

1. [337] ვითარა¹ დაჯდა მართოდ ქალაქი, განმრავლებული ერთა? იქმნა ვითარცა ქურივი შორის თესლებსა, მთავარი ქალაქთაჲ იქმნა მოხარკჳ.

2. ტირილით ტიროდა ღამე და ცრემლნი საკეთეთა [ზედა] და არავინ იყო ნუგეშინის-მცემელ მისა ყოველთაგან მოყუარეთა მისთა; ყოველთა მეგობართა შეურაცხ-ყვეს იგი, ექმნა მათ მტერ.

3. წარიტყუენა იერუსალჳში სიმდაბლისაგან თვისისა, მთავართაგან მონებისაგან თვისისა დაიმკვდრა წარმართთა შორის, არა პოვა განსუენებაჲ; ყოველნი მღევარნი მისნი ეწინეს მას.

4. გზანი სიონისანი იგლოვენ, რამეთუ არავინ არს მომავალი დღესასწაულსა მისსა; ყოველნი ბჭენი მისნი განრყუნით არიან, მღღელნი მისნი ღულთ-ითქუმენ, ქალწულნი მისნი ტყუედ წარყვანებულ არიან და იგინი განმწარებულ [v] მას შინა.

5. იქმნეს მაჭირვებელნი მისნი თავად და მტერნი მისნი წარმომართებულ არიან, რამეთუ უფალმან დაამდაბლნა იგინი სიმდაბლითა უსჯულოებისა მათისაჲთა; ჩჩვლნი მისნი განვიდეს ტყუედ წინაშე პირსა მაჭირვებელისა მათისაჲსა.

6. და წარვიდა ასულისაგან სიონისა ყოველი შეუნიერებაჲ მისი; იქმნენ მთავარნი მათნი ვითარცა ვერძნი, რომელთა არა პოიან საძოვარი და განვიდეს არა ძალითა წინაშე პირსა მღვეარისასა.

7. და მოიკსენნა იერუსალჳმმან დღენი სიმდაბლისა მისისანი, ყოველნი გულოს-სათქუმელნი, რაოდენ იყვენეს დღეთაგან დასაბამთაჲთა დაცემითა ერისა მისისაჲთა კელისაგან მაჭირვებელთა მისთაჲსა, და არავინ იყო მწჳ მისა. იწილეს მტერთა მისთა და განიცინენეს მტერობასა მათსა.

8. ცოდვაჲ ცოდა ისრაჳლმან, ამისთვის სარგებელ ექმნა. ყოველთა მადიდებელთა მისთა დაამდაბლეს იგი, რამეთუ იწილეს სარცხვნელი მისი, და იგიცა ღულთ-ითქუმიდა და მიიქცა მართლ უკუნ.

1, 2. ღამე; საკეთეთა. 3. ეპოვა.

¹ ხელნაწერში მითითებულია იერემიას წინასწარმეტყველების საკითხავად.

9. არა-წმიდებად მისი ფერკთა მისთა ქუეშე, არა მოიყსენა უკუ-ანაჲსკნელი მისი და შთაიყვანა იგი გარდასკნელად; არავინ იყო ნუ-გეშინის-მცემელ მისა. იხილა უფალმან, რამეთუ განდიდნა მტერი.

10. კელნი მისნი განიპყრნა მაჰირებელმან ყოველთა ზედა გუ-ლის-სათქუმელთა მისთა, რამეთუ იხილნა წარმართნი, შემავალნი სიწმიდესა მისსა, რომელთაჲ ამცენ არა-შესლგაჲ ეკლესიასა შინა.

11. ყოველი ერი მისი სულთ-ითქუმენ და ეიბებენ პურსა; მი-ცენ გულის-სათქუმელი საქმლისათვის მოქცევად სული. იხილე, უფა-ლო, და მოხედე, რამეთუ იქმნა იგი შეურაცხ.

17. [338] განიპყრნა¹ სიონმან კელნი თვისნი, და არავინ არს ნუ-გეშინის-მცემელ მისა. ამცნო უფალმან იაკობს გარემო მისა მაჰირ-ებელნი მისნი. იქმნა იერუსალჲში ვითარცა დედაკაცი გამოჯლო-მილი შორის მათსა.

18. მართალ არს უფალი; რამეთუ პირი მისი განამწარეს. ისმი-ნეთ ყოველმან ერმან და იხილენ საღმობაჲ ჩემი. ქალწულნი ჩემნი განვიდეს ტყუედ.

19. უწოდე ტრფიალთა ჩემთა, ხოლო მათ შერაცხ-მყვეს მე. მღელნი ჩემნი და მოხუცებულნი ჩემნი ქალაქსა შინა მოაკლდეს, რამეთუ ითხოვდეს საზრდელსა მათსა, რამთა მოიქცენ სულნი მათნი, და არა პოეს.

20. იხილე, უფალო, რამეთუ მჭირს მე, მუცელი ჩემი შეძრწუნდა და გარდაიქცა გული ჩემი შორის, რამეთუ განმწარებით განმწარდა. გარეშე უშვილო მქმნა მე მახვლმან, ვითარცა სახლსა შინა — სიკუ-დილმან.

21. ომინე, რამეთუ სულთ-ვითქუამ მე და არავინ არს ნუგეშინის-მცემელ ჩემდა. ყოველთა მტერთა ჩემთა ესმა ბოროტი ჩემი და გა-ნიხარეს. რამეთუ შენ ჰყავ და მოაქციე ჩემ ზედა დღჲ და მოუწო-დე, და მეყო მე ვადმე, ვადმე.

22. შევიდენ ყოველნი უკეთურებანი მათნი წინაშე პირსა შენსა, რამეთუ მოვმარტულენ იგინი, ვითარცა მომმარტულე მე ყოველთა-თვის ცოდვათა ჩემთა, რამეთუ მრავალ არიან სულ-თქუმანი ჩემნი.

თ ა ვ ი 3

22. [2v] ...ამისთვის მოველოდე წყალობასა უფლისასა, რამეთუ არა მომაკლდა მე, და არა დაესრულნეს მოწყალებანი მისნი.

23. განაახლენ იგი, ვითარცა ცისკარი განთიადისაჲ, განამრავლა

9. ქუეშე. 20. გარეშე: მახვლმან] მხოლომან. 22. მომარტულე.

¹ ხელნაწერში მითითებულია იერემიას წინასწარმეტყველების საკითხავად.

სარწმუნოება შენი განთიად: ბრავალ არიან სულ-თქუმანი ჩემნი და კულსა ჩენსა მოაკლდა.

24. ნაწილი ჩემი უფალი არს, თქუა სულმან ჩემმან; ამოთვს დაუთმო მას.

25. სახიერ არს უფალი, რომელთა დაუთმონ მას,

26. სული, რომელი ეძიებდეს, კეთილად; დაუთმოს მას და დაეყუდოს მაცხოვარებასა მისსა.

27. კეთილ არს კაცისაჲ, რაჟამს აღიღოს უღელი მძიმე სიკაბუკითგან თვისით,

28. და დაჯდეს მარტოდ და დადუმნეს, რამეთუ აღიღო უღელი მძიმე სიკაბუკითგან თვისით.

29. მისცეს მიწასა პირი თვისი, რამეთუ არს სასყიდელი თმენისაჲ.

30. მიუპურას მცემელსა ლაწვ თვისი და აღივსოს ყუედრებითა,

31. რამეთუ არა უკუნისამდე განიშოროს იგი უფალმან.

32. რამეთუ რომელმან დაამდაბლოს, მანვე შეიწყალოს მრავლთა წყალობითა თვისითა.

39. [338] რაჲსა ღრტუნავს კაცი, ცოცხალ რაჲ არს, [და] მამაკაცი ცოდვათა მისთათვის?

40. გამოვიძინეთ გზანი, და განიკითხა, და მოიქეცით უფლისაძღე.

41. აღვამაღლოთ გული ჩუენი სიმაღლესა ცისასა.

42. ჩუენ შეგკოდეთ, უსჯულო ვიქმენით, და არა გკლხინე.

43. დამფარენ ჩუენ რისხვითა და არა შემეწიე ჩუენ: მომწყვდენ და არა გუეძიებდ.

44. დაიფარე თავი თვისი ღრუბელთა [v] შინა ცოდვისათვის და წუეხებად თუალთა ჩემთა

45. და განშორებად, დამსხენ ჩუენ შორის ერსა.

46. აღადეს ჩემ ზედა პირი მათი ყოველთა მტერთა ჩემთა.

47. შიში და სულებაჲ შემემთხუა ჩუენ, აფხურაჲ და შემუსრვაჲ.

48. გარდამოსაქანელნი წყალთანი გარდამოადინნენს თუალთა ჩუენთა შემუსრვისა ჩემ ზედა ასულისა ერისა ჩემისა.

49. თუალთა ჩემთა დაჰკირვებიეს, და არა დავდუმენ, ვითარმცა არა განვიფრთხვე სარულიად.

50. გარდამოიხილენ უფალმან ზეცით და იხილოს.

51. თული ჩემი გამოეძიებდეს სულსა ჩემსა შინა უმეტეს ყოველთა ასულთა ქალაქისა ჩემისათა.

52. [196] ნადირობით მომნადირეს მე მტერთა ჩემთა ვითარცა სირი ცუდად,

53. და მოაკუდინეს მღვმესა შინა ცხორებაჲ ჩემი, დამღვეს ჩემ ზედა ქვაჲ.

54. და გარდაეცა წყალი თავსა ჩემსა, და ვთქუ: გან-მე-გდებულ ვარა?

55. ვხადე სახელსა შენსა, უფალო, მღვმით ქუესკნელით.

56. გესმა კმაჲ ჩემი, და აწცა ნუ დაიმძიმებ ყურთა შენთა, მოყუე ჩემდა

57. ღღესა, რომელსა ვხადოდი შენ, და ვაძკუე: ნუ გეშინინ.

58. საჯენ, უფალო, სასჯელნი სულიერნი და იკბენ ცხორებაჲ ჩემი.

60. იხილენ, უფალო, ყოველნი შურის-გებანი მათნი და ყოველნი ზრახვანი ჩემ ზედა.

59. იხილენ ყოველნი შერყევანი მათნი ჩემ ზედა და განამრავლენ სასჯელნი ჩემნი.

61. გესმა ყუედრებაჲ მათი, უფალო, ყოველნი სიტყუანი მათნი,

62. კდომაჲ ბაგეთა მათთაჲ და ზრახვანი მათნი მარადღე,

63. დაჯდომასა მათსა და აღდგომასა მათსა. მოხედე, რამეთუ ვიქმენ სასიტყუელ მათა.

64. მიაგე მისაგებელი მათი. უფალო, მახჴ გულისა მათისაჲ.

65. საქმეთა კელთა მათთაებრ მიაგე მათ, შეწვენაჲ გულისა მათისაჲ იყავნ მათა შრომა.

66. დევნენ იგინი რისხვითა შენითა. უფალო, და მოასრულენ იგინი ცასა ქუეშე.

თ ა ვ ი 4

11. [338v] აღასრულა¹ უფალმან გულის-წყრომაჲ მისი, მოჴფინა რისხვაჲ გულის-წყრომისა მისისაჲ და აღაგზნა ცეცხლი სიონს შინა და შეჴკამნა საფუძველნი მისნი.

12. არა ჰრწმენაჲ მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა მკვდრთა სოფლისათა, ვითარმედ შევიდეს მტერნი და მაჴირვებელნი ბჴეთა იერუსალჴმისათა.

¹ 51. ასულთა] ასოთა. 66. ქუეშე.

¹ ხელნაწერში მითითებულია იერემიას წინასწარმეტყველების საკითხავად.

13. ცოდვათაგან წინაშეწარმეტყუელთა მისთაჲსა, რომელნი დას-
თხვევენ სრისლსა ზართალსა,

14. შეირყინენ მღვდარენი მისნი გამოსავალთა მათთა, შეიგინნეს
სრისლითა. რამეთუ ვერ უძლეს მათ განრინებად, შებმა-უყვეს სა-
მოსელსა მათსა.

15. განეშორენით არა-წმიდაჲსა, ნუ შეეხებით, რამეთუ დალად-
-ყვეს და შეირყინეს; თქუდ(!) წარმართთა შორის, ვითარმედ: არლარა
შესძინონ მწირობაჲ.

16. პირი უფლისაჲ ნაწილ მათა, არა შესძინოს მოხედვად მათა.
პირსა მდღელთასა არა თუალ ახუნეს, მოხუცებულნი არა შეიწყა-
ლნუა;

17. ვიდრე ვიყვენილთა ჩუენ, მო[339]გუაკლდა თუალთა ჩუენთა,
შეწევნად ჩუენდა ამაოსა ვხედვედით ჩუენ.

18. ვხედვედით ნათესავსა ცხოვრებულსა; მონადირენით(!) მცი-
რენი ყრმანი ჩუენნი, რადთა არა ვიდოდიან უბანთა ჩუენთა.

19. მოახლებულ არს ჟამი ჩუენი, აღესრულნეს დღენი ჩუენნი;
მოიწია ჟამი უფროჲს ორბთა ცისათა მათთა ზედა, მზირ გვყვეს
ჩუენ.

20. სულ პირისა ჩუენისა — ქრისტე უფალი — შეიპყრა განხ-
რწნილებასა შინა მათსა, რომლისა ვთქუთ, ვითარმედ: აჩრდილთა
ქუეშე ვცხონდით წარმართთა შორის.

21. გიხაროდენ და მხიარულ იყავ, ასული ეგე ედომისი, რომელი
დამკვდრებულ ხარ ქუეყანასა, რამეთუ შენ ზედაცა განვიდეს სასუ-
მელი უფლისაჲ, დაითრო და წარმოსთხიო.

22. მოაკლდეს უსჯულოებანი შენნი, ასულო სიონისაო, არა შეს-
ძინოს ტყუედ წარცემად შენდა. მოხედა ურჩულოებასა შენსა უფა-
ლმან, ასულო ედომისაო, გამოაცხადე უსჯულოებაჲ შენი.

წინასწარმეტყუელებაჲ ბარუქისი

თ ა ვ ი 1

13. [333v]¹ და ილოცეთ ჩუენთჳს უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ შევსცოდეთ უფალსა ღმერთსა ჩუენსა და არა გარე-მიიქცია გულის-წყრომაჲ მისი და რისხვაჲ მისი ჩუენგან ვიდრე აქა დღედმდე.

14. და აღმოიკითხეთ წიგნი ესე, რომელი მიგიძღუანე თქუენ მი-თხრობად სახლსა წინაშე უფლისა დღეთა დღესაწაულისათა და დღეთა უამთასა,

15. და სთქუეთ: უფალსა ღმერთსა ჩუენსა სიმაართლჳ, ხოლო ჩუენდა სირცხვლი პირთა ჩუენთაჲ და მკვდრთა იერუსალჳმისათა.

16. და მეფეთა და მღლელთა ჩუენთა და წინაჲსწარმეტყუელთა ჩუენთა და მამათა ჩუენთა,

17. რომელ შეგცოდეს წინაშე შენსა.

18. და ურჩ ვექმნენით მას და არა ვისმინეთ კმაჲ უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ სლვად ბრ[334]ძანებათა მისთა, რომელნი მომ-ცნა ჩუენ წინაშე პირსა ჩუენსა,

19. ვინაჲთ დღითგან გამოიყვანნა უფალმან მამანი ჩუენნი ქუე-ყანით ეგვიპტით ვიდრე აქა დღედმდე.

თ ა ვ ი 2

6. [334] უფალსა ღმერთსა ჩუენსა სიმაართლჳ და ჩუენ და მამა-თა ჩუენთა სირცხვლი პირისაჲ, და ვითარცა ესე დღეს,

7. რომელსა იტყოდა უფალი ჩუენი ჩუენდა მომართ ყოველსა მას ბოროტსა, რომელი მოიწია ჩუენ ზედა

8. და არა ვევედრენით პირსა უფლისაჲსა მოქცევად კაცად-კაცა-დი ცოფისაგან გულისა თვისისა ბოროტსა.

9. და განიღვდა უფალმან ბოროტთა ზედა, რომელ მოაწია ჩუენ ზედა, რამეთუ მართალ არს უფალი ყოველთა ზედა საქმეთა მისთა, რომელი-იგი გუამცნო ჩუენ.

2. 8. ვევედრენით] ვერედენით.

¹ ყველა საკითხავი ამ თხზულებიდან ხელნაწერში შეცდომით იერგმია წინასწარ-მეტყუელის საკითხავებადა დასახელებული.

10. და არა ვისმინეთ ვმისა მისისაჲ სლვად ბრძანებათა მისთა, რომელი-იგი გუამცნო ჩუენ წინაშე პირსა ჩუენსა.

11. და აწ, უფალო ღმერთო ისრაჲლისაო, რომელმან გამოიყვანე ერი შენი ქუეყანით ეგვიპტით კელითა მტკიცითა, სასწაულებითა და ნიშებოთა და ძალითა დიდითა და ჰყავ თავისა შენისა სახლი, ვითარცა-ე-ქ დღეს.

12. შეგცოდეთ, უსჯულო ვიქმნენით და გეცრუვენით, უფალო ღმერთო, ყოველთა სამართალთა შენთა.

13. გარე-მიიქეცინ გულის-წყრომაჲ შენი ჩუენგან, რამეთუ დავ-შით მცირედნი წარმართთა შორის, სადა-იგი განმზბნიენ ჩუენ მუნ.

14. ისმინე, [უფალო], ლოცვისა ჩუენისაჲ და განმარინენ ჩუენ შენთჲს. ნომეც ჩუენ მაღლი წინაშე წარმტყუენველთა,

15. რადთა ცნას ყოველმან ქუეყანამან, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, რამეთუ სახელა შენი წოდებულ არს ისრაჲლსა ზედა და ნათე-ავსა მისსა ზედა.

16. უფალო, გარდამოიხილე ტაძრით წმიდით შენით, ყურად-ღღე ჩუენთჲს, მოყავ ყური შენი და ისმინე ჩუენი.

17. აღიხილენ თუალნი შენნი, რამეთუ არა მკუდარნი ჯოჯოხეთს შინა. რომელთაჲ მიღებულ არს სული მათი ნაწილთაგან მათთა, [V] მიგცენ შენ დიდებაჲ და სიმართლჲს ღმერთსა ჩუენსა,

18. რამედ სულმან, რომელი შეწუხებულ არს სიდიდესა ზედა, რომელი ვალს დალოდებულად და უძრულ არს, და თუალნი მოკლებულ არიან, და სულმან მშვიერმან მიგცეს შენ დიდებაჲ და სიმართლჲს.

19. უფალო, რამეთუ არა სიმართლეთა მამათა ჩუენთა და მეფეთა ჩუენთასა ჩუენ განვჴფენთ წყალობასა შენსა, უფალო ღმერთო ჩუენო,

20. რამეთუ მოაწიე გულის-წყრომაჲ შენი ჩუენ ზედა და რისხვად შენი. ვითარცა იტყოდე კელითა მონათა შენთა წინაჲსწარმეტყუელთაჲთა.

ბ ა რ უ ქ ი, 3

1. [334V] უფალო ყოვლისა-მწყრომებლო, ღმერთო ისრაჲლისაო. გული შეიწრებული და სული მოწყინებული დაღადგმს შენდამი.

2. ისმინე, უფალო, და შეგვწყალენ ჩუენ, რამეთუ ვცოდეთ წინაშე შენსა.

13. განზბნიენ. 18. სიდიდესა] სიმდიდრესა.

ა. 1. შეიძრებული.

3. რამეთუ შენ ჰკიე საუკუნოდ, და ჩუენ წარწყმდებით უკუნისამდე.

4. უფალო ყოვლისა-მპყრობელო, ღმერთო ისრაჲლისაო, ისინი ლოცვასაჲ მკვდრთა ისრაჲლისათაჲ, რომელთა-იგი შეგცოდეს წინაშე შენსა ძეთა ცოდვისათა, რომელთა არა ისმინეს კმაჲ უფლსა ღმრთისაჲ. და მეყო ჩუენ ბოროტი ესე.

5. ნუ მოიჯსენებ სიცრუესა მამათა ჩუენთასა, არამედ მოიქსენე კელსა შენსაჲ ჟანსა მას, უფალო ღმერთო ჩუენო,

6. ...და გაქებდეთ ჩუენ, უფალო.

7. რამეთუ ამისთვის მოეც შიში შენი გულსა ჩუენსა, და ხადად სახელსა შენსა და გაქებდეთ შენ ტყუეობასა შინა ჩუენსა, რამეთუ მოვიჭმეტო გულთა ჩუენთა ყოველსა სიცრუევსა მამათა ჩუენთასა, რომელთა ცოდეს წინაშე შენსა.

8. აჰა ესერა ვართ ჩუენ ტყუეობასა შინა ჩუენსა; და აჰა ესერა განმთქმენ ჩუენ საყუედრელად და საწყვეელად და თანამდებად ყოვლისათვის სიცრუვისა მამათა ჩუენთასა, რომელნი განგიდგეს შენგან ღმრთისაგან ჩუენისა.

9. [334v] ისმინენ, ისრაჲლ. მცნებანი [335] ღმრთისანი და ყურად-იღე ცნობად გონიერებაჲ,

10. რაჲ არს, ისრაჲლ, რამეთუ ქუეყანასა მტერთასა ხარ. დაძუელდი ქუეყანასა უცხოსა,

11. შეიბრლწე მკუდართა თანა. შეირაცხე ჯოჯოხეთს შინა?

12. დაუტევე წყალობაჲ სიბრძნისაჲ:

13. უკუეთუმცა ხვდოდე გზათა ღმრთისათა, მკვდრმცა იყავ მშვიდობით ქუეყანასა შენსა საუკუნეთამდე ჟამთა.

14. იაწივე, სადა არს სიბრძნე, სადა არს გულისხმის-ყოფაჲ ცნობად შინა თანა, სადა არს დღეგრძელებაჲ, სადა არს ნათელი თუალთაჲ და მშვიდობაჲ.

15. ვინ პოა ადგილი მისი და შევიდა საუნჯეთა მისთა?

16. სადა არიან მთავარნი წარმართთანი და რომელნი ეუფლებიან მკეცთა ქუეყანისათა,

17. რომელნი მფრინველთა ცისათა ემღერდეს და ვეცხლსა დაიუნჯებდეს და ოქროსა. რომელსა სცვიდეს კაცნი, და არა არს დასასრულ ნონავებისა მათისაჲ?

18. რომელნი ვეცხლსა ხურობდეს და ზრუნვიდეს და არა არს გამოძიება საქმეთა მათთა?

19. განიყვანენ და ჯოჯოხეთა შთაიყვანენ, და სხუანი აღდგენ მათ წილ.

20. ჰაპუტა იხილეს ნათელი და დაემკვდრნეს ქუეყანასა და გზად მეცნიერებისად ვერ გულისხმა-ყვეს;

21. არცა იცნნეს გზანი მისნი, არცა შეიკრძალნეს იგინი, ძენი მათნი გზისაგან მათისა განეშორნეს.

22. არცა ისმა ქანანს შინა, არცა გამოჩნდა თემანს;

23. არცა ძეთა აგარისთა გულისხმის-ყოფად, რომელნი იყვნეს ქუეყანასა ზედა ვაჭართა მერენისათა და თემენისათა, და მეზლაპრეთა და გამომეძიებელთა გულისხმის-ყოფისათა, ხოლო გზად სიბრძნისად ვერ იცნეს, არა მოიგსენნეს ალაგნი მისნი. !

24. ჰ ისრაჲლ, ვითარ დიდ არს სახელი უფლისა [v] და გრძელადგილი მონაგებობისა მისისა!

25. დიდ არს, და არა არს აღთქუმაჲ, მალალ არს და განუზომელ.

29. [335v] ვინ აღივიდა ცად და მოილო იგი და გარდამოიყვანა იგი ღრუბელთაგან?

30. ვინ წიაღცდა ზღუასა და პოა იგი და მოილო იგი ოქროთა რჩეულითა?

31. არავინ არს, რომელმან იცის გზად მისი, არცა—რომელსა მოუტყდეს ალაგნი მისნი.

32. არამედ რომელმან იცის, ყოველი უწყის გულისხმის-ყოფითა თვისითა, და რომელმან განმზადა ქუეყანად უკუნისადმდე ეამთა და აღავსო იგი საცხოვრითა, ოთხფერკითა,

33. რომელმან წარაგლინნის ნათესავნი და წარვიდის, უწოდა მას და ესმინა მისი ძწოლით.

34. ხოლო ვარსკულაენი იგი გამობრწყინდეს ეამსა თვისსა და განიხარეს.

35. უწოდა მას, და პრქუეს: აქა ვართ. და ჰნათობდეს სიხარულით შემოქმედსა თვისსა.

36. ესე არს ღმერთი ჩუენი; არავინ შეირაცხოს სხუად ღმერთი მის თანა.

37. გამოიძია გზად მეცნიერებისად და მისცა იგი იაკობს, მონასა თვისსა, და ისრაჲლსა, [სა]ყუარელსა თვისსა.

38. ამისა შემდგომად ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა.

თ ა ვ ი 4

1. ესე წიგნი არს ბრძანებათა ღმრთისათაჲ, და შჯული, რომელღჲ ჰვიეს, ცხორება არს. ხოლო რომელთა დაუტეონ იგი, ჰრცხუენეს.

2. მოიქეც, იაკობ, და შეიკრძაღე იგი და ვიდოდე წინაშე ბრწყინვალეებასა ნათლისა მისისასა.

3. ნუ მისცემ სხუასა დიდებასა შენსა და უმჯობესსა შენსა — ნათესავსა უცხოსა.

4. ნეტარ ვართ ჩუენ, ისრაჲლ, რამეთუ სათნოდ ღმრთისაჲ ცხად არს ჩუენ შორის.

5. [335v] ნუ გეშინინ, ერო ჩემო, კსენებაო ისრაჲლისაო!

6. განიციდე წარმართთა შორის არა წარსაწყემდელად, განრისხებებისათჳს [336] ღმრთისა თქუენ მიეცემით მტერთა ჩემთა,

7. რამეთუ განარისხეთ შემოქმედი თქუენი, უგებლით ეშმაკთა და არა ღმერთსა.

8. დაივიწყეთ გამომზრდელი თქუენი ღმერთი საუკუნოჲ და შეაწუხეთ მზრდელიცა თქუენი იერუსალჲში,

9. რამეთუ იხილა თქუენ ზედა მოწვეწული რისხვაჲ ღმრთისაჲ ღმრთისა მიერ და თქუა: ისმინეთ, მკვდრნო სიონისანო, მოაწია ჩემ ზედა ღმერთმან გლოჲ დიდი,

10. რამეთუ ვიხილე ტყუეობაჲ ძეთა და ასულთა ჩემთაჲ, რომელი მოაველინა მათ ზედა საუკუნემან.

11. რამეთუ განეზარდენ იგინი სიხარულით და განვაელინენ იგინი ტირილითა და გლოით.

12. ნუმცა ვის მოვსახრები ქურუეი ესე და დაშთომილი მრავალთაგან მოოკრდი ცოდვათათჳს შეილთა ჩემთაჲსა. რამეთუ მიაქციეს შჯულისაგან ღმრთისა მათისა

13. და სამართალნი მისნი არა დაიცენეს, არა ვიდოდეს გზასა მცნებათა მისთასა, არცა ალაგთა სწავლულებისათა, სიმძრთლით ვიდოდეს.

14. მოედით, მწირნი სიონისანი, და მოვიკსენოთ ტყუეობაჲ ძეთა ჩუენთაჲ, რომელი მოაველინა მათ ზედა საუკუნემან.

15. რამეთუ მოაწია მათ ზედა შორით ნათესავი უცხოჲ და ურცხვნოჲ. რამეთუ არა შეირცხუნა მოხუცებულისაჲ და არცა ყრმაჲ შეიწყალეს.

16. და წარიყვანნეს საყუარელნი ქურივისანი და ასულთაგან მარტო მოაოკრეს.

17. მე რაჲ შემძლებელ ვარ შეწევნად თქუენდა?

18. რომელმან-იგი მოაწია თქუენ ზედა ბოროტი, განგარინნეს თქუენ კელთაგან მტერთა თქუენთაჲსა.

19. [336] ვილოდეთ, შეილნო, ვილოდეთ, რამეთუ მე დამთომილ ვარ ოკერი.

20. განვიძუარცე სამოსელი მშვდობისაჲ და შევიმოსე [v] ძაძაჲ ვედრებისა ჩემისაჲ და ვლალადებ საუკუნისა მიმართ დღეთა ჩემთა.

21. ნუ გეშინინ, შეილნო, ღალადებდით ღმრთისა და განგარინნეს თქუენ მძლავრებისაგან კელისა მტერთაჲსა.

22. რამეთუ მე ვესაჲ საუკუნესა მას ცხოვრებისათჳს თქუენისა, რამეთუ მოვიდა ჩემდა სიხარული წმიდისა მიერ წყალობისათჳს, რომელი მოვიდეს თქუენ ზედა ადრე საუკუნოჲსა.

23. განგავლინნე თქუენ გლოით და ტირილით და კუალად მომცნეს მე ღმერთმან სიხარულით და მხიარულებით უკუნისადმდე.

24. ვითარცა იხილეს აწ მწირთა სიონისათა თქუენი ტყუეობაჲ, ეგრეთ იხილონ ადრე ღმრთისა მიერ თქუენი ცხორებაჲ, რომელი მოიწიოს თქუენ ზედა დიდებითა და ბრწყინვალეებითა საუკუნოჲსაჲსა.

25. შეილნო, სულგრძელ იქმნენით უფლისა მიერ მოწევნულსა თქუენ ზედა რისხვაჲა; გდევნა შენ მტერმან შენმან, ხოლო შენ იხილო წარწყმედაჲ მათი და ქედსა მათსა ზედა ხვდოდი.

26. ფუფუნეულნი ჩემნი განვიდეს ქზასა ფიცხელსა, წარიყვანნეს ვითარცა სამწყსოჲ, წარტაცებული მტერისაგან.

27. ნუ გეშინინ, შეილნო ჩემნო, და ღალადებდით ღმრთისა მიმართ, რამეთუ იყო თქუენდა ჯსნა მის მიერ, რომელმან-იგი მოაწია თქუენ ზედა.

28. ვითარცა-იგი იყო გუემაჲ თქუენი ცთომად ღმრთისაგან. ეგრევე ათ-წილად აქციეთ მოქცევაჲ და ეძიებდით მას.

29. რამეთუ რომელმან-იგი მოგკადა თქუენ ზედა ძკრი, მანვე მოავლინოს თქუენ ზედა საუკუნოჲ სიხარული ცხორებასა თქუენსა.

30. [336v] ნუ გეშინინ, იერუსალჴმ, ნუ გეშინის-გცეს შენ, რომელმან-იგი სახელ-გდვა შენ.

31. უბადრუკ არიან, რომელთა ბოროტი გიყვეს შენ და რომელთა განი[337]ხარეს დაცემაჲ შენი.

32. უბადრუკ არიან ქალაქნი იგი, რომელთა ჰმონებდეს შეილნი შენნი.

33. ვითარცა-იგი მოსცხრა დაცემასა შენსა და განიხარა დამდაბლებასა შენსა, ეგრევე შეწუხნეს მოოჯრებასა ზედა თვისსა.

34. მოვაპო სიხარული ერმრავლობისა და ზახებამ მისი გლოად მიეაქციო.

35. რამეთუ ცეცხლი გარდამოცდა მის ზედა ისუკუნოხსა მისგან დღეთამდე გრძელთა, და დაემკვდრნენ მას შინა ეშმაკნი მრავალთა ეამთა.

ჯ

36. მოიხილე აღმოაავალად. იერუსალმმ, და იხილე სიხარული მომავალთაგან შენდა.

37. აჰა ესერა მოვლენან შენდა, რომელნი განივლინნეს შენგან, მოვიდენ შეკრებულნი აღმოსავალითგან ვიდრე დასავალადმდე, სიტყუთა წმიდისაჲთა უხაროდის ღმრთისა დიდებითა.

კ

36. [159r]¹ მიხედე აღმოსავალად. იერუსალმმ. და იხილე შენდა მოსრული სიხარული ღმრთისამიერი.

37. აჰა ესერა, მოვლენან შენდა ძენი შენნი, რომელნი განივლინნეს, მოვლენან შეკრებულნი აღმოსავალითგან ვიდრე დასავალადმდე სიტყუთა წმიდისაჲთა: უხარის ღმრთისა დიდებითა.

თ ა ვ ი 5

1. განიძეარცე. იერუსალმმ. სამოქელი გლოისაჲ და ძვრის-ხილვისა შენისაჲ და შეიმოსე შეუენიერებაჲ ღმრთისა მიერ დიდებისაჲ საუკუნოდ.

2. შეიმოსე სამკაული ღმრთისა მიერ სიმართლისაჲ და დაიდგ თავსა შენსა ბჭრი დიდებისა საუკუნოხსაჲ.

3. რამეთუ ღმერთმან აჩუნა ყოველთა ცათა ქუეშე ბრწყინვალეზაჲ შენი.

4. რამეთუ იწოდის სახელი შენი ღმრთისა მიერ უკუნისამდე: „მშუდობაჲ სიმართლისაჲ და მშუდობაჲ ღმრთის მსახურებისაჲ“.

5. აღდეგ. იერუსალმმ. და დადეგ მაღალთა ზედა და მოიხილე მზის აღმოსავალით და იხილენ შემოკრებულნი შვილნი შენნი მზის

34. მოსპო. 36. იერუსალმმდე;

ნ. 3. ქუეშე.

¹ ეს აღგალი (ბარ. 4. 36—5. 9) ხელნაწერში იერემიას წინასწარმეტყუელების საკოთხავადაა დასახელებული.

აღმოსავალითგან ვიდრე დასავალამდე სიტყვთა წმიდისაჲთა, სიხარულით ღმრთისა მოკსენებითა.

6. რამეთუ განვიდეს მკვრცხლნი, წარყვანებულნი მტერთაგან, და შემოიყვანნეს იგინი შენდა ღმერთმან მომავალნი დიდებითა, ვითარცა საყდარი საჲეუფოჲ.

7. რამეთუ უბრძანა ღმერთმან ყოველთა მათთა მადალთა დამდაბლებად და ბორცუთა სამარადისოთა და ჳევთა აღმოვსებად და მოწორფელებად ქუეყანისა, რაჲთა ვილოდის იერუსალჳში კრძალულად ღმრთისა დიდებითა.

8. აგრილობდეს მას მადნარი და ყოველი ხჳ სულნელი იერუსალჳშია ბრძანებითა ღმრთისაჲთა.

9. რამეთუ უბლოდის ღმერთი იერუსალჳმსა სიხარულით ნათლითა დიდებისა მისისაჲთა და წყალობჳსა თანა და სიმართლესა, რომელ არს მის მიერ.

წინაწარმეტყუელებად ეხმეკიელისი

თ ა ვ ი 3

17. [151] და შენ, ძეო კაცისაო, მსტოვრად მიგეც სახლსა ისრა-
მლისასა, და ისმინე სიტყუაჲ პირისაგან ჩემისა და უთქუმიდი მათ
ჩემ მიერ.

18. რაჟამს ვპრქუა მე ურჩულოსა მას: „სიკუდილით მოჰკუდე“,
და არა უთხრა მას, არცა ეტყოდი განშორებად ურჩულოსა მას, რა-
მთა მოიქცეს იგი გზათაგან მისთა და ცხონდეს იგი, უსჯულოჲ იგი
უსჯულოებითა თვისითა მოკუდეს.

19. ...და¹ შენ სული თვისი განირინო.

20. და უკუეთუ გარდაიქცეს მართალი იგი სიმაართლისაგან თჳსი-
სა და ქმნეს ცოდვაჲ, მოვისცე ტანჯვაჲ პირსა მისსა და იგი მოკუდეს,
რამეთუ მოვიკსენენ სიმაართლენი მისნი, და სისხლი მისი კელთაგან
შენთა ვიძიო.

21. უკუეთუ შენ ამცნო მართალსა, რამთა არა ცოდოს, [V] და
მან ისმინოს და არა ცოდოს, მართალი იგი ცხორებით ცხონდეს.

თ ა ვ ი 9

2. [285] ვხედევდ, ვითარ მოვიდოდეს ექუს კაც გზასა მას მა-
ლალსა მათ ბჳეთასა, რომელი ხედავს ჩრდილოთ კერძო, და თითო-
ეულსა ცული კელთა თვისთა. და კაც ერთ დგა შორის მათსა და შთა-
ეცუა პალეკარტი ზეეზისაჲ ბრჳლადმდე და სარტყელი ლესული ერ-
ტყა წელთა მისთა. მოვიდა და შევიდა და დადგა წინაშე საკურ[V]-
თხეველსა მას საბილენძისასა.

3. დიდებაჲ იგი უფლისა ღმრთისა ისრაჴლისაჲ, რომელი-იგი
დამკვდრებულ იყო ზედა ქერობინთა მათ, აღმალდის და აღცდის
ერდოსა მას ტაძრისასა. კმაჲ იყო ზედა კაცსა მას, რომელსა ეცუა
ზეეზი იგი და ერტყა ლუსტკრი წელთა მისთა,

¹უ.2. ბჳეთასა]მჳეთასა.

¹ მე-18 მუხლის დასასრულა და მე-19 მუხლის დიდი ნაწილი თავიდან გამო-
ჩენილია მსგავსი ფრაზებით დასასრულის (პომოტელეეტონის) გამო („უშულო-
ბითა თვისითა მოკუდეს“ მიმყოლა სიტყვებითურთ გამოტოვებულია).

4. და პრქუა მას უფალმან: განვლე შენ შორის იერუსალმისა ქალაქსა და დასდევ ნიში შებლთა მაგათ კაცთასა, რომელნი-ევე კუნესიან და სულთ-ითქუმენ ყოველსა ზედა ურჩულოებასა მათსა, რომელი იქმნების შორისა მათსა.

5. და ესევეითართა კაცთა პრქუა: შეუდევით თქვენ კვალსა მაგის-შევედით ქალაქსა მას, სცემდით და მოჰკლევდით. მოსწყუედდით, ნუ ერიდებით თუალითა თქუენითა, ნუ გეწყალიედ!

6. მოხუცებულნი ყრმათა თანა მოწყვდენით, ჰაბუენი და ქალწულნი, ქმარნი და ცოლნი, ჩივლნი და წინეენი მოწყვდენით, ნუ პრიდებთ, ნუ გეწყალინ, რაგათა მოისრნენ და არა განერნენ, გარნა მათ ხოლო, რომელთა ნიშანი ზედა ედვას. ნუ შეეხებით...

თ ა ვ ი 18

1. [101] და იყო ჩემდა მომართ სიტყუაჲ უფლისაჲ და თქუა:

2. ძეო კაცისაო, რაჲ არს იგავი ესე ძეთა შორის ისრაჲლისათა, რომელ თქუიან, ვითარმედ: მამათა ჰამეს კაწახი და შვილთა კბილნი მოჰპლბეს?

3. ცხოველ ვარ მე, იტყვს უფალი, [V] ამიერიითგან არღარა იყოს იგავი ესე სიტყუად ისრაჲლისა შორის.

4. რამეთუ ყოველნი სულნი ჩემნი არიან: ვითარცა სული მამისაჲ, ეგრევე სული ძისაჲ ჩემი არს. და სულმან რომელმან ცოდოს, იგიცა მოკუდეს.

5. ხოლო კაცი, რომელი იყოს მართალ, რომელმან ჰმნეს სიმართლმ,

6. მათთა ზედა არა ჰამოს და თუალნი მისნი არა განუტევნა გულის-სათქუმელთა სახლისა ისრაჲლისათა და ცოლი მოყუსისა თვისისაჲ არა შეაგინოს და დედაკაცი წიდოვნებასა შინა [რაჲ] იყოს, არა შეეხოს;

7. და კაცსა არა ჰმძლავროს და ნაჯუთევი თანამდებსა მისცეს, და ნატაცები არა იტაცოს და ჰური მისი მშიერსა სცეს და შიშუელი შემოსოს.

8. ვეცხლი მისი აღნადგინებად არა მისცეს და აღნადგინები არა მოიღოს, სიცრუენისაგან გარე-მოაქციოს კელი მისი, სასჯელი სიმართლისაჲ ჰმნეს შორის კაცისა და შორის მოყუსისა თვისისა.

9. და ზრბანებათა ჩემთა სრულ იყოს და სამართალნი ჩემნი დაემარხნენ ყოფად იგინი, ესევეითარი მართალი არს, ცხორებით ცხოვრდეს, იტყვს უფალი.

10. უკუეთუ შევს ძმ ბილწი და დამთხვეველი სისხლისაჲ და მოქმედი ცოდვისაჲ,

11. და გზათა მამისა მისისაჲთა მართალთა არა ვიდოდეს, არამედ მათათა ზედა ჭამა და ცოლი მოყუტისა თვისაჲჲ შეაგინა,

12. დარდომილსა(!) და გლახაჲსა კმძლავრა და ნატაცები იტაცა და ნაკუთევი არა უკუნსაცა და კერბთა მიწართ მიადგნა თუალნი თვისნი, უსჯულოებაჲ ქმნა,

13. ვახშად ვეცხლი მისცა და აღნადგინებუ მოიღო.—ესე ცხორებით არა ცხონდეს. რამეთუ უსჯულოებანი ყოველნი ქმნნა, სიკუდილით მოკუდეს. და სისხლი მისი მის ზედა იყოს.

14. უკუეთუ შევს ძმ და იხილნეს ყოველნი ცოდვანი მამისა თვისისანი, რომელნი ქმნნა, და შეიშინოს და არა ყოს ეგრე სახედ:

15. მათათა ზედა არა ჭამა და თუალნი თვისნი არა მიადგნა [102] გულის-სათქუმელთა სახლისა ისრაჲლიათა, ცოლი მოყუტისა თვისისაჲ არა შეაგინა,

16. კაცთა არა კმძლავრა და ნაკუთევი არა იკუთა და ნატაცები არა იტაცა და შიშველი შემოაა და ჰური თვისი მშვიერსა სცა,

17. და სიცრუვისაგან გარე-მოაქცინა ჯელნი თვისნი, ვახში და აღნადგინებუ არა მოიღო, და მიწართლქ ქმნა და ბრძანებათა ჩემთა ვიდოდა, არა მოკუდეს ცოდვითა მამისა თვისისაჲთა, არამედ ცხორებით ცხონდეს.

18. უკუეთუ მამამან მისმან ჰირი ვისმე აჰირვოს და ნატაცები იტაცოს და ბოროტი ქმნეს შორის ერსა ჩემსა, ეგევითარი მოკუდეს სიცრუვითა თვისითა.

19. და თქუენ სთქუთ: რაჲ არს ესე, რამეთუ არა მოიღოს ცოდვაჲ მამისაჲ ძემან? რამეთუ ძემან მან სიმართლქ ქმნა, ყოველი უჭუელი ჩემი დაიმარხა და ქმნნა იგინი, ესე ცხორებით ცხონდეს.

20. სულმან რომელმან ცოდოს, იგცა მოკუდეს: ძემან არა მოიღოს ცოდვაჲ მამისაჲ, არცა მამამან ცოდვაჲ ძისა თვისისაჲ; [120] სიმართლქ მართლისა მის ზედა იყოს და უსჯულოებაჲ უსჯულოება მის ზედა იყოს.

21. და უშჯულომან თუ მოაქციოს ყოველთაგან უსჯულოებათა მისთა, რომელ ქმნნა, და დაიმარხნეს ყოველნი მცნებანი ჩემნი და ყოს წყალობაჲ და სიმართლქ, ცხორებით ცხონდეს იგი და არა მოკუდეს.

22. და ყოველნი შეცოდებანი მისნი, როდენნი ქმნნა, არა მოვიკსენნე სიმართლესა მას შინა. რომელი ქმნნა, არამედ ცხორებით ცხონდეს იგი.

23. რამეთუ არა ხეხით ვინებო სიკუდილი უსჯულოდსა მის, იტყვს უფალი, არამედ მოქცევა მისი გზისაგან მისისა უკეთურისა და ცხორება მისი.

24. და უკუეთუ მიაქციოს მართალმან სიმაართლისაგან თვისისა და ქმნეს უსჯულობა ყოვლისა მისებრ უსჯულოებისა, რომელ ქმნის უსჯულომან, ყოველნი სიმაართლენი მისნი, რომელ ქმნა, შეცოდებასა მას შინა არა მოვიქსენნე, რომელ ცოდა, არამედ მას შინა მოკუდეს.

25. და სთქუთ: არა-წრფელ არიან გზანი უფლისანი. ისმინე, სახლო ისრაჲლისაო! არა თუ გზანი ჩემნი არა-წრფელ არიან, არამედ გზანი თქუენნი ვიდრემე არა-წრფელ არიან?

26. უკუეთუ მიაქციოს მართალმან სიმაართლისაგან თვისისა და ქმნეს ცოდვა შეცოდებასა მას შინა, რომელ შესცოდა, მას შინა მოკუდეს.

27. და უკუეთუ მოაქციოს უსჯულომან¹ უსჯულოებისაგან [v] თვისისა, რომელ ქმნა, და ყოს მსჯავრი და სიმაართლჲ, ამან სული თვისი დაიცვა.

28. და მოიქცა ყოვლისაგან უსჯულოებისა თვისისა, რომელ შესცოდა, ცხორებით ცხონდეს და არა მოკუდეს.

29. და სთქუთ სახლმან ისრაჲლისამან: არა-მართალ არს გზად უფლისად. არა თუ გზად ჩემი არა-მართალ არს, სახლო ისრაჲლისაო, არამედ გზად თქუენი არა-მართალ არს.

30. კაცად-კაცადი გზისაებრ თქუენისა ესაჯნე თქუენ, სახლო ისრაჲლისაო, იტყვს უფალი.

თ ა ვ ი 31

3. [159v] აჰა ესერა ვითარცა საროჲ ლიბანისად, კეთილთა მორჩითად, ავმაღლდი სიდიდითა, და შორის ღრუბელთა იყო მწუერვალი შისი.

4. წყალმან განზარდა იგი, და უფსკრულმან აღამაღლა იგი. მდინარენი მისნი მოადინნა გარემო ნერგთა მისთა და სიკუშირჲ შტოთა მისთად განავ[ლინა] ყოველთა მიმართ ზეთა ველისათა.

5. ამისთვის ამაღლდა სიდიდჲ მისი ყოველთა შორის ხეთა, და განვრცნეს შტონი მისნი წყალთაგან მრავალთა.

¹ აღდგენილი მარცვლები ხელნაწერის ჩამოხეულ ნაწილზე უნდა მოდიოდეს.

6. ნორჩთა მძათა დაიბუდეს ყოველთა მფრინველთა ცისათა, და ქუეშე შტოთა, მისთა შობდეს ყოველნი ნადირნი ველისანი, სიგრილესა მისასა და დაემკვდრნეს ყოველნი ნათესავნი თესლებისანი.

7. და იყო იგი კეთილ სიმართლითა თვისთა, სიმრავლითა შტოთა მისთაჲთა, რამეთუ იყვნეს ძირნი მისნი დამტკიცებულ ზედა წყალთა მრავალთა.

8. და ნაძუნი ვერ იყვნეს მსგავს მისა, რომელ არიან სამოთხესა ღმრთისასა; და ფიკუნი ვერ ესწორებოდეს ყოველთა მორჩთა მისთა, და ხმ, რომელ არს სამოთხესა ღმრთისასა, ვერ ემსგავსების მას.

9. სიმრავლითა შტოთა მისთაჲთა ეშურებოდეს მას [ხენი] საშუებლისა სამოთხისა ღმრთისანი.

10. ამისთვის ამას იტყ[ვს უფალი]: [160] აჰა ესერა შეგქმენ შენ დიდებულ სიდიდითა შენითა, და მისწუთენ მწყურვალნი შენნი შორის ღრუბელთა და ვიხილე იგი ამაღლებასა მისსა,

11. და მივეც იგი კელთა მთავართა მათ წარმართთასა, და მოკაფონ ხეთა მათგანი შტოთა მისთაჲ.

12. და აღიღონ კელითა თვისთა და მოკუეთასა მას შტოთა ხეთასა... განისუენონ ყოველთა ერთა ქუეყანისათა.

13. რამეთუ ხესა მას ქუეშე იყვნენ ყოველნი მფრინველნი ცისანი და მკეცნი ქუეყანისანი და იხარებდენ მას ღლესა შინა.

თ ა ვ ი 34

1. [110] და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ ჩემდა მომართ და თქუა:

2. ძეო კაცისაო, წინაწარმეტყუელებდ მწყემსთა მიმართ ისრაჴლისათა და არქუ მწყემსთა მისთა: ამას იტყვს აღონა უფალი მწყემსთა მიმართ ისრაჴლისათა: არა თავთა თვისთა აძოებენ მწყემსნი იგი, არცა ცხოვართა ჩემთა აძოებენ მწყემსნი იგი.

3. აჰა ეგერა სძესა შეშჴამთ და მატყულსა შეიმოსთ და მსუქანსა მას დაჰკლავთ და ცხოვართა ჩემთა არა აძოებთ.

4. უძრული იგი არა განაძრიელეთ და სნეული იგი არა განასუქეთ, და განტეხილსა მას არა შეუხვეთ და შეცთომილი იგი არა მოაქციეთ და წარწყმედული იგი არა მოიძიეთ და ძრიელი იგი შრომით იქმნიეთ.

5. და განიბნინეს ცხოვარნი ჩემნი, რამეთუ არა აქუნდა მწყემსი, და იქნნნა შესაქმელ ყოველთა მკეცთა ველისათა.

31. 6. ქუეშე. 8. სამოთხისა. 13. ქუეშე.

6. და განზნინეს ცხოვარნი ჩემნი ყოველთა ზედა მათთა და ყოველთა ბორცუთა მაღალთა და განიზნინეს პირსა ყოველისა ქუეყანისასა და არა [v] ვინ იყო შეძიებელ და არცა მომაქცეველ მათა.

7. ამისთვის ისმინეთ, მწყემსნო, სიტყუაჲ უფლისაჲ:

8. ცხოველ ვარ მე, იტყვს აღონა უფალი, ამისთვის, რამეთუ იქმნენეს ცხოვარნი ჩემნი წარსატყუენველ და შესაქმელ მკეცთა ქუეყანისათა, რამეთუ არა იყვნეს მწყემსნი და არა გამოიძინეს მწყემსთა მათ ცხოვარნი ჩემნი, და აძობედეს მწყემსნი თავთა თვსთა და არა ცხოვართა ჩემთა,

9. ამისთვის. მწყემსნო, ამას იტყვს აღონა უფალი:

10. აჰა ე-ერა მწყემსთა ზედა გამოვიძინე ცხოვარნი ჩემნი და მოგიხუნე იგინი კელთაგან თქუენთა და მოვაქცინე იგინი, რამთა არღარა კმწყსიდეთ ცხოვართა ჩემთა; და არღარა აძობედეთ მერმე მწყემსნი, და განვარინნე ცხოვარნი ჩემნი პირისაგან მათისა და არღარა იყვნენ შესაქმელ მათა.

თ ა მ ი 36

25. [364] და გასხურო თქუენ წყალი წმიდაჲ და განგწმოდნე თქუენ არაწმიდებლსაგან თქუენისა და ყოველთაგან კერპთა თქუენთა განგწმიდნე თქუენ.

26. და [v] მოგცე თქუენ გული ახალი და სული ახალი: და მოგილო თქუენ გული ქვისაჲ და მოგცე თქუენ გული ჯორცისაჲ.

27. და მოგცე თქუენ ზედა სული ჩემი და ვყო, რამთა ბრძანებათა ჩემთა ხვდოდით და სამართალთა ჩემთა იმარხვიდით და ჰყოფდით მათ.

28. და დაემკვდრნეთ ქუეყანასა მას, რომელი მივსცე მამათა თქუენთა, და იყვნეთ თქუენ ჩემდა ერად, და მე ვიყო თქუენდა ღმრთად.

29. და განვარინნე თქუენ ყოველთაგან არაწმიდებათა თქუენთა; და მოუწოდი იფქლსა და განვამრავლო იგი და არა მოვაკლინო აქუენ ზედა სიყმილი.

30. ...რამთა არა მოილო ყუედრებაჲ წარმართთაგან.

31. და მოიქცენენით გზანი თქუენნი ბორცუნი და სლვანი თქუენნი არა-კეთილნი და მოიწყინეთ წინაშე პირსა მათსა.

32. არა თქუენთვის ვყო, იტყვს აღონა უფალი: ცხად იყავნ თქუე-

ნდა, შეირცხვნეთ და შეიკდიმეთ გზათაგან თქუენტა, სახლო ისრა-
ტლიაო.

33. ამას იტყვს აღონა უფალი: დღესა მას, რომელსა განგწმიდნე
თქუენ ყოველთაგან ურჩულოებათა თქუენტა და აღვაშენე ქალაქ-
ნი, და აღვაშენენ ოკერნი.

34. და ქუეყანაჲ განრყუნილი [მოიქმნეს, რამეთუ იყო 'გ' ვან-
რყუნილი] წინაშე ყოველთა თანა წარმავალთაჲსა.

35. და თქუან: ქუეყანაჲ განრყუნილი იქმნა ვითარცა მტილი სა-
შუებლისაჲ, და ქალაქნი ოკერნი და განრყუნილნი და დარღუეულნი
და განძვნებულნი მტკიცედ დაემკვდრნენ.

36. და ცნან წარმართთა მათ, რომელნი დაშთომილ იყვნეს გარე-
მოჲს თქუენტა, რამეთუ მე ვარ უფალი, რომელმან აღვაშენენ დარ-
ღუეულნი და დავპნერგენ განრყუნილნი, და მე უფალი ვიტყოდუ
და ვყო.

თ ა ვ ი 37

21. [144v] ამას იტყვს აღონა უფალი: აჰა ესერა მე მოვიყვანო
ყოველი სახლი ისრატლისაჲ შორის წარმართთაგან, ვიდრე-იგი შევი-
დეს მუნ, და შევეკრიბნე [ივინი] ყოველთაგან გარემოთა მათთა,
და შევიყვანნე ივინი ქუეყანასა ისრატლისასა.

22. და მივსცნე ივინი ნათესავად ერთად ქუეყანასა ჩემსა და
მათთა ისრატლისათა. და მთავარი ერთი იყოს და არა იყვნენ ნათესა-
ვად ორად და არა იყვნენ განყოფილ სამეუფოდ ორად.

23. რაჲთა არღარა შეიგინებოდინ მერმე კერპებითა მათითა,
და ვიკსნნე ივინი ყოველთაგან ურჩულოებათა მათთა, რომლითა-იგი
ცოდვიდეს მათ შინა, და განგწმიდნე ივინი და იყვნენ ერთად ჩემდა,
და მე უფალი ვიყო ღმერთად მათა.

24. და მონაჲ ჩემი დავით — შორის მათსა მთავრად. [145] და
იყოს მწყემსი ყოველთაჲ ერთი, რამეთუ ბრძანებათა ჩემთა ვიდლოდი-
ან და სამართალთა იმარხვიდენ და პყოფდენ მათ.

25. და დაემკვდრნენ ქუეყანასა მათსა, რომელი მივეც მონასა ჩე-
მსა იაკობს, სადა-იგი მკვდარ იყვნეს მამანი მათნი, და დაემკვდრნენ
მას ზედა; და დავით, მონაჲ ჩემი, მთავარ მათა იყოს საუკუნოდ.

26. და აღუთქუა მათ [აღუთქუმაჲ მშუდობისაჲ], აღუთქუმაჲ საუ-
კუნოდ იყოს მათ თანა; და დავამტკიცო სიწმიდჲ ჩემი შორის მათსა
საუკუნოდ.

თ ა ვ ი 39

25. [97] ამისთვის ესრე იტყვს უფალი ძალთაჲ: აწ მოვაქციო ტყუილ იაკობის და წყალობა ვყო სახლსა ზედა ისრაჲლისასა და აღვიშურვო სახლისათვს ჩემისა წმიდისა.

26. და მიიღონ გინებაჲ იგი მათი, რომლითა მეცრუვნეს მე უამსა მას, რომელსა დავაშქნენ იგინი ქუეყანასა მას თვისსა მშვედობით, და არღარა იყოს მაშინებელ მათა.

27. რაჟამს მოვაქცინე იგინი წარმართთა მათგან და შეეკრიბნე ყოვლისაგან სოფლებისა მტერ[ვ]თა მათთაჲსა და ავმალღდე წინაშე ნათესავისა მის მრავლისა.

28. და გულსხმა-ყონ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი მათი; ვეჩუენო მე მათ წარმართთა შორის და შეეკრიბნე იგინი ქუეყანასა მათსა, სადა არავინ დაუტეო მათგანი მათ თანა.

29. ...მის წილ, რამეთუ დავსთხიე რისხვად გულის-წყრომისა ჩემისაჲ სახლსა ზედა ისრაჲლისასა, თქუა უფალმან ძალთამან.

თ ა ვ ი 44

1. [269] მერმე მომაქცია მე გზათა მათ სიწმიდისათა გარეშე, რომელი ხედავს მზის აღმოსავალისა, და იყო იგი დაკშულ.

2. და მეტყოდა მე უფალი და მრქუა: ესე ბქენი იერუსალჲმს დაკშულ იყვნენ, და არავინ შევიდეს. და იგი თავადი გამოვიდეს მიერ, და იყოს იგი დაკშულ

3. მარადის წინაშე მთავრისა მის.

თ ა ვ ი 47

1. [366] და წარმიყვანა მე ბქეთა მის ტაძრისათა და მუნ ვხედევდ წყალსა გამომაველსა, მდინარესა ქუეშე სართულსა მას ტაძრისა მის მოსელთ მობაძვისა თანა¹ წარ მზის აღმოსავალით კერძო, რამეთუ პირი მის ტაძრისაჲ ჰმართებდა აღმოსავალსა მას, და წყალი იგი გარდაეჟანებოდა მარჯუენით კერძო ტაძრისა მის საკურთხეველად მიმართ.

2. და განმიყვანა მე გზასა მას მათ ბქეთასა ჩრდილოთ კერძო

44. 1. გარეშე.

47. 1. ქუეშე, მარჯუენით.

¹ „მოსელთ მობაძვისა თანა“ აბუნდოვანებს წინადადებას და მისი ფარღ ჩვენს ხელთ არსებულ უცხოენოვან წყაროებში არ მოიპოვება.

და მომავლო მე გზასა მას ბჭეთასა გარეშესა მას ეზოსა, რომელ გამოიყვანეს შხის აღმოსავალით, და ვხედვედ წყალსა მას, რომელი იგი დამოვიდოდა მარ[V]ჯუნით კერძო.

3. და მუნ ვხედვედ ვითარცა ხილვასა მამაკაცისა ერთისასა პირსპირ ჩემსა, და ჩხალი იგი საზომისად კელთა მისთა; და იწყო მან ზომად შინაით, გარდაით და მოზომა ათას მით საზომითა და წიაღ-ვღა წყალსა მას; და ვხედვედ, მო-რად-ადგა წყალი იგი კოჭამდე.

4. და მერმე ზომა მითვე საზომითა ათას და წიაღ-ვღა წყალსა მას; და ვხედვედ, ვითარ მოადგა წყალი იგი ვიდრე მუტლოს-თავადმდე. და მერმე ზომა ათას საზომ, და ვხედვედ, აღმო-რად-იწია წყალი იგი სარტყლადმდე.

5. და მერმე ზომა ათას საზომ და ვხედვედ მდინარესა ერთსა, რამეთუ დუღდა წყალი იგი, კოლოოდა და ფოფინებდა, რომელი ვერ განსავალ უყო, და იქმნა მდინარე მრავალ.

6. მერმე იწყო სიტყუად ჩემდა და მრქუა: იხილე შენ, ძემან მაგან კაცისამან? მერმე წარმიყვანა და მომავლო კიდმ მის მდინარისად.

7. და ქცევასა მას ჩემსა ვხედვედ, იმიერ და ამიერ მდინარესა მას ხმ მრავალი იყო და ნერგი მრავალი იყო.

8. და მრქუა მე: წყალი ეგე, რომელ განვალს გალილეათ კერძო აღმოსავალად და დავალს უდაბნოსა და მიაქცევს ზღუად კერძო წყალსა მას ზედა გამოსავალსა, მან განკურნოს ყოველი წყალი.

9. და იყოს, ყოველივე საშუმინველი ცხოველი, რომელი აღდუღებულად გამოიწყულ და განჩინებულ იყოს და მისწუთეს წყალი იგი მათ ზედა, და განცხოველდენ; და იყოს მუნ თევზი ფრიალ, რამეთუ მოიწია წყალი ესე, და განკურნოს იგი და ცხოველ იყოს, და ყოველსა რომელსა მისწუთეს იგი მდინარმ, ცხონდეს იგი.

წინაწარმეტყულება დანეღისი

თ ა ვ ი 1

1. [272] წელსა მესამესა იოაკიმ მეფისა ჰურიასტანისასა მოვიდა ნაბუქოდონოსორ, მეფე ბაბილოვნელთაჲ, იერუსალჴმდ და მოიცი-
ლა მას.

2. და მისცა უფალმან კელთა მისთა იოაკიმ, მეფე ჰურიასტანი-
საჲ, ფასით, ერთთურთ სახლსა მისგან ტაძრისა ღმერთისა. მოვიდა და
მოილო იგი ქუეყანასა მას სენაათსა და ფასი იგი მოილო და შეილო
სახლსა თვისსა...

3. და უბრძანა მეფემან ასფანესს, ეზოჲს-მოძღუარსა თვისსა, გა-
მორჩევად ნატყუნავისა მისგან ძეთა ისრაჴლისათა ნათესავისა მის-
გან მეფეთაჲსა. ნაშობთა მათგან არშაკთა

4. ყრმანი რჩეულნი, რომელთა თანა არა იყო რაჲვე ბიწი,
ქმულ-კეთილ პირითა, გონიერნი, სიბრძნითა წურთილნი, გულითა
მზრახველნი. რჩეულნი ძრიელნი, რაჲთა შარადის დგენ წინაშე მე-
ფისა. და უბრძანა [v] მათი განსწავლაჲ წიგნისაჲ და მეცნიერებისაჲ
ზრახვისა ქალდეველთაჲსა.

5. და შეაბა მეფემან როჴიკი სამარადისოჲ ტაბლათაგან მეფე-
თაჲსა და ღუნოჲ მეფისა სასუმელი, რაჲთა განზარდნეს იგინი და
განსწავლნეს სამ წელ და მერმე მოჴგუარნეს წინაშე მეფისა და და-
ადგინნეს მსახურად. ¶

6. [272v] და მოიპოვნეს ძეთაგან იუდაჲსთა ყრმანი რჩეულნი:
[დანიელ], ანანია, აზარია და მისაელ.

7. და დასდვა მათ სახელები ეზოჲს-მოძღუარმან მან: ბალტასარ,
სედრაქ. მისაქ და აბედნაგო.

8. და დაიდვა გულსა თვისსა დანიელ, რაჲთა ყოვლადვე არა იზი-
ლოს გემოჲ ტაბლისაგან მეფისა და არცა სასუმლისაგან მისისა. და

მოვიდა და ევედრებოდა ეზოას-მოდღუარსა მას, რაათა არა ჰძლოს მათ გემოას ჩილვად მისგან.

9. და მოსცა უფალმან დანიელს მადლი და წყალობა და შეწყნარება წინაშე ეზოას-მოდღურისა მის.

10. მიუგო ეზოას-მოდღუარმან მან დანიელს და ჰრქუა: მეშინის შე უფლისა ჩემისა მეფისაგან, რამეთუ თქუენ: ჯა როჭიკი ესე ჰამადისა და სასუმლისა თქუენისაა განუგვის. ნუუკუე სადამე პირი თქუენი უმწუხარქს იყოს სხუათა ყრმათა, ასაკის სწორთა თქუენთა, და მყოთ ნუ თავისა თვისსა თანა-მდებ წინაშე მეფისა.

11. მაშინ ჰრქუა დანიელ ამელსარს, რომელი დაედგინა ეზოას-მოდღუარსა მას;

12. გამო-ლა-მცადენ ათ ღღე ოდენ და გუცემდ ჩუენ თესლისა-გან მარცხულსა ცუდად; ვჰამოთ და წყალი ვსუათ.

13. და იხილეთ პირი ჩუენი თესლის მკამელთა და პირები ყრმებისა [273] მაგის, რომელნი ჰამენ ტაბლისა მისგან სამეუფო-მასა; და ვითარცა იხილო და გამოგუცადენ, ეგრეცა უყავ მონათა შენთა.

14. და ერჩდა მათ სიტყუასა მას და გამოცადა იგინი ათ ღღე.

15. და შემდგომად ათთა მათ ღღეთა ეჩუენნეს პირნი მათნი სავსენი და ფეროანნი. და იგი თავადი ძრიელ და მტკიცე უფროა მათ ყრმათა. რომელნი ჰამდეს ტაბლისაგან სამეუფომასა.

16. და იყო, მიერთჲან ამელსარ შეუმოკლა მათგან როჭიკი იგი და ღვნოა, რომელი იყო სასუმელი მეფისა, და სცემდა თესლსა მას საჰმლად.

17. და ყრმათა მათ ოთხთავე მიცა ღმერთმან გონება და სიბრძნე და მეცნიერება და ყოველი მწიგნობრობისა და ჳელოვნობისა სიბრძნე. დანიელ იყო მეცნიერ ყოველსა ჩუენებასა ზრახვათასა და სიზმართა გულისხმის-ყოფასა.

18. ნერმე შემდგომად აღსასრულსა მათ ღღეთასა. რომელთა ებრძანა მეფესა მოყვანება, და წარუდგინა იგინი ეზოას-მოდღუარ-მან მან წინაშე ნაბუქოდონოსორ მეფესა.

19. და ზრახვდა მათ თანა მეფე იგი. და არავინ იპოებოდა სწორ დანიელისა, ანანიასა, აზარიასა და მისაელისა.

20. და ყოველსა შინა სიტყუასა სიბრძნისასა, რასაცა ეძიებდა მეფე მათგან, პოვნა იგინი უმეტეს ათწილ ყოველთა მეცნიერთა და მოგუთა, რომელნი იყენეს მეფობასა მისსა.

21. და იყო დანიელ ვიდრე ცხრა წლადმდე კუროზ მეფისა.

თ ა ვ ი 2

34. [371] ...გამოეკეთეთა¹ მთისაგან თვნიერ კაცობრივისა კელისა ქმნულებისა. დაეცა ხატსა მას ფერკთა მათ რკინისათა და თივისათა და კეცისათა და დააწულილნა იგინი სრულიად.

35. მაშინ დაწულილდეს იგინი ერთად. რკინაჲ იგი და კეცი და რვალი და ოქროჲ და იქმნნეს იგი(!) ვითარცა მტუერი კალოჲსა ზაფხულისაჲ. და აღილო იგი სიმრავლემან ქარისამან, და ყოვლად ადგილი არა ეპოვა მათ და ლოდი იგი, რომელი ეცა ხატსა მას, იქმნა იგი მთად დიდ(!) და დაიპყრა ქუეყანაჲ.

თ ა ვ ი 3

1. [368v] წელსა მეთრვაბეტესა ნაბუქოდონოსორ მეფემან ქმნა კერპი ერთი ოქროსაჲ, სიმაღლჳ მისი სამეოც წყრთა და სივრცჳ მისი ექუს წყრთა, და აჰმართა იგი ველსა მას დეირისასა, სოფელსა მას ბაბილოვნელთასა.

2. და წარავლინნა მეფემან ნაბუქოდონოსორ შუკრებად ყოველთა მთავართა და ერისთავთა სოფლებისათა შერაცხილთა და მარზაპანთა და ყოველთა მთავართა სოფლებისათა მოსლვად სატფურებასა მას კერპისასა, რომელი აჰმართა ნაბუქოდონოსორ მეფემან.

3. და მოვიდეს და მოკრბეს ყოველნი იგი მთავარნი, მარზაპნები იგი და შერაცხილები და ერისთავები და დიდ-დიდნი, რომელნი იყვნეს კელმწიფებასა მისსა მოსლვად სატფურებასა მას კერპისასა. რომელი-იგი აჰმართა ნაბუქოდონოსორ მეფემან, და დადგეს წინაშე მეფისა და კერპისა.

4. და ქადაგი ჳმობდა ძრიელად: თქუენ გეტყვ ნათესაგთა და ერთა და ტომთა და ენათა,

5. რაჲთა, რომელსა ჟამსა გესმას ჳმაჲ საყვრისაჲ და ქნარისაჲ, წინწილისაჲ და ებნისაჲ, შესხმისაჲ და ყოვლისავე თითო-პირისა მსახიობისაჲ, დაცოდეთ და თაყუანის-ეცით ხატსა მას ოქროსასა, რომელი აჰმართა ნაბუქოდონოსორ მეფემან.

6. და რომელი არა დავარდეს და არა თაყუანის-სცეს. მასვე ჟამსა შევარდეს საჯუ[369]მილსა ცეცხლისა აგზებულისასა.

3. 2. ნაბუქოდონოსორს. 6. არაჲ.

¹ ხელნაწერში ამ საყთხავს შეცდომით აწერია, რომ „იგავთა“-განაჲ.

7. და იყო, ვითარცა ესმოდა ერსა მას კმაჲ იგი ნესტკსა, სტკრისაჲ და ქნარისა და წინწილისაჲ და შესხმისაჲ და ყოვლისავე პირად-პირადისა სახიობისაჲ, დაცვიოდა(!) ყოველი იგი ერი, ტომნი და ენანი და თაყუანის-სცემდეს კერპსა მას ოქრომასსა, რომელი აჰმართა ნაბუქოდონოსორ მეფემან.

8. მაშინ მოუტდეს კაცი ქალღეველნი, შეასმენდეს ჰურიათა მათ.

9. მიუგეს და ჰრქუეს მეფესა: მეფე, უკუნისამდე ცხონდი!

10. შენ, მეფე, დასდევ ბრძანებაჲ, რაჲთა ყოველსა კაცსა, რომელსა ესმეს კმაჲ ნესტკსა და ქნარისაჲ, წინწილისა და ებნისაჲ და შესხმისაჲ და პირად-პირადისა სახიობისაჲ, დაცვოდეთ და თაყუანის-ეცით ხატსა მას ოქრომასსა.

11. უკუეთუ ვინმე არა დავარდეს და არა თაყუანის-სცეს, მუნტქუესვე შევარდეს იგი საკუმილსა ცეცხლისა აგზებულისასა.

12. აწ არიან აქა კაცი ჰურიანი, რომელნი დაგიდგინებიათ საქმესა ბაბილოვნისასა: სედრაქ, მისაქ და აბედნაგო. კაცთა [მათ არა ისმინეს] ბრძანებაჲ შენი, მეფე, [ლმერთ] თა შენთა არა მსახურეს და ხატსა მას. რომელი შენ აჰმართე, არა თაყუანის-სცეს.

13. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფე აღივსო გულის-წყრომითა და რისხვით ბრძანა მოწოდებაჲ სედრაქ, მისაქ და აბედნაგოსი, და კაცი ესე მოიყვანნეს წინაშე მეფისა.

14. მიუგო ნაბუქოდონოსორ მეფემან და ჰრქუა: უკუეთუ ნანდვლ ჰეშმარიტად, სედრაქ, მისაქ და აბედნაგო, ლმერთთა ჩემთა არა მსახურებთ და ხატსა მას ოქრომასსა, რომელი ავჰმართე, არა თაყუანის-სცემთ?

15. უკუეთუ აწ განმზადებულ ხართ, რაჲთა რაჲმს გესმეს კმაჲ ნესტკსა და სტკრისაჲ, ბობლნისა და ებნისაჲ და შესხმისაჲ და ყოვლისა თითო-პირისა სახიობისაჲ, დავარდით და თაყუანის-ეცით ხატსა მას ოქრომასსა, რომელი მე ავჰმართე. უკუეთუ არა თაყუანის-სცეთ, მასვე უამსა შესცვეთ საკუმილსა ცეცხლისა აგზებულისა. და ვინ არს ლმერთი, რომელმან განგარინნეს თქუენ ჯელთაგან ჩემთა?

16. მიუგეს სედრაქ, მისაქ და [აბედნაგო][v] ნაბუქოდონოსორს და ჰრქუეს: არა მიკმს სიტყვსა მიგებად შენდა, მეფე,

17. რამეთუ არს ლმერთი ჩუენი ცათა შინა, რომელსა ჩუენ ვჰმსახურებთ, რომელი შემძლებელ არს განრინებად ჩუენდა საკუმილისა მისგან ცეცხლისა აღგზებულისა და ჯელთაგანცა შენთა მიცნნეს ჩუენ, მეფე.

18. უკუეთუ არა, უწყებულ იყავნ შენდა, რამეთუ ღმერთთა შენთა არა ვკმსახურებთ და კერპსა მას ოქროსასა, რომელი შენ აჰმართე, არა თაყუანის-ვსცემთ.

19. მაშინ ნაბუქოდონოსორ აღივსო გულის-წყრომითა დიდითა და ფერი პირისა მისისაჲ ექცეოდა ზედა სედრაქ, მისაქ და აბედნაგოჲსა. და თქუა: აღაგზენით საკუმილი ეგე შვდ წილად, ვიდრემდის სრულიად აღადყდეს.

20. და კაცთა ძრიელთა უბრძანა შეკრავა სედრაქ, მისაქ და აბედნაგოჲსი და შეთხევად მათი საკუმილსა მას ცეცხლისა აგზებულისასა.

21. მაშინ კაცი ესე შეიკრნეს ნიფხავ-კუართითურთ მათით და შეითხინეს შორის საკუმილსა მას ცეცხლისა აგზებულისასა შეკრულნი,

22. რამეთუ სიტყუაჲ იგი მეფისაჲ უფროჲს განძრიელდებოდა. და საკუმილი იგი უმეტეს აღადყდებოდა, და კაცი იგი, რომელთა შესთხინეს სედრაქ, მისაქ და აბედნაგო, მოსრნა იგინი აღმან მან გარემოჲს.

23. და კაცი ესე სამნი: სედრაქ, მისაქ და აბედნაგო შეითხინეს შორის საკუმილსა ცეცხლისა აგზებულისასა შეკრულნი.

24. იქცეოდეს შორის აღსა მას ცეცხლისასა, უგალობდეს ღმერთსა, აკურთხევდეს უფალსა.

25. და წარდგა აზარია, ილოცვიდა ესრეთ, აღალო პირი თვისი შორის ცეცხლსა და თქუა:

26. კურთხელ ხარ შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო, ქებულ და დიდებულ არს სახელი შენი უკუნისამდე.

27. რამეთუ სამართალით ესე ყოველი მიყავ ჩუენ, რამეთუ მართალ ხარ შენ, უფალო, ყოველნი საქმენი შენნი ჭეშმარიტებით არიან, გზანი შენნი წრფელ არიან და ყოველი მსჯავრი შენი მართალ არს.

28. სასჯელი სიმართლისაჲ მოავლინე ჩუენ ზედა ყოველისავეთჲს, რაჲ-იგი მოავლინე ჩუენ ზედა, ზედა ქალაქსა მას წმიდასა მამათა ჩუენთასა იერუსალჴმსა, ჭეშმარიტად სიმართლით მოავლინე ესე ყოველი ჩუენ ზედა დღეს ცოდვათა ჩუენთათჲს.

29. რამეთუ შეგცოდეთ ჩუენ, ყოველითავე ურჩულო ვიქმნენით და განგიდევით ჩუენ შენგან, ვცოდეთ ყოველი [370] თურთ.

30. მცნებათა შენთაჲ არა ვისმინეთ, არა ვიმარხეთ, არცა ვყავთ, ვითარ-იგი შენ მამცენ ჩუენ, რაჲთამცა კეთილი მეყო ჩუენ შენგან.

31. აწ ყოველი, რომელი მოავლინე ჩუენ ზედა, და ყოველი: რაოდენი მიყავ ჩუენ, სიმართლისა სასჯელითა ჰყავ.

32. მიმცენ ჩუენ კელთა მტერთა ჩუენთასა ურჩულოთა, ფიცხელთა განდგომილთა და კელთა მეფისა ურჩულოხსათა, უძვრქს უფროხს ყოვლისა ქუეყანისა მიმცენ ჩუენ.

33. და არა არს ეამი აღებად პირისა ჩუენისა, რამეთუ სირცხული და ყუედრებაჲ შეიქმნა მონათა შენთა და მსახურთა შენთა.

34. ნუ მიმცემ ჩუენ სრულიად სახელისა შენისათვის, ნუ განაქარებებ აღთქუმასა შენსა,

35. და ნუ განმაშორებ წყალობასა შენსა ჩემგან აბრაჰამისთვის, საყუარელისა შენისა, ისაკ, მონისა შენისა, და ისრაჲლ; წმიდისა შენისა.

36. რომელთა ეტყოდე და სთქუე: განვამრავლო ნათესავი თქუენი ვითარცა ვარსკელაენი ცისანი და ვითარცა ქვშაჲ ზღვს კიდისაჲ.

37. აწ. უფალო, შევემცირდით ჩუენ უფროხს ყოველთა წარმართთა და ჩუენ დაგლაზაკებულ ვართ ყოველსა ქუეყანასა ზედა დღეს [ცოდვითა] ჩუენთათვის.

38. არა არს ეამსა ამას მთავარ. წინაწარმეტყუელ და წინამძღუარ, არცა საკუერთხნი მსხუერპლთანი. არცა საკუმეველი. არცა ადგილი მსხუერპლთაჲ შეწირვად შენ წინაშე

39. და პოვნად წყალობისა, არამედ თავითა დამდაბლებულითა და სულითა გლაზაკობისაჲთა.

40. შე-მცა-წირულ ვართ ჩუენ ვითარცა საკუერთხნი მსხუერპლთანი ზუარაკთანი და ვითარცა ბევრეულნი კრავთა მართებულთანი. ეგრე შეწირულ იყავნ მსხუერპლი ესე ჩუენი დღეს შენ წინაშე: რაჲთა სრულ ვიყვნეთ ჩუენ შედგომად შენსა და რაჲთა არა გურცხუენოდის ყოველთა, რომელნი გესავთ შენ.

41. აწ შეგიდგთ შენ ყოვლითა გულითა ჩუენითა, მეშინის ჩუენ შენგან, ვეძიებთ პირსა შენსა. უფალო.

42. ნუ მარცხუენ ჩუენ, არამედ შენ ჰყავ წყალობაჲ შენი ჩუენ თანა სიტკობებითა შენითა და მრავლითა წყალობითა შენითა.

43. განმარინენ ჩუენ საკვრველებითა შენითა და დიდებულ ყავ სახელი შენი. უფალო.

44. რაჲთა ჰრცხუენოდის ყოველთა, რომელნი შეაჩუენებენ მონათა შენთა ძვრსა: სირცხულელ იქმნე [ნ] მძღავრებანი მათნი და ყოველი [v] [ძლიერებაჲ] მათი შეიმუსრენ.

45. და გულისხმა-ყონ, რამეთუ შენ უფალი ღმერთი მხოლოჲ მაღალ და დიდებულ ხარ ყოველსა ზედა სოფელსა.

46. და არა დასცხრებოდეს მსახურნი იგი მეფისანი, რომელთა შესთხინეს სამნი იგი ყრმანი აგზებულსა მას საკუმილსა. აგზებდეს იგინი საკუმილსა მას შინა ნავთსა, ფისსა, ნაძეძსა და ნასხლევსა.

47. აღვიდოდა და ამალღებოდა ალი იგი ზედა საკუმილსა მას ორმოც და ცხრა წყრთა.

48. მოვიდოდა და მოეხუეოდა და შესწუვიდა ყოველთა, რაოდენთა ჰპოვნებდა ქალღვევლთაგანსა გარემოჲს საკუმილსა მას.

49. მას ჟამსა გარდამოცდა ანგელოზი უფლისაჲ შორის აზარიანთსა და მიმოდაყარა ალი. იგი საკუმილისა მისგან ცეცხლისაჲსა.

50. ყო შორის საკუმილსა მას შინა ცეცხლისაჲსა და აღისაჲსა ვითარცა ქარი ცუარისაჲ რაჲ ნიავი, არა შეეხებოდა მათ რაჲთურთით ცეცხლი იგი. არა შეაწუხებდა, არცა ავნებდა რას.

51. მას ჟანსა სანინივე იგი ყრმანი ვითარცა ერთისა პირითა უგალობდეს. აკურთხევდეს, აღიდებდეს ღმერთსა საკუმილსა მას შინა და იტყოდეს:

52. კურთხეულ ხარ შენ, უფალი ღმერთი მამათა ჩუენთაჲ, ქებულ, დიდებულ და ამალღებულ უკუნისამდე. კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა შენისაჲ, ქებულ, დიდებულ და ამალღებულ უკუნისამდე.

53. კურთხეულ ხარ შენ ტაძარსა წმიდასა დიდებისა შენისაჲ, ქებულ, დიდებულ და ამალღებულ უკუნისამდე.

54. კურთხეულ ხარ შენ, რომელი ზი ქერაბინთა და [ხე]დავ უფსკრულთა, ქებულ, დიდებულ და ამალღებულ უკუნისამდე.

55. კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა სუფევისა შენისათა, ქებულ, დიდებულ და ამალღებულ უკუნისამდე.

56. კურთხეულ ხარ შენ სამყაროსა ზედა ცასა ცათასა, ქებულ, კურთხეულ, დიდებულ და უფროჲსად ამალღებულ უკუნისამდე.

57. აკურთხევდით! ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა.

58. აკურთხევდით ცანი და ანგელოზნი უფლისანი უფალსა.

60. აკურთხევდით წყალნი ყოველნი ზესკენელს,

61. ცათანი ძალნი უფლისანი უფალსა.

62. აკურთხევდით მზე და მთოარც,

63. ვარსკულავნი ცისანი უფალსა.

64. აკურთხევდით წკმაჲ და ცუარი,

65. ყოველნი ქარნი უფალსა.

66. აკურთხევდით ცეცხლი და ცხელი,

50. ნიავინ. 54. ქრზინთა.

1 57-ე მუხლის წინ მითითება: „აკურთხევდით“ კმითა ზრძანეთ.

71. ღამენი და ღღენი უფალსა.
 72. აკურთხევდით ნათელი და ბნელი,
 70. ყინელი და ტფილი უფალსა.
 73. აკურთხევდით თრთვლი და თოვლი, ელვანი და ღრუბელნი უფალსა.
 74—75. აკურთხევდით ქუეყანად, მთანი და ბორცუნი უფალსა.
 76—77. აკურთხევდით ყოველი მცენარე ქუეყანისაჲ, ზღუაჲ და მდინარენი უფალსა.
 78—79. აკურთხევდით წყაროებით ვეშაპნი და ყოველნი რაჲ იძრიან წყალთა შინა უფალსა.
 80—81. აკურთხევდით მფრინველნი ცისანი, მკეცნი და ყოველნი პირუტყუნნი უფალსა.
 82. [371] აკურთხევდით ძენი კაცთანი, ისრაელი უფალსა.
 84—85. აკურთხევდით მღღელნი უფლისანი, მონანი უფლისანი უფალსა.
 86—87. აკურთხევდით სულეები და სულნი მართალნი, ღირსნი და მდაბალნი გულითა უფალსა.
 88. აკურთხევდით ანანია, აზარია და მისაელ უფალსა, რამეთუ განმარინნა ჩუენ ჯოჯოხეთისაგან და ჯელთაგან სიკუდილისათა მიჰსნა ჩუენ და გამომიყვანნა ჩუენ შორის საჯუმილისაგან აგზებულისა და შორის ცეცხლისა განმარინნა ჩუენ.
 89. აუარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი.
 93. და¹ ნაბუქოდონოსორს ვითარცა ესმა გალობაჲ იგი მათი, დაუჟკრდა და მოვიდა წრაფით კარსა მას: საჯუმილისასა და ჰრქუა: სედრაჲ, მისაჲ და აბედნაგოს, მონანი ეგე ღმრთისა მალლისანი, გამოვედით საჯუმლისა მაგისაგან და მოვედით ჩემდა! გამოვიდეს სედრაჲ, მისაჲ და აბედნაგო შორის ცეცხლსა მას და მოვიდეს მისსა.
 94. და შეკრბა სოფლები იგი და მარზაპნები და ერისთავები იგი და ყოველნი მფლობელნი და მდიდარნი მეფისანი ხილვად მათ კაცთა, რამეთუ არა ეუფლა მათ რამეთურითთ ცეცხლი იგი და ვარჯნი თავთა მათთანი არა შეიტუსნეს, და სამოსელსა მათსა ფერი არა ექცა. და რამეთურითთ სული ცეცხლისაჲ არა იყო მათ თანა.
 95. სიტყუად იწყო ნაბუქოდონოსორ და თქუა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი სედრაჲ, მისაჲ და აბედნაგოჲსი, რომელმან მოაგულინა ანგელოზი მისი და იჰსნნა მონანი თვისნი, რამეთუ ესვიდეს მას

94. თავთა] თმათა.

¹ 3, 90-92-ის ტექსტი არ მოიპოვება ხელნაწერში.

და ბრძანებად მეფისად შეურაცხ-ყვეს, მისცნეს თავნი თვისნი ცეცხლსა. რადთა არა მსახურონ სამსახურებელსა უცხოთა და არცა თაყუანის-სცენ შიშსა სხუასა, არამედ ღმერთსა ხოლო თვისსა.

96. აწ განცხადებულად დავსდებ ბრძანებათა ამას, რადთა ყოველმან ერმან და ნათესავმან თესლად-თესლადმან, ენამან. რომელმან იკადროს საგმობელი სიტყუად ღმრთისათვის სედრაქ, მისაქ და აბედნაგოფსა, იგინი წარსაწყმედელსა მიეცნენ და საზლნი მათნი იავარის-ყოფასა, რამეთუ ვერ ძალ-უც სხუასა ღმერთსა ესევეითარისა ძალისა ჩუენებად, ვითარ-ესე მან იცნნა ესენი.

97. მიერთგან დიდებულ ყვნა მეფემან სედრაქ, მისაქ და აბედნაგო ქუეყანასა მას [v] ბაბილოვნელთასა და აღამაღლნა იგინი და ჰლოცვიდა მათ, რადთამცა იყვნეს იგინი მთავრად ყოველთა ზედა. ჰურიათა, რომელნი იყვნეს ყოველსა მას სოფლებსა მისსა.

თ ა ვ ი 7

2. [140v] მე, დანიელ, ვხედვედ ჩუენებასა ღამისასა, და აჰა ესერა ოთხნი ქარნი ცისანი ეკუთვნეს ზღუასა მას დიდსა.

3. და ოთხნი მკეცი აღმოვიდოდეს მიერ ზღვთ, უმჯობესი ერთი-ერთისა.

4. პირველი იგი ვითარცა ლომი ძუვი, და ესხნეს ფრთენი ვითარცა ორბისანი; ვხედვედ ვიდრემდის მოეფხურნეს ფრთენი მისნი, და გამოვიდა ქუეყანად და ფერკთა ზედა კაცისათა დადგა. და გული კაცისად მოეცა მას.

5. და აჰა ესერა მკეცი იგი მეორე გამოვიდოდა, მსგავსი დათვისად. და ერთ კერძო დადგა იგი, და სამნი ფერცხალნი პირსა შინა მისსა შორის კბილთა მისთა; და ესრტთ ეტყოდეს მას: [141] აღდეგ და შეჰამენ კორცნი მრავალთანი.

6. და მისა შემდგომად ვხედვედ, და აჰა ესერა სხუად მკეცი ვითარცა ვეფხი; და მას ესხნეს ფრთენი ოთხნი მფრინველისანი ბექთა ზედა მისთა, და ოთხნი თავნი მის მკეცისანი, და ფლობად მოეცა მას.

7. ამისა შემდგომად ვხედვედ, და აჰა მკეცი მეოთხე გამოვიდოდა საშინელი და განსაკვრვებელი და ძრიელი უმეტეს ყოველთასა, კბილნი მისნი რკინისანი; ჰამდა და დააწურილებდა და ნეშტსა მას ფერკითა დასთრგუნეიდა. ესე იყო უფროეს და უმეტეს ყოველთა მათ მკეცთა, უწინარესლა მისთა. და ათნი რქანი ედგნეს მას.

8. და აჰა ესერა რქად ერთი მცირე აღმოვიდოდა შორის რქათა მათ მისთა და განიფხურნეს სამნი რქანი წინაშე მისსა პირისაგან მი-

სისა: და აჰა ესერა თუალნი ვითარცა კაცისანი რქასა მას მისსა, და ჰირი, რომელი იტყოდა დიდ-დიდსა.

9. ვხედვედ ვიდრემდე საყდარნი დაიდგნეს, და ძეული იგი დღეთა დაჯდა; სამოსელი მისი სპეტაკ იყო ვითარცა თოვლი, და თმათა თვისა მისისა — ვითარცა მატყული წმიდაჲ; საყდარი მისი — ვითარცა ალი ცეცხლისაჲ, ურმის-თუალნი მისნი ცეცხლებრ მოტყინარენი.

10. მდინარჲ ცეცხლისაჲ იქცეოდა წინაშე მისსა; ათასნი ათასთანი დგეს წინაშე მისსა და ბევრნი ბევრთანი მსახურებდეს მას; სასჯელი დაეგო, და წიგნნი მათიანისანი განეხუნეს.

11. ვხედვედ მაშინ კმისა მისგან სიტყუათაჲსა დიდ-დიდსა, რომლისა რქაჲ იგი იტყოდა, ვიდრემდის წარწყმდა მკეცი იგი და მოისპო. და კორცნი მისნი მიეცნეს დასაწუველად ცეცხლისა.

12. და სხუათა მკეცთა მთავრობაჲ მიიცვალა და სიგრძე ცხორებისაჲ მოეცა ვიდრე მრავლად ჟამადმდე.

13. ვხედვედ ჩუენებასა ღამისასა, და აჰა ესერა ღრუბელთა თანა ცისათა ვითარცა ძე კაცისაჲ მოვიდოდა და ვიდრე ძუელისა მის დღეთაჲსა მოიწია [v] წინაშე მისსა.

14. და მას მთავრობაჲ მოეცა და პატივი სუფევისაჲ და ყოველნი ტომნი და ერნი და ენანი მსახურებდეს მას; და კელმწიფებაჲ მისი კელმწიფება საუკუნო, რომელი არა წარჯდეს; და სუფევაჲ მისი არა განირყუნეს.

15. შეძრწუნდა გული ჩემი გუამსა შინა ჩემსა და მე, დანიელს, ხილვაჲ იგი თავისა ჩემისაჲ შემადრწუნებდა მე.

16. და მოუკედ ერთსა მას წინაშე-მდგომარეთაგანსა და გამოკეშმარიტებულესად ვეძიებდ ამის ყოვლისათვის; და მოთხრა მე კეშმარიტად და შეტყუებაჲ სიტყუათაჲ მაუწყა მე და მრქაჲ:

17. ესე ოთხნი მკეცნი — ოთხნი მეფენი — აღდგენ ქუეყანასა ზედა.

18. და წარიღონ სუფევაჲ წმიდათა მალლისათა და დაიპყრან უკუნისამდე.

19. გამოვეძიებდ კეშმარიტად მკეცისა მისთვის მეოთხისა, რომელი-იგი იყო უდიდეს და უფროჲს ყოველთა მკეცთა მათ და საშინელ უმეტეს, კბილნი მისნი რკინისანი და ფრცხილნი მისნი რვალისანი; ჰამდა და დააწურილებდა და ნეშტსა მას ფერკთა დასთრგუნვიდა;

20. და რქათა მათ მისთა, რომელნი იყვნეს თავსა მისსა, და ერთისა მისთვის რქისა, რომელი აღმოვიდოდა უკუანაჲსკნელ და გან-

7, 16. გამოკეშმარიტებულესად. 19. ფრცხილნი] ფერკნი.

ფხურნა სამნი იგი პირველნი, რომელსა-იგი თუალნი ესხნეს და პირი, რომელი იტყოდა დიდ-დიდსა და ხილვად მისი უდიდესს სხუათა მათ მკეცთა,

21. ვხედვედ და მკეცი იგი ჰყოფდა ბრძოლასა წმიდათა მიმართ მალლისათა, რამეთუ განძრეილდებოდა მათ ზედა,

22. ვიდრემდე მოვიდეს ძუელი იგი დღეთაჲ, და სასჯელი წმიდათა მალლისათა მოეცა, და ჟამი მოიწია და დაიპყრეს სასუფეველი წმიდათა.

23. და მკეცი იგი მეოთხმე მეთუფებაჲ მეოთხმე იყოს ქუეყანასა ზედა, რომელმან ჰმატოს ყოველთა მეთუფეთა და შექამოს ყოველი ქუეყანაჲ და დათრგუნოს იგი [142] და მოსრას.

24. და ათნი იგი რქანი — ათნი მეფენი — აღდგენ, და შემდგომად მათსა აღდგეს სხუაჲ, რომელმან ჰმატოს სიბოროტითა სხუათა მათ, რომელნი იყვნეს უწინარქს მისსა, და სხუანი იგი მეფენი დაამდაბლნეს;

25. და სიტყუასა მალლისა მიმართ იტყოდის და წმიდათა მალლისათა ჰბრძოდის; და ჰგონებდეს, ვითარმედ ცვალნეს ჟამნი და შჯული, და მიეცეს კელსა მისსა ვიდრე ჟამადმდე ერთად და ჟამთა და კერძოთა ჟამისათა.

26. სასჯელი დააგოს და მთავრობაჲ ცვალოს განსარყუნელად და წარწყმედად.

27. და მეთუფებაჲ და კელმწიფებაჲ და დიდებაჲ და დიდებულებაჲ მეფეთაჲ მათ, რომელნი იყვნეს ყოველსა ქუეყანასა, მოეცეს წმიდათა მალლისათა, და სუფევაჲ საუკუნოჲ და ყოველნი მთავრობანი ჰმონებდენ მას და ერჩიდენ.

28. აქამომდე დასასრულ სიტყუსაჲ ამის.

თ ა ვ ი 12

1. [29] მას ჟამსა შინა აღდგეს მიქაელ, დიდი იგი მთავარი, რომელი დგას ზედა ძეთა ერისა შენისათა; და იყოს ჟამი ჳირისაჲ, ჳირი, რომელი არა ყოფილ იყოს, ვინაჲთგან იქმნა ნათესავი ვიდრე მუნ ჟამამდე; და მას ჟამსა განერეს ერი შენი ყოველი, რომელი იბოოს დაწერილი წიგნსა მას ცხოველთასა.

2. და მრავალნი, რომელნი დაძინებულ იყვნენ ქუეყანასა მიწასა, აღდგენ ესენი ცხორებად საუკუნოდ და რომელნიმე ყუედრებად და სირცხვლად საუკუნოდ.

3. ხოლო გულისხმის-ყოფელნი იგი გამობრწყინდენ ვითარცა ბრწყინვალეებაჲ სამყაროჲსაჲ, და მართალთაგანნი მრავალნი — ვითარცა ვარსკულავნი ცისანი საუკუნოდ და მერმეცა.

წინაწარმეტყულება ოსტნი

თ ა ვ ი 1

1. [55v] სიტყუა უფლისაჲ, რომელი იყო მსმსა მი[56]მართ. ძისა ბერისა, დღეთა ოზიადსთა და იოთამისთა და აქაზისთა და ეზეკიადსთა. მეფისა იუდაისთა, და დღეთა იორობოამისთა, ძისა იოაფისთა, მეფისა ისრაჲლისთა.

2. დასაბამი სიტყუათა უფლისათაჲ მსმსა მიმართ. და ჰრქუა უფალმან მსეს: წარვედ და მოიყვანე თავისა შენისაჲ დედაკაცი სიძვისაჲ და შვილნი მისნი სიძვისანი, რამეთუ სიძვით ისიძვიდეს ქუეყანაჲ უკუანათაგან უფლისა.

3. და წარვიდა და მოიყვანა გომერ, ასული დებელამისი; და მიუდგა და უშვა მას ძმ.

4. და ჰრქუა ღმერთმან: უწოდე იეზრაელ, ამისთვის რამეთუ მცირედლა და შური ვიძიო მე სახლისა მისთვის იეზრაელისა და სახლსა ზედა იუფსსა და დავაცხრვო მეფობაჲ ისრაჲლისაჲ.

5. და იყოს, მათ დღეთა შინა შევმუსრო მშვლდები ისრაჲლისაჲ ღელესა მას იეზრაელისასა.

6. და მიუდგა და უშვა მას ასული, და ჰრქუა მას უფალმან: უწოდე სახელი მისი „არა-შეწყალებულ“, რამეთუ არღარა შევსძინო მერმე შეწყალებად სახლი ისრაჲლისაჲ, არამედ წინა-აღდგომით წინა-აღუდგე მათ.

7. ხოლო ძენი იუდაისნი შევიწყნარნე და ვიკსნენ იგინი უფლისა მიერ ღმერთისა მათისა; და არა ვიკსნენ იგინი მშვლდითა, არცა მახვლითა. არცა ბრძოლითა; არცა ცხენებითა, არცა მკედრებითა.

8. და სძესა განეყენა არა-შეწყალებული იგი, და მიუდგა და უვა ძმ.

9. და უწოდა სახელი მისი: „არა ერი! ჩემი“, და არა ვარ ღმერთი თქუენი, რამეთუ არა ხართ თქუენ ერი ჩემი.

1. 1 ბერისა] აბერისა, იოაფისთა] იოსიადსთა. 2. მსმს. 3. დებელამისი] უბელამისი. 4. იუფსსა] იუდაისსა]. 5. ისრაჲლისაჲ] იეზრაელისაჲ; ღელსა.

1 „ერი“ სხვა ხელითაა ჩამატებული ზემოდან.

თ ა შ ი 2

1.¹ და იყოს ღათუ რიცხვ ძეთა ისრაჲლისათაჲ ვითარცა ქვშად [ზღვსაჲ]. რომელი არა აღიწყოს, არცა აღირაცხოს, ნეშტი ოდენ ცხონდეს. და იყოს ადგილსა მას, სადა-იგი ეწოდ[ვ]ოს მათ „ძე ღმრთისა ცხოველისა“.

2. და შეკრბენ ძენი იუდაჲსნი და ძენი ისრაჲლისანი ერთად და დაიდგინონ თავისა მათისა მთავარი ერთი, და აღმოვიდენ ქუეყანისა მისგან. რამეთუ დიდ არს დღჲ იგი იეზრაელისა.

3. არქუთ ძმათა თქუენთა: „ერი ჩემი“, და დასა თქუენსა: „შეწყნარებული“.

4. ესაჯენით დედასა თქუენსა. ესაჯენით, რამეთუ იგი არა ცოლი ჩემი და მე არა ქმარი მისი.

18. [109v] და იყოს, მას დღესა შინა, იტყვს უფალი, მხადოს მე მან: „ქმარი ჩემი“ და არღარა ხადოს მან „ბალაამის“.

19. [და მოიღოს სახელი ბალაამისი]² პირისა მისისაგან და არღარა მოიყსენონ სახელები მათი.

20. და აღუთქუა მათ აღთქუმაჲ მათი მათ დღეთა შინა მკეცთა თანა ველისათა და მფ[110]რინველთა ცისათა და ქუეყნარმავალთა ქუეყანისათა; მშვლდი და ბრძოლაჲ და მახვლი შევმუსრო ქუეყანით და დაგამკვდრო შენ სასოებით.

21. და მოგიტხოო შენ თავისა ჩემისა საუკუნოდ და მოგიტხოო შენ თავისა ჩემისა სიმართლით და განკითხვით და წყალობით.

22. და მოგიტხოო შენ თავისა ჩემისა სარწმუნოებით და იცნა შენ უფალი.

23. და იყოს, მას დღესა შინა. იტყვს უფალი, ვისმინო მე ცისაჲ და ცამან ისმინოს ქუეყანისაჲ;

24. და ქუეყანამან ისმინოს იფქლისაჲ და ღვნისაჲ, და მათ ისმინონ ეზრაელისაჲ(!).

25. და დავსთესო იგი თავისა ჩემისა ქუეყანასა და შევიწყალო „არა-შეწყალებული“ იგი და ვკრქუა „არა ერსა ჩემსა“: ერი ჩემი ხარი შენ; და მან მრქუას: უფალი ღმერთი ჩემი ხარი შენ.

2. 1. ძმ(2). 20. ქუშწარმავალთა.

¹ 2, 1-2-ის ტექსტი სომხურ თარგმანში 1, 10-11 მუხლებად მიდის.

² გვიანდელი ხელითა ჩამატებული გამორჩენილი სიტყვები: „და მოიღოს სახელი ბალაამისი“.

თ ა ვ ი 14

2. [38v] მოიქეც, ისრაჲლ, უფლისა ღმრთისა შენისა, რამეთუ მოუძრულდი სიცრუეითა შენითა.

3. მიიხუენით თქუენ თანა სიტყუანი და მოიქეცით უფლისა ღმრთისა თქუენისა, არქუთ მას: ძალ-გიც მიტევებაჲ ცოდვათაჲ. რამეთუ არა მიილოთ სიცრუეჲ და მიილოთ კეთილი, და მივაგოთ ნაყოფი ბაგეთა ჩუენთა[ჲ].

4. ასურ ვერ მიცხნეს ჩუენ, ცხენთა არა ავსხდეთ, არღარა ვთქუათ: ღმერთნი ჩუენნი, ქმნულნი კელთაგან კაცთაჲსა; რომელი არს შენ შორის, ობოლი შეიწყალოს.

5. და განვეკურნო საყოფელი მათი და შევიყუარნე იგინი [ერთბამად; რამეთუ მოიქცა გულის-წყრომაჲ ჩემი მათგან].

6. ვიყო მე ვითარცა ცუა[39]რი ისრაჲლსა შორის; ყუაოდის ვითარცა შროშანი და დაიბნეს ძირნი ვითარცა ლიბანმან.

7. და განვიდენ რტონი მისნი და იყოს ვითარცა ზეთის-ხილი ნაყოფი მისი, და საყნოსელი მისი ვითარცა გუნდრუკისაჲ.

8. მოიქცენ და დასხდენ ქუეშე საფარველსა მისსა, ცხონდენ იჟქლითა, განმტკიცენ და ყუაოდის ვითარცა ვენაჲი საქსენებელი მისი და ღვნოჲ ლიბანისაჲ.

9. ეფრემისი, რაჲლა არს მერმე მისი და კერპთაჲ? მე დავამდაბლე იგი და მე განვაძრიელე იგი; მე ვითარცა ნაძუ ბორობანი. ჩემგან ნაყოფი მისი პოვენებულ.

10. ვინ არს ბრძენ და გონიერ და გულისხმა-ყოს ესე და გონიერმან ცნას ესე? რამეთუ წრფელ არიან გზანი უფლისანი, და მართალნი ვიდოდიან, ხოლო უღმრთონი მოუძრულდენ.

14. 2. ჩუნთა[ჲ]+და განშუენდენ კეთილითა გულნი თქუენნი [გვიანდელი ხელთა ჩამატებული]. 5. იგინი]+-ერთბამად, რამეთუ მოიქცა გულის-წყრომაჲ ჩემი მათგან“ [გვიანდელი ხელთა ჩამატებული]. 8. ქუეშე.

წინაწარმეტყუელაგად იოველისი

თ ა ვ ი 1

1. [339]¹ სიტყუა უფლისა, რომელი იყო იოველისა მიმართ, ძისა ბათოელისა.

2. ისინეთ ესე, მოხუცებულთა, და ყურად-იღეთ, ყოველთა დამ-კვდრებულთა ქუეყანისათა; უკუეთუ იქმნა ესევეითარი დ[ლ]ეთა თქუენთა ანუ დღეთა მამათა თქუენთასა?

3. მათოვს შვილთა თქუენთა უთხრობდით და შვილნი მათნი — ნათესავთა სხუათა.

4. ნეშტი ჭირისაჲ შეჰამა მკალმან, და ნეშტი იგი ნკალისაჲ შეჰ-ამა ბუზმან, და ნეშტი იგი ბუზისაჲ შეჰამა გესლმან.

5. განიფრთხვეთ, რომელთა-ეგე გთრავს, ღვნითა თვისითა [v], ტიროდეთ; გოდებდით, ყოველნი სუამთ ღვნოსა სიმთრვალედ, რა-მეთუ მოღებულ არს პირისაგან თქუენისა შუებჲა და მხიარულებჲა.

6. რამეთუ ნათესავი აღმოვდა ქუეყანასა ჩემსა ძრიელი და ურცხვ. კბილნი მათნი და კბილნი ლომისანი და შუანი მათნი ლე-კუთა მათთანი.

7. დავდვა სავენაჲჲ ჩემი განსარყუნელად და ლელოანი ჩემი შე-სამუსრველად: გამოძიებით გამოვიძინე იგინი და გან[ვ]ავდო. და განასპეტაკნა რტონი მისნი.

8. გოდებდეს ჩემდამო სძლისათვს, შემოსილისა ძაძითა ქმარსა ზედა თვისსა ქალწულებით.

9. განსაძლებელ არს შესაწირავი და მსხუერპლი სახლისაგან უფლისა: იგლოვდით მღდელნი, მსახურნი ეკლესიისანი,

10. რამეთუ უბადრუკ იქმნნეს ველნი: იგლოვდინ, ქუეყანაჲ...

11. რამეთუ უბადრუკ იქმნა იფქლისათვს და ქრთილისა, რამეთუ წარწყმდა სათუებელი ღელეთაგან.

12. ვენაკი განჰმა და ლელოანი შემცირდა. და მროწეული და და-ნაკის-კუდი და ვაშლი და ყოველი ხჲ ველისაჲ განჰმა, რამეთუ არ-ცხვნეს სიხარულსა.

13. მოირტყენით და იგლოვდით მღდელნი, გოდებდით მსახურ-

¹ ამაზე მხედრულით მიწერილა: თავი პირველი. აგრეთვე გამოყოფილია მეხლების სათვალავი (ა, ბ, გ, დ და ა. შ.).

ნი ეგე ღმრთისანი, რამეთუ დაესრულა სახლისაგან ღმრთისა თქუენისა შესაწირავი და მსხუერპლი.

14. [47v] წმიდა ყავთ მარხვად, ქადაგეთ მსახურებაჲ, შეკერბით მოხუცებულნი, ყოველნი დამკვდრებულნი ქუეყანისანი სახლსა ღმრთისა ჩუენისასა და ღალადებდით ღმრთისა მიმართ ერთბამად.

15. ვადმე, ვადმე, რამეთუ მოახლებულ არს ღმრთი იგი უფლისაჲ და ვითარცა უბადრუკებაჲ უბადრუკებისაგან მოიწიოს.

16. რამეთუ წინაშე თუალთა ჩუენთა საზრდელი განკმეს. სახლისაგან უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ — სიხარული და მზიარულებაჲ.

17. ხლდებოდიან დეკეულნი ბაგათა მათთა და განირყუნეს საუნჯენი და დაირღუეს(!) საწნებელნი, რამეთუ განკმა იფქლი.

18. რად-მე დავიუნჯოთ თავისა ჩუენისათვის? ტიროდეს მროწეულნი ზროხათანი, რამეთუ არა იყო მათა საძოვარი; და სამწყსონი ცხოვართანი განირყუნეს.

19. შენდამი ვლალადებ, [ღმერთო], რამეთუ ცეცხლმან განლია შუენიერებაჲ უდაბნოჲსა, და აღმან შეწუა ყოველი შუენიერებაჲ ლიბანისაჲ.

20. და პირუტყუთა ქუეყანისათა აღიხილნეს შენდამი, რამეთუ განკმეს გამოსავალნი წყალთანი და ცეცხლმან შექამა ყოველი შუენიერებაჲ უდაბნოჲსაჲ.

თ ა მ ი 2

12. [69v] და აწ ამას იტყვს უფალი ღმერთი თქუენი: მოიქეცით ჩემდა ყოვლითა გულითა თქუენითა მარხვითა, ტირილითა და ტყებითა.

13. დაიბენით გულნი თქუენნი და ნუ სამოსელი თქუენი; მოიქეცით უფლისა ღმრთისა თქუენისა. რამეთუ მოწყალე არს და შემწყნარებელ, სულგრძელ და დიდად მოწყალე და შეინანის ბოროტის ყოფისათვის კაცთაჲსა.

14. ვინ უწყის, მოიქეცს ჯა შეინანოს და....

ჯ

15. [28v]¹ ნესტუ აღამალეთ სიონს შინა, მარხვად მიაწიეთ, კურნებასა ქადაგებდით:

1. 17. საუნჯენი; დაირღუეს. 19. ვლალადებ[ღმერთო ჩამატებულია გვიანდელი ხელით].

2. 13. მოწყალე. 15. ნესტუ. 16. სასუენებელით (ჯ) სე[...]. ეოსით.

¹ ეს საკითხავი (იოვ. 2, 15—18) შეცდომით ესაიასად არის დასახელებული ხელნაწერში.

16. ერი შემოკერბით, წმიდა ყვენიტ ეკლესიანი, შეიწყნარებდით მოხუცებულთა, შემოჰკრებდით ძუძუეს-მწოვართა, ნინევთა; გამოვედინ სიძმ [სასუენებელით] და სძალი — ეზოფთ თვსით.

17. შორის აღსავალსა საკურთხეველისასა ტიროდეთ მღდელნი და მსახურნი უფლისანი, იტყოდეთ: ულხინე, უფალო, ერსა შენსა [29] და ნუ მისცემ ნაწილსა შენსა სირცხვლსა ყუედრებისასა, რაფთა აოა უფლებდენ მათ ზედა წარმართნი და რაფთა არა თქუან: სადა არს ღმერთი იგი მათი?

18. და შეშურდა ღმერთსა ქუეყანისა თვისისა და შეიწყალა ერი თვსი.

4

15. [339v] დაჰბერეთ ნესტუსა სიონს შინა, წმიდა ყავთ მარხვამ, ჭადაგეთ მსახურება.

16. შეკერბით ერი, წმიდა ყავთ ეკლესიამ, გამოარჩიენით ჩჩკლნი. ძუძუეს-მწოვარნი, გამოვედინ სიძმ სასუენებელით თვსით და სძალი — სასძლოფთ თვსით.

17. და შორის აღსავალსა საკურთხეველისასა [340] ტიროდეთ მღდელნი, რომელნი მსახურებთ უფალსა, და იტყოდეთ: ულხინე. უფალო. ერსა შენსა და ნუ მისცემ სამკვდრებელსა შენსა საყუედრელად და არა თქუან: სადა არს ღმერთი იგი მათი?

18. და შეიშურვა უფალმან ქუეყანისა მისთვის და ერისათვს.

19. და მოუგო უფალმან ერსა თვსსა და ჰრქუა: აჰა ესერა გამოგვივლინო თქუენ იფქლი და ღვნოფ და ზეთი და განსძლეთ და არღარა მიგცნე თქუენ საყუედრელად წარმართთა.

21. [88v] ნუ გეშინინ, ქუეყანაო, გიხაროდენ და იხარებდ, რამეთუ განადიდა უფალმან ყოფად.

22. ნუ გეშინინ ჰირუტყუთა მაგათ, რამეთუ განმწუანდეს ველნი უღაბნოფსანი. რამეთუ ხე[89]მან გამოიღო ნაყოფი თვსი და ლელუმან მოსცეს ძალი თვსი.

23. და შვილთა სიონისათა გიხაროდენ და მხიარულ იყვენით უფლისა მიმართ ღმრთისა თქუენისა, რამეთუ მოგცა თქუენ საზრდელი სიმართლედ; და გიწვმოს თქუენ წვამა მსთუაფ და მცხუელი, ვითარცა-იგი ჰირველ.

24. და აღივსნენ კალონი თქუენნი იფქლითა, და გარდაეცემოდინ საწნეხელნი თქუენნი ღვნითა და ზეთითა.

25. და მოგაგო წელთა მათ წილ, რომელთა შეჰამა მკალმან და

ბუზმან და გესლმან და ჭიამან, ძალმან ჩემმან დიდმან, თქუა უფალმან, რომელი გამოვავლინე თქუენ ზედა.

26. და განსძღეთ და აქებდეთ სახელსა უფლისა ღმრთისა თქუენისასა. რომელმან ყო საკრებელი თქუენ თანა; და არა ჰრცხუენეს ერსა ჩემსა უკუნისამდე.

27. და სცნათ, რამეთუ ისრაჲლსა შორის მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, და არავინ არს ჩემსა გარეშც, და არა ჰრცხუენეს ერსა ჩემსა უკუნისამდე.

თ ა ვ ი 3

1. [107v]¹ და იყოს. ამისა შემდგომად, იტყვს უფალი, მივჭვინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა კორციელსა, და წინაძსწარმეტყუელებდენ ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი, და მოხუცებულნი თქუენნი ხილვასა იხილვიდენ, და ჭაბუკთა თქუენთა ჩუენებითა განეცხადოს.

2. და მონათა ჩემთა ზედა და მკეველთა მათ დღეთა შინა მივჭვინო სულისაგან ჩემისა, და წინაძსწარმეტყუელებდენ.

3. და ვსცე ნიშებ ცათა შინა და სასწაულ ქუეყანასა ზედა: სისხლი და ცეცხლი და არმური ქუეყანისა.

4. მცმ გარდაიქცეს ბნელად, და მათგარც — სისხლად ვიდრე მოსლვამდე დღისა მის დიდისა და განჩინებულისა.

5. და იყოს, ყოველმან რომელმან ზადოს სახელსა უფლისასა. ცხონდეს. რამეთუ მთასა სიონსა და იერუსალმსა იყოს განარინებული, ვითარცა თქუა უფალმან. და მახარებელი იგი, რომელთა მოუწოდის უფალი ღმერთი ჩუენი.

თ ა ვ ი 4

1. რამეთუ მე აჰა ესერა მათ დღეთა შინა და მათ ჟამთა, რაჟამს მოვაქციო ტყუშ იუდაისი და იერუსალმისა.

2. და შეკრბენ ყოველნი ნათესავნი და შთავიყვანენ იგინი დღელსა მას იოსაფათისასა და ვესჯოდი მათ ერისათვს ჩემისა ისრაჲლისა, რომელნი განიბნინეს წარმართთა შორის და ქუეყანაჲ ჩემი განიყვეს.

3. და ერსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი, და ყრმანი მისცნეს მცაეთა და ქალებსა განჰყიდდეს ღვნოდ.

4. რაჲ არს ჩემი და თქუენი, ტვროს და სიდონ, და ყოველი ეგე გალილეაჲ უცხო თესლთაჲ? ნუ მოსაგებელსა რას მომაგებთ მე? ანუ

¹ ბერძნული რედაქციის 3. 1-5 სომხურ თარგმანში (რუსულშიც) 2, 28-32-ად მიდის. ასევე მე-4 თავის ტექსტი — მე-3 თავის ტექსტად.

ძვრსა რას იქსენებთ ჩემ ზედა? მწრაფლ და ადრე მი[108]გაგო
 თქუენ მისაგებელი თქუენი თავთა თქუენთაჲ,

5. მისთვის რამეთუ ოქროჲ ჩემი და ვეცხლი ჩემი მიიღეთ და
 რჩეული და კეთილი შეიღეთ ტაძრად თქუენდა,

6. და ძენი ისრაჲლისანი მიჰყიდენით ძეთა წარმართთასა, რადთა
 განჰკადნეთ საზღვართაგან მათთა.

7. აჰა ესერა მე აღვადგინნე იგინი მიერ ქუეყანით, ვიდრე-იგი
 მიჰყიდენით მუნ, და მიგაგო თქუენ მისაგებელი თავთა თქუენთაჲ.

8. და მისცნეთ ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი კელთა იუდა-
 ასთა. განყიდნენ იგინი ტყუედ ნათესავეთა შორიელთა და განშორე-
 ბულთა, რამეთუ პირი უფლისაჲ იტყოდა ამას.

9. [127v] ქადაგეთ ესე წარმართთა შორის, წმიდა-ყავთ ბრძო-
 ლაჲ, აღადგინენით მბრძოლნი. მოიყვანენით და აღვიდოდეთ ყო-
 ველნი კაცნი მბრძოლნი.

10. დაჰრენით საჯნისნი თქუენნი კრძლად და მანგლები თქუენი
 ლახურად; უძრული იგი იქადოდენ, ვითარმედ: ძალ-მიც.

11. შეკერბით და მოვედით ყოველნი თესლნი გარემოჲს და შე-
 კერბით მუნ; მშუდი იგი იყავნ მბრძოლ.

12. აღდეგით და აღვიდოდეთ ყოველნი ნათესავნი ღელესა იოსა-
 ფატისასა, რამეთუ მუნ დაეჯდე გასჯად თესლებსა გარემოჲს.

13. გამოავლინენით მანგალნი, რამეთუ შემოწვენულ არს სთუ-
 ლებაჲ; შევედით და წნეხდით, რამეთუ სავსე არიან საწნეხელნი,
 და გარდაეცემიან ტაგარნი, რამეთუ განმრავლებულ არიან უკეთუ-
 რებანი მათნი.

14. ოხრით ოხრიდენ ღელესა მას სასჯელისასა.

15. მზმ და მთოვარმ დაბნელდენ, და ვარსკულავთა დაიფარნენ
 ბრწყინვალეებანი.

16. ხოლო უფალმან სიონით ღაღად-ყოს და იერუსალმით მო-
 სცეს კმაჲ თვისი; და შეიძრნენ ცანი და ქუეყანაჲ; ხოლო უფალმან
 ჰრიდოს ერსა თვისსა და განაძრიელნეს ძენი ისრაჲლისანი.

17. და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, რომე-
 ლი ღამკვდრებულ ვარ სიონს, მთასა წმიდასა ჩემსა; და იყოს იე-
 რუსალმში [წმიდა], და უცხო თესლი არღარა განვიდეს მიერ.

18. და იყოს, [128] მას ღღესა შინა გამოადინებდენ მთანი სი-
 ტკბობებასა და ბორცუნი—სძესა, და ყოველთა გამოსატევებელ-
 თა იუდაასთა დიოდინ წყალნი, და წყაროჲ სახლისაგან უფლისა
 გამოვიდოდის და მოჰრწყვიდეს კევსა მას ნაწილთასა.

19. ეგვიპტე განსარყუნელად იყოს და იღუმიაჲ — ველად გან-
რყუნისა სიცრუევეთაგან ძეთა იუდაჲსთა, ამისთვის რამეთუ დასთხიეს-
სისხლი უბრალოჲ ქუეყანასა ზედა.

20. ხოლო ჰურიასტანი უკუნისამდე ეგოს და იერუსალჲმი —
თესლით თესლამდე.

21. და შურ ვიგო თესლისაგან მათისა და არა უბრალო ვყვნე:
იგინი, და უფალმან დაიმკდროს სიონს შინა.

წინაწარმეტყუელებად ამოსისი

თ ა ვ ი 1¹

1. [255v] სიტყუანი ამოსისნი, წინააწარმეტყუელისანი, რომელნი იყვნეს კარიათიმს შინა, რომელი იხილა ისრაჲლისათვს დღეთა ოზია მეფისა ჰურიასტანისათა და დღეთა იორობოამისთა, ძისა ამოსისთა, მეფისა ისრაჲლისათა უწინარჲს ორით წლით ძრვისა მის.

2. და თქუა: უფალმან სიონით ღალად-ყო, იერუსალჲმით მოსცა კმაჲ თვისი, და იგლოვდენ საძოვარნი სამწყსოთანი, რამეთუ განება თხემი კარმელისაჲ.

3. და თქუა უფალმან: სამთა ზედა უღმრთობებათა დამასკოჲსათა და ოთხთა არა გარე-მივიქცე, ამისთვის რამეთუ განხერხვიდეს ხერხითა რკინისაჲთა მოციქულთა გალადისათა.

4. და მოვაველინო ცეცხლი სახლსა ზედა აზაელისსა. და შექამნეს საფუძველნი (ძისა) ადერისნი.

5. და შემუსრნეს მოციქულნი დამასკოჲსანი, და მოვსრნე დამკვდრებულნი ველისაგან მნესა, და მოვწყვდო ტომი კაცთა ქანანისათაჲ, და წარიტყუენოს ერი ასურელთაჲ რჩეული, იტყვს უფალი.

6. ამას იტყვს უფალი: საძნთა ზედა უღმრთობებათა გაზაჲსათა და ოთხთა არა გარე-მივიქცე წარტყუენვისა მისთვის მათისა და შეყენებისა მისთვის იღუმისა(!).

7. და გამოვაველინო ცეცხლი ზღუდეთა [ზედა] გაზაჲსათა და [256] შექამნეს საფუძველნი აზოტისანი.

8. და აღიზოცოს ტომი ასკალონისაჲ; და მივეყო კელი ჩემი ასკალონსა ზედა და წარვწყმიდნე ნეშტნი იგი უცხო თესლთანი, იტყვს უფალი.

თ ა ვ ი 4

2. [24v] ფუცა უფალმან სიწმიდითა თვისითა და თქუა: რამეთუ: აჰა ესერა მოვიდენ დღენი თქუენ ზედა და წარგიხუნენ თქუენ ქურვილებითა მათითა და. რომელნი თქუენ თანა იყვნენ. შთათხივნენ ქუაბებსა განჭურვებულსა.

1. 4. ადერისნი] აზელისნი. 5. ასურეთაჲ.

¹ დასაწყისში მხედრულად მიწერილია: თავი ბ. ამავე ხელით 1. 1—9, 7, 4—17 მესხლების სათვალავიცაა აღნიშნული (ახალი დაყოფისებრ).

3. და მოგიყვანნენ თქვენ შიშუელნი მამები და დედები ურთიერთსა პირსა შემოსუევით და განგთხინენ თქვენ მათთა ზედა რემანისათა. [25] თქუა უფალმან.

4. შევედით ბეთელად და ურჩულოებდით გალგალას და განამრავლეთ ეღმრთობაჲ და მოიღეთ და შეწირეთ ნაზორევი თქუენი განთიად და ათეული თქუენი სამ ქამს.

5. და აღმოიკითხვიდეს შჯულსა ვარე და ხადეს აღსაარებით; უთხართ იგი. რამეთუ ესრეთ შეიყუარეს იგი ძეთა მათ ისრაჲლისათა, თქუა უფალმან.

6. მიგცე თქვენ საღმობაჲ კბილთაჲ ყოველსა შინა ქალაქსა თქუენსა და სიძნელჲ პურისაჲ — ყოველთა შინა ადგილთა თქუენთა; და არცა ეგრე მოიქეცით, თქუა უფალმან.

7. და დავაყენე წვმაჲ თქუენგან სამით თთვთ წინა სთულეებისაჲთ და ერთსა ქალაქსა არა უწვმო. ერთი ნაწილი შეისოვლოს და ერთი ნაწილი არა შეისოვლოს; და ნაწილსა მას რომელი არა შეისოვლოს. იგი განვმეს, თქუა უფალმან.

8. და შეკრბეს ორი და სამი ერთსა ქალაქსა სუმად წყლისა და არა განძლენ; და ეგრეცა არა მოიქცეთ ჩემდა, თქუა უფალმან.

9. და გგუემნე თქვენ სიცხითა. და ეგრეცა არა მოიქცეთ ჩემდა. თქუა უფალმან. და განამრავლეთ ურჩულოებაჲ თქუენი და საყურძენი თქუენი და ლელონი და ზეთის-ხილოანი შექამა იგი მგრაგნელმან. და ეგრეცა არა მოიქეცით. თქუა უფალმან.

10 და მოვაგლინე სიკუდილი ქუეყანასა თქუენსა. მოვწყვდენ ჰაბუკნი თქუენნი მახვლითა და წარგიქციენ თქუენ ტყუედ წინაშე ფერჯთა ჰუნეთასა და ვსაჯე ბანაკი თქუენი ცეცხლითა და რისხვითა ჩემითა; და არცა ეგრე მოიქეცით ჩემდა. თქუა უფალმან.

11. და დაგაქციენ თქუენ, ვითარცა სოდომაჲ და გომორაჲ, და იყვენით თქუენ ვითარცა მუგუზი ერთი. გამოტაცებული ცეცხლით: არცა ეგრე მოიქეცით ჩემდა. თქუა უფალმან.

ღ

12. ამისთვის ესრე გეტყვს უფალი: ისრაჲლ. განემზადე [v] ხადად სახელსა ღმრთისა შენისასა.

13. რამეთუ აჰა ესერა. რომელმან განამტკიცნა ქუხილნი და დაჰბადა სულები, მიუთხრობს კაცთა შორის ცხებულსა მისსა, გამოაბრწყინვის ცისკარი და დაადგინის ნისლი და მისწუთების სი-

4, 3. რემანისათა] არამანისათა.

ღირმეთა ქუეყანისათა; უფალი ღმერთი ყოვლისა-მპყრობელ არს სახელი მისი.

4

12. [266] ამისთვის ესრე გიყო შენ, ისრაჲლ; გარნა რამეთუ ესრე გიყო შენ, განემზადე ხადად ღმრთისა შენისა, ისრაჲლ.

13. რამეთუ ესერა მე განვამტკიცო ქუხილი და დაეკბადო სული, და მიუთხრა კაცთა ცხებული მისი; მე შევექმენ ცისკარი და ნისლი; და შევიდეს სიმაღლესა ქუეყანისასა უფალი ღმერთი. ყოვლისა-მპყრობელ არს სახელი მისი.

თ ა ვ ი 5

1. [25v] ისმინეთ სიტყუად უფლისაჲ, რომელსა-ესე მე აღვიღებთქუენ ზედა, გოდებაჲ აღიღოს სახლმან ისრაჲლისამან.

2. დაეცა და შეიმუხრა ქალაქები სახლისა ისრაჲლისაჲ, და არავინ იყოს აღმმართველ მისა.

3. ესრე იტყვს უფალი: ქალაქისაჲ მის, რომლისაჲ გამოჰდის ათასი. ასი დაშთის; და რომლისაჲ გამოვიდოდა ასი, მუნ დაშთესათი სახლსა ისრაჲლისასა.

4. [81] რამეთუ ამას იტყვს უფალი სახლსა ისრაჲლისასა: გამომიძიეთ მე და სცხონდეთ.

5. და ნუ ეძიებთ ბეთელსა და გალგალად ნუ განხუალთ და ჯუღმულსა მას ფიცისასა ნუ წიად-ხუალთ, რამეთუ გალგალად წარტყუენვით წარიტყუენოს და ბეთელი იქმნეს ვითარცა არა-ყოფილი.

6. გამოიძიეთ უფალი და სცხონდეთ, რაჲთა აღადყდეს ვითარცა ცეცხლი სახლი იოსებისი და შექამოს იგი, და არავინ იყოს და-მშრეტელ სახლსა ზედა ისრაჲლისასა.

7. რომელი იქმნ სიმაღლედ ზასჯელსა და სიმაართლჳ ქუეყანასა ზედა დაამტკიცა.

8. რომელი იქმნ ყოველსა და გარდასცვალებს განთიად აჩრდილსა სიკუდილისასა და დღჳ ღამედ დააბნელოს. რომელი მოუწესს წყალთა ზღვსათა და მიჰფინის იგი პირსა ზედა ქუეყანისასა; უფალ არს სახელი მისი.

9. რომელი განუყოფს შემუსრვასა ძალსა ზედა და უბადრუებაჲ ძნელოანსა ზედა მოაწიოს.

10. [v] მოიძულეს ბჭეთა ზედა მამხილებელი და სიტყუაჲ წმიდაჲ მოიძაგეს.

11. ამისთვის დაჰქენჯნიდეს გლახაკთა და ძღუენსა რჩეულსა მიიღებდით მათგან; სახლებსა იშწნებდით და არა დაიმკვდროთ მათ შინა: ვენაკი გულის-სათქუმელი დაასხთ და არა სუათ ღვნოჲ მისგანი.

12. რამეთუ ვცან მრავალი უღმრთოებაჲ თქუენი და ძრიელ არიან ცოდვანი თქუენნი, დასთრგუნავთ მართალსა და მოიღებთ ნაცვალსა და გლახაკთა ბჭეთაგან განასხამთ.

13. ამისთვის რომელმან გულისხმა-ყოს მას ქამსა შინა, ღუმენინ. რამეთუ ქამი ბოროტი არს.

14. გამოიძიეთ კეთილი და ნუ ბოროტი, რაჲთა სცხონდეთ. და იყოს ესრცთ, თქუა უფალმან, და უფალი ღმერთი ყოვლისა-მპყრობელი თქუენ თანა, ვითარცა-იგი სთქუთ.

15. მოიძულეთ ბოროტი და შეიყუარეთ კეთილი და კუალად-მოაგეთ ბჭეთა ზედა სამართალი, რაჲთა შეიწყლოს უფალმან ღმერთმან ყოვლისა-მპყრობელმან ნეშტი იოსებისი.

თ ა მ ი 7

4. [256] და მიჩუენა მე უფალმან და აჰა ესერა მოუწოდა სასჯელსა ცეცხლითა და შეჰქამნა უფსკრულნი მრავალნი. და თქუა: მივედ და შეჰქამე ნაწილი იგი.

5. და ვთქუ: უფალო უფალო, ლხინება ყავ. ვინ აღადგინოს იაკობი, რამეთუ შემცირებულ არს.

6. შეინანე. უფალო, ამას ზედა. და ესე არა იყოს, იტყვს უფალი.

7. და მერმე მიჩუენა მე უფალმან. და აჰა ესერა ვიხილე კაცი, მდგომარც ზღუდეთა ზედა ანდამანტიისათა, და კელთა მისთა აქუნდა ანდამანტია.

8. და მრქუა მე უფალმან: რასა ხედავ შენ, ამოს? და ვთქუ: ვხედავ ანდამანტიასა. და მრქუა მე: აჰა ესერა მე დაეღვა ანდამანტიაჲ შორის ისრაჴლსა და არღარა შევესძინო თანა-წარსლვად (მისა).

9. და განირყუენენ სახლნი იგი მემღერთანი, და ბაგინნი იგი ისრაჴლისანი დაეცნენ. და აღვდგე სახლსა ზედა იორობოამისსა და ვსაჯო იგი მახვლითა.

10¹. და მოავლინა ამასია ქურუმმან ბეთალიაჲსამან იორობოამისა, მეფისა ისრაჲლისასა. და ქუეყანაჲ ვერ დაუთმობს ყოველთა მათ სიტყუათა მისთა, რომელსა იტყვს.

11. რამეთუ ესრე იტყვს ამოს, ვითარმედ: იორობოამ მახვლითა დაეცეს, ხოლო ისრაჲლი ტყუედ წარიყვანონ ქუეყანით მისით.

12. და ჰრქუა ამასია ამოს[ს]: მხილველო, ვიდოდე. განეშორე და მივედ ჰურიასტანად² და მუნ იყავ და მუნცა წინაჲსწარმეტყუელებდ,

13. ...რამეთუ სიწმიდჲ არს მეფისაჲ [v] და სახლი სამეუფოჲ არს.

14. და ჰრქუა ამასიას ამოს: არა ვიყავ მე წინაჲსწარმეტყუელი, არცა ძჲ წინაჲსწარმეტყუელისაჲ. არამედ მწყემსი ვიყავ და ვწულოვედ ტუტასა,

15. და გამომიყვანა მე უფალმან სამწყსოჲსაგან ჩემისა და მრქუა მე: მივედ და წინაჲსწარმეტყუელებდ ერსა ჩემსა ისრაჲლსა ზედა.

16. აწ ისმინე სიტყუაჲ უფლისაჲ. რამეთუ სთქუ: ნუ წინაჲსწარმეტყუელებდ ისრაჲლსა ზედა და ნუ აშურებ სახლსა იაკობისსა.

17. ამისთვის ესრე იტყვს უფალი: ცოლი შენი ქალაქსა ისიძვიდეს და ძენი შენნი და ასულნი შენნი მახვლითა მოისრნენ, და ქუეყანაჲ შენი საბლითა განიზომოს, და შენ ქუეყანაჲა არაწმიდასა აღესრულო. ხოლო ისრაჲლი ტყუედ წარიყვანონ ქუეყანით მისით.

თ ა ვ ი 8

1. რამეთუ ესრეთ მიჩუნა მე უფალმან.

9. [188] და იყოს. მას დღესა შინა, იტყვს უფალი, დაჰკდეს მჲც შუა-სამხრის და დაბნელდეს ქუეყანასა ზედა, და მოაკლდეს მას დღესა შინა ნათელი.

10. და გარდაეპცინე დღესასწაულნი თქუენნი გლოვად და ყოველნი გალობანი თქუენნი — გოდებად, და შევარტყა ყოველთა წელთა ძაძაჲ და ყოველსა თავსა სიმტიერჲც; და დავდვა იგი ვითარცა გლოაჲ საყუარელისაჲ და მისთანანი იგი ვითარცა დღჲ საღმობისაჲ.

11. აჰა ესერა დღენი მოვლენან, იტყვს უფალი, და გამოვავლინო სიყმილი ქუეყანასა ზედა, არა სიყმილი პურისაჲ, არცა წყურთილი წყლისაჲ, არამედ სიყმილი სმენად სიტყუაჲ ღმრთისაჲ.

12. ამასია] ამოსია. 14 ამასია] ამოსია. 17. უფალი] + უფალი [ჩამატებულია გვიანდელი ხელით].

¹ აშაზე სომხური მინაწერია + „ბეთელ მჲც“.

² აევა.

12. და აღიძრნენ წყალნი ზღუადმდე და ჩრდილოეთგან ვიდრე აღმოსავლადმდე და მიმორბიოდინან და ეძიებდენ სიტყუასა ღმრთისასა და არა ჰპოვებდენ.

თ ა ვ ი 9

11. [256v] მას ღღესა შინა აღვჰმართო საყოფელი დავითისა. დაცემული. და აღვაშშნო დარღუეული მისი. აღვჰმართო და აღვაშშნო იგი ვითარცა ღღენი საუკუნენი.

12. რაათა გამოიძიონ ნეშტთა კაცთა უფალი. და ყოველთა თესლთა ზედა, რომელთა წოდებულ არს სახელი ჩემი მათ ზედა, იტყვს უფალი, რომელმან შექმნა ესე ყოველი საცნაურნი საუკუნითგან.

13. აჰა ესერა ღღენი მოვლენან. იტყვს უფალი. და წარეწიოს ლეწვაჲ სთუელსა, ჰრელოდ[ის] ყურძენი თესლთა თანა, და გამოადინებდენ მთანი სიტკბობასა, და ყოველნი ბორცუნი მცენარე იყვნენ.

14. და მოვაქციო ტყუშ ერისა ჩემისა ისრაჲლისაჲ და აღვაშშნო ქალაქი მოოჯრებული. და დაეშშნნენ მას შინა. დაასხან ვენაკი და სუმიდენ ღვნოსა; და იქმნან მტილები და ჰამდენ ნაყოფსა მათსა.

15. და დავჰნერგნე იგინი ქუეყანასა მათსა [257], და არღარა მოიფხურნენ იგინი ქუეყანისაგან მათისა, რომელი-იგი მივეც მათ, იტყვს უფალი ყოველისა-მჰყრობელი.

წინაწარმეტყულება იონაძის

თ ა ვ ი 1

1. [201v] და იყო სიტყუა უფლისაჲ იონაძისა მიმართ, ძისა ამათისა, და თქუა:

2. აღდეგ და წარვედ ნინევედ ქალაქად და ლალადებდ მუნ, რამეთუ ამალდა ლალადებაჲ უკეთურებისა მათისაჲ.

3. და აღდგა იონა სივლტოლად თარშით კერძო პირისაგან უფლისაჲსა და შთავიდა იოპედ და პოვა მუნ ნავი, რომელსა მიემართა, და მივიდოდა თარშით კერძო, და მისცა მან სასყიდელი ნავისაჲ და აღკდა მას წარსლვად მათ თანა თარშით პირისაგან უფლისაჲსა.

4. და აღადგინა ღმერთმან ქარი სასტიკი ზღუასა მას შინა და ნავი იგი მიიწია შემუსრვად.

5. და ზარი განჰკდა მენავეთა მათ შიშითა დიდითა და ხადად იწყო კაცად-კაცადმან ღმრთისა მიმართ თვისისა და გარდაჰყრიდეს ჭურჭელსა მათსა ნავით ზღუად, რაჲთა აღამცრონ ნავი იგი. და იონა შთასრულ იყო უბესა მის ნავისასა, ეძინა და ხურინვიდა.

6. მივიდა მისა მენავეთ მოძღუარი იგი, ჰრქუა: [202] რაჲ არს ეგე, რამეთუ სძე და ხურინავ? აღდეგ და ხადოდე უფალსა ღმერთსა შენსა, გინაცა განგუარინნეს ჩუენ და არა მოვწყდეთ.

7. მერმე იწყო კაცად-კაცადმან მოყუსისა მიმართ თვისისა და თქუეს: მოვედით და წილს-ვიგდოთ და გულისხმა-ვყოთ, ვისთვის-ძი არს ესე ყოველი ჩუენ ზედა. წილს-ითხინნეს და წილი იგი აღმოკდა იონას ზედა.

8. და ეტყოდეს მას: მითხარ ჩუენ, რაჲ არს ესე ძვრი ჩუენ ზედა. რაჲ არიან საქმენი შენნი, ანუ ვინაჲ ხარ, ანუ რომლისა სოფლისაჲ ხარ შენ, ანუ რომლისა ერისაჲ?

9. და ჰრქუა მათ იონა: მონაჲ ვარი მე ღმრთისაჲ და უფალსა ღმერთსა ვჰმსახურებ, რომელმან შექმნა ცაჲ და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და გმელი.

10. და შეეშინა კაცთა მათ შიშითა დიდითა, რამეთუ გულისხმაყვეს. ვითარმედ პირისაგან ღმრთისა ლტოლვილ იყო, რამეთუ მან უთხრა მათ.

11. და ჰრქუეს მას: აწ რაღ გიყოთ შენ, და დასცხრეს ზღუაჲ ესე ჩუენ ზედა? რამეთუ ზღუაჲ ესე უფროჲს აღიმრლუევის და ლელვანი ესე უფროჲს განრისხნებთან ჩუენ ზედა.

12. ჰრქუა მათ იონა: აღმიქვთ და შთამაგდეთ მე ზღუასა მაგას, და დასცხრეს ზღუაჲ ესე თქუენ ზედა, რამეთუ ჩემ გამო იყო ყოველი ესე ჰირი თქუენ ზედა.

13. და მენავენი იგი აიძულებდეს ნავსა მას, რაჲთამცა უკუნ-აქციეს კმელადვე, და ვერ შეუძლეს, რამეთუ ზღუაჲ იგი უფროჲს აღიმრლუეოდა და განსასტიკნებოდა მათ ზედა.

14. იწყეს ღალადებად უფლისა მიმართ და თქუეს: ნუსადა იყოფინ. უფალო, ნუ წარმწყმედ ჩუენ სულისათჳს ამის კაცისა და ნუ მოჰკნდი ჩუენ ზედა სისხლსა მართლისასა, რამეთუ შენ, უფალო, რაღცა გონდა, ჰყავ.

15. და აღიქუეს იონა და შთააგდეს ზღუასა მას; [v] და დასცხრა მუნთქუესვე ზღუაჲ იგი ამრლუევისა მისგან.

16. და შეეშინა კაცთა მათ შიშითა დიდითა; იწყეს თაყუანისცემად და მსხუერპლისა შეწირვად ღმრთისა და აღთქუემად აღნათქუემთა.

თ ა შ ი 2

1. და უბრძანა უფალმან ღმერთმან ვეშაპსა მას დიდსა შთანთქმაჲ იონაჲსი; და იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე.

2. იწყო იონა თაყუანისცემად უფლისა მიმართ ღმრთისა თჳსისა მუცლით გამო ვეშაპისაჲთ.

3. და თქუა: ჰირსა ჩემსა უფლისა მიმართ ვღალად-ყავ, და ისმინა ჩემი ღმერთმან; უფსკრულთაგან ჯოჯოხეთისათა გესმა კმაჲ ჩემი.

4. რამეთუ შთამაგდეს მე სიღრმესა გულსა ზღვსასა და მოქცევამან წყლისამან მომიცვა მე; ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ლელვანი შენნი მე ზედა-გარდამყდეს.

5. და ვთქუ: გან-მე-გდებულ ვარა პირისაგან თუალთა შენთაჲსა, ანუ შე-ლა-მე-ვისძინო აწ მიხედვად ტაძარსა წმიდასა შენსა?

12. აღმიქვთ. 13. გ-ნსტიკნებოდა. 15. აღიქუეს; მუნთქუესვე.

ჲ. 1. ღღმ; ღამმ.

6. გარდამეცნეს მე წყალნი ვიდრე სულად ჩემდამდე და უფსკრულთა გარე-მომიცივეს მე, შთაჯდა თავი ჩემი.

7. ნაპრაღსა მათათასა შთავედი მე, [...] ქუეყანად, სადა ვიხილენ მოქლონ[ნი] მისნი, ვითარცა კლიტენი საუკუნენი; აწ გამოვდინ განხრწნისაგან ცხორებაჲ ჩემი შენდამი, უფალო ღმერთო ჩემო.

8. მოკლებასა სულისა ჩემისასა ვმა-ვეყავ და შენ, უფალო, მაცხოვრე მე, და მიიწიენ ლოცვაჲ ჩემი ტაძრად წმიდად შენდა.

9. რამეთუ მცველნი იგი სიცრუვისანი წარწყმდენ.

10. ხოლო მე კმითა კურთხევისა და აღსაარებისაჲთა გიგალობდე შენ და შეეწირო მსხუერბლი და აღვასრულო აღნათქუემი ჩემი მაცხოვრისა მიმართ.

11. და უბრძანა უფალმან ღმერთმან [203] ვეშაპსა მას დიდსა გამონერწყუვაჲ იონაჲსი კმელად.

თ ა ვ ი 3

1. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იონა[ჲსა] მიმართ მეორედ და თქუა:

2. აღდგე და წარვედ ნინევედ, დიდად ქალაქად, და მუნ ღაღადებდ, ვითარცა პირველ გეტყოდე შენ.

3. აღდგა და წარვიდა იონა ნინევედ, ვითარცა უბრძანა მას უფალმან; ხოლო ნინევე ქალაქი იყო საზომით სიდიდისა მისისაჲ, სამ დღის სავალ გზა.

4. ვითარცა შევიდა იონა ქალაქსა მას ერთისა დღისა სავალსა, იწყო ღაღადებად და თქუა: აჰა სამ დღელა და ნინევი დაიქცეს.

5. და ჰრწმენა კაცთა მათ ნინეველთა ღმერთი, და ქადაგი ვმობდა: მარხვაჲ მოაწიეთ, ძაძაჲ შთაიციუნ დიდითგან კნინადმდე მათა.

6. და მიიწია სიტყუაჲ ესე მეფისა მის ნინეველთაჲსა; აღდგა მუნთქუესვე საყდართაგან თვსთა და განიძუარცა სამოსელი საშარავანდოჲ და შთაიციუა ძაძაჲ და დაჯდა იგი ნაცარსა ზედა,

7. და უბრძანა ქადაგებაჲ ყოველსა ქალაქსა და ჰრქუა მათ: კაცსა და საცხოვარსა, პირუტყუსა და ზროხასა ნუ უფლიედ გემოჲს ხილვაჲ ნურარაჲ, ნუცა საძოვრისაჲ, ნუცა წყალსა სუმაჲ.

8. და შთაიციუა ყოველმან კაცმან ძაძაჲ და შეაყენეს საცხოვარი თვისი, და ხადეს ღმერთსა ყოვლითა გულითა მათითა; და მოიქცა კაცად-კაცადი გზისაგან თვისისა ბოროტისა და უკეთურებისაგან, რაჲ-იგი იყო კელთა შინა მათთა.

9. თქუეს: გინაცა თუ იხილოს ესე ღმერთმან და შეინანოს ჩუენ ზედა და გარე-წარაქციოს გულის-წყრომაჲ რისხვისა მისისაჲ და არა წარეწყმდეთ.

10. მიხედა ღმერთმან საქმეთა მათთა, რამეთუ გარე-მოაქციეს საქმეთაგან უკეთურებისა მათისათა, [v] და შეინანა ღმერთმან გულის-წყრომაჲ იგი რისხვისა მისისაჲ, რომელი ეგულებოდა ყოფად მათა, და არა უყო.

თ ა ვ ი 4

1. ვითარცა იხილა იონა, შეწუხნა ფრიად და შეიძნო.

2. აღდგა თაყუანის-ცემად ღმრთისა და თქუ: ეჰა, უფალო, არა ესე სიტყუანი არიან, რომელთა ვიტყოდე მუნვე ქუეყანასა ჩემსა? ამისთვის ვისწრაფე სილტოლად თარშით კერძო, რამეთუ უწყოდე, ვითარმედ შენ მოწყალე ხარ და შემწყნარებელ და დიდად მოწყალე და შეინანი ძკრის ყოფაჲ კაცთაჲ.

3. აწ, უფალო ღმერთო ჩემო, მიიღე სული ჩემი ჩემგან, რამეთუ შჯობს ჩემთვის სიკუდილი ვიდრე ცხოვრებაჲ.

4. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან იონას: უკუეთუ ნანდვლ შეწუხებულ ხარ?

5. გამოვიდა მიერ ქალაქით იონა, განვიდა და დაჯდა იგი წინა-შე ქალაქისა მის და იქმნა მუნ შუაგ ერთ და დაჯდა იგი, ვიდრე იხილოს, რაჲ-ძი ეყოს ქალაქსა მას.

6. და უბრძანა უფალმან ღმერთმან აყიროსა აღმოცენებაჲ სას-თუნლით კერძო იონაჲსა, რაჲთა აგრილობდეს თავსა მისსა სიცხისა მისგან ურვისა. და განიხარა იონა აყიროსა მას ზედა სიხარულითა დიდითა.

7. მერმე უბრძანა ღმერთმან მატლსა ცისკრისასა დაცემაჲ აყიროსაჲ მის, და ხვალისაგან დასცხა, და განაჯმო.

8. და იყო დაცხობაჲ მზისაჲ და უბრძანა ღმერთმან ხორშაკსა ნიავებად სიცხჲ შერეული თავსა ზედა მისსა და გულ-გდებულად შეაურვა მას, და შეუმოკლდეს სულნი მისნი. და იტყოდა იონა: შჯობს ჩემი სიკუდილი ვიდრე ცხოვრებაჲ. მე ნუ უმჯობჲს ვარა მამათა ჩემთა?

9. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან იონას: ქეშმარიტად შეწუხებულ ხარ აყიროსა მაგას ზედა? და ჰრქუა იონა: ფრიად შეწუხებულ ვარ ვიდრე სიკუდილმდე.

10. ჰრქუა მას უფალმან: აწ უკუე შენ შეგეწყალა აყიროჲ ესე, [204] რომელსა ზედა არცა შუერ, არცა ჰრწყე, არცა აღაორძინე, ლამე აღმოსცენდა და ერთსა ლამესა წარჯდა.

11. მე-მცა არა მეწყალოდა ნინევე, ქალაქი დიდი, რომელსა შინა დამკვდრებულ არს უმეტეს ათორმეტისა ბევრისა, რომელთა არა იციან მარჯუნჲ მათი გინა მარცხენჲ მათი და საცხოვარი მათი?

წინაწარმეტყუელებად მიქიაფსი

თ ა ვ ი 4

6. [340] მას ღღესა შინა, იტყვს უფალი, შეცკრიბნე შემუსრვილნი და განძებულნი შევიწყნარნე, რომელნი-იგი განვიშორენ,

7. და დავსხნე შემუსრვილნი იგი ნეშტად და განშორებულნი იგი — ნათესავად დიდად და ძრიელად, და მეუფებდეს მათ ზედა უფალი სიონს შინა ამიერითგან და უკუნისამდე.

8. და შენ, გოდოლო სამწყსოფსაო, მაღალო ასულო სიონისაო, შენ ზედა მოაწიოს და შევიდეს დასაბამი პირველი მეფისა ბაბილოვნისაჲ ასულისა იერუსალმისაჲ.

9. და აწ რაფსათვს სცან ბოროტი, ნუუკუე მეფე არა გესუა შენ? ზრახვად შენი წარწყმდა, რამეთუ შეგიპყრეს შენ საღმობათა, ვითარცა შობისათა.

10. გელმოდენ და მცნე იყავ და მიეახლე ასული სიონისაჲ. ვითარცა შობადი. რამეთუ აწ განხვდე ქალაქით და დაემკვდრო ველსა ზედა და შეხვდე ვიდრე ბაბილოვნადმდე. მიერ განგარინოს შენ და მიერ გიყსნეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან კელთაგან მტერთა შენთაჲსა.

11. და აწ შეკრბა შენ ზედა ნათესავი მრავალი, რომელნი იტყვან: მოგუეც ცხოვრების, [v] და იხილონ თუალთა ჩუენთა სიონი.

12. და მათ ვერ ცნეს ზრახვად უფლისაჲ და არა გულისხმავყენეს ნებანი მისნი, რამეთუ შეკრიბნეს იგინი ვითართა მკვლელბი კალოფსაჲ.

13. აღდგე და ლეწევდ მათ, ასული სიონისაჲ, რამეთუ რქანი შენნი შეგასხნე რკინისანი და ბრჭალნი შენნი შეგადგნე რვალისანი და დააწულილნე ერნი მრავალნი და დაამხუნე მით წარმართნი და შეჩუენებულ ჰყვნე უფლისა სიმრავლმ მათი და ძალი მათი უფლისა ყოვლისა ქუეყანისა.

თ ა ვ ი 5

6. [382] წყლულებანი დამწყსიდენ ასურასტანელსა მას მახვლითა და ქუეყანაჲ ნებროთისი — პანტეზსა მისსა, და გიგსენს შენ ასურასტნელისა მისგან, რაჟამს მოვიდეს ქუეყანასა თქუენსა და ოდეს მოიწიოს სამთავროთა თქუენთა.

7. და იყოს ნეშტი იაკობისი წარმართთა შორის ერსა მრავალსა, ვითარცა ცუარი უფლისა მიერ გარდამოსრული და ვითარცა კრავნი მწუანვილსა, რაჟთა არავინ შეკრბეს იგინი და არცა წინა-აღუდგნეს ძეთა კაცთაჲსა.

თ ა ვ ი 6

1. [84v] და ისმინეთ ესე, რასა უფალი იტყოდა; უფალმან თქუა: აღდეგ და ეშჯოდე მათთა და ისმინეთ ბორცუთა ჳმაჲ.

2. უფლისაჲ ისმინეთ, ბორცუნო, სასჯელი უფლისაჲ და, ჳევთა. საფუძველთა ქუეყანისათა, რამეთუ სასჯელი უფლისაჲ ერისა მიმართ თვისისა ისრაჳლისა [85] თანა-შეეცყუას.

3. ერო ჩემო, რაჲ გიყავ თქუენ, ანუ რაჟთა შეგაწუხებ, ანუ რაჟთა გაურვე შენ? მომიგე მე სიტყუაჲ!

4. ამისთვის რამეთუ აღმოგიყვანე შენ ქუეყანით ეგვიპტით და სახლისაგან კირთებისა გივსენ შენ და გამოვავლინე წინაშე პირსა შენსა მოსე და აჰრონ და მარიამ.

5. ერო ჩემო, მოივსენე, რაჲ-იგი ზრახა შენ ზედა ბალაჲკ, მეფემან მოაბისმან, ანუ რაჲ მიუგო მას ბალაჲმ, ძემან ბეორისმან, საბელთაგან ნაწილთაჲსა ვიდრე ვალგალადმდე, რაჟთა საცნაურ იყოს სიმართლჳ უფლისაჲ.

6. რაჟთა-მე წარვეწიო უფალსა და შემწე ვეყო მე ღმერთსა ჩემსა მალალსა? უკუეთუ ვეწიო მას მსხუერპლებითა ანუ ზუარაკეებითა წელიწადეულითა?

7. უკეთუ შეიწიროს უფალმან ათასეული ვერძთაჲ ანუ ბევრეული კრავთაჲ მართებულთაჲ? უკუეთუ მივსცნე პირმშონი ჩემნი უღმრთოებისათვის და ნაყოფი მუცლისა ჩემისაჲ — ცოდვისათვის სულისა მათისა?

8. მე გითხრა შენ, კაცო, რაჲ-იგი არს კეთილ, ანუ რასა ეძიებს უფალი შენგან, არამედ ნაყოფსა სიმართლისასა და რაჟთა გიყუარდეს წყალობაჲ და გამზადებულ ყოფად, რაჟთა ზვლოდი ღმრთისა შენისა თანა.

9. ვმა უფლისაჲ ქალაქსა ეწოდოს და აცხოვნეს მოშიშნი სახელისა მისისანი.

თ ა ვ ი 7

7. [140] ხოლო მე უფალსა ვესვიდე და დაუთმო ღმერთსა მაცხოვარსა ჩემსა და შეისმინოს ჩემი ღმერთმან მაცხოვარმან ჩემმან.

8. ნუ მოგცხრებინ ჩემი, მტერო ჩემო, რამეთუ დავეცი, და აღვდგე: და დათუ ვიდოდი ბნელსა, უფალი არს ნათელ ჩემდა.

9. რისხვასა უფლისასა დაუთმო, რამეთუ შევსცოდე მას, ვიდრემდის განამართლოს სასჯელი ჩემი და ყოს სამართალი ჩემი და გამომიყვანოს მე ნათლად და იხილოს სიმართლჳ ჩემი.

10. და მიხილოს მტერმან ჩემმან, და დაფაროს სირცხვლმან, რომელი მეტყოდა: სადა არს უფალი ღმერთი შენი? თუალთა ჩემთა იხილონ იგი. აჲ ყოს იგი ვითარცა თიჯაჲ დასათრგუნველი გზასა ზედა.

11. დღისი აღვოციოთ აღიზისაებრ. აღვოცოს მას დღესა შინა და განიშოროს შჯული შენი დღემან მან.

12. და ქალაქნი შენნი მიიწინენ შეყენებად და განსარყუნელად ასურასტნელთა და ქალაქნი შენნი მოზღუდვილნი აღსაჰრელად ტკროსითგან ვიდრე მდინარედმდე და ზღვთგან ვიდრე ზღუადმდე და მთითგან ვიდრე მთადმდე.

13. და იყოს ქუეყანაჲ განსარყუნელად დამკვდრებულთითურთ მისით და ნაყოფთათვის საქმეთა მისთაჲსა.

14. მწყსიდე ერსა შენსა კუერთხითა შენითა, ცხოვართა სამკვდრებელისა შენისათა, დამკვდრებულთა მთათაგან [x] მალნარსა შინა შორის კარმელსა; ძოვდენ შორის ბასანელთასა და გალადელთასა დღეთა მათებრ საუკუნეთა;

15. და დღეთა მათებრ გამოსლვისა შენისათა ეგვპტით, უჩუენო მათ საკვრველი.

16. იხილონ წარმართთა და ჰრცხუენოდის ყოვლისაგან ძალისა მათისა და დაიდვან კელი პირსა მათსა, ყურნი მათნი დაუყრუვდენ;

17. და ჰლოშნიდენ მიწასა ვითარცა გუელნი და ძურებოდინ ქუეყანასა, შეძრწუნდენ შეყენებასა უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა.

18. ვინ არს ღმერთი, ვითარ-ეგე შენი? აჰვოც ურჩულოებათა და თანა-წარხუალ სიცრუვეთა ნეშტთა მათ სამკვდრებელისა; მისისათა. და არა დაიმარხა საწამებელად რისხვაჲ მისი, რამეთუ ჳერის-მჩინებელი წყალობისაჲ არს.

19. მოიქცეს და შემიწყალნეს ჩუენ და დაფარნეს ცოდვანი ჩუენნი, და შთაცვეენ სიღრმესა ზღვსასა ცოველნი ცოდვანი ჩუენნი.

20. მოსცეს ქეშმარიტებაჲ იაკობსა და წყალობაჲ აბრაჰამსა, ვითარცა ეფუცა უფალი მამათა ჩუენთა ღღეთა მათებრ პირველთა.

წინაწარმეტყულებაჲ ნაშუისი

თ ა ვ ი 1

3. [43] უფალი სულგრძელ; დიდ არს ძალი მისი, და უბრალოებით არა უბრალო ყვის უფალმან; აღსრულებით და ძრვით — გზად მისი, და ღრუბელი — მტუერი ფერკთა მისთად.

4. და განაკმოს იგი და ყოველნი მდინარენი მოაოჯრნეს. შემცი-რდა ბასაანი და კარმელი და ყუავილოანნი ლიბანისანი მოაკლდეს.

5. მთანი შეიძრნეს მისგან, და ბორცუნი შეიწყინეს. და შეიპყრა ყოველი ქუეყანად პირისაგან მისისა და ყოველნი დამკვდრებულნი მას ზედა.

6. პირისაგან რისხვისა მისისა ვინ-მე დაუდგეს? ანუ ვინ-მე წინა-აღუდგეს რისხვასა გულის-წყრომისა მისისასა? გულის-წყრომაჲ მისი დაადნობს მათა, და კლდენი შეიმუსრნენ მისგან.

7. ტკბილ არს უფალი მოთმინეთა მიწათავს ეამსა ჭირისასა და იცნის მოშიშნი მისნი.

8. და წყლით-რღუნითა სღვისა მისისადთა აღსასრული ყოს, რომელნი აღდგომილ იყვნენ; და მტერთა მისთა სდეენიდეს ბნელი.

9. რასა ჰგონებთ უფლისა მიმართ? და აღსასრული მან ყოს და არა შური იძიოს ერთბამად ორ-გზის ჭირსა შინა.

10. რომელი საფუძველადმდე მისა მოოჯრდეს, და ვითარცა ბრწამლით მოხუეული შეიქამოს, და ვითარცა ლერწმონი სივმელითა საესს.

11. რომლისაგან გამოვიდის გულის-წყრომაჲ უფლისათვის, ბოროტსა ზრახვიდეს წინა-აღდგომასა.

12. [v] ამას იტყვის უფალი, რომელი მთავრობს წყალთა მრავალთა: და ესრტთ გამოირჩინენ, და ამბავი შენი მერმე არა ესმეს მათ.

13. და აწ შე[ვ]ჰმუსრო კუერთხი მისი შენგან და საკრეულნი განვხებქნე.

14. და ამცნოს შენთვის უფალმან, და არა ითესოს სახელითა შენითა მერმე. სახლისაგან ღმრთისა შენისა მო[ვ]სო კერპები გამოდნობილი და დავდვა საფუძველი შენი, რამეთუ მწრაფლ არს.

თ ა შ ი 2

1. აპა ესერა მათა ზედა ფერკნი მახარებელთანი, რომელი აღ-უთქუამს მშედობასა: დღესასწაულობდ, იუდა, დღესასწაულთა შე-ნთა და მისცენ ლოცვანი შენნი. რამეთუ არღარა შესძინონ მერმე განსლვად შენდა და საძულელად აღსრულებულ არს, განლელ არს.
2. აღმოცდა აღმობერვად პირისაგან შენისა განრინებად ჰირი-საგან; ხედევდ გზასა ზედა, შეიპყრენ წელნი შენნი, განმყნდი ძა-ლითა ძრიელად;
3. რამეთუ გარე-წარაქცია უფალმან გინებად იაკობისი.

წინაწარმეტყულება ამბაკუმისი

თ ა მ ი 1

1. [340v] სიტყუაჲ, რომელი იხილა ანბაკუნ(!).
2. ვიდრემდის, უფალო, ვლალადებდე და არა ისმინე? ვკმობ შენდამი დაქირვებული და არა მივსენ?
3. რაჲსათჳს მიჩუენენ მე შრომანი და საღმობანი ხილვად უბადრუკებასა და უღმრთოებასა? წინაშე ჩემსა იქმნა სასჯელი და მსაჯული იგი მიიღებს.
4. ამისთჳს განქარვებულ არს შჯული, და არა გამოვალს სამართალი. რამეთუ უღმრთოჲ ჰმსძლავრობს მართალსა, ამისთჳს გამოვალს სასჯელი გულარძნილი.
5. იხილეთ. შეუარაცხის-მყოფელთა, მაგათ მიხედეთ და გიკვრდინ საკვრელი და განირყუნენით. საქმესა ვიქმევდ ღლეთა თქუენთა, რომელი არა გრწმენეს, უკუეთუ ვინმე ვითხრობდეს.
6. და მე ესერა [341] აღვადგინნე ქალდეელები, მწარც და მოსწრაფც, რომელი ვალს სივრცესა ქუეყანისასა დამკვდრებად საყოფელსა არა თჳსსა.
7. საშინელ და წარჩინებულ არს: მისგანვე სასჯელი მისი იყოს, და მისგანვე სიტყუაჲ მისი გამოვიდეს.
8. და ხლდებოდიან უფროჲს ვეფხისა ცხენნი მისნი და უმაღლს უფროჲს მგელთა არაბიჲსათა, ამკედრდენ მკედარნი მისნი და მოიმართონ შორით და ფრინვიდენ ვითარცა ორბნი გულსმოდგინედ ჰამად.
9. აღსასრული უღმრთოთა ზედა მოიწიოს, წინა-აღმდგომნი ვითარცა ჰქშაჲ ნალუარევი.
10. და იგი მეფეთა შორის იშუებდეს, და მძლავრნი — სამღერელ მისა; და იგი ყოველთა ძნელოანთა ემღერდეს და მოსდვას მიწაჲ და დაიპყრას მისი.
11. მაშინ გარდაიქციოს სული და განვლოს და ულხინოს მას ძალი ღმრთისა ჩუენისაჲ.
12. არა შენ უკუე ღმერთი ხარა პირველითგან წმიდაჲ ჩემი? და არა მოვეუდენ, სასჯელად განაწესე იგი, დამბადე მე ღლხინებად სწავლისა მისისა.

13. წმიდა არს თუალი არა ხილვად ბოროტისა, და მიხედვად საღმობისა ვერ უძლო. რაჟსათჳს ხედავ შეურაცხის-მყოფელთა და დაიდუმებ აღთქმასა მართლისასა უღმრთოჟსაგან უმრავლჳსისა. მისისა?

14. და ჰყოფ კაცთა ვითარცა თევზთა და ვითარცა ქუეწარმავალთა, რომელთა არა აქუს წინამძღუარი?

წინაწარმეტყუელებაჲ სოფონიადსი

თ ა ვ ი 1

14. [119v] რამეთუ ახლოს არს დღჳ იგი უფლისაჲ, მახლობელად და მწრა[ფლ ფრიად ღღ]ისაჲ მის უფლისაჲ, და მწარე და ფიცხელ დაწესებულ არს ძრიელი.

15. დღჳ რისხვისაჲ, დღჳ უბადრუკებისა და განრყუნისაჲ, დღჳ წყუღიადისაჲ და ბნელისაჲ, დღჳ ღრუბლისა და ნისლისაჲ,

16. დღჳ ნესტკსაჲ და ღაღადებისაჲ ქალაქთა ზედა ძრიელთა და საკიდურთა ზედა მაღალთა.

17. და ვაჭირვო კაცთა და ვიდოდინ ვითარცა ბრმანი, რამეთუ უფალსა შესცოდეს და დასთხიეს სისხლი უბრალოჲ ქუეყანასა ზედა ვითარცა მიწაჲ, და ჯორცი მათი — ვითარცა სკორჳ.

18. და ვეცხლმან მათმან და ოქრომან მათმან ვერ უძლოს განრინებად მათა ღღესა მას რისხვისა უფლისასა, და ცეცხლითა შურისა მისისაჲთა შეიქამოს ყოველი ქუეყანაჲ, რამეთუ აღსასრული და წრაფაჲ იყოს ყოველთა მკვდრთა ქუეყანისათაჲ.

თ ა ვ ი 2

1. შეკერბით და შეიკრიბენით ნათესავნი იგი უსწავლენნი,

2. ვიდრე ყოფადმდე თქუენდა, ვითარცა ყუაყილნი — წარმავალნი დღენი თქუენნი, ვიდრე მოწვევადმდე თქუენ ზედა რისხვაჲ უფლისაჲ, ვიდრე მოსლვადმდე [120] თქუენ ზედა დღისა მის რისხვისა გულის-წყრომისა უფლისა.

3. ეძიებდით უფალსა ყოველნი მდაბალნი ქუეყანისანი; სამართალსა იქმოდეთ და სიმართლესა ეძიებდით და იტყოდეთ მართალსა, რაათა დაეფარნეთ ღღესა მას რისხვისა უფლისასა.

თ ა ვ ი 3

14. [158v] გიხაროდენ [ფრიად], ასულო სიონისაო! ქადაგებდ, იერუსალმ! გიხაროდენ და განსცხრებოდე ყოვლითა გულითა შენითა, ასულო იერუსალმისაო!

15. რამეთუ მოგისპნა უფალმან სიცრუენი შენნი, გიქსნა შენ კელთაგან მტერთა შენთაჲსა. მეუფჳ ისრაჳლისაჲ, უფალი შორის შენსა, და არა იხილო შენ ბოროტი მიერთგან არღარა.

16. მას ყამსა ჰრქუა უფალმან ისრაჳლისამან: ნუ გეშინინ, სიონ, ნუცა დაჰქსნდებიედ კელნი შენნი!

17. უფალი ღმერთი შენი შენ შორის; ძრეღმან გიქსნეს შენ და მოაწიოს შენ ზედა მხიარულებაჲ; განგაახლოს შენ სიყუარულითა მისითა და იხარებდეს შენ ზედა მხიარულებით ვითარცა დღესა დღესასწაულისასა.

წინაწარმეტყუელებაჲ ანგეაღსი

თ ა ვ ი 1

1. [311v] ამას იტყვს უფალი: არქუთ ზორობაბელს სალათიე-ლისასა, ტომსა იუდაჲსსა, და ისუხს იოზედეკისსა, მლდელსა მას დიდსა, და თქუა:

2. ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი და თქუა: ერი ესე იტყვს: არლარა მოწუენულ არს ჟამი შწყნებად სახლისა უფლისა.

3. და იყო სიტყუაჲ უფლისაჲ კელითა ანგეა წინაწარმეტყუელისაჲთა და თქუა:

4. უკუეთუ თქუენი ჟამი არს ყოფად სახლებსა სართულედსა, ხოლო სახლი ესე ჩემი მოოკრებულ არს.

5. და აწ ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: განაწესენით გულნი თქუენნი გზათა თქუენთა.

6. სთესეთ ფრიად და შეიღეთ სახიდ მცირედ; ქამეთ და არა მადღრივ; სუთ და არა სიმთრვალედ; შეიმოსეთ და არა განსტეფით; და რომელი სასყიდელსა შეიკრებდა, შეიკრიბა ტვრთსა შინა განკურეტილსა.

7. ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: დასხენით გულნი თქუენნი გზათა თქუენთა.

8. აღვედით მთად და მოკაფეთ ძელი და აღაშწყნეთ სახლი ჩემი და სათნო-ვიყო მას შინა და ვიდოდი მე. იტყვს უფალი.

9. და მიხედეთ ფრიადსა, და იქმნა მცირედი; და შეიღეთ სახლთა თქუენთა, და განვაქრიე იგი მიერ, ამისთვის ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: ამისთვის, რამეთუ სახლი ჩემი ოკერ არს, ხოლო თქუენ შეუდგთ კაცად-კაცადი სახლსა თვისსა,

10. ამისთვის აღიპყრას ცამან ცუარი, და ქუეყანამან დააყენოს გამომცენარჲ თვისი.

11. [312] და მოვაგლინო მსხული ქუეყანასა ზედა, მთასა ზედა, იფქლსა, ღვნოსა და ზეთსა და რაოდენი-რაჲ გამოაქუს ქუეყანასა კაცთა ნაშრომსა ზედა კელთა მათთასა.

12. და ესმა ზორობაბელს სალათიელისასა ნათესავისაგან იუდა-

ასსა და ისუს იოზედეკისსა, მღდელსა მას დიდსა, და ყოველსა მას ნეშტსა ერისასა კმაჲ უფლისა ღმრთისა მათისაჲ და სიტყუანი ესე ანგეა წინაწარმეტყუელისანი. და რამეთუ გამოავლინა უფალმან ღმერთმან მათმან მათა, და შეეშინა ერსა მას პირისაგან უფლისა.

ჯ

13. და თქუა ანგეა, ანგელოზმან უფლისამან, ანგელოზთა შორის უფლისათა ერისა მიმართ: მე ვარ თქუენ შორის, იტყვს უფალი.

14. აღადგინა ღმერთმან სული ზორობაბელისი ტომისაგან იუდაჲსი სალათიელეანისაჲ და სული ისუჲსი, ძისა იოზედეკისი, მღდელისა მის დიდისაჲ, და ყოველისა მის ნეშტისა ერისაჲ; და შევიდეს და იქმოდეს საქმესა მას სახლსა უფლისა ღმრთისა ყოვლისა-მპყრობელისა მათისასა.

ღ

13. [313v] და თქუა ანგეა ანგელოზთა შორის უფლისათა ერისა მიმართ: მე ვარ თქუენ შორის, იტყვს უფალი,

14. და აღადგინა უფალმან სული ზორობაბელისი ტომისაგან იუდაჲსი სალათიელეანისაჲ და სული ისუჲსი, ძისა იოზედეკისი, მღდელისა მის დიდისაჲ, და სული ყოველისა მის ნეშტისა ერისაჲ; და შევიდეს და იქმოდეს საქმესა სახლისა უფლისასა

15. ოც და ოთხსა მის თთვისა მეექუსისასა, მეორესა წელსა დარეოზ მეფისასა.

თ ა ვ ი 2

1. მეშუდესა ოც და ერთისა მის თთვისასა, იტყოდა უფალი კელითა ანგეოზ წინაწარმეტყუელისაჲთა და

2. თქუა: არქუთ ზორობაბელს სალათიელისასა და ისუს იოზედეკისსა, მღდელსა მას დიდსა, და ყოველსა მას ნეშტსა ერისასა და არქუთ:

3. ვინ არს თქუენგანი, რომელსა ეხილვა სახლი ესე დიდებითა თვისითა პირველად, და ვითარ ხედავთ აწ? — ვითარცა არა ყოფლისა თქუენ წინაშე.

4. და განძრიელდინ ყოველი ერი ქუეყანისაჲ, იტყვს უფალი, და იქმოდეთ, რამეთუ მე თქუენ თანა ვართ, იტყვს უფალი ყოველისა-მპყრობელი.

!3. ანგეა] ანგელოზ, ანგელოზმან უფლისამან] ანგელოზი უფლისაჲ. 15. დარეოზ] რაოზ.

5. სიტყუაჲ, რომელი აღგითქუ მოსლვასა თქუენსა ეგვპტით და სული ჩემი დადგრომილ არს თქუენ შორის; ნუ გეშინინ თქუენ!

6. რამეთუ ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, რამეთუ: ერთგ-ზის შევეძრა ქუეყანაჲ, ცაჲ, ზღუაჲ და კმელი,

7. და შევეძრნე ყოველნი ნათესავნი, და მოვიდენ რჩეულნი ყოველთა ნათესავთანი, და აღვაესო სახ[314]ლი ესე დიდებითა, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

8. ჩემი არს ვეცხლი და ჩემი არს ოქროჲ, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

9. რამეთუ დიდ იყოს დიდებაჲ სახლისაჲ ამის უკუანაჲსკნელი უფროჲს პირველისა, — იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, და აღვილსა ამას მოვსცე მშუდობაჲ, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, და მშუდობაჲ სოფლისაჲ შესაწევნელად ყოველი, რომელი აშშნებდეს აღმართებად ტაძარსა ამას.

წინაწარმეტყუელეზამ ზაქარიამსი

თ ა ვ ი 1

1. [341] მერვესა თთუესა, წელსა მეორესა დაროზ მეფისასა იყო სიტყუა უფლისა ზაქარიამს მიმართ ბარაქიანისა, ძისა აღოაესა წინაწარმეტყუელისა, [v] და თქუა:

2. უფალი განრისხნა მამათა ჩუნთა ზედა რისხვითა დიდითა.

3. და ჰრქუა მათ: ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: მოიქეცით ჩემუა და მე მოვიქეცე თქუენდა.

4. და ნუ იქმნებით ვითარცა მამანი თქუენნი, რომელთა-იგი აბრალებდეს წინაწარმეტყუელნი პირველნი და იტყოდეს: ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: მოიქეცით გზათაგან თქუენთა ბოროტთა და საქმეთაგან თქუენთა არა-კეთილთა და არა ისმინეთ ჩემი და არა მერჩდეს სმენად ჩემდა, იტყვს უფალი.

5. სადა არიან მამანი თქუენნი წინაწარმეტყუელნი, ნუუკუე ცხოველ იყვნენა?

6. არამედ სიტყუანი ჩემნი და შჯული ჩემი შეიწყნაროთ. რაოდენი ვამცენ მე მონათა ჩემთა, წინაწარმეტყუელთა, რომელნი მიეწივნეს მამათა თქუენთა. მიუგეს და ჰრქუეს: განწყობილ არს უფალი ყოვლისა-მპყრობელი ყოფად თქუენდა, გზათაებრ თქუენთა და სლვათა; ეგრე მეყო ჩუნ.

12. [341v] მიუგო ანგელოზმან უფლისამან და ჰრქუა: უფალო ყოვლისა-მპყრობელო, ვიდრემდის არა შეიწყალო იერუსალჴმი და ქალაქი იუდაისი, რომელი უგულებელს-გიყოფია? ესერა მეოცდაათმ წელი არს.

13. და მიუგო უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან ანგელოზსა მას, რომელი მეტყოდა მე, სიტყუანი კეთილნი და სიტყუანი ნუგეშინის-ცემისანი.

14. და მრქუა მე ანგელოზმან მან, რომელი მეტყოდა მე: ვლად-ყავ და ვთქუ: ამას იტყვს უფალი იერუსალჴმისათვის და სიონისათვის შურითა

15. და რისხვითა დიდითა, რომელნი აღდგეს მათ ზედა, განვირისხენ მცირედ, ხოლო იგინი შეკრბეს მათ ზედა ბოროტად.

16. [283v] ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: მოვაქციო იერუსალმსა ზედა მოწყალეებითა, და სახლი ჩემი აღეშენოს მას შინა, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, და მერმე საზომი გან-ვე-ემართოს იერუსალმსა ზედა.

17. და მრქუა მე ანგელოზმან მან, რომელი მეტყოდა მე: დაღაღ-ყავ და თქუ: ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: მერმეცა გან-ვე-ეფინენ ქალაქნი კეთილთა შენთა. და შეიწყალა უფალმან სიონი და სათნო-იყო მერმე იერუსალმში.

თ ა მ ი 2

1¹. და აღვიხილენ თუალნი ჩემნი და ვიხილენ ოთხნი რქანი.

2. და ვარქუ ანგელოზსა მას, რომელი მეტყოდა მე: რაჲ არიან ესენი, უფალო? [284] და მრქუა მე: ესე რქანი არიან, რომელთა განაბნიეს იუდაჲ და იერუსალმში და ისრაჲლი.

3. და მიჩუენნა მე ოთხნი ზურონი.

4. და ვარქუ მას: სასაქმედ მოვლენ ესენი? და თქუა: ესე რქანი არიან, რომელთა მოსრნეს იგინი, და არავენ მათგან აღიპყრა თავი. და გამოვიდეს ესენი აღმახუვად მათა კელთა შინა მათთა. და ოთხნი ესე რქანი ნათესაენი იგი არიან, რომელთა აღიმაღლეს რქანი მათნი ქუეყანასა ზედა უფლისასა განბნევად მისა.

5. და აღვიხილენ თუალნი ჩემნი და ვიხილე; და ესერა კაცი და კელთა მისთა აქუნდა საბელი ქუეყანისა საზომელი.

6. და მრქუა მე განზომად იერუსალმისა და ხილვად, რაოდენ არს სიგრძე მისი.

7. და ანგელოზი იგი, რომელი მეტყოდა მე, დგა. და ანგელოზი სხუაჲ მოვიდა შემთხუევად მისა.

8. მიუგო მას და ჰრქუა: აღირბიე და არქუ ჭაბუქსა მას: ნაყოფიერად დაიმკვდრო იერუსალმში სიმრავლისაგან კაცთაჲსა და საცხოართა შორის მისთა

9. და მე ვეყო მას ზღუდე ცეცხლის გარემო და დიდებით დავემკვდრო შორის მისსა.

12.² ამისთვის ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: შემდგო-

2. 9. ზღუდტ.

¹ ბერძნული რედაქციის 2. 1—4 სომხურ თარგმანში (რუსულშიც) 1, 18—21-ად მიღის, ხოლო 2, 5—17 შესაბამისად — 2, 1—13-ად.

² მე-2 თავის მე-10, მე-11 მუხლების ტექსტი არ მოიპოვება ხელნაწერში.

მად ღიდებისა მომავლინა მე, წარმართთა წარგტყუენეს თქუენ, [342] რამეთუ რომელმან შეგახოს თქუენ, ვითარცა რომელმან შეახის გუგასა თუალისასა.

13. რამეთუ აჰა ესერა მოვკჯადო კელი ჩემი მათ ზედა, რომელთა-იგი ჰმონებდით მათდა; იყვენ იგინი ტყუჴ, და სცნათ, რამეთუ უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან მომავლინა მე.

14. [15] გიხაროდენ და მხიარულ იყავ, სიონ, რამეთუ მე ესერა მოვალ და დავემკვდრო შენ შორის, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

15. და შემოვედრებოდინ თესლნი მრავალნი უფალსა მას დღესა შინა, და იყვენ იგინი მისა ერად და დამეკვდრნენ შორის შენსა, და სცნა, რამეთუ უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან მომავლინა მე შენდა.

16. და დაიმკვდროს უფალმან თესლი იუდაჴსი, ნაწილი მისი ქუეყანაჴ იგი წმიდაჴ, და სათნოცა იყოს მერმე იერუსალჴში.

17. ეშინოდენ ყოველსა გორციელსა პირისაგან უფლისა, რამეთუ აღდგომილ არს ღრუბლით გამო წმიდით მისით.

თ ა ვ ი 3

7. [249v] ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: უკუეთუ გზათა ჩემთა ხვლოდით და ბრძანებათა ჩემთა იმარხვიდეთ და შენ სჯიდე სახლსა ჩემსა და თუ დაიცვე ეზოჴ ჩემი, მოგცე შენ სლვად მდგომარეთა ამათ შორის.

8. ისმინე აწ, იესუ, მღღელმან მაგან ღიდმან, შენ და მოყუარეთა შენთა, რომელნი-ეგე სხენან წინაშე პირსა შენსა, რამეთუ კაცნი ესე ნიშ-მსტუარ არიან. რამეთუ აჰა ესერა მოვიყვანო მონაჴ ჩემი, აღმოსავალ სახელი მისი.

9. რამეთუ ლოდსა მას მივეც წინაშე პირსპირ იესუჴსა. ერთსა მას ლოდსა შვდნი თუალნი ასხენ; აჰა ესერა მე მოვთხარო მღვმჴ, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, და კელი შეგახო და აღვიხილო სიცრუჴჴ ქუეყანისაჴ მის დღესა ერთსა.

10. მას დღესა შინა, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, მოუწოდის კაცმან მოყუასსა თვისსა ქუეშე ვენაჴსა თვისსა და ქუეშე ლელოანსა თვისსა.

თ ა ვ ი 4

1. და მოიქცია ანგელოზი იგი, რომელი მეტყობა მე, და გან-
პაღება მე, ვითარცა-იგი კაცმან რაჲ [250] განაღძვის ძილისაგან
თვისისა.
2. და მრქუა მე: რასა ჰხედავ? და ვარქუ მას, ვითარმედ: ვხე-
დავ სასანთლესა ოქრომასა საბაზმაკესა ზედა და ბაზმაკებულსა
და სანთელსა შვდ-პირსა მას ზედა, და შვდნი აღსანთებელნი მას
ზედა.
3. და ორნი ზეთის-ხილნი მარჯუენით და მარცხენით სასანთლე-
თა მათ.
4. ვჰკითხე ანგელოზსა მას. რომელი მეტყობა მე. და ვარქუ.
ვითარმედ: რაჲ არს ესე?
5. და მომიგო და მრქუა: არა უწყია, რაჲ არს ესე? მე ვარქუ:
არა უწყი, უფალო.
6. და მომიგო და მრქუა მე: ესე სიტყუაჲ უფლისაჲ არს ზორო-
ბაბელისა მიმართ, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, არა ძალი-
თა დიდითა, არცა სიმტკიცითა მკლავისაჲთა, არამედ სულითა ყოვ-
ლისა-მპყრობელისაჲთა.
7. ვინ ხარ შენ, მთაჲ ეგე დიდი, რომელი აღმაღლებულ ხარ
წინაშე პირსა ზორობაბელისასა? და გამოვიღე მე ლოდი იგი ერ-
თობისაჲ. მკვდრობისაჲ და წყალობისაჲ მადლითურთ მისით.
8. და იყო სიტყუაჲ უფლისა ყოვლისა-მპყრობელისაჲ ჩემდამო
და თქუა:
9. კელთა ზორობაბელისათა დადვეს საფუძველი სახლისაჲ და
კელთა მისთა აღასრულონ ყოველი იგი. რაჲთა სცნათ, რამეთუ
უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან მომავლინა მე თქუენდა.
10. ვინ-მე არს, რომელმან შეურაცხ-ყვნეს დღენი მცირენი?
უხაროდის და იხილონ ლოდი იგი ტყვევისაჲ კელთა ზორობაბელი-
სათა, ესე იგი. არიან შვდნი თუალნი უფლისანი, რომელნი ხედვენ
ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა.
11. ვიწყე სიტყუად ანგელოზისა მის და ვარქუ: და რაჲ არიან
ორნი იგი ზეთის-ხილნი. უფალო, რომელნი დგანან [v] ერთი მარ-
ჯუენით სასანთლისა მის და ერთი მარცხენით?
12. ანუ რაჲ არიან ორნი იგი რტონი ზეთის-ხილისანი. რომელნი
ორთა მათ სასანთლეთა დაასხმიდეს ზეთსა მას და განაახლებდეს
სანთელთა მათ ოქრომასათა?
13. და მრქუა მე: არა უწყი. რაჲ არს ესე? და ვარქუ: არა უწყი,
უფალო.

14. და მრქუა მე: ესე არიან ორნი იგი ძენი პოხიერებისანი, რომელნი დგანან წინაშე უფლისა ყოვლისა ქუეყანისა.

თ ა ვ ი 5

1. მერმე მივიქეც და აღვიხილენ თუალნი ჩემნი. და ვხედვედ ცელსა ერთსა მფრინვალესა.

2. და მრქუა მე ანგელოზმან მან: რასა ხედავ? და ვთქუ: ვხედავ მე ცელსა მფრინვალესა, ვინაჲვე პირისა სივრცმ მისი წყრთითა ოც. და სივრცმ მისი წყრთითა ათ.

3. და მრქუა მე: ესე არს წყევამ, რომელი გამოვალს პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა, რამეთუ ყოვლისავე მპარვისაჲ მაგითა იდიოს შური: და ყოვლისავე ცილად-მფუცავისაჲ მაგით იდიოს შური სიკუდილისაჲ.

4. და განვაგლინო ეგე, თქუა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან, და შევიდეს ეგე სახლსა მპარვისასა და ცილად-მფუცველისა, რომელმან ფუცა სახელსა უფლისასა სიცრუვით, და დაიდვას ვანი სახლსა შინა მისსა, ვიდრემდის აწბას და აჯუარდოს იგი. და აღასრულოს ძელი მისი და ქვაჲ მისი.

5. და გამოვიდა ანგელოზი იგი, რომელი მეტყოდა მე. და მრქუა: აღიხილენ თუალნი შენნი და იხილე, რაჲ არს ესე. რომელ გამოვალს?

6. და მე ვთქუ: რაჲ არს ესე, უფალო? და მრქუა მე: ესე არს საზომი. რომელი გამოვალს ზომად. და მრქუა მე: [251] ეგე არს საზომი ურჩულოებისა მათისაჲ ყოველსა ქუეყანასა.

7. და აჰა ვიხილე სასწორი ერთი ბრპენისაჲ, რომელი გამოვიდოდა: და დედაკაცი ერთი ჯდა საზომსა მას ზედა.

8. და თქუა: ესე არს იგი უმჯულოებაჲ, შთააგდეთ ეგე შორის საზომსა მას! და შთააგდო სასწორი იგი ბრპენისაჲ მის პირსა მისსა.

9. და აღვიხილენ თუალნი ჩემნი და ვიხილე: და აჰა ორნი დედანი გამოვიდოდეს და შეიქმნნეს ფრთოსნად, და ქარი შორის ფრთეთა მათთა. და იყვნეს ფრთენი მათნი ვითარცა ოფოფისანი. და აღამალღეს საზომი იგი შორის ქუეყანასა და შორის ცასა.

10. და ვარქუ ანგელოზსა მას, რომელი მეტყოდა მე, ვითარმედ: ვიდრე აქუს ამათ, უფალო, საზომი ესე?

11. და მრქუა მე: აღშენებად მათა სახლი ქუეყანასა მას ბაბი-

ლოვენლთასა და განმზადებად მათა. და დადვან იგი განმზადებულსა მას ზედა.

თ ა მ ი 6

1. ...და აჰა ესერა ოთხნი ეტლნი გამოვიდოდეს ორთა მათ შორის მათათა. და იყვნეს მთანი იგი მთანი რვალისანი.

2. და ეტლთა მათ პირველთა ებნეს ცხენნი შავნი, და ეტლთა მათ მეორეთა ებნეს ცხენნი ხსედნი;

3. და ეტლთა მათ მესამეთა ებნეს ცხენნი სპეტაკნი. და ეტლთა მეოთხეთა — ცხენნი ფესანგნი.

4. ვიწყე სიტყუად ანგელოზისა მის და ვარქუ: რაჲ არიან ესენი, უფალო?

5. და მრქუა მე: ესე არიან ოთხნი ქარნი ცისანი, რომელნი გამოვლენ წარდგომად წინაშე უფლისა.

6. ხოლო რომელსა-იგი ებნეს ცხენნი შავნი, მოვიდეს ჩრდილოეთ ევროსი, და სპეტაკნი იგი გამოვიდეს კუალსა მათსა. [V] და ხსედნი იგი გამოვიდეს ქუეყანასა სამხრისასა;

7. და ფესანგნი იგი გამოვიდეს და ჩედვიდეს, ვითარმცა მოვლეს ყოველი ქუეყანაჲ. და ჰრქუა მათ: გუაღეთ, მოვლეთ ყოველი ქუეყანაჲ! და მოვლეს ყოველი ქუეყანაჲ.

8. და დად-ყო და მრქუა მე: აჰა ესერა, რომელნი გამოვლენ ქუეყანასა მას ჩრდილომხასა, დააცხრვეს რისხვაჲ ჩემი.

9. და იყო სიტყუად უფლისაჲ ჩემდა მომართ ჯა მრქუა მე:

10. მიიღე ნატყუნაეისა მაგისგან კელთაგან მთავართა, საკმართა, მეცნიერთა(გან) მისთა: ელდომსგან და ტობიასგან და ედუიასგან, და შეხვდე შენ მას დღესა შინა სახლსა იოსიამსსა სოფონიანისსა, რომელი მოსრულ არს ქუეყანისა მისგან ბაბილოვნელთაჲსა.

11. და მიიღე ვეცხლისა მისგან და ოქროჲსა და ჰქმნე შენ გვრგვნი და დააღვა თავსა ზედა ისუჲსა იოსიდექეანსა, მღღელსა მას დიდსა.

12. და ჰრქუა მას: ამას იტყვს უფალი ყოველისა-მპყრობელი: აჰა ესერა კაცი იგი. და მზის აღმოსავალ ჰქვან(!) სახელი მისი. და ქუეშე მისა ბრწყინვალეებაჲ, და მან აღაშქნოს სახლი უფლისაჲ.

13. და დაიმკვდროს სიმენც და დაჯდეს და ბრძანებდეს საყდარსა მისსა ზედა. და იყოს მღღელი მარჯუენით მისა; და ზრახვაჲ მშუდობისაჲ იყოს ორთაჲვე.

14. და გვრგვნი იგი დგეს და ელოდეს, და იყოს მათა, რომელ-

თა დაუთმონ მას, და რომელნი საცმარ-ეყვნენ მას, და რომელთა იცოდინან იგი, და მადლსა მას ძისა სოფონიანისასა და საგალობელად სახელსა უფლისასა.

15. შორიელნი მათნი მოკრბენ და დაეშვნენ. და უწყოდით, რამეთუ უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან [252] მომავლინა მე თქუენდა.

თ ა ვ ი 7

4. [342] და იყო სიტყუა უფლისაჲ ჩემდა მომართ და თქუა:

5. არქუ ყოველსა მას ერსა ქალაქისასა და მღდელთა: უკუეთუ იმარხვიდეთ, უკუეთუ ეტყებდეთ მებზუთესა მას ანუ მეშვდესა, აჰა ესერა სამეოც და ათი წელი არს, ნუუკუე მარხვით იმარხვიდეთ.

6. და სუმიდეთ, თქუენსავე სამე სჰამდეთ და თქუენსავე სუმიდეთ.

7. ანუ არა ესე სიტყუანი არიან, რომელთა გეტყოდა უფალი კელითა წინაწარმეტყუელთა მისთაჲთა, რომელნი იყვნეს პირველ ოდეს-იგი იერუსალჰმის მკვდრდა იყო და შჰნ და ქალაქნი მისნი გარემო მისა მთისანი და ველისანი მკვდრდა იყვნეს?

8. და იყო სიტყუა უფლისაჲ ზაქარიაჲსა მიმართ და პრქუა:

9. სასჯელი სამართალი საჯეთ, წყალობასა და მოწყალებასა ჰყოფდით ძმისა მიმართ თვისისა.

10. კაცად-კაცადი ქურვისა და მწირსა და ობოლსა და გლახაკსა ნუ ჰმძლავრობთ და ბროტსა კაცად-კაცადი ძმისა თვისისასა ნუ მოიკსენებნ გულითა თვისითა.

11. და ურჩ იქმნეს კრძალულად და შეაქციეს ზურგი მათი შერაცხებით და ყურნი მათნი დაიძიმნეს სმენად შჯულისა ჩემისა და სიტყუათა ჩემთა.

თ ა ვ ი 8

3. [342] ესრე იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: მოიქეც, სი[ონ], [v] და დაემკვდრე იერუსალჰმს და უწოდე იერუსალჰმსა ქალაქად წმიდად და ჰეშმარიტად მთასა ღმრთისა ყოვლისა-მპყრობელისასა მთა წმიდად.

4. ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: მერმე დასხდენ მონუცებულნი მამანი და დედანი უბანთა იერუსალჰმისათა და თითოეულად აქუნდა არგანი კელთა თვსთა განმრავლებულად დღეთა.

5. და უბნები იგი ქალაქისაჲ მის აღივსო ყრმებითა მემღერითა.

6. ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: იყოს თუ რაჲმე უსჯულოებაჲ წინაშე ნეშტთა ამას ერისათა მას დღესა შინა, ჩემ წინა-

შეცა ნუ ჰყოფ უშჯულოებასა, თქუა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან.

7. ესრე იტყვს უფალი: აჰა ესერა მე მოვიცსენე ერი ჩემი ქუეყანით მზის აღმოსავალით და ქუეყანით მზის დასავალით.

8. მოვიყვანე შორის იერუსალემსა და იყენე იგინი ჩემდა ერად, და მე ვიყო მათა ღმრთად ქეშმარიტებით და სიმართლით.

14. [32] ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: ვითარცა-იგი განვიზრახე ბოროტის ყოფად თქუენდა განრისხებისა მისთვის ჩემისა მამათა თქუენთაგან, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, და არა შეინანეს,

15. ეგრეთვე განმზადებულ ვარ და ეზრახვე დღეთა მათ ყოფად კეთილისა ისრაელისათვის და სახლისათვის იუდაისისა; ნუ გეშინინ!

16. ესე სიტყუანი არიან, რომელნი ჰყენეთ: იტყოდეთ კაცად-კაცი ქეშმარიტსა მოყუსისა თვისისათვის და სამართალი სასჯელი საჩეთ ბჭეთა თქუენთა ზედა.

17. კაცად-კაცი ბოროტსა ნუ შეურაცხნ ძმასა თვისსა გულითა თქუენითა და ფიცი ცრუჲ ნუ გიყუარნ, რამეთუ ესე ყოველი მოვიძლე. იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

18. და იყო სიტყუაჲ უფლისა ყოვლისა-მპყრობელისაჲ ჩემდა მომართ და თქუა:

19. ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: მარხვაჲ იგი მეოთხე და მარხვაჲ იგი მეშვიდე და მარხვაჲ იგი მეათე იყენედ სიხარულად და მხიარულებაჲ დღესასწაულებად. მხიარულებაჲ კეთილად და იხარებდენ; მშვიდობაჲ და ქეშმარიტებაჲ შეიყუარონ, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

თ ა ვ ი 9

9. [148v] გიხაროდენ ფრიად, ასულო სიონისათ; ქადაგებდ, ასული ეგე იერუსალემისაჲ. აჰა ესერა მეუფემ შენი მოვალს შენდა მართალი და მკსნელი: იგი თავადი მშვიდ არს და ზე-ზის იგი კაპრაულსა და კიცუსა ახალსა.

10. და მოსრას ეტლები ეფრემისგან და ჰუნები ისრაელისაჲ, მოსპოს მშვილდი საბრძოლი; და იყოს მშვიდობისა სიმრავლემ წარმართთაგან და მთავრობდეს წყალთა ვიდრე ზღუადმდე და მდინარითგან ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა.

11. და შენ სისხლითა აღთქემისაჲთა განავლინე ჯურღმულისაგან, რომელსა არა იყოს წყალი.

12. და სხდეთ თქვენ საპყრობილესა, კრულნი კრებულისანი, და ერთისა წილ ღლისა კრულობისა შენისა მრჩობლი მივაგო შენ.

13. რამეთუ გარდაგიცუ შენ თავისა ჩემისა მშკლდად და მოვისრულე ეფრემ და აღვადგინნე შვილნი შენნი, [149] სიონ, შვილთა ზედა იონთასა და განგიხილო შენ ვითარცა მახვლი მბრძოლისაჲ.

14. და იყოს უფალი მათა, და გამოვიდენ ვითარცა ელვანი ისარნი მისნი; უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან საყვრითა იზრახოს და ვიდოდის ძრვითა გულისა მისისაჲთა.

15. და უფალი ყოვლისა-მპყრობელი შეეწიოს მათ.

თ ა ვ ი 9

16. [342v] და იქსნეს იგინი უფალმან ღმერთმან მათმან მას ღღესა შინა; ვითარცა ცხოვარი ერი მისი; წმიდანი გორვიდენ ქუეყანასა ზედა.

17. რამეთუ რაჲ-იგი კეთილი მისი არს საზრდელი. კაბუკთა ღვნოჲ, სულნელებისაჲ ქალწულთა.

თ ა ვ ი 10

1. ითხოვდით უფლისაგან წვმასა ჟამსა თვისსა მსთუჲსა და მცხუედსა; უფალმან საოცარი წვმაჲ ზამთარისაჲ მოსცეს მათ თითოეულსა მწუანვილსა ზედა.

2. რამეთუ გამომეტყუელნი იგი იტყოდეს შრომასა და მისანნი— ხილკასა ტყუილისასა და საჩუენებელსა ნაცილსა და იტყოდეს ამაოსა და ნუფეშინის-სცემდეს; ამისთვის განვმეს, რამეთუ არა იყო კურნებაჲ მწყემსთა ზედა.

3. განრისხნა [343] გულის-წყრომაჲ ჩემი და ტარიგთა მივხედოაჲ და მოხედვა ყო უფალმან ღმერთმან ყოვლისა-მპყრობელმან სამწყსოსა თვისსა და სახლსა იუდაისსა დააწესნეს იგი ვითარცა ცხენნი შკდნი ბრძოლასა შინა.

4. ერნი მისნი მისგან მოიხილა და მისგან დააწესა, და მისგან მშკდი გულის-წყრომაჲ გამოვიდეს; უფალი გამომხილველი მის ზედა.

5. და იყვენენ ვითარცა ბრძოლანი, რომელნი დასთრგუნვენ თიკასა გზასა ზედა ბრძოლასა შინა, და განეწყვენენ მათ თანა და პრცხუენეს ამკედრებულთა ჰუნეთა ზედა.

6. და განვაძრიელო სახლი იუდაისი და სახლი იოსებისი ვიქსნე

და დავაშმწნე იგინი, რამეთუ შევიყუარენ იგინი, და იყვნენ ეგრე ვითარცა სახედ; არა გარე-მივიქცე მათგან, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი მათი და ვისმინო მათი,

7. და იყვნენ ვითარცა ბრძოლ[ა]ნი ეფრემისნი, და უხაროდის გულთა მათთა უფლისა მიმართ ვითარცა ღვნითა. და შვილთა მათთა იხილონ და უხაროდის გულთა უფლისა მიმართ.

თ ა ვ ი 11

11. [126v] და იცვნეს ქანანელთა მათ საცხოვარნი მათნი დამარხულნი. რამეთუ სიტყუა უფლისა მიერ არს.

12. და ვარქუ მათ: კეთილ თუ გინდეს თუალთა თქუენთა, მომეცით სასყიდელი ჩემი; უკუეთუ არა, განმიჩინეთ; აცადეთ და აღმოთქუთ მე სასყიდელად ჩემდა ოც და ათი იგი ვეცხლი.

13. და ნრქუა მე უფალმან: შესთხიე ვეცხლი ეგე ბრძმედთა განმადნობელთა და იხილე. წმიდა თუ იყოს, ვითარცა მე გამოვიცადე მას ზედა. და მოვადე ოც და ათი იგი ვეცხლი და შევსთხიე იგი სახლსა უფლისასა ბრძმედთა საყუმბილსათა.

14. და მივაგდე კუერთხი იგი მეორისა მის ნაწილისა და განზნევად აღთქუმისა. რომელი-იგი არს შორის იუდასა და შორის ისრაელისა.

თ ა ვ ი 14

5. [194] და მოვიდეს უფალი ღმერთი ჩემი და ყოველნი წმიდანი მისნი მის თანა.

6. მას დღესა შინა არა იყოს ნათელი.

7. და ნათელი იყოს ერთსა მას დღესა შინა, და ღამე იგი საცნაურ იყოს უფლისა. არცა დღე იყოს და არცა ღამე და მიმწუხრი იყოს ნათელი.

8. მას დღესა შინა გამოვიდეს წყალი [ცხრველი] იერუსალმით, ზოგი მისი ზღუასა მას პირველსა და ზოგი მისი ზღუასა მას უკანადსკნელსა; ზაფ[v]ხულისა არცა იყოს ესე.

9. და იყოს უფალი მეუფე ყოველსა ქუეყანასა ზედა...

16. [266] და აღვიღოდიან წელიწადითი წელიწადად მეუფისა უფლისა ყოველისა-მპყრობელისა დღესასწაულსა მას კარვობისასა.

17. და იყოს. უკუეთუ არა აღმოვიდეს ყოველთაგან ტომთა ქუ-

ეყანისათა იერუსალჴმდ თაყუანის-ცემად მეუფისა ყოვლისა-მპყრობელისა, და ესენი მასვე დაერთნენ.

18. უკუეთუ ტომი ეგვიპტისაჲ არა აღმოვიდეს და მათ ზედაცა იყოს დაცემაჲ^[1], რომელნი არა აღმოვიდენ დღესასწაულობად დღესასწაულსა მას კარვობისასა.

20:1 და იყოს, მას დღესა შინა, რომელი იყოს დაწუთა ზედა ცხენისათა, წმიდა უფლისა ეწოდოს, და იყვნენ ავაზანნი სახლსა უფლისასა, ვითარცა ფილნი წინაშე საკურთხეველსა.

21. და იყვნენ ყოველნი ავაზანნი იერუსალჴმს შინა და იუდას წინაშე უფლისა ყოვლისა-მპყრობელისა. და მოვიდოდინ მისა ყოველნი შემწირველნი და მოიღონ მათგან და შეუდგენ მათ შორის. და არა იყოს ქანანელი მერმე სახლსა უფლისა ყოვლისა-მპყრობისასა მას დღესა შინა, იტყვს უფალი.

¹ მე-19 მუხლის ტექსტი არ არის ხელნაწერში.

წინაწარმეტყულება მალაქიასი

თ ა ვ ი 1

1. [79v] ბრძანებაჲ, რომელი იყო ისრაჲლისა მიმართ კელითა ანგელოზისა მისისაჲთა; დაისხენით გულთა თქუენთა.

2. შეგყუარენ თქუენ, იტყვს უფალი, და სთქუთ: რაჲთა შეგყუარენ ჩუენ? არა ძმად იყო ესავი იაკობისი? იტყვს უფალი, და შევიყუარე იაკობი,

3. ხოლო ესავი მოვიძულე და განვაწესენ საზღვარნი მისნი განსარყუნელად და სამკვდრებელი მისი — მისაცემელად ოკრებისა.

4. რამეთუ თქუეს: იღუმიად დაცემულ არს, მოიქეციით და აღვაშნოთ აოკრებული იგი. ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: იგინი აშწნებდუნ, და მე ვარლუევდე: და ეწოდოს მათ საზღვარი ურჩულოებისაჲ, და ერი, რომელსა ზედა განწყობილ არს უფალი ვიდრე უკუნისადმდე.

5. და თუალთა [80] თქუენთა იხილონ და სთქუათ: განდიდნა უფალი უფროჲს საზღვართა ზედა ისრაჲლისათა.

6. ძემან აღიღის მამად, და მონამან — უფალი თვისი; და უკუეთუ მამად ვარი მე, სადა არს დიდებაჲ ჩემი? იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი. თქუენ, რომელნი განაქარვებთ სახელსა ჩემსა და სთქუთ: რაჲთა განვაქარვებთ სახელსა შენსა?

7. რამეთუ მოგაქუს საკურთხეველსა ჩემსა და შემოსწირავთ პურთა შეგინებულთა და სთქუთ: რაჲთა შევაგინეთ იგი? ამისთვის, რამეთუ სთქუთ: ტაბლად უფლისაჲ შეურაცხ არს და მას ზედა დაგებული იგი შეურაცხ ჰყავთ.

8. ამისთვის უკუეთუ შემოსწირო საკურთხეველსა ჩემსა ბრმად, არა ბოროტ არსა? უკუეთუ შემოსწირო სნეული ანუ მკელობელი, არა ბოროტ არსა? მო-და-ჰგუარო მეფესა შენსა, უკუეთუ მიიღოს, გინა თუ თუალთ-ახუნეს? იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

ს

9. და აწ ევედრენით წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და

ლხინება ყოს თქუენთვს; კელითა თქუენითა იქმნა ესე. უკუეთუ თუალ-გახუნე თქუენგანსა, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

10. რამეთუ თქუენ შორისცა დაეკშნენ კარნი, და არა აღანთოთ საკურთხეველსა ჩემსა ცუდად. არა არს ნებაჲ ჩემი თქუენ შორის, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, და მსხუერპლი არა შევიწიროვო კელთაგან თქუენთა.

11. რამეთუ მზის აღმოსავალითგან მზის დასავალამდე იდიდების სახელი ჩემი წარმართთა შორის, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

4

9. [343] და აწ ევედრენით პირსა წინაშე უფლისა თქუენისასა და ლხინება ყოს თქუენთვს; კელითა თქუენითა იქმნა ესე, უკუეთუ თუალ-გახუნეს თქუენ, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

10. რამეთუ თქუენ შორისცა დაეკშნენ კარნი, და არა აღანთოთ საკურთხეველსა ჩემსა ცუდად. არა არს ნებაჲ ჩემი თქუენ შორის, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, და მსხუერპლი არა შევიწიროვო კელთაგან თქუენთა.

11. რამეთუ მზის აღმოსავალითგან მზის დასავალამდე დიდებულ არს სახელი ჩემი წარმართთა შორის და ყოველსა ადგილსა საკუმეველი მოერთუმის სახლსა ჩემსა და მსხუერპლი წმიდაჲ, რამეთუ დიდ არს სახელი ჩემი წარმართთა შორის, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

12. [80] რამეთუ თქუენ შეაგინებთ მას, რამეთუ სთქუთ: ტაბლაჲ უფლისაჲ შეგინებულ არს და მას ზედა დაგებული შეურაცხარს საზრდელი.

13. და სთქუთ: ესე ძკრის ხილვისაგან არს, და განაქარვეთ იგი, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი; და შემოგაქუნ ჩემდა ნატაცები და მკელობელი და ხაშმი [v] და შემოსწირევდით მსხუერპლად; არა შევიწირო იგი კელთაგან თქუენთა. იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

14. წყეულ იყავნ კაცი იგი, რომელსა ძალ-ედვას და ედგას სამწყსოსა თვისსა ვერძი, და აღთქუმაჲ იგი მისი ზედა იყოს, და შეწიროს მან განრყუნილი უფლისა, რამეთუ მეუფე დიდ ვარ მე, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

თ ა ვ ი 2

3. [380] ამას იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი: მე გამოვიძინე ყოველნი დღესასწაულნი თქუენნი და მოგიყვანე თქუენ შეერთებად შჯულსა ჩემსა.

4. და დაედვა აღთქუმა ჩემი მღდელისა მის თანა, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

5. რამეთუ აღთქუმა ჩემი იყოს მის თანა, აღთქუმა ცხორებისა და მშეღობისა. და მივსცე მას შიში ჩემი და კრძალვა პირისაგან სახელისა ჩემისა.

6. და შჯული ჰეშმარიტებისა იყოს პირსა მისსა და სიცრუეშ არა იპოოს მის თანა, და მშეღობით წარემართოს გზა მისი წინაშე ჩემსა და მრავალნი მოაქციენეს გზისაგან სიცრუვისა.

7. რამეთუ ბაგეთა მღდელისათა დაიცვიან სამართალი და შჯული გამოიძინონ პირისაგან მისისა, რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოვლისა-მპყრობელისა არს იგი.

თ ა ვ ი 3

1. [15] აჰა ესერა გამოველინო ანგელოზი ჩემი, და მოიხილოს გზა წინაშე პირსა ჩემსა. და მოვიდეს ტაძრად თესა უფალი, რომელსა თქუენ ეძიებთ, და ანგელოზი აღთქემისა. რომელი თქუენ გნებავს.

ჯ

აჰა ესერა მოვალს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

2. და ვინ-მე დაუთმოს ღღესა მას მოსლვისა მისასასა? ნუ ვინ დაუდგეს გამოჩინებასა მისსა?

ყ

1. [343v]აჰა ესერა მოვალს, თქუა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან.

2. და ვინ-მე იყოს, რომელმან დაუთმოს ღღესა მას მოსლვისა მისისასა? ანუ ვინ დაუდგეს ხილვასა მას მისსა?

რამეთუ იგი თავადი მოვიდეს ვითარცა ცეცხლი საჯუმილისა,

3. და გამოავლინენეს და გამოწმიდენეს ვითარცა ვეცხლი და ოქრონი. [განწმიდენეს] ძენი იგი ლევისნი. დაადვენეს და გამოწმიდ-

2. 5. მშეღობისა.

8. 3. მსხუერპლთა სიმართლით მსხუერპლნი სიმართლისანი.

ნეს იგინი ვითარცა ვეცხლნი, და იყვნენ იგინი უფლისა ვითარცა შემწირველნი მსხუერპლთა სიმართლით.

4. და სათნო-ეყოს უფალსა მსხუერპლი იგი იუდაჲსი და მსხუერპლი იგი ისრაჲლისაჲ, ვითარცა დღეთა მათ პირველთა და ვითარცა წელიწადთა მათ საუკუნეთა.

5. და მივიწიო თქუენ ზედა სასჯელითა და ვიყო სარწმუნო და მალე ზედა მეძვებათა მათ და გრძნებათა, და რომელნი-იგი ფუცვენ სახელსა ჩემსა სიცრუევით, და რომელთა, მოუკუეთია სასყიდელი მერეწისა და რომელთა მოხუეჲედ ქურივთა და ჰჳუენიედობოლთა, მიპრიდიან სამართალსა მწირთა მათგან, და რომელთა-იგი არა ეშინოდა ჩემგან, თქუა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან.

6. მე ვარ უფალი ღმერთი და არა განცვალებულ ვარ.

7. [130] ...მოიქეცით ჩემდა და მოვიქეცე თქუენდა, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი. და სთქუთ: რაჲთა მოვიქეცეთ?

8. უკუეთუ უბრკუმოს კაცმან ღმერთსა? რამეთუ თქუენ მიბრკუმობთ მე. და თქუენ სთქუთ: რაჲთა გიბრკუმობთ? რამეთუ ათეულნი და პირველნი ნაყოფთა თქუენთანნი არიან.

9. და ქუე-გახედვით გამხედავთ მე და თქუენ მიბრკუმობთ მე.

10. წელიწადი დაესრულა, და შეიღეთ ნაყოფი საუნჯეთა, და იყო ტაცებაჲ სახლთა შინა თქუენთა. მოიქეცით ამისგან, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი, რაჲთა განგიხუნე თქუენ გარდამოსაქანელნი ცისანი და მოვჰფინო თქუენ ზედა კურთხევაჲ ჩემი, ვიდრე კმა იყოს.

11. და გიბრძანო თქუენ საზრდელად და არა განვრყუნე ნაყოფი ქუეყანისა თქუენისაჲ, და არა მოუძრულდეს ვენაჯი აგარაკისა თქუენისაჲ. იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

12. და გნატრიდეს თქუენ ყოველი თესლები, რამეთუ იყვნეთ თქუენ ქუეყანასა ზედა ნებიერ, იტყვს უფალი ყოვლისა-მპყრობელი.

18. [343v] და მოიქეცით და იხილეთ შორის მართლისა მის და შორის უსჯულოჲსა მის და შორის განდგომილისა მონებად ღმერთისა და შორის მორჩილთა მათ და შორის ურჩთა,

19.¹ რამეთუ აჰა ესერა მოწევნულ არს დღჳ იგი, აღადყდების ვითარცა საკმილი ცეცხლისაჲ და შეწუნეს იგინი ყოველნი, რომელნი იქმან ურჩულოებასა; ვითარცა ლერწამი აღადყდებოდის გარე-

5. მალჳ; მერეწასა; ჰჳუენიდეთ. 9. ქუჳ.

¹ ბერძნული ტექსტის 3, 19—22 ადგილი სომხურ (ასევე რუსულ) რედაქციასში 4,1—4-ად მიდის.

მომს მათსა დღმ იგი, რომელ მოსლვად არს, [344] თქუა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან, და არა დაშთეს მათი არცა რტომ, არცა ძირი.

20. და აღმობრწყინდეს თქუენ ზედა, რომელთა გეშინის სახელისა ჩემისა, მზმ იგი სიმართლისაჲ, რომელსა აქუს კურნებაჲ ფრთეთა ქუეშე მისთა; განხვდეთ და სტიროდით ვითარცა კბონი, რომელ აქსნილ არიედ კრულეებათაგან,

21. და დასთრგუნნეთ უსუჯულონი, და იყვენ იგინი ვითარცა ნაცარნი ქუეშე ფერჯთა თქუენთა მას დღესა შინა, რომელსა მე ვყო, თქუა უფალმან ყოვლისა-მპყრობელმან.

22. [274] აჰა ესერა მოგივლინო თქუენ ელიან თეზბელი ვიდრე მოსლვადმდე დღისა მის დიდისა და განჩინებულისა,

23. რომელმან მოაქციოს გული მამისაჲ ძისა და გული კაცისაჲ მოყუსისა თვისისა. ნუუკუე მოვიდე და მოვსრა ქუეყანაჲ ერთბამად.

20. ქუეშე. 21. ქუეშე: რომელსა მე ვყო] რომელთა მე ვონ.

26. ქართულ - ლექციონარი

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ა

აგარაკ-ი (ἀγρός, ბ) ყანა; ველი, დაბ. 27,27; ისუ ნავ. 24,32; რუთ- 1,1—2.

აღონა-ა უფალი, უზენაესი (ებრაულიდან ბერძნულში შესული: Ἀγιος), I მეფ., 1,11; ეზ. 34,2; 36,32.

აერ-ი (ἀήρ ἡ) ჰაერი, იობ. 2,9; სიბ. სოლ. 5,12.

აფაზან-ც (φράζαρ, τός; ლეჰეჯ, ბ; *ასაჟან, ასან*) აუზი, ჭა; ქვაბი, დაბ. 24,20; ზაქ. 14,20.

აზნაურ-ი (ἐσθραῖς; *აფნოსაკან*) წარჩინებული წოდებისა, დიდებული, იობ. 1,3.

აზნაურება-ა (ἐσθραῖς, ἡ *აფნოსაკანოსტინ*) წარჩინებულობა, დიდგვაროვნობა, კეთილშობილება, სიბ. სოლ. 8,3.

ათასის-თავ-ი (χαιλεπαρχος [= *ხაილარქოს*], ბ; *ჩაყარაყასი*) ათასეულის მეთაური.

ალიზ-ი (ἀλίνος, ἡ *აჟისა*) აგური, დაბ. 11,3; მიქ. 7,11.

ამქუმელ-ი დაბ. 38, 28—29. იხ. ყ რ მ ი ს ა ა მ ქ უ მ ე ლ - ი.

ანდამანტია — (ἀντάμας, -αντος; *ანამანტი*) მაგარი მეტალი, ფოლადი, ამოს. 7,7—8.

ანთანემ-ი (Ἀθάναιμ *ანთანეი*) ებრაელთა წელიწადის მეშვიდე თვე; მოკრბეს სოლომონ მეფისა ყოველნი იგი ძენი ისრაელისანც თთუესა მას ანთანემსა, რომელ-იგი არს თთუქ მეშუდქ, III მეფ. 8,2.

ანთრაკ-ი პატროსან-ი (λίθος *პალსტელის აქსი ყაათოსაკან*) ბერძნისი ქვა, თვალი პატროსანი, იობ. 31,24; იგ. 3,15.

აპკა-ა აპკი, გარსი; განსქდა აპკა ა გულისა ჩემისაჲ, იობ., 17,11.

აჟღავება შეძრწუნებული ხმაური. ნ ვნ.: აოდ განერა, ვიდრე-იგი აჟღავნებოდეს-ლა. შდრ. ჟღავილი შეშინებულთა ჯმანი (საბა).

არამ-ი (Արάμ) არამეა, არამეელთა (სემიტური მოდგმის უძველესი ხალხის) ქვეყანა: თავ არამისა დამასკე, და თავ დამასკოსა რასენ, ეს. 7,8.

არგან-ი ჭოხი; კვერთხი, I მეფ. 17,40; იერ. 1,11; ზაქ. 8,4.

არდაბაგ-ი (*γάρβαζ, ბ/ჩ; მარაბასი*) საბრძოლო დანიშნულების სიმაგრე, მაგარი ზღუდე-ჯებირი, იერ. 33,4.

არდაგი-ი ტილო (ჩვარი), იგ. 31, 24.

არვე-ე ფარა: მივედ არვესა... და მომგუარენ მე ორნი თჳანნი ჩჩხლნი, დაბ. 27,9.

არმურ-ი ბული, ცხელი ჰაერი (ალმური); ნისლი, ბურუსი; გრიგალი, დაბ. 19,29; გამ. 10,21; იობ. 27,20.

არშაკ-ი პართელი: უბრძანა მეფემან ასფანესს... გამორჩევად ნატყუენავისა მისგან ძეთა ისრაჲლისათა ნათესავისა მისგან მეფეთაჲსა, ნაშობთა მათგან არშაკთა ყრმანი რჩეულნი (... ἀπὸ τῶν ἐξαιρέτων; ... ἡ ὑπαρξια) დაბ. 1,3.

ასაკ-გრძელ-ი ტანმაღალი, II შჯ. 9,2.

ასლი-ი (*βλαρα. ἦ*) სპელტა, კილიანი ხორბალი: ხოლო იფქლი და ასლი არა იგუემა (სეტყვთა), გამ. 9,32.

ასპიდ-ი (*ἀσπίς, -ῖδος, ἦ*) გველი, ეს. 11,8.

ასპიდ-ი (*ἀσπίς, -ῖδος, ἦ*) ფარი: ...ასპიდი რვალისაჲ შორის ბექთა მისთა, I მეფ. 17,6. შდრ. კაცი იგი, რომელსა აქუნდა ფარი მისი, წინა-უვიდოდა (მას), I მეფ. 17,41.

ასფალათ-ი (*ἀσφαλθία; ბ/ჩ*) მცენარე კურდღლისცოცხა (αρκ). ვითარცა ასფალათი სულნელთაჲ, ისუ ზირ. 24,16.

აღგება სამგზავროდ მომზადება. ა—2: აღაგო დედაკაცი იგი და მისცა აბრაჰამს, დაბ. 20, 14.

აღზრუნა გაღიზიანება, ავის თქმა. ა—2: რომელი აღაზრუნედეს სიტყუასა, იგი ვერ ცხონდეს, იგ. 19,7.

აღლოშნა ალოკვა; მოძოვება, გადატ. მოსპობა, განადგურება, შთანთქმა. ა—2: აწლა აღლოშნოს კრებულმან ისრაჲლისამან, რადცა იყოს გარემოჲს ჩუენსა, ვითარცა აღლოშნის ზროხამან მწუანვილი თივისაჲ, რიცხ. 22,4.

აღმდგომ-ი არსება, სულიერი (ლექსიკური კალკია ბერძნული ἀνάρτημα-სი): და აღიკოცა ყოველი აღმდგომი, რომელი იყო პირსა ზედა ქუეყანისასა, დაბ. 7,23.

აღმსობა სწრაფვა, აღრე აღგომა. ი (უობ.): ცისკარს აღმსოთუეთ, დაბ. 19,2; აღმსოთო განთიად აბიმელიქ, დაბ. 20,8.

აღმრღუევა აზვირთება, აღელვება ზღვისა. ი ვნ. ზღუაჲ ესე უფროჲს აღმრღუევის, იონ. 1,11; ზღუაჲ იგი უფროჲს აღმრღუედა და განსასტიკნებოდა მათ ზედა, იონ. 1,13.

აღნადგინებ-ი სარგებელი, პროცენტი: ვეცხლი მისი აღნადგინებად არა მისცეს და აღნადგინები არა მოილოს, ეზ. 18,8.

აღნაქუემი-ი (ძ:αβιραη, ἦ) დანაპირები; ანდერძი, ეს. 49,8.

აღქუმა 1. ხელში აყვანა. 0—2: აღიქუეს იონა და შთააგდეს ზღუასა მას, იონ. 1,15. 2. 0—2: მეანობა, მშობიარობისას ხელის შეწყობა: რაჟამს აღიქუშიდეთ ყრმებსა..., გამ. 1,16.

აღორძინება გაზრდა. დ ვნ.: აღორძინდა ყრმაჲ იგი (=გაიზარდა ბავშვი), დაბ. 21,8.

აღწყვა სითხის გაზომვა, აწყვა. 0—2: ვინ აღწყვნა პევშითა თვისითა წყალნი და ცანი მტკაველითა განზომნა, ეს. 40,12.

აყირო-ჲ კანსქელი და ყელიანი გოგრა: უბრძანა უფალმან ღმერთმან აყიროსა აღმოცენებაჲ სასთუნლით კერძო იონაჲსა, იონ. 4,3. (+4,7-10).

აჩრდილი-ი (σχαζ, ἦ) ჩრდილი, სიბ. სოლ. 5,9.

აწბოლა შეთქველვა. გადატ. აღმოფხვრა, განადგურება. 0—2: ...ვიდრემდის აწბას და აკუარდოს იგი, ზაქ. 5,4.

ახოანი-ი მებრძოლი, IV მეფ. 13,20; იობ. 29,25.

აკუარდვა ამოძირკვა, აღმოფხვრა. 0—2: ვიდრემდის აწბას და აკუარდოს იგი. შდრ. ვიღვძებდ მათ ზედა აღფხურად და აღკუარდვად და დარღუევად, იერ. 31,28G.

ბ

ბაზმაკებულ-ი ანთებული (?): ვხედავ სასანთლესა ოქროჲსასა საბაზმაკესა ზედა და ბაზმაკებულსა და სანთელსა შვდ-პირსა მას ზედა, ზაქ. 4,2.

ბალარჯობა-ჲ (βαλαρχα, τσ; βαλαρχη) იგივეა, რაც უცომობა ან ზატიკი; ებრაელთა დღესასწაული, რომელიც ადრე იმართებოდა გაზაფხულზე (ნისანის თვის 15—21-ში) მოსავლიანობის და ყოველწლიური განახლების პატივსაცემად, ღვთისადმი უფუფარი პურის შეწირვით. შემდგომ ეს დღესასწაული დაუკავშირდა ეგვიპტელთა უღლისგან განთავისუფლების აღსანიშნავად დაწესებულ პასექს, როგორც მოგონება იმ დროზე. როცა ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები სიჩქარის გამო იძულებული იყვნენ საგზლად უფუფარი პური წაელოთ (Словарь библ. богословия, под редакцией К. Леон-Дюфур, Брюссель, 1974, გვ. 770), გამ. 12, 15. ნ. ზატიკი-ი, პასექი-ი.

ბარძიმ-ი ფეხიანი მაღალი სასმისი (საბა), ეს. 51,17.

ბასრობა-ჲ დაცივნა, სასაცილოდ აგდება, დაბ. 19,14.

ბევრ-ი ათი ათასი, იონ. 4,11.

ბელეკონი-ი (ტერპინთი: *ჩ.*; *πικκίς*) მუხისმაგვარი ხე, ჩათლაცუჩი, *Pistacia terebinthus*. საბათი, კალანოსი-ც „ხე ბელეკონია, ღვინოში სანუკვარი“. ა. შაყაშვილით, ბ ე ლ ე კ ო ნ ი არის ტერებინთო, *теревинф, терпентинное дерево, скипидарное дерево* (ბოტ. ლექსიკონი, 1961, გვ. 65): ვითარცა ბ ე ლ ე კ ო ნ ნ ი ფურცელ-დაყრიონი, ეს. 1,30; ვითარცა ბ ე ლ ე კ ო ნ შ ა ნ განვირთხენ შტონი ჩემნი, ისუ ზირ. 24,18.

ბერსექთან-ი (βερσεχταν) ყუთი: არა დასდვით დაღებით ბ ე რ ს ე ქ-თ ა ნ ი გუერდით კერძო მისა [კილოზნისა], I მეფ. 6,8.

ბეჭედ-ი: ბ ე ჭ ე დ ი ეგე შენი და მძივი და კუერთხი, რომელი გაქუს კელთა შენთა, დაბ. 38,18.

ბზა-ა (ბანჯი *ჩ.*) აღმოვაცენო... ნაძვ და ბ ზ ა ა და მურტი... ეს. 41,19.

ბზე-ა: ...ლომი და კარი ერთგან ჭამდენ ბ ზ ე ს ა, ეს. 65,25.

ბიალონი-ი (ბიპ:აჟიუ, რ; *бюб*; საზაფხულო თხელი წამოსასხამი სამოსელი: (რებეკა) მოილო მუნთქუეს-ოლენ ბ ი ა ლ ო ნ ი და დაიბურა, დაბ. 24,65.

ბირთუ-ი გორგალი: ბ ი რ თ ვ ოქრომსა მძივსა სარდლონიასა — თქუმად სიტყუამ, იგ. 25,11.

ბისონ-ი (ბისონი: *ჩ.*) თხელი სუფთა ტილო ან ამისვე სამოსელი, დაბ. 41,42; იგ. 31,22.

ბიწ-ი ნაკლი, ზადი; არარაჲ ვპოვე შენ თანა ბ ი წ ი, I მეფ. 29,6.

ბობლან-ი (*βόμπλαν*, რ) დოლი, დაირა, I მეფ. 18,6.

ბომონ-ი (*βόμων*, ბ) საკერპო, კერპოსალოცავი, რიცხ. 23,1.

ბორბაღება-ა აქეთ-იქით ბორიალი: კაცნი იგი... იგუემნეს სიბრმითა მცირითგან ვიდრე დიდადმდე და იწყეს ბ ო რ ბ ა ლ ე ბ ა დ და ძიებად სახლისა.

ბორობან-ი ტოტებ- და ფოთლებშირი ხე; დაბურული ტყე, რიცხ. 24,6; იერ. 17,8; ოს. 14,9.

ბრგუნვილ-ი ბლუ, ენამოჩლექილი, ეს. 35,6.

ბრდვანვალე-ა ანთებული: პატრუქი ბ რ დ ვ ნ ვ ა ლ შ არა დაშრტეს. ეს. 42. 3.

ბრპენ-ი (*βρπεν*, ბ) ტყვია, იობ. 19,24; ზაქ. 5,7.

ბრყვლ-ი ნ. დაბრყვლება.

ბრძმედ-ი ქურა, სადნობელი: ...ბ რ ძ მ ე დ ი ს ა მის რკინის გამოზადნობელისა, III მეფ. 8,51.

ბრძენ-ი იარის, ჭრილობის პირი: აჲ ესერა მე მოვიყვანო იგი ბ რ ძ ე ნ ი თ უ რ თ და განკურნებით განკურნნე იგინი, იერ. 33,6.

ბრწამლ-ი (σμηλαξ, *ჩ*) ხვართქლა (*Convolvulus arvensis*), მრავალწლოვანი სარეველა ბალახი ხვიარა ღეროთი, ისრისებრი ფოთლებით და თეთრი ან ვარდისფერი ძაბრისებრი ყვავილით.

ბრკალ-ი ტერფი, დაბ. 25,26; ეხეკ. 9,2.

ბუნ-ი (αυτήλας, *ბ*) მკვიდრი, ადგილობრივი (და არა მოსული): მოსპოს კაცი იგი ერისაგან ძეთა ისრაჲლისათა გარეშე მოსრულთა მათ მწირთა და შვილთა ბუნთა... დაბ. 12,19.

ბლუარ-ი სამხრეთი, დაბ. 28,14; იობ. 26,7.

ბჰე-ე მთავარი შესასვლელი; ქიშკარი, იობ. 38, 10—17; ეს. 45, 1.

ბ

ბ (გება) არსებობა, ყოფნა: **ბ გ ი ე ს უკუნისამდე**, ეს. 40,8.

გამოთარგმანება-ე ახსნა-განმარტება: ესე არს გამოთარგმანებაჲ მაგისი..., დაბ. 40,12.

გამომეტყუელ-ი ამხსნელი, განმმარტებელი: ჩუენებაჲ ვიხილეთ და გამომეტყუელ არაფინ არს, დაბ. 40,8.

გამონერწყუვა-ე ამონთხევა, ამორწყევა, ამოგდება: უბრძანა უფალმან ლმერთმან ვეშაჰსა მას დიდსა გამონერწყუვაჲ იონაჲსი ჳმელად, იონ. 2,11.

გამორღუევა გამოკვეთა, გამოყვანა. **ი ვნ:** რვალი ვითარცა ქვაჲ გამოირღუევის, იობ. 28,2.

გამოტყუევა გასიება, დაჩირქება. **0—2:** ფერტი შენი არა გამოტყუეფის, II შჯ. 8,4.

გამოტყუენევა გაძარცვა. **0—2:** გამოტყუენენით მეგვპტელნი იგი, გამ. 11,2.

გან-ი სამიზნე: ვითარცა ისარი, განტყორცბული განსა, განაპის აგრი..., სიბ. სოლ. 5,12.

განახევრება გაყოფა. **0—2:** განახევრა იგი შორის, დაბ. 15,10.

განბასრვა დაცინვა. **0—2:** განბასრნის სიტყუანი კეთილნი უსჯულომან, იგ. 20,12.

განთხევა გაფანტვა, გაბნევა. **0—2:** განთხინენ თქუენ მათა ზედა რემანისათა, ამოს. 4,3.

განკაფა გაცვეთა, გაღევა, დასუსტება. **ე ვნ:** სამოსელი შენი არა განკფდა შენგან, II შჯ. 8,4.

განკაფულ-ი გაღეული, დაუძღურებული, სიბ. სოლ. 1,4.

განმარტება გაშლა, გახსნა; ახსნა-განმარტება. **0—2:** განჰმარტა ეხოები (=გაშალა ფარდები), გამ. 40,17.

0—3: ვითარცა-იგი განგჰმარტა, ეგრეცა შეგუემთხვა ჩუენ, დაბ. 41,13.

განმარტებულ-ი გულგაშლილი, გულწრფელი: უკუეთუ განმარტებულად თაყუნის-გცეს..., იობ. 2,5; განმარტებულითა გულითა ეძიებდით მას, სიბ. სოლ. 1,1.

განმსტოვრება დათვალიერება. ი—2: განიძსტოვრნის მთანი საძოვრად მისა..., იობ. 39,8.

განმწესება გაზრდა. ნ ვნ.: ...ვიდრემდის განმწესნეს სელომ, დაბ. 38,11; განმწესნა სელომ, დაბ. 38,14.

განრინება ხსნა, გადარჩენა. ა—(3)2: ...რომელმან კელთა შენთაგან განმარინოს მე, იობ. 10,7; შენ განმარინენ ჩუენ, მსაჯ. 8,22.

განრინებულ-ი დახსნილი, გადარჩენილი, მსაჯ. 8,10.

განსასტიკება აღელვება, გამძვინვარება. ნ ვნ.: ზღუაჲ იგი უფრო-მს აღიძრღუეოდა და განსასტიკნებოდა მათ ზედა, იონ. 1,13.

განსპეტაკება გათეთრება. ა—2: ვითარცა მატყლი განვასპეტაკო, ეს. 1,18.

განფრდა გაყიდვა. ი ვნ.: უსასყიდლოდ განიფრდენით თქუენ, ეს. 52,3.

განცოფება გასულელება. ა—2: ზრახვანი მათნი განვაცოფნი, ეს. 44,25.

განძებულ-ი გაძევებული, გაგდებული, მიქ. 4,6.

განწევა გატანება, წალება (?) 0—2: ნეშტსა ნურას დაუტევებთ განთიად, ნუ განაწევენ, ძუალსა ნუ განსტეხედ, გამ. 12,10.

განწონა გარკობა, გაყრა (იარალისა სხეულში). 0—3: განსწონა იგი (მახვლი) მუცელსა ეგლომისსა, მსაჯ. 3,21 (+იობ. 16,11).

განწყობა სალაშქროდ დარაზმევა: შებრძოლება. ე—(2)1: განეწყვენეს წინაშე უცხო თესლთა ბრძოლად; უცხო თესლნი იგი განეწყვენეს და დადგეს მთასა ერთ კერძო, I მეფ. 17,2—3; მომეცით მე კაცი და მარტოვეწყვენეთ ორნი, I მეფ. 17,10.

განხერხვა ხერხით გაქრა. 0—2: განხერხვიდეს ხერხითა რკინისაჲთა მოციქულთა გალადისათა, ამოს. 1,3.

გარდამოსაქანელ-ი 1. ჭებირი, წყლის ასაშვები და ჩასაკეტი კარი (אחאזאחאזאחאז. ბ): ამას დღესა გამოეცნეს წყალნი უფსკრულთანი და გარდამოსაქანელნი ცისანი განეხუნეს, დაბ. 7,11.

2. ჩანჩქერი (אחאזა. ჩ) გარდამოსაქანელნი წყალთანი გარდამოადინენს თუალთა ჩუენთა..., გოდ. იერ. 3,48.

გარდამოჭკრობა გადმოხედვა, გადმოჭკვრეტა. ი ვნ.: მელქოლ გარდამოიჭკრობდა სარკუმლით, II მეფ. 6,16.

გარდაჲთ გარედან: იწყო მან ზომად შინაჲთ, გარდაჲთ, ეზ. 47,3.

გარდასკნელ-ი გარეთა მხარე, გარესკნელი, გოდ; იერ. 1,9.

გარდაქცევა გადახრა, საქმისგან მოშორება, მოცდენა. ა—ზ: რამ-სათვის გარდააქცევთ ერსა ჩემსა საქმისაგან? გამ. 5,4.

გაწურთა ცდა, გაწევა. 0—1: არა შორად გასწურთეთ განსლ-ვად (შდრ. შორად ნუ ხუალთ, მცხ. ხელ.), გამ. 8,28, ე. ი. შორს ნუ ეცდებით წასვლას, შორს ნუ გასწევთ.

გებსლ-ი შხამი; ენაგი; III მეფ. 8,37; იოვ. 1,4.

გმირ-ი (γῆρας, γειρας) ღმრთის ძეთა და ადამის შთამომავალთა მემკვიდრე, ფიზიკურად ძლიერი მამაკაცი, დაბ. 6,4.

გოდოლ-ი კოშკი, დაბ. 11,4.

გოიკ-ი (μορική, η) მანანა, ერიკა: ბუნებრივი მცენარე, რომელიც კაობიან ნიადაგზე ხარობს (βερεσκ).

გრკალ-ი რკალი: მოიდრიკო ვითარცა გრკალი ქედი შენი, ეს-58,5.

გრძნება-ე გრძნეულება, მისნობა, მალ. 3,5.

გრწყილ-ი რწყილი, I მეფ. 24,15.

გუამ-ი წულისა-ე (φραγ τιν ὑμῶν) წყარო; ჰა: დააწვინა აქ-ლეშნი... წინაშე გუამსა ერთსა წყლისასა მიმწუხრი; ისაჲ გა-მოსრულ იყო განცხრომად მიმწუხრი მახლობელად გუამსა წყლისასა, დაბ. 24,11—62.

გუბ-ი გუბე: შთაცკვეს იგინი გუბსა მას, დაბ. 14,10.

გუგა-ე თუალისა-ე, ზაქ. 2,12.

გულარძნილ-ი (σχιλῶς) მრული; არასწორი, დამნაშავე. იობ. 9,20.

გულ-მანკიერ-ი გულძვირი, გულბოროტი, ეს. 57,16.

გულ-პყრობილ-ი იმედიანი, მხნე, იობ. 27,8.

გულ-სნეულ-ი (γυμνωμένως) ზარმაცი; ურჩი: გულ-სნეულთ იგი შეურაცხ იქმნეს, იგ. 12,8.

გუნდრუკ-ი (σδακῆ, η) საკმეველი, ისუ ზირ. 24,17; ოს. 4,12.

გურიობა-ე სურვილების აყოლა: გურიობამან გულის-თქუმი-სამან ცვალის გონებაჲ უმანკოჲ, სიბ. სოლ. 4,12.

დ

დაბებკულ-ი დაკონკილი, დაფლეთილი: შეიმოსის დაბებკულთ, იგ. 23,21.

დაბირ-ი (δαβῖρ, τό [ებრ. dabir]) საქადაგო ადგილი სინაგოგაში:

შეიღეს მღდელთა მათ შინაგან კიდობანი იგი აღთქუმისა ადგილსა და-
ბირსა, III მეფ. 8,6 (+8,8).

დაბრყვლება მხედველობის დაქვეითება, თვალში სინათლის დაკ-
ლება. ი/უ—(2)1: დაუბრყვლდეს თუალნი მისნი და ვერ ხედვი-
და, დაბ. 27,1. არა დაუბრყვლდეს თუალნი მისნი, II შჯ. 34,7.

დავაკება ადგილის მოსწორება. ა—2: მთანი დავაკენე, ეს.
45,2.

დათმენა გაძლება, მოთმენა. ი/უ—(3)2; ვინ-მე დაუთმოს დღესა
მას მოსლვისა მისისასა? მალ. 2,2. ძალსა მას სიტყუათა შენთასა ვინ-
მე დაუთმოს? იობ. 4,2.

დამარხვა შენახვა, დაცვა. ი—2: დამარხენ მცნებანი..., II
შჯ. 8,6. ი/უ—3: დამმარხე ყრმაჲ ეგე და მიწოებდ მავას,
გამ. 2,9.

დამწუხრება შელამება. დ. ვნ.: ოდეს-მე დამწუხრდეს? (=როდის
დაღამდება?) იობ. 7,4.

დამხედ დაბლად, მორჩილებით: იობ... დამხედ თაყუანის-სცა-
უფალსა პირსა ზედა თვისსა, იობ. 1,20.

დანაკ-ი დანა: დანაკნი იგი ქვისანი, რომლითა წინადასცუთა-
გალგალს შინა..., ისუ ნავ. 24,31.

დანაკის კუღოვანი ფინიკის, ხურმის ხეებიანი ადგილი: ქალაქები-
დანაკის-კუღოვანი, II შჯ. 34,3.

დანგი (ძებლდ. ბ) წვრილი ფული (აქ ვერცხლსა), I მეფ. 2,36.

დანეცუვა დაფშენა, დაქუცმაცება. ი/უ—3: მშიერსა დაუნეცუე
პური შენი, ეს. 58,7.

დაპება დახვეა-დაგლეჯა. ი—2: დაიპო სამოსელი, დაბ. 37,34;
დაიპეს კაცად-კაცადმან სამოსელი თვისი, იობ. 2,12.

დარანებულ-ი ჩასაფრებული, დადარაჯებული, ეს. 8,14.

დარეცილ-ი გაშლილი, დაგებულ-დაფენილი: წყუდიადსა შინა
დარეცილ არს სარეცილი ჩემი, იობ. 17,13.

დარწყმა (მახის) დაგება (მახისა) ი/უ—3: არა ცუდად დაურ-
წყიან მახმ მფრინველთ[ა], იგ. 1,17.

დას-ი რაზმი, გუნდი, მსაჯ. 7,16.

დასამშვდებელ-ი (εἰρηυ:αδς) სამშვიდობო; შეწირა მეფემან სო-
ლომონ შესაწირავი დასამშვდებელთაჲ, III მეფ. 8,63—64.

დასრევა დაშენა, სროლა, ა—3: ისარნი მისნი დამასრივნა მე,
იობ. 30,13.

დაუნჯება შეკრება, დაგროვება. ი-2: ვეცხლსა დაიუნჯებდეს და-
ოქროსა, ბარ. 3,17. დაუნჯებულ-ი, იობ. 38,23.

დალოდებულ-ი (απολαύ) მოხრილი, მოღუნული: ...რომელი ვალს დალოდებულად დაუძრულ არს, ბარ. 2,18.

დაუღუნება-ა შეფერხება, შეჩერება: შენ სდგა გზასა ზედა დაუღუნებად ჩემდა, რიცხ. 22,34.

დაშნი-ი მშვიდი; თანამგრძნობი: კაცი დაშნი მკურნალ არს გულისა, იგ. 14,30.

დაცადება შეჩერება, შეწყვეტა რამესი. ა—(3)2: დააცადეს შინებად ქალაქი იგი, დაბ. 11,8 (+18,33...).

დაძუდებულ-ი დაბერებული, მოხუცებული: უღმრთონი ცოცხალ არიან და დაძუდებულ სიმდიდრესა ზედა თვისა, იობ. 21,7.

დაწერტვა დაჩხვლცტა, ძლიერი ტკივილის მიყენება. 0—2: მე დავწერტნე კორცნი თქუენნი ეკლითა., მსაჯ. 8,7; რაჟამს ვიწყი სიტყუად, დამწერტედ მე, იობ. 6,4.

დაწუნება არად ჩაგდება. 0—2: ჰრქუა ბალამ ვირსა მას: რამეთუ დამიწუნე და თუმცა მქონდა მახვლი, მუნთქუესემცა განგვშირე შენ, რიცხ. 22,29.

დაწყ(უ)და დაწყვეტა, დაკვლა (მრავლისა), გადატ. შეწირვა (მსხვერპლისა). 0—2: დასწყდიდეს ზროხასა და ცხოვარსა ურიცხუსა, III მეფ. 8,5.

დედაზარდლ-ი თობა, იობ. 27,18.

დედაქუავ-ი (ძეძუ. ო) სირინოზი, იობ. 30,24.

დეკიულ-ი, დაბ. 15,9.

დიდ-დიდი (τάρταρος; μέγιστος; ძიხამსიჲ ფირბასკაჲ) დივებული, დაბ. 3,3.

დონდოლ-ი ნ. ხაჭუაჲ დონდოლ-ი.

დრაჰან-ი (γρυσός, ἄ; ფანხიანი) ოქროს ფული, დაბ. 45,22.

დრკუ-ა მრუდე, არასწორი, იგ. 2,15.

დრონ-ი დიდი ნაჭერი (ხორცი): სცა კუეზაჲ ერთი პური და დრონი კორცი.

დრყილ-ი ძუძუსთავი: უკუეთუ გამოჰზიდვიდე დრყილსა, გამოჰკდე სისხლი, იგ. 30,33.

ე

ებან-ი (εὐβάρα, ἦ) სიმებიანი საკრავი, ლირა. დაბ. 4,21.

ებგური-ი (εὐγοπός, ἄ) დარაჯი, მეთვალყურე; წარიყვანა იგი აგარაკით ებგურთაჲთ, რიცხ. 23,14.

ევფუდ-ი, ევფუთ-ი (ებრ. 'efud, —ბერძნ. 'Εφουδ, 'Εφωδ) სელის

საგანგებო სამღვდლო მოსახსამი სინაგოგაში: გამოვიჩიე სახლი... კუმევიდ საკუმეველისა და აღებად ე ვ ფ უ დ ი ს ა, I მეფ. 2,28. სამო-
ელ იყო მსახურ წინაშე უფლისა და ემოსა მას სამოსელი ე ვ ფ უ თ
ბარი (მღრ. 'עֲפֹדֵי. בָּרָה) I მეფ. 2,18 (+მსაჯ. 8,27).

ეზო-**ა** 1. ფარდა, ნოხი (აბღ:ა, ო); განჰმარტა ე ზ ო ე ბ ი, გამ. 40,17.
2. ეზო (აბღ:ა, ო); და იყო იერემია ე ზ ო ს ა მას თანა საპყრობილისაჲ,
იერ. 38,13.

ეზო^მ-**მოდღარ**-ი (აბღ:ა, ო; ნიქიქინაყისთ) მსახურთუფ-
როსი, მოურავი, სამნეო საქმის განმგებელი, დან. 1,3; 1,7—8.

ეკლესია-**ა** (აბღ:ა, ო; სიქი ქილიქიქიქი) საკრებულო, საყდარი,
გოდ. იერ. 1,10.

ემბაზ-**ი** (აბღ:ა, ო) აქ: ქვაბი (საქმლისა): ფუცხვ სამპირი... შთაყ-
ვის ე მ ბ ა ზ ს ა ანუ სიავსა..., I მეფ. 2,14.

ერგასის-**ი** ორმოცდაათი, მსაჯ. 7,11; IV მეფ. 2,7.

ერისთავ-**ი** მთავარი; წინამძღოლი; მხედართმთავარი, I მეფ. 29,3-9;
III მეფ. 2,5; დან. 3,3.

ერმრავლობა (აბღ:ა, ო; „*עַל פְּנֵי*“ *פּוֹסְטֵי* *הַיָּמִין* *הַיְּמִינִים*)
ქარმრავლობა; ხალხმრავლობა: ერ მ
რ ა ვ ლ ო ბ ა ა დიდება არს შარავანდელისა, იგ. 14,28: მოვსპო
სიხარული ერ მ რ ა ვ ლ ო ბ ი ს ა ა, ბარ. 4,34.

ესემღევან-**ი** ამნაირი, იერ. 9,9.

ეჭუა-**ა** ფიქრი. 0—2.: იჭვთ ვ ე ქ უ დ ი გულსა შინა ჩემსა, დაბ.
20,11.

3

ვარჯ-**ი** (აბღ:ა, ო) თმა, ქოჩორი, დან. 3,94.

ვაშა (აბღ:ა, ო) მოწონების შორისდებულო, იობ. 31,29; 39,25.

ვაშკარან-**ი** ჩანთა; სალარო: ვ ა შ კ ა რ ა ნ ი ერთი იყავნ ჩუენ ყო-
ველთაჲ (აბღ:ა, ო; *הַשְּׂמֵרָה*) იგ. 1.14. გამოარჩინა ხუთნი ქვანი...,
შთაასხნა იგინი ვ ა შ კ ა რ ა ნ ს ა მას მწყემსთასა.

ვაც-**ი** მამალი თხა, დაბ. 32,14.

ვახშ-**ი** პროცენტი, სარგებელი: ვ ა ხ შ ა დ ვეცხლი მისცა, ებ. 18,13;
ვ ა ხ შ ი და აღნადგინები არა მოილო, ებ. 18,17; [ვ ა ხ შ ი და აღ-
ნ ა დ გ ი ნ ე ბ ი სინთნიმებია].

ველის-ურდელ-ი (παραρ, -ნოჲ, ἦ) ერთგვარი ძწარე ბალახი, ლორს ქადა, ბატეკბილა, ბატიბალახა (латук дикий) გამ. 12,8.

ველურ-ი გრიკ-ი (ἀγριουμαρῆ. ἦ) იხ. გ რ ი კ-ი.

ვერძ-ი მამალი ცხვარი, დაბ. 32,14; რიცხ. 23,1.

ვერხუ-ი (ἀσχη, ἦ) ვერხვი, ეს. 41,19.

ვეფხ-ი ვეფხვი, დან. 7,6; ამბ. 1.8.

ვრცელ-ი (πλάτος, τὸ) თედოს წყვილი ძარღვი: შეახო ვ რ ც ე ლ-ს ა ბ არ კ ლ ის ა მ ის ის ა ს ა და დაუბუშა ვ რ ც ე ლ ი ბ არ კ ლ ის ა ი ა კ ო ბ ის ი, დაბ. 32,25.

ზ

ზარ-ი შიში, დაბ. 9,2; გამ. 34,30.

ზატყ-ი (πατῆ τὸ; πατήρ) პასეკი, ებრაელთა დღესასწაული, ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნავად დაწესებული [ებრ. ფესახ გვიან შეცდომით დაკავშირებულ იქნა ბერძნ. πατῆჯა („ვენებას გავიცდი“) ზმნასთან, ქრისტეს ვენებასთან დაკავშირებით, და ამიტომ ქრისტიანულ ლიტერატურაში παტῆჯა აღნიშნავს ქრისტეს აღდგომის დღესასწაულსაც], გამ. 12,11. ზ ა ტ ი კ ო ბ ა ე, გამ. 12,14. იხ. ბ ა ლ ა რ ჯ ო ბ ა ე, პ ა ს ე ქ-ი.

ზედა-მდგომელ-ი (ἐπισημειωτής, τὸ) ზედამხედველი (სამუშაოზე), რუთ. 2,5.

ზედა-მოსღვა თავდასხმა. ი/უ—2: ზ ე დ ა-მ ო შ ი ვ ა ლ თ ყ უ ე დ-რებით, იობ. 19,5.

ზეეზ-ი იხ. პ ა ლ ე კ ა რ ტ-ი ზ ე ე ზ ი ს ა-ე.

ზმნა 1. ფიქრი, ზრახვა. ი—2: უკვრდა... სიტყუაჲ, რომელი ი ზ მ-ნ ა, და განიზრახვიდა გულსა თქსსა..., დაბ. 24,21. იწყო ზ მ ი ნ ა დ და აღთქემად გულსა თქსსა, დაბ. 24,12;

2. მარჩილობა; ჯადოქრობა: არა არს ზ მ ნ ა ე შორის იაკობსა, არცა მ ის ნ ო ბ ა ე შორის ისრაჲლსა, რიცხ. 23,23; (ბალაამ) არა მივიდა კითხვად უფლისა, ვითარცა-იგი ჩუეულ იყო ზ მ ნ ე ბ ი თ ა, რიცხ. 24,1.

ზოგის-მგებარ-ი ნახევრადმონარშული: ვითარცა ჭაკუნტელი ზ ო-გ ი ს-მ გ ბ ა რ ი [=როგორც ნახევრადმონარშული ჭარხალი], ეს. 51,20.

ზუნ-ი კალოფსა-ე: ვითარცა ზ უ ნ ი კ ა ლ ო ფ ს ა ე უამად-უამად შე-კრებულნი, იობ. 5,26.

ზუარაკ-ი შესაწირავი ცხოველი, უფრო ხბო, რიცხ. 23,1; იერ. 3,24-

ზურგის-მცემელ-ი (σφαλασφάλαξ, ბ) პირადი მცველი (телохранитель): ზ უ რ გ ის-მ ც ე მ ე ლ და მთავრად დაგადგინო შენ, I მეფ. 28,2. [მოსალოდნელი იყო: ზ უ რ გ ის-მ ც ე მ ე ლ თ ა ან: ზ უ რ გ ის-მ ც ე ჲ ე ლ თ ა მთავრად დაგადგინო შენ, შდრ. ἀρχισφαλασφάλαξ მჩთიმაჲ! სე].

თ

თავ-ი (σάχυς, ბ) თავთავი: ეკრიბო თ ა ვ ი და შეეკრიბო შორის მქელელულსა, რუთ. 2,7; შეეყო რუთ მქვეალთა ბოოზისთა კრებად თ ა ვ ი ს ა, რუთ. 2,23.

თავის-მოთნე-ჲ (ἀσθενεία) თავმოყვარე, ამაყი, მსაჯ. 3,17.

თანამდებ-ი მოვალე, ეზ. 18,7.

თანა-ნადებ-ი ვალი, იობ. 31,37.

თანა-ყოფა (συγγενέσις) ევფემური ფორმა სქესობრივი კავშირისა. ე ვ ნ: გამოიყვანენ, რაჲთა თ ა ნ ა-ე ვ ე ყ ვ ნ ე თ მათ, დაბ. 19,5; არა ერჩიდა იოსებ დაწოლად მის თანა და თ ა ნ ა-ყ ო ფ ა დ, დაბ. 39,10.

თანა-წარსადინელ-ი (παράρπείσις) შენაკადი, ეს. 44,4.

თბე-ჲ (ψάραμα, რბ) ცომი, გამ. 8,3.

თესლ-ი ტომი; მოდგმა, იგ. 30,31; ეს. 2,3.

თესლად-თესლად-ი სხვადასხვა ჯიში, მოდგმა: და ყოველი მქეცი თ ე ს ლ ა დ-თ ე ს ლ ა დ ი და ყოველი საცხოვარი თ ე ს ლ ა დ-თ ე ს ლ ა დ ი შევიდა ნოვჭს თანა..., დაბ. 7,14.

თთვის-თავ-ი (νισμαγυ:α, რ) თვის დასაწყისი, პირველი დღე, ეს. 1,13.

თივა-ჲ (χόρταις, ბ) მწვანე ბალახი: ყოველი ჯორციელი თ ი ვ ა არს და ყოველი დიდებამ კაცისამ ვითარცა ყუაილი თ ი ვ ი ს ა მ, ეს. 40,6-7.

თითო-სახე-ჲ (ἐξαρπά, რ) მრავალფეროვნება, მრავალგვარობა: თ ი თ ო-ს ა ხ ე ნ ი ნერგთან, სიბ. სოლ., 7,20.

თიკა-ჲ (πηλός, ბ) ტალახი: აწ იყო ს ი გი ვითარცა თ ი კ ა მ დასათორგუნველი გზასა ზედა, მიქ. 7,10.

თორნე-ჲ (αλ:ΰασις, ბ) ლუმელი, საცხობი, გამ. 8,3.

თორნე-ჲ (მარპაჯ, ბ) თორი, ჭავშანი, ფარი, I მეფ. 17,5—38; იობ. 39,23.

თვსობა-ჲ მეურვეობა, უახლოესი ნათესავის მიერ უპატრონოზე მზრუნველობა. ი—2: უყუეთუ არა უნდეს თ ვ ს ო ბ ა მ შენი, გ ი თ ვ ს ო მ ე, რუთ. 313.

სინას მთაზე მოსესთვის მიცემული შჯულის ფიცართა შემცველი კი-
დობანი, გამ. 40,20—22—24; 40,27—32—33.

კარაულ-ი ვირი დაბ. 22,3—5; გამ. 9,3; 12,38. ნ. კ ა პ რ ა უ ლ - ი .

კარვობა-ე ებრაელთა საშემოდგომო ღღესასწაული, რომელიც იმართებოდა ჭირნახულის მოწვევასთან დაკავშირებით. შემდეგ ის და-
უკავშირდა იმ დროის მოგონებას, როცა ეგვიპტიდან გამოსვლის შემ-
დეგ ებრაელები უდაბნოში შწირობდნენ (კარვებში ცხოვრობდნენ).
მეშვიდე თვის ამ ერთკვირიანი ღღესასწაულის შინაარსი გადმოცე-
მულია ბიბლიაში (ლევ. 23,32—41); აღვიდოდიან...უფლისა ყოვლი-
სა-მპყრობელისა ღღესასწაულსა მას კ ა რ ვ ო ბ ო ს ა ს ა, ზაქ. 14,16;
...აღმოვიდენ ღღესასწაულობად ღღესასწაულსა მას კ ა რ ვ ო ბ ო ს ა -
ს ა, ზაქ. 14,18.

კარმელ-ი (ებრ. karmel.— *כרמל*; *კარმელ*) ნაყოფითა და ხეხი-
ლით მდიდარი მიწა, მიქ. 7,14. [ერთ-ერთი მთის სახელწოდებაცაა
ურიასტანში, იერ. 46,18].

კარს-ი (*כרס*; *ჩ. გიქ* [კიქ]) ჭურჭელი. კარს: ვითარცა ნაწუეთი
კ ა რ ს ო ს ა ნ ი, ეს. 40,15.

კარშიკ-ი (*כרשיק*; *ჩ. აიქ*) რგოლი: საკეტო: ანუ რასა კ ა რ შ ი კ -
ნ ი მისნი დამსჭუალულ არიან? იობ. 38,6.

კაწახ-ი (*כפח*; *ჩ. აიქ*) ემწიფარი, მკვახე ყურძენი, ისრიში,
ეზ. 18,2.

კაპრაულ-ი ვირი, დაბ. 24,25 ზაქ. 9,9. ნ. კ ა რ ა უ ლ - ი .

კელობა კოქლობა. 0—1: კ ე ლ ო ბ და დავით. I მეფ. 17,39.

კერძო-ი 1. ნახევარი: მოუწოდა იესუ... კ ე რ ძ ო ს ა ტომსა მანა-
სსა: ისუ ნავ. 22,1; კ ე რ ძ ო ს ა ტომსა მანასსსა მისცა მოსე ბასა-
ნით კერძო, ისუ ნავ. 22,7; 2. -კენ. მხარეს: დაღვა საკუთხეველსა ზე-
და კ ე რ ძ ო შეშასა მას: იგი დაშმნებულ იყო მზის აღმოსავალით
კ ე რ ძ ო, დაბ. 24,62.

კეც-ი (*כעס*; *ჩ. თბ*) თიხა. აქ: გამომწვარი თიხის (კრამიტის, ქოთ-
ნის...) ნატეხი: მოიღო იობ კ ე ც ი, რაფთა წუთხა იხუეტდეს, იობ. 2,8.

კილობან-ი ყუთი, ზანდუკი, გამ. 40,19; იერ. 3,16.

კილობანაკ-ი მომცრო ყუთი: მოიღო დედამან მისმან კ ი ლ ო ბ ა -
ნ ა კ ი და მოკირა შინაფთ, გარშთ კირითა, ნაფთითა და ფისითა და
შთაღვა ყრმა იგი მას შინა, გამ. 2,3 (+2,5=6).

კინამო-ე (ებრ. kināmōn → ბერძნ. *κινάμων*; სომხ. *կինამონ*)
სურნელოვანი მცენარე. რომელიც გამოიყენებოდა ნელსაცხების
დასამზადებლად, დარიჩინი: ვითარცა კ ი ნ ა მ ო ე, ვითარცა ას-
ფალათი სულნელთა, და ვითარცა მურმან რჩეულმან მივჭფენე სულ-

ნელდება, ისუ ზირ. 24,16. [ეგვევი სიტყვა კინამომო/კინამომო-ს ფორმითაცაა, იერ. 6,20].

კირთება-ე ზონობა, გამ. 6,6; მიქ. 6,4.

კისკასობა (εὐσταθία, ἤ) სიმარჯვე, მოქნილობა: სათნო არს წინაშე შარავანდელისა კაცი განიერი და თვისითა კისკასობითა განიშორს გინებაჲ, იგ. 14,35.

კიცუ-ი კვიცი: ზე-ზის იგი კაპრაულსა და კიცუსა ახალსა, ზაქ. 9,9.

კოლტ-ი ფარა (ცხვრებსა): აღილის ცხოვარი კოლტისაგან, I მეფ. 17,34.

კოლტო(ვ)ა გროვა. ა—1: დულდა წყალი იგი, კოლტოოდა და ფოფინებდა, ებ. 47,5.

კონქ-ი (λεξάνη, ἤ; κῆρυξ), ტაშტი (ποχανή); მსაჯ. 6,38.

კოტორ-ი ნატეხი, ნაფრჩხვენი: ამან კოტრისა პურისათჳს განსცეს კაცი, იგ. 28,21.

კოჭ-ი: მო-რა-ადგა წყალი იგი კოჭამდე, ებ. 47,3.

კრეტსაბმელ-ი ფარდა, გამ. 40,20; ეს. 6,4.

კრულ-ი პატიმარი: გამოყვანებად საკრველთაგან კრულნი და სახლისაგან საპრობილისა..., ეს. 42,7.

კვროზ-ი (Κῦρος, ებრ. kureš) კიროსი. სპარსეთის ძლიერი მეფე (ძვ. წ. VI საკ.), რომლის დროსაც (539 წ. ძვ. წ.) დაპყრობილ იქნა ბაბილონი: რომელმან ჰრქუას კვროზს: განბრძნდი..., ეს. 44,28; ესრე იტყვის უფალი ღმერთი ჩუენი: ცხებულსა ჩემსა კვროზს, რომელსა უპყარ კელი მარჯუენმ მისი..., ეს. 45,1.

კულად-გება-ე უკან დაბრუნება, მიქცევა: ილოცვიდენ შენდამი კულად-გებისათჳს ქუეყანადვე თუსა, III მეფ. 8,48.

კუართ-ი ზედა სამოსელი, პერანგი, მსაჯ. 3,16. ნ. ნიფხავ-კვართი.

კუარცხლბერკ-ი (ἀπὸ πόντου, τὸ; κυσσοῦσανκῶσαν.) ფეხის საყრდენი: ცანი არიან საყდარნი ჩემნი და ქუეყანაჲ კუარცხლბერკი ფერკთა ჩემთაჲ.

კუერთხ-ი ჯოხი, რიცხ. 22,27.

კუერთხურო-ე (σφραγισθῆναι) მკედელი: (თობელ) იყო კუერთ-ხურო, მკედელი რკინისა და რვალისაჲ, დაბ. 4,22.

კუეცა კრქა (თმისა). ი/უ—8: უკუეცა მას თმაჲ, დაბ. 41,14.

კულევა ძიება. 0—2: რომელნი-იგი იკულევედ ღვნოსა, იგ. 23,30.

კუპრ-ი ფისი, დაბ. 14,10.

კურომსთავ-ი (ἄχωνοϑ, ἦ) თავცეცხლა, ტატაშა (Tribulus terrestris): მე დაწვერტნე ჯორცნი თქუენი ეკლითა უდაბნომსაჲთა და კურომსთავითა, მსაჯ. 8,7.

ლ

ლაგვნი [λαγυνοϑ, ἔ] (სპრენ, ἦ) საწყლე თიხის ქერქელი, დაბ. 24,20.

ლაღვა დავა; ჩხუბი, დაბ. 13,7—8; იგ. 25,8—10: 0—2: ჰლაღვიდეს მწყემსნი იგი გერარელთანი მწყემსთა ისაკისთა, დაბ. 26,20.

ლამპარი-ი (λαμπάρι, ἦ) სანთელი- აქ: ნათელი, სინათლე: ლაპპარი ცეცხლისაჲ, დაბ. 15,17.

ლანკლა-ჲ (λανκα, ἔ) ლანგარი, დაბ. 40,16—17.

ლალ-ი თამაზი; უტიფარი: ნუ ლალად იქცევი წინაშე მეფისა, იგ. 25,6.

ლახუარი-ი შუბი, I მეფ. 17,7.

ლელანგო-ჲ (λελανγοϑ, ἔ; λελαγγοϑ) ღვეზელი, II მეფ. 6,19.

ლესულ-ი ელვარე; ძვირფასთვლიანი, საფირონიანი: სარტყელი ლესული ერთყა წვლთა მისთა, ებ. 9,2. ბიბლიის ოშკურსა და იერუსალიმურ ხელნაწერებშია: „სარტყელი შაფირისაჲ“, ხოლო გელათურში: „სარტყელი სპატირისაჲ“, შდრ. ბერძ. σάφειρος, ἦ; სომხ. „կամար սկահակապ յակահնց շაփիդայ ընդմէջ իւր“.

ლვილ-ი მქსოველთა-ჲ (λέβιλλοϑ სქავსოϑთავ) ლილვი, საქსოვი დაზგის მრგვალი ხის ნაწილი, რომელზეც იქსელება ძაფი: ტარი ლახურისა მ-ს ვითარცა ლვილი მქსოველთაჲ, I მეფ. 17,7.

ლიბანი-ი (λεβανοϑ, ἔ) ნაძვისმაგვარი სურნელოვანი ხე ან ამავე ხის სურნელოვანი ფისი, გუნდრუკი: დაიბნეს ძირნი ვითარცა ლიბანი-მანი, ოს. 14,6; ყუაოდის ვითარცა ვენაკი საცხენებელი მისი და ღვინო ლიბანისაჲ, ოს. 14,8. შდრ. აღმან შეწუა ყოველი შუენიერებაჲ ლიბანისაჲ [...: ἔρχεται, ე. ი. უდაბნომსაჲ], იოვ. 1,19.

ლიტრა-ჲ საწყაო, დაახლოებით გირვანქა (ნახევარ კილომდე), აქ: ოქროს საწყაო: სავლტენი ათისა ლიტრისანი, დაბ. 24,22 (...ἕξ ἑκατὸν δραχμῶν)

ლმოზა ტკივილი; შექირვება-წუხილი, ე ვნ.: რაჲსთვის გელმოდა ჩემთვის? ეს. 45,10. ა—(ჰ)2: მან აღმის და კუალად-მოაგის, იობ. 5,18.

ლოშნა ლოკვა. 0—2: მიწასა ქუეშე ფერკთა შენთასა ლოშნიდენ, ეს. 49,23.

ლუსტვრ-ი (ζώνη, ἡ; *ლამარ*) ქამარი, სარტყელი: ერტყა ლუსტ-
ვრი წელთა მისთა, ეზეკ. 9,3.

მ

მაგებელ-ი (ἐπισχυχάνου) მარჯვე. წარმატებული: (იოსებ) იყო კაც
მაგებელ, დაბ. 39,2.

მალო-ი (ἀσφάλτα, ἡ; *ნაღ*) ფისი: მალთითა და კუპრითა
საჯსმ, დაბ. 14,10.

მაშა-მ (ἀνῆρ. ἀνδρῶς, ὁ) მამაკაცი: განვედით მამანი ხოლო და
მსახურეთ უფალსა ღმერთსა თქვენსა, გამ. 10,11.

მანა-მ პალო, ეს. 33,20.

მანგალ-ი [*მანგაყ*, —არამ.—სირ. maggala] ნამგალი (*გხრონყ*),
ეს. 2,4; იოვ. 4,10.

მანიაკ-ი ძვირფასი ყელსაბამი, დაბ. 41,42; იგ. 1,9; ყელსაბანი (აქ:
აქლემისა), მსაჯ. 8,21.

მარზაპანი-ი (μάρατος, ὁ) ქვეყნის კუთხის, მხარის მმართველი, დან.
3,2—3.

მართებულ-ი მსუქანი: ბევრეულნი კრავთა მართებულთანი,
დან. 3,40.

მართუე-მ ბარტყი, იობ. 38,41.

მარტორქა-მ (μαρτιρῶνας, *მჩხიჯერო*): ინებოს-მეა მარტორქა-
მანი მონებად შენდა ანუ დაწოლად ბაგასა შენსა? იობ. 39,9.

მარჩბივ-ი ტყუბი, დაბ. 38,27.

მარწუხ-ი ნაღვერდლის ასაღები მაშა, ეს. 6,6.

მატაკარან-ი [*მაოაკარარ*] (ἀρχιμάγειρος, ὁ; *ყანაკხო*) მსახურთ-
უსუცესი; პირადი მცველი, დაბ. 37,36. ნ. მზარაულთ-მთავარ-ი.

მატიანე-მ წერილობითი ისტორია: წიგნნი მათიანიისანი გა-
ნებუნეს, დან. 7,10.

მატყიერ-ი ბალნიანი (და არა მატყლიანი), დაბ. 27,10.

მაცხოვარ-ი (σάφης, ὁ) მხსნელი, I მეფ. 2,1; 3,9—15; ეს. 43,11.

მგბარ-ი მოხარული, დაბ. 25,30; გამ. 12,9.

მგრაგნელ-ი (μάραη, ἡ) მუხლუხა მატლი, ამოს. 4,9; III მეფ.
8,37.

მდგმურ-ი მწირი, არამკვიდრი, სიბ. სოლ. 5,14.

მდელო-მ მწვანელი; ბალახი: რომელნი-იგი მდელოსა კრებდეს
მთათა შინა, იობ. 30,4.

მებოძირ-ი გზაჯვარედინი, II შჯ. 13,16.

მედად ამოდ; უსასყიდლოდ: ნუუკუე მე და დ მსახურებს იობ უფალსა? იობ. 1,9 (+ეს. 52,5).

მედგარ-ი ლაჩარი; ზარმაცი, იგ. 20,13; მსაჯ. 7,3.

მეველე-მ ველ-მინდვრად მავალი, დაბ. 25,27.

მეზობელ-ი ახლობელი, გამ. 12,4.

მეზღაპრე-მ (მუხღღაღღა, ზ) მეიგავე (?): მე ზ ღ ა პ რ ე თ ა ჯ ა გ ა-
მომეძიებელთა გულისხმის-ყოფისათა, ბარ. 3,23.

მეკაცე-მ თიხის ქურჭლის ოსტატი (გონაყ), ეს. 45,9.

მემრუშე-მ მრუში, მსიძავი, ეს. 57,3.

მემღერ-ი მოღბინე, მოთაღაშე, ზაქ. 8,5; ამოს. 7,9.

მენიუფე-მ/მენუფე-მ საქურველთმტვირთელი მონა (აქ: კაპარ-
ქის, სანარის მტარებელი): პრქუა საულ მე ნ უ ე ი გ ე ს ა თ ვ ს ნ ა:
რადე მახვლი შენი და განმგუმორე მე... და არა ინება მე ნ ი ე უ გ ე-
მ ა ნ მ ა ნ, რამეთუ შეეშინა ფრიად, I მეფ. 31,4 (+31,5). ნ. ნიუეგი.

მეოტ-ი ლტოლვილი, შიშით გაქცეული, I მეფ. 7,11.

მეპურეთ-მოძღუარ-ი (ძრქუა:ძიოა:ბჷ, ზ) მნე, პურის განმრიგე. დაბ. 40,1—2.

მერენე-მ დაქირავებული მუშა, მალ. 3,5.

მერწყულ-ი წყლის მომტანი ან დაძლევიანებული, დაბ. 24,11.

მესაპურობილეთ-მთავარ-ი, მესაპურობილეთ-მოძღუარ-ი (ძრქუა:მეჟა-
შა:რჷ. ზ) ციხის უფროსი, დაბ. 39,21—23; 40,4.

მეულოე-მ აერ-ი (ჯაშაჷ: ჯიჷ) სქელი (მტვრიანი?) ჰაერი: ნაცარ
იქმნეს გორცნი, და სული დაჰქანდეს ვითარცა მე უ ლ ო მ ა ე რ ი,
სიბ. სოლ. 2,3.

მეცნიერ-ი ნაცნობი, რეთ. 2,1; 3,2.

მეძვება- (ძაჷკუა:ჯიჷ:ჷ, ზ) ცრემეწამლეობა; ჯადოქრობა: ვიყო სარწ-
მუნო და მალე ზედა მე ძ ვ ე ბ ა თ ა მათ და გრძნებათა, მალ. 3,5.

მეწამულ-ი ზღუა-მ წითელი ზღვა, II შჯ. 11,4.

მეუსეულად სწრაფად, თვალის დახამხამებაში, იგ. 1,26.

მეხის-ტეხა-მ ქექა-ქუხილი, იობ. 38,35.

მზარელთ-მთავარ-ი (ძრქუა:ძრქუა:ბჷ, ზ; ჟონაჷჷჷჷჷ), მსახურთუხუ-
ცესი; პირადი მცველი, დაბ. 39,1. ნ. მ ა ტ ა კ ა რ ა ნ ი.

მზარდულ-ი ბავშვის მომვლელი, ძიძა, გამ. 2,7.

მზირ-ი მოთვალთვალე, მზვერავი, იობ. 19,12.

მზარხვალ-ი მრჩეველი, განმმარტებელი, ეს. 33,18.

მთავარ-ი უფროსი (ძბჷჷჷჷ:ბჷ, ზ), დან. 3,3 (+ისუ ნავ. 22,14).

მთავრობა ბატონობა: განმგებლობა. 0—2: არა გ მ თ ა ვ რ ო ბ დ ე მე თქუენ ზედა... არამედ უფალი გ მ თ ა ვ რ ო ბ დ ე ს თქუენ, მსაჯ. 8,23.

მთიებ-ი (წაფაჲაჲ. ბ) ცისკრის ვარსკვლავი, პლანეტა ვენერა, იობ. 38,12.

მთოვარე მოკლებულ და სავსე ახალი და ძველი მთვარე, იობ. 31,26.

მთხრებლ-ი ორმო, 20,14.

მიახ მიახლობა: მე მ ი ვ ა ხ აღსრულებად, დაბ. 25,32 (=მე სიკვდილის პირად ვარ მისული).

მიდგომა დაორსულება. ი/უ—(2)1: მ ი უ დ ზ ა სარა და უშვა აბრაჰამს ძმ, დაბ. 21,2.

მისან-ი მკითხავი; ქურუმი, ზაქ. 10,2; I მეფ. 6,4.

მისნობა მკითხაობა, მარჩიელობა. ი/უ—2: მ ი მ ი ს ნ ე მე მუცლ-თ-მეზღაპრეობითა შენითა, I მეფ. 28,8.

მიღება წართმევა. ი/უ—8: პირველად მ ი მ ი ლ ო პირმშობეაჲ ჩემი და აწ მ ი მ ი ლ ო კურთხევაჲ ჩემი; დაბ. 27,36.

მიყოფა ყურისა ყურის დაგდება. ი—2: არა მესმოდა ვმად მასწავლელისა ჩემისაჲ, არცაღა მ ი ვ ყ ა ვ ყ უ რ ი ჩემი, იგ. 5,13.

მიწა-ჲ 1. მტვერი, იობ. 38,14; II მეფ. 1,2; იობ. 2,12. 2. ნიადაგი, მიწა, იობ. 21,26; 31,24; დაბ. 26,15. 3. მიწაყრილი; ბექობი, გამ. 8,16—17. მ ი წ ა ჲ ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა ჲ, ეს. 48,19. მიწის გარდასხმა მტერის თავზე დაყრა დიდი მწუხარების ნიშნად, იობ. 2,12.

მკალ-ი კალია, გამ. 10,4; 10,12—13.

მკედ-ი ძაფი, დაბ. 14,23.

მკელობელ-ი კოჭლი, II მეფ. 5,6—8; იერ. 31,8.

მკოდოვ-ი ღატაკი, იგ. 28,15.

მკვრცხლ-ი ქვეითი, ფეხით მავალი, გამ. 12,37. ბარ. 5,6.

მკვრცხე-ჲ მკვირცხლი, გამ. 2,2.

მკურის-კევი-ი დანამასტაკისაგან გამონადენი წებოსმაგვარი ნივთიერება, სურნელოვანი ფისი (იყენებდნენ საკმეველად და მალამოს დანამზადებლადაც), დაბ. 37,25.

მლალობელ-ი დამცინავი, უტიფარი, იობ. 31,5.

მოგალვა წვრილად დაფშვნა, დამუსრვა. 0—2: ვბოჲ იგი... შეემუსრე და მ ო ვ გ ა ლ ე ფრიად, II შჯ. 9,21.

მოგდება მუცლის მოშლა (ნაყოფის გაფუჭება). ა—2: ფურმან მათმან მუცლად-ილო და არა მ ო ა გ დ ო, იობ. 21,11.

მოგება შეძენა. ი—2: მ ო მ ი გ ე ბ ი ე ს მე ყოველი ელიმელიქისი,

რუთ. 4,9; მოვიგეთ თავისა ჩემისა ცოლად [რუთ], რუთ. 4,10.

მოგუ-ი მოგვი; მისანი, დან. 1,20.

მოთხოვება (μωτηδεα) ქალის დანიშვნა, დაწინდვა. ი—2: მოგითხოო შენ თავისა ჩემისა სიმართლით..., ოს. 2,21 (+22).

მოისარ-ი მშვილდ-ისრით შეიარაღებული: პოვეს იგი კაცთა მოსართა და წყლეს იგი უბესა ქუეშე, I მეფ. 31,4.

მოკირვა ხის კედლების გაქლენთვა წყალგაუმტარი ხსნარით: მოკირო [კიდობანი] შინაჲთ, გარშთ ნავითთა, დაბ. 6,14.

მოკუფხლვა მტეენის დამარცვლა; ყურძნის კრეფა გადატ. ხარკის გადახდევინება; შევიწროება: 0—2: ხარკის მომჯდელნი თქუენნი მოგცუფხლვიდენ თქუენ..., ეს. 3,12.

მოღობა (კბილთა) მოკვეთა (კბილებისა). 0—2: მამათა ჭამეს კაწახი, და შვილთა კბილნი მოჰლბეს, იუხ. 18,2.

მომარცულა ყურძნის ნარჩენების მოგროვება. გადატ. შევიწროება. 0—2: რამეთუ მოვმარცულენ იგინი, ვითარცა მომმარცულე მე ყოველთათვის ცოდვათა ჩემთა, გოდ. იერ. 1,22.

მომზადება-ჲ (παρασκευασις) ევეფემური ფორმაა გარჯთ გასვლის მნიშვნელობით (მუცლის შემსუბუქებისა): და იყო მუნ ქებაი, და შევიდა საულ მომზადებად, I მეფ. 24,4.

მომშუარ-ი(?) მეძავი: ესევითარი [=შეუცნობელი] გზაჲ არს დედაკაცისა მომშუარისაჲ, რომელმან-იგი რაჲამს ქმნის, დაიბანას და ეგრე თქვს, ვითარმედ: არაჲ უჯროჲ ვქმენ, იგ. 30,20. [ეს უცნობი ფუძე თითქო მიღებული ჩანს „მომრუშე“ სტყვისგან რ-სა გადასმით: მომრუშისაჲ—მომშუარისაჲ].

მონაგებ-ი ქონება, დაბ. 13,6.

მონათ-უხუცეს-ი (πρεσβυτερος υψιμαχ) მსახურთა უფროსი-დაბ. 24,2. ტექსტში ცოტა ქვემოთ (24,5—9) მონათ-უხუცესს ცვლის ეხოეს-მოძღუარი) ანჲ, ბ.

მონიჭება დასაჩუქრება: ა—3: ნიქსა კეთილსა მოგანიჭებთქუენ, იგ. 4,2.

მორყუნილ-ი (μαρμα) მუცელს მოწყვეტილი ნაყოფი, იობ. 3,16.

მორჩ-ი ყლორტი; ტოტი, ეზ. 31,3—6.

მოსავ-ი მოიმედე, იგ. 3,29.

მოსასყიდელ-ი მდღევრ-ი დაქირავებული დღიური მუშა, იობ. 7,1. იგივეა, რაც სასყიდლით დადგინებულნი, იობ. 7,1.

მოსესხე-ჲ მოვალე, ვისაც სესხი აქვს: მასესხებელი და მოსესხებულნი ურთიერთას შეიმთხვენს, იგ. 29,13.

მოქლონ-ი (μαχλόν, ბ) საკეტი, ურდული, გამ. 40,16; ეს 45,2.

მოღვნე-ე (μοῦνση, ბ) ღვინისმოყვარე: ნუ იყოფი მოღვნე, იგ. 23,20.

მოღუაწე-ე (μόυαυα, ბ) ზედამხედველი: დავადგინე მთავარი შენნი იწვდობით და მოღუაწენი შენნი სიმაართლით, ეს. 60,17.

მოცალეზა-ე უქმად ყოფნა, სიზარმაცე: რომელი მიუღდგეს მოცალეზასა. აღივსოს იგი სიგლახაკითა, იგ. 28,19.

მოცხრომა შვება, განცხრომა. 0—(2)1: აწ უქუე მეცა გეცინოლი თქვენსა წარწყმედასა და მომცხრებოლის, იგ. 1,26; ე: უქუეთუ დაეცეს მტერი შენი, ნუ მოგეცხრებინ, იგ. 24,17.

მოძილ-ი ძილისმოყვარე, ძილისგუდა, ზარმაცი: ყოველი მომტრულს და მეძავი და მოძილი დაგლახაქნეს, იგ. 23,21.

მოწამე-ე მოწმე, დამადასტურებელი, ეს. 43,10—13.

მოწრფელეზა მოსწორება: უბრძანა ღმერთმან... მოწრფელეზად ქუეყანისა (ბარ. 5,7).

მოხადა მოხმობა, დაძახება. ა—2: მოვხადე ძეთა ხარკთა ჩემთა, იობ. 19,17.

მოხუეკა წართმევა. 0—3: რომელი მოხუეკუნ გლახაკსა, განაწრაველის თავისა თვისისა ძკრი და შესძინის იგი მღიდარსა ვითარცა საწადელი. იგ. 20,16.

მოხუცებულ-ი (μοχουαυα, ბ; старейшина) უხუცესი, თავკაცი, III მეფ. 8,1—2; იერ. 1,19.

მოკსენება გახსენება, მოგონება. ე—2: და მოეკსენა ღმერთსა ნოვე, დაბ. 8,1.

მოხელ-ი („მე: მოχου“) ბავშვის მომელელი, გამზრდელი: მოიქუა ნოიშინ ყრმა იგი და დაისუა წიაღთა თვსთა და ექმნა მას მკობელ, რუთ. 4,16.

მოგული: დასაწუველ-ი (მოგουαυα, ბ) მთლად დასაწვავი მსხვერპლი: „ესე არს მსხვერპლსა რა მთლივ დასწვდენ“ (საბა), II მეფ. 6,17; რიცხ. 23,6.

მრისუველ-ი მპარსველ-მკრეპელი (ცხერისა), დაბ. 38, 12; ეს. 53,7. იხ. რისუვა.

მროწეულ-ი (1) ბროწეული: მროწეული და დანაკის-კული და ვაშლი და ყოველი ხმ ველისაე განჯმა, იოვ. 1,12.

მროწეულ-ი (2) ნახირი: ტიროდეს მროწეულნი ზროხათანი, რამეთუ არა იყო მათა საძოვარი, 1,18.

მრწემ-ი უმცროსი, დაბ. 25,23.

მსთუა-**ე** ადრეული: წემა^ე მსთუა^ე და მცხუედი, იერ. 5.24 (+II შკ. 11,14).

მსრბოლ-**ი** შიკრიკი, იგ. 24,34.

მსტუარ-**ი** 1. მხილველი, მხედველი (*მსთუარე ზქი; მოსტყარე*): გული მსტუარ კეშმარტი, და ენა მსმენელ, სიბ. სოლ. 1,6; 7,3: 2. მოთვალთვალე, ჯაშუში, იობ. 16,13.

მსუენ-**ი** (*მსუენ; ზი*) ხვლიკი: მსუენი კელითა ემტკიცებინ კედელსა. იგ. 20,28.

მსხეშობა-**ე** უცხოობაში ყოფნა, მწირობა, დაბ. 24,37; რუთ. 1,1.

მტარვალ-**ი** ჯალათი, გამ. 12,23.

მტეობარ-**ი** მარბიელი, მებრძოლი, IV მეფ. 13,21.

მტილ-**ი** ბალი: მოვრწყო მტილი ჩემი, ისუ, ზირ. 24,23 (+II შკ. 11,10).

მტკაველ-**ი**: ვინ... ცანი მტკაველითა განზომნა? ეს. 40,12.

მტყუენველ-**ი** გამტაცებელი, მძარცველი: მოვიდეს მტყუენველი და წარტყუენნეს..., იობ. 1,15.

მუგუზ-**ი** მუგუზალი, ეს. 7,4; ამოს. 4,11.

მუმლ-**ი** ქინქლა, გამ. 8,17.

მუნთქუესვე (=მუნქუესვე) მაშინე, რიცხ. 22,29.

მურ-**ი** (*მურ; ზი*) გიგა. რაც მური: სურნელოვანი ფისი აღმოსავლური (არაბული) ხისა (მურტისა): ვითარცა მურმან რჩეულმან მოვტენე სულნელება, ისუ ზირ. 24,16.

მურკველ-**ი** (*მურკველ; ბ*) მრეცხავ-მათებელი (მატყლისა), ეს. 7,3.

მურტ-**ი** (*მურტ; ზი*) სურნელოვანი ფისის (მურის) მქონე აღმოსავლეთში

მუცლად-**ღება** დაორსულება: მუცლად-იღო რებეკა, დაბ. 25,21.

მუცლით-**მეზღაპრე-ე** (*მეზღაპრე; ბ*) მისანი, ჯადოქარი, I მეფ. 28,3—7: ეს. 19,3.

მუქლ-**დაბნევა** დაჩოქება: (სოლომონ) აღდგა წინაშე საკურთხეველსა მას უფლისასა, სადა-იგი მუქლ-დაბნევიით დგა ზედა მუქლთა თვსთა, III მეფ. 8,54.

მუფუნელ-**ი** საფუერანი, გაფუებული (ცომი): რომელმან ჰამოს პური თბისაგან მფუნელისა, გამ. 12,15—20.

მქანარ-**ი** დაქანებოთ კალაპოტში მდინარი (*მქანარ; ბ*) ვითარცა ნაკადული ერთი მქანარად დინ სამოთხედ მიმართ, ისუ ზირ. 24,32.

მლდელ-**ი** (*მლდელ; ბ*) ქურუმი, გოდ. იერ. 1,19.

მღერა 1. თამაში (*მღერა; ბ*): იმღერდეს ყრმანი

მუცელსა მისსა, დაბ. 25,22; 2. დაცინვა. ე—2: მოვიდენ უცხო თესლნი და მომკლან მე და მე მღერდენ, I მეფ. 31,4.

მლილ-ი ჩრჩილი, იობ. 27,18.

მღვმე-ე ორმო, თხრილი: მღვმესა მას შინა არა იყო წყალი, იერ. 38,6; აჰა ესერა მე მოვთხარო მღვმე მ, ზაქ. 3,9.

მყოლოლ-ი საჩრდილობელი ვენახში (σκηνη εν ἀμπέλω:) ეს. 1,8
მყუარ-ი (βασταχιας, ბ) ბაყაყი, გამ. 8,2—3.

მშვლდ-ი (τῶν. τῶ) მშვილდი. აქ: ცისარტყელა: მშვლდსა ჩემსა დავსდებ ღრუბელთა შინა და იყოს სასწაულად..., დაბ. 9,13—14. მშვლდი და ისარი, IV მეფ. 13,15.

მცხუედ-ი გვიანი: რამეთუ მცხუედ იყო, გამ. 9,32: II შგ. 11,14; იერ. 5,24.

მძივ-ი ყელსაბამი, დაბ. 38,18.

მძლავრება-ე ძალადობა, გამ. 6,7.

მძლავრობით ძალად: მოვილო მძლავრობით, I მეფ. 2,11.

მძნობარ-ი სიმებიან საკრავზე დამკვრელი, I მეფ. 18,6—7.

მძოვართა ძაღლ-ი შენახირეთა ძაღლი (ζῶναι τῶν σκύλων). იობ. 30,1.

მძუძე-ე (τρυφή, ბ) მამამძუძე, ბავშვის მომვლელ-გამზრდელი, ეს. 49,23.

მწე-ე შემწე, დაძხმარე, ეს. 63,5.

მწინკულ-ი ქუქყი, მწვირე, იობ. 9,31.

მწირ-ი უცხოობაში მყოფი, II შგ. 10,19.

მწირობა უცხოობაში ყოფნა. 0—1: [და მიგცე შენ].. ქუეყანაჲ ეგე, რომელსა ზედა შენ ჰმწირობ, დაბ. 17,8.

მწუხრის ვარსკულავ-ი (Ἰσπαρη, ჯ; ებრ. kesil) ცთომილი ასპირო-ზი ანუ ვენერა, ქართული მთიები. „იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ეს ცთომილი ორბიტაზე დედამიწისა და მზის მიმართ, იგი ან დასავლეთით კამკაშებს სალაშოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ან აღმოსავლეთით, გათენების წინ მზის ამოსვლამდე. ამიტომ იგი ორ სხვადასხვა ვარსკულავად მიაჩნდათ ძველად“ (ა. შანიძე, ეტლთა და შვდთა მნათობათჳს, 1975, გვ. 8). იობ. 9,9. ებრ. kesil-ის მიხედვით. სამხრეთის ვარსკულავნარი ორიონი (Прав. богосл. энц. Н. Глубоковского, т. IX, с.-Пб., 1908, стр. 558—559).

მწყურნობოან-ი („ἔτις παρὰ τὸν πῶμα“) ქაობიანი ადგილი მდინარის პირას: იხილა კიდობანაკი იგი მწყურნობოანსა მას შინა, გამ. 2,5 (+2,3). იხ. მწყურნებ.

მკელ-ი პურეულის ძნა: შეკრიბნეს იგინი ვითარცა მკელე ბ აკლომსაჲ, მიქ. 4,12.

მკელეულ-ი პურეულის კონა, ძნა, დაბ. 37,7; რუთ. 2,7.

მკურინავ (νεκρῖνος) ყარყატი: ფრთითა განსცნრებინ მკურინავი, უკუეთუ მიუდგეს სირაქლემი..., იობ. 39,13. [სხვაგან (იერ. 8,7) ვადმოსცემს ძაჲთაჲრჲს ი, ი. ბ ე ლ უ რ ა ს].

მკუმილ-ი დარაჯი, მსაჯ. 7,19.

6

ნაბერწყალ-ი ნაბერწყალი, ეს. 1,31; სიბ. სოლ. 2,2; 3,7.

ნად-ი მუშაობაში დამხმარე, დაბ. 14,24.

ნაკადულ-ი ღელე, რუ: მკეჰნა მე ნაკადული იგი მდინარე დიდ, ისუ ზირ. 24,34.

ნარისუფე-ი ნაპარს-ნაკრეკი, აქ: მატყლი, იობ. 31,20.

ნაძეძ-ი ხელისა-ჲ (ναζαζαυ ძაჲსაჲთა) კანაფის ღერო, ნაძენძი, ეს. 1,31.

ნაძლევის დადება პირობის დადება: დღეს ნაძლევი დაიდ-ეეს მის თანა, სიბ. სოლ. 1,15.

ნაძო-ჲ (ναζω, ῥ) მიწის გუნდა, ბელტი: დავადნობ ნაძოსა ქუეყანისასა წუთხისა ხუეტითა, იობ. 7,5. [ბიბლიის ოშკურ ხელნაწერში ნაძო-ს ფარდად ძნუნ არის ნახმარი].

ნაწევარ-ი სახსარი: კუნთი (?), სიბ. სოლ. 5,11.

ნაკუთევი-ი ნათხოვი; ბე, გირაო: ნაკუთევი თანა-მდებსა მის-ცეს, ეზ. 18,7; ნაკუთევი არა უკუნ-სცა, ეზ. 18,12.

ნებიერ-ი კმაყოფილი, განებღრებული (νεβιερ): იყვნეთ თქუენ ქუეყანასა ზედა ნებიერ, მალ. 3,12.

ნებსით სურვილისებრ, II შჯ. 12,6.

ნერწყუვა შეფურთხება, ეს. 50,6.

ნესოან-ი ნესვის ბოსტანი, ეს. 1,8.

ნესტუ-ჲ რქისა-ჲ რქის საყვირი, მსაჯ. 3,27.

ნეფხვა-ჲ დიდი სიცივე, იობ. 38,29; სიბ. სოლ. 5,14.

ნიაჲ-ქარ-ი გრიგალი: მობერვასა ნია-ქარისასა წარწყმდეს. უღმრთოჲ, იგ. 10,25.

ნიკველ-ი (ნიკ, რ) დინგი, დრუნჩი: ვითარცა საყური ნიკველსა ღორისასა..., იგ. 11,12.

ნინევი-ი (ნიჲსი, რ) ჩვილი; მცირეწლოვანი ბავშვი, იოვ. 2,16; ეზ. 9,6.

ნიუგ-ი (ნიუგუნი; რნიობჩხ) მსახური, საჭურველთმტვირთველი: (აბრაჰამ) დევნა-უყო კუალსა მათ მეფეთასა სამას ათურამეტითა ნიუგითა, დაბ. 14,14. ნ. მენიუგემა.

ნისლ-ი III მეფ. 8,12—53.

ნიფხავ-კუართ-ი („თაჰაჰაჰი“) ზედა და ქვედა საცვალი: მაშინ კაცი ესე შეიკრნეს ნიფხავ-კუართითურთ მათით და შეითხინეს შორის სახუმელსა., დან. 3,21.

ნიშ-ი 1. ნიშანი, მინიშნება: დასდევ ნიში შუბლთა შავათ კაცთა. ეზ. 9,4. 2. ქანდაკი. სტელა (სმსეჟაჰ, რბ): აღვპართო ნიში ჩემი. ეს. 49,22.

ნიშ-მსტუარ-ი (ნეჰაოთაჰიძი, ბ; „ნიქსარამაჰხუ“) მკობხავი; წინასწარმეტყველი: კაცი ესე ნიშ-მსტუარ არიან, ზაქ. 3,8.

ნიჰ-ი საჩუქარი, ისუ ზირ. 2,9.

ო

ორბ-ი (ბეზბ, ბ) არწივი, იობ. 39,27.

ორთქლ-ი (ბეჰმ, ო) ახაორთქლი; აქ: სუნთქვა: ორთქლი არს იგი [ე. ი. სიბრძნე—კ. დ.] ღმრთისა ძრიელისაჲ, სიბ. სოლ. 7,25.

ორითავე მარჯუე-ე (ბეჰოჰეჰიძი) ორივე ხელის თანაბრად მომხმარებელი: აღუდგინა ღმერთმან მაცხოვრად აოდ., კაცი ორითავე მარჯუე, მსაქ. 3,15.

ორკეც-ი (ბეჰლ, ო) ორმაგი. აქ: გადასაბრუნებელი მოსასხამი: კაცი ზურგ-მაღალი აღმოვალს ქუეყანით და მოუბლარდნიეს მას ორკეცი, I მეფ. 28,14.

ოსპნ-ი (ფეჰბ, ბ) ოსპი, პარკოსანი მცენარე, *Lens culinaris* (ყე-ყევიცა) იაკობ სცა ესავს პური და მგბარი ოსპნისაჲ, დაბ. 25,34.

ოფაზ-ი ოფაზური წარმოშობისა: ოქრო ოფაზი („ჰაჰაჰი მადჰა“) შღრ ზოლოთო — იზ ოფაზა, იერ. 10,9.

ოფოფ-ი (ბეჰი): ფრთენი მათნი ვითარცა ოფოფისანი, ზაქ. 5,9.

პ

პავასიკ-ი (ბეჰაჰი, რბ; ჰაჰი ჩანთა; ქისა.

პალეკარტ-ი ზეეზისა-ე მაღალხარისხიანი ტილოს გრძელი სამოსელი თუ გამოსაცმელ-წამოსასხამი: ...შთაეცუა პალეკარტი ზეეზისა ბრქლამდე (წაჰი ოჰაჰეჰი, ჰეჰაჰი ოჰეჰაჰი), ეზეკ. 9,2.

პახეჰ-ი (პაჰა, რბ; ჰაჰაჰი —ებრ. ფესახ) ებრაელთა დღესასწაუ-

ლი, ეგვიპტიდან გამოსვლის აღსანიშნავად დაწესებული [ბერძნ. *πύλη* მოდის ებრ. ფასეხ-იდან, მაგრამ შემდგომ შეცდომით გაგებული იქნა *πύλη* „ვნებას განვიცილი“ ზმნისგან მომდინარე ფორმად— ქრისტეს ვნებასთან დაკავშირებით, და ქრისტიანულ ლიტერატურაში *πύλη* აღნიშნავს ქრისტეს აღდგომის დღესასწაულსაც]: მსხუერპლი არს ესე პასეჟისა უფლისაჲ, რომელმან დაიფარნა სახლნი ძეთა ისრაელისათანი ეგვიპტეს შინა, გამ. 12,27. შეჰკრიბნენ იგინი... დღესასწაულსა პასეჟისასა, იერ. 31,8. იხ. ბალარჯობა-ე, ზატოკ-ი.

პატივი- (*Πατήριον*) თანამდებობა, ხარისხი: შესამენსა დღესა... ჰოვესენა პატივი ღვინს-მნისაჲ მის და პატივი მეპურეთ-მოძღურისაჲ შორის მონათა მისთა, დაბ. 40,20.

პატნეზ- (*πατήριον*) ქონგურიანი ზღუდე, სიმაგრე, მიქ. 5,6.

პატრუჟ- (*πατριάρχης*) პატრუქი, ეს. 42,3; 43,17.

პევშ- პეშვი: ვინ აღწყნა პევშითა თვისითა წყალნი? ეს. 40,12.

პირის დაყოფა ენის გაჩერება, დადუმება: ...ცრუჲსაჲ მის პირი დაიყავნ, იობ. 5,16.

პირის-მწდე-ე (*πίριος*, *πύριος*) ღვინის ჩამონახმელ-მომწოდებელი, ჰერიქიფე, დაბ. 40,13.

პოზან- ი ქონი: დაყო პოზანშიან მან პირი წყლულისა მის, რამეთუ არა გამოჰდა მახვლი იგი მუელით გამო, მსაჯ. 3,22.

პოლოტიკ- (*πολιτικός*; *πολιτικός*) მკრელო, გაფხავებული: დადვა პირი ჩემი ვითარცა კრმალნი პოლოტიკი (*πολιτικός*; *πολιτικός*), ეს. 49,2.

პოხილ- მსუქანი: მომგუარენ ნე ორნი თიკანნი ჩხვლნი და პოხილნი, დაბ. 27,8.

პურისმტე-ე თანამესუფრე. აქ: კმაყოფაზე მყოფი: ...ძეთა მათთვის ბერზელის გალადისათა ჰყო წყალობაჲ და ჰყვენ იგინი პურისმტე ტაბლასა შენსა, რამეთუ ესენი მსახურებდეს წინაშე ჩემსა, III მეფ. 2,7.

პერობილ- ი პატიმარი, ეს. 58,6.

რ

რევა ხელის მოსობა. 0—2: ნუუკუე მრევდეს მამაჲ ჩემი... (მდრ. ნუუკუე კელი შემახოს მამამან ჩემმან A), დაბ. 27,12.

რეშაკ- ი ჯოგი, ნახირი, დაბ. 14,21; იობ. 1,14; ეს. 60,6.

რეწვა ქონების შოვნა, გამდიდრება: რამეთუ იგი გულის-თქუმამან

რეწვის სამან მოიპოვა, არამედ ხუროვებამანვე სიბრძნისაგან ქმნა, სიბ. სოლ. 14,2.

რვალ-ი (χρῆμα; ἡ, ἄφῆμα) სპილენძი, დაბ. 4,22; I მეფ. 17,5—7; იობ. 28,2; იერ. 15,20.

რისუვა პარსვა-კრეჟა (ცხვრისა): მამამთილი შენი აღვალს თამნად ჩისუვად ცხოვართა მისთა, დაბ. 38,13. იბ. მ რ ი ს უ ვ ე ლ-ი.

რკინა-ე (σιδηρος; ἡ; ἡρκαθ) აქ: რკინის საპარსი: ღვნოე და სათრობელი არა სუას და რკინაე არა აღვიდეს თავსა მისსა, I მეფ. 1,11. იბ. ს პ ი ლ ე ნ ძ-ი.

როკიკ-ი (ροκικ) საზრდო, ულუფა, გასამრჯელო, დან. 1,5. „შეაბა მუფემან როკიკი სამარადისოე“, ე. ი. მუდმივი ულუფა დაუწესა (διδάσκειν, ἡρρησαι).

რქა-ე 1. (ἀρχα; ἡ) რქა: ოთხნი უსე რქანი ნათესავნი იგი არიან, რომელთა აღიმაღლეს რქანი მათნი ქუეყანასა ზედა უფლისასა, ზაქ. 2,2—4. 2. (ἀρχα; ἡ) ვენახი: მათვე დაიმკუდრონ და დაასხმიდენ რქასა და სუმიდენ ნაყოფსა მათსა, ეს. 65,21.

რჩ მორჩილება, თანხმობა. ე: არა ერჩიდა იოსებ დაწოლად მის თანა, დაბ. 39,10; ვიღრე სიმაართლესა ვერჩიდე, იობ. 27,6.

ს

სააქლემო-ე აქლემების სადგომი: მოიბნა ათნი აქლემნი სააქლემოთა, დაბ. 24,10.

საბაოთ-ი (ებრ. sabaöth, — შაბათი) ღმრთის ებითეტი, ნიშნავს ძალას, ძლიერებას, I მეფ. 1,11—20; ეს. 6,3.

საბაზმაკე-ე სასანთლე (ἀβαζμα; ἡ) ზაქ. 4,2.

საბეკ-ი (შაბაკ; — ებრ. sabek) ბუჩქი: ვერძი დამოკიდებულ იყო რქითა ნერგსა საბეკსა, დაბ. 22,13.

საგურკველ-ი (გურკ; ἡ) 1 საჯლომი (უჯანა ნაწილი ადამიანისა): ტანჯნა კაცნი... და გუემნა იგინი საგურკველითა მათითა, I მეფ. 5,9; 2. სკამი: ხუთი საგურკველი ოქროსა: დადგეს კიდობანი იგი ურემსა მას ზედა და საგურკველები, I მეფ. 6,5—11.

საებგურო-ე სადარაჯო, სათვალთვალო, ეს. 41,9.

ს-ავ იმედოვნება. ე: ესე ესვიდა ხადად სახელსა უფლისა ღმრთისასა, დაბ. 4,26; დიდებასა შენსა ესვენ, III ეზრ. 8,29.

სავანე-ე სადგომი, მოსასვენებელი სამყოფელი, დაბ. 32,21; გაპ. 4,24.

სავლტე-ე (შალტ; ἡ) იგივეა, რაც სალტე, სამაჭური: მოიხუნა:

საეღტენი ათისა ლიტრისანი და შეასხნა კელთა მისთა, დაბ. 24,22; საყურნიდა და საეღტენი ესხნეს, დაბ. 24,30 (+II მეფ. 1,10).

საზებურო-ა სამეფო, საუფროსო, უფროსობის ღირსი: და ყოველთაგან შექმნულთა შენთა ერ საზებურო ჰყავ ერი შენი ისრაჲლი, III ეზრ. 5,27.

საზრდელ-ი სარჩო, სანოვაგე, დაბ. 41,35.

სათუებელ-ი (არსუჯან, ბ) რთვლობა: წარწყმდა სათუებელი ღელეთაგან, იოვ. 1,11.

სათუელ-ი (აჰჰ) მარცვლეულს საწყაო, გრივი (დაახლოებით ორ ფუთამდე): და კრიბა ყანასა მას შინა..., და იყო სათუელ ერთ ქრთილი იგი, რუთ. 2,17 (+I მეფ. 1,24).

საკეთე-ა (თაჯან, ზ) ლოყა: ტირილით ტიროდა ღამე და ცრემლნი საკეთეთა [ზედა]..., გოდ. იერ. 1,2.

საკრველ-ი შესაკრავი; ბორკილი: საკრველნი მათნი განვხებენ, იერ. 30,8; ეს. 52,2.

საკუბო-ა (აჰჰან, ბ) კუბიკისებრი, ოთხკუთხედი: შევამტკიცე იგი ვითარცა ლოდი საკუბოა, იობ. 38,38.

საკუერთხ-ი შესაწირავი, ეს. 40,16; დან. 3,40.

საკუშვეელ-ი საკმეველი, ისუ ზირ. 24,17.

საკუფხვლელ-ი საკრეფი ყურძენი: არა უმჯობეს არსა საკუფხვლელი იგი ეფრემისი...? მსაჯ. 8,2.

სალმობა-ა ტკივილი, გან. 2,11; იობ. 7,4.

სამთავრო-ა საგანმგებლო, საუფროსო, თანამდებობა: სამნიღა დღენი წარკლენ, და მოექსენოს ფარაოს სამთავრო იგი შენი და კუალად დაგადგინოს ღვინის-მნეობასავე შენსა, დაბ. 40,13.

სამინდო-ა (თაჰანაჰან, ზ) ხორბლეულის სუფთა ფქვილი, დაბ. 40,16; ეს. 1,13.

სამნო-ა საგამგებლო, თანამდებობა: მე მოვედ თვისავე სამნოსა, (ე. ი. დავებრუნდი ჩემსავე თანამდებობას), დაბ. 41,13.

სამოთხე-ა ბალი, ისუ ზირ. 24,32.

სანოვაგე-ა საჭმელი, გამ. 40,20.

საოხნე-ა სიმღერის, შვების ადგილი: შორის საოხნეთა ღაღადებს, რომელნი ქარქუეტითა ველისათა იზარდებოდეს, იობ. 30,7 (მღრ. ძუჰაჰსთუ ებრქან ჰიჰთუ...)

საპიტალოე-ა (აჰაჰან, ზ) ღუმელი, ბრძმელი: მიუტდა იგი კაცსა მას ისრაიტელსა საპიტალოესა შინა, რიცხ. 25,8.

სარდიონი (σάρδιον, τὸ) სვირთასი ქვა: ბართვ ოქრომას მძივას
სარდიონისასა — თქუმად სიტყუაჲ, იგ. 25,11.

სართულ-ი სახურავი, დაბ. 19,8; ეზ. 47,1.

სართულედ-ი ჭერიანი (?): უკუეთუ თქუენი ჟამი არს ყოფად სახ-
ლებსა სართულედსა, ანგ. 1,4.

სარკე-ჲ, სიბ. სოლ. 7,26.

სარო-ი (σαρῶν; τῶν) კვიპაროზის ხე. ეს, 41,19.

სასთულეზელ-ი დასაკრეფი, მსაჯ. 8,2.

სასთუნალ-ი სასთუმალი, დაბ. 28,11—18.

სასიტყუელ-ი აუგად სალაპარაკო, საქორაო, დასაცინი: იობ. 30,9;
გოდ. იერ. 3,63.

სასოება-ჲ იმედი, იობ. 7,6.

სასტუარ-ი (σαρτῶν; τῶν) თვალშისაცემი, შესამჩნევი: სასტუ-
არ არნ ბქეთა ზედა ქმარი მისი, იგ. 31,23.

სასუმელ-ი სასმისი, თასი, დაბ. 40,11.

სასყიდლით დადგინებულ-ი დაქირავებული მუშა, იობ. 7,2.

სასწაულ-ი მაგალითი; ჭკუის სასწავლებელი მაგალითი: სათნოე-
ბისა სასწაული არა გუაქუს, რათამცა ვაჩუენეთ..., სიბ. სოლ.
5,13; უკუეთუ... ერჩდეს სიბრძნესა ყური შენი, და წინა-აღწყყე იგინი
სასწაულეზად ძესა შენსა..., იგ. 2,2.

სასწორ-ი 1. ზომა, წონა: იყო სასწორი მათი (ე. ი. ოქროს სა-
ყურთაჲ — კ. დ.] თითო სატირის მრჩობლის, დაბ. 24,22 (+მსაჯ.
8,26; I მეფ. 17,5). 2. სასწორი: ვინ წონით აღწონნა რისხვანი ჩემნი-
და სალმობანი ჩემნი აღიხუნა სასწორითა ერთბამად? იობ. 6,2.

სასჯელ-ი სამართალ-ი, სამართალ-ი სასჯელ-ი მართალი სამართა-
ლი: სასჯელი სამართალი საჯეთ, წყალობასა და მოწყალე-
ბასა ჰყოფდით; სამართალი სასჯელი საჯეთ ბქეთა თქუენთა
ზედა, ზაქ. 7,9; 8,16. (αἰμα εἰσαγωγ. αἰμα εἰρηνογ.)

სატირ-ი (σατῶν; τῶν) [შდრ ძაჯაქა]) ვერცხლის მონეტა, დაბ.
20,14.

სატფურის ყოფა (ἐξουσία) ებრაელთა დღესასწაული, რომელიც
მოდირდა დეკემბერს. ადრე მოსავლის აღებასთან დაკავშირებით, შემ-
დგომ კი (სოლომონ მეფის დროიდან) მონასტრის კურთხევასთან და-
კავშირებით იმართებოდა: შეწირა მეფემან სოლომონ შესაწირავი
დასამშუღებელთაჲ... და ყო სატფური სახლისა მის უფლისაჲ
მეფემან და ყოველთა ძეთა ისრაელისათა, III მეფ. 8,63.

სატფურება-ჲ (ἐξουσία) დიდი საქმის (აქ: კერპის აღმართვის) მონ-
თავრებასთან დაკავშირებული დღესასწაული: და მოვიდეს და მოკრ-

ბეს ყოველნი იგი მთავარნი... რომელნი იყვნეს კვლამწიფებასა მისსა, მოსლვად სატფურებასა მას კერპისასა. რომელი-იგი აჰმართა ნაბუქოდონოსორ მეფემან, დან. 3,3.

საუნჯე-ა რისამე საცავი, საწყობი; ბელელი: ...რამთა აღევსნეს საუნჯენი შენნი სიმამლრითა იფქლისათა, იგ. 3,10. მი-მე-სრულ ხარა საუნჯეთა თოვლისათა, ანუ საუნჯენი სეტყუანნი გიხილვან? იობ. 38,22.

საუნჯე-ა სამხრისა-ა (ή სამείζα νότια) უცნობი თანავარსკვლავედი (?): რომელმან შექმნა კომნი და მწუხრისა ვარსკვლავი და ჩრდილო-დასა ურემ-ვარნი და საუნჯე სამხრისა, იობ. 9,9 (შლრ. რუს. თარგმანის „тайники юга“, ან „внутренние чертоги юга“).

საფასე-ა (μήσασαρος, ἔ) საწყობი, განძთსაცავი: სოლომონ... ყოველი ქურქელი იგი მისცა საფასედ ტამარსა მას უფლისასა, III მეფ. 7,51.

საფირონი (σάφειρος, ἦ) ძვირფასი ქვა. იობ. 28,6.

საფრკე-ა ბორკლი, ხაფანგი: საფრკენი ვითარცა მახმ მონადირისა დაარწყუეს განხრწნად კაცთა. იერ. 5,26.

საქმის მანუფეველ-ი (ἐργασιασφεί, ἔ) მუშების განმწყევანი და ზედამხედველი (πρῆστανικ), გამ. 5,6; 5,10—13.

საქცეველ-ი ცისა-ა (ή σφαίρα οὐρανόσ) ბრუნვა. მოძრაობის არსი ცისა: იცნი-მეა საქცეველნი ცისანი, იობ. 38,33.

საყდარი-ი (σφαίρα, ἔ) მაღალი და საპატიო საჯლომი, ტახტი: აღდვა საყდართ მისით ეგლომ, მსაჯ. 3,20 (+ დაბ. 41,40; ეს. 66,1).

საყნოსელ-ი სუნი: საყნოსელი მისი ვითარცა გუნდრუქისა, მს. 14,7.

საყურ-ი საყურე, დაბ. 24,22; მსაჯ. 8,4; იგ. 11,22; 25,12.

საყურძენ-ი (ἀμπελόν, ἔ) ვენახი, აღოს. 4,9.

საშარავანდო-ა სამეთო: განიძუარცა სამოხელი საშარავანდო, იონ. 3,4.

საშუმინველ-ი 1. სასიცოცხლო ძალა ორგანიზმში (ψυχή, ἦ; ჯიხე), იობ. 27,3. 2. სუნიქვა (πυρή, ἦ; ჯიხე). ეს. 42,5. 3. ცოცხალი, სულიერი: ყოველივე საშუმინველი ცხოველი... განჩინებულ იყოს, ეზ. 47,9.

საცო-ა (φύλαξι, ἦ) 1. დასაცავ-შესანახი, აქ: საიღუმლო: ყოველი საცო დაიძარხე გულსა შინა; 2. მცველი: ზღუა ნუ ვარი მე, ანუ ვეშაბი, რამეთუ დააწყეს ჩემ ზედა საცონი? იობ. 7,12.

საძილ-ი (ξύπνου, τὸ) სიზმარი: არღა ისმინა ჩემი... და არცა საძილთა. არცა გამოცხადებითა, I მეფ. 28,15.

საწამებელი-ი მოწმობისა, დასტურისა. კილოზანი საწამებელი სსაჲ ღმრთის მიერ სინას მთაზე მოსესთვის მიცემულ მცნებათა (შჯულის ფიცართა) შესანახი კილოზანი, გამ. 40,19. კარავი საწამებლისაჲ კარავი, სადაც ინახებოდა „კილოზანი საწამებელისაჲ“; გამ. 40.20—24; 20,24—27—33.

საწერელი-ი საწერი იარაღი; ვინ მომცეს მე დაწერად სიტყუანი ...საწერელითა რკინისაჲთა და ბრპენისაჲთა? იობ. 19,24.

საწმართული-ი (αἰγιμαίη, ἡ) წელის თუ წვივის საფარი (πακολεν-IIIK): საწმართული რვალისანი ესხნეს წელთა მისთა, I მეფ. 17,6.

საწმის-ი ცხვრის მატყლიანი ტყავი: აჰა ესერა მე დავდვა საწმისი ერთი მატყლისაჲ კალოსა შინა, მსაჯ. 6,37.

საწყაული-ი საწყაო, საზომი (სითხისა, მარცვლეულისა...), I მეფ. 1.24; რუთ. 3,15.

საქურის-ი 1. დაკოდილი, ეს. 56,3—4; 2. მსახური, დაბ. 37,36; 40,2.

სახიობ-ი მოთამაშე, მომღერალი: რაჟამს გესმას კმაჲ საყვრისაჲ ...და ყოვლისავე თითო-პირისა სახიობისაჲ, დაკვოდეთ, დან. 3.5 (+3,7).

საჯნის-ი სახნისი, ეს. 2,4.

საქსარ-ი გამოსახხნელი, გამოსასყიდი: ტყუშ ერისა ჩემისაჲ მი-აქციოს არა საქსართა, არცა ქრთამითა, ეს. 45,13.

საქუმილ-ი ღუმელი, ქურა, გამ. 9,10; დან. 3, 15; 3, 19—20.

საქუმილავ-ი სადარაჯო, გამ. 12,42; მსაჯ. 7,19.

სერ-ი ვახშამი: მოუშზადა მათ სერი და უქმნა მათ უცომოჲ, დაბ. 19,3.

სერაზინ-ი ბიბლიური წარმოდგენით, უპირველესი და უმაღლესი დასის ექვსფრთიანი ანგელოზი: სერაზინი დგეს გარემოჲს მისსა, და ესხა ექუს ფრთმ ერთსა და ექუს ფრთმ ერთსა; ორითა მით იფარვიდეს პირთა, ორითა მით იფარვიდეს ფერკთა, ორითა მით ფრინვიდეს, ეს. 6,2.

სერტყე-ი ტყე; სალოცავი, საკერპო ხე(?): მოკაფეთ სერტყე-ბი მათი. II შჯ. 12,3; ...განიშორნეთ თქუენგან უცხონი იგი კერპნი და სერტყე-ბი, I მეფ. 7,3.

სერტყოან-ი (ἀλσάνη) ტყისა: განაბნიენ გზანი შენნი უცხოთა მიმართ ქუეშე ყოველსა ხესა სერტყოანსა, იერ. 3,13.

სეტყუა-**ე** სეტყვა: მე ვაწვმო ამას ესამა ოდენ ზვალე ს ე ტ-
ყ უ ა **ე** დიდძალი ფრიად, გამ. 9,18.

სიავ-**ი** ქვაბი, I მეფ. 2,14; იერ. 1,13.

სიბერე-**ე** მოხუცებულობა: იაკობს უყუარდა იოსები უფროდს ყო-
ველთა ძეთა მისთა, რამეთუ შვილი ს ი ბ ე რ ი ს ა **ე** იყო, დაბ. 37,3.

სივრცე-**ე** სიგანე-სიფართოე, დაბ. 6,15.

სიკლა-**ე** (ძიკლავ, ბ) მონეტა (უფრო ვერცხლისა), I მეფ. 17,5.

სიმამლრე-**ე** სიუხვე, ბარაქა: რაფთა აღივსნენ საუნჯენი შენნა
ს ი მ ა მ ლ რ ი თ ა იფქლისათა, იგ. 3,10.

სიმეწამულე-**ე** სიწითლე, ეს. 63,1.

სიმტიერე-**ე** (ფაღაჯაჟაჟ, აბ) სიმელოტე: ყოველსა თავსა ს ი მ-
ტ ი ე რ **ე**. ამოს. 8,10.

სიმწვსე-**ე** სიდიდე, ნაზარდობა: ნუ ხედავ პირსა მაგისასა, ნუცა
ქმნულებათა ს ი მ წ ვ ს ი ს ა მაგისისასა, I მეფ. 16,7.

სირაქლემ-**ი**, იობ. 39,13.

სიყმილ-**ი** შიმშილი, დაბ. 26,1; 41,28—30.

სიცბილ-**ი** (მავიჯ) სიგიჟე, სიბ. სოლ. 5,4.

სიხენშე-**ე** სიცუდე. უმსგავსობა, იობ. 21,26.

სიხეკნე (ფაჰაბრეჰოჰ) უწმინდურობა, სიგლახე: შური ს ი ხ ე კ-
ნ ი ს ა **ე** დააბრკოლებს სულსა, სიბ. სოლ. 4,12.

სკორე-**ე** ნაკელი. განავალი: დაჯდა იგი ს კ ო რ ე თ ა ზედა გარე-
შე ქალაქსა. იობ. 2,8.

სკულ-**ი** (სუჰნეჰოჰ, ბ) ნასკვი. აქ: ხინჯი, სიგლახე, ბოროტება: პირ-
ველად ს კ უ ლ ი გულისა შენისა **ე** განპვსენ და ყოველი სიცრუეც
განიშორე, ეს. 58,6.

სოფელ-**ი** ქვეყანა: რომლისა ს ო ფ ლ ი ს ა **ე** ხარ შენ, ანუ რომ-
ლისა ერისა **ე**? იონ. 1,8.

სპარაზენ-**ი** მებრძოლი, დაბ. 14,24.

სპეტაკ-**ი** თეთრი: ეტლთა მათ მესამეთა ებნნეს ცხენნი ს პ ე-
ტ ა კ ი, ზაქ. 6,3.

სპილენძ-**ი** (სიჰეჰოჰ, ბ; ხიკლავ) აქ თითქო რკინას უნდა აღნიშნავ-
დეს: რვალისა წილ მოგართუან შენ ოქრო **ე** და სპილენძისა
წილ მოგართუან შენ ვეცხლი, ეს. 60,17.

სულ-**ი** (სუჰნეჰოჰ, აბ; ჩიჰი): რომელმან დააფუძნა ქუეყანა და მოს-
ცა ს უ ლ ი ერსა თვსსა, ეს. 42,5.

სულ-თქუმა-**ე** ოხვრა. კვენესა: ს უ ლ-თ ქ უ მ ი თ აღმოუტევენ მას ზე-
და სიტყუანი ჩემნი, იობ. 10,1.

სულმოკლება-მ მოუთმენლობა: გულგატეხილობა: სულმოკ-
ლებითაჲ ქირისაჲთა დადნობილ ვარ..., I მეფ. 1,16.

სულმყარლობა-მ: მყარლად ვხედავ საქმელსა ჩემსა ვითარცა
სულმყარობასა ლომისასა, იობ. 6,7.

სულმცირე-მ მსუბუქი, ეს. 19,1; სიბ. სოლ. 5,11.

ტ

ტაბლა-მ სუფრა, მაგიდა: დაუგეს მას ტაბლაჲ, დაბ. 24,33. გან-
წაბდა თვისი ტაბლაჲ, იგ. 9,2 (+111 მეფ. 2,7).

ტაგარ-ი ქვევრი: სავსე არიან საწნებელნი და გარდაეცემიან ტა-
გარნი. იოვ. 4,13.

ტაკუჟ-ი საწყლე და საღვინე ჭურჭელი: განზავა ტაკუჟთა
ღვინოჲ. იგ. 9,2.

ტაპაკ-ი (τῆραςον, τός; τασακ) ტაფა: თითოეულსა სცა ჭუეზაჲ
ერთი პური... და ლელანგოჲ ტაპაკისაჲ, II მეფ. 6,19.

ტარ-ი 1. სახელური: აღმოიღო მახვლი... და განსწონნა იგი. მუ-
ცელსა ეგლომისსა, და შეაგდო ტარიცა უკუანა წყლულსა მას...,
მსაჯ. 3,22; 2. (σφαριτρηα) ფეხსაცმლის ძირი: მკედისა ნაწყუდითგან
მიკამლის ტარადმდე არა მოვიღო ყოვლისავე ამისგანი. დაბ. 14,23.

ტარიგ-ი (ζῆρος, ἦ)კრავი: მოიგო [აგარაკი] ასითა ტარიგითა,
ისუ ნავ. 24,32; ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა, ეს. 53,7.

ტარტაროზ-ი უფსკრული: ტარტაროზი ჯდა ქუეყანაჲ ვერ-
განმადლარი წყლითა, იგ. 30,16.

ტაძარ-ი უფლისა-მ, სამლოცველო, I მეფ. 1,7.

ტაძრობა-მ (δουχ, ἦ) ლხინი, ნადიმი: აღორძნდა ყრმაჲ იგი, და
ყო აბრაჰამ ტაძრობაჲ დიდი ღღესა მას, რომელსა განეყენა ძმ'
თვისი ისაკი ძუძუსა, დაბ. 21,8; შეეკრბიან ძენი მისნი ერთად და
ყვიან ტაძრობაჲ დღითი დღე, იობ. 1,4.

ტრფალეზა-მ ტრფობა, შეყვარება. ე: ეტრფიალე მათ და
დაგიცვეს შენ, იგ. 4,6.

ტუნ-ი ტვინი; ცხიმი (მიწის სინოყვირე): ნაწლევნი მათნი სავსე
არიან ცმელითა და ტუნნი მათნი განფენილ არიან, იობ. 21,24;
მიგცე თქუენ ყოველი კეთილი ეგვპტისაჲ და შჭამდეთ თქუენ.
ტუნსა ქუეყანისასა, დაბ. 45,18.

ტურთ-ი ტვირთი. აქ: ფუთა, ქისა [კალკია ბერძნ. ἄσφαλς -ისა]:
რომელი სასყიდელსა შეიკრებდა, შეიკრიბა ტურთსა შინა განყუ-
რეტილსა, ანგ. 1,6.

ტუტა-ე (თუჯამუვიჯ. ო; ტუტ) თუთა: მწყემსი ვიყავ და ვწუღ-
ლევდ ტუტასა, ამოს. 7,14.

ტყვ-ი (ჯაშაქევიჯ, ბ) კალა, თუთია: იხილონ ლოდი იგი ტყ-
ვისაჲ, ზაქ. 4,10.

3

კსუბ-ი (წთთაჲჯ. ო) უსუბი (ბუჩქოვანი მცენარე სურნელოვანი
ფოთლებით), უსუბისგან დამზადებული საპკურებელ-სასხურებელ-
მოიღეთ... კსუბი კონაჲ ერთი საპკურებელად და დაწეთ სისხლ-
სა მას კრავისასა, გამ. 12,22.

უ

უბრალო-ე უდანაშაულო: მოსწრაფე არიან დათხევად სისხლსა
უბრალოსა, ეს. 59,7.

უზმელება-ე უქმობა, დასვენება: უზმელებანი და უქმე-
ლებანი და თვს-თავნი თქუენნი სძულან სულსა ჩემსა, ეს. 1,14.

უმსახურებელ-ი უღმრთო, უსჯულო: უგუნურნი იგი... უმსახუ-
რებელ იქმნეს და მოიძულეს მეცნიერებაჲ. იგ. 1,22.

უნასობა-ე (შღრ. სომხ. უნას) ზიანის მიყენება. 0—2: მაშინ გგე-
ლნი და კრავნი... არას ავნებდენ და არა უნასობდენ ურთიერთასა,
ეს 65,25.

უნჯება-ე დაგროვება. 0—2: რომელნი კაცისა კლვისა ზიარ არი-
ან, იუნჯებენ თავისა თვისისა ძვრსა, იგ. 1,18; 6/უ—3: დაუუნ-
ჯის ცხოვრებაჲ, რომელთა წარიმართნიან..., იგ. 2,7.

უპე-ე ჭიბი: წყლეს იგი უპესა ქუეშე, I მეფ. 31,3.

უპოვრება-ე უქონლობა: რომელმან გარე-მიიქციოს პირი მისი
გლახაკისაგან, მრავალსა უპოვრებასა შინა იყოს, იგ. 28,27.

ურაკპარაკ-ი (ურაკპარაკ) მოედანი: ლომთა დაუპყრიან გზნი და
წარსავალნი ურაკპარაკთანი — მკვლელთა, იგ. 22,13.

ურემ-კარ-ი (ურემ-კარ) ერთ-ერთი ვარსკვლავ-
ნარი: რომელმან შექმნა კომნი და მწუხრისა ვარსკვლავი და ჩრდი-
ლოესა ურემ-კარნი, იობ. 9,9. სხვაგან (იობ. 38,31) ბერძნ. პლემ-
ბიჯ-ს ეფარდება. უცხო წყაროების მიხედვით, დიდი დათვის თანა-
ვარსკვლავედს უნდა აღნიშნავდეს.

ურმის-თუალ-ი ბორბალი: გყავ შენ, ვითარცა ურმის-თუალ-
ი მღეწველი, ეს. 41,15.

ურნატ-ი ნახნავი, კვალი, იობ. 31,38; 39,10.

უსულელმს-ი ძალიან სულელი, გიჟი: უსულელმს ვარ ყოველთა კაცთა. იგ. 30,2.

უსულმცირმს-ი (ἐλαφρότης; ἰσχυροίς): ღმსუბუქესი. აქ: უსწრაფვი: ცხორება ჩემი არა უსულმცირმს სიტყვსა, იობ. 7,6; ცხორება ჩემი არს უსულმცირმს მსრბოლისა, იგ. 9,25.

უსჯულოება-ჲ უკანონობა, უსამართლობა: ნუ იტყვედ ბაგენი ჩემნი უსჯულოებასა, იობ. 27,4.

უფატრმს-ი (σπαρταρῶς) ძალიან დამბალი: რომელსა ძელსა იგი მიაქუს, მისსა უფატრმსსა უღადადებს, სიბ. სოლ. 14,1.

უფუველ-ი უსაფუერო, აუფუებელი: უფუველი პური და ველის-ყრდელი ქამონ, გამ. 12,8.

უქმელება-ჲ უქმობა, დასვენება: უზმელებანი და უქმელებანი და თვს-თავნი თქუენნი სძულან სულსა ჩემსა, ეს. 1,14.

უქრთამოდ: განუტევენ პერობილნი უქრთამოდ, ეს 58,6.

ულელ-ი ერთგვარი (ენიანი, ულიანი) სასწორი: ვინ აღწონა... ბორცუნი უღლითა? ეს. 40,12.

უყ-ი ტალახი, ლაფი: კევები ადაოცისა მის უყისაჲ უყსათა... დაბ. 14,10.

უცნება-ჲ (αειδησία; ἦ) მოჩვენებითობა: უცნებაჲ კაცთაჲ შემოკდა სოფლად, სიბ. სოლ. 14,14.

უცომო-ჲ უსაფუერო, აუფუებელი პური. მოუმზადა მათ სერი და უქენა მათ უცომოდ, დაბ. 19,3.

უწკროება-ი გვალვა: იყოს მის ზედა ბორობანი, წელიწადსა უწკროებებისა არა ეშინოდის, იერ. 17,8.

ფ

ფახ-ი ქონება, განძი: ყოველი ფახსი მათი... და მონაგები ტყუედ წარიღეს, დაბ. 14,11.

ფარღულ-ი ყელსაბამი (აქ: აქლემისა): ...ფარღულეებისა მის, რომელი-იგი იყო ყელსა აქლემთა მათთასა, მსაჯ. 8,26.

ფაქლ-ი მუწუკი: დასცა წყლულება ბოროტი ...და შექურა იგი ფაქლითა, იობ., 2,7. ფაქლი გამომტკუფოლვარეჲ ჩირქიანი, ჩირქმდინარე მუწუკი: და იყო ფაქლი გამომტკუფოლვარეჲ გამოსხმით კაცთა ზედა.., იობ. 9,10 (+9,9).

ფაჩუნიერ-ი ბალნიანი: გამოვიდა პირშო იგი მწითური ყოვლად და ფაჩუნიერ ვითარცა ტყავი, დაბ. 25,25.

ფერცხალ-ი (περσική) ნეკნი: სამნი ფერცხალნი პირსა შინა მისსა შორის კბილთა მისთა, დან. 7,5.

ფესანგ-ი (πιδανγ; *ψισακ*) კრელი: ეტლთა მათ შესამეთა ებნეს ცხენნი სპეტაკნი, და ეტლთა მეოთხეთა — ცხენნი ფესანგნი, ზაქ. 6,3 (+6,7).

ფიალ-ი ფიალა, თასი: იყვენ ავაზანნი სახლსა უფლისასა, ვითარცა ფიალნი წინაშე საკურთხეველსა, ზაქ. 14,20.

ფინიკ-ი (φινυξ, ბ/ჩ) ფინიკიური პალმა: ვითარცა ფინიკი ავმალლდი ენგადიძს, ისუ ზირ. 24,14.

ფრდილ-ი ნაეპტრ-ნაყიდი: წინად აიკეთოს... ყოველმან ვეცხლით ფრდილმან, დაბ. 17,13.

ფრჩხილ-ი (ზუნჯ. ზ) მინერალი, ერთგვარი აქატი: ვითარცა ქალბანა და ფრჩხილი და გუნდრუკი, საკუმეველი კარავსა შინა, ისუ ზირ. 24,17.

ფრცხილ-ი ფრჩხილი, ბრჭყალი: კბრლნი მისნი რკინისანი ფრცხილნი მისნი რვალისანი, დან. 7,19.

ფუზე-ი (φύμα. რ) ფუძე; საცხოვრებელ-სამკვიდრებელი: დაჰნერგა ფუზე, იგ. 31,16.

ფუფუნეულ-ი ნებიერად გაზრდილი: ფუფუნეულნი ჩემნი განვიდეს გზასა ფიცხელსა, ბარ. 4,26.

ფუცხუ-ი ხორცის ამოსაღები ჩანგალი: ფუცხუ სამპირი აქენ კელსა მისსა, I მეფ. 2,13.

ფქურება (φορμα) სწრაფი სვლა, ფრენა. 0—1: ვითარცა ტრედნი ერთბამად ფქურებოდინ, ეს. 59,11.

ქ

ქადაგ-ი (κηρμα, ბ; *καραν*) ხმამალა მომხმობელი, მქადაგებელი: და ქადაგი კმობდა ძრეელად, დან. 3,4.

ქალ-ი ჩვილი გოგო: უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით; უკუეთუ ქალი იყოს, განარინით, გამ. 1,16.

ქალბანა-ი (γαλβανη, ჩ) სურნელოვანი ფისი მცენარისა *Ferula galbaniflua*-სი: ვითარცა ქალბანა და ფრჩხილი და გუნდრუკი, საკუმეველი კარავსა შინა, ისუ ზირ. 24,17.

ქალსახლის-ი ქალიშვილი (ადგილობრივი): ქალსახლისები ამის ქალაქისა გამოვიდენ, დაბ. 24,13 [კალკი ჩანს ბერძნულ „καλσαχλας τω αιχισταν-ისა].

ქარს-ი (ψηφος, ჩ) ქვის დანა: მოილო სეფორა ქარსი და წინადასცვთა ძესა თვისსა, გამ. 4,25.

ქარქაშ-ი ხმლის, მახვილის ბუდე, I მეფ. 17,51.

ქარქუეტ-ი ჩლაჩულა: რომელნი ქარქუეტითა ველისადათ
ზარდებოდეს, იობ. 30,7.

ქელ-ფიცხელი-ი ამაყი: ურჩი, II შჯ. 9,6—13; იგ. 29,1.

ქენება-ა ხეწნა. ე: პირი ჩემი ექნებოდა, იობ. 19,16; მუნ
მყოფ-ა შორიელსა ექნებოდიან, სობ. სოლ. 14,17.

ქერობინ-ი ბიბლიური (ებრაელთა) წარმოდგენით უმაღლესი და-
სის ანგლოზი, ებ. 9,3. იხ. სერაბინ-ი.

ქლამინდ-ი ([χλαμίνδ, -σίνδ, ἥ], ბ:πλινδ, ἥ) მოკლე ზედა მოსასხამი:
აღდა დავით და მოჰქუეთა იღუმალ კიდე იგი ქლამინდისა საუ-
ლისი, I მეფ. 24,5 (+24,6—12); იგ. 31,22.

ქმნულ-კეთილ-ი ლამაზი, დან. 1,4.

ქმრის-ცოლ-ი(κίς και) გათხოვილი: გულის-წყრომაა რისხვისა
არს დაუპრობელი, შეგინებაჲ ქმრის-ცოლისაჲ, იობ. 31,11.

ქნარ-ი სიმებიანი საკრავი, ჩანგი, დაბ. 4,21; I მეფ. 16,16—23;
18,6.

ქორ-ი ზედა სართული: იგი ჯდა ქორსა მას ზედა საზაფხულოსა,
მსაჯ. 3,20; 3,22—23.

ქრთამ-ი „საცოდავი ძღუენი“ (საბა), II შჯ. 10,17; ეს. 45,13.

ქრთილ-ი (αρχή, ἥ) ქერი, გამ. 9,31; მსაჯ. 7,13.

ქრისტე უფალ-ი (Χριστός Κύριος) ცხებული, რჩეული უფლისა:
სულ პირისა ჩენისა — ქრისტე უფალი — შეიპყრა განხრწნი-
ლებასა შინა მათსა, გოდ. იერ. 4,20.

ქსელ-ი დედაზარღისა-ა ობობას ქსელი: ქსელსა დედაზარ-
ღისასა ქსოვენ, ეს. 59,5.

ქუაბ-ი გამოქვაბული, I მეფ. 24,4—8.

ქუე-გამხედველ-ი (ἄπακλαστήσειος) შენიღბულად ავის მზრახველი,
I მეფ. 18,9.

ქუემო-ა მდაბალი, მშვიდი [ანტონიმია ფიცხელ]: სიტყუამან
ქუემომან გარე-წარკადის რისხვაჲ, იგ. 15,1.

ქუეყანა-ა 1. მიწა: ვითარცა ქუეყანაჲ წყურიელი, რომელი
მოელნი წყალსა, იობ. 29,23., 2. ქვეყანა: სამისაგან იძლევის ქუე-
ყანაჲ..., უკუეთუ მეფობდეს მონაჲ..., იგ. 30,21.

ქუეყანით-მცნობელ-ი (γυασηφ ἀπὸ τῆς γῆς) მარჩიელი, მკითხავი:
საულ აკოცნა ყოველნი მუცლით-მეზღაპრენი და ქუეყანით-
მცნობელნი, I მეფ. 28,3. (+28,9).

ქურუმ-ი (ἱερέας, ὁ) კერპის მღვდელმსახური, მოგვი, გამ. 2,15;
I მეფ. 6,2.

ქურციკ-ი გარეული თხა, II შჯ. 12,15.

ლ

ლადადის-ი (*ἀλαδαις*, ἴ: *Ἀρβητοσ*) შიკრიკი, მაცნე: აპა ესერა და ლადისი ერთი მოიწია იობისა, იობ. 1,14 (+1,16—17).

ლადადის-მგდებელ-ი შიკრიკი, ამბის მომტანი: მოიწია ლადის-მგდებელი აბრაჰამისა, დაბ. 14,13.

ლაწუ-ი ლოყა, ლაწვი, ეს. 50,6.

ღელე-ე ხეობა: მაღიამ და აშალეკ... დაბანაკებულ იყვნეს ღელესა მას შინა, მსაჯ. 7,12.

ღელვა-ე ტალღა: შენ ზედავე შეიმესრნენ ღელვანი შენნი, იობ. 38,11.

ღირღილოვან-ი ოღრო-ჩოღრო, უსწორ-მასწორო: იყოს ძნელოვანი იგი წრფელად და ღირღილოვანი — ველად, ეს. 40,4.

ღრიაკალ-ი მორიელი, II შჯ. 8,15; ეს 59,5.

ღვ(ვ)-ა (*δωσαν*, ἦ) ღვია: აღმოგიცენო შენ... ღვისა წილ მურტი, ეს. 55,13.

ღვინს-მნე-ე (*δραγαγαγας*, ἴ) ხელსუფალთა კარზე ღვინის ხარჯვის განმგებელი, დაბ. 40,1—2; 40,5.

ღუაწლ-ი ბრძოლა: იძია სისხლი ღუაწლისა ეამსა მშვიდობისასა, III მეფ. 2,5.

ყ

ყანჩ-ი (ყაძ, ἴ) ყანჩა, აქ: ძერა (?). იობ. 5,7; 39,27.

ყია-ე ყელი: უპყრი ყიაა მისი, ვსტი და მოვაკუდინი, I მეფ. 17,35.

ყოველ-ი მთელი, სრული: დღე ყოველ და ღამე ყოველ [=მთელ დღე და მთელი ღამე], გამ. 10,13; ყოველსა აქუეყანასა ეგვიპტისასა [=მთელს ეგვიპტეში, ეგვიპტის მთელ მიწაზე], გამ. 10,24.

ყოვლად-დასაწუველ-ი (*δλοιασασα*, τῶ) მთლიანად დასაწუვაი და შესაწირი მსხვერპლი, II მეფ. 6,17—18.

ყოვლისა-მპყრობელ-ი (*παντοκρατωρ*; *αρχηγος*) ღმრთის ეპითეტია და ნიშნავს ყველაფრის განმგებელს, II მეფ. 5,10.

ყრმა-ე ახალგაზრდა: შენ ყრმა ხარ და იგი მამაკაცი არს, I მეფ. 17,33.

ყრმისა ამქუმელ-ი (*μαριε*, ἦ) ბებია ქალი, მეანი, დაბ. 35,17; გამ. 1,15—17.

ყრმის-მპყრობელ-ი ბავშვის მომვლელი, დედამძღვე, ეს. 49,23.

ყუედრება ლანძღვა-გინება.ა—2: ვინ არს უცხო თესლი..., რომელ-
მან აყუედრა განწყობილსა ღმრთისა ცხოველისასა? I მეფ. 17,26.
ყუედრებად ისრაელისა აღმოვალს, I მეფ. 17,25.

ყუერბ-ი (παρισά, ἦ) ბოსტნის კვალი: მოვრწყო მტილი ჩემი და
დავათრვო ყუერბები ჩემი, ისუ ზირ, 24,23.

ყურბეულ-ი (—ყუერბეულ) პურეულის კვერი: შეიცხვეს ცმელი
იგი... ყურბეულად უცომოდ, გამ. 12,39.

შ

შანთ-ი (βάντις, ἦ; ἡσθ) სინათლის (მზის) დისკო: ვინ არს, რომელმან
შვნა შანთნი ნათლისანი? იობ. 38,28.

შარავანდედ-ი. 1.(δεδήμηξ, τὸ) სამეფო გვირგვინი: შარავანდედი
ამეფოთა კელსა ღმრთისა შენისასა, ეს. 62,3 (+II მეფ. 1,10); 2.
(βασίλειος, ἦ; βασιλική) მეფე, გვირგვინოსანი: და დაესხა შარავან-
დედთა მათ ღამე თავადი იგი, დაბ. 14,+5 (+იგ. 14,28).

შარავანდელობა-ა მეფობა: შარავანდედობასა მას ამფა-
ლისსა, დაბ. 14,1.

შებლალვა-ა დასვრა. 0—2: შებლალეს სამოსელი მისი სისხლი-
თა, დაბ. 37,31.

შებლალულ-ი დასვრილი, გახრწნილი: შებლალულ არიან კორ-
ცნი ჩემნი საძაგელებითა მატლისაჲთა, იობ. 7,5.

შეგბობა მოხარშვა. ა—2: მოვიდის, ოდეს შეაგბოიან კორცი,
I მეფ. 2,13.

შეგბოლვა მოხარშვა. 0—2: შეგბოლა გბოლილი [=მოხარშა-
წვნიანი კერძი], დაბ. 25,29. იხ. მგბარ-ი.

შემოქმედ-ი შექმნელი (იგულისხმება ღმერთი): რამეთუ განარის-
ხეთ შემოქმედი თქუენი, ბარ. 4,7.

შერაცხილ-ი მიჩნეული, აქ: წარჩინებული: მოკრბეს ყოველნი იგი
მთავარნი, მარზაპნები იგი და შერაცხილები და ერისთავები,
ღან. 3,3.

შესოვლება დასველება. ი ვნ. ერთსა ქალაქსა არა უწყვბო. ერთი
ნაწილი შეისოვლოს და ერთი ნაწილი არა შეისოვლოს და
ნაწილსა მას რომელი არა შეისოვლოს, იგი განვმეს, ანოს. 4,7.

შესულება გაოგნება, გონების დაკარგვა. 0—2: განკრწნადმან კორ-
ცმან დაამძიმის სული და შესული ბის მიწოანმან საყოფელმან გო-
ნებაჲ მრავალ-მზრახველი, სიბ. სოლ. 9,15. შესული ბნა იგინი
უფალმან... ისუ ნავ. 10,10.

შეტუხვა შეტრუსვა. ი ვნ.: ვარჯნი თავთა მათთანი არა შე ი ტ უ ს ე ს, დან. 3,94.

შეტუება შესატყვისი; ახსნა: ესე არს შე ტ ყ უ ე ბ ა მ ა გ ის ი: სამნი იგი ლაკლანი სამნი დღენი არიან, დაბ. 40,18.

შეტუელვა ხელის ხელზე შეზოკვრა (განრისხების ნიშნად), ი—2: განრისხნა გულოს-წყრომით ბალაყ მის ზედა და შე ი ტ ყ უ ე ლ ნ ა კ ე ლ ნ ი თ ვ ს ნ ი, რიცხ. 24,10.

შეყოფა შედედება, რძის ყველად აქრა, გა და ტ. გაწურვა, გატან-ჯვა: 0—2: ვითარცა სძმ მომწუფელე მე და შე მ ყ ა ე მე სწორად ხა-ქუამსა [შღრ. ზანაძე; *შაბოძი*], იობ. 10,10.

შეყოფილ-ი დაახლოებული, შეთვისებული: ნუ ჰზრახავ მეგობრი-სა შენისათვის ძვრსა, რომელი შე ყ ო ფ ი ლ და მოსავ იყოს შენდა, იგ. 3,29.

შეშობა დახრჩობა. ა—2: შეიბყრა იგი სულმან ბოროტმან ...და შე ა შ თ ო ბ და მას, I მეფ. 16,14; სული ბოროტი... შე გ ა შ თ ო ბ ს შენ, I მეფ. 16,15.

შეჩქუეფება შეხლა-შემოხლით, ჯგროდ მიცვიენა შე ჩ ქ უ ე ფ ე ბ ი თ შეცვეს მთასა მას გელბოლსა..., II მეფ. 1,16.

სეჭუვა, შეჭუვილ-ი შეწუხება, დანაღვლიანება, ი ვნ.: შეწუნნა კაენ ფრიად და შე ი ქ უ ა პირი მისი, დაბ. 4,5: 6 ვნ.: რამსათვის მწუხარე იქმენ და შე ქ უ ე ნ ა პირი შენი? დაბ. 4,6.

შვილება შვილად გახდომა. ე—2: უკუეთუ ე შ ვ ი ლ ე ბ ი, ე შ ვ ი ლ ე, რუთ. 4,4.

შენ-ი დასახლება: უფალმან დაჰბადა შ მ ნ ი და უდაბნოჲ, იგ. 8,26.

შთახში-ი (თხაჯი, ჴ) შტახსი, სურნელოვანი მცენარის ნაწური: აქ-ლეგნი მათნი საგვე იყვენეს მკურის-კევითა და შთახშითა, დაბ. 37,25.

შილ-ი ძმების ცოლები ერთერთის მიმართ (თავაჲმადჲ „თანარძა-ლი“) აჰა ესერა უკუნეჲცა შილი შენი ერისა თვისისა, რუთ. 1.15 [აქ ურიფა და რუთი შილები არიან].

შიმუნვარ-ი (შამუნჯი ჴ) მხევალი, მოახლე. ხელზე მოსამსახურე ქალი: აღდგა რებეკა და შ ი მ უ ნ ვ ა რ ნ ი მ ის ნ ი, დაბ. 24,61 (+29,24).

შიში (ფრძი, ბ) სანუ შენ შეჰმოსე ცხენსა ძალი და შეარტყ ქედსა მისსა შ ი შ ი? იობ. 39,19. [ქართ. შ ი შ ი, ისე როგორც მისი ფარდი ბერძნ. ფრძი, კონტექსტურად მოულოდნელია, რადგან აქ ცხენის ფ ა ფ ა რ ზ ე უნდა იყოს საუბარი, შღრ. ებრაულიდან მომდინარე რუს. თარგმანი: *о́нлек шею его рпивою*].

ცოცხლად საღად, გონივრულად: შვიდ ყოველთა ცოცხლად,
გ. 31,8.

ცრუ-მოწამე-მ ცრუ მოწმე, იგ. 24,28.

ცვლ-ი (αλλάζει, ბ; მოძ) ცვილი: ვითარცა ცეცხლისაგან რაჲ დაღნის
ცვლი. ეს. 64,2.

ცუდად ამაოდ: შენ სთქუ მონაგები მისი ცუდად წარწყმედად,
იობ. 2,3. (+ივ. 1,17).

ცხება წაცხება, წასმა. აქ: მეფედ კურთხევა: 0—(3)2: სცხო მეფედ
ჩემდა; აღდეგ და სცხე მაგას, I მეფ. 16,3—12.

ცხებულ-ი ღმრთისგან ნაკურთხი. გადატ. გამორჩეული პიროვ-
ნება, მეფე: აღამაღლოს უფალმან რქაჲ ცხებულისა თვისსაჲ, I
მეფ. 2,10. არა მივყო კელი ჩემი უფალსა ჩემსა ზედა, რამეთუ ცხე-
ბული უფლისაჲ არს ესე, I მეფ. 24,11 (+24,7).

ცხედარ-ი ლოგინი, საწოლი: განძრიელდა [ისრაჲლ] და დაჯდა
ცხედარსა ზედა თვისსა, დაბ. 48,2.

ცხენთ-სარბიელ-ი (καθηρέμαჲ. ბ) იპოდრომი, ასპარეზი, აქ: გეოგრა-
ფიული სახელი: დავჰვალ იგი გზასა ზედა ცხენთ-სარბიელსა,
ესე იგი არს ბეთლემი, დაბ. 48,7.

ცხოზა გათბობა (აქ: კვერცხს ვათბობა ბარტყის გამოსაჩეკად).
ა—2: დაუტყენის ქუეყანასა ზედა კვერცხნი თვისნი, მიწასა შინა აც-
ხოზნ, იობ. 39,14.

ძ

ძალ-ი აზრი. მნიშვნელობა: არავინ იყო გამომთქუმელ და მეტყუ-
ელ და მთხრობელ მისა ძალსა მას ჩუენებისასა, დაბ. 41,8.

ძაღლის-მწერი-ი (ασημαζ, რ) ერთვეარი მწერი: ამა მე მოვაველინო
...სახლეულთა თქუენტა ზედა ძაღლის-მწერი და აღვაესნე სახლ-
ნი მეგვტელთანნი ძაღლის-მწერი თა, გამ. 8,21 (+8,22).

ძაძა-მ 1. ტომარა: აღაფენით ძაძანი თქუენნი იფქლითა, დაბ.
45,17. 2. უხეში ქსოვილის სამოსელი: ძაძაჲ შეიმოსო და ნაცარი
დაიფინო, ეს. 58,5.

ძგიდე-მ ტიხარი: ქუეშე და ზე სახლებად აღაშენო იგი (=კილო-
ბანი] ძგიდედ-ძგიდედ, დაბ. 6,16.

ძეგლ-ი (ძეგლავი, რბ) ქანდაკება, ეს. 19,3.

ძელი-ი ხე: მოკაფეთ ძელი და აღაშენეთ სახლი ჩემი, ანგ. 1,8.

ძელქვა-მ (πλατάνας, რ) აქ: ქადარი (πλαταν): ავმაღლდი ვითარცა
ძელქვაჲ, ისუ ზირ. 24,15.

ძეძუ-ი (აზი:პრ. ზ) ძეძვი: ძეძვისა წილ აღმოვიცენო შენ საროა, ეს. 55,13.

ძეწნ-ი (აზი:პრ. ზ) ტირიფი: აღმოსცენდენ... ვითარცა ძეწნი თანა-წარსადინელსა წყალთასა, ეს. 44,4.

ძნეულ-ი ძნა: შვდნი თავნი ჭუვილისანი აღმოვიდოდეს ძირსა ერთ-სა ზედა ძნეულნი და კეთილნი, დაბ. 41,5.

ძონძ-ი კინჭი, ძველი სამოსელი ან მისი ნაგლეჯი: მოილო ძუელი ძონძი და საბლები ძუელი და შთაუყარა იგი... ნღვმესა შინა, იერ. 38,1.

ძოწუელ-ი წითელი ფერის ძვირფასი ქსოვილი: იაკონთე და ძოწუელი სამოსლად მათა, იერ. 10,9.

ძრვა-ა (ძე:ძმარჯ, ბიმიწისძვრა: შემდგომად ქარისა მის—ძრვაჲ, III მეფ. 19,11 (+ამოს. 1,1).

ძულუან გუშინწინ: რად არა აღასრულეთ წესი იგი ალიზისა, ვითარცა-იგი გუშინ და ძულუან, ეგრევე დღეს? გამ. 5,14.

ძულუანდელ-ი გუშინწინდელი: არღარა შესძინოთ გიცემად ბზჳ ალიზისა საქმესა, ვითარცა-იგი გუშინდელსა და ძულუანდელსა დღესა, გამ. 5,7.

ფ

წამ-ი წამწამი: თუალნი შენნი მართლ ახედვენ და წამნი შენნი სიმართლესა წამებედ, იგ. 4,25.

წამ-ი ხასწორ-ი ისრიანი (სწორი, ზუსტი) სასწორი (ბიბლია: წამი: მხსი ლილი): წამი სასწორი უფლისა მიერ, რამეთუ საქმენი მისნი საწორ სიმართლისა, იგ. 16,11.

წამალ-ი დაძმავი, რა) წამალი: აქ: საწამლავი: არა არს მას შინა: წამალი მომსრველი, სიბ. სოლ. 1,14.

წამწამ-ი: ამპარტავან არიან თუალნი მისნი და წამწამითა თვისითა მალლოინ, იგ. 30,13. ნ. წამ-ი.

წარმდებ-ი უტიფარი: ნუ წარმდებ იქნები ლალესა, იგ. 25,8.

წარწყმედა-ა დაღუპვა: ხოლო შენ სთქუ მონაგები მისი ცუდად წარწყმედად, იობ. 2,3.

წარწყმედულ-ი დაკარგული, დაღუპული: წარწყმედული იგი არა მოიძიეთ, ებ. 34,4.

წარღუნა წალეკვა. 0—2: ეტლები მათი და ცხენები მათი... წარღუნა წყალმან მან მეწამულისა ზღვსამან, II შჯ. 11,4.

წბოლა სვლება. 0—(მ) 1: რომელმან წბას ენითა თვისითა წყლისა-გან ძაღლებრ..., მსაჯ. 7,5.

წიად-ი კალთა: უბე: მოიქუა ნოიმიწ ყრმაჲ იგი და დაისუა წიადთა

თვსთა, რუთ. 4,16; ანუ თუ უძრული განუტევე ცარიელი წიაღითა? იობ. 31,34;

წიაღმოსავალ-ი მდინარეზე გადასასვლელი თხელი წყალი, ფონი: წიაღმოკდა წიაღმოსავალსა მას იაბუქისასა, დაბ. 32,22.

წიაღსავალ-ი ფონი: დაიპურეს წიაღსავალი იორდანისაჲ, მსაჯ., 3,28.

წიგნ-ი მატიანისა-ჲ: სასჯელი დაეგო და წიგნნი მატიანისანი განეხუნეს, დან. 7,10.

წიღოვნება-ჲ თვიური, თვიურის ქონა: დედაკაცი წიღოვნებასა შინა [რად] იყოს, არა შეეხოს, ეზ. 18,6.

წინდ-ი გირაო; ბე: მომეც მე წინდი ვიდრე მოძღუანებადმდე შენდა. ხოლო იუდა პრქუა: რად წინდი მიგეც შენ? დაბ. 38,17—18.

წინაჲსწარ-იგავ-ი დასაწყისი: რად-მე უკუე აწ წინაჲსწარ-იგავი ანუ შიში მის მიერ...? იობ. 25,2 [„წინაჲსწარ-იგავი“ მცდარი თარგმანია „დასაწყისის“ მნიშვნელობის *πρωτογενής*-ისა. ეს უკანასკნელი წაკითხულია, როგორც „იგავის“ შინაარსის *πρωτογενής* სიტყვა].

წინამორბედ-ი წინმავალი: მოიწიოს ვითარცა წინამორბედი სიგლახაკე შენი, იგ. 24,34.

წინა-ყოფა დახარჯვა, გაფლანგვა, ქონებისა. ი/უ—ჲ: რადთა არა წინა-უყო ცხორებაჲ შენი... უწყალოთა, იგ. 5,9.

წუად-ი შემწვეარი: კორცი წუადი... და კორცი მგბარი, I მეფ. 2,15.

წუთხ-ი ჩირქოვანი გამონადენი: მოიღო იობ კეცი, რადთა წუთხისა იხუეტდეს, იობ. 2,8; დავადნობ ნაძოსა ქუეყანისასა წუთხისა ხუეტითა, იობ. 7,5.

წულ-ი ვაეი, ბიჭი: უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით, უკუეთუ ქალი იყოს, განარინით, გამ. 1,16 (+1,22).

წულიღვა ტოტების სხეპვა, ბელვა. 0—2: მწყეპსი ვიყავ და ვწულიღვედ ტუტასა, ამოს. 7,14.

წურბელ-ი წურბელა: წურბელსა სამ ასულ ესხნეს, იგ. 30,15.

წყვილი-ი (*μυρτιά*, ბ). მენჯი. ბარძაყი; წელი: მოყავ ჩემდა კელი შენი და დამდევე წყვილთა ჩემთა, დაბ. 24,2(=შემომფიცე) (+მსაჯ. 8,30: III მეფ. 8,19).

წყირთლ-ი კარის ან სარკმლის ჩარჩოს გვერდები: მოიღონ სისხლისა მისგან და მონიშნონ ორთავე წყირთლთა ზედა ბქეთასა, გამ. 12,7.

წყლვა დაქრა. 0—2: წყლეს იონათამ [მათ], I მეფ. 31,2.

წყლით-რღუნა-ჲ წარღვნა, წყალდიდობა: ხოლო მე აჰა მოვკაღო წყლით-რღუნაჲ ქუეყანასა ზედა, დაბ. 6,17 (+7,4).

წყლტუ-ა 1. უთმო. ძმაჲ ჩემი არს კაცი მატყიერი. ხოლო მე წყლტუ ვარ, დაბ. 27,10. 2. გლუვი: [გზანი] მკნეთანი წყლტუ არიან, იგ. 15,19.

წყლულ-ი დაქრილი: დაეცნეს წყლულნი გზასა ზედა ბქეთასა... I მეფ. 17,52.

წყრთა-ა სიგრძის საზომი ერთეული, „იდაყვთვან თითის წვერამდე“ (საბა): სამას წყრთა ჰყო სიგრძე კილოზნისაჲ მის და ერგასის წყრთა სიერცე მისი..., დაბ. 6,15.

წყობა საბრძოლო განლაგება, ბრძოლა: არა მხადენ ჩუენ, რაჲჲს ვანხედოდე შენ წყობად მაღიამისა, მსაჯ. 8,1.

წყურიელ-ი მოწყურებული, მწყურვალე: მისცე წყალი წყურელითა, ეს. 44,3; წყურიელსა ქუეყანასა იყოს წყარო წყალთაჲ, ეს. 35,7.

წყურნები-ი წყლიანი ადგილი, ქენჭუობი, ქაობი: განრთხ კელი შენი ქვენებსა და წყურნებსა და აღმოიყვანე მუჲარი, გამ. 8,5; და იყოს უდაბნოჲ წყურნებად, ეს. 35,7. იხ. მწყურნობოანი-ი.

ბ

კაბუკ-ი ახალგაზრდა (ქალიც და ვაჟიც): ვინ არს კაბუკი ესე? მიუგო მონამან მან...: დედაკაცი მოაბელი არს, რუთ. 2,5; ვითარცა დაიშკდრის კაბუკმან ქალწულის თანა..., ეს. 62,5.

კაკუნტელ-ი (σκαυτελον, τός; *ჩაკუნტი*) ქარხალი: ძენი შენნი..., ვითარცა კაკუნტელი ზოგის-მგბარი, ეს. 51,20.

კალაკ-ი კუნძული: ამათ განიყენეს კალაკნი ნათესავთანი..., დაბ. 10,5; კალაკნი და ყოველნი მკვდრნი მისნი, ეს. 42,10.

კენება ბიძგი, ხელის კვრა. ა—(მ)2: რომელი-იგი ავენებდა მოყუასსა, აქენა მას. გამ. 2,14.

კიმ-ი (φύμας, ბ) აღვირი: სულ-თქუმით ვალ მე თვნიერ კიმისა. იობ. 30,28.

კირ გაჰირვება. 0—(2)1: მკირს მე, მუცელი ჩემი შეძრწუნდა. გოდ. იერ. 1,20; მკირს მე ფრიად [=ძალიან მიჰირს], I მეფ. 28,15.

კირ-ი (καμνη, ἦ) ქია, მატლი (гусеница): ნეშტი კირისაჲ შექამა მკალმან, იოვ. 1,4.

კუვილ-ი წუხილი: ვახარო მათ ქუვილისაგან მათისა, იერ. 31,13.

კური-ი (κῆρυξ, ἔ) სიტხის კურჭელი (დიდი): კური განჭურეტილი არს სხვსა სახლი, იგ. 23,27.

ჭურჭელ-ი სითხის, წყლის ჭურჭელი: ოდეს გაწყუროდის, მოვედ
ჭურჭლად და სუ, რუთ. 2,9.

ხ

ხაღა მოხმობა; მოწვევა. 0—(3)2: მოვხადე ძეთა ხარკთა ჩემთა,
იობ. 19,17; ესე ესვიდა ხაღად სახელსა უფლისა ღმრთისასა, დაბ.
4,26.

ხარკის მომკდედ-ი(παράξωρα, ბ. ნარქასან)მეხარკე, ხარკის გადამ-
დევინებელი: ერო ჩემო, ხარკის მომკდედნი თქუენნი მოგ-
კუფხვლიდენ თქუენ, ეს. 3,12.

ხალ-ი საზომისა-ფ (χάλι) საზომი ჯოხი: ხალიგი საზომი-
საჲ კელთა მისთა; და იწყო მან ზომად შინაჲთ, გარდაჲთ, ეზ. 47,3.

ხალენ-ი(μηλαί, ἥ; μάκλας) ტყავის წამოსასხამი: დაიფარა პირი
მისი ხალენითა, III მეფ. 19,13 (+IV მეფ. 2,8).

ხარკ-ი(νάρκ) ხასა, ხარკა, მსაჯ. 8,31; იობ. 19,17.

ხაშმი-ი სნეული; დაგლახავებული: შემოგაქუნ ჩემდა ნატაცები და
მკელობელი და ხაშმი, მალ. 1,13.

ხაქუა-ჲ(χαρά, ἥ)ყველი; ხაქო: ვითარცა სძმ ნომწუელე მე და
შემყავ მე სწორად ხაქუაჲსა. იობ. 10,10 ამ სიტყვას ძველი მნი-
შვნელობა შენარჩუნებული აქვს კომპოზიტში: ხაქაპურ<ხაქვა-
პურ<ხაქუაპურ, ე. ი. „ყველპური“.

ხაქუა-ჲ დონდოლ-ი რბილი (რძიანი) ყველი: ათი ესე ხაქუაჲ
დონდოლი შეართუ ათასის-თავსა (მღრ. „χὰξ βῆμα σερυφελῆμας
τοῦ γάλακτος...“) I მეფ 17, 18.

ხენეშ-ი ცუდი, ავი: ხენეშნი და უშუერნი ხილვითა, დაბ. 41,17;
კაცი ხენეშ და ძმ კაცისაჲ მატლ, იობ. 25,6.

ხორშაკ-ი(χαρσός) დიდი სიცხე: ...არცა ეცეს მათ ხორშაკი,
არცა ავნოს მათ მზემან, ეს. 49,10.

ხსედ-ი(παρρά) ალისფერი: მონარინჯისფრო: ეტლთა მათ მეორე-
თა ებნეს ცხენნი ხსედნი, ზაქ. 6,2.

ხუეტა ფხეკა; ძლიერ მოფხანა. 0—2: მოილო იობ კეცი, რაჲთა წუ-
თხსა იხუეტდეს, იობ. 2,8.

ხურო-ჲ(τεχνητός, ὁ) ოსტატი: ყოველთა ხურომან მასწავა მე
სიბრძნე, სიბ. სოლ. 7,21.

ხურო(ვ)ება ოსტატობა. 0—2: რომელნი ვეცხლსა ხუროებ-

დეს, ბარ. 3,18. ხუროვებამან სიბრძნისამან ქმნა..., სიბ. სოლ. 14,2 (+14,4).

ხვრ-ი (*խոր*) დიადება, თავსაბურავი (ბარ. 5,2).

3

კალ-ი (*καλός, τός*) მოხალული ქერის ფქვილის, ერბოსა და თაფლისგან შემზადებული საჭმელი: შეუსუარა მას ბოოზ კალი და ქამა და განძლა, რუთ. 2,14 (+1 მეფ. 17,17).

კამლ-ი ფესსაცმელი: წარიკადენ კამლნი ფერკთაგან შენთა, გამ. 3,5 (+დაბ. 14,23).

კაჯა-ე: არცა იჩინო ნიში კაკისაჲ პირსა შენსა, II შჯ. 14,1.

კბო-ე: კბონი, რომელ ავსნილ არიედ კრულებათაგან, მალ. 3,20.

კდალ-ი დედალი ცხოველი (ვირი, აქლემი, ცხენი): აქლემი კდალი და კიცუები მას თანა, დაბ. 32,15; ვირი კდალი მძოვარი ხუთას..., იობ. 1,3 (+1,14); ყოველი ეგე რემაკ კდალთაჲ... შენდა იყავნ, დაბ. 14,21.

კდილ-ი ქარქაშიდან ამოღებული, ამოწვდილი, შიშველი (მახვილი): მახვილი კდილი კელსა შინა მისსა, რიცხ. 22,31.

კელ-ცემულ-ი დაკავშირებული, მოკავშირე (СОЮЗНИК): რომელნი-ოგი იყვნენ კელ-ცემულ აბრაჰამისა, დაბ. 14,13.

კმევა ხმარება, გამოყენება. 0—2: ...რომელნი იკმევედ მას, იგ. 5,5.

კმელ-ი ხმელეთი: განიბო წყალი... და განვიდეს ორნივე კმელად, IV მეფ. 2,8; რომელმან შექმნა ზღუაჲ და კმელი, იონ. 1,9 (+2,11).

კმენა (?) სამაგიეროს მიგება დასასჯელად. 0 ვნ.: „მეყსეულად მიემინიან უღმრთონი“, იგ. 24,22 (τῆστυαυα), შდრ. „მეყსეულად მიემინენ არაწმიდათა“ M.

კომ-ნ-ი (*πλειάμνη, νη*) ხომლი; ვარსკვლავთა შვიდწევრიანი კრებული კუროს ვარსკვლავნარში: რომელმან შექმნა კომნი და მწუხრისა ვარსკულავი და ჩრდილოჲსა ურემ-ჯარნი, იობ. 9,9. მისი ფარდი ებრ. asch აღნიშნავს დიდი დათვის თანავარსკვლავედს („Большая Медведица“-ს).

კუება დაკლება. ე: რაჲთა ეკუებოდის თუალთა შენთა, I მეფ. 2,33.

კუედნა შევიწროება, ჩაგვრა. 0—2: რომელნი კუედნიედ თბოლთა, გადაქ. 3,5.

კუეზა-მ ლეველი, მსაჯ. 7,13.

კუვილ-ი პურეულის თავთავი: აჰა ესერა შვდნი თავნი კუვილი-სანი, დაბ. 41,5.

კუთვა დაგირაგება. ი—2: ნაყუთევი არა იკუთა და ნატაცები არა იტაცა, ეზ. 18,16.

კურთ-ი მჭილი: ჰგუემთ მოყუასა კურთითა, ეს. 58,4.

ჯ

ჯაჭუ-ი ჯავშანი, ჯაჭვის პერანგი: შეიმოსა სიმართლჳ ვითარცა ჯაჭვი, ეს. 59,17.

ჯაჭუედ-ი ჯაჭვისა, ჯაჭვიანი: თორნჳ ჯაჭუედი ემოსა მას, I მეფ. 17,5.

ჯეკმა-მ ბევრი: ჯეკმარს ეგე, მსაჯ. 7,2.

ჯინჭუელ-ლომ-ი (μαρμυρολιθάς) ერთგვარი მტაცებელი ცხოველი: ჯინჭუელ-ლომი მოისპო, რამეთუ არა იყო მათა საქმელ, იობ. 4,11.

ჯურღმულ-ი 1. ორმო, თხრილი, ჰა(ფაჯჳ, რ): ყოველი ჯურღმულე ბ... აღავსეს მიწითა, დაბ. 26,15; თხარა ისაჳ ჯურღმულე ბი წყალთა, დაბ. 26,18 (+26,19). 2. არხი; ნაკადი(მ:მჳჳ, რ): შე ვითარცა ჯურღმული ერთი მდინარისაგან..., ისუ ზირ. 24,32.

ჰ

ჰინდო-მ ('A:მ:იჳ, პ; ხβსიჳყაჳ) შავკანიანი; ეთიოპელი, იერ. 38,7 (+ 38,10).

ჰოროლ-ი შუბი, ლახვარი (საძგერებელი იარაღი); რიცხ. 25,7.

ჰუნე-მ ცხენი, IV მეფ. 5,9; ზაქ. 9,10; 10,5.

პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების საქმიანობა *

ა

აბანა IV მეფ.: 5,12.
 აბლამელიქ იერ.: 38,7, 8, 10, 11**.
 აბელად I მეფ. 7,1. II მეფ.: 6,12.
 აბელნაგო დან. 1,6; 3, 12, 13, 14, 16,
 19, 20, 22, 93 (2-ჯერ), 95, 96, 97.
 აბელ დაბ.: 4,2 (2-ჯერ), 4 (2-ჯერ), 8
 (2-ჯერ), 9, 25.
 აბელშალელე მსაჯ.: 7,23.
 აბენეზერ I მეფ.: 7,12. იხ. აბინეზერ,
 აბენეზერ.
 აბერ ოსე.: 1,1.
 აბენერეზ ნ. აბენეზერ.
 აბესალომ III მეფ.: 2,7.
 აბიეზერ მსაჯ.: 6,34; 8,2.
 აბილმელ დაბ.: 10,28.
 აბიშელიქ დაბ.: 26, 1, 3, 9, 10, 11, 16;
 20, 2, 3, (2-ჯერ), 4, 8, 9, 10, 14,
 15, 17 (2-ჯერ), 18. მსაჯ.: 8,31. რუთ.:
 1, 2, 3; 2, 1, 3.
 აბინ I მეფ.: 31, 12.
 აბინეზერ I მეფ.: 17, 55 (2-ჯერ), 57.
 იხ. აბენეზერ; აბინერეზ.
 აბინერეზ მსაჯ. 6, 35; III მეფ.:
 2,5. იხ. აბინეზერ.
 აბირონ II შქ.: 11, 6.
 აბორე მსაჯ.: 7,1.
 აბრაამ დაბ.: 17, 5; 22, 19. იხ. აბრაამ
 აბრანა ნახ. აბანა.
 აბრაამ დაბ.: 11, 26 (2-ჯერ), 29 (2-
 ჯერ), 31; 12, 1, 4, (2-ჯერ), 5, 6, 7
 (2-ჯერ); 13, 1, 2, 4, 5, 7, 8, 12, 18;
 14, 12, 13, 19 (2-ჯერ), 20, 21, 22,
 23; 17, 1, 3, 5, 9, 15, 17, 19; 18, 1,
 2 (2-ჯერ), 31, 33 (2-ჯერ); 19, 27,
 29; 20,1 2, 5, 9, 10, 11, 14, 15, 16,
 17, 18; 21, 1 (4-ჯერ), 3, 4, 5, 6, 7, 8,

9, 10 (2-ჯერ), 13 (2-ჯერ). 14, 15,
 19; 24, 2, 6, 12, 14, 15, 17, 24, 27.
 32, 34, 52; 25, 11, 19 (2-ჯერ); 26,
 1, 3, 15, 24 (2-ჯერ); 28, 13; 32, 9;
 35, 12; 50, 24, გამ.: 2, 24; 3, 6, 15,
 16; 4, 5; 6, 3, 8. II შქ.: 6, 10; 9,
 5, 27; 34, 4. ეს.: 41, 8; 51, 1; 63,
 16; დან.: 3, 35; მიქ.: 7, 20. იხ. აბ-
 რაამ.
 აგარ ბარ.: 3, 23.
 აღამ დაბ.: 4, 1, 25; 5, 2, 3, 4, 5.
 აღამელ დაბ.: 14, 2, 8.
 აღაოც დაბ.: 14, 8, 10.
 აღდა დაბ.: 4, 19, 20, 23.
 აღერ ამოს.: 1, 4.
 აღოა ზაქ.: 1,1.
 აენდორ I მეფ.: 28,7.
 აენან დაბ.: 14, 13, 24; 38, 4, 8, 9.
 აესიტ იობ.: 1,1.
 აზეელ ამოს.: 1,4.
 აზარია დან.: 1, 6, 19; 3, 25, 28.
 აზარიათ დან.: 3, 49.
 აზეკა ისუ ნავ.: 10, 10, 11; I მეფ.:
 17, 1.
 აზელ III მეფ.: 19, 15. ამოს.: 1,4.
 აზოტ I მეფ.: 6, 17. ამოს.: 1, 7.
 აილონ ისუ ნავ.: 10, 12.
 აკარონ I მეფ.: 6,17.
 ალოელ მსაჯ. 7,1.
 ამათ იონა: 1,1.
 ამათელ დაბ.: 10, 18.
 ამაღე მსაჯ.: 7, 1, 12.
 ამაღეელ დაბ.: 14, 7. I მეფ.: 17, 23-
 II მეფ. 1, 8, 13.
 ამასია ამოს.: 7, 10, 12, 14.
 ამელარ ნახ. ამელსარ.
 ამელასარ ნახ. ამელსარ.

* საქმიანობა შეადგინა ბ. შავიშვილმა.

** თავი ერთხელ სახელდება, მასში შემავალი მუხლები — ცალ-ცალკე-
 თავები მათში შემავალი მუხლებითურთ გამოჩნულია წერტილ-მძიმით.

ამელსარ დან.: 1, 11, 16.
 ამითარ (=ამესა) III მეფ.: 2,5.
 ამინადაზ რუთ. 4, 19, 20. I მეფ.: 7,1;
 16, 8; 17, 13; 31, 2.
 ამორეველ დაბ.: 14, 7; გამ.: 3, 17;
 რიცხ.: 22,2; ისუ ნავ.: 10,12; 24, 32.
 მსაჯ. 3,5.
 ამოს იერ.: 1, 2. ამოს.: 1, 1 (2-ჯერ);
 7, 8, 11, 12, 14.
 ამუალ დაბ.: 14,1.
 ანა I მეფ.: 1, 2 (2-ჯერ), 5 (2-ჯერ), 12,
 15, 18, 19, 22, 25; 2, 1, 10, 21.
 ანათოთ ეს.: 10, 30.
 ანათონ იერ.: 1,1.
 ანანია დან.: 1, 6, 19; 3, 88.
 ანბაკუნ ამბ.: 1,1.
 ანგე ეს.: 10, 28.
 ანგეა დაბ.: 13,3 ანგ.: 1, 3, 12, 13
 (C4). იხ. ანგეოზ.
 ანგეოზ ანგ.: 2,1. იხ. ანგეა.
 ანქუშ I მეფ.: 28, 1, 2 (2-ჯერ); 29, 2,
 3, 4, 6, 8, 9.
 აოდ მსაჯ.: 3, 15, 16, 19, 20 (2-ჯერ), 21,
 23, 26, 27, 30.
 აოდელ დაბ.: 10,18.
 არაბია ამბ.: 1, 8.
 არაბოთ II შჯ.: 34, 1, 8.
 არამ დაბ.: 10, 22, 23, რუთ.: 4, 19 (2-
 ჯერ). ეს.: 7, 5, 8.
 არამან ნახ. რემან.
 არან დაბ.: 11, 26, 27 (2-ჯერ), 28, 29,
 31.
 არაბია დაბ.: 45, 10.
 არეს მსაჯ.: 8, 13.
 არიოქ დაბ.: 14, 1, 9.
 არმათემ I მეფ.: 1, 1, 3, 19; 2, 11; 16,
 13; 28, 3.
 არნონ რიცხ. 22, 36.
 არუჟასად დაბ.: 10, 22 (2-ჯერ), 24; 11,
 10, 11, 13.
 არშაქ დან.: 1,4.
 ასაორონ ნახ. სარონ.
 ასაროთა მსაჯ.: 3, 26.
 ასასანთამარ დაბ.: 14, 7.
 ასენექ დაბ.: 41, 45, 50.
 ასერ გამ.: 1, 4. მსაჯ.: 6, 35; 7, 23.

ასკალონ I მეფ.: 5, 10; 6, 16, 17; 17,
 53. ამოს: 1,8.
 ასკალოვნელ I მეფ.: 5, 10.
 ასკაფეს 6. აფექ.
 ასორმოთ დაბ.: 10, 26.
 ასტარონ დაბ.: 14, 5; I მეფ.: 7, 4.
 ასტარტე ისუ ნავ.: 24, 36; მსაჯ.: 2, 13.
 ასტოთ ისუ ნავ.: 24, 36.
 ასურ დაბ.: 10, 11, 22 (2-ჯერ): 20,1;
 25,20; 29,1. ოსე: 14,4.
 ასურასტან III მეფ.: 19, 15; ეს.: 52,4.
 ასურასტანელ მიქ.: 5,6 (2-ჯერ); 7,12.
 ეს.: 10,24.
 ასურეთ დაბ.: 24,10; 35,9; 48,7. მსაჯ.:
 3, 8, 10; IV მეფ.: 13, 17 (2-ჯერ), 19.
 ასურელ ამოს.: 1,5.
 ასუანეს დან.: 1,3.
 ასქანუშ დაბ.: 10, 3.
 აფექ I მეფ.: 29,1; IV მეფ.: 13,17.
 აქარ დაბ.: 10,10. ისუ ნავ.: 22, 20.
 აქაშ ეს.: 7, 3. ოსე: 1,1.
 აპრონ გამ.: 4, 14, 27, 29, 30; 5, 1, 4,
 20; 6, 13; 7, 1, 2, 6, 7, 8, 9, 10 (2-
 ჯერ), 12, 20 (2-ჯერ); 8, 5, 6, 8, 12,
 16, 17, 25; 9, 8, 27; 10, 3, 8, 16, 24;
 11, 10; 12, 1, 28, 31; 34, 30, 31.
 რიცხ.: 20, 23, 26, 28, 29, 30 (2-ჯერ);
 25, 7, 11; II შჯ.: 9, 20 (2-ჯერ);
 10,6. ისუ ნავ.: 22, 13; 24, 33. მიქ.:
 6,4.

ბ

ბაალ მსაჯ.: 2, 13; I მეფ.: 7, 4; III
 მეფ.: 19, 18.
 ბაალბერით მსაჯ.: 8,33.
 ბაბილოვნ დაბ.: 10, 10; დან.: 3, 12. მიქ.:
 4, 8, 10. იხ. ბაბილონ.
 ბაბილოვან იერ.: 32, 36; 33, 3; 50, 45.
 ბაბილოვნელ დან.: 1,1; 3, 1, 97. ზაქ.:
 5, 11; 6, 10.
 ბაბილონ ეს.: 43, 14; 48, 14; იერ.: 50, 4;
 იხ. ბაბილოვნ.
 ბათოველ დაბ.: 24, 15; 29,1; იხ. ბათოქ-
 ველ.
 ბათოველ დაბ.: 24, 24, 50; 25, 20. ოსე:
 1,1. იხ. ბათოველ.

- ბაკათან დაბ.: 10,7;
 ბალა დაბ.: 29,29; 37,2.
 ბალაჟ რიცხ.: 22, 2, 4, 35, 37, 38, 39
 (2-ჯერ). 40, 41; 23, 1, 2, 3 (2-ჯერ),
 7, 11, 12, 13, 15, 16, 17, 18, 25, 26,
 27, 28, 30; 24, 10 (2-ჯერ), 12, 13.
 მიქ.: 6, 5.
 ბალაამ რიცხ. 22,5, 26 (2-ჯერ), 28, 29,
 30, 31, 34, 35 (2-ჯერ), 37, 38, 39,
 40, 41 (2-ჯერ); 23, 1, 2, 3, 4 (3-
 ჯერ), 5, 11, 12, 15, 16, 25, 26, 27,
 28, 30; 24, 1, 2, 3, 10, 12, 15; მსაჯ.
 2. '11; 3,7; 8,33; ოსე 2,18, 19; მიქ.
 6,5.
 ბალდალ იობ.: 2,11.
 ბალტასარ დან.: 1,6.
 ბანაჟებ დაბ.: 32,2.
 ბარაჟ დაბ.: 14, 2, 8.
 ბარან II შქ.: 9, 23.
 ბარრა დაბ.: 14,2.
 ბარსა დაბ.: 14, 2.
 ბასან ნაუმ.: 1,4.
 ბასან ისუ ნავ.: 22, 7.
 ბასანელ მიქ.: 7,14.
 ბეთალია ამოს.: 7,10.
 ბეთბერა მსაჯ.: 7,24 (2-ჯერ).
 ბეთელ დაბ.: 12,8 (2-ჯერ); 13,2; 35, 15,
 19; მსაჯ.: 2, 1; IV მეფ.: 2,2 (2-ჯერ),
 3. ამოს.: 4,4; 5,5 (2-ჯერ).
 ბეთზეტა მსაჯ.: 7,23.
 ბეთლემ დაბ.: 48,7, რუთ.: 1, 1, 2, 19
 (2-ჯერ), 22; 2, 14; 4, 11. I მეფ.:
 16, 1, 4, 18; 17, 12, 15.
 ბეთლემელ I მეფ.: 17, 58.
 ბეთორონ ისუ ნავ.: 10, 11.
 ბეთსამ I მეფ.: 6, 9, 12 (2-ჯერ), 19.
 ბეთსამელ I მეფ.: 6, 13, 14, 15, 18, 19.
 ბეთურა I მეფ.: 7, 11.
 ბეთშან I მეფ.: 31, 10, 11.
 ბელფეგორე რიცხ.: 25, 5.
 ბენიამენ დაბ.: 35, 17; 45, 12, 14 (2-
 ჯერ), 22; გამ.: 1, 4. იერ.: 1,1; 32,
 44; 38, 7.
 ბეორ რიცხ.: 22, 5; 24, 3, 15; მიქ.: 6,5.
 ბერ ოსე.: 1, 1.
 ბერზელ III მეფ.: 2, 7.
 ბეროთ II შქ.: 10,6 (ხელნწ. ბეთორ).
 ბერსაბ I მეფ.: 3, 20.
 ბერსება III მეფ.: 6, 19.
 ბილეგონ დაბ.: 14, 6.
 ბითორ ნახ. თაბორ (მსაჯ.: 8, 18).
 ბოთ(ო)რონ ისუ ნავ.: 10, 10 (ხელნწ.
 ჯეთორონ).
 ბოოზ რუთ.: 2, 1, 3, 4, 5, 6, 8, 10, 11,
 14 (2-ჯერ), 15, 19, 23; 3, 2, 7, 9,
 10, 14, 15; 4, 1 (3-ჯერ), 2, 3, 5, 8,
 9, 13, 21 (2-ჯერ).
 ბ
 გაად I მეფ.: 24,1.
 გაბადომერ III მეფ.: 2, 8.
 გაბათ ისუ ნავ.: 24, 35.
 გაბაონ ისუ ნავ.: 10, 10, 12 (2-ჯერ).
 ეს.: 10, 29.
 გაბრათ დაბ.: 35, 16.
 გად ისუ ნავ.: 22, 1, 9, 10, 11, 13, 15,
 21, 30, 31, 32, 33, 34.
 გადერ დაბ.: 35, 16.
 გაზა მსაჯ.: 2, 9, I მეფ.: 6, 17. ამოს.:
 1, 7.
 გაიდალ დაბ.: 4, 18 (2-ჯერ).
 გალაღ დაბ.: 37, 25. ისუ ნავ.: 22, 9, 10,
 11, 12, 15, 32; 24, 31, 33. მსაჯ.: 7,
 3. I მეფ.: 31, 11. III მეფ.: 2, 7.
 ამოს.: 1, 3.
 გალაღელ მიქ.: 7, 14.
 გალბანა მსაჯ.: 3, 3.
 გალგალ ისუ ნავ.: 10, 7, 9; 24, 31.
 მსაჯ.: 2, 1; 3, 19. IV მეფ.: 2, 1.
 გალგალა ამოს.: 4, 4; 5, 5 (2-ჯერ).
 მიქ.: 6, 5.
 გალიღვა ეს.: 33, 9; ეზეკ.: 47, 8. ოვ.:
 4, 4.
 გალიშ ეს.: 10, 30.
 გამერ დაბ.: 10, 2, 3.
 გან გამ.: 1, 4.
 გაოს ნახ. გაბაონ (ისუ ნავ.: 10, 10).
 გეზალ დაბ.: 10, 28. II შქ.: 11, 29.
 გედეონ მსაჯ.: 6, 34, 36, 38, 39; 7, 2, 4,
 5, 7, 13, 14, 15, 18, 19, 24; 8, 1, 2,
 4, 5, 7, 9, 11, 13, 14, 15, 16, 19,
 20, 21, 22, 23, 24, 25, 27 (2-ჯერ),
 28, 29, 30, 32, 33, 35.

გეთ I მეფ.: 5, 8; 6, 17; 17, 23, 52 (2-
ჯერ).

გეთელ I მეფ.: 5, 8, 9; 17, 4.

გელბოე I მეფ.: 31, 1.

გელბოელ I მეფ.: 28, 4; 31, 8. II მეფ.:
1, 6.

გემ II შჳ.: 34, 6.

გეონ ისუ ზირ.: 24, 29.

გერა მსაჳ.: 3, 15. III მეფ.: 2, 8.

გერაზან II შჳ.: 11, 29.

გერაღელ||გერათელ დაბ.: 20, 1, 2; 26,
8, 20;

გერარ დაბ.: 26, 1, 17, 19.

გერარეთ დაბ.: 26, 6.

გერგესეველ გამ.: 3, 8, 17. მსაჳ.: 3, 5.

გერსამ გამ.: 2, 22.

გერემ დაბ.: 45, 10. გამ.: 8, 22; 9, 26.

გეჳა ეს.: 60, 6.

გიბიმი ეს.: 10, 31.

გოდლო ნახ. გოდოლია.

გოდოლია იერ.: 38, 1.

გოთონიე მსაჳ.: 3, 9.

გოთონიელ მსაჳ.: 3, 11.

გოთერ დაბ.: 10, 23.

გოლიათ I მეფ.: 17, 4, 23, 42.

გომერ ოსე.: 1, 3.

გომორ დაბ.: 13, 10; 19, 24, 28. ეს.:
1, 10. იხ. გომორა.

გომორა ამოს.: 4, 11. იხ. გომორ.

გომორელ დაბ.: 14, 2, 10, 16, 17. ეს.:
1, 9.

დ

დადან დაბ.: 10, 7.

დავით რუთ.: 4, 17, 22, I მეფ.: 16, 12,
13, 19, 21, 22, 23; 17, 12, 14, 15,
17, 20, 22, 23, 26, 28, 29, 31, 32,
33, 34, 37 (2-ჯერ), 38, 39 (3-ჯერ),
41, 42, 43, 44, 45, 48 (2-ჯერ), 50,
51, 54, 55, 58; 18, 1 (2-ჯერ), 3, 4,
5, 6 (2-ჯერ), 8, 9; 23, 25 (3-ჯერ),
26 (2-ჯერ), 28; 24, 1, 3, 4, 5 (2-ჯერ)
6, 7, 8, 9 (3-ჯერ), 10 (2-ჯერ), 17
(2-ჯერ), 18, 23 (2-ჯერ); 28, 1, 2
(2-ჯერ), 17; 29, 2, 3, 5 (2-ჯერ), 6,
8, 9, 11. II მეფ.: 1, 1 (2-ჯერ), 2, 3,

4, 5, 11, 13, 14, 15, 17; 5, 1, 3 (3-
ჯერ), 4, 6 (4-ჯერ), 7 (2-ჯერ), 8 (2-
ჯერ), 9 (2-ჯერ), 10; 6, 12, 14, 15,
16 (2-ჯერ), 17 (2-ჯერ), 18, 20. III
მეფ.: 2, 10; 7, 51; 8, 1, 15, 16, 17,
18, 20, 24, 25, 26, 66. იგ.: 1. 1. ეს.:
11, 11; 55, 3. იერ.: 30, 9. ეზ.: 37,
24, 25. ამოს.: 9, 11.

დათან II შჳ.: 11, 6.

დაქელა დაბ.: 10, 27.

დამასკე დაბ.: 14, 15. III მეფ.: 19, 15.
ეს.: 7, 8 (2-ჯერ).

დამასკო IV მეფ.: 5, 12. ამოს.: 1, 3, 5.
დან გამ.: 1, 4.

დანა I მეფ.: 3, 20. II მეფ.: 6, 19.

დანიელ დან.: 1, 6, 8, 9, 10, 11, 17, 19,
21; 7, 2, 15.

დარეოზ ანგ.: 1, 15. იხ. დარიოზ.

დარიოზ ზაქ.: 1, 1. იხ. დარეოზ.

დახაშე დაბ.: 10, 12.

დეზელამ ოსე.: 1, 3.

დეიზ დან.: 3, 1.

დოთაიმ დაბ.: 37, 17, (2-ჯერ).

ე

ეგურთა რიცხ.: 23, 14.

ებერ დაბ.: 10, 21 (2-ჯერ), 24, 25; 11,
14, 15, 16, 17.

ებრაელ დაბ.: 39, 14, 17; 40, 15. გამ.:
1, 15, 16, 19, 22; 2, 6, 7, 11, 13:
3, 18; 5, 3; 7, 16; 9, 1; 10, 3; 1
მეფ.: 17, 8.

ეგლომ მსაჳ.: 3, 12, 14, 15, 17 (2-ჯერ),
19 (2-ჯერ), 20, 21.

ეგუბტე დაბ.: 13, 1, 10; 26, 2; 37, 25,
28, 36; 39, 1; 40, 1 (2-ჯერ), 5, 8,
19, 24, 29, 33, 34, 36, 41, 43, 44,
46, 48; 45, 5, 8, 9, 12, 18, 19, 20,
25, 26; 46, 3; 48, 5; 50, 22, 25. გამ.:
1, 1, 5, 8, 17, 18; 3, 7, 10, 11, 12,
20; 4, 18, 19, 20, 21; 5, 12; 6, 1,
11, 13; 7, 2, 3, 4 (2-ჯერ), 5, 11,
19, 21; 8, 6, 7, 16, 17, 18, 24, 26
(2-ჯერ); 9, 9 (2-ჯერ), 11, 18, 22, 23,
24, 25; 10, 6, 7, 12, 13, 14, 15, 19,

- 21; 11, 1, 4, 5, 6, 7, 9, 10; 12, 1, 12 (3-ჯერ), 13, 27 (2-ჯერ), 29, 30, 39, 40, 41, 42; 40, 15. რიცხ.: 23, 22; 24. 8. II შჯ.: 6, 12, 21, 22; 8, 14; 9. 7. 12. 26, 29; 10, 19, 22; 11, 3, 4, 10; 13, 5, 10; 34, 11. ისუ ნავ.: 24, 31, 32; მსაჯ.: 2, 12. I მეფ.: 2, 27; 6, 6. III მეფ.: 8, 16, 21, 51, 53, 65. ეს.: 10, 24, 26; 19, 1 (2-ჯერ), 4; 52. 4. იერ.: 32, 20, 21. ბარ.: 1, 19; 2, 11. შიქ.: 6, 4, 7, 15. იოვ. 4, 19. ანგ.: 2, 5. ზაქ.: 14, 18.
- ეგვიპტელ გამ.: 1, 19.
- ელომ დაბ.: 25; 30; 32, 3. ეს.: 63, 1; გოდ. იერ.: 4, 21, 22.
- ელუია ზაქ.: 6, 10.
- ევა დაბ.: 4, 1, 25.
- ეველ გამ.: 3, 8, 17. მსაჯ.: 3, 3.
- ევლია დაბ.: 10, 7.
- ევფრათ II შჯ.: 11, 24.
- ევფრათა მსაჯ.: 8, 27, 32.
- ევფრათელ I მეფ.: 17, 12.
- ევფუთა მსაჯ.: 8, 27.
- ეზეკია ოსე.: 1, 1.
- ეზრ მსაჯ.: 8, 32.
- ეზრაელ ოსე.: 2, 24.
- ელ I მეფ.: 1, 3, 4, 9, 12, 13, 14, 17, 25; 2, 11, 12, 20, 22, 26; 3, 1, 2, 5 (2-ჯერ), 6, 8 (2-ჯერ), 9, 12, 14, 16, 17, 18, 21.
- ელაღელ დაბ.: 14, 1.
- ელამ დაბ.: 10, 22 (2-ჯერ).
- ელამელ დაბ.: 14, 1, 9.
- ელდო ზაქ.: 6, 8.
- ელი დაბ.: 10, 2.
- ელია III მეფ.: 19, 9 (2-ჯერ), 10, 13 (2-ჯერ), 14; IV მეფ.: 2, 1 (2-ჯერ), 2, 4, 6, 8, 9, 10, 11, 14 (2-ჯერ); 5, 10; მალ.: 4, 22.
- ელიაბ II შჯ.: 11, 6. I მეფ.: 16, 6; 17, 13, 28.
- ელიაზარ გამ.: 2, 22; რიცხ.: 20, 23; 26, 28, 29; 25, 7, 11; II შჯ.: 10, 6. ისუ ნავ.: 22, 13; 24, 33, 35. I მეფ.: 7, 6.
- ელიმელიქ რუთ.: 4, 3, 9.
- ელიხ დაბ.: 10, 4.
- ელისე III მეფ.: 19, 16, 17; IV მეფ.: 2, 1, 2 (2-ჯერ), 3, 4, 5 (2-ჯერ), 6 (2-ჯერ), 9 (2-ჯერ), 12 (2-ჯერ), 14 (2-ჯერ); 5, 9, 14, 15; 13, 14, 15, 16, 17 (2-ჯერ), 18 (2-ჯერ), 20, 21 (2-ჯერ).
- ელიფას იობ.: 2, 11.
- ელიანა I მეფ.: 1, 1, 5, 19, 21, 23; 2, 20.
- ელმოღად დაბ.: 10, 26.
- ემათ III მეფ.: 8, 65.
- ენაქ II შჯ.: 9, 2 (2-ჯერ).
- ენან დაბ.: 38, 14, 21.
- ენგად იხ. გაად.
- ენგადიმ ისუ ზირ.: 24, 14.
- ენუს დაბ.: 5, 6, 7, 9, 10, 11.
- ენუქ დაბ.: 4, 17 (2-ჯერ), 18, 26; 5, 19, 21, 22, 23, 24.
- ერაქ დაბ.: 10, 26.
- ერმონ მსაჯ.: 3, 3; ისუ ზირ.: 24, 13.
- ესავ დაბ.: 25, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 34; 27, 1 (3-ჯერ), 5 (2-ჯერ), 6, 15, 19, 21, 22, 24, 30, 32, 34, 36 (2-ჯერ), 37, 38 (2-ჯერ), 41 (2-ჯერ), 42; 29, 1; 32, 3, 4, 5, 6, 8, 11, 13, 17, 18, 19; მალ.: 1, 2.
- ესაია ეს.: 7, 3.
- ესრომ რუთ.: 4, 18, 19.
- ესქორ|ესქურ დაბ.: 14, 13, 24.
- ეფრათა დაბ.: 35, 19; 48, 7.
- ეფერმენ I მეფ.: 17, 1.
- ეფრათ რუთ.: 4, 11.
- ეფრათელ რუთ.: 1, 2.
- ეფრატ ისუ ზირ.: 24, 28.
- ეფრემ დაბ.: 41, 52; 48, 1, 5; 50, 23; II შჯ.: 34, 2. ისუ ნავ.: 24, 31, 35. მსაჯ.: 2, 9; 3, 27; 7, 24 (2-ჯერ); 8, 2. ეს.: 7, 8, 9; იერ.: 31, 9, 18, 20; ოსე.: 14, 9; ზაქ.: 9, 10, 13; 10, 7.

8

ველი შარავანდეღთა დაბ.: 14, 15, 17.
ვენება დაბ.: 26, 20.

ზ

ზაბულონ გამ.: 1, 3. მსაჯ.: 6, 35, 7, 1.
ზაელ III მეფ.: 19, 17.

ზარა დაბ.: 38, 30. ისუ ნავ.: 22, 20.

ზაქარია ზაქ.: 1, 1; 7, 8.

ზებე მსაჯ.: 8, 5.

ზებეე მსაჯ.: 8, 7, 10, 12, 15 (2-ჯერ), 18, 21 (2-ჯერ).

ზედეკია იერ.: 1, 3.

ზებე მსაჯ.: 7, 25 (2-ჯერ); 8, 3, 6.

ზელფა დაბ.: 29, 23; 37, 2.

ზორობაბელ ანგ.: 1, 1, 12, 14 (C4); 2, 2; ზაქ.: 4, 6, 7, 9, 10.

0

04 დაბ.: 38, 3, 7.

00

თაბორ მსაჯ.: 8, 18.

თამარ დაბ.: 38, 7, 11 (2-ჯერ), 13, 14, 24, 26. რუთ.: 4, 12.

თემაწელ რობ.: 2, 11; 6, 19.

თამნა დაბ.: 38, 12, 13, 14.

თამნაქარ ისუ ნავ.: 24, 31. მსაჯ.: 2, 9.

თარა დაბ.: 11; 24, 25, 26, 28, 30, 32 (2-ჯერ).

თარგალ დაბ.: 14, 1, 9.

თარსის დაბ.: 10, 4.

თარში იონა.: 1, 3 (2-ჯერ).

თეზბელ მალ.: 4, 22.

თემან ბარ.: 3, 22.

თემენ ბარ.: 3, 23.

თერა დაბ.: 10, 2.

თოვ I მეფ.: 1, 1.

თობელ დაბ.: 4, 22 (2-ჯერ).

თორგამა დაბ.: 10, 3.

00

თაბ I მეფ.: 31, 1.

თაბინ I მეფ.: 31, 13.

თაბუჯ დაბ.: 32, 22.

თაყეებზებე მსაჯ.: 7, 25.

თაკობ დაბ.: 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 33 (2-ჯერ), 34; 26, 1; 27, 6, 10, 14, 15, 17, 19, 21, 22 (2-ჯერ), 30, 36, 41, 46; 28, 10, 15, 18, 20; 29, 1 (2-ჯერ), 4, 5, 6, 7, 10, 11, 12, 13 (2-

ჯერ), 15, 18, 20, 21, 23 (2-ჯერ), 25,

26, 27, 28, 29; 35, 9, 10 (2-ჯერ), 14,

15, 20; 37, 3, 34; 45, 25, 27; 46, 2

(2-ჯერ); 48, 1, 2, 3; 50, 24. გამ.: 1,

1, 5; 2, 24; 3, 6, 15, 16; 4, 5; 6, 3.

რიცხ.: 23, 7, 10, 21, 23 (2-ჯერ); 24,

5, 17; II შჯ.: 6, 10; 9, 5, 27; 34, 4;

ისუ ნავ.: 24, 32; III ებრ.: 8, 16;

ისუ ზირ.: 24, 26; ეს.: 2, 3, 5, 6; 8,

14, 17 (2-ჯერ) (C4); 41, 8, 14; 42, 1;

43, 22, 29; 44, 1, 2, 5, 23; 45, 4, 19;

48, 12, 20; 49, 5, 6; 58, 1, 14; 59,

20; იერ.: 5, 20; 30, 7, 10 (2-ჯერ);

31, 7, 11. გოდ.: 1, 17; ებ.: 37, 25; 39,

25. ბარ.: 3, 37; 4, 2; ამოს.: 7, 5, 16.

მრქ.: 5, 7; 7, 20. ნაუმ.: 2, 3. მალ:

1, 2 (2-ჯერ).

იარედ დაბ.: 5, 15, 16, 19, 20.

იანონ ნახ. იასუბ ეს. 7, 3.

იასუბ ეს.: 7, 3.

იაფეთ დაბ.: 5, 13, 32; 6, 10; 9, 18, 23,

27; 10, 1, 2, 21 (2-ჯერ).

იაქონ I მეფ.: 6, 19.

იბინერუზ ნახ. აბინეზერ.

იღუმ ამოს.: 1, 6.

იღუმია იოვ.: 4, 19; მალაქ. 1, 4.

იერაელ I მეფ.: 29, 1. ოსე.: 1, 4 (2-

ჯერ), 5; 2, 2.

იერედ დაბ.: 10, 26.

იეთერ მსაჯ.: 8, 20.

იეკთან დაბ.: 10, 25, 26, 28.

იემენ მსაჯ.: 3, 15.

იემენელ III მეფ.: 2, 8.

იერემელ I მეფ.: 1, 1.

იერემია იერ.: 1, 1, 11, 13; 38, 1, 6, 7,

9, 11, 13.

იერიჟო რიცხ.: 22, 1; II შჯ.: 34, 1,

3, 8. IV მეფ.: 2, 4 (2-ჯერ), 5. ისუ

ზირ.: 24, 14.

იერობომ მსაჯ.: 7, 1.

იერუსალმ I მეფ.: 17, 54; II მეფ.: 5,

5 (2-ჯერ).

ეს.: 2, 3; 8, 14; 10, 32; 33, 20; 40,

1, 9; 44, 26, 28; 51, 17; 52, 1, 2,

9 (2-ჯერ); 60, 1; 62, 1, 6, 7; 66,

10, 13; იერ.: 1, 3, 15; 3, 17 (2-ჯერ);

- ვოლ.: 1, 3, 7, 17; 4, 12. ეზ.: 9, 4;
 44, 2, დან.: 1, 1; 3, 8. ბარ.: 1, 15;
 4, 8, 30, 36; ამოს.: 1, 2; მიქ.: 4, 8;
 იოვ.: 3, 5; 4, 1, 16, 17, 19. სოფ.:
 3, 14 (2-ჯერ). ზაქ.: 1, 12, 14, 16
 (2-ჯერ), 17; 2, 2, 5, 8; 7, 7; 8, 3 (2-
 ჯერ), 4, 8; 9, 9; 14, 8, 7, 21.
- იესე რუთ.: 4, 17, 22 (2-ჯერ). I მეფ.:
 16, 1, 3, 5, 8, 10 (2-ჯერ), 11 (3-
 ჯერ) 12, 18, 19, 20 (2-ჯერ), 22; 17,
 12, 17, 20, 58. ეს.: 11, 1, 10.
- იესთერ (=იეთერ) III მეფ.: 2, 5.
 იესუ ზაქ.: 3, 8, 9; 6, 11.
- იშაქარ გამ.: 1, 3;
 იშინ დაბ.: 10, 6.
- იოა ოსე: 1/1.
- იოათამ ოსე: 1, 1.
- იოაკიმ II შქ.: 10, 6. იერ.: 1, 3; დან.:
 1, 1, 2.
- იოაროზოლ მსაჯ.: 8, 35.
- იოას მსაჯ.: 8, 32; IV მეფ.: 13, 14.
- იობ იობ.: 1, 1, 5 (3-ჯერ), 8, 9, 13, 14,
 16, 17, 18, 20, 22; 2, 3, 8, 10 (2-
 ჯერ); 3, 1; 39, 31, 33.
- იობელ რუთ.: 4, 17, 21, 22.
- იობელ დაბ.: 4, 20, 21.
- იობოსელ გამ.: 3, 8, 17; მსაჯ.: 3, 5;
 II მეფ.: 5, 6 (2-ჯერ), 8.
- იოვად III მეფ.: 2, 5.
- იოველ იოვ.: 1, 1.
- იოვიან დაბ.: 10, 2, 4.
- იოზელე ანგ.: 1, 1, 12, 14. (C4); 2, 2.
- იოთორ გამ.: 2, 16; 3, 1; 4, 18 (2-ჯერ).
 იონ ზაქ.: 9, 13.
- იონა იონა: 1, 1, 3, 5, 7, 9, 12, 15; 2, 1
 (2-ჯერ), 2, 11; 3, 1, 3, 4; 4, 1, 4,
 5, 6 (2-ჯერ), 8, 9 (2-ჯერ).
- იონათან I მეფ.: 18, 1 (2-ჯერ), 3, 4; 28,
 19; 31, 2 (იონათამ), 12; II მეფ.: 1,
 4, 5, 12, 17.
- იოპე იონა: 1, 3.
- იორდანე დაბ.: 13, 10, 11; რიცხ.: 22, 1.
 II შქ.: 9, 1; 11, 8, 30 (2-ჯერ); 12,
 10; 34, 8. ისუ ნავ.: 4, 5, 7, 8, 9,
 10; 22, 4, 10 (2-ჯერ), 11, 25. მსაჯ.:
 3, 28; 7, 24 (2-ჯერ); 8, 4. I მეფ.:
 31, 7; III მეფ.: 2, 8; IV მეფ.: 2, 6,
 7; 5, 10, 12, 14. ისუ ზირ.: 24, 28;
 იერ.: 50, 44.
- იოროზოამ მსაჯ.: 8, 29; ოსე.: 1, 1;
 ამოს.: 1, 1; 7, 9, 10, 11.
- იოსაფთა იოვ.: 4, 2.
- იოსაფთა იოვ.: 4, 12.
- იოსებ დაბ.: 37, 2 (2-ჯერ), 3, 5, 13, 23
 (2-ჯერ), 28, 31, 36; 39, 1, 4 (2-ჯერ),
 5, 6 (3-ჯერ), 7, 10, 11, 12, 16, 20,
 21, 22, 23; 40, 3, 4, 6, 8, 12, 16,
 18, 22, 23; 41, 4, 15, 16, 17, 25,
 39, 41, 42, 43, 44, 45, 46 (2-ჯერ),
 48, 49, 50, 51; 45, 1, 3 (3-ჯერ), 4
 (2-ჯერ), 9, 14, 16, 17, 21, 24, 26,
 27 (2-ჯერ), 28; 46, 4; 48, 1, 2, 3;
 50, 15 (2-ჯერ), 16, 17, 19, 22 (2-
 ჯერ), 23 (2-ჯერ), 24, 25 (2-ჯერ);
 გამ.: 1, 5; 6, 8. ისუ ნავ.: 24, 32
 (2-ჯერ). ამოს.: 5, 6, 15; ზაქ.: 10, 6.
- იოსებეფან ზაქ.: 6, 11.
- იოსია მსაჯ.: 7, 14; 8, 13, 29. იერ.: 1,
 2, 3 (2-ჯერ); ზაქ.: 6, 10.
- იოქაზ იერ.: 38, 1.
- ირას დაბ.: 38, 1, 12.
- ისაქ დაბ.: '17, 19; 21, 3, 4, 5, 8; 22, 2,
 3, 6, 7, 9; 24, 3, 4, 14, 38, 62, 63,
 66; 25, 11 (2-ჯერ), 19 (2-ჯერ), 20,
 21, 26; 26, 6, 8, 9 (2-ჯერ), 12 (2-
 ჯერ), 16, 17, 18, 19, 20; 27, 1 (2-
 ჯერ), 5, 20, 21, 26, 30, 32, 33, 34,
 35, 37, 39, 46; 28, 13; 32, 9; 35,
 12; 46, 1; 50, 24. გამ.: 2, 24; 3, 6,
 15, 16; 4, 5; 6, 3. II შქ.: 6, 10; 9,
 5, 27; 34, 4. დან.: 3, 35.
- ისმაიტელ დაბ.: 37, 25, 27, 28, 36; 39,
 1; მსაჯ.: 8, 24.
- ისრაელ დაბ.: 32, 28; 35, 10; 37, 2, 13,
 14; 45, 21, 28; 46, 1, 2; 48, 2; 50,
 25; გამ.: 1, 1, 7, 9, 11 (2-ჯერ), 23,
 25; 3, 9, 11, 13, 14, 15, 16, 18; 4,
 22, 29, 31; 5, 1, 2 (2-ჯერ), 14, 15,
 19; 6, 5, 6, 9, 11, 12, 13; 7, 2, 4,
 5; 9, 4 (2-ჯერ), 6, 7, 26, 35; 10, 20,
 23; 11, 7 (2-ჯერ), 10; 12, 3, 6, 13,
 15, 19, 21, 27, 28, 31, 35, 37, 40, 42;
 34, 30, 32, 35; რიცხ.: 20, 30; 22,
 1, 2, 3, 4; 23, 7, '10, 21, 23, (2-ჯერ);

- 24, 1, 2, 5, 17; 25, 5, 6 (2-ჯერ), 8, 11 (2-ჯერ), 13. II შქ.: 6, 4; 9, 1; 10, 6, 12; 11, 6; 13, 11; 34, 8, 9; 10, 12. ისუ ნავ.: 4, 4, 5, 7, 8 (2-ჯერ); 10, 10, 11, 12 (2-ჯერ), 14; 22, 9, 11 (2-ჯერ), 12, 13, 14 (2-ჯერ), 16 (2-ჯერ), 18, 20, 21, 22, 24, 32, 33 (2-ჯერ); 24, 32, 36; მსაჯ.: 2, 1, 4, 6, 7 (2-ჯერ), 10, 14, 20, 22; 3, 1, 3, 4, 5, 8, 9 (2-ჯერ), 12, 13, 14, 15 (2-ჯერ), 27, 30; 6, 36, 37; 7, 2, 8, 15; 8, 22, 27, 28, 33, 34, 35; რუთ.: 2, 12; 4, 7, 11, 14. I მეფ.: 1, 17; 2, 14, 22, 28 (2-ჯერ), 29, 30; 3, 11, 20, 21; 5, 10, 12; 6, 3; 7, 2, 3, 4, 5, 6 (2-ჯერ), 7, 8, 10 (2-ჯერ), 11, 13 (2-ჯერ); 16, 1; 17, 1, 2, 3, 8, 10, 11, 16, 19, 21 (2-ჯერ), 23, 25 (2-ჯერ), 26; 36, 45, 46, 52, 53; 18, 6; 24, 3, 15, 21; 28, 1, 3, 4, 19 (2-ჯერ); 29, 1, 3, 11; 31, 1, 7 (2-ჯერ); II მეფ.: 1, 3, 12, 17; 5, 1, 2 (2-ჯერ), 3 (2-ჯერ); 6, 15, 19. III მეფ.: 2, 4, 5; 8, 1, 2 (2-ჯერ), 5, 9, 14 (2-ჯერ), 15, 16 (2-ჯერ), 20 (2-ჯერ), 22, 23, 25 (2-ჯერ), 26, 28, 30, 32, 33, 34, 36, 38, 41, 43, 52, 55, 56, 59, 62, 63, 65, 66; 19, 16, 18; 10, 14. IV მეფ.: 2, 12; 5, 12, 15; 13, 14 (2-ჯერ), 16, 18. III ეზრ.: 5, 27; იგ. 1, 1. ეს.: 1, 3, 4, 24 (2-ჯერ); 12, 6; 8, 18 (2-ჯერ) (C4); 41, 8, 14 (2-ჯერ), 16, 17, 20; 42, 1; 43, 14, 22, 29; 44, 1, 2, 5, 6, 23, 24; 45, 3, 4, 11, 16; 48, 1 (3-ჯერ), 2, 12, 19; 49, 3, 5, 6; 55, 5; 60, 9, 14, 16; 63, 7; იერ.: 2, 2, 3; 3, 12, 16, 18, 23; 30, 2, 3, 4, 10; 31, 7, 9, 10, 23 (C4), 27; 32, 20, 21, 36; 33, 4, 7, 10; გოდ.: 1, 8; ეზ.: 3, 17; 9, 3; 18, 1, 3, 6, 15, 25, 29 (2-ჯერ), 30; 34, 2 (2-ჯერ); 36, 32; 37, 21 (2-ჯერ), 22; 39, 25, 29. დან.: 1, 3; 3, 35, 82; ბარ.: 2, 11, 15; 3, 1, 4 (2-ჯერ), 9, 10, 24, 38; 4, 4, 5; ოსე: 1, 1, 4, 5, 6; 2, 1, 2; 14, 2, 6; ამოს.: 1, 1 (2-ჯერ); 4, 5, 12 (C4); 5, 1, 2, 3, 4, 6; 7, 8, 9, 10, 11, 15, 16, 17; 9, 14. შქ.: 6, 2; ოვ.: 2, 27; 4, 2, 6, 16; სოფ.: 3, 15, 16; ანგ. 1, 1, 12, 14 (C4); 2, 2; ზაქ.: 2, 2, 8, 15; 9, 10; 11, 14; მალ.: 1, 1, 5; 3, 4; ისრაიელ რიბს.: 25, 8; მსაჯ.: 7, 14; ისუ II შქ.: 34, 9; ისუ ნავ.: 4, 4, 8 (2-ჯერ), 9, 10 (2-ჯერ); 10, 7, 8, 9, 12 (2-ჯერ); 22, 1, 5, 34; 24, 30; მსაჯ.: 2, 6, 7 (2-ჯერ), 8, 21, 23; 3, 1. იტაბე II შქ.: 10, 7. თუ III მეფ.: 19, 16, 17 (2-ჯერ). ოსე.: 1, 4. ელა დაბ.: 10, 7; 29, 35; 37, 26; 38, 1, 2, 6, 8, 11, 12 (2-ჯერ), 15, 17, 18, 20, 22, 23, 24 (2-ჯერ), 26. გამ.: 1, 2; II შქ.: 34, 3; რუთ.: 1, 1, 2 (2-ჯერ), 4, 12. I მეფ.: 17, 52; II მეფ.: 1, 12; 5, 4, 5; III მეფ.: 2, 5; ეს.: 7, 3; 10, 33; 40, 9; 44, 25; 48, 1; იერ.: 1, 2, 3 (2-ჯერ), 18; 3, 18; 5, 20; 30, 3, 4, (C4); 31, 23 (C4); 24, 27; 33, 4, 7, 10. დან.: 1, 6; ოსე.: 1, 1, 7; 2, 2; იოვ.: 4, 1, 8, 18, 19; ნაუმ.: 2, 1; ანგ.: 1, 1, 12, 14 (C4); ზაქ.: 1, 12; 2, 2, 16; 8, 15; 10, 3, 6; 11, 14; 14, 21; მალ.: 3, 4. იფართ დაბ.: 35, 16. იქუხ დაბ.: 10, 6. ნახ. ქუში.
- 3
- კად II შქ.: 10, 7. კალე დაბ.: 14, 7; 20, 1. II შქ.: 9, 23. კალკალ II შქ.: 10, 7. კვენ დაბ.: 4, 1 (3-ჯერ), 2, 3, 5, 8 (2-ჯერ), 9, 13, 15, 16, 17, 24, 25. კინა დაბ.: 10, 24 (2-ჯერ). კინან დაბ.: 5, 9, 10, 12, 13, 14; 11, 13 (3-ჯერ). კინა დაბ.: 10, 22. კარიათო I მეფ.: 6, 21; 7, 1, 2. ამოს.: 1, 1. კარკარა მსაჯ.: 8, 10. კარბელ ეს.: 33, 9; ამოს.: 1, 2; ნაუმ.: 1, 4.

კარნამ დაბ.: 14, 5.
 კეზერ მსაჯ.: 3, 9, 11.
 კიტელ დაბ.: 10, 4.
 კლდე განუენებისა I მეფ.: 23, 28.
 კოთომელ დაბ.: 10, 14.
 კუროს ეს.: 44, 28; 45, 1.
 კუროს დან.: 1, 21.

ლ

ლაბან დაბ.: 24, 29, 50; 25, 20; 27, 43;
 29, 1, 5, 6, 10 (2-ჯერ), 13 (2-ჯერ),
 14, 15, 16, 19, 21, 22, 23, 24, 25,
 26, 28, 29; 32, 4.
 ლაიხ ეს.: 10, 30.
 ლამექ დაბ.: 4, 18, 19, 23 (2-ჯერ), 24;
 5, 25, 26, 28, 30, 31.
 ლევი დაბ.: 29, 34; გამ.: 1, 2; 2, 1 (2-
 ჯერ); II შჯ.: 10, 8. იერ.: 31, 14
 (C4); მალ.: 3, 3.
 ლევიტელ გამ.: 4, 14; II შჯ.: 10, 9; 11,
 12, 19. I მეფ.: 6, 15; III მეფ.: 7, 4.
 ლეფთალემ ნახ. მსაჯ. 6, 35; 7, 23.
 ლია დაბ.: 29, 16, 17, 23, 24, 25, 30,
 32; რუთ.: 4, 11.
 ლიბან II შჯ.: 11, 24; მსაჯ.: 3, 3; ისუ
 ზირ.: 24, 13; ეს.: 10, 34; 33, 9; 40,
 16; 60, 13; ეზ.: 31, 3; ოსე.: 14, 6,
 8; იოვ.: 1, 19; ნაუმ.: 1, 4.
 ლოხება მსაჯ.: 3, 3.
 ლოთ დაბ.: 11, 26, 27, 31; 12, 4, 5; 13,
 1, 5, 7, 8, 11 (2-ჯერ), 12, 14 (2-
 ჯერ); 14, 12, 14, 16; 19, 1, 3, 4, 6,
 9, 10, 12, 14, 15, 16, 18, 23, 26,
 29 (2-ჯერ), 30.
 ლოდი შეწვენისა I მეფ.: 7, 12.
 ლულ დაბ.: 10, 22.
 ლულა დაბ.: 35, 9; 48, 3.

მ

მაგელონ ეს. 10, 28.
 მაგოგ დაბ.: 10, 2.
 მალა დაბ.: 10, 2.
 მალიამ გამ.: 2, 15, 16; 4, 19; რიცხ.:
 22, 4. მსაჯ.: 7, 1, 2, 7, 8, 12, 13
 (2-ჯერ), 14, 15, 23, 24; 8, 1, 3, 5,

22, 26, 28. ეს.: 10, 26; 60, 6.
 მალიამელ დაბ.: 37, 28; გამ.: 3, 1;
 რიცხ.: 25, 6, 8; მსაჯ.: 7, 24.
 მათუსალა დაბ.: 4, 18 (2-ჯერ); 5, 21,
 22, 25, 26, 27.
 მალელ დაბ.: 4, 18 (2-ჯერ).
 მალელე დაბ.: 5, 12, 13, 15, 16, 17.
 მალუნ რუთ.: 1, 2, 5; 4, 9, 10.
 მანზრე დაბ.: 13, 18; 18, 1.
 მანახე დაბ.: 41, 51; 48, 1, 5; 50, 23.
 II შჯ.: 34, 2. ისუ ნაე.: 22, 1, 7, 9,
 10, 11, 13, 15, 21, 30, 31, 32, 33,
 34; მსაჯ.: 6, 35; 7, 23.
 მაონ I მეფ.: 23, 25.
 მარიამ მიქ.: 6, 4.
 მახეთა I მეფ.: 7, 6 (2-ჯერ), 7, 11, 12.
 მასშო დაბ.: 10, 30.
 მაქირ დაბ.: 50, 23.
 მაქმა (= მაქმას) ეს.: 10, 28.
 მდინარეთა შუეა დაბ.: 24, 10. იხ. შუა-
 მდინარე.
 მეგუბტელ დაბ.: 39, 1, 2, 5, 7; 41, 46;
 45, 2. გამ.: 1, 12; 2, 11, 12, 14, 19,
 23, 24; 3, 9, 10, 11, 16, 18, 19, 21,
 22; 4, 18; 5, 4; 6, 5, 6, 7, 13; 7, 5,
 18, 21, 24; 8, 21; 9, 6; 10, 2; 11,
 3 (2-ჯერ), 11; 12, 17, 23, 30, 33,
 35, 36 (2-ჯერ), 39; III მეფ.: 8, 9;
 ეს.: 19, 2 (2-ჯერ), 3.
 მედა ეს.: 52, 5.
 მეღება ეს.: 10, 31;
 მეღქა დაბ.: 11, 29; 24, 15, 24;
 მეღქ(ი) იერ.: 38, 1, 6.
 მეღქიზედეკ დაბ.: 14, 18, 19, 20.
 მეღქისობ I მეფ.: 31, 2.
 მეგრენ ბარ.: 3, 23.
 მესერა I მეფ.: 24, 23.
 მესტრე დაბ.: 10, 13.
 მეწამულისა ზღუა II შჯ.: 11, 4.
 მზის ქალაქ დაბ.: 41, 45, 50; გამ.: 1, 11.
 მთაა ეფრემისი I მეფ.: 1, 1.
 მინელ იობ.: 2, 11.
 მისაელ დან.: 1, 6, 19; 3, 88.
 მისაქ დან.: 1, 6; 3, 12, 13, 14, 16, 19,
 20, 22, 23, 93 (2-ჯერ), 95, 96, 97.
 მიქაელ დან.: 12, 1.
 მიქობ დაბ.: 14, 15.

შობა რიცხ.: 22, 1, 3 (2-ჯერ), 4 (3-ჯერ), 36; 23, 6, 7; 24, 17; II შჯ.: 34, 1, 5, 8; მსაჯ.: 3, 12, 14, 15, 17, 28 (2-ჯერ), 29, 30; რუთ.: 1, 1, 2, 6 (2-ჯერ), 22; 2, 6; IV მეფ.: 13, 20; მრქ.: 6, 5.

შობაზე რუთ.: 1, 4; 2, 6; 4, 3, 5, 10.

შოსე გამ.: 2, 10, 11, 14, 15 (2-ჯერ), 17, 21; 3, 1, 3, 4, 5, 6, 7, 11, 12, 13, 14; 4, 2, 3, 4, 10, 11, 13, 14, 18 (2-ჯერ), 21, 27, 28, 29, 30; 5, 1, 4, 20, 22; 6, 1, 2, 9, 10, 12, 13, 29, 30; 7, 1, 6, 7, 8, 10, 14, 19, 20; 8, 1, 5, 8, 9, 10, 12, 13, 16, 20, 25, 26, 29, 30 (3-ჯერ); 9, 1, 8, 11, 12, 13, 22, 23, 27, 29, 33, 35; 10, 1, 3, 6, 8, 9, 12, 16, 18, 21, 24, 25, 28, 29; 11, 1, 4, 8, 9, 10; 12, 1, 21, 28, 31, 35; 34, 28, 29 (2-ჯერ), 30, 31 (2-ჯერ), 33, 34; 40, 17, 19, 21, 23, 25, 31, 33; რიცხ.: 20, 23, 27, 29; 25, 5, 6, 10; 11 შჯ.: 34, 1, 4, 5, 6, 8, 9 (2-ჯერ), 10, 12; ისუ ნავ.: 22, 2, 4, 7, 9; მსაჯ.: 3, 4; IV მეფ.: 8, 53, 56; ისუ ზირ.: 24, 26; ეს.: 63, 12; მრქ.: 6, 4.

შოსოპოტამია მსაჯ.: 3, 8;
შოსოქ დაბ.: 10, 2.
შოსუქ დაბ.: 10, 23.

5

შაბ მსაჯ.: 8, 11.
შაბათ ეს.: 60, 7.
შაბეა მსაჯ.: 8, 11.
შაბუქოლონოსორ დან.: 1, 1, 18; 3, 1, 2 (2-ჯერ), 3, 5, 7, 13, 14, 16, 19, 93, 95.
შავე II შჯ.: 34, 9; ისუ ნავ.: 24, 30; მსაჯ.: 2, 8.
შათან იერ.: 38, 1.
შაინ I მეფ.: 29, 1;
შამეს III მეფ.: 19, 16;
შანტი დაბ.: 10, 6;
შასოშ რუთ.: 4, 20 (2-ჯერ);
შაქორ დაბ.: 11, 22, 23, 24, 25, 26 (2-

ჯერ), 24, 10 (2-ჯერ), 15, 24; 29, 5, 29.
ნებროთ დაბ.: 10, 8, 9; მიქ.: 5, 6.
ნემან IV მეფ.: 5, 9, 11, 14, 15.
ნერი III მეფ.: 2, 5.
ნეთოლემ გამ.: 1, 4; მსაჯ.: 6, 35; 7, 23.
ნინეფ დაბ.: 10, 12. ეზ.: 9, 6; იოვ.: 2, 16 (C4).
ნინევე დაბ.: 10, 11; იონა: 1, 2; 3, 2, 3 (2-ჯერ), 4; 4, 11.
ნინეველ იონა: 3, 5, 6.
ნოდელ დაბ.: 10, 13.
ნოვე დაბ.: 5, 6, 7, 9, 11, 13 (3-ჯერ), 14, 16, 23, 29, 30, 32; 6, 8, 9 (3-ჯერ), 13, 22; 7, 1, 5; 8, 1, 6, 9 (2-ჯერ); 11, 13, 15, 18, 20 (3-ჯერ); 9, 1, 8, 12, 17, 18, 19, 20, 24, 28, 29; 10, 1, 32;
ნოში რუთ.: 1, 2, 3, 8, 11, 15, 19, 20, 21, 22; 2, 1, 19; 3, 16.
ნოშინ რუთ.: 2, 1, 2, 6, 20 (2-ჯერ), 22; 3, 1; 4, 3, 5, 9, 14, 16;
ნუმა დაბ.: 4, 22.

O

ოღარა დაბ.: 10, 27.
ოღოლაშელ დაბ.: 38, 1, 12, 20.
ოზია ეს.: 6, 1; ოსე: 1, 1; ამოს.: 1, 1.
ოლ დაბ.: 10, 23.
ონი გამ.: 1, 11.
ორბე მსაჯ.: 7, 25 (2-ჯერ); 8, 3.
ორექ დაბ.: 10, 10.
ოს დაბ.: 10, 23.
ოსე I მეფ.: 6, 14, 18.
ოფნე I მეფ.: 1, 3; 2, 34.

3

პასქორ იერ.: 38, 1.
პასქურ ნახ. პასქორ.
პეტეფრე დაბ.: 37, 36, 39. 45, 50.
პითონ გამ.: 1, 11 (ხელნაწერშია: ფასონი).

6

რაგვ დაბ.: 11, 18, 19, 20, 21
 რაგულელ გამ.: 2, 18.
 რაშესი გამ.: 1, 11; 12, 37.
 რასენ ეს.: 7, 8.
 რაქელ დაბ.: 29, 6, 9, 10, 11, 12, 15, 17, 18 (2-ჯერ), 20, 25, 28, 29, 30, 31; 35, 16, 19, 20, 30; 48, 7. რუთ.: 4, 11; იერ.: 31, 15.
 რებეკა დაბ.: 24, 15; 29, 51, 53, 56, 60, 61 (2-ჯერ), 64, 67; 25, 20, 21 (2-ჯერ), 26, 28; 26, 7 (2-ჯერ), 8; 27, 5, 6, 15, 42, 46; 29, 1, 12.
 რეგმა დაბ.: 10, 7 (2-ჯერ).
 რემან ამოს.: 4, 3.
 რომელ ეს.: 7, 5.
 რუბენ დაბ.: 29, 32; 37, 27, 29; 48, 5; გამ.: 1, 2; II შქ.: 11, 6; ისუ ნავ.: 22, 1, 9, 10, 11, 13, 15, 21, 30, 31, 32, 33, 34.
 რუბუთი დაბ.: 10, 11.
 რულელ დაბ.: 10, 4.
 რუთ რუთ.: 1, 4, 14, 15, 16, 22; 2, 2, 14, 18, 19, 21, 22, 23 (2-ჯერ); 3, 7, 9; 4, 5, 10, 13.

ს

საბა დაბ.: 10, 7. ეს.: 60, 6.
 საბათა დაბ.: 10, 7.
 საბან დაბ.: 10, 7.
 საბელ დაბ.: 10, 28.
 სავა დაბ.: 38, 2, 12.
 სავე დაბ.: 14, 5, 17.
 სალა დაბ.: 10, 24 (2-ჯერ); 11, 13, 14, 15.
 სალათიელ ანგ.: 1, 1, 14 (C4); 2, 2.
 სალემ დაბ.: 14, 18.
 სალმანა მსაჯ.: 8, 5, 6, 7, 10, 12, 15 (2-ჯერ), 18, 21 (2-ჯერ).
 სალომ რუთ.: 4, 20 21; მსაჯ. 2, 1.
 სალფა დაბ.: 10, 26.
 საშა I მეფ.: 17, 13.
 საზოელ I მეფ.: 1, 20; 2, 11, 18, 21, 26; 3, 1, 3, 4 (4-ჯერ), 6 (3-ჯერ), 8 (2-ჯერ), 9 (2-ჯერ), 10 (3-ჯერ), 11, 15 (2-ჯერ), 16 (2-ჯერ), 18, 19, 20,

21 (2-ჯერ); 7, 3, 5, 6, 8 (2-ჯერ), 10, 12, 13; 16, 1 (2-ჯერ), 2, 4, 7, 8, 10 (2-ჯერ), 11 (2-ჯერ), 12 (2-ჯერ), 13; 28, 3, 11, 12, 14, 15, 16, 20.

სამორეველ დაბ.: 10, 18.
 საპატ III მეფ.: 19, 16.
 სარა დაბ.: 11, 29, 30, 31; 17, 15 (2-ჯერ), 17, 19; 21, 1, 2, 6; 20, 7, 16, 18; 24, 36, 67; ეს.: 51, 1; სარტა.: დაბ. 17, 15.
 სარონ ეს.: 33, 9. ნახ. ასალონ.
 საულ I მეფ.: 16, 1, 2, 14, 17, 19, 20, 22, 23; 17, 2, 8, 11, 12 (2-ჯერ), 14, 15, 19, 31 (2-ჯერ), 33, 34, 37, 38, 39, 55, 56, 57, 58; 18, 1, 2; 5 (2-ჯერ), 6, 7, 8, 9; 23, 25 (2-ჯერ), 26 (2-ჯერ), 27, 28; 24, 2, 4, 5, 8 (2-ჯერ), 9 (2-ჯერ), 17 (3-ჯერ), 23 (2-ჯერ); 28, 3, 4, 5, 6, 7, 8 (3-ჯერ), 9, 10, 11, 12, 13 (2-ჯერ), 14 (3-ჯერ), 15, 20, 21, 25; 29, 3, 5; 31, 2 (2-ჯერ), 3, 4 (2-ჯერ), 5, 6, 7, 3, 10, 11, 12; II მეფ.: 1, 1, 2, 4, 5, 6, 12, 17; 5, 2; 6, 16; ეს.: 10, 29.

საქველ იობ.: 2, 11.
 სახლი ღმრთისა დაბ.: 12, 8; 28, 19.
 სეზოიმლ დაბ.: 14, 2.
 სეგორ||სეგორა დაბ.: 13, 10; 14, 2; 19, 22, 23; II შქ.: 34, 3.
 სეგორელ დაბ.: 14, 8.
 სელრაქ დან.: 1, 6; 3, 12, 13, 14, 16, 19, 20, 22, 23, 93 (2-ჯერ), 95, 96, 97.
 სეით დაბ.: 5, 3, 4, 6, 7, 8; 4, 25, 26.
 სეირ დაბ.: 14, 6; 32, 3.
 სეკელაკ II მეფ.: 1, 1.
 სელემ ისუ ნავ.: 22, 9.
 სელლა დაბ.: 4, 19, 22, 23.
 სელომ დაბ.: 38, 5; 11, 14, 26; ისუ ნავ.: 22, 12; I მეფ.: 1, 3, 9, 21, 24 (2-ჯერ); 2, 14; 3, 21.
 სემ დაბ.: 5, 13, 32; 6, 10; 9, 19, 23, 26; 10, 1, 21 (2-ჯერ); 11, 10 (2-ჯერ), 11.
 სემეე III მეფ.: 2, 8.

- სენათ დან.: 1, 2.
 სენარელ (სერაველ-ხელნწ.) დაბ.: 11, 1, 9 (ხელნწ.: სერაბელ).
 სენაპარ დაბ.: 14, 2.
 სერუქ დაბ.: 11, 20, 21, 22, 23.
 სეფა I მეფ.: 1, 1.
 სეფორა გამ.: 1, 15; 2, 21; 4, 25; რ.უ.: 22, 2, 4, 18.
 სეჟა დაბ.: 11, 29.
 სილონ დაბ.: 10, 15, 18; იოვ.: 4, 4.
 სილონელ მსაჯ.: 3, 3.
 სიკიმა ისუ ნავ.: 24, 32 (2-ჯერ).
 სიკიმახ მსაჯ.: 8, 31.
 სილან დაბ.: 10, 10.
 სილოან ისუ ნავ.: 10, 12.
 სინა გამ.: 34, 32.
 სინარ დაბ.: 11, 2.
 სინელ დაბ.: 10, 16.
 სიონ II მეფ.: 3, 7; III ეზრ.: 5, 25; ეს.: 1, 8, 26; 2, 3; 8, 18; 10, 24, 32; 12, 6; 25, 5, 6; 33, 5, 20; 40, 2; 49, 14; 51, 3, 11, 16; 52, 1 (2-ჯერ), 2, 7, 8; 59, 20; 60, 8, 14; 61, 3; 62, 1, 11; 66, 8; იერ.: 3, 14; 31, 12; გოდ.: 1, 4, 6, 17; 4, 11, 22; ბარ.: 4, 9, 14, 24; ამოს.: 1, 2; მიქ.: 4, 7, 8, 10, 11, 13; იოვ.: 2, 15 (C4), 23; 3, 5; 4, 16, 17, 21. სოფ.: 3, 14, 16; ზაქ.: 1, 14, 17; 2, 14; 8, 3; 9, 9, 13.
 სობოიდ დაბ.: 10, 19.
 სობონელ იობ.: 6, 19.
 სოდომ დაბ.: 10, 19 (2-ჯერ); 13, 10. 12; 19, 1, 24, 28. ეს.: 1, 10.
 სოდომა ამოს.: 4, 11.
 სოდომელ დაბ.: 14, 2, 8, 10, 11, 16, 21, 22; 19, 4. ეს.: 1, 9.
 სოლომონ III მეფ.: 7, 51 (3-ჯერ); 8, 1, 2, 5, 12, 14, 15, 22, 53, 54, 63, 65; ივ.: 1, 1.
 სომან I მეფ.: 28, 4.
 სომორონ ეს.: 7, 9 (2-ჯერ).
 სორომონ ნახ. სომორონ.
 სოფ I მეფ.: 1, 1.
 სოფარ იობ.: 2, 11.
 სოფერ დაბ.: 10, 30.
 სოფონენ ზაქ.: 6, 10.
 სოფონია იერ.: 38, 1.
 სოფონიან ზაქ.: 6, 14.
 სოქოთ გამ.: 12, 37; მსაჯ.: 8, 5, 6, 8, 14 (3-ჯერ), 15, 16; I მეფ.: 17, 1 (2-ჯერ).
 სპარსელ ეს.: 49, 12.
 სუნთუფანერუქ დაბ.: 41, 45.
 სურუბე მსაჯ.: 7, 25.
 სუმეონ დაბ.: 29, 33; 48, 5; გამ.: 1, 2.
 სუმობორ დაბ.: 14, 2.
 სუქემ დაბ.: 12, 6; 37, 12, 13, 14.
- ტ
- ტაბა მსაჯ.: 7, 23.
 ტაბელ ეს.: 7, 6.
 ტობია ზაქ.: 6, 10.
 ტრემფოს დაბ.: 10, 6.
 ტუროხ იოვ.: 4, 4.
- უ
- უბელამ ოს.: 1, 3.
 უდაბნო ხმენისა I მეფ.: 23, 25.
 უდამაოხ დაბ.: 28, 19.
 უმელ დაბ.: 14, 5.
 ურიფა რუთ.: 1, 4, 14.
 უფალი გამოჩნდა დაბ.: 22, 14.
 უფალი იხილა დაბ.: 22, 14.
- ფ
- ფათურა რიცხ. 22, 5.
 ფალეგ დაბ.: 10, 25; 11, 16, 17, 18, 19.
 ფანუელ მსაჯ.: 8, 8 (2-ჯერ), 9, 17.
 ფარა მსაჯ. 7, 10, 11.
 ფარაო გამ.: 1, 11, 18, 19, 22; 2, 5, 6, 8, 9, 10, 15 (2-ჯერ), 22; 3, 9, 10, 11; 4, 21 (2-ჯერ), 22; 5, 1, 2, 4, 5, 6, 10, 14, 15, 17, 20, 21, 23; 6, 1, 11, 12, 13, 29, 30; 7, 1, 2, 3, 4, 7, 9 (2-ჯერ), 10 (2-ჯერ), 11, 13, 14, 15, 20, 22, 23; 8, 1, 8, 9, 12 (2-ჯერ), 15, 19 (2-ჯერ), 20, 24, 25, 28, 29, 30, 32; 9, 1, 7 (2-ჯერ), 8, 10, 12, 13, 20, 27, 33, 34, 35; 10, 1, 3, 6, 7, 8 (2-ჯერ), 10, 11, 16, 18, 20, 24, 27, 28; 11, 1, 3, 5, 8, 9, 10 (2-ჯერ),

- 29, 30, 31. II შჯ.: 6, 21, 22; 34, 11; I მეფ.: 6, 6.
 ფარეღ დაბ.: 38, 29; რუთ.: 4, 12, 18 (2-ჯერ).
 ფარეზელ გამ.: 3, 8, 17.
 ფარეზეველ მსაჯ.: 3, 5.
 ფარნე დაბ.: 14, 7.
 ფარფათა ნახ. ფარფარა.
 ფარფარა IV მეფ.: 5, 12.
 ფასგა II შჯ.: 34, 1.
 ფეგერ II შჯ.: 34, 6.
 ფენანა I მეფ.: 1, 2 (2-ჯერ), 4, 5.
 ფერეზელ I მეფ.: 6, 18.
 ფილისტიმელ დაბ.: 26, 1, 14, 15, 18; I მეფ.: 17, 23;
 ფინეუზ რიყს: 25, 7, 11; ისუ ნავ.: 22, 13, 30, 31, 32, 33; 24, 33, 35.
 ფინეზ I მეფ.: 1, 3; 2, 34.
 ფინიკიელ მსაჯ.: 3, 13.
 ფოხელ დაბ.: 10, 2.
 ფოგორ ისუ ნავ.: 22, 17.
 ფუა გამ.: 1, 15.
- ჭ**
- ქაზბის დაბ.: 38, 5.
 ქალან დაბ.: 10, 15.
 ქალანე დაბ.: 10, 10.
 ქალაქ დაბ.: 11, 12.
 ქალდეც იერ.: 50, 45.
 ქალდეველ დაბ.: 11, 28, 31; ეს.: 43, 14; 48, 14; იერ.: 32, 24, 43; 33, 5; 38, 2; დან.: 1, 4; 3, 8, 48; ამბ.: 1, 6.
 ქალუბ მსაჯ.: 3, 9.
 ქაშ დაბ.: 5, 13, 32; 6, 10; 9, 18 (2-ჯერ), 22, 25, 26, 27, (2-ჯერ); 10, 1, 6, 20 (2-ჯერ).
 ქანან დაბ.: 9, 18; 12, 5; 13, 12; 14, 8; 45, 17, 25; 48, 3, 7; გამ.: 6, 4; II შჯ.: 11, 30; ისუ ნავ.: 22, 9, 10, 11, 32; მსაჯ.: 3, 1; ბარ.: 3, 22; ამოს.: 1, 5.
 ქანანელ დაბ.: 9, 22; 10, 18, 19; 12, 5, 6; 13, 7; 24, 3, 37; 29, 4; 38, 2;
- გამ.: 3, 8, 17; მსაჯ.: 3, 3, 5; იგ.: 31, 24; ზაქ.: II, 11, 14, 21.
 ქარან დაბ.: 11, 31, 32 (2-ჯერ); 12, 4, 5; 27, 43; გამ.: 12, 40.
 ქაფრათა დაბ.: 48, 7.
 ქებრონ დაბ.: 13, 18; 37, 14; II მეფ.: 5, 1, 3 (2-ჯერ).
 ქელკიანე იერ.: 1, 1.
 ქელეგონ რუთ.: 1, 2, 5; 4, 9.
 ქეტ დაბ.: 27, 46.
 ქეტელ დაბ.: 10, 15; გამ.: 3, 8, 17; მსაჯ.: 3, 5.
 ქოლოლ[ლო]გომორ დაბ.: 14, 1 (ხელნაწ.: ქოლოლგომორ); 4 (ხელნაწ.: ქოლოლაგომორ), 5, 9 (ხელნაწ.: ქოლოლაგომორ).
 ქორებ გამ.: 3, 1.
 ქორომელ დაბ.: 14, 6.
 ქუსარსათომ მსაჯ.: 3, 8, 10.
 ქუშ დაბ.: 10, 7, 8.
- შ**
- შაროელ III მეფ.: 2, 5.
 შერევა დაბ.: 11, 9.
 შუამდინარე დაბ.: 25, 20. იხ. მდინარეთა შუეა.
- ხ**
- ხილვაა ღმრთისა დაბ.: 32, 30.
- ჭ**
- ქეთამ იერ.: 50, 44.
 ჰინლო იერ.: 38, 7, 10.
 ჰრამა იერ.: 31, 15.
 ჰრომელ ეს.: 7, 9.
 ჰურია დან.: 3, 8, 12, 97.
 ჰურიასტან რუთ.: I, 6; I მეფ.: 17, 1, 12; ეს.: 7, 6; დან.: 1, 1, 2; იოვ.: 4, 20; ამოს.: 1, I; 7, 12.
- ჟ**
- ჟნე ამოს.: 1, 5.

პარიზული ლექციონარი და მისი მნიშვნელობა ქართული სამყარლო ენის ისტორიისათვის

I. შესავალი

ლექციონარი ანუ კანონი წარმოადგენს ლიტურგიკული დღესაა-წაულებისათვის განკუთვნილ საკითხავთა კრებულს მთელი წლის მან-ძილზე. ასეთი კრებული პირველად შეიქმნა იერუსალიმურ მღვდელ-მსახურებაში ბერძნულ ენაზე IV საუკუნეში. მაგრამ ასეთი კანონ-კრე-ბულის ტექსტობრივი სტრუქტურა დროთა განმავლობაში იცვლებო-და საღვთისმსახურო პრაქტიკის სწრაფ განვითარებასა და ლიტურგი-კული ცენტრის იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლში გადმონაცვლე-ბასთან დაკავშირებით. ფიქრობენ, რომ იერუსალიმური კანონის არ-ქაული ტექსტი (IV საუკუნისა). როგორც მოგვიანო საეკლესიო პრაქ-ტიკაში უხმარი, დაიკარგა და მისი უძველესი სახის რეკონსტრუქცი-ისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ამ ძეგლის სხვაენო-ვან ადრეულ (სირიულ, სომხურ...) თარგმანებს, მათ შორის, ძველ ქართულ თარგმანსაც. ის ფაქტი, რომ იერუსალიმური კანონი ქართულ ენაზე V საუკუნეში უნდა ეთარგმნათ, რასაც ცხადყოფს ხანმეტი ლექ-ციონარის სტრუქტურა, ცხადად წარმოაჩენს ქართული ტექსტის მნი-შვნელობას ბერძნული ორიგინალის თავდაპირველი სახის რეკონს-ტრუქციის საქმეში.

ქართული ლექციონარის მეცნიერულ შესწავლას სათავე დაუდო კ. კეკელიძემ, რომელმაც X საუკუნის ორი სევანური (ლატალისა და კალის) ხელნაწერის მიხედვით 1912 წელს გამოცა იერუსალიმური კანონის ქართული თარგმანის კალენდარული ნაწილი რუსული თარგ-მანითურთ, მას აახლა ვრცელი გამოკვლევა და საღვთისმსახურო ტერ-მინების მოდილო ლექსიკონი¹.

ამ გამოცემის დიდ მნიშვნელობას ქრისტიანული სამყაროსათვის.

К. С. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века (Грузинская версия), Тифлис, 1912. გამოცემა ემყარება ლატალის ნაკლულ ხელნაწერს, რომელსაც ახლავს არასრული სახით ეკითხვისები ასევე ნაკლული კალის ანუ ლავურკის ნუსხიდან.

მიანიშნებდა ის ფაქტი, რომ კ. კეკელიძის ეს შრომა გამოცემიდან ოთხი წლის შემდეგ ითარგმნა ბერძნულ და გერმანულ ენებზე¹.

ქართული ლექციონარის ხელნაწერთა ასე თუ ისე სრული გამოცემის დიდი საქმე იტვირთა მ. თარხნიშვილმა, რომელიც 1948 წლიდან სათავეში ედგა ჟურნალ „ქრისტიანული აღმოსავლურ ხელნაწერთა საერთაშორისო სერიის“ ქართულ სექციას. მ. თარხნიშვილმა ლექციონარის ქართული რედაქციების კრიტიკული გამოცემის საყრდენად აიღო ყველაზე სრული (დიდტანიანი) პარიზული ნუსხა (P), რომლის ტექსტი 730—765 პარაგრაფ-სექციების ფარგლებში შეავსო ლატალის (L) ხელნაწერიდან, ხოლო კრიტიკულ აპარატში უჩვენა იკითხვისები ლატალის, კალის (Ka) და 982 წ. იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი სინის მთის მონასტრის № 37 (S) ხელნაწერიდან, აგრეთვე ხანმეტი ლექციონარის (Gr., ე. ი. ფრაცში დაცული ხელნაწერის) და ჰემეტი (H) პალიმფსესტის ფრაგმენტებიდან.

მ. თარხნიშვილის გამოცემა შეიცავს ქართული ლექციონარის ნ ხ ო ლ დ კალენდარულ-ლიტერატურულ ნაწილს, ხოლო ბიბლიური საკითხავები, რომლებსაც ტექსტში უდიდესი ადგილი უჭირავს, წარმოდგენილია დასაწყისი და დასასრული ფრაზებით, მითითებულია თავებისა და მუხლების მაჩვენებლებიც. ლექციონარის ქართული ტექსტის შედარება რომ გაადვილებულიყო მის ლათინურ თარგმანთან, გამოცემელმა ტექსტი დაყო 1696 პარაგრაფ-სექციად. სამწუხაროდ, მ. თარხნიშვილი ტექსტის დაბეჭდვას ვერ მოესწრო (გარდაიცვალა 1958 წლის 15 ოქტომბერს) და მისი ნაშრომი ორ წიგნად (ქართული ტექსტი და მისი ლათინური თარგმანი) გამოვიდა 1959-60 წლებში რენე დრაგესა და ეერარ გარიტის ღონისძიებით².

ქართული ლექციონარის ხელნაწერთა შედგენილობისა და რედაქციულ ურთიერთმიმართების საკითხებზე ინტენსიურად მუშაობს ბერნარ უტიე, რომელმაც ზემოთ ნახსენებ ხელნაწერთა გარდა გამოავლინა იერუსალიმური კანონის ქართული თარგმანის ოცამდე ახალი ფრაგმენტი და მოგვცა ლექციონარის ტექსტის შემცველ ხელნაწერთა ერთგვარი წინასწარი დაჯგუფება, კერძოდ გამოყო: დ ი დ ფ ო რ მ ა ნ-ტ ი ა ნ ი ს რ უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი, ე. ი. ისეთები, რომლებაც გადაწერის ეპოს მიანც უნდა ყოფილიყო სრული. ასეთებია: ლატალის (L), კალის (Ka), პარიზის (P); ამათ ემატება პალიმფსესტური ფრაგ-

¹ ბ ე რ დ ა რ უ ტ ი ე, კ. კეკელიძე და ქართული ლექციონარის საკითხები, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მრავალთავი“, X, თბ., 1983, გვ. 28.

² Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem (Ve—VIIIe siècle), édité par M. Tarchnischvili, t. I, Loovain, 1959; t. II, Loovain, 1960.

მენტები: პარიზის ქართ. ხელნაწ. № 5, X ს., 40 ფ.; IX—X საუკუნეთა ხანმეტი ნაწყვეტები: ხელნაწ. ინსტ-ის H—2065, H—1336, H—133E A—136 და სხვა; არაპალიმფსესტური ფრაგმენტები X საუკუნისა ხელნაწ. ინსტ.-ის S—2955 (ორი რვეული), A—257 დ, შატენადარანის № 1335 და სხვ. გამოკრებილი ლექციონარის ხელნაწე რეები (სრული ლექციონარიდან მომდინარე), რომლებიც შეიცავს საკითხავებს შხოლოდ ზოგიერთი დღესასწაულისათვის. ასეთია Sin. № 37, გადაწერილი იოვანე-ზოსიმეს მიერ 982 წ., რომელიც შეიცავს ტექსტებს შობის, გამოცხადების, დიდი კვირიაკის და აღდგომის დღესასწაულებისათვის; ამავე ჯგუფისაა ჰემეტი ლექციონარი, რომელშიც გამოტოვებულია არა მარტო წელიწადის რამდენიმე ნაწილი, არამედ საკითხავთა რამდენიმე სახეობა: შეიცავს წელიწადის მეორე ნაწილს, მარტვილიის შემდეგ კვირათა მასალას და საკითხავებს მხოლოდ ოთხთავიდან; ამავე ტიპისაა ხანმეტი ლექციონარი, რომელშიც შესულია აღდგომის, მისი მომდევნო რვა დღისა და შვიდი მაისის ჯვრის დღესასწაულისათვის განკუთვნილი ტექსტი და საკითხავები უმეტესად ოთხთავიდან; შემდეგ მოდის შემოკლებული ხელნაწე რეები, ხელახლა შედგენილი უფრო მცირე საკრებულოსთვის. ასეთია H—1831 და მისი ნაწყვეტები (H—1893 გ და H—1895). მასში სრული ლექციონარის ტექსტი ისეა შემოკლებული, რომ ხან გამოტოვებულია ზოგი დღესასწაული, ხან ზოგიერთი დღესასწაულის რამდენიმე საკითხავი, რასაც (ბ. უტიეს გონებაზიხვილური დაკვირვებით), მოწმობს „დიდი შაბათი, სადაც გამოტოვებულია სინის მთისა და პარიზის კანონის მეორე საკითხავი, მაგრამ მესამე საკითხავს აქვს ნომერი დ, რაც იმით აიხსნება, რომ ეს საკითხავი მეოთხე იყო თავის მოდელში“¹.

ლექციონარის ქართული თარგმანის ქრონოლოგიის, სტრუქტურას და ხელნაწერთა რედაქციული მიმართების რთული საკითხების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს კ. ლეებმა, ელ. მეტრეველმა და სხვებმა. მკვლევართა ინტერესებს ამ საკითხებისადმი პირველ ყოვლისა განაპირობებდა უძველესი ქართული იადგარის ისტორიის დადგენის სურვილი. ელ. მეტრეველის ძიებამ აშკარა გახადა, რომ უძველესი იადგარი არ არის დამოუკიდებელი თარგმანი. მან ლექციონარის ტექსტისგან შიილო კალენდარი, განგებანი და პოეტური მასალაც; შემდეგ ასეთი იადგარი შეივსო ბერძნულიდან თარგმნილი ახალი პოეტურ-ლიტურგიკული მასალით და „ამ გზით მივიღეთ ორფენოვანი ჰიმ-

ბ. უტიე, კორნელი კეკელიძე და ქართული ლექციონარის საკითხები, ხელნაწ. ინსტ.-ის „მრავალთავი“, X, 1983, გვ. 32.

ნოკრაფიული კრებული“¹. მკვლევარმა შეძლო უფრო დაეკონკრეტებინა ქართული ლექციონარისა და მისგან იადგარის გამოყოფის ქრონოლოგიური ზღვრები: VI საუკუნის მანძილზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ლექციონარის ის რედაქცია, რომელიც საფუძვლად დაედო უძველესი იადგრების ცალკე კრებულად გამოყოფას. ეს გამოყოფა უნდა მომხდარიყო VI საუკუნის 70-იანი წლებიდან VII საუკუნის შეაწლებამდე².

ლექციონარის ტექსტის შემცველი ქართულ ხელნაწერთა და ფრაგმენტების გადაწერის დრო VII—X საუკუნეთა საზღვრებს არ სცილდება, მაგრამ მათში წარმოდგენილი ტექსტი უფრო ადრე უნდა იყოს თარგმნილი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი ძველი ხელნაწერის ფრაგმენტები. ესენია: ხ ა ნ მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი და პალიმფსესტური ჰ ა ე მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი³.

VIII საუკუნის ამ ჰემეტი პალიმფსესტის 51 ფურცელი, რომელიც ა. შანიძემ ამოიკითხა, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—1329), ზოლო შრის მეორე ნაწილი, სოფ. ივარში ნაპოვნი, ადრე მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახებოდა, დღეს კი ხელნაწერთა ინსტიტუტშია (Q—333).

ხ ა ნ მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი (54 გვ.) ქ. გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული. მისი ტექსტი (ფოტოპირების საფუძველზე) სათანადო გამოკვლევითურთ გამოსცა ა. შანიძემ⁴. იგივე ძველი ლიტურგიული თვალსაზრისით შეისწავლა მ. თარხნიშვილმა⁵. მკვლევარი იზიარებს ა. შანიძის აზრს, რომ ხანმეტი ლექციონარი VII საუკუნეშია გადაწერილი, მაგრამ დასძენს, რომ მისი პირვანდელი (არქაული) ტექსტი გადმოღებული უნდა იყოს V საუკუნის I ნახევარში, რადგან იგი ასახავს სწორედ ამ პერიოდის იერუსალიმური ღვთისმსახურების პრაქტიკას. მაგრამ VII საუკუნეში გადაწერილ ხანმეტ ნუსხაში ბიბლიური საკითხავების ძველი (ე. ი. თარგმნისდროინდელი

¹ უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს ელ. მებრეველმა, ც. კანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980, გვ. 663.

² იქვე, გვ. 685—688.

³ ა. შანიძე, ჰემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტფ. უნ. მოამბე, III, 1923, გვ. 354—388.

⁴ ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი: ტფ. უნ. მოამბე, VII, 1927, გვ. 125—152. ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1944.

⁵ M Tarchnischvili, Zwei georgische Lektionarfragmente aus dem 5. und 8. Jahrhundert: Le Muséon, t. 73, fasc. 2—4, 1960, s. 261—285.

ლი—კ. დ.) ტექსტი შეუცვლიათ ახალი რედაქციის ტექსტებზე ბიზანტიის ქართული თარგმანიდან¹.

კ. კეკელიძის აზრით, რომელსაც მ. თარხნიშვილიც ეთანხმება, ლექციონარის ტექსტი VII—VIII საუკუნეთა მიჯნაზე უკვე საგრძნობლად განსხვავდებოდა იმ საღვთისმსახურო წესებისაგან, რომლებიც VII საუკუნეში (634—644 წლებში) შემუშავდა ბერძნულ ენაზე იერუსალიმში ადრე არსებული კანონის შევსება-გავრცობის საფუძველზე. ამიტომ საჭირო გამხდარა, ხელახლა ეთარგმნათ VII საუკუნეში შექმნილი გავრცობილი ლექციონარი VIII საუკუნის შუაწლებისთვის² (ლატალის, კალის, პარიზის... ხელნაწერები ამ თარგმანს უნდა შეიცავდეს სხვადასხვა ცვლილებით).

ათანასე რენუ, რომელმაც 1967-71 წლებში გამოსცა სომხური ლექციონარის ტექსტი უძველესი ნუსხების საფუძველზე ვრცელი გამოკვლევითურთ³, ქართულ ლექციონარსაც ეხება და მიაჩნია, რომ ამ ძეგლმა ცვლილება განიცადა თავის პროტოტიპთან მიმართებით და იგი ასახავს V საუკუნის მეორე ნახევრიდან VIII საუკუნის ნახევრამდე იერუსალიმური კანონის განვითარების სურათს⁴.

ელ. მეტრეველმა სცადა, გაერკვია: VII საუკუნეში შევსებულ-გავრცობილი ბერძნული ლექციონარი ხელახლა ითარგმნა ქართულად VIII საუკუნეში, როგორც ეს მკვლევართა (კ. კეკელიძის, მ. თარხნიშვილის...) უმრავლესობას მიაჩნია, თუ V საუკუნეში თარგმნილი ლექციონარის ქართულმა ტექსტმა განიცადა ევოლუცია „ახალი დღესასწაულებისა და დროის შესაბამისად ახალი მასალის თანდათან გაზრდის გზით“⁵. მკვლევარმა ამ კარდინალური საკითხის გადასაწყვეტად ხანმეტი და ჰაემეტი ლექციონარის ფრაგმენტები შეუდარა უძველესი სომხური კანონისა და მოგვიანო ქართული ვრცელი ლექციონარის

¹ M. Tarchnischvili, *Zwei georgische...*, გვ. 273—274.

² К. С. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь VII века* (Грузинская версия), Тифлис, 1912, გვ. 26.

³ Renoux Ath. *Le codex arménien Jérusalem 121 I Introduction aux origines de la liturgie hiérosolymitaine. I. mières nouvelles: Patr. Orientalis, t. XXXV, fasc. 1, Turnhout, 1969, 215 p. II. Édition comparée du texte et de deux autres manuscrits. Introduction, textes, traduction et notes: Patr. Orientalis, t. XXXVI, fasc. 2, Turnhout, 1971, 159—266 p.* რენუს შრომების ბიბლიოგრაფია სომხურ ლექციონარზე (ხ. ანასიანის (H. S. Anassian) წიგნში: *Bibliae sacrae Yersio armena* (ერევანი, 1976, გვ. 643, სომხურ ენაზე).

⁴ Renoux Ath., *Le codex arménien...*, I. Introduction..., p. 23—24.

⁵ უძველესი იადგარი... გვ. 667.

შემკველ ნუსხათა (ლატალის, პარიზის...) საერთო ან მსგავს ადგილებს და დიდმნიშვნელოვან დასკვნამდე მივიდა: ქართული ვრცელი კანონი არ უნდა იყოს VIII საუკუნეში თარგმნილი, რადგან ხანმეტი ლექციონარის ტექსტი მასში გამოყენებული არის. რადგან ეს ორი რედაქცია გენეტურად დაკავშირებულია ერთმანეთთან, ისინი სხვადასხვა დროს შესრულებულ ორ თარგმანად არ ჩაითვლება. პირვანდელი ხანმეტი ლექციონარი თავისი ბიბლიური საკითხავეებით საფუძვლად დასდებია ახალ, გავრცობილ რედაქციას, რომლის ჩამოყალიბება ბერძნულ ლექციონარში მომხდარი ცვლილებების ასახვას ემსახურებოდა. ხ ა ნ მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი ს შ ე ვ ს ე ბ ი ს შ ე დ ე გ ა დ შ ე ი ქ მ ნ ა ვ რ ც ე ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი ვ ე რ ს ი ა. შევსება მოხდა ახალი ხსენებებით და პოეტური ტროპარებით. კანონის X საუკუნის ხელნაწერები (ლატალის, კალის, სინის, პარიზის) შედგენილობით განსხვავდებიან და არ წარმოადგენენ კანონის თავდაპირველ რედაქციას, ვინაიდან თითოეულ მათგანში მეტნაკლებად ასახულია ცვლილებები, რომლებიც განუცდია კანონს თავისი განვითარების რამდენიმე საუკუნის მანძილზე¹.

ასევე ფრიად საყურადღებოა მკვლევრის მოსაზრება ჰ ა ე მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი ს რედაქციულ რაობასა და ლექციონარის ქართულ ხელნაწერთა სტრუქტურული მიმართების თაობაზე: ჰაემეტი ლექციონარი არის ვრცელი კანონის ადრეული სახე. ის წარმოადგენს სრული ლექციონარიდან გამოკრებილი სახარების საკითხავეებს, გაწყობილს კანონის მთელი წლის კალენდარზე. ლექციონარის დღემდე მოღწეული ნუსხები (ვრცელი თუ ფრაგმენტული) „ერთი ბერძნული დედნიდან მომდინარე ერთი თარგმანის შევსება-განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავენ“².

ძნელია ამ დებულებების გადაჭარბებით შეფასება. ცხადია, არაა გამორიცხული, რომ ზოგი რამ დაზუსტდეს იერუსალიმური ლექციონარის ქართული თარგმანის ყველა ნუსხის ტექსტობრივი შედგენილობის, მათი რედაქციული მდარებების, კანონის ევოლუციის, გავრცობის ეტაპების დადგენის შემდეგ, მაგრამ იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ზემომოყვანილი დებულებები ორიენტირის მნიშვნელობისაა იმათთვის, ვინც ეცდება ქართული ლექციონარის რთულ ლაბირინთში შეღწევას.

¹ უძველესი იადგარი, გვ. 670—672.

უძველესი იადგარი, გვ. 683.

ქართული ლექციონარის კალენდარული ნაწილის თუ სავსებით სრული არაა, ორი სოლიდური გამოცემა მაინც არსებობს (ე. კეკელიძისა და მ. თარხნიშვილისა), მაგრამ ლექციონარის უდიდესი და უმთავრესი ნაწილი — ღვთისმსახურების მთელი წლის მანძილზე გაწყობილი ბიბლიურ წიგნთა საკითხავები — სამწუხაროდ, დღემდე გამოუცემელია. ნიმუშების სახით გამოქვეყნებულია მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი¹.

ბიბლიური საკითხავების ცალკე გამოცემას ორმხრივი ინტერესი ახლავს: ფილოლოგიური და ენათმეცნიერული. ფილოლოგიური თვალსაზრისით ის იძლევა ძვირფას მასალას ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის ისეთი კარდინალური საკითხებია გადასაწყვეტად, როგორცაა: ქართული ლიტურგიკის უძველესი კონტაქტები აღმოსავლეთის ქრისტიანულ ცენტრებთან, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული რედაქციების რაობა, ამ რედაქციებსა და ლექციონარში შესული საკითხავების ურთიერთმიმართება და სხვ. ენათმეცნიერული თვალსაზრისით ბიბლიური საკითხავები იძლევა უძველეს წერილობით მასალას ქართული ენის ისტორიული გრამატიკისა და ქართული სამწერლო ენის სხვადასხვა უბნის (ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკის, სტილური საშუალებების) შესასწავლად. ქართული სამწერლო კულტურის ამ უძველესი ძეგლის თუნდაც ამ (საკითხავების) ნაწილის მრავალმხრივ მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ, როგორც წინასწარმა დაკვირვებამ გვიჩვენა, ბიბლიური საკითხავების საგრძნობი ნაწილი დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს და არა ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანიდან მზამზარეულად შეტანილს ლექციონარში. ამდენად, ლექციონარის საკითხავები, არსებითად, ქართული სამწერლო ენის დამოუკიდებელი და ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება ისეთი ძნელად ასახსნელი და, ასე ვთქვათ, უცნაური ფაქტი, რომ ლექციონარის საკითხავებისა და სათანადო ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმნის ტექსტები ზოგნაწილში დიდად განსხვავდებიან, ხოლო ზოგში კიდევ თითქმის იდენტური არიან არა თუ სხვადასხვა წიგნის, არამედ თვით ერთი რომელიმე წიგნის სხვადასხვა ნაწილის ფარგლებშიც კი.

¹ К. С. Кекелидзе. Иерусалимский Капонарь VII века (Грузинская версия), Тифлис, 1912, გვ. 310—321; სტ. ჩხენკელი, ლავურის ლექციონარი: თბ. უცხო ენათა პედაგოგიკის შტ., ტ. 2, 1959, გვ. 254—257.

ცხადია, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანისა და ლექციონარის საკითხავთა შორის ურთიერთმიმართების რთული საკითხების საბოლოოდ გასარკვევად საქიროა დადგინდეს, თუ როგორ იერცხოვდა დროთა განმავლობაში იერუსალიმური კანონის უძველესი ქართული თარგმანი მასში ახალ-ახალი დღესასწაულების, სახსენებლებისა და ბიბლიური საკითხავების შეტანით. თუ გაირკვევა ლექციონარის სხვადასხვა ტექსტობრივი პლასტების რელატიური ქრონოლოგია, ეს დიდად გააადვილებს ბიბლიის თარგმანსა და ლექციონარის საკითხავებს შორის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევასაც, რადგან არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ლექციონარის საკითხავი რაც უფრო ძველი ტექსტობრივი ფენისაა, მით უფრო განსხვავებულია სათანადო ბიბლიური წიგნის თარგმანისაგან, და რაც უფრო გვიანდელი შენატანია, მით უფრო ხელშესახებია მსგავსება მათ შორის. თანაც, საქმეს ისიც ართულებს, რომ დღეისთვის არ ხერხდება ბიბლიურ წიგნთა და ლექციონარის ქართულად თარგმნის ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა.

ღიღი მნიშვნელობის საქმე იქნებოდა, რომ ლექციონარის ქართული თარგმანის სრული ტექსტი მთლიანად გამოცემულყო კალენდარულ-განგებათა და საკითხავთა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს არის სრულ, გამოკრებილ თუ ფრაგმენტულ ხელნაწერებში. მაგრამ ასეთი განოკების განხორციელებას უნდა უსწრებდეს ბევრი საკითხის დამუშავება: უნდა გაირკვეს თითოეული ვრცელი თუ ფრაგმენტული ხელნაწერის ტექსტობრივი სტრუქტურა, ხელნაწერები დაჯგუფდეს რედაქციებად და დადგინდეს არა მარტო რედაქციათა შორის მიმართება, არამედ მათი სტრუქტურული დამოკიდებულება ლექციონარის უცხოენოვან მოდელებთან. მაგრამ, რადგან ლექციონარის ქართული ხელნაწერები (VII—X საუკუნეებისა) პირვანდელი (V საუკუნის) თარგმანის დროთა განმავლობაში გავრცობილ და შეცვლილ ნაირგვარ ტექსტებს შეიცავს, მათ სრულ გამოცემაში გაძნელებება სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ტექსტთა დამოუკიდებელი სახით წარმოჩენა და განსხვავებული ისტორიის ტექსტების შერევისაგან თავის დაღწევა.

ასეა თუ ისე, ლექციონარის ძველი ქართული თარგმანის ხელნაწერთა კალენდარული ნაწილის თარხნიშვილისეული გამოცემა თუ სრულად არა, არსებითად რამდენადმე მაინც წარმოგვიდგენს ტექსტის ნაირგვაროვან სახეს და მისი ისტორიის კვლევისათვის საწინააღმდეგარო წარმოადგენს. ამიტომ დღეისთვის უფრო საშუაოდ მოჩანს ლექციონარებში შესული ბიბლიური საკითხავების გამოქვეყნება.

სასურველი იყო, რომ ლექციონარის ვრცელ პარიზულ ხელნაწერში შესული ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები ერთად დაბეჭდილიყო. მაგრამ დიდი მოცულობის გამო ტექსტი გაიყო: ამჟამად მხოლოდ ძველი აღთქმის საკითხავები გამოდის, რომელსაც მოჰყვება ახალი აღთქმის საკითხავებიც.



ლექციონარის ძველი აღთქმის წაგნთა საკითხავების ქართულ თარგმანში თვალსაჩინოდ არის გამჟღავნებული ქართული სამწერლო ენის გრანატიკული, ლექსიკური და სტილური შესაძლებლობანი. თავად ბიბლიის ენციკლოპედიური ინფორმაციულობის გამო ძველი აღთქმის საკითხავების ამ თარგმანშიც იპოვის კაცი საჭირო მასალას ბუნებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა უბნიდან. არ შეიძლება შეგნებული მკითხველი გულგრილი დარჩეს და არ მოუნდეს მას იმის გაგება, თუ როგორ გადმოდიოდა IV—V საუკუნეების ქართულ ენაზე შორეული იუდეის და მის მკვიდრთა ბუნებრივ-გეოგრაფიული, ნათფლმხედველობრივი, სარწმუნოებრივი, სამართლებრივი და სხვა სპეციფიკური ყოფის ამსახველი რთული ტექსტობრივი პასაჟები, თუ როგორ ცდილობდნენ პირველმთარგმნელნი საგანგებოდ განრიდებოდნენ სათარგმნი ტექსტიდან ძალზე სპეციფიკური სიტყვა-ტერმინებსა მექანიკურად (უთარგმნელად) გადმოღებას ზოგჯერ მასთანაც კი, როცა მათი ფარდი ლექსიკური ერთეული ქართულს საერთოდ არ გააჩნდა. თარგმნის თეორიაში დღესაც სადავოა, სათარგმნი ტექსტის სპეციფიკური სიტყვები, რომლის ფარდი არ მოიპოვება თარგმნის ენაში. პირდაპირ (ე. ი. უთარგმნელად) უნდა გადმოდიოდეს თუ არაბოლფსაოვანი, ნაკლებეკვივალენტური ერთეულით. ამჟამად, რომ ქართველ პირველმთარგმნელთ შეგნებული ჰქონდათ ასეთი რთული ტექსტობრივი სიტუაციის შემთხვევაში არჩევანის ერთ-ერთი გზის უპირატელობა: უცხო ენის სპეციფიკური ერთეულები სათანადო ფარდის უქონლობის შემთხვევაშიც კი გადმოღებულ იყო არა უთარგმნელად (ე. ი. უცხო ფორმით). არამედ ნაკლებეკვივალენტური სიტყვით. ოღონდაც კი ბარბაროზები ან ნასესხები ლექსიკა მინიჭემამდე შენდირებულ იყო. ძველი ქართული თარგმანის ენის ფენომენის ასეთი ეროვნული მსოფლგაგებით გააზრება ზოგჯერ უზუსტობასა და ამჟამად შეცდომასაც კი იწვევდა. უდავოა, ღღევანდელ მკითხველს ჰმართებს არა მარტო ასეთ უზუსტო-

ბებს გაუსწოროს თვალი, არამედ იმისი კრძალულებითი შეგნებაც, რომ პირველმთარგმნელთ თავიანთი ნაღვაწი უთუოდ გაცნობიერებული ჰქონდათ არა მხოლოდ სარწმუნოებრივი დანიშნულების, არამედ საერთოსახელმწიფოებრივი ღირებულების ქართული სამწერლო კულტურის სასაძირკველ-საფუნდამენტო ძეგლებად. სწორედ ასეთი პოზიციიდან დაინახვება ბიბლიურ წიგნთა და მათი საკითხავების ქართულ თარგმანთა უცილონლად შეუტოლებელი მნიშვნელობა ქართული სამწერლო ენისა და კულტურის სათავეებს მოსახილველად.

თუმცა ამ ტექსტის მრავალმხრივი მნიშვნელობა რამდენადმე წარმოჩენილია მასზე დართულ ლექსიკონსა და გამოკვლევაში, მაინც ძეგლის ერთ-ერთი ღირსების გამჟღავნების დაუძლეველი სულსწრაფობა გვაიძულებს, რომ მოვიყვანოთ რამდენიმე მუხლს ტექსტი იმის ნიმუშად, თუ რა გულგასახარი სიმდიდრითაა წარმოჩენილი ძველი ქართულის დარგობრივი ლექსიკა, რომლის დიდი ნაწილი დღესაც ცოცხლობს და ფუნქციობს.

მცენარეთა ფლორა: „აღმოვაცენო ქუეყანასა ურწყულსა ნაძკ და ბზაჲ და მურტი და საროჲ და ვერხვ“ (ეს. 41,19); „უბადრუკ იქმნა იფქლისათჳს და ქრთილისა, რამეთუ წარწყმდა სათუებელი [=რთველი] ღელეთაგან: ვენაჟი განჯმა და ლედოანი შემცირდა. და მროწყელი და დანაკის-კუდი და ვაშლი და ყოველი ხე ველისაჲ განჯმა“ (იოვ. 1,11—12).

ცხოველთა და ფრინველთა ფაუნა: „ანუ შენ უნადირე ლომთა საზრდელი და სულნი ვეშაპთანი განაძღენ? უკუეთუ ცნა უამი შობისა ირემ-ვაცთაჲ კლდეთა შინა, ანუ შენ დაუმარხე საღმობაჲ ირემთაჲ“ (იობ. 38,39—39,1); „კუერცხნი ასპიტთანი განტეხეს და ქსელსა დედაზარდლისასა ქსოვენ და რომელსა ეგულებოდა კუერცხთა მათ ჭამაჲ, განტეხა და ღრიანკალი და: ქედნე პოა მას შინა“ (ეს. 59,5); „ფრთითა განსცხრებინ მჭურინავი, უკუეთუ მიუდგეს სირაქლემი და იხვ“ (იობ. 39,13); „ანუ შენითა სწავლითა დადგის ქორი..., ანუ შენითა ბრძანებითა აბლდის ორბი და ყანჩი და დაჯდის მართუეთა ზედა?“ (იობ. 39, 26—27).

ცოური სხეულები და მეტეოროლოგია: „რომელმან შექმნა კომნი და მწუხრისა ვარსკულავი და ჩრდილოჲსა ურემ-ვარნი და საუნჯეჲ სამხრისაჲ“ (იობ. 9,9); „მიმესრულ ხარა საუნჯეთა თოვლისათა, ანუ საუნჯენი ხეტყვისანი გიხილვან?“ (იობ. 38,22); „ვინ არს წკმისა მამაჲ..., ვისისა.

მუცლისგან გამოვალს მყინვარი ანუ ნეფხვაა ცათა შინა?...
ანუ წარ-მე-ავლინნეა მეხისტეხანი?" (იოზ. 38,28—35).

სოციოლოგია: „და მოვიდეს და მოკრბეს ყოველნი იგი მთავარი-
ნი, მარზაპნები იგი და შერაცხილები და ერისთავე-
ბი და დიდ-დიდნი, რომელნი იყვნეს კელმწიფებესა მის-
სა... (დან. 3,3).

ნიმუშები მრავლად შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა, მაგრამ ესე-
დაც სარწმუნო უნდა იყოს, რომ ლექციონარის პარიზული ხელნაწე-
რის ბიბლიური საკითხავების სახით ჩვენ გვაქვს ქართული სალიტერა-
ტურო ენის ისტორიის შესასწავლად დიდად ფასეული უძველესი წე-
რილობითი წყარო.

II ხელნაწერის აღწერილობა

ხელნაწერი ამჟამად დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთე-
კის აღმოსავლურ ფონდში (№ 3); X—XI საუკუნეთა მიჯნისაა. ნაწე-
რია ეტრატზე ლამაზი ნუსხური ხელით ორ სვეტად; სვეტში 32 სტრო-
ქონია. მრგლოვანი ასოები გამოყენებულია მთავრულებად აბზაცების
დასაწყისში; შეიცავს 387 ფურცელს. ხელნაწერი ნაკლულია, ძველი
პაგინაცია რვეულებრივია (რვეული რვა ფურცელს შეიცავს); უკა-
ნასკნელ რვეულს 56 (ე. ი. 57) სათვალავი უზის. ხელნაწერს თუნდაც
რვეულების აღნიშნული რაოდენობა რომ შეპრჩენოდა, 456 ფურცელი
(57×8) უნდა ყოფილიყო; აკლია კი 69 ფ. ხელნაწერის დაშლის შემ-
დეგ არეულა რვეულთა თანმიმდევრობა: იწყება მე-5 რვეულით, ხო-
ლო მე-2, მე-3, მე-4 რვეულები მოქცეულია 56-ე რვეულის შენდევ.

XIV—XVII სს. მხედრული მინაწერებიდან ირკვევა, რომ კარგა-
ხანს ეს ხელნაწერი ქვემო ქართლში, საბარათიანოში, მკვიდრობდა.
მერმე (XVII საუკუნის II ნახევრიდან) ორბელიანებისა გამხდარა. კერ-
ძოდ, სულხან-საბას ხელში მოხვედრილა და ამ უკანასკნელს თავისი
ტექსტოლოგიური მუშაობის კვალი აღუბეჭდავს მასში (ამაზე ქვემოთ).
XVIII ს. 30-იან წლებში კი, როგორც იტალიური მინაწერიდან ირკ-
ვევა, ეს ხელნაწერი საქართველოდან კონსტანტინუპოლში გაუგზავ-
ნიათ კაპუჩინ მისიონერებს თავის წინამძღვრისთვის 1731 წელს. შემ-
დეგ ხელნაწერი ვატიკანის ბიბლიოთეკის ბორჯიას ფონდში მოხვედ-
რილა, ბოლოს კი ნაპოლეონ I-ს რომიდან პარიზში ჩატანია¹.

ხელნაწერის შექმნის ადგილი არ არის აღნიშნული (შეიძლება და-

¹ Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem (Ve—VIII^e siècle),
édité par M. Tarchnischvili, t. I, 1959, Louvain, pp. VI—VII.

კარვულ ფურცლებზე იყო კიდევც), მაგრამ გადამწერად მოიხსენიება ვილაც „მწერალი მონაზონაი“: ამაზე 237-ე ფურცლის verso-ს I სვეტის ბოლოს ნუსხური (ხელნაწერისავე) ხელით ასეთი ცნობაა დაცული: „დიდება ღმერთსა ჩუენსა. დაესრულა კანონნი (!) ზატიკთაჲ, ქრისტე, შეიწყალე და აღიღე ნათელი ჩემი მამაჲ სტეფანე დღევრძელობით. მწერალი მონაზონაი ლოცვასა მომიკსენეთ [მოიკსენეთ-თაჲ.] ღმრთისათჳს“.

გადამწერი მეორეჯერაც (სახელმოუხსენებლად) ლოცვისას თავის მოხსენებას და მამა სტეფანეს ღმრთისგან დიდებას ითხოვს ანდერძში, რომელიც მოიპოვება 301 ფურცლის recto-ს II სვეტის ბოლოსა და verso-ს I და II სვეტის დასაწყისში. ამ ანდერძში ძეგლის სრული სახელწოდება და სხვა საყურადღებო საეკლესიო კალენდარული ცნობებიცაა დაცული: „დიდება შენდა, ქრისტე! დაესრულა კანონი წელიწადისაჲ. განწესებული რიცხუსა თუეთასა. რომელი განაწესეს ნეტართა და ღმრთივე შემოსილთა წმიდათა მოძღუართა ჩუენთა წესისაებრ წმიდისა ქალაქისა იერუსალჳმისა, რომელსა ზედა ჩუენ მიერცა შეეძინეს² [v] რაოდენნიმე კრებანი და საკმარნი გულს [გულ—თაჲ.]-მოდგინებისაებრ ღმრთის მოყუარეთაჲსა [ღმრთისა მოყვარეთაჲსა—თაჲ.], რომელნი აღასრულებთ კანონსა კეთილად მსახურნი მღვდელი და მოძღუარნი, ყოველივე საკმარი თითოეულისა ჟამისაჲ და რიცხვ საკითხავთაჲ მოგცეს შემდგომმან ამან თავად-თავად განკარგულმან [განკარგებულმან — თაჲ.], ვითარცა-ებრ განგვწესებდეს: მე-გ ზატიკსა, დღესა შაბათსა წმიდისა ნინოჲსი: იანვარსა [იანვრისა—თაჲ.] შ წმიდისა არჩილისი; იენის[ს]ა კვ რაყდენისი; ივლის[ს]ა ვ აბრბოს [ამბრბოს — თაჲ.] ეპისკოპოსისაჲ; აგვისტოსა ივ მებკამგესი [მებკამბესი — თაჲ.]; აგვისტოსა კ სარმეანისი; ოქტონბერსა იზ შუმანიკისი; ნოემბერსა დ იოვანე, სტეფანე და ესაია მართალთა საფლავისაჲ; დეკენბერსა კ ესტატი მცხეთელისაჲ.

¹ ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობა, პარიზი, 1933, გვ. 28.

² ექ. თაყაიშვილი ასე აღადგენს: შეეძინა. თან დასძენს: „აჲ აშია მოკრილა და ეს ორი ასო აკლია“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 26, სქოლიო). ფოტოკოპირიდანაც ჩანს, რომ ქვედა აშიაა წაპირილი და წაყოლით შეიძლებოდა ორი ასოც წაპყლოდა და, მთელი სტრიქონიც. ოღონდ აქ შინაარსობლივ სტრიქონი არ უნდა აკლდეს. ასოებნაკლები სიტყვა კი შეიძლებოდა ორგვარად აღდგენილიყო: შეეძინეს [იგინი მას] ან: შეეძინებინა [იგინი მას], მაგრამ არა ასე: შეეძინა [თაჲ.] ან: შეეძინა [მ. თარხნიშვილი, Le grand lectionnaire..., t I, p. 73].

საეკუნიოვან ტყბილო უფალო, ორსავე ცხორებასა უმეტესს (უმეტეს—თაყ.) ადიდე მამა სტეფანს და მეოხმეა არიან წინაშე შენსა ყოველნი, რომელნი შთაწერილ არიან წმიდასა ამას კანონსა შინა. ამენ. ცოდვილი მწერალი ამის წმიდისა წიგნისაა ლოცვასა მიმცხენეთ. ღმერთმან დაგაჯეროს. ამენ“.

ექ. თაყაიშვილის აზრით, გადამწერის ანდერძში ორჯერ მოხსენებული სტეფანე უნდა იყოს სტეფანე სანანოხს ძე ჰყონდიდელი, X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მოღვაწე (თაყ., გვ. 28), რომელზეც ეფრემ ნეირე წერს: „სანატრელსა სტეფანეს სანანოხსძესა უთარგმნია საკითხავი დაუჯღომელთა და ცხოვრება და თეოქტისტე ლეზველისა და სხვანიცა“ (A—90.312—313). კ. კეკელიძის აზრით, სტეფანეს დიდი დამსახურების გამოა, რომ რუის-ურბნისის ძეგლისწერაში ნათქვამია: „ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოხსძისა საეკუნიოვან არს კსენება და კურთხევა მათი“¹.

თუ დავეუშვებდით, რომ ხელნაწერის ანდერძებში დიდი პატივით და კრძალვით მოხსენიებული მამა სტეფანე იგივე სტეფანე სანანოხსძეა, მაშინ ხელნაწერი დათარიღდებოდა X საუკუნის ბოლო წლებით (სტეფანეს მოღვაწეობის ხანით), რადგან ხელნაწერის შექმნის უამს სტეფანე ცოცხალი ყოფილა: გადამწერს შეძლო დღეგრძელობითი დღეობა მხოლოდ ცოცხალი პიროვნებისთვის ესურვებინა („ქრისტე, შეიწყალე და ადიდე ნათელი ჩემი მამა სტეფანე დღეგრძელობით“).

ხელნაწერში ჩვეულებრივ აშიაზებ ეკრტიკალურად კლასიკილი ნიშანია ნახმარი იმ შემთხვევაში, როცა ახალი აღთქმის საკითხავებში ურევია ციტატები ძველი აღთქმის წიგნებიდან: (30r—v, 188r, 190v, 207v, 218r, 234r, 237r, 252v, 254v, 255r, 267r, 268r, 271r—v, 275r, 294v, 304v, 354v, 358r—v...).

გვიან, ალაგ-ალაგ საკითხავების ტექსტი დაყოფილია ახალი წესისებრ, თავებისა და მუხლების მაჩვენებლები აღნიშნულია ორგვარად: ასოებით (15r, 24v, 25r, 81r, 127v—128r, 201r, 203v...) და არაბული ნიშნებით. ციფრებით (8v, 15r, 56r—v, 80v, 104r, 110r, 124v, 134r—v, 143v—144v, 150v—151r, 154r—v...).

თანაც. მუხლებად დაყოფილი საკითხავების ტექსტში ნაკლები სიტყვები და წინადადებები აშიებზე ჩამატებულია წერილი ნუსხუბა და მხედრული სელით აკად. ელ. მეტრეველმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ყველა ასეთი ტექსტოლოგიური მუშაობა სულხან-საბა ორბელიანს ჩაუტარებია ძველი აღთქმის იმ წიგნთა საკითხავებზე, რომ-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1960, გვ. 179.

ლებითაც ის ცდილობდა ვახტანგ VI-ის სტამბაში დასაბეჭდად გამიზნული ბიბლიური კრებულის შევსებას. კერძოდ, საბასეული დაყოფა და მინაწერები აქვთ სოლომონის სიბრძნის, იგავთას და წინასწარმეტყველთა (ესაიას, მალაქიას, ამოსის, ოსეს, ნაუმის, იოველის) წიგნებს. მუშაობისას საბას ვოსკანის 1666 წ. სომხური ბიბლიაც გამოუყენებია. მისი მიზანი იყო დასახელებულ წიგნთა გამართული ტექსტები გადაეტანა „მცხეთის ბიბლიაში“ (A—51 ხელნაწერში) მთლიანი ქართული ბიბლიის გამოსაცემად მომზადების მიზნით¹. სამწუხაროდ, მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო ეს უდიდესი მნიშვნელობის ჩანაფიქრი არ განხორციელებულა.

ხელნაწერს ბევრი მინაწერი აქვს სხვადასხვა დროისა, რომელთაგან ხუსხური ხელით შესრულებულნი კარგად იკითხება. მხედრული ხელით შესრულებულნი კი ზოგჯერ ცუდად და შეტად მძიმედ გასარჩევია.

მინაწერთაგან ზოგი მნიშვნელოვანია, ზოგიც უმნიშვნელო. განსაკუთრებით საყურადღებოა ხელნაწერის მძიმე ხვედრის მათეწყებელი ცნობები, რომელთა მიხედვით ცნაურდება, რომ ხელნაწერს თანდათან განსძარცვია და შემოჰვანტვია ფურცლები, თორემ დაკლებულ ადგილთა შევსებაზე არავის უფიქრია. თუ ხელნაწერი დღეს 387 ფურცელს შეიცავს, მე-16 საუკუნეში მას ჰქონია 444 ფურცელი, როგორც ეს ჩანს ამ საუკუნის მხედრული მინაწერიდან: „ოთხას ორმოცდაოთხი ფურცელი არის და ვინცა და[ა]კლოს, ღმერთმან ჰკითხოს დღესა მას საშინელსა განკითხვისასა“ (341v, ქვედა აშია).

მაგრამ ცოტა ხანი გასულა და ხელნაწერს საგრძნობლად დაჰკლებია ფურცლები, რასაც გვაუწყებს მე-16 საუკუნის მხედრული ხელათ მინაწერი: „ოთხას თორმეტი ფურცელია“ (272v, ქვედა აშია).

მე-17 საუკუნის ნუსხური მინაწერის მიხედვით, ხელნაწერს კიდევ დაჰკლებია ფურცლები: „სამას ოთხმოცდათორმეტი ფურცელი [=ფურცელი] არი (!) და სამოცი (!) დაჰრილია. კრულმცა ორსავე ყოფასა თავად ამა ყოლსა [=ყოვლისა] დამჭრელი. და აწ თორავინ [=თუ რაჲ ვინ] დააკლოს ანო [=ანუ. ო გრაფემა უ-ს

¹ ელ. მეტრეველი, „მცხეთის ბიბლიის“ „იგავთა წიგნის“ წყაროების შესწავლისათვის. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VII, თბ., 1930, გვ. 103.

მნიშვნელობითაც იხმარება] ფურცლად დ[ა] ანო. დაჭრილ, იოდან
[=იუდა:] თანამცა ნაწილი მისი“ (370r).

მსგავსი ცნობა გამეორებულია მე-18 საუკუნის მხედრულ მინაწერში: „ს ა მ ა ს ო თ ხ მ ო ც დ ა თ ო რ მ ე ტ ი ფ უ რ ც ე ლ ი“¹
(386 r).

აღსანიშნავია აგრეთვე XIII საუკუნის ნუსხურით შესრულებული ექვსსტრიქონიანი მინაწერი 52 ფურცლის verso-ს I სვეტის ბოლოს:

- [1.] ლმერთო შემინდვენ ცოდვანი, ნუ
- [2.] წარმწყმედ ზენარ² შენს ღმრთ
- [3.] ობასა. ნათლის მცემელო მიშუ
- [4.] ელე სოლთა და კორცთა განყრ
- [5.] ასა[...]უ მოეშოები შენ ჩემთოის სა
- [6.] სამოთხის კართა დაყრასა.

ეს მინაწერი გამართვით რეამარცვლიანი ლექსი გამოდის:

„ღმერთო, შემინდვენ ცოდვანი,
ნუ წარწყმედ, შენს[ა] ღმრთობასა,
ნათლის-მცემელო, მიშეღე
სულთა და კორცთა გაყრასა,
[5]უ მოეშეები შენ ჩემთუს
სამოთხის კართა დაყრასა“.

ისტორიული ღირებულების ცნობებს არ შეიცავს, მაგრამ ენობრივად ერთგვარ ყურადღებას იმსახურებს ვილაც მართა მონაზვნის ვრცელი, 17 სტრიქონიანი მხედრული მინაწერი, როგორც არამწიგნობრულ დ. მე-17 საუკუნის სასაუბრო ქართულის ნიმუში (ამასთანავე მინაწერ ტექსტს ამეტობა ახასიათებს და სიტყვათა განკვეთის ნიშნად ოთხი წვრილი). 58v-ზე 12 სტრიქონია, 5—ქვედა აშიაზე, 4—მარცხენაზე, 3—ზედაზე; 59r-ზე კი 5 სტრიქონია: 2—ზედა აშიაზე, 3—მარჯვენაზე.

ჯერ სტრიქონ-სტრიქონ ზუსტად წარმოვადგენთ ტექსტს, ხოლო შემდეგ — გამართულს:

¹ ჩვენს ხელთ არსებულ ფოტოპირში ეს მინაწერი არა ჩანს, მაგრამ ჩანს ხელნაწერთა ინტიტუტისაში (Rt. VIII. 9), ოღონდ მასშიც „ფურცელი“ არ იკითხება (ფ-ს, რ-ს ზედა ნაწილი ჩანს); ექ. თაყაიშვილის აღწერილობაში კი არის (გვ. 25). ასევე ფოტოპირში სულ არ (97, 244r) ან ნაწილობრივ არის მოხედრული წარწერები სხვაგანაც (255r, 272r, 341v, 355v, 370r, 386r) აქედან ისიც ცხადი ხდება, რომ ხელნაწერის პალეოგრაფიული დახასიათება ფოტოპირის მიხედვით სრულყოფილი და ზუსტი არ შეიძლება იყოს.

² „ზენარ“ ტექსტში შემოხაზულია, როგორც ზედმეტი სიტყვა.

[58v] [1] იყო: ცოდვილი: მონა: მღათის: მონაზონ: მარათა: ოჯახსა: გოსტაშა/[2] ბიშვილისას: მონასტერას: პატროსანას: მღთებრისას: დაბედა: ამიერსოფელს/[3] ნახა: და გსონაჯ: სიცარუე: მისი: და შევიდა: სენაკთა: უღირასი: და საწყალო/[4] ბელა: წმინდას: პატიოსანას: ორშაბათას: მარახვისას: განმანათუნელსა/[5] სულათა: კორაცათა: ჩვენათა: აღდგომასა: მიბძანეს: მოძღვართა:/[6] მაკურთხეველთა: ჩმთა: გამამიყვანესა: კვირაცხოვლის: საწრამადი: ახლა: ჯრა:—/[7] მღათითა: მერმე: მისის: უბიწოს: მამობლის: იმედითა: ამიერის უკუთისამადი: ამა საქმეზე:/[8] დამატკიცოს: მღათისაგანა: რამაცა: აღამიშვილამა: ამა: საქმეზე: კელი: მამიმართოს:/[9] იმასაც: ყოველნი უდაოთა: მოქალაქენი: მოწამენი და მღაღელათა მოძღვარნი:/[10] წინას: წრმეტყველნი: მოციქულანი: და ყოველნი: წინ/[11] დანი: მღათისანი: ამა სოფელსა: დაღეგძელობითა: იმ სოფე/[12] სას: განსვენებითა: მოძღვარს: და სულიერსა: მამას: ნიკოლოზსა:/[59r] [13] და პატრონი: ჩვენი: ჩვენი: ბატონი: პაპუნა: შვილითა: და: შვილიშვილითა:/[14] დალოცე: ამ ყოელთა: წმინდათა მადლი: შიაწიე: ორსავე სოფელს. ამინ:/[15] უწყისა: უფალამანა: ერადგულანი: გიყავითა: თაქვენი: რასაცა: ჩვენი: სული:/[16] გებრალეზათ: უპატრონო: ღმერთი: დაგმადლებსათ: უშვილო: უძეო: შინადობსა: მიბძანე/[17] მიბძანებადეთა:

შინაარსი მინაწერისა ასეთია: იყო ცოდვილი მონა მღათის მონაზონი მართა ოჯახსა გოსტაშაბიშვილისას [გოსტაშაბიშვილისასა, თაყ.] მონასტერს პატიოსანს მღთებრისას. დაბე[რ]და ამიერ სოფელს: ნახა და გასინჯა სიცარუე მისი და შევიდა სენაკთა, უღირსი და საწყალობელი. წმინდას (წმიდას — თაყ.) პატიოსანს ორშაბათს მარახვისას განმანათლებელს სულთა, კორცთა ჩვენთა აღდგომასა მიბძანეს მოძღვართა მაკურთხეველთა ჩ[ე]მთა, გამამიყვანეს [გამამიყვანეს — თაყ.] კვირაცხოვლის სწ[ო]რამდი [საწრამადი (?)—თაყ.], ახლა ჯ[ე]რ [ვერ—თაყ.] მღათითა [მღათითა. — თაყ.], მერმე მისის უბიწოს მშობლის იმედითა, ამიერის უკუ[ნ]ისამდი. ამა საქმეზე[ე] დამა[მ]-ტკიცოს მღათისაგან, რამაც აღამიშვილმა ამა საქმეზე კელი მამიმართოს, იმასაც ყოველნი უდაოთა მოქალაქენი, მოწამენი და მღაღელთა მოძღვარნი, წინასწარმეტყველნი, მოციქულნი და ყოველნი წმიდანი მღ[თ]ისანი ამ სოფელს დაღეგძელობითა, იმ სოფელს განსვენებითა, მოძღვარს და სული[ე]რსა [სულიერ—თაყ.] მამას ნიკოლოზ და პატრონი ჩვენი ბატონი პაპუნა შვილითა და შვილიშვილითა დალოცე. ამ[ა] ყო[ვ]ელთა წმინდათა [წმიდათა—თაყ.] მადლი შიაწიე [შეა-

წიე — თაყ.] ორსავე სოფელს. ამინ. უწყის უფალმან, ერდგულნი ვი-
ცავით თქვენი. რასაც ჩვენი სული გებრალებათ; უპატრონო, ღმერთი
დაგვიადლებსთ, უშვილო, უძეო, შენდობას მიბ[რ]ძანებდეთ“.

ამ პატარა ტექსტში მე-17 საუკ. სასაუბრო ქართულისთვის დამახა-
სიათებელი რამდენიმე ფაქტია ფიქსირებული ქართლის (საბარათი-
ნოს) რეგიონიდან¹:

1) ზმნისწინთა დისიმილაციური ცვლა მო—მა, გამო—გამა, შე—ში:
კელი მამიმართოს; გამამიყვანეს; კელი მამიმარ-
თოს; მადლი შიაწიე².

2) ასიმილაციური ცვლა (გამეღერება) თანხმონისა (თგ—ღგ):
ერდგულნი³.

3) ბგერის დაკარგვა თანხმოვანთა ჯგუფიდან: კერძოდ, რ-სი:
მღრთ—მღთ: მღთის, მღთითა, მღთებისას, მღთისანი; ბრძ—ბძ: მიბ-
ძანეს: შენდობას მიბძანებდეთ. ვ ბგერა უნდა იყოს დაკარგული (და
არა ასო) ფორმაში „შვილიშოლთა“. ს არის დაკარგული მღის თანღე-
ბულისა, მღის—მღი: კვირაცხოვლს სწ[ო]რამღი: უეე[ნ]ისამღი.

4) საშუალო ქართლისებრ ჟ—ვ: ჩვენთა. თქვენი, ჩვენი, მოძღ-
ვართა, წინასწარმეტყველნი; ნ გაუიჯარებელია „წმიდა“ ფუძეში:
წმინდას. წმინდათა: გამარტივებულია (ბრუნვის ნიშნის მოკვეციტ) პრა-
პოზიციური მსახურელის ბრუნება: ამ სოფელს (—ამას სოფელს), ამ
სოფელს (—იმას სოფელს).

ერთ სამსტრიქონიან მხედრულ მინაწერში (მე-16 საუკ.) ხელნაწე-
რის თხოვებაზეა საუბარი: [1] ესე წგნ მოგეც მე ღმეტრე თქენ ივენს
ამა ორს კირასა. თ კიროლს / [2] არა წამოვდე ანდრიას წე და შენ
საქმე არა გამართოთ შერმე კარისა მომ[...]/ [3] ლი ვარ სმოშთა. ამის
მოწამე დავით არის. მე გადამწერად მყო (107r, ქვ. აშია).

შინაარსი ასეთი უნდა იყოს: „ესე წ[ი]გნ[ი] მოგეც მე, ღმეტრე,
თქ[უ]ენ, ივ[ან]ნ[ე]ს. ამა ორს კ[ი]რასა თ[უ] კეჩროლს [კეჭ-
როლს — თაყ.] არა წამოვ[ი]დე ანდრიას წინაშე და შენ[ი] საქმე არა
გა[ვ]მ[ა]რთოთ, შერმე კარისა მომ[ცემ]ელი ვარ ს[ა]მუშ[აო]თ [ის
მოშთა. — თაყ.]. ამის მოწამე დავით არის. მე გადამწერად მყო“.

აქედან ჩანს, რომ ხელნაწერის პატრონი ერთხანს ღმეტრე ყო-
ფილა, ხოლო შემდეგ ივანე გამხდარა. ეს ივანე წიგნის მფლობელად
მოიხსენება მე-17 საუკუნის ორსტრიქონიან მხედრულ მონაწერშიც:

¹ ამ მინაწერში მოხსენიებული პაუნა გოსტაშაბიშვილი იგივე პაუნა ბარათ-
შვილი უნდა იყოს, ამლიცის ეკლესიის მამნებელი: ექ. თაყაიშვილი, პა-
რიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერები..., პარიზი, 1933, გვ. 80.

² გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, თბ., 1974, გვ. 67, 164, 207...

³ იქვე, გვ. 182.

[1] „ესე წიგნი მო [...]ოდეს ბიძა უფალ[უფლა. — თაყ.] ინეს [=ივანეს] დაუწერვით, ყავდა (!) ქალი ელისაბედ; ასრე [არსე.— თაყ.] რ[ო]მე დღე და ღამე პირისგ[ა]ნ—[2] [.....] მ[ა]გრა [.....] ესე წიგნი მისი არის“ [126r, მარჯვ. აშია].

ეჭ. თაყაიშვილის სიტყვებით, „ერთი ოთხსტრიქონიანი² მხედრული აბღაუბდა მინაწერი მე-14—15 საუკ. მხედრულით ორ პირობის წერილს წარმოადგენს ორ მეზობელთ (!) სოფელთა შორის, თუ რაჲმე გაიგონონ (ცუდო) ერთმანეთზე და არ გაამზილონ, პატრონისთვის ასი თეთრი ზღონ. სოფლებს სახელები (საბარათაშვილოს სოფლებია) სხვადასხვა სახით სწერია“ (თაყ., გვ. 29). ეს მინაწერი 355v-ს ქვედა აშიაზეა და ცუდად იკითხება, ჩანს, მისი ამოკითხვა ხელნაწერში ეჭ. თაყაიშვილსაც გასძნელებია.

[1.] წ. ესე წიგნი: შოგავსენო: თქ[უე]ნა: ხანკ[ე]ლით ბაგეთი: ჩ[უე]ნ: ლელოელით: ვზ[ა]ნდ[ა]რმა [ხზანდარმა — თაყ.] და ჩემთ.

[2.] (მე)ზობელთ: რ[ა]ც თქ[უე]ნ გაგეგონოს შიშით ღმრთისა [.....].

[3.] [.....] ასი თეთრი ვზლოთ. წ. ესე: წიგნი: მოვავსენე: თქ[უე]ნ ხ[ო]რ[ა]კელით.

[4.] [.....] არქულმან: და ჩემთ[ა]: მეზობ[ე]ლთ[ა]: რაც: ვაგეგონოს.

[5.] [.....] ასი თეთრი ვზლოთ.

113v-ზე ძველი (მე-12—13 საუკ.) მხედრული მინაწერი იუწყება: „კაცი ოჩინო [=უჩინო] იქნების [იქნები. — თაყ.] და ნა[წე]რი საჩინ არს“.

67r-ზე (მე-13—14 საუკ.) მხედრული მინაწერში შენდობას ითხოვს სხვადასხვა პირი (ოთხი სტრიქონი ქვედა არშიაზეა, ერთი კი მარჯვენაზე):

[1.] ქადაგ: მამასა: შეუნდვენეს: ღმერთმან:.

[2.] და ნავროზას: შე ღმე: ცხადასა შე ღმ:.

[3.] კახასა შე ღმე; არსნალის შე ღმერთმან: ამნ ამნ.

[4.] [.....] (არ იკითხება).

[5.] ვნცა წაიკითხთ. შეგნდვენეს. ღმერთნ:.

მინაწერის შინაარსი ასეთია: „ქადაგ მამასა შეუნდვენეს ღმერთმან. /და ნავროზას შე[უნდვენეს] ღმე[რთმან], ცხადას შე[უნდვენეს] ღმ[ერთმან], /კახას შე[უნდვენეს] ღმე[რთმან], არს[ე]ნ ალის (?) შე-

¹ „ესე წიგნი მო“-ს თაყაიშვილი კითხულობს. ფოტოზე არა ჩანს.

² უნდა იყოს: ხუთსტრიქონიანი.

[უნდენეა] ლმე[რ]თმან. ამ[ი]ნ, ამ[ი]ნ. /ვინცა წაიკითხ[ო]თ, შეგ-
[ი]ნდენეს ლმერთ[მა]ნ.

ამ ტიპის საშსტრიქონიანი მხედრული მინაწერი (მე-17 საუკუნის ხელით) მოიპოვება 106 v-ზე (ქვედა აშიაზე), რომელიც ცუდად იკითხება:

[1.] შომ[ი]ტ[ე]ვენ სახეარა [=სახიერო?] აურაცხელნი ც[ო]დ-
ვანი].

[2.] რამ[ე]თ[უ] შ[ე]ნ მხოლო ხრა [=ხარ]. წმ[ი]დ[ა]ო,
შ[ე]ნ მს[ო]ლო.

[3.] [.....] თამარის სადიდებ[ე]ლ (ქვედა აშიაზე),

83 v-ზე მე-13 საუკუნის მხედრული მინაწერია (ქვედა აშიაზე):
„წ ბოცეთა გიოგისა: შეონდენ ლთმან“, ე. ი. სწერია: ხუცეთა
გიო[რ]გისა შეუნდენ[ეს] ლმერთმან“.

171 r-ზე, ქვედა აშიაზე, მოიპოვება მინაწერი — მხედრული ანბანის
ნაწილი აიიდან მ-ს (იოტას) ჩათვლით; ზოგი ასოს მოხაზულობა ძა-
ლიან ძველ ნუსხურთან მიახლოებული იერისაა, კერძოდ: ვ, შ, კ და
ლ-სი

255r-ს ქვედა აშიაზე გვიანდელი მხედრული ხელით ოთხსტრიქო-
ნიანი მინაწერია, რომელიც თითქოს უნდა წარმოადგენდეს ბიბლიურ
პასაჟს. ცუდად იკითხება. სავარაუდოდ შესაძლებელია რამდენიმე სი-
ტყვის წაიკითხვა: [1] წ. ნავსა რ[ომელმა]ნ ცით(?) გამო მთასა [.....]
ვ[ა]ნსა ეუბნა სიტყ[უ]ა ლ[მერ]თსა. [2.] უხილავი (?) ელიასა მთი
(!) სხუ (!) გქმნთქ (?) წ[ინა]წ[არმეტყუე]ლი ნავი, სულისა [3.] წმი-
დისა. ხოლო ელია მახარობლისა გაბრიელს რ[ამეთუ] იხილვე(?). [4.]
(მეოთხე სტრიქონის ასოთა ზედა ხაწილები მოჩანს მხოლოდ).

უმნიშვნელო მხედრული მინაწერები სხვაგანაც მოიპოვება: 57r;
69v, 76v, 81r (დ ს[ა]კითხავი ამოს წინასწარმეტყუელისაჲსა. ამას
ეტ...), 97v (რომელღაც ასოთა ზედა ნაწილი მოჩანს. თაყაიშვილით, აქ
უნდა იხსენიებოდეს გიორგი ირემისძე და იკითხებოდეს კიდევ „ქრის-
ტე, გაუმარჯვე გურულისა“, — თაყ. აღწ., გვ. 29), 143v; 188r, 238r,
244r (ზოგი ასოს ზედა კიდურები მოჩანს. თაყაიშვილით, აქ უნდა იხ-
სენებოდნენ „კახა და იოვანე“, — თაყ., აღწ., გვ. 29), 338r....

პარიზული ხელნაწერი კარგა ხანია ცნობილია სამეცნიერო წრისა-
თვის. მასზე ცნობები მოეპოვებათ ალ. ხახანაშვილს¹; ფრედერიკ მაკ-

¹ ალ. ხახანაშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელ-
ნაწერები: ეურნ. „მოამბე“, № 1, 1898, გვ. 1.

ლერს¹, ჰ. გუსენს², ექ. თაყაიშვილს³, მ. თარხნიშვილს⁴, ჰ. ლეებს⁵; ხოლო ლექციონარის და იადგარის ხელნაწერებთან პარიზული ნუსხას შინაარსობლივი და სტრუქტურული მიმართების საკითხები ვრცლად და საფუძვლიანადაა განხილული 1980 წ. გამოცემულ დიდად ფასიულ მონოგრაფიულ გამოკვლევაში⁶.

* *

დასასრულ, უნდა შევეხოთ პარიზულ ლექციონარში შესულ ერთადერთ ეპისტოლეს კირილე იერუსალიმელი ეპისკოპოსისას (315—380). კირილე იერუსალიმელის სახელით სხვა შრომებიცაა თარგმნილი და შესული ქართულ მრავალთავეებში, კერძოდ, სასწავლომომკმედ ჯვართან დაკავშირებული სიტყვები (საკითხავები): 1. გამოჩინება, ჯუარისაჲ, რომელი გამოუჩინდა კოსტანტინე მეფესა მდინარესა ზედა ღანუბსა...; 2. პოვნაჲ პათიოსნისა ჯუარისაჲ; 3. პოვნაჲ წმინდათა სამშუქალთაჲ; 4. საკითხავი ჯუარისათსვე.

მაგრამ დღეს გარკვეულია⁷, რომ ეს საკითხავები კირილესი არ არის. პირველი სამი თხზულების ქართული და ბერძნული რედაქციების წყაროა სირიული ლეგენდა, ხოლო მეოთხე ეკუთვნის ალექსანდრე კვიპრელ მონაზონს (VI სკ.), კერძოდ, „საკითხავი ჯუარისათსვე“ არის ნაწილი ალექსანდრე კვიპრელის თხზულებისა *Ἀρχαὶ ἐν τῷ βίβρασι* *τῶν ἁγίων* *ἐν τῷ βίβρασι* *τῶν ἁγίων* *ἐν τῷ βίβρασι* („საკითხავი პოვნისათეს პატრი-

¹ Fr Macler, *Catalogue des manuscrits arméniens et géorgiens de Paris*, Paris, 1904.

² H. Goussen, *Über georgische Drucke und Handschriften. Die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalem betreffend*. B. Kühlen. München-Gladbach, 1923, II. 42. ამ შრომის რეცენზია კ. კეკელიძისა იხ. „მომოხილველი“, ტ. 1, ტფ. 1962, გვ. 268—269.

³ ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933, გვ. 24—30.

⁴ *Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem (V—VIII siècles)*, t. I, édité par M. Tarchnischvili, Louvain, 1959 (CSCO), vol. 188, pp. VI—VII.

⁵ H. Leeb, *Die Gesänge in Gemeindegottesdienst von Jerusalem (vom 5. bis 6. Jahrhundert)*, Wien, 1970, s. 22.

⁶ უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა; ც. ჰანკიევიმა და ლ. ხევსურიაძემ, თბ., 1980, გვ. 662—684 და შემდგომ.

⁷ თ. მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე საკითხავის წყაროს დადგენისათვის: სმა „მაცნე“ (ენისა და ლტ. სერია), № 3, 1971, გვ. 74.

⁸ *Migne, Patrologiae graecae*, t. 87, col. 4016—4076.

ონსნა და ცხოველის-მყოფელისა ჟუარისა“...), რომლის თარგმანი დაუცავს იოვანე-ზოსიმეს 986 წლის ავტოგრაფიულ ნუსხას (ამჟამად ინახება ამერიკაში, პრისტონის უნივერსიტეტში) და Q—762-ს (ნე-13 საუკ.). თავის მხრივ ალექსანდრე კვიპრელის თხზულება აშკარად განიცდის კირილე იერუსალიმელის საკითხავების გავლენას, კერძოდ, მესამე ნაწილი, ბიპიანის ცნობით, წარმოადგენს კირილე იერუსალიმელის ეპისტოლის მიბაძვას¹. მაგრამ თ. მგალობლიშვილის დაკვირვებით. ეს ნაწილი კირილე იერუსალიმელის ეპისტოლის მხოლოდ მიბაძვას კი არ წარმოადგენს, არამედ სრულიად გადაუმუშავებლად ჩართულია ნაწყვეტი ეპისტოლის ტექსტისა².

ლექციონარის სტრუქტურის მიხედვით თითქოს არ იყო მოსალოდნელი, რომ მასში შესულყო კირილეს ეპისტოლე, რადგან ლექციონარი, როგორც იერუსალიმური მღვდელთმსახურების სახელმძღვანელო წიგნი, შეიცავდა კალენდარულ ნაწილსა (პოეტური ტროპარებიტურთ) და ბიბლიურ საკითხავებს. მაგრამ მაინც თუ არის ერთადერთი გამოჩაყლისი დაშვებული და ეს ეპისტოლე შეტანილია პარიზულ (ასევე ლატალის) ლექციონარში, ეს ალბათ იმიტომ, რომ ლექციონარით, 7 მაისი არის ჯვრის გამოჩინების დღესასწაული: „თთუესა მაისსა ზ, წმიდასა გოლგოთას გამოჩინებაჲ ზეცით პატროსნისა ჟუარისაჲ“ (243v). ჩანს, სასწაულმოქმედი ჯვრის დღესასწაულის დღეს საჭიროდ ჩაუთვლიათ, რომ პირველ საკითხავად სწორედ ჯვართან თემატურად უშუალოდ დაკავშირებული კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე შეეტანათ (მასში ჯვრის გამოჩინებასა და სასწაულებზეა საუბარი), ხოლო მომდევნო საკითხავებად კი — ნაწყვეტები ახალი აღთქმის წიგნებიდან: პრაქსის [=საქმე მოციქულთა-ს], პავლეს ეპისტოლისა და მათეს სახარებიდან.

მ. თარხნიშვილმა ეს ეპისტოლე ქართული ლექციონარების კალენდარული ნაწილის სრული გამოცემის დამატებად (Appendix II) დაბეჭდა (ლატალის ხელნაწერის იკითხვისეპიტურთ)³.

ორთოგრაფია-პუნქტუაციისა და ზოგი ადგილის უკეთ გამართვის მიზნით ვაქვეყნებთ ამ ეპისტოლის ტექსტს, რომელიც დადგენილია სათანადო ბერძნული წყაროს მინისეული გამოცემის კვლობაზე⁴.

¹ E. Bihain, Saint Cyrille de Jérusalem, Le Muséon, LXXVI, 3—4, 1963, გვ. 321.

² თ. მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე საკითხავის წყაროს დადგენისათვის..., გვ. 61.

³ Le grand lectionnaire..., t. II, Louvain, 1960, pp. 144—150.

⁴ Migne, Patrologiae graecae..., t. 33, pp. 1165—1176.

ბერძნული დედნისებრ ეპისტოლის ტექსტი რვა მონაკვეთად დაყვავით, ოღონდ თვით მონაკვეთების შიგნით წინადადებათა დანომრვა საჭიროდ არ ჩაგვივლია. ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროზე დამოკიდებულების მაუწყებელია არა მარტო შინაარსობლივი თანხვედნილობა; არამედ ზოგიერთი ზმნისწინიანი¹ და რთულფუძიანი სიტყვების სტრუქტურული მსგავსება (ქართულ თარგმანში კალკური წარმოების ფორმები): გარე-წარსულსა (παρὰρραμας) ყოვლად ღმრთის მსახურება (τὸ παρυσσεψέξ), საკრველთმოქმედსა (μασμασποισόν), მხოლოდ-შობილსა (μαιοყენή), წინაფარ კმითა (πριοყαფαყჴმ' ντავ) და სხვ.

[213V] ეპისტოლე, მიწერილი კკრილე¹ ეპისკოპოსისა
იერუსალმელისა²

მეფესა ღმრთის მოყუარესა და ღმრთის მსახურსა კონსტანტინეს³ უძღვევლსა კკრილე ეპისკოპოსი იერუსალმელი⁴ გიკითხავ უფლისა მიერ, გიხაროდენ⁵.

1. პირველად ამას იერუსალმით⁶ შენ, ღმრთის მოყუარესა მეფესა, მიგიძღუ[ა]ნებ წიგნთა თავსა შინა, შენდა ჯერ-არს შეწყნარება და ჩემდა მიძღუნება. არა სიტყვთა ლიქნისაათა სავსე არს, არამედ ზეცით უწყებითა და ღმრთისა მიერ გამობრწყინებითა; არა^{6a} თუ შეკრებითა სიტყუათაათა და მეცნიერთაგან დაწერილთა, არამედ წმიდათა სახარებათაგან წინაფარ თქუმულთა და საქმეთაგან სრულსა წამებითა ქეშმარიტებისაათა.

2. სხუათა რომელთამე აქუს შენგან პატივი და მრავალ-გზის გვრგვნი ქმნიან თავით თვისით ოქროთა შეუენიერთა და ანთრაკითა ბრწყინვალითა მრავალ-ფერთა და შენ მიგიბყრიან. ხოლო ჩუენ არა ქუეყანისა გვრგვნსა გითქუამთ შენ, რამეთუ ქუეყანისა ნიქსა აღსასრული აქუს, ხოლო ზეცისა ნიქსა წარუვალი აქუს შეწევნა შენისა მაგის ღმრთის მსახურებისა მეფობისა ჟამთა, რომელი იერუსალმს გამოჩნდა შენსა მაგას ღმრთის მოყუარებასა. მწრათლ მოვედით უწყებად. არაათუ რამე აწ უმეცრებისათვის შემოხუედი ღმრთის მსახურებად, რამეთუ შემძლებელ ხარ სხუათაცა სწავლად, რომელსა [244]

¹ ქ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ქართული წერილობითი ძეგლებს ენაში. ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში: სმა „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), № 2, 1981, გვ. 139—155.

¹ კკრილს; ² იმშ-ლისა; ³ კონსტანტინეს; ⁴ იმშ-ლი; ⁵ გზ-დნ; ⁶ იმშ-ით. 6^a არაა.

მსახურებ, არამედ რომელ-ესე იცოდე აწ, რაათა უმეტეს დაემტკიცოს მეუფებაჲ, მამული შეიწყნარო და დაიბკდრო ზეცით ღმრთისა მიერ მონიკებული შენდა; ღმერთსა, ყოვლად მეუფესა, აწცა სათნო:ც ბიეც მადლი და უფროას-ლა მტერთათვს განძრიელდი უშიშად; საქვშ შენისა მეუფებისაჲ არს სიყუარული ღმრთისაჲ, რომელსა-ესე შენ ზ: ჩქს საკვრველსა, გულსხმა-ყავ.

3. რამეთუ ღმრთის მოყუარისა და სანატრელისა კოსტანტი მამისა შენისა ზე ცხოველი ჭუარი იპოა იერუსალმს; მადლითა ღმრთი:ადითა და გულს-მოდგინედ ძიებითა ღმრთის მსახურებისაჲთა დაფარული წმიდათა ადგილთა მოკმადლა პოვნად. ხოლო შენ ზე, უფალო და ყოვლად ღმრთის მსახურო მეფე⁷, უფროას მამისა შენისა ღმრთის მსახურისა ღმრთის მსახურებითა შენითა უფროასლა აწ არათუ ქუე-ყანით, არამედ ზეცით საკვრველებანი უფლისა და მაცხოვრისა ჩუანი-სა იესუ ქრისტესნი, მხოლოდ-შობილისა ძისა ღმრთისანი, რომელმან აიკუდილი დათრგუნა, წმინდისათვს ჭუარისა გაუწყებ: ნათლად მარმა-რილოასა სახედ გამოჩნდა.

4. რამეთუ წმიდათა დღეთა ერგასი — მარტული[ი]სათა, თათუესა მაისსა, დღესა მეშვდესა, მესამესა წაშსა დღისასა ყოვლად დიდად მუენიერი ჭუარი ნათლ[ი]თა შემკული ცათა შ[ი]ნა ზედა წმიდასა გოლგოთასა ვიდრე წმიდად მთადმდე ზეთის-ხილთა გარდართხმული ჩნდა. არა ხოლო თუ ერთსა, გინა ორსა ეჩუენა, არამედ სიმრავლესა ქალაქისასა ცხადად ეჩუენა. და არცაღა ესრეთ თუ ვინმე ჰგონებდეს მწრაფლ უცნებით გარე-წარსრულსა, არამედ მყოვარ-ყამ თუალით ხი-ლული [v] განცდით, რამეთუ ბრწყინვალეზამან მისმან ნათელი მხი-საჲ დაფარა, რომელი- იგი მის ქუეშე⁸ ნათელი ძლევიტ დაფარულ იყო, რამეთუ უძრიელმს მზისა იყო, რომელნი-იგი ხედვიდეს გარე-პო ბრწყინვალეზასა, და ყოველნი შეძრწუნებულნი მისგან ეკლესიად მირბიოდეს, ყოველი სიმრავლმ ქალაქისაჲ. მაშინ ღმრთიე ჩუენება-მან შიშითა და სიხარულითა შეიპყრნა ყოველნი ერთბამად, კაბუკნი და მოხუცებულნი⁹, მამანი და დედანი; ერთბამად ყოველნი ასაკნი სახლეულით მათით ხედვიდეს გუგაითა თუალისა მათისაჲთა; მკვდრ-ნი და უცხონი და სხვთ მოსრულნი წარშართნი — ერთბამად ყოველნი ერთითა პირითა ქრისტე იესუს, უფალსა ჩუენსა, ძესა ღმრთისასა, მხოლოდ-შობილსა და საკვრველთ-მოქმედსა აქებდეს, საქმითა და გან-ცდით შეწყნარებულსა. ქრისტეანეთა სარწმუნოებაჲ ყოვლად ღმრთის მსახურება არს, არა თუ სმენითა სიბრძნისაჲთა არს სიტყუაჲ, არამედ

7 მეფე;

8 ქუეშე;

9 შეიპყრნა კაბუკნი ყოველნი ერთბამად მოხუცებულნი.

ჩუეულობითა (!) სარწმუნოებისაჲთა და ძალითა*, არა თუ კაცთაგან სკოლა თბრობილი, არამედ ზეცით ღმრთისა მიერ წამებული**.

5. და აწ ჩუენ, მკვდრთა იერუსალჴმისათა, საკვრველი მიუწოდმელი გზილეთ თუალითა ჩუენითა და ღმრთისა მხოლოჲსა და ძისა მხოლოდ-მობილისა მისისა სულით წმიდითურთ შუენიერი მადლობაჲთაჲთა-ცემისა მისისაჲ შეეწირეთ, და შეეწიროთ ლოცვაჲ განმარტებულნი შუნისა მაგის ძრიელეებისაჲ და კელმწიფებისათჳს წმიდათა ამათ ადგილთა ცყავთ და ცყოთ. წეს არს ზეცით გამოჩინებულსა ამას არა გარე-წარსლვაჲ დუმლით, არამედ ხარებად ღმრთისა მოცემულსა მაგას [245] შუნსა შეფობასა. ამისთჳს ვიწრაფე მიწერად შუნდა, რაჲთა კეთილსა მას საფუძველსა, რამეთუ შუნ თანა იყოს პირველვე სარწმუნოებაჲ, რომელი მწრაფლ გეუწყა ღმრთისა მიერ, ცნობითა აღაშმწნო; დამტკიცებულად უფლისა მიერ იესუ ქრისტჳსა მოიღო სწაოებაჲ უშიშად, ყოვლითა სიმკნითა ჩუეულად აღიგოს, რამეთუ იგი თავადი ღმერთი გაქუს სიმკნედ და ჯუართა ძლევაჲ განმზადებულად წინაშე თუალთა შუნთა გაქუნდინ სიქადულად მოქადულად, რომელნიცა გეჩუენა შუნ ზეცით მომავალი სასწაული, რომლისაცა ხატი ანუ ცამან უფროჲსლა იქადაგა.

6. რამეთუ საკვრველებაჲ ესე, მეფჴ ღმრთის მოყუარე, წინაჲსწარმეტყუელთა წამებანი და ქრისტჳს კმანი და წმიდათა სახარებათა წერილინი შემდგომად აღესრულა აწ და მერმეცა აღესრუ(ლოს). რამეთუ მათჴს თავსა სახარებასა — რაჲამს უნდა საქმეთა გამოცხადებაჲ მაცხოარსა (!) სანატრელთა მისთა მოციქულთა მომადლებად და მათ თანა სიტყუად, ბრწყინვალედ წინაჲსწარ უწყოდა და თქუა: მაშინ გამობრწყინდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა*** აწ მოიხუენ სახარებანი. ღმრთისა მიერ წიგნნი, მსგავსად ჩუეულებისა, მიიღე წიგნი კელითა შუნითა, ამისთჳს განწესებული წინაჲსწარ თქუმული წამებით წერილი ჰპოო უფროჲსლა შუნ, უფალო, წუს-წუთ წურთისათჳს გლოცავ, სხუათა ვლოცავ¹⁰ მანდა წერილთა ყოველთა შემდგომთა, მაცხოვრისა ჩუენისა წინაჲსწარ-კმითა, მრავლითა მოძღურებისაჲთა და ვედრებითა ზმნისათჳს ნუმცა რაჲ ერთიცა მტერისაგან მოიწვევის ვენებაჲ.

7. [v] ამას შუნდა მიმართ ჩუენსა სიტყუასა, მეფე ღმრთის მოყუარე¹¹, შესწირავ*** შუნდა კმასა, შუნ, წესიერო და ყოვლად ღმრთის

10 გლოცავ. 11 მეფჴ ღმრთის მოყუარჴ.

* კორ. 2,4; ** ებრ. 5,4. *** მთ. 24,30. **** ქართულ თარგმანში თითქო აკლია ბერძნული წყაროს შემდეგი სიტყვების ფარლი: *μαροχδς ταιτας* *εξ Ἱεροσολιμα πωτας μαρμαβήγρουαι*

მსახურო, ჩუენ თანა ქრისტეს თაყუანის-მცემლო მხოლოდ-შობილსა ძისა ღმრთისა მაცხოვრისა ჩუენისაო, რომელმან ყოველი სოფელი, მსგავსად ღმრთისა წერილთა, აღავსო ცხორებითა, რომელმან დათრგუნა აქა სიკუდილი და თვისითა სისხლითა კაცთა ცოდვანი აჯოცნა, ცხორებამ და უხრწნელებამ და სულიერი ზეცისა მაღლი მორწმუნეთა ყოველთა მიძნაღლა; რომელნი მაღლითა და ძალითა დამარხულ არიან უბრწყინვალესად ღმრთის მსახურებასა, განაშუენებ განგებულებითა, ვითარცა შვილნი წესიერნი მეფისაგან აღმობრწყინებულნი ყუავილოსნად, მან თაუადმან ნეუფემან ღმერთმან და ყოვლისა კეთი(ლისა) მომ-(ცე)მელმან მრავალთა უამთა შშვდობისა და განგებისა სიქადულად ქრისტიანეთა სოფელი ყოვლითურთ ყოვლად ერთბამად დაიცივენი!

8. მზარელებამ შენდა, ყოვლად შემკული სათნობითა და ჩუეულებამ ეკლესიითა წმიდათამ, ჰრომთა მთავრობამ, კაცთმოყუარებამ ჩუენებამ და უფროამ ღმრთის მსახურებისა ჩუენისა განგებულებამ ჩუენ ყოველთა ღმერთმან მოგუმადლოს ერთბამად, უძლეველო მეფეო და ყოვლად ღმრთის შოყუარეო, რომელსა მუენის პატივი და დიდებამ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის და უკუენითი უკუენისანდუ, ამენ.

III. ტექსტისათვის

პარიზულ ხელნაწერში სხვადასხვა ტიპის მცდარი იკითხვისები გამოვლინდა. აშკარაა, რომ შერყენილი ფორმები საერთოდ მეტია ძველი აღთქმისა და ლექციონარის შემკველ ხელნაწერებში. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ სახის ტექსტებს ნაკლებად ეტყობა მაკოდიფიცირებელი მუშაობის კვალი, რის გამოც მათში ჭარბადაა ნონსესები, საკუთარ სახელთა შერყენილი ფორმები, არაუნიფიცირებელი ბიბლიური ტერმინოლოგია. ხოლო ახალი აღთქმის წიგნთა ქართული თარგმანი, როგორც საეკლესიო პრაქტიკაში უფრო სახმარი წიგნი, საუკუნეების განმავლობაში არაერთგზის უსწორებიათ ბერძნული წყაროს კვალობაზე და ამიტომაც მათში შეცდომები შედარებით მცირეა.

გადაწერის პროცესში ყველაზე ხშირად საკუთარი სახელები მახინჯდებოდა, რადგან საზოგადო შინაარსის უქონლობის გამო გადამწერთ უჭირდათ მათი გაცნობიერება, უჭირდათ იმიტომაც, რომ შორეული ჰურიასტანის ტოპონიმები და ანთროპონიმები მათთვის სრულებით უცხო სამყაროს წარმოადგენდა. ტექსტოლოგიაში უცნობი როდია მცდარი ფორმების გაჩენის მიზეზები. მაგრამ პარიზულ ხელნაწერში¹

¹ ცუდი არ იქნებოდა, P-ს მცდარი ადგილების გასწორებისას გვეჩვენებინა L, Ka, S ნუსხათა საერთო საკითხავების სათანადო იკითხვისები. მაგრამ, რადგან

საკუთარი სახელები ზოგჯერ ისეა შერყვნილი, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება შეცდომის მიზეზის დადგენა. მაგალითად, ცნობილი ბიბლიური პერსონაჟის — ნოვეს ერთერთი ძის — ქამის — შვილებად დასახელებული არიან: იქუს და იმჰს, ტრემფოს და ნანტი (დაბ. 10,6). თუ რეალურად რა ფორმებია აქ საგულვებელი, ამას მიახლოებით მაინც გადმოსცემს ქართული ბიბლიის მცხეთური ხელნაწერი (A 51): ხუს და მესრაიმ, ფუდ და ქანან. პარიზულ ხელნაწერში ისეა შერყვნილი სახელები, რომ ვერავინ ამოიცნობს მათში რეალურად საგულვებელ ფორმებს, რადგან არც ერთ უცხოენოვან ტექსტში არაა მათი ბგერობრივად ოდნავ მსგავსი რამ. ებრაულშია: *Khus mišrain, fuḏ. Khana'an*, სირიულში: *Khus, mešrim, futh, Khanān*, ბერძნულში: *Χοῦζ. Μεσραϊμ, Φοῦθ, Χανανάν*, სომხურში: *քուჯ, միսրայիմ, փուդ, քանան*. მაშასადამე, პარიზული ხელნაწერის ზემოდსახელებულ ფორმებს უცხოენოვანი წყაროები არ განსაზღვრავენ, შეცდომები გადაწერის პროცესშია დაშვებული სხვადასხვა დროის გადამწერთა მიერ ასოთა კლება-მატებითა და ერთი სიტყვის ნაწილის მეორე სიტყვასთან მექანიკურად შეერთების გზით:

1. იქუს ფორმას ი დაჰმატებია წინა სიტყვის ბოლოციდური ი-ს გამეორებით. ხოლო უინო ქუს ზუსტად გადმოსცემს ბერძნულ *Χοῦζ-ს* (მცხეთური ხელნაწერის ხუს-იც ბერძნული წყაროს გვიანდელ გამოთქმას ემყარება $X \rightarrow \chi \rightarrow \kappa$), მაგრამ თავიდან აქაც აღმოსავლური ტექსტობრივი ტრადიციის ქუშ უნდა ყოფილიყო, როგორც ესაა მომდევნო მე-7, მე-8 მუხლებში.

2. იმჰს-ს ი დაჰმატებია I სახელის ანალოგიით და მოჰკლებია ტრემ მარცვალი (*მჰსტრემ* \rightarrow *ი+მჰს*), რადგან ეს ტრემ მომდევნო სახელისთვის მიუკუთვნებიათ (*ფოს* \rightarrow *ტრემ+ფოს*), ე. ი. თავიდან უნდა ყოფილიყო *მესტრემ* ($=$ *მესტრემ*), რომელიც ემთხვევა სომხურ *միսրայիմ-ს*, შდრ. *მესტრემ* შვა ნოდელნი (დაბ. 10,13). ქართულსა და სომხურ ფორმებში ზედმეტი ჩანს ტ. თუ ეს მექანიკურად მიმატებული არაა, შეიძლება ის გადმოსცემდეს სიმკვეთრეს სირიული ემფატიკური თანხმოვნისა, ე. წ.: ხნდე-ს (*ჟ-ს*), რომლის ებრაული ფარდია ე. წ. ცნდე (*ც ბგერა*)..

3. ტრემფოს ფორმაში, როგორც აღვნიშნეთ, ტრემ მარცვალი წინა სიტყვიდანაა აღებული, ხოლო ფოს სახეცვლილი ფუდ უნდა იყოს:

ტექსტი წარმოდგენილია მხოლოდ P-სი, სხვა ხელნაწერთა იკითხვისების მოკვანას გამოკელებვაში მოვერიდეთ, რათა მათ შორის არ დარღვეულიყო, ასე ვთქვათ, მასალობრივი წონასწორობა.

უ-ს ო გრაფემით შეცვლა გასაგებია, მაგრამ დ-ს ადგილზე ს-ს არსებობა იგაუგებარია.

4. ნანტი. შეუძლებელია ამ ფორმაში ქანაან ამოვიკითხოთ. ალბათ, ნუსხა, საიდანაც გადაწერა ხდებოდა, ამ ადგილზე დაზიანებული ან გადალექული იყო, ქა მარცვლი არ ჩანდა: ქანაან—ნაან—ნან შემდგომ ამ ნან ნაწილს უცნობი მიზეზით ტი დაჰმატებია (ნან—ნან+ტი).

როგორც დასახელებული შემთხვევიდან ჩანს, ძალზე რთულია მეტად შერყვნილი ფორმების გასწორება, რადგან მეთოდოლოგიურად ძნელი გასაძიარტლებელი იქნება, თარგმანის გენეზისის დაუდგენლად რომელიმე უცხოენოვანი წყაროს კვალობაზე ვასწოროთ საკუთარი სახელის შერყვნილი ფორმა. მაგრამ ასევე ძნელია ტექსტოლოგ-ფილოლოგი შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ ასეთ წარმოდგენლად გაუგებრობაზე შერყვნილი ფორმები ხელუბლებლად დატოვოს გამოცემულ ტექსტში. მიუხედავად სურვილისა, საწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით მტკიცე პოზიციის დაჭერა საკუთარ სახელთა შერყვნილი ფორმების მიმართ, თუმცა ვიცოდით, შეცდომათა ტიპებიდან პრინციპულად რომელი უნდა გასწორებულიყო და რომელი არა¹.

ქვემოთ წარმოვადგენთ შენიშვნებს იმ ადგილებზე, რომლებიც საჭიროებდნენ გასწორებას ან განმარტებას. იქნებ სჯობდა, რომ ტექსტში შეტანილი შესწორება-ცვლილებანი დაგვეჭგუფებინა თემატურად, ვთქვათ. იმის მიხედვით, თუ რა უბანს ეხებოდა. საკუთარ სახელებს, საზოგადო ლექსიკურ ერთეულებს, გრამატიკულ ფორმებს თუ კლება-მატებას. მაგრამ თუ მაინც საბოლოოდ გაერთიანებულად წარმოვადგენთ ყველა სახის შენიშვნას ბიბლიურ წიგნთა საკითხავების თანმიმდევრობის კვალობაზე, ეს იმიტომ, რომ გაადვილდეს ტექსტის საექვო ადგილებზე სათანადო ცნობათა მონახვა. დავსძენთ, რომ ხელნაწერში შემთხვევით გამოტოვებულ სიტყვას თუ სიტყვებს აღვადგენთ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში და თანაც მაშინ, თუ უცხოენოვან წყაროთა ჩვენებანიც უჭერენ მხარს. ამასთანავე ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ლექციონარებში ბიბლიური საკითხავების შეტანა გარკვეულ პრინციპებს ემყარებოდა: ბიბლიის კანონიკურ ტექსტთან შედარებით საკითხავად მოტანილი ტექსტი ზოგჯერ მოკლედ ებოდა, იკუმშებოდა, გამოიტოვებოდა მთელი მუხლი თუ მუხლები. ან მუხლების ნაწილები, რის შედეგად შეიწყმოდან მომიჯნავე მუხლები. მაგალითად, ერთ საკითხავს (დაბ. 24,2—67) შეგნით აკლია 39—48 მუხ-

¹ კ. დანელია, საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი აღთქმის ქართულ რედაქციებში: საქ. სსრ მეც. აკ. „მცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), № 2, 1983, გვ. 97—107.

ს კ ი ტ ე ლ ნ ი. გასწორდა: კ ი ტ ე ლ ნ ი. ს მექანიკურადაა დამა-
ტებული წინა სიტყვის დაბოლოების გავლენით (თარსის სკიტელნი),
შდრ. *Кітєи, кітєиѣ*.

12) 10,6: იქუს და იმცს, ტრემფოს დანანტი. მოსა-
ლოდნელი იყო: ქუშ და მესტრემ, ფუდ და ქანან (იხ. ზე-
მთ, გვ. 488).

13) 10,11: აღაშენა ნინევმ და რუბუთი ქალაქი. გასწორდა: ...რუ-
ბუთი ქალაქი და ქალაქი. რუ *Ρουβώμ πόλις*. *ნან რუ Χελάχ*,...
და ვჟაჟან გადამწერს, ჩანს, საკუთარი სახელი ქალაქი (შდრ. ხა-
ლანი — მცხ. ბიბლიისა) საზოგადო სახელად გაუგია და რადგან წინ
„რუბუთი ქალაქი“ იყო, „გამეორების“ ასაცილებლად გამოუტოვე-
ბია მეორედ ნახმარი საკ. სახელი „ქალაქი“.

14) 10,12: და სამოსნმ შორის ნინევსა ქალაქსა. გასწორდა: და
დასამე შორის ნინევსა ქალაქსა და შორის ქალაქსა.

*რუ Δοθη άνα μείσεν Νινεσ, και άνα μείσεν Χελάχ. სახმან 'ჩ მქჟ
ქნობი და 'ჩ მქჟ ვაჟანსაჟ*, როგორც წინა მუხლში. აქაც საკუ-
თარი სახელი „ქალაქი“ გამოტოვებულია საზოგადო სახელად მი-
ჩნევის გამო. მაგრამ რა ქალაქია „სამოსნმ“? ამგვარ სახელს
ვერც ერთ ბიბლიურ საცნობარო წიგნში ვერ იპოვის კაცი, ვერ იპო-
ვის, რადგან ასეთი რამ არ არსებობს. ქართული „სამოსნმ“-ს ფარდად
უცხოენოვან წყაროებშია: ებრ. *resen*, სირ. *resen*, ბერძნ. *Δεση*,
სომხ. *ყასხმან*. ჩანს, შეცდომა ბერძნულ წყაროშიც არის დამკვიდრებული:
ებრაული *r* გრაფიკული მსგავსების გამო *d*-დ არაა წაკითხუ-
ლი. ქართულში მოსალოდნელი იყო არა სამოსნმ, არამედ დასე
(ბერძნული წყაროს მიხედვით), ან რესენ (ებრაულ-სირიული წყა-
როების მიხედვით), ან კიდევ: დასემან (სომხური წყაროს კვალო-
ბაზე). მაგრამ ტექსტი ისე შერყვნის, რომ ძნელია რეალურად სა-
გულვეტელი ფორმის ამოცნობა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავიდან
იყო *დასემესონ (ბერძნული წინდებელი *μείσεν* მრჩობლად ყო-
ფილიყო გადმოღებული: „მესონ//შორის“), შემდგომ დასემე-
სონ-ის „და“ მარცვალი კავშირად გააზრების გამო ჩამოჰპოვებია და
დარჩენილი *სემესონ* მცდარი ეტიმოლოგიზაციით ან უბრალოდ
მექანიკურად დანიშნულების ტიპის სახელისთვის მიუმსგავსებიათ:
*სემესონ—სამოსნმ: ტექსტში აღვადგინეთ კომპრომისული,
შუალედური ფორმა, რომლის ოდინდელი რეალური არსებობა, ცხა-
დია, ძნელად დასამტკიცებელია. რაც შეეხება სომხ. *ყასხმან*-ს ისიც

შერყვნილა და შესაძლოა მოდიოდეს ბერძნ. *Δαση* *ἀν* -ს მცდარი გაგებიდან (*ἡσυχῆν* → *ἡσυχῆσαν*).

15) 10.19: სიღონითგან ვიდრე მოსლევადმდე სოდომად. გასწორდა: აიღონითგან ვიდრე მოსლევადმდე გერარად და გაზად, ვიდრე მოსლევადმდე სოდომად. *ἀπὸ Σιδῶνος ἕως Ἐλμειν*. *εἰς Γεραρὰ καὶ Γαζῶν* ..., *ἡσυχῆ* 'ი გალ' 'ი გერარა' 'ი გაგა. გამოტოვებული ერთგვარი ან მსგავსი სიტყვების აღრევის გამო (წინადადებაში ერთგვარი ან გრაფიკულად მსგავსი სიტყვების არსებობის შემთხვევაში გალამწერის თვალის შეცდომით მეორედ ნახმარ ფორმაზე გადაღობა გა მოტოვებული რჩება პირველად ნახმარი ფორმა მიმყოფი სიტყვებითურთ, რასაც პომოტელეგტონი ანუ ბოლომსგავსებელი კლება ჰქვია), ამიტომ ჩაემატა დაკლებული სიტყვები.

გეოგრაფიული სახელია ლასლა („ვიდრე ლასლანდე“). თითქო მოსალოდნელი იყო დასა (შღრ. *Δαση*). მაგრამ ებრაელშია ლაშა, სომხურში *լասա*, ამიტომ გასწორებას მოვერიდეთ. შესაძლოა, თვით ბერძნულში იყოს აღრეული მთავრული ლ (Λ) დ-ში (Δ-ში).

16) 11.2: პოვეს ქუეყანასა მას სინარისასა. გასწორდა: პოვეს ვილი ქუეყანასა მას...; *ἐπὶ τὸν πᾶντον*. *ἡσυχῆ* *ἡσυχῆ*.

17) 13.4: ხადა მუნ აბრაჰამ სახლსა უფლისა...; გასწორდა: ხადა ...სახლსა *ἐπακχῆσσαν*... *τὸ* *ὄνομα* *ἡσυχῆ* ...*ἡσυχῆ*.

18) 14.1: ქოდოლოგომორ. გასწორდა: ქოდოლაგომორ (ასეცაა 14.4-ში), *χθὼν* *ἡσυχῆ*, *ἡσυχῆ* *ἡσυχῆ*. აქვე: სერაველთა. გასწორდა: სენარელთა. შღრ. სენაპარისა, დაბ. 14.2; *Σενναῖ*. *ἡσυχῆ* *

19) 14.2: სბუიმელთა. გასწორდა: სებოიმელთა, *Σεβῶν*; *ἡσυχῆ*.

20) 14.5: რომელ იყვნეს საგსმ. გასწორდა: ...საგსმ (ასეცაა 14.17-ში). *Σαῖ*, *ἡσυχῆ*.

21) 14.15: წარიქცინა მიქუაბადმდე. გასწორდა: ...მიქობადმდე. *ἕως* *Χοβῆ*. *ἡσυχῆ* *ἡσυχῆ*

22) 15.2: ევეაზარ. გასწორდა: ელეაზარ, *ἕλμα*, *ἡσυχῆ*; *ἡσυχῆ* *ἡსυχῆ* ლ (ბ) წაკითხულია ვ-დ (ზ).

23) 17.2: და დავედა აღთქუმა ჩემი შორის შენსა...; გასწორდა: ...შორის ჩემსა და შორის შენსა; *μέσση* *ἕμῃ* *καὶ* *ἀντὶ* *μέσση* *σου*. *ἡσυχῆ* *ἡσυχῆ* *ἡსυχῆ*.

36) 40,20: დღე იყო შეუბისათვარაოვსი. გასწორდა: ...შობისა; *γενήσεται. ძნსიყ.*

37) 41,5: ორნი თავნი ქოვილისანი. გასწორდა: შკდნი თავნი ქუვილისანი. *ἐπὶ τὰ σάχυσε. სსქს ნასი.*

38) 41,10: მზარდულთ-მოძღურისასა. გასწორდა: მზარაულთ-მოძღურისასა, *ἀρχιεπισκοπῆς. ყანდაყსიქს.*
მსგავსივე ვითარებაა ცოტა ქვემოთ, 41,12-შიც.

39) 48,2: განძრიელდა და დაჯდა...; გასწორდა: განძრიელდა რაჟლ და დაჯდა; *ἐπιστάτης Ἰερουσαλῆμ, ἡσραყელ ἰερუსλ*

40) 48,7: ბეთელი. გასწორდა: ბეთლემი. *Βηθλέμ. რსქ-ყანსა.*

გამოსლვათაჲ.

41) 1,4: ლეთთალმ: გასწორდა: ნეთთალემ; *Νεθθελῆ. სსქსიყსიქ.*

42) 1,11: ფისონი. გასწორდა: პითონი; *πυθῶν. ქიქონ.*
რამესი, რომელ არს: ვასწოვდა: რამესი და ონი. რომელ არს: *αἰθῶν. ს სიქს.*

43) 4,23: ხლო შენ არა ინებე გამოვლინებაჲ მათი, იხილე...; გასწორდა: ხლო ეკუთვთ შენ არა ინებე გამოვლინებაჲ მათი, იხილე: *ἐμὲν οὐκ ἔστιν ἔτι. საყსქ ილ ყამქიყს.*

44) 7,25: აღესრულნეს დღენი. გასწორდა: აღესრულნეს შკდნი დღენი; *ἐπὶ τὴν ἡμέραν. ასორრ სსქს.*

45) 12,5: საცხოვრისა მისგან ცხოვართამსა მოლონ იგი; გასწორდა: ...ცხოვართამსა და თხათამსა მოილონ იგი: ...*ἔτι τῶν ἡμερῶν. ს ყაქხყყ ასილყიქ.*

46) 12,12: ...აღვადგინო შერის-გებაჲ. გასწორდა: აღვადგინო შერის-გებაჲ. რამეთუ მე ვარ უფალი: *Ἐγὼ ἰσχυρὸς. ყი ხყ თხაონ.*

რიცხუთაჲ.

49) 22,29: თუმცა მქონდა მახელი, ...განგგურიმე შენ. გასწორდა: ...განგგურიმე შენ. *ἔτι ἐξ ἡμερῶν. არყ ს ქიყხსლქიქ ყდსყ.*

შეიძლებოდა არ გასწორებულოყო, რადგან ამ ფუძეში სისტემებრ რ/მ-ს საურთიერთო მეტათეზი გვაქვს (საგურემებელი, დაბ. 4,24; განგურიმე, I მეფ. 31,4; განგურემა, II მეფ. 1,14...), და ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები საერთოდ არ სწორდებოდა, მაგრამ მაინც თუ გასწორდა, იმიტომ რომ „გუმერა“ („მახვილის ჩასობა“) არ აღრეულიყო „გურემა“ („ტკივილი“) ფუძეში.

ნისასა; Ἰλιών. *ἡλιών* (შდრ. под долиною Аналонскою). არა ჩანს შერყვნის მიზეზი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გადამწერმა უცნობი აილონ გაააზრინა უფრო ნაცნობ სილოან სახელად (სილოან რამდენჯერმე იხმარება ოთხთავში, ლკ. 13,4; ი. 9,7—11), ან თუ მთარგმნელი (რედაქტორი) სომხური წყაროთითაც სარგებლობდა, შეიძლებოდა გრაფიკული მსგავსების გამო ა (*α*) წაეკითხა ხ-დ (*α*-დ): თავიდან სომხურ წყაროში უნდა ყოფილიყო არა *ხიონ* (აქ *ხ* გად-მოსცემს ა:-ს გვიანდელ გამოთქმას), არამედ *აიონ*

70) 22,9: მისლვად გალილეად. გასწორდა: მისლვად გალაღდ (შეიძლებოდა გალაღდ-იც, მაგრამ აა→ა ჩვეულებრივია საკუთარ სახელებში), Γαλαζῆ. *γαλαζῆ* შეცდომის მიზეზი თითქო ისაა, რომ გადამწერს მისთვის ნაკლებად ცნობილი გალაღ (გალაღდ) გააზრებულ იქნეს უფრო ცნობილ გალილეა სახელად.

ეგვევ სახელი მომდევნო მუხლებში ასეა შერყვნილი: გოლიოთ (22,10—11), გალიოთ (22,13), გალიონ (22,15). სამსავე შემთხვევაში ბერძნულ წყაროში Γαλαζῆ არის ნახმარი და ამიტომ ტექსტში გალაღ გავატარეთ, თუმცა სომხური წყარო ჭრელ სურათს იძლევა; მასში *γαλαζῆ* -იც არის (22,9—15) და *γαλιλιού* -იც (22,10—13) (ამ უკანასკნელ ფორმაზე შეიძლება დამოკიდებული იყოს ქართული გალიოთ, გოლიოთ).

71) 22,24: არაჲ არს თქუენი...; გასწორდა: რაჲ არს...; ἰσμήν. *იქ' კაჲ ძსჲ*,

72) 22,29: შესაწირავთა მშვიდობისათა. მოსალოდნელი იყო: შესაწირავთა სალამისათა (შდრ. მცხეთურ ხელნაწერის: მსხუერპლთა სალამისათა), τῆς εἰρήνης Σαλαμί. *იიჩიჲ კამ აიჲ-აკიჲაჲ* არ გასწორდა, რადგან ქართულის მსგავსად სომხური თარგმანიც დაშორებულია ბერძნული წყაროსგან.

მსაჭულთაჲ. 73) 2,1: ბეთლემდ. გასწორდა: ბეთელდ, Βαῖθ' ἰλ. *რსქჲ*.

74) 2,2: ოდეს ესე ჰყოთ, გასწორდა: ჰყავთ. *ἐπι: ἵστατε. არარქჲ*.

75) 2,7: ჰმონებდეს ძენი ისრაჲლისანი. გასწორდა: ძენი ისრაჲლისანი უფალსა, τῷ Ἰσραῖλ. *ახხან*.

76) 2,15: აჭირვო მათ, გასწორდა: აჭირვა მათ, ἐξέμλησεν. *ჩხყხაჲ*.

77) 2,23: მისცნა იგინი; გასწორდა: არა მისცნა იგინი; ἐν πα-

რძედაც. *ივ მათნსაყ.*

78) 3,9: განარინნა იგინი. გასწორდა: განარინნა იგინი გოთონიელ, *Γοθονιელ. ეოგინჩქლ.*

79) 8,14: ათორმეტ წელ. გასწორდა: ათრვაამეტ წელ: *მეუ ბეჯარაჯა. სამა მქოთასანი.*

80) 3,16: იქმნა აოდ მახვლი. გასწორდა: იქმნა აოდ თავისათვისა მახვლი. *ἐποίησεν ἑαυτῷ. არარ იერ აღიქე სურ.*

81) 3,26: განერა ასაროთას. თითქო მოსალოდნელი იყო: სეტროთას (მდრ. *Σεξερამβ*). არ გასწორდა, რადგან ასაროთა გარკვეულ მსგავსებას ავლენს სომხურ *სիրიქშა*-სთან.

81) 3,29: ათასი ოდენ კაცი. გასწორდა: ათათასი ოდენ კაცი; *ἑξῆς γίλι: ἄνεξ βῆνρον. თასან ზაყარ არანიც.*

82) 6,34: აბინერეზ. გასწორდა: აბიეზერ, *'Αβινεζერ. არხიხერ* ქვემოთ, 8,2-ში აბინეზერ არის.

83) 6,35: ლეფთალემდ. გასწორდა: ნეფთალემდ. *ἐν Νεφθαλῖ. 'Ιηηსიქშაქიმ.* ასევე გასწორდა 7,23-შიც.

84) 7,3: უკუნეცა ერისა მისგანი ორათასი კაცი დაათასი დაშთა. გასწორდა: უკუნეცა ერისა მისგან ოცდაორათასი კაცი დაათათასი დაშთა; *ἐξῆς: καὶ ὄμο γίλι: ἄνεξ, καὶ ὀξῆξ γίλι: ἄνεξ ἵπελε: ἐφῆησεν. ჟარბან 'ი ვორიქს ჟასან ლ ხერკო. ზაყარე ლ მსაყინ თასან ზაყარე.*

85) 7,23: დაბად კერძო. გასწორდა: ტაბათდ კერძო; *Ταβᾶθ. თარქშ.* გადამწერს უცნობი ტოპონიმი საზოგადო სახელად გაუაზრებია.

აკვე: ყოველმან ასერმან. გასწორდა: ყოველმან მანას-მსმან. *ἀπὸ παντὸς Μανασση. კამხნაყ მანასხს.* ჩანს, გადამწერმა წინა სიტყვის („ყოველმან“) ბოლო „მან“ მარცვლის გავლენით „მან“ დააკლო „მანასე“ სიტყვას: (მანასმსმან—ასმსმან—ასერმან).

86) 7,25: მოკლეს ორებ სურუბისა დაზეებ მოკლეს იაკებსზეებისა; გასწორდა: სურუბეს, იაკებზეებეს; *ἐν Σιὲρ ორჩ. ..., ἐν 'Ιαχεფჩჳ. 'ი სიქორხერა..., კაქხერჩრა.*

87) 8,13: ძე იოსიაჰსი; გასწორდა: ძე იოსისი; *ὁ: ἰν: 'Ιω: ἄξ. ირეჩი კიქასოლ.*

88) 8,18: ბოთორს შინა; გასწორდა: თაბორს შინა; *ἐν Θαβᾶρ. 'ი შაროქრ.*

რუთი. 89) 1,2: აბიმელიქ. მოსალოდნელი იყო: ელიმე-

ლექსი ელიმელიქ *Ἐλιμέλεχ. ხელმწიფე* სწორი ფორმაცაა დატული: ელიმელიქ (რუთ. 4,9), მაგრამ უსწორო აბიმიელიქ ფორმის გვერდით აბილმელიქ-იც არას (2,3). ორი უკანასკნელი ფორმა შემთხვევითი არ უნდა იყოს, ამიტომ გასწორების-ვან თავი შევიკავეთ.

90) 4,12: იყავნ სახელი შენი, ვითარცა სახელი ფარ-ზისი. გასწორდა: სახელი—სახლი, *οἶκος: οὐσ.* ნაკლებსავარაუდოა, რომ „სახელი“ იყოს უძველესი ფორმა „სახლ“ (—*სახელ//*სახილ) სიტყვისა. შდრ. იგ. 2,18.

91) 4,15: იყოს იგი შენდა მოსაქცეველ სიბერისა შენისა. ასე მიმართავს რუთი I ქმრის დედას — ნოიმინს, როცა შვილი შევიძინა მეორე ქმრისაგან — ბოოზისგან. აზრი ასეთია: ეს შვილი იყოს მოხუცებულობისას შენი სულის მოსაბრუნებელი, დამამშვიდებელი. ამიტომ წინადადებაში ჩაემატა „სულ“ სიტყვა: იყოს იგი შენდა მოსაქცეველ სულისა სიბერისა შენისა... *ἔστω σοὶ εἰς ἐπιστροφήουα ψυχῆς...*

I მეფეთა. 92) 1,8: არა უმჯობეს ვარა შენთვის უფროას მრავლისა შვილისა? მოსალოდნელი იყო: ათისა შვილისა; *δέξω τέκνα, ἡσασάν ἰοῦχι.* არ გასწორდა, რადგან შეიძლება შეგნებულად იყო აქ „ათი“ „მრავლით“ შეცვლილი.

93) 7,1: აბედადისა. გასწორდა: ამინადებისა: *Ἀμινάδης. ამინადამაქ.*

94) 7,12: აბენეზე. გასწორდა: აბენეზერ. *Ἀβενέζερ. ამხნხეტ,* სხვაგანაც (I მეფ. 17,55—57) გასწორდა, თუმცა შეიძლება გასწორებისგან თავი შეგვეკავებინა, რადგან ფონეტიკურ (რს-ვალსპის) ფაქტთან უნდა გვექონდეს საქმე.

95) 16,1: მიგავლინო შენ ბეთლემდ. გასწორდა: მიგავლინო შენ იესესა..., *πρὸς Ἰεσσαί. ἡν ἰησαί.*

96) 17,1: დაიბანაკეს შორის სოქოთსა. გასწორდა: სოქოთსა და შორის აზეკას ეფერმენისასა; *Σοχῶθ καὶ ἀναμείσων. Ἀζήθω Ἐφερμῆν. ἔνι ἰσὴκρὶ καὶ ἔνι ἰσὴκρὶ καὶ ἰσὴκρὶ.*

97) 17,4: სიმალმ მისი [-გოლიათისა] ოთხ წყრთა. სხვა (ლაგურკის) ლექციონასა და ბიბლიურ ნუსხებში ლაპარაკია ექუს წყრთაზე, როგორც ესაა სომხურსა (*վից*) და ებრაულისგან მომდინარე რუსულ თარგმანში (шесть). მაგრამ არ გასწორდა, რადგან ბერძნულ წყაროშია *ἕξασπρω.*

98) 17,13: საულის ერთ-ერთი ძის სახელია სამაა. თითქო მოსალოდნელი იყო სამამა/სამა, *Σαμα* (შდრ. რუს. თარგმანია Самма). მაგრამ არ გასწორდა, რადგან ქართულ ფორმას სომხურმა ჯაუქირა მხარი: *սամաս*.

99) 23,25: შთავიდა უდაბნოსა სასმენელსა. მოსალოდნელი იყო: უდაბნოსა მათონისასა; *ἐν τῷ ἐρημῷ Μάθω. κωνσταντίνος μάθω* (в пустыне Маон), შდრ. უდაბნოსა მას მათონათ ევრაქო (მცხ. ხელნაწ.). გასწორებას მოვერიდეთ, რადგან არ ჩანა შერყვნის მიზეზი. ტოპონიმის ეტიმოლოგიური თარგმანიც რომ არაა, ესეც ცხადია. ეტყობა, გადაშწერთა ხელში თანდათან მატულობდა შერყვნა-აღბათ, თავიდან უნდა ყოფილიყო: უდაბნოსა მათონისასა. შემდეგ წინა სიტყვის სამარცვალი უნდა დაჰმატებოდა: უდაბნოსა მათონისასა. მაგრამ ნათელი არაა. ეს უქანასკნელი შემდგომ როგორ გააზრიანდა „სასმენელსა“ ფორმად.

ამავე მუხლში მეორედ ეს ტოპონიმი (მაონ. *Μάθω. μάθω*) სმენა სიტყვადაა წარმოდგენილი: დევნა-უყო უდაბნოსა მას სმენისასა (შდრ.... უდაბნოსა მას მათონისასა — მცხ. ხელნაწ.).

100) 24,2: მოიქცა დევნად. გასწორდა: მოიქცა საულ დევნად (*Σαουλ, σαουλ*).

101) 24,1: დაჯდა იგი იწროთა მათ შინა გაადისათა. მოსალოდნელი იყო: ენგადისათა, *Ἐν Γαδί*. არ გასწორდა, რადგან ქართული „გაადისათა“ და სომხური *գադդոյ* ბერძნული წყაროს მცდარად წაკითხვას უნდა ემყარებოდეს *Ἐν Γαδί*-ის თავკიდურა *ἐν* მარცვალი ჩამოშორებია „შინა“ თანდებულად გააზრების გამო; მსგავსი ვითარებაა მომდევნო 24,2-შიც.

102) 24,13—14: კელი ჩემი არა იყო შენ ზედა. გასწორდა: არა იყოს შენ ზედა: *οὐκ ἔσται. μή ხήχη*. (не будет).

103) 24,20: უფალმანმცა მიაგოს კეთილი. გასწორდა: მიაგაგოს კეთილი (ასეცაა ლაგურკის ლექციონარში). ამ სიტყვებს საული ეუბნება II პირს — დავითს.

104) 29,1: დაიბანაკა ნაინს. მოსალოდნელი იყო: დაიბანაკა აენდორს. ასეცაა ბაქარისეული ბიბლიის თბილისურ გამოცემაში, ხოლო მცხეთურ ხელნაწერშია აენდომს. შდრ. *Ἀενδωρ. აქსნაიძე*. არ გასწორდა, რადგან უცნობია შერყვნის მიზეზი.

104) 29,8: რა ბოროტი ვპოვე...? გასწორდა: ვპოვე; *პრედ. գոհր*. (что ты нашел).

აქვე ჩამატა: რაა ბოროტი ჰპოვე+მონისა შენისა თანა? *ἐν τῷ θινίλφ στυ, 'ἰ θαρῶνι ρομ.*

105) 31,5: რამეთუ დაეცუა მახვლსა. გასწორდა: რამეთუ მოკუ და საულ, დაეცუა მახვლსა; *τῆθιγηε Σαυλ...*, *ἄθουα ὡαυου.*

106) 31,7: კაცთა მათ ისრაჲლისათა გასწორდა: კაცთა მათ ისრაჲლისათა... დაუტევენეს ქალაქნი თვისნი და ივლტოდეს. და მოვიდეს..., *καταλείπουσιν τὰς πόλεις αὐτῶν καὶ φεύουσιν...*, *βθიθინ ოფოღაჟი ჩიხანეჟ ლეჟასან.*

II მეფეთა. 107) 1,9: დამადეგ და მომკალ მე. გასწორდა: დამრქუა მე: დამადეგ..., *καὶ εἶπε πρὸς μὲ. ἡ αὐτὸς ἔθι.*

III მეფეთა. 108) 2,5: ამითარს. მოსალოდნელი იყო: ამესას, *ἄμυεσθ. ὡθῖαჟი.*

იესთერისსა. მოსალოდნელი იყო: იესთერისსა, *ἰესῖერ. ἰესῖერაჟი.*

109) 2,6: ნუ შთაავლინებ სიბერესა ჩემსა მშვიდობით ჯოჯობეთა. გასწორდა: სიბერესა მისსა (აბთონ, *ნოთა*).

110) 8,32: და შენ ჰყო და შეჯიდეს ერსა; გასწორდა: შეჯიდე, *კრეინეჟ, ოათხეჟი.*

111) 8,47: ქუეყანასა მას, რომელსა მიეტევენენ. გასწორდა: მიიტყუენენ *სამეჩქაჟიჟიჟი, ოხრეჟიჟი.* მიიტყუენენ არს მცხეთურ ხელნაწერშიც.

112) 8,61: იყვენ გონებანი ჩუენნი განსრულებულ უფლისა მიმართ..., თითქო მოსალოდნელი იყო: იყვენ გულნი...; *καὶ ἔσθασθαι ἄνθρωποι, ἡ ἡθῖθინ ὡθῖრთ* (შდრ. და *будет сердце...*). არ გასწორდა, რადგან ძველ ქართულში „გონებისა“ და „გულის“ სემანტიკური სიანხლოვე საცნაურია.

113) 19,10: შემშურდა შური. გასწორდა: დამრქუა ელია: შემშურდა შური; *Καὶ εἶπεν 'Ἠλίᾶς, ἡ αὐτὸς ἡθῖა.*

114) 19,11—12: ბერძნულის კვალობაზე გაწყობილი უშემასმენლო წინადადების გაგების გასაადვილებლად „შინა“ თანდებული (ბერძნ. *ἐν*-ის ფარდი) ჩამატა: არა ქარსა მას შინა უფალი; და შემდგომად ქარისა მის — ძრვაჟ; და არა ძრვასა მას შინა უფალი; და შემდგომად ძრვისა მის — ცეცხლი, და არა ცეცხლსა მას შინა უფალი...

115) 19,13: დგა ქუეყანასა მას თანა. მოსალოდნელი იყო: დგა ქუაბსა მას თანა; *ἔσθῃ ὑπὸ σπῆλαιου. ἡθῖαჟ 'ἰ ἡθῖრთი ὡθῖრინ*

(შდრ. стал у входа пещеры). საექვოა მექანიკურ შეცდომასთან გვეკონდეს საქმე, ამიტომ არ გასწორებულა.

116) 19,16: ისუ ს. ძესა ნავცსსა. გასწორდა: იუს. ძესა ნამესისსა; 'Ισὺν υἱὸν Χαμεσσι. *ყჩხო, ირქის ამჩხახაყ* (შდრ. ииу, сына Намессина). გადამწერს შეცდომით უცნობი სახელები უფრო ნაცნობი სახელებით შეუცვლია (ასეთი შემთხვევები სხვა-ცაა!).

თუ აქ იუ ისუ-დ წაუკითხავთ, მომდევნო (19,17) მუხლში იუდა-დ გაუზარებიათ: მოკლას იგი იუ და და, რომელი განერეს მახვლსა იუ და მსსა, მოკლას იგი ელისე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იუ-ს „და“ კავშირი შეუერთეს (იუ+და—იუდა), ხოლო შემდგომ სხვა გადამწერმა „და“ კვლავ ჩაამატა. ცხადია „იუდა“-დ ქცეული ფორმა წინადადების მომდევნო მონაკვეთში ისევ გაიმეორა. ორივეგან იუდა გადასწორდა იუ-დ.

IV მეფეთა. 117) 2,2—3: ბეთლემ სახელი სამჯერ არის ნახ-მარი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (ბეთლემადმდე, ბეთლემად, ბეთ-ლემს): გასწორდა ბეთელ სახელად. შდრ. Βε:θήλ. *რბქქ*

118) 5,12: აბრანა და ფართათა. გასწორდა: აბანა და ფართარა. 'Αβραῶν καὶ Φαρθᾶθ. *ნარანსა კ ფარფარა*. (Αβανα и Фарфар).

119) 13,14: იოას მეფე. გასწორდა: იოას, მეფე ისრაელისაჲ, *βασιλεὺς Ἰσραήλ. არყაყ ხირაქქი*.

120) 13,17: ბოლომსგავსებითი კლება გასწორდა, შეივსო წინადა-დებებით: და ჰრქუა ელისე: სტყორცე! და სტყორ-ცა, *Καὶ εἶπεν Ἐλισαῖος· Τὴξεσθαι. Καὶ ἐτόξευσε. კ სატ ხეჩუტ ძყხა. კ ძყჩაყ*

იქვე: მოისრას ასურეთი ასკაფესამდე. გასწორდა: მოის-რას ასურეთი აფეკს აღსასრულადმდე, *παταξέεις τῆν Σαρίαν ἐν Ἀφέκ· ἕως συντελείας. ნარყხა გასორჩხა კაჩხქ მჩხუკ 'ჩ სიყაი*.

იოზი: 121) 1,9: ნუუყუე მეტად მსახურებს იოზ უფალსა? გას-წორდა: ნუუყუე მედად მსახურებს..., *ὄπαρᾶν. ძრჩ*. ძველ ქარ-თულში მედად, როგორც მისი უცხოენოვანი ფარდები (ὄπαρᾶν. *ძრჩ*) აღნიშნავდა: უსასყიდლოდ, ამაოდ, მუქთად. გადა-

¹ კ. დანელია. საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი აღთქმის ქარ-თულ რედაქციებში: საქ. სსრ. მეც. აკ. „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია). № 2, 1983, 33-104.

მაგრამ ხელნაწერისეულ ფორმას დიდად არ დაეაშორეთ (სობონ—საბონ არ გამოორიცხავს ფონეტიკურ ცვლას). შეცდომის საფუძველი თითქო თავკიდური ს-ს ი-დ (7-დ) წაკითხვა ჩანს.

128) 7,6: ცხობრება ჩემი უსულმცირჳს ს ი ტ ყ ვ ს ა. სომხურშია: *կსან, ք իմ թիթևագայն են քան զխոսս*. ქართული და სომხური იკითხვისები ბერძნულ თარგმანს მიჰყვება: *ὁ δὲ βίος μου ἔσται ἐλαφρότερος ἀλλ: ἄξ*. სამივე თარგმანი ძლიერ დაშორებულია ებრაულ წყაროს, სადაც ლაპარაკია არა ს ი ტ ყ ვ ს ის სიმსუბუქეზე, არამედ ს ა ქ ს ო ვ ი და ზ გ ი ს, ჭ ა რ ა ს ('ereg-ის) სისწრაფეზე, შდრ. რუსული თარგმანის „*дни мои будут скорее чемнока*“.

129) 16,17: მეცელი ჩემი შეიწუების ტ კ ი ვ ი ლ ი თ ა. გასწორდა: ... ტ ი რ ი ლ ი თ ა (ასეცაა ოშკის ხელნაწერში), *ძან ჯღაჟმომ, 'ჩ ქლიყ*.

130) 17,8: მართალი უსჯულოთა ზედა. გასწორდა: ... უსჯულოთა ზედა ა ლ დ ე გ ი ნ (*ἐπανα*).

131) 17,15: ოდეს-მე ვიხილო? გასწორდა: ა ნ უ კ ე თ ი ლ ი ჩ ე მ ი ოდეს-მე ვიხილო? *წყ ა ჯ აჯამა მოს ..., կամ թხ զსարութիս իմ...*

132) 19,11: ვითარცა მტუერი. გასწორდა: ვითარცა მ ტ ე რ ი, *აჲსჲრ ეჯჲრან. իբրև գթնամի* მეცდომა ოშკურ ხელნაწერშიცაა. რაც გასწორებული აქვს ა. შანიძეს¹.

133) 21,10: განერა მაკც და არა შეეცოდა. გასწორდა. ... არა შეეცოდა, *ისჯ ოფაღე. ոչ վրիպեցաւ*. (ოფაღე არის აორისტი *σφαλίω* ზმნისა, რომელიც აღნიშნავს წაქცევას, განადგურებას, წართმევას, შეცდომაში შეყვანას). „შეეცოდა“-ს სისწორეში ა. შანიძეც დაეჰქვებულა და სქოლიოში აღუნიშნავს: „შეცოდა (?)“².

134) 27,14: ნაკლულადვე მიეცნენ. გასწორდა: ს ა კ - ლ ა ვ ა დ ვ ე მიეცნენ, *εις σφαγῆν ἔσονται. 'ჩ საყანომან სიქიქს*.

135) 27,20: ვითარცა წყლულნი, გასწორდა: ვითარცა წყ- ა ლ ნ ი, *აჲსჲრ სმარ. 'იბრვ გჲორ*.

136) 28,4: განკუეთაჲ ქელისაჲ მტერიისაგან. გასწორდა: განკუეთაჲ ქევისაჲ მტუერიისაგან, *διαჯατη γε:μ- ἀρρου ἀπ: ρο:αδ. ἡλιρამ ἡληηασι 'ჩ φηλιყ*. შეცდომა ოშკურ ხელნაწერშიცაა, რაც გასწორებული აქვს ა. შანიძეს³.

¹ წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. 1, ნაკ. 2. გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1948, გვ. 163 (სქოლიო).

² იქვე, გვ. 165 (სქოლიო).

³ წიგნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. 1, ნაკ. 2..., გვ. 171 (სქოლიო).

137) 28,6: ჩემმატა შემთხვევით გამორჩენილი ფრაზა; და მიწად — ოქრო და მისი, και χρῶμα χρυσιον ἀστῆρ. *და ზოგისიერ.*

138) 29,13: ჩემ ზედა მოვიდოდა. გასწორდა: კურთხევა და წარწყმედული სადა ჩემ ზედა მოვიდოდა, Ἰσαλογία ἀπολλυμένηα ἐπ' ἐμέ..., *ორწინაობის კორინთელებს 'ჩ ქირავ ჩი ხელსეფ.*

139) 30,14: ისარნი მისნი დამასრულნა. გასწორდა: ...დამასრივნა, შდრ. განმისრეს მე (ბაქ. ბიბ.), დამასრინა (თშკ. ხელნ.).

140) 30,25: ვიხილო რაა კაცი შინა. გასწორდა: კაცი ურვასა შინა, ἐν ἀνάγκαις. *'ჩ ქიჯოთ.*

141) 31,18: უძლე მათ. გასწორდა: უძელ უმათ. ἄνθηγησα. *აოჯნორიხეჩ.*

142) 38,31: ზღუდენი ურენთანო, გასწორდა: ზღუდენი ორიონთანო, φραγμαὶν Ἰσραήλ. *ყათროსიკ ზაქიხს.*

143) 39,10: ანუ შენ შეჰმოსე ცხენსა ძალი და შეარტყ ქედსა მისსა შიში? სომხურშია: *და ვეგვიცხერ ერან რნე რნე ყარანნიგაი ზორა ქართული იკითხვისი ბერძნულ თარგმანს მიჰყვება... ἐξέδησα δὲ τρεχῆλα ἀσπῶν φόβον და არა სომხურს, სადაც ყოა ე. ი. ჯავშანი იკითხება. მაგრამ სამივე თარგმანი დიდად დაშორებულია ებრაული წყაროს ჩვენებას, რომელშიც ლაპარაკია არა ცხენის ქედზე შიშის ან ჯავშნის შერტყმაზე, არამედ ცხენის ქედის ფაფარით შემოსვაზე: შდრ. რუსული თარგმანის „ты ли... одлек шейо его гривою? ჩანს, ბერძნულ თარგმანში ებრ. raḥmāh („ფაფარი“) წაკითხულია, როგორც raḥam „შიში“ (ფიბი).*

იგავნი სოლომონისნი. 144) რომელ არა ცუდად დაურწყიან მახმ. გასწორდა: რამეთუ არა ცუდად... (ყაპ, ვჩ).

145) 2,3: უკუეთუ სიბრძნესა ხადოდა. გასწორდა: ხადოდი, ἐπιζητήσῃ *კიხხეხსა.* (будешь призывать).

146) 2,9: გულისხმა-ჰყო სიმალღმ. გასწორდა: სიმართლმ, διεχαισσηγη. *ვარყარობიხს.*

147) 2,18: სახელი მისი, გასწორდა: სახელი მისი, τὸν ὄνομα ἀσῆ. *ჟოთს ჩერ,* აქ „სახელი“ არ უნდა იყოს „სახლის“ უძველესი ფორმა (*სახელ/*სახილ). შდრ. რუთ. 4,12. აღრევა საპირისპიროდაც ხდება: „სახელის“ ნაცვლად „სახლია“ ნახმარი, იხ. ეს. 56,5; 59,19.

148) 3:2: ს ი ბ რ ძ ნ მ ე ჯამთაჲ გასწორდა: ს ი გ რ ძ მ ე ჯამთაჲ, *μηχανὴ βία. ἔνεγκηκαριασθῆναι κλῆσις.*

149) 3:5: სიბრძნესა ნუ აპყვები. გასწორდა: სიბრძნესა შ ე ნ ს ა ნუ აპყვები. თჳ თჳფიჯ მუ ზეპირთა. *κλῆσις ἰσχυροῦ καὶ ἰσχυροῦ— ἰσχυροῦ.*

150) 3:16: ს ი ბ რ ძ ნ მ ე ჯამთაჲ, გასწორდა: ს ი გ რ ძ მ ე ჯამთაჲ, იხ. იგ. 3:2.

151) 3:35: უღმრთოთა აღიმაღლეს გონებთაჲ გასწორდა: გონებთაჲ, *ἀπειθήναι. ἰσχυροῦ.*

152) 4:10: მიღებულ არს ძალი მათი. გასწორდა: ... ძილი მათი, *(ἰσχυροῦ. ἰσχυροῦ).*

153) 5:16: გამოგიდიოდენ შენთა წყაროთა. გასწორდა: გამოგიდიოდენ წყალნი შენთა... *(ἰσχυροῦ. ἰσχυροῦ).*

154) 14:35: განიშოროს გონებთაჲ გასწორდა: განიშოროს გონებთაჲ *(ἀπειθήναι. ἰσχυροῦ).* იხ. იგ. 3,35.

155) 23:5: უკუეთუ მიადგნე. გასწორდა: უკუეთუ მიადგნე თუაღნი შენნი, *ἔξω ἐκ τῆς πόλεως καὶ ἐκ τῆς πόλεως καὶ ἐκ τῆς πόλεως...*, *ἔξω ἐκ τῆς πόλεως καὶ ἐκ τῆς πόλεως καὶ ἐκ τῆς πόλεως.*

156) 23:16: უკუეთუ. გასწორდა: უკუეთუ იყვენენ წრფელ, *ἔξω ἐκ τῆς πόλεως καὶ ἐκ τῆς πόλεως καὶ ἐκ τῆς πόλεως.*

157) 23:24: მამამან მრავალმან. გასწორდა: ... მართალმან, *ἰσχυροῦ. ἰσχυροῦ.* იხ. იგ. 28,28.

158) 23:29: მისი შფოთი. გასწორდა: ვისი შფოთი? *ἰσχυροῦ. ἰσχυροῦ.*

159) 25:14: ტყუელვით. გასწორდა: ტყუელით *(ψευδῆ).*

160) 28:15: მკოდავი. გასწორდა: მკოდავი *(πταχῆς. ἰσχυροῦ).*

161) 28:28: განმრავლდენ მრავალნი. გასწორდა: ... მართალნი. *ἰσχυροῦ. ἰσχυροῦ.* იხ. იგ. 23,24.

სიბრძნე სოლომონისი. 156) 1,1: ზრახვედით უფლისათვის სახიერითა. გასწორდა: ... სახიერებითა, *ἀγαθότητι, ἰσχυροῦ.*

162) 1:6: უბრალო ყვის მეგობარი. გასწორდა: მეგობარი, *ἰσχυροῦ. ἰσχυροῦ.*

163) 2:1: მცირედ მწუხარი არს ცხობრებთაჲ გასწორდა: მცირედ და მწუხარი არს... *ἰσχυροῦ. ἰσχυροῦ.*

იქვე: ანათოზს. გასწორდა: ანათოთს, ჰე 'Avzჭაჭ. *Is-
ნაშიძე*.

172) 10.31: მკვდრნი მისნი. გასწორდა: გიბიმისნი. ჩანს, გიბიმსახელისგან მს მეტი არაფერი დარჩენილა, შდრ. ებრ. gebim (რუს. Гемим), ბერძ. Γεμίμ, სომხ. *գերիմ*.

173) 10.33: და იუდას აჰა ესერა უფალი საბაოთ შეაძრწუნებს დაბალებულთა ძრიელებითურთ. აქ „იუდას“ ზედმეტია (მას უცხოენოვან წყაროებში ფარდი არა აქვს) და ამოვიღეთ. გაუგებარია, საიდან გაჩნდა ის ტექსტში. ბერძნულშია: Ἰδὸς θεοπατρὸς Κύριος σαφᾶς... ხომ არ არის აქ Ἰδὸς ὀργεარად გადმოცემული: 1. იუდა-დ (მცდარად) და 2. აჰა ესერად (სწორად)?

174) 19,2: ქალაქი ქალაქსა ზედა. დაემატა: და შჯული ჯშულსა ზედა, καὶ νόμος ἐπὶ νόμου. *ს ირქნა რნა ირქნა*.

175) 25.6: სიონსა ღვნოსა. გასწორდა: სიონსა სუმიღენ ღვნოსა, *სიონსა: ὁνοῦ. არრეხს გჩნს*.

176) 33.9: ასაორონი. გასწორდა: სარონი, *Σάραυ, სარინ*

177) 40.12: ვინ აღწონნა. დაემატა: მთანისასწორითა, *ნა შრე შეჭაჭაჭ. ქსრქნა ხჯიძე*.

178) 43.21: მუხლის დასაწყისში დაემატა: ერისა ჩემისა, *λαὸν μου, გტიოქიორღს ჩა*.

179) 44.4: აღმოსცენდენ ვითარცა შორის წყალთა. დაემატა: მწუ-
ანვილი, *ჯბრძოჯ. გჩით*.

180) 51.11: მოიქცენ და მოვიდეს სიონს. გასწორდა: მოვიდენ (ორივე ზმნა II კავშირებითის ფორმისაა და თბრობითი კილოს სრული ასპექტის მომავალს გამოხატავს).

181) 52.1: წინადაცუეთილმან. გასწორდა: წინადაუცუეთელმან. *ჯპერქმეტჯ. ანქიქიათრ*.

182) 52,2: ასულმან იერუსალმისამან. გასწორდა: ასულმან სიონისამან. *მუჯტერ Σ:ავ. გიასთრ სიიქსი*.

183) 52.5: წარიყვანა ერი იგი ჩემი მეოტად. გასწორდა: ...მეღად. *ნაპეავ. ბრჩ*. იხ. იობ. 1,9.

184) 53,10: სულმან თქვენმან. დაემატა: იხილოს, *ნქეავ, სის-
გსნი*.

185) 55,10: განრყუნის ქუეყანაჲ. გასწორდა: განაძლის ქუეყანაჲ, *ჰე მჰმსთე რჰე რჰე. არრითგე გბრქჩრ*.

186) 56.5: სახლი საუკუნოჲ მივსცე მას. გასწორდა: სახე-

ლი საუკუნოა...; *ὄνομα ἀνών:ον. ἄνωον γαλῆσβησῶν.*

187) 59,19: სახლი უფლისაჲ, გასწორდა: სახელი უფლისაჲ (*ὄνομα, ἄνωον*).

აღრევა საპირისპიროდაც ხდება: „სახელი“ არის ნახმარი „სახლის“ ადგილზე, იხ. რუთ. 4,12; იგ. 2,18.

188) 60,17: რვალისა წილ. გასწორდა: ძეღისა წილ ანუ: ზნაღ. *φίλιππος φιλίππος*.

189) 61,3: მიცემად მგლოვარეთა სიონისათა დიდებამ ნაცრისაჲ მის. გაუგებარი ფრაზა გაიმართა „წილ“ სიტყვის ჩამატებით: ...დიდებამ ნაცრისა მის წილ, ანუ: *σὺν ἑμῶν. φίλιππος φιλίππος*.

190) 63,1: სიმეწამულს სამოსლისა მისისაჲ ბისონით. გასწორდა: ...ბოსონით. აქ საუბარია ბოსონ-ში დამზადებულ მეწამულ სამოსელზე, მაგრამ გადამწერს ეს საკუთარი სახელი გაუაზრებია, როგორც საზოგადო ბისონ (პრეტენსი „თხელი ტილო“) სახელი. შდრ. ებრ. *bosor* (რუს. от Восток),—ბერძნ. *ἐξ Ἰσθμῶν, ἰσθμῶν*.

191) 64,2: პირისაგან შენისა. მერმე შემოკლებულია ტექსტი, მე-2 მუხლის ბოლო და მე-3 მუხლი აკლია. მე-2 მუხლის ტექსტი რომ გაუგებარი არ დარჩენილიყო, დავასრულეთ ჩამატებით: წარმართნი შეძრწუნდენ, *ἐμῶν ταραχῶσιν ἄνωον. ἄνωον φιλίππος*.

192) 65,25: ვირი და კარი ერთგან ჰამდენ ბზესა. გასწორდა: ლომი და კარი... (ანუ. *ἄνωον*). ჩანს, გადამწერს ეუხერხულა ლომის მიერ ბზის ჰამა და „გასწორა“, ის შეცვალა ვირით.

193) 66,12: ვითარცა მშვიდობაჲ მშვიდობაჲ. გასწორდა: ვითარცა მდინარე მშვიდობისაჲ, ანუ *πρὸς τὴν ἄνωον. ἄνωον φιλίππος*.

194) 66,13: ისრაელთ. გასწორდა: იერუსალმით. *ἄνωον φιλίππος, ἄνωον φιλίპπος*.

ივრებშია: 194ა) 1,3: ვიდრე მეათორმეტედ წლადმდე. გასწორდა: ვიდრე მეათერთმეტედ წლადმდე *ἄνωον φιλίპπος*. *ἄνωον φιλίპπος*... *ἄνωον φιλίპπος*.

195) 1,13: და იყო სიტყუა უფლისაჲ ჩემდა მომართ. გასწორდა: ...ჩემდა მომართ მეორედ *ἄνωον φιλίპπος*.

196) 3,24: ძნიად ასულნი მათნი. გასწორდა: ძენი და ასულნი მათნი, *ἄνωον φιλίპπος*.

ყუათობრა ჩარხანჯ.

197) 3,25: და ვიწუვეით სირცხვლითა. გასწორდა: და ვე-
წევეით სირცხვლითა, 'Iξω:μῆμην, *სუხესაჲ* (ЛЕЖИМ В СТЫДЕ).
ჩანს, გადამწერმა შეგნებულად „გაასწორა“, რადგან სირცხვილით
დაწვა მან უფრო ბუნებრივად ჩათვალა.

198) 11,10: ...მიგურასა ჩემსა. დაემატა: და კლვაღ. *აჲ მნეს-*
მუ: („შეწირვად“), 'ჩ *საყანყ*.

199) 31,9: ვექმენ ისრაჲლსა. დაემატა: მამაღ (ეჲ: *პაქეჲ*, 'ჩ *რ-*
ქრ).

200) 32,40: და აღთქმაჲ. გასწორდა: და აღუთქუა აღთქ-
მაჲ, *καὶ δι'αμῆσιμα: ἀνοίξ: δι'αμῆ:νῆν. ἡ οἰκοδομηξ ἡογα οἰκο.*

201) 38,1: გოდლიას. გასწორდა: გოდოლიას (Γωδωλ:αξ,
გიოიოქა).

აქვე: პასქერიისა—პასქორისა (*პაჲწყრ. საყაჲიქრ*)
გოდებანი იერემიასნი: 202) 1,3: წარიტყუენა იერუსალჲმი. მო-

სალოდნელი იყო: ...იუდაჲ [=იუდეა ანუ ისრაჲლი], 'Iουδαία, *იოდაჲ*.
არ გასწორდა, რადგან ეს იკითხვისი შემთხვევით (მექანიკურ) შეც-
დომას არ ჰგავს.

203) 1,20: უშვილო მქნა მე მხოლომან. გასწორდა: ...მახ-
ვლმან, *μῆχ:ρჲ. სორ.*

204) 1,21: მეყო მე ვაჲმე. ვაჲმე. მოსალოდნელი იყო: იქმ-
ნეს მსგავსნი ჩემდა, *ἐγένουα ἑμο:οι ἕμο:* (შდრ. ОНИ СТАЛИ
ПОДОБНЫМИ МНЕ). მაგრამ არ გასწორდა, რადგან ქართულ იკითხვის
სომხური თარგმანი უჭერს მხარს: *სიღ ჩნბ. ქაჲ ქაჲ*. საფიქრებელია,
რომ ქართული და სომხური იკითხვისები ბერძნული წყაროს არა-
სწორ გაგებას ემყარებოდეს: *ემო:ო: ἕμο:* გაგებული იყოს, რო-
გორც *ებჲ* („ვაჲ“) შორისდებულის გამეორება: *ებჲ: ებჲ:*.

205) 3,51: ყოველთა ასოთა. გასწორდა: ყოველთა ასულ-
თა, *πῶσας ἑσῶχῶτῶξ, ღამხნაჲს ღათობრ.*

ბარუქი. 206) 2,13: განვაბნიენ ჩუენ, გასწორდა: გან-
მაბნიენ ჩუენ, *δι'εσπε:ρჲξ ἦμῶξ. ღრსეხერ ღმხჲ* (შდრ. ты рассеял
нас).

207) 2,14: ისმინე ლოცვისა ჩუენისაჲ. გასწორდა: ისმინე, უფა-
ლო, ლოცვისა ჩუენისაჲ. *Κύρη; ἄქრ*).

208) 2,18: სიმდიდრესა ზედა. გასწორდა: სიდიდესა
ზედა, *ἐπὶ τὸ μέγῃσος. ქარხნარქს.*

ან გეოზ). *Αγγρα: ας. ასნტის.* ტექსტში ან გეოზ-იც არის (2,1), მაგრამ ჩვეულებრივ ძველ ქართულში მიღებულია ან გეა.

232) 1,15: რაოზ მეფისასა. გასწორდა: დარეოზ მეფისასა. *Δαρειου τον Βασιλεως γαρβჩι არყაქი.*

ზაქარია. 233) 4,14: ორნი იგი ძირნი. გასწორდა: ორნი იგი ძენი (*ანი, ირქიძე*).

234) 6,10: სახლსა იუდაასსა. გასწორდა: სახლსა იოსიასსა, (...*’Iათინ, კიქსიყ*).

235) 14,8: გამოვიდეს წყალი. დაემატა: ცხოველი, *წყა: კსნიყ-ანი.*

მალაქია. 236) 3,3: ძენი იგი ლევისნი. გასწორდა: განწმიდნეს ბენი იგი... *ჯაჭარქსი, სიქხუჭ.*

237) 3,21: დღესა მას შინა, რომელთა მეყონ. გასწორდა: დღესა მას შინა, რომელსა მევეყო. *ღჳთ პით-ღირ ხა არარქყ.*

IV. ლექციონარის საკითხავებისა და ბიბლიური ზიგნების ქართულ თარგმანთა ურთიერთმიმართება

თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექციონარში უდიდესი ადგილი თვით ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ამოღებულ მღვდელმსახურებაში საკითხავად გამიზნულ ტექსტებს უკავია, ცხადი გახდება, რომ არსებითად ლექციონარი, ასე ვთქვათ, „გამოკრებილი ბიბლიაა“. ლექციონარის საკითხავების და ბიბლიური თარგმანის ურთიერთმიმართება ერთ-ერთი კარდინალური საკითხია, რომლის საბოლოო გადაჭრას ბევრი დებრკოლება ახლავს. ამ საკითხის შესწავლისას ყველაზე ძნელი და გადაუღაზავი დებრკოლება ისაა, რომ ლექციონარისა და ბიბლიის თარგმანთა ტექსტები მოღწეულია არა თავდაპირველი, არამედ გადამუშავებული სახით. მათი თარგმნისა (V ს.) და მოღწეულ ხელნაწერთა შექმნა-გადაწერის დრო (VII—VIII სს. ხანმეტ-ჰაემეტ ფრაგმენტებისა, IX—X სს. მეტნაკლებად სრული ნუსხებისა) საგრძნობლად დაშორებულია ერთმანეთს და უცნობია, რომელ ტექსტში რა მასშტაბის ცვლილებებია შეტანილი. ფაქტი კია, რომ ლექციონარისა და ბიბლიურ თარგმანის დღემდე მოღწეულ საერთო ტექსტებში მსგავსი და იდენტური საგრძნობლად მეტია, ვიდრე განსხვავებული. ამ გარემოების გათვალისწინებით მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ლექციონ-

ნარში საკითხავები მზამზარეულად უნდა იყოს შეტანილი ადრე არსებული ბიბლიურ წიგნთა ქართული თარგმანიდან¹. ამის თაობაზე გარკვევით წერს მ. თარხნიშვილი: „რაც შეეხება ტექსტს ქართულ ლექციონარისას, ის ძვირფასია არა მარტო ძველი ლიტურგიის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ ძველი ქართული ბიბლიური ტრადიციების შესაცნობადაც. პირველი ქართული ლექციონარის შედგენა მოდრს V. საუკუნეზე. ბიბლიური ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა ეკუთვნოდეს როგორც ახალ, ასევე ძველი აღთქმის ქართულ ვერსიას“². ბ. უტიეს აზრითაც, ლექციონარის საკითხავების სახით შემონახული უნდა იყოს ძველი რედაქციის ბიბლიური ტექსტი³.

ჟ. კეკელიძემ ცხრაას ათიან წლებში გამოთქმული თვალსაზრისის საპირისპიროდ მოგვიანებით განაცხადა: „ლექციონარებში იშვიათად შექჳონდათ მზამზარეული თარგმანიდან ადგილები. უფრო ხშირად მათ ხელახლად დამოუკიდებელი თარგმნიდნენ ხოლმე, მომეტებულ ნაწილად ბერძნული ენიდან. ასეთ კრებულებს ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს“⁴. ჩვენც, როცა იერემიას წინასწარმეტყველების საკითხავები შევეუდარეთ სათანადო ბიბლიურ ტექსტს, აღვნიშნეთ: „ლექციონარებში შესული საკითხავების შედარება ძველი ვერსიების (ოშურის, იერუსალიმურის) ტექსტებთან გვაფიქრებინებს, რომ საკითხავები ამოღებული არ უნდა იყოს პირდაპირ ძველი თარგმანიდან...; საერთოდ, საკითხი, ლექციონარებში საკითხავი მასალა ძველი თარგმანიდან შექჳონდათ. თუ ხელახლა თარგმნიდნენ, შეიძლება საბოლოოდ გადაიქრას მხოლოდ მაშინ. როცა გაირკვევა, რომელ ენაზე არსებულ და რა ტიპის ლექციონარებით სარგებლობდნენ ქართველი მთარგმნელები თუ რედაქტორები“⁵.

6. მელიქიშვილმა მოსეს ხუთწიგნეულის ნაწილში ერთმანეთს შეუდარა ლექციონარის საკითხავები და ბიბლიური თარგმანის გარ-

¹ К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия), Тифлис, 1912, გვ. 312; ბ. ივგორაყვა, ქართული შერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, № 4, 1939, გვ. 123.

² Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem, t. I, édité par Michel Tarchnischvili, Louvain, 1959, p. XIV.

³ ბ. უტიე, ჟ. კეკელიძე და ქართული ლექციონარის საკითხები: „მრავალთავი“, X, თბ., 1983, გვ. 32.

⁴ ჟ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, 421.

⁵ ჟ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა (საკანდ. დისერტაცია), თბ., 1965, გვ. 82.

კვეთლი ვერსიის ტექსტები და ასეთი ვარაუდი დაუშვა: არ არის გამოსარიცხი, რომ ოშკის ბიბლიის პროტოტიპი არსებობდა უკვე იმ დროს, როდესაც ლექციონარი გადმოჰქონდათ ქართულად, შეიძლება მთარგმნელს უცხოენოვანი (ბერძნული) დედნის გვერდით ხელთ ჰქონდა ბიბლიის ძველი ქართული თარგმანიც. იგი იცავდა ლექციონარის სტრუქტურას და შედგენის პრინციპებს, მაგრამ ალბათ იხედებოდა ამ პროტოტიპში ბერძნული ლექციონარის პარალელურად¹. ამ კომპრომისული თვალსაზრისით გამოდის, რომ ტექსტობრივი ცვლილება ბიბლიურ თარგმანს განუცდია, ოშკური ვერსიის პროტოტიპი რომ შემოგვრჩენოდა, სხვაობა არ იქნებოდა ბიბლიურ თარგმანსა და ლექციონარის საკითხავებს შორის. პ. ინგოროყვა კი საპირისპიროს ფიქრობს: მთარგმნელ-რედაქტორებს ლექციონარის შედგენის დროს უსარგებლიათ ქართული ბიბლიის არქაული ვერსიებით, მაგრამ ტექსტი საგრძნობლად გადაუმუშავებიათ², ე. ი. ბიბლიური თარგმანიდან მომდინარე საკითხავებს ცვლილება განუცდია ლექციონარში. რას ემყარება ასეთი საპირისპირო ვარაუდები? ან რატომაა ტექსტობრივი ცვლილება მაინცდამაინც მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში დაშვებული და არა ორივეში? იმიტომ რომ თავდაპირველად ორივე ტექსტის სრული იდენტურობა ივარაუდება, რადგან საკითხავები ბიბლიის თარგმანიდან მომდინარედ მიიჩნევა. მართლაც, ბიბლიურ თარგმანსა და ლექციონარის საკითხავებს შორის იდენტური ბევრად მეტია, ვიდრე განსხვავებული. ამ ფაქტის საფუძველზე დასკვნა შეიძლება ორგვარი იყოს: ლექციონარებში ბიბლიური საკითხავები მზამზარეულად შეუტანიათ ადრე არსებული ბიბლიურ წიგნთა თარგმანიდან (როგორც ფიქრობს მკვლევართა უმეტესობა), ან ლექციონარის ბიბლიური საკითხავები გამოუყენებიათ თვით ბიბლიურ წიგნთა სრული თარგმანის შესრულების პროცესში (უ. ცინდელიანი). უკანასკნელი დასკვნა ძნელად მისაღებია, რადგან მეტი საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ რელატიური ქრონოლოგიით ბიბლიური წიგნების თარგმნა უწინარესი უნდა იყოს ლექციონარის გადმოღებასთან შედარებით³. ხოლო თუ პირველ დასკვნას მივიღებთ, აუხსნელი რჩება ლექ-

¹ ნ. მელიქიშვილი, ხუთწიგნეული ძველი ქართული ლექციონარების მიხედვით (საკანდ. დისერტაცია), თბ., 1974, გვ. 34—36.

² პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა..., გვ. 123.

³ სარწმუნოა მტკიცება, რომ უძველესი (ხანმეტი) ლექციონარი თარგმნილი უნდა იყოს V ს-ის ბოლოს ან VI ს-ის დასაწყისში (უძველესი იაღგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჰანკიევმა; და ლ. ხევსურიაძმა, თბ., 1980, გვ. 684). ხოლო თუ მთელი ბიბლია არა, მისი

ციონარის საკითხავში არსებული ტექსტობრივი განსხვავებულობა, თვალშისაცემი „ორგინალური“ იკითხვისები ბიბლიურ თარგმანთან შედარებით.

ჩვენ სამუშაო ჰიპოთეზად ვიღებთ იმას, რომ ლექციონართა ბიბლიური საკითხავების გარკვეული (არქაული) ნაწილი ადრე არსებულ ბიბლიური თარგმნიდან კი არ მოდის, არამედ წარმოადგენს დამოუკიდებელ თარგმანს და ქართული ენის თავისთავადი ღირებულების წერილობითი ძეგლია. ამ ვარაუდს ხელს არ უშლის ტექსტობრივი სიახლოვე და იდენტურობა ბიბლიის თარგმანისა და ლექციონარის საკითხავებისა სხვა ნაწილში, რადგან:

ა) ერთი და იმავე ტექსტის ორი თარგმანი არა თუ შეიძლება ჰგავდეს. არამედ უნდა ჰგავდეს ერთმანეთს, მით უმეტეს თუ ორივე ერთი და იმავე ეპოქის ენითაა შესრულებული (ქრონოლოგიურად დიდი-დიდი ნახევარი ან ერთი საუკუნე აშორებდეს მათ). თარგმანის ზოგადი თეორიით ცნობილია, რომ თარგმანის სახეს მთლიანად განსაზღვრავს სამი ფაქტორი: 1. სათარგმნი ტექსტის შინაარსი (რა არის მასში დომინანტი — შინაარსობლივ-ინფორმაციული თუ ფორმალურ-სტილური ელემენტები); 2. ავტორის და, ასე ვთქვათ, მისი რწმუნებულის — მთარგმნელის მიზანდასახულობა; 3. მკითხველთა წრის (აუდიტორიის) ტიპი¹. ცხადია, ბიბლიურ წიგნთა და ლექციონარის საკითხავთა თარგმანების რაობის განმსაზღვრელი სამივე ზემოაღნიშნული ფაქტორი ერთგვაროვანი იყო და ამიტომ მსგავსება ამ ორ თარგმანს შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო და არის კიდევაც. მაგრამ ზოგიერთი წიგნის გარკვეულ ნაწილში ორი ტექსტის სრული იდენტურობა იმასაც გვაუარაულებინებს, რომ ლექციონარის გავრცობისას საკითხავების ნაწილი გვიან შეტანილი იქნა უშუალოდ ბიბლიის თარგმანიდან და ისინი ლექციონარში მოგვიანო მეორეული პლასტისა არიან. მაგალითად. იობის წიგნიდან პარიზულ ლექციონარში ბლომდაა მოყვანილი საკითხავები, რომლებიც ბიბლიის ოშკურ ვერსიასთან მიმართებით ან თითქმის იდენტურია (1—5, 25—27 თავები), ან საგრძნობლად განსხვავებული (7,9—10, 16, 19, 21; 28—30 თავები). არ უნდა ვიფიქროთ, რომ საკითხავების იდენტურობა ბიბლიურ თარგმან-

გარკვეული ნაწილი მაინც ქართულად უნდა თარგმნილიყო IV—V საუკუნეთა მიჯნაზე ან V ს-ის შუაწლებისთვის მაინც (ვ. დანელია, ვეთაღეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები: თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. ტ. 20. თბ., 1977. გვ. 67).

¹ Ю. А. Найдя, К науке переводить: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, М., 1978, гв. 115.

თან ამ შემთხვევაში გამოწვეული იყოს თვით სათარგმნი ტექსტის სი-
მარტივით (საერთოდ ასეთი რამ ხდება, მაგ., ოშკურ, მცხეთურ და
ბაქარაჩელ ვერსიებში თითქმის იდენტურია ეს მუხლი: აბრაჰამ იყო
მდიდარი ფრიად საცხოვრითა და ვეცხლითა და ოქროთა [დაბ. 13,2],
რატომ? იმიტომ რომ სამივე ვერსიის ავტორს დედანში ნახმარი ერთ-
მნიშვნელობიანი სიტყვების გადმოღება უხდებოდა), არა. მეორეული
პლასტის საკითხავები ოშკურ ბიბლიასთან იდენტურობას ავლენენ
რთულ ტექსტობრივ პასაჟებში, როგორცაა: ა) სპეციფიკური
ლექსიკა, მაგ., ბერძ. ἀγγελοι ძველ ქართულში ჩვეულებრივ
გადმოდის, როგორც ანგელოზი, მოციქული, მიმთხრო-
ბი. მაგრამ უკანასკნელი (არარელიგიური) მნიშვნელობით ოშკის
ბიბლიასა და პარიზულ ლექციონარშიც ნახმარია დალადისი
(იობ. 1.14; 1,16—18). ასევე AP-ში ნახმარია ეჩქუეფებოლიან
(იობ. 5. 14), ყვიან ტაძრობაჲ (=ლხინობდნენ), იობ. 1,4...
ბ) ტმესური ფორმების განმეორება: და-მცა-ვიძინე (იობ. 3,13
AP); გ) ფორმაუცვლელი სიტყვების (უდებრების)
განმეორება: იხილე სამე აწ მსახური ჩემი იობ? (იობ. 2,3) და
სხვ. იქ კი, სადაც ორ ტექსტს შორის საგრძნობი სხვაობაა, მთარგმ-
ნელთა ინდივიდუალური სტილი უნდა შედგენდებოდეს.

ბ) ლექციონარის მთარგმნელის ყურადღება უპირველესად იმაზე
იქნებოდა გამახვილებული, რომ რთული შედგენილობის (კალენდა-
რული, პოეტური, ბიბლიური...) ტექსტი თანმიმდევრულად
გადმოეტანა. ასეთ დროს მას ძნელად თუ შეეძლო საკითხავები მო-
ეყვანა ადრე არსებული ბიბლიური თარგმანიდან, რადგან ამ უკანასკ-
ნელის შემცველი ნუსხები (ოშკური, იერუსალიმური...) გაბმულ
ტექსტს შეიცავს და მასში არაა გამოყოფილი თავების
და მით უმეტეს მუხლების მაჩვენებლები¹. ამიტომევა, რომ
ლექციონარში ბიბლიურ საკითხავებს მითითება აქვს მართო წიგნებზე
და არა მათ კონკრეტულ ნაწილებზე.

გ) ლექციონარის ქართული ნუსხები (ხანმეტი, ჰემეტი, ლატალის,
კალის, სინური, პარიზული) ბერძნულიდან მომდინარე ერთი თარგმა-
ნის შევსება-განვითარების სხვადასხვა ეტაპს წარმოგვიდგენენ თვით
ლექციონარის ბერძნულ ტექსტში მომხდარი ცვლილებების გათვა-
ლისწინებით², ე. ი. ლექციონარის ქართულ ხელნაწერებში (ყველაზე

¹ ბიბლიის ბერძნული და ლათინური ტექსტების თავებად და მუხლებად დაყოფა გვიან (XIII საუკ.) იწყება და XVI საუკუნეში მთავრდება. ბიბლიის გვიანდელ-ქართულ ნუსხებში (გელათურსა და მცხეთურში) ახალი სისტემებზე დაყოფა ს. -ს ორბელიანს ეკუთვნის.

² დიდი ბაღარი..., თბ., 1980, გვ. 683—684.

მარტივი ხანმეტი ნუსხიდან მოყოლებული ყველაზე ვრცელი პარიზული ხელნაწერთ (დამთავრებული) ანგარიში ეწევა არა მარტო სათანადო ბერძნულ ტექსტში შეტანილ ცვლილებებს, არამედ ძველი ქართული თარგმანის ტექსტობრივ მემკვიდრეობითობატრადიციას, მაგრამ არა ჩანს, რომ ასეთივე ანგარიში ეწეოდეს ბიბლიურ თარგმანს, თორემ ლექციონარის ყველა საკითხავი სათანადო ბიბლიური თარგმანის მსგავსი კი არაა. სრულებით იღენტური იქნებოდა.

დ) ლექციონარის საკითხავებში მოიპოვება ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანისაგან (ოშკური ვერსიისაგან) განსხვავებული ფორმალურ-სტრუქტურული (გრამატიკული) და ლექსიკურ-შინაარსობრივი იკითხვისები. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში ბიბლიურ წიგნთა თარგმანი რამდენადმე უფრო დაახლოებულია ბერძნულ წყაროსთან, ვიდრე ლექციონარის საკითხავები. ეს კი მიანიშნებს არა მარტო იმაზე, რომ საკითხავები დამოუკიდებელი თარგმანია, არამედ იმაზეც, რომ ბერძნულ წყაროსთან დაახლოებრა მიზნით (ათონელთა სკოლის გამოსვლამდე) ცვლილება განუცდია ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ თარგმანს, მაგრამ ამ უკანასკნელს გავლენა არ მოუხდენია ლექციონარის საკითხავთა ძველი ტრადიციის ტექსტზე.

სანამ ბიბლიური თარგმანისა და საკითხავთა ვრცელ ტექსტს შევეუდარებდეთ, მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს ლექციონარის „ორიგინალური“ იკითხვისისა: 1) ოთხთავის დღემდე ცნობილი ყველა ქართული ვერსია საკუთარი სახელის ელია ფორმას იცნობს, რაც შეესაბამება ქართული თარგმანისთვის სავარაუდო უცხოენოვან პირველწყაროთა იკითხვისებს (ბერძნ. Ἡλιᾶς, სომხ. *Եղիա*, სირ. 'elīā). მაგრამ პარიზულ ლექციონარშია ჰელია (ლკ. 9.8), რომლის ჰ, ალბათ, ბერძნული ეტას ფშვინვიერ შემართვას (სპირიტუს ლენისს) გადმოსცემს.

2) ოთხთავის ყველა ქართული რედაქცია ერთი ადგილის ასეთ იკითხვისს იძლევა: „... რომელნი მოვიდოდნან თქუენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“ (მ. 7.15). მაგრამ პარიზულ ლექციონარშია „სამოსლითა კრაველითა“ (..παρεπιζῶντες, *იქიარავს* ...). კრაველ სიტყვას თითქო არ იცნობს ბიბლიის ქართული თარგმანი, როგორც ეს ჩანს ილ. აბულაძის „ძველი ქართულის ლექსიკონიდან“, ხოლო ნეოლოგიზმად მისი მიჩნევა კირს, რადგან „ორიგინალური“ იკითხვისები P-სი მეტწილად არქაული

ფენისაა. მაგალითად, P-შია: ლაზარე დაერდომილ იდვა ბჭეთა მისთა და ეკუებიან (ლ. 16.20). ამ უკანასკნელს ოთხთავის რედაქციებში შეესატყვისება ქუე ძურებოლა (CD+ეფთვ., გიორგისა) და დამლიერე-ბული E. „კუება“ ძველი ხმარების სიტყვაა, რომლის მნიშვნელობაა მოკლება-წართმევა, დაუძღურება (შდრ. ოშკის ბიბლიიდან: არცა შეეძინოს, არცა გამოეკუეას, ზირ. 42,22; ნუ აკუებ მას თავისუფლებასა, ზირ. 7,23).

ქართულ ლექციონარში საკითხავებად სრულადაა შესული იონას წინასწარმეტყველება. ამ ძეგლიდან მოგვყავს პარიზული ლექციონარის ისეთი დამოუკიდებელი, „ორიგინალური“ იკითხვისები, რომელთაც პარალელი არ ეძებნებათ ბიბლიურ წიგნთა არც ერთ დღემდე ცნობილ ვერსიაში:

ბიბლიური თარგმანი J (იერუს.), A (ათონ.) M (მოსკ. ბაქარის) ვერსიებისა

საკითხავები P' (პარიზული) ხელნაწერიდან

1.3: მისცა სანავჱ მისი

მისცა მან სასყიდელი ნავისაჲ, ეძაჲენ თბ *ναυλον* ან-
τση.

1.6. მენავე A, ნავის მხერვალი J, მეპრორე M (შდრ. *πρωρε-ς*) გვკსნნეს ხოლო თუ ღმერთმან JA, მაცხოვნნეს ჩუენ ღმერთმან M.

მენავეთ მოძლუარი, ბ *πρωρε-ς*

განგუარინნეს ჩუენ ღმერთმან, *διασωθη* ბ *μεις* *ημεις*.

1.7. და განაგდეს წილი, და აღმოუქდა წილი იგი იონას JA: და ყარნეს წილი და დავარდა წილი იონას ზედა M.

წილს-ითხინეს, და წილი იგი აღმოქდა იონას ზედა, *εβλεπον* *αληγορας*, *και*: *επεσεν*. ბ *αληγορας* *επι*: *Ιωναν*.

1.11. ზლუაჲ იგი აღდგებოდა და აღადგინებდა უფროჲსლა დელვასა JA ზლუაჲ ვიდოდა და უფროჲს აღადგენდა დელვათა M.

ზლუაჲ იგი უფროჲს აღიმრღუეოდა და განსასტკენებოდა მათ ზედა; *η* *μαλατ-σση* *επορεσето* *και*: *εζηγειρεν* *μαλι-ον* *αλδωναν*.

ბიბლიური თარგმანი J (იერუს.), A (ათონ.) M (მოსკ. ბაქარის) ვერსიებისა	საკითხავები P (პარიზული) ხელნაწერიდან
1,15. აღიღეს (მოიყუანეს M) იონა JAM.	აღიქუეს იონა, ჰლაჟონ ტენ 'Iṓnyu.
2,11. გამოაგდო იონა კმელად JA, განაგდო იონა კმელსა ზელა M.	უბრძანა... გამონერწყუვა იონაისი კმელად, ჰჭჳჳალენ ტენ 'Iṓnyu ἔ:; ἰῆν ἑῆραγ.
3,6. სამკაული თვის A, სამოსელი (შესამოსელი M) მისი JM.	სამოსელი საშარავანდოა, პერ:εἴλατο ἰῆν σοιῆγ.
შეიმოსა (გარემოიოტყა M) ძაძა AJM.	შთაიოტყა ძაძა, პერ:εῖῆλατο σῆ:;კონ.
3,10. მოიქცეს საქმეთა მათთაგან ბოროტთა JA, მოაქციეს საქმეთაგან მათთა ბოროტთა M.	გარე-მოაქციეს საქმეთაგან უკეთურებისა მათისათა, ἄπῆσῆρεψαν ἄπῆσ ἰῆν ἔმῆν ἑῆსῆნ ტῆν პონერῆν.
4,1. იურვოდა A, შეშფოთნა J, შეირია M.	შეიძნო, სუნეჯამი.
4.5. კარავი JAM.	შუაგი ῆკῆγῆγ.
4,6: თავსა თანა JA, ზეშთა თავსა M.	სასთუნლით, ἰპῆრ ἑფაღῆჯ.
4,8. ქარსა ცხელსა JAM. იყო აღმოსლვასა მზისასა AJ, და იქმნა მესყელად აღმოსლვასა მზისასა M.	ხორშაკსა ნიავებად პუნῆმატი ἑῆსῆსონაჯ. და იყო დაცხრომა მზისაჲ, ἑῆ: ἑῆუნῆსო ἑῆμα ἰῆ ἄუნაუნეღა: ტენ ῆღῆსონ.
4,11. მე არა შევიწყალოა ნინევე? A; მე არა ვერიდოა ნინევსა? J, მე არა ვპრიდო ნინევისა? M.	მემცა არა მეწყალოდა ნინევე...? ἑῆჯ ῆმῆ ἑῆ ῆუნაოჲმა: ἰპῆრ Nῆუნῆგ.

ასეთივე საგრძნობი სხვაობაა პარიზულ ლექციონარში სრულად შესული რუთის წიგნის საკითხავებსა და სათანადო ოშკური ბიბლიის

ტექსტებს შორის (შემოკლების მიზნით ბერძნული ტექსტი არ მოკვეთეს).

ბიბლიური თარგმანი ოშკური ვერსიისა	საკითხავები პარიზული ხელნაწერიდან
<p>1.1. ...დღეთა მათ, მსაჯულთა მჯასა... წარვიდა კაცი ბეთლემით ჰურიასტანისაჲთ მწირობად სოფელსა მას მოაბისასა.</p>	<p>1.1. რაჲმს სჯიდეს მსაჯულნი..., წარვიდა კაცი ბეთლემით იუდაჲსით მსხემობად აგარაკსა მოაბისასა.</p>
<p>1.2. და სახელი მისი ელემელეჲ და სახელი ცოლისა მისისაჲ ნოომინ, და სახელი ორთა მათ ძეთა მისთაჲ მაალონ და ქელონ, ეფრათელი ბეთლემით ჰურიასტანისაჲთ. და წარვიდეს ქუეყანასა მას მოაბისასა და იყოფოდეს მუნ...</p>	<p>1.2. და იყო სახელი მის კაცი-საჲ აბიმელიჲ და სახელი ცოლისა მისისაჲ ნოიმი და სახელი ორთა ძეთა მისთაჲ მალეონ და ქელეონ ეფრათელნი ბეთლემით იუდაჲსით. და მივიდეს აგარაკსა მას მოაბისასა და იყვნეს მუნ.</p>
<p>1.4. და მოიყვანნეს ძეთა მათ მისთა თავისა თვისისა ცოლნი...</p>	<p>1.4. და ისხნეს მათ ცოლნი მოაბელნი.</p>
<p>1.6. და აღდგა დედაკაცი იგი და ორნივე ძის ცოლნი მისნი და მოიქცეს იგინი ქუეყანით მოაბისაჲთ სოფლად ჰურიასტანისასა, რამეთუ ესმა მათ ქუეყანასა მას მოაბისასა, ვითარმედ მოჰხედა უფალმან ერსა თვისსა მოცემად ნაყოფისა.</p>	<p>1.6. და აღდგა დედაკაცი იგი და ორნივე ძის ცოლნი მისნი და მოიქცეს აგარაკით მოაბისაჲთ, რამეთუ ესმა მათ აგარაკსა მოაბისასა, ვითარმედ მოხედა უფალმან ერსა თვისსა მოცემად მათა პურისა.</p>
<p>1.7. და გამოვიდა იგი მიერ ქუეყანით და ორნი იგი ძის ცოლნი მისნი მის თანა. და მოვიდეს იგინი გზასა მოქცევად ქუეყანასა მას ჰურიასტანისასა.</p>	<p>1.7. და გამოვიდა ადგილისა მისგან, სადა იყო მუნ და ორნივე იგი ძის ცოლნი მის თანა. და მოვიდეს გზასა, რაჲთამცა მიიქცეს ქუეყანად იუდაჲსა.</p>
<p>1.9. და მოგაგენ უფალმან კეთილისა მაგის წილ, და ჰპოვოთ თქვენ განსუენებაჲ სახლსა შინა ჰმრისა თვისისასა...</p>	<p>1.9. მოგეცინ თქვენ უფალმან და ჰპოებთმცა განსუენებასა თითოეული სახლსა შინა ჰმრისა თვისისასა...</p>

ბიბლიური თარგმანი ოშკური
ვერსიისა

საკითხავები პარიზული
ხელნაწერიდან

1.12--13. არამედ აწ წარვე-
დით... მათ ელოდით თქვენ,
ვიდრემდე განორძდენ და დაგი-
ყენნე თქვენ, რაათა არა ისხნეთ
ქმარ?

1.14. ამბორს-უყო ურიფა დე-
დამთილსა თესსა და წარვიდა ერ-
ისა თვისსა... ხოლო რეთ შეუდგა
და მოსდევდა მას.

1.15. ...აჰა ეგერა მიიქცა მო-
ყუასი შენი ერისა თვისსა..., მი-
იქცე შენცა მოყუისისა შენისა
თანა.

1.16. ...არამედ ვიდრეცა მიხ-
ვდე, მივიდე, და სადაცა იყო-
ფოდი, ვიყოფოდი მეცა შენ თანა.

1.17. და სადაცა მოჰკუდე,
მოვეკუდე მეცა და მუნ დავეფლა.
ესე მიყავნ მე უფალმან და ესე
შემძინენ. რამეთუ სიკუდილმან
განწვალოს შენ შოვრის და ჩემ
შოვრის.

1.20. და პრქუა მათ: ნუ
მრქვთ მე ნოომინ, არამედ მარ-
ქეთ მე სიმწარძ, რამეთუ განამ-
წარა ძლიერმან ჩემ ზედა.

2.1. და ნოომინის ქმრისაჲ
იყო კაცი მეცნიერი, და კაცი
ესე იყო ძლიერ ძალთა ნათესა-
ვისგან ელემელექისა. და სახელი
მისი ბოოზ.

1.12—13. არამედ მიიქციეთ
აწ... მათ ელოდით თქვენ, ვიდ-
რემდის განმწესნენ და მათთვის
ნუ დაგიყენნე, რაათა ისხნეთ
თქვენ ქმარ?

1.14. და ამბორს-უყო ურიფა
და მიიქცა და წარვიდა სახილ
თვსა. ხოლო რეთ შეუდგა მას.

1.15. აჰა ესერა უკუნიქცა ში-
ლი შენი ერისა თვისსა..., მიიქცე
აწ შენცა უკუანა შილისა შენისა.

1.16... არამედ ვიდრეცა მიხ-
ვლოდი შენ, მივილოდი მე, და სა-
დაცა შენ იყო, მუნცა მე ვიყო.

1.17. და სადაცა შენ მოჰკუდე,
მუნცა მე მოვეკუდე და შენ თანა
დავეფლა. ესე მიყავნ მე უფალ-
მან და ესე შემძინენ, რამეთუ
სიკუდილმან განყენება ყოს შენ
შორის და ჩემ შორის.

1.20. და პრქუა მათ: აწ ნუ
მხადით მე ნოომით, არამედ მარ-
ქეთ მე განმწარებულ, რამეთუ
განმწარდა ჩემ ზედა მძიმე ფრი-
ად.

2.1. და იყო ნოომის ქმრისაჲ
მუნ კაცი მეცნიერი; ხოლო კა-
ცი იგი იყო მდიდარ ძალითა ნა-
თესავისგან აბიმელიქისი და სა-
ხელი მისი ბოოზ. და სცა ნოომოს
სახლი საქურიოჲ ყოფად მას
შინა.

ბიბლიური თარგმანი ოშკური
ვერსიისა

საკითხავები პარიზულა
ხელნაწერიდან

2,2. და ჰრქუა რუთ მოაბელ-
მან ნოომინს: განვიდე ველად და
ვკრიბო თავი კოვილისაჲ შემდ-
გომად. სადაცა ეპოვო [მადლი]
წინაშე თულათა მისთა. და ჰრქუა
მას ნოომინ: განვედ, ასულო.

2,3. და განვიდა და მივიდა და
შეკრიბა თავი კოვილისაჲ ყანასა
შინა შემდგომად მომკალთასა. და
მიემთხვა იგი მიმთხუევით ნა-
წილსა მას ყანასა ბოოსისსა, რო-
მელი-იგი იყო ნათესავისაგან ელ-
ემელექისა.

3,4. ...მივედ მახლობელად
მისა და დაწევ ფერკთა თანა მის-
თა, და მან გითხრას შენ, რაჲ-იგი
ჯერ-არს ყოფად შენდა.

3,5. ჰრქუა რუთ დედამთილსა
თქსსა: ყოველივე, რაჲცა მრქუა,
ვეყო.

3,6. და აღვიდა იგი კალოდ
მისა და ყო ეგრე, ვითარცა ამ-
ცნო დედამთილმან მისმან.

3,7. და ჭამა ბოოს და სუა და
განმხიარულდა გული მისი და მი-
ვიდა და დაწვა იგი ზენსა მას წე-
რულისა მისისასა. ხოლო რუთ
მივიდა მისა ფარულად და დაწვა
იგი მახლობელად ფერკთა თანა
მისთა.

2,2. და ჰრქუა ნოომინს რუთ:
მივიდე ყანად და ვკრიბო თავი
უკუანა მომკალთა, სადაცა ეპოვო
მადლი წინაშე მათსა. და ჰრქუა
მას: ვიდოდე, ასულო.

2,3. და წარვიდა კრებად ყა-
ნისა უკუანა მომკალთა: და მიემ-
თხვა მიმთხუევით ნაწ-ლსა მას
აგარაკისა ბოოზისსა, რომელი
იყო აგარაკისაგან აბილმელიქისი.

3,4... მივედ და იპყარ სამო-
სელი ფერკით კერძო მისა და და-
წევ. და მან გითხრას, რაჲ-იგი
ჯერ-იყოს შენდა ყოფად.

3,5. და მან ჰრქუა: ყოველი-
ვე, რაჲცა მრქუა, და ვყო.

3,6. და შთავიდა კალოსა მას
და ყო ეგრე, ვითარცა ამცნო
დედამთილმან მისმან.

3,7. და ჭამა ბოოზ და სუა:
და განმხიარულდა გული მისი და
მოვიდა დაწოლად ნაწილსა მას
საწოლისა მისისასა. ხოლო რუთ
მივიდა ფარულად და აღყო სა-
მოსელი ფერკით კერძო და დაწ-
ვა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა მოსეს ხუთწიგნეუ-
ლიდანაც. მაგრამ აუცილებლად არ ჩავთვალეთ, რადგან ბიბლიის ამ
ნაწილში ოშკური ვერსიის და ლექციონართა შესატყვისი ტექსტები

დაწერილებით შეუდარა ნ. მელიქიშვილმა და ორივე ტექსტი ერთი რედაქციის ვარიანტებად მიიჩნია. მისი აზრით, სხვაობები ამ ორ ტექსტს შორის შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ლექციონარის მთარგმნელს ბერძნულ წყაროსთან ერთად შესაძლოა ხელთ ჰქონდა ოშკის ბიბლიის პროტოტიპი¹. თითქო ასეთი ვარაუდით ადვილად აიხსნება ამ ორ ტექსტს შორის არსებული მსგავსებაც და სხვაობაც: მსგავსება მათ შორის იმიტომაა, რომ ლექციონარის გადმომღებს უსარგებლია ოშკური ვერსიის პროტოტიპით, ხოლო სხვაობა იმიტომაა, რომ ლექციონარის მთარგმნელს ბიბლიური თარგმანის (ოშკური პროტოტიპის) ტექსტი შეუჭერებია ბერძნული ლექციონარის ბიბლიურ საკითხავებთან და რამდენადმე შეუცვლია. მიუხედავად ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობისა მაინც რჩება უკმაყოფილების გრძნობა და ეჭვი იმის გამო, რომ ბიბლიური თარგმანისა და ლექციონარის საკითხავეთა მოღწეული ტექსტების ურთიერთმიმართების გასარკვევად ორიენტაცია აღებულია მოღწეულ წინარეოშკურ ვერსიაზე. თანაც ასეთი ვარაუდით, ლექციონარის გადმომღების პროცესი ტექნიკურად ძალზე გართულებულად წარმოგვიდგება. გამოდის, რომ ლექციონარის გადმომღები თავად თანმიმდევრულად თარგმნიდა ბერძნული ლექციონარის კალენდარულ-ტიპიკალურ ნაწილს, თან ყოველ წუთს უხდებოდა სხვადასხვა წიგნებიდან საკითხავეების მოძებნა ბიბლიის ძველ (ოშკურის პროტოტიპის) თარგმანში, შემდეგ აჭერებდა ამ ძველ თარგმანს ბერძნულ წყაროსთან და ბოლოს შექმნიდა ლექციონარის კალენდარულ ნაწილში. საქმე ისაა, რომ ლექციონარის საკითხავეთა გადმომღების პროცესს ასე გართულებულადაც თუ წარმოვადგენთ, საკითხავეები მაინც დამოუკიდებელ ტექსტად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, თუ ლექციონარის გადმომღები ბიბლიური თარგმანის ტექსტს საგანგებოდ აჭერებდა ბერძნულ წყაროსთან და უცვლელად ტოვებდა გარკვეულ ნაწილს თუ საგრძნობლად ცვლიდა, ის ორივე შემთხვევაში თავისი მთარგმნელობითი პრინციპების შესაბამისად მოქმედებდა და მის ხელში გამოვლილი ტექსტი დამოუკიდებელი თარგმანის რაობისა იყო. აქ არ შეიძლება არ ვავიხსენოთ, რომ ძველ საქართველოში რედაქტორ-შემჭერებელი მთარგმნელადაც მიიჩნეოდა. ბიბლიურ წიგნთა გვიანდელი რედაქტორ-მთარგმნელნიც კი (გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე)

¹ მელიქიშვილი, ხელწიგნული ძველი ქართული ლექციონარების მიხედვით... გვ. 34—36.

არც თუ მკვეთრად ცვლიდნენ წინარე რედაქციების ტექსტს. ზოგჯერ უცვლელად ტოვებდნენ 5—10 მუხლსაც კი¹, რადგან მიაჩნდათ, რომ მათ ხელში არსებული ადრეული რედაქციის ტექსტი გარკვეულ ნაწილებში შესატყვისობაში იყო ბერძნულ დედანთან და შეესაბამებოდა მათ მთარგმნელობით პრინციპებს (ასეთ შემთხვევაში მათ შესაცვლელი არაფერი ჰქონდათ და ასეთი ადგილები რომც ეთარგმნათ, ადრეული თარგმანის იდენტურ ტექსტს მიიღებდნენ).

ლექციონარის საკითხავების გარკვეული ნაწილი რომ დამოუკიდებელი თარგმანია, ეს კარგად ჩანდა ზემოდსახელებული ტექსტობრივი მასალიდან, აქ დამატებით მოვიყვანთ მოსეს ხეთფიგნეულის, კერძოდ, დაბადების მე-13 თავიდან მხოლოდ რამდენიმე მუხლის ტექსტს ბიბლიის ოშკური და ლექციონარის პარიზული ხელნაწერებიდან.

ბიბლიური თარგმანი ოშკური
ვერსიისა²

საკითხავები პარიზული ხელნაწერიდან

13,5. და ლოტ თანა-მოსრულ იყო აბრაჰამისა, იყო საცხოვარი და ზროხა და კარვები.

13, 14. ...ალიხილენ თუალნი შენნი და იხილე მაგიერ ადგილით, სადა-ეგე ხარ შენ აწ. ბღურად კერძო და ჩრდილოდ, აღმოსავალად და ზღუად.

13,15. ყოველსა ქუეყანასა რომელსა შენ ჰხედავ, შენ მიგცე იგი და ნათესავსა შენსა უკუნისამდე.

13,16. და ვყო ნათესავი შენი ვითარცა [ქვშა] ქუეყანისაჲ. და

13,5. და ლოტ, რომელი გა-მოვიდა აბრაჰამის თანა. იყო მისიცა ცხოვარი და ზოოხა და კარვები.

13,14. ...ალიხილენ თუალნი შენნი ზეცად და იხილე თვთ მაგიერად გზაჲ, რომელსა-ეგე შენ სდგა, ჩრდილოთ კერძო და მართლიად მზის აღმოსავალსა და ზღვთ კერძო.

13,15. რამეთუ ყოველი იგი ქუეყანაჲ, რომელსა ხედავ, შენ მიგცე იგი და ნათესავსა შენსა უკუნისამდე.

13,16. და ვყო ნათესავი შენი ვითარცა ქვშა ზღვსაჲ. უკეთეთ.

¹ კ. დანელია. პავლე ეპისტოლეთა ქართული რედაქციები (გიორგისა, ეფრემისა): თსუ-ს წველი ქართული ენის კათედრის შრომ., ტ. 19, თბ., 1976, გვ. 98.

² მცხეთური ბიბლიის (A-51) ტექსტი ოშკურისაგან სრულებით განსხვავებულია ელინოფილური სტილით.

ბიბლიური თარგმანი ოშკური ვერსიისა	საკითხავები პარიზული ხელნაწერიდან
<p>უკუეთუ ვინმე უძლოს ქვშაა ქუეყანისაა აღრააცხად, ნათესავიცა შენი აღრააცხოს.</p> <p>13,17. აღდეგ და მოვლე ქუეყანაა სიგრძელ და სივრცე მისი, რამეთუ შენ მიგცე იგი.</p>	<p>ქვშაა ზღვსაა აღ-ვინმე-რაცხოს. შენიცა ნათესავი რიცხესა ქუეშე იყოს.</p> <p>13,17. აწ აღდეგ და მოზომე ქუეყანაა ეგე, სიგრძელ და სივრცელ. რამეთუ შენ მიგცე ეგე.</p>

ე) ლექციონარის საკითხავები აღრე რომ ხელახლა ითარგმნებოდა, ამას ყველაზე მკაფიოდ ცხადყოფს ასეთი ფაქტი. ზოგჯერ ლექციონარში ერთი და იგივე ბიბლიური საკითხავი ორჯერაა შეტანილი მსგავსი დღესასწაულების განგებებში, ე. ი. საკითხავი მეორდება. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა დღეებზე ორჯერ შეტანილი ერთი და იგივე საკითხავის ტექსტები იდენტური კი არ არის, არამედ განსხვავებული და ეს სხვაობა იმ მასშტაბისაა, რა მასშტაბისა შეიძლება იყოს სხვაობა, ვთქვათ, ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებს შორის ან ბიბლიურ თარგმანსა და საგრობოლად განსხვავებულ სათანადო ლექციონარის საკითხავს შორის. თუ საკითხავი ბიბლიურ წიგნთა აღრე არსებული თარგმანიდან იქნებოდა აღებული, ცხადია, განმეორებული საკითხავის ტექსტებს შორის ლექსიკური და გრამატიკული სხვაობა სრულებით არ უნდა ყოფილიყო. ხომ არ შეიძლება საპირისპირო მტკიცება: თუკი საკითხავები ხელახლა ითარგმნებოდა, სხვადასხვა ადგილას ჩართული, ერთი და იგივე საკითხავი ტექსტობრივად ერთნაირი უნდა ყოფილიყო. არა.

ჯერ ერთი, ლექციონარი კალენდარულ ნაწილთან ერთად საკითხავებითაც რომ ივრცობოდა საუკუნეების განმავლობაში, ეს დამაჯერებლად დამტკიცა ელ. მეტრეველმა ლექციონარის ჰემეტურ და პარიზულ ნუსხებს შორის საერთო ნაწილთა შეპირისპირების საფუძველზე: „იერუსალიმური ლექციონარის ჩამოყალიბების აღრეულ ეტაპზე, როდესაც ლექციონარის კალენდარი ძირითადად საუფლო დღესასწაულებით იფარგლებოდა, ყოველ დღესასწაულთან ბიბლიური საკითხავების სრული ტექსტი იყო მოტანილი (ლექციონარის განვითარების ამ ეტაპს ასახავენ უძველესი სომხური ლექციონარი და ქართული ხახმეტი ლექციონარი), V საუკ.-ის დასასრულისათვის საეკლესიო

კალენდარი უკვე მოიცავდა მთელი წლის წმინდანთა ხსენებას. კალენდრის გაფართოებამ გამოიწვია ერთი და იმავე საკითხავების გამეორება მსგავსი დღესასწაულების განგებებში, რასაც დიდად უნდა გაეზარდა ლექციონარის მოცულობა. ერთი და იმავე საკითხავის სრული ტექსტის რამდენიმეგზის განმეორების თავიდან აცილების მიზნით ლექციონარისთვის შემუშავდა მითითებათა სისტემა: 1. ერთი დღესასწაულის განგებისათვის მითითებულია მეორე დღესასწაულის სრული განგება; 2. მხოლოდ დასაწყისებით მოტანილი საკითხავების სრული ტექსტებისათვის განგებაში მითითებულია სხვა დღესასწაულების განგებები; 3. რომელიმე დღესასწაულის განგებისათვის მითითებულია სხვა ზოგადი განგება¹. მაშასადამე, თუ ლექციონარის საკითხავები ივრცობოდა, უნდა ვიფიქროთ რომ ერთი და იგივე საკითხავის განმეორებულ ტექსტებში სხვადასხვა დროის თარგმანი უნდა იყოს.

მეორეც, თუ ერთ და იმავე საკითხავთა განმეორებული ტექსტების მთარგმნელი ერთი პიროვნება იქნებოდა, ტექსტობრივი სხვაობა განმეორებულ საკითხავებს შორის მაინც აღმოჩნდებოდა. რადგან ლექციონარის რთული და მრავალფეროვანი (კალენდარული, პოეტური, ბიბლიური) მასალის გადმომღები უპირველესად ყურადღებას იმაზე გაამახვილებდა, რომ თანმიმდევრულად გადმოეტანა დედნის ყველა ნაწილი. შეიძლება, ასეთ პროცესში მას არც გაჰხსენებოდა ადრე თარგმნილი ბიბლიური საკითხავის ორიოდ მეხლი და ხელმეორედ თარგმნისას მიეღო პირველისაგან განსხვავებული ტექსტი.

გასარკვევია, საკითხავთა განმეორების ასაცილებლად შემუშავებულ მითითებათა სისტემის შემდეგ მაინც რატომღა საკითხავები განმეორებული? ხომ არ მიანიშნებს ასეთი საკითხავები მათი არქაული (შემოკლებათა სისტემამდელი) ფენისგან მომდინარეობას? ამ საკითხის გადასაწყვეტად არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ ფაქტს, რომ, ჯერ ერთი, ძველი აღთქმიდან მომდინარე ერთ და იმავე საკითხავთა თუ მის ნაწილთა განმეორების 15-ოდე შემთხვევა ყველა საწინასწარმეტყველოდ ანა (დიდ და მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებიდან) და, მეორეც, განმეორება მეტწილად ხდება არა დამოუკიდებლად შეტანილი საკითხავების სახით (ასეთი სულ ერთია, იერ. 31, 23—28: 16v—17r; 332v), არამედ საკითხავთა გარკვეულ ნაწილში, კერძოდ, საკითხავთა მოსაზღვრე-

¹ უქველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სიძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. კანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980, გვ. 676—677.

მომიჯნავე მუხლების ტექსტები მეორდება. ჩვენ ვასახელებთ შემთხვევებს, განმეორებული მუხლები თუ რა ნაწილებად მოდის საკითხავებში:

1. განმეორებული მუხლები (ეს. 8,16—18) ერთგან დამოუკიდებელ საკითხავად მიდის, მეორედ კი — სხვა საკითხავის (ეს. 3, 8 — 18-ის) ბოლო ნაწილად.

დამოუკიდებელი საკითხავი (215v)

სხვა საკითხავის ბოლო (320 v)

ეს.8,16. მაშინ ცხად იყვნენ აღბეჭდულნი იგი შჯულსა არა სწავლად.

17. და თქუა: ვჰგებდე მე უფალსა, რომელმან გარე-მიიქცია პირი მისი სახლისაგან იაკობისა, და ვიყო მე მისა მოსავ.

18. აჰა ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე უფალმან. და იყოს სასწაულებად და ნიშნებად სახლსა ზედა ისრაჴლისასა უფლისა მიერ საბაოთისა.

ეს. 8,16. მაშინ გამოჩინებულ იყვნენ, რომელნი ჰკრვიდეს და ჰბეჭდვიდეს შჯულსა, ვითარ ნუვინ ისწავა.

17. მაშინ სთქუა: დავადგრე და ველოდი ღმერთსა, რომელმან გარე-მიიქცია პირი სახლისაგან იაკობისა, და ვესვიდე მას.

18. და აჰა მე და ყრმანი ესე ჩემნი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან და იყოს სასწაულად და ნიშნად ზედა სახლსა მას ისრაჴლისასა უფლისაგან ღმრთისა ძალთაჲსა, რომელი დამკვდრებულ არს მთასა ზედა სიონსა.

ანალოგიური ვითარებაა სხვაგანაც. მალაქ. 1,9—11 (343r: 79v).

2. განმეორებული მუხლები (იოვ. 2,15—18) ერთგან დამოუკიდებელ საკითხავად მიდის, მეორედ კი — სხვა საკითხავის (იოვ. 2.15—19-ის) დასაწყის ნაწილად.

დამოუკიდებელი საკითხავი (28v—29r)

სხვა საკითხავის დასაწყისი (339v—340r)

იოვ. 2,15. ნესტუ ალამალეთ სიონს შინა, მარხვაჲ მიაწიეთ, კურნებასა ქადაგებლით.

იოვ. 2,15. დაჰბერეთ ნესტუსა სიონს შინა, წმიდა ყავთ მარხვაჲ, ქადაგეთ მსახურებაჲ.

დამოუკიდებელი საკითხავი
(28v—29r)

16. ერი შემოკერბით, წმიდა ყვენი ეკლესიანი, შეიწყნარებდით მოხუცებულთა, შემოჰკრებდით ბებუას-მწოვართა, ნინევეთა. გამოვედინ სიმც [სასუენებელით] და სძალი — ეზოათ თვისით.

17. შორის აღსავალსა საკურთხეველისასა ტიროდეთ მღვდელნი და მსახურნი უფლისანი, იტყოდეთ: ულხინე, უფალო, ერსა შენსა და ნუ მისცემ ნაწილსა შენსა სირცხვლსა ყუედრებისასა, რაათა არა უფლებდენ მათ ზედა წარმართნი და რაათა არა თქუან: სადა არს ღმერთი იგი მათი?

18. და შეშურდა ღმერთსა ქუეყანისა თვისსა და შეიწყალა ერი თვისი.

სხვა საკითხავის დასაწყისი
(339v—340r)

16. შეკერბით ერი. წმიდა ყავთ ეკლესიაჲ, გამოარჩინით ჩჩკლნი, ძუძუას-მწოვარნი. გამოვედინ სიმც სასუენებლით თვისით და სძალი — სასბლოათ თვისით.

17. და შორის აღსავალსა საკურთხეველისასა ტიროდეთ მღვდელნი, რომელნი მსახურებთ უფალსა, და იტყოდეთ: ულხინე, უფალო ერსა შენსა და ნუ მისცემ სამკვდრებელსა შენსა საყუედრელად და არა თქუან: სადა არს ღმერთი იგი მათი?

18. და შეიშურვა უფალმან ქუეყანისა მისთვის და ერისათვის.

ანალოგიური ვითარებაა სხვაგანაც. მალაქ. 3,1—2 (15r; 343v)..

3. განმეორებული მუხლები (იერ. 31,13—14) ერთ საკითხავში დასაწყისად მიდის, მეორეში — ბოლო ნაწილად. ასეთებია: ეს. 45,22 (77r—v; 137v), ეს. 56,1—2 (104r; 327r); იერ. 32,19 (115v; 145r); ეს. 42,5—8 (113v—114r; 368v); იერ. 31,13—14 (215v—216r; 332r—v); ანგ. 1,13—14 (313v; 312r). ამ ექვსი განმეორებული ადგილიდან ერთს დავასახელებთ.

ერთი საკითხავის დასაწყისი
(104r)

მეორე საკითხავის ბოლო
(327r)

ეს. 56,1. ამას იტყვს უფალი: დამარბეთ სამართალი და ყავთ სიმართლმ, რამეთუ მოახლებულ არს მაცხოვარებაჲ ჩემი, მოწყე-

ეს. 56,1. ამას იტყვს უფალი: ეკრძალენით სამართალსა და იქმოდეთ სიმართლესა, რამეთუ მოწყენულ და მოახლებულ არს მა-

ერთი საკითხავის დასაწყისი | მეორე საკითხავის ბოლო (327r)
(104r)

ნად და გამოჩინებად წყალობაჲ ჩემი.

2. ნეტარ არს მამაკაცი, რომელმან ყოს ესე და დაიმარხნეს შაბათნი ჩემნი შეუგინებელად და დაიცვნეს კელნი თვისნი, რამეთუ არა ქმნეს სიცრუეჲ.

4. განმეორებული ტექსტი (ეს. 61,6) ერთ საკითხავში (ეს. 61,6—9-ში) დასაწყისად მიღის, მეორეში (ეს. 61,1—8) კი — შუაშია მოქცეული.

ცხოარებაჲ ჩემი. და აწ არს უამო მოსლვად წყალობისა ჩემისა.

2. ნეტარ არს მამაკაცი, რომელი ჰყოფდეს, და კაცსა მის, რომელი ეკრძალებოდეს მას...

ერთი საკითხავის დასაწყისი | მეორე საკითხავის შუა ნაწილი (172v)
(307v)

ეს. 61,6. ხოლო თქვენ მღღელ უფლის გეწოდოს და მსახურ ღმრთისა თქუენისა გერქუას თქუენ. ძალსა წარმართთასა სჯამდეთ და სიმართლესა მათსა ზედა საკვრველ იყვნეთ.

ეს. 61,6. ხოლო თქვენ მღღელ უფლის გეწოდოს და მსახურ ღმრთისა თქუენისა იყვნეთ. ძალსა წარმართთასა სჯამდეთ და სიმდიდრესა მათსა ზედა საკვრველ იყვნეთ.

მსგავსი ვითარებაა სხვაგანაც: საერთო მუხლები (ეს. 63.14—16) ერთ საკითხავში (ეს. 63,12—19—64,10-ში) შუაშია (329r), მეორეში კი — დასაწყისში (236r). ანადა, დამოუკიდებელი საკითხავი (ამოს. 12—13), მეორე საკითხავის (ამოს. 4,2—13 —5,3-ის) შუაშია.

დამოუკიდებელი საკითხავი (266r)

მეორე საკითხავის შუა ნაწილი (25r)

ამოს. 4,12. ამისთვის ესრე გიყო შენ. ისრაჲლ; გარნა რამეთუ ესრე გიყო შენ; განემზადე ხადად ღმრთისა შენისა, ისრაჲლ.

ამოს. 4,12. ამისთვის ესრე გეტყვს უფალი: ისრაჲლ, განემზადე ხადად სახელსა ღმრთისა შენისასა.

დამოუკიდებელი საკითხავი
(266 r)

მეორე საკითხავის შუა ნაწილი
(25 rv)

13. რამეთუ ესერა მე განვამტყიცო ქუხილი და დავჰბადო სული და მიუთხრა კაცთა ცხებული მისი. მე შევექმენ ცისკარი და ნისლი და შევიდეს სიმალღესა ქუეყანისასა. უფალი ღმერთი ყოვლისა-მპყრობელ არს სახელი მისი.

13. რამეთუ აჰა ესერა, რომელმან განამტყიცა ქუხილნი და დაჰბადა სულები, მიუთხრობს კაცთა შორის ცხებულსა მისსა, გამოაბრწყინვის ცისკარი და დადგინის ნისლი და მისწუთების სიღრმეთა ქუეყანისათა; უფალი ღმერთი ყოვლისა-მპყრობელ არს სახელი მისი.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ერთი და იგივე ბიბლიური ტექსტის გამეორებულ მუხლთა ხმარების 16 შემთხვევიდან მხოლოდ ოთხი ტიპიური მაგალითი, რომლებშიც აშკარად გამოჩნდა ტექსტობრივი სხვაობა და თავისთავადობა გამეორებული მუხლებისა, მსგავსივე ვითარებაა დანარჩენ 12 შემთხვევაშიც. მაშასადამე, განმეორებულ ტექსტები არც ერთ შემთხვევაში არაა იდენტური. საკითხავია, იყო თუ არა ლოგიკურად მოსალოდნელი ასეთი ვითარება, თუ ლექციონარის საკითხავები აღრე არსებული ბიბლიური თარგმანიდან იქნებოდა უშუალოდ აღებული? ცხადია, არა. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ ლექციონარის ბიბლიური საკითხავები კალენდარულ ნაწილთან ერთად ხელახლა ითარგმნებოდა. და თუ ეს ასეა, მაშინ მნიშვნელობა ლექციონარის საკითხავებისა, როგორც უძველესი დამოუკიდებელი ნათარგმნი წერილობითი ძეგლისა, ბიბლიურ წიგნთა ქართული თარგმანის ისტორიისათვის კი მცირდება, მაგრამ სამაგიეროდ უფრო წარმოჩნდება მისი დიდი მნიშვნელობა ქართული სამწერლო ენის ისტორიის შესასწავლად.

V. ენობრივი თავისებურებანი

ლექციონარის ქართული თარგმანი აღრეა შესრულებული და ამდენად მისი ენა არსებითად კლასიკური ძველი ქართულის (V—X სს.) ნორმებს მისდევს, მაგრამ მოგვიანო (XI ს.) პარიზული ხელნაწერი ამჟღავნებს, რომ ტექსტს, თუ სტრუქტურული არა, მსუბუქი ენობრივი მოდერნიზაცია მაინც უნდა განეცადა გადამწერთა თუ რედაქტორთა ხელში. ამის შედეგი უნდა იყოს ის ლექსიკური და

გრამატიკული ნეოლოგიზმები, რომლებიც ამ ხელნაწერის ტექსტს ახასიათებს. დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას: 1) ძველ ქართულში გ ძირიანი ეგე (ე-გ-ე) ნაცვალსახელის მსგავსად ე ხმოვნით არის გაფორმებული ს ძირიანი ესე (ე-ს-ე), მაგრამ იგი (ი-გ-ი) ფუძის მსგავსად ი ხმოვნით გაფორმებული ისი (ი-ს-ი) არსებითად არ გვხვდება (ყოველ შემთხვევაში უიშვიათესია); საშუალ ქართულში კი ისი იკიდებს ფეხს და გამარტივებული ის (—ისი) ახალ ქართულში მკვიდრდება, პარიზულ ხელნაწერში ორი შემთხვევაა ისი ფუძის ხმარებისა: ერთი მხ. რიცხვის სახ. ბრუნვის (ისი) ფორმით, მეორე — მრ. რიცხვის მიც. ბრუნვის (იმათ) ფორმით: ვინ არს ისი კაცი, რომელი ვალს ველსა ზედა, დაბ. 24,65; მივჰყიდოთ ისმაიტელთა იმათ, დაბ. 37,27.

2) ათ-ის შემკველ რთულფუძიან რიცხვით სახელებს ზოგჯერ თავკიდური ა მოკვეცილი აქვთ: ცამეტ, დაბ. 5,31; ცამეტს, II მეფ. 5,5; თორმეტ, დაბ. 14,4.

3) მიმართულებითი ბრუნვის მაწარმოებლად თანხმოვან-ფუძიანი სახელები მიღებული ნორმით მოსალოდნელი დ-ს გვერდით ად-სად იყენებენ: წარვიდა კაცი იგი ადგილად თქსა, I მეფ. 2,20; ივლთოდე ადგილად შენდა, რიცხ. 24,11 (მოსალოდნელი იყო: ადგილდ, როგორც ესაა მცხეთურ ხელნაწერში); უსახლონი შეიყვანენ სახლად. ეს. 58,7 (მოსალოდნელი იყო: სახილ/სახედ). ზოგჯერ დ (ად) ბრუნვის ნიშანიც დაკარგულია მდე თანდებულის წინ: დასასრულამდე, სიბ. სოლ. 7,18; დედაკაცამდე, II მეფ. 6,19; ჟამამდე, ეზრ. 8,11; ცამდე, დაბ. 11,4; უფსკრულთა შესაქმემდე და აღმოღინებამდე წყაროთა, იგ. 8,24.

4) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მოსალოდნელი წრფელობითის ნაცვლად სახელობითი ბრუნვის ფორმაშია: ამალეკელი ვარ მე, II მეფ. 1,8; დედაკაცი მენმ და გონიერი გკრგკნი არს ქმრისა თქსისაჲ, იგ. 12,4; შვილი სწავლული ბრძენი არს, იგ. 10,5; კაცი გულისხმის-მყოფელი საყდარი არს მეცნიერებისაჲ, იგ. 12,23; იგი უგუნური არს, იგ. 28,25; გულნი უმანკოთანი ძელი არს, იერ. 10,8; კაცი ბრძენი ხარ შენ, III მეფ. 2,9.

5) შთა—ჩა: ივლთოდეს იგინი... ჩაღმართსა მას ბეთორონისასა, ის. ნავ. 10,11. თანაც დ აღმართ-ის ანალოგიით უკვე გაჩენილია.

6) გრამატიკულ ნეოლოგიზმად უნდა ჩაითვალოს სმა ზმნის II ბრძანებითის ფორმა სუი (ნაცვლად სუ-სი); მასუ მე წყალი ეგე მცი-

რედ. და პრეტუა ქალმან მან: სუ ი, უფალო, და აქლემთაცა მაგათ ვასუა. დაბ. 24,18.

7) ბერძნული Θ ძველ ქართულში მხოლოდ Θ -თი გადმოდის და ასეა ეს ჩვენს ძეგლშიც: თერა $\Theta\epsilon\rho\alpha\zeta$, დაბ. 10,2; თორგამა $\Theta\iota\rho\gamma\alpha\mu\alpha\zeta$, დაბ. 10,3; ბათოველ $\Theta\alpha\theta\iota\sigma\gamma\lambda$, დაბ. 24,15... ამიტომ მოულოდნელ ნეოლოგიზმად მოჩანს ფორმა ფობელ (დაბ. 10,2) ნაცვლად თობელ-ისა ($\Theta\iota\beta\epsilon\lambda$).

8) ძველ ქართულში უფროობითი ხარისხის ფორმა უმჯობეს-ი მეტწილად ყოფნა ზმნასთანაა სინტაქსურად დაკავშირებული და ხშირად „უმჯობეს არს“ რეალურად იმასვე ნიშნავს, რასაც „სჯობს“ (თავად უმჯობესი „ს-ჯობს“ ზმნის ოდენპრეფიქსული წარმოების „მ-ჯობ“ მიმღებობას ეფუძნება). აღწერით „უმჯობეს არს“ კონსტრუქციას ორგანული „სჯობს“ (შჯობს) ფორმა მაინცდამაინც მეტოქეობას ვერ უწევს ძველ ქართულში (შემთხვევითი არაა, რომ ოთხთავის ძველ ქართულ რედაქციებში „შჯობს“ არა ჩანს), მაგრამ საშუალ ქართულში კი მტკიცედ იკიდებს ფეხს („ვეფხისტყაოსანში“ ხშირია, შდრ. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი). ჩვენს ძეგლშიცაა ნახმარი ორგანული ფორმა: შჯობს ჩემთვის სიკუდილი ვიდრე ცხორებაჲ, იონ. 4,3; შჯობს მცირედი ნაწილი შიშითა ღმრთისაჲთა, ვიდრე საუნჯეთა დიდთა უშიშებით, იგ. 15,16; შჯობს სტუმრობაჲ მხლითა სიყუარულითა და მადლობითა, ვიდრე ზუარაკთა დაკლულთაგან ბაგათაგან მტერობით, იგ. 15,17.

9) ლექსიკურ ნეოლოგიზმად მოჩანან (თუმცა დაბეჯითებით ამის თქმა ძნელია ისტორიული ლექსიკონის უქონლობის პირობებში): მასეისებელი და მოსესხე, იგ. 29,13 (შდრ. ბაქარის ბიზლიის თბილისური გამოცემის მავასხებელი და თანამდებო); ქოთანო, I მეფ. 2,14; ნიშანი (ნაცვლად ნიშ-ისა), იობ. 31,27; ეზ. 9,6; მოზუერი, გამ. 12,5; მტკაველი, მსაჯ. 3,16; მახლობელი, მოძმე, გამ. 11,2 (ნაცვლად მოყუას-ისა); კოცნა (ნაცვლად ამბორის-ყოფისა), იობ. 31,27 (იშვითად „კოცნა“ ზმნა ოშკის ბიბლიაშიცაა ნახმარი).

ორთოგრაფია. ხელნაწერის ორთოგრაფია კლასიკური ძველი ქართულის ნორმებს ყოველთვის ვერ იცავს. ეს განსაკუთრებით ითქმის ორი გრაფემის — Θ -სა და ζ -ს ხმარებაზე.

Θ უკვე ვერ გადმოსცემს Θ -საგან განსხვავებულ ბგერას, ამიტომაც, რომ ხშირად Θ არასაკუთრებისამებრ Θ -ს ადგილზე იხმარება, კერძოდ:

1. შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილის წრფელობით ბრუნვაში თუ სახელის ფუძე ე-ზე ბოლოვდება: მწუხარჱ იქმენ, დაბ. 4,6; მწიფჱ იყენეს ტევანნი. დაბ. 40,10; იგინი იყენეს ეგრევე მკლჱ და უშუერ. დაბ. 41,21; ღმერთი მოშურნჱ არს, II შჱ. 6,16; მეფჱ ვყოთ... ძჱ ტაბელისი, ეს. 7,6...

2. იშვიათად უმარცვლო უ-ს მომდევნო პოზიციაში (ჟე—ჟჱ): ჟჱჱ-წარმავალთავან, დაბ. 6,7—20; თთუჱსა, დაბ. 7,11; 8,13; გამ. 40,15; მარჯჱსნით, დაბ. 13,9; მუნთჟჱს, დაბ. 14,14; მარჯჱსნესა, მსაჯ. 3,17; მართჱსნი, იობ, 5,7; 39,3; აღიმსთჱს, I მეფ. 1,19.

3. ზმნის წყვეტილის მწკრივის ფორმაში: დაფარჱს, დაბ. 9,23; განვამტკარჱ, დაბ. 27,37; დაიბანავჱს, რიცხ. 22,1; დაიტირჱს. II შჱ. 34,8; იწრაფჱს, დაიპყრჱს, მსაჯ. 3,28; შეუბრკჱმჱს. იგ. 10,8...

4. ზმნიზედურ ძირებში: ზჱ, დაბ. 6,16; ჟჱუჱჱ, დაბ. 6,16—17; 7,20; გარეჱჱ, დაბ. 18,1; 19,17; 24,11; გამ. 40,22; ესარჱ, I მეფ. 2,30; ხვალჱ, გამ. 8,23—29; რიცხ. 6,20; ზმნიზედური მნიშვნელობის სახელურ ფუძეებში: იყო წჱმად ორმეოც ღლჱ და ორმეოც ღამჱ, დაბ. 7,12; მოავლინა ქარი... ღლჱ ყოველ და ღამჱ ყოველ, გამ. 10,13.

5. ე-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან ე ბ ი ს მ ი ე რ ბრუნვაშია: ა) წ რ ფ ე ლ ო ბ ი თ შ ი: უწოდა სახელი პირმშოსა... მანასჱ. დაბ. 41,51; იოსებს ესხნეს ორ ძჱ, დაბ. 40,50; უწოდა მას სახელი მისი მოსჱ, გამ. 2,10. ბ) ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი: შვა მალელჱ, დაბ. 5,12—16; განიფრთხო ნოეჱ, დაბ. 9,24; ცხონდა ნოეჱ, დაბ. 9,28; მოსჱ მწყსიდა ცხოვართა. გამ. 3,1; გ) მ ო თ ხ რ ო ბ ი თ შ ი: მიიყვანა იგი პეტეფრჱ, საჭურისმან..., დაბ. 39,1; სიხენეშჱმან, იობ. 21,26; დ) მ ი ც ე მ ი თ შ ი: ჰრქჱა... ღმერთმან ნოეჱს. დაბ. 6,13; 7,1; 9,12; მიჱყიდეს პეტეფრჱს, დაბ. 38,38; შეეშინა მოსჱს, გამ. 2,14; ეტყოდა უფალი მოსჱს. გამ. 3,12; საფრჱჱს, I მეფ. 28,9; საფასჱსა, იობ. 3,21; სიჱაბუჱჱსა, იგ. 30,19.

6. ფუძის შიგნითა თუ ბოლოკიდური ე ხმოვნის ნაცვლად: იაფჱთ, დაბ. 6,10; სჱჱჱს, დაბ. 37,12—13; ხჱთა, გამ. 7,19; II შჱ. 12,2; საუნჯჱსნი, იგ. 3,10; 8,21; მოქალაჱსნი, იგ. 11,12; სიჱჱთის, ეს. 62,3; ძჱსნი, ბარ. 3,21...

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ტექსტი გასწორებულა, **შ** შეცვლილა ე-თი.

მაგრამ არ გასწორებულა ისეთი შემთხვევები, როცა მოსალოდნელ **შ**-ს ცვლის ე, რადგან ასეთი ფაქტი უკვე მიანიშნებს **ჱ**-ს ფუნქციების შეკვეცას და ე-ს ხმარების არის გაფართოებას: შემდგომად შობისა მის მალალესა [=მალალჱსა], დაბ. 5,13; პირო მოსესი [=მოსჱსი], გამ. 34,30; პირსა მოსესსა [=მოსჱსსა], გამ. 34,35.

ვ გრაფემა ძველი ქართულის ნორმისებრ არსებითად დამავალ უნი დიფთონგს გადმოსცემს ჩვენს ხელნაწერშიც. მაგრამ ჩანს, გადამწერი ვ-ს ზოგჯერ უნი დიფთონგის I კომპონენტის, უ-ს გრაფიკული მნიშვნელობით აცნობიერებდა: გვეტყვედ, გამ. 5,16. ამის გამოვე არის, რომ ვ-ს ნაცვლად ნახმარია ვი (წაიკითხება, როგორც უნი): მეგვიპეტელთა. გამ. 3,21; ეგვიპტით, გამ. 6,1 შეემთხვავა, რიცხ. 23,16; თავვი, I მეფ. 6,1—5; თქვიან, I მეფ. 24,14; ბირთვი, იგ. 25,11; სირცხვილით, მსაჯ. 3,25; მშვიდობით, I მეფ. 29,7; მშვიდობისაჲ, ვალ. 2,5; ლაწვი, ვოდ. იერ. 3,30; ძეძვისა, ეს. 55,13; ნესტვი, იოვ. 2,15.

ჩანს, გადამწერთ უ-ს ადგილზე ვ-ს ხმარება შეცდომით, მაგრამ მინც იმიტომ მიაჩნდათ ალბათ შესაძლებლად, რომ უ-ს ორნიშნიან (Q4) გამოხატულებაში ისინი მუდამ ვ (4) ნიშანს ხედავდნენ. არა ფონეტიკური მიზეზით, არამედ სწორედ გრაფიკული მსგავსების გამო (საერთო გრაფიკული ოდენობის შემცველობის გამო) უნდა იყოს აგრეთვე უ (Q4) და ო (Q) ასოები ერთმანეთის ნაცვლად ნახმარი: ა) ორნიშნა უ-ს (Q4; აჟ) ნაცვლად იწერება მხოლოდ მისი პირველი გრაფიკული ელემენტი ო (Q ა): ქურომსა, გამ. 2,16; უფოველისა, გამ. 12,18; საცთორ, მსაჯ. 2,3; ორგებსა, სიბ. სოლ. 1,11; უსჯოლომან, ეს. 55,7; შოასამხრის, შოალამე, ეს. 59,10.

ბ) ერთნიშნა ო-ს (Qა) ნაცვლად იწერება ამავე ნიშნის შემცველი ორნიშნა უ (Q4, აჟ) გრაფემა: ბურცუსა, I მეფ. 7,1; მუმრუმე, იგ. 18,22; მიშურამდე, ის. ზირ. 24,35; ხურშაკი, ეს. 49,10.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ბ უ რ ც უ, მ უ მ რ უ შე ფორმები ო ხმოვნის რეგრესული ასიმილაციის ფაქტი იყოს (ო—უ—უ—უ). მაგრამ ასე რომ იყოს, მაშინ აუხსნელი დარჩებოდა არა მარტო შ უ რ (=შორ), ხ უ რ შ ა კ (=ხორშაკ) ტიპის ფორმები. არამედ საპირისპირო უ/ო ასოთშენაცვლების ფაქტი (საცთურ/საცთორ).

ფ ო ნ ე ტ ი კ ა. ხელნაწერში იშვიათია ასიმილაციისა და დისიმილაციის შემთხვევები. ასიმილაციისა: წოთოდ (—წოლოდეთ), იობ. 16, 22; დავაპოლოთ, სიბ. სოლ. 2,12; დაქცე (—დაგცე) შენ, ეს. 60,10; კრეტსაბმელი (—კრედსაბმელი), გამ. 40, 20—24; ხატად ღ მ რ თ ე ე ბ ი ს ა (—ღმრთაებისა), დაბ. 9,6; სოდომოსა და გომოროსა (—სოდომასა და გომორასა), დაბ. 19,23; შეპკოლდეს, იგ. 20,11.

დისიმილაციისა: აღადყდეს (—აღატყდეს), დან. 3,9; აღადყდებოდა, დან. 3,22; ქურჭლითა (—ქურჭრითა), დაბ. 15,14; მწყემსნი იგი გერალელთანი (—გერარელთანი, Γεράρων) დაბ. 26,20; არმული (—არმური), სიბ. სოლ. 5,14; ლანკლისა, დაბ. 40,17; ლანკლასა, დაბ. 40,17 (ლანკნა—ლანკლა, λανκνή).

ასევე იშვიათია სუბსტიტუციისა და ბგერათშერწყმის მაგალითები: ანბავი, I მეფ. 17,18; ანპარტავენბაჲ, იგ. 8,13; ანბაკუნ (—ამბაკუნ, 'Амбѣхѣтѣм). ამბ. 1,1; ვე—ო: დაუტეობთ, იგ. 4,2; დაუტეობ, იგ. 4,13; მაგრამ ჭე (ვე) შენარჩუნებულია ფორმაში „დამკუება“ (იერ. 31,28), შდრ. დამკობილი (საქ.მოც. 15,16).

მაგრამ ხშირია მეტათეზისისა და ბგერათა დაკარგვის შემთხვევები.

ბგერათა გადასმა სისტემურია სამ ფუძეში: I. რ ადგილს უცვლის ლ-ს ძლიერ (—*ძალიერ) ფუძეში: ძრიელ, დაბ. 24,35; უძრიელჲს, დაბ. 26,16; უძრულ, დაბ. 48,1; განძრიელდი, დაბ. 32,28; განძრიელა, მსაჯ. 6,34...

2. უმარცვლო უ (უ) ყოველთვის გადასმულია ძარცუვა (—ძუარცვა) ფუძეში: განიძუარცა, დაბ. 38,14; 41,43; განსძუარცეს, დაბ. 37,23; განსძუარცად, I მეფ. 31,8; მოძუარცის, გამ. 34,34; განიძუარცის, რუთ. 4,7...

3. რ ადგილს უცვლის მ-ს გუმერ (—გურემ) ძირში: საგურემელი, დაბ. 4,24; განგურმა, რიცხ. 25,8; განგურმა, II მეფ. 1,14; განგურიმე, რიცხ. 20,29; I მეფ. 31,4.

სონორი რ გადასმულია „ნაბუქოდონოსორ“ და „ცალიერ“ ფუძეებში: ნაბუქოდონოსორს, დან. 3,2—7; ცარიელ. დაბ. 37,24; ცარიელნი, გამ. 3,21; ცარიელსა, I მეფ. 6,3.

სვლა ფუძეში ძველი ქართულისებრ ყოველთვის გადასმულია ვ: სლვასა, II შჯ. 11,19; შესლვად. დაბ. 19,22; გამოსლვადმდე, გამ. 34,34.

პეშუ ფუძის უმარცვლო უ გადასმის შემდეგ ხმოვნის გვერდით ვ-დ არის წარმოდგენილი (პეშუ—პევშ): ვინ აღწყნა პევეშითა თვისითა წყალნი? ეს. 40,12. თითქო რ/მ-ს საურთიერთო მეტათეზისით უნდა იყოს მიღებული უჩვეულო ფორმა მომშურისა (—მომრუშისა): დედაკაცისა მომშურისაჲ, იგ. 30,20.

S₂O₃-ის ს ნიშანი გადასმის ზმნურ ფუძეში უფრო მავინ, თუ ფუძეს მ+ხშული (დტთ; ძცწ) თანხმოვანი იწყებს (ხშირად S₂O₃-ის ზ ნიშანი თავის ადგილზეც არის ნახმარი): შენ ჰმსთავრობდე მას, დაბ. 4,7; ჰმსძლავრობდეს ლოთს ფრიად, დაბ. 19,9; უღმრთოჲ ჰმსძლავრობს მართალსა, ამბ. 1,4; ჰმსწირობ, დაბ. 17,8; განჰმსწარდი, 8,34.

არ იქნება სწორი, თუ ვიფიქრებთ, რომ ასეთი ფორმები ასახავდეს

¹ ა. შანიძე. სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნებში: თხზულებანი, თორმეტ ტომად, ტ. II, 1981, გვ. 207—208.

გარდამავალ საფეხურს¹ კანონიერ „ჰმძლავრობ“ ფორმასა და ჰ-ს გადასმის შემდეგ ასიმილირებულ ხანიან „მსძლავრობ“ ფორმას შორის. არა. უდავოა, რომ კანონიერი „ჰმძლავრობ“ ტიპის ფორმები თანხმომავანთა არტიკულაციურად ძნელი კომპლექსების გასამარტივებლად შეიცვალა „მსძლავრობ“ ტიპის ფორმებით. სამეტყველო პრაქტიკაში ერთიც იყო (მორფოლოგიურად სწორი „ჰმძლავრობ“) და მეორეც (მორფოლოგიურად არასწორი, მაგრამ ფონეტიკურად უფრო ბუნებრივი „მსძლავრობ“). მაგრამ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მესამე „ჰმსძლავრობ“ (მორფოლოგიურად არასწორი და ფონეტიკურადაც არაბუნებრივი). ამ უკანასკნელი (მესამე) ტიპის ფორმები სამეტყველო პრაქტიკის ანუ ფონეტიკური მოვლენის ფაქტი კი არ არის, არამედ მ ც დ ა რ ი კ ო ნ ტ ა მ ი ნ ა ც ი უ რ ი დ ა წ ე რ ი ლ ო ბ ი ს ა: მწერალს თუ გადამწერს სწორი ჰ (ს) გადაუსმელი ფორმებიც უნახავს და ახსოვს და არასწორი ს გადასმული ფორმებიც. ამიტომ ორკუთხედის „დასაძლევად“ მიმართავს ნარევე ფორმას: ჰმძლავრობ—ჰმძლავრობ+მსძლავრობ.

ხშირია ბგერათა დაკარგვის შემთხვევები, განსაკუთრებით სონორებისა მ, რ, ვ-სი.

მ: სამეოც (←სამმეოც), დაბ. 5,12—18; ცამეტ (←ათსამმეტ), დაბ. 5,31; ჯდომი (←მჯდომი), I მეფ. 2,10; მომარცულე მე (←მომმარცულე), გოდ. იერ: 1,22; წყურნობიანსა, გამ. 2,3; წყურნებსა, გამ. 8,5; შდრ. მწყურნობიანსა, გამ. 2,5.

რ: ძწოლით, დაბ. 4,14; იობ. 38,34; სძწით, ეს. 66,5; ძწიან, ეს. 66,2; ჰქუიან (=ჰრქვან), რუთ. 2,19.

ვ: თხოისა, III მეფ. 8,45—49; თხოაჲ, III მეფ. 8,54; განრდომილი, იგ. 22,14; დარდომილი, იობ. 31,19; I მეფ. 2,8; შეურდაფერქთა, გამ. 4,25; დარდომილსა, იგ. 22,22; მოედო (←მოვედო, ე. ი. მოდიო), იგ. 3,28; ითხოოს, გამ. 11,2; გლოასა, სიბ. სოლ. 14,15; ილტოდა (←ივლტოდა), დაბ. 39,13—15; გწყეოსა, იგ. 30,10; ოვან—ოან: ყუავილოანი, დაბ. 37,23; მაყლოანით, გამ. 3,4; ვენაკოანი, ლელოანი, II შჯ. 8,8; მარილოანსა, დაბ. 14,3; შდრ. მთოვანი, ველოვანი, II შჯ. 11,11.

ევ სუფიქსიან ზმნებში ხშირად იკარგება ვ, როცა II ან III სერის მწკრივთა ფორმებს ნარიანი პირდაპირი ობიექტი ეწყობა

¹ შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. 11, თბ., 1971, გვ. 105. მისივე, მეტათეზისის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თხო შრ. (ფილოლ. მეცნ. სესია), ტ. 114, თბ., 1965, გვ. 139—149.

(ვნ—ნ)¹: განუთხინა უღელნი..., გამ. 40,18; განაბნინა იგინი, დაბ. 11,9; შეურიხა ენანი, დაბ. 11,9; შევპრინეთ ენანი, დაბ. 11,7; ტყავნი მოხვნა..., დაბ. 27,16.

ნ: (გან—გა): არა გაძრას ძალმან ენაჲ, გამ. 11,7; გასწურთეთ, ვამ. 2.28; გახუედ, რუთ. 2.22.

ღ: (აღ—ა): ამადღდა, დაბ. 19,13; აპკიდა, დაბ. 22,6; აივსნენ სახლნი, გამ. 10,6; აყოს კელი, დაბ. 41,44; აპმართა იგი, დან. 3.1; აპმართა იესუ, ის. ნავ. 4,9; აწბას და აკუარდოს იგი. ზაქ. 5,4; ამადღდეს მეუფებაჲ, რიცხ. 24,7; ნულარაახუალთ. ის. ნავ. 22,33; აყვანებასა, IV მეფ. 2,1; აიხილეთ, ზირ. 24.37.

პ: კარაულთა (←კაპრაულთა), დაბ. 22,5; კარაულსა, გამ. 4,20; 9,3: ასაკ (←ჰასაკ), II შჯ. 9,2.

პ. როგორც მე-3 ირ. ობიექტური პირის ნიშანი, დაკარგულია თანხმონების გვერდით: ვმსახუროთ ღმერთთა, II შჯ. 13,7; ვმსახუროთ უფალსა, გამ. 5.17; ხადა მუნ სახელსა..., დაბ. 26.25; მოედა ღმერთმან აბელს, დაბ. 4,4; აღმართა იაკობ ძეგლი, დაბ. 35.14, შდრ. აღპმართა იაკობ ძეგლი, დაბ. 35,20.

ს: სამწყული უმწყი ვერ დავიმწყე. იერ. 31,18. შდრ. სამწყსოჲ, ბარ. 4,26; შემდგომად შობისა მის ნოვესა (←ნოვესსა), დაბ. 5,30.

ჟფ—ფ: სეფორა (←სებფორა), გამ. 1,15; შდრ. Տեֆօրօ.

ათ ფუძის შემცველ რთულ რიცხვით სახელებს ხშირად დაკარგული აქვთ თავიღური ა: თორმეტ. დაბ. 14,4; ცამეტ, დაბ. 5,31; II მეფ. 5,5.

საყურადღებოა არდაგ („ტილო“) ფუძის რედუქცია, ხშილი გ თანხმონის წინ ა-ს ამოღება მრავლობითობის ებ სუფიქსის გავლენით: არდგე ბი ქმნა და განუყო..., იგ. 31,24.

ძალზე იშვიათია ბგერის განვითარების შემთხვევები: დააცხროვ² რისხვაჲ. რიცხ. 95,11; სავლტე (←სალტე „სამაჭური“), დაბ. 24,22 — 30; II მეფ. 1.10.

კონტამინაციური ფორმებიც გვხვდება. რომლებიც ფონეტიკურზე მეტად ვრადიკულ ფაქტად უფროა მისაჩნევი: ათ ჩკდმეტი

¹ ი. იმნაიშვილი. მრჩობლი ნ-ს ხმარების ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თსუ-ს შრომები (ფილოლ. მეცნ. სესია), ტ. 96, თბ., 1963, გვ. 117—137.

² ა. შანიძის აზრით, ზოგი ობ თემის ნიშნანი ზმნა ძველად II სერიის მწკრივებში ფუძის ბოლოს ვ-ს ლეზულობდა (შევაძევე. შევაშთვე, დავალტვე, განვაკრთვე...). ობელიც ო-ს წინ იკარგებოდა: ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბ., 1976, გვ. 101.

(—ათშვდმეტი+ახვდმეტი), მსაჯ. 8,14; მეათცამეტესა (—მეათსა(მ)მეტესა+მე(ა)ცამ(მ)ეტესა), დაბ. 14,4; ჰმსთავრობდე (—ჰმთავრობდე+მსთავრობდე), დაბ. 4,7; ჰმსწირობ (—ჰმწირობ+მსწირობ), დაბ. 17,8; ჰმსძლავრობდეს (—ჰმძლავრობდეს+მსძლავრობდეს), დაბ. 19,9; ათურვამეტ (—ათურამეტ+ათრვამეტ), ის. ნავ. 24,33.

მორფოლოგია

1. საკუთარი (პირის) სახელების საზოგადოებრივ ბრუნებაში გათანაბრება. ამ ტენდენციით პირთა სახელები ზოგჯერ ბრუნვის ნიშნით არის გაფორმებული სახელობითსა (ხშირად) და მოთხრობითში (იშვითად).

სახელობითში: სადა არს ძმად შენი აბელი? დაბ. 4,9; რომელმან მოკლას კაენი, დაბ. 4,15; მიუდგა და შვა ენუქი, დაბ. 4,17; სათნო-ეყო ენუქი ღმერთსა, დაბ. 5,24; აღდა შვა იობელი, დაბ. 4,20; სელადა შვა თობელი, დაბ. 4,22; შექმნა აღამი ხატად ღმრთისა, დაბ. 5,1; ცხონდა ღამექი, დაბ. 5,28; აკურთხა... აბრაჰამი, დაბ. 14,19; მე განვამდიდრე აბრაჰამი, დაბ. 14,23; მოიქუა აბრაჰამ... ისაკი, დაბ. 21,4; [მას] ესუა ისაკი, დაბ. 21,5; განეყენა ისაკი.. ძუძუსა, დაბ. 21,8; აბრაჰამ... შეკრა ისაკი, დაბ. 22,9; შევიყუარე იაკობი, ხოლო ესავი მოვიძულე, მალაქ. 1,2—3.

მოთხრობითში: რომელი მოკლა კაენმან. დაბ. 4,25; წარიყენა ბალაკმან ბალამი, რიცხ. 23,28; და იყო განთიად, წარიყენა ბალაკმან ბალამი, რიცხ. 22,41.

ბრუნებაში გათანაბრების ტენდენციის გამოხატულებაა, რომ საკუთარი სახელები ხშირად ირთავენ ემფატიკურ ახმოვანს: აღუთქუა უფალმან აბრაჰამსა აღთქუამად, დაბ. 15,18; განკვრევადა დაეცა აბრაჰამსა ზედა, დაბ. 15,12; არა იყოს შრომად შორის იაკობსა, რიცხ. 23,21; სიტყუად უფლისად იყო აბრაჰამისა მიმართ, დაბ. 15,1; შემდგომად შობისა მის სეთისა, დაბ. 5,4...

2. ხაჭუა, როგორც აზვადობიანი ფუძე, უნდა შეეკვეცილიყო ასე: ხაჭუსა/ხაჭუსა (შდრ. სიტყუა — სიტყუსა/სიტყუსა), მაგრამ არა, ა შენარჩუნებულია ნათ. ბრუნვის ფორმაში: შემყავ მე სწორად ხაჭუაჲსა, იობ. 10,10¹;

¹ შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1971, გვ. 146.

წინა რიგის მართული მსაზღვრელი. ასეთი მსაზღვრელი ზოგჯერ საზღვრულს უთანხმდება ბრუნვასა და რიცხვში: ძ მათაჲ მშუდობაჲ, I მეფ. 17,18; გედეონისნი იყენეს ძენი?; რომელთაჲ ვთქუ განკლად, მსაჯ. 2,3; სიკუდილისაჲ მტარვალი, გამ. 12,23; რომლისაჲ სიტყუაჲ, ეზრ. 8,21; რომელთანი საქმენი, ეზრ. 8,33.

3. ნათ. ბრუნვის ფორმა დროის გარემოების ფუნქციით: დადგა მზც შოვრის ცისა და არა ვიდოდა დასავალად დღის ერთის, ის. ნავ. 10,13. ჭინჭველთა... განიმზადიან ზაფხულის საზრდელი, იგ. 30,25 [ზაფხულის=ზაფხულს].

4. „რამათა“ ფორმა კითხვითი ნაცვალსახელისა და კავშირის ფუნქციით არის გამოყენებული გვერდი-გვერდ, ე. ი. რამათა=1. რით; 2. რათა (რომ); უფალო, უფალო, რამათა უწყოდი, რამათა დავიძკვრო იგი. დაბ. 15,8 (უფალო, რით გავიგო, რომ...).

5. მიმართულებითი ბრუნვის წარმოება. გეოგრაფიულ სახელებს მიმართულებით ბრუნვაში დ მაწარმოებელი შენარჩუნებული აქვთ უჩვეულო პოზიციაშიც (ხშულთა გვერდით): აღიძრეს კადკადდ, II შჯ. 10,7: მისლვად გალადდ, ის. ნავ. 22,9; მივიდეს ივინი გალადდ. ის. ნავ. 22,10 (ჩვეულებრივია დ-ს ქონა სონორების გვერდით: აღმოვიდა სალონდ, ბეთელდ, მსაჯ. 2,1; წარავლინა მოციქულნი ასერდ და ზაბულონდ და ნეფთალემდ, მსაჯ. 6,35). ტაბათდ კერძო, მსაჯ. 7,23.

დ (ად) იშვიათად იკარგება მდე თანდებულის წინ: ცამდე, დაბ. 11, 4; ლობებამდე, მსაჯ. 3,3; შესავალამდე, I მეფ. 17,52; მიშორამდე, ზირ. 24,35; ჟამამდე. ეზრ. 2,11; დედაკაცამდე, II მეფ. 6,19.

6. თანდებულთა პრეპოზიციური ხმარება. თანდებული ქართულში სახელის ბრუნვის ფორმას დაერთვის. ასე იყო ადრეც. ოლონდ ძველ ქართულში ზოგჯერ შესაძლებელი იყო თანდებულის წინდებულად ხმარებაც¹. ასეთი შემთხვევები ჩვენს ძეგლშიც არც თუ იშვიათია.

მი (მო): ეს ძველი წინდებული ჩვეულებრივ ვით. ბრუნვაში ეწყობა სახელს და დასუსტებული მნიშვნელობის გასაძლიერებლად მოქმედ მდე თანდებულსაც იმატებს: მიპირტყუადმდე, გამ. 11,7; მიდღემდე. გამ. 12,15; მიგანთიადმდე, გამ. 12,22; მიკარვადმდე, მსაჯ. 7,13; მიკოდემდე, მსაჯ. 7,23; მიბეთბერამდე, მსაჯ. 7,24; მიახეკადმდე, ის. ნავ. 10,10.

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973. გვ. 598—599; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 321—325.

მი დამოუკიდებლადაც (მდე-ს გარეშე) ეწყობა სახელს ვითარებით ბრუნვაში და იშვიათად სახელობითშიც: მიმწუხრად, გამ. 12,18; დაკალნ იგი კრებულმან მიმწუხრი, გამ 12,6.

ზედა: შეწირე მსხუერპლად ზედა მთასა ერთსა. დაბ. 22,2; ლანკლისა მისგან. რომელი იყო ზედა თავსა ჩემსა, დაბ. 40,17; აღნიშნეთ თქუენ ზედა წყირთლთა მათ ბჰეთასა, გამ. 12,22; აღსანიშნელად ზედა სახელებსა მას, გამ. 12,13; ეცნა პირი ჩემი ზედა მტერთა, I მეფ. 2,1; მოუქდეს უცხო თესლნი იგი ზედა ისრაელსა, I მეფ. 7,7; ოდეს-იგი ბრწყინვიდა სანთელი მისი ზედა თავსა ჩემსა, იობ. 29,3; იყოს სასწაულად და ნიშად ზედა სახლსა მას ისრაელისასა, ეს. 8,18; ფერი პირისა მისისაჲ ექცეოდა ზედა სედრაქ, მისაქ და აბედნაგოხსა, დან. 3,19; რაჲ-იგი მოავლინე ჩუენ ზედა. ზედა ქალაქსა მას წმიდასა, დან. 3,28.

ყველა ზემოდასახელებულ შემთხვევაში ზედა-ს ფარდი ბერძნული ἐπί (იშვიათად ἐν-იც), როგორც წესი, სახელს წინ უძღვის. წინდებულია და საფიქრებელია, რომ ზედა-ს წინდებულად ხმარებას ბერძნული წყარო აპირობებდეს.

შინა: შემოიტაცეს ლოთ შინა სახლსა, დაბ. 19,10 (შდრ... ე? ἔν ὀν:ον).

შორის: შორის წარმართთა შეირაცხოს, რიცხ. 23,9 (შდრ. ἐν ἑμυεσ:ν...).

7. მიმართებითი ვინ და რაჲ ნაწილაკები. ეს ნაცვალსახელები ზოგჯერ დაცლილია ლექსიკური მნიშვნელობისაგან¹ და მიმართებითობის ნაწილაკად ერთვის კითხვით ზმნიზედებსა და ნაცვალსახელებს და ფუნქციურად უახლოვდება ცა-ს მნიშვნელობის მქონე ვსე. ვგე, იგი ნაწილაკებს, არსებითად, რაოდენი-იგი, რაოდენი-რაჲ და რაოდენი-ვინ გრამატიკული მნიშვნელობით განსხვავებული არაა. ოლონდ ის კია, რომ ვინ უფრო ცა ნაწილაკიან სიტყვას დაერთვის გამაძლიერებლად (ასე ვთქვათ, მიმართებითობა მრჩობლად გადმოიციემა): ვითარ-რაჲ ცნას კაცად-კაცადმან საღმობაჲ..., III მეფ. 8,38; რაოდენ-რაჲ იყოს შენი..., მოილო, II შჯ. 12,26; შექამოს ყოველი მწუანვილი..., რაოდენ-რაჲ დაუშთა სეტყუასა, გამ. 10,12; რაოდენსა-რაჲ იქმოდა იოსებ, წარუშართებდა ქელთა შინა მისთა, დაბ. 39, 23; ვითარცა-ვინ სწავლინ კაცი შვილსა. თვსსა, ეგრძთ გსწავლიდა შენ უფალი, II შჯ. 8,5; რაოდენიცა-

¹ შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 199, 451—455.

ვინ შეცოდებულ იყოს კაცად-კაცადი მოყუისისა მიმართ თვისისა..., II მეფ. 8.31.

8. ტმესი. ხშირია შემთხვევები, როცა ზმნისწინი დანარჩენი ზმნური ნაწილისაგან გათიშულია კავშირ-ნაწილაკებითა და ზოგჯერ ზმნიზედლებითაც: წარ-ძი თუ -მიმართო, დაბ. 24,12; შე-მცა-ეხო, დაბ. 26, 10; მო-ლა-იყვანოს, დაბ. 27,46; შე-რაად-ვიდეს, გამ. 2,16; მო-რაად-ვიდოდეს, გამ. 5,20; და-ვე ამისთვის -იმარხე, გამ. 9,16; გან-ვითარ-რაად -მარინეთ, იობ, 6,23; გარდა-სადა აქცია, იობ. 31,7; და-სადა-ვჭედ, იობ. 31,9; მი-ხოლო თუ -იყვანო, იობ. 38,20.

აღსანიშნავია, რომ ტმესი მიმღეობასაც ახასიათებს: მი-მე-სრულ ხარა, იობ. 38, 16—22; გამო-ოდენ-სრულ იყვნეს, გამ. 5,20; წარმო-ოდენ-დგომილ იყო, გამ. 9,31; მო-ვე შიშველი -სრულ ვიყავ, იობ. 1,21;

ხელნაწერში სინტაქსური ტმესის შემთხვევებიცაა. როცა მჭიდრო სინტაგმის წევრები — კითხვითი სიტყვა და შემასმენელი დაშორიშორებულთა: რასა უფალი ღმერთი ეძიებს შენგან? II შჯ. 10,12. შდრ. მცხეთური ხელნაწერის იკითხვის: რასა ითხოვს უფალი ღმერთი შენგან? პარიზული ხელნაწერის სიტყვათა რიგი, ბერძნული წყაროს კვალობაზეა გაწყობილი: ἄ: Κύριε: ἔ: Ἐξέ: σῶν ἄνθρωπων...

9. ადგილობითი ზმნისწინები. ბერძნული წყაროს ზუსტად გადმოღების მიზნით ქართულ თარგმანში მიმართულებითი ზმნისწინების გვერდით მოხშირებულია ზმნიზედური წარმოშობის ადგილობითი ზმნისწინების ხმარებაც. რაც ერთგვარი მორფოლოგიური პლეონაზმია! გარე-მოიქცია პირი მისი მოსე, გამ. 3,6: შდრ. ἀπέστρεψε...თან-ვე-ეტყო-დი-თ-მათ. ეს. 7,6, შდრ. ἠγάπησεν ἑαυτὸν, თალიხუენით ძუალნი ჩემნი თქუენ თანა. დაბ. 50,25. შდრ. σπυχοῖσθε τὰ ἑαυτὸν μὴ ἑαυτοὺς μὲν¹ ხაფ.

10. „დაჰადა“ ტიპის ზმნები. ასეთ ზმნებს ჩვეულებრივ შენარჩუნებული აქვთ დაკარგული მესამე ირიბი ობიექტური პირის ზნიშანი²: აღჰმართა იაკობ ძეგლი, დაბ. 35,20; განჰმართა ეზოები იგი, გამ. 40,17; აჰმართნა ისუ... ლოდნი, ის. ნავ. 4,9; აჰმართა იგი [=კერპი] ველსა მას დეირისასა, დან. 3,1; მოკლა მე-

¹ კ. დანელია, ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში: სმა „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), № 2, 1981, გვ. 139—154.

² ა. შანიძე, სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1981, გვ. 172—178.

გვპტელი იგი და დაჰფლა ქვშასა, გამ. 2,12; დაჰკუნა კარნი მის ქორისანი და დაჰკლიტნა იგინი, მსაჯ. 3,23; მაგრამ ზოგჯერ უკვე ეს ზედმეტი ჰ ჩამოშორებული აქვს ზმნებს: აღმართა მუნ კარავი, დაბ. 12,8; აღმართა იაკობ ძეგლი, დაბ. 35,14; საჭირო შემთხვევაში აკლია ზოგჯერ O_3 -ის $\bar{3}/s$ ნიშანი: რომელსა გამოდის სძმ და თაფლი, იერ. 32,22; რაფთა მსახურებდენ ღმერთსა, გამ. 3,12.

ტექსტში შემორჩენილია ერთი აშკარა პაემეტური ფორმა: პილტოდა მოსე მისგან, გამ. 4,3.

იშვიათად S_2O_3 -ის ნიშანი მრჩობლი ჰს კონტამინაციური დაწერილობით არის გამოხატული: აწნე ჰსწუხთ, დაბ. 45,5.

11. ზმნის პირთა უჩვეულო კომბინაცია. სამპირიან „მომცა“ (მან მე იგი) ზმნას მოსალოდნელი მე-3 პირდაპირ ობიექტური პირის ნაცვლად მე-2 პირი ეწყობა: „მომცა შენ უფალმან კელთა ჩემთა, I მეფ. 24,11; საერთოდ, 1-ლ ირიბ ობიექტურ პირთან მე-2 პირ. ობიექტური პირი (ან პირუკუ) ქართული ზმნისთვის შეუძლებელი კომბინაციაა¹ (ვთქვათ, მომცა მან მე *შენ, ან: მოგცა მან შენ *მე). მაგრამ თუ აუცილებელი გახდა პირთა ასეთი კომბინაცია, ქართული სინთეტურ ფორმას მიმართავს; 1-ლი ან მე-2 პირდაპირ ობიექტური პირის მე ან შენ ნაცვალსახელის ადგილზე გამოიყენებს სათანადო პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს („ჩემი“ ან „შენი“) და უკუქცევით „თავ“ ნაცვალსახელს (მოგცა მან შენ ჩემი თავი ან: მომცა მან მე შენი თავი). სწორედ ამ საშუალებითაა გადმოცემული ზემოდსახელებულ წინადადებაში პირთა უჩვეულო კომბინაციით გამოხატული შინაარსი ბაქარისეული ბიბლიის თბილისურ გამოცემაში: „მომცა უფალმან დღეს თავი შენი კელთა ჩემთა“. ცხადია, პარიზული ხელნაწერის უჩვეულო კონსტრუქცია ქართული ზმნის პოტენციური ფორმის კონტექსტური რეალიზაცია არ არის, ის კომპრომისული, ქართულისა და ბერძნულის ნარევი სინტაქსური კონსტრუქციაა: ქართველმა მთარგმნელმა „მომცა“ ზმნას ბერძნული წყაროს კვალობაზე პირ. ობიექტად მე-2 პირის შენ ნაცვალსახელი შეუწყო (შდრ. $\pi\alpha\rho\epsilon\acute{\nu}\mu\alpha\chi\epsilon\ \sigma\epsilon\ \kappa\acute{\iota}\rho\iota\varsigma\ \epsilon\acute{\iota}\varsigma\ \chi\epsilon\acute{\iota}\rho\alpha\varsigma\ \mu\alpha\upsilon$) მაგრამ ის კი გამორჩა მხედველობიდან, რომ მპრეფიქსით გამოხატულ 1-ლ ირიბ ობიექტურ პირთან შეუძლებელი იყო მე-2 პირდაპირ ობიექტური პირის შეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი უჩვეულო კონსტრუქციის ზმნური ფორ-

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გარამატიკის საფუძვლები, 1, 1973, გვ. 226—233.

მა ერთხელ ოთხთავის ქართულ თარგმანშიც არის ნახმარი: „მღვდელთ-
მოძღუართა მომცეს მე შენ (შდრ. მოუცემიხარ შენ ზემდა ო.),
ო. 18,35.

თქმა ზმნა სუბიექტური წყობისაა (ეთქუ, სთქუ, თქუა), მაგრამ
ოკაზიურ ფორმად შეიძლება ჰქონდეს სუბიექტურ-ობიექტური წყო-
ბაც (მოქუა, გთქუა...). „დაბადების“ თარგმანში ნათქვამია: „აჰა ესერა
ძმად შენი ესავ გითქუამს შენ მოკლვად (ასე ეუბნება რუბეკა ია-
კობს, რომელმაც ტუპისიკალი ესავი მწარედ მოატყუა). მართალია,
„გითქუამს“ სასხვისო ქცევის სამპირიანი ფორმაა, მაგრამ აქ რეალურ-
რად ორპირიანია (გითქუამს იგი შენ) (მეორეული მნიშვნელობით
აღნიშნავს „ქადნებას“, „მუქარას“) და დაახლოებით იმასვე გამოხა-
ტავს. რასაც საარვისო ქცევის ორპირიანი „გთქუამს“ (ე. ი. შენზე
ამბობს მოკლვას), შდრ. რუსთველური ფორმები: „ჰე, მზეო, ვინ ხა-
ტად გთქვეს მზიანისად ღამისად“, 836, I; „ჩემსა დავჯე,
მთქვენ აღვად“, 369,3 (= ჩემზე ამბობდნენ, ალვავო).

12. სამპირიანობა III სერიის მწკრივში. იშვიათად სამპირიანი
გარდამავალი ზმნა ირიბ ობიექტურ პირს ინარჩუნებს III სერიის
ფორმაციას: ათასი სატირია ვეცხლი მრჩობლი მიმიცემიეს
ქმარსა შენსა, დაბ. 20,16; სხუადცა, რად-იგი იყოს შენი, მიმი-
ცემიეს მათ [და არა: მათდა/მათა], დაბ. 20,16; კელთა
თქუენთა მიმიცემიან იგინი, ისუ ნავ. 10,8.

წარწობით სამპირიან, მაგრამ რეალურად ორპირიან „თაყუანის-
ცემა“ ზმნას შენარჩუნებული აქვს ირიბი ობიექტი III სერიაში: დაუ-
ტეო შენ... ყოველი პირი, რომელთა არა თაყუანის-უცემიეს
მას [და არა: მისა], III მეფ. 19,18.

„ბრძანება“ ზმნა პარიზულ ხელნაწერში ბუნებრივი კონსტრუქ-
ციითაა წარმოდგენილი: აჰა, ესერა მიბრძანებიეს მონათა
ჩემთადა, რუთ. 2,9. მაგრამ მცხეთურ ხელნაწერში ამავე ზმნას
ირ. ობიექტი ეწყობა: მიბრძანებიეს მონათა ჩემთა.

13. ოთხპირიანი ზმნები. ქართულ ზმნას ორ პირზე მეტის გამო-
ხატვა აო შეუძლია ფორმალურად, მორფოლოგიურად, მაგრამ ლოგი-
კურად, სინტაქსურად შეიძლება სამი პირი შეეწყოს და იშვიათად
ოთხიც კი².

¹ დ. გეგაძე, სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ
ქართულში. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრ., ტ. XVII, 1957, გვ. 471.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., გვ. 335; 350—
—352.

ლ. კვიციანიძე, ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში: კომუნისტური აღზრ-
დისათვის, № 8—9, 1937, გვ. 72—75.

ოთხპირიანებში ორი პირი ირიბია: ერთი მფლობელი (პოსესორი) (მორფოლოგიური ნიშნით გამოხატული) და მეორე — „წმინდა“ ირიბი (მორფოლოგიურად გამოუხატველი)¹. კაცმან ვინმე მეგვპტელმან განმარინნა ჩუენ მწყემსთაგან და გკსუა წყალი საცხოვართა ჩუენთა, გამ. 2,19: გკსუას ოთხი პირი ლოგიკურად ეწყობა სინტაქსურ დონეზე: მან (სუბ.), ჩუენ (ირ. ობ.), მათ (=საცხოვართა, ირ. ობ.), იგი (=წყალი, პირ. ობ.). სამპირიანი საარვისო ქცევის ფორმით ეგვეე შინაარსი ასე შეიძლებაოდა გამოხატულიყო: ასუა მეგვპტელმან წყალი ცხოვართა ჩუენთა. ოშეურ ხელნაწერში ასეცაა: „ასუა ცხოვართა ჩუენთა“...

ძაძაა შემაკერეს ტყავსა ჩემსა, იობ. 16,16. შემაკერეს ზმნა-საც ოთხი პირი ეწყობა სინტაქსურად: მათ (სუბ.), მე (პოსესორი ირ. ობ.), მას (ტყავსა, „წმინდა“ ირ. ობ.), იგი (=ძაძაა, პირ. ობ.). ორივე დასახელებულ ზმნაში პოსესორი ირიბი ობიექტი სათანადო მორფოლოგიური ნიშნებითაა გამოხატული (გკსუა ჩუენ. შემაკერეს მე), ხოლო მეორე „წმინდა“ ირ. ობიექტური პირი (გკსუა მათ. შემაკერეს მას) ბუნებრივად ისწრაფვის უბრალო დამატებად (თანდებულისანი ფორმით) შეეწყოს ზმნას: გკსუა მან ჩუენ იგი მათ თვს (=ცხოვართათვს), შემაკერეს მათ მე იგი მას ზედა (=ტყავსა ზედა). სწორედ ასეთი კონსტრუქცია იქნებოდა უფრო ბუნებრივი ქართული.

14. სამპირიანი ზმნის ერთპირიანად ქცევა. მოაქცია / მოაქცია ზმნის ფორმა ძველ ქართულში შეიძლება იყოს სამპირიანი, ორპირიანი და ერთპირიანიც: მოაქცია მან იგი მას (შეკლსა). მაგრამ მოაქცია უფრო ორი პირის გაგებას შეიცავს: ნუ მოაქცევ ძესა ჩემსა, დაბ. 24,6 [=ნუ მიაბრუნებ შენ მას]; აბრაჰამ... უკუ-მოიქცია ტყუჴ იგი ყოველი რემაკთაჴ..., მოაქცია ყოველითურთ ნატყუენავით..., დაბ. 14,16. ხშირად კი მხოლოდ ერთ (სუბიექტურ)

¹ ტიპოლოგიური ენათმეცნიერება, რომელიც სწავლობს ენათა უნივერსალური ხასიათის სიღრმისეულ სტრუქტურას. მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთსაგან ზმნის პირიანობას და ვალენტობას: პირიანობას განსაზღვრავს ზმნის ფორმაში ფორმალურად (მორფოლოგიურად) აღნიშნული პირების რაოდენობით, ვალენტობას კი — ზმნასთან დაკავშირებული სახელების, უკეთ: ზმნის სემანტიკით ნაგულისხმები მოქმედების რეალიზაციისათვის აუცილებელ და ზმნასთან ფორმალურ ურთიერთობაში მყოფ სახელთან მონაშაღური რაოდენობით: თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“: საენათმეცნიერო კრებული (ემდგენა გ. შაქვაძისაგან ხსოვნას), თბ., 1979; ლ. ენუქიძე, ზმნის ვალენტობისა და პირიანობის მიმართება ქართულში: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, IV, თბ., 1974; რ. ასათიანი, მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, თბ., 1982.

პირს შეწყობს: მ ი ა ქ ც ი ა რებენ ჯურღმულსა მას და არა პოვა ჯურღმულსა მას შინა და დაიბო სამოსელი თვისი და მ ი ა ქ ც ი ა ძმათა თესთა და თქუა...; დაბ. 37,29—30 [მიაქცია=მიიქცა, მიბრუნდა]: მ ი ა ქ ც ი ა მოსე უფლისა, გამ. 5,22; მ ი ა ქ ც ი ა აბრაჰამი და მივიდა მონათა თესთა თანა, დაბ. 22,19; ამა, უფალო, მ ი ა ქ ც ი ე თ კარვად მონსა თქუენისა და დაიბანენით ფერკნი თქუენნი, დაბ. 19,2 [მოაქციეთ=მობრუნდით].

ზოგჯერ გასწორებულია ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა და ერთბირიანი შინაარსის ზმნას ვნებითის ი პრეფიქსი აქვს დართული: მიიქც მწყემსი, დაბ. 38,22; მიიქცა ფარაო სახილ თსა, გამ. 7,23..

15. იშვიათი ხმარების მწკრივთა ფორმები.

1. წერეული კავშირებითის ფორმები. ეს თავისებური წარმოების მწკრივი იშვიათად იხმარება: რაემს იყოს სული იგი ბოროტი შენ 'ხედა ღმრთისა მიერ და გალობდეს ქნართა მისითა, და კეთილი იყოს შენდა და განგისუენოდის შენ, I მეფ. 16,16; ესრე იტყვის უფალი ძალთაჲ, ღმერთი ისრაჴლისაჲ, რამეთუ თქოდ იან სიტყუაჲ: ... ქუეყანასა იუდაჲსსა... რაემს მოვაქციო ტყუჲ მისი, იერ. 21,22. შდრ წ-ს (გამეორებული საკითხავის) იკითხვისი...: მერმე თქუენ-ღა სიტყუაჲ ქუეყანასა იუდაჲსსა...

2. I თურმეობითის ხოლმეობითი: ნაშობსა უკეთურსა მართალთა თანა შეურაცხიენ თავი, იგ. 30,12.

3. ნარიანი პირ. ობიექტის მრავლობითობის უჩვეულო გამოხატვა: მივიდეთ ვმსახუროთ ღმერთთა უცხოთა, რომელნი არ იცოდენ შენ და მამათა შენთა, II შჯ. 13,6 (ძნ: წმეჲჲ თჲ ::ჲ: რაჲჲჲჲ: თჲ... , которых не знал ты и отцы твои). იცოდენ კონტექსტში რეალურად ნიშნავს იცოდო (შენ იგინი) (ოდ სავრცობიანი ზმნების კვალობაზე ძველი ქართულის იცოდე უწყვეტლის მწკრივის ფორმა და ნიშნავს: იცოდი). რისია ნ ნიშანი? ცხადია, ნ ვერ იქნება I ბრძანებოთს ავ-ის ნიშანი, რადგან ზმნას სუბიექტად მე-2 პირი ეწყობა. ეს ნ (—ენ) ნარიანი პირ. ობიექტის მრავლობითობის ნიშანი

1 ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. I. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში. საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, ტ. VI, № 10, 1945, გვ. 843. მ. სიკიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. V. სხვა უცნობი მწკრივი ქართულში: ოსუ-ს სამეცნ. სესიის თეზისები. 1948, გვ. 18; მისივე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 104—105; ლ. კიკნაძე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში, ორიონი, (ა. შანიძის დაბადების 80 წლის-თავისადმი მიძღვნილი კრებული), თბ., 1967, გვ. 184—190.

უნდა იყოს, რომელიც წესისებრ ოდ საერცობის წინ უნდა ყოფილიყო (ასეცაა ეს ლაგურკის ლექციონარში: ...რომელნი არა იცნოდე), რადგან იცის და უწყის ზმნები ისტორიულად აქმოს მწკრივში გადმორიცხული II ხოლმეობითის ფორმებია. ამდენად, იცოდენ იგივე შინაარსის უნდა იყოს, რაც იცნოდე (შენ იგინი), მაგრამ იცნოდე—იცოდენ ფონეტიკურ (ნ-ს გადასმის) ნიადგზე კი არ უნდა იყოს მიღებული, არამედ ნარიანი პირ. ობიექტის წყვეტილში გამოხატვის წესის ანალოგიით (შდრ. შენ იგინი დაწერენ, აღაშენენ, შეშქამენ...),

4. შეუსაბამობა ბრძანებითის მწკრივთა წარმოებაში. I და II ბრძანებითის მწკრივები საყრდენი თხრობითი კილოს უწყვეტლისა და წყვეტილის მწკრივთან არსებითად მე-3 სუბიექტური პირის წარმოებით განსხვავდება (მხოლოებითში ნ სუფიქსი მოუღიოთ, მრავლობითში ელ), მაგრამ, ჩანს, აღრევე დაწყებულა ბრძანებითი მწკრივების მე-3 სუბიექტური პირის ფორმის შინაარსობლივი გაბუნდოვნება (რასაც შემდგომ ამ მწკრივთა გაქრობა მოჰყვა). ამას ავლენს შესაბამისობის დარღვევა ზმნის მე-3 სუბ. პირის ნიშანსა და თვით სუბიექტური პირის ფარდი სახელის რიცხვის ფორმას შორის: „დაიმარხენინ და ისმინენ ყოველნი სიტყუანი. რომელთა მე გამცნებ შენ“, II შჯ. 12,28; ცხადია, ორივე ზმნის ერთი სუბიექტი აქვს, და თუ ეს სუბიექტი მე-2 პირია, ზმნები ასე უნდა ყოფილიყო: დაიმარხენ, ისმინენ (შენ იგინი), ხოლო თუ მე-3 პირია, ასე: დაიმარხენინ, ისმინენინ (მან იგინი); „გიყუარდინ თქუენცა მწირნი, II შჯ. 10,1, (უნდა ყოფილიყო: გიყუარდე); „წარვედით... იორდანესა და გამორჩიდე კაცად-კაცადმან და აღიდე ნოდი ერთი..., ის., ნავ. 4,5. უნდა ყოფილიყო: გამორჩიდე, აღიდე (მან იგი), ან (თუ კრებითი სახელის მნიშვნელობით გავიგებდით „კაცად-კაცადს“): გამორჩიდე, აღიდე. შეთანხმება დარღვეულია მაშინაც, როცა ვინ ჯგუფის ორი ქვემდებარეა ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი: „წინაღწარმეტყუელი იგი და ჩუენებრს მხილველი მოკუედიინ“, II შჯ. 13,5 (მოსალოდნელი იყო: მოკუედე).

10. ზმნათა იშვიათი ფორმები. ყურადღებას იპყრობს ზოგი ზმნა. თავისი მორფოლოგიური სტრუქტურით ან სინტაქსური კონსტრუქციით.

1. უპრეფიქსო გარდაუვალი ზმნები. გვარისა და ქცევის პრეფიქსთა გარეშეა ნახმარი ძლოლა, კდემა, მზერა ზმნები.

ა) ძლოლა: უწინარეს შემუსრვისა ძღვს გინებაჲ, იგ. 16,18.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითქოს აქ მე-3 ირ. ობ. პირის ჰ/ს ნიშანი აკლდეს. შდრ. წარჰძლეუ (წარსძლეუ) შენ პირსა უფლისასა, ლ. 176. არა. „ძღვს“ ისევე ერთპირიანია (= „მიდის“), როგორც ზმნისწინიანი ჰ პრეფიქსდართული „წარჰძლეუ“¹ („წინ წახვალ“, შდრ. предъидеши). ამ ზმნაში ირ. ობ. პირის გაგება მხოლოდ ი/უ მაქცევრიან ფორმებს აქვს (მ-ი-ძღვს, უ-ძღვს) და ამიტომ თანაბრად უქცეო შინაარსის სინონიმურ ზმნურ ფორმებად ვერ ჩავთვლით უპრეფიქსო: ძღვს და პრეფიქსიან უ ძღვს²-ს.

ბ) კ დ ე მ ა. ამ ზმნას აწმყოში ორი უთავსართო თემა აქვს: კდემ/კდემებ; კ დ ე მ აქტიური შინაარსისაა, კ დ ე მ ე ბ — პასიური: ნუ ჰკდემთ, რუთ. 2,15 (ნუ არცხვენთ: *მუ; ჯაჯა:ჯაჯაუ-ჯე ჯბაჯუ, не обижайте еѣ*); არა ჰრცხუნოდის, არცა კ დ ე მ ე ბ ო დ ი ს, ეს. 45,17; I კავშირებითის „კდემებოდის“ ემყარება აწმყოს კ დ ე მ ე ბ ი ს (=მორცხვდება, მორცხვობს) ფორმას. ორპირიანი პრეფიქსიანი ვნებითის ფორმა (ეკლიმების, ეკლიმებოდა...) მოგვიანებით ჩანს გაჩენილი, რადგან ის ემყარება II სერიის მწკრივთა კდომ მორფემას (შდრ. არა იკდიმო დაკემასა მას შინა შენსა, ზირ. 4,26).

გ) მზერა: საწოლსა თვსსა ზედა სხენან იგინი [=ლომნი] მალნარსა შინა და მზირიან, იობ, 38,40 (შდრ. მზირინ ფარულად, ვითარცა ლომი საყოფელსა თვსსა; მზირინ იგი, რაათამცა მისტაცა გლახაკსა..., ფს. 9,30 4). I და II სერიის თემათა ისეთი დაპირისპირება, როგორც დღესაა (მზერ/მზირ: უმზერს/უმზირა), ძველში არ არის: შდრ. ორპირიანი ი/უ მაქცევრიანი ფორმები: უმზირდეს მას, მრ. 3,2; ლკ. II, 54; 14,1; ყოველსა ყორესა უმზირის, იგ. 7,120.

2. სუელ-ის გვერდით ზმნა სოველ ფუძესაც ემყარება: ერთი ნაწილი შეისოვლის და ერთი ნაწილი არა შეისოვლის, ამბ. 4,7.

3. ქუან (ქონ) ძირის ზმნას გრამატიკულ სუბიექტად ეწყობა სულიერი, კერძოდ, ვინ ჩგუფის სახელი, რაც უცხოენოვანი წყაროს გავლენით უნდა აიხსნებოდეს (ბერძნული *ἐχθευ* და სომხური *ուհնլ* ქონასაც აღნიშნავენ და ყოლასაც): რომელთა არა აქუს წინამძღუარი, ამბ. I, 14: ობოლსა, რომელსა არა აქუნდა

¹ შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 749.

² შდრ. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 291.

მწმ. შევეწი, იობ. 29.12; რამეთუ არა აქუნდა მწყემსი. ეზეკ. 34.5.

თუ შესაძლებელია, რომ აქუს ზმნას გრამატიკულ სუბიექტად ეწყობოდეს სულიერი საგნის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი იგი (მწყემსი. წინამძღუარი...). ცხადია, I-ლი და მე-2 პირის ნაცვალსახელებიც უნდა შეეწყოს: ვაქუნ (= ვყავარ) მე მას, აქუნ (= ვყავხარ) შენ მას. ასეთი ფორმაცა პარიზულ ხელნაწერში: სასიტყველად ვაქუ მე, იობ. 30,9 (ვაქუ—ვაქუნ), ე. ი. სალაპარაკოდ, მ-რქმა-მოთქმის საგნად ვყავარ მე მათო.

4. წოდება ზმნის უთემისნიშნო აწყემოს ხოლმეობითის იშვიათი ფორმაა „შემიწოდედ“, რომელსაც ოშკურ ხელნაწერში II ხოლმეობითის „შემიწოდიან“ ენაცვლება: ებრაელი ქალები—შვიან-ლა პირველად ვიდრე შესლვადმდე ჩუენდა და მაშინლა შემიწოდედ ჩუენ“ (გამ. 1,19).

5. რთვა ზმნა ევ თემატური ნიშნითაა წარმოდგენილი: [სიბრძნესა] არარაჲ მიერთევის, სიბ. სოლ. 7,25. შდრ. არა შეერთის გინებასა, იგ. 14,10 (ოშკის ხელნაწ.) [შეერთევის—შეერთვის—შეერთის].

6. I თურმეობითში ამ თემატური ნიშნის ადგილზე ემ არის ნახმარი: მითქუმს, იობ. 31,31, შდრ. აღნათქუემი, II შჯ. 12,17.

7. ამაქცევრიანი ზმნა სასხვისო ქცევის შინაარსისაა: საქმშ ესე, რომელ არავის უქმნიეს, მაქმენ ჩუენ, დაბ. 20,9. „მაქმენ“ არ არის კაუზატივის ფორმა, როგორც ეს შეიძლება კაცს ეგონოს მცხეთური ვერსიის „მაქმნიე“ იკითხვისის მიხედვით. არა. „მაქმენ“ ზმნასთან შეწყობილი „ჩუენ“ არა მართო გრამატიკული, არამედ რეალური ირიბი ობიექტია (შდრ. მისი ბერძნული ფარდი: $\pi\epsilon\pi\sigma\iota\eta\upsilon\text{:}\alpha\zeta\mu\iota\alpha$) და ამდენად თავსართი აკაუზატივის მაწარმოებელი კი არ არის, არამედ ქცევისა, ოღონდ ანიანი წარმოების ფორმას საარვისოს ნაცვლად სასხვისო ქცევის შინაარსი აქვს: ექსკლუზიური მაქმენ ან ინკლუზიური გუაქმენ რეალურად ნიშნავს: მიქმენ (გკქმენ) ან: მიყავ (გკყავ) შენ ჩუენ იგი.

ასეთივეა „დაამძიმეთ“ ფორმა: დაამძიმეთ საქმშ ეგე კაცთა მაგათ. გამ. 5,9 (შდრ. დაუამძიმეთ, ოშკურ ხელნაწერში). საინტერესოა ა-ს გამოვლენა გონება ზმნაში: იხილა იგი იუდა და აგონა, ვითარმედ, მეძავი ვინმე იყოს, დაბ. 38,15. შდრ. ეგონა. დაბ. 41,2.

8. ვალ ზმნის კაუზატივი ოდენ აპრეფიქსითაა ნაწარმოები: მომავლო კიდშ მის მდინარისაჲ, ეზ. 47,6. „მოვლე“ ზმნის შუალობითი კონტაქტის ფორმა „მომავლო“ აქ ნიშნავს: მომატარა, „მომარონია“ (მან მე. იგი).

ს ი ნ ტ ა ქ ს ი. 1. ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა. როგორც წესი, ვინ ჯგუფის სახელით გადმოცემული ორი ან მეტი ქვემდებარე შემასმენელს ითანხმებს მრავლობით რიცხვში: ყვეს მოსე და აპრონ..., გამ. 7,6; შთავედით შენ და ფარა... ბანაკად, მსაჯ. 7,10. მაგრამ უფო ძველ ვითარებას უნდა ასახავდეს ისეთი შემთხვევები, როცა შერწყმულ წინადადებაში ორი ან მეტი ვინ ჯგუფის სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელი რიცხვში არ უთანხმდება. შემასმენელი მხოლოდ პირველ (უახლოეს) ქვემდებარეს უწევს ანგარიშს და სხვა „და“ კავშირით „შემომატებული“ ქვემდებარეები, თუნდაც რომ მათ წარიანი მრავლობითის ფორმა ჰქონდეთ, „გაუცნობიერებელი“ რჩება (ახალ ქართულში ასეთი რამ შეთანხმების დარღვევად გაიგება): გამოვიდა ნოვე და ცოლი მისი და ძენი მისნი, დაბ. 8,18 [მოსალოდნელი იყო: გამოვიდეს, ე. ი. გამოვიდნენ]; აღდგარებეკა და შიმუნვარნი მისნი, დაბ. 24,61: აღესრულა იოსებ და ყოველნი ძმანი მისნი, გამ. 1,6 ასევეა ვითარება. როცა ქვემდებარედ საკუთარი სახელებია: შთავიდა იგი [გედეონ] და ფარა. მსაჯ. 7,10; ჰრქუა მას ზებეე და სალმანა, მსაჯ. 8,21.

ზოგჯერ ებ-იანი მრავლობითის ვინ ჯგუფის სახელით გადმოცემული ქვემდებარე რიცხვში ვერ ითანხმებს შემასმენელს: გამოვიდოდა მძნობრები და მაქებელები მიგებებად დავითისა, I მეფ. 18,6.

ქვემდებარედ გამოყენებული კრებითი სახელი ვრი შემასმენელს ხან მრავლობითის ფორმით შეიწყობს, ხანაც მხოლობითისა: აღილეს კმაჲ ერმან მან და ტიროდეს, მსაჯ. 2,4; და ჰრქუა მას ერმან მან სიტყუსა მისებრ და ეტყოდეს: ესრჳთ უყოს კაცსა მას, რომელმან მოკლას ესე, I მეფ. 17,27.

წარიანი პირ. ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში. იშვიათად ზმნაში არ არის წარმოდგენილი წარიანი პირ. ობიექტის ნ/ენ ნიშანი: უთხრეს რებეკას სიტყუანი ესე ძისა მის უხუცესისანი, დაბ. 27,42; მოვიცსენე აბრაჰამ, ისაკ და იაკობ, II შჯ. 9,27 (შდრ. მოიციენენ ლაგურკის ხელნაწ.); მე განვხწნე იგინი, დაბ. 6,13; განიყვანე ცოლი შენი და ასულნი შენნი, დაბ. 19,15. უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ზმნამ ანგარიში გაუწია პირველ, უახლოეს პირ. დამატებას და არა მომდევნოს. დაშორებულს. აშკარაა, რომ ზმნისგან დაშორებული სუბიექტის მსგავსად წარიანი პირდაპირი ობიექტის სინტაქსური ძალა (შეთანხმების უნარი) სუსტია, რიცხვში ვერ ითანხმებს ზმნას, რაც ისეთ უძველეს ვითარებას უნდა ასახავდეს, როცა ენაში სინტაქსური კავშირის მოქმედების რადიუსი მოკლე იყო და

შორს მყოფ წინადადების წევრებზე ვერ ვრცელდებოდა: მოსე წარიყვანა ცოლი თვისი და ყრმა-ნი მისნი..., გამ. 4,20; მოიყვანეს აბრაჰამ და ნაქორ თავისა თვისისა ცოლნი, დაბ. 11,29; და გრქუა: ძვირი მიუტევე, ურჩულოებანი და შეცოდებანი მათნი, დაბ. 50,17.

თითქო ზედმეტად არის ნახმარი ზმნაში პირ. ობიექტის მრავლობითობის ნ/ენ ნიშანი: აღმოკადნედ იგი ყორანთა და შექამნედ იგი მართუეთა ორბისათა, იგ. 30,17. აქ რიცხვში შეთანხმება ფორმალურად არის დარღვეული (ზმნაში ნ ნიშანს აჩენს „იგი“ და არა „იგინი“), მაგრამ რეალურად კონტექსტური შინაარსით პირ. ობიექტად „თუალნი“ იგულისხმება, წყვილი საგანი, და, ამდენად, ნ-ს ქონა ზმნაში ლოგიკურად გამართლებულია.

იშეითად ზმნაში მრავლობითობის ნ ნიშანს აჩენს პირ. დამატებად გამოყენებული კრებითი სახელი „ნათესავი“ (=ერი, ხალხი). თუ ქვემდებარედ კრებით სახელს შეუძლია ზოგჯერ შემასმენლის მრავლობით რიცხვში შეთანხმება, პირდაპირ დამატებად გამოყენებულ კრებით სახელსაც უნდა შეეძლოს პრინციპულად. შინაარსობლივ რიცხვში შეითანხმოს შემასმენელი და მასში გააჩინოს მრავლობითობის ნ (ენ) ნიშანი: ხოლო ნათესავსა მას რომელსა ჰმონებენ, ვსაჯნე მე, დაბ. 15,14 (სინტაქსური ასიმილაცია რომ არა, უნდა ყოფილიყო: ხოლო ნათესავი იგი. რომელსა ჰმონებენ, ვსაჯნე მე).

ზოგჯერ სახელობით ბრუნვაში მდგარი ებ-იანი პირ. ობიექტის მრავლობითობაც არის ზმნაში გამოხატული ნ ნიშნით: ეტლები მათი და ცხენები მათი ...წარღუნნა წყალმან მან მეწამულისა ზღვსამან, II შჯ. 11,4; მოწყვდნეს მუნ მთავრები იგი ამაღუკელთან, დაბ. 14,7.

3. გარდაუვალი (მედოპასივი) ზმნის ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში. აწ გამოვიდეს სოდომელთ მეფემან და ადამელთ მეფემან და სებოიმელთ მეფემან, ბარაკ, სეგარელთ მეფემან, დაბ. 14,8. ასეთი იშვიათი ფაქტი თავისებური ანალოგიის შედეგია: სუბიექტი მოთხ. ბრუნვაში ისეთ გარდაუვალ ზმნებს შეიძლება შეეწყოს, რომლებიც მოქმედებითი (გარდამავალი) ზმნების მსგავსად თავისებურად „აქტიურ“ მოქმედებას გამოხატავენ¹.

¹ Г. Климов. К характеристике языков активного строя В. Я. № 4, 1972 ст. 5.

ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 245. მისივე, სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში ზოგ გარდაუვალ ზმნათა: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1973, № 2, გვ. 73.

4. კორელატის პლეონასტური გავრცობა. როცა მთავარი წინადადების მისათითებელი სიტყვა თავის შემასმენელს დაშორებულია (დამოკიდებული წინადადებითაა გათიშული), მათ შორის სინტაქსური კავშირი სუსტდება და ამიტომ შემასმენელი დამატებით გაიჩენს კორელატის მაგულეებელ ნაცვალსახელს: (იშვიათად მისამართი ანუ განსაზღვრული სახელიც კი შეიძლება განმეორდეს)¹: სულმან რომელმან ცოდოს, იგიცა მოკუდეს (ეზეკ. 18,20); წყალი ეგე, რომელ განვალს გალილეაფთ კერძო..., მან განკურნოს ყოველი (ეზეკ. 47,8): τὸ ὄναρ τοῦτο τὸ ἐκπορευόμενον εἰς τῆν Γαλιλαίαν... καὶ ἴσχυε· τὰ ὄναρα. და ქუეყანაჲ, რომელი მივეც აბრაჰამს და ისაკს, მიგეც შენ იგი..., დაბ. 35,12; καὶ τῆς γῆς, ἣν ἔδωκα Ἀβραάμ..., σὺ δὲ ἔδωκα αὐτῆς. ჩანს, ზოგჯერ ბერძნული წყარო განსაზღვრავს ქართული თარგმანის ამ თავისებურებას.

შემასმენელთან სინტაქსურ წყვილში შემავალი წევრიც შეიძლება გაივრცოს, თუ წყვილის წევრებს შორის მოქცეა განკერძოებული სიტყვები: იაკობს, მონასა ჩემსა, შევეწიო მას (ეს. 42,1): Ἰακώβ δὲ παῖς μου, ἀνελήφομαι αὐτῷ.

5. სინტაქსური ასიმილაცია. მთავარი წინადადების ქვემდებარე ან დამატება ბრუნვაში კი არ ეწყობა. თავის შემასმენელს, არამედ ბრუნვაში შეთანხმებულთა (დამსგავსებულთა) ახლო (გვერდით) მდგომი დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირს (თავის მხრივ ასეთი წევრ-კავშირი ბრუნვაში დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ეწყობა)²: ხოლო ნათესავსა მას რომელსა ჰმონებენ, ვსაჯნე მე, დაბ. 15,14; ყოველმან წულმან რომელმან არა წინადაიცვთოს..., მოისპოს, დაბ. 17,14; სიტყუასა რომელსა გეტყვ შენ, ფარაო, ...გეჩუენა შენ, დაბ. 41,29; ყოველთა ამათ მცნებათა რომელთა გამცნებ თქვენ დღეს. და იმარხენით, II შჯ. 8,1; საძაგელი რომელი უფალმან ღმერთმან მოიძულა, უყოფენ კერპთა მათთა, II შჯ. 12,31; ყოველთა სიტყუათა რომელთა გამცნებ შენ დღეს, ესე და იმარხენ ყოფად, II შჯ. 13,32; ყურსა რომელსა ესმა, მნატრა, და თუალმან რომელმან მიხილა, მერიდა მე, იობ. 29,11; პირი რომელი იტყოდის ძვრსა, მოკლის სული თვისი, სიბ. სოლ. 1,11;

¹ ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969, გვ. 76.

² კ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: რჩ. ნაშრომები, I, თბ., 1967, გვ. 20—29. მისივე, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში: თსუ-ს შრ., XX XVIII, 1949, გვ. 193—211.

კაცო რომელი იყოს მართალი..., მათა ზედა არა ქამოს, ეზ. 18.5—6.

6. სინტაქსური კონტამინაცია. ძველ ქართულში არც თუ იშვიათად ზმნის ირიბი ობიექტური პირის ფარდი სახელი მოსალოდნელი მიცემითი ბრუნვის ნაცვლად თანდებულიან ბრუნვებშია წარმოდგენილი, რაც ორი (პირმიმართიანი და თანდებულიანი) სინტაქსური კონსტრუქციის შერწყმითაა მიღებული: შიში სიკუდილისაჲ დამეცა ჩემ ზედა. (ფსალ. 54,5)—შიში... დამეცა მე+ შიში... დაეცა ჩემ ზედა. იმის მიხედვით, თუ საყრდენმა კონსტრუქციამ რა ელემენტი შეიერთა მეორე კონსტრუქციისაგან, სამი სახის სინტაქსური კონტამინაცია გამოიყოფა: თანდებულიანი, გენეტიური (ნათესაობითიანი), პლეონასტური. რადგან 1-ლი და მე-2 ირიბ-ობიექტური პირი ზმნაში ყოველთვის სათანადო (მ, გ) პრეფიქსითაა გამოხატული, სინტაქსური კონტამინაციის არსი მკაფიოდ სწორედ ზმნის ამ პირთა ფორმებში ჩანს და ჩვენც მხოლოდ ასეთ მაგალითებს დავასახელებთ:

1-ლი ან მე-2 პირი ირიბ დამატებად მიცემითის ნაცვლად წარმოდგენილია ნათესაობითის ან თანდებულიანი ფორმით (ზოგჯერ პლეონასტურადაც).

1-ლი პირი: ღმერთი განმეშორა ჩემგან, I მეფ. 28,15; სიტყუაჲ ცრუჲ და ამოჲ განმაშორე ჩემგან, იგ. 30,8; დიდებაჲ ჩემი განმძუარცა ჩემგან, იობ. 19,9; განმეშორენით ჩემგან, იობ. 7,16; დამღვეს ჩემ ზედა ქვაჲ, გოდ. იერ. 3,58.

მე-2 პირი: წარგიდლუანოს ანგელოზი თვისი წინაშე შენსა და წარგიმართნეს გზანი შენნი, დაბ. 24,7; მე მოგკუეთე კიდე ქლამინდისა შენისაჲ, I მეფ. 24,12; უფალი განგეშორა შენგან, I მეფ. 28,16; აწ ესერა მიგხედო პირსა თქუენსა. იობ 6,28; მოგკუეთოს თავი შენი შენგან ფარაო, დაბ. 40,19; მიგცემ წინაშე თქუენსა დღეს კურთხევასა..., II შჯ. 11,26; არა გმთავრობდე მე თქუენ ზედა, მსაჯ. 8,23; მოგცე თქუენ ზედა სული ჩემი, ეზ. 36,27; ...განგიდგეს შენგან, ბარ. 3,8; რომელმან-იგი მოგადა თქუენ ზედა ძკრი, ბარ. 4,29¹.

8. „ვიდრე“ ზმნიზედის პლეონასტური ხმარება. ბერძნული ჰად წინდებული, რომლის ბუნებრივი ფარდია ქართული მიწვევნილობის მდე თანდებული, ზოგჯერ მრჩობლად გამოდის: ვიდრე წინდებული +

¹ კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში: საქ. სსრ მეც. აკადემიის „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), № 4, 1975, გვ. 79—90.

†მდე თანდებული, რათა უცხოენოვან (ბერძნულ, სომხურ, სიონელ) ტექსტებში ნახმარი წინდებულები (ἐξ, ძჩიუკ 'dama) წინდებულ-ითვე იქნეს გადმოტანილი და ქართული ფრაზა ზედმიწევნით დაუახლოვდეს პირველწყაროთ. ასეთ კონსტრუქციაზე ვრცლად სხვაგან გვაქვს საუბარი¹ და ამიტომ აქ მხოლოდ მაგალითება დავასახელებთ: ხოლო წყალი იგი ვიდოდა და მოაკლდებოდა ვიდრე მეათე დღემდე, დაბ. 8,5; ყოველი მკეცი მფონველთაგან ვიდრე საცხოვარამდე..., დაბ. 8,17; ყვით თავისა ჩუენისა სახელი ვიდრე განთესვამდე ჩუენდა..., დაბ. 11,4; უფალსა მიუვლინებთიე ვიდრე იერიქოდმდე, IV მეფ. 2,4; უფალსა მოუვლინებთიე ვიდრე იორდანემდე, IV მეფ. 2,6.

9. „კელითა“ ფორმის პლეონასტური ხმარება. საკურვლითობის შინაარსს ჩვეულებრივ მოქმედებითი ბრუნვის ფორმა გადმოსცემს, მაგრამ საკურვლითობის გამოხატვის ამ საშუალებას ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში ზოგჯერ პლეონასტურად ემატება „კელითა“ ფორმა, რაც უცხოენოვან პირველწყაროთა კალკური გადმოცემის შედეგია. თავად საკურვლითობის ფუნქციით „კელ“ ფუძის ვამოყენება ებრაულსა და სირიულ ენებს ახასიათებთ. ებრაული ბიბლიური ტექსტის გავლენით ბერძნულ თარგმანშიც (სეპტუაგინტაშიც) მოიკიდა ფეხი ἐν ἕξει; ფორმამ. სომხურ და ქართულ თარგმანთა „ჩ ძლინ“ და „კელითა“ უფრო ბერძნულ წყაროს უნდა ემყარებოდეს, ვიდრე უშუალოდ ებრაულის ან სირიულისას.

...რომელნი ამცნნა მამათა მათთა კელითა მოსცსითა, მსაჯ. 3,4; (...ἐν ἕξει; Μασση; 'ჩ ძლინ მიძისჱ); იყო სიტყუაჲ უფლისაჲ კელითა ანგეა წინაწარმეტყუელისაჲთა, ანგ. 1,3; იტყოდა უფალი კელითა ანგეოზ წინაწარმეტყუელისაჲთა, ანგ. 2,1; ვითარცა იტყოდე კელითა მონათა შენთა წინაწარმეტყუელთა, ბარ. 2,20.

10. ნუ ნაწილაკის ხმარება კითხვით წინადადებაში. ქართულში არ ან ვერ ნაწილაკიანი უკუთქმითი წინადადება სათანადო ინტონაციით დაუბრკოლებლად შეიძლება კითხვითად იქცეს (არ იტყვის? ვერ იტყვის?), მაგრამ ნუ ნაწილაკიანი კი — არა. ნუ კატეგორიულ ბრძანებას გამოხატავს და კითხვითობას ვერ გუობს (შეუძლებელია: „ნუ იტყვის?“). ძველ ქართულში კი (უფრო ნათარგმნ ძეგლებში) ნუ ესეთ კითხვით წინადადებაში იხმარებოდა, რომელსაც რიტორიკული ელ-

¹ კ. დანელია, ვიდრე უდებრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში: საქ. სსრ მეც. აკადემიის „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), № 1, 1978, გვ. 91—104.

იშვიათად ქართულ თარგმანში ნუ ნახმარია მაშინაც, როცა კითხვითი წინადადება უცხოენოვან წყაროებში *მქ* ან *მჩ* (*მჩ/მც*) ნაწილაკებს არ შეიცავს: ძალი ნუ რაა ვარა, რამეთუ გამოხუედ არგნითა...? I მეფ. 17, 43, 'მცე: ხსაყ ზყს ეჲმ; თს ზერჲჲ ზნ ჰმჲ ჰუ პჯჲმჲ) *ღჩ საჲჲ, ჯონ ხმ სა, ღჩ...*

ასეთ ფაქტს ან ანალოგია უნდა აპირობებდეს, ან ისეთი წყარო, ადაც შეიძლებოდა ყოფილიყო ნუ-ს ფარდი *მქ*, *მჩ* მაგრამ არ აქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ შეიძლებოდა ნუ-ს თვით ძველ ქართულში ჰქონდა კითხვითობის ფუნქცია, რადგან ორიგინალურ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ნუ-ს არა აქვს დაკისრებული ასეთი მნიშვნელობა.

11. სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი. მესამე პირის ნათქვამის უცვლელად გადმოცემა-გამეორებისათვის გამოყენებულია ო ნაწილაკი. როჲელიც არც თუ ხშირად იხმარებოდა ძველ ქართულში: ...რომელნი გეტყვან შენ, ვითარმედ: დავით ეძიებს სულსა შენსაო, I მეფ. 24,10: ერისთავნი... იტყვან: არა მოვიდეს იგი ჩუენ თანაო, I მეფ. 29,9: პირმან შენმან თქუა. ვითარმედ: მე მოვკალ ცხებული უფლისაჲო, II მეფ. 1,16; წარწყმდინ დღჲ იგი, რომელსა მე ვიშევ, და ლამჲ იგი, რომელსა თქუეს: წული არსო, იობ. 3,3; ნუ ეტყვ: „წარვედ აწ და ხვალე მოვედო“, იგ. 3,28¹.

ს ი ტ ყ ვ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ა. დღეს ე სუფიქსი აუცილებელია მე/მო. სა/სი პრეფიქსებთან ერთად ახალი (ხელობის, დანიშნულების, აბსტრაქტულობის შინაარსის) სახელების საწარმოებლად (მე-ე, მო-ე, სა-ე, სი-ე). ცნობილია, რომ სადაც ერთი ფუნქციით ორი აფიქსია გამოყენებული, იქ ისტორიულად ორი ფუნქცია ივარაუდება. მაშასადამე, ე-ს ადრე დამოუკიდებელი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, მაგრამ მისი დაკარგვის შემდეგ უფუნქციოდ დარჩენილი ე შეზიარებია პრეფიქსებს და კონფიქსის კომპონენტი გამხდარა. ძველ ქართულში უკეთ ჩანს, რომ ხელობისა და დანიშნულების ჯგუფის სახელების საწარმოებლად ოდესღაც საკმარისი იყო მ ა რ ტ ო პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ი: მაგრამ მარტო ე სუფიქსი ამ მნიშვნელობით არ ასოდეს გამოლიოდა. დღეს ჰირს ე-ს თავდაპირველი სახისა და ფუნქციის წარმო-

¹ სტილური ფუნქციით ო ნაწილაკი წინადადების დასაწყის სიტყვასთანაც შეიძლება იხმარებოდეს. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ერთი სტილისტური ხერხის ისტორიისათვის: ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალთავი, IX, თბ., გვ. 63—65; ა. კ ი ზ ი რ ი ა, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969, გვ. 65—67.

ჩენა. თითქოს ე—*ელ/*ენ¹. თუმცა არაა გამორიცხული ე მქონებლობის. მახედსართავებული ერ სუფიქსისაგან მოდიოდეს, იმ ერ-ისა-ვან. რომელიც მასზე უწინარესი ივ სუფიქსის ფუნქციის მტვირთველი და კამაცხოველებელი ჩანს, შდრ. ძალ-ი, *ძლ-ივ (=ძლ-ით; ძლ-ივ-ს). ელ-ი(ვ)-ერ. თითქო შეიძლება ასეთი ე(—ერ/იერ) გამოიყოს ზოგ სახელურ ფუძეშიც: ყურ-ე, გუბ-ე, უყ-ე, მრუშ-ე (ე. ი. გუბ-ი—*გუბ-იერ/*გუბ-ერ—გუბ-ე). ძველ ქართულში ე-ს გარეშე იხმარება არსებითი სახელის ფუძეები გუბ-ი, უყ-ი: და ჭევეები ადოცისაჲ უყისაჲ უყსა თანა და გუბი გუბსა თანა, ესე იგი არს, მალთითა და ეკპრითა საესჲ, დაბ. 14,10. მაგრამ მრუშ-ს შენარჩუნებული აქვს ე: თუალთა მრუშეთამან იხილეს ბნელი, იობ. 24,15 (ოშკ. ბიბ-ლია).

ძველ ქართულში, როგორც აღვნიშნეთ, ოდენპრეფიქსული წარმოება ცვლიდა ზოგჯერ კონფიქსურ წარმოებას: ხა-ისარ-ი (ეზ. 17,17). მე-ისარ-ი/მო-ისარ-ი (ეზ. 4,2)², ან მიმღებური წარმოების გასუბსტანტივებული ფუძეები: მე-ოტ-ი „берлеа“ (IV მეფ. 9,15), მე-ოხ-ი „შემწე“ (პრომ. 8,26), მე-ორძ-ი „მოზარდი“ (სიბრძ. სოლ. 13,11). მე-ძავ-ი; საყრდენი ზმნური ფუძეებია: ოტ—*ოლტ—*ვალტ³, ოხ (ოხ-ება, მე-ოხ-ება „შუამდგომლობა“), ორძ (ორძის „იზრდება“, კოლ. 2,19; ეფეს. 2,21), ძავ (←*ძუ-ავ/*ძუავს „ძუს ბუნებას ავლენს, მძუნობს“).

პარიზულ ხელნაწერშიც ნახმარია ოდენპრეფიქსული წარმოების სახელები: სა-ყურ-ი „საყურე“: ეზოჲს-მოძღუარმან... აღმოიხუნა საყურნი ოქროჲსანი, დაბ. 24,22; მომეციოთ მე კაცად-კაცადმან აქუენმან საყური ერთი ნატყუენავისაგანი, რამეთუ საყური ოქროჲსაჲ ესხა მათ, მსაჯ. 8,24; ვითარცა საყური ნიკველსა ღორისასა, დედაკაცსა სახებოროტსა — სიკეთჲ, იგავ. 11,22; საყურსა ოქროჲსასა და ანთრავითა პატიოსნითა შემკულ არს სიტყუჲა სიბრძნისაჲ ყურთა მორჩილთასა, იგავ. 25,12.

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 84; მისივე, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იკვ. ტ. XIX, 1974, გვ. 75. მ. ტუსკია, სახელთა წარმოქმნელი კონფიქსების ფუძეებთან მიმართებისათვის; თსუ-ს შრ.. 187, 1977, გვ. 112.

² ეზევიელის წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტოშვილმა, თბ., 1976, გვ. 334..

³ ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. ვალტ ფუძე და მისი შესატყვი-სები სვანურ-კოლხურში: ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 51—53.

სა-ძილ-ი („საძილე“, ე. ი. სიზმარი“): არღარა ისმინა ჩემი... და არცა სა ძ ი ლ თ ა, არცა გამოცხადებით, I მეფ. 28,15.

მო-ძილ-ი („მოძილე“ ძილისგულა, *μαθητής*): ყოველი მომთრ-ვალმ და მეძავი და მო ძ ი ლ ი დაგლახაქნეს, იგავ. 23.21. შღრ. უ-ძილ-ი („უძილო“): უ ძ ი ლ ვიყავ, ფს. 101,8.

სა-ყურძენ-ი („საყურძენე“, ე. ი ვენახი): სა ყ უ რ ძ ე ნ ი თქუე-ნი და ლელონი და ზეთის-ხილოანი შეჭამა იგი მგრაგნელმან, ამოს. 4,9. შღრ. მწყემსთა მრავალთა განრყუნეს სა ყ უ რ ძ ე ნ ი ჩემი. იერ. 12.10. აღიშის ოთხთავში ხშირად „ვენახის“ ნაცვლად სა ყ უ რ ძ ე ნ რ ი ხმარება (მ. 20, 1—2; 20,4—8; 21,28—39; 21,40—41; მრ. 12.8). მსგავსი ფორმები სხვა ძეგლებშიცაა; სა-ეკვ. (მ. ცხ. 60r), სა-გრილ-ი („ჩრდილი“, „საგრილობელი“, ეზეკ. 6,12; მრ. 4,32 DE).

აქვე უნდა დავსახელოთ შემრუშე ფორმა: ნაშობნო შემრუ-შეთანო და მეძავთანო, ეს. 57,3. ძველ ქართულში შემრუშე და მომრუშე თანაბარი სიხშირითაა ნახმარი: ნათესავი ბოროტი და მე-მრუშე (მომრუშე C). მთ. 12,39. ფიქრობენ, რომ მო-მრუშე-ე ოდ-ნაობითი ხარისხის ფორმაა („მო-მწუან-ე“-ს ტიპისა), რომელიც გვიან ხელობის სახელთა ანალოგიით მე-მრუშე-ე-დ ქცეულა. მომრუშე და მომთრვალე ფორმათა საფუძველზე კეთდება შორს მიმავალი დასკვნა: ოდნაობითი ხარისხის ამ ფორმებს (resp i-ლ ობ. პირის ზმნურ ფორმებს: *მ-ი-მრუშ-ე—მ-ო-მრუშ-ე) არქაული ვითარება დაუცავთ, უფრო ობითი ხარისხის შინა-არსი შერჩენიათ¹. ასეთი მოსაზრება მარტივ ანალოგიას ემყარება: თუ უფროობითის ხარისხის უ—ე/უ—ე-ს მაწარმოებლები წარმოშობით ზმნურია და წყვეტილის მე-3 ობ. პირის ფორმას ემყარება² [ზმნა: ხ-უ-დიდ-ე შენ მას იგი; ზედსართავი ხარისხის ფორმა: ხ-უ-დიდ-ე იგი მას]. ოდნაობითის ფორმაც შეიძლება ზმნური წარმოშობისა იყოს და 1-ლ ობ. პირის ფორმისაგან მომდინარეობდეს [ზმნა. მ-ი-დიდ-ე შენ მე იგი; ზედსართავის ხარისხის ფორმა: *მ-ი-დიდ-ე—მ-ო-დიდ-ე „იგი ჩემზე დიდი“]. ნამდვილად კი უფროობითი და ოდნაობითი ხარისხის კონფიქსები განსხვავებული წარმომავლობისა უნდა იყოს. უფროობითი ხარისხის კონფიქსის ზმნური წარმომავლობის უანიძი-სეული ახსნა სწორია, რადგან მის სასარგებლოდ სამი ფაქტი მეტ-

¹ ი. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბ., 1957, გვ. 456.

² ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981, გვ. 407; მისივე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 141.

ყველებს: 1) ხარისხისა და ზმნური კატეგორიების მაწარმოებელთა სრული მატერიალურ-ბგერობრივი იდენტურობა; 2) ზმნური და სახელური სანტაქსური კონსტრუქციების იგივეობა: შესადარებელი საგნის სახელი მიც. ბრუნვაში დგას, როგორც ზმნის ირიბ ობიექტური პირის ფარდი სიტყვა: უ მ ჯ ო ბ ე ს არს კაცი სა ც ხ ო ვ ა რ ს ა (მ. 12,12)¹. 3) ხანმეტ და ჰამეტ ძეგლებში უფროობითი ხარისხის ფორმა ნორმისებრ ინარჩუნებს მე-3 ირიბი ობიექტური პირის ხ/პ პრეფიქსს (ხუდიდჴს/ჰუდიდჴს). მაგრამ ოდნობითი ხარისხის მაწარმოებელ მო-ე კონფიქსის ზმნურ მაწარმოებლად მიჩნევას არც ერთი ზემოაღნიშნული ფაქტი არ უჭერს მხარს (მეტად საეჭვოა, რომ მო პრეფიქსში 1-ლი ობ. პირის მ ნიშანი დაეინახოთ: *მ-ი-მ-ო:*მ-ი-დიდ-ე-მ-ო-დიდ-ე²: ამიტომ უფრო მისაღები ჩანს ის ვარაუდი, რომლითაც ოდნობითის მო პრეფიქსი, რომელსაც იშვიათად წა ენაცვლება (წაყვითალო, წაკუთხოვნო) წარმოშობით იგივე იყოს, რაც სათანადო ზმნისწინი³. ამ ვარაუდს უჭერს მხარს შემდეგი ფაქტიც: დღე-აღამე ზმნათა გარკვეულ ჯგუფში მო ზმნისწინს შეაქვს ო დ ნ ა ო ბ ი თ ო ბ ი ს ნიუანსის გაგება ზმნით გამოხატულ მოქმედებაში: მო-სახვა (გა. შე, და...) ზმნისწინით შეცვლას კი ამ ნიუანსის გაუჩინარება მოსდევს (შდრ. მოსუქდა/გასუქდა, მოსველდა/დასველდა, მოსვა/შესვა...). მო ზმნისწინიან ფორმებში ოდნობითობის შინაარსის ქონას უსვამს ხაზს „მცირე“, „ცოტა“, „ოდნავ“ სიტყვების ხმარების საჭიროება ფორმის გასაშინაარსებლად (მო-ს ფუნქციის გასამკვეთრებლად): მობერდება „ოდნავ დაბერდება“ მოითბობს „ოდნავ ვაითბობს“; დამაცადეთ, შეილებო, ხელები მო ვ ი თ ბ ო, მცირეა“ (ვაჟა); მომჟავდება „ცოტათი დამჟავდება“; მომძალდება „ცოტათი დამძალდება“; მომწარდება „ცოტათი გამწარდება“; მოსვამს „მცირე ნაწილს შესვამს“; მოსველდება „ცოტათი სველი გახდება“; მოსუქდება „ცოტათი გასუქდება“⁴. ასე რომ, ვთქვათ, „მომჟავდა“ ზმნის მო და „მომჟავო“ ზედსართავის მო ერთი ოდენობა უნდა იყოს.

ცხადია, ძველ ქართულში მო ზმნისწინი და -ე (წარმოშობით წყვეტილის ნიშანი) რეინპრეტაციით დერივაციულ მორფემებად გვევლინება.

რაც შეეხება მომთრვალე და მომრუშე/მემრუშე სახელებს, ისინი უფროობითის შინაარსის ოდნობითი ხარისხის ფორმებად არ ჩაითვლება, რადგან: 1) ო დ ნ ა ო ბ ი თ ო ბ ი ს გადმოსაცემად ენაში რე-

¹ ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები..., გვ. 445.

² ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, იქვე, გვ. 453-454.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 14¹.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958.

აღურად მოქმედი მო—ე კონფიქსით ნაწარმოებ სახელს არ შეიძლება ჰქონდეს უფროობითის შინაარსი, როცა ენაში უფროობითობა და ოდნობითობა მკაცრად არის ფორმობლივ გამიჯნული; 2) შინაარსით მომთრვალე და მომრუშე ის კი არ არის, ვინც ძალიან, მეტის-მეტად მთვრალია, ან მრუშია, არამედ ის, ვინც საერთოდ ხშირად სვამს ან მრუშობს, ვისაც სმა და მრუშობა ჩვეულებრივ საქმედ, „ხელობად“ გაუხდია. ამიტომაც, რომ არალოთ კაცს, უზომოდაც რომ დათვრეს, არ შეიძლება მომთრვალე ეწოდოს. მომთრვალე ხელობის სახელად გაიგებოდა ძველ ქართულში. მაგ., ოშკის ბიბლიაშია: „მუშაკი მომთრვალჷ ვერ წარეწიოს სიმდიდრეთა“ (ზირ. 18,33). ცხადია, აქ ნათქვამია: ძალიან მთვრალი კი არა, არამედ საერთოდ მსმელი, ლოთი, „მარადის შეღვინებული“ (საბა) კაცი ვერ დააგროვებს სიმდიდრესო. პარიზულ ხელნაწერში მომთრვალე-ს სინონიმად ნახმარია მოღვნე: „ნუ იყოფი მოღვნე... რამეთუ ყოველი მომთრვალჷ და მეძავი და მოძილი დაგლახანეს, იგ. 23.21. ვფიქრობთ, მომთრვალე ისევე არ არის ოდნობითი ხარისხის ფორმა, როგორც მისი ლექსიკური და მორფოლოგიური სინონიმი მოღვნე, რადგან არსებითი სახელი ღვწო-სგან შეიძლება ნაწარმოები იყოს მხოლოდ ხელობის სახელი მოღვნე (ძი:პაბჷჷჷ).

3) წარმოებით მომთრვალე და მომრუშე ხელობის სახელებია. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ: მე-ე—მო-ე. თანაც ძველ ქართულში მომრუშე და მემრუშე თანაბარი სიხშირით იხმარებოდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხელობის მე-ე კონფიქსს ძველსა და ახალ ქართულში მო-ე (წარმოშობით მიმღეობური მაწარმოებელი) შეეზიარა. შდრ. მოვანე „ბერი“. მოქრთამე (იობ. 15,34 ოშკ. ბიბლია), მოვაქრე „გამყიდველი“, მოსესხე „სესხის ამღები“. და ამიტომაც მომთრვალე და მემთრვალე — ორივე თანაბრად გამოხატავს წარმოქმნილ სახელში საგულეებელ შინაარსს.

დერივაციულ სუფიქსთაგან ძალზე ხშირად გამოიყენება -ოვან (-ოან), რომელიც რა ჯგუფის სახელებისგან აწარმოებს ზედსართავეებს: მარრილოანი, დაბ. 14,3; მაყოლოანი, გამ. 3,4; იერ. 17,6; ცომოვანი, გამ. 12,19; დანაკის—კუდოვანი, II შჯ. 6,11; ვენაკოვანი და ზეთის-ხილოვანი, II შჯ. 6,11; ვენაკოვანი და ლელოვანი, II შჯ. 8,8; ქუეყანად იგი მთოვანი და ველოვანი, II შჯ. 11,11; ნესოვანი, ეს. 1,8; დირდილოვანი, ეს. 40,4; სერტყოვანი, იერ. 3,13; სა-

— 1 ხელობის სახელთა სემანტიკა ზოგჯერ საგრძნობლად განსხვავებულია. ვთქვათ, მენავე შეიძლება ნიშნავდეს ნავის მკეთებელს ან ნავით, ნავზე მომუშავეს..

ხელოანი, იერ. 3,19; ყუაგილოანი, ნაუმ. 1,4; ლერწმონი, ნაუმ, 1,10; პირნი მათნი სავსენი და ფეროანნი, დან. 1,15;

იშვითად -ოვან სუფიქსი ზედსართავის ფუძისგანაც აწარმოებს ქონების სახელს: იყოს ძნელოვანი იგი წრფელად, ეს, 40,4; უბადრუკებაჲ ძნელოანსა ზედა მოიწიოს, ამოს. 5.2 [„ძნელოვანი“ ნიშნავს მაგარს. სასტიკს, გულრძოს].

-იერ (*ივ-ერ): ფაჩუნიერი, დაბ. 25,25; 27,23; მატყიერი, დაბ. 27,10; თხიერი, I მეფ. 16,20; [„თხიერი“ გასუბს-ტანტივებულია, ნიშნავს „ტიკს“].

-იად (*ივ-ად) სუფიქსი უფრო ზედსართავის ფუძისგან აწარმოებს მოდალურ ზმნიზედებს: იტყოდე მდუმრიად, დაბ. 24,33. გარდამოკდა ადრიად, დაბ. 24,64. განსასტიკნეს ფრიად, დაბ. 41,30; რომელნი-იგი სრულიად არა დადუმნენ, ეს. 62,6. ნუ განმირისხნები ჩუენ, უფალო, სრულიად, ეს. 64,9. ძნიად იპოს, იგ. 20,6. ძნიად ესცნობთ, სიბ. სოლ. 9,16. მალიად-მალიად სწრაფლ შექამედ, გამ. 12,11.

ბრუნვის ნიშანთა დერივაციული ფუნქცია უძველესი და პირველადი ჩანს. საყურადღებოა, რომ მოქმედებითი ბრუნვის -ით სუფიქსის კილოური ვარიანტის -ივ-ის მნიშვნელობის დაჩრდილვის შემდეგ მას დაჰმატებია ვითარებითი ბრუნვის -ად მაწარმოებელი (ივ—ივ+ად). ისტორიულად ერთი სუფიქსის (შემდგომ მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის) შეცვლა სხვა (შემდგომ ვითარებითი ბრუნვის) სუფიქსით მარტო ზემოდასახელებული წარმოების ტიპით კი არ დასტურდება, არამედ იშვითაც, რომ მოქმედებითი ბრუნვის -ით სუფიქსი -ად-ის გარეშეც გამოხატავს მოდალობას: აბსტრაქტული არსებითი სახელებისგან აწარმოებს ვითარებით ზმნიზედებს: მომაქციოს მე ცოცხლებით, დაბ. 28,21 (ცოცხლება—ცოცხლებით „ჯანმრთელად“), ჰრქუა მათ იაკობ: ცოცხლებით არსა? დაბ. 29,6 ჰრქუა იოთორ მოსესა: ვიდოდე ცოცხლებით, გამ. 4,18; (მეგვპტელნი) დაიმონებდეს მათ სასტიკებითა, გამ. 1,14; შდრ. ოშკის ხელნაწერის იკითხვისი: დაიმორჩილებდეს მათ სასტიკად (μετὰ πίναξ „ძალად“ „იძულებით“)

ფუძის გაორკეცების (რედუპლიკაციის) გზით მრავლობითობის (სიხშირის) ინტენსიური ნიუანსით გამოხატვა ძველი ქართულის ჩვეულებრივი სტილური საშუალებაა: ქალაქები დიდ-დიდი, II შჯ. 6,10 (შდრ. πόλις μεγάλαις), სასწაულები და ნი-

შედი დიდ-დიდი, II შჟ. 6,22 (შდრ. *σήμερον αὐτὸς ἔρχεται μετὰ*);
 ნათესაენი დიდ-დიდნი, II შჟ. 34,12 (შდრ. *ἔσονται μετὰ*);
 ორ-ორი შევიდა, დაბ. 7,9 (შდრ. *ἄλλοι ἄλλοι ἐσθῆτες*).

უფრო სშირია ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელის გაორკე-
 ცება: ბუდედ-ბუდედ ჰქმნე იგი (კიდობანი), დაბ. 6,14
 (*καταλάσσει πύργους. γοσθῆς* ნიშნავს „ბუდეებად“ ანუ „პატარ-პატარა
 სათავსებად“); აღაშენო იგი ძგიდედ-ძგიდედ (*κατασκευασθήσεται
 ἕως οὐρανόθεν* ნიშნავს „სამსართულიანად“); შეკრბა იგი [მყუარნი]
 სკნ-სკნად და დაყროლდა ქუეყანად, გამ. 8,14: (*κατακαταβήσονται
 ἕως ἡμέρας. κατακαταβήσονται...*); მალიად-მალიად სწრაფლ შეჭა-
 მედ, გამ. 12,11 (*κατακαταβήσονται ἕως ἡμέρας*). უკანასკნელ შემთხვე-
 ვაში ბერძნული წყაროს ერთი ერთეული (*κατακαταβήσονται* „სწრაფად“)
 სინონიმური წყვილით არის გადმოღებული (მალიად-მალიად||
 ||სწრაფლ). აქედან და ზემოდასახელებული მაგალითებიდანც ჩანს,
 რომ ფუძის რედუბლიკაცია, როგორც მრავლობითობის, სინშირის
 გამოხატვის სტილური საშუალება მეტწილად თვით ქარ-
 თული თარგმანის თავისებურებაა.

იშვიათად ემარებული სუფიქსებია -აკ და -ედ: კიდობანაკი,
 გამ. 2,3; 2,5—6; თორნმ ჭაჭუედი, I მეფ. 17,5 (=ტანსაფარი, ჭაუ-
 შანი, თორი, პერანგი ჭაჭვისა).

შ ი ნ ა ა რ ს ი

რექტორისაგან	
ლექციონარის ბიბლიური საკითხავები	
დაბადება	
გამოსლვათა	66
რიცხუთა	93
გეორე შჯულთა	100
ისუ ნავესი	115
მსაჯულთა	123
რუთი	124
I მეფეთა	142
II მეფეთა	168
III მეფეთა	171
IV მეფეთა	180
III ეზრა წინაწარმეტყუელისა	183
იობი	186
ივანი სოლომონისნი	217
სიბრძნე სოლომონისნი	251
სიბრძნე ისუ ზირაქისი	261
წინაწარმეტყუელება ესაიასი	264
წინაწარმეტყუელება იერემიასი	306
გოდებანი იერემიასისნი	320
წინაწარმეტყუელება ბარუქისი	325
წინაწარმეტყუელება ეზეკიელისი	333
წინაწარმეტყუელება დანიელისი	342
წინაწარმეტყუელება ოსტისი	353
წინაწარმეტყუელება იოველისი	356
წინაწარმეტყუელება ამოსისი	362
წინაწარმეტყუელება იონასი	368
წინაწარმეტყუელება მიქაასი	373
წინაწარმეტყუელება ნაუმისი	377
წინაწარმეტყუელება ამბაკუმისი	379
წინაწარმეტყუელება სოფონიასი	381
წინაწარმეტყუელება ანგეასი	383
წინაწარმეტყუელება ზაქარიასი	386
წინაწარმეტყუელება მალაქიასი	397
ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი	402
ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი	450

პარიზული ლექციონარი და მისი მნიშვნელობა ქართული სამწერლო ენის ისტორიისათვის (კ. დანელია)	463
I. შესავალი	463
II. სელნაწერის აღწერილობა	473
III. ტექსტისათვის	487
IV. ლექციონარის საკითხაუბრისა და ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანთა ურთიერთმიმართება	514
V. ენობრივი თავისებურებანი	532